

ლინგვისტიკა

ლინგვისტიკის თეორიის შესავალი



ავტორები: ვიქტორია ა. ფრომკინი (რედაქტორი)

სიუზან კერტისი, ბრიუს პ. ჰეიზი, ნინა ჰაიმზი, პატრიშა ა. კიტინგი,
ილდა კუპმენი, ჰემელა მანრო, დომინიკ სპორტიში, ედვარდ პ. სტეიბლერი,
დონჩა სტერიადე, ტიმ სტოუელი, ანა საბოლცი.

ლინგვისტიკა

ლინგვისტიკის თეორიის შესავალი

ავტორები: ვიქტორია ა. ფრომკინი (რედაქტორი)

სიუზან კერტისი, ბრიუს პ. ჰეიზი, ნინა ჰაიემზი, პატრიშა ა. კიტინგი,
ილდა კუპმენი, პემელა მანრო, დომინიკ სპორტიში, ედვარდ პ. სტეიბლერი, დონჩა სტერიადე, ტიმ
სტოუელი, ანა საბოლცი.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2009

ლინგვისტიკა: შესავალი ლინგვისტიკის თეორიაში. ვიქტორია ფრომკინი
Linguistics: An Introduction to Linguistic Theory. Victoria A. Fromkin

წიგნის ყველა ნაწილი დაწერილია ლინგვისტური თეორიის კონკრეტულ სფეროში ცნობილი ავტორის მიერ და ავსებს იმ სიცარიელეს, რაც ლინგვისტიკის საფუძვლებზე შექმნილ სახელმძღვანელოებს ახასიათებს. თორმეტი ცნობილი ავტორი თავის ცოდნას გვიზიარებს მორფოლოგიაში, სინტაქსში, სემანტიკაში, ფონეტიკაში, ფონოლოგიაში... სახელმძღვანელო მრავლისმომცველი და შთამბეჭდავია.

This edition is published by arrangement with **Blackwell Publishing Ltd**, Oxford. Translated by **Publishing House at Ilia Chavchavadze State University** from the original English language version. Responsibility of the accuracy of the translation rests solely with **Publishing House at Ilia Chavchavadze State University** and is not the responsibility of **Blackwell Publishing Ltd**.

Copyright© 2000 by Blackwell Publishing Ltd.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია Blackwell Publishing Ltd.-ის, ნებართვის გარეშე წიგნის რომელიმე ნაწილის ნებისმიერი ფორმით გამოყენება. ქართულ ენაზე გამოცემა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, საავტორო უფლება © 2007.

წიგნის თარგმანი დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პროგრამით — „საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარება“. წიგნი მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

პირველი ქართული გამოცემა
ISBN 978-9941-9116-9-9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

Ilia State University Publishing
3/5 K. Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევნი

წინასიტყვაობა	4
ნაწილი I შესავალი	7
1. ლინგვისტიკა: ადამიანის სამეტყველო ენის მეცნიერული შესწავლა	9
ნაწილი II მორფოლოგია და სინტაქსი	27
2. მორფოლოგია: სიტყვების სტრუქტურა	29
3. სინტაქსი I: ზმნის საარგუმენტაციო სტრუქტურა და ფრაზის სტრუქტურა	95
4. სინტაქსი II: სინტაქსური დამოკიდებულებები	216
5. სინტაქსი III: ზმნური ფორმების დისტრიბუცია: ცალკეულ შემთხვევათა ანალიზი	285
6. სიტყვა და წინადადების სტრუქტურის ათვისება	355
ნაწილი III სემანტიკა	393
7. სემანტიკა I: კომპოზიციურობა	395
8. სემანტიკა II: კონტექსტი	419
9. სემანტიკა III: კატეგორიათშორისი პარალელიზმები	439
10. მნიშვნელობის შეცნობა	465
ნაწილი IV ფონეტიკა და ფონოლოგია	487
11. ფონეტიკა: ბგერები ენაში	489
12. ფონოლოგია I: ძირითადი პრინციპები და მეთოდები	528
13. ფონოლოგია II: ფონოლოგიური გამოხატულებები	581
14. ფონოლოგია III: განმარტებები და შეზღუდვები ფონოლოგიაში	607
15. ფონეტიკის და ფონოლოგიის შეცნობა	649
გლოსარიუმი	670
ბიბლიოგრაფია	
დანართი	

წინასიტყვაობა

ეს სახელმძღვანელო დაწყებითი კურსის იმ სტუდენტებისთვის დაინერა, რომელთაც ლინგვისტიკის თეორიის გაცნობა პირველად უნევთ, — ვისაც ენათმეცნიერული ცოდნა ჯერ არა აქვს და ამ მეცნიერების უმთავრეს დარგებში — ფონეტიკაში, ფონოლოგიაში, სინტაქსში, მორფოლოგიასა და სემანტიკაში საფუძვლის განმტკიცება ესაჭიროებათ, რომ შესაძენი ცოდნა მასზე დააფუძნონ. ამ წიგნის ყველა თავში მსოფლიოს ყველა ენისთვის საერთო — უნივერსალური გრამატიკის ძირეულ პრინციპებზე იქნება საუბარი. უნივერსალური გრამატიკა ისაა, რაც ნებისმიერი ენის, მსოფლიოს ნებისმიერი გრამატიკის პრინციპებს უდევს საფუძვლად და მათ ათვისებას გვიაძვლებს. თეორიული ცნებები და კონცეფციები ვრცელი ლინგვისტური მასალის (არაბული ენიდან ზულუმდე) ანალიზის მეშვეობით იქნება განმარტებული. ლინგვისტიკაში მუშაობის პრინციპებს სტუდენტები სწორედ ამ ლინგვისტური მასალის მეშვეობით დაეუფლებიან. წიგნის ყოველ თავში თეორიული განსჯა მცირე პრაქტიკულ სამუშაოსთან იქნება შერწყმული. გრამატიკის ძირითად შემადგენელ ნაწილებთან ერთად ჩვენი წიგნიდან იმასაც გაიგებთ, როგორ ითვისებენ ბავშვები უნივერსალური გრამატიკის საფუძვლის კომპონენტებს. უნივერსალური გრამატიკის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი პრობლემა ხომ სწორედ ბავშვების მიერ ენის ათვისების უნარი და ათვისებულებებია.

წიგნის ტექსტი ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. I ნაწილი სტუდენტს საენათმეცნიერო ცოდნაში გზას უკვლევს, ამ სფეროს ზოგად ისტორიას აზიარებს, კერძოდ იმას, თუ როგორ მოვედით ცოდნის დღევანდელ დონემდე. II ნაწილი მორფოლოგიას (თავი 2) და სინტაქსს (თავები 3-5) მოიცავს, თავი 6 კი — მორფოლოგიისა და სინტაქსის ათვისების ათვისებულებებს. III ნაწილი სემანტიკას და მნიშვნელობათა ათვისებას (თავები 7-10) ეძღვნება, ნაწილი IV — ფონეტიკას (თავი 11) და ფონოლოგიას (თავები 12-14), ენისთვის დამახასიათებელი ბგერებისა და ბგერითი მოდელების ათვისებას. (თავი 15).

საენათმეცნიერო პრობლემები თითოეული თავის სავარჯიშოებში იქნება გადასანყვეტად წარმოდგენილი. სახელმძღვანელოს კითხვის დროს სტუდენტები ამ სავარჯიშოებს შეასრულებენ, ლინგვისტიკის თეორიის პრინციპებს, ძირითად ცნებებსა და ემპირიულ საფუძველს გაეცნობიან. ყველა თავს დამატებითი სავარჯიშოები და განხილულ საკითხებთან დაკავშირებული საკითხავი ლიტერატურა მოსდევს, წიგნის მთლიან ტექსტს კი — გამოყენებულ ტერმინთა ლექსიკონი და საერთო ბიბლიოგრაფია.

სახელმძღვანელო, პედაგოგის შეხედულებისამებრ, ერთ სემესტრზე, ან სასწავლო წლის მეოთხედზეა გათვლილი. მასზეა დამოკიდებული სრული, ან შემოკლებული, ათ-კვირიანი კურსის არჩევაც. უკანასკნელ შემთხვევაში, მასალით დატვირთულ 5, 9 და 14 თავებზე მუშაობა შეიძლება ამ საკითხების შემდგომი, უფრო დანვრილებითი შესწავლის დროისთვის გადაიდოს, ზოგიერთი სხვა თავი კი მომდევნო კურსებზე იქნეს შესწავლილი.

ეს სახელმძღვანელო თორმეტი ავტორის ერთობლივი მუშაობის შედეგად დაინერა. წიგნზე მუშაობის პერიოდში თორმეტივე კალიფორნიის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ფაკულტეტზე მოღვაწეობდა. როგორც სწავლების, ისე კვლევების წარმოების თვალსაზრისით, ამ ფაკულტეტს საუცხოო რეპუტაცია აქვს.

ავტორებს სურთ მადლობა გადაუხადონ თავიანთ სტუდენტებს, რომლებიც წიგნზე მუშაობის დროს მათთან თანამშრომლობდნენ, და გარკვეული აზრით, მათ თანაავტორებადაც უნდა ჩაითვალოს. ამასთან, მათ სურთ მადლობა გადაუხადონ ფილიპ კარპენტერს და სტივ სმითს მათ მიერ გამოხატული ნდობისთვის.

და ბოლოს, წიგნის ავტორები აღიარებენ იმ უზარმაზარ წვლილს, რომელიც ენათმეცნიერების განვითარებაში ნოამ ჩომსკის მიუძღვის. მისმა პიონერულმა კვლევამ ტრანსფორმაციული გენერატიული გრამატიკის სფეროში, სინტაქსსა და ფონოლოგიაში, ლინგვისტიკის მისეულმა ხედვამ, რომელიც კოგნიტური მეცნიერების ახალი სფეროს მთავარ დარგად სწორედ ამ მეცნიერებას მიიჩნევდა, მოგვცა ის, რასაც ახლა შეგვიძლია შემეცნებაში მომხდარი რევოლუცია ვუწოდოთ.

ნაწილი I

შესავალი

ლინგვისტიკა:

ადამიანის სამეტყველო ენის მეცნიერული შესწავლა

თავის სარჩევი

1.0. შესავალი

1.1. პანიინიდან ჩომსკიმდე და მის შემდეგ

1.2. ლინგვისტიკის თეორიის ამოცანები

1.3. რისგან შედგება ცოდნა ენის შესახებ? გრამატიკა, როგორც ლინგვისტური ცოდნის რეპრეზენტაცია

1.3.1. ლექსიკონი

1.3.2. მორფოლოგია

1.3.3. სინტაქსი

1.3.4. სემანტიკა

1.3.5. ფონეტიკა და ფონოლოგია

1.4. აზრობრივი გრამატიკაფი,

უნივერსალური გრამატიკა, აღწერილი გრამატიკა, სასწავლო

გრამატიკა და ნორმატიული გრამატიკა

1.5. როგორ ხდება ენის შესახებ ცოდნის შექმნა? ბავშვის მიერ ენის ათვისების ლოგიკური პრობლემა

1.6. როგორ გამოიყენება ცოდნა ენის შესახებ? ლინგვისტური პერფორმანსი

1.7. ლინგვისტიკის „ქმნა“

1.8. შეჯამება

შემდგომ საკითხავი ლიტერატურა

1.0 შესავალი

ადამიანის სამეტყველო ენა, ჩვენი სახეობისთვის დამახასიათებელი ეს უნიკალური უნარი, ადამიანთა მოდემის ინტერესს მთელი მისი არსებობის მანძილზე იწვევდა. მეცნიერებას, რომელიც ადამიანის ენას შეისწავლის, ენათმეცნიერება ანუ ლინგვისტიკა ეწოდება. მაშასადამე, ლინგვისტიკის ადამიანი კი არაა, რომელსაც ბევრ ენაზე შეუძლია საუბარი (თუმცა, ბევრმა ენათმეცნიერმა მართლაც ბევრი ენა იცის) — ასეთ ადამიანებს პოლიგლოტებს უწოდებენ — ენათმეცნიერი, ლინგვისტიკის მეცნიერი, რომელიც ადამიანის სამეტყველო ენას მისი ყველა გამოვლინებით შეისწავლის, იკვლევს მის აგებულებას, გამოყენებას, მის ისტორიას და როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამა თუ იმ სახის ლინგვისტური ცოდნის ფორმა და შემადგენლობა თეორიული ლინგვისტიკის შესწავლის საგანია. ეს სახელმძღვანელო გრამატიკის ანუ ლინგვისტური ცოდნის მენტალური რეპრეზენტაციის თეორიას შეეხება. თუმცა, ლინგვისტიკის სფერო მხოლოდ გრამატიკის თეორიით როდი ამოიწურება. მას უამრავი განშტოება

აქვს. იგივე შეიძლება ითქვას იმ მეცნიერებათა უმეტეს ნაწილზე, რომლებიც ისეთ რთულ, კომპლექსურ ფენომენტთან არის დაკავშირებული, როგორც ადამიანის სამეტყველო ენაა.

ჩანართი 1.1

ლინგვისტიკის დარგის ზოგადი მიმოხილვა

თეორიული ლინგვისტიკა (ჩვენი სახელმძღვანელოს შესწავლის საგანი) ხშირად **გენერატიულ ლინგვისტიკად** მოიხსენიება და საფუძვლად ჩომსკის 1955 წლით დათარიღებული ნაშრომი უდევს, რომლის სათაურია **ლინგვისტიკის თეორიის ლოგიკური სტრუქტურა**. ჩომსკის ამ, და ამის მომდევნო წიგნებსა და სამეცნიერო სტატიებში, ასევე იმ მეცნიერების ნაშრომებში, რომლებიც მის შეხედულებებს იზიარებენ, ძირითად ამოცანად ადამიანის ლინგვისტური ცოდნის და კომპეტენციის (კომპეტენცია ადამიანის გონებაში არსებული აზრობრივი გრამატიკის სახით წარმოგვიდგება), არსის და ბუნების კვლევა დასახული — რომ განვმარტოთ, იმის ახსნა, თუ რა ცოდნა აქვს მოსაუბრე ადამიანს, რა არის ეს ცოდნა, რომელიც მას მეტყველების და სხვა ადამიანის საუბრის თუ ნიშნების (მაგალითად, ყრუ-მუნჯთა ენა) გაგების უნარს ანიჭებს. მეტყველების აქტი ან მისი გაგება შესრულებად ითვლება, რაც კომპეტენციისგან განსხვავდება, მაგრამ მასზეა დამოკიდებული.

აღწერითი ლინგვისტიკა ენების, ვთქვათ, არაბულის ან ზულუს გრამატიკების ანალიზს ეწევა. ცნებები „ინდო-ევროპული ენათმეცნიერება“, „რომანული ენების გრამატიკა“, „აფრიკული ენების გრამატიკა“ ცალკეული ენების ან ენათა ჯგუფის შესწავლასთანაა დაკავშირებული, როგორც ისტორიული, ისე სინქრონული თვალსაზრისით.

ისტორიული ლინგვისტიკა ენებში მომხდარი ცვლილებების შემსწავლელი თეორიაა და იმას იკვლევს, თუ რატომ და როგორ განვითარდა ესა თუ ის ენა. **კომპარატიული** ანუ შედარებითი მეთოდი, სხვაგვარად — კომპარატივისტიკა მეცხრამეტე საუკუნის ფილოლოგებმა, ძმებმა გრიმებმა და ჰერმან პაულმა შეიმუშავეს. ენათმეცნიერების ეს დარგი სხვადასხვა ენების შესადარებლად გამოიყენება — იმის დასადგენად, თუ რომელი ენები ენათესავენ ერთმანეთს; ამ ნიშნით ენათა ჯგუფების გამოსაყოფად და მათი ძირების განსასაზღვრად.

ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა ანუ **ეთნოლინგვისტიკა** და **სოციოლინგვისტიკა** ენას კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად განიხილავს და მეტყველებისა და კულტურის თავისებურებების, სოციალური ფენების, ეთნიკური და სქესობრივი კუთვნილების ფონზე შეისწავლის.

დიალექტოლოგია იკვლევს, თუ როგორ ზემოქმედებს და ყოფს ეს ფაქტორები ერთ ენას რამდენიმე ენად. **სოციოლინგვისტიკის** და **გამოყენებითი ლინგვისტიკის** ინტერესის საგანს ენის დაგეგმვა, წიგნიერების განვითარება, ორენოვნება (ბილინგუალიზმი) და მეორე ენის ათვისების თავისებურებები წარმოადგენს. გამოყენებითი ლინგვისტიკა მოიცავს ისეთ სფეროებსაც, როგორებიცაა დისკურსი და საუბრის ანალიზი, ენის შეფასება და ენის პედაგოგია.

კომპიუტერული ლინგვისტიკა იკვლევს ბუნებრივი ენის კომპიუტერულ აპლიკაციებს ანუ ავტომატურ გრამატიკულ გარჩევას, მანქანურ პროცესირებას და კომპიუტერის მიერ გრამატიკული მოდულების ნაბაძვა-გამეორებას წინადადების წარმოქმნის და გარჩევის დროს. თუ ხელოვნური გონების (ხგ) სფეროს განშტოებად განვიხილავთ, მაშინ კომპიუტერული ლინგვისტიკის მიზანი ადამიანის სამეტყველო ენის

კოგნიტურ სისტემად მოდელირება იქნება.

მათემატიკური ლინგვისტიკა იკვლევს ენის ფორმალურ და მათემატიკურ თვისებებს.

პრაგმატიკა ენას შინაარსობრივ კონტექსტში შეისწავლის და ასევე სიტუაციის გავლენას მნიშვნელობაზე.

ნეიროლინგვისტიკა ენის ბიოლოგიურ საფუძველს იკვლევს და თავის ტვინის, გონებისა და ენის ურთიერთქმედებას შეისწავლის. ამას ლინგვისტიკის თეორია აფაზიის (თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ენობრივი დარღვევები) კვლევამდე მიჰყავს, ხოლო თავის ტვინის მიერ წარმოსახვისა და მონაცემების დამუშავების (CT, PET, fMRI, MEG, ERP) შესწავლისას — უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებამდე.

ფსიქოლინგვისტიკა ლინგვისტიკის ის მიმართულებაა, რომელიც ლინგვისტიკურ შესრულებას — მეტყველების (ან ნიშნის) წარმოშობას და გაგებას შეისწავლის. ფსიქოლინგვისტიკას განეკუთვნება ბავშვთა მიერ **ენის ათვისებაც**, რომელიც ხშირად დამოუკიდებელ დარგადაც ითვლება. ეს დარგი იკვლევს, თუ როგორ ითვისებს ბავშვი კომპლექსურ გრამატიკას, რაც, თავისთავად, ენის გამოყენების საფუძველია. ესაა მისი უმთავრესი საკითხი, განსაკუთრებით, ენის ბიოლოგიისადმი დიდი ინტერესის გამო. (ეს თემა გრამატიკის თეორიებთან კავშირის გამო ტექსტშიც იქნება განხილული.)

არსებობს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც ლინგვისტიკის თითოეულ ამ განშტოებას შეისწავლის. ყოველ მათგანს საფუძველად თვით ენა უდევს, რომელიც ჩვენი სახელმძღვანელოს განხილვის საგანია.

1.1. პანიინიდან ჩომსკიამდე და მის შემდეგ

ადამიანის სამეტყველო ენის მიმართ ინტერესი კაცთა მოდგმის განვითარებასთან ერთად მატულობდა. არ არსებობს კულტურა, რომელსაც ადამიანის ამ უნიკალური უნარის მიმართ ფილოსოფიური ან პრაქტიკული ინტერესი არ გამოეხატოს და კვალი არ დაეტოვებინოს. სხვადასხვა ისტორიულ ხანაში ენის კვლევას სხვადასხვა ამოცანა ჰქონდა, მაგრამ ორივე სახის ინტერესი ერთმანეთის თანადროულად არსებობდა.

ეგვიპტელი ქირურგები ყურადღებას კლინიკურ საკითხებზე ამახვილებდნენ. მაგალითად, ჩვ.წ-ალ.-მდე 1700 წლით დათარიღებული ეგვიპტური პაპირუსი თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ენობრივი დარღვევების სამედიცინო აღწერას შეიცავს. ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსები კი სამეტყველო ენის წარმოშობასა და ბუნებაზე მსჯელობდნენ. პლატონმა, რომლის ნაწერები ჩვ.წ-ალ.-მდე 427-დან 348-მდე პერიოდით უნდა დათარიღდეს, თავისი დიალოგი „კრატილუსი“ მისი დროისთვის აქტუალურ საენათმეცნიერო საკითხებს მიუძღვნა, არისტოტელე კი ენას რიტორიკისა და ფილოსოფიის კუთხით განიხილავდა.

ძველი ბერძნები და რომაელები გრამატიკებსაც წერდნენ, ენის ბგერებზე და სიტყვათა თუ წინადადებათა შედგენილობაზე მსჯელობდნენ. ეს ინტერესი არც შუა საუკუნეებსა და რენესანსის პერიოდში განელებულა და ჩვენს დრომდე უწყვეტ ხაზად მოაღწია.

უნდა ითქვას, რომ ენათმეცნიერება მეცნიერების მხოლოდ ევროპული დარგი არაა; ჯერ კიდევ ჩვ.წ-ალ.-მდე მეთორმეტე საუკუნეში ინდოეთში სანსკრიტს დაწვრილებით შეისწავლიდნენ. პანიინის სანსკრიტის გრამატიკა ჩვ.წ-ალ.-მდე 500 წელს დაინერა, მაგრამ დღემდე ენათმეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება. სამეტყველო

ენასთან დაკავშირებულ ჩვენს ცოდნას არაბმა და ჩინელმა მეცნიერებმაც ბევრი რამ შემატეს.

მეცხრამეტე საუკუნის ენათმეცნიერთა ძალისხმევა უმთავრესად ენის ისტორიული და შედარებითი კვლევისკენ იყო მიმართული. ამ ტრადიციის ფარგლებში შვედმა ლინგვისტმა ფერდინანდ დე სოსიურმა (1857-1913) ყურადღება ენის ცვლილების და განვითარების თავისებურებების ნაცვლად ენის სტრუქტურულ პრინციპებს მიაპყრო, და ამით მეოცე საუკუნის ენათმეცნიერებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

ევროპასა და ამერიკაში ლინგვისტები ენების აღწერით სინქრონულ კვლევას და ანალიზის ემპირიული მეთოდების შემუშავებას შეუდგნენ. მეცნიერების სხვადასხვა დარგების მკვლევრები ენისა და ენის გამოყენების არაერთი ასპექტით დაინტერესდნენ. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკელი ლინგვისტები მოიცავდნენ ანთროპოლოგ ედუარდ სეპირს (1884-1939) რომელიც დაინტერესებული იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ხალხთა ენების, ენისა და კულტურის ურთიერთქმედებისა და ადამიანთა საზოგადოებაში ენის როლის კვლევით და და ლეონარდ ბლუმფელდს (1887-1939) ისტორიული, შედარებითი და აღწერითი ენათმეცნიერების წარმომადგენელს, თავისი დროის ერთ-ერთ თვალსაჩინო მეცნიერს. საპირმა და ბლუმფელდმა ენის ზოგადი თეორია შეიმუშავეს. საპირი „მენტალისტი“ იყო იმ თვალსაზრისით, რომ სწამდა: ნებისმიერი სიცოცხლისუნარიანი ლინგვისტური თეორია ლინგვისტური ცოდნის აზრობრივ გამოხატულებას, მის „ფსიქოლოგიურ რეალობას“ უნდა ემყარებოდეს. ბლუმფილდი მოგვიანებით ბიჰევიორიზმის მიმდევარი გახდა. ბიჰევიორიზმი, იმ დროის ფსიქოლოგიის წამყვანი მიმართულება, ენის აზრობრივი გამოხატულების, თვით ადამიანის გონების ნებისმიერი სახის კვლევას გამორიცხავდა.

რომან იაკობსონი (1896-1982), პრადის საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი 1941 წელს ამერიკაში გადასახლდა და ენათმეცნიერებაში ახალი სიტყვა თქვა. მორის ჰალესთან და გუნარ ფანტთან მის თანამშრომლობას ფონოლოგიაში გამორჩეული ნიშან-თვისებების თეორიის შექმნა მოჰყვა. ჰალე უკანასკნელი ათწლეულების ერთ-ერთ წამყვან ფონოლოგად ითვლება. ინგლისში ფონეტიკოსებმა დენიელ ჯონსმა (1881-1967) და ჰენრი სვიტმა (1845-1912) (ეს მეცნიერი ბერნარდ შოუს პერსონაჟის, ჰენრი ჰიგინსის პროტოტიპია) ენის ბგერითი სისტემების შესწავლაზე დიდი გავლენა მოახდინეს.

1957 წელს, „სინტაქსური სტრუქტურების“ გამოქვეყნებასთან ერთად, ნოამ ჩომსკიმ გენერატიული გრამატიკის ერას ჩაუყარა საფუძველი, თეორიას, რომელმაც მეცნიერებაში რევოლუცია მოახდინა. იგი ენის ათვისებას, გამოხატვას, გამოყენებასა და იმ უნივერსალურ პრინციპებს განიხილავს, რომლებიც ყველა ენას აერთიანებს და თეორიას ადვილად გასაგებს ხდის.

ჩვენი წიგნის მომდევნო თავები მნიშვნელოვანწილად ლინგვისტიკის თეორიის იმ სიახლეებს ეფუძნება, რომლებიც ორი ნაშრომის: 1957 წელს „სინტაქსური სტრუქტურების“, ხოლო 1965 წელს „სინტაქსის თეორიის ასპექტების“ გამოქვეყნებამ მოიტანა. წლების შემდეგ ნოამ ჩომსკიმ თავისი თეორია ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომებში განავითარა, როგორებიცაა „შენიშვნები ნომინალიზაციის შესახებ“ (1970), „ტრანსფორმაციის პირობები“ (1973), „ლექციები მთავრობასა და კავშირების შესახებ“ (1981), „ბარიერები“ (1986), „სინტაქსური თეორიის პრინციპები და პარამეტრები“ (1981) და „მინიმალისტური პროგრამა“ (1995).

მომდევნო თავებში ამ პუბლიკაციებში გამოყენებული და ლინგვისტიკის სფეროს

(სინტაქსის გარდა) სხვა ძირითადი ცნებები იქნება განხილული. მათი მიმოხილვა ზოგადი და მარტივი ხასიათის იქნება.

1.2. ლინგვისტიკის თეორიის ამოცანები

სამი ძირითადი საკითხი, რომლებიც 1986 წელს ჩომსკიმ წამოჭრა, ლინგვისტიკისთვის დღესაც აქტუალურია:

- რისგან შედგება ცოდნა ენის შესახებ? (კომპეტენცია)**
- როგორ ხდება ენის შესახებ ცოდნის შექმნა? (ათვისება)**
- როგორ ხდება ენის შესახებ ცოდნის გამოყენება? (შესრულება/ ენის პროცესირება)**

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, პირველ საკითხს განიხილავს, და განიხილავს მეორესთან მიმართებაში. ჩვილობის ასაკიდან ამა თუ იმ ენაზე მეტყველება ამ ენის ბუნებისა და სტრუქტურის ინტუიტიურ გათავისებას ინვესტ, და ამის შესახებ წიგნის ყველა ნაწილში იქნება საუბარი. ენის გამოყენების გაგება (შესრულება) — ეს ფსიქოლინგვისტიკური კვლევის ძირითადი სამიზნე სფერო — ჩვენს იმ წარმოდგენაზე დამოკიდებული, თუ რას ვგულისხმობთ მის გამოყენებაში. ამ წიგნში იმაზეც ვიმსჯელებთ, თუ რა სხვაობაა ლინგვისტურ ცოდნასა (კომპეტენცია) და მის გამოყენებას (შესრულება) შორის.

1.3. რისგან შედგება ცოდნა ენის შესახებ? გრამატიკა, როგორც ლინგვისტური კომპეტენციის განსორცხილება

ენის ცოდნა ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ ბგერები (ან შესტები ნიშანთა ენაზე) მნიშვნელობებს დაუკავშიროს ანუ სათქმელის ენობრივი თუ ნიშნობრივი გამოხატულება გაიგოს და აზრები მეტყველების ან ნიშნების მეშვეობით გადმოსცეს. უნდა აღინიშნოს, რომ ყრუ-მუნჯთა ნიშნური ენის გამოყენება არსით სამეტყველო ენის გამოყენების მსგავსია — შესტების/ვიზუალურ მოდალობას ემყარება და არა მეტყველების ბგერითი და სმენითი აღქმის მოდალობას. იმ შემთხვევების გარდა, როცა საქმე სამეტყველო ბგერებს ეხება, ენის ბუნებასა და ნიშან-თვისებებზე მსჯელობა როგორც სამეტყველო, ისე ნიშნების ენებს უნდა დაეყრდნოს.

ლინგვისტურ ცოდნას ისეთი სახით, როგორითაც ის მოსაუბრის გონებაში არსებობს, გრამატიკა ეწოდება. ლინგვისტიკის თეორია იმ აზრობრივი გრამატიკის ბუნებას იკვლევს, რომელიც ადამიანის მიერ საკუთარი ენის ცოდნას გამოხატავს.

თუ გრამატიკა შეიძლება საკუთარი ლინგვისტური ცოდნის აზრობრივ გამოხატულებად განვსაზღვროთ, მაშინ ენის ზოგადი თეორია — გრამატიკის თეორიაა. გრამატიკა მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანმა საკუთარი ენის სტრუქტურის შესახებ იცის — მისი ლექსიკონი (გონებრივი ლექსიკონი ანუ სიტყვათა მარაგი), მისი მორფოლოგია (სიტყვების სტრუქტურა), მისი სინტაქსი (ფრაზების, წინადადებების თუ წინადადებათა ამა თუ იმ თანწყობის სტრუქტურა), მისი სემანტიკა (სიტყვების და წინადადებების მნიშვნელობა) და მისი ფონეტიკა და ფონოლოგია (ბგერები და ბგერათა სისტემები ან მოდელები). გრამატიკის თეორია თითოეული ამ კომპონენტის ბუნებას, და ყველა არსებული გრამატიკის უნივერსალურ ასპექტებს განსაზღვრავს.

ამათგან თითოეული სახის ლინგვისტური ცოდნა აზრობრივი გრამატიკის ნაწილად წარმოგვიდგება. მაგრამ რა სახის ცოდნაა ეს? რა იცის მოსაუბრე ადამიანმა? უპ-

ირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქმე ცნობიერ ცოდნასთან არ გვაქვს. ჩვენ, ადამიანთა უმეტესობას (თუ ენათმეცნიერების კურსი არ გვაქვს გავლილი) ჩვენი ენის არაცნობიერ ცოდნაზე ოდნავი წარმოდგენაც არ გავაჩნია. ამ ენის სირთულესა და კომპლექსურობას ჩვენ სრულებით ვერ ვაცნობიერებთ. ამ კომპლექსურ ენას წინამდებარე წიგნის ზოგიერთ თავში განვიხილავთ. თუმცა, ერთგვარი შესავალის სახით, ამ ლინგვისტური ცოდნის (კომპეტენციის) ილუსტრირება ჩვენი აზრობრივი გრამატიკის კომპონენტადაც შეიძლება.

1.3.1. ლექსიკონი

ამა თუ იმ ენაზე თითოეული მოსაუბრე გონებით ლექსიკონს, სიტყვათა მარაგს ატარებს. ამ ლექსიკონში ყველა ის სიტყვაა, რომელიც მან იცის, ვთქვათ, კატა, ჯადოქარი, ღრმული, მაკბეტი, მასხარა, ლექსიკონი, მოკვლა, ღალატი, სიყვარული, სიძულვილი. ცნობილია, რომ ჩვეულებრივი მონაცემების ადამიანმა 45 000-დან 60 000 სიტყვა იცის. აზრობრივ ლექსიკონში სწორედ ამდენი სიტყვაა დაცული (იხილეთ თავი 2).

1.3.2. მორფოლოგია

ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრემ ისიც იცის, როგორია სიტყვების სტრუქტურა; იცის, რომ მაგალითად, ინგლისურ ენაში სიტყვა და მისი ფუძე შეიძლება ერთი იყოს, როგორც მაგალითად, სიტყვაში *witch* — ჯადოქარი, ან ფუძეზე სუფიქსის დართვით — მაგალითად, *witch-es*, ფუძეზე პრეფიქსის დართვით — *dis-en-chant*, ან ფუძეზე სუფიქსის და პრეფიქსის დართვით, მაგალითად, *dis-en-chant-ment* წარმოიშვება. ამას გარდა იცის, რომ სიტყვათა ეს ნაწილები გარკვეული თანმიმდევრობით უნდა დაეწყოს. ანუ, სუფიქსის „*ment*“ სიტყვის თავში დართვა — მაგალითად, *mentenchant* ამ სიტყვას გაუგებარს ან გრამატიკულად გაუმართავს გახდის (შემდგომ წიგნის ყველა თავში ასეთ გაუგებარ ან გრამატიკულად გაუმართავ ფორმებს — სიტყვებს, ფრაზებს თუ წინადადებებს ყველგან ვარსკვლავით * აღვნიშნავთ.). რაკი მოსაუბრეს შეუძლია, მართებული და გაუმართავი ფორმები ერთმანეთისგან განასხვავოს, მაშასადამე, ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვას *lover* მიიღებს, და ფორმას *erlove* უკუაგდება — ამას ჩვენს გონებაში დაცული, აზრობრივი გრამატიკის კარნახით გააკეთებს, რომელიც ჩვენი გრამატიკული ცოდნის ნაწილია.

1.3.3 სინტაქსი

ჩვენი ლინგვისტური ცოდნის ნაწილი გვკარნახობს როგორ შევადგინოთ სიტყვების გამართული თანწყობა, როგორ შევაერთოთ სიტყვები ისე, რომ ფრაზები და წინადადებები ავაგოთ. ჩვენ ვიცით, როდისაა სიტყვების ამგვარი თანწყობა სწორი, და როდის — არასწორი, როგორც ქვემოთ მოტანილ წინადადებებში (1) და (2), და მართებული ფორმის ამოცნობა შეგვიძლია:

- (1) ლირს სამი ქალიშვილი ჰყავდა.
- (2) * სამი ლირს ქალიშვილი ჰყავდა.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ამოვიცნობთ თუ არა გრამატიკულად სწორ და არასწორ ფორმას სრულებით არაა დამოკიდებული იმაზე, მოსმენილი გვქონდა თუ არა ადრე წინადადება, ან იმაზე, სწორია თუ არა მასში გამოთქმული აზრი (3):

(3) ლირს მხოლოდ ორი ქალიშვილი ჰყავდა.

ეს გრამატიკულად მართებული წინადადებაა, მაგრამ შექსპირის ტრაგედიის მიხედვით, სწორი წინადადება არაა. რაკი ლირი მისი პიესის პერსონაჟია და არა რეალური ადამიანი, მეფე, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავს, (1) წინადადების სისწორე რეალური სამყაროს ინფორმაციაზე დამოკიდებული ვერ იქნება.

სინტაქსის (და სემანტიკის) ჩვენი ცოდნა ასევე ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ჩვენ ვიცით: (4) ბუნდოვანი, ორაზროვანი წინადადებაა (ანუ წინადადება, რომელსაც ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს).

(4) კორდელიას ლირი რეგანაზე მეტად უყვარდა.

ასეთი წინადადების მოსმენისას თავში ერთი მნიშვნელობა მოგვდის:

(4) 4. ა. კორდელიას ლირი უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე რეგანს უყვარდა ლირი.

ინგლისურის მცოდნეებმა აგრეთვე იციან რომ (4ბ), (4)-ის მნიშვნელობაც შეიძლება იყოს.

(4) 4 ბ. კორდელიას ლირი უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე კორდელიას რეგანი უყვარდა.

სინტაქსის წყალობით ნებისმიერ ენაში წინადადებების უსაზღვრო რაოდენობაა. წინადადების სიგრძე შეზღუდული არ არის, და შესაბამისად, არც წინადადებების რაოდენობას შეგვიძლია დავუდოთ ზღვარი.

(5) ლირს კორდელია უყვარდა.

(6) ლირს უყვარდა კორდელია, ხოლო კორდელიას უყვარდა ლირი.

(7) ლირს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა, კორდელია ყველაზე მეტად უყვარდა.

(8) ლირი, რომელსაც კორდელია უყვარდა, ძალზე განრისხდა, როცა მან (კორდელიამ) სიტყვიერად არ უთხრა, როგორ უყვარდა იგი (ლირი) და ამის გამო მემკვიდრეობის უბოძებლად მოიკვეთა, რამაც რეგანი და გონერილი გაახარა, მაგრამ ძალიან უსამართლო გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან კორდელიას მამა მართლა ყველაზე მეტად უყვარდა, კეთილი და მზრუნველი ბუნება ჰქონდა და ეს ამბავი ბოლოს მეფე ლირისთვის საშინელი ტრაგედიით დასრულდა.

შეგვიძლია ამ წინადადებიდან წინადადებები (9ა-გ)-ს მიხედვით გამოვყოთ:

(9) ა. კორდელია ლირის უმცროსი ქალიშვილი იყო.

ბ. მას მამა უყვარდა.

გ. კორდელიას, რომელიც ლირის უმცროსი ქალიშვილი იყო იგი უყვარდა.

შეგვიძლია წინადადებები შევაერთოთ, როგორც (10) წინადადებაში:

(10) კორდელია ლირის უმცროსი ქალიშვილი იყო და უყვარდა იგი.

ჩვენ ვიცით, როგორ შევქმნათ უარყოფითი და კითხვითი წინადადებები:

(11) კორდელია ლირის უმცროსი ქალიშვილი არ იყო.

(12) კორდელია ლირის უმცროსი ქალიშვილი იყო?

ვიცით ისიც, რომ (13) წინადადებაში he — „იგი (კაცი)“ ლირს არ განეკუთვნება,

ხოლო (14) –ში კი შეიძლება, რომ ლირი ან სხვა პირი, მამაკაცი იგულისხმებოდეს.

(13) Lear loved him. –ლირს უყვარდა იგი.

(14) Regan told Lear she loved him. –რეგანამ უთხრა ლირს, რომ უყვარდა იგი.

3, 4 და 5 თავებში ზოგიერთ ამ და სხვა იმ საკითხებზე იქნება საუბარი, რომლებიც სინტაქსური სტრუქტურის ჩვენს ინტუიტიურ ცოდნასთანაა დაკავშირებული, ჩვენს მენტალურ გრამატიკაში ეს ცოდნაც იგულისხმება და ზემოთ მოტანილი მტკიცებულებების შედგენის ჩვენს უნარზე მეტყველებს.

1.3.4 სემანტიკა

მოსაუბრემ ბევრი რამ იცის იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს მის ენაში ესა თუ ის გამოთქმა. სწორედ ეს ცოდნაა, ბგერების თუ შესტების მოდელებს „სიმბოლოურს“ რომ ხდის. წინადადება ერთგვარი აკუსტიკური თუ შესტისმიერი სურათია — იგი რაღაცის გამოხატულებას ახდენს — მიუხედავად იმისა, რომ გამოხატულების მისეული ხერხები ნახატისგან განსხვავდება. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ წარმოთქმული ან დაწერილი სიტყვა შექსპირი შეიძლება რომელიმე ადამიანისათვის სახელის მისაცემად იქნას გამოყენებული. ვიცით, რომ წარმოთქმული ან დაწერილი ფრაზა პიესებს წერდა ისეთ უნარს გამოხატავს, რომელიც გააჩნია ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა ადამიანს. ქვემოთ მოტანილი წინადადების (15) მნიშვნელობა რომ გავიგოთ, ამ ორ იდეას ვაერთიანებთ:

(15) შექსპირი პიესებს წერდა.

მარტივი იდეა, რომ ქვემდებარე რაღაცას სახელს აძლევს, ხოლო წინადადების დანარჩენი ნაწილი მოქმედებას აღნიშნავს, ყველა მსგავს შემთხვევაში მართებული არ არის. მაგალითად, ქვემოთ მოტანილი წინადადება გვეუბნება, რომ:

(16) არცერთი ჯადოქარი პიესებს არ წერს.

წინადადება (16)-ის მნიშვნელობა სრულიად გასაგებია, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ჯადოქარი ერთ რომელიმე პირს არ გულისხმობს. 7, 8 და 9 თავებში ისეთი წინადადებების მნიშვნელობებს შევეხებით, რომლებიც ერთდროულად მოიცავს როგორც (15), ისე (16) წინადადების მსგავს მნიშვნელობებს.

ამას გარდა, ჩვენ შეგვიძლია ისეთი წინადადებების მნიშვნელობა გავიგოთ, რომლებიც ისეა აგებული, როგორც ამის საშუალებას სინტაქსი იძლევა: გვესმის ჩართული და ქვენყობილი წინადადებები; გვესმის უარყოფითი და კითხვითი წინადადებები. სინტაქსური სტრუქტურების ამოცნობის ჩვენი უნარი სტრუქტურათა უსასრულო ჯაჭვის მნიშვნელობათა გაგების ჩვენეულ უნარს ემთხვევა; ეს ორი უნარი ერთდროულად გვაქვს.

როცა გამოთქმების მნიშვნელობებს განვიხილავთ შევნიშნავთ, რომ შეიძლება მსგავსი მნიშვნელობის სხვადასხვა სახით გადმოცემა. მაგალითად, მოცემულ ორ წინადადებას მსგავსი მნიშვნელობა აქვს.

(17) ჩვეულებრივ, ჯადოქრები პიესებს არ წერენ.

(18) ჯადოქრების უმეტესობა პიესებს არ წერს.

ამგვარი ცოდნა ჩვენს აზრობრივ გრამატიკაში სემანტიკურ ცოდნას წარმოადგენს; მას 7, 8 და 9 თავებში განვიხილავთ.

1.3.5 ფონეტიკა და ფონოლოგია

საკუთარი ენის ცოდნა მისი ბგერების და ბგერათა მოდელების ცოდნასაც მოიცავს. ჩვენ ვიცით, რომელი ბგერები არსებობს ჩვენს ენაში, და რომელი — არა. ინგლისურ ენაზე მოსაუბრემ, ხშირად არაცნობიერად იცის, რომ მის ენაში ხუთზე მეტი ხმოვანი ბგერაა. მათ გამოსაყოფად თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ იმ სიტყვებს, რომლებიც დაწერილობით ერთმანეთისგან განსხვავდება: *bit, beat, bet, bat, boot, but, boat, bought, put, pot*. ინგლისური ენის დამწერლობით სისტემაში ხუთი ხმოვანი ბგერის გამოსახატავად ხუთ ასო-ნიშანს — *a, e, i, o, u* — ვიყენებთ. როგორც ხედავთ, ანბანური სიმბოლოები და ის ბგერები, რომლებსაც ისინი გამოხატავენ, ერთმანეთს ზუსტად არ შეესაბამებიან.

ინგლისურ ენაზე მოსაუბრემ ისიც იცის, მის ენაში ბგერების რომელი ბმული ქმნის სიტყვებს, რომელი — შესაძლო სიტყვებს, და რომელი ბმულებისგანაა შეუძლებელი სიტყვის წარმოქმნა. ასე მაგალითად, სიტყვა *clasp* — შესაკრავი თითქმის ყოველი ინგლისურენოვანი ადამიანის აზრობრივ ლექსიკონში არსებობს, ფორმები *clisp* ან *klisp* კი — არა (ვინაიდან ამ ბგერებთან რაიმე მნიშვნელობა არაა დაკავშირებული), მაგრამ ეს უაზრო ფორმებიც კი შეიძლება გახდეს სიტყვები, ვინაიდან ისინი ინგლისური ენისთვის დამახასიათებელ ბგერათა თანმიმდევრობას არ არღვევენ. ფორმა **lkisp* კი ინგლისურში შესაძლო სიტყვად ვერ ჩაითვლება, არც **ngisp*, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ბგერათა ნყოფა *lk*, მეორე შემთხვევაში კი *ng*, ბგერა, რომელიც სიტყვა *king*-ს აბოლოვებს, ინგლისურ ენაში სიტყვას ვერ დაიწყებს. ეს ისეთი წესები ან კანონები კი არ არის, რომლებიც შეიძლება სახელმძღვანელოების ავტორებმა დაანესონ, არამედ ენის, ამ შემთხვევაში ინგლისური ენის ბგერითი მოდელების შეზღუდვებია, რომელთაც ბავშვი მშობლიურ ენასთან ერთად ითვისებს. ასეთი შეზღუდვები და დამატებითი ინფორმაცია სამეტყველო ბგერებისა და ბგერითი მოდელების შესახებ, რომელთაც 11-დან 14 თავებში განვიხილავთ, ინგლისური ენის აზრობრივ გრამატიკაში წარმოდგენილ ფონოლოგიურ ცოდნას განეკუთვნება.

1.4 აზრობრივი გრამატიკა, უნივერსალური გრამატიკა, აღწერიითი გრამატიკა, სასწავლო გრამატიკა და ნორმატიული გრამატიკა

აქ გრამატიკა მისი ჩვეული გაგებისგან განსხვავებულად იქნება განხილული. როცა მოსაუბრის ლინგვისტური ცოდნის გამოხატულებად განვიხილავთ, გრამატიკა აზრობრივი სისტემაა — თავის ტვინის/გონების კოგნიტური ნაწილი, რომელსაც თუ ადამიანის პირველ, ანუ მშობლიურ ენაზე გვაქვს საუბარი, ბავშვი საგანგებოდ შესწავლის გარეშე, ბუნებრივად ითვისებს. სიტყვა გრამატიკა ხშირად მხოლოდ სინტაქსთან მიმართებაში იხმარება, ჩვენ კი მას ლინგვისტური კომპეტენციის ყველა ასპექტს ვუკავშირებთ. იმ შემთხვევებთან ერთად, როცა ამ სიტყვას აზრობრივ გრამატიკასთან მიმართებაში ვხმარობთ, როცა ლინგვისტები ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე ეთნიკური ჯგუფის საზიარო ცოდნას გულისხმობენ, ენის აღწერას ენის გრამატიკა ეწოდება. ისეთ ორ ადამიანს ვერ იპოვით, რომ ერთმანეთის სრულიად იდენტური აზრობრივი გრამატიკა ჰქონდეთ. ზოგმა შეიძლება ისეთი სიტყვები იცოდეს, რომელიც სხვისთვის უცნობია; ერთს შეიძლება საკუთარი, სხვათაგან გამორჩეული წესი ან გამოთქმის თავისებურება გააჩნდეს, მაგრამ რაკი ეს ადამიანები ერთმანეთს ესაუბრებიან, ერთმანე-

თის ესმით, მაშასადამე, არსებობს რაღაც საერთო ცოდნა, რასაც ჩვენ მათ აზრობრივ გრამატიკას ვუნდობთ. აღწერითი გრამატიკა ერთ ენობრივ ჯგუფში ყველა მოსაუბრის აზრობრივი გრამატიკების იდეალური ფორმაა.

ყველა ენის გრამატიკა უნივერსალური „კანონებით“ ანუ „პრინციპებითა“ შეზღუდული. ეს თვალსაზრისი განსხვავდება ჩომსკიმდე მოღვაწე ბევრი ლინგვისტის შეხედულებებისგან. ზოგი მათგანი ამტკიცებდა, რომ ენები შეიძლება დაუსრულებლად იცვლებოდეს. რაც მეტად ვაკვირდებით მსოფლიოს ენებს, მით მეტად ვრწმუნდებით მეცამეტე საუკუნის ფილოსოფოსის როჯერ ბეკონის თვალსაზრისის სისწორეში. ბეკონი წერდა:

„იმას, ვისაც ერთი ენის გრამატიკა ესმის, მეორე ენის გრამატიკასაც გაიგებს, ვინაიდან გრამატიკის ძირითადი ნიშან-თვისებები საერთოა. ის, რომ ასეთი ადამიანი სხვა ენაზე ვერ მეტყველებს, ან სხვა ენა არ ესმის, სიტყვათა და მათ ფორმათა უსასრულო მრავალფეროვნების გამო ხდება, მაგრამ ესენი გრამატიკის შემთხვევითი ნიშან-თვისებებია.“

ამ შეხედულების სასარგებლოდ უამრავი მოწმობა არსებობს. დღეს მას იმ თვალსაზრისის აღიარებაც ამყარებს, რომ ენების ათვისების ადამიანისეულ უნარს ბიოლოგიური საფუძველი გააჩნია. ამ სამყაროში ბავშვი ენების ათვისების თანდაყოლილი მიდრეკილებით იზადება, რომელიც ამ უნივერსალურ პრინციპებს ანუ გენეტიკურად განსაზღვრულ აზრობრივ სისტემას ეყრდნობა, ეს უკანასკნელი კი — უნივერსალურ გრამატიკას (უგ). ეს საკითხი წიგნში შემდგომ იქნება განხილული.

უნივერსალური გრამატიკა ყველა სამეტყველო ენის გრამატიკებს განსაზღვრავს, მაგრამ არსებობს „შემთხვევითი განსხვავებები“, რომლებიც ენათმორის ლინგვისტურ ცვალებადობას ქმნიან. ასე მაგალითად, უნივერსალური გრამატიკა შეიძლება განსაზღვრავდეს, რომ სიტყვის *thane* (*rogorc* “*Mackbeth, the thane of Cawdor*”), ან *thigh* სანყისი ბგერა — *th* შესაძლო სამეტყველო ბგერა იყოს. ინგლისური ენის აღწერითი გრამატიკა ამ ბგერას ხსენებული ენის გრამატიკაში განიხილავს, მაგრამ ფრანგული ენის გრამატიკა — არა. ზოგიერთ ენაში ნაცვალსახელით წარმოდგენილი ქვემდებარის გამოტოვება შეიძლება, ზოგში კი — არა. ზოგიერთ ენაში ერთი რთული შედგენილობის სიტყვა მეორე ენის მთელი წინადადების ექვივალენტურია. ეს განსხვავებები ამ ენების აღწერითი გრამატიკებში იჩენს თავს. აღწერითი გრამატიკები შეიძლება სასწავლო ანუ პედაგოგიკური გრამატიკების საფუძვლადაც ჩაითვალოს. ამ გრამატიკებს მეორე ენის, ან მშობლიური ენის რომელიმე ვერსიის (დიალექტის) სასწავლებლადაც იყენებენ.

აღწერითი გრამატიკების მიზანი იმ აზრობრივი გრამატიკის გამოვლენაა, რომელიც ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრის ცოდნას წარმოადგენს და არა იმის დადგენა, თუ როგორი უნდა იყოს ამ მოსაუბრეების გრამატიკა. მაშინ, როცა ენის (ან დიალექტის) ზოგიერთ ფორმას შეიძლება ხშირად სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური მოსაზრებით მიენიჭოს უპირატესობა, ლინგვისტური თვალსაზრისით ასეთი უპირატესობა არც ერთ დიალექტს არ ეძლევა. ამის გამო ლინგვისტიკას, როგორც მეცნიერებას, ნორმატიული ლინგვისტიკის მიმართ მცირე ინტერესი გააჩნია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ენების უმეტესობა დამწერლობით ფორმას მოკლებულია (ამაზე მე-2 თავში იქნება საუბარი). ამის მიუხედავად, ეს ენები დამწერლობას, ან საკუთარი ანბანის მქონე ენებზე ნაკლებ კომპლექსური და რაციონალური როდია. მეტყველება (ან ნიშანი) პირველადია, ადამიანის სახეობისთვის ბუნებით ნაბოძები უნარის ნაწილია; დამწერლობითი სისტემები სამეტყველო ენებისგან წარმოდგა; ამი-

ტომაცაა, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დაბადებული ადამიანი, ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ლინგვისტური უნარის წყალობით, თავისი გარემოს ენას თავისით სწავლობს, მაგრამ წერა-კითხვას საგანგებო სწავლების გარეშე უფრო ხშირად ვერ ითვისებს. ყრუ-მუნჯი ბავშვიც კი, რომელიც მეტყველების უნარს მოკლებულია, შესტების საკუთარ ენას იგონებს, რომელიც უნივერსალური გრამატიკის შეზღუდვების შესატყვისობით ვითარდება და იცვლება. თუმცა, ასეთი ბავშვები საკუთარ დამწერლობას ვერ იგონებენ.

1.5. როგორ ხდება ენის შესახებ ცოდნის შექმნა? ბავშვების მიერ ენის ათვისების ლობიკური პრობლემა

პატარა ბავშვები, რომლებსაც ბევრი სხვა თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, მნიშვნელოვან შემეცნებით გამარჯვებებს უადვილესად და ძალდაუტანებლად აღწევენ. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში, უშუალო ინსტრუქტირებისა და კორექციის გარეშე ლინგვისტური ცოდნის ურთულეს და ერთგვაროვან შემეცნებით სისტემას აყალიბებენ — იმ ენის გრამატიკას, რომელსაც ითვისებენ. როგორ ახერხებენ ამას ბავშვები? ეს არის უმთავრესი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემას ენათმეცნიერების თეორია ცდილობს. ენის ათვისების პრობლემისადმი ცნობისწადილს კიდევ უფრო მეტად ის ფაქტი ზრდის, რომ ჩვენი ენის შესახებ იმაზე ვრცელი ინფორმაცია დაგვიგროვდა, ვიდრე ჩვენი ლინგვისტური გარემო იძლევა სათანადო მონაცემებია. თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ წინადადებები (19) და (20):

(19) Polonius is eager to please. — პოლონიუსი მონდომებულია, რომ ასიამოვნოს.

(20) Polonius is easy to please. — პოლონიუსისთვის ასიამოვნების მინიჭება ადვილია.

ზედაპირულად, ეს ორი ინგლისური წინადადება ძალზე მსგავსია, მხოლოდ ზედსართავებშია — *eager* (19) -ში და *easy* (20) -ში განსხვავება. თუმცა, თუ კარგად დაფიქრდება, ინგლისურად მოსაუბრე ადამიანი აღმოაჩენს, რომ მათ შორის სხვაობას მხოლოდ ზედსართავები არ ქმნის. წინადადებაში (19) ქვემდებარე პოლონიუსი ის არის, ვინც მზადაა ვილაცას ასიამოვნოს, მაშინ, როცა წინადადება (20) -ში თავად პოლონიუსის ასიამოვნებაზეა საუბარი, რომელსაც სხვა ასიამოვნებს. ინგლისურ ენაში (20) წინადადების პერიფრაზიც მოიძებნება: *It is easy to please Polonius*, მაშინ, როცა (19) -ს მსგავსი პერიფრაზი არ გააჩნია. * *It is eager to please John* — ინგლისურად გამართული ფორმა ვერ იქნება. ის, რაც ამ წინადადებებთან დაკავშირებით ინგლისურენოვანი ადამიანების ცოდნა გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ზედაპირულ თვალსაჩინო ფორმებში ჩანს.

სწორედ ასევე, წინადადებას (21) მასთან დაკავშირებული ორი მნიშვნელობა გააჩნია:

(21) Visiting witches can be dangerous.

ინგლისურად მოსაუბრემ იცის, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს წინადადება: ა) რომ ჩვენთვის ჯადოქრებთან სტუმრობა სახიფათოა, ან ბ) რომ ჯადოქრების სტუმრობა სახიფათოა. წინადადების ასეთი ორზნოვანობა მის ზედაპირულ ფორმაში არ ჩანს და მაინც, ეს ისეთი რამ არის, რაც ჩვენ ვიცით. ასევე ვიცით, რომ წინადადება (22) ინგლისურ ენაში გრამატიკულად გამართული კითხვაა, ხოლო წინადადება (23) — არა, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად ორივეს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

(22) What did Caesar drink necktar with?

(23) *What did Caesar drink nectar and?

სხვა მაგალითები იმისა, თუ რისგან შედგება ჩვენი ლინგვისტური ცოდნა, ზემოთ მოვიყვანეთ. საქმე ისაა, რომ ჩვენი ენის შესახებ ბევრად მეტი რამ ვიცით, ვიდრე ამას ჩვენი თვალი ხედავს, ან ჩვენს ყურს ესმის. მაშ საიდან ვიცით ამდენი რამ მშობლიური ენის წინადადების სტრუქტურისა და მნიშვნელობის შესახებ, როცა ის, რაც გვესმის, მხოლოდ და მხოლოდ ბგერების გარკვეული თანმიმდევრობაა? ენის ათვისების ამ სიმარტივის, სისწრაფისა და ერთგვაროვნების ახსნას სათანადო მონაცემების უკმარობის პირობებში ერთ პრობლემაზე მუშაობით ცდილობენ. ამ პრობლემას ენის ათვისების ლოგიკური პრობლემა ეწოდება და პირველად ამ ფორმით ნოამ ჩომსკიმ (1955 წელს) წამოაყენა.

ჩანართი 1.2

ენის ათვისების ლოგიკური პრობლემა (LPLA)

LPLA იმ ზოგადი საკითხის ერთი მცირე ნაწილია, რომელიც ადამიანის მიერ ცოდნის ათვისებასთანაა დაკავშირებული. ადამიანის მიერ დაგროვილ ცოდნას ბრიტანელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი ასე ახასიათებს:

„როგორ მოხდა, რომ ადამიანებმა, რომელთა ურთიერთობა გარესამყაროსთან ასე ხანმოკლე, პიროვნული და შეზღუდულია, ამის მიუხედავად მაინც იმხელა ცოდნის დაგროვება მოახერხეს, როგორც ჩვენ ვაგვაჩნია? ჩვენი წარმოდგენა ცოდნის შესახებ ნაწილობრივ ილუზორული ხომ არ არის? ხოლო თუ ასე არ არის, სხვაგვარად როგორ შეგვიძლია ამ ცოდნის მიღება თუ არა ჩვენი შეგრძნებები?“

რასელი უკანასკნელ ფრაზაში იმას გულისხმობს, რომ ჩვენი ცოდნის უმეტესი ნაწილი ნასწავლი არ გვაქვს, არც სამყაროსთან შეხების და შესაბამისი გამოცდილების, არც შეგრძნებების გზით გვეძლევა — ეს შინაგანი ცოდნაა, თანდაყოლილი და ბიოლოგიურად განსაზღვრული.

ენის ათვისების პროცესში ბავშვს მხოლოდ სასრული რაოდენობის გამოთქმები ესმის. ამის მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროთა განმავლობაში უსასრულოდ ბევრი წინადადების ხმარება და გაგება შეუძლია. ეს ენის გამოყენების შემოქმედებითი ასპექტია. ამგვარი „შემოქმედებითობა“ სრულებით არაა დაკავშირებული ლექსების თუ რომანების წერასთან — ეს უნარია, რომლის მეშვეობით ადამიანი უსასრულო რაოდენობის წინადადებებს ქმნის და იგებს, მათ შორის ისეთებს, რომლებიც ადრე არასდროს წარმოუთქვამს ან გაუგონია. ზუსტი ლინგვისტური მარაგი, რომელსაც ადამიანი ადრეული ასაკიდან მოიპოვებს, ყოველი ბავშვისთვის განსხვავებულია. შეუძლებელია ორი ისეთი ბავშვის პოვნა, რომელსაც ჩვილობიდან ერთნაირი გამოთქმები ესმის; და მაინც, ყოველი მათგანი საბოლოოდ ერთსა და იმავე გრამატიკას შეიმუშავებს. ბავშვის თავდაპირველი მარაგი შემთხვევითი რამაა იმ თვალსაზრისით, რომ მშობლები ან ადამიანები, რომლებთანაც ის დროის უმეტეს ნაწილს ატარებს საუბრისას გრამატიკის ამა თუ იმ საკითხის ილუსტრირებას არ ახდენენ. თუმცა, ამის მიუხედავად, ბავშვები ენის სისტემურ ცოდნას იმუშავებენ. ამგვარად, შეზღუდულობის და გარე სამყაროსგან მიღებული სანყის მარაგის თუ იმ ვითარების ნაირგვაროვნების მიუხედავად, რომელშიც იზრდებიან, ისინი მაინც ლინგვისტური ცოდნის მდიდარ და ერთიან სისტემას იმუშავებენ. შეძენილი ცოდნა თავდაპირველ მარაგზე გაცილებით მეტია. როგორ

ვიგებთ ჩვენს ენაზე იმდენს, რამდენიც ახლა ვიცით, თუ არა ჩვენი ლინგვისტური გარემოდან?

ენის ათვისების ლოგიკური პრობლემის საპასუხოდ არსებობს ვარაუდი, რომ ბევრი რამ იქიდან, რაც ჩვენი ენის შესახებ ვიცით, ადრეულ ასაკში კი არაა ნასწავლი, არამედ თანდაყოლილი უნარია, რომელიც ზემოთ ნახსენები უნივერსალური გრამატიკიდან (უგ) წარმოდგა. ზოგადად, უნივერსალური გრამატიკა ადამიანის სამეტყველო ენის ფორმასა და ფუნქციონირებას, შესაბამისად — ყველა ენისათვის საერთო პრინციპებს განსაზღვრავს. ამ თვალთახედვით, ბავშვის გონება ენას ასე ვთქვათ, *tabula rasa*-დ ანუ სუფთა ფურცლად არ განიხილავს, რომელიც მხოლოდ სამყაროსთან ურთიერთობის გამოცდილებით უნდა შეივსოს, არც მხოლოდ ისეთი გონებრივი შესაძლებლობები გააჩნია, როგორებიცაა ნაბაძვა, დახსომება, ანალოგია ან ზოგადი ინდუქცია. პირიქით, ენასთან შეხებისას ბავშვს გარკვეული „მოლოდინი“ გააჩნია მისი ლინგვისტური სტრუქტურისა და პრინციპების მიმართ, რომლებიც ენას მართავს და აყალიბებს. უნივერსალური გრამატიკა ბავშვს თავდაპირველი ცოდნის შეზღუდულობის დაძლევაში ეხმარება და მათ გრამატიკულ განვითარებას უწყობს ხელს.

ნეგატიური მონაცემების უქონლობის პრობლემა

გრამატიკულად გაუმართავი წინადადებები, ვთქვათ, ისეთი, როგორიც (23)-ია (ადრე მოტანილი წინადადება)

(23) What did Caesar drink nectar and?

ენის ათვისების განსაკუთრებით რთული ასპექტის ილუსტრირებას ახდენს. ეს ნეგატიური მონაცემების უქონლობის პრობლემაა. ელემენტი, რომლის მიმართაც წინადადება (23)-ში კითხვაა დასმული, კოორდინაციის ნაწილია, როგორც წინადადებაში Caesar drank nectar and wine. (კეისარი ნექტარს და ღვინოს სვამდა). აქ თითქოს კოორდინირების სტრუქტურის ან კითხვის დასმის გარკვეული შეზღუდვა არსებობს. ეს შეზღუდვა მხოლოდ ინგლისურს კი არა, ყველა ენას ახასიათებს. მაგრამ საკითხავია, როგორ შეითვისებს ბავშვი მსგავს შეზღუდვას, როცა შესაბამისი მონაცემი გრამატიკულად გაუმართავი წინადადებაა, რომელსაც ის ჩვეულებრივ მეტყველებაში ვერასდროს გაიგონებს. ვარსკვლავით აღნიშვნა, რა თქმა უნდა, მოსახერხებელი ლინგვისტური ნიშანია, მაგრამ ბავშვს ხომ თავდაპირველ ცოდნად ვერ დაჰყვება. ზოგადად, იმგვარ ნეგატიურ მონაცემზე, ანუ უშუალო ინფორმაციაზე, რომ რომელიმე წინადადება გრამატიკულად გაუმართავია, ბავშვებს ხელი არ მიუწვდებათ. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ბავშვის თავდაპირველ ცოდნაში არასაკმარისადაა წარმოდგენილი.

ამგვარად, ბავშვი ენას სწრაფად და ეფექტურად, ანუ მხოლოდ მცირედი შეცდომებით ითვისარებს. ეს ხდება სტიმულის სიმწირის (მაგალითად, ნეგატიური მონაცემების ნაკლებობის) მიუხედავად, რადგან ენის ძირითადი ფორმა, ადამიანის ბიოლოგიური თავისებურების გამო მას დაბადებიდან თან დაჰყვება. ენის ათვისების შესახებ გავრცელებული შეხედულებით, ბავშვი ენას „უცებ“ სწავლობს. ეს აზრი თითქოს სიმართლესთან ახლოს არის, მაგრამ ალბათ უფრო მართებული იქნება, თუ ენის ათვისებას „ზრდას“ შევადარებთ და არა სწავლას. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ პროცესს სწავლის ელემენტები აკლია. ბავშვმა, რა თქმა უნდა, შესასწავლი ენის ლექსიკონი და

ამ ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებები უნდა ისწავლოს. როგორც ამ წიგნის გვერდებიდან შეიტყობთ, სხვადასხვა ენებს, როგორებიცაა მაგ., ინგლისური, ფრანგული, იაპონური, სუაჰილი, ბევრი საერთო ნიშან-თვისება აერთიანებს — ისინი ხომ საზიარო, უნივერსალური გრამატიკიდან არიან წარმომდგარი, მაგრამ თან ბევრი თვალსაზრისით განსხვავდებიან. სწორედ ეს განსხვავებები უნდა შეისწავლოს ბავშვმა გამოცდილების შედეგად. უნივერსალური გრამატიკის წარმოდგენა, ალბათ, ერთ დიდ შაბლონად უფრო უპრიანი იქნება, რომელსაც აქა-იქ ლიოებები აქვს და ისინი სხვადასხვა ენასთან დაკავშირებული გამოცდილებით უნდა შეივსოს.

ლინგვისტიკის თეორიასა და ენის ათვისებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მაგრამ ცალკეული ენების სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე ლინგვისტიკა ცდილობს დაადგინოს, ჩვენი ლინგვისტური ცოდნის რომელი ასპექტებია უნივერსალური და მასადამე, როგორც უნივერსალური გრამატიკის ნაწილი, ბავშვისთვის ხელმისაწვდომი და რომელი ასპექტებია მხოლოდ ცალკეული ენებისთვის დამახასიათებელი. ამგვარად, ცალკეული გრამატიკების შესწავლა ენის განვითარების შესახებ მნიშვნელოვან ცოდნას გვმატებს. ამასთან, ბავშვებში ენობრივი განვითარების თავსებურებების დადგენა ადამიანის სამეტყველო ენის ორგანიზებაზე უკეთეს წარმოდგენას გვიქმნის. განვითარების იმ საფეხურებს, რომელთაც ბავშვი ზრდასრულობისთვის დამახასიათებელ ლინგვისტურ კომპეტენციამდე გადის, 6, 10 და 15 თავებში უფრო დანვრისლებით განვიხილავთ.

1.6. როგორ ხდება ენის შესახებ არსებული ცოდნის გამოყენება? ლინგვისტური შესრულება

თუ გრამატიკა ლინგვისტური კომპეტენციის აზრობრივი გამოხატულებაა, მაშინ იმგვარი ცოდნისგან რით განსხვავდება, რომლის გამოყენებითაც ვმეტყველებთ ან ნათქვამს ვიგებთ? განსხვავება ჩვენს გონებაში არსებული ცოდნის გამოხატულებასა და ამ ცოდნის გამოყენებას შორის მხოლოდ ენისთვის როდია დამახასიათებელი. მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას, ადამიანს იგი, ვთქვათ, „მთვარის სონატა“ შეიძლება „ზეპირად დასწავლილი“ აქვს და ზოგჯერ უნაკლოდ ასრულებს მას. მაგრამ შეიძლება ნაწარმოები ხანდახან სწორად ვერ შეასრულოს, შეცდომები დაუშვას, გარკვეული პასაჟებიც კი დაავიწყდეს. ის ფაქტი, რომ მომდევნო შესრულებისას ვცდილობთ შეცდომები აღარ დაუშვათ, იმას მონშობს, რომ ცოდნა გვექონდა, მაგრამ ნაწარმოების შესრულებისას მისი გამომჟღავნება სრულად ვერ მოვახერხეთ. ანუ სონატა ვიცოდით, მაგრამ ჩვენი შესრულებით ეს ვერ დავადასტურეთ.

იმავეს თქმა ენაზეც შეიძლება. იმის მიუხედავად, რომ პრინციპში უსასრულო რაოდენობის წინადადებების შეთხზვა და გაგება შეგვიძლია, ამკარაა, რომ სინამდვილეში ამის გაკეთება არცერთ მოკვდავს არ ძალუძს. (23) წინადადების, ან მისი მსგავსი ფრაზის გაგონებისას ვხვდებით, რომ გარკვეული სახის გაუმართაობასთან გვაქვს საქმე, რომ იგი გრამატიკულად არასწორია. ამას ჩვენი ლინგვისტური კომპეტენცია გვაფიქრებინებს, თუმცა, შეიძლება დაზუსტებით ვერ ვთქვათ, ჩვენი გრამატიკის რომელი ნაწილის წესი არის დარღვეული, რითაც ცხადი ხდება, რომ ჩვენივე ცოდნა არაცნობიერია.

განსხვავება ლინგვისტურ ცოდნასა (კომპეტენციას) და ლინგვისტურ შესრულებას შორის შეიძლება გამომჟღავნდეს, მაგალითად, წარმოთქმაში დაშვებული შეცდომით.

როცა პატივცემული სპუნერი (მისთვის დამახასიათებელმა შეცდომებმა ტერმინ „სპუნერიზმსაც“ კი დაუდო სათავე) დედოფალ ვიქტორიაზე საუბრობდა, მან წარმოთქვა *that queer old dean*, (უცნაური მოხუცი დეკანი, თუმცა ეს სიტყვა-სიტყვითი თარგმანია, ვინაიდან სიტყვა *old* ინგლისურში ხანდახან ასაკის კი არა, სიმპათიის გამოსახატად იხმარება) თუმცა სულ სხვა ფრაზა — *that dear old queen* (ძვირფასი მოხუცი დედოფალი — აქაც იგივე შენიშვნა გავითვალისწინოთ) უნდა წარმოეთქვა. სპუნერმა იცოდა, რომ დედოფალი არც უცნაური იყო და არც დეკანი. შეცდომა ყველას მოსდის. ხშირად ამას თავადვე ვამჩნევთ და ნათქვამს ვასწორებთ. ამით ვადასტურებთ, რომ შესაბამისი ცოდნა გვაქვს და რომ სიტყვის, წინადადებისა თუ ფრაზის სწორი ფორმა ვიცით.

ხარვეზები ჩვენს მებსიერებასაც გააჩნია: ხანდახან გრძელი წინადადების დასაწყისი გვაწინყდება და ისეთი შეცდომა მოგვდის, როგორც (24) წინადადებაშია ნაჩვენები — მრავლობითი რიცხვის ნაცვლად (ისინი, მათ) მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელს (იგი, მან) წარმოვთქვამთ.

(24) მაკბეტმა და ბანქომ, მეფის ორმა გენერალმა, ცხენები იმ ციხე-სიმაგრისკენ გააჭენეს, რომელიც მან შორიდან შენიშნა.

ურთიერკავშირი გრამატიკასა და ლინგვისტურ შესრულებას შორის რთული და კომპლექსურია და ფსიქოლინგვისტიკური კვლევის უმთავრეს საგანს წარმოადგენს. ჩვენი წიგნის მიზანი იმდენად ლინგვისტური შესრულების განხილვა არაა, რამდენადაც იმ აზრობრივი სისტემის, რომელიც მეტყველებასა და მეტყველების აღქმასთან, გაგებასთანა დაკავშირებული. თუმცა, კომპეტენციასა და პერფორმანსს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებით, როგორ შეუძლიათ მეცნიერებს კომპეტენციის, აზრობრივი გრამატიკის არსის კვლევა?

1.7. ლინგვისტიკის „ქმნა“

არსებობს მეთოდები, რომელთაც ენათმეცნიერები ლინგვისტიკის „საქმნელად“, ენების ანალიზისთვის, გრამატიკების აგებისა და გრამატიკის თეორიის შესაქმნელად იყენებენ.

ლინგვისტები ერთნაირად იყენებენ როგორც **ნატურალისტურ**, ისე **ექსპერიმენტულ** მონაცემებს. ნატურალისტური მონაცემები აქტუალური მეტყველებისგან შედგება, დანერილობითი იქნება იგი, თუ სხვა რაიმე გზით მიღებული, მაგ., ფირზე ჩანერილი და ხშირად პოზიტიური მონაცემების მოპოვების სასარგებლო წყაროა. ეს მონაცემები ხშირად იმას მოწმობს, რომ გარკვეული ყაიდის წინადადება (ალბათ) გრამატიკულად გამართულია.

მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ ფირზე ჩანერილი საუბრის მოსმენისას ან ჩანერილი ტექსტის შესწავლისას აღმოაჩინეს, რომ ნაცვალსახელები *him* და *her* (მას — მამრ. და მდედრ. სქესი) ყოველთვის სხვა პირს განეკუთვნება და არა სუბიექტს. ვთქვათ, ასეთ წინადადებებში:

(25) *Othello hates him.* — ოტელოს სძულს იგი.

(26) *Titania loved her.* — ტიტანიას უყვარდა იგი.

მაშინ, როცა ისეთ წინადადებებში, როგორებიცაა (27) და (28):

(27) Othello hates himself. — ოტელოს თავი სძულს.

(28) Titania loved herself. — ტიტანიას თავი უყვარდა.

ნაცვალსახელები *himself*, *herself* ყოველთვის სუბიექტს განეკუთვნება. ადამიანს შეუძლია დაასკვნას, ამ ნაცვალსახელების რომელი ფორმებია გრამატიკულად მართებული ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგრამ ამასთან კომპეტენციასა და შესრულებას შორის არსებულ განსხვავებასთან დაკავშირებული ზემოთ მოცემული გაფრთხილებაც მხედველობაში უნდა მივიღოთ (ეს ეხება განსაკუთრებით, ერთი მხრივ, აზრობრივი გრამატიკიდან წარმომდგარ წინადადებებსა და მეორე მხრივ, ა) ისეთ გამოთქმებს, რომელთაც მოცემულ ენაზე მოსაუბრეები ხშირად წარმოთქვამენ და არსებითად სპუნერის შეცდომების მსგავს „ენაბრგვილობებს“ წარმოადგენს, ასევე ბ) წინადადების დასაწყისის დავინწყებით გამოწვეულ შეცდომებს, გ) პაუზის შესავსებად წარმოთქმულ ბგერებს შორის და ა.შ).

ამას გარდა, ნატურალისტური მონაცემები ნეგატიური მოწმობის სანდო წყაროდ ვერ ჩაითვლება, ანუ იმის დასაბუთებად არ გამოდგება, რომ რომელიმე ცალკეული წინადადება გრამატიკულად გაუმართავია. სწორია თუ არა წინადადება, ამას მხოლოდ იმის საფუძველზე ვერ დავასკვნით, რომ მანამდე ეს წინადადება არასდროს გვსმენია. როგორც ზემოთ ითქვა, ადამიანის ბუნებრივ სამეტყველო ენაში გრამატიკულად გამართული წინადადებების შესაძლო რაოდენობა უსასრულოა, მაგრამ ადამიანები თავიანთ სიცოცხლეში მხოლოდ სასრული რაოდენობის წინადადებებს წარმოთქვამენ. ამის გამო, გრამატიკულად გამართული ბევრი წინადადება არასდროს წარმოთქმულა (ლინგვისტს კი გაცილებით ნაკლები ასეთი წინადადების დაკვირვების საშუალება ეძლევა). საიმისო ნეგატიური მოწმობის მოსაგროვებლად, რომ წინადადება გრამატიკულად გაუმართავია, ლინგვისტები, როგორც წესი, ექსპერიმენტების მონაცემებს ეყრდნობიან, რათა განისაზღვროს, აცნობიერებენ თუ არა ამას მოცემულ ენაზე მოსაუბრეები, ინტუიტიურად გრძნობენ, რომ ეს ფორმა ბუნებრივია თუ მხოლოდ მისაღება.

ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტის დროს, მოცემულ ენაზე მოსაუბრეებს წინადადებებს აკითხებენ ან ასმენინებენ. მათ პასუხი უნდა გასცენ კითხვას, მისაღებად ჟღერს იგი თუ სრულიად გამართულად. მსგავს ექსპერიმენტებს მორფოლოგიაშიც ატარებენ: მოცემულ ენაზე მოსაუბრეებს სთხოვენ, მისაღებად ჩათვალონ ან უარყონ მორფემების ესა თუ ის შერწყმა. ასევე ფონოლოგიაშიც: ადამიანებს სთხოვენ, მათი მშობლიური ენის ბგერათა ბმები შეაფასონ: შეიძლება თუ არა ამა თუ იმ თანწყობამ მისი ენის შესაძლო სიტყვა შეადგინოს. ფონეტიკურ ლაბორატორიებში სამეტყველო ბგერების — მათი წარმოშობის, აღქმის, მათი აკუსტიკური მახასიათებლების კვლევა წარმოებს, რომელშიც არაერთი სახის კომპიუტერულ და სხვა ტექნოლოგიებს იყენებენ.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ცნებები მისაღები და **გრამატიკულად გამართული** მთლად ტოლფასი არაა, ვინაიდან, გრამატიკულის გარდა კიდევ სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავენ მისაღება თუ არა რომელიმე ფორმა. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება მშობლიურ ენაზე მოსმენილი ან ნაკითხული ესა თუ ის ფრაზა მიუღებლად მიიჩნიოს, თუკი მისი რომელიმე სიტყვა ბუნდოვანი ან შეურაცხმყოფელი მოეჩვენება ან თუ წინადადება მეტისმეტად გრძელია და ადამიანს ავიწყდება, როგორ იწყება იგი და ბოლოს, თუკი წინადადების მნიშვნელობა იმდენად ბუნდოვანია, რომ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში მოსაუბრის მოსაზრებები იმის თაობაზე,

მისაღებია თუ არა წინადადება, მისი გრამატიკული გამართულობის სრულ ინდიკატორად არ გამოდგება. რაკი წინადადების გრამატიკული გაუმართაობის თუ პირიქით, გამართულობის დასადგენად სხვა პირდაპირი საშუალება არ არსებობს, ლინგვისტები, ამ შეზღუდვების მიუხედავად, როგორც წესი, იმ მოსაუბრეების ინტუიციას ეყრდნობიან, ვისთვისაც მოცემული ენა მშობლიურია.

ზემოთ მოყვანილ ან მათ მსგავს შემთხვევებში გამოტანილი დასკვნების გასამართლებლად ჩვენ ვვარაუდობთ, რომ არაცნობიერ აზრობრივ გრამატიკაში სინტაქსური წესების გარკვეული ფორმა არსებობს.

ჰიპოთეზები ზოგიერთი წესის შესახებ, შესაძლოა, მცდარიც აღმოჩნდეს. თუ ეს შემდგომი კვლევის შედეგად დადასტურდება, მაშინ ისეთი ახალი ჰიპოთეზების ფორმულირება უნდა მოხდეს (სხვა სინტაქსური წესების არსებობის შესახებ), რომლებიც ნატურალურ თუ ექსპერიმენტულ სიტუაციებში მოსაუბრის ლინგვისტურ ქცევას ახსნიდა.

საექსპერიმენტო მონაცემების, გრამატიკული გამართულობა-გაუმართაობის და მისაღებობის შესახებ ჩვენ შემდგომ, 3 თავშიც ვიმსჯელებთ. ჩვენი წიგნის გვერდებზე ლინგვისტების იმ მეთოდებზე გვექნება საუბარი, რომელთა მეშვეობით ისინი ლინგვისტიკას „ქმნიან“. თქვენ კი მომდევნო თავებში საშუალება მოგეცემათ, რომ მოწოდებული მასალა თავად გააანალიზოთ.

1.8. შეჯამება

ლინგვისტიკა ის მეცნიერებაა, რომელიც ადამიანის ენას შეისწავლის. ლინგვისტიკას ბევრი განშტოება აქვს. ეს სახელმძღვანელო უმთავრესად ენათმეცნიერების თანამედროვე თეორიას ანუ თეორიულ ლინგვისტიკას შეეხება, რომლის მიზანი ადამიანის ყველა სამეტყველო ენის ბუნების და სტრუქტურის კვლევაა. ადამიანის ენის მიმართ ინტერესი უხსოვარი დროიდან არსებობდა. 1957 წელს ჩომსკის „სინტაქსური სტრუქტურების“ გამოქვეყნებამ გენერატიული ლინგვისტიკის ხანას მისცა დასაბამი, რომელიც მიზნად ისახავს, პასუხი გასცეს სამ ძირითად კითხვას: რისგან შედგება ჩვენი ცოდნა ენის შესახებ (ლინგვისტური **კომპეტენცია**), როგორ ხდება ამ ცოდნის შექმნა, და როგორ ხდება ამ ცოდნის გამოყენება ლინგვისტურ შესრულებაში? საკუთარი ენის ცოდნა ადამიანის გონებაში აზრობრივი **გრამატიკის** სახითაა წარმოდგენილი, რომელშიც იგულისხმება ყველაფერი, რაც მან ამ ენის შესახებ იცის: **ლექსიკონი** (ანუ სიტყვები), **მორფოლოგია** (ამ სიტყვების სტრუქტურა), სინტაქსი (ფრაზების და წინადადებების სტრუქტურა), **სემანტიკა** (ლინგვისტური სტრუქტურების მნიშვნელობები) **ფონეტიკა** და **ფონოლოგია** (ამ ენის ბგერები და ბგერითი მოდელები). ამგვარად, ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრის გრამატიკა ლინგვისტური კომპეტენციის აზრობრივი გამოხატულებაა. ცალკეული ენების გრამატიკებს, რომლებიც ენათმეცნიერთა მიერაა დაწერილი და აზრობრივი გრამატიკის ანარეკლს წარმოადგენს, **აღწერილი გრამატიკები** ეწოდება. აღწერილი გრამატიკა ხშირად საფუძვლად ედება სასწავლო ანუ **პედაგოგიურ გრამატიკას**. ამ გრამატიკას ისინი იყენებენ, ვისაც მეორე (ან მესამე მეოთხე და ა.შ) ენის შესწავლა აქვს გადაწყვეტილი. არც აღწერილი, და არც აზრობრივი გრამატიკის მიზანი არაა ის, რომ განსაზღვროს რა უნდა თქვას მოსაუბრემ; ესენი მოსაუბრის ცოდნას ასახავენ საკუთარი ენის შესახებ.

ბავშვები საკუთარი ენის კომპლექსურ გრამატიკას სწრაფად, გასაოცარი სიიო-

ლით, უმასწავლებლოდ და ჩაურევლად ითვისებენ. ის, თუ როგორ აკეთებენ ამას, ბავშვის მიერ ენის ათვისების ლოგიკურ პრობლემას წარმოადგენს. ამის ახსნა და გაგება ადვილი არ არის, რადგან ბავშვები სასრულ და მწირ ინფორმაციას იღებენ, ნეგატიური მოწმობის გარეშე (რომელიც იმის გაგებას გაუადვილებდათ, ბგერების როგორი ბმავა არასწორი). ამის მიუხედავად, ისინი დაუსრულებელი ოდენობის წინადადებების წარმოქმნისა და გაგებისათვის წესებს მაინც შეიმუშავენ და მათი მეშვეობით მართებულ **(გრამატიკულად სწორ)** და უმართებულო **(არაგრამატიკულ)** ფორმებს ერთმანეთისგან ასხვავებენ. ამ ფაქტს იმ ვარაუდამდე მივყავართ, რომ ადამიანი თანდაყოლილი ენობრივი უნარითაა დაჯილდოვებული. ეს უნარი **უნივერსალური გრამატიკაა** (UG).

როცა ენის ბუნების გაგებას ვცდილობთ, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ლინგვისტური **კომპეტენცია** (ლინგვისტური ცოდნის გამოხატულება) და ლინგვისტური შესრულება (ამ ცოდნის გამოყენება **მეტყველების პროცესირების** — საუბრის და ნათქვამის გაგების დროს). შესრულებაში ჩვენი ცოდნა ენის შესახებ არალინგვისტურ ცოდნასთან ურთიერთქმედებს და ბევრ ფაქტორზე ახდენს გავლენას, მათ შორის ხანმოკლე მეხსიერებაზე, სხვა ფსიქოლოგიურ პროცესებზე და ამ ყველაფერთან ერთად პრაგმატულ ცოდნაზეც.

ლინგვისტები **ნატურალისტურ** მონაცემებსაც იყენებენ — აქტუალურ მეტყველებას, საუბრებს, სხვადასხვა გზით ჩანერილ ტექსტებს — და **საექსპერიმენტო** მონაცემებსაც. მომდევნო თავებში თვალსაჩინოდ იქნება წარმოჩენილი ის მეთოდები, რომელთაც ლინგვისტები ენის თეორიის შექმნისას და მსოფლიოს სხვადასხვა ენების აღწერისას იყენებენ.

საკითხავი ლიტერატურა

Chomsky, Noam. 1957. *Syntactic Structures*. The Hague. Mouton.

_____. 1968. *Language and Mind*. New York: Harcourt Brace Jovanovich. Extended edition, 1972.

_____. 1986. *Knowledge of Language: Its Nature, Origin and Use*. New York: Praeger.

Fromkin, Victoria A. and Robert Rodman, 1998.

An Introduction to Language. Fort Worth, TX: Harcourt Brace.

Klima, Edward S. and Ursula Bellugi. 1979. *The Signs of Language*. Cambridge, MA: Harvard University Press.

Newmeyer, Frederick J. 1983. *Grammatical Theory: Its Limits and Its Possibilities*. Chicago and London: University of Chicago Press.

Pinker, Steven. 1994. *The Language Instinct: How the Mind Creates Languages*. New York: William Morrow and Co.

ნაწილი II

მორფოლოგია და
სინტაქსი

მორფოლოგია:

სიტყვების სტრუქტურა

თავის სარჩევი

2.0. შესავალი

2.1. სიტყვების სტრუქტურა

2.2. სიტყვა და მორფემათა კლასები

- 2.2.1 სიტყვათა კლასები
- 2.2.2 სიტყვათა გავრცელება
- 2.2.3 ფლექსიური მორფოლოგია
- 2.2.4 დერივაციული მორფოლოგია
- 2.2.5 ღია და დახურული კლასები

2.3 მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზი

- 2.3.1 რთული ზმნები სუაჰილიში
- 2.3.2 რთული ზმნები ტოლკაპაია

იავაპაიში

- 2.3.3 სიტყვათა სტრუქტურის

ანალიზი

- 2.3.4 მორფემათა თანმიმდევრობა

2.4 ვარიაცია მორფოლოგიაში

- 2.4.1 ვარიაციის ტიპების ანალიზი
- 2.4.2 განპირობებული ვარიაცია
- 2.4.3 თავისუფალი ვარიაცია
- 2.4.4 პორტმანტო მორფოლოგია და ფუძემონაცვლეობა

2.5 სიტყვათა იერარქიული სტრუქტურა

- 2.5.1 იერარქია მორფოლოგიურ

სტრუქტურაში

- 2.5.2 ხისებრი დიაგრამები

- 2.5.3 მარკირებების წარმოდგენა

კვადრატულ ფრჩხილებში

2.6 პრეფიქსების და სუფიქსების მიღმა

- 2.6.1 ინფიქსაცია
- 2.6.2 რთული სიტყვების ანუ კომპოზიტების შედგენა
- 2.6.3 გაორმაგება
- 2.6.4 აბლაუტი

2.7 სათავო სიტყვები და იერარქია

2.8 სიტყვების სტატუსი

- 2.8.1 სიტყვათა ზღვრები და კლიტიკა
- 2.8.2 ლექსიკონი

2.9 მორფოლოგიური ანალიზის პრობლემა

- 2.9.1 ნულოვანი მორფემები და უნიშნო ფორმები
- 2.9.2 განწყვეტილი მორფემები

2.10 მორფოლოგია და ტიპოლოგია

2.11 შეჯამება

შემდგომ საკითხავი ნახსენები ენების შესახებ სავარჯიშოები

2.0. შესავალი

მორფოლოგია სიტყვებს და მათ სტრუქტურას სწავლობს. რა არის სიტყვა? სიტყვები მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულებია, რომელთა შეჯგუფებით შეიძლება ფრაზები და წინადადებები წარმოდგეს. როცა ადამიანს საკუთარ ენაზე წარმოთქმული სიტყვა ესმის, შესაბამის მნიშვნელობასთან მყისიერი ასოციაცია უჩნდება.

2.1 სიტყვების სტრუქტურა

განვიხილოთ ინგლისური ენის ასეთი წინადადება:

- (1) The friends promised to inquire carefully about a schoolmaster for the fair Bianca.

(1) მეგობრები შეპირდნენ (ობიექტი დაუზუსტებელია), რომ მზეთუნახავ (ან მშვენიერი) ბიანკასთვის დაწვრილებით ცნობებს შეაგროვებდნენ სკოლის მასწავლებლის (ან სკოლის დირექტორის) შესახებ.

ამ ინგლისური წინადადების ცამეტივე სიტყვიდან თითოეული (თორმეტი განსხვავებული, ხოლო *the* არტიკლი ერთგან მეორდება) შეიძლება სხვადასხვა კონტექსტში იქნეს ნახმარი (უსასრულო რაოდენობის წინადადებაში), ან შეიძლება ცალკე გამოითქვას. (ზოგიერთ ენაში, მათ შორის, ინგლისურშიც, არსებობს ტიპოგრაფიული პირობითობა — სიტყვებს შორის სივრცის დაცვა აუცილებელია. მაგრამ დამორებების შემთხვევით ერთმანეთისგან სიტყვების გამოყოფაც გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება. მაგალითად, ზოგიერთი სიტყვა ინგლისურ ენაში შედგენილი სიტყვა — კომპოზიტია, რომელიც ერთზე მეტი სიტყვისგან შედგება, ხოლო ეს სიტყვები სიტყვის შიგნით შეიძლება ერთმანეთისგან დეფისით გამოიყოს, როგორც, მაგალითად, სიტყვაში *jack-in-the-box* (ერთგვარი სათამაშო) ან სივრცით, როგორც მაგალითად, *looking glass* (სარკე), ან სულაც არ იყოს გამოყოფილი, როგორც სიტყვაში *girlfriend* (შეყვარებული). დამწერლობის უქონელი ხალხების წარმომადგენელიც კი გუმანით გრძნობს, ბგერების როგორმა თანმიმდევრობამ შეიძლება შეადგინოს სიტყვა მის ენაში, და როგორმა — არა.

სიტყვები მნიშვნელობის მქონე უმცირესი ერთეულები როდია. სიტყვა შეიძლება მარტივი შედგენილობისა იყოს და რთულისა. სიტყვა *promised* ორი ნაწილისგან შედგება, ესენია: *promise* და *-ed*; სიტყვა *friends* ასე იყოფა *friend* და *-s*; ხოლო *carefully* ასე შეიძლება დაეყოთ: *careful* (რომელიც თავის მხრივ *care* და *-ful*) და *-ly*. სიტყვა *schoolmaster* ორი სიტყვისგან შედგება: *school* და *master*. კომპოზიტის შემადგენელ ყველა ნაწილს, რომელთა დაყოფა უფრო მცირე ერთეულებად შეუძლებელია, მორფემა ეწოდება. შეგვიძლია ზემოთ მოყვანილი წინადადება ხელახლა გადმოვწეროთ, ოღონდ ახლა სიტყვის შემადგენელ მორფემებს შორის ზღვრების გამოსაკვეთად დეფისი გამოვიყენოთ (არტიკლი *a* და ზმნა *is* ხშირად დეფისის მაგივრობას სწევს და მორფემებს შორის ზღვრებს ბუნებრივად გამოჰყოფს):

- (2) The friend-s promis-ed to inquire care-ful-ly about a school-master for the fair Bianca.

ამგვარად, წინადადება თვრამეტი მორფემისგან შედგება, რომელთაგან არტიკლი ტყე ორჯერ გვხვდება, ანუ მთლიანობაში ჩვიდმეტი მორფემა გვაქვს. (ამ სიტყვების მეტად დაყოფაც კი შესაძლებელია. ზოგი მეცნიერი შეგვეკამათება, რომ სიტყვა *promise* ასე იყოფა: *pro-mise*, ხოლო *inquire* — *in-quire*, *about* კი *a-bout*.)

განსხვავებაა მორფემების ორ ჯგუფს შორის: *Bianca*, *promise*, *friend*, *inquire*, *fair*, *about* და, მეორე მხრივ, *-ly*, *-ful*, *-ed*, *-s*. მორფემების პირველ ჯგუფში მხოლოდ სიტყვებია და ისინი დამოუკიდებელ სიტყვებადაც შეიძლება არსებობდეს, მეორე ჯგუფის მორფემები კი — არა. ისეთი მორფემები, როგორებიცაა *-ly* და *-s* აუცილებლად სხვა მორფემებს უნდა შეერწყას. ესენი დამოკიდებული მორფემებია, ხოლო *Bianca* და

friend — თავისუფალი მორფემები.

სიტყვები *Bianka, promise, friend, fair* ლექსიკური მორფემებია და იმ კატეგორიის სიტყვებს განეკუთვნება, როგორებიცაა არსებითი სახელები (*friend* -მეგობარი), ზმნეები (*promise*- შეპირება) და ზედსართავები (*fair* — აქ: მშვენიერი). ისეთი სახელები, როგორცაა იანცა, არსებითი სახელების განსაკუთრებულ კლასს შეადგენს. ლექსიკური მორფემები საგნებს, ქმედებებს, თვისებებს და ცნებებს მოიცავს. ისინი შეიძლება აღინეროს სიტყვებით, მათი გათვალსაზრისება შესაძლებელია სურათებით. *-ed, -ly, -s* გრამატიკული მორფემებია, რომელთაც მოსაუბრე სიტყვასა და მის კონტექსტს შორის კავშირის გამოსახატად იყენებს. მაგალითად, წარსული დროის გამომხატველი ელემენტი *-ed* სიტყვაში *promised* გვიჩვენებს, რომ შეპირება წინადადების წარმოთქმამდე გარკვეული ხნით ადრე მოხდა, ხოლო მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ელემენტი *-s* სიტყვაში *friends* იმაზე მიგვითითებს, რომ ერთზე მეტ მეგობარზეა საუბარი. ყველა ის ლექსიკური და გრამატიკული მორფემა, რომელიც მოსაუბრემ იცის, ლექსიკონს შეადგენს. მისი მეშვეობით მოსაუბრე წინადადებებს ქმნის და ამ წესებს ზოგად სისტემას უთანადებს.

შემდეგი ინგლისური წინადადებები და ფრაზები მათი დანაწევრებით გააანალიზეთ — ყველა იმ მორფემას შორის, რომელთაც ამოიცნობთ, დეფიზები ჩასვით. მიუთითეთ, თავისუფალია ესა თუ ის მორფემა, თუ შეზღუდული (დამოკიდებული), ლექსიკური თუ გრამატიკული. ყოველი დამოკიდებული მორფემის ამოცნობისას დაასახელეთ სხვა სიტყვა, რომელიც იმავე დამოკიდებულ მორფემას შეიცავს. ზოგიერთი სიტყვის მორფემებად დაყოფა გაგიჭირდებათ — იმსჯელეთ ყოველ პრობლემაზე, რომელთაც ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტით. მაგალითად, სიტყვა *day* (დღე) უდავოდ დამოუკიდებელი სიტყვაა (მორფემა); მაგრამ *yester* სიტყვიდან *yesterday* მორფემად უნდა ჩაითვალოს? თუ ასეა, მაშინ როგორია მისი მნიშვნელობა? სწორედ ასევე, რამდენი მორფემაა წარსული დროის ზმნაში *told*?

1. *Yesterday Ophelia picked wildflowers in the churchyard.*
2. *He told me that Desdemona had married a Moor.*
3. *Aren't you going to show me your newest quiver?*
4. *Portia argued her case long and well.*
5. *My horse! My horse! My kingdom for a horse!* (Richard III, V, IV, 7)
6. *All the perfumes of Arabia will not sweeten this little hand.* (მაკბეტი, V, 1,56)
7. *I'll put a gridle round about the earth in forty minutes.*
(„ზაფხულის ღამის სიზმარი“, II, I, 163).
8. *Merrily, merrily shall I live now, under the blossom that hangs on the bough.* („ქარიშხალი“, V, I, 88).

თუმცა, ყველა ლექსიკური მორფემა არაა თავისუფალი და არც ყველა გრამატიკული მორფემაა დამოკიდებული. მაგალითად, ისეთი გრამატიკული მორფემები, როგორებიც *the* და *a* განმსაზღვრელებია ანუ არტიკლებია, დამოუკიდებელ სიტყვებს წარმოადგენენ. (არტიკლი ტრადიციული გრამატიკის ტერმინია და ინგლისური ენის ისეთ სიტყვებს შეესატყვისება, როგორებიც განუსაზღვრელი *a* და *an*, და განსაზღვრული — *the* არტიკლებია. ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიაში ამ სიტყვებს განმსაზღვრელებად განიხილავენ. სიტყვათა ეს კლასი ისეთ ნაცვალსახელებსაც შეიცავს,

როგორებიც *this, that* ნაცვალსახელება.) *To, about, for* თანდებულება. ამ სიტყვებს უფრო ხშირად გრამატიკულ მორფემებად ველიან, ვიდრე ლექსიკურ მორფემებად — ნაწილობრივ, იმის გამო, რომ ასეთი სიტყვები რაოდენობრივად ბევრი არ არის (ისინი დახურულ კლასს განეკუთვნება), ნაწილობრივ, კი იმ მიზეზით, რომ ცნებების შეზღუდულ ოდენობას გამოხატავენ. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები *school* და *master* კომპოზიტის *-schoolmaster* შესაქმნელად ერთმანეთთანაა შერწყმული, ორივე თავისუფალი მორფემაა, ვინაიდან ისინი დამოუკიდებელი სიტყვებიცაა.

ჩვენ ინგლისური ენის სიტყვების რამდენიმე ტიპი განვიხილეთ, არაფლექსიური ფუძის ფორმები, რომელთაც გრამატიკული მორფემები არ ჰქონდა დამატებული (ისეთები, როგორებიცაა *Bianca, fair, promise, schoolmaster, inquire*) და ინფლექსიური სიტყვები (ფუძისეული ფორმები ზედ დამატებული გრამატიკული მორფემებით: *promised, friends*) *Carefully* წარმოებული სიტყვაა, რომელშიც ერთი ფუძისეული ფორმა მეორიდანაა წარმოქმნილი: ზმნიზედა *carefully* ზედსართავ სახელზე *careful* მორფემის *-ly* დამატებით მიიღება, მაშინ, როცა *careful* თავის მხრივ არსებით სახელზე *care* მორფემის *-ful* დამატებითაა წარმოქმნილი. ისეთ მორფემებს, როგორებიცაა *-ly* და *-ful* დერივაციული მორფემები ეწოდებათ. (დერივაციული მორფოლოგია ქვემოთ იქნება განხილული.).

სიტყვებს, რომლებიც ერთზე მეტი მორფემისგან შედგება, მაგალითად, *schoolmaster friends, promised, carefully, schoolmaster* რთული სიტყვები ეწოდება. ამის საპირისპიროდ, არართული სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ერთი მორფემისგან შედგება, მარტივ სიტყვებად იწოდება, მაშინაც კი, თუ სიტყვა ისეთი გრძელია, როგორც ვთქვათ, *Massachusetts, Bianca, perestroika, ან kangaroo*. ის მარტივი სიტყვები, რომლებიც რამდენიმე მარცვლისგან შედგება, ხშირად ან საკუთარი სახელებაა, ან სხვა ენებიდან ნასესხობები. ასეთი სიტყვა შეიძლება რთულიც იყოს (ანუ რამდენიმე მორფემად იყოფოდეს) — ოღონდ იმ თავდაპირველ ენაში, რომლიდანაცაა ნასესხები, მაგრამ მისი სტრუქტურა ინგლისური ენის მორფოლოგიას არ შეესაბამებოდეს, ვინაიდან ინგლისურენოვანი მოსაუბრე არ იცნობს უცხო ენის მორფემებს, (დავაზუსტოთ: მხოლოდ იმ მორფემებს იცნობს, რომლებიც ინგლისურ ენაში უკვე დამკვიდრებულ სიტყვებში გვხვდება).

აღბათ, ბევრმა ინგლისურენოვანმა ადამიანმა იცის ეს სიტყვა:

(3) *antisestablishmentarianism*

ამ სიტყვის შვიდ ან მეტ ისეთ მორფემად დაყოფა, რომლებიც სხვა სიტყვებშიც გვხვდება, იმათაც კი არ გაუჭირდებათ, ვინც თვითონ სიტყვის მნიშვნელობა არ იცის: *anti-dis-establish-ment-ari-an-ism*, თუმცა, მორფემა მასში შვიდზე მეტიც კი არის. მაგალითად, სუფიქსი *-ism* სუფიქსისგან *-ize* (იხილეთ ცხრილი 2.1.) და მასზე დამატებული მეორე სუფიქსისგან *-m* (როგორც სიტყვებში *baptize/baptism*) შედგება. აქ ერთადერთი თავისუფალი ლექსიკური მორფემა სიტყვის ფუძეა — *establish*. ფუძისეული მორფემა ლექსიკური მორფემაა (ინგლისურში ეს ჩვეულებრივ თავისუფალი მორფემაა). იგი ფუძედ გვევლინება, რომელსაც გრამატიკული ან დერივაციული მორფემები ემატება და რთულ სიტყვად იქცევა.

Anti- და *dis-* პრეფიქსები, ანუ წინსართებია — დამოკიდებული მორფემები, რომლებიც სიტყვის ფუძეს თავში ერთვის, რაც შეეხება ისეთ დამოკიდებულ მორფემებს, რომლებიც ფუძეს ბოლოში ერთვის, ისეთები, როგორიცაა, მაგ. *-ment, -er, -ed, -est, -s*

ესენი სუფიქსებია, ანუ ბოლოსართები. პრეფიქსები და სუფიქსები აფიქსების კლასში ერთიანდება.

განიხილეთ ინგლისური ენის არსებული და შესაძლო სიტყვების ჩამონათვალი და დაყავით შესაბამის მორფემებად. თითოეულ სიტყვას კომენტარი დაურთეთ: „ნამდვილი“ სიტყვაა ეს (არსებობს თუ არა თქვენს გონებრივ ლექსიკონში)? შესაძლო სიტყვაა (მისი მნიშვნელობა არ იცით, მაგრამ სავსებით შესაძლებელი გეჩვენებათ, რომ თქვენი ენის სიტყვა იყოს) თუ შეუძლებელია, რომ სიტყვა რეალურად არსებობდეს, (ანუ თვლით, რომ ინგლისურენოვანი ადამიანის ლექსიკონში ასეთი სიტყვა ვერ იარსებებს)? (იმსჯელეთ საკამათო სიტყვების გამოყენების კონტექსტებზე ან სხვა რთულ შემთხვევებზე.)

ჩამონათვალი: ანტიტროცკისტული, უმშენიერესი, ბიჭები, ბავშვები, ბავშვებისა, მომაჯადოებელი, გაგოგონება, მისები, შედევრები, მოუმხიბლავი, მორფოლოგისტი, გასახელება, ზემოთანები, პოსტპოზიცია, გაუმყინვარება, ტკბილები, არაქალი, არაკაცი, ვერბალოვანი.

საპარჯიშო
2.2

2.2. სიტყვათა და მორფემათა კლასები

2.2.1 სიტყვათა კლასები

აფიქსები სიტყვათა (არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი, ზმნიზედა) კლასებს ან კატეგორიებს ერთვის და მათთან ერთად ძირი + აფიქსის კომბინაციას ქმნის. ცხრილი 2.1 რამდენიმე ასეთ მაგალითს გვთავაზობს.

ცხრილი 2.1 ზოგი ინგლისური აფიქსი და სიტყვათა კლასები

აფიქსი	ერთვის ქმნის	მაგალითები	
anti-	არს. სახელებს ზედსართავეებს	არს. სახელებს ზედსართავეებს	anti-matter, anti-aircraft anti-democratic
un-	ზედსართავეებს ზმნებს	ზედსართავეებს ზმნებს	un-happy, un-lucky un-bridle, un-lock
re-	ზმნებს	ზმნებს	re-establish, re-assure
dis-	ზმნებს ზედსართავეებს	ზმნებს ზედსართავეებს	dis-enfranchise, dis-own dis-ingenuous, dis-honest
-ment	ზმნებს	არს. სახელებს	establish-ment, amaze-ment
-ize	არს. სახელებს ზედსართავეებს	ზმნებს ზმნებს	burglar-ize, Mirandaize steril-ize, Islamic-ize
-ism	არს. სახელებს ზედსართავეებს	არს. სახელებს არს. სახელებს	Ito-ism, gangster-ism real-ism, American-ism
-ful	არს. სახელებს	ზედსართავეებს	care-ful, soul-ful, master-ful
--ly	ზედსართავეებს	ზმნიზედებს	carefu-ly, nice-ly, angri-ly
-er	ზედსართავეებს	შედარებით ზედსართავეებს	fair-er, angri-er
-s	არს. სახელებს	არს. სახელებს	friend-s, girl-s, cat-s

მრავლობით ფორმაში

შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილ ზოგიერთ აფიქსს დამატებითი, ნაკლებ გავრცელებული ისეთი ფუნქციაც გააჩნია, რომელთა მაგალითები არ მოგვიყვანია.

ჰომოფონების, სიტყვათა წყვილების მსგავსად, რომლებიც ერთნაირად ჟღერს, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობები აქვს (*fair* ზედსართავიცაა („მშვენიერი“), რომელიც წინადადება (1)-ში შეგვხვდა და არსებითი სახელიც, რომელიც „სადღესასწაულო ბაზრობას“ ნიშნავს. ქართულ ენაში ამის მაგალითია, ვთქვათ, სიტყვა „ბარი“), შეიძლება რამდენიმე განსხვავებული აფიქსიც არსებობდეს, რომლებსაც ერთნაირი ფორმა ექნება. მაგალითად, ზედსართავის შედარებითი სუფიქსის -er გარდა, არსებობს იმავე ფორმის სუფიქსი, რომელიც ზმნებს ერთვის და სახელებს წარმოქმნის (*teacher, runner*). მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად -s სუფიქსის გარდა, რომელიც სახელებს ერთვის, იმავე ფორმის სუფიქსი III პირის მხოლოდითი რიცხვის ზმნებს ერთვის (*promises, inquires, establishes*).

სავარჯიშო 2.3

განიხილეთ სიტყვათა ჯგუფები და ყოველ მათგანთან დაკავშირებულ კითხვას უპასუხეთ. სიტყვების ლექსიკონში მოძებნა აუცილებელი არაა, მაგრამ შეიძლება დაგეხმაროთ.

- (I) badness, fairness, goodness, insurmountableness, wellness
- (II) incorrigible, incongruous, indefinite, inflexible, insurmountable
- (III) cowardly, daily, fatherly, lonely, lovely, womanly
- (IV) fifth, fourteenth, sixth, thirtieth, seventieth, seventy-seventh
- (V) dependent, descendant, defiant, prudent, reverent, servant
- (VI) democracy, idiocy, jealousy, monarchy, photography, victory

(ა) შეგხვდათ თუ არა ისეთი მორფემა, რომელიც ამ ჯგუფის ყველა სიტყვაში შედის? თუ ასეა, რომელი?

(ბ) თუ (ა)-ზე დადებითი პასუხი გაეცით, მაშინ სამი დამატებითი სიტყვა დაასახელებეთ, რომელშიც ასეთი მორფემა შედის.

(გ) თუ თქვენი პასუხი (ა)-ზე დადებითი იყო, მაშინ განმარტეთ ამ მორფემის მნიშვნელობა.

(დ) თუ შეგიძლიათ, დაასახელოთ სიტყვათა კლასი, რომლის სიტყვებსაც ერთვის ასეთი მორფემა და აღნიშნეთ სიტყვათა რომელ კლასს ქმნის მისი დართვა. განიხილეთ ნებისმიერი სირთულე, რომელიც დავალების შესრულებისას შეგხვდათ.

მარლთნერა ხშირად მორფემის დადგენაში დაგეხმარებათ, მაგრამ ხანდახან შეიძლება შეცდომაშიც შეგიყვანოთ. ნუ ჩათვლით, რომ ორ სხვადასხვა მორფემასთან გაქვთ საქმე თუ სხვადასხვა შემთხვევაში ისინი განსხვავებულად იწერება. მაგალითად, სუფიქსი *-ly* სიტყვაში *lonely* და *-li* სიტყვაში *loneliness* ერთი და იგივე მორფემაა.

- (VII) კლასში გაერთიანებული სიტყვები განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს:

(VII) *glare, gleam, glimmer, listen, glitter, glow*

ეს სიტყვები, რომლებიც *gl* ასოთშეთანხმებით იწყება, ერთმანეთს თითქოს სემანტიკურად (გაიხსენეთ, რა არის სემანტიკა?) ენათესავენ. თუმცა, *gl* ისეთი მორფემა არ არის, როგორც *-ness, -er, -ly*, ან ზემოთ ჩამოთვლილი მორფემა. სცადეთ განმარტოთ, რატომ. (კარნახი: ჩამოაშორეთ თითოეულ სიტყვას ეს ბგერათშეთანხმება და ნახეთ, რა დარჩება).

როგორც ცხრილში 2.1 მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, ხანდახან სუფიქსის დამატება სიტყვას სიტყვათა სხვა კლასში გადაანაცვლებს ხოლმე, მაგრამ არა ყოველთვის.

როგორც აფიქსების კლასი იცვლება იმის მიხედვით, თუ სიტყვათა რომელ კლასს ერთვიან (იხილეთ ცხრილი 2.1), სწორედ ასევე, სიტყვებიც იმ აფიქსების მიხედვით ექვემდებარება კლასიფიკაციას, რომლებიც მათ ერთვის: მაგალითად, მრავლობით რიცხვში მდგარი -s სუფიქსიანი სიტყვები (მხოლობითი — friend, მრავლობითი — friend-s), ასევე ზედსართავთა უმრავლესობა და ზოგიერთი ზმნიზედა შედარებით ფორმას -er სუფიქსით ქმნის, აღმატებითს კი — -est სუფიქსის დამატებით (pretty, pretti-er, pretti-est). ზმნების შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა: ზმნათა უმეტესობა მხოლობითი რიცხვის ანმყო -ს სუფიქსის დართვით ქმნის, წარსულს — -ed -ბოლოსართის დამატებით, ხოლო ანმყო უწყვეტელის მისაღებად მათ -ing სუფიქსი ემატება. მეოთხე ზმნური ფორმა, წარსული დროის მიმღეობა (past participle), რომელიც ისეთ წინადადებებში გვხვდება, როგორცაა, მაგ: I have promised to do it (შეუპირდი, შეპირებული ვარ), ზოგიერთ ზმნას ერთნაირი აქვს, ზოგსაც — განსხვავებული. შეადარეთ — I wrote the letter (wrote წარსულის ფორმაა) და I have written the letter (written წარსული დროის მიმღეობაა).

ერთი ძირიდან (თუ ფუძიდან) ნაწარმოებ სიტყვათა ერთობას პარადიგმა ეწოდება. სიტყვის friend პარადიგმა მოიცავს: friend და friend-ს; სიტყვისა promise-promise, promised, promising. (ინგლისური ზმნების ორივე, -ed -იანი და -ing -იანი ფორმა ხშირად ზედსართავადაც გამოიყენება, როგორც მაგალითად, the promised visit (შეპირებული სტუმრობა), a promising theory (იმედისმომცემი, დიდი მომავლის მქონე თეორია). წინადადებებში The friends promised to do it (მეგობრები შემპირდნენ (შეგპირდნენ, შეჰპირდნენ) ამის გაკეთებას) და The friends were promising to do it (მეგობრები მპირდებოდნენ(გპირდებოდნენ, პირდებოდნენ) ამის გაკეთებას) ზმნურ ფორმასთან გვაქვს საქმე.

ცხრილი 2.2 ზოგი ინგლისური ზმნის პარადიგმები

ზმნა	ანმყო	წარსული	ანმყო უწყვეტელი	წარსულის მიმღეობა
chew	chews	chewed	chewing	chewed
kiss	kisses	kissed	kissing	kissed
promise	promises	promised	promising	promised
hit	hits	hit	hitting	hit
find	finds	found	finding	found
sit	sits	sat	sitting	sat
teach	teaches	taught	teaching	taught
know	knows	knew	knowing	known
sing	sings	sang	singing	sung
write	writes	wrote	writing	written

ინგლისური ენის ზმნები ერთმანეთისგან იმის მიხედვით განსხვავდება, თუ რამდენად განსხვავდება მათი პარადიგმები (ისე, როგორც ცხრილში 2.2. -ა ნაჩვენები). პირვე-

ლი ჯგუფის ზმნები, რომელშიც *chew, kiss, promise* შედის, წესიერ ზმნებად იწოდება. წესიერი ზმნა ოთხ განსხვავებულ ფორმას *-s, -ed, -ing* ან *-ed* –ის დართვით აწარმოებს (ასეთ ზმნებს წარსულისა და წარსულის მიმდებარის ფორმები იდენტური აქვს). ისეთ ზმნას, როგორცაა *hit*, მხოლოდ სამი განსხვავებული ფორმა აქვს, ვინაიდან წარსული და წარსულის მიმდებარეობა ზმნის ფუძის იდენტურია. ზმნებს *find, teach, sit* ოთხი განსხვავებული ფორმა გააჩნია, ისევე, როგორც წესიერ ზმნებს, მაგრამ წარსულსა და წარსულის მიმდებარეობას სხვადასხვანაირად აწარმოებენ (ჩვეულებრივ, ზმნის ფუძის ხმოვნის შეცვლით). ისეთ ზმნებს, როგორებიცაა *know, sing, write* ხუთი განსხვავებული ფორმა აქვთ — მათი წარსულისა და წარსულის მიმდებარის ფორმები განსხვავებულია.

ინგლისურ ენაში ყველაზე არანესიერი ზმნა **be** -ა, რომელიც სხვა ზმნების მოდელს არ მისდევს, და რვა ფორმა გააჩნია: ფუძე, ანმეოს სამი ფორმა (*am, is, are*), წარსულის ორი ფორმა (*was, were*), ანმეოს მიმდებარეობა (*being*) და წარსულის მიმდებარეობა (*been*).

2.2.2 სიტყვათა დისტრიბუცია

იმ წინადადებებისა და ფრაზების ტიპი, რომლებშიც სიტყვები ერთიანდება — ანუ სიტყვების დისტრიბუცია, სიტყვის კლასზე მიუთითებს. მაგალითად, მორფემა, რომელიც წინადადება (4)-ში გამოტოვებულ სიტყვას წინ უძღვის, მხოლოდით რიცხვში მდგარ არსებით სახელზე მიგვანიშნებს:

(4) A ___ promised to inquire about a schoolmaster.

შეპირდა, რომ მასწავლებლის შესახებ გაიკითხავდა.

ამ წინადადებაში შეიძლება მხოლოდით რიცხვში მდგარი სახელები, მაგალითად, *girl, friend, stegosaurus* ჩაისვას, მაგრამ სიტყვები *girls, friends, stegosaurus* განუხაზღვრელი არტიკლის შემდეგ ვერ იდგება. სწორედ ასევე, გამოტოვებული სიტყვა წინადადება (5)-ში ზედსართავი უნდა იყოს:

(5) A friend made a promise to the _____ Bianca.

მეგობარი _____ ბიანკას შეჰპირდა.

(ამ წინადადებაში შეიძლება ჩაისვას ისეთი ზედსართავები, როგორებიცაა *fair, idiotic, virtuous*, მაგრამ გამოტოვებული ადგილის ნებისმიერი სიტყვით შევსება არ შეიძლება.)

სიტყვათა კლასის დადგენა ჩარჩოს ტესტით ხელსაყრელია ისეთი სიტყვების შემთხვევაში, როგორებიცაა *about, under, for* — თანდებულების, რომლებიც სიტყვათა შორის კავშირს განსაზღვრავენ (მაგ. *schoolmaster*-სა და *Bianca*-ს შორის ურთიერთობას წინადადება (1)-ში). ინგლისურ თანდებულებს, განსხვავებით არსებითი სახელებისგან, ზმნებსა და ზედსართავებისგან, აფიქსები არ დაერთვის. თანდებული *to* ან *about* წინადადება (6)-ში გამოტოვებულ ადგილას შეიძლება ჩაისვას:

(6) The schoolmaster made a promise _____ Bianca.

სკოლის მასწავლებელი (დირექტორი) ბიანკას შეჰპირდა/ ბიანკასთან დაკავშირებით შეჰპირდა.

ასეთი სადიაგნოსტიკო ჩარჩოები უფრო მეტადაც კი შეიძლება გამარტივდეს, იმის გამოსავლენად, რომ ისინი მხოლოდ სიტყვათა კლასების დადგენაში გვეხმარება და არა ცალკეული სიტყვის შერჩევაში. მაგალითად, ნაწილობრივი ჩარჩოები წინადადებაში (7) საკმარისია, რათა მხოლოდით რიცხვში მდგარი სახელები და ზედსართავები

იქნეს ამოცნობილი:

- (7) მხოლობითი მდგარი არსებითი სახელის ჩარჩო . . . a _____ VERB. . .
 ზედსართავის ჩარჩო: . . . the _____ NOUN. . .

ამასთან ერთად, სიტყვათა კლასებს ბევრი ქვეჯგუფი აქვს, რომლებზეც საუბარი ჩვენს სახელმძღვანელოშიც იქნება და რომელთა ამოცნობა კონკრეტული მორფემებისა და ფრაზათა ტიპების მეშვეობითაა შესაძლებელი. (იხილეთ ჩანართი 2.1) წინადადება და სიტყვების სტრუქტურა, სინტაქსი, მომდევნო თავებში იქნება განხილული.

2.2.3 ფლექსიური მორფოლოგია

გარკვეული ტიპის გრამატიკული მორფემების გამოყენება შეიძლება წინადადებათა ჩარჩოებითაც იქნეს გათვალსაზრისებული. მაგალითად, ცარიელი სივრცე წინადადება (8)-ის აფიქსის ჩარჩოში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსით -s უნდა შეივსოს:

- (8) The friend _____ inquire about Bianca.

The friends inquire about Bianca (მეგობრები ბიანკას შესახებ ცნობებს აგროვებენ) მისაღები წინადადებაა (გრამატიკულად გამართული, იმ თვალსაზრისით, რომელზეც 1 თავში იყო საუბარი), ხოლო **The friend inquire about Bianca* _ არა. სწორედ ასევე, წინადადება (9)-ში წარსულის აღმნიშვნელი ბოლოსართი -ed აფიქსების ჩარჩოში უნდა იქნეს ჩასმული:

- (9) The friends inquire _____ yesterday. (გუშინ მეგობრები ბიანკასთვის ცნობებს აგროვებდნენ.)

საკუთარი სახელები, საზოგადო სახელები და მორფოლოგია

ისეთ არსებით სახელებს, როგორცაა, ბიანკა წინადადებაში — „ბიანკამ მასწავლებელი დაინახა“, საკუთარი სახელები ეწოდება. ეს სიტყვა ცალკეულ, ადვილად ამოსაცნობ, ერთადერთ, უნიკალურ პირს შეესატყვისება, რომელსაც სახელად ბიანკა ჰქვია. ამის გამო იგი განსხვავდება ისეთი საზოგადო სახელისგან, როგორცაა, მაგალითად, სიტყვა, გოგონა, რომელსაც უფრო ზოგადი, უპიროვნო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ნებისმიერ ახალგაზრდა ქალს შეიძლება მიესადაგოს. საკუთარ სახელს, ჩვეულებრივ, მრავლობითი რიცხვი არ გააჩნია, არც მრავლობითის სუფიქსი-s დაერთვის და არც განუსაზღვრელი არტიკლების: a, an მომდევნო ჩარჩოში ისმება.

თუმცა, შემდეგი ორი წინადადება სრულიად გამართულია:

Two Biancas go to my brother's school.

I know a Bianca.

ჩემი ძმის სკოლაში ორი ბიანკა სწავლობს.

მე ვინმე ბიანკას ვიცნობ.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ საკუთარი სახელები საზოგადოთაგან არაფრით განსხვავდება? რა თქმა უნდა, არა. ორ უკანასკნელ წინადადებაში სიტყვა „ბიანკა“ კონკრეტულ პიროვნებას, ერთ რომელიმე ბიანკას კი არ ნიშნავს, არამედ (ნებისმიერ) „გოგონას, რომელსაც ბიანკა ჰქვია“.

საკუთარი სახელის ხმარება განსაზღვრულ არტიკლთან შეიძლება (გაიხსენეთ წინადადება (1) *the fair Bianca*). შეგიძლიათ, განმარტოთ, რატომ? ეს დამატებითი საფუძველია იმ მოსაზრებისთვის, თუ რატომ შეიძლება იყოს საკუთარ სახელ ბიანკას განსაზღვრა „კონკრეტულ პიროვნება ბიანკად“ მეტისმეტად შემზღვეველი. განმარტეთ რატომ.

The friends inquired yesterday (გუშინ მეგობრები ცნობებს აგროვებდნენ) მისაღები წინადადებაა, მაგრამ არა **The friends inquire yesterday* (მეგობრები გუშინ ცნობას აგროვებენ). -s სუფიქსის ხმარების აუცილებლობა ერთ ჩარჩოში და -ed სუფიქსისა — მეორეში წინადადების რომელიმე სიტყვას სულაც არ უკავშირდება. შეგიძლიათ არსებითი სახელი *friend* სხვა არსებითი სახელით ჩაანაცვლოთ, ხოლო ზმნა *inquire* წინადადებაში (8-9) — სხვა ზმნით, შედეგი ამით არ შეიცვლება. აფიქსებს სხვა წესები მოითხოვს, რომლებიც წინადადების და ფრაზის ფორმირებას განსაზღვრავენ — სინტაქსური წესები, რომლებიც მოსაუბრის გონებრივ გრამატიკაში არსებობს.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ისეთი გრამატიკული მორფემები, როგორებიცაა -s, -ed ინგლისური ენის ზოგიერთი წინადადების ასაგებად უნდა იქნეს გამოყენებული. ამგვარ მორფემებს, რომელთა გამოყენება კონკრეტული წინადადების სტრუქტურითაა განპირობებული, ფლექსიური მორფემები ეწოდება.

2.2.4 დერივაციული მორფემები

ენაში ახალი სიტყვები ორნაირად მკვიდრდება — უკვე არსებულ სიტყვებთან დაუკავშირებელი სიტყვების დამატებით (მაგალითად, სხვა ენებიდან შემოსული ნასესხობებით) და სიტყვათწარმოების ანუ დერივაციული მორფოლოგიის მეშვეობით ანუ არსებულ ფუძეებზე მორფემების დამატებით და ახალი, ღია კლასის სიტყვების შექმნით.

ისეთი მორფემები, როგორებიცაა *-anti-, dis-, un-, -ment-, -ful-, -ly* დერივაციული მორფემებია. დერივაციული მორფემების დართვა გრამატიკის მოთხოვნებით არაა განპირობებული, როგორც, მაგალითად, ფლექსიური მორფემებისა. ისინი ენის

ჩანართი 2.2

დამოკიდებული ლექსიკური მორფემები

განვიხილოთ სიტყვა *cranberry*. ჩვენ ვიცით, რომ *berry* დამოუკიდებელი სიტყვაა, ამგვარად *cran-* ცალკეული მორფემა უნდა იყოს. *Cran-* გრამატიკული მორფემა არაა, მაგრამ დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. ისეთი ახალი სიტყვები, როგორიცაა *cranapple* უჩვენებს, რომ *cran-* შეიძლება სხვა დამოუკიდებელ მორფემებს დაერთოს. მისი განსაზღვრა ადვილი არაა (სწორედ მისი მეშვეობით ნიშნავს სიტყვა *cranberry* იმას, რასაც ნიშნავს), მაგრამ ამ დამოკიდებულ ფუძისეულ მორფემას აშკარად უფრო ლექსიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გრამატიკული.

მორფემა *re-* ისეთ ზმნებში, როგორიცაა *replay* ან *rebuild* დერივაციული მორფემის სხვა მაგალითს ქმნის, რომელსაც ლექსიკური მნიშვნელობა გააჩნია (ჩვეულებრივ, დაახლოებითი ექვივალენტია ზმნიზედის *again*. (იხილეთ ცხრილი 2.1)

სიტყვებში *remit* ან *receive* წინსართი *re-* ისეთ ელემენტს ერთვის, რომელიც თვითონაა დამოკიდებული. *-Mit-, -ceive* როგორც ჩანს, თავადაც მორფემებია და სხვა კომბინაციებშიც გვხვდება: *submit, deceive*. მაგრამ თუ ენის ლექსიკონის აგების ისტორიას არ ჩაუღრმავებთ, ან ლათინურს არ შეისწავლით, ამ მორფემების ზუსტ

განსაზღვრებას ვერ გაიგებთ. (თუ ლექსიკონში ჩაიხედავთ, დაინახავთ, რამდენად განმსაზღვრელია მათი თავდაპირველი, ლათინური მნიშვნელობა მათი მნიშვნელობისთვის თანამედროვე ინგლისურ ენაში.) *-Mit*, *-ceive* დამოკიდებული ფუნქციური მორფემებია, რომლებიც რთული ზმნების შესაქმნელად დერივაციულ მორფემებს უნდა შეერწყას.

როგორც ეს მაგალითები მოწმობს, დერივაციული მორფემები და დამოკიდებული ლექსიკური მორფემები ხშირად არანესიერია შერწყმის დროს, ანუ დადგინდ წესებს ყოველთვის არ მისდევს და მოსაუბრეს შეიძლება მათი მნიშვნელობის ან ფუნქციის შესახებ მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონდეს. ინგლისური სიტყვები შეიძლება უამრავ დერივაციულ მორფემას შეიცავდეს, მაგრამ, როგორც წესი, ისინი მხოლოდ ერთ ან ორ ფლექსიურ მორფემას შეიცავენ. დერივაციული მორფემები და დამოკიდებული ლექსიკური მორფემები, უფრო მეტად, ვიდრე ფლექსიური მორფემები, მხოლოდ გარკვეულ ფუძეებს ერწყმის. მაგალითად, დერივაციული მორფემა, რომელსაც „კვლავ“ ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს — *re-*, და დერივაციული „არა“ — პრეფიქსი *-un*, გამართულად მხოლოდ გარკვეულ ზმნებთან ჟღერს (*refasten*, *unfasten*), მაგრამ არა ყველა ზმნასთან (**refind*, **unfind*). შეძლებთ სხვა ასეთი მაგალითების მოტანას?

ლექსიკონს ამდიდრებს და მოსაუბრეს საშუალებას აძლევს, საკუთარი აზრი უფრო საინტერესოდ და მოქნილად გადმოსცეს, მაგრამ მათი არსებობა წინადადების სტრუქტურის მოთხოვნებით არაა განპირობებული. ასე, მაგალითად, *establish-ment* საჭირო, ფართო გამოყენების სიტყვაა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ არსებითი სახელია, არ არსებობს ისეთი წინადადება, რომელიც *-ment* არსებითი სახელის არსებობას მოითხოვს (იხილეთ ჩანართი 2.2)

2.2.5 ღია და დახურული კლასები

არსებითი სახელების, ზმნების, ზედსართავებისა და ზმნიზედების კლასები სიტყვათა ღია კლასებად ითვლება, ვინაიდან ამ კლასებში ახალი სიტყვების დამატება შესაძლებელია, როგორც ეს ზემოთ, დერივაციული მორფოლოგიის განხილვისას გამოჩნდა. მათ ასევე ლექსიკური შინაარსის სიტყვებსაც უწოდებენ.

სიტყვათა ყველა კლასი ღია კლასი როდია. თანდებულთა და განმსაზღვრელთა (*determiners*) კლასები, მაგალითად, დახურული კლასებია. დახურულ კლასში ახალი სიტყვის ჩამატება შეუძლებელია და ეს კლასები, ჩვეულებრივ, უფრო გრამატიკულია, ვიდრე ლექსიკური. სიტყვათა ამგვარი დახურული კლასების სიტყვებს ხშირად ფუნქციურ სიტყვებს უწოდებენ.

განიხილეთ საავარჯიშო 2.3-ში მოცემული ყოველი მორფემა და თქვით, ფლექსიურია იგი თუ დერივაციული. განმარტეთ თქვენი პასუხები.
 ინგლისურში სხვა ენებთან შედარებით გაცილებით უფრო ცოტა ფლექსიური მორფემაა. ჩამოთვალეთ რაც შეიძლება მეტი ასეთი მორფემა. (მოცემული თავის წინა ნაწილის გადათვალთვალება ბევრ მათგანს გაგახსენებთ.)

როგორც ადრე ითქვა, ახალი სიტყვების ფორმირება დერივაციული მორფემების მეშვეობით ხანდახან სიტყვათა კლასის შეცვლას იწვევს (*establish* ზმნაა, *establish-*

ment — არსებითი სახელი). მეორე მხრივ, ფლექსიური მორფემის დართვა სიტყვათა კლასს უცვლელობას ანიჭებს, სიტყვის გამოყენება კი გარკვეული ტიპის ფრაზასა თუ წინადადებაში ხდება შესაძლებელი.

2.3 მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზი

2.3.1 რთული ზმნები სუაჰილიში

მასალა, რომელსაც აქამდე განვიხილავდით, ინგლისური ენიდან მოგვეკონდა, მაგრამ სიტყვის აგების ზოგადი პრინციპები, დახურული და ღია კლასები, ფლექსია და დერივაცია ყველა ენას ახასიათებს. სრულიად უცნობი ლინგვისტური მონაცემებიც მსგავსად შეიძლება დაიყოს და გაანალიზდეს. განვიხილოთ შვიდი წინადადება (10) სუაჰილიდან (ბანტუს ენა, აღმოსავლეთი აფრიკა):

- (10) ა. *Ninasoma*. — „მე ვკითხულობ“.
 ბ. *Anasoma*. — „ის (ქალი, კაცი) კითხულობს“.
 გ. *Tunasoma*. — „ჩვენ ვკითხულობთ“.
 დ. *Nilisoma*. — „მე ვკითხულობდი“ (წარსული)
 ე. *Alisoma*. — „ის (ქალი, კაცი) კითხულობდა“.
 ვ. *Nitasoma*. — „მე წავიკითხავ“.
 ზ. *Tutasoma*. — „ჩვენ წავიკითხავთ“.

ყურადღება მიაქციეთ, რომ (10ბ) და (10ე) წინადადებებში ერთი ფორმა ორივე სქესის ქვემდებარეს შეესაბამება. ინგლისურ ენასა და სუაჰილის შორის ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა: სუაჰილის გრამატიკული სქესის გამომხატველი ნიშნები, რომლებიც ინგლისურში ნაცვლასახელებს *he* ან *she* შეესაბამება, არ გააჩნია. სუაჰილიში ეს წინადადება შეიძლება ორივე სქესს შეესატყვისებოდეს. (სემანტიკური ოპოზიციები — როგორსაც ინგლისურ ენაში მამრობითი და მდედრობითი სქესი ქმნის, ყველა ენაში სხვადასხვაა. სუაჰილიში, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი წინადადება ნებისმიერ ადამიანს შეესაბამება, ნაცვლასახელის „ის, იგი“ (უსულო, ინგლისური *it*) თარგმანი სიტყვიდან სიტყვამდე იცვლება.)

ადამიანმა შეიძლება სუაჰილი არ იცოდეს, მაგრამ ისეთი ანალიტიკური უნარი გამოიმუშავოს, რომელიც ამ ენაზე ნებისმიერი წინადადების სემენტებად დანაწევრებასა და მორფემების გამოყოფაში, ასევე მათი მნიშვნელობის გააზრებაში დაეხმარება.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქციეთ, რომ წინადადებათა ჯგუფში (10) ყოველი მათგანი *-soma* ელემენტით ბოლოვდება. რაკი ერთადერთი მორფემა, რომელიც ყველა წინადადების ქართულ თარგმანში მეორდება, „კითხვას“ ნიშნავს (ინგლისური თარგმანი ბრჭყალებითაა გამოყოფილი), იმის მიხედვით არ გაგიჭირდებათ, რომ *-soma* ელემენტი სწორედ „კითხვას“ ნიშნავს. (სუაჰილიში ეს ზმნა დამოკიდებული მორფემაა. ბევრ ენაში ზმნის ფუძეებს აფიქსების დართვა სჭირდება, რომ სიტყვიერი გამოყენება ჰპოვონ.)

წინსართი *ni-* გვხვდება (10ა), (10დ) და (10ვ) წინადადებებში. თუ ქართულ თარგმანებს დააკვირდებით, მიხვდებით, რომ *ni-* ელემენტი პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის („მე“) ნიშანია. მსგავსი ანალიზის შედეგად არც იმის დადგენაა ძნელი, რომ *a-*

ელემენტი მხოლოდითი რიცხვის მესამე პირს („ის“) შეესაბამება, *tu-* კი მრავლობითის პირველ პირს („ჩვენ“). სუაჰილიში წინადადებას ფორმა იმის მიხედვით ეცვლება, თუ ვინ, ან რაა წინადადების სუბიექტი (ანუ ის, ვინც ზმნით გამოხატულ ქმედებას ახორციელებს — ჩვენი წინადადებების შემთხვევაში, ის, ვინც კითხულობს).

და ბოლოს, დააკვირდით დარჩენილ სამ მორფემას. პირველი მათგანი, *na-* პირველ სამ წინადადებაში გვხვდება, თარგმანის მეშვეობით ვხვდებით, რომ სამივე ფორმა ან-მყოს განეკუთვნება. ამის მსგავსად, *li-* ელემენტი წარსული დროის აღმნიშვნელია, *ta-* მომავალი დროის. ამგვარად, სუაჰილის ზმნები ერთდროულად მათი სუბიექტისა და მოქმედების დროის შესახებ იძლევა ინფორმაციას.

ახლა, როცა ეს მაგალითები განვიხილეთ, შეგვიძლია, ზემოთ მოყვანილი წინადადებები ხელახლა გადმოვწეროთ, ოღონდ ამჯერად მორფემებს შორის დეფისები ჩავსვათ:

(10')	Ni-na-soma.	„მე ვკითხულობ“.
	A-na-soma.	„ის (ქალი, კაცი) კითხულობს“.
	Tu-na-soma.	„ჩვენ ვკითხულობთ“.
	Ni-li-soma.	„მე ვკითხულობდი“.
	A-li-soma.	„ის (ქალი, კაცი) კითხულობდა“.
	Ni-ta-soma.	„მე წავიკითხავ“.
	Tu-ta-soma.	„ჩვენ წავიკითხავთ“.

ახლა სხვა სიტყვების აგება სცადეთ. როგორ იქნება სუაჰილიზე „ის წავიკითხავს“? შეგიძლიათ სუაჰილიდან გადმოთარგმნოთ ფორმა *“tulisoma”*?

(ა) შემდეგი წინადადებები სუაჰილიზე ბევრ იმ მორფემას შეიცავს, რომელიც ზემოთ შეგვხვდა.

Ninasema.	„მე ვლაპარაკობ“.
Tulisema.	„ჩვენ ვილაპარაკეთ“.
Atasema.	„ის ილაპარაკებს“.
Watasema.	— „ისინი ილაპარაკებენ“.

გადაწერეთ ეს წინადადებები, მორფემები ერთმანეთისგან დეფისებით გამოჰყავით, როგორც ზემოთ, ტექსტში. ეს წინადადებები ორ ახალ ფორმებს შეიცავენ. იმ-სჯელეთ მორფემებზე. რის აღმნიშვნელია თითოეული მათგანი?

(ბ) თარგმნეთ სუაჰილიზე შემდეგი წინადადებები:
 ისინი კითხულობდნენ; მე ვილაპარაკებ; ის ლაპარაკობს.

(გ) სუაჰილის წინადადებებში ზმნებს დამატებითი მორფემების დატევაც შეუძლიათ, რომლებიც ზმნაში ობიექტის ნიშნები იქნება. მაგალითად:

Nilikisoma. „მე ის წავიკითხე“ (სადაც „ის“ უსულო საგანს, ამ შემთხვევაში წიგნს შეესაბამება).

რამდენ მორფემას შეიცავს ზმნა *“Nilikisoma”*? როგორი თანმიმდევრობითაა ისინი დანყობილი?

(დ) ქვემოთ სუაჰილიზე რამდენიმე ახალი წინადადება მოგვაქვს. (მათში ორი ახალი მორფემა დამატებული, რომლებიც თქვენ ადრე არ შეგხვედრიათ) გააანალიზეთ ისინი (დაჰყავით მორფემებად) და ახსენით, რა დანიშნულება აქვს თითოეულ მათგანს.

Anamfukuza. „იგი მას მისდევს“.

Ananifukuza. „იგი მე მომდევს“.

Tulimfukuza. „ჩვენ მას მივდევდით“.

Walitufukuza. „ისინი ჩვენ მოგვდევდნენ“.

(ე) თარგმნეთ ინგლისურ ენაზე შემდეგი წინადადებები:

Ninamfukuza, Nitamfukuza, Anatufukuza.

(ვ) თქვენ უკვე იცით, რომ სუაჰილიში ზმნები აღნიშნავენ ანმყო, წარსული და მომავალ დროს და რომ ზოგიერთ ინგლისურ ზმნას ანმყოსა და წარსული დროის საწარმოებლად განსხვავებული ფორმები გააჩნია. შეუძლია თუ არ ცალკეულ ინგლისურ ზმნას ისე შეიცვალოს, რომ მომავალი დრო გამოხატოს?

2.3.2 რთული ზმნები ტოლკაპაია იავაპაიში

აღბათ, ინგლისურ ენასა და სუაჰილის შორის ყველაზე თვალშისაცემი განსხვავება, რომელიც ჩვენს მიერ მოტანილმა მაგალითებმა გამოავლინა ისაა, რომ სუაჰილიში ერთ სიტყვას შეუძლია მთელი წინადადების აზრი გამოხატოს (როგორც „tu-na-soma“), მაშინ, როცა ინგლისურ წინადადებას იმავე აზრის გამოსახატად (We are Reading) მეტი სიტყვა სჭირდება.

ენები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება იმის მიხედვით, გრამატიკულ ცნებებს დამოკიდებული მორფემების მეშვეობით გამოხატავენ თუ დამოუკიდებელი სიტყვებით. ენებს, რომელთაც, სუაჰილის მსგავსად რთული წინადადების აზრის გადმოცემა ერთი სიტყვით შეუძლიათ, პოლისინთეტურ ენებს უწოდებენ. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ინგლისურ ენას და სუაჰილის განსხვავებული მორფემები აქვს (კითხვა — *read _ soma*, მომავლის გამომხატველი *will _ ta*) და ამ მორფემებს ეს ენები განსხვავებულად იყენებს, მათ შორის გასაოცარი პარალელიზმიც არსებობს.

ჩანართი 2.3

ორთოგრაფია

წერილობითი სისტემები და ორთოგრაფიები სამეტყველო ენის გამოსახვასთან დაკავშირებული პირობითობების ან წესების სისტემაა. წერილობითი სისტემების მოქმედების შესახებ ერთი გამოკვეთილი წესი არ არსებობს. ის, რაც ერთ ენაზე მოსაუბრეთათვის მისაღებია, მეორე ენაზე მოსაუბრისთვის შეიძლება მიუღებელი იყოს. ეს სისტემები რამდენიმე ძირითად საორგანიზაციო პრინციპს ემყარება.

მსოფლიოს ენათა უმეტესობას დამწერლობა არ გააჩნია. დამწერლობის სისტემის უქონლობა მოცემული ენისა თუ მისი გრამატიკის სირთულესთან, ან მასზე მოსაუბრეთა აზროვნებისა თუ სიტყვიერი ურთიერთობის განსხვავებულ უნართან არ არის დაკავშირებული. დამწერლობის უქონელ ენებზე უფრო სხვა რამ შეგვიძლია ვთქვათ დაზუსტებით: ვაჭრობისა და განათლების სფეროს წარმართვა ამ ენებზე თითქმის შეუძლებელი იქნება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დამწერლობა ნებისმიერ ენას შეიძლება ჰქონდეს – ასეთი სისტემები ლამის ყოველდღე იქმნება (ხშირად ენათმეცნიერების მიერ). შედარებით ახალი, მაგალითად, სუაჰილის და ტოლკაპაია იავაპაისთვის შექმნილი ორთოგრაფიები, ჩვეულებრივ, იმ პრინციპზეა აგებული, რომ ყოველი ასო (ან ასოთშეთანხმება) მხოლოდ ერთ ბგერას გამოხატავს (და რომ თითოეული ბგერა მხოლოდ ერთ ასოს ან ასოთშეთანხმებას შეესაბამება) და ახალ ორთოგრაფიებში ეს შეს-

აბამისობა უფრო ზუსტია, ვიდრე იმ დამწერლობებში, რომელთაც ხანგრძლივი ისტორია აქვთ (წარმოთქმასა და დაწერილობას შორის ასეთი შეუსაბამოები, მაგალითად, ინგლისურ ენაში ბევრია).

ისეთი ორთოგრაფია, რომელშიც გამოთქმის თავისებურებები სრულად იქნება ასახული, არც არსებობს. მაგალითად, სუაჰილიზე მოსაუბრემ იცის, რომ მის ენაში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის. რაკი სუაჰილიში მახვილი პროგნოზირებადია (მათთვის, ვინც წესი იცის), ორთოგრაფიაში მის ნიშანს არ იყენებენ. სწორედ ასევე, ტოლკაპაიაზე მოსაუბრემ იცის, როგორ ჩაამატოს წარმოთქმის დროს ძალიან მოკლე ხმოვანი სიტყვაში *Chthúli ch* და *th* ბგერებს შორის, ხოლო სიტყვაში *m'úu m-* სა და' -ს შორის. ხმოვნის ჩამატების წესი ტოლკაპაიას ორთოგრაფიის ნებისმიერ აღწერაში უნდა შედიოდეს. ამ ენის შესწავლის მსურველებმა ეს წესი უნდა ისწავლონ, რათა სიტყვების სწორად გამოთქმა შეძლონ.

ახლა განვიხილოთ შემდეგი წინადადებები იუმანის მოდემის ინდიელების ენიდან — *tolkapaia iavapai*, რომელზეც არიზონას შტატში საუბრობენ:

- | | |
|-----------------------|----------------------------|
| (11) <i>Chthúl-ma</i> | „ის (ქალი, კაცი) რეცხავს“. |
| <i>chthúl-ma</i> | „მე ვრეცხავ“. |
| <i>M-chthúl-ma.</i> | „შენ რეცხავ“. |
| (12) <i>úu-ma.</i> | „ის (ქალი, კაცი) ხედავს“. |
| <i>úu-ma.</i> | „მე ვხედავ“. |
| <i>M-úu-ma.</i> | „შენ ხედავ“. |

მორფემები ამ მაგალითებში დეფისითაა გამოყოფილი. ამ თავის მაგალითების უმეტესობა ორთოგრაფიაში სამეტყველო ენის წერილობით ფორმაშია წარმოდგენილი (იხილეთ ჩანართი 2.3). აპოსტროფი მათში გამოხატავს დამახასიათებელ ბგერას — გლოტალურ ანუ ხორხისმიერ ხმას. ამ ბგერას (უფრო წარმოთქმისას შეჩერებულ ბგერას) ინგლისურ ენაში ყველაზე მეტად ის ბგერა წააგავს, რომელიც უარყოფის შორისდებულში *uh-uh* მარცვლებს შორის გვეხვება (იხილეთ თავი 11).

ისევე, როგორც სუაჰილიში, მთელი წინადადების ერთ სიტყვაში დატევა ტოლკაპაიაშიც შესაძლებელია. ამ ენიდან მოტანილ მაგალითებში (ზემოთ) ზმნა *Chthúl-ma* გარეცხვას ნიშნავს, *'úu-ma* — დანახვას. სუაჰილის მსგავსად, ზმნა ტოლკაპაიაშიც სუბიექტის მიხედვით იცვლება. პრეფიქსი '-ისეთ წინადადებებში გამოიყენება, რომლებშიც ქვემდებარე მხოლობითი რიცხვის პირველ პირში (მე) დგას, ხოლო პრეფიქსი *m-* ისეთ წინადადებებში, რომელთა სუბიექტი მრავლობითის მეორე პირშია (თქვენ).

(13-14) წინადადებები დამატებით მაგალითებს გთავაზობთ:

- | | |
|------------------------------|-------------------|
| (13) ა. <i>Chthúl-ch-ma.</i> | „ისინი რეცხავენ“. |
| ბ. <i>'-chthúl-ch-ma.</i> | „ჩვენ ვრეცხავთ“. |
| გ. <i>M-chthúl-ch-ma.</i> | „თქვენ რეცხავთ“. |

(ინგლისურ ენაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა იკვეთება. ინგლისურს ერთი ან რამდენიმე ადამიანისთვის მისამართად ნაცვალსახელი *you* გააჩნია; მაგრამ ინგლისურად შეიძლება ითქვას: *you guys*, ან *you all* („თქვენ ყველანი“) განსაკუთრებით ამერიკის სამხრეთში, ან *you lot* (ბრიტანულ ინგლისურში, „თქვენ ბევრნი“-ს ნიშნავს), ეს ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის კონტექსტში ასე შეიძლება ვიხმაროთ. ამ ნიგნში, სადაც კი ინგლისურის მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ხმარება იქნება

საჭირო, you guys ფორმას გამოვიყენებთ.)

- (14) ა. 'úu-ch-ma. „ისინი ხედავენ“.
 ბ. 'úu-ch-ma. „ჩვენ ვხედავთ“.
 გ. M-'úu-ch-ma. „თქვენ ხედავთ“.

თუ ამ წინადადებებს ტოლკაპაიადან მოტანილ პირველ ექვს მაგალითს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ მხოლოდ ერთი დამატებითი მორფემა *-ch* სუფიქსი ჩნდება ამ წინადადებების ბოლოში *-ma* სუფიქსის წინ მდგარი.

2.3.3 სიტყვათა სტრუქტურის ანალიზი

ეს მაგალითები სიტყვათა მორფემებად დაყოფის მეორე ხერხს გიჩვენებთ. ერთი ხერხი მორფემის იდენტიფიცირებაა — ანუ იმაში დარწმუნება, რომ ეს მორფემა მეორე მორფემით ჩანაცვლდება (ისე, როგორც სუაჰილიში დროის აღმნიშვნელი ნიშნები *na-*, *-li*, *-ta* ან როგორც ტოლკაპაიას სუბიექტური პირის ნიშნები *-m* და ' - ენაცვლება ერთმანეთს). თქვენ იმის თქმაც შეგიძლიათ, რომ ორ მორფემას შორის ზღვარი უნდა არსებობდეს, თუკი სხვა მორფემას ერთ-ერთის პოზიციაში „ჩაჯდომა“ შეუძლია. ორივე ფორმა: *chthúl-ma* და *'úu-ma* ერთნაირად, *-ma* მორფემით მთავრდება, მაგრამ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რას ნიშნავს *-ma* ამ მაგალითებში, ვინაიდან მას სხვა ელემენტი არ ენაცვლება. თუმცა, რაკი ორივე ფორმა: *chthúl-ma* და *chthúl-ch-ma* ვიცით, იმის თქმა შეგვიძლია, რომ *-ma chthúl-* და *'úu-* ფორმებისგან დამოუკიდებელი ელემენტია.

იმ მორფემების ორგანიზებისას, რომლებიც დეფისებით ერთმანეთისგან გაქვთ გამოყოფილი, ცხრილის ან სქემის შედგენა მათი მნიშვნელობის დადგენაში დაგეხმარებათ. 2.3 ცხრილი გაჩვენებთ, თუ როგორ გამოიყენება ტოლკაპაიას მორფემები ზმნებში. ცხრილში ამ მორფემების ინგლისური თარგმანებიცაა მოცემული:

ცხრილი 2.3 ტოლკაპაიას მორფემები და ლინგვისტური ანალიზი

	გამოიყენება	გამოიყენება
	ch-ს გარეშე	ch-სთან ერთად
'- ზმნის პრეფიქსი	მე	ჩვენ
m- ზმნის პრეფიქსი	შენ	თქვენ
უპრეფიქსო ზმნა	ის (ორივე გრამ.სქესი)	ისინი

თუ ოდესმე უცხო ენა გისწავლიათ, ექვს კატეგორიად ასე დაყოფა თქვენთვის ნაცნობი ხერხი იქნება. როგორც ცხრილიდან ხედავთ, *ch* ელემენტის უქონლობა მხოლოდით რიცხვს უკავშირდება, ხოლო იმ სვეტში, რომელშიც *ch* მორფემიანი სიტყვებია, სუბიექტი ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას. ამგვარად ვადგენთ, რომ *ch* მრავლობითი რიცხვის ნიშანია.

ცხრილის ზედა რიგი პირველ გრამატიკულ პირს შეესაბამება (მოლაპარაკეს ჩათვლით), მეორე რიგი — მეორე პირს (მსმენელის ჩათვლით), მესამე — მესამე პირს (სხვა ადამიანებს). ეს დაყოფა იმაზე მიუთითებს, რომ მოლაპარაკე ყველაზე მნიშვნელოვანი (პირველი) პირია საუბრის დროს.

როცა ზმნის ფორმა სუბიექტის რიცხვის, პირისა და სქესის მიხედვით იცვლება, საქმე სუბიექტი-ზმნის შეთანხმებასთან გვაქვს. ინგლისურ ენაში ეს მხოლოდ ქვემდებარის რიცხვის შეცვლისას ხდება — თუ ზმნა წესიერია, დრო — ანმყო, როგორც მაგ-

ალითად, წინადადებაში *The boy runs* (მხოლობითი) და *The boys run* (მრავლობითი), სუაჰილისა და ტოლკაპაიაში კი ზმნას პირის და რიცხვის ასახვის უნარი აქვს.

ამგვარად, სხვადასხვა ენებში ერთი და იგივე სემანტიკური ცნება მორფემებად სხვადასხვანაირად იყოფა. ინგლისურში სიტყვები (ნაცვალსახელები) მე „I“ და ჩვენ „ჭე“ ერთნირად არ ჟღერს (და არ ინერება); სწორედ ასევე, სუაჰილიში ნი- და ტუ-პრეფიქსებს შორის აშკარა კავშირი არ ჩანს. ‘- პრეფიქსი ტოლკაპაიაში „მე“ და „ჩვენ“ ნაცვალსახელების აღსანიშნავად გამოიყენება. თუმცა, ტოლკაპაიაში „ჩვენ“ ნაცვალსახელი ასე გამოიყურება: „მე“ ნაცვალსახელი + მრავლობითი რიცხვი, მაგრამ ტოლკაპაიაში ‘- პრეფიქსი პირველ პირს აღნიშნავს და არა ნაცვალსახელს „მე“.

(ა) ქვემოთ ტოლკაპაიას წინადადებების დამატებითი მაგალითები მოგვაცქს იმის დასტურათ, რომ ეს ენა პოლისინთეტური ენაა. ამ წინადადებებში ორი დამატებითი მორფემა უნდა იპოვოთ და განმარტოთ, როგორ ცვლიან იმ სიტყვების მნიშვნელობებს, რომელთაც ისინი ერთვის.

‘ich-‘chthúl-ma.	„მე რალაცას ვრეცხავ“.
‘ich-‘úu-ch-ma.	„ისინი რალაცას ხედავენ“.
M-‘úu-v-ch-ma.	„თქვენ ჩანხართ.“ (ან: ხილულები ხართ)
Chthúl-v-ma.	„ის ირეცხება“. (ან: უფრო ზუსტად — „მისი გარეცხვა შეიძლება“)

(ბ) ახლა თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ტოლკაპაიაზე:
 „მე ხილული ვარ“. „თქვენ რალაცას რეცხავთ“ „თქვენ ბანაობთ“ („ირეცხებით“). „ის რალაცას ხედავს“.

(გ) *Ṭpóqma* ნიშნავს „ის მას ასხამს“.
 დაყავით მოყვანილი ტოლკაპაიას წინადადებები მორფემებად, და აღნიშნეთ მათი მნიშვნელობები: *‘tpóqchma; ‘ichmtpóqma; Ṭpóqvchma*

ახლა დაუბრუნდით ტოლკაპაიას წინადადებებს (11-14), და შეეცადეთ დაადგინოთ, რომელი მორფემები აღნიშნავს ანმყო დროს. ყველა ზმნა *-ma* ელემენტით მთავრდება, მაგრამ ეს წინადადებები ამ მორფემის მნიშვნელობის დასადგენად საკმარის მასალას არ იძლევა. გაიხსენეთ, როგორ დავადგინეთ სუაჰილის მასალაში დროის აღმნიშვნელი მორფემები იმის საფუძველზე, რომ წინადადებები ანმყოს, ნამყოსა და მომავალ დროში კონტრასტს ქმნიდნენ. ზემოთ მოტანილი ტოლკაპაიას წინადადებები ანმყო დროშია თარგმნილი, ამიტომ კონტრასტირების პრინციპი აქ არ გამოდგება. სინამდვილეში თითოეული ეს წინადადება მოსაუბრემ შეიძლება გამოიყენოს როგორც ანმყო დროში, ასევე წარსულში მომხდარი მოვლენის აღსანიშნავად:

(15) Chthúl-ma. „ის (ორივე გრამ. სქესი) რეცხავს“, „ის (ორულ მორფემას ხშირად შემოკლებული განმარტების სახით ქვეშ უწერენ, ისე, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები):

(13გ’) M-chthúl-ma.
 2-რეცხვა-არამომავალ.
 „შენ რეცხავ“.
 სადაც „2“ მეორე გრამატიკულ პირს ნიშნავს, შემოკლება „არამომავალ“. იმაზე

მიუთითებს, რომ *-ma* სუფიქსი მომავალ დროს არ აწარმოებს. (იხილეთ ჩანართი 2.4)

(16) ‘-’úu-ma. „მე ვხედავ,“ მე ვხედავდი“.

თუმცა, სხვა მასალის არქონის გამო, *-ma* ელემენტის მნიშვნელობის თაობაზე მხოლოდ მსჯელობა და ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. წინადადებების (15-16) განხილვისას იმის დემონსტრირება გვჭირდება, რომ *-ma* ელემენტზე დასრულებული ზმნები მომავალში მოსახდენ მოვლენებს არ ასახავს, *-ha* ელემენტზე დასრულებულ, მომავალი დროის აღმნიშვნელი ზმნებისგან განსხვავებით, რომლებიც (17-18) წინადადებებში გვხვდება:

(17) Chthúl-ha. — „ის (ორივე გრამ. სქესი) გარეცხავს“.

(18) ‘-’úu-ha. — „მე ვნახავ“.

‘-’úu-ch-ha. — „ჩვენ ვნახავთ“.

ენათმეცნიერები დანაწევრებულ მონაცემებს თითოე „ჩვენ ვკითხულობთ“.

ჩანართი 2.4

შემოკლებული ლინგვისტური მონაცემები

როცა ენათმეცნიერები თავიანთ ტექსტებში სამსჯელოდ სხვა ენებიდან, მაგალითად, სუაჰილიდან და ტოლკაპაიადან მაგალითებს იშველიებენ, მათ ხშირად მორფემად (დეფისებით, ან + ნიშნებით) ჰყოფენ, თითოეულ მორფემას კი ქვეშ შემოკლებულ ინფორმაციას მიუწერენ ხოლმე, როგორც (10გ’) და (13გ’) წინადადებებში:

(10გ’) თუ-ნა-სომა.

პირველი.პირი. მრავლობითი-ანმყო-კითხვა.ივე გრამ. სქესი) რეცხავდა“.

(13გ’) -ცჰტჰცლ-მა.

მეორე.პირი-რეცხვა-არამომავალ.

„თქვენ რეცხავთ“.

შემოკლება მოცემული ენის არმცოდნე მკითხველს იმის წარმოდგენაში ეხმარება, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს რამდენიმე მორფემა, რათა სიტყვამ თარგმანში (რომელსაც, ჩვეულებრივ, ბრჭყალებში ათავსებენ შემოკლებული მონაცემების გვერდით, ან მათ ქვეშ) მოცემული მნიშვნელობა მიიღოს. გაანალიზებული მორფემების რაოდენობა შემოკლებისას იმდენივე უნდა იყოს, რამდენი მორფემაცაა გამოყოფილი სიტყვაში, ისე, რომ მკითხველს მათი გაცნობისას თითოეულ მორფემაზე ზუსტი წარმოდგენა შეექმნას. ეს იმას ნიშნავს, რომ დეფისების რაოდენობა სეგმენტებად დაყოფილ სიტყვაში და შემოკლებულ მონაცემებში ერთნაირი უნდა იყოს. თუ შემოკლებას ასეთნაირად გადაკეთებთ: „პირველი-პირი-მრავლობითი-ანმყო-კითხვა“, მკითხველმა შეიძლება დაასკვნას, რომ tu- ელემენტი „პირველს“ ნიშნავს, na- ელემენტი — პირს, ხოლო soma — მრავლობითს, მაგრამ სიტყვაში მეტი მორფემა, რომლებიც „ანმყოსა“ და „კითხვას“ უნდა შეესაბამებოდეს, აღარ დარჩება. თუ სიტყვას „არამომავალ“. დეფისით („არა-მომავალ“) დანერთ, მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ შემოკლებაში ზედმეტი მორფემა გამოყოფილი, ისეთი, რომელიც გასაანალიზებელ მასალაში არ არის. როცა ერთი მორფემის შესატყვისი შემოკლება ერთ სიტყვაზე

მეტს შეიცავს, ეს სიტყვები ან ერთად უნდა დანეროთ, ან დეფისითა თუ დაშორებით მათი გამოყოფა უნდა აირიღოთ (მაგალითად, შეიძლება მათი წერტილებით გამოყოფა, როგორც ზემოთ: პირველი.პირი.მრავლობითი). ზედმეტი დეფისი გასაანალიზებელი მასალის არმცოდნე მკითხველს დააბნევს.

სწორედ ასევე, როდესაც გასაანალიზებელი მასალა ერთ სიტყვაზე მეტს მოიცავს, დაშორებების რაოდენობა მასში და შემოკლებაში ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. მკითხველს ერთსიტყვიანი წინადადებაც კი დააბნევს თუ დაშორებების რაოდენობა სიტყვასა და შემოკლებებში ტოლი არ იქნება.

შემოკლებების წარმოდგენისას, ლინგვისტები, ჩვეულებრივ, ტექნიკურ ტერმინებს კვებენ, და მორფემის ქვეშ ადგილს ამგვარად ზოგავენ. მაშასადამე, მაგალითების მოტანა ასეთი სახითაც შეიძლება:

(10გ) tu-na-soma.

მრ-ანმ-კითხვა

„ჩვენ ვკითხულობთ“.

(13გ) M-chthúl-ma.

2-რეცხვა-არამომავალ.

„თქვენ რეცხავთ“.

ალბათ, ისეთი აღნიშვნები, როგორცაა მრ-ანმ-კითხვა (I პირი, მრავლობითი, ანმყო დრო, ზმნის საწყისი ფორმა - „კითხვა“) ყველასთვის გასაგები იქნება, მაგრამ ზოგიერთი შემოკლებული ლინგვისტური აღნიშვნა მკითხველისთვის უფრო ძნელი აღსაქმელია. თუ მორფემების განმარტება ამგვარი უცნობი აღნიშვნებით გიხდებათ, მაშინ მაგალითებს თან გამოყენებული შემოკლებების განმარტებაც უნდა დაურთოთ. ქვემოთ ჩვენს წიგნში გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალს გაეცნობით:

1-პირველი პირი; 2-მეორე პირი; სახ. — სახელობითი ბრუნვა; არამომავალ. — ზმნის დრო მომავალს არ განეკუთვნება; პერფ. — პერფექტიული; მრავ-მრავლობითი რიცხვი; ანმ-ანმყო; გაორ — სიტყვის გაორმაგებული ნაწილი.

თქვენ უკვე გაცანით პრეფიქსს *’ich-*, რომელიც ტოლკაპაიას ზმნებში განუსაზღვრელ („რალაც“) ობიექტზე მიუთითებს. ისევე, როგორც სუაჰილიში, ტოლკაპაიაშიც ზმნები ობიექტის და სუბიექტის ნიშანს შეიცავენ ერთ სიტყვაში. მაგალითად, სიტყვა *’úuvma* — „ის ხედავს“, რომელიც შეიძლება ასეც ითარგმნოს — „ის მას (ორივე გრამატიკული სქესი) ხედავს“, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მესამე პირში მდგარი სუბიექტი მესამე პირში მდგარ ობიექტს ხედავს. ასევე ზმნა *Mchthúlma* — „შენ რეცხავ“, რომელიც თან ნიშნავს — „შენ მას (ორივე გრამატიკული სქესი) რეცხავ“. ტოლკაპაიაში არც ისეთი პრეფიქსი არსებობს, რომელიც მესამე პირში მდგარ სუბიექტს გამოხატავს, არც ისეთი, რომ მესამე პირში მდგარ ობიექტს შეესაბამებოდეს. სხვა ობიექტები კი პრეფიქსებითაა გამოხატული. ახლა გაცანით ისეთ მაგალითებს, სადაც ობიექტია „მე“ — პირველი პირი, მხოლოდითი რიცხვი:

Nychthúlma.

„ის მე მბანს“.

Nym’úuvma.

„შენ მე მხედავ“.

თქვენ უკვე იცით, რომ სუფიქსით *-ch* ტოლკაპაიაში სუბიექტის მრავლობითის წარმოებაც შეიძლება. ობიექტის მრავლობითი რიცხვი ტოლკაპაიაში დაახლოებით ამის მსგავსად წარმოება:

<i>Paa'úuvma.</i>	„ის ხედავს მათ“.
<i>Paamchthúlma.</i>	„თქვენ რეცხავთ (ბანთ) მათ“.
<i>Paanychthúlma.</i>	„ის გვრეცხავს (გვბანს) ჩვენ“.
<i>Paa'úuvchma.</i>	„ჩვენ ვხედავთ მათ“.

(ა) თარგმნეთ ქართულიდან ტოლკაპაიაზე შემდეგი წინადადებები: „მე ვრეცხავ (ვბან) მათ“; „ისინი მხედავენ“; „ჩვენ ვრეცხავთ (ვბანთ) მათ“; „თქვენ რეცხავთ (ბანთ) მათ“. ტოლკაპაიაზე თარგმნილი თითოეული წინადადება მორფემებად (დეფინიციებით) დაყავით, სიტყვებს კი ქვეშ შემოკლებული აღნიშვნები მიუწერეთ, სადაც თითოეული მორფემის მნიშვნელობა ისე იქნება განმარტებული, როგორც 2.4 ჩანართში იყო.

(ბ) ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ტოლკაპაიას ისეთი პრეფიქსი არ გააჩნია, რომელიც მესამე პირში მდგარ ობიექტს აღნიშნავდა. თუმცა, ვინმემ შეიძლება ჩათვალოს, რომ ასეთი წინსართი შეიძლება *paa-* იყოს. ახსენით, რატომ არაა ეს მოსაზრება სწორი (ამისთვის *paa-* ელემენტის *-ch*-სთან შედარება დაგჭირდებათ).

ჩვენ ვნახეთ, რომ პრეფიქსები ანუ წინსართები ფუძეს წინიდან ერთვის, ხოლო სუფიქსები პირიქით, სიტყვის ფუძეს მოსდევს. მაგრამ ამით ჯერ ყველაფერი არ თქმულა. *Vyám-*, „გაქცევა“, ტოლკაპაიას კიდევ ერთი ზმნის ფუძეა (დეფინიციის იმაზე მიუთითებს, რომ ეს დამოუკიდებელი სიტყვა არ არის. მას ერთი ან რამდენიმე მორფემა მაინც უნდა დაემატოს). როგორ უნდა თქვას ტოლკაპაიაზე მოსაუბრემ „თქვენ გარბიხართ“, როცა ერთზე მეტ ადამიანს მიმართავს? ტოლკაპაიაზე „თქვენ გარბიხართ“ იქნება

(19) *M-vyám-ch-ma.*

(თვალი გაადევნეთ, რომ მორფემები სწორი თანმიმდევრობით იქნეს გადაწერილი: თავში მეორე პირის აღმნიშვნელი წინსართია *m-*, შემდეგ ზმნის ფუძეა (თუ ძირი), მას მრავლობითის ნიშანი *-ch* მოსდევს, და ბოლოს, არამომავალი დროის აღმნიშვნელი დაბოლოება *-ma*). ამგვარი მაგალითებიდან უკვე შევიტყვეთ, რომ ტოლკაპაიაში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსი *-ch* უშუალოდ ფუძეს მოსდევს და წინ ასწრებს არამომავალი დროის სუფიქსს *-ma* თუ მომავლის სუფიქსს *-ha*. ტოლკაპაიას ზმნის მორფოლოგიური აგებულება შემდეგი მოდელის (20) მიხედვითაა განწყობილი:

(20) (პირი) — ზმნა — (მრავლობითი) — დრო

ეს ლინგვისტური შაბლონი ზმნის სქემატური გამოსახულებაა, მათემატიკური ფორმულის მსგავსად, ოღონდ ის კატეგორიები, რომლებიც მათემატიკაში სიმბოლოებით გამოისახება, აქ სპეციფიკური მორფემებითაა ჩანაცვლებული.

ამ შაბლონს (20) ოთხი ლიობი აქვს, ვინაიდან ზმნა *M-vyám-ch-ma* ოთხი მორფემისგან შედგება.

ჩვენს შაბლონს პირის კატეგორიაში პრეფიქსები ‘- და *m-* ჩაუჯდება. ზმნებს, რომელთა ქვემდებარე მესამე პირში დგას (ის (ორივე სქესი), ისინი) პრეფიქსი არ გააჩნია, ამიტომ ასეთი ზმნების მოდელელებში კატეგორია „პირი“ დახურული იქნება (ფრჩხილებით) — ეს ზმნის ის ნაწილი არ არის, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გვინტერესებს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგიერთი ზმნის შემთხვევაში ეს ლიობი შეივსება, ზოგჯერ კი — არა. მრავლობითი რიცხვის ლიობი მხოლოდ *-ch* სუფიქსით იქნება წარ-

მოდგენილი, იგი მხოლოდ იმ ზმნებში გვხვდება, რომელთა ქვემდებარე მრავლობით რიცხვში დგას (ამგვარად, ისიც ფრჩხილებში მოექცევა და დაიხურება). დროის ლიობი შეიძლება არამომავალი დროის სუფიქსით *-ma* ან მომავლის სუფიქსით *-ha* შეივსოს. დრო აუცილებელი ლიობია ყველა იმ ზმნისთვის, რომელიც აქამდე განვიხილეთ.

(ა) შეადგინეთ ამგვარი შაბლონები სუაჰილის ზმნებისთვის. გამოიყენეთ ის ცოდნა, რომელიც ტექსტიდან და სავარჯიშო 2.5-დან აითვისეთ.

(ბ) შაბლონი (20) იმ ფაქტს ასახავს, რომ ტოლკაპაიაში ზმნა (ისეთები, როგორებიც ტექსტშია მოყვანილი) ორ მორფემას აუცილებლად უნდა შეიცავდეს (ზმნა და დროის აღმნიშვნელი ნიშანი) და შეიძლება — ერთ ან ორ დამატებით მორფემასაც. თუმცა, 2.6 და 2.7 სავარჯიშოებში მოყვანილი ტოლკაპაიას ზმნები უფრო რთულია. შეადგინეთ ამ ენის ზმნებისთვის უფრო რთული შაბლონი, ვიდრე (20) გამოყავით თითოეული მორფემა, რომლებიც სავარჯიშოებში 2.6 და 2.7 შემოვიტანეთ. თქვენ არ გაქვთ საკმარისი ინფორმაცია საიმისოდ, რომ ტოლკაპაიას ყველა მორფემას ადგილი სათანადო თანმიმდევრობით მიუჩინოთ, მაგრამ იმის უნარი კი შეგწევთ, რომ გარკვეული მორფემები გარკვეულ ზმნებში უადგილოდ და შეუთავსებლად მიიჩნოთ (ანუ მიხვდეთ, რომ მოცემული ზმნის ფუძეზე მათი დამატებით. აზრსმოკლებული ფორმები მიიღება). განიხილეთ თქვენს მიერ შემუშავებული მოდელები (შაბლონები).

სავარჯიშო 2.8

2.3.4 მორფემების თანმიმდევრობა

შეიძლება წინადადებაში სიტყვათა წყობის რამდენიმე ისეთი ვერსია არსებობდეს, რომელიც ამ წინადადებას აზრს არ შეუცვლის, სიტყვაში მორფემების თანმიმდევრობა კი სრულიად განსაზღვრულია და მოსაუბრე მათ საკუთარი შეხედულებისამებრ ვერ გადაანაცვლებს. შაბლონი, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, იმ ფაქტის ილუსტრირებას ახდენს, რომ სიტყვებს თავიანთი შიდა სტრუქტურა გააჩნიათ. სიტყვაში მორფემები ნებისმიერი თანმიმდევრობით ვერ დაეწყობა, მათი თანმიმდევრობა მკაცრად განსაზღვრულ წესს ემორჩილება. ეს ინგლისურსაც ეხება და ტოლკაპაიასაც (და ყველა სხვა ენას). რა აზრის ხართ სიტყვებზე **employment*, **lonerly*, **radicalized*? თითოეულ ამ სიტყვაში ფუძეს ორი ბოლოსართი ერთვის, რომლებიც არასწორი თანმიმდევრობითაა დაწყობილი (სწორი თანმიმდევრობა და ფორმები იქნებოდა *employments* (დაქირავება(მრ.რიცხვი), *lonelier*(უფრო მარტოხელა), *radicalized* (გარადიკალურებული)). ინგლისურენოვანმა ადამიანმა იცის, რომ მრავლობითის სუფიქსი *-s*, შედარებითი ხარისხის სუფიქსი *-er*, და წარსული დროის ნიშანი *-ed* ნებისმიერ სიტყვაში უკანასკნელი სუფიქსები უნდა იყოს.

(მნიშვნელოვანია იმ ზოგადი წესის ცოდნაც, რომ დერივაციულ სუფიქსებს ფლექსიური სუფიქსები მოსდევს.) დროის აღმნიშვნელი ბოლოსართი ტოლკაპაიაშიც სიტყვას ყოველთვის ბოლოში მოუდის.

2.4 ვარიაციის მორფოლოგიაში

2.4.1 ვარიაციის ტიპების ანალიზი

ხშირად მორფემები სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულად გამოიყურება. ტოლ-

კაპაიას დროის აქამდე ნახსენებ სუფიქსებთან — არამომავლის ბოლოსართ *-ma*-სთან და მომავალი დროის მანარმოებელ *-ha* -სთან ერთად კიდევ ერთი სუფიქსი აქვს: სუფიქსი — აბსოლუტივი *-i*, რომელიც მნიშვნელობით ხშირ შემთხვევაში წინადადება (11-16)-ში *-ma* ბოლოსართს ემსგავსება. მსგავს წინადადებებში *-ma* და *-i*-ს შემცველი ზმნები, ჩვეულებრივ, ერთნაირად ითარგმნება, მაგრამ არის სხვაობაც. მაგალითად, წინადადება, რომელშიც ი-ნიშნის სუბიექტი მეორე პირში დგას, იმპერატიულ ანუ ბრძანებით კილოდ ითარგმნება (ასე მაგალითად, *M-chthúl-i* არა მხოლოდ „შენ რეცხავ“ მნიშვნელობისაა, არამედ „გარეცხე!“-საც ნიშნავს). მაგრამ ეს *-ma* სუფიქსიან წინადადებას არ ეხება. მაგალითი (21) ზმნათა წყვილებს წარმოგიდგენს, რომლებიც *-ma* და *-i* სუფიქსებს შეიცავს და თითოეული შეიძლება ითარგმნოს, როგორც ანმყოს, ისე წარსულის ფორმით:

(21) 'chthúl-ma.	'chthúl-i.	„მე ვრეცხავ“, „მე ვრეცხავდი“.
M-chthúl-ch-ma.	M-chthúl-ch-i.	„თქვენ რეცხავთ“.
		„თქვენ რეცხავდით“.
Vyám-ma.	Vyám-i.	„ის გარბის“, „ის გარბოდა“.
'úu-ch-ma.	'úu-ch-i.	„ისინი ხედავენ“, „მათ დაინახეს“
'thíi-ch-ma.	'thíi-ch-i.	„ჩვენ ვსვამთ“, „ჩვენ ვსვამდით“.

ტოლკაპაიას ზმნები, რომლებშიც არამომავლის სუფიქსი (*-ma*) და აბსოლუტივი (*i*) შედის, ყოველთვის ერთნაირ ფუნქციას არ ასრულებს, რასაც ქვემოთ მოცემული მაგალითები (22) გვიჩვენებს:

(22) M-úu-ma.	M-úu.	„შენ ხედავ“, „შენ დაინახე“.
Thíi-ma.	Thíi.	„ის სვამს“, „ის სვამდა“.

ისეთი ზმნები, როგორებიცაა *M-úu* და *Thíi* ((22) მაგალითის მეორე სვეტში), რომელთაც სუფიქსები არ ემატებათ, (21) მაგალითის მეორე სვეტში მოცემული *i* –სუფიქსიანი ზმნების ექვივალენტურია: ურთიერთკავშირი *-ma* და *-i* ზმნებს შორის (კვლავ (21) -დან) იმ ურთიერთკავშირის იდენტურია, რომელიც უსუფიქსო და *-ma* სუფიქსიან ზმნებს შორის (22) არსებობს. თუმცა, *-ma* სუფიქსი ანმყო/წარსული დროის ნებისმიერ ზმნაში შეიძლება გამოჩნდეს, *-i* სუფიქსი კი მხოლოდ ერთ გარკვეულ გარემოცვაში (ბგერათა, ან ბგერათა კლასის ერთ გარკვეულ წყობაში) გვხვდება, — *i* მხოლოდ თანხმოვანს შეიძლება მოსდევდეს (იხ. მაგ. 21), მაგრამ არა ხმოვანს. (იხ. მაგ. 22).

ქვემოთ ამ სიტუაციის გაანალიზების რამდენიმე გზაა შემოთავაზებული:

- შეგვიძლია მარტივად ვთქვათ, რომ ზმნის აბსოლუტივი ფორმა თანხმოვნების შემდეგ *-i*-ს დამატებით იქმნება და არა ხმოვნებზე რაიმე ელემენტის დართვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ანალიზის თანახმად, აბსოლუტივ მორფემას ორი სხვადასხვა ფორმა ანუ ალომორფი გააჩნია, რომლებიც სხვადასხვა ფონოლოგიურ კონტექსტში იხმარება.
- კიდევ ერთი გზა ასეთია: შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებობს ცალკე მდგომი აბსოლუტივი სუფიქსი *-i*, რომელიც ყველა აბსოლუტივ ფორმას ერთვის, მაგრამ შემდეგ იმ სიტყვებიდან ქრება, რომლებშიც მისი ჩართვა „ხმოვანი + ხმოვანი“ თანმიმდევრობის გაჩენას იწვევს (მაშასადამე, * *M-úui* და * *Thíi -i* ფორმები ტოლკაპაიაში გრამატიკულად გაუმართავია. ტოლკაპაიაში ორი ხმოვნის მეზობლობა დაუშვებელია.)
- თუმცა, გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ერთი მიდგომა, რომ აბსო-

ლუტივ ფორმებს ძირითადად დაბოლოება არ გააჩნიათ, მაგრამ *-i* სუფიქსის დართვის მიზანია თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნის ფორმების არიდება. (საქმე ისაა, რომ **chthúl*, **mchthúlch*, **vyám*, **úuch*, **thüich* ტოლკაპაიაში გრამატიკულად დაუშვებელი ფორმებია.)

ამ გრამატიკულ აღწერათაგან რომელს აირჩევს ლინგვისტი, ტოლკაპაიას სხვა ლინგვისტურ ფაქტებზე და გრამატიკის კონკრეტულ თეორიაზე დამოკიდებული. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში, ანალიზი წესის ვარიაციას აღწერს. ტოლკაპაიაზე მოსაუბრეებს ამ ენის თითოეული ზმნის აბსოლუტივი ფორმის დამახსოვრება სულაც არ სჭირდებათ: წესის თანახმად, ყველა აბსოლუტივი ზმნა წესიერია.

განიხილეთ ტექსტში ტოლკაპაიას წარმოდგენილი *-i* სუფიქსის სამი ანალიზი. თითოეული ისე გადმოწერეთ, რომ კონკრეტული წესი „თუ-მაშინ“ ფორმულირებაში მოექცეს. შემდეგ განიხილეთ ტოლკაპაიას ზმნის სტრუქტურის ასაღწერად შექმნილი შაბლონი (მაგალითში (20)) (და სახეცვლილი სავარჯიშოში 2.8), რომელშიც ზმნა და დრო სამიზნე კატეგორიებადაა წარმოდგენილი. როგორ ფიქრობთ: შეესაბამება თუ არა ეს შაბლონი ზემოთ შემოთავაზებულ თითოეულ ანალიზს? იმსჯელეთ და განიხილეთ თქვენი პასუხები.

სავარჯიშო
2.9

2.4.2 განპირობებული ვარიაცია

ტოლკაპაიაში აბსოლუტივი მორფემა *-i*-ს დისტრიბუცია (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი გამოჩენის თავისებურებები) განპირობებულ ვარიაციაზე მიუთითებს: ერთ გარემოცვაში (ან გარკვეულ პირობებში) ეს მორფემა ჩნდება, მეორე გარემოცვაში — არა. განპირობებული ვარიაცია მორფოლოგიური ვარიაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი შეიძლება გამოხატულ იქნეს მორფემის გამოჩენითა თუ არგამოჩენით (როგორც ტოლკაპაიას აბსოლუტივ ფორმებში) ან წარმოთქმის თავისებურებითა და შესაბამისი სხვაობით.

მაგალითად, ინგლისურ ენაში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი მორფემა *-s* ბგერათა სხვადასხვა გარემოცვაში განსხვავებულად ჟღერს. ახლა განვიხილოთ ბგერა *-s* (23) და (24) მაგალითებში:

(23) tap _____ taps, cat _____ cats, Reebok _____ Reeboks

(24) tab _____ tabs, cad _____ cads, bog _____ bogs.

ინგლისურ ენაში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ეს ჩვეულებრივი მორფემა ყოველთვის იწერება, როგორც *-s*, ან *-es*, და მრავლობით ფორმებში მას, როგორც (23)-ში, ყოველთვის [s] ბგერა შეესაბამება. (ლინგვისტები არსებული ბგერების გამოხატველ ფონეტიკურ ფორმებს მართხკუთხა ფრჩხილებში წარმოადგენენ.) თუმცა, მრავლობითი რიცხვის ნიშანი *-s* სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად ჟღერს. ეს სიტყვები რომ ისე წეროთ, როგორც გესმით, მაშინ მივიღებდით: *tabz*, *cadz*, *bogz*. ინგლისურ ენაში მრავლობითის აღმნიშვნელი მორფემა, როცა *b*, *d*, *g* და სხვა თანხმოვნებს მოსდევს, ჩვეულებრივ, სწორედ *-[z]*-დ გამოითქმის (ამის შესახებ მომდევნო თავებიდან შეიტყობთ). ესეც განპირობებული ვარიაციაა.

ამ ნიგნის მომდევნო თავებში ინგლისური თუ სხვა ენების მაგალითზე განპირობებული ვარიაციის ბევრ სხვა მაგალითს გაეცნობით.

2.4.3 თავისუფალი ვარიაცია

ზაპოტეკის ენის (მექსიკაში, ოახაკას შტატის ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელები) რევერენციული (პატივისცემის გამოხატველი) ზმნური ფორმები ვარიაციის სხვადასხვა ფორმის თვალსაჩინოებად გამოდგება. ზაპოტეკების მეტყველებაში, კერძოდ, ზმნაში პატივისცემის გამოხატველი ფორმები ამ თვალსაზრისით სხვადასხვა დონეებს ქმნის. ერთმანეთს შეადარეთ ამ ენის ფორმალური ზმნები (25) (რომელთა სუბიექტი შეიძლება იყოს მშობელი, ღვთისმსახური ან მასწავლებელი) და რევერენციული ზმნები (26) რომელთა სუბიექტი, ჩვეულებრივ, ღვთაებაა, ან სხვა წმინდა არსება თუ ცნება):

(25) R-a'ihsy-ëb. „მას (ფორმალური) სძინავს“.

R-zihby-ëb. „მას (ფორმალური) ეშინია“.

R-àa'izy-ëb. „ის (ფორმალური) არტყამს“.

R-e'ihpy-ëb. „ის (ფორმალური) ჰყვება“.

(26) R-a'ihsy-iny/R-a'ihsy-ni' „მას (რევერენციული) სძინავს“.

R-zihby-iny/R-zihby-ni' „მას (რევერენციული) ეშინია“.

R-àa'izy-iny/R-àa'izy-ny' „ის (რევერენციული) არტყამს“.

R-e'ihpy-iny/R-e'ihpy-ny'. „ის (ფორმალური) ყვება“.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები მოწმობს, *-ëb* ფორმალური ვერსიის დაბოლოებაა, ხოლო რევერენციული ფორმების დაბოლოებაა *-iny* ან *-ni*. ზაპოტეკზე მოსაუბრენი ორ ადექვატურ რევერენციულ ფორმას (რომლებიც ჩვენს მაგალითებში „/“ სიმბოლოთია ერთმანეთისგან გამოყოფილი) ერთმანეთისგან არ განასხვავებენ: ორივე დაბოლოება ნებისმიერ კონტექსტში იხმარება. ეს თავისუფალი ვარიაციის მაგალითია — მორფოლოგიური ვარიაციისა, რომელზეც განსაზღვრული პირობების შემქმნელი გარემო არ ზემოქმედებს. თავისუფალი ვარიაცია, როგორც წესი, ენებში უფრო ნაკლებ გავრცელებული მოვლენაა, ვიდრე განპირობებული ვარიაცია. თავისუფალი ვარიაციის სავარაუდო ნიმუშების შესწავლისას, ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათ მნიშვნელობებსა თუ ხმარებაში ოდნავი განსხვავებაა (უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ვარიაცია თავს გარკვეული ენების კონკრეტული სიტყვების გამოთქმისასაც იჩენს. ამაზე მომდევნო თავებში ვისაუბრებთ.)

სავარჯიშო 2.10

განვიხილოთ ჩიკასაუდან, ჩრდილოეთ ამერიკელი (ოკლაჰომას ტერიტორია) ინდიელების, მასკოგინების ენიდან მოყვანილი მაგალითები: ზმნები და მათი შესატყვისი, მრავლობითი რიცხვის პირველ პირში („ჩვენ“) მდგარი სუბიექტური ფორმა (ჩიკასაუს ორთოგრაფიაში ასოს ქვეშ ხაზგასმა იმაზე მიანიშნებს, რომ ბგერა ნაზალიზებულია, ანუ ცხვირისმიერად — ჰაერის ნაკადის ცხვირიდან და არა პირიდან გამოშვებით გამოითქმის):

afama	„შეხვედრა“.
bashli	„მოჭრა, გაჭრა“.
hilha	„ცეკვა“.
impa	„ჭამა“.
loshka	„ტყუილის თქმა“.
oochi	„ანთება, ცეცხლის წაკიდება“.
loshka	„ტყუილის თქმა ვინმეზე, დაბრალება“.
paska	„პურის გამოცხოვა“.
ilafama/kilafama.	„ჩვენ ვხვდებით მას“.
iibashli/kiibashli.	„ჩვენ ვჭრით მას“.
iihilha/kiihilha.	„ჩვენ ვცეკვავთ“.
ilimpa/kilimpa.	„ჩვენ ვჭამთ“.
iiishka/kiioishka.	„ჩვენ ტყუილს ვამბობთ“.
iloochi/kiloochi.	„ჩვენ ვანთებთ მას“.
il ^l loshka/kil ^l loshka.	„ჩვენ ტყუილს ვამბობთ მის შესახებ“.
iipaska/kiipaska.	„ჩვენ პურს ვაცხობთ“.

დაყავით ეს წინადადებები მორფემებად, შემდეგ კი ამ კითხვებს უპასუხეთ:

(ა) რას ფიქრობთ ამ წინადადებებზე დაკვირვების შემდეგ: როგორ გამოისახება ჩიკასაუს ზმნაში მხოლობითის მესამე პირში მდგარი ობიექტი (დამატება)?

(ბ) დაასახელეთ ჩიკასაუსი მრავლობითი რიცხვის პირველი პირის გამომხატველი პრეფიქსის ალომორფები (განსხვავებული ფორმები).

(გ) ჩიკასაუსი მრავლობითი რიცხვის პირველი პირის გამომხატველი პრეფიქსის ალომორფები თავისუფალი და განპირობებული ვარიაციის ნიმუშს წარმოადგენს. განმარტეთ, რომელი ალომორფები გვხვდება თავისუფალი ვარიაციის შემთხვევებში, და განმაპირობებელი ფაქტორიც დაასახელეთ.

ჩვენ რამდენიმე ისეთი შემთხვევა განვიხილეთ, სადაც ერთ მორფემას შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ალომორფი გააჩნდეს. ზაპოტეკის რევერენციულ მორფემას ორი ალომორფი: -iny და -ni' გააჩნია, ხოლო [s] და [z] ინგლისურ ენაში მრავლობითის აღმნიშვნელი მორფემის ორი ალომორფია (მიუხედავად იმისა, რომ დამწერლობაში ორივე ერთნაირად, -s ასო ბგერით გამოისახება. ტოლკაპაიას აბსოლუტივი მორფემის შემთხვევა უფრო რთულია: არის კი მისი ალომორფები -i და უნიშნო ფორმა? ასეთ შემთხვევაზე ზოგი ენათმეცნიერი იტყობდა, რომ აბსოლუტივ სუფიქსს -i ნულოვანი (ზერო) ალომორფი გააჩნია. (მოსაზრებას ნულოვანი მორფემების შესახებ მოგვიანებით გაეცნობით.)

2.4.4 პორტმანტო მორფოლოგია და ფუძემონაცვლეობა

ზოგჯერ სიტყვების მორფემებად დაყოფა უფრო რთულია, ვიდრე აქამდე მოყვანილ შემთხვევებში. ამ თავში (1) მაგალითად მოყვანილი შემთხვევა მის მსგავს წინადადებას (27) შევადაროთ:

- (1) The friends promised to inquire carefully about a schoolmaster for the fair Bianca. _ მეგობრები შეჰპირდნენ (ობიექტი დაუზუსტებელია), რომ მშვენიერ ბიანკას სკოლის დირექტორის შესახებ ცნობებს წვრილად შეუგროვებდნენ.

(27) The friends swore to inquire carefully about a schoolmaster for the fair Bianca. – მეგობრებმა დაიფიცეს, რომ მშვენიერ ბიანკას მასწავლებლის შესახებ ცნობებს წვრილად შეუგროვებდნენ.

(27) ძალიან ჰგავს (1)-ს, მაგრამ მორფოლოგიური ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ (27) ჩვიდმეტ მორფემას შეიცავს, (1) კი — თვრამეტს.

(27) The friend-s swore to inquire care-ful-ly about a school-master for the fair Bianca.

შეგვიძლია სიტყვა *promised* ორ მორფემად დავყოთ: *promise* დამატებული წარსული დროის ნიშანი *-ed*, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ “swore” swear ზმნის წარსული დროის ფორმაა, მისი მორფემებად დაყოფა რთულია. *swore* რთული სიტყვაა და ისეთ გრამატიკულ მორფემას შეიცავს, რომელიც შეგვიძლია ასე განვიხილოთ: ძირი (?feature) [+ წარსული დროის ნიშანი], მაგრამ ძირის დაყოფა შეუძლებელია, მისი არსებობა სიტყვაში *swore* მხოლოდ იმით მჟღავნდება, რომ სიტყვის *swear* ხმოვნები შეცვლილია.

ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია ამა თუ იმ სიტყვის ცალკეული ნაწილების გამოყოფა, რომლებიც მის კომპონენტურ მორფემებთანაა დაკავშირებული, თუმცა, სიტყვის შედგენილობა მაინც რთულად ითვლება. განვიხილოთ ის წინადადებები, რომლებიც წინადადება (1)-ის საფუძველზეა შედგენილი:

(28) I promised to inquire carefully about a schoolmaster for the fair Bianca. („ჭირვეულის მორჯულება“, I, იი, 162-163). — მე შევპირდი(ობიექტი დაუზუსტებელია), რომ მშვენიერ ბიანკას მასწავლებლის შესახებ ცნობებს წვრილად შევუგროვებდი.

(29) The fair Bianca promised to inquire carefully about a schoolmaster for me. მშვენიერი ბიანკა შეპირდა (შემპირდა და ა.შ. ობიექტი დაუზუსტებელია), რომ მასწავლებლის შესახებ ცნობებს წვრილად შემეგროვებდა.

(28) და (29) წინადადებების შედარება გვიჩვენებს, რომ პირველ პირში მოსაუბრის (*I, me*) გრამატიკული როლი და არსებითი სახელებისგან შემდგარი ფრაზა *the fair Bianca* ამ ორ წინადადებაში ერთმანეთსაა ჩანაცვლებული. (28) წინადადებაში *I* - „მე“ ნაცვალსახელი წინადადების ქვემდებარეა ქცეული, ხოლო (29) –ში მის ამ როლს ფრაზა *the fair Bianca* იღებს. წინადადება (28)-ში ცნობებს ბიანკასთვის აგროვებენ, (29)-ში კი — პირველ პირში მოსაუბრისთვის („მე“). ესენი არასუბიექტური (ქვემდებარეები) ფორმებია. (ტექნიკურ ენაზე — სუბიექტურ ფორმებს ნომინატივი, ანუ სახელობითი ბრუნვა ეწოდება, არასუბიექტურ ფორმებს — აკუზატივი ანუ ბრალდებითი ბრუნვა (ქართულ თარგმანებში ეს არასუბიექტური ფორმები ნათესაობით ბრუნვაში დგას)). თუმცა, იმის მიუხედავად, რომ სიტყვა *Bianca* ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, მოსაუბრე პირველ პირში წარმოდგენილია ნაცვალსახელით *I*, როცა ის სუბიექტია, როცა არასუბიექტური ფორმაა — ნაცვალსახელით *me*.

სავარჯიშო 2.11

დატოვებთ გამოტოვებული ადგილები წინადადებებში (28) და (29) სუბიექტური და არასუბიექტური ფორმების ჩასასმელად, ისე, როგორც ეს ზემოთ, (4) და (9) წინადადებებში გავაკეთეთ. ამ გამოტოვებულ ადგილებში (ჩარჩოებში) სახელებისგან შემდგარი ინგლისური ფრაზები ისევე მოქმედებს, როგორც სიტყვა *Bianca*: სუბიექტური იქნება, თუ არასუბიექტური ფორმა, ისინი ერთნაირად გამოიყურება. დაასახელეთ სხვა ინგლისური სიტყვები, რომლებიც *I* და *me*-ს მსგავს სიტუაციას ქმნის.

I და me ნაცვალსახელების მონაცვლეობა გვიბიძგებს, რომ ისინი რთულ სიტყვებად განვიხილოთ: I შეიცავს მხოლოდ რიცხვში მდგარი პირველი პირის ელემენტს დამატებული სუბიექტური ელემენტები, ხოლო me შეიცავს მხოლოდ რიცხვში პირველი პირის ელემენტებს + არასუბიექტური ფორმის ელემენტი. მაგრამ ვერ ვიტყვით, me ნაცვალსახელის რომელი ნაწილი გულისხმობს მხოლოდ რიცხვში მდგარ პირველ პირს და რომელი a- არასუბიექტურ ფორმას. მორფემას, რომელიც ერთზე მეტ შინაარსის მქონე ელემენტს შეიცავს, რომლის დანაწევრება შეუძლებელია, პორტმანტო მორფემა ეწოდება (სიტყვა „პორტმანტო“ ძველი ყაიდის ჩემოდნის დასახელებიდან მომდინარეობს, რომელიც განსაკუთრებულად ტევადი იყო).

განვიხილოთ რამდენიმე ზმნა ლახოტადან, სიუს ტომის ენიდან. ამ ენაზე სამხრეთ დაკოტას ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელები მეტყველებენ.

Pajája. „მან დაბანა (გარეცხა) ის“.

Wapájaja „მე დავბანე (გავრეცხე) ის“.

Yapájaja. „შენ დაბანე (გარეცხე) ის“.

Mapájaja. „მან დამბანა მე“.

Nipájaja. „მან დაგბანა შენ“.

(ა) იპოვეთ ერთი ლექსიკური და ოთხი გრამატიკული მორფემა ლახოტას ზემოთ მოყვანილ წინადადებებში. რას წარმოადგენენ ისინი და როგორია მათი მნიშვნელობა?

(ბ) როგორაა გამოხატული ლახოტაში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში მდგარი სუბიექტები და ობიექტები. განვიხილეთ სამი ახალი წინადადება ლახოტას ენაზე:

Mayápajaja. „შენ მბანდი მე“.

Chipájaja. „მე გბანდი შენ“.

(გ) პირველი წინადადება, როგორც ზემოთ, დავალება (ა)-ს შესრულებისას, მათი დანაწევრების შედეგად გაირკვა, სამ მორფემას შეიცავს. მეორე წინადადება შეიცავს პორტმანტო მორფემას. გამოყავით ეს მორფემა, განმარტეთ მისი მნიშვნელობა, და დაასახელეთ ის წინადადება, რომელსაც პორტმანტო მორფემის შემცველი წინადადების სანაცვლოდ მოელოდით.

(დ) დააკვირდით ლახოტას სიტყვებში მახვილების მდებარეობას და ჩამოაყალიბეთ მახვილის დასმის წესი ამ ენაში.

ცვლილება პარადიგმის ფარგლებში შეიძლება ძალზე მკვეთრიც იყოს: *be, is, am, was, were* და *are* _ ესენი ყველა ინგლისური ენის ზმნის *to be* პარადიგმის ნაწილია. იმის მიუხედავად, რომ ამ სიტყვებს შორის გარკვეული მსგავსებაც არსებობს, ისინი ინგლისური ენის მორფოლოგიის არცერთ დადგენილ წესს არ ექვემდებარება, როგორც ცხრილის 2.2 შემდგომ განხილვაში იყო აღნიშნული. სხვა ურთიერთდაკავშირებული სიტყვები ერთმანეთისგან მეტადაც კი განსხვავდება: რატომაა *went* ზმნა *go*-ს წარსული ფორმა და არა, ვთქვათ, **goed*? ან რატომ უნდა იყოს *good*-ის ზმნიზედა *well* და არა **goodly*? (ფორმისგან **goed* განსხვავებით, რომელიც სტანდარტული ინგლისურის სიტყვა არ არის, *goodly* გრამატიკულად გამართული სიტყვაა და, ალბათ, გიკვირთ, რატომაა იგი ტექსტში ვარსკვლავით აღნიშნული. საქმე ისაა, რომ *goodly* მართლაც რეალური სიტყვაა და „დიდს“, „მნიშვნელოვანს“ ნიშნავს, მაგრამ ზმნიზედის „კარგად“ მნიშვნელობას თუ მივიჩნევთ, გრამატიკულად გაუმართავ ფორმად გადაიქცევა — *“goodly”* მნიშვნელობით სიტყვას „კარგად“ არ უტოლდება. ამგვარად, ზოგ შემთხვევა-

ში, აღნიშვნა * ნიშნავს „გრამატიკულად გაუმართავს, ან არასწორს მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში და არა „სრულიად მიუღებელს ნებისმიერ კონტექსტში“).

არანესიერ ურთიერთდაკავშირებულ ფორმებს, როგორებიცაა *be* და *were*, *good* და *well*, *I* და *me* ფუძემონაცვლე სიტყვებს უწოდებენ, ხოლო პარადიგმაში ასეთი სიტყვების არსებობას ფუძემონაცვლეობა ჰქვია. მოყვანილი მაგალითები სრული ფუძემონაცვლეობის ნიმუშები იყო (ფორმაში *were* არც *be* ჩნდება და არც წარსულის ნიშანი *-ed*, ხოლო *well* ფორმა *good* ფორმას ან *-ly* ელემენტს არ შეიცავს). სხვა არანესიერი ფორმები, როგორებიცაა *buy* ზმნა და მისი წარსულის ფორმა *bought* (რომლის წარმოთქმა ცოტათი ამ ზმნის წარსულის მოსალოდნელ ფორმას **buyed* ნააგავს), ნაწილობრივი ფუძემონაცვლეობის ნიმუშებია. სრული ფუძემონაცვლეობის შემთხვევაში პარადიგმას მოსალოდნელი ძირეული ფორმა არ აქვს: ზმნაში *were be* ფორმის კვალი არ ჩანს, ფორმაში *well* კი-სახელისა *good*. ნაწილობრივი ფუძემონაცვლეობის დროს, ჩვეულებრივ, მისი ძირის გარკვეულ კვალს ვხედავთ, მაგრამ არც მას და არც მის აფიქსებს მოსალოდნელი ფორმა არ აქვთ.

საპარაფრაზი

2.13

არანესიერი ფორმები ხშირად შეიძლება პორტმანტო მორფემებად იქნეს მიჩნეული. გაარჩიეთ ქვემოთ მოცემულ წინადადებებში საზგასმული სიტყვები, თითოეული მათგანი შეიძლება პორტმანტოდ იქნეს განხილული. აღწერეთ თითოეული მორფემა, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას განსაზღვრავს. შემდეგ დაასახელეთ ის მოსალოდნელი ფორმა, რომელსაც თითოეული სიტყვა მიიღებდა, წესიერი რომ ყოფილიყო.

Take Antony Octavia to his wife, whose beauty claims no worse a husband than the best of men. (ანტონიუსი და კლეოპატრა, II, ii, 136-7)

In Aleppo once, where a Turk beat a Venecian, I smote him thus.

(შემოკლებულია. „ოტელო“, V, ii, 354 ფფ)

The Fault, dear Brutus, is not in our stars.

(„იულიუს კეისარი“, I, ii, 134)

Mice and rats and such small deer have been Tom's food.

(„მეფე ლირი“, III, iv, 142)

worse- bad („ცუდი“) ზედსართავის შედარებითი ფორმა.

best-good („კარგი“) ზედსართავის აღმატებითი ფორმა.

beat-ზმნის beat („დარტყმა, დამარცხება“) წარსულის ფორმა.

our _ ნაცვალსახელი „ჩვენი“

deer _ (აქ: ცხოველი) — კრებითი სახელი:

(ანალოგიური ფორმა: „ნადირი“)

ისეთი რთული მორფოლოგიის მქონე ენებში, როგორიც ინგლისურია, ნაწილობრივი ფუძემონაცვლეობის განმეორებადი მოდელები ხშირად გვხვდება. ანმყო-წარსული დროის ზმნის ფორმების მოდელები, რომლებიც (30)-ში მოტანილ ნიმუშებს ჰგავს, არანესიერი ზმნების ისეთი მოდელის (sub-regularity) თვალსაჩინოებას ქმნის, რომლებიც დადგენილ წესს არ მისდევს, მაგრამ გარკვეულ განზოგადოებას მაინც ექვემდებარება.

(30) sing____sang

ring____rang

ეს იმის გამო, რომ შემოკლებულ განმარტებაში დეფისების რაოდენობა ნიმუშში (სიტყვაში) მორფემებს შორის დასმული დეფისების რაოდენობას არ უტოლდება. (ასეთ მარტივ მაგალითში შეცდომის თავიდან არიდება ძნელია, რთულ განმარტებებში მორფემების სწორად განსაზღვრა შეიძლება ადვილი არ გამოდგეს.) ერთ-ერთი მიდგომა ასეთია: მორფემების დასაყოფად სიმბოლოს „+“ გამოყენება პორტმანტოს ან რთულად დასანაწევრებელი სიტყვის განმარტებებში:

(33') mice

mouse+მრავ.

ამ შემთხვევაში, + ნიშანი მორფემათა ზღვარის აღმნიშვნელი განსაკუთრებული ნიშანია, ისეთი, რომელიც მოსაუბრის გონებრივ ანალიზშიც არსებობს (ანუ სიტყვა გონებაშიც ასე ნაწევრდება), მაგრამ სიტყვის არსებული უმცირესი ნაწილების ერთმანეთისგან დანაწევრებისთვის მანაც არ გამოდგება.

სავარჯიშო 2.15

მიუხედავად იმისა, რომ ზაპოტეკიდან ნიმუშად მოყვანილი ზმნური ფორმები (34) ნაწილობრივ ან სრულ ფუძემონაცვლებას ამჟღავნებენ, ჩვეულებრივი და ბრძანებითი წინსართების დართვის მხრივ ეს ფორმები დადგენილ წესებს მისდევს. განიხილეთ (34)-ში მოცემული და ქვემოთ მოყვანილი დამატებითი მაგალითები:

ràann _	„იყურება“	gwàann _	„შეხედე!“
ra'un _	„ჭამს“	bda'uh _	„ჭამე!“
rcwààa'ah _	„ისერის“	bcwàaa'ah _	„ისროლე!“
rde's _	„სწევს (სიმძიმეს)“	bde's _	„ასწიე!“
rgùùu'b _	„წოვს“	bdùùu'b _	„მონოვე!“
rgùunny _	„ფხეკს“	blùunny _	„აფხიკე!“
rihah _	„მიდის“	gwehen _	„ნადი!“
rzah _	„დადის“	bzah _	„იარე!“

მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ზმნის (პირველი სვეტიდან) ან ბრძანებითი კილოს ზმნის (მეორე სვეტიდან) მაგალითზე შეუძლებელია გამოცნობა, ფუძემონაცველობასთან გვაქვს თუ არა საქმე. თუმცა, იმპერატიული (ბრძანებითი) პრეფიქსის (*b-* ან *gw-*) ალომორფს, რომელიც მოცემულ ზმნაში გვხვდება, გასაანალიზებელი ნიმუშის-მეორე ნაწილი გამოსაცნობს ხდის. ჩამოაპორეთ ის ზემოთ მოყვანილ ჩვეულებრივ და ბრძანებით ფორმებს, დააკვირდით ამ ზმნების ფუძეებს (*b-*, *r-* და *gw-* პრეფიქსების გამოკლებით) და დაადგინეთ ზოგადი წესი, რომელიც ახსნის, რომელი ფუძეები გვხვდება ბრძანებითი ფორმის მანარმოებელ *b-* ალომორფთან და რომელი — ბრძანებითი ფორმის მანარმოებელ *gw-* ალომორფთან.

ფუძემონაცვლე ფორმები სხვა ენებსაც გააჩნია — ამის საილუსტრაციოდ განიხილეთ ზაპოტეკის ჩვეულებრივი და ბრძანებითი ზმნური ფორმები, რომლებიც (34) მოცემულია მაგალითის პირველ და მეორე სვეტებში:

(34) r-zhìhby	„ეშინია“	b-zhìhby!	„შეშინდი!“
r-àa'ìzy	„არტყამს“	gw-àa'ìzy!	„დაარტყი!“
r-a'ìhsy	„სძინავს“	b-ta'ìhsy!	„დაიძინე!“

r-e'ihpy „ყვება, ამბობს“

gw-u'ahts! „მოყვი! თქვი!“

ამ მაგალითებში შეგვიძლია ამოვიცნოთ ჩვეულებრივი პრეფიქსი (r-) და ბრძანებითი ფორმის მანარმოებელი წინსართი (b- ან gw-).

ზმნების ფუძეები -zhihby და -à:a'izy ორივე პრეფიქსის დამატებისას უცვლელი რჩება. -a'ihisy/ta'ihisy ფუძეებს შორის არანესიერი კავშირია: აქ ნაწილობრივ ფუძე-მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. -e'ihpy /-u'ahts ფუძეებს შორის ნესიერი კავშირის არავითარი ნიშანი არ გვაქვს: ისინი სრული ფუძემონაცვლეობის ნიმუშს ქმნიან.

2.5 სიტყვების იერარქიული სტრუქტურა

2.5.1 იერარქია მორფოლოგიურ სტრუქტურაში

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ იყოფა რთული შედგენილობის სიტყვები ფუძედ და მასზე დართულ აფიქსებად. ის, თუ როგორ ერთვის ეს აფიქსები სიტყვებს ჩვეულებრივ სიტყვის იერარქიულ სტრუქტურას ავლენს, რომლის თანახმად, სიტყვას ზოგიერთი აფიქსი სხვებზე წინ უნდა დაერთოს. განვიხილოთ მაგალითი (35):

(35) happi-ness-es

დერივაციული სუფიქსი –-ness ნომინალიზერი (?), რომელიც ზედსართავი სახელისგან არსებით სახელს აწარმოებს, სიტყვის ფუძეს _ happi მრავლობითი რიცხვის მანარმოებელ -es სუფიქსამდე ერთვის. მორფემების ამ თანმიმდევრობას თავისი მიზეზი აქვს. მრავლობითის მანარმოებელი სუფიქსები არსებით სახელებს ერთვის და არა ზედსართავებს (ფორმის *happies არსებობა შეუძლებელია). ამგვარად, -ness დაბოლოება ძირს — happy უნდა დაერთოს, რათა –es სუფიქსის დართვამდე სიტყვა წარმოიქმნას.

არგუმენტები იერარქიული სტრუქტურის შესახებ მაშინაც ძალაში რჩება, როცა აფიქსები სიტყვის ძირს ორივე მხრიდან ერთვის. მარტივი მაგალითი განვიხილოთ:


(36) un-fasten-ed

დერივაციული მორფემა un- ისეთი ზმნის წარმოსაქმენლად გამოიყენება, რომლის მნიშვნელობა მისი ფუძის მნიშვნელობის საწინააღმდეგოა და მოსაუბრის ლექსიკონს ახალ სიტყვას ჰმატებს, მაშინ, როცა წარსულის ფლექსიური მორფემა –ed ისეთ სიტყვას აწარმოებს, რომელიც გარკვეული ტიპის წინადადებაში გამოიყენება, როგორიცაა, მაგალითად, *He unfastened his belt.*

უკვე აღვნიშნეთ, რომ დერივაციული მორფემები ფუძეს ფლექსიურ მორფემებამდე ერთვის, ამის გამო შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინსართი un- ფუძეს — fasten –ed ბოლოსართამდე ერთვის. სიტყვა fasten თავისთავად რთული შედგენილობისაა, ვინაიდან სიტყვა fast ინგლისური სიტყვის secure (გამაგრება, გაუსაფრთხოება) ძველი მნიშვნელობაა და –en კი დერივაციული სუფიქსი, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ქართული აფიქსების გა---ებ-ა(გამაგრება), და----ებ-ა (დაბნელება — dark-en) დამატება სიტყვის ძირზე. ეს მაგალითი ასევე გვიჩვენებს, რომ –ed ზმნის სუფიქსი ზედსართავ სახელს fast –en სუფიქსამდე არ დაერთვება, ვინაიდან ახალ ზმნას სწორედ ის ქმნის.


2.5.2 ხისებრი დიაგრამები

ენათმეცნიერები სიტყვის იერარქიული სტრუქტურის გრაფიკული წარმოდგენისთვის სწორედ ხისებრ გამოსახულებას იყენებენ. ზედსართავს *happy* არსებითი სახელის წარმოსაქმნელად *-ness* სუფიქსი უნდა დაერთოს, რაც გრაფიკულად ასე გამოისახება:




ასეთი განშტოება გვიჩვენებს, რომ ზედსართავი სახელი (ზედ.) გვერდით მოყვანილ სუფიქსს *-ness* ერწყმის, რომ ზემოთ მოცემული არსებითი სახელი (სახ.) წარმოქმნას. (სიტყვათა სხვა კლასების შემოკლებები — დავარქვათ მარკირებები (*labels*) ასეთია: ზმ. (ზმნა), გარ. (გარემოება), თან. (თანდებული), გან. (განსაზღვრება). გამოსახული ხის სამ პოზიციას: სახ, ზედ. და *-ness* კვანძები ეწოდება. —ნესს უკანასკნელი კვანძია, ვინაიდან იგი მოქმედი მორფემაცაა (არა მხოლოდ კლასისადმი კუთვნილების გამომხატველი კვანძი). კვანძი სახ. მაგალითში (37) დომინირებს კვანძებზე ზედ. და *-ness*. იგი ხის განშტოებაში მათზე ზემოთაა გამოსახული, ეს ორი კვანძი კი უშუალოდ მისგან მომდინარეობს.

უკანასკნელ კვანძად ზედ. კვანძის განხილვაც შეიძლება. მაგალითში (38) ზედ. — *happy* (ბედნიერი) ზედსართავს შეესაბამება:




აქ კვანძები ზედ. და *-ness* (ორიგინალში: *sister nodes*) ერთმანეთის ტოლი კვანძებია, მათი დედა კვანძი კი არის სახ. (ეს ტერმინოლოგია ადამიანის საგვარეულო, ან საოჯახო ხის ანალოგიითაა შექმნილი).

მსგავსად შეგვიძლია გამოვსახოთ არსებით სახელზე *girl* მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი მორფემის *-s* დართვა:




მაგალითში (39) სუფიქსის დამატებით სიტყვის კლასი არ იცვლება. ორივე სიტყვა: *girl* და *girls* არსებითი სახელია. რაკი სუფიქსი *-s* ფლექსიური მორფემაა, ის არ ცვლის იმ სიტყვის კატეგორიას, რომელსაც ერთვის.

ჩვენ ვიცით, რომ სიტყვაში *happiness* მრავლობითის მანარმოებელი მორფემა *-(e)s* ძირს *-ness* სუფიქსის შემდეგ ერთვის. მისი დართვის თვალსაჩინოდ ჩვენება ასე შეიძლება:




ეს სამი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ გამოხატავს გამოსახული ხისებრი სტრუქტურა სიტყვის იერარქიულ სტრუქტურას. სახელი *happiness* (ქვედა სახ. კვანძი განშტოებაში) მანამდე უნდა წარმოიქმნას, სანამ მრავლობითის ბოლოსართი *-es* დამატება.

რაც შეეხება სიტყვას *unhappinesses*. სად შეიძლება დამატებითი მორფემის — წინსართის *un-* დართვა? ამ კითხვაზე საპასუხოდ, გავიხსენოთ, როგორ გამოიყენება ეს წინსართი. იგი ზედსართავებსა და ზმნებთან გვხვდება — არსებით სახელებს არ ერთვის. ამგვარად, იმის მიუხედავად, რომ უნ- წინსართი არსებით სახელს *unhappinesses* თავში ემატება, იგი ჯერ ზედსართავს *happy* უნდა დაერთოს და წარმოქმნას სიტყვა *unhappy*:



მაგალითი (41) სიტყვისთვის *unhappinesses* სწორი ხისებრი სტრუქტურაა. მაგალითში (41) კი არასწორი სტრუქტურაა წარმოდგენილი:



მაგალით (41')-ში მოყვანილი სტრუქტურის „არასწორობის“ მიზეზი ისაა, რომ *un-* პრეფიქსი სახელს ერთვის, ეს კი წინააღმდეგობას ქმნის იმასთან, რაც ამ მორფემის დისტრიბუციის შესახებ ვიცით.

ხისებრი სტრუქტურები კომპონენტების მთლიანობას წარმოადგენენ. კონსტიტუენტი (კომპონენტი) ყველა იმ ელემენტს შეიცავს, რომელზეც ხის რომელიმე კვანძი დომინირებს.

ამგვარად, *un-*, *happy*, *-ness* და *-es* ელემენტები შეადგენენ კონსტიტუენტს (41)

მაგალითში, ვინაიდან ყველა ელემენტზე ამ ხისებრ სტრუქტურაში უმაღლესი ერთეული — არსებითი სახელი (სახ.) დომინირებს. (41) –ში *un-happy* კონსტიტუენტია, ვინაიდან *un-* და *happy* ელემენტებზე უმაღლესი ერთეული — ზედსართავი სახელი დომინირებს. მიუხედავად იმისა, რომ *happiness* სიტყვაა, მაგალითში (41) იგი არაა კონსტიტუენტი, ვინაიდან არცერთი ისეთი კვანძი არ გვაქვს, რომელიც ელემენტებზე *happy* და *-ness*, ან რომელიმე სხვა ელემენტზე დომინირებდეს. (პრეფიქსი *un-* ასევე იმ კონსტიტუენტის ნაწილია, რომელზეც (41)–ში უმაღლესი ერთეული — ქვედა არსებითი სახელი დომინირებს.)

სავარჯიშო 2.16

დახაზეთ ხეები სავარჯიშოს ძირში მოყვანილი ინგლისური სიტყვების სტრუქტურის ილუსტრირებისთვის. მოახდინეთ იმდენი კვანძის მარკირება, რამდენსაც შეძლებთ. თუ ხის დახაზვის ორი შესაძლო გზა არსებობს, ალტერნატიული ხეებიც დაურთეთ, აირჩიეთ, ორიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი. განმარტეთ, რატომ უნდა იყოს კონსტიტუენტების მთლიანობა მოცემულ ხეში ისეთი, როგორადაც თქვენ წარმოადგინეთ.

greener, kissed, driver, buildings, cowardly, unkindness, replays, anti-Trotskyite.

2.5.3 მარკირებების წარმოდგენა კვადრატულ ფრჩხილებში

სიტყვის (ვთქვათ, სიტყვისა *un-happi-ness-es*) სტრუქტურის წარდგენის კიდევ ერთი ხერხი შემოკლებული აღნიშვნების, ანუ მარკირების კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებაა:

(42) [სახ. [სახ. [un- [ზედ. *happy*]] –ness] –es]

თითოეული კლასის კვანძს ან კონსტიტუენტს საკუთარი კვადრატული ფრჩხილი გააჩნია (ასე: [.....]), რომელიც სათანადო კლასის კვანძის შემოკლებული აღნიშვნითაა მარკირებული. მარკირებების კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმა მოსახერხებელია, ვინაიდან ეს ზემოთ მოყვანილ ხეებზე უფრო ნაკლებ ადგილს იკავებს, მაგრამ თვალის ერთი შევლებით მათში გარკვევა შეიძლება უფრო რთული იყოს.

სავარჯიშო 2.17

გამოსახეთ ზემოთ, სავარჯიშო 2. 16–ში მოყვანილი ხეების მაგალითები კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული მარკირებების მეშვეობით.

2.6 პრეფიქსებისა და სუფიქსების მიღვა

სიტყვის ძირზე წინსართებისა და ბოლოსართების დართვის გარდა, სიტყვების წარმოება სხვაგვარადაც შეიძლება. ძირში შეიძლება ინფიქსებიც ჩაერთოს; ახალი სიტყვების წარმოება აფიქსაციის (პრეფიქსების, სუფიქსების და ინფიქსების დართვის) გარეშეც შეიძლება. მაგალითად, შეიძლება ორი სიტყვა ერთმანეთს მიუერთდეს და ახალი სიტყვა შერწყმის შედეგად იქნეს მიღებული. სწორედ ასევე, სიტყვის წარმოქმნა შეიძლება დამატებითი მორფემების გარეშეც შეიცვალოს, გაორმაგების ან აბლაუტის შედეგად.

2.6.1 ინფიქსაცია

პრეფიქსებისა და სუფიქსების რაობა ყველა ჩვენგანმა იცის, ვინაიდან ისინი ქართულ ენაშიც გვაქვს, მაგრამ აფიქსაციის სხვა სახეობებიც არსებობს. განვიხილოთ

აუსტრონეზიული ენიდან — ტაგალოგიდან ზმნის წარმოების ორი ტიპი. ქვემოთ ზმნების ფუძეები პირველ სვეტშია ჩამონერილი. მომდევნო ორი სვეტი კი იმ ზმნებს ეთმობა, რომლებიც ზმნის *mag* და *um* აფიქსების მეშვეობითაა წარმოებული. განვიხილოთ ეს მაგალითები და დავფიქრდეთ, სად უნდა იყოს ზღვრები მათ მორფემებს შორის.

ინგლისური ინფიქსი ჩანართი 2.5

ინფიქსები მსოფლიოს ენებში გაცილებით იშვიათადაა გავრცელებული. ინგლისურ ენას ჩვეულებრივი გრამატიკული მორფემები, რომლებიც ინფიქსაციას ექვემდებარება, არ გააჩნია. თუმცა, ინფიქსაციის მაგალითი ინგლისურშიც მოიპოვება, ქვემოთ მოცანილ ნიმუშებში ინფიქსაციის გავრცელებული მაგალითებია მოყვანილი:

- absofuckinglylutely*
- Massafuckingchusetts*
- morphofuckinglogical*
- antidisestablishmentfuckingtarianism*

ინგლისური ენის უცენზურო სიტყვა *fuck* (ან როგორც ზეპირ მეტყველებაში გათქვამენ — *fuckin'*), სხვა რამდენიმე მსგავს სიტყვის მსგავსად, შეიძლება ამგვარად ძალიან ბევრ სიტყვაში ჩაერთოს. (ინფიქსი *fuck* აფექტური მორფემაა — სიტყვას, რომელსაც ერთვის, ლექსიკურ მნიშვნელობას არ ჰმატებს, მაგრამ მისი ხმარება სიტყვით გამოხატული ცნებისა თუ მოვლენის მიმართ დამოკიდებულებას ააშკარავებს.) როგორც მაგალითი *Massafuckingchusetts* გვიჩვენებს, ინფიქსი *fuck* შეიძლება ერთი მორფემისგან შემდგარ მარტივ სიტყვებშიც იქნეს ჩართული — ცალ-ცალკე არც ელემენტს *massa* გააჩნია მნიშვნელობა და არც *chusetts*-ს. რაკი *fuck* ერთ მორფემას ჰყოფს, მაშინ ის ნამდვილი ინფიქსია, ისეთი როგორც ტაგალოგში — *um*. (ამგვარად, სიტყვის დაყოფა მძიმეებითაც შეგვიძლია, ამგვარად: *Massa, fuck, chusetts*).

ახლა გავარკვიოთ, როგორ ხდება ამ ინფიქსის ჩართვა სიტყვაში. ჩვენი მაგალითი მოწმობს, რომ მისი ჩამატება სიტყვის ნებისმიერ ადგილას არ ხდება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **Massfuckinachusets* და **Massachufuckingsetts* გრამატიკულად გაუმართავი ფორმებია. როგორც ზემოთ მოტანილი ოთხი მაგალითიდან დავრწმუნდით, ხმოვნების, თანხმოვნების და მარცვლების რაოდენობა ინფიქსამდე თუ ინფიქსის შემდეგ შეიძლება იცვლებოდეს. მაშასადამე, ინფიქსის *fuck* ჩართვის წესი განსხვავდება იმ კანონზომიერებისაგან, რომლითაც ტაგალოგში *um* ელემენტის ინფიქსირება ხდება. მისი ჩართვა სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის (ბგერების განლაგების)გათვალისწინებით კი არ ხდება, არამედ პროსოდიულ სტრუქტურას უკავშირდება: ინფიქსი *fuck* სიტყვის ძირითადი მახვილიანი მარცვლის წინ ერთვება. ამიტომაცაა, რომ იმ სიტყვებთან, რომლებსაც მახვილი პირველ მარცვალზე მოუდით, *fuck* პირველი მარცვლის, ანუ სიტყვის წინ გვხვდება.

fuck *Caesar*

იგივე ვარიანტი ისეთ სიტყვებთანაც არის შესაძლებელი, რომელთაც მახვილი პირველ მარცვალზე არ მოუდით:

- fuck* *Massachusetts*
- Massafuckingchusetts*

უფრო გრძელ ფრაზებში ორი ასეთი შესაძლებლობაც კი ჩნდება:
fuck *Julius Caesar*

Julius fucking Caesar

ორივე სიტყვას — *Julius* და *Caesar* მახვილი პირველ მარცვალზე მოუდის. მაგრამ ფრაზას *Julius Caesar*, ისევე როგორც ბევრ საკუთარ სახელს ან სახელებისგან შემდგარ ფრაზას, ძირითადი მახვილი სიტყვის *Caesar* (ფრაზის ბოლო სიტყვის) პირველ მარცვალზე მოუდის. ამიტომ შეიძლება *fucking* განთავსდეს როგორც მთელი ფრაზის წინ, ისე ფრაზის ძირითადი მახვილის წინ, რომელიც სიტყვის *Caesar* პირველ მახვილს გულისხმობს.

ჩვენ ' აღნიშვნა გამოვიყენეთ რათა ამ სიტყვებში გლოტალური ხშვის მდებარეობა მიგვეთითებინა. ეს ბგერა ჩვეულებრივ არ არის წარმოდგენილი ტაგალოგის სტანდარტულ დამწერლობაში; მისი არსებობა ისეთ სიტყვაში, როგორიცაა *mag'alis*, ჩვეულებრივ დამწერლობაში დეფისითაა გამოხატული: *'mag-alis*').

- (43) |*labas* | *maglabas* „გატანა, გაყვანა“ *lumabas* „გასვლა“
 | *pasok* | *magpasok* „შეტანა, შეყვანა“ *pumasok* „შესვლა“
 | *'alis* | *mag'alis* „მოშორება“ *'umalis* „დატოვება“
 | *hiwalay* | *maghiwalay* „ერთმანეთისგან *humiwalay* „განცალკევება“
 განცალკევებული“
 | *bili* | *magbili* „გაყიდვა“ *bumili* — „ყიდვა“
 | *'abot* | *mag'abot* „გადაცემა“ *'umabot* — „ხელის განწვედნა“

აშკარაა, რომ *mag-* პრეფიქსია, რომელიც პირველ სვეტში ჩამონერილ ფუძეებს ერთვის. მაგრამ *um* არც პრეფიქსია და არც სუფიქსი, ვინაიდან იგი ფუძეს შუაში მოუდის (ფუძის პირველი თანხმოვნის შემდეგ). მის მსგავს აფიქსებს ინფიქსები ეწოდება.

ინფიქსებს ხშირად თავში და ბოლოში დართული დეფისებით წერენ, იმის მისათითებლად, რომ ისინი სიტყვას დასაწყისში ან ბოლოში არ ერთვის, მაგრამ *-um-*ის მსგავსი ინფიქსების წერილობით გამოსახვის ამგვარი ტრადიცია ხანდახან დაბნეულობას იწვევს. თუ მორფემებს შორის არსებული ზღვარი *-um-* ინფიქსს წინ უსწრებს და უკან მოსდევს, მაშინ სიტყვის *lumabas* დანაწევრება ასეთნაირად შეგვიძლია: *l-um-abas*. ჩვენ ვიცით, რომ *um* ისეთი აფიქსია, რომელიც სხვა ზმნეებშიც გვხვდება. მაგრამ როგორია *l-* მორფემის, ან *-abas* მორფემის მნიშვნელობა? ეს ელემენტები მხოლოდ და მხოლოდ ნაწილია *labas* ფუძისა. სწორედ ამ მიზეზით, ზოგიერთი ენათმეცნიერი ინფიქსებს იმ მორფემებისგან, რომლებშიც ისინი ინფიქსირებულია, მძიმეების მემვეობით აცალკევებს (ჩვენი მაგალითის შემთხვევაში — *l, um, abas*) და არა მორფემებს შორისი ზღვრების აღსანიშნავ ტრადიციული სიმბოლოებით: და + . ჩანართი 2.5 კიდევ ერთ მაგალითს იძლევა, თუ როგორ შეიძლება ინფიქსის წინ და შემდეგ მდგარ ელემენტებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნდეთ.)

სავარჯიშო 2.18

ახლა განვიხილოთ ტაგალოგიდან მოყვანილი ზოგიერთი ზმნა, რომლებიც წინადადებაში მათი როლის მიხედვით შეიძლება სამი ფორმით იყოს წარმოდგენილი და პასუხი გაეცით ქვემოთ მოცემულ კითხვებს. თითოეული ზმნა გამოიყენება წინადადებაში, რომელშიც სამი არსებითი სახელია, მაგალითად, „კაცს ქალთან ბრინჯი მიაქვს“. მპო (მოქმედ პირზე ორიენტირებული) ზმნური ფორმები მაშინ გვხვდება, როცა წინადადებაში აქცენტი მოქმედ პირზე (სხვაგვარად, ქვემდებარეზე, სუბიექტზე) კეთდება.

ოო (ობიექტზე ორიენტირებული ზმნა) — ისეთ წინადადებაში გვხვდება, სადაც აქცენტი ობიექტზე (დამატებაზე) კეთდება; ხოლო მოქმედების მიმართულებაზე ორიენტირებული ზმნა – მმო — როცა ზმნაში აქცენტი მესამე პირზე ან კეთდება. ზემოთ მოყვანილ მაგალითში „კაცი“ მოქმედი პირია, „ბრინჯი“ — ობიექტი (აქ: პირდაპირი დამატება), ხოლო „ქალს“ — მოქმედების მიმართულების განმსაზღვრელი ობიექტი.

	მპო	ოო მ	მო
დაბრალება	magbintang	ibintang	pagbintangan
დაფუძნება	magbatay	ibatay	pagbatayan
დასესხება	humiram	hiramin	hiraman
გამოყვანა	mag'alis	'alisin	'alisan
მიყვანა	mag'akyat	i'akyat	'akyat
მინდობა	magbilin	ibilin	pagbibilan
მიცემა	magbigay	ibigay	bigayan
გადაცემა	mag'abot	i'abot	'abutan
შეთავაზება	mag'alok	i'alok	'alukin
აფხეკა	magkuskos	kuskusin	kuskusan
სიმღერა	umawit	awitin	awitan
სროლა	magbalibag	ibalibag	balibagin
სროლა	magpukol	ipukol	pukulin
მინერა	sumulat	isulat	sulatan

(ა) თქვენი აზრით, რომელმა მორფემებმა შეიძლება განსაზღვრონ მპო, ოო და მმო? (მათი სემანტიკური მნიშვნელობის დადგენას, ან იმის გაგებას, თუ რატომ გვხვდება კონკრეტულ ზმნაში ესა თუ ის კონკრეტული მორფემა, ნუ შეეცდებით.) დაახარისხეთ ისინი სუფიქსებად, პრეფიქსებად და ინფიქსებად. (უნდა შეძლოთ ტერმინ ცირკუმფიქსის გამოყენებაც. ცირკუმფიქსი ისეთი აფიქსია, რომელიც სიტყვის ძირს გარს ერტყმის.) მაგალითებიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ მორფემას სხვადასხვა ზმნასთან გამოყენების ორი სხვადასხვა წესი აქვს.

(ბ) როგორია თითოეული ზმნის ფუძე (ოთხ ზმნას ორი ალტერნატიული ფუძე აქვს. დაასახელეთ ისინი.)

(გ) ამ ალტერნატიული ფუძეების მონაცვლეობა გარკვეული პირობებით განისაზღვრება და ტაგალოგის ამ ზმნებში ბგერების მთლიან დისტრიბუციასზე დამოკიდებული. გამოთქვით საკუთარი ვარაუდი: რით არის განპირობებული ეს ვარიაციები? (ზემოთ მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით რამდენიმე ასეთი განმარტების მოყვანა შეიძლება).

(დ) როგორ ახსნით *um* აფიქსის ორ სხვადასხვაგვარ გამოყენებას, რომელსაც მაგალითში (ა) შეხვდით?

2.6.2 რთული სიტყვების, ანუ კომპოზიტების შედგენა

უფრო ნაცნობი მორფოლოგიური პროცესი, რომლის მეშვეობითაც ახალი სიტყვები წარმოიქმნება, რთული სიტყვების, ანუ კომპოზიტების შედგენაა. ამის თვალსაჩინოებისთვის ადრე მოყვანილი სიტყვის schoolmaster მაგალითი გამოდგება. შეადარეთ (44) მაგალითის პირველი სვეტის რთული სიტყვები მეორე სვეტში მოყვანილ ფრაზებს:

(44)	blackbird	black bird
	redwood	red wood
	hotdog	hot dog
	whitecap	white cap
	Deadhead	dead head

პირველ სვეტში თითო-თითო სიტყვაა მოცემული, მეორეში კი — ზედსართავისა და არსებითი სახლისგან შედგენილი ფრაზა. მეორე სვეტის ფრაზებს პირდაპირი მნიშვნელობა გააჩნია, რომლებიც კომპოზიციურად — ზედსართავისა და არსებითი სახელის მნიშვნელობათა შერწყმით არის შექმნილი, მაშინ, როცა პირველი სვეტის სიტყვებს განსაკუთრებული, ლექსიკური მნიშვნელობები აქვს, რომელიც მოსაუბრემ საგანგებოდ უნდა შეისწავლოს — *blackbird* (სიტყვა-სიტყვით: შავი ფრინველი) — შაში — შავი შეფერილობის ფრინველის ერთი კერძო სახეობაა, ხოლო როგორც ფრაზა *albino blackbird* („თეთრი შაში“) მოწმობს, ამ სახეობის ზოგი წარმომადგენელი შეიძლება შავი სულაც არ იყოს. *redwood* (სიტყვა-სიტყვით: წითელი ხე) ხის ერთი კონკრეტული სახეობაა (რომელიც შეიძლება სხვა შეფერილობის იყოს); *hotdog* (სიტყვა-სიტყვით: ცხელი ძაღლი) ძაღლის სახელობა არ არის; *whitecap* (სიტყვა-სიტყვით: თეთრი კეპი) თეთრი კეპი არ არის; *Deadhead* (სიტყვა-სიტყვით: მკვდარი თავები), როგორც ჯგუფ *Grateful Dead*-ის ფანები — მკვდრები არ არიან და ა.შ. მეორე განსხვავება მახვილებშია — ამერიკული ინგლისურის ისეთ ფრაზებს, რომლებიც ზედსართავისა და არსებითი სახელის შერწყმით არის წარმოქმნილი, როგორც ჩვენს მეორე სვეტში, როგორც წესი, ყველაზე მძიმე მახვილი არსებითზე მოუდით, ხოლო პირველ სვეტში მოცემულ კომპოზიტებს — პირველ ელემენტზე, ზედსართავზე.

ბევრი ინგლისური კომპოზიტი, რომლებსაც მახვილი პირველ მარცვალზე მოუდით, ერთ სიტყვად არ იწერება. ხანდახან სიტყვას *hotdog* ცალ-ცალკე — წერენ *hot dog*. ქვემოთ რამდენიმე ასეთი მაგალითია მოყვანილი (მახვილის მქონე სიტყვები მახვილითვეა დაწერილი):

(45) *cóld cream* (სახის კრემი) *cold créam* (ცივი კრემი)

Néw Year's (1 იანვარი) *new yéar's* (იგულისხმება მომავალი წელი)

ისეთი ფრაზები, როგორიცაა *cóld cream* და *Néw Year's*, პარალელს ქმნის *blackbird*, *redwood* და სხვა მსგავს კომპოზიტებთან. როგორც ეს მაგალითები მოწმობს, ინგლისური კომპოზიტები არაპროგნიზირებადია — თუ *Bigfoot* (იეტი — თოვლის კაცი) კომპოზიტია, რად არ ითვლება კომპოზიტად *bighand*? თუ არსებობს სიტყვა *blackbird*, რატომ არ არსებობს სიტყვა *brownbird*? თუმცა, ზოგიერთ სხვა ენაში კომპოზირება ან სიტყვათშერწყმის შესაბამისი პროცესი გრამატიკის ჩვეულებრივი ნაწილია (იხილეთ ჩანართი 2.6).

2.6.3 გაორმაგება

მორფოლოგიური ცვლილების კიდევ ერთი სახე, რომელიც აფიქსაციასთან არ არის დაკავშირებული, არის გაორმაგება, პროცესი, რომლის დროსაც მთლიანი სიტყვა ან მისი ნაწილი ორმაგდება, რათა სიტყვის მნიშვნელობის ცვლილებაზე მიუთითოს. მაგალითში (46) წარმოდგენილია ლახოტას ზოგიერთი ზმნა, რომელიც ფერებს უკავშირდება. (ნუ დაგაბნევთ ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ენაში (თუნდაც ინგლისურში) ფერების აღმნიშვნელი სიტყვები ზედსართავებია და არა ზმნები. ეს ენებს შორის არსებული

ერთ-ერთი განსხვავებაა.) პირველ სვეტში ჩამონერილი სიტყვები მხოლოდით რიცხვში მდგარ სუბიექტებთან იხმარება, ხოლო მეორე სვეტში გაერთიანებული სიტყვები — მრავლობით სუბიექტებთან:

(46) gí gígí	„ყავისფრად დაბრანვა“
ská	skaská „თეთრად ყოფნა“
shá	shashá „ნითლად ყოფნა“
thó	thothó „ლურჯად ან მწვანედ ყოფნა“
zí zízí	„ყვითლად ყოფნა“

ობიექტის შერწყმა

ჩანართი 2.6

შერწყმა, ჩვეულებრივ, კომპოზირების განსაკუთრებულ სახეობად ითვლება, რომლის დროსაც წინადადების ერთი ელემენტი მეორეს ერწყმის — უფრო ხშირად, ობიექტი — ზმნას, რის შედეგადაც ერთი სიტყვა წარმოიქმნება.

ობიექტის შერწყმა ინგლისური ენისთვის ჩვეულებრივი პროცესი არ გახლავთ. ისე ჩანს, თითქოს ინგლისური კომპოზიტები, ვთქვათ, *truckdriver* (სატვირთო მანქანის მძღოლი) ობიექტისა და ზმნისგან შედგება, მაგრამ სინამდვილეში ორივე ნაწილი არსებითი სახელია — ინგლისურში ზმნა **truckdrive* არ არსებობს. ზოგიერთის აზრით, ინგლისური სიტყვა *babysit* (*baby* — ბავშვი, *sit* — ჯდომა, დაახ. ძიძობა, ბავშვის მომვლელად მუშაობა) ობიექტის შერწყმის თვალსაჩინოებას წარმოადგენს. თუ ეს ასეა, მაშინ მისი მნიშვნელობა ძალიან უცნაური განსამარტია. რა შინაარსთან არის დაკავშირებული ეს სიტყვა — ბავშვის ჯდომასთან?

თქვენ როგორ ფიქრობთ? სამხრეთულ პაიუტში, ერთ-ერთ იუტო-აცტეკურ ენაში, რომელიც იუტასა და არიზონას შტატების ტერიტორიებზეა გავრცელებული, სახელო-ობიექტები ზმნებს ძალიან ხშირად ერწყმის. ქვემოთ ამის საილუსტრაციო მაგალითებია მოყვანილი.

paa „წყალი“;	tu’uma „ალება“;	paa-ru’uma „წყლის ალება“
	pīni „დანახვა“;	paa-vīni „წყლის დანახვა“
qwo’a-ppi „თამბაქო“;	tīqa „ჭამა“;	qwo’a-ttīqa „თამბაქოს ჭამა(მონევა)“
pagīu „თევზი“;	tīqa „ჭამა“;	pagīu-rīqa „თევზის ჭამა“
achi „მშვილდი“;	pīga „შენახვა“;	achi-ppi-ga „მშვილდის და მალვა, შენახვა“
quqqa-ppi „შეშა“;	maga „მიცემა“;	quqqa-mmaga „შეშის მიცემა“
	pīga „შენახვა“;	quqqa-ppi-ga „შეშის შეგროვება“;
	pīni „დანახვა“;	quqqa-ppi-ni „შეშის დანახვა“

პირველ სვეტში არსებითი სახელებია, მეორეში — ზმნები, მესამე სვეტში კი სახელებთან შერწყმული ზმნები. აშკარაა, რომ მესამე სვეტში ჩამონერილი ზმნები თითო-თითო სიტყვას წარმოადგენს.

პირველი: ეს ზმნები სახელთან შერწყმისას ფორმას დადგენილი წესისამებრ იცვლიან. სამხრეთ პაიუტის არსებით სახელთა ფუძეებში მომდევნო მორფემის პირველი თანხმოვანი ორმაგდება, ხოლო ზოგიერთი არსებითი სახელის ფუძეში მომდევნო მორფემის პირველი თანხმოვანი განსხვავებულად წარმოითქმის: ასეთ შემთხვევებში, ასო *t* გამოითქმის, როგორც *r*, ხოლო *p* — როგორც *v*. გაორმაგებული თანხმოვნები *r* და *v* სამხრეთ პაიუტში მხოლოდ ხმოვნების შემდეგ გვხვდება. ამასთან, ისინი არ გვხ-

ვდება სიტყვების დასაწყისში; ამგვარად, ამ ბგერების გამოჩენა ისეთი ზმნების თავში, რომელთაც ობიექტი აქვთ შერწყმული, მხოლოდ იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რომ ობიექტი-ზმნის კომბინაცია ცალკე მდგომ სიტყვებს ქმნის.

მეორე: ობიექტის როლში მდგომი არსებითი სახელი ფორმის თვალსაზრისით განსხვავდება, როცა ცალკე დგას და როცა შერწყმულია. მაგალითად, ზოგიერთი სუფიქსი, რომელიც დამოუკიდებელ სიტყვებად მყოფ არსებით სახელებთან იხმარება, როგორც სუფიქსი-ppi სიტყვებში „თამბაქო“ და „შეშა“, ზმნასთან შერწყმის დროს იკარგება. ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ პაიუტის წინადადებებში სიტყვათა თანმიმდევრობაში გარკვეული თავისუფლება დაშვებულია, ობიექტთან შერწყმულ ზმნებში თანმიმდევრობა მკაცრად არის განსაზღვრული და ყოველთვის ისეთია, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში. სპეციფიკური ცვლილებები, რომლებიც სამხრეთ პაიუტიში ობიექტთან შერწყმულ ზმნებთან გვხვდება, უმნიშვნელოა, ეს ცალკეული ფაქტები მონშობს, რომ ობიექტის როლში მდგარი არსებითი სახელები ზმნის ნაწილი ხდება.

მეორე სვეტში ჩამონერვილი სიტყვები სრული გაორმაგების შედეგად არის წარმოქმნილი: აქ მხოლოდითი რიცხვის საწყისი ფორმის მთლიან გადანერასთან გვაქვს საქმე, სულ ერთია, ერთი ხმოვნისა და ერთი თანხმოვნისგან შედგებაიგი (მაგალითად — *gí, zí, shá*), თუ ორი თანხმოვნისა და ხმოვნისაგან (როგორც სკჟ ან ტჟუ, რომელიც ტ ბგერით იწყება, შემდეგ კი გამოცალკეებული ბგერა ჰ მოსდევს).

გაორმაგების სხვა შემთხვევები წესს ნაკლებად ექვემდებარება. განვიხილოთ ერთ-ერთი იუტო-ატტეკური ენის (გავრცელების არეალი — ცენტრალური არიზონა), პიმას არსებითი სახელების მხოლოდითი და მრავლობითი ფორმები.

(47) მხოლოდითი მრავლობითი

gogs „ძალი“	gogogs „ძალები“
‘uvi „ქალი“	‘u‘uvi „ქალები“
jiosh „ღმერთი“	jijiosh „ღმერთები“
kun „ქმარი“	kuukun „ქმრები“
piigo „ძალაყინი“	pipgo „ძალაყინები“
toobi „ფუმფულაკუდიანი კურდღელი“	totobi „ფუმფულაკუდიანი კურდღლები“

როგორც ხედავთ, პიმაში მრავლობითი რიცხვის წარმოება მხოლოდ ნაწილობრივი გაორმაგების მეშვეობით ხდება (მხოლოდითის ფორმის მხოლოდ ნაწილის გადანერით) და წესს არ ექვემდებარება. ზოგიერთ შემთხვევაში, სიტყვის პირველი თანხმოვნის და ხმოვნის გადანერა ხდება, სხვა შემთხვევებში — მხოლოდ თანხმოვნისა. ზოგი ხმოვანი ბგერა გაორმაგების პროცესში მოკლდება, ზოგიერთი — პირიქით, გრძელდება. ამ ლექსიკური უნესრიგობების მიუხედავად (პიმაზე მოსაუბრეს თითოეული სახელის მრავლობითი ფორმა უნდა ახსოვდეს), ეს პროცესი მთელ ენას მოიცავს — პიმაში თითქმის ყველა არსებით სახელს გაორმაგებაზე დაფუძნებული მრავლობითი ფორმა აქვს, ისეთ სიტყვებსაც კი, რომლებიც პიმაში სხვა ენებიდან არის შესული (სიტყვები piigo და jiosh ესპანური ნასესხობებია — *pico* და *dios*).

გაორმაგებულ, თუ სხვა ისეთ სიტყვებს, რომელთა მორფოლოგიური ელემენტებისთვის მნიშვნელობების გამოძებნა რთულია, ლინგვისტები განსხვავებულ შემოკლებულ განმარტებებს უსადაგებენ. ქვემოთ რამდენიმე უკვე მოყვანილი სიტყვის

შემოკლებული განმარტებების მაგალითებია:

- (48) ა. pi-pგი „ძალაყინები“
გაორ.-ძალაყინი
- ბ. to-tბი „ფუმფულაკუდიანი კურდღლები“
გაორ.-კურდღელი

აქ ყოველ სიტყვაში მარცვლების გაორმაგებაზე მარტივად — გაორ. შემოკლების მეშვეობით მივუთითებთ. (კომპოზიტის შემადგენელი სიტყვების შემოკლებით განმარტებაც კი შეიძლება. ორსიტყვიანი ფრაზა „ფუმფულაკუდიანი კურდღელი“, რომელსაც პიმაში ერთი მორფემა შეესაბამება, შემოკლებულ განმარტებაში მხოლოდ ერთი სიტყვითაა („კურდღელი“) აღნიშნული. შემოკლებული აღნიშვნის სხვა ხერხი ასეთია: „ფუმფკურდ“.)

რაკი გაორმაგება მთლიანი სიტყვის ან მისი რომელიმე ნაწილის გამეორებას გულისხმობს, შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს ბევრ ენაში (ამის თქმა თითქმის დარწმუნებით შეიძლება) გაორმაგება ამ თუ იმ სახით მრავლობითი რიცხვის წარმოებას უკავშირდება: ზმნის სუბიექტს (ქვემდებარეს), როგორც ლახოტაში, ან არსებით სახელს (როგორც პიმაში), ან ზმნით გამოხატული მოქმედების სიხშირესა თუ განმეორებადობას.

ქვემოთ ტაგალოგიდან რამდენიმე ახალი ზმნის მაგალითი მოგვყავს: პირველი სვეტის ზმნებიდან გაორმაგებით ნაწარმოები ინტენსიური (უნდა ითარგმნოს სიტყვით „ხოლმე“, „მუდამ“, ან „ძალიან“) ზმნები მეორე სვეტშია მოცემული.

	ძირითადი ზმნები	ინტენსიური ზმნები
„გაკეთილშობილება“	buma'it	magpakaba'itba'it
„გამდიდრება“	yumaman	magpakayamanyaman
„საჭმლის მომზადება“	magluto	magluluto
„ატირება“	'umiyak	mag'i'iyak
„მოშვიება“	maggutom	magpakagutumgutom
„დამშვიდება“	magtahimik	magpakatahitahimik
„გაღება, გახსნა“	buksan	pagbubuksan
„გადაგდება“	'itapon	'ipagtatapon
„მგზავრობა“	maglakbay	maglalakbay
„სიარული“	lumakad	maglalakad

(ა) დაყავით ზემოთ მოყვანილი წინადადებები. (ბევრი მორფემა, რომელთაც ეს წინადადებები შეიცავს, ჩვენთვის ტექსტიდან და სავარჯიშო 2.18 –დან არის ცნობილი. შეგიძლიათ, იმავე სავარჯიშოში განპირობებული ვარიაციის მაგალითებსაც დააკვირდეთ.) გამოყავით თითოეული მორფემა და განსაზღვრეთ, რომელია ფუძე, პრეფიქსი, სუფიქსი, ინფიქსი, ან გაორმაგებული ელემენტი.

(ბ) ამოსავალი ზმნების რომელი ნაწილი ორმაგდება? გაათვალსაჩინოეთ ყოველი შესაძლო ვარიანტი სათანადო მაგალითებით.

(გ) წარმოებულ ზმნებში ორი სხვადასხვა ტიპის გაორმაგება გამოიყენება. ახსენით, რა სხვაობაა მათ შორის მორფოლოგიური (გაორმაგების პროცესის თავისებურე-

ბები) თვალსაზრისით და რა განსხვავებაა (თუკი არის) ორ სვეტში ჩამონერილ ზმნებს შორის?

(დ) ახლა სავარჯიშო (ა)-ში თქვენს მიერ გამოყოფილ მორფემებს მივუბრუნდეთ. ამ ელემენტთაგან რომლები უკავშირდება ამოსავალ ზმნებს და რომლები — წარმოებულ ინტენსიურ ზმნებს? არის თუ არა ამა თუ იმ აფიქსის არსებობა განპირობებული გაორმაგების გარკვეული ტიპით? რა აძლევს ინტენსივობის მნიშვნელობას წარმოებულ ზმნებს — გაორმაგება თუ რომელიმე სხვა ელემენტი? განმარტეთ თქვენი პასუხი.

2.6.4 აბლაუტი

მორფოლოგიური ცვლილების კიდევ ერთი სახე, რომელიც აფიქსების დართვას არ მოითხოვს, აბლაუტია, ერთი ბგერის მეორე, მასთან დაკავშირებული იმ ბგერით ჩანაცვლება, რომელიც მნიშვნელობის ცვლილებას გამოხატავს. ტერმინი აბლაუტი, ჩვეულებრივ, ხმოვანთა ცვლილების აღსანიშნავად გამოიყენება. ურთიერთდაკავშირებული ინგლისური სიტყვების წყვილები მაგალითში (49) და (50) ხმოვანთა აბლაუტის ნიმუშებს შეიცავენ:

(49) swear ___ swore, see ___ saw, run ___ ran, fight ___ fought.

(50) mouse ___ mice, tooth ___ teeth, man ___ men.

მაგალითში (49) აბლაუტი ზმნის წარსული დროის საწარმოებლად გამოიყენება (წარსული დროის ზმნები ანმყოს ფორმებისგან განსხვავებულ ხმოვან ბგერებს შეიცავენ), ხოლო (50)-ში — არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად (მრავლობითის ფორმებს მხოლობითისგან განსხვავებული ხმოვნები აქვთ). ხმოვანთა აბლაუტის შემთხვევათა უმეტესობა ინგლისურ ენაში ადრეული ხანის ისტორიულ პროცესს ასახავს, რომელიც უმლაუტის სახელით არის ცნობილი და გერმანიკული ჯგუფის ყველა ენას ახასიათებს.

განსხვავებული ენები აბლაუტს ერთმანეთის მსგავსად აწარმოებს. თვალსაჩინოებისათვის ტოლკაპაიას ზმნების შემდეგი აბსოლუტივი ფორმები განვიხილოთ:

(51) Pí. „ის კვდება“. P úuyi. „ისინი კვებიან“.

Qé. „ის არის წებოვანი“. Qáayi. „ისინი არიან წებოვანი“.

Náli. „ის ჩადის“. Náali. „ისინი ჩადიან“.

მეორე სვეტის მრავლობით რიცხვში მდგარი ზმნები ჩვეულებრივი სუფიქსაციის შედეგად, ანუ *-ch* სუფიქსის დართვით (როგორც 2.1. ცხრილშია ნაჩვენები) კი არ არის წარმოები, არამედ ფუძის ხმოვნის აბლაუტით (ანუ შეცვლით). პირველ სვეტში ჩამონერილი ზმნების ფუძისეული ხმოვანი ან სრულიად განსხვავებული ხმოვნით, ან დიფთონგით (*uay*-ის ან *aay*-ის მსგავსი კომბინაცია) იცვლება, ან სიგრძე იცვლება — მოკლე (ერთი) ხმოვანი გრძელი (გაორმაგებული) ხმოვნით.

ხმოვანთა აბლაუტი ხშირად არანესიერი პროცესია. არანესიერი ინგლისური მხოლობითი-მრავლობითი წყვილები, რომელთა მსგავსი (50) მაგალითში იყო წარმოდგენილი, შეგიძლიათ (52)-ში მოყვანილ წყვილებს შეადაროთ:

(52) spouse ___ spouses, booth ___ booths, can ___ cans

(52)-ში მოყვანილი მაგალითები მრავლობით რიცხვს წესიერად აწარმოებენ, მრავლობითის მანარმოებელი ჩვეულებრივი მორფემის – დართვით. (ზოგიერთი *th* ბგერას

სიტყვებში *booth* და *booths* სხვადასხვაგვარად წარმოთქვამს, მაგრამ მრავლობითის დაბოლოება წესიერია.) მხოლოდ რიცხვში მდგარი სამი სიტყვა (50) –ში საოცრად გავს მაგალითში (52) მოყვანილ მხოლოდ რიცხვის სამ სიტყვას, მაგრამ მრავლობითის სხვადასხვაგვარად აწარმოებენ — (52) –ში სახელები მრავლობით რიცხვს აბლაუტის მეშვეობით არ აწარმოებენ (ასე მაგალითად, **spice*, **beeth*, **cen* არაა მისაღები ფორმები). (50)-ის მაგალითებში მოსაუბრე, როგორც წესი, არსებით სახელთა მრავლობითი ფორმების მისაღებად –s სუფიქსს არ იყენებს (მისაღები ფორმები არც **mouses*, **tooths*, **mans* იქნება — შეიძლება ამ სიტყვათა მრავლობითის ასეთი მოულოდნელი ფორმები — *spice*, *mouses* ხუმრობის სახით წარმოთქმული გაიგოთ. იხილეთ ჩანართი 2.7)

**ჩანართი
2.7**

დამატებითი ცნობები ინგლისური ენის მრავლობითის შესახებ

სახელს *spouse*, *mouse* –სგან განსხვავებით, ხმოვნის აბლაუტით წარმოებულნი არანესიერი მრავლობითი ფორმა არ გააჩნია; ეს სიტყვა მრავლობითს წესიერად აწარმოებს, მრავლობითის სუფიქსის –s დართვით. მოსაუბრეებმა მრავლობითის ფორმა *spice* შეიძლება ხანდახან, ისიც ხუმრობით, იხმარონ ისე, თითქოს სახელს *spouse* არანესიერი მრავლობითი ჰქონდეს. რაკი ამ მოსაუბრეებმა იციან, როგორია ურთიერთკავშირი სიტყვებს *mouse* და *mice* შორის, მრავლობითის არანესიერად წარმოების ამ მოდელს ზემოთ მოტანილ სიტყვაზეც ავრცელებენ — ფორმის ანალოგიას ქმნიან.

mouse ____ *mice*, *spouse* ____ *spice*.

მაგრამ, ალბათ, არც ერთ მოსაუბრეს არ ჰგონია, რომ *spice* მრავლობითის გრამატიკულად გამართული ფორმაა. ასეთივე ანალოგია მოქმედებს არანესიერიდან წესიერი მრავლობითის წარმოქმნისას — რაკი

spouse შეესაბამება *spouses* ფორმას, *mouse* შეესაბამება *mouses*.

ზრდასრულმა ინგლისურენოვანმა მოსაუბრეებმა იციან, რომ *mouses* მრავლობითი რიცხვის გრამატიკულად გაუმართავი ფორმაა არსებითი სახელისა, რომელიც მცირე ზომის რუხ ან თეთრ მღრღნელს, თავს აღნიშნავს (თუმცა, ბავშვებისთვის ანიმაციური ფილმების ზოგიერთი პერსონაჟის გავლენით შეიძლება მთლად ასეც არ იყოს). ინგლისურ ენაში ადრე არსებით სახელებს აბლაუტის მეშვეობით წარმოებულნი მრავლობითის ფორმა გაცილებით მეტი ჰქონდა. ბევრი მათგანი გაქრა — რეგულარიზაცია განიცადა. რეგულარიზაცია ისეთი ცვლილებაა, რომელიც ენის ლექსიკონს ამარტივებს, ვინაიდან მისი წყალობით ადამიანს გაცილებით ნაკლები არანესიერი ფორმის დამახსოვრება უხდება.

ზოგიერთი ზრდასრული მოსაუბრე, რომელიც პატარა მღრღნელებს *mice*-ს უწოდებს, კომპიუტერის ატრიბუტებს სახელით *mouses* მოიხსენიებს. სხვა მაგალითებიც არსებობს: სახელის *leaf* (ფოთოლი) მრავლობითი ფორმა ყველა მოსაუბრისთვის არის *leaves*, მაგრამ ერთ-ერთ კანადურ სპორტულ გუნდს *Maple Leafs* („ნეკერჩხლის ფოთლები“) ეწოდება და არა *Maple Leaves*. ხშირად, როცა არსებითი სახელი ახალ მნიშვნელობას იძენს, ან თვისობრივად ახალ ფრაზაში გვხვდება, თავის არანესიერ ფორმას კარგავს და მრავლობითს წესიერად, –s ბოლოსართის მეშვეობით აწარმოებს.

სავარჯიშო 2.20

მაგალითი (49) ინგლისური ენის აბლაუტიანი წარსული დროის ზმნის ოთხ კატეგორიას წარმოგვიდგენს, სიტყვებს რომლებშიც მნიშვნელობის ცვლილების ერთადერთი მორფოლოგიური გამოხატულება ამ სიტყვათა მახვილიანი ხმოვნის შეცვლაა. იპოვეთ წარსული დროის აბლაუტის სულ მცირე ხუთი ახალი ტიპი და ზმნის ფუძისეული ხმოვნის ცვლილების მიხედვით დაახარისხეთ. (შეიძლება 2.14 სავარჯიშოს შესრულებისას უკვე ამოიცანით ისინი.) შემდეგ შეეცადეთ ცვლილებათა თქვენს მიერ ამოცნობილი ტიპებისთვის რამდენიმე დამატებითი ნიმუში მოძებნოთ. (ეს შეიძლება ყოველი მაგალითისთვის არ იყოს შესაძლებელი.) ცვლილების თქვენს მიერ აღმოჩენილი თითოეული ტიპისთვის ისეთი ზმნის მოძებნა სცადეთ, რომლებიც ჟღერადობით თქვენს ზმნას ჰგავს, მაგრამ წარსულის ფორმას წესიერად აწარმოებს (შეადარეთ (52)-ის არსებითი სახელების მრავლობითებს და დაუპირისპირეთ (50) –ში მოტანილ ნიმუშებს).

ინგლისურენოვანმა მოსაუბრეებმა იციან, როგორ იწარმოება არსებით სახელთა მრავლობითი და ზმნების წარსული დროის ფორმები. არსებითი სახელი ან ზმნა, რომელიც ამ დადგენილ წესებს არ ექვემდებარება, როგორც (49) და (50) მაგალითებში მოყვანილი აბლაუტიანი სახელები და ზმნები, ლექსიკონში გამონაკლის შემთხვევებად უნდა იქნეს აღნიშნული, მოსაუბრეს კი მათი არანესიერი მრავლობითი და წარსული დროის ფორმები ზეპირად უნდა ახსოვდეს. სწორედ ისე, როგორც ინგლისურზე მოსაუბრეებს დასამახსოვრებელი აქვთ არანესიერი წყვილები, ვთქვათ, *ran—run*, ტოლკაპაიაზე მოსაუბრეებს კი *Pí _ Púuyi-*ის მსგავსი წყვილები უნდა ახსოვდეთ.

მორფოლოგიური აბლაუტი შეიძლება თანხმოდანა ბგერებმაც განიცადონ (იხილეთ ჩანართი 2.8)

ჩანართი 2.8

თანხმოდანა აბლაუტი

ქვემოთ სამხრეთ კალიფორნიის ტერიტორიაზე გავრცელებული იუტო-აცტეკური ოჯახის ენის, ლუისენიოს მაგალითები მოგვყავს:

<i>chóri</i>	„გახერხვა“ <i>chódi</i> „გახერხვა (მცირე ზომის ობიექტის)“
<i>kúuri</i>	„გატყავება“ <i>kúudi</i> „გატყავება (მცირე ზომის ცხოველის)“
<i>ngári</i>	„შეკვრა“ <i>ngádi</i> „შეკვრა (მცირე ზომის ობიექტის)“

ლუისენიოში *r* ბგერის *d*-თი შეცვლა (ეს სიტყვა ისევე გამოითქმის, როგორც *th* სიტყვაში *that*), როგორც წესი, იმაზე მიუთითებს, რომ ზმნის ობიექტი მოსალოდნელზე მცირე ზომისაა. (ამ ტიპის ცვლილებას შეგვიძლია ბგერითი სიმბოლოზში ვუწოდოთ.)

ახლა ინგლისური ენიდან ზოგ ისეთ მაგალითს გთავაზობთ, რომლებიც თანხმოდანთა აბლაუტს წარმოაჩენს.

(არსებითი სახელები)	(ზმნები)
<i>house</i> (სახლი)	<i>house</i> (დასახლება, ბინის მიჩენა)
<i>life</i> (სიცოცხლე)	<i>live</i> (ცხოვრება)
<i>teeth</i> (კბილები)	<i>teethe</i> (კბილების ამოსვლა)
<i>bath</i> (აბაზანა)	<i>bathe</i> (ბანაობა)

პირველ სვეტში არსებითი სახელებია ჩამონერილი, მეორე კი ისეთ ზმნებს შეიცავს,


რომელთა მნიშვნელობა პირველი სვეტის სახელებს ეყრდნობა, გარკვეულწილად მათ ქონას, გამოყენებას ნიშნავს. პირველ ორ წყვილს უკანასკნელ თანხმოვნად ს და ტ თანხმოვნები აქვს. მათ შესატყვის ზმნებს (მეორე სვეტში) დაბოლოებად ბგერა [ზ] (აქ, ისევე როგორც ადრე განხილულ მრავლობით ფორმებში ინერება ს) და ვ თანხმოვნები აქვთ. მეორე სვეტში გაერთიანებული ზმნები კონსონანტური (თანხმოვნისეული) აბლაუტის მეშვეობით იწარმოება. ეს თანხმოვნის გამოთქმის წესის ისეთი სისტემური შეცვლაა, რომელიც მორფოლოგიურ ცვლილებას უკავშირდება.

ორი უკანასკნელი წყვილის წევრებსაც მსგავსი პროცესი აკავშირებს. როცა ამ სიტყვებს ხმამაღლა წარმოვთქვამთ, კარგად ჩანს, რომ პირველი და მეორე სვეტის *th* კომპლექსი ერთანირად არ უღერს: არსებით სახელებში ეს კომპლექსი ისევე უღერს, როგორც სიტყვაში *thin* მაშინ, როცა ზმნების შემადგენლობაში *th* კომპლექსი ისე უღერს, როგორც სიტყვაში *then*. (იციტ, რომ ინგლისურ ენაში *th* კომპლექსი ორ განსხვავებულ ბგერას განასახიერებს? ეს ის შემთხვევაა, რომელიც ინგლისური ენის დამწერლობის გარკვეულ შეუსაბამობას ამჟღავნებს, რაზეც საუბარი იყო 2.3 ჩანართში. ბგერებსა და ასოებს შორის ურთიერთკავშირს შემდგომ, ფონეტიკისადმი მიძღვნილ თავში ჩავუღრმავებთ.)

2.7 სათაო სიტყვა და იერარქია

გარკვეული ტიპის მორფოლოგიური სტრუქტურების გამოსახვა ზემოთ მოყვანილი ხისებრი დიაგრამების მეშვეობით ძალიან რთულია. ძნელია, მაგალითად, ინფიქსებისა და აბლაუტისთვის ადგილის მიჩენა სიტყვის ელემენტების დონეებად გამოსახვისას (მათ სიტყვებს მარჯვენა ან მარცხენა კიდეთან ასე მარტივად ვერ დაურთავთ). მიუხედავად იმისა, რომ გაორმაგების პროცესი სიტყვის ბოლოში ელემენტის დამატებადაც შეიძლება განვიხილოთ, მისი გამოსახვა ხისებრი სტრუქტურის ფარგლებში ძალზე ძნელია, ვინაიდან ის, რაც ემატება, ერთ რომელიმე მორფემად გამოცალკევებას არ ექვემდებარება — აქ საქმე გვაქვს ცვლილებასთან, რომელიც გაუორმაგებელი სიტყვის ფორმაში ხდება.

თუმცა, ინგლისური კომპოზიტები (განყოფილება 2.6) ხისებრი სტრუქტურებით ადვილად შეიძლება გამოსახოს. განიხილეთ შემდეგი დიაგრამები:



churchyard (ეკლესიის ეზო; *church*(ეკლესია) + *yard*(ეზო)) სახელი-სახელი შედგენილობის კომპოზიტია: იგი გარკვეული დანესებულების ეზოს აღნიშნავს და შეიძლება მისი სხვა სიტყვის ანალოგიით, მაგალითად, *jailyard* (საპატიმროს ეზო; *jail* - ციხე, საპატიმრო) წარმოება. როგორც ჩვენს ტექსტში ადრეც აღინიშნა, *blackbird* -აგრეთვე არსებითი სახელი, ზედსართავი-ზმნის შერწყმით მიღებული კომპოზიტია, რომელიც გარკვეული სახეობის ფრინველს აღნიშნავს. *Babysit* სახელი-ზმნის კომბინაციით მიღებული კომპოზიტია, რომელიც გარკვეული აზრით, ბავშვთან ჯდომას (მეთვალყ-


ურეობას) აღნიშნავს. ყოველი კომპოზიტის მეორე სიტყვა (მაგალითში (53) ხაზგასმულია), რომელიც კომპოზიტის ფართო მნიშვნელობას და სიტყვათა კლასს აზუსტებს, კომპოზიტის სათაო სიტყვად იწოდება. ინგლისურში სათაო სიტყვა ყოველთვის კომპოზიტის ბოლოში დგას, ხოლო სათაო სიტყვის კლასი ისეთივეა, როგორც მთელი შედგენილი სიტყვისა.

სათაო სიტყვით დაბოლოების პრინციპი მოსაუბრეს იმ უცნობი კომპოზიტების მნიშვნელობის გაგებას უადვილებს, რომლებიც მისთვის ნაცნობი სიტყვებისგან შედგება. თუკი ვინმემ თქვენს გასაგონად *bed house* (*bed* –სანოლი, *house* –სახლი) ახსენა, გაგიჭირდებათ თქმა, რას ნიშნავს ეს სიტყვა: სახლს, რომელიც სანოლს ჰგავს, თუ სახლს, რომელშიც ბევრი სანოლია, ან იქნებ ისეთ სახლს, რომელშიც ერთი, განსაკუთრებული მნიშვნელობის სანოლი დგას, მაგრამ ის კი გეცოდინებათ, რომ უცნობი სიტყვა სახლს აღნიშნავს, ვინაიდან კომპოზიტის მეორე, ანუ სათაო სიტყვის *house* იდენტიფიცირება შეგიძლიათ. ინგლისური ენის წესების თანახმად, კომპოზიტი *bed house* სახლის ფორმის სანოლს ვერ აღნიშნავს, ვინაიდან, თუ საუბარი რაიმე სახის სანოლზეა, ასეთ შემთხვევაში სათაო სიტყვა *bed* უნდა იყოს, სიტყვების განლაგება კი ასეთი — *house bed*.

კომპოზიტი უფრო რთული შედგენილობისაც შეიძლება იყოს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

(54) California history teacher

ეს ფრაზა შეიძლება კალიფორნიის ისტორიის მასწავლებელსაც ნიშნავდეს და ისტორიის მასწავლებელსაც, რომელიც კალიფორნიიდან არის, ან ამ შტატთან არის დაკავშირებული (სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობის ასე დალაგებას: *teacher of California history* პერიფრაზი ეწოდება.) თუმცა, ორივე შემთხვევაში, კომპოზიტი გარკვეული წარმოშობის თუ სფეროს მასწავლებელს ეხება. ამ კომპოზიტის ორგვარი ინტერპრეტაციისთვის შეგვიძლია შემდეგი დიაგრამები შევადგინოთ:



მაგალითში (55ა) კომპოზიტი *California history* (რომლის სათაო სიტყვა არის *history*) სათაო სიტყვას იცვლის. (55ბ) –ში კომპოზიტის *history teacher* სათაო სიტყვად *teacher* გვევლინება, რომელიც, თავისთავად, უფრო დიდი კომპოზიტის *California history teacher* სათაო ელემენტია და სიტყვით *California* განისაზღვრება. ორივე იერარქიული დიაგრამა 2.5 განყოფილებაში განხილული დიაგრამების მსგავსი სტრუქტურის ილუსტრირებაა. მათი გამოსახვა კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული მარკირებებითაც შეიძლება. მაგალითი (56) ზემოთ, (55)–ში გამოსახული ერთ-ერთი ხისებრი დიაგრამის ამგვარ გამოსახულებას წარმოადგენს — დაადგინეთ რომლის:

(56) [[[California] საბ. [history] საბ.] საბ. [teacher] საბ.] საბ.

განიხილეთ სახელი-სახელი-სახელი შედგენილობის შემდეგი ინგლისური კომპოზიციები და კომპოზიტიური ფრაზები. ზოგი მათგანი მხოლოდ ერთი ლოგიკურად შესაძლებელი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება, მაშინ, როცა სხვების ინტერპრეტირება რამდენიმე გზით. ჩამოთვალეთ ეს კომპოზიციები ყველა შესაძლო ინტერპრეტაციით და ახსენით (პერიფრაზის მეშვეობით), თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანი. მათთვის, რომელთაც ერთადერთი გონივრული ინტერპრეტაცია შეესაბამებათ, დაასახელეთ ეს სტრუქტურა და შემდეგ განმარტეთ, როგორი იქნებოდა თქვენს მიერ უარყოფილი სხვა ინტერპრეტაციების მნიშვნელობა. აღწერეთ ყველა სირთულე, რომელიც ამ პროცესში შეგხვდათ.

წყალმომარაგების კონტრაქტორი კომპანია, ხელოვნების დამფასებელთა კურსები, თმის მოვლის საშუალებები, ამერიკული ინგლისურის ლექსიკონი, ლინგვისტიკის ფაკულტეტის სამდივნო, ერთადერთი მწარმოებელი კომპანია, ფოთის სანაოსნოს საორგანიზაციო სტრუქტურა, ელექტრონული ტექნიკის შეკეთების ცენტრი, რამდენიმე ხელი ტანსაცმელი, დედა მარტორქა, ერთი თავი ყველი, შექსპირის სონეტების მეტრი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

2.8 სიტყვების სტატუსი

2.8.1 სიტყვათა ზღვრები და კლიტიკა

ამ თავამდე ჩვენ მივიჩინედიტ რომ ფრაზის სიტყვებად დაყოფა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. როგორც ინგლისურზე მოსაუბრენი, სიტყვათა დამწერლობის წესს ხშირად ვეყრდნობით (კერძოდ, სიტყვათა შორის სივრცეების არსებობა ჩვენთვის საკმარისია, რომ ორი სიტყვა ერთმანეთისგან გამოვყოთ). ამგვარად, „სიტყვის“ ჩვენში გავრცელებული ცნება ნაწილობრივ ენის დამწერლობას ეფუძნება. თუმცა, დამწერლობაზე ორიენტირებამ ხანდახან შეიძლება შეცდომამდეც შეგვიყვანოს და მცდარი ანალიზი გაგვაკეთებინოს. როგორც ვნახეთ, სიტყვები *cold cream* (სიტყვასიტყვით — ცივი ნალები, მაგრამ სახის კრემს ნიშნავს) და *blackbird* (სიტყვასიტყვით — შავი ფრინველი) განსხვავებულად იწერება (ერთი დაშორებით, მეორე — მის გარეშე), მაგრამ ისინი მსგავსად გამოითქმის და ისეთი კომპოზიციებია, რომლებიც ანალიზს ექვემდებარება. ისეთი ფრაზები, როგორცაა *cold cream* ფუნქციონირებს, როგორც ერთი ფონოლოგიური სიტყვა. სიტყვებს *cold* და *cream* შორის დაშორება ისეთი სიტყვათა-შორისი ზღვარი როდია, როგორც ინგლისურის დამწერლობის სიტყვათა უმეტესობას შორის არსებობს. ზედსართავი *cold*, რომელსაც ფრაზა *cold cream* (სახის კრემი) შეიცავს, ისეთ შედარებას არ ექვემდებარება, როგორსაც ზედსართავთა უმეტესობა, ან როგორსაც ზედსართავი + სახელი ფრაზა *cold cream* (ამ შემთხვევაში არა სახის კრემი, არამედ ცივი ნალები), რომლის შედარებითი ფორმა იქნება *colder cream*. ასეთი შედარებითი ფორმა ვერ ექნება ფრაზას *cold cream* (სახის კრემი).

ხშირად მცირე ზომის გრამატიკული მორფემები ისეთ ცალკეულ სიტყვებად იწერება (და მოიზრება), რომლებიც ერთიან ფონოლოგიურ სიტყვად გამოითქმის ლექსიკურ მორფემასთან ერთად იმავე ფრაზაში. ინგლისური *cold cream*-ის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსხვავებას მათ გამოთქმაში ამ ფონოლოგიური სიტყვის წარმოქმნა განაპირობებს, რასაც გამოხატავენ ინგლისური არტიკლები. განვიხილოთ

განსაზღვრული არტიკლი *the*. როცა ეს სიტყვა ცალკე გამოითქმის და არა როგორც ფრაზის ნაწილი, იგი *he* ნაცვალსახელს ერითმება. როცა მას თანხმოდანით დაწყებული სიტყვის წინ ვხმარობთ, მაგალითად, ფრაზაში *the fire engine*, მისი ხმოვანი რედუქციას განიცდის (ანუ ბგერა მოკლდება, როგორც სიტყვის *sofa* უკანასკნელი ხმოვანი). ის რომ ხმოვნის წინ იდგეს, მაგალითად, *the engine*, გამოთქმაში ცვლილება პრაქტიკულად არ მოხდებოდა, მაგრამ ძალიან სწრაფ მეტყველებაში ამ არტიკლის ხმოვანი შეიძლება მთლიანად დაიკარგოს და დაახლოებით მივიღებთ: *th'engine*. ალბათ, შეგვიძლია *the* არტიკლის რედუქცირებული გამოთქმა, რომელიც ცალკე არ იხმარება, მის მომდევნო სიტყვასთან ერთად ფონოლოგიურ სიტყვად ჩავთვალოთ, თუმცა, წერილობით ფორმაში, ზოგიერთ ლექსსა და სიმღერას თუ არ ჩავთვლით, *the* არტიკლი ყოველთვის დამოუკიდებელ სიტყვად წარმოგვიდგება. (მსგავსი შემთხვევა გვაქვს ინგლისური განუსაზღვრელი არტიკლის *a/an* ხმარების დროსაც. იხილეთ ჩანართი 2.9.)

the არტიკლის მსგავსი მორფემების სხვა სიტყვებზე ფონოლოგიურ გადაბმას კლიტიკიზაცია ეწოდება. კლიტიკიზაცია, როგორც პროცესი, ჩვეულებრივი აფიქსაციისგან განსხვავდება, ვინაიდან ისეთი კლიტიკები, როგორც *the* არტიკლია, სხვა სიტყვასთან მიბმას ფრაზაში ფიქსირებული პოზიციაზე ახდენს და სიტყვათა ამა თუ იმ კლასის წევრებს გამორჩევით არ ებმის. არტიკლები *the* და *a* არსებითი სახელებისგან შემდგარი ფრაზის წინ ჩნდება, მაგრამ მათი მდებარეობა მხოლოდ არსებითი სახელის წინ დგომით არ შემოიფარგლება. არსებითის (*the dagger* – ხანჯალი) გარდა, იგივე პოზიცია შეიძლება ეკავოს ზედსართავს (*the big dagger* — დიდი ხანჯალი), ზმნიზედას (*the very big dagger* — ძალიან დიდი ხანჯალი), ან არსებით სახელს ნათესაობით ბრუნვაში (ინგლისურში — *genitive*) (*the king's dagger* — მეფის ხანჯალი — იხილეთ ჩანართი 2.10.).

კლიტიკიზაციას ექვემდებარება როგორც სიტყვისმაგვარი ელემენტები *the* და *a* ის დამოკიდებული მორფემები, როგორიცაა *-s*. ეს ინგლისური მორფემები სახელებისგან შემდგარ ფრაზას კიდებიდან ერთვის. კლიტიკიზაციის კიდევ ერთ სახეობას ინგლისურ ენაში შემოკლება წარმოადგენს. ამის მაგალითია *-s, is* ზმნური ფორმის შეკვეცილი ფორმა, რომელიც ისეთ წინადადებაში გვხვდება, როგორიცაა *He's going*.

ჩანართი 2.9

ცვლილება სიტყვათშორისი ზღვრების აღქმაში: ხელახალი დაყოფა და *an* არტიკლი.

What's her name?

Nell, sir, but her name and three quarters, that's an ell and three quarters, will not measure her from hip to hip.

(„შეცდომათა კომედია“, III, იი, 107-111)

„ქალს რა ჰქვია?“

ნელი გახლავთ, ბატონო, მაგრამ მისი სახელის სამი მეოთხედი, ელი (სიგრძის საზომი ერთეული, დაახ. 113 სმ.-ს უდრის) და ზედ კიდევ ელის სამი მეოთხედიც რომ დავუმატოთ, მას თეძოდან თეძომდე არ მისწვდება“.

ერთ-ერთი ცვლილება, რომელიც ენის განვითარების პროცესში შეიძლება მოხდეს, არის ხელახალი დაყოფა. ამ დროს მოსაუბრის აღქმაში იცვლება წარმოდგენა სიტყვათშორისი თუ მორფემათშორისი ზღვრების მდებარეობის შესახებ. ხელახალ დაყოფას უფრო ხშირად ისეთი სიტყვები ექვემდებარება, რომლებიც განუსაზღვრელი არტიკლით იხმარება.

ეს განუსაზღვრელი არტიკლი თანხმონის წინ *a* ფორმით დგას, ხოლო ხმონის წინ — *an* ფორმით. როცა მომდევნო სიტყვა *n* თანხმონით იწყება, ბგერათა შემდგომი თანმიმდევრობა მსმენელისთვის შეიძლება ძნელად აღსაქმელი გამოდგეს. წარმოდგინეთ, რომ ვინმე გპასუხობთ: “*it’s anell*”- გაგიჭირდებათ იმის ზუსტად თქმა, თუ რა იგულისხმა ამის მთქმელმა: “*it’s a Nell*” („ნელი გახლავთ”(სახელი)) თუ “*it’s an ell*” (ელი — სიგის საზომი ერთეული). შექსპირი და სხვა ინგლისელი, თუ ინგლისურენოვანი მწერლები ბგერათა ასეთ დამაბნეველ ბმაზე სიტყვათა თამაშს აგებდნენ.

განუსაზღვრელარტიკლიანი სიტყვების ხელახალმა დაყოფამ *n*-ზე და სხვა თანხმონებზე დანყებული ზოგიერთი ინგლისური სიტყვის ფორმის ცვლა გამოიწვია. მეფე ლირის მასხარა, სიტყვის *uncle* (ბიძა) ნაცვლად *nuncle*-ს ამბობს („მეფე ლირი“, 3, IV, 109). ბრიტანული ინგლისურის ზოგიერთ დიალექტზე მოსაუბრენი ამ სიტყვას ჯერაც ამგვარად გამოთქვამენ, რაც იმას მოწმობს, რომ მოცემული ფორმის წარმოქმნა ოდესღაც *un uncle* ფორმის მცდარმა აღქმამ და ხელახლა დაყოფამ გამოიწვია. საპირისპირო შემთხვევებიც გვაქვს: სიტყვის *an apron* (წინსაფარი) უწინდელი მართებული ფორმა *a napron* იყო, მაგრამ მოსაუბრეთა არასწორმა აღქმამ მას ადრინდელი ფორმა უცვალა. (მსგავსი სიტყვა — *napkin* (ხელსახოცი) ისევ მსგავს სიტუაციაზე მიუთითებს — განუსაზღვრელი არტიკლის *n* ბგერა სიტყვის ფუძის შემადგენელ ბგერად იქნა ჩათვლილი.) როგორც ეს მაგალითები მოწმობს, ხელახალი დაყოფა შეიძლება ორივე მიმართულებით მოხდეს.

კლიტიკები ბევრ სხვა ენას გააჩნია. ისინი სხვა ფრაზის, ან წინადადების სტრუქტურას ერთვის. მაგალითად, ზაპოტეკში კლიტიკა –“*zhyi*” წინადადების პირველ ელემენტს (პირველი სიტყვის ან ფრაზის) ებმის და „უნდა“ ცნებას, ინგლისურში “*must*” სიტყვის მიერ შემატებული მნიშვნელობას შეესაბამება (და მოსაუბრის მიერ კაკეთებულ დასკვნას გამოხატავს):

(57) *bangual-zhyi’ náa Gyeeihly.* „მიხილი მოხუცი უნდა იყოს.“

მოხუცი უნდა იყოს მიხილი

ეს მაგალითი გვიჩვენებს, როგორ მიეწერება შემოკლებული განმარტებები ერთზე მეტი სიტყვის შემცველ ლინგვისტურ მონაცემს. როგორც ჩანართ 2.3-ში არის აღნიშნული, სიტყვების, ისევე როგორც მორფემების და დეფისების რაოდენობა შემოკლებასა და თვითონ მონაცემში ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. ამგვარად, შემოკლებული განმარტება ჩვეულებრივი თარგმანისგან („მიხილი მოხუცი უნდა იყოს“) უნდა განსხვავდებოდეს, ვინაიდან თარგმანი შინაარსს გადმოსცემს, მაგრამ მონაცემის შემადგენელი სიტყვებისა და მორფემების თანმიმდევრობას და რაოდენობას იშვიათად ასახავს.

ზაპოტეკში (57) მაგალითისმაგვარ წინადადებებში სიტყვათა თანმიმდევრობა შეზღუდული არ არის, ამის გამო მოცემული წინადადება მისი სამი სიტყვიდან (*bangual-zhyi’* ერთი სიტყვაა) ნებისმიერით შეიძლება დაიწყოს.

მორფემა –‘s ინგლისურ ენაში

This is a guy that I had a very peasant time working with’s form of grief about me not working with him any more.

„ამ ადამიანთან მუშაობისას დრო ძალიან სასიამოვნოდ გავატარე და ძალიან ცუდი

ჩანართი
2. 10

იქნება (ძალიან ვიდარდებ), თუ მასთან მუშაობა მეტად აღარ მომიწევს“.

მსახიობ ველ კილმერის ინტერვიუდან, „ლოს ანჯელეს თაიმსი“, 1997 წლის 3 აპრილი.

ინგლისურ ენაში კუთვნილების აღმნიშვნელ და სახელებისგან შემდგარ ფრაზებში მფლობელის, ანუ გენეტივ ბრუნვაში (ნათესაობითი) მდგარ სიტყვას მორფემა –‘s დაერთვის. იგი წინადადებაში რამდენჯერმე შეიძლება შეგვხვდეს:

*Bianca's schoolmaster
my father's dagger
Love's Labour's Lost
your friend's mother's dog's collar . . .*

ამ მაგალითებში –s (ინგლისურ ენაში მას წინ აპოსტროფი (‘) უძღვის) ყოველთვის იმ სახელს მოსდევს, რომელიც მფლობელს ასახელებს. ამგვარად, იგი ჰომოფონური ინგლისური –s სუფიქსის პარალელურ ფორმას ჰგავს (ეს სუფიქსი აპოსტროფის გარეშე იწერება):

schoolmasters; fathers; dogs

მაგრამ უფრო რთულ გამონათქვამებში, როცა მფლობელის აღმნიშვნელ სიტყვას მსაზღვრელი ფრაზა მოსდევს, –s შეიძლება ისეთ სიტყვას მოსდევდეს, რომელიც მფლობელს არ აღნიშნავს. მაგალითად, მომდევნო მაგალითში მფლობელია *King*, მაგრამ s მთლიან ფრაზას მოსდევს:

*King of England:
The King of England's subjects* („მეფე ჯონი“, II, I, 267)

როცა სახელის შემდეგ მდგარი მსაზღვრელი ფრაზა ქვეწყობილი წინადადების შემადგენელი დამოკიდებული წინადადებაა, მორფემა –s შეიძლება თითქმის ნებისმიერი კლასის სიტყვას მოსდევდეს — ზმნას, ზმნიზედას, ნაცვალსახელს, ზედსართავს (ან თანდებულს, როგორც ზემოთ, კილმერის ინტერვიუდან მოყვანილ ფრაზაში ვნახეთ — რომელიც შეიძლებოდა ასეც დაწყებულიყო: *This is a form of grief about me not working with him any more of a guy that I had a very peasant time working with*):

*the girl I saw's flowers
the girl I saw yesterday's flowers
the girl who helped me's folwers
the girl who was helpful's folwers*

ასეთი ნათესაობითი ბრუნვის ფრაზები წერილობით ინგლისურში „უხეშ“ ფორმებადაა მიჩნეული, მაგრამ ზეპირ მეტყველებაში კი ძალზე გავრცელებულია (მათი შემჩნევა ძნელი არაა!).

ეს მაგალითები მოწმობს, რომ ნათესაობითი –‘s მრავლობითი რიცხვის ნიშან –s-ისგან განსხვავებულად იხმარება. ფრაზის *King of England* მრავლობითი **King of Englands* კი არაა, *Kings of England* იქნება. იმისთვის, რომ შემდეგი ფრაზების: *girl I saw; girl we were talking about; girl who helped me* მრავლობითი ვანარმოთ, –s მრავლობითის ნიშანი სიტყვას *girl* უნდა დაეურთოთ (*girls I saw; girls who helped me*). მრავლობითის ნიშანს –s ადგილს მთელი ფრაზის შემდეგ, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები, ვერ მიუჩინთ:

**But there were two girl I saw yesterdays!*

მათი მსგავსების მიუხედავად, მრავლობითის ნიშანი -s სუფიქსია (რომელიც ერთადერთი ლექსიკური კლასის სიტყვებს, არსებით სახელებს ერთვის), მაშინ, როცა ნათესაობითის -'s კლიტიკაა, ვინაიდან იგი სახელებისგან შემდგარი და მფლობელის აღმნიშვნელი ფრაზის დამაბოლოებელ ნებისმიერ სიტყვას ერთვის. თუმცა, ორივე -s მორფემა დამოკიდებული მორფემაა, ვინაიდან ისინი მათ წინ მდგარ სიტყვას უნდა დაერთოს და დამოუკიდებლად მათი წარმოთქმა შეუძლებელია.

როგორც ტექსტში იქნა აღნიშნული, ინგლისურ ენაში ისეთი შემოკლება, როგორც ცაა 's (*is* ან *has* ზმნების შემოკლება), კლიტიკაა, ისევე, როგორც ნათესაობითის 's. ინგლისური ენის კიდევ რამდენი შემოკლება გახსენდებათ? აირჩიეთ ერთ-ერთი მათგანი და ჩანართ 2.10-ში მოყვანილი მაგალითების მსგავსად თვალსაჩინოდ აჩვენეთ, რომ ეს შემოკლება სხვადასხვა ლექსიკური კლასის სიტყვებს მოსდევს.

სავარჯიშო
2. 22

თითოეულ შემთხვევაში კლიტიკა -zhyi' პირველ ელემენტს მოსდევს:

- (58) Gyeeihlly-zhyi' náa banguual.
- Náa-zhyi' Gyeeihlly banguual.

-zhyi' კლიტიკაა თუ სუფიქსი, წინადადებაში მისი ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება დადგენა. ამ მაგალითებში ან ზედსართავ სახელს (*banguua*) მოსდევს, ან არსებითს (ქვემდებარეს, რომელიც საკუთარი სახელით არის წარმოდგენილი — *Gy-eeihlly*), ან კიდევ — ზმნას (*náa*). მისი პოზიცია განპირობებულია არა მის წინ მდგომი სიტყვის კლასით, არამედ სიტყვათა თანმიმდევრობით მთელს წინადადებაში.

იმის მიუხედავად, რომ კლიტიკა-დართული სიტყვები სრულ ფონოლოგიურ სიტყვებად შეიძლება განვიხილოთ, ისინი ამ თავის წინა გვერდებზე განხილული ლექსიკური სიტყვებისგან უნდა იქნეს გამოცალკევებული. ისეთ სიტყვებს, როგორცაა ინგლისური *king's* ან ზაპოტეკის *banguualzhyi'* ამ ორი ენის ვერცერთ ლექსიკონში ვერ იპოვიოთ.

2.8.2 ლექსიკონი

ნებისმიერ ენაზე მოსაუბრეს გააჩნია საიმისო ცოდნა, რომ დაუსრულებელი რაოდენობის წინადადებები აწარმოოს (ამაზე პირველ თავში იყო საუბარი, ხოლო სინტაქსისადმი მიძღვნილ თავებში ეს საკითხი უფრო დანვრილებით იქნება განხილული). ამ თავში ბევრი მაგალითი შეგხვდათ, თუ როგორ იგება სიტყვა ძირზე მორფემების დართვით. თუმცა, დაუსრულებელი რაოდენობის სიტყვებს არც ერთი ენა არ შეიცავს. წინადადების სტრუქტურისგან განსხვავებით, სიტყვის სტრუქტურა შეზღუდულია: ყოველ ენას გრამატიკული მორფემების შეზღუდული (თუმცა, ხანდახან საკმაოდ დიდი) მარაგი აქვს. ესა თუ ის მორფემა, ჩვეულებრივ, სიტყვაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება.

ყოველი მოსაუბრის ლექსიკონი შეიცავს ფუძისეულ სიტყვებს (რომლებიც მოსაუბრისთვის ცნობილია) — არსებით სახელებს, ზმნებს, ზედსართავებს და ა.შ. — რომელთაც პროდუქტიული ფლექსიური და დერივაციული გრამატიკული მორფემები ემატება (მოსაუბრისთვის ცნობილია, როგორ დაურთოს ისინი ამ ფუძისეულ სიტყვებს). ისეთი ენისთვის, როგორც ინგლისურია, ყველა იმ ცალკეული ლექსიკური სიტყვის ჩამოთვლა, რომელიც მოსაუბრის ლექსიკონში შედის, წარმოდგენ-

ლია. ფუძისეული სიტყვების რაოდენობა, რომლებიც მეტნაკლებად ყველა საშუალო სტატისტიკურმა მოსაუბრემ იცის, დაახლოებით 60 000 –ია, მაგრამ თითოეულ ამ სიტყვას ფლექსიური ფორმის განსაზღვრული რაოდენობა გააჩნია. ამაზე I ნაწილშიც იყო საუბარი (თუმცა, იხილეთ, ჩანართი 2.10).

ინგლისურისგან განსხვავებით, ზოგიერთ ენას იმდენი პროდუქტიულად წარმოებული სიტყვა (განსაკუთრებით, ზმნები) გააჩნია, რომ უკლებლივ ყველას ლექსიკონში განთავსება წარმოუდგენელი იქნებოდა. მაგალითად, ჩვენ უკვე განვიხილეთ ზაპოტეკის ისეთი ზმნები, რომლებიც განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. მაგალითებში (25) და (26) ზაპოტეკის ფორმალური და რევერენციული სუბიექტური ზმნური ფორმები გავარჩიეთ. როგორც გავარკვიეთ, ზაპოტეკში მხოლობითი რიცხვის მესამე პირში მდგომი ზმნის ფორმების ექვსნაირი სახეობა არსებობს, რომლებიც ფორმალბისა (მოქმედი პირისადმი დამოკიდებულებისა) და დისტანციის მიხედვით იცვლება. ზაპოტეკზე მოსაუბრეს ზმნის ფორმის შერჩევა კონტექსტის მიხედვით შეუძლია. ამ ენას გააჩნია მხოლობითი რიცხვის მეორე პირში მდგარი ფორმები (კვლავ: ფორმალური და რევერენციული, როგორც ბევრ ევროპულ ენაში) და მხოლობითის პირველი პირის ერთი ფორმა, რომელიც ჯამში თითოეული ზმნისთვის მხოლობითი რიცხვის ცხრა სუბიექტურ ფორმას ქმნის, მრავლობითის ფორმების შესაბამისი რაოდენობით. მეცხრამეტე უნიშნო ფორმა მაშინ გამოიყენება, როცა ზმნის სუბიექტი არის კითხვითი სიტყვა „ვინ“, ან ისეთი არსებითი სახელი, როგორიცაა „კაცა“. ქვემოთ ჩვეულებრივი ზმნის *“rguè’ez”* („მოხვევა“, — ეხვევა, ეხუტება) სრული პარადიგმაა მოცემული:

(59) r-guè’ez	„ეხვევა...“ (უნიშნო)
r-guè’ez-a’	„მე ვეხვევი...“
r-guè’ez-yuu’	„შენ (მხოლობითი ფორმალური) ეხვევი...“
r-guè’ez-ùu’	„შენ (მხოლობითი არაფორმალური) ეხვევი...“
r-guè’ez-iny	„ის (რევერენციული) ეხვევა...“
r-guè’ez-èb	„ის (ფორმალური) ეხვევა...“
r-guè’ez-ahzh:	„ის (თავაზიანი) ეხვევა...“
r-guè’ez-èng	„ის (შორიახლო მყოფი) ეხვევა...“
r-guè’ez-ih	„ის (დაშორებული) ეხვევა...“
r-guè’ez-èmm	„ის (ცხოველი) ეხვევა...“
r-guè’ez-ènn	„ჩვენ ვეხვევით...“
r-guè’ez-yud	„თქვენ (მრავლობითი ფორმალური) ეხვევით...“
r-guè’ez-ad	„თქვენ (მრავლობითი არაფორმალური) ეხვევით...“
r-guè’ez-riny	„ისინი (რევერენციული) ეხვევიან...“
r-guè’ez-rèb	„ისინი (ფორმალური) ეხვევიან...“
r-guè’ez-rahzh:	„ისინი (თავაზიანი) ეხვევიან...“
r-guè’ez-rèng	„ისინი (შორიახლო მყოფნი) ეხვევიან...“
r-guè’ez-rih	„ისინი (დაშორებულები) ეხვევიან...“
r-guè’ez-rèmm	„ისინი (ცხოველები) ეხვევიან...“

(59)-ში წარმოდგენილ ამ 19 განსხვავებულ ფორმას თუ შევადარებთ, ანმყო დროის ინგლისურ ზმნებს მხოლოდ ორი განსხვავებული ფორმა აქვს (*hugs* – მხოლობითი რიცხვის მესამე პირი და *hug* — ორივე რიცხვის სხვა დანარჩენი ფორმები); ყველაზე არანესიერ ზმნას (*be*) კი — სამი (*am* - მხოლობითის პირველი პირი; *is* - მხოლობითის

მესამე პირი, *are*-მხოლობითის მეორე და მრავლობითის ყველა პირი). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ევროპული ენა ლოგიკურად ათ განსხვავებულ ფორმად იყოფა, ერთმანეთისგან მათი სრული დიფერენცირება არასდროს ხერხდება. ზაპოტეკის ზმნების სირთულე კი სუბიექტების (59) მაგალითში წარმოდგენილი დიფერენცირებით არ ამოიწურება. ზაპოტეკში ზმნას ექვსი ასპექტი (გრამატიკული დროის მონათესავე კატეგორია) გააჩნია, რომლებიც, თავის მხრივ, ფორმების მრავალფეროვნებას იწვევს. (59) მაგალითის წინადადებებში ჩვეულებრივი ასპექტის ნიშანი *r-* პრეფიქსია. გარდა ამისა, არსებობს ზმნიზედებისა და კიდევ სხვა მრავალი სუფიქსი, რომელიც შეიძლება ზმნის ფუძეს მოსდევდეს, სუბიექტის ნებისმიერი სუფიქსის წინ. ასეთია სუფიქსი *-ag* მაგალითში (60), რომლის მნიშვნელობაა „ჯერ კიდევ, მაინც“:

(60) R-guèe'ez-ag-a' „მე ჯერ კიდევ ვეხვევი“

ამგვარი სუფიქსი ზაპოტეკში ოცია, ხოლო ზაპოტეკის ზმნას სულ მცირე 19 (სუბიექტური ფორმა) □ 6 (ასპექტი) □ 21 (1 უსუფიქსო და ზმნიზედის სუფიქსიანი 20) ფორმა აქვს, რაც მთლიანობაში ერთი ზმნიდან 2394 დამოუკიდებელ ფორმას აწარმოებს. არსებობს სულ მცირე, სამი მიზეზი, რის გამოც ეს ოდენობა ყოველთვის ზუსტი არ არის: ზმნიზედის სუფიქსები, ალბათ, გაცილებით მეტიც არსებობს; ყოველი მათგანის დართვა ამა თუ იმ ზმნასთან გამართულ ფორმას არ იძლევა; ხშირად შესაძლებელია ზმნიზედის ორი ან სამი სუფიქსის კომბინაცია. ბევრი სტანდარტული ლექსიკონი ინგლისურ ენის მარაგს 80 000 სიტყვას მიათვლის. ზაპოტეკის ორმოციოდე ზმნის ყველა წარმოებული ფორმის ჩამოთვლაც საკმარისია, რათა მათი ოდენობა ამ რიცხვს გაუტოლდეს! ეს მაგალითი ნათლად ადასტურებს, რომ ამა თუ ენის ყველა სიტყვის ლექსიკონში შეტანა შეუძლებელია.

2.9 მორფოლოგიური ანალიზის პრობლემები

2.9.1 ნულოვანი მორფემები და უნიშნო მორფემები

განვიხილოთ ტოლკაპაიდან და ჩიკასაუდან მოყვანილი ზოგიერთი წინადადება, რომელიც ერთნაირად ითარგმნება და ერთმანეთთან გარკვეულ მორფოლოგიურ მსგავსებასაც ამჟღავნებს:

(60)	ტოლკაპაია	ჩიკასაუ
„მე მაღალი ვარ“	'-kyúl-ma.	Sa-chaaha.
„შენ მაღალი ხარ“	M-kyúl-ma.	Chi-chaaha.
„ის (ორივე სქესი) მაღალია“	Kyúl-ma.	Chaaha.

ტოლკაპაიდან და ჩიკასაუდან მოყვანილი ეს წინადადებები ისეთ მორფემებს შეიცავს, რომლებიც ამ თავის განვლილ გვერდებზე განვიხილეთ. ჩიკასაუში მხოლობითის პირველი და მეორე პირის შესატყვისი პრეფიქსები *sa-* და *chi-* ტოლკაპაიას ' – (გლოტალური, ან ხორხისმიერი ხშვა) და *m-* პრეფიქსებს შეესატყვისება. თითოეულ ამ შემთხვევაში, მხოლობითის მესამე პირში მდგარ სუბიექტს (ის — ორივე გრამატიკული სქესი) პრეფიქსი არ გააჩნია.

როგორი სიტყვები შედის ლექსიკონში?

ტექსტში ნათქვამია, რომ ინგლისურ ენაზე მოსაუბრის ლექსიკონში ყველა ლექსიკური სიტყვის შეტანა შესაძლებელია. მართლაც, თუ რიგიანად შედგენილ ლექსიკონში ჩაიხედავთ, ნახავთ, რომ წესიერად წარმოებული სიტყვებიც კი, როგორებიცაა არსებითი სახელების მრავლობითი ფორმები, შედარებითი და აღმატებითი ფორმის ზედსართავები, ზმნების წარსული ფორმები ანმყოსა და წარსული დროის მიმღებები, თავიანთი ფუძეებითაა მითითებული. ისეთი სიტყვების არანესიერი, ან ფუძემონაცვლე ფორმებიც, როგორებიცაა, ვთქვათ, *children, better, were* მცირე ლექსიკონებშიც კი მითითებულია. ინგლისური ენის ლექსიკონები ამ ენაზე მოსაუბრეთა ლექსიკონში არსებული მარაგის დიდ წილს შეიცავს.

თუმცა, ბეჭდვითი ფორმის ლექსიკონი განსხვავდება მოსაუბრის გონებრივი ლექსიკონისგან. ლექსიკონები ცალკეული მოსაუბრის ლექსიკურ ცოდნას ვერ ასახავს, ვინაიდან ბეჭდვით ლექსიკონებში შეტანილ ყველა სიტყვას, ალბათ, თითო-ოროლა მოსაუბრე თუ იცნობს და მეორე მხრივ, არც ლექსიკონები შეიცავს ყველა იმ სიტყვას, მოსაუბრეებმა რომ იციან. ასეთი სიტყვები შეიძლება განეკუთვნებოდეს ტექნიკურ (პროფესიულ) ლექსიკონს ან ჟარგონს, ჟარგონულ (სლენგის) გამოთქმებს, კერძო პირთა სახელებსა თუ მეტსახელებს და ა.შ.

არსებობს წარმოებულ სიტყვათა უზარმაზარი კლასი, რომელიც ნაბეჭდ ლექსიკონებში არ ხვდება. მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი –s შეიძლება ბევრ ისეთ ინგლისურ სიტყვას დაერთოს, რომელიც არსებით სახელებს არ განეკუთვნება, როგორც მაგალითად, ჩანართ 2.10 –ში მოყვანილი, ფლობის აღმნიშვნელი (პოსესიური) ფრაზები. სიტყვები, რომლებიც ამ კლიტიკას შეიცავენ მაგალითად, *Bianca's, saw's, about's, yesterday's, me's, helpful's* — ლექსიკონებში არ შეაქვთ. არც ისეთი შემოკლებები შეაქვთ, როგორიცაა, ვთქვათ, *he's* (თუმცა, არანესიერი გზით შემოკლებული ფორმების, მაგალითად, *ain't* ნახვა ლექსიკონებში შეიძლება). ბოლოს, ლექსიკონებში არ არის შეტანილი ისეთი სიტყვების მრავლობითი ფორმები, რომლებიც სახელები არაა, მაგალითად: *if, were, but, proud*, მიუხედავად იმისა, რომ ზეპირ მეტყველებაში მათი მრავლობითები არც თუ იშვიათად ისმის:

He uses to many ifs. ifs -თუ-ები.

There are too many weres in this sentence. weres -იყენენ-ები

But me no buts. buts - მაგრამ-ები

Proud me no prouds. prouds - ამაყები

(„რომეო და ჯულიეტა“, III, V, 152)

ამგვარი სიტყვების ჩამოთვლა არც იმ ლექსიკონებს სჭირდებათ, რომელთაც ნიგნის მალაზიებში ვიძინთ და არც ჩვენს გონებრივ ლექსიკონს, ვინაიდან, როგორც ჩვენი ნიგნის I თავში აღინიშნა, ჩვენი გონებრივი გრამატიკა შეიცავს სიტყვათწარმოების ამ წესებს. მოსაუბრის ლექსიკონს ინგლისური ენის არც ერთი ლექსიკონი სრულად არ ასახავს. ინგლისურ ენას ისეთი მორფოლოგიური სირთულე არ ახასიათებს, როგორც ზოგიერთ სხვა ენას — ტოლკაპაია იავაპაიას, სუაჰილისა და ზაპოტეკთან შედარებით ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია. ჩამოთვლილი ენების ლექსიკონებს იმ სიტყვების მხოლოდ მცირე ნაწილის დატევა შეუძლიათ, რომლებიც ამ ენაზე მოსაუბრეებმა იციან და მეტყველებაში იყენებენ, ვინაიდან მათი სიტყვები ხშირად ინგლისური ენის მთელ

წინადადებებს შეესატყვისება.

გონებრივი ლექსიკონი მეტს ნიშნავს, ვიდრე სიტყვების, მათი წარმოთქმის წესისა და მნიშვნელობის ცოდნაა. ფსიქოლინგვისტიკის წყალობით, რომლებიც მეტყველების წარმოებასა და გაგებას შეისწავლიან და ნეიროლინგვისტიკის სამეცნიერო კვლევების საფუძველზე, რომლებმაც თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული ენობრივი დარღვევები (აფაზია) შეისწავლეს, ახლა ბევრი რამ ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ლექსიკური და გრამატიკული მორფემებისა და სიტყვების წარმოჩენა.

როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდითი რიხვის მესამე პირის (*he/she*) უპრეფიქსო ფორმები ისეთ ენებში, როგორც ტოლკაპაია და ჩიკასაუა, ორგვარად შეიძლება იქნეს განხილული:

- ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდითი რიცხვის მესამე პირს (*he/she*) ნულოვანი მორფემა შეესატყვისება: 0- — ნულოვანი პრეფიქსი ღია (ხილულ, ან ფიზიკურად არსებულ) *ʔ*-, *m*-, *sa*- და *chi* - პრეფიქსებს შეესაბამება, რათა ამ ზმნებში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში მდგარი სუბიექტი აღნიშნონ. ტოლკაპაიასა და ჩიკასაუაში ეს ნულოვანი მორფემები მხოლოდითის მესამე პირს აღნიშნავენ, სწორედ ისე, როგორც *ʔ*- და *sa* შესაბამისად მხოლოდითის პირველ პირს.
- მეორე მხრივ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მესამე პირის სუბიექტური ზმნური ფორმები (გაიხსენეთ მაგალითი (53)) უბრალოდ უნიშნო ფორმებია — ისინი სუბიექტთან დაკავშირებულ ნიშნებს საერთოდ არ შეიცავენ. შეგვიძლია ისიც განვაცხადოთ, რომ ტოლკაპაიასა და ჩიკასაუს უნიშნო ზმნები ტექსტში, ზემოთ მოყვანილ კონტექსტში (სხვა სუბიექტური ნიშნების არქონისას) მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის სუბიექტურ ფორმებად უნდა იქნეს განხილული.

როდესაც ტოლკაპაიას აბსოლუტივი ზმნური ფორმების სამი განსხვავებული შესაძლო ანალიზი განვიხილეთ (განყოფილება 2.4), დავაკვირეთ, რომ მათგან ერთ-ერთის არჩევას უფრო თეორიულ დასკვნებს ვეყრდნობოდით, ვიდრე ენის ემპირიულ ფაქტებს. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ტოლკაპაიასა და ჩიკასაუაში ნულოვანი მორფემების საკითხისადმი მიდგომა ძალზე მსგავსია, მაგრამ ეს ასე არ არის. ხშირად ენის სხვა ასპექტები გვიადვილებენ იმ არჩევანის გაკეთებას, თუ ორგვარი ანალიზიდან რომელი მეთოდი უკეთესი.

მოდით, თვალსაჩინოებისთვის ამ ორი ენის ისეთი წინადადება განვიხილოთ, რომლებშიც „ნდომა“ ზმნა შედის. ავიღოთ ტოლკაპაიადან ფრაზა „მინდა მაღალი ვიყო“.

- (61) *ʔ*-*kyúl*-*a* *ʔ*-*ʔ*-*ma*. „მე მინდა მაღალი ვიყო“.
M-*kyúl*-*a* *m*-*ʔ*-*ma*. „შენ გინდა მაღალი იყო“.
Kyúl-*a* *ʔ*-*ma*. „მას (ორივე სქესი) უნდა მაღალი იყო“.

ტოლკაპაიას ზმნა „ნდომა“, რომელიც აქ 'ნ ნიშნით არის გამოხატული, ზედა წინადადებებში იგივე *-ma* დაბოლოებით მთავრდება, რომელიც განყოფილება 2.3-ში სხვა ზმნებთან შეგვხვდა. (ეს ზმნა არანესიერია: „შენ გინდა“ შეესატყვისება ფორმას *m*-*ʔ*-*ma* და არა ფორმას **m*-*ʔ*-*ma*, როგორც ტოლკაპაიას ადრინდელი მონაცემების საფუძველზე იყო მოსალოდნელი.) წინადადების ნაწილს „მაღალი (ვიყო(ს))“ იგივე *kyúl* შეესატყვისება, რომელიც აგრეთვე მაგალით (60)-ში შეგვხვდა და რომელიც *-a* ელემენტზე

მთავრდება. უჩვეულოდ ამ წინადადებებში შეიძლება ის მოგვეჩვენოს, რომ (61)-ში თითოეული წინადადების პირველ ზმნას იგივე სუბიექტი აქვს, რაც ზმნას „ნდომა“ და ქართულად სიტყვასიტყვით რომ გადმოვიტანოთ, ნიშნავს „მე მინდა ჩემი თავისთვის მაღლად ყოფნა“.

ახლა მოდით ჩიკასაუს იმ წინადადებებს დავაკვირდეთ, რომლებიც ზემოთხსენებული შეესაბამება:

(63) Chaaha sa-banna. „მინდა მაღალი ვიყო“.

Chaaha chi-banna. „გინდა მაღალი იყო“.

Chaaha banna. „მას (ორივე სქესი) უნდა მაღალი იყოს“.

ისევე, როგორც ტოლკაპაიაში, ეს წინადადებებიც „მაღლად ყოფნა (ანმყ. I პირი — მაღალი ვარ)“ ზმნას შეიცავენ, რომელიც „ნდომა“ ზმნის წინ დგას. ამ უკანასკნელს სუბიექტის მოსალოდნელი ნიშნები გააჩნია, მაგრამ ჩიკასაუსი ზმნას „მაღლად ყოფნა“ ყველა გრამატიკული დრო უნიშნო აქვს — არც სუბიექტური პირის პრეფიქსი გააჩნია, მაშინაც კი, როცა პირველ ან მეორე პირში დგას. ამ შემთხვევის შედარება ინგლისურ ზმნასთანაც შეიძლება (ვინაიდან ინგლისურში ზმნა „მაღლად ყოფნა“ — *to be tall* ყველა პირში ერთი და იმავე ფორმით მეორდება, განურჩევლად იმისა თუ, როგორ ინტერპრეტაციას გაუკეთებს ფრაზაში ჩასმულ მის სუბიექტის პირს (*want to be tall*) მსმენელი). ტოლკაპაიაში კი, ინგლისურისგან განსხვავებით, ეს ფრაზა თითოეულ სუბიექტურ პირს ამ ენაში არსებული წესის დაცვით ირთავს.

ეს მაგალითი (61) მაგალითის მსგავსად გვიჩვენებს, რომ მესამე პირის სუბიექტური ფორმები ორ ენაში განსხვავებულ ანალიზს ექვემდებარება:

- ტოლკაპაიაში, როცა ზმნას სუბიექტური პირის პრეფიქსი არ გააჩნია, როგორი ტიპის წინადადებაშიც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის მესამე პირში მდგარი სუბიექტი მიენერება. ამგვარად, პრეფიქსის უქონლობა სრულ შესაბამისობაშია - და *m-* სუბიექტური პირის გამომხატველი პრეფიქსების ქონასთან და ამ პრეფიქსის განმარტება მესამე პირის აღმნიშვნელ ნულოვან მორფემად სრულიად მართებული მოსაზრება იქნება.
- ჩიკასაუსი სხვადასხვა ტიპის წინადადებებში განსხვავებული ვითარებაა. ერთი ზმნის მქონე მარტივ წინადადებაში, რომელიც მაგალით (61)-ში განვიხილეთ, უნიშნო ზმნას (რომელსაც სხვა სუბიექტური პრეფიქსი არ გააჩნია) მესამე პირში მდგომი სუბიექტი მიენერება. თუმცა, ბევრი ტიპის რთულ წინადადებაში (რომელიც ერთზე მეტ ზმნას შეიცავს), როგორცაა მაგალით (63)-ში „ნდომა“ ზმნიანი წინადადებები, უნიშნო ზმნას მესამე პირში მდგომი („ის“ — ორივე სქესი) სუბიექტი ვერ მიენერება. ეს უნიშნო ჩიკასაუს ზმნები სხვადასხვაგვარად იმ წინადადების მიხედვით ინტერპრეტირდება, რომელშიც გვხვდება და მესამე სუბიექტური პირის ნულოვან პრეფიქსს არ შეიცავს:

საპარაფრაზი 2. 23

განვიხილოთ ტოლკაპაიას და ჩიკასაუს შემდეგი ბრძანებითი წინადადებები, იმ ზმნების გამოყენებით, რომლებიც უკვე შეგვხვდა ამ თავის წინა გვერდებზე:

ტოლკაპაია	Mchthúli!	„გარეცხე!“
	Mvyámi!	„გაიქეცი!“
	Mthíi!	„დალიე!“

ჩიკასაუ Isso! „დაარტყი!“
 Afama! „შეხვდი!“
 Hilha! „იცეკვე!“

დაყავით ეს წინადადებები მორფემებად, თითოეულ წინადადებას ქვეშ სრული შემოკლებული განმარტება მიუწერეთ (თუ საჭიროა, ტოლკაპაიასა და ჩიკასაუდან ადრე წარმოდგენილი მაგალითები განიხილეთ).

ა) შეძლეთ თუ არა ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით დამატებითი არ-გუმენტები მოიყვანოთ იმ საკითხთან დაკავშირებით, გააჩნია თუ არა ამ ორ ენას მესამე სუბიექტური პირის ნულოვანი მორფემა.

ბ) „ნდომა“ ზმნიანი წინადადებების და ზემოთ მოყვანილი ბრძანებითი ფორმების გათვალისწინებით გვიპასუხეთ, რომელი ენა უფრო ჰგავს ინგლისურს, ტოლკაპაია თუ ჩიკასაუ? პასუხი განმარტეთ.

2.9.2 განყვეტილი მორფემები

მორფოლოგიური ანალიზის კიდევ ერთი რთული პრობლემა განყვეტილ მორფემებს უკავშირდება — მორფემებს, რომლებიც ერთ მნიშვნელობას აღნიშნავენ, მაგრამ სიტყვის სხვადასხვა ელემენტები მათ ერთმანეთისგან თიშავს. წყვეტილი ლექსიკური მორფემები მაშინ ჩნდება, როცა ცალკეულ ლექსიკურ მორფემებში აფიქსის ინფიქსირება ხდება. გაიხსენეთ ზემოთ, ტაგალოგიდან მოყვანილი მაგალითი (43) და -um ინფიქსის შემთხვევა.

ლექსიკური მორფემები, როგორებიცაა *hiwalay* და *bili*, (64) მაგალითის მესამე სვეტში მოყვანილის მსგავს სიტყვებში შეიძლება ინფიქსით -უმ იყოს გაყოფილი. (მძიმეები ინფიქსისა და იმ მორფემის გამოსაყოფად იხმარება, რომლებშიც ისინია ინფიქსირებული.)

(64) hiwalay	<i>mag-hiwalay</i>	„ერთმანეთისგან გამოცალკეება“	
	<i>h, um, iwalay</i>	„გამოცალკეება“	
bili	<i>mag-bili.</i>	„გაყიდვა“	<i>b, um, ili</i> „შეძენა, ყიდვა“
	<i>hiwalay</i> -ს <i>h-</i> და <i>iwalay</i> ,	ან <i>bili</i> -ს <i>b-</i> და <i>ili</i> -დ დაყოფის	საფუძველი არ გვაქვს.

სიტყვების *h, um, iwalay* და *b, um, ili* ლექსიკური ფუძეები განყვეტილია.

კიდევ ერთ მაგალითს მორფემებისა, რომლებიც ზოგჯერ წყვეტილია ლა ჰუერტა დიეგენიო გვაძლევს (იუმანის მოდგმის ეს ენა ტოლკაპაია იავაპაის ენათესავეა. მისი გავრცელების არე მექსიკაშია, ბაია კალიფორნიის ტერიტორიაზე. ისევე, როგორც ტოლკაპაიას შემთხვევაში, ლა ჰუერტას მოსაუბრენიც ქვემოთ მოყვანილ და მათ მსგავს სიტყვებს ზედმეტი ხმოვნების დამატებით გამოთქვამენ):

(65) Miny.	„აძლევ (შენ მას მას)“.	Mshmay.	„ექებ (შენ მას)“.
Kiny!	„მეცი (შენ მას ის)!“.	Kshmay!	„მოძებნე (შენ ის)!“.
Nym'iny.	„მაძლევ (შენ მე მას)“.	Nymsh'may.	„მეძებ (შენ მე)“.
Nyk'iny!	„მომეცი (შენ მე ის)!“.	Nyksh'may!	„მომძებნე (შენ მე)!“.
Ny'iny.	„მაძლევს (ის მე მას)“.	Nysh'may.	„მეძებს (ის მე)“.

განმეორებადი ელემენტი პირველი სვეტის თითოეულ წინადადებაში არის *iny*; ანალიზის საფუძველზე ამ ელემენტის მნიშვნელობის დადგენაც შეგვიძლია — „მიცემა

(მისი)“. მეორე სვეტში განმეორებადი წყვეტილი ელემენტია *sh...may* პირველ სამ წინადადებაში *shmay* ფორმა გვხვდება, მაშინ, როცა მეორეში *sh'may* გვაქვს, ინფიქსირებული გლოტალური ხმით.

ჩანართი 2.12

წყვეტილი მორფემები სემიტურ ენებში

ცნობილია, რომ შუა აღმოსავლეთის სემიტური ოჯახის ენები გამოირჩევა უნიკალური მორფოლოგიური სტრუქტურით — აქ სიტყვათა უმრავლესობაში ზმნის და სახელის ფუძეები წყვეტას განიცდის. მოგვევას რამდენიმე მაგალითი ამონაკრები ზმნური ფორმებისა ეგვიპტის არაბულიდან (ჯ სიმბოლო აღნიშნავს ბგერას, რომელსაც მჟღერ ფარინგალურ ფრიკატივს უწოდებენ).

katab	„მან დანერა“	daras	„მან ისწავლა“
baktib	„მე ვნერ“	badris	„მე ვსწავლობ“
iktib	„ნერე“!	idris	„ისწავლე“!
kaatib	„მწერალი“	daaris	„მოსწავლე“
maktuub	„დანერილი“	madruus	„შესწავლილი“
çamal	„მან გააკეთა“	na'al	„მან მიბაძა“
baçmil	„მე ვაკეთებ“	ban'i	„მე მივბაძე“
içmil	„გაკეთე“!	in'il	„მიბაძე“
çaamil	„გამკეთებელი“	naa'il	„მიმბაძველი“
maçmuul	„გაკეთებული“	man'uul	„მიბაძული“

დააკვირდით ზემოთ მოყვანილ ფორმებს და სანამ კითხვას განაგრძობდეთ სცადეთ გაიაზროთ, რა განსაზღვრავს მნიშვნელობას თითოეულ მათგანში.

სემიტურ ენებს აქვს ეგრეთ წოდებული სამასოიანი ძირები: ზმნის და სახელის ძირები შედგება სამი თანხმოვნისგან. ეგვიპტის არაბულ ენაში ზმნა „ნერის“ ძირი შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც *k-t-b* ან *ktb*, ანდა (ვინიადან ის აშკარად შეიცავს წყვეტილ ელემენტებს) როგორც *k...t...b*. როგორც ხედავთ, „სწავლის“ ძირი არის *d-r-s*, ხოლო „კეთებისა“ — *ç-m-l*. რა არის „ბაძვის“ ძირი?

გრამატიკული მორფემები ეგვიპტის არაბულში (და სხვა სემიტურ ენებში) ხშირად ასევე წყვეტილია. ზოგჯერ ისინი განიხილება როგორც მოდელები ხმოვნებისა და (იშვიათად) თანხმოვნებისა, რომლებიც გვხვდება სიტყვის ძირში. მაგალითად, მესამე პირის მამრობითი სქესის მხოლობითი რიცხვის სრულასპექტიანი ფორმა (იხ. ზემოთ, პირველ სტრიქონში) არის — *a - a* — (სადაც დეფისები აღნიშნავს თანხმოვანთა ადგილს სიტყვის ძირში), პირველი პირის მხოლობითი რიცხვის უსრულასპექტიანი ფორმა (მეორე სტრიქონში) არის *ba --i* —, ბრძანებითი კილოს ფორმა კი (მესამე სტრიქონში) არის *i--i* —. დააკვირდით, შეძლებთ თუ არა აქტიური მიმღებლისა და პასიური მიმღებლის ფორმათა გამოყოფას მეოთხე და მეხუთე სტრიქონებში.

საფიქრებელია, რომ *sh...may* აღნიშნავს „ძებნას“ (მორფემების წყვეტა გრაფიკულად ხშირად აღინიშნება ელიფსისით,, ნაწილებს შორის).

სქემის შედგენა დაგეხმარებათ დარჩენილი მორფემების ანალიზისთვის. მონაცემთა წარმოდგენის ამგვარი ხერხი აადვილებს მნიშვნელობების დაკავშირებას ბგერებთან. ყოველი წინადადება „შენ“ სუბიექტით (პირველი და მესამე თითოეულ სვეტში) შეიცავს პრეფიქს *m-*-ს, ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პრეფიქსი *m-* აღნიშნავს

„შენ“ სუბიექტს. ყოველი იმპერატივი (ბრძანება, მეორე და მეოთხე თითოეულ სვეტში) შეიცავს პრეფიქს *k*-ს. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ *k*- არის იმპერატივის პრეფიქსი. ყოველი „მე“-ობიექტიანი გამონათქვამი შეიცავს *ny*-ს და ‘-ს, ამავე რიგით. ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ *ny*...’ ჩვეულებრივ, არის წყვეტილი მორფემა, რომელიც აღნიშნავს „მე“ ობიექტს. თუ ამ მორფემის მომდევნო ზმნა უფრო რთული აგებულებისაა, ვიდრე ერთი მარცვალის (თანხმოვანი-ხმოვანი-თანხმოვანი), მაშინ ამ

ცხრილი 2.4 La Huerta Diegueño ზმნის წინდებულებების ანალიზი

განმეორებითი მნიშვნელობა	ფორმები ამ მნიშვნელობით	განმეორებითი ელემენტი
პირველი პირის სუბიექტი	<i>miny, nym'iny; mshmay, nymsh'may</i>	<i>m</i>
იმპერატივი	<i>kiny, nyk'iny; kshmay, nyksh'may</i>	<i>k</i>
პირველი პირის ობიექტი	<i>nym'iny, nyk'iny, ny'iny; nymsh'may, nyksh'may, nysh'may</i>	<i>ny...</i>

პრეფიქსის ‘ჩაისმის ზმნის პირველი თანხმოვნის შემდეგ. თუ ზმნა უფრო მოკლეა, ‘ჩაისმის პირველი მომდევნო პრეფიქსის შემდეგ; თუ ზმნას პრეფიქსი არა აქვს, მაშინ ‘ მოსდევს *ny*-ს. ამგვარად, კომბინაცია

- (66) *ny.....' + k + shmay*
(შედარებით ვრცელი *shmay* ზმნით) იძლევა
- (67) *nyksh'may* -ს

(გლოტალური ხშვა განთავსებულია ზმნის ფუძის პირველი თანხმოვნის, *sh*-ს შემდეგ — ასოთა კომბინაცია *sh* განიხილება, როგორც ერთი თანხმოვანი, ვინაიდან ის შეესაბამება ერთ ბგერას), მაშინ, როდესაც კომბინაცია

- (68) *ny...'+k + iny*
(ძალზე მოკლე ზმნით) იძლევა
- (69) *nyk'iny* -ს.

(გლოტალური ხშვა მოსდევს იმპერატივის აღმნიშვნელ პრეფიქსს). როდესაც ამგვარი ინფიქსაცია ხდება ისეთ სიტყვაში, როგორიცაა *nyk'iny*, პრეფიქს *ny*-ის ორი ნაწილი იყოფა პრეფიქსით *k*, ხოლო როდესაც ინფიქსაცია ხდება ისეთ სიტყვაში, როგორიცაა *nyksh'may*, პრეფიქსსა და ზმნას შორის წყვეტაა.

ენათა სემიტიური ჯგუფი ცნობილია იმით, რომ მისი ყოველი ზმნა შეიძლება გაანალიზებულ იქნეს, როგორც ცალკეული წყვეტილი მორფემა (იხ. დანართი 2.12).

2.10. მორფოლოგია და ტიპოლოგია

სიტყვათა მორფოლოგიური სტრუქტურა ხშირად წააგავს წინადადებათა სტრუქტურას. ჩვენ ვნახეთ, რომ პოლისინთეზურ ენებში ერთი სიტყვა გამოხატავს მთელი წინადადების აზრს. ხშირად მორფემათა თანმიმდევრობა სიტყვაში შეესაბამება წინადადების წყობას.

ინგლისურ ენაში წინადადების ძირითად წევრთა ან კომპონენტთა — სუბიექტის, ზმნის, ობიექტის — თანმიმდევრობა ზუსტად ამგვარია. მაგალითად, ამ წინადადებაში:

- (70) Othello married Desdemona

სუბიექტია *Othello*, ზმნა — *married*, ხოლო ობიექტი — *Desdemona*. უფრო ვრცელ ან რთულ წინადადებებშიც ამგვარი ძირითადი წყობა გამოიყენება. (71) მაგალითის პირველ წინადადებაში ობიექტია *no debts*; მეორეში სუბიექტია *the very rats*, ხოლო ზმნა *instinctively have quit*:

(71) Words pay no debts. („ტროილუსი და კრესიდა“, III, ii, 56)

The very rats instinctively have quit it.

(„ქარიშხალი“, I, ii, 147)

სუბიექტის, ზმნისა და ობიექტის ამგვარ თანმიმდევრობას ლინგვისტები SVO-თი (subject, verb, object) აღნიშნავენ. ამ ელემენტთა თანმიმდევრობას ენაში უწოდებენ სიტყვათა რიგს ან სიტყვათა ძირითად წყობას — მაგრამ მისი უფრო ზუსტი სახელწოდება შეიძლება იყოს „ფრაზის წყობა“ ან „შემადგენელთა წყობა“. სიტყვათა ძირითად წყობასა და სხვა ლინგვისტურ ფენომენებს შორის კავშირს შეისწავლის ლინგვისტიკის ის დარგი, რომელიც ცნობილია ტიპოლოგიის სახელწოდებით.

ენებში გამოიყენება სიტყვათა ძირითადი წყობის სხვადასხვა სახეობა. ინგლისურ ენაში ყველაზე გავრცელებულია SVO. სხვა სახეობებია SOV და VSO. წინამდებარე თავში ჩვენ გავცვანით მრავალ ერთსიტყვიან წინადადებას ჩიკასაუს ენიდან. ამ ენაში სიტყვათა რიგი შეესაბამება შV-ს, მაგალითად,

(72) Hattakat chipota shoo-tok. „კაცი მოეხვია ბავშვს“.

კაცი-სუბ. ბავშვი მოეხვია-წარს.

აქ სუბიექტი *hattak* (*hattak-at* შეიცავს სუფიქსს, რომელიც მიუთითებს, რომ ეს სიტყვა სუბიექტს შეესაბამება) დგას ობიექტის, *chipota* - ს წინ; ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, მოსდევს ზმნა, *shoo-tok*.

ზაპოტეკის ენაში სიტყვათა ძირითადი რიგია VSO:

(73) B-guèe'ez bùunny mnii'iny „კაცი მოეხვია ბავშვს“.

სრულ-მოეხვია. კაცი ბავშვს

აქ პირველ ადგილას დგას სრულასპექტიანი ზმნა *b-guèe'ez*, რომელსაც მოსდევს სუბიექტი *bùunny* და, შემდგომ, ობიექტი *mnii'iny*.

ჩიკასაუს და ზაპოტეკიც პოლისინთეზური ენებია. ამდენად, მათში მრავალი სრული წინადადება შეიძლება გამოიხატოს ერთი სიტყვით. დააკვირდით მორფემათა თანმიმდევრობას მოცემულ ერთსიტყვიან წინადადებებში:

(74) Is-sa-shoo-tok „შენ მომეხვია“

შენ-მე-მომეხვია-სრულ.

(75) B-guèe'ez-ùu'-ng „შენ მოეხვია“

სრულ-მოეხვია-შენ-მას

ჩიკასაუს ერთსიტყვიან წინადადებაში (74) სუბიექტის აღმნიშვნელი მორფემა დგას პირველ ადგილას, მას მოსდევს მორფემა, რომელიც ობიექტს აღნიშნავს და, ბოლოს, ზმნის აღმნიშვნელი მორფემა, ზუსტად ისევე, როგორც განლაგდება სიტყვები SOV წინადადებაში (72). ზაპოტეკის ენაში ამგვარივე პარალელური შეინიშნება: სრული წინადადების VSO წყობის (73) მსგავსად, ერთსიტყვიან წინადადებაში (74) ზმნური მორფემა პირველია. მას მოსდევს სუბიექტის აღმნიშვნელი მორფემა და, ბოლოს, ობიექტის მორფემა.

იერარქიული სტრუქტურის ისეთივე ტიპები, რომლებიც შეინიშნება სიტყვებში, აისახება წინადადების სტრუქტურაშიც, რასაც მომდევნო თავებში განვიხილავთ.

რთულ სიტყვებში სუბიექტის, ობიექტისა და ზმნის მორფემათა თანმიმდევრობის და, მეორე მხრივ, წინადადებაში ამ ელემენტთა თანმიმდევრობის პარალელიზმი ყოველთვის როდია ესოდენ სრული, როგორც — ჩიკასოუს და ზაპოტეკის ენებში. მაგალითად, ტოლკაპაიას ენაში გამოიყენება სიტყვათა SOV რიგი, ხოლო სუაჰილიში — SVO თანმიმდევრობა. როგორი თანმიმდევრობით უნდა გამოიყენებოდეს სუბიექტის, ობიექტისა და ზმნის აღმნიშვნელი ელემენტები ამ ენების პოლისინთეზურ სიტყვებში? (გაიხსენეთ შაბლონი, რომელიც თქვენ მოიფიქრეთ 2.8 სავარჯიშოში). პარალელურია თუ არა ეს შემთხვევები?

სავარჯიშო
2. 24

2.11 შეჯამება

მორფოლოგია არის სიტყვებისა და მათი სტრუქტურის შესწავლა და ანალიზი. წინამდებარე თავში ნაჩვენებია, რომ ზოგიერთი სიტყვა გამოირჩევა ძალზე მარტივი სტრუქტურით, შედგება მხოლოდ ერთი მორფემისგან ან მნიშვნელობის ერთეულისგან, მაშინ, როდესაც სხვა სიტყვებს აქვს რთული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს მეტი რაოდენობის მორფემებს და ზოგჯერ ასახავს სიტყვათქმნადობის რთულ პროცესებს. სიტყვათქმნადობა ექვემდებარება უცვლელ წესებს, რომლებსაც მოსაუბრეები ითვისებენ ენის დაუფლების პროცესში. სიტყვათა სტრუქტურა იერარქიულია.

თვით სიტყვები ორგანიზებულია უფრო ვრცელ ფრაზებად და წინადადებებად (როგორც ბოლო ნაწილში ვაჩვენეთ). ენის ამ ვრცელ ერთეულებს შეისწავლის სინტაქსი.

საკითხავი ლიტერატურა

Anderson, Stephen R. 1992. *A-Morphous Morphology*. Cambridge: Cambridge University Press.

Aronoff, Mark. 1976. *Word Formation in Generative Grammar*. Cambridge, MA: MIT Press.

_____. 1993. *Morphology by Itself: Stems and Inflectional Classes. Linguistic Inquiry Monograph, no.22*. Cambridge, MA: MIT Press.

Bauer, Laurie. 1983. *English Word-Formation*. Cambridge: Cambridge University Press

Di Sciullo, A.-M. and Williams, E. 1987. *On the Definition of Word*. Cambridge, MA: MIT Press.

Hammond, Michael and Noonan, Michael, eds. 1988. *Theoretical Morphology: Approaches in Modern Linguistics*. San Diego: Academic Press, Inc

Jensen, John T. 1990. *Morphology: Word Structure in Generative Grammar*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing.

Marchand, Hans. 1969. *The Categories and Types of Present-Day English Word-Formation*, 2nd edn. Munich: C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung.

Matthews, P.H. 1991. *Morphology: An Introduction to the Theory of Word Structure*. Cambridge: Cambridge University Press.

Scalise, Sergio. 1984. *Generative Morphology*. Dordrecht, Holland/Cinnaminson, USA: Foris Publications.

Selkirk, E. 1982. *The Syntax of Words*. Cambridge, MA: MIT Press.

Spencer, Andrew. 1991. *Morphological Theory*. Oxford: Blackwell.

**შენიშვნები აღნიშნულ ენებთან
დაკავშირებით.**

Chickasaw

Munro, Pamela and Catherine Willmond. 1994. *Chickasaw: An Analytical Dictionary*. Norman, OK, and London: University of Oklahoma Press.

Egyptian Arabic

Abdel-Massih, Ernest T. 1975. *An Introduction to Egyptian Arabic*. Ann Arbor, MI: Center for Near Eastern and North African Studies, University of Michigan.

Ineseño Chumash

Applegate, Richard Brian. 1972. *Ineseño Chumash Grammar*. Ph.D. dissertation, University of California, Berkeley.

La huerta Diegueño

Hinton, Leann and Margaret Langdon. 1976. Object-Subject Pronominal Prefixes in La huerta Diegueño. In Margaret Langdon and Shirley Silver, eds., *Hokan studies* (Janua Linguarum, Series Practica, 181), pp. 113-28. The Hague- Paris: Mouton.

San Lucas Quiavini Zapotec

Munro, Pamela and Lopez, Felipe H., et al. 1999. *Di'csyonnaary X:tèe'n Dii'zh Sah Sann Lu'uc (San Lucas Quiavini Zapotec Dictionary/Diccionario Zapoteco de San Lucas Quiavini)*. Los Angeles: UCLA Chicano Studies Research Center Publications.

Southern Paiute

Sapir, Edvard. 1930-1. *The Southern Paiute Language. Proceedings of the American Academy of Arts and Sciences*, vol. 65.

Tagalog

Schachter, Paul and Fe T. Otanes. 1972. *Tagalog Reference Grammar*. Berkeley, Los Angeles, and London: University of California Press.

Tolkapaya Yavapay

Munro, Pamela and Molly Star Fasthorse. In preparation. *Tolkapaya*.

საპარაჯიშოთაი

საპარაჯიშო 2.25

დააკვირდით ქვემოთმოყვანილ წინადადებებს შექსპირის ნაწარმოებებიდან. დაყავით თითოეული მათგანი მორფემებად, შემდეგ გამოყავით ამ მორფემათა შორის პრეფიქსები, სუფიქსები, კლიტიკები, ძირები, აგრეთვე — გრამატიკული და ლექსიკური მორფემები. ხაზი გაუსვით თითოეულ ძირს (დამოუკიდებელ სიტყვას), რომელიც, თქვენი აზრით, გრამატიკული მორფემა უნდა იყოს. დაადგინეთ, რომელი პრეფიქსი ან სუფიქსი ინფლექსიური ან დერივაციული, მოიფიქრეთ სხვა სიტყვა, რომელიც იმავე მორფემას შეიცავს და შეეცადეთ, გაარკვიოთ მორფემის მნიშვნელობა. განიხილეთ თითოეული სიტყვა უჩვეულო წარმოთქმით და ყოველი კლიტიკა, რომელსაც ამოიცნობთ. აღნიშნეთ რთული სიტყვები და წინადადებები. მიუთითეთ, რომელი მორფემები შეიძლება იპოვოთ ნებისმიერ მორფემაში, რომელიც, თქვენი აზრით, პორტმანტოს წარმოადგენს.

They have been at a great feast of languages, and stolen the scraps.

(ამაო ცდანი სიყვარულისა, V, I, 39)

All the world's a stage, and all the men and women merely players.

(ეს როგორ მოგეწონებათ, II, vii, 139)

As the old hermit of Prague, that never saw pen and ink, very wittily said to a niece of King Gorboduc, "That that is, is"

(მეთორმეტე ღამე, IV, ii, 14)

How silver-sweet sound lover's tongues by night, Like softest music to attending ears!

(რომეო და ჯულიეტა, II, ii, 165)

I have done a thousand dreadful things, As willingly as one would kill a fly

(ტიტუს ანდრონიკუსი, V, I, 141)

Kindness in women, not their beauteous looks, Shall win my love.

(ჭირვეულის მორჯულება, IV, ii, 41)

Let's Choose executors and talk of wills.

(რიჩარდ II, III, ii, 41)

Love, first learned in lady's eyes, Lives not alone immured in the brain.

(ამაო ცდანი სიყვარულისა, IV, iii, 327)

გრამატიკაში ყოველი არსებითი სახელი მამრობითი ან მდედრობითი სქესისაა.

საკვარჯიშო 2.26

(ა) დაანაწევრეთ ყოველი სიტყვა ქვემოთმოყვანილ ესპანურ სახელურ ფრაზებში მორფემებად, დაადგინეთ თითოეული მორფემის მნიშვნელობა (ან ფუნქციას) და ქვემოთ მიანერეთ ეს მნიშვნელობები მორფემებს. (შეგიძლიათ განიხილოთ 'some' როგორც 'a'-ს და 'an'-ის მრავლობითი რიცხვი). გახსოვდეთ, რომ მორფემების, დეფისებისა და ინტერვალების რაოდენობა თქვენ მიერ დანაწევრებულ სიტყვებში და თქვენი განმარტებების სიტყვების რაოდენობა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

el perro negro	„შავი (ხვადი) ძაღლი“
el palo nuevo	„ახალი ჯოხი“
la casa blanca	„თეთრი სახლი“
las mesas negras	„შავი მაგიდები“
las perras rojas	„წითელი (ძუ) ძაღლები“
los libros viejos	„ძველი წიგნები“
un libro nuevo	„ახალი წიგნი“
una mesa blanca	„თეთრი მაგიდა“
una perra vieja	„ბებერი (ძუ) ძაღლი“
unas casas rojas	„რამდენიმე წითელი სახლი“
unos palos negros	„რამდენიმე შავი ჯოხი“
unos perros blancos	„რამდენიმე თეთრი (ხვადი) ძაღლი“

(ბ) მამრობითი და მდედრობითი სქესის მორფემების დაპირისპირების მოდელი ზოგად წესებს ემორჩილება, მაგრამ შეინიშნება ნორმათა დარღვევებიც. განიხილეთ ისინი.

(გ) გაითვალისწინეთ, რომ ზედსართავი და არსებითი სახელების თანმიმდევრობა ესპანურსა და ინგლისურში განსხვავებულია. თარგმნეთ ესპანურად: 'the red sticks' (წითელი ჯოხები), 'an old house' (ძველი სახლი), 'some white (female) dogs' (რამდენიმე თეთრი ძუ ძაღლი), 'the white book' (თეთრი წიგნი), 'a red (male) dog' (წითელი ხვადი ძაღლი)

შენიშვნა: ესპანურის არცოდნა დაბრკოლებას არ წარმოადგენს. თუ ესპანურად ლაპარაკობთ, ეს სავარჯიშო, ალბათ, ძალზე ადვილი მოგეჩვენებათ; სცადეთ მისი, როგორც სრულიად ახალი ენობრივი ფაქტის (შესაძლოა, სუაჰილიდან ან ზაპოტეკიდან), განხილვა.

საპარაჯიშო 2.27

გაიზრეთ ჩიკასაუს ზმნების მიხედვით შედგენილი მაგალითები, რომლებშიც იგულისხმება „მე“, „შენ“ და „ჩვენ“ ობიექტები და შემდეგ გაეცით პასუხი დართულ კითხვებს.

pisa „დანახვა“	sapisa „ის მხედავს“ chipisa „ის გხედავს“ popisa „ის გვხედავს“
ithána „ნაცნობობა“	სატჰქნა „ის მიცნობს“ chithána „ის გიცნობს“ pothána „ის გვიცნობს“
lohmi „დამალვა“	salohmi „ის მმალავს“ chilohmi „ის გმალავს“ polohmi „ის გვმალავს“
afama „შეხვედრა“	asafama „ის მხვდება“ achifama „ის გხვდება“ apofama „ის გვხვდება“
chokfiyammi „ლიტინი“	sachokfiyammi „ის მილიტინებს“
chichokfiyammi „ის გილიტინებს“	
isso „დარტყმა“	chisso „ის გარტყამს“ posso „ის გვარტყამს“
anokfilli „ფიქრი ვინმეზე“	“asanokfilli „ის ფიქრობს ჩემზე“ aponokfilli „ის ფიქრობს ჩვენზე“

(ა) დაანანევრეთ ჩიკასაუს ყოველი სიტყვა მორფემებს შორის დეფისის ჩასმის მეშვეობით. (შესაძლოა, მუშაობის პროცესში თქვენ შეგეცვალოთ აზრი რამდენიმე სემანტიკის შესახებ.)

(ბ) რომელია ჩიკასაუს პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის, მრავლობითი რიცხვის და მეორე ობიექტური პირის აფიქსები?

(გ) როგორ იტყვით ჩიკასაუს ენაზე „ის მილიტინებს“, „ის მარტყამს“, და „ის ფიქრობს შენზე“?

(დ) ჩიკასაუს ენაზე ipita ნიშნავს „ჭმევა“. როგორ იტყვით „ის მაჭმევს“, „ის გაჭმევს“, „ის გვაჭმევს“? ჩამოაყალიბეთ ზოგადი განმარტება იმისა, თუ რა ხდება ამ სიტყვებზე პრეფიქსების დართვისას.

(ე) ჩიკასაუს ენაზე Apila ნიშნავს „დახმარებას“. როგორ იტყვით „ის მეხმარება“, „ის გეხმარება“ და „ის გვეხმარება“? ჩამოაყალიბეთ ზოგადი განმარტება იმისა, თუ რა ხდება ამ სიტყვებზე პრეფიქსების დართვისას.

(ვ) ვარაუდობენ, რომ chi _ + isso-სგან chisso-ს („ის არტყამს“) მსგავსი სიტყვის შექმნისას პრეფიქს ცჰი-დან ამოვარდა ი. ეს თვალსაზრისი მართებულია ამ სიტყვის მიმართ, მაგრამ არ შეესაბამება სხვა მონაცემებს. წარმოადგინეთ საპირისპირო არგუმენტი.

(ზ) ვარაუდობენ, რომ sa _ + afama-დან asafama-ს („ის მხვდება“) მსგავსი სიტყვის შექმნისას პრეფიქსისეული ს და ა მეტათეზის განიცდის და იქცევა ას-ად. ეს თვალსაზრისი მართებულია ამ სიტყვის მიმართ, მაგრამ არ შეესაბამება დანარჩენ მონაცემებს. წარმოადგინეთ საპირისპირო არგუმენტი.

..... საპარაჯიშო 2.28
 განიხილეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები ინესენიო ჩამაშის ენიდან. ის მიეკუთვნება ოჯახს ჩამაშის ენებისა, რომლებზეც ლაპარაკობდნენ უწინ კალიფორნიაში, სანტა-ბარბარადან ჩრდოლოეთით. (ჩამაშის ორთოგრაფიაში, რომელიც აქ გამოიყენება, თანხმოვანი მომდევნო ნიშნით, არის ერთი თანხმოვანი ბგერა. *í* არის ხმოვანი, რომელიც არ გვხვდება ინგლისურში.)

- Stelmemen.* „ის ეხება მას“
- Noktelmemen.* „მე შევეხები მას“
- Nosiytelmemen.* „ისინი შეეხებიან მას“
- Nokc’imutelew.* „მე ვუკბენ მას“
- Kiyc’imutelew.* „ჩვენ ვკბენთ მას“
- Sxiliwayan.* „ის ტივიტივებს“
- Nokiyxiliwayan.* „ჩვენ ვიტივიტივებთ“

(ა) დაიწყეთ ზემოთ წარმოდგენილი მორფემების დანაწევრებით. დაადგინეთ ინესენიოს ლექსიკური და გრამატიკული მორფემები, რომლებიც აქ გვხვდება. რამდენი მორფემა შეიძლება იქნეს გამოყენებული ინესენიოს ერთ სიტყვაში? შეადგინეთ ცხრილი (როგორც (20)-ში და 2.8 საპარაჯიშოში) მათში გამოყენებული თანმიმდევრობის გამოსავლენად. დასვით ფრჩხილები ცხრილის ელემენტებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ სიტყვების აუცილებელ ნაწილებს.

(ბ) თარგმნეთ ინესენიოს შემდეგი წინადადებები:

Ktelmemen; Sc’imutelew; Nosiyc’imutelew; Kiyxiliwayan; Nokxiliwayan.

მოყვანილია რამდენიმე მაგალითი ინესენიოს წინადადებებისა, რომლებშიც გამოიყენება გაორმაგება:

- Nosiytelmemen.* „ისინი ძნელად მიაგნებენ მას“.
- Ktelmemen.* „მე მიჭირს მისი ძებნა“.
- Sc’imc’imutelew.* „ის კბენს მას“.
- Nokxixiliwayan.* „მე გარშემო ვიცურავებ“.

(გ) რაში მდგომარეობს გაორმაგების სემანტიკური ეფექტი ინესენიოს ენაში? როგორ ხორციელდება გაორმაგება — ნაწილობრივ თუ სრულად? წესიერად თუ არაწესიერად? აღწერეთ გაორმაგების პროცესი ინესენიოს ენაში იმ ნუსხის გამოყენებით, რომელზეც თქვენ მუშაობდით (ა)-ში.

(დ) *Kxuniyiw* ნიშნავს „მე ვეძებ მას“. როგორ თარგმნით: „ისინი ყველგან ეძებენ მას“? *Sk’ilitap* ნიშნავს „ის შემოდის“. როგორ თარგმნით: „ჩვენ მივუახლოვდებით ნაპირს? (ჩვენ შემოვიჭრებით)“?

ახლა დამატებით განიხილეთ ამგვარი წინადადებები:

- Salimexkeken.* „ის მთლიანად ჭიმავს მას“
- Nokalkalimexkeken.* „მე მთლიანად გადავჭიმავ მას“
- Seqwel.* „ის აკეთებს ამას“
- Keqkeqwel.* „მე ვაკეთებ ამას“
- Nosiyseyqwel.* „ისინი განუწყვეტლივ აკეთებენ მას“

(ე) თარგმნეთ შემდეგი წინადადებები ინესენიოს ენაზე: „მე ვაკეთებ ამას“; „ის

მთლიანად გააკეთებს ამას“; „ჩვენ მთლიანად გავაკეთებთ მას“; „ის მთლიანად ჭიმავს მას“; „ჩვენ გავჭიმავთ მას“; „ჩვენ მთლიანად გავჭიმავთ მას“.

(ვ) ახალი მონაცემების ზეგავლენით შეიძლება იძულებული გახდეთ შეცვალოთ ინესენიოს ენაში არსებული გაორმაგების დახასიათება, რომელიც შეიმუშავეთ (გ)-ში. განმარტეთ ყოველი ცვლილება, რომლის შეტანაც დაგჭირდებათ.

სავარჯიშო 2.29

ნაიკითხეთ 2.12 ჩანართი და შემდეგ გააანალიზეთ ქვემოთ დამატებით მოყვანილი ზმნები ეგვიპტის არაბული ენიდან:

<i>daxal</i>	„ის შემოვიდა“	<i>sakan</i>	„მან იქ იცხოვრა“
<i>badxul</i>	„შემოვივარ“	<i>baskun</i>	„მე იქ ვცხოვრობ“
<i>udxul!</i>	„შემოდი!“	<i>uskun!</i>	„იქ იცხოვრე!“
<i>daaxil</i>	„შემომსვლელი“	<i>saakin</i>	„იქ მცხოვრები“
<i>madxuul</i>	„შემოსული“	<i>maskuum</i>	„იქ ნაცხოვრები“

ა) ამგვარი ზმნები მიეკუთვნება 2.12 ჩანართში მოყვანილ ზმნათაგან განსხვავებულ კლასს. ახსენით ამ განსხვავების არსი და წარმოაჩინეთ განმასხვავებელი სპეციფიკური ნიშანი რომლებიც შეიმჩნევა გრამატიკულ მორფემათა მათ მოდელებში.

(ბ) Na’ash ნიშნავს „მან დაჭრა“ (*sh* წარმოადგენს ერთ თანხმოვან ბგერას, ისეთივეს, როგორიცაა *sh* ინგლისურ სიტყვაში *she*), ხოლო ნასჰარ ნიშნავს „მან შეკერა“. ეს ზმნები ფუნქციონირებს ისევე, როგორც ამავე სავარჯიშოში ზემოთ მოყვანილი ორი ზმნა. როგორ უნდა წარმოითქვას „მე ვჭრი“, „დაჭერი“ „დამჭრელი“ და „დაჭრილი“? „ვკერავ“, „შეკერე“, „მკერავი“ (ის, ვინც კერავს) და „შეკერილი“?

(გ) არაბული ზმნის ჩვეულებრივი ფორმა, რომელიც გვხვდება ლექსიკონებში და რომელზეც მიუთითებენ გრამატიკის სპეციალისტები, არის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის მამრობითი სქესის სრულასპექტიანი ფორმა (პირველი ზმნა ზემოთ მოცემულ ყოველ სვეტში და 2.12 ჩანართში). არის თუ არა ის ყველაზე საბაზისო ფორმა ჩამოთვლილთაგან (რომელიც გვანვდის ცოდნას გრამატიკულ მორფემათა შესაძლო მოდელების შესახებ) და იძლევა თუ არა ის ყველა სხვა ფორმის პროგნოზირების საშუალებას? (თუ, თქვენი აზრით, ეს არის ყველაზე საბაზისო ფორმა, აჩვენეთ, როგორ შეიძლება დანარჩენი ფორმების პროგნოზირება მის საფუძველზე; თუ ფიქრობთ, რომ ეს ასე არაა, დაასახელეთ სხვა უფრო ძირეული ფორმა)

(დ) *Biyiktib* ნიშნავს „ის წერს“, *biyudxul* კი — „ის შემოდის“. დაასახელეთ მესამე პირის, მხოლობითი რიცხვის, მამრობითი სქესის უსრულასპექტიანი ეკვივალენტური ფორმა თითოეული (ექვსიდან) ზმნისთვის, რომლებიც მითითებულია აქ და 2.12 ჩანართში.

3

სინტაქსი I:

ზმნის არბუმენტთა სტრუქტურა და ფრაზის სტრუქტურა

თავის სარჩავი

3.0 შესავალი

3.1 სინტაქსური მასალა და სინტაქსური წესები

- 3.1.1 გრამატიკა და გრამატიკულობა
- 3.1.2 სინტაქსური მასალის თვისებრიობა

3.2 კომპონენტთა თანმიმდევრობა, აღნიშვნები და თემატური როლები

- 3.2.1 ლექსიკური კატეგორიები და ლექსიკონი
- 3.2.2 თემატური როლები და კომპონენტთა თანმიმდევრობა ინგლისურ ენაში
- 3.2.3 კომპონენტთა თანმიმდევრობა სხვა ენებში
- 3.2.4 ბრუნვის ნიშნები და კომპონენტთა თანმიმდევრობა
- 3.2.5 პრედიკატები და არგუმენტთა სტრუქტურა
- 3.2.6 გადარჩევა, იმპლიციტური არგუმენტები, ნულოვანი ნაცვალსახელები და თემა-კრიტიკიუმები
- 3.2.7 სემანტიკური შერჩევა, კატეგორიათა შერჩევა და ჩართული წინადადებები

3.3 ფრაზები და საკომპონენტო სტრუქტურა

- 3.3.1 ფრაზის სტრუქტურის წარმოჩენა: ხეები და კვადრატული ფრჩხილებით აღნიშვნა
- 3.3.2 ფრაზის სტრუქტურის წარმოსაქმნელი მასალა: დისტრიბუცია, მოძრაობა, პრო-ფორმები, ნაშლა და კოორდინაცია
- 3.3.3 ფრაზის სტრუქტურის წარმოება ფრაზის სტრუქტურული წესებით: ინგლისური ენის მინი-გრამატიკა
- 3.3.4 ფრაზის სტრუქტურის შედგენა შეზღუდვების მეშვეობით

3.4 შეჯამება

თანამშრომლობისთვის გამოთქმული
სამადლობელი სიტყვები
შემდგომ საკითხავი ლიტერატურა
მაგალითებად გამოყენებული ენები
სავარჯიშოები

3.0 შესავალი

მეორე თავში შევიტყვეთ, რომ სიტყვები მათზე მცირე ერთეულებისგან, მორფემებისგან შედგება და რომ ენებს მორფოლოგიური წესები აქვთ, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შეერწყას მორფემები ერთმანეთს, რათა გრამატიკულად გამართული სიტყვები ჩამოყალიბდეს. ამ თავში შევიტყვობთ, თუ როგორ ხდება სიტყვების შერწყმის შედეგად ასეთსავე წესებს დაქვემდებარებული, გრამატიკულად გამართული წინადადებების წარმოქმნა.

3.1 სინტაქსური მონაცემები და სინტაქსის წესები

3.1.1 გრამატიკა და გრამატიკულობა

თუ სიტყვათა გარკვეული თანმიმდევრობა წინადადებას არ ქმნის, ამგვარ წინადადებას (წინიდან) ვარსკვლავით (*) აღვნიშნავთ. ამაზე 1 თავშიც გვქონდა საუბარი.

- (1) ა. Desdemona will marry a Moor. დეზდემონა მავრს ცოლად გაჰყვება.
ბ. Macbeth has killed the king. მაკბეტმა მეფე მოკლა.
- (2) ა. * Marry will Moor a Desdemona.
ბ. * Killed the Macbeth has king.

(ინგლისური წინადადებებისგან განსხვავებით, თარგმნილი ქართული წინადადებები სიტყვათა თანმიმდევრობის თვალსაზრისით შეზღუდული არ არის.) რაკი წინადადებებს სიტყვათა მხოლოდ გარკვეული კომბინაცია და თანმიმდევრობა წარმოქმნის, ენათმეცნიერები არაცნობიერ უნივერსალურ გრამატიკაში **სინტაქსური** წესების არსებობას აღიარებენ. ეს წესები განსაზღვრავს, თუ როგორი კომბინაცია უნდა შეადგინოს სიტყვებმა, რათა გრამატიკულად სწორი, გამართული წინადადება შედგეს. მოცემულ, მე-4 და მე-5 თავებში ამ წესებს გამოვიკვლევთ, მათი რაობის, ერთმანეთთან მათი ურთიერთქმედების თავისებურებათა გაგებას შევეცდებით.

როგორც 1 თავში ითქვა, სინტაქსის წესები მოცემული ენის სხვა წესებთან ერთად ამ ენის **გრამატიკას** წარმოადგენს. თუ სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც წინადადებას ქმნის, ამ ენის გრამატიკის წესებს თანხვედება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს წინადადება **გრამატიკულად** გამართულია; თუ ასე არ არის, მაშინ სიტყვათა თანმიმდევრობა **გრამატიკულად გაუმართავია** ანუ სიტყვათა მოცემული თანმიმდევრობა გრამატიკულად სწორ ფორმას ვერ ქმნის. სინტაქსის თეორია, რომელსაც ჩვენს წიგნში წარმოვადგენთ, ფორმალური, ანუ დიდი სიზუსტით ჩამოყალიბებული, მკაფიოდ განსაზღვრული წესებისგან შედგება. თუ წესს ფორმალური სახე არ აქვს, ენათმეცნიერისთვის ძალიან ძნელი, შეუძლებელიც კი იქნება ენის იმ გრამატიკის აღწერა, რომელიც მასზე მოსაუბრის ლინგვისტურ კომპეტენციას წარმოაჩენს. ამ სიზუსტის წყალობით გრამატიკა ასევე ზუსტად განსაზღვრავს, რომელი წინადადებაა გრამატიკულად გამართული, და რომელი — გაუმართავი. თუ გრამატიკული წესები წინადადებას გამართულად აღიარებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული წინადადება გრამატიკამ წარმოშვა (ანუ გენერირება მოახდინა). ამგვარი სახის გრამატიკებს გენერატიული გრამატიკები ეწოდება, მათი თავისებურებების შემსწავლელ დარგს კი — გენერატიული გრამატიკა.

გრამატიკის წესები თვალნათლივი როდია; ისინი ენის იმ არაცნობიერი ცოდნის ნაწილს წარმოადგენს, მოცემულ ენაზე მოსაუბრეს რომ გააჩნია. შესაბამისად, წინასწარ ვერ გვეცოდინება, გრამატიკის რომელ წესებს შეიცავს ერთი ცალკეული მოსაუბრის გრამატიკა. ამ გრამატიკული წესების გამოსაშკარავებლად ჩვენ მათ შესახებ თეორიებს ვაგებთ, შემდეგ კი ამ თეორიების შეფასებას ვახდენთ: საამისოდ მათში (თეორიებში) გამოთქმულ ვარაუდებს ემპირიულ მასალას ვადარებთ. ამგვარად, ლინგვისტები თეორიებს მოცემულ ენაზე მოსაუბრე ადამიანებისგან მონაცემების შეგროვებით ახდენენ, რომ განსაზღვრონ, სწორად აგებს თუ არა თეორია ვარაუდებს ამ კონკრეტული ენის წინადადებათა გრამატიკული სისწორის შესახებ. თუ თეორიის

ვარაუდი რომელიმე კერძო მონაცემზე დაყრდნობით წარმოიშვა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მონაცემი თეორიას ამტკიცებს, მაგრამ თუ მასალა თეორიაში გამოთქმულ ვარაუდებს ეწინააღმდეგება, მაშინ მას კონტრმაგალითს ვუწოდებთ, ვინაიდან იგი თეორიის საწინააღმდეგო მტკიცებულებას, კონტრმონომობას იძლევა. ჩვეულებრივ, როცა ჩვენი თეორიის კონტრმონომობას ვაწყდებით, თეორიის ხელახლა გადახედვა გვიხდება, ისე, რომ იგი ახალ მონაცემებსაც ითვალისწინებდეს. გრამატიკის წესების აღმოჩენის ასეთი მცდელობები მხოლოდ ლინგვისტურ მეცნიერებას როდი ახასიათებს. როგორც გრამატიკული წესებია მიუწვდომელი ადამიანის ზედაპირული ხედვისთვის, სწორედ ასევე, ბუნების კანონებიც დაფარულია. საბუნებისმეტყველო დარგების მეცნიერებიც სწორედ ასე აგებენ თავიანთ თეორიებსა და ვარაუდებს, შემდეგ კი ამონებენ, შეესაბამება თუ არა ემპირიული მონაცემები ამ თეორიებს და ჰიპოთეზებს.

იმ მონაცემების განხილვა, რომლებსაც სინტაქსის საკითხებზე მომუშავე ენათმეცნიერები ყრდნობიან, ან მათ მიერ შემუშავებული თეორიების დაწვრილებითი მიმოხილვა ჩვენი წიგნის მიზანს სრულებით არ შეადგენს. როგორც 1 თავის დასაწყისშივე ვთქვით, შესაძლო წინადადებების რაოდენობა ყოველ ენაში უსასრულოა, არც მათ შესახებ გამოთქმული ვარაუდების რიცხვია მცირე. ამ წიგნში მონაცემებს შერჩევით მოვიყვანთ და მხოლოდ იმ ფაქტების თვალსაჩინოებისთვის აუცილებელ მასალას გავაცნობთ, რომლებიც სინტაქსის მკვლევრებმა აღმოაჩინეს და მათ მიერ შემუშავებულ თეორიებს განმარტავს. თუმცა, შევეცდებით, ზოგადი წარმოდგენა შეგიქმნათ, როგორ აწარმოებენ კვლევას ეს მეცნიერები, რა სახის მასალას აქცევენ ყურადღებას, როგორ ადგენენ ახალ თეორიებს, როგორ ეძებენ ახალ მასალას თავიანთი თეორიების დასამტკიცებლად. ამავე დროს, სინტაქსის თანამედროვე თეორიის ზოგიერთ შედეგსაც წარმოგიდგენთ.

3.1.2 სინტაქსური მონაცემების თვისებრიობა

როგორ დავადგინოთ, გრამატიკულად გამართულია თუ არა ნიმუშად წარმოდგენილი წინადადება, ანუ, შეესაბამება თუ არა გონებრივი გრამატიკის წესებს? ჩვენ ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრეების მეტყველებას (ლინგვისტურ ქცევას) ვაკვირდებით და ვეყრდნობით. როგორც აღვნიშნეთ, მოსაუბრემ ცნობიერად არ იცის, გრამატიკულად გამართულია თუ არა წინადადება, რომელსაც წარმოთქვამს, რადგან ცნობიერად არც კი იციან, თუ როგორია მათი ენის გრამატიკული წესები. ამ წესებს ისინი არაცნობიერად იცავენ. მათი მეტყველების (ლინგვისტური ქცევის) თავისებურებები მხოლოდ მეცნიერულად შეიძლება აიხსნას — თუკი ვივარაუდებთ, რომ იგივე წესები მათ გონებაში გარკვეული ფორმით არსებობს. მოსაუბრის მეტყველებაზე დაკვირვებით შეგვიძლია დასკვნები გავაკეთოთ იმ წესების რაგვარობის შესახებ, რომლებიც არაცნობიერად წარმართავს მათ მეტყველებას (ლინგვისტურ ქცევას), ან მასზე გავლენას ახდენს.

არსებობს, სულ მცირე, სამი ტიპის ლინგვისტური ქცევა, რომელსაც მოსაუბრე გრამატიკულობის მონომობად ავლენს. პირველი: მოსაუბრე სხვებთან საუბრისას, ან რაიმე სხვა სიტუაციაში გარკვეულ ფრაზებს წარმოთქვამს. მეორე: მოსაუბრეებს ესმით ის ფრაზები, რომელსაც სხვა მოსაუბრეები წარმოთქვამენ და, როგორც წესი, შეუძლიათ პერიფრაზირებით (იგივე აზრი სხვა ფორმით — სიტყვების სხვადასხვა კომბინაციით გადმოსცენ) განმარტონ ისინი. მესამე: მოსაუბრეებს ინტუიციის მეშვეობით შეუძლიათ დაასკვნან ბუნებრივად, მისაღებად ჟღერს ფრაზა თუ არა. თუ

მოსაუბრე ფრაზას წარმოთქვამს, ან სხვა მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ფრაზა ესმის, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს კონკრეტული წინადადება გრამატიკულად სწორია. თუმცა, ეს განსაზღვრება სრულყოფილი არ არის, ვინაიდან არსებობს სხვაობა ლინგვისტურ ცოდნას (კომპეტენციას) და ლინგვისტურ ქცევას (პერფორმანსს) შორის. ამ ორ ცნებაზე 1 თავში უკვე გვქონდა საუბარი. ხშირად მეტყველებაში ისეთ ფრაზებს წარმოვთქვამთ, რომლებიც სრულყოფილ წინადადებად ვერ მიიჩნევა — იმ გრამატიკულად სწორი წინადადების ნაცვლად, რომლის წარმოთქმასაც ვაპირებდით. ხშირად მოსაუბრეები იგებენ, რის თქმასაც ვაპირებდით, მიუხედავად იმისა, რომ წინადადება გრამატიკულად გაუმართავი იყო. სწორედ ამიტომაც, რომ მოსაუბრის დამოკიდებულებას ფრაზის მიმართ ხანდახან შეიძლება მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, ვიდრე მის მიერ წარმოთქმულ ფრაზას. თუ მოსაუბრე აცხადებს, რომ წინადადება ბუნებრივად და მისაღებად ჟღერს, მაშინ ის, ალბათ, გრამატიკულად გამართულია. მეორე მხრივ, თუ მოსაუბრე აცხადებს, რომ წინადადება არაბუნებრივად ან მიუღებლად ჟღერს, უნდა დავასკვნათ, რომ მოცემული წინადადება გრამატიკულად გაუმართავია. მეტიც, როცა მოსაუბრე გრამატიკულად გაუმართავ წინადადებას წარმოთქვამს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არამართებულ ფორმებსა თუ მეტყველებაში გავრცელებულ შეცდომებს უკავშირდება. თუმცა, მოსაუბრეს საკუთარი შეცდომების გამოსწორება თავადვე შეუძლია, რაც იმის ნიშანია, რომ მან კარგად იცის, რომელი ფორმაა გრამატიკულად გამართული და რომელი — გაუმართავი.

სინტაქსოლოგები, სხვა ლინგვისტების მსგავსად 1 თავში განხილულ ორ განსხვავებულ მეცნიერულ მონაცემებს ეყრდნობიან: **ნატურალურ** (ბუნებრივად მოპოვებულ) და **ექსპერიმენტულ** (საკონტროლო ექსპერიმენტის შედეგად გამოვლენილ) მასალას. ექსპერიმენტული მასალის მოპოვების ყველაზე ნაცადი ხერხია ამა თუ იმ (მშობლიურ) ენაზე მოსაუბრე ადამიანების მეტყველების შესწავლა, მათთვის საცდელი წინადადებების შეთავაზება და მათი რეაქციის შესწავლა ამ წინადადებებზე. ლინგვისტი მათ ეკითხება, მისაღებად (ბუნებრივად) ეჩვენებათ თუ არა ეს ნიმუშები, სთხოვს, ორი ან ორზე მეტი წინადადება ერთმანეთს შეადარონ და იმის მიხედვით დაახარისხონ, რამდენად მისაღებად, ან ბუნებრივად ჟღერს ისინი მათთვის. არსებობს სხვა ხერხიც: ენათმეცნიერი მათ ეკითხება, რას ნიშნავს თითოეული ეს წინადადება, ვის რამდენად ბუნებრივად ან მისაღებად ეჩვენება კონკრეტულ სასაუბრო კონტექსტში — რომელიმე სხვა კონტექსტთან შედარებით; ბოლოს, ლინგვისტს შეუძლია ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრეს რომელიმე სხვა, ვთქვათ, ინგლისური ენის წინადადება შესთავაზოს და მშობლიურ ენაზე მისი თარგმნა სთხოვოს. მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთაგან ამ გზით მიღებული მონაცემებით ლინგვისტი მეცნიერულ ექსპერიმენტს აწარმოებს, ვინაიდან იგი მოსაუბრეთა ლინგვისტურ ქცევაზე დაკვირვებას არ სჯერდება — იგი მოსაუბრეს ამა თუ იმ მიმართულებით ბიძგს აძლევს და შემდეგ მის რეაქციას სწავლობს. არცთუ იშვიათად, ის სინტაქსოლოგები, რომლებიც საკუთარ ენას შეისწავლიან, ნაწილობრივ საკუთარ ალღოსაც ენდობიან და თავიანთ თავს ექსპერიმენტული მასალის წყაროდ განიხილავენ. მათთვის რა თქმა უნდა, გონივრულია, მონაცემების ხელმეორედ შემოწმება მოცემულ ენაზე სხვა მოსაუბრეთა აზრის გათვალისწინებით.

ზოგადად, როცა ნიმუშად წარდგენილ წინადადებას გრამატიკულად სწორად ან არასწორად მივიჩნევთ (ამ შემთხვევაში მას წინ (*) ვარსკვლავს ვუსვამთ), ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ ენაზე მოსაუბრეებს ეს წინადადება — სიტყვათა მოცემული თანმიმდევრობა მისაღებად არ მიაჩნიათ და რომ ამ ენაზე მოსაუბრეთა ასეთი შეფა-

სება იმით არის განპირობებული, რომ წინადადება მათი ენის გრამატიკის წესებს არ შეესაბამება.

ზოგიერთი ლინგვისტი არ ენდობა ექსპერიმენტების მონაცემებს, როგორც ამა თუ იმ ენის შეფასების ფორმას. ამ მიდგომის კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ნიმუშად (ანუ სტიმულად) შეთავაზებული წინადადებები იშვიათად, ან არასდროს გვხვდება ამ ენაზე მოსაუბრეთა ბუნებრივ სამეტყველო სიტუაციებში.

აბსოლუტური და ფარდობითი შეფასებები

ჩანართი 3.1

შეფასებების გამომვლენ ექსპერიმენტებში, რომელთა მონაწილეებს სთხოვენ განსაზღვრონ, მისაღებ წინადადებად ეჩვენებათ თუ არა სიტყვათა მოცემული თანმიმდევრობა, მონაწილენი უფრო ხშირად აბსოლუტურ შეფასებას იძლევიან. ინგლისურ ენაზე მოსაუბრეებს ზემოთ — (1) და (2) მაგალითებად მოყვანილი წინადადებების სტატუსის განსაზღვრა არ უჭირთ. თუმცა, სხვა შემთხვევებში ამა თუ იმ წინადადების „გამართულობა-გაუმართაობის“ თაობაზე აზრის გამოთქმა უფრო რთულია. მაგალითად, (ა) წინადადების სტატუსი ერთობ სადავოა. ეს ისეთი წინადადება არ არის, რომელსაც მოსაუბრე ბუნებრივ მეტყველებაში გაიგონებს, მაგრამ როცა შესაფასებლად ასეთ წინადადებას სთავაზობენ, მოსაუბრეთა უმეტესობა აცხადებს, რომ მას სრულიად არაბუნებრივ ან მიუღებელ ფორმად ვერ ჩათვლის:

(ა) ? Which book was Oberon read to out of, without being enchanted by?

ამ ყაიდის რთული წინადადებების შეფასებისას ექსპერიმენტის მონაწილეებს ფარდობითი შეფასების გაკეთება უფრო უადვილდებათ. ისინი აცხადებენ, რომ წინადადება, მართალია, მთლად ბუნებრივად არ ჟღერს, მაგრამ სხვა ზოგიერთ წინადადებას სჯობს. ასე მაგალითად, მოსაუბრეებმა შეიძლება განაცხადონ, რომ (ა) უფრო ბუნებრივი ან მისაღები ეჩვენებათ, ვიდრე (ბ), მაგრამ ნაკლებ ბუნებრივი ან მისაღები, ვიდრე (გ):

(ბ) * Which book did Oberon read to out of, without being enchanted by?

(გ) Which book was Oberon reading out of, without being enchanted by?

კითხვის ნიშანი (?), რომელიც მაგალით (ა)-ს წინ არის დასმული, ჩვეულებრივი ტიპოგრაფიული ნიშანია, რომელიც (გ) მაგალითის სრულ „მისაღებობას“ და (ბ) მაგალითის სრულ მიუღებლობას შორის „მისაღებობის“ საშუალო დონეს განსაზღვრავს. ჩვეულებრივ, სრულიად მისაღები ფორმები ამგვარი ნიშნით არ აღინიშნება, ანუ მისაღებობის ტიპოგრაფიული ნიშანი წინ არ დაესმით, თუმცა, ხანდახან შემონიშნების (√) ნიშანი ერთვით — იმის აღსანიშნავად, რომ წინადადება მისაღებია ან გრამატიკულად გამართული.

მოსაუბრეებს გრამატიკულობის სხვადასხვა დონეთა გამორჩევის უნარი აქვთ. მაგალითად, როცა შესაფასებლად შვიდ- ან რვა წინადადებიან სიას შესთავაზებენ, მოსაუბრეს შეუძლია ჩამონათვალი დაახარისხოს — თითოეული მათგანი დანარჩენებთან მიმართებით შეაფასოს. სინტაქსოლოგები მისაღებობის თვალსაზრისით ამ მცირე სხვაობას * ვარსკვლავთა სხვადასხვა კომბინაციით აღნიშნავენ. მაგალითად, ** ნიშნავს: ძალზე მიუღებელი, ერთი ვარსკვლავით აღნიშნულ ფორმაზე უარესი;

*? — თითქმის მიუღებელი, უარესი, ვიდრე ?-ით აღნიშნული ფორმა, მაგრამ უკეთესი, ვიდრე * — ერთვარსკვლავიანი;

?? — ზღვრული ფორმა, უარესი, ვიდრე ?-იანი, მაგრამ ოდნავ უკეთესი, ვიდრე *? აღნიშნვნიანი ფორმა და ა.შ.

ეს ნიშნები ერთმანეთთან ფარდობაში უნდა იქნეს აღქმული, ესენი აბსოლუტური აღნიშვნები არ არის — ისეთი მოსაუბრეებიც კი, რომლებიც ჩამონათვალის შეფასების დროს, ამ აღნიშვნების გამოყენებისას სასურველ ალღოს ამუღავნებენ, ერთი ცალკეული წინადადების შეფასებისას ასეთ ფაქიზ გრადაციას ვეღარ ახდენენ და მათ მიერ ადრე მოხდენილი გრადაციის მონაცემები საკმაოდ განსხვავებულია. ამის შედეგად, მისაღებობის თვალსაზრისით ისეთი ზღვრული წინადადება, როგორცაა (ა), სხვადასხვა კონტექსტში მისაღებობის სხვადასხვა დონეზე ექცევა, ანუ შეიძლება სხვადასხვა აღნიშვნით აღინიშნოს — როცა გრამატიკულად სრულიად მიუღებელ ფორმასთან უხდებთ მისი შედარება, (ა) შეიძლება ? აღნიშვნით აღინიშნოს, მაგრამ როცა ნაკლებ ზღვრულ წინადადებას უდარებენ, შეიძლება ?? ან ?* შეფასება მიიღოს. აღნიშვნათა ასეთი აშკარა შეუსაბამობა სინამდვილეში სულაც არაა წინააღმდეგობრივი; ეს მხოლოდ იმ ფაქტს ასახავს, რომ ზღვრული წინადადება თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა ნიმუშთან იქნა შედარებული.

ენათმეცნიერები თვლიან, რომ „მსგავსი ნიმუშების გამოგონება მხოლოდ სინტაქსოლოგებს შეუძლიათ“. ამ ენათმეცნიერთა აზრით, სინტაქსის თეორია მთლიანად ბუნებრივი გზით მოპოვებულ მასალას უნდა ეყრდნობოდეს, ხოლო ხელოვნური ექსპერიმენტული მონაცემები ვერც რომელიმე ჰიპოთეზის დამამტკიცებელ მასალად გამოდგება და ვერც მის საწინააღმდეგო არგუმენტაციად. ისინი ასევე ეწინააღმდეგებიან, როცა ზოგიერთი მკვლევარი დასკვნებს საკუთარ ალღოზე დაყრდნობით აკეთებს და მას მონაცემების ერთ-ერთ წყაროდ აქცევს, ვინაიდან მკვლევრების ამგვარმა მიდგომამ შეიძლება ექსპერიმენტის არასწორი ან ცალმხრივი მიმართულებით წარმართვა გამოიწვიოს. ანუ სინტაქსოლოგებმა, რომლებიც ექსპერიმენტის სუბიექტად საკუთარ თავს მიიჩნევენ, შეიძლება საკუთარი ინტუიცია, ნებსით თუ უნებლიეთ, თავიანთივე თეორიების განსამტკიცებლად გამოიყენონ.

სინტაქსოლოგები, რომლებიც საექსპერიმენტო ნიმუშების გამოყენებას ემხრობიან, მიუთითებენ, რომ მათზე დამყარებული შედეგები ხანდახან ერთადერთი გზაა სანდო უარყოფითი მოწმობის მოსაპოვებლად, ანუ იმის დასამტკიცებლად, რომ გარკვეული ტიპის წინადადება მოსაუბრეთათვის მიუღებელია (და მაშასადამე, საფიქრებელია, რომ გრამატიკულად გაუმართავია). მათი აზრით, არ შეიძლება წინადადების ჩათვლა არაგრამატიკულად მხოლოდ იმის გამო, რომ იგი მეტყველებაში არ გვსმენია. ექსპერიმენტული წინადადებების მომხრეები იმასაც აღნიშნავენ, რომ მათ ზღვრული წინადადებების ნიმუშებზე მოსაუბრეთა რეაქციის შესწავლა აინტერესებთ, მიუხედავად იმისა, ისმის თუ არა მსგავსი წინადადებები ზეპირ მეტყველებაში. როცა მეცნიერი მუშაობს თეორიაზე, თუ როგორ არის ცოდნა წინადადების სტრუქტურის შესახებ წარმოდგენილი ადამიანის გონებაში, მოსაუბრეთა რეაქციები რთულ წინადადებებზე ერთობ მრავლისმომცემია. ეს ინფორმაცია უშუალოდ დაკავშირებულია თეორიასთან, რომ სინტაქსური ცოდნა ადამიანში არაცნობიერ სისტემად არსებობს და ბუნებრივ მეტყველებაში მარტივი წინადადებების ხმარების თავისებურებებს განსაზღვრავს. ბევრი სინტაქსოლოგი მონაცემთა წყაროდ საკუთარი ინტუიციის გამოყენებასაც უჭერს მხარს და აღნიშნავს, რომ ხშირად ექსპერიმენტისთვის ლინგვისტი უფრო სანდო პირია, ვიდრე თუნდაც მოცემულ (საკვლევ) ენაზე მოსაუბრენი, რადგან ეს უკანასკნელები შეიძლება „მისაღებობის“ ცნებას იმ ფორმებისგან ვერ არჩევენ, რომლებიც თავის დროზე გრამატიკის მასწავლებლებმა „სწორ“ ფორმებად დაასწავლეს. მოცემულ ენ-

აზე მოსაუბრეებს შეიძლება სხვა მიკერძოებებიც აღმოაჩნდეთ, მაგალითად, შთაბეჭდილების მოხდენის ან ლინგვისტის მათემატიკის სურვილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამა თუ იმ სახის ფარული მიკერძოებისგან არც ერთი საექსპერიმენტო სიტუაცია არ არის დაზღვეული და პათოსანი მეცნიერი მათ თავიდან აცილებას უნდა ცდილობდეს, განურჩევლად იმისა თუ ვის ინტუიტურ მონაცემებს შეისწავლის. ექსპერიმენტებთან დაკავშირებული მიკერძოებები და შეცდომები მხოლოდ ლინგვისტიკის პრობლემა არ გახლავთ, ისინი სხვა ექსპერიმენტულ მეცნიერებებშიც ხდება. ექსპერიმენტულმა მასალებმა, მათ მოძიებასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემების მიუხედავად, სინტაქსური წესებისა და პრინციპების გამოვლენაში და სინტაქსის ცალკეული თეორიების გამოცდაში შეუფასებელი როლი ითამაშეს.

3.2 კომპონენტთა თანმიმდევრობა, აღნიშვნები და თემატური როლები

3.2.1 ლექსიკური კატეგორიები და ლექსიკონი

ახლა უკვე მზად ვართ ინგლისურ და სხვა ენების მაგალითზე გარკვეულ სინტაქსურ მასალას გავეცნოთ. ამ განყოფილებაში მონაცემებს შედარებით ტრადიციულ აღწერით ტერმინებში გავეცნობით. შეძლებისდაგვარად არ გამოვიყენებთ დანვრილებით ფორმალურ წესებს. პირიქით, შევეცდებით, ზოგიერთი ზოგადი სინტაქსური პროცესის ინტუიტური გააზრება გადმოგვცეთ. ამ პროცესებზე იმისთვის შევჩერდებით, რომ ამ თავის რამდენიმე მომდევნო განყოფილებაში და მომდევნო თავში სინტაქსის ფორმალური თეორიის განვრცობისათვის საფუძველი შეგიქმნათ. ამ თავში მაგალითებად მოყვანილი ყველა წინადადება ჩვენი შეთხზულია და ისეთი აგებულებისაა, რომ სათქმელის თვალსაჩინოებად გამოგვადგეს. თითოეულ შემთხვევაში წინადადება კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეთა ხელშია გამოვლილი, ანუ მათი შეფასებებითაა აღბეჭდილი, რათა განგვესაზღვრა, მისაღებ წინადადებად თვლიდნენ მათ, თუ არა. ყველა ნეგატიური მონაცემი (ანუ ის ნიმუშები, რომლებიც მოსაუბრეებმა თავიანთი ენისთვის მიუღებლად ჩათვალეს და რომლებიც ჩვენ გრამატიკულად გაუმართავად მიგვაჩნია) * ვარსკვლავით იქნება აღნიშნული.

მე-2 თავში ვნახეთ, რომ ინგლისური ენის ლექსიკონში სიტყვები რამდენიმე ლექსიკურ კლასად, ან კატეგორიად იყოფა. ამ ლექსიკურ კატეგორიებში შედის:

- (3) ა. ზმნა (ზმნ.) (attack, appear, burglarize, carry, fall, hit, kill, kiss, love, marry, quit, შეტევა, გამოჩენა, გაძარცვა, თრევა, დავარდნა, დარტყმა, მოკვლა, კოცნა, სიყვარული, დაქორწინება, შეწვეტა)
- ბ. ზედსართავი (ზედ.) (careful, fair, happy, idiotic, lucky, old, red, ფრთხილი, სამართლიანი, ბედნიერი, სულელური, იღბლიანი, ძველი, წითელი)
- გ. ზმნიზედა (ზმნიზ.) (again, carefully, fairly, luckily, never, very, (ისევ, ფრთხილად, სამართლიანად, საბედნიეროდ, არასდროს, ძალიან)
- დ. სახელი (სახ.) (brother, friend, girl, happiness, king, lover, Moor, sword, witch, ძმა, მეგობარი, გოგონა, ბედნიერება, მეფე, სატროფო, მავრი, ხმალი, ჯადოქარი)

- ვ. საკუთარი (ბიანკა, დუნკანი, დეზდემონა, ჰამლეტი, სახელი (საკ.ს) ქეთი, მაკბეტი, ოფელია)
- ვ. დეტერმინერი (მსაზღვრელი?) (დ) (a, an, that, the, this)
- ზ. თანდებული (თან) (ვინ, თან ზე, ში და ა.შ. ინგლისურში : about, for, from, in, of, to, under)
- თ. ნაცვალსახელი (ნაც.) (მე, შენ, ის, ჩემი და ა.შ. ინგლისურში : I, me, we, us, you, he, him, she, her, it, they, them)
- ი. დამხმარე ზმნები (ინგლისურში) (დამხ.) (can, must, should, will, did, is, were, have, had)

როგორც მე-2 თავში ითქვა, აქედან ზოგიერთი (პირველი ხუთი) ღია კატეგორიაა, რომლებსაც მოსაუბრენი დროდადრო ახალ ნევრებს ამატებენ, ხოლო დანარჩენი ოთხი (ვ-ი) დახურული კატეგორიებია. ღია კლასის კატეგორიებში ზოგი სიტყვა მხოლოდ ფუძისეული მორფემებისგან შედგება (*fair, girl, Kate, quit, very*), მაშინ, როცა სხვები (*burglarize, idiotic, lover, luckily*), მორფოლოგიურად, მორფემაზე ან სხვა რომელიმე კატეგორიაზე აფიქსის დართვით არის ნაწარმოები.

ლექსიკურ კატეგორიათა უმეტესობა ამა თუ იმ სემანტიკურ მახასიათებლებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ზედსართავები, ჩვეულებრივ, ისეთ თვისებებს და მახასიათებლებს ასახავს, რომლებსაც მოსაუბრენი ადამიანებს ან საგნებს მიაწერენ (ფრთხილი, იღბლიანი, ძველი, წითელი). ზმნები, როგორც წესი — ქმედებებს, მოვლენებს, ან მდგომარეობებს (თრევა, შეტევა, შეწყვეტა, დაქორწინება). საკუთარი სახელები ცალკეული ცოცხალი არსებების: ადამიანების და ცხოველების (ბიანკა, ქეთი, ფიდო), გეოგრაფიული ადგილების: ქალაქების ან ქვეყნების (ლონდონი, საფრანგეთი) ან ამა თუ იმ საგნებისა და ობიექტების სახელებია, რომლებიც ადამიანების მიერაა სახელდებული, მაგალითად, რესტორნების, მალაზიებისა თუ კომერციული პროდუქციის (პეპსი, ვიაგრა). მეორე მხრივ, სიტყვებს, რომლებიც ზოგადად საგნებსა და ადამიანებს (დაუკონკრეტებლად) აძლევს სახელს, საზოგადო სახელები ეწოდება (მაგალითად, ძაღლი, სპილო, ქალი, ჯადოქარი, მეფე, ხე, სახლი, ხმალი). მოდით, შევთანხმდეთ: არსებით სახელებს წიგნში სახელებად მოვიხსენიებთ, ზედსართავ სახელებს კი — ზედსართავებად.

ბევრი სემანტიკური ცნება შეიძლება ერთზე მეტი ლექსიკური კატეგორიით იყოს გამოხატული, ხოლო ბევრი ლექსიკური კატეგორია რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული სემანტიკური ცნებების გამოსახატად იხმარება. მაგალითად, სიტყვები „ქორწინება“ და „სირბილი“ ქმედებასაც შეესაბამება („ვექორწინდები“, „დავრბივარ“) და სახელებადაც გამოიყენება („მათი ქორწინება ბედნიერი გამოდგა“, „სირბილი მეხერხება“); ინგლისურ ენაში სახელები *honor* და *beauty* შეგვიძლია აბსტრაქტული ცნებების გამოსახატავად ვიხმაროთ (ზედსართავების *honorable, beautiful* ნაცვლად), ზოგი თანდებული (ზე, ში, თან; ინგლისური *in, on, under, at, beside*) მდებარეობას ან მიმართულებას (*to, from*) ასახავს, ზოგიერთი მათგანის (*of, by, about, with*) ხმარებას კი ამ ცნებებთან არავითარი კავშირი არ გააჩნია. ამგვარად, იმის მიუხედავად, რომ სიტყვის ლექსიკურ კატეგორიას და მის მნიშვნელობას შორის კავშირი აშკარაა, ეს კავშირი კომპლექსურია და ტექსტში ერთი-ორი ნიმუშის მოყვანით მისი წარმოჩენა

არ მოხერხდება. ამის გამო შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული სიტყვის ლექსიკური კატეგორიის განსაზღვრა მხოლოდ მის მნიშვნელობაზე დაყრდნობით ყოველთვის შესაძლებელი არ იქნება. მაშასადამე, ამა თუ იმ სიტყვის ლექსიკური კატეგორიის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მის მორფოლოგიურ და სინტაქსურ მახასიათებლებს უნდა ვითვალისწინებდეთ — ბევრ შემთხვევაში, დიაგნოსტიკისთვის გაცილებით უფრო სანდო მაჩვენებლებს.

2 თავში ჩვენი ყურადღება უმთავრესად ამ ლექსიკური კატეგორიების მორფოლოგიური მახასიათებლებისკენ იყო მიპყრობილი; ამ თავში უფრო მათ სინტაქსურ ნიშან-თვისებებს და გონებრივი გრამატიკის იმ წესებს განვიხილავთ, რომლებიც წინადადებაში მათ ადგილმდებარეობას განსაზღვრავს. ამ წესების შემოქმედების ზოგიერთ მაგალითს 2 თავში გავეცანით, როცა სადიაგნოსტიკო სინტაქსური ჩარჩოები განვიხილეთ. გაიხსენეთ, მაგალითად მოყვანილი ფრაზების (ან სიტყვათა ჯგუფის) ამ ჩარჩოებში, გარკვეულ პოზიციებში მხოლოდ კონკრეტული ლექსიკური კატეგორიების სიტყვები თავსდება. მაგალითად, ვნახეთ, რომ ზოგიერთ ჩარჩოში მხოლოდ მხოლოდობით რიცხვში მდგარი სახელის მოთავსება შეიძლებოდა, ზოგში კი — მხოლოდ ზედსართავისა. თუმცა, ამ სადიაგნოსტიკო ჩარჩოების უკან მოქმედი ლოგიკა ჯერჯერობით არ განვიხილავს, ანუ, არ გვიჩვენებია, როგორ უკავშირდებიან ისინი ინგლისურის სინტაქსის წესებს, ან ამ ენის წინადადებების სტრუქტურას. ამ საკითხებს ქვემოთ განვიხილავთ.

თუმცა, სინტაქსური ჩარჩოების ჩვენმა მოკლე მიმოხილვამ თვალსაჩინოდ გვიჩვენა, წინადადებებში სიტყვათა მდებარეობის თავისებურება კერძოდ, რომ ფრაზის ან წინადადების სტრუქტურის შიგნით ამა თუ იმ ლექსიკური კატეგორიის სიტყვათათვის გარკვეული პოზიციებია განკუთვნილი. (ასე რომ არ იყოს, ეს ჩარჩოები ამა თუ იმ ლექსიკური კატეგორიის წევრობის დასადგენად არ გამოდგებოდა) იგივე შეიძლება ითქვას ზემოთ მოყვანილ (1) და (2) მაგალითებზეც:

- 1) ა. Desdemona will marry a Moor. დეზედემონა მავრს
 ცოლად გაჰყვება.
- ბ. Macbeth has killed the king. მაკბეტმა მეფე მოკლა.
- 2) ა. *Marry will Moor a Desdemona.
- ბ. *Killed the Macbeth has king.

ამ წინადადებებში გამოყენებული ყველა სიტყვა მაგალით (3)-ში ლექსიკურ კატეგორიებს განეკუთვნება. აქვე აღვნიშნოთ, რომ სიტყვები *will* და *has* **დამხმარე ზმნების** კატეგორიის წევრებია. ეს დახურული ლექსიკური კლასია, რომელიც **მოდალურ დამხმარე ზმნებს**, სხვაგვარად — **მოდალურ ზმნებს** მოიცავს. ასეთებია, მაგალითად, სიტყვები *can, could, may, might, must, shall, should, will, would*. (არამოდალური დამხმარე ზმნებია *be, do, have*.) მაგალით(2)-ში ნიმუშად მოყვანილი წინადადებების არაგრამატიკული სტატუსი გვიჩვენებს, რომ თითოეული ლექსიკური კატეგორია წინადადების მხოლოდ განსაზღვრულ ადგილას ჩნდება. სიტყვები მათი ამა თუ იმ ლექსიკური კატეგორიისადმი კუთვნილების გაუთვალისწინებლად ნებისმიერ პოზიციას ვერ განთავსდება. მაგალით (1)-ში გრამატიკულად გამართული წინადადებები (4ა)-ს ლექსიკური კატეგორიების წყობას შეესაბამება; გრამატიკულად გაუმართავი წინადადებები მაგალით(2)-ში ლექსიკურ კატეგორიებს ადგილს ისე მიუჩენს, როგორც (4ბ)-ში და (4გ)-ში არის ნაჩვენები, რაც ინგლისური ენის გრამატიკის წესებით

დაუშვებელია:

(4) ა. საკუთარი სახელი — დამხმარე ზმნა — ზმნა — დეტერმინერი (მსაზღვრელი) — საზოგადო სახელი

ბ. * ზმნა — დამხმარე ზმნა — საზ. სახელი — დეტერმინერი — საკ. სახელი

გ. * ზმნა — დეტერმინერი — საკ. სახელი — დამხმარე ზმნა — საზ. სახელი

მეორე მხრივ, მაგალით (1)-ის წინადადებებში თითოეული სიტყვა შეიძლება მეორით იქნას ჩანაცვლებული, თუკი ეს უკანასკნელიც იმავე ლექსიკურ კატეგორიას მიეკუთვნება. ამის ილუსტრირებას მაგალით (5)-ში ვხედავთ:

(5) ა. Macbeth will marry a Moor. ა. მაკბეტი მავრთან იქორწინებს.

ბ. Desdemona may kiss the Moor. ბ. დეზდემონას შეუძლია მავრს აკოცოს.

გ. Macbeth must marry that which. გ. მაკბეტმა იმ ჯადოქართან უნდა იქორწინოს.

დ. Duncan has carried this sword. დ. დუნკანი ამ ხმალს ატარებდა.

თუ წინადადების კომპოზიცია მისი შემადგენელი სიტყვების ლექსიკურ კატეგორიათა მიმართ „მგრძობიარეა“, სწორედ ასეთ სურათს მივიღებთ. არსებითად, (4)-ში მოცემული მაგალითი გარკვეული ყაიდის — კერძოდ, (1)-ს და (5)-ის მსგავსი წინადადების აგების რეცეპტად გამოდგება. შეიძლება მოგჩვენოთ, რომ (4)-ს მსგავსი მოდელების ჩამონათვალის გაკეთება ძნელი არ იქნება, თუ ყველა იმ შესაძლო თანმიმდევრობას განსაზღვრავთ, რომელთა დაცვითაც ინგლისური სიტყვების ლექსიკური კატეგორიები გრამატიკულად სწორ ინგლისურ წინადადებებს შეადგენს, მაგრამ სინამდვილეში ამის გაკეთება შეუძლებელია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინგლისურში (ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ სხვა სამეტყველო ენაში) გრამატიკულად გამართული წინადადებების ოდენობა უსასრულოა; ამგვარად, ასეთი მოდელების ჩამონათვალი სრული ვერ იქნება. გრამატიკულად გაუმართავი წინადადებების მოდელების ჩამონათვალის შედგენა რომ გვეცადა, იგივე პრობლემას გადავანყდებოდით — ეს სიაც უსასრულო იქნებოდა. სწორედ ამ მიზეზით, წინადადებათა ამგვარი არასრულყოფილი მოდელი, წინადადების სტრუქტურის შესახებ ცოდნის საფუძვლად არ გამოგვადგება. ამის მიუხედავად, სინტაქსის თეორიის ამ და სხვა მათ მსგავს მოდელებში შეჯამებულ ინფორმაციაზე დაყრდნობა უნდა შეეძლოს. რაკი ჩვენს ტვინებს შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ, უნდა არსებობდეს წესების სასრული სისტემა, რომელიც ამ მოდელებში წარმოდგენილ ცოდნას საფუძველს შეუქმნის. ამგვარ სისტემას მესამე ნაწილში განვიხილავთ.

მართალია, გრამატიკულად გამართული ინგლისური წინადადებების რაოდენობა სასრულია, მაგრამ მორფემების (და სიტყვებისა) კი — არა, როგორც მეორე თავში აღვნიშნეთ. იმ განსხვავებული მორფემების რაოდენობა, რომლებიც ყველა მოსაუბრემ იცის, ალბათ უკიდურესად დიდია, ათობით ათასი, მაგრამ მაინც სასრულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაუბრის გონებრივ ლექსიკონში მათი ჩამოთვლა შესაძლებელია. ეს ზოგადად გაზიარებული ფაქტია. თითოეული იმ მორფემისთვის, რომელიც მოსაუბრემ იცის, მოსაუბრის გონებრივი ლექსიკონი **ლექსიკურ ერთეულს** შეიცავს — ამაში მისი წარმოთქმის წესის, მისი მნიშვნელობის, მისი ლექსიკური კატეგორიის განსაზღვრაც იგულისხმება. როგორც 2 თავში აღვნიშნა, ბოლომდე ნათელი არ არის, რომ თითოეული სიტყვა ლექსიკონში ჩამოყალიბებული სახით არსებობს, ვინაიდან სიტყვათა უმეტესობა, ჩვეულებრივი პროდუქტიული წესების მეშვეობით, მორფემებით იწარმოება. თუკი ინგლისური ენის გრამატიკა ყველა მორფემის ჩამონათვალს და იმ პროდუქტიულ

წესებს შეიცავს, რომელთა მეშვეობითაც ეს მორფემები სიტყვებს ქმნიან, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მორფემებით და წესებით წარმოქმნილ სიტყვებს ლექსიკონში ექსპლიციტური ჩამოთვლა აღარ სჭირდება. ეს განსაკუთრებით იმ ენებს ეხება, რომელთაც მორფოლოგიური აფიქსაციის კომპლექსური და პროდუქტიული სისტემები გააჩნიათ, როგორცაა ზაპოტეკი, სადაც თითოეული ზმნის ფუძე დაახლოებით 2000 სიტყვას აწარმოებს. ზოგიერთ შემოკლებულ ლექსიკონში გამოტოვებულია პროდუქტიული მორფოლოგიური წესებით წარმოებული სიტყვები. შესაძლოა, ჩვენი გონებრივი ლექსიკონებიც სწორედ ასევე იყოს შედგენილი.

მეორე მხრივ, ზოგიერთი სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით არანესიერი, ან იდიოსინკრაზულია; მაგალითად, ზმნის *go* წარსული დროის ფორმა არის *went* და არა *goed*; ასეთი სიტყვები ლექსიკონში უნდა იყოს შეტანილი, რადგან მათი არსებობის გამოთვლა მხოლოდ გრამატიკის არსებულ წესებზე დაყრდნობით შეუძლებელია. ბევრ სიტყვას წესიერი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს, მაგრამ ისეთი მორფოლოგიური წესებითაა წარმოქმნილი, რომლებიც მთლად პროდუქტიული არაა; მაგალითად, სახელები ზმნებისგან შეიძლება სუფიქსაციის სხვადასხვა არაპროდუქტიული წესებით წარმოიქმნას. სუფიქსების ამგვარ ნაირფეროვნებას ამჟღავნებს სიტყვები *pressure*, *appearance*, *appendage*, *government* და სხვა, რომლებიც კონტრასტირებს ისეთ არარსებულ სიტყვებთან, როგორებიცაა **pressance*, **governure*, **appearange* და ა.შ. ლექსიკონში პირველი ტიპის სიტყვებიც უნდა იქნეს შეტანილი.

როგორ უნდა გავიგოთ, რა ტიპის ინფორმაციაა შეტანილი ლექსიკონურ ერთეულში? ჩვენ ყოველი სიტყვის სინტაქსურ დისტრიბუციას შევისწავლით, სხვადასხვა ყაიდის ექსპერიმენტულ მონაცემებს ვიყენებთ, მათ შორის, შეხედულებებს გრამატიკული გამართულობა-გაუმართაობის შესახებ, რომლებიც მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა ინტუიციას ეფუძნება. ყოველმა მოსაუბრემ იცის, როგორ უნდა წარმოთქვას ესა თუ ის მორფემა საკუთარ იდიოლექტზე — ენის იმ კონკრეტული ფორმით, რომელსაც ეს მოსაუბრე იყენებს. ეს უნარი რომ არა, ადამიანები წინადადებებს ვერ წარმოთქვამდნენ, სხვა მოსაუბრეთა მიერ წარმოთქმულ წინადადებებში კი მორფემებს ვერ ამოიცნობდნენ. ინგლისურ ენაზე ორი მოსაუბრის იდიოლექტი ერთმანეთისგან შეიძლება საკმაოდ განსხვავდებოდეს, ვთქვათ მათ ლექსიკონში არსებული მორფემების, ან ამ მორფემების წარმოთქმის თავისებურებების თვალსაზრისით. მაგალითად, ინგლისური ენის დიალექტები განსხვავდება მორფემების *either*, *tomato*, *Caribbean* წარმოთქმის თავისებურებით, ზოგიერთ მოსაუბრეს კი გარკვეული სიტყვების წარმოთქმის იდიოსინკრაზული თავისებურებები გააჩნია (მაგალითად, იმ სიტყვებისა, რომლებიც კითხვით, დაწერილობითი ფორმით გაიცნეს და არა ზეპირი მეტყველების გზით). ამის მიუხედავად, ნებისმიერი ცალკეული მოსაუბრის ლექსიკონში არსებობს წარმოთქმის გარკვეული წესი, რომელიც თითოეულ მორფემასთან არის დაკავშირებული, იმისგან დამოუკიდებლად, მსგავსია თუ არა წარმოთქმის ეს თავისებურება სხვა მოსაუბრის გონებრივ ლექსიკონში არსებული წესისა.

მორფემის ლექსიკონური ერთეული მისი მნიშვნელობის განსაზღვრასაც უნდა შეიცავს; ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მოსაუბრეებმა კოჰერენტული წინადადებების წარმოქმნა და სხვა მოსაუბრეთა ნათქვამის გაგება შეძლონ. იშვიათ შემთხვევებში, მოსაუბრემ შეიძლება მისთვის უცნობი სიტყვა ან მორფემა ნაიკითხოს ან მოისმინოს, მისი მნიშვნელობა კი არ იცოდეს; ასეთ შემთხვევაში, მოსაუბრემ შეიძლება (გაუცნობიერებლადაც კი) ამ სიტყვას ან მორფემას ლექსიკონური ერთეული გამოუძებნოს, მა-

გრამ ეს ლექსიკური ერთეული სრული ვერ იქნება, სანამ მოსაუბრე მის მნიშვნელობას არ დაადგენს. იმის ზუსტი აღწერა, თუ როგორ და სახითაა მორფემების მნიშვნელობა ადამიანის გონებაში წარმოდგენილი, ძალზე რთულია, ამ საკითხის ბევრი ასპექტი დღემდე საკმაოდ ბუნდოვანია. მიუხედავად ამისა, ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის ზოგი ასპექტი, როგორც ამას 2.3 განყოფილებაში ვნახავთ, სინტაქსურ წესებზე გარკვეულ (შეზღუდული ძალის) გავლენას ახდენს.

ამასთან, მორფემის ლექსიკურ ერთეულს ლექსიკური მნიშვნელობის (ზმნა, სახელი თუ ზედსართავი და ა.შ.) განსაზღვრებაც უნდა ერთვოდეს. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მოსაუბრეებმა არაცნობიერად იციან საკუთარი ენის მორფოლოგიური წესები, რომლებიც მორფემების ლექსიკური კატეგორიების მიმართ მგრძობიარობას ამჟღავნებს, რაზეც მე-2 თავში ვისაუბრეთ და ისიც დავძინეთ, რომ გრამატიკული წინადადებების შედგენის მათთვის დამახასიათებელი უნარი სიტყვათა ლექსიკური კატეგორიების მათსავე ცოდნაზე დამოკიდებული (ეს საკითხები ამ თავში განვიხილეთ). სიტყვათა სინტაქსური კატეგორიების მიხედვით არაცნობიერი დაყოფა და ხმარება გაუნათლებელ მოსაუბრესაც კი შეუძლია, ისეთსაც კი, რომელსაც მშობლიური ენის გრამატიკა არასოდეს უსწავლია. ამგვარმა მოსაუბრემ შეიძლება ისეთი გრამატიკული ტერმინების მნიშვნელობა არ იცოდეს, როგორიცაა, ვთქვათ, ზმნა, ზედსართავი და ა.შ. მაგრამ მათი ხმარება საკუთარ ენაზე ისევე შეუძლია, როგორც განათლებულ მოსაუბრეს, თუ ისინი ერთ დიალექტზე საუბრობენ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ იმ სიტყვების სინტაქსური კატეგორიები იციან, რომლებსაც იყენებენ. ტერმინები „ზმნა“ და „ზედსართავი“ ამ ცნებათა მხოლოდ ყველასათვის მოსახერხებელი იარაღივითაა. ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრეებს ინსტინქტურად ესმით ამ გრამატიკული ნიშან-თვისებების რაობა. სხვაგვარი გრამატიკული ინფორმაცია ლექსიკური ერთეულების შესახებ ჩვენს ტექსტში ქვემოთ იქნება განხილული.

ჩვეულებრივი ლექსიკონები შეიცავს ინფორმაციას ცალკეული სიტყვების შესახებ, კერძოდ, მათი დაწერის წესის, ხანდახან კი მათი ისტორიული წარმოშობის შესახებ. თუმცა, ამგვარი ინფორმაცია მოსაუბრის გონებრივი ლექსიკონის ძირითად ნაწილს არ წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანს ისეც შეუძლია მშობლიურ ენაზე მეტყველება და წერა, რომ ენის ისტორიის შესახებ არაფერი იცოდეს.

ჩანართი 3. 2

მორფოლოგია და ლექსიკონი

როგორც ტექსტში აღინიშნა, სრულიად შესაძლებელია, რომ ლექსიკონი იმ სიტყვათა შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს არ შეიცავდეს, რომლებიც ენის პროდუქტიული მორფოლოგიური წესებითაა წარმოშობილი, მაგალითად, სიტყვები „კლავს“ და „კლავდა“. მეორე მხრივ კი, ისეთი ინგლისური ზმნური ფორმები, როგორებიცაა *grew*, *went* ლექსიკონში აუცილებლად უნდა იყოს განმარტებული, როგორც არანესიერი ზმნების *grow* და *go* წარსული დროის ფორმები. წარსული დროის ეს ფორმები ნაწილებად თუ ცალკეულ მორფემებად არც დაიყოფა. როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, ასეთ სიტყვებს ტრადიციულად **პორტმანტო** მორფემები ეწოდება.

ამის მიუხედავად, ინგლისური ენის სინტაქსის წესები ამგვარ არანესიერ პორტმანტო წარსული დროის ფორმებს სხვა ზმნების წარსული დროის ფორმებისგან (რომლებიც პროდუქტიული მორფოლოგიური წესით, ზმნის ფუძეზე *-ed* სუფიქსის დართვითაა წარმოშობილი) განკერძოებით არ განიხილავს. მაგალითად, მოდალური ზმნები

(როგორებიცაა *can* ან *may*) ზმნის ფუძეს წინ უნდა უძლოდეს, და მას ნამყო დროის სუფიქსიანი ზმნა არ უნდა მოსდევდეს. ამგვარად, წინადადება *Macbeth may kill Duncan* („მაკბეტმა შეიძლება დაუწყოს მოკლას“) გრამატიკულად გამართული ფორმაა, ხოლო **Macbeth may killed Duncan* — არა. ნარსული დროის არანესიერი პორტმანტო ფორმები ამ თვალსაზრისით ისევე მოქმედებს, როგორც ნარსული დროის არანესიერი ფორმები: *Henry may go to France* გრამატიკულად სწორი ფორმაა, ხოლო **Henry may went to France* — არა.

რატომ არის, რომ სინტაქსური წესები ნარსული დროის ყველა ფორმასთან ერთნაირად მოქმედებს, იმის მიუხედავად, იყოფა თუ არა ისინი ორ მორფემად? ერთი ახსნა ისაა, რომ ნარსული დროის პორტმანტო ფორმები, როგორიცაა *went* და *grew* ორი მორფემისგან შედგება: ფუძისეული მორფემის არანესიერ ფორმას ნარსული დროის ნულოვანი მორფემა მოსდევს. (გაიხსნეთ მე-2 თავი, სადაც ნულოვან მორფემებზე ვსაუბრობდით.) მეორე ახსნა კი ასეთია: ნარსული დროის ყველა ზმნურ ფორმას აქვს აბსტრაქტული ძირი [+ ნარსული დროის სუფიქსი] (მე-2 თავი გაიხსნეთ), იმის მიუხედავად, უკავშირდება თუ არა ეს ძირი ცალკეულ მორფემას სიტყვის შიგნით.

ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, ლექსიკონი, მორფემებთან და არანესიერ ზმნებთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების გარდა, მორფოლოგიის ყველა წესს შეიცავს. ამ თეორიის თანახმად, ინგლისური ენის ეს ორი კომპონენტი ამავე ენის ყველა სიტყვას ანარმოებს — ლექსიკურ ერთეულებში მათი ჩარიცხვით, თუ პროდუქტიული მორფოლოგიური წესების მეშვეობით სხვა ლექსიკური ერთეულებისგან მათი წარმოქმნით. სხვა ენათმეცნიერები ფიქრობენ, რომ სინტაქსური და მორფოლოგიური წესები ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული. გავრცელებულია აზრი, რომ სინტაქსის წესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიტყვათწარმოებაზე — მათი ზემოქმედებით მორფემები წინადადების ერთი პოზიციიდან მოერეზე ინაცვლებენ და ამ დროს სხვა მორფემებს უერთდებიან. ამ მიდგომის თანახმად, სინტაქსის წესები ზეგავლენას ახდენენ ნარსული დროის ფორმების წარმოქმნაზე, როცა წინადადებაში ზმნის (უდროო) ფუძეებს ნარსული დროის მორფემებთან გადაანაცვლებენ. ეს საკითხები მე-5 თავშია განხილული.

საინტერესო საკითხია: განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან (და რამდენად) განათლებული მოსაუბრის გონებრივი ლექსიკონი გაუნათლებელი ადამიანის გონებრივი ლექსიკონისგან; ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებზე და თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეულ ენობრივ დარღვევებზე (აფაზია) დაკვირვების შედეგად იმის ბევრი მონიშნა არსებობს, რომ ლექსიკონში შემავალი თითოეული ლექსიკური ერთეული ორთოგრაფიულ რეპრეზენტაციასაც (დანერის წესს) მოიცავს. ზოგიერთი აფაზიური პაციენტი წერა-კითხვის უნარს ინარჩუნებს, მაგრამ მეტყველების უნარს კარგავს და პირიქით. სინტაქსური წესების განხილვისას დანერისა და გამოთქმის წესების სხვაობაზე ფიქრი არ გვიწევს, ამიტომ ბგერების გამოხატვისას სირთულეები არ გვხვდება: მე-11 თავში განხილული ფონეტიკური ტრანსკრიფციის სისტემის ნაცვლად, საამისოდ ინგლისური ენის ტრადიციულ დამწერლობას ვიყენებთ.

ა) ააგეთ (4ა)-ში გამოყენებული მოდელის შესატყვისი ხუთი დამატებითი წინადადება. ამ წინადადებებისთვის შეარჩიეთ სიტყვები (3)-ში მოცემული ჩამონათვლიდან. არიან თუ არა ეს წინადადებები გრამატიკულად გამართული? თუ ინგლისური თქვენი მშობლიური ენაა, გადწყვეტილების მიღებისას შეგიძლიათ საკუთარ

ინტუიციას დაეყრდნოთ. თუ არა, იქნებ მოახერხოთ და რჩევისთვის ინგლისურენოვან ნაცნობს მიმართოთ. თუ ასეთი ნაცნობი არ გყავთ, მაშინ, ინგლისურის, როგორც მეორე სასაუბრო ენის თქვენეულ ცოდნას მიენდეთ.

- ბ) მაგალით (4)-ის მოდელები ამ ხუთი ლექსიკური კატეგორიის: დამხმარე ზმნის, დეტერმინერის, საკუთარი სახელის, საზოგადო სახელისა და ზმნის შესაძლო კომბინაციით მიღებული წინადადებების სამ ვარიანტს იძლევა. მათგან ერთ-ერთი გრამატიკულად გამართულია, ორი დანარჩენი კი — გაუმართავი. თუმცა, ამ ხუთი ლექსიკური კატეგორიის 120 შესაძლო კომბინაცია არსებობს. ამ კატეგორიების სხვადასხვა კომბინაცია მოსინჯეთ და ხუთი დამატებითი მოდელი შეადგინეთ. თითოეული მოდელი წინადადების შედგენისათვის საფუძვლად გამოიყენეთ, სიტყვები კი (3) მაგალითის ჩამონათვალიდან შეარჩიეთ. ამ გზით სცადეთ გრამატიკულად სწორი წინადადების ერთი დამატებითი მოდელი მაინც იპოვოთ.
- გ) თარგმნეთ წინადადებები (1ა) და (1ბ) ინგლისურის გარდა რომელიმე სხვა ენაზე; ეს ენა შემდგომ X ენად მოვიხსენიოთ. (თუნდაც ეს სხვა ენა თქვენი მშობლიური ენა იყოს; თუ მშობლიური ენა არ არის, რჩევისთვის ამ ენაზე მოსაუბრე მეგობარს ან ნაცნობს მიმართეთ, ან ის ენა გამოიყენეთ, რომელსაც სწავლობდით). ახლა გვიპასუხეთ: X ენაზე შედგენილ ამ წინადადებებში სიტყვათა იგივე რაოდენობაა, რაც წინადადებებში (1ა) და (1ბ)? თუ არა, განმარტეთ, რატომ. თითოეული ამ წინადადებისთვის მაგალით (4)-ის მსგავსი მოდელი შეადგინეთ. არის თუ არა ერთნაირი ეს ორი მოდელი? თუ არა, განმარტეთ, რატომ. ააგეთ ორი დამატებითი წინადადება X ენაზე, რომლებიც იმავე მოდელს (მოდელებს) შეესაბამება, ოღონდ ახლა სხვა სიტყვები გამოიყენეთ. (თუ დარწმუნებით ვერ ამბობთ, რომელ ლექსიკურ კატეგორიას განეკუთვნება ესა თუ ის სიტყვა, საკუთარ ალღოს დაეყრდენით.)

3.2.2 თემატური როლები და კომპონენტთა თანმიმდევრობა ინგლისურ ენაში

სინტაქსის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც მე-2 თავში მოკლედ არის განხილული, კომპონენტთა ძირეული თანმიმდევრობის მიხედვით ენათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას უკავშირდება. კომპონენტთა ძირეული თანმიმდევრობა მარტივ წინადადებაში სიტყვათა ტიპობრივ თანმიმდევრობას გულისხმობს, მაგალითად ასეთს:

- (6) a. Macbeth murdered Duncan.
b. Duncan murdered Macbeth.
ა. მაკბეტმა მოკლა დუნკანი.
ბ. დუნკანმა მოკლა მაკბეტი.
- (7) a. Othello liked Desdemona.
b. Desdemona liked Othello.
ა. ოტელოს დეზდემონა მოსწონდა.
ბ. დეზდემონას ოტელო მოსწონდა.

- (8) a. Othello pleased Desdemona.
 b. Desdemona pleased Othello.
 ა. ოტელო ახარებდა დეზდემონას.
 ბ. დეზდემონა ახარებდა ოტელოს.

წინადადებათა ეს წყვილები ერთსა და იმავე სამ სიტყვას შეიცავს (ორ საკუთარ სახელსა და ზმნას), მაგრამ სიტყვათა განსხვავებული თანმიმდევრობის გამო, თითოეული სხვადასხვა მნიშვნელობისაა. ასე მაგალითად, (6ა) –ში მკვლელი მაკბეტია, (6ბ)–ში კი — მსხვერპლი; მსგავსად, (7ა) და (8ბ) დეზდემონასადმი ოტელოს დამოკიდებულებას გვაცნობს, ხოლო (7ბ) და (8ა) მის მიმართ დეზდემონას დამოკიდებულებას გადმოგვცემს.

სიტყვათა თანმიმდევრობასა და მნიშვნელობას შორის ამგვარი ურთიერთკავშირის ტრადიციული განმარტება კიდევ ერთ ურთიერთკავშირს ემყარება — ურთიერთობას წინადადების სტრუქტურის განმსაზღვრელ სინტაქსურ წესებს, დამოკიდებულებათა (რეფერენციის) სემანტიკურ წესებსა (*semantic rules of reference*) და თემატური როლის მინიჭებას (*thematic roles assignment*) შორის. როგორც უკვე დავრწმუნდით, ისეთი სახელები, როგორებიცაა ოტელო და მაკბეტი, ჩვეულებრივ, როგორც ცოცხალ ადამიანებს, ისე წარმოსახვით პერსონაჟებს განეკუთვნება, ხოლო მას (პიროვნება, ადამიანი) ვისაც ეს სახელები განეკუთვნება, **რეფერენტი** ეწოდება. მეორე მხრივ, ზმნები განეკუთვნება ისეთ ქმედებებსა და მოვლენებს, რომელთაგან თითოეულს ერთი ან ერთზე მეტი მონაწილე ჰყავს, რომლებიც მათთვის განკუთვნილ როლს ასრულებენ. მაგალითად, მკვლელელობას ორი მონაწილე მაინც უნდა ჰყავდეს: **აგენტი**, რომელიც ქმედებას ასრულებს (მკვლელი) და **მიმღები**, რომლის მიმართაც ხორციელდება ქმედება (მსხვერპლი). ამის მსგავსად, მოწონების თუ გახარების ქმედება გულისხმობს **განცდის სუბიექტს** (*experiencer*), რომლის ფსიქოლოგიური მდგომარეობაცაა აღწერილი წინადადებაში და **თემა**, რომელიც წინადადებაში გამოხატულ დამოკიდებულებაშია გაცხადებული.

ტერმინებს, როგორებიცაა აგენტი, მიმღები, განცდის სუბიექტი (ექსპერიენსერი) და თემა, რომლებიც წინადადებაში აღწერილ სიტუაციაში ან ქმედებაში მონაწილეთა სემანტიკურ როლებს განსაზღვრავს, სხვაგვარად **თემატური როლები**, ანუ მ-როლები — თემა-როლები ეწოდებათ. მონაწილეებს, რომლებთანაც ეს თემა-როლებია დაკავშირებული, ზმნის **არგუმენტები** ეწოდებათ. თითოეული ზმნის მნიშვნელობის რეპრეზენტაცია გონებრივ ლექსიკონში იმ არგუმენტების რაოდენობას განსაზღვრავს, რომლებიც მათ გააჩნიათ და თემა-როლებს, რომლებიც მათთანაა დაკავშირებული.

ყოველი თემა-როლი წინადადებაში კონკრეტულ სინტაქსურ პოზიციას შეესაბამება. მაგალითად, წინადადებაში (6) აგენტის როლი სუბიექტის პოზიციას ენიჭება (ეს პოზიცია ზმნის წინ მდგომ სახელს უკავია), მაშინ, როცა მიმღების როლი ობიექტის პოზიციას უკავშირდება (ამ პოზიციას ზმნის შემდეგ მდგომი სახელი იკავებს). როცა თემა-როლი სინტაქსურ პოზიციას ამგვარად ენიჭება, ამ პოზიციაში მოხვედრილი სახელის რეფერენტი აღიქმება, როგორც ზმნით გამოხატულ მოქმედებაში ამ თემა-როლთან დაკავშირებული მონაწილე. (6ა)-ში სახელს „მაკბეტი“ სწორედ სუბიექტის პოზიცია უჭირავს, ამგვარად, ამ სახელის რეფერენტი (კერძოდ, შექსპირის პიესის პერსონაჟი) ზმნით გამოხატული ქმედების აგენტი — მონაწილეა (კერძოდ, მკვლელი) სახელი „დუნკანი“ ობიექტის პოზიციას იკავებს, ამგვარად, მისი რეფერენტი მოქმედების მიმღებად (ანუ მსხვერპლად) აღიქმება.

ამ თემა-როლებს მაგალითში (6ბ) ადგილები აქვთ შეცვლილი, ვინაიდან წინადადებაში სახელები „მაკბეტი“ და „დუნკანი“ ურთიერთს ენაცვლება. აგენტის თემა-როლის მინიჭება სუბიექტის პოზიციისადმი, ხოლო მიმღების თემა-როლისა — ობიექტის პოზიციისადმი ისეთი ზმნებისთვის არის დამახასიათებელი, რომელთა მეშვეობით გამოხატულ ქმედებაში ორი თემატური როლი მონაწილეობს, როგორც ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში:

- (9) ა. ჰენრიმ ქეთრისს აკოცა.
 ბ. ოტელომ დეზდემონა დაახრჩო.
 გ. შაილოკმა ანტონიოს უჩივლა.

ამ მოდელების განმეორებადობა მოწმობს, რომ თემატური როლის მინიჭების პროცესები გრამატიკის ზოგად წესებს წარმოადგენს; ანუ, ესენი ცალკეული ზმნების იდიოსინკრაზული თვისებები არ არის და ამის გამო ამ ზმნების ლექსიკურ ერთეულებში ექსპლიციტურ წარდგენას არ საჭიროებს. რაკი ზმნების *murder* (მოკვლა) და *kiss* (კოცნა) ლექსიკური ერთეულები ისეთ ქმედებებთანაა დაკავშირებული, რომლებიც აგენტის მონაწილეობასაც გულისხმობს და მიმღებისასაც, ეს თემა-როლები სუბიექტის და ობიექტის პოზიციებს შესაბამისად, თემა-როლის მინიჭების პროდუქტიული ზოგადი წესებით ენიჭებათ.

მეორე მხრივ, ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღმწერ ზმნებთან დაკავშირებული თემატური როლების მინიჭება ნაკლებ პროგნოზირებადი პროცესია. ზოგი ზმნა (ვთქვათ, *like* -მონონება, *hate* -სიძულვილი, *admire*-გალმერთება) განცდის სუბიექტის როლს სუბიექტის პოზიციით უკავშირდება, როგორც ეს მაგალით (7)-შია მაშინ, როცა სხვა ზმნები (როგორებიცაა *please* -სიამოვნების მინიჭება, გახარება; *disgust* — ზიზღი; *impress* - შთაბეჭდილების მოხდენა) საპირისპირო სურათს წარმოაჩენენ, როგორც მაგალით (8)-ში არის ნაჩვენები. ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღმწერ ზმნათა ორ კლასს შორის არსებული ასეთი კონტრასტი მოწმობს, რომ სულ მცირე, ზოგიერთი ზმნის სალექსიკონო განმარტებები მაინც მხოლოდ მათ მიერ აღწერილ სიტუაციებთან დაკავშირებული თემატური როლების განსაზღვრას კი არ უნდა შეიცავდეს, არამედ დანვრისებით (ექსპლიციტურ) განაცხადს, თუ წინადადების რომელი პოზიციებია კავშირში თითოეულ თემატურ როლთან. ზოგიერთი ლინგვისტი ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება და აცხადებს, რომ ყველა თემა-როლის მინიჭება ზოგადი წესებით ხდება, მათ შორის იგულისხმება ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღმწერი ზმნების ორი კლასიც.

მაგალითად მოყვანილ ყველა წინადადებაში, რომლებიც ჯერ-ჯერობით განვიხილეთ, სუბიექტის და ობიექტის პოზიციები საკუთარ სახელებს უჭირავს. თუმცა, ამ პოზიციების დაკავება, როგორც მაგალით (10)-შია ნაჩვენები, ნაცვალსახელებსაც შეუძლია:

- 10) ა. He Kissed her. „მან აკოცა მას“.
 ბ. You broke it. „შენ გატყეხე ის“.

ეს პოზიციები შეიძლება დეტერმინირიანმა ფრაზებმაც (დფ-ები) დაიკავოს, როგორც მაგალითში (11):

- 11) ა. The king kissed the princess.
 ბ. Three witches prepared a vile broth.

ა. მეფემ პრინცესას აკოცა.

ბ. სამმა ჯადოქარმა საძაგელი შეჭამანდი მოამზადა.

დეტერმინირიანი ანუ მსაზღვრელიანი ფრაზა, ჩვეულებრივ, შეიცავს ერთ დეტერ-

მინერს მაინც (ჩვენს მაგალითებში, არტიკლი *the* ან *a*, რიცხვითი სახელი სამი), სახელს (მეფე, პრინცესა, მეგობარი, ღვინო), ხშირად ერთ ან რამდენიმე ზედსართავს (მაგალითად, საძაგელი). როგორც ქვემოთ ვნახავთ, დეტერმინერიანი ფრაზები შეიძლება სხვა ლექსიკური კატეგორიების სიტყვებსაც შეიცავდეს. ნაცვალსახელები და დეტერმინერიანი ფრაზები, ისევე როგორც სახელები, ადამიანებთან და ცხოველებთან მიმართებაში გამოიყენება. ამგვარად, როცა ნაცვალსახელი ან დეტერმინერიანი ფრაზა სუბიექტის ან ობიექტის პოზიციას იკავებს, მისი რეფერენტი ამ პოზიციისათვის თეტა-როლის მინიჭებასთან დაკავშირებულ მონაწილედ აღიქმება.

როგორც წესი, სახელებს, ნაცვალსახელებს და დეტერმინერიან ფრაზებს ერთი და იგივე გარე სინტაქსური დისტრიბუცია გააჩნიათ. ანუ, წინადადების ნებისმიერ პოზიციებში, სადაც არ უნდა აღმოჩნდეს სახელი, შეიძლება ნაცვალსახელმა ან დეტერმინერიანმა ფრაზამ ჩაანაცვლოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, (10) და (11) მაგალითში მოცემული მასალა უფრო ზოგად მოდელს ქმნის. მესამე ნაწილში ამ ფაქტის ახსნას შევეცდებით: სახელები და ნაცვალსახელები დეტერმინერიანი ფრაზების მხოლოდ გარკვეული ნაირსახეობაა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დეტერმინერს არ შეიცავენ. (უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ენაში, მაგალითად, ფრანგულში, განსაზღვრული (დეფინიტიური) დეტერმინერიანი ფრაზები შეიძლება ნაცვალსახელებად იქნეს გამოყენებული, ხოლო სხვა ენებში, მაგალითად, გერმანულსა და პორტუგალიურში, სახელებს ხანდახან წინ დეტერმინერები უძღვის.) ჩვენს მომდევნო დისკუსიაში ამ კატეგორიებიდან ნებისმიერის აღსანიშნავად დეტერმინერიან ფრაზას გამოვიყენებთ.

ზმნები ქონა (*have*) და ფლობა (*own*) ისეთ სიტუაციებს ასახავს, რომლებშიც ქონის თუ ფლობის ურთიერთობაში ორი მონაწილეა ჩართული: **მფლობელი** (ხშირად, თუმცა არა ყოველთვის — ადამიანი, პიროვნება) და თემა (ფლობის საგანი). მფლობელის თეტა-როლი სუბიექტის პოზიციას ენიჭება, ხოლო თემის თეტა-როლი — ობიექტის პოზიციას:

- (12) ა. Lear has a daughter.
 ბ. The Dauphin owns some tennis balls.
 ა. ლირს (ერთი) ქალიშვილი ჰყავს.
 ბ. დოფინს ჩოგბურთის რამდენიმე ბურთი აქვს.

ზოგიერთ წინადადებაში დეტერმინერიანი ფრაზები მფლობელებადაა ინტერპრეტირებული, მაშინაც კი, როცა წინადადებაში არ არის ისეთი ზმნა, როგორც არის „ქონა“ (*have*). (გახსოვდეთ, რომ ახლა ტერმინს დეტერმინერიანი ფრაზა იმ მნიშვნელობით ვხმარობთ, რომელიც სახელებს და ზედსართავებს, ასევე დეტერმინერის შემცველ, დეტერმინერიან ფრაზებსაც მოიცავს):

- (13) ა. *Lear's daughter loved him.*
 ბ. *Henry disliked the Dauphin's tennis balls.*
 გ. *The daughter of Lear loved him.*
 დ. *Henry disliked the tennis balls of the Dauphin.*
 ა. ლირის ქალიშვილს უყვარდა იგი.
 ბ. ჰენრიმ დოფინის ჩოგბურთის ბურთები აითვალწუნა.
 გ. ლირის ქალიშვილს უყვარდა იგი.
 დ. ჰენრიმ დოფინის ჩოგბურთის ბურთები აითვალწუნა.

ამ წინადადებებში მფლობელის თეტა-როლი ან სახელის წინ, ნომინალურ მსაზღვრელს ენიჭება, როგორც (13 ა-ბ)-ში, ან *of* თანდებულის მომდევნო პოზიციას.

ეს თანდებული დეტერმინერიან ფრაზას შემადგენელი, ფლობის თემასთან დაკავშირებული სახელის შემდეგ დგას, როგორც ეს მაგალითებშია (13 გ-დ). (ნომინალური მსაზღვრელის პოზიციას კლიტიკა –s მარჯვენა კიდიდან ერთვის, როგორც მე-2 თავში ითქვა.) როცა დეტერმინერიანი ფრაზა უშუალოდ თანდებულს მოსდევს, მას ამ თანდებულის ობიექტს ვუნოდებთ, სწორედ ისე, როგორც ზმნის ობიექტი არსებობს. თანდებულისა და მისი ობიექტის ერთობლიობას თანდებულისა ფრაზას, სხვაგვარად **ოფ**-ს უწოდებენ. ამგვარად, მფლობელის პოზიცია მოყვანილ მაგალითში (13 გ-დ) *of* თანდებულის ობიექტია. ყურადღება მიაქციეთ: სახელობით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელის პოზიცია მაგალითში (13ა) და აგრეთვე ის პოზიცია, რომელიც მაგალითში (13გ) *of* თანდებულს უჭირავს, ამკარად იმ დეტერმინერიან ფრაზის ფარგლებშია მოქცეული, რომელიც ფლობის თემას უკავშირდება, ვინაიდან ფრაზები *Lear's daughter* და *The daughter of Lear* ზმნის წინ მდებარე სუბიექტის პოზიციაში გვხვდება.

თემატური როლის კიდევ ერთი ტიპი, რომელიც ინგლისურ ენაში ენიჭება კონკრეტულ სინტაქსურ პოზიციას, **სამიზნე** თემა-როლია (*goal θ-role*). ის ან ერთი ადგილიდან მეორეში გადანაცვლების გამომხატველი მოქმედების დასრულებასთან არის დაკავშირებული, ან იმ მონაწილესთან, რომელიც რეციპიენტივით ფუნქციონირებს მოქმედებაში და მფლობელის როლს ერთი ადამიანიდან მეორეს გადასცემს. ეს სამიზნე თემა-როლი *to* თანდებულის შემდეგ მდგომი **ირიბი ობიექტის** პოზიციას ენიჭება, რომელიც ქვემოთ, მაგალით (14)-ის წინადადებებში ობიექტის პოზიციის შემდეგ დგას: (14)

ა. *Shylock lent money to Antonio.*

ბ. *The Dauphin sent tennis balls to the king.*

გ. *Harry passed the wine to Falstaff.*

ა. შაილოკმა ანტონიოს ფული ასესხა.

ბ. დოფინმა ჩოგბურთის ბურთები მეფეს გაუგზავნა.

გ. ჰარიმ ფალსტაფს ღვინო გადააწოდა.

უშუალოდ ზმნის შემდეგ მდგარი ობიექტის პოზიციას ხშირად **პირდაპირი ობიექტის** პოზიციას უწოდებენ, რათა ირიბი ობიექტის პოზიციისგან იქნეს განსხვავებული. მაგალითში (14) აგენტის და მიმღების თემა-როლები შესაბამისად სუბიექტის და პირდაპირი ობიექტის პოზიციებს ენიჭება, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში.

სამიზნე და მიმღები თემა-როლების მინიჭება შეიძლება სხვაგვარადაც მოხდეს. ეგრეთ წოდებულ **ობიექტის ორმაგ კონსტრუქციაში** ზმნას ობიექტის ორი პოზიცია მოსდევს; სამიზნე თემა-როლი ობიექტის პირველ პოზიციას ენიჭება, ხოლო მიმღების თემა-როლი — ობიექტის მეორე პოზიციას:

(15) ა. *The Dauphin sent Henry tennis balls.*

ბ. *Hal passed Falstaff the wine.*

ა. დოფინმა ჰენრის ჩოგბურთის ბურთები გაუგზავნა.

ბ. ჰელმა ფალსტაფს ღვინო გადააწოდა.

ამგვარად, ობიექტის პირველ პოზიციას მაგალით (15)-ში იგივე თემა-როლი ენიჭება, რომელიც მაგალით (14)-ში ირიბი ობიექტის პოზიციას ჰქონდა მინიჭებული, მაშინ, როცა ობიექტის მეორე პოზიციას მაგალით (15)-ში იგივე პოზიცია აქვს მინიჭებული, რომელიც მაგალით (14)-ში პირდაპირი ობიექტის პოზიციას გააჩნდა.

ინგლისურ ენაში თემატურ როლთა მინიჭების წესების მოკლე მიმოხილვა ჯერ არ დაგვისრულებია; არსებობს კიდევ რამდენიმე ტიპის თემა-როლი, რომლებიც ჯერ

არ განგვიხილავს და თეტა-როლებს მინიჭების ჩვენს მიერ განხილული ვერსიების ალტერნატიული გზები. თუმცა, ჩვენი განხილვა ამ თეტა-როლების შესახებ ზოგად შთაბეჭდილებას შეგიქმნიდათ, იმის გაცნობიერებაში დაგეხმარებოდათ, თუ როგორ უკავშირდება ეს როლები ამა თუ იმ სინტაქსურ პოზიციებს ინგლისური წინადადებების სტრუქტურაში და როგორ ზემოქმედებს ყოველივე ეს ამ წინადადებების სემანტიკურ ინტერპრეტაციაზე. ძირითადი საკითხების შეჯამება ცხრილ (16)-ში არის მოცემული:

(16)

თეტა-როლი	გარემოცვა	პოზიცია	მდებარეობა
აგენტი		სუბიექტი	წინადადების თავში, ზმნის წინ
მიმღები		ობიექტი	უშუალოდ ზმნის შემდეგ
განცდის სუბიექტი	(ა) like ტიპის-ზმნები	სუბიექტი	იხილეთ ზემოთ
	(ბ) please ტიპის-ზმნები	ობიექტი	იხილეთ ზემოთ
თემა	(ა) like ტიპის ზმნები	ობიექტი	იხილეთ ზემოთ
	(ბ) please ტიპის ზმნები	სუბიექტი	იხილეთ ზემოთ
სამიზნე	(ა) თანდებულიანი დატივური (მიცემითი ბრუნვა) კონსტრუქცია	ირიბი ობიექტი (to-ს ობიექტი)	to-ს შემცველ თფ-ებში პირდაპირი ობიექტის პოზიციის შემდეგ
	(ბ)ორმაგი ობიექტის კონსტრუქცია	პირველი ობიექტის დეტერმინერიანი ფრაზები	უშუალოდ ზმნის შემდეგ
მფლობელი	(ა) have –ზმნები	სუბიექტი	იხილეთ ზემოთ
	(ბ) დეტერმინერიანი ფრაზების შიგნით	სახელობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი	სახელის წინ
		ან of თანდებულის ობიექტი	of თანდებულის თფ-ებში, სახელის შემდეგ

სავარჯიშო

3.2

ა) ქვემოთ ნიმუშად მოყვანილი თითოეული წინადადებისთვის შეადგინეთ ყველა იმ სახელის და დეტერმინერიანი ფრაზის ჩამონათვალი, რომელიც წინადადებაში შეგხვდებათ. გახსოვდეთ, რომ ზოგიერთი დეტერმინერიანი ფრაზა სახელობითი ბრუნვის მსაზღვრელის პოზიციაში, თავის მხრივ სხვა დეტერმინერიან ფრაზებს ან სახელებს შეიცავს. თქვენს ჩამონათვალში სახელისა თუ დეტერმინერიანი, ფრაზის გვერდით ის თეტა-როლიც მიუთითეთ, რომელიც მათ წინადადებაში აქვთ მინიჭებული. შეგიძლიათ თეტა-როლების (16)-ში მოყვანილ ცხრილს დაეყრდნოთ.

- (i) Henry's wife hated Falstaff.
- (ii) Iago attacked Othello.
- (iii) Falstaff drank the wine.
- (iv) Caesar's power frightened Brutus.
- (v) Bassanio handed the ring to Portia.
- (vi) Claudius gave Hamlet's father some poison.

ჰენრის ცოლს ფალსტაფი სძულდა.

იაგომ ოტელოს შეუტია.

ფალსტაფმა ღვინო დალია.

კეისრის ძალაუფლება ბრუტუსს აშინებდა.

ბასანიომ ბეჭედი პორციას მიაწოდა.

კლავდიუსმა ჰამლეტის მამას

სანამლავი მისცა.

ბ) თქვენი ჩამონათვალის თითოეულ სახელთან თუ დეტერმინერიან ფრაზასთან ერთად ის სინტაქსური პოზიციაც მიუთითეთ, რომელიც მას უკავია (სუბიექტისა, ობიექტის, ირიბი ობიექტის, ნომინალური მსაზღვრელის).

3.2.3 კომპონენტთა თანმიმდევრობა სხვა ენებში

უკვე ვნახეთ, რომ ჩვეულებრივ ინგლისურ წინადადებებში სუბიექტი ზმნის წინ დგას, ხოლო ზმნა — ობიექტის წინ. ამ მიზეზით, ინგლისური ხშირად სუბიექტი-ზმნა-ობიექტი (SVO) წყობის ენად მოიხსენიება. (უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ინგლისურ წინადადებაში სიტყვათა განსხვავებულ წყობას ვხვდებით; ამათ ეკუთვნის ის შემთხვევებიც, როცა წინადადების ერთი ან მეტი კომპონენტი ერთი პოზიციიდან მეორეზე ინაცვლებს; იხილეთ ქვემოთ მაგალითი (22).) როგორც მე-2 თავში ვნახეთ, ბევრ სხვა ენაში განსხვავებული სიტუაცია გვაქვს. მაგალითად, მარტივი წინადადებები ისეთ ენებში, როგორებიცაა ჩიკასაუ და თურქული, როგორც წესი, კომპონენტთა სუბიექტი-ობიექტი-ზმნა (SOV) წყობისკენ ამჟღავნებს მიდრეკილებას — ობიექტი ზმნის წინ (და სუბიექტის შემდეგ) დგას, მაშინ, როცა მარტივი წინადადებები ზაპოტეკში, თანამედროვე სტანდარტულ არაბულსა და თანამედროვე ირლანდიურში ზმნა-სუბიექტი-ობიექტი (VSO) წყობისაა, რომელშიც სუბიექტი ზმნის შემდეგ დგას და ობიექტის წინ. რაკი თავიდან სუბიექტი და ობიექტი ინგლისური ენის სიტყვათა წყობის კონტექსტში განვსაზღვრეთ, შეიძლება გაგვიკვირდეთ, რატომ ვიყენებთ იგივე ტერმინებს წინადადების განსხვავებული პოზიციების აღსანიშნად სხვა ენებში. მაგალითად, რატომ ვარქმევთ უშუალოდ ზმნის მომდევნო პოზიციას ინგლისურში ობიექტის პოზი-

ციას, ხოლო სტანდარტულ არაბულში იგივე პოზიცია სუბიექტის პოზიციად რატომ ითვლება? პასუხი იმ თემა-როლებში უნდა ვეძიოთ, რომლებიც ამ პოზიციებს ენიჭება; ტერმინი „სუბიექტი“ იმ პოზიციას ესადაგება, რომელსაც აგენტის თემა-როლი აქვს მინიჭებული, ხოლო ტერმინს „ობიექტი“ იმ პოზიციას მივაკუთვნებთ, რომელსაც, ჩვეულებრივ, მიმღების თემა-როლი ენიჭება. (თუმცა, გახსოვდეთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ პოზიციებს განსხვავებული თემა-როლები აქვს მინიჭებული, როგორცაა განცდის სუბიექტის და თემატური როლები იმ ზმნებთან, რომლებიც ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გამოხატავენ). ამის მსგავსად, ტერმინს „ირიბი ობიექტი“ იმ პოზიციასთან მიმართებაში ვიყენებთ, რომელსაც ჩვეულებრივ სამიზნე თემა-როლი ენიჭება. ამგვარად, თემა-როლის მონიჭების მოდელი, ენათა შორის აშკარა სხვაობების მიუხედავად სხვა ენების წინადადებათა სტრუქტურაში ამავე პოზიციების ამოსაცნობად საჭირო საფუძველს გვაძლევს.

ენათა უმეტესობა კომპონენტთა თანმიმდევრობის მხრივ ერთზე მეტ წყობას ამჟღავნებს. მაგალითად, სტანდარტულ არაბულში ზმნა –სუბიექტი-ობიექტი კომპონენტთა ყველაზე გავრცელებული წყობაა, მაგრამ ხშირად სუბიექტი ზმნას წინ უსწრებს და ინგლისურის მსგავსად, სუბიექტი –ზმნა –ობიექტი წყობას ქმნის:

(17) ა. qatala ‘uTayl Dasdamuuna. (V –S – O) (სტანდარტული არაბული)

მოკლა+ჰმამრ.მხოლ. ოტელო დეზდემონა
„მოკლა ოტელომ დეზდემონა“.

ბ. ‘uTayl qatala Dasdamuuna. (V –S – O)

ოტელო მოკლა+ჰმამრ.მხოლ. დეზდემონა
„ოტელომ მოკლა დეზდემონა“.

მაგალითში (17) გრამატიკული ნიშნები, აფიქსები და ნაცვალსახელები შემდეგნაირად არის შემოკლებული. პირის აღმნიშვნელი შემოკლებები 1, 2 და 3 – აღნიშვნებითაა გამოსახული (პირველი, მეორე და მესამე პირი); გრამატიკული რიცხვი — აღნიშვნით მხოლ. (მხოლოდითი რიცხვი) და მრავ. (მრავლობითი); გრამატიკული სქესი — მამრ. (მამრობითი) და მდედრ. (მდედრობითი). ბრუნვები ასე შემოკლდება — სახ. (სახელობითი), აკ. (აკუზატივი — ბრალდებითი), (მიც.) — მიცემითი, იგივე დატივი და (ნათ.) ნათესაობითი. დრო ასე შემოკლდება — წარ. (წარსული დრო), აწ. (აწმყო დრო), ასპექტი — სრ. (სრული ასპექტი) და უსრ. (უსრული, ანუ განგრძობადი ასპექტი).

სწორედ ასევე, თანამედროვე ირლანდიური ენა ხშირად VSO წყობის ენად მიიჩნევა, მაგრამ ზოგიერთი ტიპის კონსტრუქციებში VSO თანმიმდევრობაც გვხვდება. მაგალითად, SOV ან VSO თანმიმდევრობა გვხვდება ჩართული მიმღების გარკვეულ ტიპებში, (დიალექტის მიხედვით) როგორც ამას მაკლოსკი წერს (1983). (ჩართული მიმღობა დამოკიდებული წინადადების — ანუ ძირითადი (რთული თანწყობილი) წინადადების შემადგენელი უფრო მცირე წინადადების ერთ-ერთი სახეობაა. ჩართული მიმღობა ისეთ ზმნას შეიცავს, რომელსაც მიმღობის სუფიქსი აქვს დართული, მაგრამ დროის სუფიქსი არ გააჩნია. მიმღობის სუფიქსის ნიმუში ინგლისურ ენაში არის სუფიქსი —ed, მას ხანდახან –en ფორმით ვხვდებით. ეს სუფიქსი ასევე გვხვდება ვნებითი გვარის წინადადებებში, ვთქვით როგორცაა *Duncan was murdered*, და სრული ასპექტის კონსტრუქციებში, როგორცაა *Macbeth has murdered Duncan* და *Portia*

had given her word.)

ამგვარად, ისე ჩანს, რომ სტანდარტულ არაბულ ენაში და თანამედროვე ირლანდიურში ორი სუბიექტური პოზიციაა (ერთი ზმნის პოზიციის წინ და მეორე მის შემდეგ), ან სხვაგვარად, ამ ენებში ზმნისთვის განკუთვნილია ორი პოზიცია (ერთი სუბიექტის პოზიციის წინ და მეორე მის შემდეგ). ჩვენი ნათქვამი შეიძლება ისე იქნეს აღქმული, თითქოს ერთი და იგივე ფაქტი ორგვარი ფორმულირებით გადმოვეცით, მაგრამ ქვემოთ ვნახავთ, რომ სინამდვილეში ის, რაც ვთქვით, ამ ორი ენის შესახებ არსებული ორი თეორიის გამოძახილია.

გერმანულს და ჰოლანდიურს ხშირად SOV წყობის ენებად აღწერენ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სხვაგვარი წყობის მიმართ მიდრეკილებას ეს ენებიც ამჟღავნებენ, კერძოდ SVO წყობისადმი. SOV თანმიმდევრობა იმ კლაუზულებში გვხვდება, რომლებიც ძირითად ზმნასთან ერთად დამხმარე ზმნასაც შეიცავენ, როგორც მაგალით (18ა)-შია ნაჩვენები; ამ შემთხვევაში თანმიმდევრობა, როგორც წესი, ასეთია: S-AUX(დამხ.ზ)-O-V, როგორც ხედავთ, დამხმარე ზმნა მეორე პოზიციაშია. SOV თანმიმდევრობა ქვეწყობილი წინადადებების გარკვეული ტიპის დამოკიდებულ კლაუზულაშიც (წინადადებები, რომლებსაც ძირითადი წინადადებები მოიცავს) გვხვდება, ამის ნიმუშია მაგალითი (18ბ). თუმცა, მთავარ კლაუზულებში და მარტივ წინადადებებში, რომლებიც მხოლოდ ერთ ზმნას (და არცერთ დამხმარე ზმნას) შეიცავს, ზმნა მეორე პოზიციაში დგას, რაც ხშირად SVO წყობას იწვევს, როგორც (18გ)-ში და (18ბ)-ს ძირითად კლაუზულებშია:

(18) ა. Romeo hat Juliet geküsst. (S-AUX-O-V) (გერმანული)

რომეომ ჯულიეტას აკოცა.

ბ. Ich glaube dass [Romeo Juliet küsste]. (... [S-O-V])

მე მგონია(ა), (რომ) რომეო ჯულიეტას კოცნიდა.

გ. Romeo küsste Juliet. (S-V-O)

რომეო ჯულიეტას კოცნიდა.

წინადადება (18გ)-ში ზმნას იგივე პოზიცია უკავია, რომელიც წინადადება (18ა)-ში დამხმარე ზმნას უჭირავს; იგივე შეიძლება ითქვას ზმნაზე *glaube* (მგონია, მჯერა) წინადადება (18ბ)-ს მთავარ წინადადებაში. ეს ადასტურებს, რომ გერმანულ ენაში ზმნას ორი პოზიცია გააჩნია: ერთი წინადადების ბოლოს, ხოლო მეორე — სხვა პოზიციაში, ობიექტის წინ.

თურქულ ენაში, როგორც წესი, კომპონენტთა თანმიმდევრობა შემდეგნაირია: SOV, როგორც (19ა)-ში არის ნაჩვენები, მაგრამ შესაძლებელია სხვა კომბინაციებიც: SVO, VSO და OVS, როგორც წინადადებაში (19 ბ-დ):

(19) ა. Hamlet Ophelia-yi öp-tü. (S-O-V) (თურქული)

ჰამლეტმა ოფელია+ბრალდ.ბრუნვა კოცნა+ წარსული.

„ჰამლეტმა ოფელიას აკოცა“.

ბ. Hamlet öp-tü Ophelia-yi. (S-V-O)

ჰამლეტმა კოცნა+წარსული ოფელია+ ბრალდ.

„ჰამლეტმა აკოცა ოფელიას“.

გ. öp-tü Hamlet Ophelia-yi. (S-V-O)

კოცნა+წარსული ჰამლეტმა ოფელიას.

„აკოცა ჰამლეტმა ოფელიას“.

დ. Ophelia-yi öp-tü Hamlet. (O-V-S)

ოფელია+ბრალდ. კოცნა+წარსული ჰამლეტმა.

ოფელის აკოცა ჰამლეტმა.

ისევე, როგორც სტანდარტული არაბულის და გერმანულის შემთხვევაში, თურ-ქულ ენას სუბიექტისთვის, ზმნისა და ობიექტისთვის ერთზე მეტი პოზიცია გააჩნია.

იტალიური, ჩვეულებრივ, SVO წყობის ენად ითვლება და ეს ჩვეულებრივი თანმიმდევრობა ისეთი კლაუზულებისთვის, რომლებიც სუბიექტსაც შეიცავს და ობიექტსაც. თუმცა, გავრცელებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა სუბიექტი ზმნის შემდეგ დგას და არა მის წინ, თუკი ზმნას ობიექტი არ მოსდევს. ამის ნიმუშია წინადადება (20ბ):

(20) ა. Gianni ha telefonato. (S-AUX-V) (იტალიური)

ჯანიმ (ტელეფონით) დარეკა.

ბ. Ha telefonato Gianni. (AUX-V-S)

დარეკა (ტელეფონით) ჯანიმ.

ამგვარად, დავრწმუნდით, რომ იტალიურ ენაშიც სუბიექტისთვის ერთზე მეტი პოზიციაა განკუთვნილი. მეტიც, ფრანგული, იტალიური, პორტუგალიური და ესპანური ენები — ყველა ეს ენა, ჩვეულებრივ, SVO წყობის ენებად ითვლება, იმ შემთხვევაში კი როცა ზმნის ობიექტად უმახვილო ნაცვალსახელი გვევლინება, SOV წყობისკენ ამჟღავნებს მიდრეკილებას:

(21) ა. Lear les aime. (S-O-V) (ფრანგული)

ლირს ისინი უყვარს.

ბ. Portia lo vió. (S-O-V) (ესპანური)

პორციამ ის დაინახა.

უმახვილო ნაცვალსახელებს, რომლებიც ამ მაგალითებში ზმნებს წინ უძღვის, **ნაცვალსახელის კლიტიკები** ეწოდება. როგორც ვხედავთ, ამ ენებს ობიექტის ორი პოზიცია აქვთ (ერთი ზმნას მოსდევს, ხოლო მეორე ზმნის წინ დგას), თუმცა, უკანასკნელი პოზიციის დაკავება მხოლოდ ნაცვალსახელის უმახვილო კლიტიკებს შეუძლიათ.

ხანდახან SVO წყობისგან განსხვავებულ თანმიმდევრობას გარკვეულ პირობებში ინგლისური ენაც კი ავლენს, მაგალითად, (22)-ის მსგავს წინადადებებში:

(22) ა. Bianca, I admire. (OSV) ბიანკას (მე) ვაღმერთებ.

ბ. Have you any ducats? (VSO) გაქვს (შენ) დუკატები?

გ. 'I love you', said Romeo. (OVS) „(მე) მიყვარხარ (შენ)“,

თქვა რომეომ.

მაგალითი (22ა) **ტოპიკალიზაციის** აგების ნიმუშია — მასში ზმნის ობიექტი სუბიექტის წინ თემატურ (topic) პოზიციას იკავებს; მაგალითი (22ბ) შეკითხვაა, რომელშიც ზმნას *have* სუბიექტისწინა პოზიცია უჭირავს; ხოლო (22გ) წინადადების წამოსანევი კონსტრუქციის (*sentence-lifting*) ნიმუშია. ასეთი კონსტრუქციის დროს წინადადება ციტირებისთვის განკუთვნილ ბრჭყალებშია მოქცეული და მთავარი ზმნის — *say* ობიექტის როლს თამაშობს, ზმნის წინ დგას, ხოლო სუბიექტი ზმნას მოსდევს.

2.2 განყოფილებაში ვნახეთ, რომ ინგლისურ ენაში ირიბი ობიექტის პოზიცია პირდაპირი ობიექტის პოზიციას მოსდევს; ამგვარად, ირიბი ობიექტის შემცველი წინადადების კომპონენტთა თანმიმდევრობა ასეთია: S-V-O-IO (IO– ირიბი ობიექტი). მეორე მხრივ, სამიზნე თემა-როლი, რომელიც, ჩვეულებრივ, ამ პოზიციას აქვს მინიჭებული, ობიექტის ორმაგ კონსტრუქციაში შეიძლება პირველი ობიექტის პოზიციას მიენიჭოს. სუბიექტი-ობიექტი-ზმნა და ზმნა-სუბიექტი-ობიექტი წყობის ენებში ირიბი ობიექტის პოზიცია, ჩვეულებრივ, პირდაპირი ობიექტის პოზიციას ემეზობლება — ზოგიერთ ენაში იგი პირდაპირი ობიექტის წინ მდებარეობს, ზოგში — მას მოსდევს, ბევრ ენაში

კი ორივე ვარიანტი შესაძლებელია. ზაპოტეკში ირიბი ობიექტის პოზიცია პირდაპირი ობიექტის პოზიციას მოსდევს, რასაც შედეგად „ზმნა-სუბიექტი –ობიექტი –ირიბი ობიექტი“ თანმიმდევრობას იწვევს:

(23) B-dèèi'dy Gyeeihlly bx:àady Li'eb (S-V-O-IO)

სრ.ასპ.-მიცემა მაიკმა კალია ფელიბეს.

მისცა მაიკმა კალია ფელიბეს.

„მაიკმა ფელიბეს კალია მისცა“.

მეორე მხრივ, თანამედროვე არაბულში (24), თურქულში (25) და ჩიკასაუში (26) ირიბი ობიექტი შეიძლება ობიექტის პოზიციას უსწრებდეს, ან პირიქით, მოსდევდეს:

(24) ა. ?rasala u'Tayl khiTaab-an li Dasdamuuna. (S-V-O-IO)

გაუგზავნა+3პ.მამრ. მხოლ. ოტელომ წერილი+ბრალდ.

დეზდემონას.

„ოტელომ დეზდემონას წერილი გაუგზავნა“.

ბ. ?arsal 'uTayl li Dasdamuuna khiTaab-an. (V-S-IO-O)

გაუგზავნა+3პ.მამრ. მხოლ. ოტელომ დეზდემონას წერილი+ბრალდ.

„ოტელომ დეზდემონას წერილი გაუგზავნა“.

(25) ა. Kralbir yabancu-ya eldiven ver-di. (S-IO-O-V)

მეფემ ყარიბი+ მიც. ხელთათმანი მიცემა+წარსული

„მეფემ ყარიბს ხელთათმანი მისცა“.

ბ. Kraleldiven-i-ni yabancu-ya ver-di. (S-O-IO-V)

მეფემ.ხელთათმანი+თავისი+ბრალ.ყარიბი+მიც.ბრუნვა

მიცემა+წარსული

„მეფემ თავისი ხელთათმანი ყარიბს მისცა“.

(26) ა. Bianca-at Katharina-A holisso im-a-tok. (S-IO-O-V)

ბიანკა.სახ.ბრუნვა კატარინა+ბრალ.ნიგნი მიც.+მიცემა+წარსული

„ბიანკამ კატარინას ნიგნი მისცა“.

ბ. Bianca-at holisso -A Katharina im-a-tok. (S-O-IO-V)

ბიანკა-სახ. ნიგნი+ბრალდ.კატარინა მიც-მიცემა-წარსული

„ბიანკამ ნიგნი კატარინას მისცა“.

ერთი ენის ფარგლებში კომპონენტთა თანმიმდევრობის ვარიაციის ეს ნიმუშები მსოფლიოს ბევრი ენის სურათს წარმოგვიჩენს. მსგავსი მაგალითების მოყვანა ასობით შეიძლება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებას სხვა სინტაქსურ პოზიციებსაც — კერძოდ, ზედსართავების, ზმნიზედებისა თუ გარემოებების, თანდებულების, უარყოფითი ნაწილაკების და ა.შ. პოზიციებს მივაპყრობთ. ამათგან ზოგიერთ შემთხვევას მე-4 და მე-5 თავებში განვიხილავთ. ამგვარად, ენების დახარისხების ტრადიციულმა პრაქტიკამ სიტყვათა დომინანტური თანმიმდევრობის მოდელის მიხედვით შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, ვინაიდან იგი გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ თითოეული ენის ფარგლებში ხშირად შეიძლება ზმნის, სუბიექტის, ობიექტების და ა.შ. ორი ან მეტი პოზიცია გვექონდეს.

მაგრამ საკითხი, თუ რა როლს თამაშობს ეს სინტაქსური ვარიაციები სინტაქსის თეორიაზე, კვლავ ღიად რჩება. ჯერ-ჯერობით არ განგვიხილავს წესები, რომლებიც წინადადების სტრუქტურას განსაზღვრავს — მხოლოდ სხვადასხვა ენების მარტივ წინადადებებში პოზიციათა მდებარეობის მოკლე აღწერა და შესაბამისი მაგალითები

შემოგთავაზეთ. ბევრი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ წინადადების ძირითადი სტრუქტურა მსოფლიოს ყველა ენას ერთი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრუქტურა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ნაწილობრივ იმ ფაქტზე დაკვირვებით, რომ სუბიექტები, ზმნები და ობიექტები ხშირად ერთი და იმავე ენის ფარგლებშიც კი განსხვავებულ პოზიციებში გვხვდება, ვარაუდობენ, რომ წინადადების სტრუქტურას ყველა ენისთვის ერთი უნივერსალური მოდელი გააჩნია. ეს მოდელი თითოეული ტიპის კომპონენტისთვის რამდენიმე სხვადასხვა პოზიციას შეიცავს; ამ თვალსაზრისით, ვარიაციებს სიტყვათა თანმიმდევრობაში (როგორც ცალკეულ ენებში, ისე ენათა შორის) ის ფაქტი იწვევს, რომ ცალკეულ კომპონენტებს ერთზე მეტი შესაძლო პოზიცია გააჩნიათ, რომლებშიც ისინი შეიძლება სხვადასხვა შემთხვევაში აღმოჩნდნენ. თვალსაჩინოებისთვის მოდით, წარმოვიდგინოთ (ჰიპოთეტური დისკუსიისათვის), რომ ყველა ენას ზმნის სამი პოზიცია გააჩნია, როგორც მაგალით (27)-ში მოყვანილ მოდელში:

(27) [ზმნა]1 — სუბიექტი — [ზმნა]2 — ობიექტი — [ზმნა]3

როცა ზმნა ზმნის პირველ პოზიციაში დგას, მაშინ VSO წყობას ვიღებთ; თუ ზმნის მეორე პოზიციაშია, მაშინ SVO წყობა მიიღება; დაბოლოს, თუ ზმნას მესამე პოზიცია უჭირავს, მაშინ კომპონენტების წყობა SOV. (რა თქმა უნდა, ამ მოდელში წინადადების ძირითადი სტრუქტურაა მოცემული; დამხმარე ზმნების, ირიბი და პირდაპირი ობიექტების, თუ გარემოებების პოზიციები მასში არ არის გათვალისწინებული). ან, სხვაგვარად, შეგვიძლია მაგალით (28)-ში მოყვანილი მოდელის მსგავსი განსხვავებული უნივერსალური მოდელი წარმოვადგინოთ, რომელშიც ზმნის ერთი პოზიციაა, მაგრამ სუბიექტის ორი და ობიექტის ორი პოზიცია:

(28) [სუბიექტი]1 — [ობიექტი]1 — ზმნა — [სუბიექტი]2 — [ობიექტი]2

თუ სუბიექტისა და ობიექტის პოზიციები ზმნის წინ დგას, შედეგად SOV წყობას ვიღებთ; თუ ორივე პოზიცია ზმნას მოსდევს, კომპონენტთა თანმიმდევრობა VSO. როცა სუბიექტის პირველი პოზიცია და ობიექტის მეორე პოზიცია გვაქვს, SVO ვიღებთ. ჩვენს მიერ აქამდე განხილული ფაქტები ინორმაციის თვალსაზრისით საკმაოდ საფუძველს არ იძლევა, რომ (27) და (28) ნიმუშებს შორის არჩევანი გავაკეთოთ. ბევრი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ ორივე მიდგომა ნაწილობრივ მაინც მართებულია.

შევისწავლოთ ტიპეტური ენიდან ნიმუშად მოყვანილი რამდენიმე წინადადება. ამ წინადადებებიდან სამში ზმნას სრული ასპექტის გამომხატველი „მტკიცებითი“ ნაწილაკები მოსდევს, რომლებიც ქვეშეშენით განმარტებებში „პერფ“. შემოკლებითაა აღნიშნული. ამ მტკიცებითი ნაწილაკებს შორის განსხვავებას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მხოლოდ ის გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ მათგანს ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორც ინგლისურ ენაში — დამხმარე ზმნას.

(1) ngas dkaryol chags –song.
მე.მოთხ.ბრ ფინჯანი გავტეხე+პერფ.
„მე ფინჯანი გავტეხე“.

(2) khos nga-la dep sprad – byung.
ის.მოთხ.ბრ მე. მიც.ბრუნვა წიგნი მომცა+პერფ.
„მან წიგნი მომცა“.

- (3) khos cookie bzas -duk.
 ის.მოთხ.ბრ. ფუნთუშა შეჭამა +პერფ.
 „მან ფუნთუშა შეჭამა“.
- (4) tengsang kho khyang-pa rgyab -gi - red.
 ეს დღეები ის სახლს აშენებს + ანმყო უწყვეტელი
 „ამ დღეებში ის სახლს აშენებს“.

(ა) შეადგინეთ ყველა იმ სიტყვის ჩამონათვალი, რომლებიც ამ წინადადებებში შეგხვდათ და თითოეულ მათგანს ინგლისური თარგმანი მიუწერეთ. ერთად დააჯგუფეთ ის სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე ლექსიკურ კატეგორიას (ზმნა, ზმნიზედა, სახელი და სხვა) ეკუთვნის.

(ბ) ახლა ამ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, როგორია ტიპეტურ ენაში კომპონენტების ძირითადი თანმიმდევრობა. პასუხი შეგიძლიათ იმგვარივე ფორმულით გამოსახოთ, როგორითაც ინგლისური წინადადებების კომპონენტთა წყობა გიჩვენეთ: სუბიექტი — (დამხმარე ზმნა) — ზმნა — (ობიექტი) — (ირიბი ობიექტი). ამ მოდელში კომპონენტები, რომლებიც ზოგ წინადადებაში გვხვდება, სხვებში კი — არა, ფრჩხილებშია ჩასმული. ზმნის, დამხმარე ზმნის (ან მტკიცებითი ნაწილაკების), სუბიექტის, ობიექტის, ირიბი ობიექტის და დროის გარემოების პოზიციები მიუთითეთ.

3.2.4 ბრუნვის ნიშნები და კომპონენტთა თანმიმდევრობა

ზოგიერთ ენაში სუბიექტის, ობიექტის და პირდაპირი ობიექტის გაგება (ცნებები) იმ პოზიციასთან კი არ არის დაკავშირებული, რომლებიც მათ წინადადებაში უჭირავთ, არამედ გარკვეულ აფიქსებს უკავშირდება, რომლებსაც **ბრუნვის ნიშნებს** უწოდებენ. ბრუნვის ნიშნები წინადადებებში სახელებს ან ნაცვალსახელებს ერთვის. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ თურქულსა და ჩიკასაუში ზმნის ობიექტი ბრალდებით (სხვაგვარად, აკუზატივი) ბრუნვაში იდგა და რომ ირიბი ობიექტი, რომელსაც ინგლისურ ენაში წინ თანდებული *to* ედგებოდა, ამ ენებში მიცემითი ბრუნვით (დატივი) იყო გამოსახული. სწორედ ასევე, ჩიკასაუში სუბიექტი სახელობითი ბრუნვით (სხვაგვარად, ნომინატივი) აღინიშნება. ამ ენებში სუბიექტი, ობიექტი და ირიბი ობიექტი ბრუნვის ნიშნის მიხედვითაც ამოიცნობა. მათ მსგავსად, ირიბი ობიექტი რუსულ ენაშიც მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო საკუთარი სახელით გამოხატულ მსაზღვრელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ერთვის.

- (29) ა. Gamlet otdal čerep Goracjii. (S-V-O-IO) (რუსული)

ჰამლეტმა მისცა თავის ქალა ჰორაციო+მიც.ბრ

ჰამლეტმა თავის ქალა ჰორაციოს მისცა.

- ბ. Gamlet otdal čerep mertvogo advokata Goracjii.

ჰამლეტმა მისცა თავის ქალა+ნათ.ბრ მკვდარი ადვოკატი+ნათ.ბრ

ჰორაციო + მიც.ბრ

ჰამლეტმა მკვდარი ადვოკატის თავის ქალა ჰორაციოს მისცა.

რაკი ამ ენებში სუბიექტები, ობიექტები და ირიბი ობიექტები ბრუნვის ნიშნების მიხედვით ამოიცნობა, მოსაუბრეებს მათი იდენტიფიკაციისთვის წინადადების კომპონენტთა თანმიმდევრობაზე დაკვირვება არ ესაჭიროებათ. ევროპული ენების ბევრი მკვლევარი მეცნიერი დამკვიდრებულ ტრადიციაზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ამ ენებში კომპონენტთა შედარებით თავისუფალ თანწყობას (როგორც (30)—ში რუსული ენიდან მოყვანილი წინადადებების მეშვეობით დარწმუნდით) სწორედ ეს გარემო-

წრაფვის, რომლებიც გარკვეულ სემანტიკურ მახასიათებლებთანაა დაკავშირებული — მათში თემატური როლების გარდა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს (როგორებიცაა თემა და ფოკუსი).

ასევე შემჩნეულია, რომ ისეთი ენები, როგორცაა, მაგალითად, ინგლისური ზოგიერთ ისეთ ნიშან-თვისებას ავლენს, რომლებიც, როგორც წესი, არაკონფიგურაციულ, ბრუნვინიშნიან ენებს ახასიათებს. მაგალითად, ზემოთ, მაგალით (22)-ში მოყვანილი წინადადებები თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ გარკვეულ პირობებში კომპონენტთა წყობის ვარიაცია ინგლისურ ენასაც ახასიათებს, ისევე როგორც ბრუნვის ნიშნითა შეზღუდული ხმარება, თუმცა, ეს უკანასკნელი წინადადების კომპონენტთა წყობაზე თითქმის არანაირ პირდაპირ გავლენას არ ახდენს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ნომინალური მსაზღვრელის ამოცნობა ძალზე ადვილია მათზე დართული 's - კლიტიკის მეშვეობით და რომ ირიბი ობიექტების იდენტიფიცირება მათ წინ მდგარი *to* თანდებულის მეშვეობით არის შესაძლებელი. -'s კლიტიკა და *to* თანდებული ხანდახან, შესაბამისად, ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნებად გვევლინება. ამის მიუხედავად, ეს ელემენტები, სუბიექტისა თუ ობიექტის მსგავსად, წინადადების განსაზღვრულ, საგანგებოდ მათთვის განკუთვნილ პოზიციებში უნდა გამოჩნდეს, როგორც მაგალით (31)-ში არის ნაჩვენები:

- (31) ა. *Henry disliked tennis balls *the Dauphin's*. (შეადარეთ წინადადება 13ბ-ს)
 ბ. *Shylock *to Antonio* lent money. (შეადარეთ წინადადება 14ა-ს)
 ა. ჰენრიმ აითვალწუნა ჩოგბურთის ბურთები დოფინისა.
 ბ. შაილოკმა ანტონიოს ასესხა ფული. (ინგლისური ენისთვის გაუმართავი წყობა)

მსგავსი სიტუაციაა ინგლისურ ნაცვალსახელებთან დაკავშირებითაც. იქ, როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, ნაცვალსახელების ფუძეები სახელობითი, ბრალდებით (აკუზატივი) ან ნათესაობით ბრუნვის აფქისებს ერწყმის და პორტმანტო მორფემებს ქმნის. როგორც მე-2 თავში ითქვა, ბრუნვები, რომლებიც ფუძისეულ მორფემას ამგვარად ერწყმის, ნაცვალსახელის ფუძედ ითვლება და არა ნაცვალსახელად, რომელსაც ბრუნვის ნიშანი აქვს დართული. ნაცვალსახელები *I, we, you, he, she, they* სახელობითი ბრუნვის ფუძეს შეიცავს, ხოლო ნაცვალსახელები *me, us, you, her, him, them* ბრალდებითი ბრუნვის ძირს შეიცავს, ნაცვალსახელები *my, our, your, his, her, its, their* — ნათესაობითი ბრუნვის ფუძეს, და ნომინალური მსაზღვრელის პოზიციაში, -'s კლიტიკის გარეშე ჩნდება:

- (32) ა. *They kissed her*.
 ბ. *She kissed them*.
 გ. *You drank my wine*.
 დ. *His daughters betrayed him*.
 მათ აკოცეს მას (მდედრ.).
 მან (მდედრ.) აკოცა მათ.
 გ. შენ (ჩვენ) დალიე(თ) ჩემი ღვინო.
 დ. მისმა ქალიშვილებმა უღალატეს მას (მამრ.).

სახელობით ბრუნვის ფუძიანი ნაცვალსახელები მხოლოდ სუბიექტის პოზიციაში შეიძლება ჩადგეს, მაშინ, როცა ბრალდებით და ნათესაობით ბრუნვის ფუძიანები, შესაბამისად, ობიექტის და ნომინალური მსაზღვრელის პოზიციებში დგანან, როგორც

(33) მაგალითში ხედავთ:

- (33) ა. **Them* kissed her.
 ბ. **She* kissed *they*.
 გ. **You* drank *him* wine.
 დ. **His Daughters* betrayed *my*.

ბრალდებითი ბრუნვისფუძიანი ნაცვალსახელები ირიბი ობიექტის პოზიციას, ანუ *to* თანდებულის ობიექტის პოზიციას იკავებს:

- (34) ა. The Dauphin sent tennis balls to *him*.
 ბ. Shylock lent money to *them*.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ნაცვალსახელების უმეტესობა სუბიექტის, ობიექტის თუ ნომინალური მსაზღვრელების როლში ბრუნვის ფუძეების წყალობით ადვილად ამოიცნობა, ამას შედეგად სიტყვათა თანმიმდევრობაში რაიმე შესამჩნევი თავისუფლება არ მოაქვს. ეს ფაქტი საფუძველს უმაგრებს შეხედულებას, რომ ბრუნვისნიშნაობა და კომპონენტთა თავისუფალი თანმიმდევრობა ერთმანეთთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული, თუმცა კი ეს შეხედულება თავიდან ძალზე სარწმუნოდ გამოიყურებოდა.

ახლა იაპონური ენიდან მოყვანილ მაგალითებს დავაკვირდეთ. ამ წინადადებებში ბევრ სიტყვას ბრუნვის ნიშანი აქვს დართული, რომელთაც ქვეშმინერით განმარტებაში ბ.ნ- შემოკლებით აღვნიშნავთ:

- (1) *gakusei-ga sake-o nonda.*
 სტუდენტი-ბ.ნ საკე-ბ.ნ დალია.
 „სტუდენტმა საკე დალია“.
- (2) *Taro-ga sensei-no hon-o suteta.*
 ტარო-ბ.ნ მასწავლებელი-ბ.ნ წიგნი მოისროლა.
 „ტარომ მასწავლებლის წიგნი მოისროლა“.
- (3) *Sensei-ga Mari-ni gakusei-no hon-o watasita.*
 მასწავლებელი-ბ.ნ მარი-ბ.ნ სტუდენტი-ბ.ნ წიგნი გადასცა.
 „მასწავლებელმა მარის სტუდენტის წიგნი გადასცა“.
- (4) *gakusei-ga sensei-ni hanasi-ta.*
 სტუდენტი-ბ.ნ მასწავლებელი-ბ.ნ ელაპარაკა.
 „სტუდენტი მასწავლებელს ელაპარაკა“.

ა) შეადგინეთ იმ იაპონური სიტყვების ჩამონათვალი, რომლებიც ამ წინადადებებში გვხვდება და თითოეულ მათგანს ინგლისური თარგმანი მიუწერეთ. კითხვებზე პასუხის გაცემისას პრეფიქსების სახით წარმოდგენილ ბრუნვის ნიშნებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ბ) ამ წინადადებებზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, წინადადების კომპონენტთა რა თანმიმდევრობა ახასიათებს იაპონურ ენას. გამოყავით ზმნის, სუბიექტის, ობიექტის და ირიბი ობიექტის პოზიციები.

გ) ახლა ჩამონათვალი შეტანილი სიტყვების ბრუნვის ნიშანი - სუფიქსები ჩამოწერეთ. გაიხსენეთ ჩვენი საუბარი ბრუნვის ნიშნების შესახებ ისეთ ენებში, როგორიცაა, მაგალითად, რუსული, გამოყავით ამ წინადადებებში თითოეული ბრუნვის — სახელობითის, ბრალდებითის, ნათესაობითისა და მიცემითის ნიშანი - სუფიქსი.

3.2.5 შემასმენლები (პრედიკატები) და არგუმენტთა სტრუქტურა

გაიხსენეთ, რომ თითოეული ზმნის შესატყვისი განმარტება გონებრივ ლექსიკონში იმ არგუმენტების რაოდენობას განსაზღვრავს, რომლებიც ამ ზმნას გააჩნია — ანუ მონაწილეთა რაოდენობას ყოველ იმ ქმედებასა თუ სიტუაციაში, რომელსაც ეს ზმნა გამოხატავს და ასევე ადგენს თითოეულ ამ არგუმენტთან დაკავშირებული თეტა-როლების რიცხვს. (იხილეთ ზემოთ განყოფილება 2.2) ზმნის მნიშვნელობის ამ ასპექტს მისი **არგუმენტის სტრუქტურა** ეწოდება.

ზმნები ხშირად იმ ფაქტორის გათვალისწინებით ხარისხდება, თუ რამდენი არგუმენტი გააჩნიათ მათ თავიანთ არგუმენტთა სტრუქტურაში. ჩვენს მიერ აქამდე განხილული ზმნების უმეტესი ნაწილი ან ორარგუმენტიანები იყო (მაგალითად, აგენტი და მიმღები, ან განცდის სუბიექტი და თემატური თეტა-როლები), ან სამარგუმენტიანი (მაგალითად, აგენტის, მიმღების და სამიზნე ან რეციპიენტის თეტა-როლები). ყველა ეს ზმნა ისეთ წინადადებაებში გვხვდება, რომლებიც ობიექტის პოზიციას შეიცავს (დავაზუსტოთ: პირდაპირი ობიექტის პოზიციას); ასეთ ზმნებს **გარდამავალი** (ტრანზიტული) ზმნები ეწოდება. (ბრუნვისნიშნის ენის შემთხვევაში გარდამავალ ზმნად ისეთი ზმნა იწოდება, რომელსაც ბრალდებითი ბრუნვისნიშნის არგუმენტი აქვს). ამასთან, სამარგუმენტიან ზმნას აუცილებლად ირიბი ობიექტიც გააჩნია (ანუ მეორე ობიექტი ობიექტის ორმაგ კონსტრუქციაში; ასეთ ზმნებს ხანდახან **დიტრანზიტული** ზმნები ეწოდება). თუმცა, ინგლისურში, ისევე, როგორც არაერთ სხვა ენაში, ბევრ ზმნას მხოლოდ ერთი არგუმენტი აქვს; რაკი ასეთ ზმნებს, როგორც წესი, პირდაპირი ობიექტი არ მოსდევს, მათ **გარდაუვალი (ინტრანზიტული)** ზმნები ეწოდება. ამ არგუმენტთან დაკავშირებულ თეტა-როლს, ჩვეულებრივ, სუბიექტის პოზიცია ენიჭება, როგორც (35) მაგალითიდან დარწმუნდებით:

(35) ა. ფალსტაფმა გაიცინა (ხმამალლა).

ბ. რომეო მოვიდა (დაგვიანებით).

საკმაოდ ხშირად გარდაუვალ ზმნებს ზმნიზედა მოსდევს, რომელიც შესრულებული მოქმედების დროს, ან კიდევ რაგვარობას აღწერს, როგორც მაგალით (35)-შია. ბევრ გარდაუვალ ზმნას თანდებულისანი ფრაზა (თფ) მოსდევს, რომელიც, როგორც მაგალით (36ა)-შია ან ზმნით გამოხატული მოქმედებისა თუ სიტუაციის ადგილ-მდებარეობას უკავშირდება, ან, როგორც (36ბ)-შია — მოქმედების მიზანს, ან თემას — მაგალითი (36გ):

(36) ა. *Timon lived in Athens.*

ბ. *The king went to the witches.*

გ. *The king laughed at the jester's joke.*

ა. თიმონი ათენში ცხოვრობდა.

ბ. მეფე კუდიანებთან წავიდა.

გ. მეფეს მასხარის ხუმრობაზე გაეცინა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ზმნებს ორ-ორი არგუმენტი აქვთ, ისინი მაინც გარდაუვალია, რადგან სამივეს თანდებულისანი ფრაზა (თფ) მოსდევს და არა პირდაპირი ობიექტი.

ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას, მათ შორის *arrive*, *come*, *occur* მათი დეტერმინირისანი ფრაზა (დფ) (თუკი ეს ფრაზა განუსაზღვრელია) უშუალოდ მოსდევს და პირდაპირი ობიექტის პოზიციას იკავებს და არა სუბიექტისას, რომელშიც იგი ჩვეულებრივ გვხვდება.

(37) ა. *There has occurred a disaster.*

ბ. Adisaster has occurred.

ა.-ბ. უბედურება მოხდა.

გ. There arrived three wise men from the east.

დ. They arrived from the east.

გ. სამი ბრძენი კაცი (მოგვი) მოვიდა აღმოსავლეთიდან.

დ. ისინი აღმოსავლეთიდან მოვიდნენ.

ბევრი ლინგვისტი თვლის, რომ ამ დეტერმინერიანი ფრაზისთვის მინიჭებული თე-ტა-როლი (თემატური თეტა-როლი) ყოველთვის პირდაპირი ობიექტის პოზიციას ენიჭება და რომ დეტერმინერიანი ფრაზა ყოველთვის იქ იწყება, მაშინაც კი, როცა ობიექტის დეტერმინერიანმა ფრაზამ შეიძლება დაუკავებელ პოზიციაზე გადინაცვლოს, როგორც (37ბ) და (37დ)-შია ნაჩვენები. გადანაცვლებული დეტერმინერიანი ფრაზა სახელობით ბრუნვაში დგება და არა ბრალდებითში, როგორც ამას (37დ) მაგალითი მონშობს. ვარაუდობენ, რომ ეს გადანაცვლება მხოლოდ იმ მიზეზით ხდება შესაძლებელი, რომ ზმნა თავის ობიექტის დეტერმინერიან ფრაზას ბრალდებით ბრუნვას ვერ ანიჭებს; ზმნებს, რომლებიც ასე მოქმედებს, **უაკუზატივო ზმნები** (ბრალდებითის უქონელი) ეწოდება. განუსაზღვრელი დეტერმინერიანი ფრაზა შეიძლება ობიექტის პოზიციაში დარჩეს, როგორც (37ა) და (37გ) წინადადებებში. **ჩართული (თუ ჩადგმული — expletive) ნაცვალსახელი** (იქ) სუბიექტის დაუკავებელ პოზიციას იკავებს, ხოლო ობიექტის დეტერმინერიანი ფრაზა სხვა ბრუნვაში დგება.

უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ზმნა არ არის ის კატეგორია, რომელსაც არგუმენტთა სტრუქტურის ქონა შეუძლია. იგივე შეიძლება ითქვას ზედსართავებზე, თანდებულე-ბზე და არსებით სახელებზე. კატეგორიებს, რომლებსაც არგუმენტთა სტრუქტურა გააჩნიათ, ამ არგუმენტებისთვის თეტა-როლების მინიჭება შეუძლიათ, **პრედიკატი-ბი** ეწოდებათ. მოსაზრება, რომ ზედსართავები პრედიკატივით ფუნქციონირებენ, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან ზედსართავები ისეთ ნიშან-თვისებებს გამოხატავენ, რომლებიც ადამიანებს ან საგნებს ახასიათებს. ზედსართავების უმეტეს ნაწილს მხოლოდ ერთი არგუმენტი გააჩნია. ეს არგუმენტი, როგორც წესი, ზედსართავით აღწერილი სიტუაციის თემატურ მონაწილედ არის ინტერპრეტირებული.

ხშირად ზედსართავები თავად დეტერმინერიან ფრაზაშიც გვხვდება — უშუალოდ სახელის წინ. ასეთია დეტერმინერიანი ფრაზები: „შეშლილი მეფე“, „ორი ვენეციელი ვაჭარი“. ასეთ შემთხვევაში ზედსართავის თეტა-როლი იმ დეტერმინერიან ფრაზას ენიჭება, რომელსაც ზედსართავი განსაზღვრავს. ხანდახან ზედსართავი ისე ფუნქციონირებს, როგორც იმ წინადადების მთავარი პრედიკატი, რომელშიც იგი გვხვდება. ასეთ დროს ინგლისურ ენაში მას, ჩვეულებრივ, ზმნა be უძღვის წინ, დააკვირდით მაგალითს (38):

(38) ა. Desdemona was *beautiful*.

ბ. Duncan is *dead*.

გ. These witches are *strange*.

ა. დეზდემონა ლამაზი იყო.

ბ. დუნკანი მკვდარია (ან: მოკვდა).

გ. ეს ჯადოსნები (კუდიანები) უცნაურები არიან.

აქ ზმნას **be** უშუალოდ დაკავშირებული არგუმენტთა სტრუქტურა არ გააჩნია და არც თეტა-როლებს ანიჭებს. ამის ნაცვლად იგი დამხმარე ზმნის როლს კისრულობს, ხოლო წინადადების სუბიექტი ზედსართავის არგუმენტადაა ინტერპრეტირებული. ბევრ ენაში, მაგალითად რუსულში და ჰაიტის კრეოლურ ენაში, ასეთ წინადადებებში

ზმნა საერთოდ არ არის:

- (39) ა. Masha umnaja. (რუსული)
 მაშა+სახ.ბრ ჭკვიანი+სახ.ბრ
 „მაშა ჭკვიანია“.
- ბ. Vèdye gwo. (ჰაიტის კრეოლური)
 ვედიე დიდი.
 „ვედიე დიდი“.

ინგლისურ ენაშიც კი, წინადადებები, რომლებშიც ზმნა **be** გამოტოვებულია, მოსაუბრეებს შესანიშნავად ესმით, ხოლო ინგლისურის ზოგიერთ დიალექტში ასეთი წინადადებები გრამატიკულად გამართულ ფორმებადაც ითვლება (ასეთივე სურათია ჟარგონული აფრო-ამერიკული ინგლისურის ზოგიერთ ნაირსახეობაში):

You crazy. (აფრო-ამერიკული ინგლისური)
 შენ გიჟი
 „შენ გიჟი ხარ“.

დაბოლოს, ზოგჯერ ზედსართავები იმ დეტერმინერაინი ფრაზიდან განდევნილ **ზედსართავებად** (adjunct) წარმოგვიდგება, რომლებსაც ისინი განსაზღვრავენ. იხილეთ მაგალითი (41), სადაც ზედსართავების თეტა-როლი წინადადების სუბიექტს ენიჭება:

- (41) a. Falstaff walked home *drunk*
 b. Caesar fell to the floor *dead*.
 ა. ფალსტაფი შინ მთვრალი დაბრუნდა.
 ბ. კეისარი იატაკზე მკვდარი დაეცა.

ზოგიერთ ზედსართავს ორი არგუმენტი აქვს. ვთქვათ, ზედსართავებს, რომლებიც ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას აღწერენ, მაგალითად, *angry* –ბრაზიანი და *suspicious* –ეჭვიანი, გააჩნიათ განცდის სუბიექტი და თემატური სუბიექტი, ისევე, როგორც ზმნებს *like*, *hate*, *suspect*:

- (42) ა. Katherine was *angry* at Petruccio.
 ბ. Portia was *suspicious* of Shylock.
 გ. Katherine hates him.
 დ. Portia Suspected Shylock.
 ა. კატარინა პეტრუჩიოზე გაბრაზებული იყო.
 ბ. პორციას ეჭვი შაილოკზე ჰქონდა.
 გ. კატარინას სძულს იგი.
 დ. პორციას ეჭვი შაილოკზე ჰქონდა.

გაიხსენეთ, რომ ისეთი ზმნები, როგორებიცაა *like*, *hate*, თავიანთ განცდის სუბიექტის თეტა-როლს სუბიექტის პოზიციას ანიჭებენ, ხოლო თემატურ თეტა-როლს — ობიექტის პოზიციას, როგორც (42 გ-დ)-ში. ზედსართავები *angry*, *suspicious* მათსავე მსგავსად ფუნქციონირებს: ესენი თავიანთ განცდის სუბიექტის თეტა-როლს სუბიექტის პოზიციას ანიჭებენ, ხოლო თავიანთ თემატურ როლს — დეტერმინერაინ ფრაზას, რომელსაც მათ შემდეგ მდგარი თფ (თანდებულისანი ფრაზა) შეიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ *at* თანდებულის შემცველი თანდებულისანი ფრაზები ჩვეულებრივ ადგილ-მდებარეობას უკავშირდება, მაგალითში (42ა) *at* თანდებულისანი თფ ამგვარად არ არის გამოყენებული; ბრუნვისნიშნის ენაში ეს თანდებულები ბრუნვის ნიშნად გვევლინება: თავის ობიექტს ზედსართავით აღწერილ სიტუაციაში თემატურ მონაწილედ განსაზღვრავს. იგივე შეიძლება ითქვას მაგალით (42ბ)-ს *of* თანდებულზე.

ამგვარად, ეს თანდებულის ფრაზები ისეთი ზმნების ობიექტების მსგავსია, როგორებიცაა, მაგალითად *hate*, *suspect* (42გ-დ) წინადადებებში; ეს თანდებულის ფრაზები ამ ზედსართავების ობიექტებადაც კი შეიძლება განვიხილოთ. ამგვარი თანდებულის ფრაზები, ჩვეულებრივ, ზედსართავის **დამატებად** აღიქმება და არა ობიექტებად. ტერმინი დამატება სუბიექტის გარდა წინადადების ნებისმიერ წევრს აღნიშნავს, რომელიც პრედიკატის არგუმენტის ფუნქციას ასრულებს. ამგვარად, ზმნის პირდაპირი და ირიბი ობიექტებიც დამატებებია — ესენი ზმნების დამატებებია და მათ თეტა-როლიც ზმნის მიერ ენიჭებათ; მაშასადამე, თანდებულის ობიექტი თანდებულის დამატება იქნება.

როცა თანდებულის ფრაზა იმისთვის იხმარება, რომ რაღაცას (დროსა თუ სივრცეში) ადგილი მიუჩინოს, იგი ირიბად მიუთითებს სიტუაციაზე, რომელშიც ადამიანი, საგანი თუ სიტუაცია ამ მიჩენილ ადგილას იმყოფება. ასეთ შემთხვევაში თანდებული პრედიკატის ფუნქციას კისრულობს და ორ არგუმენტს შორის დროისმიერ თუ სივრცისეულ ურთიერთობას განსაზღვრავს; ამ თეტა-როლებთან დაკავშირებულ არგუმენტებს შეგვიძლია ვუნოდოთ **თემისა და მდებარეობის, ან ფიგურისა და საფუძვლის** არგუმენტები. როგორც მაგალითებში (38) და (42) მოყვანილი ზედსართავები, თანდებულები ზოგჯერ, ზმნის *be* შემდეგ წინადადების მთავარი პრედიკატივით მოქმედებს. მაგალითი (43):

(43) ა. *The magician was on the island.*

ბ. *Harflour is in France.*

ა. ჯადოქარი კუნძულზე იყო.

ბ. არფლო საფრანგეთშია.

აქ წინადადების სუბიექტი ინტერპრეტირებულია როგორც თემა, ან ფიგურა, ხოლო თანდებულის ობიექტი — როგორც მდებარეობა, ან საფუძველი. სხვა შემთხვევებში, როცა თანდებულის ფრაზები დეტერმინერიანი ფრაზების ფარგლებში ექცევა, როგორც მაგალითში (44), თანდებულის თემის ან ფიგურის თეტა-როლი იმ დეტერმინერიან ფრაზას ენიჭება, რომელიც თანდებულის ფრაზას შეიცავს:

(44) ა. *The magician on the island had a daughter.*

ბ. *Henry besieged a city in france.*

ა. კუნძულზე (=მცხოვრებ) ჯადოქარს ქალიშვილი ჰყავდა.

ბ. ჰენრიმ საფრანგეთში (= მდებარე) ქალაქს ალყა შემოარტყა.

ამგვარად, თანდებულებს, ისევე როგორც ზედსართავებს, საკუთარი არგუმენტებისთვის თეტა-როლების მიმნიჭებელი ზმნების მსგავსი უნარი გააჩნიათ.

დაბოლოს, უკვე დავრწმუნდით, რომ ზოგიერთი სახელი (როგორებიცაა, მაგალითად, ქორწინება, მკვლელობა, სიბრაზე) სიტუაციას ან მოვლენას ასახავს. ასეთ სახელებს ორ-ორი არგუმენტი გააჩნიათ და მათ თეტა-როლებს ანიჭებენ. ზედსართავების მსგავსად, პირდაპირი ობიექტი უშუალოდ არც სახელებს მოსდევს. მათი დამატებები, როგორც წესი, თანდებულის ფრაზებია, როგორც (45) მაგალითშია ნაჩვენები:

(45) ა. *Katherine's anger at petruchio was no surprise.*

ბ. *Macbeth's murder of Duncan shocked Malkolm.*

ა. კატარინას სიბრაზე პეტრუჩიოს მიმართ გასაკვირი არ ყოფილა.

ბ. მაკბეტის მიერ დუნკანის მკვლელობამ მალკოლმს თავზარი დასცა.

წინადადება (46ა)-ში სახელი *anger* (სიბრაზე) (როგორც მისი მონათესავე ზედსართავი *angry* — გაბრაზებული) ისეთ სიტუაციას უკავშირდება, რომელშიც განცდის სუბიექტი და თემა ფიგურირებს; (45ბ)-ში სახელი *murder* (მკვლელობა) (ისევე, როგორც

მისი მონათესავე ზმნა *murder* — მკვლელობა) უკავშირდება ვითარებას, სადაც აგენტი და მიმღები მონაწილეობს. როდესაც ზედსართავის *angry* და ზმნის *murder* განცდის სუბიექტის და აგენტის თეტა-როლები წინადადების სუბიექტის პოზიციას ენიჭება, სახელის *anger* განცდის სუბიექტის თეტა-როლი და სახელის აგენტის *murder* თეტა-როლი ნომინალური მსაზღვრელის პოზიციას ეძლევა; გარკვეული თვალსაზრისით, ეს პოზიცია ისე ფუნქციონირებს, როგორც სუბიექტის პოზიცია დეტერმინერიანი ფრაზის ფარგლებში. თითოეულ შემთხვევაში, სახელის სხვა თეტა-როლი სახელისავე თფ-ს დამატებას ენიჭება. ამგვარად, (42ა-ბ) წინადადებების თანდებულების მსგავსად და (43) თუ (44) წინადადებების თანდებულებისგან განსხვავებით, (45) მაგალითის თანდებულები ბრუნვის ნიშნების ფუნქციას კისრულობს.

ისეთი სახელებიც კი, რომლებიც მოვლენებს და სიტუაციებს არ უკავშირდება, პრედიკატივით ფუნქციონირებს. მაგალითად, სახელები *king*, *witch*, *friends* და მისთანანი, როგორც განყოფილება 3.2.1-ში ითქვა, ადამიანების, ცხოველების და საგნების გარკვეულ ტიპს გამოხატავენ. ეს სახელები ისეთ ნიშან-თვისებებს ასახავენ, რომლებიც მათ შემცველ დეტერმინერიან ფრაზებს მიეკუთვნება; ამგვარად, როცა დეტერმინერიან ფრაზას *the foolish king* (შეშლილი მეფე) მეფე ლირის მისამართით ვიყენებთ, ლირს მთლიანი დეტერმინერიანი ფრაზა განსაზღვრავს; სახელი ამ დეტერმინერიანი ფრაზის შიგნით, მის წინ მდგარი ზედსართავის მსგავსად, იმ თვისების აღმნიშვნელად არის ინტერპრეტირებული, რომელიც ამ პიროვნებას (ლირს) მიეწერება.

ზედსართავებისგან და თანდებულებისგან განსხვავებით, სახელი შეიძლება უშუალოდ ზმნა *be*-ს შემდეგ არ იდგეს და ისე ფუნქციონირებდეს, როგორც წინადადების მთავარი პრედიკატი. ყოველ შემთხვევაში, ინგლისურ ენაში ასეა:

- (46) a. * Puck is sprite.
 b. *Banquo was ghost.
 ა. ელფი ფერიაა.
 ბ. ბანქო აჩრდილი იყო.

საინტერესოა, რომ ისეთ ენებში, რომლებიც განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი არტიკლების ხმარებას არ მოითხოვს, მაგალითად, რუსულში, ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსი წინადადებები გრამატიკულად სრულიად გამართულია (გაიხსენეთ, ბე ზმნის ექვივალენტი რუსულშიც გამოტოვებულია.)

- (47) ა. Kolja durak. (რუსული)
 კოლია+სახ.ბრ სულელი+სახ.ბრ
 „კოლია სულელია“.
 ბ. Vorona ptica.
 ყვავი ფრინველი.
 „ყვავი ფრინველია“.

ინგლისურ ენაში ასეთ ზმნებს, როგორც წესი, წინ დეტერმინერი უძღვის; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთლიანი დეტერმინერიანი ფრაზა პრედიკატივით ფუნქციონირებს:

- (48) ა. Lear was *the father of Goneril*.
 ბ. Puck was *a sprite*.
 გ. Banquo was *a ghost*.
 ა. ლირი გონერილის მამა იყო.
 ბ. ელფი ფერია იყო.
 გ. ბანქო აჩრდილი იყო.

ამ ეგრეთ წოდებულ **პრედიკატის ნომინალურ კონსტრუქციებში** დეტერმინერიანი ფრაზა, რომელიც ზმნა *be*-ს ობიექტად გვევლინება, ისე არ არის ინტერპრეტირებული, თითქოს რომელიმე ახალ რეფერენტს განსაზღვრავდეს (როგორც დეტერმინერიანი ფრაზების შემცველ წინა წინადადებებში იყო); ამის ნაცვლად, იგი წინადადების სუბიექტის რეფერენტისადმი მინერილ ნიშან-თვისებადაა გაგებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას **პრედიკატული** ინტერპრეტაცია გააჩნია, იმის ანალოგიური, როგორც ზედსართავებს აქვთ მაგალით (38)-ში. არსებითად, დეტერმინერიანი ფრაზების ეს პრედიკატები სტრუქტურულადაც (38) მაგალითის ზედსართავის პრედიკატების მსგავსია — ორივე ზმნა *be* -ს დამატებებია და თავიანთ თეატა-როლს ორივე სუბიექტის პოზიციას ანიჭებს.

აქამდე ჩვენს მსჯელობაში დეტერმინერისა და მის შემდეგ მდგომი სახელის (და მათ შორის ჩასმული ზედსართავ(ებ)ის) მიმართ (როგორებიცაა, მაგალითად, შეშლილი მეფე — *the foolish king* ან მხოლოდ არტიკლიანი ფორმა — *the king*) ტერმინს „დეტერმინერიანი ფრაზა“ (დე) ვიყენებდით. თანდებულისა და მისი დეტერმინერიანი ფრაზის (მაგალითად, *in the forest*) ერთობლიობის აღსაწერად ვხმარობდით ტერმინს „თანდებულისანი ფრაზა“ (თფ). ამ ტერმინების ანალოგიით, ზედსართავისა და მისი დამატების ერთობლიობას **ზედსართავიან ფრაზას** ვუწოდებთ (**ზფ**). ასე, მაგალითად, ინგლისურ ენაში ფრაზა *angry at Petruccio* — „პეტრუჩიოზე გაბრაზებული“ ზედსართავიანი ფრაზაა. სწორედ ასევე, ზმნის და მისი დამატების (ან დამატებების, თუ ასეთი ერთზე მეტი გააჩნია) ერთობლიობას **ზმნიანი ფრაზა (ზმნფ)** ეწოდება. ასე, მაგალითად, ფრაზა *sent tennis balls to the king* — „ჩოგბურთის ბურთები მეფეს გაუგზავნა“ (მან მას ისინი) წინადადება (14ბ)-ში — *The dauphin sent tennis balls to the king* ზმნიანი ფრაზა (ზმნფ) იქნება. დაბოლოს, სახელისა და მისი დამატების ერთობლიობას **სახელიანი ფრაზა (სფ)** ეწოდება. ამგვარად ფრაზა *father of Goneril* წინადადება (48ა)-ში, კერძოდ, მისი დეტერმინერიანი ფრაზის ფარგლებში — *the father of Goneril* სახელიანი ფრაზაა, ისევე როგორც ფრაზა *murder of Duncan* წინადადება (45ბ)-ში. თუ ისეთ სიტყვას, როგორიცაა ზმნა, ზედსართავი ან სახელი, დამატება არ მოსდევს, სიტყვამ შეიძლება მთლიანი ფრაზის ფუნქცია იკისროს. მაგალითად, წინადადებაში *Henry laughed* — „ჰენრიმ გაიცინა“ სიტყვა *laughed* მხოლოდ ზმნა არ არის; იგი ზმნიანი ფრაზასავითაც ფუნქციონირებს. ამის მსგავსად, წინადადება (41ა)-ში — *Falstaff walked home drunk* — „ფალსტაფი შინ მთვრალი დაბრუნდა“ ზედსართავი **drunk** — „მთვრალი“ ზედსართავიანი ფრაზის ფუნქციას კისრულობს.

სიტყვების თუ ფრაზების ამგვარ ერთობლიობას, როგორებიცაა დეტერმინერიანი ფრაზა, თანდებულისანი ფრაზა, ზედსართავიანი ფრაზა, ზმნიანი ფრაზა და სახელიანი ფრაზა — სახელწოდება იმ ლექსიკური კატეგორიის მიხედვით აქვს დარქმეული, რომლის წევრსაც ის შეიცავს, როგორც წესი, ფრაზის პირველი ლექსიკური კატეგორიის წევრის მიხედვით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მიერ აქამდე განხილულ ინგლისურ მასალაში ასეა. ასე მაგალითად, დეტერმინერიანი ფრაზა *the foolish king* შეიცავს *the* დეტერმინერს; ზედსართავიანი ფრაზა *angry at Petruccio* ზედსართავს *angry* და ასე შემდეგ. ასეთ სიტყვებს (დეტერმინერი დეტერმინერიან ფრაზაში, ზედსართავი — ზედსართავიან ფრაზაში, ზმნა — ზმნიან ფრაზაში და ა.შ) იმ ფრაზების **თავები**, ან **სათათო სიტყვები** ჰქვიათ, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შედიან. თუ X კატეგორია X ფრაზის თავია, მაშინ ვამბობთ, რომ X ფრაზას სათათვეში X უდგას. ამგვარად, ფრაზის თავები საკუთარ დამატებასთან ერთობლიობას ქმნიან (ან ერწყმიან მას), რათა იმავე ლექსიკური კატეგორიის სახელწოდებიანი ფრაზა წარმოქმნან, რომელსაც თვითონ მიე-

კუთვნიან. განყოფილებაში 3.3 ფრაზის სტრუქტურის ამ საკითხს უფრო დეტალურად შევისწავლით.

სავარჯიშო

3.5

- ა. მიუთითეთ, როგორი ზმნები გვაქვს მაგალითად მოყვანილ შემდეგ წინადადებებში: გარდამავალი, დიტრანზიტიული თუ გარდაუვალი. ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ზმნა შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც. მიუთითეთ როგორ გამოიყენება თითოეული ეს ზმნა თქვენს მიერ განსახილველ კონკრეტულ წინადადებაში
1. Romeo sang to Juliet.
 2. Henry's invasion of France terrified the Dauphin.
 3. Petruccio resided in Italy.
 4. The soothsayer gave Caesar a warning.
 5. Othello was distrustful of his wife.
1. რომეომ ჯულიეტას უმღერა.
2. საფრანგეთში ჰენრის შეჭრამ დოფინი შეაშინა.
3. პეტრუჩიო იტალიაში ცხოვრობდა.
4. მისანმა კეისარი გააფრთხილა.
5. ოტელო თავის ცოლს არ ენდობოდა (უნდობლობით ეკიდებოდა).
- ბ. ცალკე ჩამონერეთ ის პრედიკატები, რომლებიც ამ წინადადებებში შეგხვდათ. თითოეულ პრედიკატს მიუწერეთ რამდენარგუმენტიანია იგი, გამოყავით ეს არგუმენტები და მიუთითეთ, რომელი თეტა-როლები აქვს მინიჭებული თითოეულ მათგანს.
- გ. მიუთითეთ თითოეულ ზმნას, სახელს, თანდებულს, ზედსართავს, რომელიც ჩვენს წინადადებებში შეგხვდათ, მოსდევს თუ არა დამატება და თუ მოსდევს, როგორი.

3.2. 6 გადარჩევა, იმპლიციტური არგუმენტები, ნულოვანი ნაცვალსახელები და თეტა-კრიტიერიუმები

ზმნის არგუმენტთა სტრუქტურის ლექსიკური განსაზღვრა ხანდახან **გადარჩევის** პრაქტიკას უკავშირდება. ასე მაგალითად, თუ ზმნის ლექსიკური განსაზღვრება ისეთ მოვლენასთანაა დაკავშირებული, რომელიც აგენტისა და მიმღების მონაწილეობას გულისხმობს, მაშინ ვამბობთ, რომ ზმნა აგენტის არგუმენტისა და მიმღების არგუმენტის **შერჩევას** ახდენს. შერჩევის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სელექციის ცნება გულისხმობს, რომ პრედიკატი (ზმნა ან ზედსართავი) გარკვეული თეტა-როლის მქონე არგუმენტს ირჩევს. ამის შემდეგ კი ნებისმიერი წინადადება, რომელშიც ეს პრედიკატი აღმოჩნდება, იმ დეტერმინერიან ფრაზას უნდა შეიცავდეს, რომელსაც ეს თეტა-როლი აქვს მინიჭებული. მაგალითად, თუ ზმნა ირჩევს აგენტის, მიმღების, სამიზნე როლს, ან განცდის სუბიექტის და თემატურ როლს, მაშინ თითოეული ეს თეტა-როლი ნებისმიერ იმ წინადადების დეტერმინერიან ფრაზას უნდა მიენიჭოს, რომლებშიც (წინადადება იგულისხმება) ეს ზმნა აღმოჩნდება. ამგვარად, (49) მაგალითში მოყვანილი წინადადებების გრამატიკული გაუმართაობა შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ ზმნის ერთ-ერთი თეტა-როლის მინიჭება არ ხდება, ვინაიდან წინადადება არ შეიცავს დეტერმინერიან ფრაზას იმ პოზიციაში, სადაც ამ თეტა-როლის მინიჭება უნდა მოხდეს:

(49) ა. *Harry gave to Falstaff. (მიმღების თეტა-როლის მინიჭება არ ხდება)

ბ. *Harry gave Falstaff. (მიმღების თემა-როლის მინიჭება არ ხდება)

გ. *Gave the wine to Falstaff. (აგენტის თემა-როლის მინიჭება არ ხდება)

დ. *Loves Desdemona. (განცდის სუბიექტის თემა-როლის მინიჭება არ ხდება)

ე. *Harry admires. (თემატური თემა-როლის მინიჭება არ ხდება)

ვ. *The king besieged. (მიმღების თემა-როლის მინიჭება არ ხდება)

ა. ჰარიმ ფალსტაფს მისცა.

ბ. ჰარიმ ფალსტაფი მისცა.

გ. ფალსტაფს ღვინო მისცა.

დ. უყვარს დეზდემონა.

ე. ჰარი აღმერთებს.

ვ. მეფემ ალყა შემოარტყა.

მოსაზრება, რომ ზმნის მიერ შერჩეული ყველა თემა-როლი არგუმენტს ნებისმიერ იმ წინადადებაში უნდა მიენიჭოს, სადაც ეს ზმნა ჩნდება, მხოლოდ ერთი ნახნაგია იმ ზოგადი პრინციპისა, **თემა-კრიტიერიუმის** სახელით რომ არის ცნობილი. ამ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

მეორე მხრივ, არცთუ იშვიათად, ზოგიერთი ზმნის გარკვეული არგუმენტები ხანდახან არასავალდებულო, არააუცილებელი ხდება. თვალსაჩინოებისთვის შემდეგი მაგალითები განვიხილოთ:

(50) ა. The king attacked (the city). (შეადარეთ 49გ-ს).

ბ. Portia gave money (to a charity). (შეადარეთ 49ბ-ს).

გ. Soldiers kill (their enemies).

დ. Romeo arrived (at Juliet's house).

ე. Harry laughed (at Falstaff).

ა. მეფემ შეუტია (ქალაქს).

ბ. პორციამ ფული გასცა (მისცა) (საქველმოქმედო ორგანიზაციას).

გ. ჯარისკაცები კლავენ (თავიანთ მტრებს).

დ. რომეო მივიდა (ჯულიეტას სახლში).

ე. ჰარის გაეცინა (დასცინა) (ფალსტაფს).

როცა არასავალდებულო არგუმენტი გამოტოვებულია, ზმნით გამოხატული ქმედება ან სიტუაცია ხშირად გამოტოვებული არგუმენტის შესაბამის მონაწილეს შეიცავს ხოლმე. მაგალითად, მართალია, (50ა)-ს პირდაპირი ობიექტი აკლია, მაგრამ ჩვენ ამ ზმნის შინაარსი მაინც ისე გვესმის, როგორც პირდაპირი ობიექტის არსებობის შემთხვევაში გავიგებდით: მეფემ შეუტია რალაცას (ან ვილაცას); სწორედ ასევე, (50დ)-ს თანდებულიანი ფრაზა აკლია, მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ რომეო სადღაც მივიდა. იგივე ეხება არასავალდებულო არგუმენტებს (50ბ) და (50გ) წინადადებაში: სინტაქსის თვალსაზრისით მათი არსებობა აუცილებელი არ არის, მაგრამ სემანტიკური მოსაზრებებით სავალდებულოა. მათ **იმპლიციტური** (ფარული, ნაგულისხმევი) არგუმენტები ენოდებათ. მეორე მხრივ, (50ე) წინადადება „ჰარის გაეცინა“ აუცილებლად არ გულისხმობს, რომ ჰარის სიცილი ვილაცის ან რალაცისადმი არის მიმართული. ამგვარად, ობიექტი-არგუმენტი (50ე)-ში მხოლოდ სინტაქსურად არასავალდებულო კი არა, სემანტიკურადაც არააუცილებელია, ვინაიდან ეს წინადადება იმპლიციტურ არგუმენტს არ მოითხოვს.

ასეა, რომ ახლა ხელახლა გადასახედი გვიხდება დასკვნა, რომელიც (49) წინა-

დადებაზე დაყრდნობით გამოვიტანეთ: რომ ზმნის ყველა თეტა-როლი ყველა იმ წინადადების ფარგლებში უნდა იყოს მინიჭებული, რომელშიც ზმნა გვხვდება. ამის გასაკეთებლად ერთი რამ იქნება აუცილებელი: ლექსიკონში, ზმნის არგუმენტთა სტრუქტურაში თითოეული არგუმენტი უნდა განისაზღვროს, როგორც სავალდებულო ან არასავალდებულო. შესაბამისი პრინციპი თეტა-კრიტერიუმისთვის მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ სავალდებულო თეტა-როლები იქნეს მინიჭებული. მეორე მხრივ, (50ა-დ) და (50ე)-ს შორის არსებული კონტრასტი მოწმობს, რომ სინტაქსური აუცილებლობა და სემანტიკური აუცილებლობა ერთმანეთისგან განსხვავდება: ზოგიერთი არგუმენტი სემანტიკური თვალსაზრისით სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სინტაქსური აუცილებლობა არ არსებობს. პირობები, რომლებიც განსაზღვრავს, არის თუ არა მოცემული არგუმენტი სავალდებულო, ან პირიქით, არასავალდებულო, რთულია და ძნელად მოსახელთებელი და ამიტომ ამ საკითხში ჩაღრმავება აქ მართებულად არ მიგვაჩნია.

იმის მიუხედავად, რომ ცალკეული ზმნები მათი არგუმენტების აუცილებლობა-არააუცილებლობის თვალსაზრისით ერთობ უცნაურ ვარიაციებს ქმნის, მნიშვნელოვანი განზოგადების პრინციპი მაინც არსებობს: ინგლისური ენა სუბიექტის არგუმენტის გამოტოვების საშუალებას არასდროს იძლევა, სულ მცირე, სრულ წინადადებებში მაინც; იგი ყოველთვის სავალდებულოა. (გამონაკლისად შეიძლება პირად დღიურში წერის სტილი ჩავთვალოთ, რომლისთვისაც (ისევე ინგლისურში) პირველი პირის ნაცვალსახელის გამოტოვება უცხო არ არის.) მეორე მხრივ, ბევრ ენაში, მაგალითად, იტალიურსა და ესპანურში (ქართულშიც) სუბიექტი შეიძლება ყოველთვის გამოტოვებული იყოს, როგორც მაგალით (51)-ში ვხედავთ:

- (51) ა. Ha visto Petruccio. (იტალიური)
 has (have+3მხოლ.) seen Petruccio. (ინგლისურის მაგალითზე)
 მან (ორივე სქესი) ნახა პეტრუჩიო.
 „ნახა პეტრუჩიო“ (პეტრუჩიო ნახა).
- ბ. Vimos la casa de Otelo. (ესპანური)
 saw+3მრავლ. the house of Othello. (ინგლისურის მაგალითზე)
 ვნახეთ (ორივე სქესი) სახლი ოტელოსი.
 „ვნახეთ ოტელოს სახლი“ (ოტელოს სახლი ვნახეთ)

თუმცა, როგორც ინგლისური წინადადებების (50ა-დ) იმპლიციტური ობიექტი-არგუმენტების შემთხვევაში, ამ ესპანური და იტალიური წინადადებების გამოტოვებული სუბიექტების სემანტიკური თვალსაზრისით სავალდებულოა. მაგრამ (51) მაგალითის გამოტოვებული სუბიექტები ისე არ ინტერპრეტირდება, როგორც (50ა-დ)-ს ინგლისური იმპლიციტური ობიექტი-არგუმენტები; პირიქით, ისინი ისევე აღიქმება, როგორც განსაზღვრული ნაცვალსახელები (როგორებიცაა *he, we, they, you*). ამ ენებში ზმნას, როგორც წესი, სუბიექტი-არგუმენტის სუფიქსი ერთვის, რომელიც სუბიექტის პირსა და რიცხვს გამოხატავს (მაგრამ არა გრამატიკულ სქესს) -ჩანართის შემდეგ

ნულოვანი ობიექტები

მიუხედავად იმისა, რომ იტალიური და ესპანური ენებისთვის ნულოვანი ობიექტები მხოლოდ სუბიექტის პოზიციაშია დასაშვები, ზოგიერთ ენაში ისინი სხვა, მათ შორის, ობიექტის პოზიციაშიც გვხვდება. იგივე ეხება ჩიკასაუსაც, რომელსაც შეთანხმების

აფიქსები სუბიექტისთვისაც აქვს და ობიექტისთვისაც, ოღონდ, მხოლოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებისთვის:

a. Lhiyohli-li.

დეენა(ანმყ)+1პ. მხოლ.

„(მე) მივდევ (მას)“.

b. Ofi'-at sa-lhiyohli.

ძალლი-სახ. 1პ.მხოლ.+დეენა

„ძალლი მომდევს (მე)“.

c. Chi-lhiyohli-li.

2პ.მხოლ+დეენა+1პ.მხოლ.

„(მე) მოგდევ (შენ)“.

ამ ნიმუშებში გამოტოვებული ობიექტები განსაზღვრულ ნაცვალსახელებადაა ინტერპრეტირებული, როგორც გამოტოვებული სუბიექტები მაგალით (51)-ში და პირიქით, განსხვავდება მაგალით (50)-ის განუსაზღვრელი იმპლიციტური არგუმენტებისგან. ამგვარად, ბუნებრივი იქნება, თუ დავასკვნით, რომ ამ ენებისთვის სუბიექტის თუ ობიექტის პოზიციებში განსაზღვრული ნულოვანი ნაცვალსახელების გამოჩენა დასაშვებია.

სუბიექტის თუ ობიექტის პოზიციებში ნულოვანი ნაცვალსახელები ჩინურ ენაშიც მისაღებია. მაგალითად, მხოლობითის მესამე პირში მდგომი (ღია, ხილული) ნაცვალსახელი *ta* არასავალდებულოა, სულერთია, სუბიექტის პოზიციაში იდგება იგი (დ), თუ ობიექტის პოზიციაში (ე):

დ) Zhangsan shuo (ta) bu renshi Lisi.

ჟანგსანი თქმა (ის) არ ცნობა ლისი.

„ჟანგსანმა თქვა, რომ არ იცნობს ლისის“.

ე) Zhangsan shuo Lisi bu renshi (ta).

ჟანგსანი თქმა ლისი არ ცნობა ის.

„ჟანგსანმა თქვა, რომ ლისი არ იცნობს მას“.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ჩინურ ენაში, ჩიკასაუსგან განსხვავებით, ზმნას შეთანხმების აფიქსები არ გააჩნია.

ნულოვან სუბიექტურ ნაცვალსახელებსა და ნულოვან ობიექტურ ნაცვალსახელებს შორის ჩინურ ენაში საინტერესო განსხვავებაა. თუ *ta* ნაცვალსახელი (დ) და (ე) წინადადებაში ხილულია, იგი ან მთავარი წინადადების სუბიექტის (ჟანგსანი), ან სხვა პიროვნების რეფერენტთანაა დაკავშირებული, ისევე, როგორც ინგლისური თარგმანის *he* და *him* ნაცვალსახელები ((დ) *Zhangsan said that he does not know Lisi*; (ე) *Zhangsan said that Lisi does not know him*). იგივე შეიძლება ითქვას შემთხვევაზე, როცა ჩართული წინადადების სუბიექტი ნულოვანია (ანუ, როცა *ta* ნაცვალსახელი გამოტოვებულია), როგორც (დ) წინადადებაში. მაგრამ როდესაც ობიექტური ნაცვალსახელია ნულოვანი, როგორც (ე) წინადადებაში, ამის ინტერპრეტირება შეიძლება მხოლოდ იმგვარად, რომ საუბარი რომელიღაც სხვა პიროვნებაზეა. ამ ფაქტმა ზოგიერთ ენათმეცნიერს უარი ათქმევინა შეხედულებაზე, რომ ჩინურ ენაში ნულოვანი ნაცვალსახელების გამოჩენა ობიექტის პოზიციაში მისაღებია. ამ აზრის საწინააღმდეგოდ, ჩვენს წინადადებებში ობიექტის პოზიციაში სხვადასხვაგვარი ნულოვანი არგუმენტი ჩნდება.

შეთანხმების ეს სუფიქსი იმისგან დამოუკიდებლად ჩნდება, თუ როგორ არის წარმოდგენილი თვით სუბიექტი — იმპლიციტურად, ხილულად თუ არა. (51) მაგალითში ზმნები ისე ფუნქციონირებს, თითქოს სუბიექტის პოზიციაში უხილავ, ან გამოუთქმელ ნაცვალსახელებთან არის შეთანხმებული. ეს მე-2 თავში განხილულ ეგრეთ წოდებულ ნულოვან აფიქსებთან (მორფოლოგიაში) ქმნის ანალოგიას. ამ გამოუთქმელ ნაცვალსახელებს **ნულოვან ნაცვალსახელებს** ვუწოდებთ. ნულოვანი სუბიექტების არსებობა (51)-ის მსგავს ნინადადებებში შეიძლება იმ პრინციპის საწინააღმდეგო მასალად გამოდგეს, რომლის მიხედვითაც ყოველი სავალდებულო თეტა-როლი აუცილებლად მინიჭებული უნდა იქნეს. თუმცა, სინამდვილეში ეს ნინადადებები ხსენებულ პრინციპს არ ეწინააღმდეგება მაშინ, როცა გამოუთქმელ ნაცვალსახელებს შეიცავს. ასეთ დროს ამ ნინადადებების ინტერპრეტირება ისე ხდება, თითქოს თითოეულ ამ ნიმუშში ზმნის სუბიექტის თეტა-როლი გამოუთქმელ სუბიექტურ ნაცვალსახელებს ენიჭება.

ენები ერთმანეთისგან იმითაც განსხვავდება, გააჩნიათ თუ არა მათ ნულოვანი განსაზღვრული ნაცვალსახელები და თუკი გააჩნიათ, ნინადადების რომელ პოზიციებში არის მისაღები ამ ნაცვალსახელების გამოჩენა. უმეტეს შემთხვევებში, ნულოვანი ნაცვალსახელების ამოცნობა ზმნისთვის დართული შეთანხმების აფიქსებით შეიძლება, ასეა, ვთქვათ, იტალიურსა და ესპანურში. ტრადიციული გრამატიკის ბევრი წარმომადგენელი ამტკიცებს, თითქოს ამ ენებში ნულოვანი სუბიექტური ნაცვალსახელები იმიტომ არის მისაღები, რომ მათ შეთანხმების სუბიექტური აფიქსები გააჩნიათ, ხოლო ინგლისურის მსგავსი ენებისთვის ნულოვანი ნაცვალსახელები უცხო იმის გამოა, რომ ამ ენაში სუბიექტის შეთანხმებას შედარებით მწირი მორფოლოგია აქვს — მასში (მორფოლოგიაში) შეთანხმება ნიშნით მაშინ არის გამოხატული, როცა სუბიექტი მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში დგას და ისიც მხოლოდ ანმყო დროში. თუმცა, მსოფლიო ენების უფრო დაწვრილებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამგვარი ახსნა მთლად მართებული არაა. ზოგიერთ ენაში (მაგალითად, გერმანულში) სუბიექტის შეთანხმების აღმნიშვნელი მრავალი აფიქსი არსებობს, მაგრამ არა ნულოვანი სუბიექტური ნაცვალსახელები, მაშინ, როცა სხვა ენებში (როგორცაა, მაგალითად, ჩინური) ნულოვანი სუბიექტური ნაცვალსახელები გვაქვს, ოღონდ მათ შეთანხმების გამომხატველი აფიქსები არ გააჩნია. ეს ფაქტი ხშირად დაბნეულობას იწვევს, თუმცა სრულიად აშკარაა: ასეთ ენებზე (მაგალითად, ჩინურზე) მოსაუბრენი ამგვარ დამაბნეველ ვითარებას თავს შესანიშნავად ართმევენ. თუ მოსაუბრეს აზრის უფრო ექსპლიციტურად გამოთქმა სურს, შეუძლია, ხილული (ღია) სუბიექტური ნაცვალსახელი იხმაროს. ამგვარად, ნულოვანი ნაცვალსახელის სუბიექტურ პოზიციაში ჩასმა ადამიანთა სამეტყველო ენებს შორის ლინგვისტური ვარიაციების **პარამეტრადაც** შეიძლება ჩაითვალოს. ამ პარამეტრს ორი ღირებულება აქვს და ბავშვები ენის ათვისების პროცესში ასათვისებელი ენისთვის ამ პარამეტრის ღირებულების მინიჭებას სწავლობენ. ამ საკითხს მე-6 თავში მივუბრუნდებით. **ნულოვანი სუბიექტის პარამეტრი** უკანასკნელი ხანის მეცნიერულ კვლევათა ძირითად საკითხად იქცა. სინტაქსოლოგები ნულოვანი სუბიექტის მქონე ენებს (როგორცაა, მაგალითად, იტალიური) სხვა ენებს ადარებენ, რათა დააკვირდნენ, შეეთავსებიან თუ არა გრამატიკის სხვა მახასიათებლები ნულოვანი სუბიექტის არსებობის შესაძლებლობას.

თუ ზმნის არგუმენტთა სტრუქტურაში ყოველი სავალდებულო თეტა-როლი იმ ნინადადების ამა თუ იმ ელემენტს მიენიჭება, მაშინ სავარაუდოდ ზმნასთან ერთად გამოჩენილ იმდენ დეტერმინერიან ფრაზას ვიპოვით, რამდენი არგუმენტიც არის; მაგალით (49)-ზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოლოდინი სავსებით მართებულია, ისევე, როგორც ამის საპირისპირო შემთხვევაც: ჩვეულებრივ, ნინადადების თითოეულ

დეტერმინერიან ფრაზას თეტა-როლი უნდა მიენიჭოს — ეს ზემოთ ნახსენები ეგრეთ წოდებული თეტა-კრიტერიუმის კიდევ ერთი ასპექტია. მაგალითად, განვიხილოთ ჩვენს ტექსტში ზემოთ მოყვანილი (14) წინადადებები, რომლებიც შეიცავენ სუბიექტს, ობიექტს და ირიბ ობიექტს. აქ მათ ხელახლა მოვიყვანთ და (14')-ს დავარქმევთ:

- (14') ა. *Shylock lent money to Antonio.*
 ბ. *The Dauphin sent tennis balls to the king.*
 გ. *Harry passed the wine to Falstaff.*
 ა. შაილოკმა ანტონიოს ფული ასესხა.
 ბ. დოფინმა ჩოგბურთის ბურთები მეფეს გაუგზავნა.
 გ. ჰარიმ ფალსტაფს ღვინო გადაანოდა.

როგორც ვხედავთ, აგენტის თეტა-როლი სუბიექტის პოზიციას ენიჭება, მიმღების როლი — ობიექტის პოზიციას, ხოლო სამიზნე თეტა-როლი კი ირიბი ობიექტის პოზიციას. ამგვარად, თითოეულ ამ პოზიციას ის თეტა-როლი ენიჭება, რომელიც ზმნის არგუმენტთა სტრუქტურითაა განპირობებული. ზმნები, რომლებიც სამზე ნაკლებ არგუმენტს ირჩევენ, ამ ტიპის წინადადებაში ვერ მოხვდებიან:

- (52) ა. **Macbeth murdered Duncan to Banquo.* (შეადარეთ 6ა-ს)
 ბ. **Othello liked Desdemona to Iago.* (შეადარეთ 7ა-ს)
 გ. **Othello pleased Desdemona to Cassio.* (შეადარეთ 8ა-ს)
 დ. **Henry kissed Katherine to the Dauphin.* (შეადარეთ 9ა-ს)
 ე. **Three witches prepared a vile broth to Macbeth.* (შეადარეთ 11ბ-ს)
 ა. მაკბეტმა დუნკანი ბანკოს მოკლა.
 ბ. ოტელოს დეზდემონა მოსწონდა.
 გ. ოტელომ დეზდემონა კასიოს გაახარა.
 დ. ჰენრიმ კატარინას დოფინს აკოცა.
 ე. სამმა კუდიანმა მაკბეტს საძაგელი შეჭამანდი მოამზადა.

(52) მაგალითის ეს ზმნები იმ მოვლენებს ან სიტუაციებს უკავშირდება, რომლებშიც მხოლოდ ორი მონაწილე ფიგურირებს: აგენტი და მიმღები (murder, kiss, prepare), ან — განცდის სუბიექტი და თემა (like და please). ამიტომაც, რომ ეს ზმნები ირიბი ობიექტის მონაწილეობას გამორიცხავს: ირიბ ობიექტს სამიზნე თეტა-როლი უნდა მიენიჭოს, მაგრამ ამ ზმნებით გამოხატული მოვლენის /სიტუაციის ბუნება ისეთია, რომ ამ თემატური როლის მქონე მონაწილეს არ მოითხოვს. შესაბამისად, (52) მაგალითის წინადადებების ინტერპრეტირება შეუძლებელია, ვინაიდან ირიბ ობიექტს შესაფერისი თეტა-როლი ვერ ენიჭება.

მსგავსი მოსაზრებებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ზმნები, რომლებიც მხოლოდ ერთ არგუმენტს ირჩევენ, როგორც წესი, წინადადებაში პირდაპირ ობიექტის არსებობას გამორიცხავს. მოვლენებს, რომელთაც ეს ზმნები გამოხატავს, შესაფერისი თეტა-როლი არ გააჩნიათ (ასეთია, მაგალითად, მიმღები მონაწილე), რომ ამ პოზიციაში მდგომ დეტერმინერიან ფრაზას მიანიჭონ:

- (53) ა. **Harry laughed Falstaff.*
 ბ. **Romeo died Juliet.*
 ა. ჰარის გაეცინა (ჰარიმ გაიცინა) ფალსტაფი.
 ბ. რომეო მოკვდა ჯულიეტა.

ჩვენი მოლოდინის საპირისპიროდ, ბევრი ასეთი ზმნა დეტერმინერიან ფრაზას საშუალებას აძლევს პირდაპირი ობიექტის პოზიციაში ჩადგეს, თუკი ასეთი დეტერმინერიანი ფრაზა უშუალოდ მოვლენას უკავშირდება. საამისო მაგალითებს (54)-ში

იპოვით:

(54) ა. Falstaff laughed a *heartly laugh*.

ბ. Romeo died a *painfull death*.

ა. ფალსტაფმა გულიანი სიცილით გაიცინა. (ან: ფალსტაფს გულიანი სიცილით გაეცინა;

ბ. რომეო მტკივნეული სიკვდილით მოკვდა.

ამ დეტერმინერიან ფრაზებს **მონათესავე ობიექტები** ეწოდებათ, ვინაიდან მორფოლოგიურად ხშირად თვითონ ზმნასთან არიან დაკავშირებულნი. ეს მონათესავე ობიექტები ჩვეულებრივ ისეთ ზედსართავს შეიცავენ, რომელიც მოვლენის რომელსამე ნიშან-თვისებას აღწერს. თუმცა, ყველა გარდაუვალი ზმნა როდი „ექცევა“ ასე მონათესავე ობიექტებს. განსაკუთრებით ეს ბრალდებითის უქონელ (არააკუზატიურ) ზმნებზე *occur* და *arrive* ითქმის:

(55) ა. * A disaster occurred a quick occurrence.

ბ. * Romeo arrived a welcome arrival.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბრალდებითის უქონელი ზმნები მონათესავე ობიექტებს იმ მიზეზის გამო არ იჩენენ, რომ ბრალდებითი ბრუნვის მინიჭების უნარი არ აქვთ, როგორც (37) მაგალითი მოწმობს. ამ თეორიის თანახმად, რაიმე მიმართების მქონე ყველა გამონათქვამი (*referring expressions*) (ნაცვალსახელები, სახელები, დეტერმინერიანი ფრაზები) ბრუნვის ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი — სახელობითი ბრუნვა იქნება ეს, ბრალდებითი, თუ მიცემითი, მაშინაც კი, თუ ბრუნვის ფუძეს მორფოლოგიური აფიქსები ღიად არ ერთვის. ამ პირობას **ბრუნვის ფილტრი** ეწოდება. ამგვარად, (55) მაგალითში წინადადებების გრამატიკული გაუმართაობა შეიძლება სწორედ ამ ბრუნვის ფილტრის არსებობით აიხსნას: ამ დეტერმინერიანი ფრაზებისთვის ბრუნვის მინიჭება შეუძლებელია.

თეტა-კრიტიერიუმის ორი ძირითადი პრინციპი (56) ფორმულირებაშია მოყვანილი:

(56) **თეტა-კრიტიერიუმი**

ა. პრედიკატის მიერ შერჩეული თითოეულ (სავალდებულო)

თეტა-როლი რეფერენციულ გამოთქმას (როგორიცაა

დეტერმინერიანი ფრაზა) უნდა მიენიჭოს.

ბ. თითოეულ რეფერენციულ გამოთქმას თეტა-როლი უნდა

მიენიჭოს.

სინტაქსის ზოგიერთი თეორია თეტა-კრიტიერიუმის უფრო მკაცრად განსაზღვრულ ვერსიას გვთავაზობს. ამ თეორიების მიხედვით, თეტა-როლებსა და რეფერენციულ გამოთქმებს შორის ერთი-ერთზე შესაბამისობა არსებობს: თითოეული თეტა-როლი მხოლოდ ერთ არგუმენტს უნდა ენიჭებოდეს, და პირიქით, თითოეული არგუმენტი მხოლოდ ერთ თეტა-როლს უნდა შეესაბამებოდეს. სხვა თეორიების მიხედვით კი, ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ რეფერენციულ გამოთქმებს შეიძლება ორი და ორზე მეტი თეტა-როლიც მიენიჭოს. ამ საკითხს აქ არ ჩავუღრმავდებით.

სავარჯიშო 3.6

ქვემოთ მოყვანილი ნიმუშების თითოეული წყვილი ერთ გრამატიკულად გამართულ და ერთ გაუმართავ წინადადებას შეიცავს. ყველა ამ შემთხვევაში, გრამატიკულად გაუმართავი მაგალითი თეტა-კრიტიერიუმის პრინციპების დარღვევითაა შედგენილი, ან რეფერენციული გამოთქმებისთვის სავალდებულო თეტა-როლის მინიჭება ვერ ხდება, ან რეფერენციული გამოთქმა არ შეესაბამება თეტა-როლს. გრამატიკულად გამართულ თითოეულ წინადადებას მოუძებნეთ ის თეტა-როლი, რომელსაც ზმნა თითოეულ

არგუმენტს ანიჭებს. თითოეული ამ გაუმართავი წინადადებისთვის დაადგინეთ თეტა-როლი ან არგუმენტი, რომელიც მის გაუმართაობას იწვევს. შეადარეთ იგი მის წინ მდგარ გრამატიკულად გამართულ წინადადებას.

1. ა. Shylock handed the money to Antonio.
ბ.* Shylock handed to Antonio.
 2. ა. The king's troops entered the city.
ბ. *The king's troops entered the city to Shylock.
 3. ა. Henry laughed at Falstaff.
ბ. * Henry laughed the book at Falstaff
 4. ა. Juliet died a sad death.
ბ. *Died a sad death.
1. ა. შაილოკმა ანტონიოს ფული გადასცა; ბ. შაილოკმა ანტონიოს გადასცა.
 2. ა. მეფის ჯარი ქალაქში შევიდა; ბ. მეფის ჯარი ქალაქში შაილოკს შევიდა.
 3. ჰენრის ფალსტაფზე გაეცინა; ბ. ჰენრის ფალსტაფზე წიგნი გაეცინა.
 4. ა. ჯულიეტა სევდიანი სიკვდილით მოკვდა; ბ. სევდიანი სიკვდილით მოკვდა.

3.2.7 სემანტიკური შერჩევა, კატეგორიათა შერჩევა და ჩართული წინადადებები

უკვე ვნახეთ, რომ ზმნები ისეთ არგუმენტებს ირჩევენ, რომელთაც გარკვეული თეტა-როლები გააჩნიათ; ასევე ირჩევენ ზმნები ამ არგუმენტების კონკრეტულ სემანტიკურ ნიშან-თვისებებს. მაგალითად, ზმნა *murder* (მოკვლა) მოითხოვს, რომ აგენტის არგუმენტიც და მიმღებისასაც ადამიანები იყვნენ. ზმნა *drink* (დალევა) მოითხოვს, რომ აგენტის არგუმენტი სულიერი იყოს, მიმღების არგუმენტი კი — თხევადი ფორმის. ამ ტიპის მოთხოვნებს **შერჩევის (ან სხვაგვარად, სასელექციო) შეზღუდვები** ეწოდება. (57) მაგალითში მოყვანილი წინადადებები ამ შეზღუდვებს არღვევს: დეტერმინირიანი ფრაზები, რომლებიც ამ წინადადებებში სუბიექტის და ობიექტის პოზიციებში გვხვდება, იმ ერთეულებს უკავშირდება, რომელთაც ზმნისთვის აუცილებელი ზოგიერთი ნიშან-თვისება აკლიათ. ეს ნიშან-თვისებები ზმნას იმ არგუმენტებისგან ესაჭიროება, რომლებიც ამ პოზიციებისთვის მინიჭებულ თეტა-როლებთანაა დაკავშირებული. (წინადადებების თავში მდგარი ძახილის ნიშნები (!) მათ სემანტიკურ ანომალიურობაზე მიუთითებს.)

- (57) ა. !The rock murdered the tree.
კლდემ ხე მოკლა.
ბ. ! The wine drank the king.
ღვინომ მეფე დალია.

მაგალითად, (57ბ)-ში ობიექტის პოზიციისაში მდგომ დეტერმინირიან ფრაზას მიმღების როლი ენიჭება, მაგრამ ზმნის *drink* ლექსიკური განსაზღვრება მოითხოვს, რომ ეს თეტა-როლი იმ არგუმენტთან იყოს დაკავშირებული, რომელიც შერჩევის შეზღუდ-

ვას ექვემდებარება და რომელიც მოითხოვს, რომ იგი სითხე იყოს. აზრი მეტაფორულად რომ გამოეხატოს, ხანდახან ამ შერჩევის შეზღუდვებს ვარლვევთ. მაგალითად, ბუნების დამცველმა შეიძლება ხისმჭრელზე თქვას, რომ მან ხე მოკლა, მებაღემ შეიძლება განაცხადოს, რომ რომელიმე მცენარეს სწყურია და წყალი უნდა დააღვინოს. ასეთი სიტყვათხმარების დროს მოსაუბრე მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ თვისებებს ცხოველს, მცენარეს ან უსულო საგანს მიაწერს, სულიერი არსებისთვის დამახასიათებელ თვისებებს კი — უსულო საგანს. მეტაფორის ძალმოსილება სწორედ შერჩევის შეზღუდვის არსებობაზე დგას, რომელიც ადამიანის თუ ცხოველის თვისებებს ამ არგუმენტებს ანიჭებს.

შერჩევის ამა თუ იმ ყაიდის შეზღუდვებს ინგლისურ ენაში საკუთარ არგუმენტებს ყველა ზმნა უწესებს. ხშირ შემთხვევაში ამ შეზღუდვებს თეატა-როლის ის ტიპი განაპირობებს, რომელიც არგუმენტს აქვს მინიჭებული. მაგალითად, განცდის სუბიექტი აუცილებლად სულიერი უნდა იყოს, ვინაიდან უსულო საგნებს, აბსტრაქტულ ცნებებს, თვისებებს და მოვლენებს ფსიქოლოგიური დამოკიდებულებების ქონა არ შეუძლიათ. ამის გამო ყველა ზმნა, რომელიც განცდის სუბიექტის არგუმენტს ირჩევს (*like, hate, resent, worry* — მონონება, სიძულვილი, აღშფოთება, ნუხილი და ა.შ.), რეფერენციულ გამოთქმას მოითხოვს, რომელსაც სულიერ არსებად ყოფნის ნიშან-თვისებას ამ თეატა-როლის მინიჭება მატებს. მეორე მხრივ, ზმნებს, რომლებიც არგუმენტად აგენტს ირჩევენ, სუბიექტად უსულო საგნების, ან აბსტრაქტული ცნებების ქონა შეუძლიათ, როცა ზმნით გამოხატულ ქმედებას რაღაც უსულო, აბსტრაქტული რამ სჩადის. მაგალითად, ზმნას *kill*, ზმნისგან *murder* (ორივე ზმნა „მოკვლას“ ნიშნავს) განსხვავებით, შეიძლება უსულო აგენტიც ჰქონდეს და სულიერიც:

(58) ა. Brutus killed Caesar. „ბრუტუსმა კეისარი მოკლა“.

ბ. Madness killed Lear. „ლირი სიგიჟემ მოკლა“.

უსულო აგენტს ხშირად **მიზეზს** უწოდებენ. მიზეზი არ უნდა აგვერიოს **ინსტრუმენტში**, რომელიც, შეიძლება, მიზეზის მსგავსად, ისეთი ზმნის სუბიექტად მოგვევლინოს, აგენტს რომ ირჩევს. განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

(58) გ. dagger killed Caesar. — „კეისარი ხანჯალმა მოკლა“.

ეს უსულო სუბიექტი უფრო ინსტრუმენტია, ვიდრე მიზეზი, ვინაიდან ზმნით გამოხატული ქმედების ინიციატორი იგი არ არის. ინსტრუმენტები, მიზეზებისგან განსხვავებით, შეიძლება აგენტთან ერთად, *with* თანდებულებიან ობიექტად წარმოგვიდგეს:

(58) დ. Brutus killed Caesar with a dagger. — „ბრუტუსმა კეისარი ხანჯლით მოკლა“.

არჩევის იმ შეზღუდვებთან ერთად, რომლებიც არგუმენტების სემანტიკურ ნიშან-თვისებებს უწესდება, პრედიკატებს ასეთივე შეზღუდვების დაწესება მათივე არგუმენტების ლექსიკურ კატეგორიაზეც შეუძლიათ. შერჩევის ამგვარი მოთხოვნა **კატეგორიის შერჩევის (სხვაგვარად C-შერჩევა)** სახელწოდებითაა ცნობილი. იგი **სემანტიკურ შერჩევას, ანუ S-შერჩევას** უპირისპირდება. ზემოთ ნიმუშად მოყვანილი ზმნების უმეტესობა დამატებად დეტერმინერიან ფრაზებს, თანდებულებიან ფრაზებს ან

ზედსართავიან ფრაზებს ირჩევს, ან — დეტერმინერიანი ფრაზების და თანდებულებიანი ფრაზების გარკვეულ კომბინაციებს. მაგალითად, ზმნა *murder* დამატებად დეტერმინერიან ფრაზას ირჩევს (*Macbeth murdered the king* — „მაკბეტმა მეფე მოკლა“; ზმნა *live* — ცხოვრება — თანდებულებიანი ფრაზას (*Timon lived in Athens* — „თიმონი ათენში ცხოვრობდა“); ზმნები *give, lend, pass* (მიცემა, სესხება, გადაცემა) დამატებად დეტერმინერიან ფრაზას და თანდებულებიანი ფრაზას ირჩევს (რომელთაც თავში *to* თანდებული უდგათ), ან — დეტერმინერიან ფრაზას და დეტერმინერიან ფრაზას (*Shylock lent money to Antonio; Shylock lent Antonio the money* — „შაილოკმა ანტონიოს ფული ასესხა“), ხოლო ზმნები *be, seem, become* (ყოფნა, (რალაცად) ჩვენება, (რალაცად) ქცევა) — სხვა შესაძლებელ ვარიანტებს შორის, ზედსართავიან ფრაზას (*Othello became jealous* — „ოთელომ იეჭვიანა“, სიტყვასიტყვით: ოთელო ეჭვიანი გახდა).

როგორც წესი, ამ დამატებების ლექსიკური კატეგორიები თავისუფალი არაა; ასე მაგალითად, ისეთი ზმნის მიმღები-არგუმენტი, როგორიცაა *murder* — „მკვლელობა“, დეტერმინერიანი ფრაზა უნდა იყოს და არა ზედსართავიანი ფრაზა, ხოლო ისეთი ზმნის მდებარეობის არგუმენტი, როგორიცაა *live* — „ცხოვრება“, თანდებულებიანი ფრაზა უნდა იყოს და არა დეტერმინერიანი ფრაზა, როგორც ამას (59) მაგალითი მოწმობს:

(59) ა. **Macbeth murdered angry at Duncan.* (შეადარეთ 6ა-ს)

ბ. **Timon lived Athens.* (შეადარეთ 36ა-ს)

ჩნდება კითხვა: უნდა იყოს თუ არა ასეთი ფაქტები შეტანილი ამ ზმნების ლექსიკურ განმარტებებში, თუ თითოეული მათგანი პროგნოზირებადია? ერთი შეხედვით ის დასკვნა უფრო მართებული ჩანს, რომ კატეგორიის შერჩევის ყველა ნიშან-თვისება სრულიად პროგნოზირებადია. მაგალითად, ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ზმნა *murder* თავის მიმღებ არგუმენტს შერჩევის შეზღუდვას უქვემდებარებს, იმისთვის, რათა გამოხატოს, რომ სუბიექტი ადამიანია. მაგრამ სუბიექტის ადამიანობას მხოლოდ დეტერმინერიანი ფრაზები (მათ შორის, სახელები, ნაცვალსახელები და დფ-ები, რომელთა სათაო სიტყვები დეტერმინერებია) გამოხატავს. ზედსართავიანი ფრაზები, მაგალითად, *angry at Duncan* — „დუნკანზე გაბრაზებული (სიტყვასიტყვით — ბრაზიანი)“ თვისებას უკავშირდება. ამის გამო ის ფაქტი, რომ ზმნის *murder* დამატება (59ა)-ში დეტერმინერიანი ფრაზა უნდა იყოს, შერჩევის იმ სემანტიკური შეზღუდვის წყალობით, რომელსაც ეს ზმნა ექვემდებარება, სავსებით პროგნოზირებადი ფაქტია. სწორედ ასევე, ფაქტი, რომ ზმნის *live* მდებარეობის არგუმენტი თუ უნდა იყოს, და არა სახელი ან დეტერმინერიანი ფრაზა, როგორც (59ბ)-ში, ადვილად შეიძლება აიხსნას იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ მდებარეობას მხოლოდ თანდებულებიანი ფრაზა გამოხატავს.

მეორე მხრივ, შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სურათი მთლად მკაფიო არაა. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ (59ბ)-ს შემდეგ განმარტებული დებულება, რომ მდებარეობას მხოლოდ თანდებულებიანი ფრაზა, ანუ თუ გამოხატავს. ხსენებულ წინადადებაში გვაქვს ფაქტი, რომ საკუთარი სახელი *Athens* — „ათენი“ მდებარეობას გამოხატავს. თუმცა, კონტრასტი (59ბ) და (60ა)-ს შორის ცხადყოფს, რომ ზოგჯერ შინაარსობრივად ერთმანეთთან ახლოს მდგარი ზმნები, რომლებიც მსგავსი ან ერთნაირი თემა-როლების მქონე არგუმენტებს ირჩევს, ამ არგუმენტებისთვის შეიძლება სხვადასხვა კატეგორიებს ირჩევდნენ. ასეთივე კონტრასტი გვაქვს (60ბ-ე)-ში თითქმის სინონიმურ ზმნებს შორის:

(60) ა. The Greeks inhabited Athens (...long before the age of Pericles).

ბ. Romeo arrived *at Juliet's house*. (= 50დ)

გ. *Romeo arrived *Juliet's house*.

დ. Romeo reached *Juliet's house*.

ე. *Romeo reached *at Juliet's house*.

ეს მაგალითები მიუთითებს, რომ დამატების ლექსიკური კატეგორიის პროგნიზირება ხანდახან შეუძლებელია; იგი იმ ზმნის იდიოსინკრაზიული მახასიათებელია, რომელიც არგუმენტს ირჩევს და ამიტომ ზმნის ლექსიკურ განმარტებაში უნდა იქნეს შეტანილი.

ჯერ-ჯერობით იმ დამატებათა სახეობების ნიმუშების მოკლე მიმოხილვა შემოგთავაზებთ, რომლებიც შეიძლება ზმნამ აირჩიოს. სინამდვილეში კატეგორიის შერჩევის სპექტრი გაცილებით უფრო მრავალსიმომცველია. სრული სურათის გათვალისწინებისთვის ჩვენი დისკუსიის ძირითადი მიმართულებიდან უნდა გადავუხვიოთ და წინადადების შედგენის, აგების (კლაუზულური კომპლემენტაცია) სინტაქსი შევისწავლოთ — პროცესისა, რომელიც დიდ წინადადებებში უფრო მცირე წინადადების ჩართვით რთული წინადადების წარმოქმნის საშუალებას იძლევა. ზმნები, რომლებიც სამეტყველო მოღვაწეობის აქტს გამოხატავენ (*say, tell, announce, proclaim, inform, promise* — თქმა, მოყოლა, გამოცხადება, განცხადება, შეტყობინება, შეპირება და ა.შ) ან ფიქრის, აზროვნების პროცესს, გონებრივ მოღვაწეობას უკავშირდება (*believe, think, know, forget, remember, doubt* — რწმენა, ფიქრი, ცოდნა, დავიწყება, ხსოვნა, დაეჭვება და ა.შ), ჩვეულებრივ მთლიანი წინადადებისგან შემდგარ დამატებას ირჩევს, რომლებიც განმარტავენ, თუ რის თქმაზე, ფიქრზე, რწმენაზე, დავიწყებაზე, ცოდნაზე და ა.შ. არის საუბარი მთავარ წინადადებაში. ამ ჩართულ წინადადებებს, ჩვეულებრივ, წინ ეგრეთ წოდებული **დამატების შემქმნელი სიტყვა** (*complementizer*) უძღვის, ისეთი სიტყვა, როგორიცაა *that* — „რომ“, ხოლო დამატების მქმნელი სიტყვისა და ჩართული წინადადების ერთობლიობას **დამატების მქმნელი ფრაზა** (*complementizer phrase*), ანუ დ მ ფ ეწოდება. ზოგიერთი ზმნა, მაგალითად, *think, know* (ფიქრი, ცოდნა) დამატებად მხოლოდ დმფ-ს ირჩევს, როგორც მაგალით (61ა)-ში ვხედავთ; სხვა ზმნები, მაგალითად, *tell, inform* (თქმა, შეტყობინება) დამატებად დეტერმინირიან ფრაზას ირჩევს, რომელსაც დმფ დამატება მოსდევს, როგორც (61ბ) წინადადებაში ვხედავთ; სხვა ზმნები, მაგალითად, *say* და *mention* (თქმა, ხსენება) არასავალდებულო თანდებულიან ფრაზას (თფ) ირჩევს, რომელსაც დმფ მოსდევს. ამის თვალსაჩინოებას წარმოადგენს წინადადება (61გ). დამატების მქმნელი ფრაზები შეიძლება სუბიექტის პოზიციაშიც შეგვხვდეს, თუკი ისინი სემანტიკურად ეთავსება იმ თეტა-როლს, რომელსაც ზმნა ამ პოზიციას ანიჭებს. შესატყვის ნიმუშს წინადადება (61დ) წარმოადგენს:

(61) ა. Hamlet knew *that his father had been murdered*.

ჰამლეტმა იცოდა, რომ მამამისი მოკლეს.

ბ. Antonio told Bassanio *that his ship was lost*.

ანტონიომ ბასანიოს უთხრა, რომ მისი გემი დაიკარგა.

გ. Antony said (to Cleopatra) *that he loved her*.

ანტონიუსმა (კლეოპატრას) უთხრა, რომ (მას) უყვარდა (იგი).

დ. *That Lysander had fallen in love with Helena* astonished Hermia.

რომ ლისანდრეს შეუყვარდა ელენე, (ამან) გააკვირვა ჰერმია.

(წყობის დაცვით) ჰერმიას გაუკვირდა, რომ ლისანდრეს

ელენე შეუყვარდა. ან:

ჰერმია იმან გააკვირვა, რომ ლისანდრეს ელენა შეუყვარდა.

ტრადიციულ გრამატიკებში ჩართულ წინადადებებს **ჩანართი** (დამოკიდებული კლაუზულა) ეწოდება, ხოლო მათ წინ მდგარ დმ-სებს **დაქვემდებარებული** კავშირები ეწოდება. უკანასკნელ ტერმინს ბოლოდროინდელ ლინგვისტიკაში ნაკლებად იყენებენ, მაგრამ ტერმინი „ჩანართი“ („ჩართული წინადადება“) დღემდე ხშირად გამოიყენება. როცა ნიმუშად (61) მაგალითის მსგავსი რთული წინადადებები მოაქვთ, ლინგვისტები დამოკიდებული წინადადების დმფ-ს ჩვეულებრივ კვადრატულ ფრჩხილებში სვამენ, რათა მასსა და მის შემცველ მთავარ წინადადებას (მატრიცული კლაუზულა) შორის ზღვარი მკაფიოდ აღინიშნოს, როგორც ეს წინადადება (62)-შია შესრულებული:

(62) Portia said [that the quality of mercy is not strained].

პორციამ თქვა, რომ გულმონყალებას ზღვარი არ აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ (61) და (62) ნიმუშების მსგავსი ჩართული წინადადებები დმფ-ებად ითვლება, დმს (დამატების მქმნელი სიტყვა) ყოველთვის სავალდებულო არ არის; სწორედ ისე, როგორც ზოგიერთ დეტერმინერიან ფრაზას არ გააჩნია ღია დეტერმინერი, ასევე არ შეიცავს ღია დმს-ს; ასე მაგალითად, დმს *that* შეიძლება გამოტოვებულ იქნეს წინადადებებში (61ა), (61ბ) და (62), მაგრამ არა (61დ)-ში (ან (61გ)-ში, თუკი ეს წინადადება თანდებულის ფრაზასა და დამატების მქმნელ ფრაზას (დმფ) შეიცავს). მიუხედავად ამისა, ყველა ამ ჩართულ წინადადებას დმფ-ებად განვიხილავთ.

(61-62) წინადადებები **ირიბი დისკურსის** ნიმუშებია; ჩართული წინადადება მთავარ წინადადებაში გადმოცემული ნათქვამისა თუ ჩანაფიქრის შინაარსს გადმოსცემს, მაგრამ სავალდებულო არ არის, ორიგინალურ ვერსიას იმავე სიტყვებით იმეორებდეს; ირიბ დისკურსში დამოკიდებული წინადადება შეიძლება ნათქვამის ან ჩანაფიქრის პერიფრაზს წარმოადგენდეს; მაგალითად, (61) დამოკიდებული წინადადებებიდან თითოეული მესამე პირის ნაცვალსახელებს შეიცავს პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელების ნაცვალად, რომლებსაც შექსპირი თავის პიესებში იყენებდა — მისი პერსონაჟების მეტყველება, ფიქრის თუ განსჯის პროცესი მოსაუბრის პირით არის გადმოცემული. თუ მოსაუბრეს თავდაპირველი გამონათქვამის ზუსტი სიტყვებით გადმოცემა სურს, დამატების მქმნელ სიტყვას *that* გამოტოვებს, ნათქვამის ინტონაციას და მდინარებას შეინარჩუნებს; როცა იგივე დანერილობითი ფორმით ხდება, მოსაუბრის პირით გამეორებული ნათქვამი ნუსისამებრ ბრჭყალებშია ჩასმული. ნათქვამის ასე გადმოცემას **პირდაპირი დისკურსი** ეწოდება.

ირიბი დისკურსის პირდაპირი დისკურსისგან გამორჩევის კიდევ ერთი ხერხი **ინფინიტიკური კლაუზულის (წინადადების)** გამოყენებაა, როგორც მოყვანილ (63) წინადადებებში იხილავთ (61)-სა და (62)-ში ჩართული წინადადებები ან დამოკიდებული კლაუზულები დასრულებული წინადადებებია; იმის გარდა, რომ ყოველი მათგანი დამატების მქმნელი სიტყვით იწყება, ინგლისურ ენაში მათ ცალკე, დამოუკიდებელ წინადადებებად არსებობაც შეუძლიათ. მეორე მხრივ კი, კვადრატულ ფრჩხილებში მოქცეული დამოკიდებული წინადადებები ასეთსავე დამოუკიდებელ წინადადებებად ვერ იარსებებს, რასაც მაგალითი (64) გვიჩვენებს; ამ წინადადებებს მხოლოდ ჩართული წინადადებების სახით შეუძლიათ ფუნქციონირება, რომლებიც ირიბ დისკურსს გადმოსცემენ:

(63) ა. Antonio is hoping [for his ship to come in].

ბ. [For Shylock to shed a drop of blood] would violate the law.

გ. Petruccio expects [to marry Katherine].

დ. [To marry Katherine] would please Petruccio.

ე. Lady Macbeth told her husband [to kill the king].

ვ. Goneril believed [him to be a fool].

ა. ანტონიოს იმედი აქვს [მისი ხომალდის დაბრუნების].

ბ. [შაილოკისთვის სისხლის ერთი წვეთის დაღვრა] კანონის დარღვევას მოასწავებს.

გ. პეტრუჩიო მოელის [კატარინასთან ქორწინებას].

დ. [კატარინასთან ქორწინება] გაახარებდა პეტრუჩიოს.

ე. ლედი მაკბეტმა ქმარს დაავალა [მეფის მოკვლა].

ვ. გონერილს სჯეროდა [მისი სიგიჟე].

(64) ა. *For Shylock to shed a drop of blood.

ბ. *To marry Katherine.

გ. *Him to be a fool.

ინფინიტივური კლაუზულები ინგლისურ ენაში ზმნურ ფრაზებს შეიცავს, რომელსაც სათაო სიტყვად ამ ზმნის ძირის ფორმა აქვს, მას კი, თავის მხრივ, წინ *to* უძღვის, ხანდახან, თუმცა, არა ყოველთვის, ინფინიტივი ინფინიტივური დმს-თი (დამატების მქმნელი ინფინიტივური სიტყვით) იწყება. ხშირად ინფინიტივური კლაუზულის პირველ ელემენტად დამატების მქმნელი სიტყვა *for* დგას, როგორც ამას (63ა) და (63ბ) წინადადებებში ვხვდებით, ასეთ ინფინიტივს *for* თანდებულიანი ინფინიტივი ეწოდება. იმ სასრული (*finite*) ჩართული წინადადებების მსგავსად, რომელთაც წინ *that* დმს უძღვის, ეს *for* თანდებულიანი ინფინიტივებიც დამატების მქმნელი ფრაზებია; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად ისინი დმფ-ების მსგავსია, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ორი ტიპის წინადადება ერთმანეთის იდენტური არ არის. ამის გამო ერთმანეთისგან მათ განსასხვავებლად ამ სიტყვის ძირს ვიყენებთ [-პირის ნიშანი] (გამოითქმის შემდეგნაირად: მიწუს პლუს პირის ნიშანი). პირიანი დმფ-ები, მათი პირიანი სათაო დმს-ის მსგავსად, ასე აღინიშნება [+პირის ნიშ.], მაშინ, როცა ინფინიტივური დმფ-ები და მათი ინფინიტივური სათაო დმს-ები (დამატების მქმნელი სიტყვები) — შემდეგნაირად უნდა აღვნიშნოთ: [-პირის.ნიშ.].

თუ ინფინიტივური კლაუზულა დამატების მქმნელ სიტყვას *for* არ შეიცავს, და ღია სუბიექტური დეტერმინერიანი ფრაზით იწყება, როგორც წინადადებაში (63ვ), მას განსაკუთრებული პირის ნიშნის ინფინიტივი (*exceptional case marking infinitive*) ეწოდება. ეს ტერმინოლოგია იმ ფაქტს ასახავს, რომ დეტერმინერიან ფრაზას ინფინიტივის სუბიექტის პოზიციაში მთავარი წინადადების ზმნა (ბრალდებით ბრუნვას ანიჭებს ზმნა *believe* წინადადებაში), თითქოს იგი ამ ზმნის ობიექტი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკური თვალსაზრისით, დაქვემდებარებული (დამოკიდებული) წინადადების სუბიექტადაა ინტერპრეტირებული. ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, განსაკუთრებული პირის ნიშნის ინფინიტივები, *for* თანდებულიანი ინფინიტივების მსგავსად, დამატების მქმნელი ფრაზებია; სხვა ლინგვისტები ფიქრობენ, რომ ისინი დროიან ფრაზებს (დრფ) მიეკუთვნებიან, რომელთაც სათაო ელემენტად ინფინიტივური ნაწილაკი *to* აქვთ. დროიან ფრაზებს განყოფილებაში 3.3 და მე-5 თავში განვიხილავთ.

ბევრი ინფინიტივური კლაუზულა *to* +ზმნა კომბინაციის წინ ღია დეტერმინერიან ფრაზას არ შეიცავს. ამის ნიმუშს წინადადებებში (63გ) და (64) ხედავთ. ამ შემთხვევაში არარსებული სუბიექტი იმის მსგავსადაა ინტერპრეტირებულია, მსგავსად ნულოვანი სუბიექტური ნაცვალსახელისა ნულოვანი სუბიექტის მქონე ენებში: იგი ინტერპრეტირებულია როგორც ნაცვალსახელი, რომელიც იმავე რეფერენტს უკავშირდება, რა-

საც წინადადების ნებისმიერ ადგილას მდგარი სახელიანი ფრაზა. მაგალითად, (63გ) წინადადებაში გამოტოვებული სუბიექტი ინტერპრეტირებულია, როგორც ნაცვალ-სახელი *he*, რომელიც იმავე პიროვნებას უკავშირდება, ვინც მთავარი წინადადების სუბიექტად (პეტრუჩიო) წარმოგვიდგება. მაგალითად, (63გ) წინადადების პერიფრაზირებისას ინფინიტივის ნაცვლად პირიანი ჩართული წინადადება რომ გვეხმარა, მაშინ გამოტოვებული სუბიექტის ნაცვლად ნაცვალსახელი გაჩნდებოდა: *Petruccio expects that he will marry Kate*. — „პეტრუჩიო მოელის, რომ ქეთს ცოლად შეირთავს“. ამგვარად, ინგლისური ინფინიტივები, ჩვეულებრივი ინგლისური პირიანი კლაუზულებისგან განსხვავებით და ესპანური, იტალიური და ჩინური ენების პირიანი კლაუზულების მსგავსად, საშუალებას იძლევა, რომ მათს სუბიექტურ პოზიციაში ნულოვანი ნაცვალსახელები გაჩნდეს. სინტაქსოლოგები ინფინიტივების სუბიექტურ პოზიციაში ამ იმპლიციტური გამოუთქმელი (ნულოვანი) ნაცვალსახელის აღსანიშნავად შემოკლებას PRO იყენებენ, როგორც წინადადება (65)-ში:

(65) *Petruccio_i expectctts [PRO_i to marry Kate]*.

ამ წინადადებაში შემოკლების გვერდით მინერილი *i* ინდექსი მიუთითებს, რომ გამოუთქმელი ნაცვალსახელი PRO ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, თითქოს იმავე რეფერენტს უკავშირდება, რასაც მთავარი წინადადების სუბიექტი, *Petruccio*. უხმო ნაცვალსახელისა და მთავარი წინადადების სუბიექტს შორის არსებულ ამგვარ კავშირს **კორეფერენტობა** (*co-reference*) ეწოდება. ღია (ხილულ) ნაცვალსახელებთან, ისეთ წინადადებებში, როგორიცაა *Petruccio expects he will marry Kate* კორეფერენტობა არასავალდებულოა. როცა გამოუთქმელი *ღ* ჩართულ ინფინიტიურ კლაუზულაში სუბიექტურ პოზიციაში კორეფერენტულია მთავარი წინადადების დეტერმინირიანი ფრაზასთან (როგორც წინადადება (65)-ში), ჩვენ ვამბობთ, რომ PRO-ს მთავარი წინადადების დეტერმინირიანი ფრაზა მართავს. (65) წინადადების მსგავს კონსტრუქციებს **სუბიექტური კონტროლის კონსტრუქციებს** ვუწოდებთ, ვინაიდან PRO –ს მთავარი წინადადების სუბიექტი აკონტროლებს. ისევე, როგორც ზემოთ ნახსენები განსაკუთრებული პირისნიშნის ინფინიტივების შემთხვევაში, ზოგ ენათმეცნიერს მიაჩნია, რომ ეს კონტროლირებადი (მართული) ინფინიტივები დამატების მქმნელი ფრაზებია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღია დმს-ებს არ შეიცავს ყოველ შემთხვევაში, სტანდარტულ ინგლისურში. (ინგლისური ენის ზოგიერთ რეგიონულ დიალექტში მართული ინფინიტივები ღია დმს-ებს შეიცავს, რის გამოც შესაძლებელი ხდება შემდეგი სახის წინადადებების არსებობა: *I am hoping for to see my true love*. — „იმედი მაქვს, რომ ჩემს ნამდვილ სიყვარულს შევხვდები“. სწორედ ასევე, მართული ინფინიტივები ფრანგულ და იტალიურ ენებში, იმ პრეპოზიციური ნაწილაკებით იწყება, რომლებიც ჩვენ დმს-ს მივაკუთვნეთ.)

დამოკიდებული კლაუზულის კიდევ ერთ სახეობას, რომელსაც ინგლისური ენის გრამატიკა განიხილავს, ეგრეთ წოდებული **მცირე კლაუზულები** ეწოდება. მცირე კლაუზულები, როგორც მათი სახელწოდებაც მიგვანიშნებს, უფრო მცირეა, ვიდრე პირიანი კლაუზულები და ინფინიტივები. ისინი დმს-ებს, დამხმარე ზმნებს, გრამატიკული დროის ნიშნებს, ან ინფინიტივის წინ მდგარი *to* ნაწილაკის მსგავს ელემენტებს არ შეიცავს. ბევრი მცირე კლაუზულა ზმნასაც კი არ შეიცავს, მხოლოდ სუბიექტურ დეტერმინირიანი ფრაზებს, რომელთაც ისეთი პრედიკატები მოსდევს, როგორებიცაა ზფ-ები (ზედსართავიანი ფრაზები) და დეტერმინირიანი ფრაზები. ამის ნიმუშია წინადადება (66):

(66) *a. Goneril considers [her father foolish]*.

ბ. The suitors made [Kate *angry*].

გ. Goneril considers [her father *a fool*].

დ. The lords made [Macbeth *their king*].

ა. გონერილი თვლის [მამამისს გიჟად].

ბ. ხელის მთხოვნელებმა (დამხმარე ზმნა) [ქეთი გააბრაზეს].

გ. გონერილი თვლის [მამამისს გიჟად].

დ. ლორდებმა (დამხ. ზმნა) [მაკბეტი მეფედ გაიხადეს].

აღქმის პროცესის გამომხატველი ზმნები (როგორებიცაა *see, hear, feel* — დანახვა, სმენა, შეგრძნება) და სხვა პირზე ზემოქმედების გამომხატველი ზმნები როგორებიცაა *make* და *let*, როგორც წესი, მცირე კლაუზულებს ირჩევენ, რომლებიც მხოლოდ სუბიექტურ დეტერმინერიან ფრაზას და უნიშნო, უაფიქსო ზმნიან ფრაზას შეიცავენ, ანუ ზმნიან ფრაზას სათაო ელემენტად ზმნის ძირი აქვს. ამის თვალსაჩინოებას (67ა-გ) წინადადებებში იხილავთ:

(67) ა. Macbeth saw [the forest *move towards the castle*].

ბ. Juliet heard [Romeo *call out her name*].

გ. Lear let [his daughters *take over the realm*].

ა. მაკბეტმა დაინახა (როგორ) [იძვრის ტყე (ან: დაიძრა ტყე) ციხე-სიმაგრისკენ].

ბ. ჯულიეტამ გაიგონა (როგორ) [ახსენა რომემო მისი სახელი].

გ. ლირმა (საშუალება მისცა) [თავის ქალიშვილებს სამეფო გადაეხარებინათ].

უნიშნო და უაფიქსო ზმნიანი ფრაზა ინგლისურ ენაში მოდალური ზმნების (*can, should, must, may, will* და ასე შემდეგ) დამატებადაც გვევლინება, მაგალითად, (68ა-ბ) წინადადებებში:

(68) ა. Caesar should [follow the soothsayer's advice].

ბ. Kate must [choose a husband].

ა. კეისარს უნდა [დაეჯერებინა მისნის რჩევა].

ბ. ქეთიმ უნდა [აირჩიოს ქმარი].

ზოგიერთ ენაში, ვთქვათ, ფრანგულში უნიშნო და უაფიქსო ზმნური ფრაზები ინფინიტივური დამატებებისგან (როგორიცაა (63ვ)) განუყოფელია. ზოგი ენათმეცნიერი (67-68) წინადადებებში წარმოდგენილ ზმნურ ფრაზებს ინგლისურ ენაშიც კი ინფინიტივებად მიიჩნევს და არა მცირე კლაუზულებად.

რაკი მცირე კლაუზულები დამატების მქმნელ სიტყვებს, დამხმარე ზმნებს ან გრამატიკული დროის ნიშნებს არ შეიცავს, როგორც წესი, ისინი დამატების მქმნელ ან დროიან ფრაზებს არ მიეკუთვნება. არ არსებობს ისეთი ღია ელემენტი (სუბიექტური დეტერმინერიანი ფრაზის და პრედიკატიური ფრაზის გარდა), რომელიც შეიძლება მცირე კლაუზულის სათაო ელემენტად ჩაითვალოს. მაშ, რა სახის ფრაზაა მცირე კლაუზულა — თუკი მას ფრაზად ჩავთვლით? ერთი ვარაუდით, მცირე კლაუზულის სათაო ელემენტი იგივე ელემენტია, რომელიც სათავეში პრედიკატივ ფრაზას უდგას; ამგვარად, (66ა)-ში მცირე კლაუზულის სათაო ელემენტი ზედსართავია, ხოლო მთლიანი მცირე კლაუზულა (სუბიექტური დეტერმინერიანი ფრაზის ჩათვლით) — გარკვეული ტიპის ზედსართავიანი ფრაზა (ზფ), მაშინ, როცა წინადადება (67ა)-ში მცირე კლაუზულა გარკვეული ყადის ზმნიანი ფრაზაა, რომელსაც სათაო სიტყვად ზმნა *move* აქვს. ზოგიერთი მეცნიერი კი ფიქრობს, რომ მცირე კლაუზულას სათ-

ავეში გრამატიკული დროის გამოუთქმელი (ნულოვანი) ნიშნები უდგას და რომ თავად მცირე კლაუზულები დროიანი ფრაზის ერთ-ერთი სახეობაა. თუმცა, ისეთი ენათმეცნიერებიც არსებობენ, რომლებიც მცირე კლაუზულებს კლაუზულებად საერთოდ არ თვლიან და მიიჩნევენ, რომ ისეთი ზმნები, როგორცაა *consider* (ჩათვლა, მიჩნევა) (66ა) წინადადებაში ორ დამოუკიდებელ დამატებას ირჩევს (დეტერმინირიან ფრაზას, რომელსაც ზედსართავიანი ფრაზა მოსდევს). აქ თითოეული ამ თეორიის განმამტკიცებელი დასაბუთების მოტანა საჭიროდ არ მიგვაჩნია; ჩვენ ამ ფრაზებს უბრალოდ მცირე კლაუზულებად (მკ) მოვიხსენიებთ, სადაო საკითხებს კი განზე გადავდებთ.

ახლა კატეგორიათა შერჩევის საკითხს დაფუზრუნდეთ. წინა გვერდებზე კლაუზალური დამატებების მოდელთა ფართო სპექტრი განვიხილეთ. ამ განხილვის შედეგად გამოტანილი უმთავრესი დასკვნა, რომ გარკვეული ზმნები ერთმანეთისგან განსხვავებიან იმით, თუ რომელ მოდელს დაუშვებენ საკუთარ ფარგლებში. ზოგიერთი ზმნა [პირ.ნიშ.]დმფ დამატებას (დამატების მქმნელი ფრაზით შექმნილი დამატება) ირჩევს, სხვები [+პირ.ნიშ.]დმფ დამატებებს, ზოგი კი ამა თუ იმ სახის მკ დამატებას (მცირე კლაუზულით წარმოდგენილი დამატება); ზოგიერთ ზმნას ამ მხრივ ერთზე მეტი ვარიანტი გააჩნია. მეტიც, იმ ზმნებს შორის, რომლებიც დამატებად [-პირ.ნიშ.]დმფ-ს ირჩევს, ზოგიერთი *for* თანდებულის ინფინიტივებს ირჩევს, ზოგი — განსაკუთრებულ ბრუნვის ნიშნიან ინფინიტივებს, ხოლო ზოგიერთები — მართულ (კონტროლირებად) ინფინიტივებს. დაბოლოს, როგორც დავრწმუნდით, ზოგიერთი ზმნა თავიანთ დმფ დამატებასთან ერთად, დეტერმინირიანი ფრაზით ან თანდებულისანი ფრაზით წარმოდგენილ დამატებასაც ირჩევს. ერთიანად, მათი ოდენობა 20 ერთამენთისგან განსხვავებულ კომბინაციას აღწევს. როგორც (69)-ში მოტვანილი წინადადებები მოწმობს, ზმნა შეიძლება მცდარად არჩეულ კლაუზულურ დამატებასთან ერთადაც შეგვხვდეს:

- (69) ა. * Caesar thought Brutus to stab him.
 ბ. * Petruccio wanted that he married Kate.
 გ. * The soothsayer told to Caesar that he should beware the
 ides of March.
 დ. * Portia told for Antonio to repay Shylock.

მეტიც, თუ ინგლისურის გარდა სხვა ენების მასალას განვიხილავთ, სიტუაცია უფრო რთულადაც კი მოგვეჩვენება. მაგალითად, ესპანურსა და იტალიურში პირიანი დმფ დამატებები შეიძლება ისეთ ზმნას შეიცავდეს, რომელსაც **თხრობითი** ან **კავშირებითი** კილოს აფიქსები აქვს დართული. ამ ენებში ზმნები, რომლებიც დმფ დამატებებს ირჩევს, შეიძლება ერთმანეთისგან იმით განსხვავდებოდეს, თხრობითი კილოს აფიქსები აქვს მას დართული თუ კავშირებითის. სტანდარტულ ამერიკულ ინგლისურშიც კი, ზოგიერთი ზმნა, მაგალითად, *demand*, *insist*, *require* – მოთხოვნა, დაჟინება, მოთხოვნა (ბრძანება) კავშირებითი კილოს დმფ დამატებას ირჩევს. ეს დამატება ზმნაში სუბიექტური შეთანხმების აფიქსის უქონლობით ამოიცნობა, როგორც მაგალითში (70):

- (70) ა. Antony demands [that the conspirators *be* punished].
 ბ. *Antony demands [(that) the conspirators *are* punished].
 ა. ანტონიუსი მოითხოვს, [რომ შეთქმულები დაისაჯონ].
 ბ. ანტონიუსი მოითხოვს [(რომ) შეთქმულები დაისაჯნენ].

(61-70) მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ აუცილებელია ერთმანეთისგან

განიჩვეს კლავზულური დამატებების სხვადასხვა სახეობა, მაგრამ იმაზეც მიუთითებს, რომ იმ ზმნების ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ამ დამატებებს ირჩევენ, სპეციფიკური კლავზულური დამატებების არჩევა უნდა შეეძლოს.

თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ზმნის მიერ არჩეული ლექსიკური კატეგორია, მთლიანად ან ნაწილობრივ, პროგნოზირებადია. პროგნოზირება შეიძლება ან იმ თემა-როლის მიხედვით მოხდეს, რომელსაც ზმნა ამ არგუმენტს ანიჭებს, ან — სემანტიკური შერჩევის შეზღუდვების მიხედვით, რომელსაც ზმნა მას (არგუმენტს) უქვემდებარებს. ერთი ასეთი მაგალითი უკვე განვიხილეთ, კერძოდ ის ფაქტი, რომ ზმნის *murder* მიმღების არგუმენტის კატეგორია დეტერმინერიანი ფრაზა უნდა იყოს, რომელიც ზმნის მიერ დაწესებულ შერჩევის შეზღუდვას ექვემდებარება. უფრო ზოგადი ტენდენცია ისეთ არგუმენტებს მოიცავს, რომელთაც განცდის სუბიექტის თემა-როლი აქვთ მინიჭებული: როგორც თავადაც დარწმუნდით, ეს სულიერ რეფერენტებს ეხება. ასეთი არგუმენტები ყოველთვის დეტერმინერიანი ფრაზები უნდა იყოს და არა სხვა ლექსიკური კატეგორიის წევრები (მაგალითად, ზედსართავიანი ფრაზები ან ზმნური ფრაზები). ამას (71) მაგალითიც ადასტურებს:

- (71) ა. *Henry likes Falstaff.*
 ბ. *Shylock annoyed the judge.*
 გ. **Angry likes Falstaff.*
 დ. **Shylock annoyed kill.*
 ა. ჰენრის მოსწონს ფალსტაფი.
 ბ. შაილოკმა მოსამართლე გაალიზიანა.
 გ. *სიბრაზეს მოსწონს ფალსტაფი.
 დ. *შაილოკმა გაალიზიანა მოკვლა.

ეს შეზღუდვა ზმნების *like*, *annoy* ლექსიკურ ერთეულებში ფარულად (ექსპლიციტურად) არ უნდა იქნეს შეტანილი, ვინაიდან იგი განცდის სუბიექტის იმ თემა-როლის გვერდით მოვლენად განიხილება, რომელსაც ზემოთ მოყვანილი ზმნები, შესაბამისად, თავიანთ სუბიექტის და ობიექტის პოზიციებს ანიჭებენ. განცდის სუბიექტის თემა-როლი მხოლოდ იმ კომპონენტს შეიძლება მიენიჭოს, რომელიც სულიერ არსებას აღნიშნავს, ასეთი ერთეულების აღნიშვნა კი მხოლოდ დეტერმინერიან ფრაზებს შეუძლია (მათ შორის, სახელებსა და ნაცვალსახელებს, ისევე როგორც ღია (ხილულ) დეტერმინერიან ფრაზებს), ზმნებს და ზედსართავებს კი — არა.

ჩანართი 3. 4

კითხვები

ყველა ზმნა (61ა-გ) მაგალითებში ისეთ დამატების მქმნელ ფრაზას (დმფ) ირჩევს, რომელიც დამატების მქმნელი სიტყვით *that* იწყება, რომელიც ხშირად არასავალდებულოა. მეორე მხრივ, ისეთ ზმნებს, როგორებიცაა *ask* და *wonder*, როგორც წესი, ამ ყაიდის ჩართული წინადადებები არ მოსდევს; მათ შემდეგ მხოლოდ ისეთი ჩართული წინადადება შეიძლება იდგეს, რომელიც *wh* ასოთშეთანხმებით დაწყებული სიტყვებით: *who*, *what*, *where*, *why* და ა.შ. იწყება. ამგვარ დმფ-ებს [+WH] დმფ-ები ეწოდება.

- (ა) *Henry wondered [who Williams served under].*
 (ბ) *Guiltenstern asked Hamlet [what they should say].*
 (გ) **Henry wondered [(that) William served under Captain Gower].*

(დ) *Guildenstern asked Hamlet [(that thay should say something)].

(ა) ჰენრის აინტერსება, [ვის ემსახურებოდა უილიამსი].

(ბ) გილდენსტერნმა ჰკითხა ჰამლეტს [რა უნდა ეთქვათ მათ].

ჩვეულებრივ, ეს ფაქტი იმ შერჩევის შეზღუდვით აიხსნება, რომელსაც ეს ზმნები თავიანთ თემატურ არგუმენტებს უქვემდებარებს. ზმნები *ask* და *wonder* ისეთ მოვლენებსა და სიტუაციებს უკავშირდება, რომლებშიც ვიღაც კითხვას სვამს, ან წარმოთქვამს; ამგვარად, ამ ზმნების ლექსიკური ერთეულები მოითხოვს, რომ მათი თემატური არგუმენტი კითხვას ასახავდეს. ინგლისურ ენაში *wh* ასოთშეთანხმებით დაწყებული წინადადებები, როგორც წესი, კითხვით წინადადებად აღიქმება, როგორც (ე) და (ვ) წინადადებებში:

(ე) Who do you serve under?

(ვ) What should they say?

(ე) ვის ემსახურები (ვისი ხელქვეითი ხარ)?

(ვ) რა უნდა თქვან (მათ)?

მეორე მხრივ, დამფიქსირებული დამატებები (61) წინადადებაში კითხვებად ინტერპრეტირებული ვერ იქნება; ისინი უფრო დეკლარაციული ხასიათის განცხადებებად ან შეხედულებებად აღიქმება. ამგვარად, ფაქტი, რომ ზმნების *ask* და *wonder* დამატებები *wh* ასოთშეთანხმებით დაწყებული სიტყვებით უნდა დაიწყოს, როგორც (ა) და (ბ) მაგალითებში და არა დეკლარაციული დამს-თი — *that*, როგორც (გ) და (დ) წინადადებებში, შეიძლება იმით აიხსნას, რომ ეს ზმნები ისეთ თემატურ არგუმენტებს ირჩევენ, რომლებიც შეიძლება კითხვებად იქნეს ინტერპრეტირებული. საპირისპირო თვისებას ამჟღავნებენ *think*, *doubt* (ფიქრი, დაეჭვება) ზმნები: ესენი ისეთ თემატურ არგუმენტს ირჩევენ, რომლებიც დეკლარაციულ განცხადებად ან შეხედულებად ინტერპრეტირდება. საამისო მაგალითებია (ზ-ი):

(ზ) Henry thinks/doubts [that Williams serves under Captain Gower].

(თ) *Henry thinks/doubts [who Williams serves under].

(ი) *Henry thought/doubted [what Guildenstern should say].

(ზ) ჰენრი ფიქრობს/ეჭვობს [რომ უილიამსი კაპიტან გაუერის ხელქვეითია].

(თ) ჰენრი ფიქრობს/ეჭვობს [ვისი ხელქვეითია უილიამსი].

(ი) ჰენრი ფიქრობდა/ეჭვობდა [რა უნდა ეთქვა გილდენსტერნს].

ბევრი ინგლისური ზმნისთვის, მათ შორის *tell*, *know*, *forget* ორივე ტიპის დამატება მისაღებია. ჩვეულებრივ, როცა რომელიმე ასეთ ზმნასთან [+WH]დამფიქსირებული იგი ისე აღიქმება, როგორც პასუხი კითხვაზე და არა როგორც კითხვა.

იმის მიუხედავად, რომ ჩართული კითხვები (მათ სხვაგვარად ირიბ კითხვებსაც უწოდებენ) (ა-ბ) წინადადებებში მარტივ პირდაპირ კითხვებს ჰგავს (როგორებიცაა (ე-ვ) წინადადებები) — ორივე *wh* ასოთშეთანხმებით იწყება — მათ შორის არის სხვაობაც, რომელიც სიტყვათა თანმიმდევრობაში ჩანს: მარტივ (პირდაპირ) კითხვებში *wh* ასოთშეთანხმებით დაწყებულ სიტყვას დამხმარე ზმნა მოსდევს, რომელიც მისი ჩვეულებრივი პოზიციიდან (სუბიექტის პოზიციის შემდეგ) გადანაცვლებულია. დამხმარე ზმნის გადანაცვლებას სუბიექტის წინა პოზიციაზე სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია ეწოდება. ეს და სხვა ფაქტები პირდაპირი და ირიბი კითხვების სინტაქსის შესახებ უფრო ვრცლად მე-5 თავშია განხილული.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ცალკეული ზმნები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ კლაუზულურ დამატებებს ირჩევენ, მაგრამ თუ რომელ კლაუზულურ დამატებას აირჩევენ ეს ზმნები, პროგნოზირებას არ ექვემდებარება. სამაგიეროდ, პროგნოზირებადია ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ტიპის ჩართული წინადადებები ამ ზმნების დამატებად მოგვევლინება (*eat, kiss, murder* და ა.შ. ზმნებისგან განსხვავებით). ამის პროგნოზირება ამ ორი ჯგუფის ზმნების მიერ აღწერილ ქმედებებსა თუ მოვლენებს შორის არსებული თვისობრივი განსახვავების მიხედვით შეიძლება. რაკი ჩართული კლაუზულები, როგორც წესი, მტკიცებებს, განცხადებებს წარმოადგენს (ნათქვამი ფრაზა, მოსაზრება, იდეა) და არა ჩვეულებრივ ობიექტებს, აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ისინი მხოლოდ მოვლენებისა თუ სიტუაციების აღმნიშვნელი ისეთი დამატებები ან პრედიკატები უნდა იყოს, რომლებიც განაცხადს, მტკიცებას უნდა შეიცავდეს. (72) მაგალითში მოყვანილი წინადადებების მიუღებელი სტატუსიც სწორედ ამით აიხსნება:

(72) ა. *Portia ate [that the quality of mercy is hot strained].

ბ. *Lysander kissed [that he loved Helena].

ა. პორციამ შეჭამა, [რომ გულმონყალებას ზღვარი არ აქვს].

ბ. ლისანდრემ აკოცა, [რომ ელენე უყვარს].

ეს წინადადებები ანომალიურია, ვინაიდან გამონათქვამი ან მოსაზრება არ იჭმევა, მათი კოცნა შეუძლებელია. ის ფაქტი, რომ (72)-ში გამოყენებული ზმნები დამატებად დამფ-ებს ვერ აირჩევენ, მათ მნიშვნელობაზე დაყრდნობით პროგნოზირებადია. რომ შევაჯამოთ, კატეგორიის შერჩევა ნაწილობრივ ზმნის არგუმენტთა სტრუქტურაზე დაყრდნობით არის პროგნოზირებადი, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.

სავარჯიშო

3.7

ქვემოთ, ნიმუშებად მოყვანილი წინადადებები გრამატიკულად გაუმართავია (ან სემანტიკური თვალსაზრისით ანომალიური), ვინაიდან ისინი ზმნის მიერ კატეგორიათა შერჩევასთან დაკავშირებულ ერთ ან მეტ მახასითებელს არ ითვალისწინებს. დაასახელეთ თითოეულ შემთხვევაში სემანტიკური შერჩევის, ან კატეგორიის შერჩევის ის შეზღუდვა, რომელიც წინადადებას გაუმართავს, ან ანომალიურს ხდის, შემდეგ კი იმავე წინადადებას გრამატიკულად თუ სემანტიკურად „ზუნებრივი“ ფორმა მიეცით.

(1) *The witches stirred the tree.

(2) *Shylock died Bassanio.

(3) *Portia ate that mercy is admirable.

(4) *Antony informed to Cleopatra that she was beautiful.

(5) *Kate should angry at Petruccio.

(6) *The lords made.

(1) კუდიანებმა (ჯადოქრებმა) ხეს მოურიეს.

(2) შაილოკმა მოკვდა ბასანიო.

(3) პორციამ შეჭამა, რომ გულმონყალება აღფროვანებას იმსახურებს.

4-5-6. თარგმანში სავარჯიშოს შესასრულებლად აუცილებელი ნიუანსები (შინაარსობრივი თუ სინტაქსური) ვერ შენარჩუნდება.

3.3 ფრაზები და საკომპონენტო სტრუქტურა

3.3.1 ფრაზის სტრუქტურის წარმოჩენა: ხეები და კვადრატული ფრჩხილები

მოსაზრება, რომ წინადადებაში სიტყვები ერთად ჯგუფდება, რათა ფრაზები შექმნას, იმას გულისხმობს, რომ წინადადება მხოლოდ სიტყვათა გარკვეული თანმიმდევრობა არ არის: იგი ფრაზებისგან შედგება. ამ ფრაზების შედგენის თავისებურებები ყოველი წინადადების სპეციფიკურ სტრუქტურას განსაზღვრავს. ეს სტრუქტურა შეიძლება **სინტაქსური ხისებრი დიაგრამებით** იქნეს წარმოდგენილი, რომლებიც თქვენთვის მე-2 თავში შემოთავაზებულ ხისებრ დიაგრამებს გვანან, რომლებიც სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაჩინოებას ახდენდნენ. ამ განყოფილებაში შეიტყობთ, როგორ უნდა შედგეს ხისებრი დიაგრამები ფრაზებისა და წინადადებების სტრუქტურის წარმოსაჩენად. აქვე გავაცნობთ რამდენიმე ტექნიკურ ტერმინს, რომლებიც ამ ხისებრი დიაგრამებით გამოსახული სტრუქტურული ურთიერთკავშირების აღსანიშნად გამოიყენება. ცნებები, რომლებთანაც ეს ტერმინებია დაკავშირებული, საკმაოდ მარტივია. შესაძლოა, ტერმინების დასწავლა მოგეჩვენოთ მოსაწყენ საქმედ, მაგრამ, ამის მიუხედავად, დასწავლა აუცილებელია, ვინაიდან სინტაქსის წესებთან დაკავშირებული ჩვენი შემდგომი დისკუსია სწორედ მათი გამოყენებით უნდა წარიმართოს. სტატიები და ნიგნები, რომელთა ნაკითხვაც მომავალში მოგიხდებათ, ისევ და ისევ ამ ტერმინებით იქნება სავსე.


განყოფილებაში 3.2 ზმნებსა და სხვა ლექსიკურ კატეგორიებს (ზედსართავები, თანდებულები, სახელები) შორის პარალელები გავავლეთ და გამოვკვეთეთ, როგორ ხდება მათ მიერ მათივე დამატებებისთვის თეატა-როლების მინიჭება. ამ მსჯელობისას ვთქვით, რომ ფრაზების შესადგენად ლექსიკური კატეგორიები თავიანთ დამატებებს ერწყმის. მაგალითად, თანდებულისა და მისი ობიექტის ერთობლიობა თანდებულისა ფრაზას (თფ) ქმნის; ზედსართავისა და მისი დამატების ერთობლიობა — ზედსართავიან ფრაზას (ზფ) და ასე შემდეგ. ამგვარი ფრაზების ნაირგვარობას იხილავთ 3.2 განყოფილების მაგალით (73)-ში. (73)-ის თითოეული სტრიქონი კომპონენტთა ისეთ კომბინაციას შეიცავს, რომლისგან გარკვეული ყაიდის ფრაზა წარმოდგება; გვერდით თვალსაჩინოებისთვის შესაბამისი ფრაზებია მიწერილი, რომლებიც წინა თავებში მოყვანილი მაგალითებიდან გემახსოვრებათ:

- (73) ა. თანდებული + დეტერმინერიანი ფრაზა (დფ) ქმნის თანდებულიან ფრაზას (თფ) — *in Athens, to the king* და ა.შ.
- ბ. 1). ზედსართავი + თანდებულიანი ფრაზა ქმნის ზედსართავიან ფრაზას (ზფ) — *angry at Petruccio* და ა.შ.
 2). ზედსართავი დამოუკიდებლადაც ქმნის ზედსართავიან ფრაზას — *angry, suspicious* და ა.შ.
- გ. 1). სახელი + თანდებულიანი ფრაზა ქმნის სახელიან ფრაზას (სფ) — *murder of Duncan, father of Goneril* და ა.შ.
 2). სახელი დამოუკიდებლადაც ქმნის სახელიან ფრაზას — *murder, wine, lords* და ა.შ.
 3). ზედსართავი + სახელიანი ფრაზა ქმნის ისევ სახელიან ფრაზას — *old king of France, happy lover, red sword* და ა.შ.


- დ. 1). დეტერმინერი + სახელიანი ფრაზა ქმნის დეტერმინერიან ფრაზას (დფ) — *the murder of Duncan, a daughter* და ა.შ.
 2). სახელი ან ნაცვალსახელი დამოუკიდებლად ქმნის დეტერმინერიან ფრაზას — *Duncan, she* და ა.შ.
- ე. 1). ზმნა + დეტერმინერიანი ფრაზა ქმნის ზმნიან ფრაზას (ზმფ) — *suffocated Desdemona, sued Antonio* და ა.შ.
 2). ზმნა + თვ ქმნის ზმნიან ფრაზას — *lives in Athens, laughed at Falstaff* და ა.შ.
 3). ზმნა + დეტერმინერიანი ფრაზა + თვ ქმნის ზმნიან ფრაზას — *passed the wine to Falstaff* და ა.შ.
 4). ზმნა + დამატების მქმნელი ფრაზა (დმფ) ქმნის ზმნიან ფრაზას — *say that Falstaff likes wine* და ა.შ.
 5). ზმნა + დმფ ქმნის ზმნიან ფრაზას — *told Bassanio that his ship was lost* და ა.შ.
 6). ზმნა + ზმნიანი ფრაზა ქმნის ზმნიან ფრაზას — *should follow his advice* და ა.შ.
 7). ზმნა ზმნიან ფრაზას დამოუკიდებლად ქმნის — *arrived, died* და ა.შ.
- ვ. დეტერმინერიანი ფრაზა + ზმფ ქმნის წინადადებას — *Timon lives in Athens, Henry laughed at Falstaff* და ა.შ.
- ზ. დამატება + წინადადება ქმნის დმფ-ს — *that his father had been murdered* და ა.შ.

(73)-ში ჩამოთვლილი თითქმის ყველა ფრაზა ლექსიკური კატეგორიისა და მის შემდგომ მდგარი ფრაზის კომბინაციით არის შედგენილი, რის შედეგადაც იქმნება ახალი ფრაზა, რომელიც სახელწოდებას თავდაპირველი ლექსიკური კატეგორიის მიხედვით იღებს; ასე, მაგალითად, X + YP ფრაზა ქმნის XP ფრაზას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი XP ფრაზა შეიცავს X ლექსიკურ კატეგორიას და რომელიმე დამატებით კატეგორიას. ამ განზოგადოებული ფორმულირებით ფრაზების შემდეგი სახეობები მიიღება: წინადადება (დეტერმინერიანი ფრაზა + ზმფ) და დეტერმინერიანი ფრაზა (დფ), რომელიც ხანდახან მხოლოდ სახელისგან ან ნაცვალსახელისგან შედგება და არა დეტერმინერისა და სახელის კომბინაციისგან. ამგვარი ფრაზების სტრუქტურას ქვემოთ, განყოფილება 3.4-ში განვიხილავთ.

(73) მაგალითში წარმოდგენილი წესებით შედგენილი ფრაზები, როგორც ზემოთ ითქვა, შეგვიძლია გრაფიკულად, ხისებრი დიაგრამებით წარმოვადგინოთ. თითოეული ცალკეული ფრაზის შემთხვევაში სტრუქტურა ასე თუ ისე მარტივია — ამაში მაგალით (74) —ზე დაკვირვებაც დაგარწმუნებთ. ეს სქემები (73)-ში ჩამოთვლილ კომბინაციებს ეყრდნობა. მაგალითად, (73ა)-ში ნათქვამია, რომ თანდებულებიანი ფრაზა (თფ) თანდებუ-ლი + დეტერმინერიანი ფრაზა კომბინაციით მიიღება; გრაფიკულად ეს სიტუაცია გამო-სახულია (74ა) — სქემაში ხაზებისა თუ ტოტების მეშვეობით, რომლებიც თანდებულებიანი ფრაზას მის შემადგენელ კომპონენტებთან აკავშირებენ: თ-სთან (თანდებულები) მარცხ-ენა ტოტი, ხოლო დეტერმინერიან ფრაზასთან მარჯვენა ტოტი. იგივე შეიძლება ითქვას ზედსართავიანი ფრაზის სქემაზეც, რომელიც (73.ბ.1)-ის ფორმულირებას ეყრდნობა, დეტერმინერიანი ფრაზის — (73.დ.1)-ისას, ხოლო სახელიანი ფრაზა (73 გ.1)-ს.




(74)-ში თითოეულ ხეს მხოლოდ ორი ტოტი აქვს, რომლებიც ფრაზის ორ ნაწილს შეესატყვისება. მაგრამ (73)-ში წარმოდგენილი ზოგიერთი ზმნიანი ფრაზა სამი ნაწილისგან შედგება და არა ორისგან; მაგალითად, ზმფ შეიძლება შეიცავდეს ზმნას, დეტერმინერიან ფრაზას და თანდებულებიან ფრაზას ან დმფ-ს, როგორც, შესაბამისად, (73.ე.3)-სა და (73ე.5) -შია მითითებული. ამგვარი ფრაზები შემადგენელ ნაწილებს სამ-სამი ტოტით უკავშირდება, როგორც (75ა)-სა და (75ბ)-ში; მეორე მხრივ, ზოგიერთი ფრაზა მხოლოდ საკუთარი ერთი ნაწილისგან შედგება; მაგალითად, დეტერმინერიანი ფრაზა შეიძლება მხოლოდ სახელისგან შედგებოდეს, ხოლო სახელიანი ფრაზა- მხოლოდ სახელისგან; ამგვარი ფრაზების ხეებს თითო-თითო ტოტი გააჩნიათ, როგორც (75გ)-სა და (75დ)-ში;




ხისებრი დიაგრამები, როგორც (74-75)—ია, მარკირებული კვანძების ჯგუფისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს ვერტიკალური ან დიაგონალური ხაზებით უკავშირდებიან. თითოეული კვანძი ერთ კომპონენტს, კომპონენტის ნაწილს, ან იმ ფრაზას წარმოადგენს, რომლის სტრუქტურის თვალსაჩინოებისთვისაცაა შედგენილი. თითოეული ხის ძირში, სწორედ ისე, როგორც ფოთლები ნამდვილი ხის ტოტებზე, **დამაბოლოებელ კვანძებს** ვხედავთ. ხის ზედა ნაწილში განთავსებულ კვანძებს **შუა კვანძები** ეწოდება. ყოველი ხე მაგალითებში (74-75) ზუსტად ერთ შუა კვანძს შეიცავს და ერთიდან სამამდე დამაბოლოებელ კვანძს. ეს ხეები სტრუქტურის მხოლოდ ერთ დონეს ათვალსაჩინოებს: ისინი მთლიანი ფრაზის შემადგენელ ნაწილებს წარმოგიდგენს. თუმცა, ზოგიერთი ეს შემადგენელი ნაწილიც თავისთავად არის ფრაზა და ფრაზის საკუთარი შინაგანი სტრუქტურა გააჩნია. მაგალითად, წარმოდგინეთ ისეთი ზედსართავიანი ფრაზის (74ბ) ხისებრი დიაგრამა, რომელიც ზედსართავისა და თანდებულებიანი ფრაზისგან შედგება, როგორც ზფ *Angry at the witches* — „კუდიანებზე გაბრაზებული“. ამ ზედსართავიანი ფრაზის ფარგლებში საკუთარი შინაგანი სტრუქტურა თანდებულებიან ფრაზასაც აქვს. იგი მაგალით (74ა)-შია ილუსტრირებული და თანდებულსა და დეტერმინერიან ფრაზას შეიცავს. ამგვარი ზედსართავიან ფრაზის უფრო


სრული ხისებრი დიაგრამა ისე გამოიყურება, როგორც (76)-ში ხედავთ, (76) რომელიც (74ა) -სა და (74ბ)-ს შერწყმით არის მიღებული:



მაგრამ ეს ხეც კი არ არის სრული, ვინაიდან დეტერმინერიანი ფრაზის *the witches* სტრუქტურას არ გვიჩვენებს, რომელიც დეტერმინერისა და მის შემდგომ მდგარი სახელიანი ფრაზისგან შედგება, როგორც (74გ)-ში; ეს სახელიანი ფრაზა მხოლოდ სახელისგან შედგება, როგორც (75დ)-ში; ამგვარად, ფრაზის სრული სტრუქტურის ამსახველი ხისებრი დიაგრამა (77)-ის დიაგრამა იქნება:



(77)-ში ყოველი დამაბოლოებელი კვანძი ლექსიკური კატეგორიების სახელწოდებებითაა მარკირებული: დ(ეტერმინერი), ზ(ედსართავი), ს(ახელი) და თ(თანდებული), ხოლო ყოველი დამაბოლოებელი კვანძი — ფრაზის სახელით, როგორებიცაა ზედსართავიანი ფრაზა, სახელიანი ფრაზა, დეტერმინერიანი ფრაზა და ა.შ. ამგვარად, თითოეული დამაბოლოებელი კვანძი ფრაზის სტრუქტურის იმ პოზიციას წარმოადგენს, რომელშიც შეიძლება ესა თუ ის ინგლისური სიტყვა ჩაჯდეს. ხისებრ დიაგრამაში ეს ფაქტი ლექსიკურ კატეგორიათა კვანძებს ქვეშ სიტყვების მიწერით გამოიხატება, როგორც მაგალითი (78)-შია ნაჩვენები:



როცა ორი კვანძი ერთმანეთს დიაგონალური ხაზით უკავშირდება, ეს იმაზე მიუთითებს, რომ უფრო დიდი კომპონენტი, რომელიც უფრო ზედა კვანძით არის არის წარმოდგენილი, მცირე კვანძს შეიცავს, რომელიც უფრო ქვედა კვანძით არის წარმოდგენილი. უფრო მცირე შემადგენელი ნაწილი მისი შემცველი დიდი კომპონენტის **ქვეკომპონენტად** განიხილება. ამგვარად, მაგალითში (78) ლექსიკური კატეგორიის შესატყვისი თანდებულიანი კვანძი და ფრაზის კვანძი დეტერმინერიანი ფრაზა, რომელიც მას უშუალოდ მოსდევს, ორივე ფრაზის თანდებულიანი ფრაზის ქვეკომპონენტები იქნება. ხშირად ენათმეცნიერები სიტყვის „შეიცავს“ ხმარებას ერიდებიან და **„დომინირებს“** ამჯობნიებენ. ამგვარად, ყოველი კომპონენტი დომინირებს საკუთარ ქვეკომპონენტებზე.

ხისებრი დიაგრამის კვანძები სწორ ხაზზე ეწყობა და მარცხნიდან მარჯვნივ არის მიმართული. ეს მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული წყობა იმ დროებით თანმიმდევრობას ასახავს, რომლითაც მოცემული კვანძების მიერ დომინირებადი სიტყვები წარმოითქმება, როგორც ეს ინგლისურ და ბევრი სხვა ენის სტანდარტულ **ორთოგრაფიებშია** (დამწერლობით სისტემებში). ჩვეულებრივ, სინტაქსოლოგები ასეთ თანწყობას **წინმავლობის** ურთიერთობის მხრივ განიხილავენ და აღნიშნავენ „მარცხნივ“ და „მარჯვნივ“ სიტყვების იმ დროებითი თანწყობის აღსანიშნავად იყენებენ, რომლითაც მათი შემცველი ფრაზა ან წინადადება წარმოითქმის. ამგვარად, ის ფაქტი, რომ მაგალითი (78)-ში ზ კვანძი თვ კვანძის წინმავალია, იმას მოასწავებს, რომ ზ კვანძის მიერ დომინირებული სიტყვა (*angry*) თვ კვანძის მიერ დომინირებული სიტყვების (*at the witches*) წინ წარმოითქმის. ინგლისურ ენაზე მოსაუბრეს ეს ბუნებრივად მოეჩვენება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული კონვენციური დამწერლობა მსოფლიოს ყველა ენისთვის არ არის დამახასიათებელი. მაგალითად, არაბული და ჩინური ენა დამწერლობაში საპირისპირო თანმიმდევრობას ამჟღავნებს (მარჯვნიდან მარცხნივ). ამის მიუხედავად, ენათმეცნიერებაში სინტაქსური ხისებრი დიაგრამები ყოველთვის მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულ კონვენციურ წყობას იყენებენ — მაშინაც კი, როცა დიაგრამები არაბული და ჩინური ენების სინტაქსურ სტრუქტურას ასახავს.

წინმავლობის (დროებითი თანმიმდევრობა) და დომინანტობის (შემცველობის) ურთიერთობა წინადადების სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლებია, რომელთა გამოსახვა ხისებრი დიაგრამების მეშვეობით შეიძლება. ორივე სახის ურთიერთობას ტრანზიტული ეწოდება. თუ A წინ უსწრებს B-ს, B - C-ს, მაშინ C-ს A -ც უსწრებს. მსგავსად, თუ A B -ზე დომინირებს, ხოლო B - C -ზე, მაშინ A C-ზეც დომინირებს. მაგალითად, (78) წინადადებაში *angry* ზედსართავი *at* თანდებულის წინ დგას; *at* თანდებული *the* დეტერმინერს ასწრებს; ამის გამო *the* დეტერმინერს ასწრებს *angry* ზედსართავიც. სწორედ ასევე, (78)-ში ზმვ კვანძი დომინირებს თვ კვანძზე, თვ კვანძი — დფ კვანძზე და, შესაბამისად, ზფ კვანძი დომინირებს დფ კვანძზე. წინმავლობის და დომინანტობის ურთიერთობა ტრანზიტული ურთიერთობებია, ხოლო **უშუალო წინმავლობის** და **უშუალო დომინანტობის** ურთიერთობები — არა. თუკი X კომპონენტი წინ უსწრებს Z კომპონენტს, მაშინ X უშუალოდ Z-ის წინ დგას იმ შემთხვევაში, თუ ფრაზაში მათ შორის სხვა კომპონენტი არ დგას. ამგვარად, თუ X წინ უსწრებს Y -ს, ხოლო Y - d კომპონენტს, მაშინ X უშუალოდ d-ის წინ ვერ იდგება. მაგალითად, (78)-ში *at* თანდებული სახელის *witches* უშუალოდ წინ არ დგას, რადგან მათ შორის *the* დეტერმინერია. სწორედ ასევე, თუ X დომინირებს Y -ზე,

ხოლო Y – Z კომპონენტზე, მაშინ X უშუალოდ Z-ზე ვერ იდომინირებს. მაგალითად, ზედსართავიანი ფრაზის კვანძი (78) მაგალითში დეტერმინერიანი ფრაზის კვანძზე უშუალოდ არ დომინირებს.

თუ X უშუალოდ d-ზე დომინირებს, მაშინ d X-ის უშუალო კომპონენტია. ვთქვათ, (78) მაგალითში ზედსართავი და თანდებულიანი ფრაზა ზედსართავიანი ფრაზის უშუალო კომპონენტები არიან; თანდებული და დეტერმინერიანი ფრაზა — თანდებულიანი ფრაზის უშუალო კომპონენტები, და ასე შემდეგ. როცა ერთი და იგივე კვანძი ორ კვანძზე უშუალოდ დომინირებს, ისინი ერთმანეთის ტოლი კომპონენტებია. ამგვარად, ერთმანეთის ტოლი კომპონენტებია: ზედსართავი და თანდებულიანი ფრაზა, თანდებული და დეტერმინერიანი ფრაზა, დეტერმინერი და სახელიანი ფრაზა. ტოლი კომპონენტები ერთმანეთს ემეზობლება, თუმცა, აუცილებელი არ არის, ყველა მეზობელი კომპონენტი ერთმანეთის ტოლი კომპონენტი იყოს. მაგალითად, (78)-ში თანდებული at დეტერმინერ the-ს მეზობლად დგას, მაგრამ ეს ორი კომპონენტი სულაც არაა ერთმანეთის ტოლი. დეტერმინერი სახელიანი ფრაზის *witches* ტოლი კომპონენტია, ხოლო თანდებული მთლიანი დეტერმინერიანი ფრაზის — *the witches* ტოლი კომპონენტია. ამის საპირისპიროდ, არც ერთმანეთის ტოლი კომპონენტები დგანანაუცილებლადმეზობლობაში — ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, თურამდენი ტოლი კომპონენტია ფრაზაში თუ წინადადებაში. თუ კვანძი უშუალოდ დომინირებს ორ ქვეკომპონენტზე, ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ საქმე ბინარულ (ორმაგ) განშტოებასთან გვაქვს, ვინაიდან დომინანტი კვანძიდან ორი ტოტი გამოდის. თუ იგი სამ ქვეკომპონენტზე დომინირებს, მაშინ — ტრინარულ (სამმაგ) განშტოებასთან გვაქვს საქმე. დაბოლოს, თუ დომინირება მხოლოდ ერთ კვანძზე ხდება, ასეთ შემთხვევაში, განშტოების უქონლობა გვაქვს. სამმაგი განშტოების მქონე სტრუქტურაში მარცხენა ტოლი კომპონენტი მარჯვენა ტოლ კომპონენტს არ ემეზობლება. მაგალითად, (75a)-ს ხისებრ დიაგრამაში, რომელშიც ზე უშუალოდ დომინირებს ზ-ზე, დეტერმინერიანი ფრაზაზე და თანდებულიანი ფრაზაზე (ეს დიაგრამა ისეთი ფრაზის სტრუქტურას ათვალსაჩინოებს, როგორცაა *pass the wine to Falstaff* ან *murder Duncan with a knife*), ზმნა მის თვ ტოლ კომპონენტს არ ემეზობლება. ამგვარად, ტოლობა და მეზობლობა ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია.

ახლა მოდით, მთლიანი წინადადების ფრაზული სტრუქტურა ზემოთ მოყვანილ ტერმინებში განვიხილოთ. (79) მაგალითი თვალსაჩინოებისთვის გამოგვადგება:


(79) The lords will discover that Macbeth murdered Duncan with a knife.

ლორდები შეიტყობენ, რომ მაკბეტმა დუნკანი დანით მოკლა.

(79) წინადადებაში სახელები *lords* და *knife* სახელიან ფრაზებს დამოუკიდებლად ქმნიან. მათ მიერ შექმნილი სახელიანი ფრაზები, მათ წინ მდგარ დეტერმინერებთან (*the, a*) შერწყმით დეტერმინერიანი ფრაზებს (*The lords; a knife*) ქმნიან. სიტყვები *Macbeth* და *Duncan* ორივე საკუთარი სახელებია, ამგვარად, თითოეულს დეტერმინერიანი ფრაზის შექმნა დამოუკიდებლად შეუძლია; (79) ოთხი დეტერმინერიანი ფრაზისგან შედგება. უკანასკნელი დეტერმინერიანი ფრაზა (*a knife*) მის წინ მდგარ *with* თანდებულთან ერთად თვ *with a knife*-ს ქმნის. ეს თანდებულიანი ფრაზა ზმნას *murdered* და დეტერმინერიანი ფრაზას *Duncan* ერწყმის და ზედსართავიანი ფრაზას ქმნის: *murdered Duncan with a knife*. ეს ზმნიანი ფრაზა წინ მდგარ დეტერმინერიანი ფრაზას *Macbeth* ერწყმის და წინადადებას *Macbeth murdered Duncan with a knife* ქმნის. ეს წინადადება, თავის მხრივ, დამატების მქონე სიტყვას *that* უერთდება და

დამატების მქმნელ ფრაზას (დმფ) *that Macbeth murdered Duncan with a knife* ვიღებთ. ახლა ეს დამატების მქმნელი ფრაზა ერწყმის მის წინ მდგომ ზმნას *discover* და ზმნიან ფრაზას — *discover that Macbeth murdered Duncan with a knife* ქმნის, რომელიც, თავის მხრივ, *will* მოდალურ ზმნასთან ერთად უფრო დიდ ზმნიან ფრაზას *will discover that Macbeth murdered Duncan with a knife* წარმოქმნის. ეს ზმნიანი ფრაზა ერწყმის მის წინ მდგარ დეტერმინერიან ფრაზას *The lords* და ასე ვიღებთ სრულ (79) წინადადებას. ახლა შეგვიძლია ამ ფრაზის სტრუქტურა, რომელიც ფრაზათქმნადობის საფეხურებრივი პროცესის შედეგად მივიღეთ, (80)-ში ხისებრი დიაგრამის სახით წარმოვადგინოთ:


(80)




(80) -ში წარმოდგენილი ხისებრი დიაგრამა წინადადების ფრაზათა იერარქიული სტრუქტურის თვალაჩინოებას ახდენს. მასში თითოეულ კვანძს ქვეშ სიტყვა აქვს მიწერილი. თუმცა, ხანდახან ენათმეცნიერები არასრულ ხისებრ დიაგრამებსაც იყენებენ, ანუ ყოველი კომპონენტის შინაგან სტრუქტურას არ განმარტავენ. ხშირად, ეს სათანადო ადგილის უქონლობის გამო კეთდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოტოვებული სტრუქტურა სხვა ლინგვისტებისთვის ისედაც გასაგებია; სხვა შემთხვევებში, ლინგვისტს შეუძლია ის სტრუქტურა გამოტოვოს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანს არ წარმოადგენს. ასე მეცნიერი სტრუქტურის იმ ნაწილის განხილვას გაამარტივებს, რომელიც მსჯელობის საგანთან არის დაკავშირებული. მაგალითად, როდესაც განშტოების უქონელი კვანძი მხოლოდ ერთ კვანძზე დომინირებს, უფრო ზედა ან ქვედა კვანძის, მასთან ერთად კი მისგან გამომავალი კვანძის გამოტოვება დასაშვებია. როცა გამოტოვებული სტრუქტურა განშტოების მქონე ერთ ან მეტ კვანძს შეიცავს, ხისებრი დიაგრამის გამოტოვებული სტრუქტურის წილს სამკუთხედით გამოსახვენ და ამ ნაწილში შემავალ სიტყვებს სამკუთხედის ქვეშ მიუწერენ. ხანდახან, დიაგრამაში ზოგიერთი სიტყვაც გამოტოვებულია, ან გამოსახულებას მრავალწერტილის

მეშვეობითა ჩამოცილებული. (81) და (82) მაგალითებში ხისებრი დიაგრამები (79) წინადადების სტრუქტურის შემოკლებულ და არასრულ თვალსაჩინოებას წარმოადგენს:

(81)



(82)



როდესაც წინადადების ფრაზათა სტრუქტურის წარმოსაჩინად ენათმეცნიერები (80), (81) და (82) –ის მსგავს ხისებრ დიაგრამებს იყენებენ, ისინი მოცემულ ენაზე მოსაუბრეთა გონებრივ გრამატიკებში ამ წინადადებების სტრუქტურულ წარმოსახვასაც ითვალისწინებენ. ეს ლინგვისტები სულაც არ ამტკიცებენ, თითქოს წინადადების წარმოთქმისას მოსაუბრემ გონებაში ამგვარი ხისებრი დიაგრამები უნდა წარმოიდგინოს. სტრუქტურის ასეთნაირ გამოსახვას მხოლოდ და მხოლოდ ის მიზანი აქვს, რომ კომპონენტთა სტრუქტურის ორი უმნიშვნელოვანესი აბსტრაქტული მახასიათებელი წარმოადგინოს: წინმავლობა და დომინანტობა. ეს საკომპონენტო სტრუქტურის (ან მათ შესახებ იმპლიციტური ცოდნის) ის აბსტრაქტული თვისებებია, რომელთაც ლინგვისტები უფრო მშობლიურ ენებზე მოსაუბრე ადამიანთა გონებრივ გრამატიკებს მიაკუთვნებენ, ვიდრე იმ დიაგრამებს, რომლებიც ამ მახასიათებლებს ვიზუალურად, გრაფიკული საშუალებებით ათვალსაჩინოებენ. მართლაც, ენათმეცნიერები ამ ურთიერთობებს ზოგჯერ სხვა ხერხებით გამოსახავენ. მაგალითად, ხისებრი დიაგრამების განშტოებები შეიძლება საპირისპირო მიმართულებით (ქვემოდან ზემოთ) განვითარდეს, ჩვენთვის ნაცნობი გამოსახულების სარკისებრი ანარეკლივით, სადაც ქვეკომპონენტები მათი შემცველი კომპონენტების ზემოთ იწერება.

საკომპონენტო სტრუქტურის გამოსახვის კიდევ ერთი მეთოდი კვადრატული ფრჩხილების გამოყენებაა. ისევე, როგორც ხისებრი დიაგრამის შემთხვევაში, კვადრატული ფრჩხილებით მარკირების შემთხვევაშიც სიტყვათა დროებითი თანმიმდევრობა (წინმავლობა) მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული წყობით გამოისახება. აღნიშვნის ამ

ორ სახეს შორის სხვაობა დომინანტობის (შემცველობის) წარმოჩენის ხერხებში მდგომარეობს. მაგალითად, თუ X დომინირებს Y-ზე, მაშინ ეს უკანასკნელი X-ით მარკირებულ კვადრატულ ფრჩხილებში ექცევა. ასე მაგალითად, თუ სახელიანი ფრაზა მხოლოდ სახელს შეიცავს, იგი ასე გამოისახება: [სფ ს], ხოლო ისეთი სახელიანი ფრაზა, რომელიც სახელთან ერთად თანდებულებიან ფრაზასაც შეიცავს, ასე: [სფ ს თფ]. თუ X დომინირებს Y-ზე, ხოლო Y — Z-ზე, მაშინ Z Y-ით მარკირებულ კვადრატულ ფრჩხილებში მოექცევა, ეს ფრჩხილები კი, თავის მხრივ, X-ით მარკირებული კვადრატული ფრჩხილების კიდევ ერთ წყვილში. მაგალითად, როცა დეტერმინირიანი ფრაზა უშუალოდ დომინირებს როგორც დეტერმინერზე, ისე სახელისა და თანდებულებიანი ფრაზისგან შედგენილ სახელიან ფრაზებზე, მსგავსი სიტუაცია შემდეგნაირად გამოისახება: [დფ დ[სფ ს თფ]]. (78) მაგალითში მოყვანილი ინფორმაცია (83)-ში გამოსახული აღნიშვნით გამოიხატება:

(83) [ზფ [ზ angry] [თფ [თ at] [დფ [დ the] [სფ [ს witches]]]]]

ხისებრი დიაგრამის მსგავსად, კვადრატული ფრჩხილების მეშვეობით გამოსახული სტრუქტურის შემოკლებაც შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში წინადადების ფრაზათა სტრუქტურის გარკვეულ ნაწილებს არ გამოვსახავთ; ამის მიღწევა კვადრატული ფრჩხილების ერთი წყვილის ამოღებით შეიძლება; მაგალითად, (81) გამოსახული შეკვეცილი ხისებრი დიაგრამა ისე გამოისახება, როგორც (84)-შია ნაჩვენები; ხოლო (82) მოყვანილი ნიმუში — (85)-ში მოცემული აღნიშვნით:

(84) [დფ The lords] [ზმფ [ზ will] [ზმფ [ზ discover] [დმფ that Macbeth ზფ]]]]

(85) [წინ. The lords will discover [დმფ [დმს that] [წინ. [დფ Macbeth]

[ზმფ [ზ murdered] [დფ Duncan] [თფ with]]]]]

ხანდახან, მარკირებულ კვადრატულ ფრჩხილებს მარკირებული ჩარჩოებით ცვლიან. ჩარჩოებით გამოსახვისას, მარკირებული ჩარჩო მის შემადგენელ კომპონენტებს მთლიანად მოიცავს; ჩარჩოები, ქვეკომპონენტებს რომ შეესაბამება, უფრო დიდ ჩარჩოებშია მოქცეული, რომლებიც მათზე დომინანტურ კომპონენტებს წარმოადგენს. როგორც კვადრატული ფრჩხილებით აღნიშვნის შემთხვევაში, შეკვეცა აქაც რამდენიმე გზით ხდება, მათ შორის, ჩარჩოების ამოგდების მეშვეობით.

როცა აღნიშვნის ალტერნატიული მოდელები, როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, წინადადების იმავე აბსტრაქტულ მახასიათებლებს განსხვავებულად გამოსახავს, ამ მოდელებს **აღნიშვნის ვარიანტებს** უწოდებენ. ლინგვისტების მსგავსად, ჩვენც უმთავრესად აბსტრაქტული სტრუქტურული მახასიათებლები გვინტერესებს. აღნიშვნები, რომელთა მეშვეობით ამ თვისებებს გამოვხატავთ, მხოლოდ გამოსახვის საშუალებებია.

(ა) შეადგინეთ ფრაზათა სტრუქტურის გამომხატველი დიაგრამა თითოეული შემდეგი წინადადებისთვის. დაეყრდენით (73)-ში ჩამოყალიბებულ წესებს და ხისებრი დიაგრამებს, რომლებიც ამ ნაწილშია წარმოდგენილი. წინადადება (ა2) -ში სიტყვა Law საკუთარ სახელად წარმოიდგინეთ.

(ა1) The Dauphin will give the old balls to the king.

(ა2) The Doge believed that Portia was a doctor of Law.

(ა3) The soothsayer told Caesar that he should stay in this house.

(ა1) დოფინი ძველ ბურთებს მეფეს მისცემს.


(ა2) დოჟს ეგონა, რომ პორცია ლოს ექიმი იყო.

- (ა3) ნათელმხილველმა კეისარს უთხრა, რომ იგი ამ სახლში უნდა დარჩენილიყო.
- (ბ) რამდენი შუა კვანძია პირველი წინადადების ხისებრ დიაგრამაში? რამდენ კვანძზე დომინირებს ზმნიანი კვანძის დომინანტი ზმნა *give* უშუალოდ პირველ წინადადებაში? რამდენი ბინარული განშტოების კვანძია მეორე წინადადებაში? რამდენი ტოლი კომპონენტი აქვს *the* დეტერმინერს მეორე წინადადებაში? რამდენ კვანძზე დომინირებს დმფ-იანი კვანძი მესამე წინადადებაში? დაასახელეთ თანდებულიანი ფრაზის მქონე კვანძის უშუალო კომპონენტები მესამე წინადადებაში.
- (გ) ახლა წარმოადგინეთ კომპონენტთა ასეთივე სტრუქტურა (ა1-3) წინადადებებისთვის კვადრატული ფრჩხილებით მარკირების მეშვეობით.

3.3.2 ფრაზის სტრუქტურის წარმოსაქმნელი მასალა: დისტრიბუცია, მოძრაობა, პრო-ფორმები, ნაშლა და მართვა (კოორდინაცია)

წინა განყოფილებაში განვმარტეთ, როგორ შეიძლება ფრაზათა კომპონენტების სტრუქტურის წარმოჩენა გრაფიკული ხერხებით და საკომპონენტო სტრუქტურების სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლები წარმოგაჩინეთ. სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც აქტუალური ფრაზები და წინადადებები გამოვსახეთ, (73)-ში ჩამოყალიბებულ წესებს ეფუძნებოდა, მაგრამ იმის დამადასტურებელი მასალა, რომ ეს სტრუქტურები სწორად იყო გამოსახული, არ მოგვიტანია, მხოლოდ არსებული ფაქტების კონსტატირება მოვახდინეთ. თითოეულ შემთხვევაში ჩვენს მიერ ნაჩვენები ხერხების გარდა, ბევრი ალტერნატიული სტრუქტურის წარმოჩენაც შეიძლება. ხშირად გამოცდილი ენათმეცნიერებიც კი ვერ თანხმდებიან, რომელი კონსტრუქცია არის „სწორი“ კომპონენტთა ამა თუ იმ სტრუქტურისთვის.

ამ პრობლემის ზოგადი ილუსტრირება ჰიპოთეტური მაგალითით შეიძლება. წარმოვიდგინოთ ფრაზა P, რომელიც ორ დამაბოლოებელ ელემენტზე, X და Y –ზე დომინირებს, X Y-ის წინ დგას. ამ სიტუაციის აღსაწერად მხოლოდ ერთი შესაძლო სტრუქტურა არსებობს: P უშუალოდ დომინირებს X -ზე და Y-ზე. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ P სამ დამაბოლოებელ ელემენტს შეიცავს: X, Y, Z, — ამავე თანმიმდევრობით. ჰიპოთეტურად, აქ სამი სტრუქტურის არსებობა შესაძლებელი:



როცა დამაბოლოებელი ელემენტების რაოდენობა იზრდება, შესაძლო სტრუქტურების რაოდენობა უფრო სწრაფად მატულობს. მაგალითად, კომპონენტს, რომელსაც ოთხი დამაბოლოებელი ელემენტი გააჩნია — 11 სტრუქტურა ექნება, თუ ხუთი დამაბოლოებელი ელემენტი აქვს — 40-ზე მეტ სტრუქტურას მივიღებთ. ისეთ წინადადებებში, სადაც დამაბოლოებელი ელემენტები სიტყვებია, ეს მომენტი უკვე პრობლემად იქცევა: 15 და 20 სიტყვისგან შედგენილ წინადადებას კომპონენტთა ჰიპო-

თეტურად შესაძლებელი სტრუქტურები უზომო ოდენობით ექნება. როგორ ამოვიცნოთ სწორი სტრუქტურა? ამ განყოფილების ძირითადი პრობლემა სწორედ ეს არის.

ალტერნატიულ შესაძლო სტრუქტურებს შორის, რის მაგალითსაც (86) ნიმუში წარმოადგენს, ენათმეცნიერები ისეთ კომპონენტებს ირჩევენ, რომელიც ყოველ სტრუქტურას უდევს საფუძვლად, შემდეგ კი ასეთი კომპონენტების არსებობის დამამტკიცებელ ან უარსაყოფელ მასალას ეძიებენ. (86ა)-ში P უშუალოდ დომინირებს X-ზე, Y-ზე და Z-ზე, მაგრამ (86ბ) –სა და (86გ)-ში P უშუალოდ სხვა, დამატებით კომპონენტზე დომინირებს, რომელიც (86ბ)-ში ჩვენ Q კომპონენტად აღვნიშნეთ, (86გ) –ში კი — R კომპონენტად. თუკი (86ბ) სწორია, მაშინ არსებობს Q ფრაზა, რომელიც Y –სა და Z-ს შეიცავს; თუ (86გ) სწორია, მაშინ არსებობს R ფრაზა, რომელიც X-სა და Y-ს შეიცავს; ხოლო თუ (86ა) არის სწორი, მაშინ არც Q არსებობს და არც R. ამგვარად, იმის გასარკვევად, თუ რომელი სტრუქტურაა სამი არსებული კანდიდატიდან სწორი, Q–ს და R–ს არსებობის დამადასტურებელი მასალა უნდა მოვიძიოთ.

რა სახის მასალა გამოდგებოდა იმის მონიშნად, რომ სიტყვათა ესა თუ ის თანმიმდევრობა კომპონენტს შეადგენს? მიუხედავად იმისა, რომ წინადადების თითოეული სიტყვა გვესმის (აკუსტიკურად), კომპონენტის სტრუქტურის გაგონება შეუძლებელია. ყურთასმენისთვის იგი ისეთივე მოუხელთებელია, როგორც გამოუთქმელი (ნულოვანი) ნაცვალსახელი. სხვა დარგების (ფიზიკის, ასტრონომიის, ბიოლოგიის) მეცნიერები ამტკიცებენ, რომ არსებობს ისეთი უხილავი ობიექტები, როგორებიცაა, ატომის ნაწილაკები, შავი ხვრელები, გენები და მათი არსებობის დამტკიცება შესაძლებელია სხვა, ხილული ობიექტების ფუნქციონირების მეშვეობით. იგივე შეიძლება ითქვას საკომპონენტო სტრუქტურაზე სინტაქსის შესწავლის დროს: მიუხედავად იმისა, რომ ფრაზების სტრუქტურას ვერ ვხედავთ (და არ გვესმის), ვიცით, რომ ასეთი სტრუქტურა უნდა არსებობდეს, ვინაიდან იგი მონაცემთა (მასალის) მოდელის განმარტებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს. (86)–ში მოყვანილ სამ სტრუქტურას შორის არჩევანის გაკეთებისას, ჩვენ Q ((86ბ)–ში) და R (86გ–ში) ქვეკომპონენტების არსებობის, ან არსებობის უარყოფელი მასალის მოტანა მოგვიხდება. ენათმეცნიერებმა დიაგნოსტიკური ცდების არაერთი მეთოდი შეიმუშავეს, რომელთა მეშვეობით განისაზღვრება, შეადგენს თუ არა სიტყვათა ესა თუ ის თანმიმდევრობა კომპონენტს; ასეთ ცდებს **საკომპონენტო ტესტები** (constituent tests) ეწოდება. ახლა იმის ილუსტრირებას მოვახდენთ, თუ როგორ ხდება ამ მეთოდების გამოყენება.

დისტრიბუციის სადიაგნოსტიკო ცდები

პირველი მონიშნა, რომ სიტყვათა ესა თუ ის თანმიმდევრობა კომპონენტებს ქმნის, დისტრიბუციასთან არის დაკავშირებული. სტრუქტურის თუ წინადადების ფარგლებში, თითოეული სტრუქტურული პოზიცია გარკვეული ტიპის კომპონენტებისთვის არის განკუთვნილი. ამგვარად, ამ პოზიციებს შორის ზღვრების დადგენისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვათა მოცემული თანმიმდევრობა კომპონენტს ქმნის, თუკი იგი მოცემულ ზღვრებში თავსდება. თუკი ეს თანმიმდევრობა მოცემულ პოზიციას არ ესადაგება, აუცილებელი არაა ეს იმის ნიშანი იყოს, თითქოს მოცემული თანმიმდევრობა კომპონენტს ვერ ქმნის; ეს შეიძლება სხვა ტიპის კომპონენტი იყოს, ვინაიდან წინადადებაში პოზიციათა უმეტესობა გარკვეული კატეგორიის (დეტერმინირიანი ფრაზა, ზედსართავიანი ფრაზა, თანდებულებიანი ფრაზა და ა.შ.) კომპონენტებისთვის არის განკუთვნილი. მეორე მხრივ, ეს მაინც იმაზე მითითებს, რომ მოცემული თანმიმდევრობა მოცემული პოზიციის სადაგი ტიპის კომპონენტს ვერ შეადგენს.

მაგალითად, მარტივ წინადადებებში სუბიექტის პოზიცია შედარებით ადვილი ამოსაცნობია, ვინაიდან იგი წინადადების მარცხენა კიდეში ჩნდება (ანუ, დასაწყისში); ამგვარად, მარჯვენა ზღვრის დადგენით შეგვიძლია გამოვიკვლიოთ, სიტყვათა რა თანმიმდევრობა ესადაგება მოცემულ პოზიციას. მაგრამ სუბიექტური პოზიციის მარჯვენა ზღვარი როგორ დავადგინოთ? უპირველეს ყოვლისა, ამის გაკეთება მოსინჯვისა და შეცდომათა უარყოფის საფუძველზე შეგვიძლია. რაკი ვიცით, რომ სახელები და ნაცვალსახელები სუბიექტურ პოზიციას ესადაგება, შეგვიძლია ისეთ წინადადებებს დავაკვირდეთ, რომელთაც ამ პოზიციაში ერთ-ერთი ასეთი ელემენტი უდგას, შემდეგ კი განვსაზღვროთ, რომელი ლექსიკური კატეგორია შეიძლება მას უშუალოდ მოსდევდეს. მაგალითად, მარტივ დეკლარაციულ წინადადებაში მისი პირველი ზმნა სუბიექტის მარჯვენა პოზიციაში უნდა იდგეს, უშუალო მეზობლობაში, როგორც (87ა)-შია ნაჩვენები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინადადება ასევე შეიცავს გარემოებას, ვთქვათ, *obviously*, რომელიც ზმნას უშუალოდ უძღვის წინ, როგორც (87ბ-გ)-ში. სუბიექტსა და დამხმარე ზმნას შორის სხვა ვერცერთი ტიპის კომპონენტი ვერ ჩადგება. ამას მაგალითები (87დ-ვ) მოწმობს:

- (87) ა. He has visited the witches.
 ბ. He [გარემ.obviously] has visited the witches.
 გ. He has [გარემ. obviously] visited the witches.
 დ. *He [თფ to the forest] has visited the witches.
 ე. *He [ზმ walked] has visited the witches.
 ვ. *He [დფ the queen] has visited the witches.
 ა. ის კუდიანებს ეწვია.
 ბ. ის [გარემ. აშკარად] კუდიანებს ეწვია.
 გ. ის [გარემ. აშკარად] კუდიანებს ეწვია.
 დ. *ის [თფ ტყეში] კუდიანებს ეწვია.
 ე. *ის [ზმ ნავიდა] კუდიანებს ეწვია.
 ვ. *ის [დფ დედოფალი] კუდიანებს ეწვია.

თუ სიტყვათა გარკვეული თანმიმდევრობა წინადადებაში დამხმარე ზმნის მარცხნივ გვხვდება, როგორც (87ა) და (87გ) წინადადებებში, ან გარემოების მარცხნივ, (87ბ) მაშინ სიტყვათა მოცემული წინადადება სუბიექტურ პოზიციაში უნდა ჩადგეს და ამ მიზეზით, კომპონენტი უნდა შეადგინოს. სწორედ ამგვარი დასაბუთება იყო გამოყენებული (88) მაგალითის შესახებ მსჯელობისას, რამაც 2.2 განყოფილებაში სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობების განსაზღვრა გაგვიადვილა, როგორებიც იყო: *the witches, our murderous king, the king of Scotland*, რომლებიც მაშინ იმ ტიპის კომპონენტებს მივაკუთვნეთ, რომლებსაც დეტერმინერიანი ფრაზები ვუნოდეთ:

- (88) ა. The wites obviously advised the king.
 ბ. Our murderous king obviously has visited the witches.
 გ. The king of Scotland has obviously visited the witches.
 დ. The witches in the forest have advised the king.
 ა. კუდიანებმა მეფეს აშკარად რჩევა მისცეს.
 ბ. ჩვენმა სისხლიანმა მეფემ აშკარად კუდიანებს მიაკითხა (ეწვია).
 გ. შოტლანდიის მეფე აშკარად კუდიანებს ეწვია.
 დ. კუდიანებმა ტყეში მეფეს რჩევა მისცეს.

უნდა გვახსოვდეს (ეს მნიშვნელოვანია), რომ ზოგიერთი ტიპის წინადადებაში სუბიექტი არ არის პირველი კომპონენტი; მაგალითად, კითხვებში (იხილეთ 3.4 წანართი) სუბიექტური პოზიცია ინვერსიული დამხმარე ზმნის პოზიციას მოსდევს, როგორც (22ბ)-ში, ხოლო ტოპიკალიზაციის კონსტრუქციებში, როგორებიცაა (22ა) იგი თემატურ პოზიციას მოსდევს.

პირდაპირი ობიექტის პოზიციის ზღვრები ოდნავ უფრო ძნელი დასადგენია, ვინაიდან ზმნიან ფრაზაში ობიექტის პოზიციას შეიძლება სხვადასხვა ტიპის კომპონენტები მოსდევდეს; ასე მაგალითად, (89ა)-ს ტიპის წინადადებაში ძნელი დასადგენია, არის თუ არა თუ *in the forest* (89ბ)-ს წინადადების დეტერმინერიანი ფრაზის *the witches* ტოლი კომპონენტი, ან არის თუ არა ამ დეტერმინერიანი ფრაზის შემადგენელი ნაწილი, როგორც (89გ)-ში:

- (89) ა. The king met the witches in the forest.
- ბ. The king [ზმფ met [დფ the witches] [თფ in the forest]]
- გ. The king [ზმფ met [დფ the witches [თფ in the forest]]]

(ყურადღება მიაქციეთ, რომ ზედსართავიანი ფრაზის სტრუქტურა (89ბ)-ში იმ თანდებულის სტრუქტურას ჰგავს, რომელიც (86ა)-ში შეგვხვდა, მაშინ, როცა (89გ)-ს ზმნიანი ფრაზის სტრუქტურა (89ბ)-ს თანდებულის სტრუქტურის მსგავსია. თუკი (89ბ)-ს სტრუქტურა სწორია, მაშინ ზმნა *meet* ორ დამატებას ირჩევს (დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილი პირდაპირი დამატება და თფ), ხოლო ფრაზა *the witches* სრულ დეტერმინერიან ფრაზას ქმნის (რომელიც ზმნის *meet* პირდაპირი დამატებაა). მეორე მხრივ, თუ (89გ)-არის სწორი, მაშინ ზმნა *meet* ერთ დამატებას ირჩევს, ხოლო ფრაზა *the witches in the forest* დეტერმინერიანი ფრაზაა.)

უნდა ვივარაუდოთ, რომ (89ბ) და (89გ) ორივე სწორი ფრაზაა. მეტი სიზუსტისთვის ვთქვათ, რომ (89ა) სტრუქტურულად ბუნდოვანი ფრაზაა. მისი სტრუქტურა (89ბ)-ში ან (89გ)-ში იხსნება. (88ა)-ზე დაყრდნობით. ვიცით, რომ თანმიმდევრობა *the witches* სრულ დეტერმინერიან ფრაზას შეადგენს, ისევე, როგორც ეს (89ბ) წინადადებაშია; მეორე მხრივ, (88დ)-ს საფუძველზე ისიც ვიცით, რომ თანმიმდევრობა *the witches in the forest* აგრეთვე შესაძლო დეტერმინერიანი ფრაზაა, როგორც (89გ)-ში. ახლა განვიხილოთ მაგალით (90)-ში მოყვანილი წინადადებები, რომლებშიც ნაცვალსახელები ობიექტის პოზიციაში დგას. (გაიხსენეთ, რომ დეტერმინერიანი ფრაზა შეიძლება ნაცვალსახელსა და თანდებულებსა ფრაზას ერთდროულად არ შეიცავდეს, როგორც ეს (87დ)-ში არის ნაჩვენები.)

- (90) ა. The king met them in the forest.
- ბ. The king met them.
- ა. მეფე მათ ტყეში შეხვდა.
- ბ. მეფე შეხვდა მათ.

მაგალითი (90ა) გვიჩვენებს, რომ ზმნა *meet* შეიძლება ორ დამატებას ირჩევდეს (დეტერმინერიანი ფრაზის და თანდებულებსა ფრაზას, როგორც (89ბ)-ში), მაგრამ (90ბ) მონიშნავს, რომ მას მხოლოდ ერთი დამატების არჩევაც შეუძლია (დეტერმინერიანი ფრაზას, როგორც (89გ)-ში). ამგვარად, ისეთი სტრუქტურა, როგორიც (89ბ)-შია, შესაძლებელია არსებობდეს, ვინაიდან მისი ობიექტური დეტერმინერიანი ფრაზა (88ა)-ს სუბიექტური დეტერმინერიანი ფრაზის იდენტურია, ხოლო ზმფ-ს ისეთივე სტრუქტურა აქვს, როგორც (90ა) წინადადებას. მაგრამ (89გ)-ს სტრუქტურაც შეიძლება არსებობდეს, რადგან მისი ობიექტური დეტერმინერიანი ფრაზა (88დ)-ს სუბიექტური დეტერმინერიანი ფრაზის იდენტურია, ხოლო მისი ზმფ-ს სტრუქტურა (90ბ)-ში არსე-

ბულის მსგავსია. ამგვარად, ალბათ (89ა) სტრუქტურულად ბუნდოვანი ფრაზაა. მეტიც, მისი ეს სტრუქტურული ბუნდოვანება სემანტიკურ ბუნდოვანებასთან არის დაკავშირებული. როცა თფ დეტერმინერიან ფრაზაშია მოქცეული, იგი დეტერმინერიან ფრაზაში სახელს ცვლის, როგორც მონათესავე კლაუზულა; მაგალითად, (88დ)-ში წინადადების შინაარსი იმაზე მეტყველებს, რომ კუდიანები ტყეში არიან, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის, როცა მეფეს რჩევას აძლევდნენ, შესაძლოა, ტყეში არც ყოფილიყვნენ. მეორე მხრივ, როცა თფ ზმნის დამატებაა, როგორც (90ა) წინადადებაში, იგი ზმნას სახეს უცვლის და იმ ქმედების ადგილ-მდებარეობაზე მიუთითებს, რომელსაც ზმნა გამოხატავს. ამგვარად, თუ (89ბ)-ს სტრუქტურა სწორია, წინადადება შინაარსობრივად უნდა გადმოსცემდეს, რომ შეხვედრა ტყეში მოხდა, ხოლო თუ სწორი სტრუქტურა (89გ)-ს აქვს, მაშინ კუდიანები, მის მიხედვით, ტყეში არიან (თუმცა, შეხვედრის მომენტში შეიძლება ტყეში არ იყვნენ.)

ჩანართი 3.5

დეტერმინერიანი ფრაზების სხვა სახეობები

დეტერმინერიანი ფრაზის შემადგენლობის დასადგენი სადისტრიბუციო ცდის გამოყენებით, რომელიც სუბიექტური პოზიციის გაჩენა-არგაჩენას ემყარება, შეგვიძლია დეტერმინერიანი ფრაზების ახალი ტიპები გამოვარჩიოთ. უკვე ვნახეთ, რომ დეტერმინერიანი ფრაზა შეიძლება შეიცავდეს: (ა) სახელს ან ნაცვალსახელს, ან (ბ) სახელს, რომელსაც წინ დეტერმინერი, ან ნომინალური მსაზღვრელი და ერთი ან ორი ზედსართავი უძღვის, როგორც (ა-ე) წინადადებაებში:

(ა) *Henry kissed Kate.*

(ბ) *He kissed her.*

(გ) *Henry kissed the princess.*

(დ) *The young king kissed France's beautiful princess.*

(ე) *The brave young king kissed the beautiful princess.*

ა. ჰენრიმ ქეთის აკოცა.

ბ. მან (მამრ.) მას (მდედრ) აკოცა.

გ. ჰენრიმ პრინცესას აკოცა.

დ. ახალგაზრდა მეფემ საფრანგეთის მშვენიერ პრინცესას აკოცა.

ე. მამაცმა ახალგაზრდა მეფემ მშვენიერ პრინცესას აკოცა.

სხვა მაგალითებში უკვე ვნახეთ, რომ დეტერმინერიანი ფრაზის ფარგლებში სახელს საკუთარი დამატების არჩევა შეუძლია, რომელიც შეიძლება იყოს თფ, როგორც ეს ამ წინადადებაშია: *The murder of Duncan offended the thanes of Scotland.* („დუნკანის მკვლელობამ მოტლანდიის დიდებულები აღაშფოთა.“) მაშინ, როცა სახელები მეტყველების ან ფიქრის, აზროვნების პროცესის გამოხატველი ზმნებიდან არის წარმომდგარი, დამატებად დმფ (დამატების მქმნელი ფრაზები) დამატებებს ირჩევს. ამას მონმოზს (ზ) და (თ) მაგალითებიც:

(ზ) *The announcement that Caesar was dead shocked the people of Rome.*

(თ) *The belief that the quality of mercy is not strained inspired Portia.*

ზ. განცხადებამ, რომ კეისარი მოკვდა, რომის მოსახლეობას თავზარი დასცა.

თ. პორცია იმის რწმენამ შთააგონა, რომ გულმონყალებას

საზღვარი არ გააჩნია.

დეტერმინერიანი ფრაზები შეიძლება მონათესავე კლაუზულებსაც შეიცავდეს. ისინი *wh* კომპლექსით დაწყებული სიტყვებით იწყება, ასეთია *who*, (რომელიც ადამიანზე ითქმის) ან *which* (ადამიანის გარდა):

(ი) *The man who Puck saw in the forest fell in love with the first woman who he saw.*

(კ) *The books which Prospero owned were in his study.*

ი. კაცს, რომელიც პაკმა ტყეში დაინახა, პირველივე ქალი შეუყვარდა, რომელიც (მან) დაინახა.

კ. წიგნები, რომლებიც პროსპეროს ჰქონდა, მის კაბინეტში იყო.

* (წინადადებები ორიგინალის სინტაქსური წყობის დაცვითაა თარგმნილი. (მთარგმენ.))

ეს მონათესავე კლაუზულები (ჩართული წინადადებები) იმ ჩართულ კითხვებს ჰგავს, რომლებზეც 3.4 ჩანართში იყო საუბარი, მაგრამ ჩართული კითხვებისგან განსხვავებით, მონათესავე კლაუზულები *wh* კომპლექსით დაწყებული სიტყვების მაგიერ *that* დამატებით იწყება; მაგალითად: *wh* -ზე დაწყებული ყველა სიტყვა (ი)-სა და (კ)-ში შეიძლება *that* -მა ჩაანაცვლოს. დეტერმინერიანი ფრაზის სხვა სახეობების არსებობაც შესაძლებელია. მაგალითად, თუ სახელი დეტერმინერიანი ფრაზაში მრავლობით რიცხვში დგას (*kings, forests* — მეფეები, ტყეები და ა.შ.), დეტერმინერი შეიძლება გამოტოვებულ იქნეს; იგივე შეიძლება ითქვას მხოლობით რიცხვში მდგარ აბსტრაქტულ სახელებზეც (*beauty, integrity* — სილამაზე, მთლიანობა) და კრებით სახელებზე (*wine, sand* — ღვინო, სილა და ა.შ.). მეორე მხრივ, რიცხვითი სახელები (*two, three* — ორი, სამი) და რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები (*every, all* — ყოველი, ყველა და ა.შ.), რომლებიც ხშირად ისე ფუნქციონირებენ, როგორც დეტერმინერები დეტერმინერიან ფრაზებში, მაგალითად, წინადადებებში: *three witches* და *all fairies* — „სამი კუდიანი“, ყველა ფერია“, შეიძლება სხვა დეტერმინერიან ფრაზების დეტერმინერებშიც შეგვხდეს, ასეთებია *the* (განსაზღ. არტიკლი) *three witches* და *all* (ყველა) *fairies*. თუმცა, დეტერმინერიანი ფრაზაში ყველა დეტერმინერი როდი გვხვდება. ყურადღება მიაქციეთ: *many the witches, three many witches, all many witches* (ბევრი+ განსაზღ. არტიკლი კუდიანი, სამი ბევრი კუდიანი, ყველა ბევრი კუდიანი) მიუღებელი ფორმებია. ამგვარად, დეტერმინერიანი ფრაზები შეიძლება შეიცავდეს ნულოვან (არცერთ), ერთ ან ორ დეტერმინერს — იმის მიხედვით, თუ რა სახის სახელს შეიცავს დეტერმინერიანი ფრაზა და როგორი დეტერმინერებით არის იგი შედგენილი.

ფაქტია, რომ (89ა)-ს ინტერპრეტირება სხვაგვარად შეიძლება და ორივე სტრუქტურა სწორი იქნება.

სადისტრიბუციო არგუმენტის კიდევ ერთი სახეობა ისეთ შემთხვევებს მოიცავს, სადაც ელემენტების სხვადასხვაგვარი კომბინაცია ერთსა და იმავე გარე დისტრიბუციის ნიშნებს ამჟღავნებს, რაც იმას მოწმობს, რომ ეს კომბინაციები ერთი და იმავე ტიპის კომპონენტის (დეტერმინერიანი ფრაზა, ზმნიანი ფრაზა და ა.შ.) ვარიანტული ფორმებია. განყოფილებაში 2.2 საუბარი ისეთ სახელებსა და ნაცვალსახელებს ეხებოდა, რომლებსაც ისეთივე გარე სინტაქსური დისტრიბუცია ახასიათებთ, როგორიც

დეტერმინერებისა და სახელების შემცველ დეტერმინერიან ფრაზებს. წინადადების რომელ პოზიციაშიც არ უნდა აღმოჩნდეს დეტერმინერიანი ფრაზა, იგი ყოველთვის შეიძლება ნაცვალსახელმა ან სახელმა ჩაანაცვლოს. ამ დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელები და ნაცვალსახელები დეტერმინერიანი ფრაზებია; ნაცვალსახელები და სახელები რომ იმავე კატეგორიას არ მიეკუთვნებოდეს, რომელთაც სხვა დეტერმინერიანი ფრაზები ეკუთვნის, მაშინ გრამატიკას სუბიექტური პოზიციის, პირდაპირი ობიექტის პოზიციის, ნომინალური მსაზღვრელის, თანდებულის ობიექტისა და ა.შ. პოზიციების შესაძლო დამკავებლებად იგივე ჩამონათვალი უნდა გაემეორებინა (ნაცვალსახელი, სახელი და დეტერმინერიანი ფრაზა). მეტიც, ნებისმიერი ზმნა, რომელიც კატეგორიის არჩევისას დამატებად დეტერმინერიან ფრაზას ირჩევს, ამ პოზიციაში ნებისმიერი ტიპის დეტერმინერიან ფრაზას იგუებს (მათ შორის, სახელსაც და ნაცვალსახელსაც). ეს მოსალოდნელია, თუკი ნაცვალსახელები და სახელები დეტერმინერიანი ფრაზებია. მეორე მხრივ, თუ ესენი დეტერმინერიანი ფრაზები არ არის, მაშინ ზმნის ლექსიკურ ერთეულში შესაძლო დამატებად ყველა ამ სამი კატეგორიის ჩამოთვლა იქნება საჭირო, ხოლო იმის განმარტებას, თუ რატომ მეორდება ერთი და იგივე ჩამონათვალი (ნაცვალსახელი, სახელი, ან დეტერმინერიანი ფრაზა) თითოეული ზმნის შემთხვევაში, ვერ მოვახერხებთ. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ნაცვალსახელების, სახელების და დეტერმინერიანი ფრაზების სხვა ტიპთა საერთო სადისტრიბუციო ნიშან-თვისებები ფრაზათა უნიფიცირებული კატეგორიის (რაც არ უნდა ვუნოდოთ მას) არსებობას ძირს უმაგრებს.

გადანაცვლება, როგორც წინადადების შედგენილობის დასადგენი ცდა

წინადადების შედგენილობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცდა გადანაცვლების წესს ეფუძნება. ტოპიკალიზაციის სტრუქტურის წარმოქმნაში, რომელიც განყოფილება 3.2.3 –ში მოკლედ მიმოვიხილეთ, სწორედ გადანაცვლება მონაწილეობს. მისი თვალსაჩინოებისთვის ადრე (22ა) წინადადება მოვიყვანეთ, რომელსაც აქ (91ა) მაგალითს დავარქმევთ და კვლავ გავიმეორებთ:

(91) ა. Bianca, I admire.

ბ. I admire Bianca.

ა. (დაახ.) ბიანკაა, (მე) რომ ვაღმერთებ.

ბ. (მე) ბიანკას ვაღმერთებ.

ტოპიკალიზაციის ამ კონსტრუქციის ამოცნობას მხოლოდ მისივე სიტყვათა უჩვეულო წყობა კი არ აადვილებს, არამედ მისთვის დამახასიათებელი, გამორჩეული ინტონაცია, მელოდია, შემალღება და ხმის აწევა, რომლითაც ტოპიკალიზებული სიტყვა წარმოითქმის. (91ა)-ში ინტონაციის განსხვავებულობაზე გამსხვილებული შრიფტი და სასვენი ნიშანი მიუთითებს. ზმნის admire პირდაპირი ობიექტი, როგორც წესი, ზმნის შემდეგ დგას, როგორც (91ბ) მაგალითში. (91ა) წინადადებებში იგი პირიქით, წინადადების თავში, თემატურ პოზიციაში გვხვდება. (91ა)-ში საკუთარი სახელი Bianca, მისი მდებარეობის მიუხედავად, პირდაპირი ობიექტია — იმ თემატური თემა-როლის გამო, რომელიც მას წინადადების სემანტიკური ინტერპრეტაციით ენიჭება და რომელიც (91ა)-სა და (91ბ)-ში ერთმანეთის იდენტურია.

საკუთარი სახელები ერთადერთი ელემენტები არ არის, რომელთა ტოპიკალიზაციაც შესაძლებელია. თემატურ პოზიციაში შეიძლება გადაინაცვლოს: ნაცვალსახელებმა (92ა), სახელებმა (92ბ), ზედსართავებმა (92გ), ზმნიზედებმა (92დ) და ზმნებმა (92ე):

- (92) ა. Her, I admire, but him, I despise.
 ბ. Sieges, I dislike; but battles, I can tolerate.
 გ. Reckless, Falstaff may be; but criminal, he is not.
 დ. Slowly, the witches stirred the cauldron.
 ე. Cordelia feared that Lear might die, and die he did.
 ა. მას (მდედრ.) — ვაღმერთებ, მაგრამ ის (მამრ.) — მეზიზღება.
 ბ. ალყები — არ მიყვარს, მაგრამ ბრძოლების ატანა — შემიძლია. (სიტყვასიტყვ.)
 გ. თავზეხელაღებული — შეიძლება (ფალსტაფი) იყოს, ბოროტმოქმედი კი — არა.
 დ. ნელა (აუჩქარებლად), კუდიანები ქვაბს ურევდნენ.
 ე. კორდელიას ეშინოდა, რომ ლირი შეიძლება მომკვდარიყო, და მოკვდა კიდევ (სიტყვა-სიტყვით: სწორედაც მოკვდა.)
 ნეიტრალური (არატოპიკალიზებული) წინადადებები, რომლებსაც ეს მაგალითები შეესაბამება, (93) მაგალითშია მოცემული:

- (93) ა. I admire her; but I despise him.
 ბ. I dislike sieges; but I can tolerate battles.
 გ. Falstaff may be reckless; but he is not criminal.
 დ. The witches stirred the cauldron slowly.
 ე. Cordelia feared that Lear might die, and he did die.
 ა. იმას ვაღმერთებ, მაგრამ ის მეზიზღება.
 ბ. ალყები არ მიყვარს, მაგრამ ბრძოლები შემიძლია ავიტანო.
 გ. ფალსტაფი შეიძლება თავზეხელაღებული იყოს, მაგრამ არა ბოროტმოქმედი.
 დ. კუდიანები ქვაბს ნელა ურევდნენ.
 ე. კორდელიას ეშინოდა, რომ ლირი შეიძლება მომკვდარიყო და (იგი) მოკვდა კიდევ.

გადანაცვლების თეორიის მიხედვით, (92) მაგალითის წინადადებებს იგივე ძირითადი სტრუქტურა აქვს, როგორც მათ მენწყვილე წინადადებებს (93) მაგალითში. ერთადერთ განსხვავებას გამსხვილებული შრიფტით დაბეჭდილი სიტყვების პოზიცია ქმნის ეს სიტყვები ზმნიან ფრაზაში თავდაპირველი პოზიციიდან თემატურ პოზიციაში, წინადადების თავში გადაინაცვლებენ (92). ისიც შესაძლებელია, რომ ჩართული წინადადებებიდან სიტყვა თემატურ პოზიციაში, მთავარი წინადადების თავში გადაადგილდეს, როგორც (94გ-დ)-შია ნაჩვენები, სადაც ტოპიკალიზებული სიტყვის თავდაპირველი პოზიცია (—) დეფისით არის აღნიშნული:

- (94) ა. Antony said that he loved Cleopatra.
 ბ. Juliet heard Romeo call out her name.
 გ. Cleopatra, Antony said [that he loved ____].
 დ. Romeo, Juliet heard [____ call out her name].
 ა. ანტონიუსმა თქვა, რომ კლეოპატრა უყვარდა.
 ბ. ჯულიეტამ გაიგონა, როგორ წარმოთქვა რომეომ მისი სახელი.
 გ. ანტონიუსმა კლეოპატრა(ზე) თქვა, რომ უყვარს.
 დ. რომეომ — ჯულიეტამ გაიგონა, — მისი სახელი წარმოთქვა.

(95)-ში მოყვანილი მასალა გვიჩვენებს, რომ ტოპიკალიზაციისთვის დამახასიათებელი

ბელი გადანაცვლება ორი ან მეტი სიტყვისგან შედგენილ ფრაზაშიც შეიძლება მოხდეს; შესაბამისი ნეიტრალური წინადადებებია მოცემული (96) მაგალითში:

- (95) ა. The beautiful French princess, Henry kissed ____ .
 ბ. The king of England, I admire ____; but the Dauphin of France, I despise ____ .
 გ. The unfortunate realm that Lear ruled over, Cordelia knew [that Goneril and Regan would inherit ____].
 ა. ჰენრიმ მშვენიერ ფრანგ პრინცესას აკოცა (მშვენიერი ფრანგი პრინცესა იყო, ჰენრიმ რომ აკოცა).
 ბ. ინგლისის მეფე(ა), (რომ) ვაღმერთებ, მაგრამ საფრანგეთის დოფინი ____ მძულს.
 გ. ლირის მიერ მართულ უბედურ სამეფოს ____ კორდელიამ იცოდა — გონერილი და რეგანი მიიღებდნენ მემკვიდრეობით.

- (96) ა. Henry kissed *the beautiful French princess*.
 ბ. I admire *the king of England*; but I despise *the Dauphin of France*.
 გ. Cordelia knew [that Goneril and Regan would inherit the unfortunate realm that Lear ruled over].
 ა. ჰენრიმ საფრანგეთის მშვენიერ პრინცესას აკოცა.
 ბ. ინგლისის მეფეს ვაღმერთებ, მაგრამ საფრანგეთის დოფინი მძულს.
 გ. კორდელიამ იცოდა, [რომ გონერილი და რეგანი მემკვიდრეობით მიიღებდნენ უბედურ სამეფოს, რომელსაც ლირი მართავდა].

მეორე მხრივ, სიტყვათა ზოგიერთმა თანმიმდევრობამ შეიძლება წინადადების თავში გადაინაცვლოს. ამას (97)-ში მოყვანილი გრამატიკულად გაუმართავი წინადადებებიც მოწმობს:

- 97) ა. * the beautifull French, I admire ____ princess.
 ბ. * king of, I admire ____ England, but despise the, ____ Dauphin of France.
 გ. *would inherit the, Cordelia knew that Goneril and Regan ____ unfortunate realm that Lear ruled over.

(97)-ის თითოეულ მაგალითში იმ სიტყვათა თანმიმდევრობა, რომელიც (96)-ის ნეიტრალურ წინადადებებშია მოცემული, წინადადების თავში, თემატურ პოზიციაშია გადატანილი, მათ ადგილს კი დეფისიანი აღნიშვნები იკავებს ასეა (95)-ში, მაგრამ (97)-ში ნაჩვენები თანმიმდევრობა გრამატიკულად არასწორ წინადადებებს ქმნის. რატომ ხდება ასე?

სიტყვათა ტოპიკალიზებული თანმიმდევრობა, რომელსაც (95) მაგალითში ვხედავთ, იმავე ტიპის ლექსიკური კატეგორიებისგან შედგება, რომელთაც ჩვენს მიერ ადრე განხილული დეტერმინერიანი ფრაზები მიეკუთვნება, მაშინ, როცა (97)-ის ფრაზები ჩვენს მიერ ადრე განხილულ ფრაზათა ტიპებს არ შეესაბამება. ამგვარად, (95)-სა და (97)-ს შორის არსებული კონტრასტის ყველაზე მარტივი ახსნა ის არის, რომ ტოპიკალიზაციისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციები თემატურ პოზიციაში მხოლოდ ერთი კომპონენტის გადანაცვლებით იგება. (92-94) მაგალითებში გადანაცვლებული კომპონენტი მარტო ერთი სიტყვისგან შედგება, მაშინ, როცა (95)-ში გადანაცვლებული კომპონენტი ორი ან მეტი სიტყვისგან არის შედგენილი. თუმცა, გადანაცვლების წესი, რომლის მეშვეობითაც თემატური პოზიცია წარმოიქმნება, ამ სხვაობების მიმართ მგრძობიარობას არ ამჟღავნებს: იგი თემატური პოზიციისკენ ერთადერთ

კომპონენტს ანაცვლებს, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი სიტყვისგან შედგება ეს კომპონენტი. ამგვარად, (95)-სა და (97)-ს შორის არსებული კონტრასტი იმას მოწმობს, რომ სიტყვათა გადანაცვლებული თანმიმდევრობები (95)-ში კომპონენტები ან ფრაზებია, ხოლო (97)-ში კი — არა. რაკი ტოპიკალიზაციას პრაქტიკულად ნებისმიერი კატეგორია ექვემდებარება, ტოპიკალიზაციის შემადგენლობის დასადგენი ცდა, როგორც წესი, ისე მოქმედებს, როგორც საკომპონენტო სტრუქტურის დასადგენი ხერხი.

თუკი ამ ცდას სხვა იმ კატეგორიებს მივუსადაგებთ, რომლებსაც აქამდე განვიხილეთ, მოსალოდნელ შედეგს მივიღებთ: თუ წინადადება ისეთ კომპონენტს შეიცავს, როგორც არის თანდებულისანი ფრაზა, ზედსართავიანი ფრაზა, დმფ ან ზმნიანი ფრაზა, ამ კომპონენტმა შეიძლება თემატურ პოზიციაში გადანაცვლოს. ის ახალ წინადადებას შეადგენს, რომელიც ტოპიკალიზებული კომპონენტით დაიწყება. წინადადებები, რომლებიც ტოპიკალიზებულ პრედიკატულ ფრაზებს შეიცავს, ისეთებს, როგორებიც არის (ზედსართავიანი ფრაზა) და ზმფ (ზმნიანი ფრაზა), ხშირად უფრო ბუნებრივად ჟღერს, თუკი მათ წინ სხვა წინადადება დგას, იმავე ზედსართავიანი ფრაზისა თუ ზმნიანი ფრაზისაგან შედგენილი. თუ სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობის გადანაცვლებას შევეცდებით, რომელიც კომპონენტს არ ქმნის, მაშინ შედეგად ისეთ გრამატიკულად გაუმართავ ფორმებს მივიღებთ, როგორებიც (97)-ში შეგვხვდა. ამის თვალსაჩინოებას მაგალითები (98-100) წარმოადგენს. (98)-ს თითოეულ წინადადებაში სიტყვათა კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული თანმიმდევრობები კომპონენტებს (თანდებულისანი ფრაზა, ზედსართავიანი ფრაზა, დმფ და ზმნიან ფრაზას) ქმნის.

- (98) ა. Harry brought his *army* [to France]. (თფ)
 ბ. Katherine was [*angry at her suitor*]. (ზფ)
 გ. Hamlet knew [*that his father had been murdered*]. (დმფ)
 დ. Kate must [*choose a husband*]. (ზფ)
 ა. ჰარიმ თავისი ჯარი საფრანგეთში შეიყვანა.
 ბ. კატარინა თავის ხელისმთხოვნელზე იყო გაბრაზებული.
 გ. ჰამლეტმა იცოდა, რომ მამამისი მოკლეს.
 დ. ქეითმა ქმარი უნდა აირჩიოს.

(98ა)-ში თანმიმდევრობა *army to* კომპონენტი არ არის, რადგან სიტყვა *army* კომპონენტის *his army* განუყრელი ნაწილია, ხოლო სიტყვა *to* ამ დეტერმინერიანი ფრაზის ნაწილი არაა — იგი თანდებულისანი ფრაზის *to France* განუყრელი ნაწილია. ამგვარად, სიტყვათა თანმიმდევრობები, რომლებიც იტალიკითაა დაბეჭდილი, სხვადასხვა კომპონენტების ნაწილებს მოიცავენ, მაგრამ თავად კომპონენტები არ არიან. (98ბ)-ში ფრაზა *angry at her* ზედსართავიანი ფრაზის კომპონენტს ქმნის, თუ სიტყვა *her* ის ნაცვალსახელია, რომელიც თანდებულის *at* ობიექტად გვევლინება, მაგრამ (98ბ)-ში იგი დეტერმინერიანი ფრაზის *her suitor* ნაწილია, ხოლო მთლიანი დეტერმინერიანი ფრაზა *at* თანდებულის ობიექტია; ამგვარად, იტალიკიანი თანმიმდევრობა სრულ კომპონენტს ვერ ქმნის; სრული რომ იყოს, იგი მთლიან დეტერმინერიან ფრაზას უნდა შეიცავდეს. (98გ)-ში იტალიკიანი თანმიმდევრობა *knew that his father* კომპონენტს არ შეადგენს, ვინაიდან დაქვემდებარებული თანმიმდევრობა *that his father* კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ჩართული დმფ-ს არასრული ნაწილია. (98დ)-ში თანმიმდევრობა *must choose* კომპონენტი არაა, ვინაიდან ზმნა *choose* ზმნიანი ფრაზის *choose a husband* არასრული ნაწილია, მაშინ, როცა მოდალური ზმნა *must* ამ ზმნიანი ფრაზის ნაწილი არ არის.

(99)-სა და (100) მაგალითებში არსებული კონტრასტი გვიჩვენებს, რომ ტოპიკალიზაციას მხოლოდ ის კვადრატულ ფრჩხილებში მოქცეული თანმიმდევრობები ექვემდებარება, რომლებიც კომპონენტებს ქმნის:

- (99) ა. To France, Harry brought his army ____ (თანდებულიანი ფრაზა)
 ბ. Everyone expected her to be angry at Petruccio, and
 angry at her suitor, Katherine was ____ (ზედსართავიანი ფრაზა)
 გ. That his father had been murdered, Hamlet knew ____ (დმფ)
 დ. Her father ordered her to choose a husband, so
 choose a husband, Kate must ____ (ზმნიანი ფრაზა)(100)
- (100) ა. * army to, Harry brought his ____ France.
 ბ. Everyone expected her to be angry at Petruccio, and
 * angry at her, Katherine was ____ suitor.
 გ. * knew that his father, Hamlet ____ had been murdered.
 დ. Her father ordered her to choose a husband, so ...
 * must choose Kate ____ a husband.

ამგვარად, ტოპიკალიზაციის კონსტრუქცია სრულიად სანდო სადიაგნოსტიკო ცდა და ხერხია შედგენილობის დასადგენად — არა მხოლოდ დეტერმინერიანი ფრაზის კატეგორიებისთვის, არამედ თვ, (ზედსართავიანი), დმფ და ზმფ (ზმნური) კატეგორიებისთვის.

პრო-ფორმები

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ნაცვალსახელები შეიძლება დეტერმინერიანი ფრაზებით ფუნქციონირებდეს და რომ ისინი მათ წინ მდგარი დეტერმინერიანი ფრაზების კორეფერენტებადაც შეიძლება იქნენ ინტერპრეტირებულნი, როგორც (101)-ში:

- (101) ა. [Petruccio] expects that *he(i)* will marry Kate.
 ბ. [The king of France](i) ordered Henry to pledge allegiance to *him (i)*.
 გ. Cordelia asked [our foolish king] about *his(i)* plans.
 დ. Oberon liked [the forest](i) for *its* climate.
 ა. პეტრუჩიო მოელის, რომ ქეთის ცოლად შეირთავს.
 ბ. საფრანგეთის მეფემ ჰენრის უბრძანა, მისთვის ერთგულება შეეფიცა.
 გ. კორდელიამ ჩვენს შეშლილ მეფეს მისი გეგმების შესახებ ჰკითხა.
 დ. ობერონს ტყე მისი ჰავის გამო უყვარდა.

ამ მაგალითების კვადრატულ ფრჩხილებში მოქცეული დეტერმინერიანი ფრაზების განხილვა კომპონენტებად ორი თვალსაზრისით შეიძლება: ისინი სუბიექტურ ან ობიექტურ პოზიციაში გვხვდება და ისინი მათთან ერთად ინდექსირებული ნაცვალსახელების ანტეცედენტებით (განმარტება : წინ მდგომი წევრი) ფუნქციონირებს. რომ დავაზუსტოთ, მას იგივე რეფერენტი აქვს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ნაცვალსახელს არ შეიძლება ანტეცედენტად ჰქონდეს სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც დეტერმინერიანი ფრაზა არ არის; მაგალითად, (102ა)-ში ნაცვალსახელი "*him*" იგივეს არ ნიშნავს, რასაც თანმიმდევრობა *the king of*, ვინაიდან არ არსებობს ისეთი კომპონენტი, რომელიც ამ ნაცვალსახელის ანტეცედენტის როლს შეასრულებს. (102ბ)-ში ნაცვალსახელს *him* იგივე მნიშვნელობა არ აქვს, რაც თანმიმდევრობას *foolish king*, ვინაიდან ეს თანმიმდევრობა სრული დეტერმინერიანი ფრაზა არ არის. (ეს შეიძლება სრული სახელიანი ფრაზა იყოს, მაგრამ ისეთი ნაცვალსახელების ანტეცედენტი, რო-

გორიცაა *him*, დეტერმინერიანი ფრაზა უნდა იყოს.)

- (102) ა. **[The king of] (i) France ordered Henry to pledge allegiance to him(i) England.*
(The king of France ordered Henry to pledge allegiance to the king of England)
 ბ. **Cordelia asked our [foolish king](i) about your him(i).*
(Cordelia asked our foolish king about your foolish king)

დეტერმინერიანი ფრაზების გარდა, კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც ნაცვალსახელის ანტიცედენტად ფუნქციონირებს, დმფ-ა (დამატების მქმნელი ფრაზა). ის *it* ნაცვალსახელის ანტიცედენტად გვევლინება, როგორც წარმოდგენილ მაგალითში ჩანს (103ა-ბ). თუმცა, ამ ნაცვალსახელის ანტიცედენტობა მხოლოდ სრულ დმფ-ს შეუძლია, ამას (103გ-დ) მაგალითი ადასტურებს, სადაც იტალიკით მოყვანილი თანმიმდევრობებით ისეთი დმფ-ების აგება, რომლებიც *it* ნაცვალსახელის ანტიცედენტობას გასწევს, არაბუნებრივია. (ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ (103გ)-ს შინაარსი ისეთი იქნებოდა, თითქოს შაილოკს სჯეროდა, რომ ანტონიო ვერონაში ცხოვრობდა, (103დ) კი იმაზე მეტყველებდა თითქოს ჰამლეტის დედას ეჭვი ჰქონდა, რომ მისი (ჰამლეტის) მამა საკვების მოუნელებლობამ მოკლა.)

- (103) ა. *ortia stated [დმფ that Antonio would live in Venice](i), but Shylock didn't believe it.*
 ბ. *Hamlet knew [დმფ that his father had been killed by poison](i) because he heard it(i) from his father's ghost.*
 გ. *Portia stated that Antonio would live in Venice, but Shylock believed it in Verona.*
 დ. *Hamlet knew that his father had been killed by poison, but his mother suspected it by indigestion.*

კონტრასტი (103ა-ბ)-სა და (103გ-დ)-ს შორის განსაკუთრებით თვალშისაცემია, ვინაიდან იტალიკით მოყვანილი თანმიმდევრობები (103გ-დ)-ში ხანდახან სრული დმფ-ებიც შეიძლება იყოს, მაგალითად, იმ კონტექსტში, როგორსაც (103ე-ვ) გვთავაზობს:

- (103) ე. *Portia stated that Antonio would live, but Shylock didn't believe it.*
 ვ. *Hamlet knew that his father had been killed, and his mother suspected it.*
 ე. პორციამ განაცხადა, რომ ანტონიო იცოცხლებს, მაგრამ შაილოკს ეს არ სჯეროდა.
 ვ. ჰამლეტმა იცოდა, რომ მამამისი მოკლეს, ხოლო დედამისი ამას ეჭვობდა.

მიზეზი, თუ რატომ არის არაბუნებრივი ამ თანმიმდევრობების სრულ დმფ-ებად განხილვა (103გ-დ) წინადადებებში ისაა, რომ იგი მოითხოვს თანდებულებას ფრაზებს *in Venice* და *in Verona* ((103გ)-ში) და ((103დ)-ში) — *by poison* და *by indigestion* ადგილი ამ დმფ-ების გარეთ, მათ შემცველ ზმნურ ფრაზებში მოექცნოს. ამ ფრაზებში ისინი ამ ზმნური ფრაზების ზმნების განსაზღვრებად იქნება აღქმული. მაგალითად, (103გ) ასეთ შემთხვევაში აღნიშნავს, რომ პორციამ განცხადება ვენეციაში გააკეთა და შაილოკმა ეს განცხადება ვერონაში დაიჯერა, ხოლო (103დ) — თითქოს ჰამლეტმა ეს ცოდნა შხამის მეშვეობით შეიძინა, ხოლო დედამისს ეჭვი საკვების მოუნელებლობის

გამო გაუჩნდა. მოსაუბრეები, ჩვეულებრივ, ასეთ ინტერპრეტაციებს არ აკეთებენ, როგორც (103დ) შემთხვევაში გვაქვს და ამით იტალიკიანი თანმიმდევრობების დმფ-ებად განხილვის არაბუნებრივობას ამტკიცებენ.

პრედიკატული კატეგორიები, როგორებიცაა ზმნიანი ფრაზა და ზედსართავიანი ფრაზა, შეიძლება so პროფორმის ანტიცედენტები იყოს, როგორც (104)-ში მოყვანილი მასალა მოწმობს; ეს პროფორმა ხშირად წინადადების თავში ჩნდება და სუბიექტსა და დამხმარე ზმნას შორის ინვერსიას ინვესს (იხილეთ ჩანართი 3.4), როგორც (104გ-დ)-ში:

(104) ა. Henry will [pass the wine to Falstaff], and Bardolph will do so_i too.

ბ. Kate seems [angry at her father]_i, and Bianca seems so_i too.

გ. Oberon must [face the consequences of his actions]_i,
and so_i must Puck.

დ. Kate is [angry at her father]_i, and so_i is Bianca.

ა. ჰენრი ფალსტაფს ღვინოს მიანოდებს.

და ბარდოლფიც იგივეს იზამს.

ბ. ქეთი მამამისზე გაბრაზებული ჩანს. და ასევე (ჩანს) ბიანკაც.

გ. ობერონმა თავისი ნამოქმედარს თვალი უნდა გაუსწოროს.

და იგივე უნდა ქნას პაკმა(ც).

დ. ქეთი მამამისზეა გაბრაზებული და ასევეა ბიანკაც.

პროფორმა so განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზმნური ან ზედსართავიანი ფრაზის საკომპონენტო სტრუქტურისათვის ღირებული მასალის მოწოდების თვალსაზრისით. მაგალითად, (105) მაგალითის განხილვის შემდეგ ვიცით, რომ თანმიმდევრობა *pass the wine* თავადაც ზმნიანი ფრაზასავით ფუნქციონირებს, ხოლო ზედსართავი *angry* ასევე თავადაა ზედსართავიანი ფრაზა:

(105) ა. Henry will [pass the wine]_i and Bardolph will do so_i too.

ბ. Kate is [angry]_i, and so_i is Bianca.

pass the wine da angry (105)-ში დასრულებული ფრაზებია, მაგრამ (104ა-ბ)-ში — არასრული; სხვაგვარად, პროფორმა so (106)-ში ამ თანმიმდევრობებს უნდა უკავშირდებოდეს, რაც არ ხდება:

(106) ა. ?* Henry will [pass the wine]_i to Falstaff, and Bardolph
will do so_i to Pistol.

ბ. ?* Kate is [angry]_i at her father, and so_i is Bianca at her mother.

ა. ჰენრი ღვინოს ფალსტაფს გადაანოდებს, ხოლო

ბარდოლფი — ფისტოლს (იგივეს იზამს ფისტოლისთვის).

ბ. ქეთი მამაზეა გაბრაზებული, ხოლო ბიანკა კი — დედაზე.

(106)-ის მაგალითების გრამატიკული გაუმართაობა იმას მოწმობს, რომ *pass the wine* სრული ზმნიანი ფრაზა არ არის, როცა მას უშუალოდ მოსდევს თანდებულებიანი ფრაზა *to Falstaff*, როგორც წარმოდგენილ (104ა) და (106ა) მაგალითებში. ასევე თვალსაჩინოა, რომ ზედსართავი *angry* სრულყოფილ ზედსართავიან ფრაზად არ ითვლება, როცა (104ბ)-სა და (106ბ)-ში, მას თანდებულებიანი ფრაზა *at her father* მოსდევს. ამგვარად, (107)-ის მაგალითებში მოყვანილი სტრუქტურები სწორი ვერ იქნება:

(107) ა. Henry [ზმფ will [ზმფ pass the wine] [თფ to Falstaff]]

ბ. Kate [ზმფ is [ზფ angry] [თფ at her father]]

პირიქით, თფ *to Falstaff* უფრო მცირე ზმნიან ფრაზაში უნდა იქნეს ჩართული, ხოლო *angry* ზედსართავის შემცველი ზფ ასევე უნდა შეიცავდეს თანდებულებიან ფრა-

ზას *at the father*. ამას (104) მაგალითის კვადრატული ფრჩხილების წყობაც მოწმობს. როგორ შევუთავსოთ ეს ფაქტი (105) მაგალითის მონაცემებს? ამის ყველაზე მარტივად და ბუნებრივად განმარტება თეტა-კრიტერიუმისა და შერჩევის თეორიის ურთიერთქმედების ფონზე შეიძლება: რაზეც ვისაუბრეთ განყოფილება 2.6-ში. (104ა-ბ)-მ რომ მკაფიო და თანმიმდევრული ინტერპრეტაცია მიიღოს, თანდებულებიან ფრაზებს *to Falstaff da at her father* თეტა-როლები უნდა მიენიჭოს და ამგვარად, თითოეული იმ ლექსიკური კატეგორიის დამატებად უნდა წარმოჩნდეს, რომელსაც მათთვის მისანიჭებელი თეტა-როლი ექნება. (104ა)-ში თვ *to Falstaff* ზმნის *pass* დამატება უნდა იყოს და არა მოდალური ზმნისა *will*, როგორც ეს (107ა)-შია, ვინაიდან მხოლოდ ზმნას *pass* გააჩნია მისთვის მისანიჭებელი სამიზნე თეტა-როლი. მსგავსი მიზეზის გამო, (104ბ)-ში თვ *at her father* ზედსართავის *angry* დამატება უნდა იყოს. განყოფილება 2.6-ში უკვე ითქვა, რომ X ლექსიკური კატეგორიის დამატება ისეთიX ფრაზის ფარგლებში უნდა მოექცეს, რომლის სათაო სიტყვა X იქნება; (106) სწორედ ამის მაგალითია.

კიდევ ერთი პრედიკატული კატეგორია, რომელიც ინგლისურ ენაში პროფორმის ანტიცედედენტის როლს ასრულებს, სახელიანი ფრაზაა. ის შეიძლება განუსაზღვრელი ნაცვალსახელის *one* (ვინმე, ვიღაც, ერთი) ანტიცედედენტის ფუნქციასაც ასრულებდეს. ერთი შეხედვით, *one* ნაცვალსახელის ანტიცედედენტი დეტერმინერიანი ფრაზა უნდა იყოს, როგორც ეს მაგალით (108)-შია:

(108) ა. Petruccio wanted [a wife]_i and Hortensio wanted one_i too.

ბ. Macbeth stabbed [a king]_i in Scotland, and Claudius poisoned one_i in Denmark.

ა. პეტრუჩიოს ცოლი უნდოდა და იგივე (ცოლი) უნდოდა ჰორტენზიოსაც.

ბ. მაკბეტმა შოტლანდიაში მეფე დანით განგმირა, ხოლო კლავდიუსმა დანიაში იგი (იგულისხმება: ისეთივე მეფე) მონამლა.

(ეს სიტყვა ინგლისური ენის რთულ წინადადებებში იმისთვის გამოიყენება, რომ პირველ წინადადებაში ნახმარი სახელის გამეორება არ მოხდეს. ამის ნიმუშებია ზემოთ მოყვანილი წინადადებები თუმცა, მისი გამოჩენა მსგავს წინადადებებში შეიძლება დამაბნეველი გამოდგეს. სხვა ნაცვალსახელებისგან განსხვავებით, რომელთაც დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილი ანტიცედედენტები გააჩნიათ, *one* იმ დეტერმინერიანი ფრაზების კორეფერენტულ ელემენტად არ ინტერპრეტირდება, რომლებიც (108) მაგალითებში არიან თანაინდექსირებულნი. ამის ნაცვლად, მისი რეფერენტი ანტიცედედენტის მსგავსი სხვა ინდივიდუმა ((108ა) მაგალითში — სხვა, მეორე ცოლი, (108ბ)-ში კი — სხვა მეფე). ეს ასე იქნებოდა, ანტიცედედენტი რომ დეტერმინერიან ფრაზის ფარგლებში შემავალი სახელიანი ფრაზა ყოფილიყო, ვინაიდან სახელიანი ფრაზები შეიძლება პრედიკატებად იქნეს ინტერპრეტირებული, რაშიც ზემოთ, 2.5 განყოფილებაში დავრწმუნდით. უფრო ვრცელ მასალასთან გაცნობა იმ მოსაზრებას უმაგრებს საფუძველს, რომ *one* სინამდვილეში სახელიანი ფრაზაა. ამ ფრაზას ანტიცედედენტადაც სახელიანი ფრაზა აქვს და არა მთლიანი დეტერმინერიანი ფრაზა:

(109) ა. Petruccio wanted [a vocal wife]_i, but Hortensio wanted [a quiet one]_i.

ბ. Macbeth stabbed [the Scottish king]_i, and Claudius poisoned [the Danish one]_i.

ა. პეტრუჩიოს ხმაურიანი ცოლი უნდოდა, ჰორტენზიოს — მშვიდი.

ბ. მაკბეტმა შოტლანდიის მეფე დანით მოკლა,

კლავდიუსმა დანიისა (ანუ: დანიის მეფე) — მონამლა.

აშკარაა, რომ *one*-ის ანტიცედენტად (109ა)-ში სახელიანი ფრაზა *wife* გვევლინება და არა დეტერმინირიანი ფრაზა *a vocal wife*; იგივე სიტუაციაა მაგალით (109ბ)-ში. მეტიც, ნაცვალსახელი *one* თვითონაა სახელიანი ფრაზა და არა დეტერმინირიანი ფრაზა, ვინაიდან სხვაგვარად გაგვიჭირდებოდა იმ ფაქტის ახსნა, რომ მას წინ დეტერმინირი და ზედსართავი უქდვის. ამგვარად, პროფორმა *one* სახელიანი ფრაზის შედგენილობის სადიაგნოსტიკო ცდას საფუძველს უქმნის. ეს ცდა თანდებულიანი ფრაზის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს, როცა იგი დეტერმინირიანი ფრაზის ფარგლებშია მოქცეული, როგორც მაგალით (110)-ის პირველ კლავზულებში:

(110) ა. ?* Macbeth stabbed the king [of Scotland],

and Claudius poisoned the *one* in Denmark.

ბ. ?* Portia's description [of Antonio's obligations] influenced the Duke's *one* of Shylock's sentence.

ა. ?* მაკბეტმა შოტლანდიის მეფე დანით განგმირა, კლავდიუსმა დანიის (მეფე) — მონამლა.

ბ. ?* პორციას მიერ აღწერილმა [ანტონიოს ვალდებულებებმა] გავლენა მოახდინა ჰერცოგის(აზე) (ვალდებულებაზე) შაილოკის განაჩენის მიმართ.

მაგალით (110)-ის წინადადებების უცნაურობა ადვილად აიხსნება, თუკი ორ ფაქტს გავითვალისწინებთ: პირველი: *One* სახელიანი ფრაზაა, რომელსაც ანტიცედენტად სახელიანი ფრაზა აქვს და მეორე: კვადრატულ ფრჩხილებში მოქცეული თანდებულიანი ფრაზები, რომლებიც სემანტიკური თვალსაზრისით, სახელების *king* და *description* დამატებებზე ინტერპრეტირდებიან, სწორედ სახელიანი ფრაზის უშუალო კომპონენტები უნდა იყვნენ და არა დეტერმინირიანი ფრაზისა. (110ა-ბ) წინადადებებში ეს ორი მოთხოვნა ვერ თანხვდება; თითოეულ შემთხვევაში, უკანასკნელი თანდებულიანი ფრაზა სახელიანი ფრაზის ფრაგლებში უნდა იყოს მოქცეული, მაგრამ ამ პოზიციას განუსაზღვრელი ნაცვალსახელი *one* იკავებს. ამგვარად, მაგალითი (110) კიდევ ერთ დადასტურებას აძლევს ჰიპოთეზას, რომ X პრედიკატული ლექსიკური კატეგორიის დამატება X ფრაზაში უნდა იყოს მოქცეული.

ნულოვანი პროფორმების ნაშლა

შედგენილობის დასადგენი კიდევ ერთი ცდა ისეთ პროცესს მოიცავს, რომელიც ტრადიციულად ნაშლას უკავშირდება. საამისო მაგალითი, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება განხილვის საგანი, ზმნიანი ფრაზის ნაშლაა. ამ პროცესის თვალსაჩინოებად (111) მაგალითს გთავაზობთ, სადაც ნაშლილი ზმნიანი ფრაზის პოზიცია დეფისით აღინიშნება:

(111) ა. Henry has [ზმფ passed the wine to Falstaff],

and Bardolph will ____ too.

ბ. Petruccio will [ზმფ find a wife], and Hortensio will ____ too.

ა. ჰენრიმ ღვინო ფალსტაფს მიანოდა და ბარდოლფიც ამას იზამს.

ბ. პეტრუჩიო ცოლს იპოვის და ასევე — ჰორტენზიოც.

როგორც მაგალით (111)-ის წინადადებათა ინტერპრეტაცია გვიჩვენებს, ნაშლილი ზმნიანი ფრაზა იმავე მნიშვნელობის ფრაზად აღიქმება, რა მნიშვნელობაც წინა წინადადების კვადრატულ ფრჩხილებში მოქცეულ ანტიცედენტ ზმნიან ფრაზას აქვს;

ასე მაგალითად, (111ა)-ში მეორე წინადადება *Bardolph will too* იმ აზრის გამოთქმის ელიპტიკურ გზად აღიქმება, რომ ფალსტაფს ღვინოს ბარდოლფიც მიანოდებს. ნაშლის თეორიის თანახმად, ზმნიანი ფრაზა მაშინ იშლება, როცა მის წინ სხვა, მისი იდენტური ზმნიანი ფრაზა დგას, მაგრამ წინადადების შინაარსის გააზრებისას ნაშლილი ფრაზა ისევე ინტერპრეტირდება, როგორც ნაუშლილი. ამ ფაქტს თავისი ახსნა გააჩნია: თემატური როლის მინიჭების წესები წინადადებაზე მანამდე ახდენს ზემოქმედებას, სანამ ზმნიანი ფრაზის ნაშლის პროცესი დაიწყება.

ამ კონსტრუქციების გაანალიზების კიდევ ერთი ხერხი გამოუთქმელი (ნულოვანი) ზმფ პროფორმების ცნებას ეფუძნება. ამ ალტერნატიული მიდგომის თანახმად, ინგლისურ ენას პროფორმა *so*-სთან შესაპირისპირებლად ნულოვანი საპირწონე გააჩნია, რომელიც ზემოთ განხილული ნულოვანი ნაცვალსახელების მსგავსია; ეს ნულოვანი პროფორმა ანტეცედენტად ზმნიან ფრაზას ირჩევს და ამის გამო ისე ინტერპრეტირდება, როგორც მისი იდენტური ელემენტი. რომელი მიდგომაც არ უნდა ავირჩიოთ, ზმნიანი ფრაზის ნაშლა შემადგენლობის დასდგენ ცდად, თუ ტესტად მაინც გამოდგება, ვინაიდან ნულოვანი პროფორმის ანტეცედენტი, ან ნაშლილი ზმნიანი ფრაზა, ორივე თეორიის თანახმად, სრული ზმნიანი ფრაზა უნდა იყოს. ამ მიზეზის გამო, ქვემოთ მოყვანილი წინადადებები გრამატიკულად გაუმართავია, ვინაიდან მათი ანტეცედენტები სრული ზმნიანი ფრაზები არაა:

(112) ა. * Henry has *passed the wine to Falstaff*,
and Bardolph has _____Pistol.


ბ. * Petruccio will *find* a wife, and Bianca will _____ a husband.

ზმნიანი ფრაზის ნაშლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ნაშლილი ზმნიანი ფრაზის (ნულოვანი ზმფ პროფორმა) წინ დამხმარე ზმნა დგას; ხშირად, როცა წინადადებაში სხვა დამხმარე ზმნა არ არის, ინგლისურ ენაში დამხმარე ზმნა *do* იხმარება:

(113) Petruccio [ზმფ found a wife], and Hortensio did _____ too.

(. . . Hortensio did find a wife too.)

(113)-ში მოყვანილი წინადადებები განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს, ვინაიდან მათ მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ანტეცედენტი დეტერმინერიანი ფრაზა არსებითად არის სუფთა სახის ზმნიანი ფრაზა *find a wife*, და არა დროიანი ზმნიანი ფრაზა *found a wife*; ანტეცედენტი ეს დროიანი ზმნიანი ფრაზა რომ იყოს, მაშინ შედეგად გრამატიკულად გაუმართავ ფორმას მივიღებდით, მაგალითად, ასეთს: * *Hortensio did found a wife*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნიანი ფორმის ნაშლა, ჩვენდა გასაკვირად, იმაზე მიუთითებს, რომ ზმნიანი ფრაზა დროის აღმნიშვნელ მორფემას არ შეიცავს; მეტიც, „დროიანი დმფ“ არსებითად ორი ნაწილისგან შედგება — გრამატიკული დროისგან, რომელიც ისევე ფუნქციონირებს, როგორც *will* მოდალური ზმნა (11ბ) წინადადებაში და — უდროო ზმნიანი ფრაზისგან, რომელიც ნაშლილი ზმნიანი ფრაზის (ან ნულოვანი ზმფ პროფორმის) ანტეცედენტად გვევლინება, როგორც ეს მაგალით (114)-შია:



ფაქტობრივად, ამ სურათს საფუძველს ზმნიანი ფრაზის შედგენილობის საკვლევი სხვა ცდებიც უმაგრებს. მაგალითად, ტოპიკალიზაციის ზემოთ განხილული ნიმუში სუფთა სახით წარმოდგენილი იმ ზმნიანი ფრაზის გადანაცვლებასაც გულისხმობს, რომელსაც წინ დამხმარე ზმნა უძღვის. თუკი წინადადებაში ასეთი დამხმარე ზმნა არ არის, დროიანმა ზმნიანმა ფრაზამ შეიძლება ტოპიკალიზაცია არ განიცადოს, როგორც ამას (115ა) წინადადების მაგალითზე ვხედავთ; სამაგიეროდ, სუფთა სახით წარმოდგენილმა ზმნიანმა ფრაზამ ადგილი უნდა იცვალოს, ხოლო დამხმარე ზმნა *do* დროიან ფორმას შეერწყმება:

(115) ა. *Kate's father thought that she loved him,
and loved him, she _____.

ბ. Kate's father thought that she loved him,
and love him, she did _____.

ა-ბ. ქეთის მამას ეგონა, რომ მას (მდედრ.) უყვარდა იგი (მამრ.)
და მას (მდედრ.) მართლაც უყვარდა იგი (მამრ.).

იგივე ითქმის *so* პროფორმის დმფ ანტიცედენტზე (116) წინადადებაში: *so* პროფორმის ანტიცედენტი სუფთა სახით წარმოდგენილი ზმნიანი ფრაზა უნდა იყოს, და არა დროიანი ზმნიანი ფრაზა, ვინაიდან თვით *so* უდროო ელემენტია:

(116) ა. *Henry [passed the wine to Falstaff], and Bardolph so; too.

ბ. Henry [passed the wine to Falstaff], and Bardolph did so; too.

ამგვარად, შედგენილობის დასადგენ სამივე ცდას მოულოდნელ დასკვნამდე მივყავართ: დროიანი ზმნიანი ფრაზები სინამდვილეში სულაც არ არის ზმნიანი ფრაზები; თუკი ისინი მაინც შეიძლება ჩაითვალოს კომპონენტებად, მაშინ ეს ზმნიანი ფრაზები განსხვავებული ტიპის ზმნიან ფრაზებად უნდა ჩავთვალოთ, ალბათ, ისეთ დროიან დმფ-დ, როგორიც მაგალით (114)-ში შეგვხვდა. თუ ამ მაგალითში წარმოდგენილი სტრუქტურა სწორია, ის უნდა განვმარტოთ, რატომ არის წარსული დროის ნიშანი ზმნის სუფიქსად წარმოდგენილი; ამ საკითხზე მე-5 თავში ვისაუბრებთ.

კოორდინაცია (შეთანხმება)

შედგენილობის დასადგენი უკანასკნელი ტესტი შეთანხმებას უკავშირდება — კონსტრუქციათა ისეთ კლასს, რომელიც ერთი და იმავე ტიპის შემათანხმებელი ნაწილაკით, ან *and* (და) კავშირით გამოყოფილ ორ კომპონენტს მოიცავს. კოორდინაციას პრაქტიკულად ნებისმიერი კატეგორია ექვემდებარება, მათ შორის დამატების მქმნელი ფრაზა (დმფ) — (117ა), წინადადება (წ) — (117ბ), დროიანი ფრაზა (დფ) — (117გ), ზმნიანი ფრაზა (ზმფ) — (117დ), ზედსართავიანი ფრაზა (ზფ) — (117ე), თანდებულებიანი ფრაზა (თფ) — (117ვ), დეტერმინერიანი ფრაზა (დფ) — (117ზ) და სახელიანი ფრაზა (117თ). თითოეულ ამ შემთხვევაში, მთლიანი წინადადება ისე „იქცევა“, როგორც განსახილველი კატეგორიის ერთი ცალკეული შემთხვევა; ამგვარად, X ფრაზა — და -X ფრაზა ისე „იქცევა“, როგორც ცალკეული X ფრაზა:

(117) ა. Hamlet knew [დმფ [დმფ that his father had been poisoned]
and [დმფ that his stepfather was a murderer]].

ბ. Hamlet knew that [წ [წ his father had been poisoned]
and [წ his stepfather was a murderer]

გ. Petruccio [დფ [დფ found a beautiful woman] and [დფ married her]].

დ. Petruccio will [ზმფ[ზმფ find a beautiful woman] and [ზმფ marry her]].

- ე. The [ზო [ზო strong] and [ზო handsome]] king considered the princess [zf [zf beautiful] and [zf intelligent]].
- ვ. The king walked [თფ [თფ across the field] and [თფ into the forest]].
- ზ. [დფ [დფ Macbeth] and [დფ his wife]] killed [დფ [დფ him] and [დფ his son]].
- თ. The [სფ [sf Doge of Venice] and [სფ gentlemen of the court]] were impressed by Portia's [სფ [დფ skill] and [დფ intelligence]].
- ა. ჰამლეტმა იცოდა, რომ მამამისი მონამლეს და რომ მისი მამინაცვალი მკველელი იყო.
- ბ. ჰამლეტმა იცოდა, რომ მამამისი მონამლეს და (ხოლო) მისი მამინაცვალი მკველელი იყო.
- გ. პეტრუჩიომ ლამაზი ქალი იპოვა და მასზე იქორწინა.
- დ. პეტრუჩიო ლამაზ ქალს იპოვის და მასზე იქორწინებს.
- ე. ძლიერი და ლამაზი მეფე პრინცესას ლამაზად და ჭკვიანად თვლიდა.
- ვ. მეფემ მინდორი გადაირა და ტყეში (შევიდა).
- ზ. მაკბეტმა და მისმა ცოლმა ის და მისი ვაჟი მოკლეს.
- თ. ვენეციელი დოჟი და კარის დარბაისლები პორციას გარჯილობამ და გონიერებამ გააოცა.

მხოლოდ კომპონენტების შეთანხმებაა შესაძლებელი; (118გ-დ) წინადადებები გრამატიკულად გაუმართავია, ვინაიდან აქ სიტყვათა შეთანხმებული თანმიმდევრობები კომპონენტები არაა:

- (118) ა. Oberon [თფ [თფ lived in the forest] and [თფ ruled over the forest]].
- ბ. [წ [წ The merchant of Venice was broke] and [წ the merchant of Verona was rich]].
- გ. *Oberon *lived in the* and *ruled over the* forest.
- დ. *The merchant of *Venice was broke* and *Verona was rich*.
- ა. ობერონი ტყეში ცხოვრობდა და ტყის მბრძანებელი იყო (ტყეს მართავდა).
- ბ. ვენეციელი ვაჭარი გაღატაკებული იყო და (ხოლო) ვერონელი ვაჭარი მდიდარი (იყო).
- გ. ობერონი — ში ცხოვრობდა და ტყის მბრძანებელი იყო.
- დ. ვენეციელი ვაჭარი გაღატაკებული იყო და (ხოლო) ვერონა მდიდარი (იყო).

ამას გარდა, როცა შესათანხმებელი კომპონენტები ერთსა და იმავე კატეგორიას არ მიეკუთვნება, შეთანხმება შეუძლებელია. მაგალითად, მართალია, ზმნას *write* დამატებად დეტერმინირიანი ფრაზის ან თანდებულიანი ფრაზის არჩევა შეუძლია, როგორც ამას წინადადება (119ა)-ში ვხედავთ, მაგრამ (119ბ)-ში დეტერმინირიანი ფრაზის და თანდებულიანი ფრაზის შეთანხმება არ ხდება; სწორედ ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ზმნას *appear* შეიძლება ნაწილაკ *to*-ზე დაწყებული ინფინიტივური კლაუზულა (საწყის ფორმაში მდგარი დროიანი ფრაზა), ან თფ — ამ შემთხვევაში *outside the castle* მოსდევდეს, როგორც (119გ)-ში, ეს კატეგორიები (119დ)-ში შეთანხმებას არ ექვემდებარება:

- (119) ა. The scribe wrote a book and the king wrote to his wife.

- ბ. *The scribe wrote [[დგ a book] and [თფ to his wife]].
- გ. The forest appeared [დგ to move]. Soon, it appeared [თფ outside the castle].
- დ. *The forest appeared [[დგ to move] and [თფ outside the castle]].
- ა. მწერალმა წიგნი დანერა და (ხოლო) მეფემ ცოლს მისწერა (წერილი დანერა).
- ბ. მწერალმა წიგნი დანერა და მის ცოლს.
- გ. ტყე თითქოს დაიძრა. მალე იგი ციხე-სიმაგრის გარეთ აღმოჩნდა.
- დ. ტყე თითქოს დაიძრა და ციხე-სიმაგრის გარეთ.

მაგალითები (119ბ) და (119დ) **მსგავსთა შეთანხმების კანონზომიერებას** არღვევს. ეს კანონზომიერება მოითხოვს, რომ ერთმანეთს მხოლოდ „მსგავსი კომპონენტები“ (მაგალითად, ერთი და იმავე კატეგორიის წევრი კომპონენტები) შეეთანხმოს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონზომიერების თანახმად, დეტერმინირიანი ფრაზების ისეთი შეთანხმება, როგორც (117ვ)-შია, კიდევ ერთხელ ამტკიცებს — ნაცვალსახელები, სახელები, დეტერმინირიანი ფრაზების სხვა სახეობები — ყველა ერთ კატეგორიას მიეკუთვნება.

შედგენილობის დასადგენი ცდების შესახებ მსჯელობა აქ დავასრულოთ. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ეს ცდები კომპონენტური შედგენილობის თაობაზე ამ თავში გაშლილი მსჯელობის ემპირიულად დასამონმებელი კარგი მასალაა. შესაძლოა, ამ საკითხებზე ჩვენი მსჯელობა დროდადრო ზედმეტად გამარტივებული იყო, სირთულის შემომტანი არაერთი ფაქტორიც გამოვტოვეთ, მაგრამ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა წარმოდგენას შეეიქმნადათ, თუ როგორ იყენებენ ენათმეცნიერები ამ ცდებს ინგლისურ და სხვა ენებში წინადადების საკომპონენტო სტრუქტურის სისწორის დასადგენად.

საპარაჯიშო
3. 9

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ზედსართავი *alone* წინადადების ბოლოში დგას:

- (1) Falstaff must drink his beer alone.

ფალსტაფმა ლუდი მარტომ უნდა დალიოს.

ეს წინადადება ორ ზმფ კვანძს შეიცავს: ერთი ზმფ კვანძი უშუალოდ დომინირებს ზმნაზე *must*, ხოლო მეორე ასევე უშუალოდ დომინირებს ზმნაზე *drink*. რაკი ზედსართავი წინადადების ბოლოში დგას, მკაფიოდ არ იკვეთება, თუ რომელი ზმფ კვანძი დომინირებს მასზე.

- (ა) ამ წინადადებისთვის ორი ხისებრი დიაგრამა შეადგინეთ; ერთ დიაგრამაზე ზედსართავი უფრო ზედა დმფ კვანძის უშუალო კომპონენტი უნდა იყოს, ხოლო მეორე ხეზე — ზედსართავზე მასზე უფრო ქვემოთ მდებარე დმფ კვანძი უნდა დომინირებდეს.
- (ბ) შემდეგი მასალა (1) წინადადების კომპონენტური სტრუქტურის შესახებ მამტიკცებელ მონაცემებს შეიცავს. ეს მონაცემები გადანაცვლებას, დმფ-ს წაშლას და პროფორმებს უკავშირდება. ეს მონაცემები გამოიყენეთ იმის დასადგენათ, თუ ზემოთ, თქვენს მიერ შედგენილი რომელი ხისებრი დიაგრამაა სწორი. თითოეულ მაგალითს დაურთეთ განმარტება, თუ როგორ „მუშაობს“ მოცემულ შემთხვევაში ესა თუ ის ცდა და შეადგინეთ არგუმენტი ერთი რომელიმე სტრუქტურისთვის.

- (2) The king stated that Shylock must drink his beer alone, and drink his beer alone Shylock must.
 მეფემ განაცხადა, რომ შაილოკმა ლუდი მარტომ უნდა დალიოს და შაილოკმა ლუდი უნდა დალიოს კიდეც მარტომ.
- (3) * The king stated that Shylock must drink his beer alone, and drink his beer Shylock must alone.
- (4) The king stated that Shylock must drink his beer alone, and Henry must too.
 მეფემ განაცხადა, რომ შაილოკმა ლუდი მარტომ უნდა დალიოს და ჰენრიც ასე უნდა მოიქცეს.
- (5) * Shylock must drink his beer alone, and Henry must with Pistol.
- (6) The king stated that Shylock must drink his beer alone, and so must Henry.
 (ეს წინადადება, ისევე, როგორც წინადადება (4), გულისხმობს, რომ ლუდი ჰენრიმაც მარტომ უნდა დალიოს.)

3.3.3. ფრაზის სტრუქტურის წარმოება ფრაზის სტრუქტურული წესებით: ინგლისური ენის მინი-გრამატიკა

3.2 განყოფილებაში სინტაქსის თეორიის არაერთი ძირეული ცნება შემოვიტანეთ და სხვადასხვა სახის ფრაზების არსებობაზე ვისაუბრეთ. 3.3.1 განყოფილებაში გიჩვენეთ, როგორ წარმოადგენენ გრაფიკულად ამ სტრუქტურებს ენათმეცნიერები, ხისებრი დიაგრამები იქნება ეს, თუ კვადრატული ფრჩხილებით მარკირებული აღნიშვნა, ხოლო განყოფილებაში 3.3.2 ამ სტრუქტურების სისწორის მამტიციებელი ზოგიერთი მასალა (სხვა შესაძლო სტრუქტურებთან შეპირისპირებით) მოვიყვანეთ. ამ განყოფილებაში კი ვიმსჯელებთ, თუ როგორ წარმოადგება ეს სტრუქტურები ფრაზის სტრუქტურული წესების მეშვეობით — მსჯელობის კვალდაკვალ ჩვენ ამ თავში ინგლისური ენის მინიგრამატიკას, ანუ ინგლისური ენის გრამატიკის მიკროკოსმის მოდელს ავაგებთ. ეს მოდელი სრული ვერ იქნება, მაგრამ მისი იმდენად განვრცობა კი შეგვიძლია, რომ საკმაო მოცულობის მასალას გასწვდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი მოდელი ინგლისური ენის სრული გრამატიკის ბირთვს, არსს წარმოადგენს, მისი აგებულების, ჩონჩხის წარმოადგენას გაგვიადვილებს.

ამ მინიგრამატიკის არსს ფრაზის სტრუქტურული წესები ქმნის — წესები, რომლებიც ნებისმიერი ინგლისური ფრაზის სტრუქტურას განსაზღვრავს. ამ წესების არაფორმალური წარდგენა (73) მაგალითით დავიწყეთ; ამ განყოფილებაში გაჩვენებთ, როგორ შეიძლება ზემოხსენებული წესების ფორმულირება იმ ტრადიციული აღნიშვნების მეშვეობით, რომლებსაც ენათმეცნიერები ფრაზის სტრუქტურულ წესებზე დაყრდნობით იყენებენ. ამ ფრაზებს ლინგვისტები **კონტექსტისგან თავისუფალ სა-რედაქციო წესებს** უწოდებენ (*context-free rewrite rules*).

მოდით, ჯერ ის წესი გავიხსენოთ, რომლითაც თანდებულებიანი ფრაზები (73ა) წარმოიქმნება:

(73) ა.თანდებულები (თ) + დეტერმინერიანი ფრაზა (დფ) ქმნის თანდებულებიან ფრაზას (თფ): in Athens, at Falstaff, to the king და ა.შ.

ფრაზის სტრუქტურის შესაქმნელი წესის სტანდარტული აღნიშვნით, ეს სიტუაცია ასე გამოიყურება:

(120) თანდებულიანი ფრაზა (თფ) → თანდებული (თ)
დეტერმინერიანი ფრაზა (დფ)

ისარი (→)ფრაზის სტრუქტურული წესის წარმოდგენისას ცვლის სიტყვას „შეიცავს“ (ან, მეტი სიზუსტისათვის, „უშუალოდ შეიცავს“, ან „უშუალოდ დომინირებს“). სიტყვა, ან შემოკლებული აღნიშვნა, რომელიც ისრის მარცხნივ დგას, იმ ფრაზის სახელწოდება იქნება, რომელსაც მოცემული წესი განსაზღვრავს. ისრის მარჯვნივ ამ ფრაზების უშუალო კომპონენტების სახელწოდებებს ხედავთ; ესენი მარცხნიდან მარჯვნივაა დაწერილი — იმ თანმიმდევრობით, როგორითაც წარმოითქმის. (როგორც ფრაზის სტრუქტურის ხისებრი დიაგრამით გამოსახვის შემთხვევაში, მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული აღნიშვნა ისეთი ენების შემთხვევაშიც კი გამოიყენება, როგორებიცაა არაბული და იაპონური, რომელთა ტრადიციული ორთოგრაფიები საპირისპირო, მარჯვნიდან მარცხნივაა მიმართული.) ამგვარად, მაგალითი (120) გვეუბნება, რომ თანდებულიანი ფრაზა უშუალოდ დომინირებს თანდებულსა და დეტერმინერიან ფრაზაზე და რომ თანდებული დეტერმინერიან ფრაზას წინ უსწრებს.

ახლა (73ბ)-ში მოყვანილი ის წესები განვიხილოთ, რომლებიც ზედსართავიან ფრაზებს ქმნის:

- (73) ბ. 1. ზედსართავი (ზ) + თანდებულიანი ფრაზა (თფ) ქმნის
ზედსართავიან ფრაზას (ზფ): angry at Petruccio,
suspicious of Shylock და ა.შ.
2. ზედსართავი ზედსართავიან ფრაზას დამოუკიდებლადაც
ქმნის: angry, suspicious და ა.შ.

ეს წესები (121)-ში ასე იქნება წარმოდგენილი:

- (121) ა. ზედსართავიანი ფრაზა → ზედსართავი თანდებულიანი ფრაზა
ბ. ზედსართავიანი ფრაზა → ზედსართავი

(121ა)-ში, წესის თანახმად, ზედსართავიანი ფრაზა უშუალოდ დომინირებს ზედსართავზე და თანდებულიან ფრაზაზე; (121ბ) –ში წესი გვეკარნახობს, რომ ზედსართავიანი ფრაზა უშუალოდ დომინირებს მხოლოდ ზედსართავზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი წესი შეიძლება ერთმანეთის წინააღმდეგობრივი მოგეჩვენოთ, სინამდვილეში მხოლოდ ორ განსხვავებულ ვერსიასთან გვაქვს საქმე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეული წესი ინგლისურ ენაში ზედსართავიანი ფრაზის წარმოქმნის განსხვავებულ ხერხს შეესაბამება. ამის მიუხედავად, (121) მაგალითში წესების სიჭარბე აღინიშნება. ორივე წესი მოწმობს, რომ ზედსართავიანი ფრაზა უშუალოდ დომინირებს ზედსართავზე, ხოლო ზედსართავი ზედსართავიანი ფრაზის ყველაზე მარცხენა უშუალო კომპონენტი. რაკი თითოეული წესი (121)-ში ამას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ამტკიცებს, თეორიას განზოგადება აკლია. სხვა დარგების მეცნიერების მსგავსად, ლინგვისტებიც ყოველთვის ცდილობენ თავიანთ მოდელს ნაჭარბევი ჩამოაშორონ. ამ შემთხვევაში ლინგვისტები აგვარებენ სიჭარბის საკითხს (121ა) და (121ბ) წინადადებათა შესატყვის წესებს ერთ წესად აერთიანებენ, ხოლო ზედსართავიან ფრაზაში ზედსართავის შემდეგ მდგომი თანდებულიანი ფრაზის არასავალდებულობის წარმოსადგენად შემოკლებებს ფრჩხილებში სვამენ:

(122) ზფ → ზ (თფ)

ასეთივე კონვენციური შემოკლება შეიძლება იქნეს გამოყენებული სახელიანი ფრაზის (სფ) შედგენის იმ არაფორმალური წესების წარმოსადგენად, რომლებსაც (73 გ.1)-ში, (73გ.2)-სა და (123)-ში გაცნობით :

- (73) გ. 1. სახელი + თფ ქმნის სახელიან ფრაზას: murder of Duncan, father of Goneril და ა.შ.
 2. სახელი სახელიან ფრაზას დამოუკიდებლადაც ქმნის: murder, beauty, wine, lords და (123) სფ → ს (თფ) ა.შ.

თუმცა, ფრჩხილებით აღნიშვნა იმ სამი ძირითადი ვერსიის წარმოსადგენად არ გამოდგება, რომელთა საფუძველზეც დეტერმინერიანი ფრაზის შიდა სტრუქტურა (73დ)-ში ერთადერთ წესამდე დაიყვანება. არასავალდებულო ხასიათი სხვადასხვა კატეგორიას შორის არჩევანს გულისხმობს და არა ერთადერთ ვერსიამდე დაყვანას:

- (73) დ. 1. დეტერმინერი (დ) + სახელიანი ფრაზა (სფ) ქმნის დეტერმინერიან ფრაზას (დფ): the murder of Duncan, a daughter of Lear და ა.შ.
 2. საკუთარი სახელი ან ნაცვალსახელი თავისთავად ქმნის დეტერმინერიან ფრაზას: Duncan, he, she და ა.შ.

ამგვარი არასავალდებულობის წარმოსადგენად სხვაგვარი კონვენციური შემოკლების გამოყენება საჭირო: ხვეულ ფრჩხილებში ჩასმის მეშვეობით, როგორც (124)-შია ნაჩვენები:

(124) დფ → $\left\{ \begin{array}{l} \text{დ სფ} \\ \text{საკუთარი სახელი} \\ \text{ნაცვალსახელი} \end{array} \right\}$

ამ აღნიშვნაში, ხვეულ ფრჩხილებში მოქცეული თითოეული სტრიქონი ერთ-ერთ ასარჩევ ვერსიას წარმოადგენს; ეს წესი გვკარნახობს, რომ დეტერმინერიანი ფრაზა შეიძლება უშუალოდ დომინირებდეს: (ა) დეტერმინერზე, რომელსაც საკუთარსახელიანი ფრაზა მოსდევს, (ბ) საკუთარ სახელზე, (გ) ნაცვალსახელზე. ხვეული ფრჩხილებით აღნიშვნა ფრჩხილებში ჩასმის ნაცვლად შეგვეძლო (123) მაგალითშიც გვეხმარა, თუკი Ø („არაფერს“ ნიშნავს) ნიშანს თანდებულისანი ფრაზის ალტერნატივად გამოვიყენებდით. ამის ნიმუშს (125)-ში ნახავთ:

(125) სფ → ს $\left\{ \begin{array}{l} \text{თფ} \\ \text{შ} \end{array} \right\}$

ერთი სიტყვით, (123) და (125) მაგალითები ერთმანეთის ექვივალენტურია.

არასავალდებულობის კიდევ ერთი ნაირსახეობა, რომლის გამოსახვას ფრჩხილებით აღნიშვნა ვერ გასწვდება, სახელის წინ მდგარ (პრენომინალურ) ზედსართავებს უკავშირდება. გაიხსენეთ, რომ სახელიან ფრაზებში სახელს წინ შეიძლება რამდენიმე ზედსართავი მოუდიოდეს. რომ ვცადოთ და ეს ფაქტი (123)-ში წარმოდგენილ წესთან გავაერთიანოთ — სახელის წინა პოზიციაში მდგარი და ფრჩხილებში მოქცეული ზედსართავის დამატებით, როგორც ეს (123')-შია ნაჩვენები, ასეთ შემთხვევაში, ერთზე მეტი ზედსართავის ადგილი აღარ დარჩებოდა:

(123') სფ → (ზ) ს (თფ)

ამ პრობლემას მხოლოდ ერთზე მეტი ზედსართავის პოზიციის დამატებით ვერ მოვაგვარებთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში ზედსართავების ოდენობას გარკვევით დადგენილი ზღვარი არ გააჩნია. ამ მომენტის მოხელთების ერთი ხერხი (73გ.3) მოდელზე დაყრდნობით სახელიანი ფრაზისთვის ახალი წესის შემუშავებაა, როგორც ეს (126)-შია გაკეთებული:

(73) გ. 3. ზედსართავი + სახელიანი ფრაზა ქმნის სახელიან ფრაზას
(126) სფ → ზ სფ

მიუხედავად იმისა, რომ (126) მხოლოდ ერთი ზედსართავის პოზიციას გვთავაზობს, მას რეკურსიულად მოქმედების უნარი გააჩნია, ანუ თითოეულ შემთხვევაში ზედსართავის ახალი პოზიციის დამატება დასაშვებია ხდება. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ (123)-ში მოყვანილ წესზე დაყრდნობით სახელიან ფრაზას *king of England* (ინგლისის მეფე) ვქმნით. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ეს სახელიანი ფრაზა (126)-ში წარმოვდგინოთ წესზე დაყრდნობით მის წინ მდგარ ზედსართავთან გავაერთიანოთ. ამის შედეგად უფრო დიდი სახელიანი ფრაზა — *old king of England* (ინგლისის მოხუცი მეფე) წარმოიშობება. ისევ (126) წესის გამოყენებით ეს ფრაზა შეგვიძლია კიდევ უფრო გავზარდოთ — *stupid old king of England* (ინგლისის სულელი მოხუცი მეფე). (126)-ში შემოტანილი წესი შეგვიძლია რეკურსიულად გამოვიყენოთ (ყოველ ჯერზე). ამ წესის მეშვეობით ნებისმიერი რაოდენობის ზედსართავის შემცველი სახელიანი ფრაზა შეიძლება წარმოჩნდეს. ესეც აღვნიშნოთ: ზედსართავების ასე დამატება თავისთავად გულისხმობს, რომ ეს პრენომინალური ზედსართავები ერთმანეთის ტოლი კომპონენტები ვერ იქნება. პირიქით, თითოეული ზედსართავი ტოლობას თვით სახელიან ფრაზას უწევს, რაც შეთავსებადია ზემოთ, (109) მაგალითში პროფორმასთან *one* დაკავშირებით მოყვანილ მასალასთან, რომელიც მონიშნავს, რომ სახელიან ფრაზაში პრენომინალური ზედსართავის შემდეგ მდგარი მასალა თავად სახელიან ფრაზასავით ფუნქციონირებს.

შეგვიძლია ფრჩხილებით აღნიშვნა და ხვეული ფრჩხილებით აღნიშვნა გავაერთიანოთ და ზმნიანი ფრაზების შესაძლო სტრუქტურათა (73ე)-ში ჩამოწერილი ვერსიები ამ ხერხით წარმოვადგინოთ:

- (73) ე. 1. ზმნა + დეტერმინერიანი ფრაზა ქმნის ზმნიან ფრაზას (ზმფ) — suffocated Desdemona, sued Antonio და ა.შ.
2. ზმნა + თანდებულისანი ფრაზა ქმნის ზმნიან ფრაზას — lives in Athens, laughed at Falstaff და ა.შ.
3. ზმნა + დეტერმინერიანი ფრაზა + თვ ქმნის ზმნიან ფრაზას — passed the wine to Falstaff და ა.შ.
4. ზმნა + დამატების მქმნელი ფრაზა (დმფ) ქმნის ზმნიან ფრაზას — say that Falstaff likes wine და ა.შ.
5. ზმნა + დეტერმინერიანი ფრაზა + დმფ ქმნის ზმნიან ფრაზას — told Bassanio that his ship was lost და ა.შ.
6. ზმნა + ზმნიანი ფრაზა ქმნის ზმნიან ფრაზას — should follow his advice, must choose a husband და ა.შ.
7. ზმნა ზმნიან ფრაზას დამოუკიდებლად ქმნის — arrived, died და ა.შ.

ფრჩხილებში მოქცევა აქ აღნიშვნის ერთადერთი ხერხი ხდება, რომელსაც (1), (2), (3) და (7) წინადადებებში ასახული სიტუაციების კომბინირება და ერთ წესად ჩამოყა-

ლიბება შეუძლია, ისე, როგორც ეს (127) მაგალითშია ნაჩვენები:

(127) ზმნიანი ფრაზა (ზმფ) → დეტერმინერიანი ფრაზა (დფ)
 თანდებულებიანი ფრაზა (თფ)

ამ წესის თანახმად ზმნიანი ფრაზა ისეთ ზმნას შეიცავს, რომელსაც არასავალდებულო წესით მოსდევს დეტერმინერიანი ფრაზა და აგრეთვე, რომელსაც, თავის მხრივ, თფ მოსდევს; ამგვარად, იგი ამ ოთხ — (1), (2), (3) და (7) წინადადებაში ზუსტად ოთხ შესაძლო არჩევანს განსაზღვრავს. (5) და (6) წინადადებაში ასახული ვერსიის შემოსაერთებლად ხვეული ფრჩხილებით აღნიშვნა გახდება საჭირო. მოდით, ჯერ (5)-ით დავიწყოთ, წინადადებით, რომლის შესაბამისი წესი გვეუბნება, რომ ზმნიანი ფრაზა შეიძლება შეიცავდეს ზმნას, დეტერმინერიან ფრაზას და დმფ-ს (დამატების მქმნელი ფრაზა); სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნიან ფრაზაში დეტერმინერიანი ფრაზის შემდეგ მდგომი კომპონენტი შეიძლება თანდებულებიანი ფრაზის მაგიერ დმფ-ს შეიცავდეს. ამ სიტუაციის ასახვის ერთი ხერხი ჩვეულებრივ ფრჩხილებში მოქცეულ ხვეულ ფრჩხილებში თფ-სა და დმფ-ს გამოსახვა იქნება:

(128) ზმფ → ზმ (დფ) $\left\{ \begin{array}{l} \text{თფ} \\ \text{დმფ} \end{array} \right\}$

ისევე, როგორც (123) მაგალითის შესაბამისი წესის შემთხვევაში, (128)-შიც, შეგვიძლია ხვეული ფრჩხილები ჩვეულებრივ ფრჩხილებში მოვაქციოთ და ხვეულ ფრჩხილებს შიგნით მესამე სტრიქონზე აღნიშვნა \emptyset („ზერო, ანუ არაფერი“) დავამატოთ. (73ე.5)-ის სიტუაციის ამგვარად შემოერთებით (128) –ის შესაბამისი წესი ცხადყოფს, რომ დმფ-ს ზმნიან ფრაზაში ჩართვა ისე შეუძლია, რომ წინ დეტერმინერიანი ფრაზა არ უძღვოდეს, სწორედ ისევე, როგორც ეს შეუძლია თანდებულებიანი ფრაზას, ვინაიდან (128) მაგალითში წინ მდგომი დეტერმინერიანი ფრაზა არასავალდებულოა. ამგვარად, (128) –ის ფორმულირება თავის ფარგლებში ადგილს (73ე.4) —საც მიუჩენს.

დაბოლოს, შემოსაერთებელი გვაქვს (73ე.6), რომლის შესაბამისი წესის თანახმადც ზმნიანი ფრაზა ისეთ ზმნას უნდა შეიცავდეს, რომელსაც ზმნიანი ფრაზა მოსდევს. აქ შემოსაერთებლად (128) მაგალითთან მისადაგების სამი ძირითადი ხერხი არსებობს. პირველი ისაა, რომ შეგვიძლია ზმნიანი ფრაზა დეტერმინერიანი ფრაზის ალტერნატივად დავსახოთ, რაც ხვეული ფრჩხილების გამოყენებით უნდა გაკეთდეს, როგორც (129)-შია ნაჩვენები; ამ მოდელის მიხედვით, ზმნიანი ფრაზა შეიძლება შეიცავდეს ზმნას, რომელსაც სხვა ზმნიანი ფრაზა მოსდევს, ამ ზმნის შემდეგ, თავის მხრივ, არასავალდებულო თანდებულებიანი ფრაზა ან დმფ იდგება.

(129) დმფ → ზმ $\left\{ \begin{array}{l} \text{დფ} \\ \text{ზმფ} \end{array} \right\} \left\{ \begin{array}{l} \text{დფ} \\ \text{დმფ} \end{array} \right\}$

ან, სხვაგვარად, შეგვიძლია ზმნიანი ფრაზა (127) მოდელის ხვეულ ფრჩხილებში თანდებულებიანი ფრაზისა და დმფ-ს მესამე შესაძლო ალტერნატივად შევიტანოთ, როგორც ეს (130) მაგალითშია გაკეთებული; ეს წესი გულისხმობს, რომ ზმნისა და სხვა ზმნიანი ფრაზის შემცველი ზმნიანი ფრაზა შეიძლება (თუმცა, აუცილებელი არაა) ამ ზმნასა

და ამ ზმნიან ფრაზას შორის დეტერმინერიან ფრაზასაც შეიცავდეს.

$$(130) \quad \text{ზმფ} \rightarrow \text{ზმ} \text{ (დფ)} \left(\begin{array}{c} \text{თფ} \\ \text{დმფ} \\ \text{ზმფ} \end{array} \right)$$

დაბოლოს, შეგვიძლია კიდევ ერთი წყვილი ხვეული ფრჩხილების გამოყენებით (127) მაგალითში ზმნის მომდევნო პოზიციების ყველა ვერსიას ალტერნატივად ზმნიანი ფრაზაც მივათვალოთ. ამის თვალსაჩინოებას (131) მაგალითში ხედავთ; ამ მოდელის შესაბამისი წესის თანახმად, თუ ზმნიანი ფრაზა ზმნისა და სხვა ზმნიანი ფრაზისგან შედგება, ამ მოდელში სხვა კომპონენტის გამოჩენა შეუძლებელია.

$$(131) \quad \text{ზმფ} \rightarrow \text{ზმ} \left\{ \begin{array}{c} \text{(დფ)} \\ \text{ზმფ} \end{array} \right\} \left\{ \begin{array}{c} \text{თფ} \\ \text{დმფ} \end{array} \right\}$$

(129), (130) და (131) მაგალითების შესაბამისი წესები ერთმანეთის სანინააღმდეგო თეორიებს წარმოადგენს იმის თაობაზე, თუ როგორ განსაზღვრავს ინგლისურ ენაში ფრაზის სტრუქტურული წესები ზმნიანი ფრაზის სტრუქტურას. ამათგან რომელიმე ერთი თეორიის სისწორე რომ დავადგინოთ, უნდა გავარკვიოთ, შეიძლება თუ არა, ზმნისა და სხვა ზმნიანი ფრაზის დომინანტური ზმნიანი ფრაზა სხვა კომპონენტებსაც შეიცავდეს; კერძოდ, შესაძლებელია თუ არა, დიდ ზმნიან ფრაზას უფრო მცირე ზმნიანი ფრაზის მომდევნო პოზიციაში თფ ან დმფ ედგას, როგორც ეს (129)-მაგალითიდან გამომდინარეობს; ასევე შეიძლება თუ არა დეტერმინერიანი ფრაზა ზმნისა და ზმნიან ფრაზას შორის იდგეს, რაც (130) –ის შესაბამისი წესითაა განსაზღვრული. მაგრამ თქვენ დაინახავთ, რომ ამ წესების ზემოქმედების გამოცდა საკმაოდ რთული აღმოჩნდება, ვინაიდან მკაფიოდ არ იკვეთება, შეიძლება თუ არა რომ დიდ დმფ-ში, უფრო მცირე დმფ-ში, ან ამ მცირე დმფ-ს რომელიმე ქვეკომპონენტში დამატებითი კომპონენტებიც შედიოდეს. მაგალითად, (129)-ის შესაბამისი წესისამებრ, თფ ან დმფ შეიძლება უფრო მცირე ზმნიან ფრაზას მოსდევდეს; (132გ-დ)-ში მოყვანილ მასალაზე დაკვირვებით, ერთი შეხედვით, ასეთი რამ თითქოს შესაძლებელია:

- (132) ა. Antonio [ზმფ should [ზმფ follow her advice]]
 ბ. Kate [ზმფ must [ზმფ choose a husband]]
 გ. Antonio should follow her advice [დმფ that he should be silent]
 დ. Kate must choose a husband [თფ in one month]
 ა. ანტონიომ მის რჩევას უნდა მისდიოს.
 ბ. ქეთიმა ქმარი უნდა აირჩიოს.
 გ. ანტონიომ მის რჩევას უნდა მისდიოს, რომ ჩუმად უნდა იყოს.
 დ. ქეთიმა ქმარი ერთ თვეში უნდა აირჩიოს.

თუმცა, ეს მონაცემები მხოლოდ მაშინ არის აქტუალური, თუ დამატებით დმფ-ზე

(132გ)-ში და თანდებულებიან ფრაზაზე (132დ)-ში უშუალოდ დომინირებს უფრო დიდი ზმნიანი ფრაზა, რომელიც მოდალურ ზმნაზეც დომინირებს. (132გ)-ში, რა თქმა უნდა, განსხვავებული სიტუაციაა: აქ დამატების მქმნელი ფრაზის ინტერპრეტირება ისე ხდება, თითქოს იგი სახელის *advice* დამატება იყოს, რომელიც დეტერმინირიანი ფრაზის *the advice that he should be silent* სახელიან ფრაზაში შედის. ამას ტოპიკალიზაცია და პროფორმასთან დაკავშირებული ცდებიც მოწმობს. ეს ცდები დამატების მქმნელ ფრაზას დეტერმინირიანი ფრაზის ნაწილად განიხილავს და არა უფრო დიდი ზმნიანი ფრაზის უშუალო კომპონენტად:

- (133) ა. Her advice that he should be silent, Antonio should follow _____.
 ბ. *Her advice, Antonio should follow _____ that he should be silent.
 გ. Antonio should follow her advice that he should be silent,
 and Bassanio should follow it too.
 (it = მისი (მდედრ.) რჩევა, რომ ჩუმად იყოს).
 დ. *Antonio should follow her advice that he should be silent,
 and Bassanio should follow it that he should speak out.
 (it = მისი (მდედრ.) რჩევა)
 ა. მის რჩევას, რომ ჩუმად იყოს, ანტონიო ყურად იღებს.
 ბ. მის რჩევას, ანტონიო მისდევს, რომ იგი ჩუმად უნდა იყოს.
 გ. ანტონიო ყურად იღებს მის რჩევას, რომ ჩუმად
 უნდა იყოს და ბასანიოც ყურად იღებს მას (რჩევას).
 დ. ანტონიო მისდევს (ყურად იღებს) მის რჩევას,
 რომ ჩუმად უნდა იყოს, ხოლო ბასანიო მისდევს მას
 (მის რჩევას), რომ სათქმელი უნდა თქვას.

(132გ)-ის დმფ-ს რომ ზედა ზემო კვანძი უშუალოდ მართავდეს, რის შესაძლებლობასაც (129) მაგალითი განსაზღვრავს, მაშინ (133ბ) და (133დ) გრამატიკულად გამართული წინადადებები იქნებოდა, ხოლო (133ა) და (133გ) წინადადებები კი — არა. ამასთანავე, თანდებულებიან ფრაზის მდებარეობა (133დ)-ში მთლად ნათელი არაა. თუკი იმ ნაკლებ სავარაუდო შესაძლებლობას უკუუვადებთ, რომ ეს თვით მის წინ მდგარი დეტერმინირიანი ფრაზის ნაწილია, მაინც ბუნდოვანი რჩება, მასზე უფრო დიდი ზმნიანი ფრაზა უშუალოდ დომინირებს, როგორც (129) —ის შესაბამისი წესითაა შესაძლებელი, თუ უფრო მცირე ზმნიანი ფრაზა ან უფრო დიდი ზმნიანი ფრაზის ზემოთ მდგომი კვანძი (წინადადების). სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით კომპონენტთა შემადგენლობის ცდები დამაჯერებელ ინფორმაციას არ იძლევა, რათა მის საფუძველზე დასკვნა გაკეთდეს. ახლა (130)-ს შესაბამისი წესით განსაზღვრულ პრედიკაციას მივუბრუნდეთ. ამ წესის თანახმად, დეტერმინირიანი ფრაზა შეიძლება მცირე ზმნიან ფრაზასა და ზმნის შორისაც განთავსდეს. ზემოთ უკვე დავრწმუნდით, რომ პერცეფციული ზმნებისა და კაუზატივური ზმნების დამატებები ამ მოდელს შეესატყვისება. გავიხსენოთ მაგალითი (67), რომელსაც აქ (134)-ის სახით ვიმეორებთ:

- (134) a. Macbeth [ზმფ saw [დფ the forest] [ზმფ move
 towards the castle]]
 b. Juliet [ზმფ heard [დფ Romeo] [ზმფ call out her name]]
 გ. Lear [ზმფ let [დფ his daughters] [ზმფ take over the realm]

თუ (134)-ში მოყვანილი სტრუქტურები სწორია, მაშინ ეს წინადადებები (129) და (131) კონკურენტი წინადადებების ნაცვლად საფუძველს (130)-ს უმაგრებს. მაგრამ ბო-

ლომდე გასაგები მაინც არაა, (130)-ის მიერ დაშვებული შესაძლებლობით, უშუალოდ დომინირებს თუ არა ზედა ზმფ კვანძი დეტერმინერიან ფრაზაზე. (67) მაგალითზე მსჯელობის დროს უკვე აღვნიშნეთ, რომ დეტერმინერიანი ფრაზა უფრო მცირე ზმნიანი ფრაზის სუბიექტადაა ინტერპრეტირებული და დავასკვნით, რომ დეტერმინერიანი ფრაზა და უფრო მცირე ზმნიანი ფრაზა ერთად იმ კომპონენტს ქმნის, რომელსაც მაშინ მცირე კლაუზულა ვუწოდეთ:

(135) [ზმფ ზმნა [მკ დფ ზმფ] (მკ = მცირე კლაუზულა)

მაშასადამე, კომპონენტთა შედგენილობის დასადგენი სტანდარტული ცდები წინააღმდეგობრივ მასალას გვაძლევს იმასთან დაკავშირებით, პირდაპირ დომინირებს თუ არა უფრო ზედა ზმფ კვანძი დეტერმინერიან ფრაზაზე, როგორც (134)-შია ნაჩვენები, თუ, როგორც (135) მაგალითშია, ამ დეტერმინერიან ფრაზაზე (უშუალოდ) მცირე კლაუზულისგან წარმოდგარი კომპონენტი დომინირებს. კერძოდ, ტოპიკალიზაციასთან დაკავშირებული ცდის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ მცირე კლაუზულის ისეთი კომპონენტი, რომელიც დეტერმინერიანი ფრაზისა და ზმნიანი ფრაზისგან შედგება (როგორც 136ა-ში), არც არსებობს, მაგრამ, ამავე დროს, პროფორმებთან დაკავშირებული ცდების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ქვეკომპონენტი პერცეფციულ ზმნებთან ჩნდება (როგორც 136ბ-ში) და არა კაუზატივურ ზმნებთან (როგორც 136გ-ში):

(136) ა. Juliet hoped that she would hear Romeo call out her name, and

*? [Romeo call out her name], she heard _____.

ბ. Juliet heard *Romeo call out her name*, and her mother heard *it* too.

(*it* = ეს (როგორ წამოიძახა რომეო მისი სახელი)

გ. *Lear let his daughters take over the realm*,

* but Henry VIII didn't let it.

(*it* = ეს (რომ მის ქალიშვილებს სამეფო გადაბარებინათ)

ა. ჯულიეტას იმედი ჰქონდა, რომ გაიგონებდა, როგორ წამოიძახებდა რომეო მის სახელს და გაიგონა, (რომ) [რომეო მისი სახელი წამოიძახა].

ბ. ჯულიეტამ გაიგონა, როგორ წამოიძახა რომეო მისი სახელი და ეს დედამისმაც გაიგონა.

გ. ლირმა მის ქალშვილებს სამეფო გადაბარების საშუალება მისცა, ჰენრი VIII –მ კი (თავის ქალიშვილებს) ეს არ გააკეთებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა მთლად თანმიმდევრული არაა, შეგვიძლია ჰიპოთეტურად დავასკვნათ, რომ მცირე ზმნიანი ფრაზის წინ მდგარ დეტერმინერიან ფრაზას, როგორც (130) მაგალითზე დაყრდნობით იგულისხმება, შეიძლება ზოგიერთი ზმნიანი ფრაზა მაინც შეიცავდეს, რაც სამი ურთიერთდაპირისპირებული თეორიიდან (129, 130, 131) საკითხს (130)-ში წარმოდგენილი წესის სასარგებლოდ წყვეტს.

ახლა ინგლისური ენის ფრაზობრივი სტრუქტურის ჩვენს მიერ შედგენილი მინი-გრამატიკა ორი ახალი წესით გავამდიდროთ, რომლებიც (73ვ) და (73ზ) მაგალითებში მოცემულ არაფორმალურ წესებს წარმოგვიდგენს:

(73) ვ. დეტერმინერიანი ფრაზა + ზმნიანი ფრაზა ქმნის წინადადებას:

Timon lives in Athens, Henry laughed at Falstaff და ა.შ.

ზ. დამატების მქმნელი სიტყვა + წინადადება ქმნის დამატების

მქმნელ ფრაზას: that his father had been murdered და ა. შ.

(137) წინადადება → დეტერმინირიანი ფრაზა ზმნიანი ფრაზა

(138) დამატების მქმნელი ფრაზა → დამატების მქმნელი სიტყვა
წინადადება

ფრაზის სტრუქტურის წესები სრულად ამ განყოფილების ბოლოშია წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია არ დაგვავიწყდეს, რომ ფრაზის სტრუქტურის წესები, რომლებიც აქამდე გაგაცანით, ინგლისური ენის ფრაზათა სტრუქტურასთან დაკავშირებული წესების არასრული ჩამონათვალია. მათი სრულად განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, ამ თავში არაერთი ისეთი წინადადება განვიხილეთ, რომელთა სტრუქტურის განმარტებას ეს წესები არ მოიცავს. მაგალითად, ისეთი დეტერმინირიანი ფრაზებს, რომლებიც ნომინალურ მსახლერებს ან ერთზე მეტი დეტერმინირის შემცველ სიტყვათა თანმიმდევრობას გულისხმობს, ეს წესები ასევე არ მოიცავს. ინგლისური ენის უფრო სრული მინიგრამატიკა უფრო რთულ და კომპლექსურ წესებსაც უნდა მოიცავდეს, რათა ასეთ მასალას გასწვდეს.


ენის აქტუალურ სიტყვებს ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ყველა წესი როდი მოიცავს; ისინი მხოლოდ ლექსიკურ კატეგორიებად არის დაყოფილი: სახელებად, ზმნებად, ზედსართავებად და ფრაზათა კატეგორიებად, როგორებიცაა თანდებულიანი ფრაზა (თფ), დეტერმინირიანი ფრაზა (დფ), ზედსართავიანი ფრაზა (ზფ) და ა.შ. ამგვარად, ამ წესების მეშვეობით ფრაზის სტრუქტურა შეიძლება წინადადებათა ერთობლიობისთვის დადგინდეს, ცალკეული წინადადების შემადგენლობა კი (რომელშიც, რა თქმა უნდა, სწორედ აქტუალური სიტყვები შედის) არ განისაზღვრება. იმისთვის, რომ ჩვენმა მინიგრამატიკამ ენის აქტუალური სიტყვები მოიცავს, იგი ინგლისური ენის მინილექსიკონსაც, ანუ ზემოთ განხილული გონებრივი ლექსიკონის მინიატურულ მოდელსაც უნდა შეიცავდეს. გაიხსენეთ, რომ პრედიკატივთა კატეგორიის (ზმნა, ზედსართავი) თითოეული ლექსიკური ერთეული მის არგუმენტთა სტრუქტურის თუ შერჩევასთან დაკავშირებული მახასიათებლების წარმოდგენას უნდა ახდენდეს. ზემოთ, მაგალით (3)-ში მოცემული მინიატურული ლექსიკონი ამისთვის კარგ საფუძველს გვიქმნის, თუმცა, ბევრი სიტყვა, რომელიც ჩვენს მსჯელობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, არც მასშია შესული; მაგალითად, ისეთი ზმნები, როგორებიცაა *see, let, say, think, tell*; ან ისეთი სახელები, როგორებიცაა *murder, advice* და დამატების მქმნელი ისეთი სიტყვა, როგორიცაა *that*. მეტიც, (3)-ში მოყვანილი ჩამონათვალი მასში შემავალი პრედიკატული სიტყვების არგუმენტთა სტრუქტურას და კატეგორიის შერჩევასთან დაკავშირებულ მახასიათებლებს არ წარმოგვიდგენს. იმ სიტყვათა სრული ლექსიკური ერთეულების ჩამონერას, რომლებიც აქამდე ჩვენს წიგნში სამსჯელო მასალად მოვიყვანეთ, რამდენიმე გვერდი მაინც დასჭირდება. ამიტომ მხოლოდ ვიტყვი, რომ ჩვენი მინიგრამატიკა მართლაც შეიცავს ლექსიკონს, რომელიც იმ ლექსიკური ერთეულებისგან შედგება, რომელთა მახასიათებლები 3.2 განყოფილებაში განვიხილეთ.

ჩვენი მინიგრამატიკა, რომელიც მინიატურულ ლექსიკონს და ამ განყოფილებაში განხილულ ფრაზის სტრუქტურულ წესებს შეიცავს შეიცავს, იმის განსაზღვრას გვიადგვილებს (თან სრულიად მექანიკურად), არის თუ არა სიტყვათა ესა თუ ის კონკრეტული თანმიმდევრობა გრამატიკულად გამართული — გამართული ამ გრამატიკის წესების თანახმად. მაგალითად, მოდით გავარჩიოთ წინადადება (13გ), რომელიც აქ მეორდება:

(13) გ. The daughter of Lear Loved him. ლირის ქალიშვილს უყვარდა იგი.


ჯერ თითოეულ სიტყვას ლექსიკონში ვეძებთ და მის შემცველ ლექსიკურ კატეგორიას ვადგენთ, შემდეგ სიტყვათა თანმიმდევრობისა თუ ფრაზის თითოეული სიტყვის შესაბამის ლექსიკურ კატეგორიას მის ზედა ხაზზე ვწერთ, როგორც (139) მაგალითშია მოცემული:

(139)




შემდეგ ამ სიტყვებს ფრაზის სტრუქტურული წესების მიხედვით ფრაზებად ვაჯგუფებთ და ფრაზის სტრუქტურის ამსახველ მინიატურულ ხეებს ვქმნით. პირველ საფეხურზე, სიტყვებზე „სახელი“ და „ნაცვალსახელი“ დეტერმინერიანი ფრაზა კვანძი უნდა დომინირებდეს, ისე, როგორც (140) მაგალითში, ვინაიდან ნაცვალსახელებსა და სახელებს დეტერმინერიან ფრაზასთან დაკავშირებული წესის (124) გარდა, სხვა წესი არც მოიცავს:

(140)




მომდევნო საფეხური: უკვე ვიცით, რომ თანდებულზე ნებისმიერ შემთხვევაში თუ კვანძი დომინირებს და რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს ისეთი დეტერმინერიანი ფრაზა, რომელიც თანდებულიან ფრაზაში თანდებულის შემდეგ იდგება. ამას (120) მაგალითის შესაბამისი წესი განსაზღვრავს. მეტიც, ვიცით, რომ ზმნის ყოველი გამოჩენისას მასზე ზმფ კვანძი დომინირებს. ისიც ვიცით, რომ (140) მაგალითში ზმნის შემდეგ მდგარი დეტერმინერიანი ფრაზა შეიძლება ამ დეტერმინერიან ფრაზაში იქნეს ჩართული, ვინაიდან ამის შესაძლებლობას (130)-ის შესაბამისი წესი იძლევა. რაკი ზმნის *love* ლექსიკური ერთეული გვამცნობს, რომ იგი პირდაპირ ობიექტად დეტერმინერიან ფრაზას ირჩევს (რომელსაც თემატურ თეტა-როლს ანიჭებს), ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ (როგორც (141) მაგალითში ვხედავთ) დეტერმინერიანი ფრაზა ტოლი კომპონენტია ზმნიან ფრაზაში შემავალი *love* ზმნისთვის:

(141)




შემდეგი საფეხური: როგორც ვიცით, ყველა სახელზე სახელიანი ფრაზა უნდა დომინირებდეს, ხოლო სახელის შემდეგ მდგარი თანდებულიანი ფრაზა კი შეიძლება ამ სახელიან ფრაზაში იქნეს ჩართული. რაკი (140) მაგალითში თანდებულიანი ფრაზა ისეა ინტერპრეტირებული, როგორც სახელის *daughter* არგუმენტი, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქმე გამართულ ფრაზასთან გვაქვს. ეს სახელიანი ფრაზა მის წინ მდგარი დეტერმინერის დამატება უნდა იყოს, ვინაიდან დეტერმინერიან ფრაზას წესი ერთადერთი წესია, რომელიც სახელიანი ფრაზის კატეგორიას მოიცავს. ჩამოთვლილი საფეხურების შეერთებით (142) სიტუაციას ვიღებთ:

(142)



დაბოლოს, (137) მაგალითის შესაბამის წესზე დაყრდნობით ვიცით, რომ დეტერმინერიანი ფრაზა და ზმნიანი ფრაზა შეიძლება ერთმანეთს შეერწყას და სრულყოფილი წინადადება შექმნას, როგორც მაგალითში (143).

(143)



წინადადების დასრულებული ხისებრი დიაგრამა ამგვარად შეგვიძლია გამოვსახოთ. ჩვენ ვიცით, რომ (13გ)-ში სიტყვათა თანმიმდევრობა გრამატიკულად გამართულ წინადადებას ქმნის. ეს რომ შეუძლებელი იყოს, მაშინ გვეცოდინებოდა, რომ სიტყვათა ეს თანმიმდევრობა გრამატიკულად გამართულ წინადადებას ვერ ქმნის. მაგალითად, თუ სიტყვათა იმგვარი თანმიმდევრობა, როგორსაც (13გ)-ში ვხედავთ, ზმნას არ შეიცავს, მასში არც ზმნიანი ფრაზა იქნება (ვინაიდან ზმნა ზმნიანი ფრაზის სავალდებულო ქვეკომპონენტია); აქედან გამომდინარე, ვერც წინადადება იქნება გრამატიკულად გამართული (ვინაიდან ზმნიანი ფრაზა, (137)-ის შესაბამისი წესის თანახმად, სავალდებულო ქვეკომპონენტია კატეგორიისა, რომელსაც წინადადებას ვუწოდებთ). მინიგრამატიკის ასეთი მექანიკური გამოყენება გრამატიკული გამართულობის შესამოწმებელი ერთ-ერთი ხერხია — იმ გონებრივი გამოთვლის მოდელია, რომელსაც მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანი მაშინ მიმართავს, როცა მას ენათმეცნიერი ნიმუშად შეთავაზებული წინადადების მისაღებობა-მიუღებლობის თაობაზე აზრის გამოთქმას თხოვს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ასეთივე პროცედურის მეშვეობით განისაზღვრება არა მხოლოდ წინადადების, არამედ სხვა კატეგორიათა გრამატიკული გამართულობაც; მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობა, როგორიცაა *daughter of Lear*, გრამატიკულად სწორი სახელიანი ფრაზაა, ხოლო თანმიმდევრობა *loved him* — გრამატიკულად გამართული ზმნიანი ფრაზა.

როგორც უკვე დავრწმუნდით, ფრაზის სტრუქტურული წესები ერთადერთი წესები არ არის, რომელთაც წინადადება უნდა დაექვემდებაროს, რათა გრამატიკულად სწორი იყოს. მაგალითად, თუ ნიმუშად მოყვანილი წინადადება ისეთ სიტყვას შეიცავს, რომელიც ჩვენს ლექსიკონში არ შედის, მაშინ ჩვენს მიერ შექმნილი მინიგრამატიკა მას გრამატიკულად გაუმართავ წინადადებას მიაკუთვნებს. რაკი ჩვენს მინიგრამატიკაში შექმნილი ლექსიკონი არ შეიცავს ისეთი არარსებული სიტყვების ლექსიკურ ერთეულებს, როგორებიცაა, მაგალითად, *spritchy*, *becarp* და ა.შ. მათ ვერც რომელიმე კატეგორიის დასახელებით ჩავანაცვლებთ. შესაბამისად, ამგვარ არა-სიტყვათა შემცველ ფრაზებს (როგორებსაც მაგალით (144)-ში ხედავთ) ვერც კატეგორიათა სახელწოდებების მწკრივს გავადევნებთ. მათ ჩვენი გრამატიკა სწორად აგებულ წინადადებად არ მიიჩნევს:

(144) ა. *Kate grew spritchy.

ბ. *Portia becarp weary.

მოსაუბრემ, რომელსაც (144ა)-ს მსგავსი წინადადება ესმის, შეიძლება დაასკვნას, რომ *spritchy* სიტყვაა, უცნობი შინაარსის მქონე ზედსართავია; მოსაუბრე, ალბათ, თავის ლექსიკონში ახალ ლექსიკურ ერთეულად მის შეტანას გადაწყვეტს; ამგვარად, მოსაუბრის გრამატიკაში ეს წინადადება გრამატიკულად გამართულ წინადადებად შევა. სწორედ ასე მივიღებთ მიახლოებულ მოდელს, თუ როგორ ივსებენ ბავშვები ლექსიკონს ენის ათვისების პროცესში. ამ საკითხს მიეძღვნება ჩვენი წიგნის მე-6 თავი.

ზოგადად, ჩვენი მინიგრამატიკა გულისხმობს, რომ გრამატიკულად გამართულ წინადადებაში ერთი სიტყვა შეგვიძლია იმავე ლექსიკური კატეგორიის სხვა სიტყვით ჩავანაცვლოთ, ვინაიდან წინადადების სტრუქტურის ამსახველი ხისებრი დიაგრამა (და ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ის წესები, რომლებიც მოცემული სტრუქტურის თითოეულ ნაწილს ფრაზაში განთავსების საშუალებას აძლევს) უცვლელი დარჩება. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრედიკატისადმი ნაყენებული სასელექციო (შერჩევის) მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს. მაგალითად, (13გ) წინა-

დადებაში ზმნის *love* ჩანაცვლება ზმნით *arrive*, როგორც (145) მაგალითში, შეუძლებელია, ვინაიდან ზმნას *arrive* ამ დეტერმინერიანი ფრაზისთვის მისანიჭებელი დამატებითი თეტა-როლი არ გააჩნია.

(145) * The daughter of Lear arrived him.

ამგვარად, რაკი ჩვენი გონებრივი გრამატიკები ისეთ ლექსიკურ ერთეულებს შეიცავს, რომლებიც ზმნებს არგუმენტთა სტრუქტურას და სასელექციო (შერჩევის) მახასიათებლებს განუზღვრავს, ეს პირობები დაკვირვებას და შესწავლას მოითხოვს. ამ მომენტის მოხელთებაში შემდეგი მიდგომა დაგვეხმარება: იგულისხმება, რომ ლექსიკური კატეგორიის წევრთა სასელექციო მახასიათებლები შემონმებულია, რაკი წინადადებას ასეთი სტრუქტურა აქვს მინიჭებული. ასე მაგალითად, (145)-ში წინადადების სტრუქტურაში *him* ნაცვალსახელის ჩასმის ერთადერთი ხერხი ის იქნება, თუ იგი ჯერ იმ ზმნიან ფრაზაში შევა, რომელსაც სათაო სიტყვად ზმნა *arrive* აქვს (იგი არასავალდებულო თუ დამატებას ირჩევს და არა დეტერმინერიან ფრაზას). ამგვარად, ეს წინადადება გრამატიკულად გაუმართავია, იგი ზმნის *arrive* სასელექციო მახასიათებელს (კატეგორიათა შერჩევასთან დაკავშირებულ ნიშან-თვისებებს) არ ექვემდებარება.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ გრამატიკის გარკვეული მოდელი გამართულობა-გაუმართაობის სასინჯ ცდად (ტესტად) გამოდგება. ისიც შესაძლებელია, რომ გრამატიკის წესები საპირისპირო მიმართულებით მივმართოთ და წინადადების წარმოსაქმნელ მოდელად გამოვიყენოთ: ასეთ შემთხვევაში, თითოეული ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ წესში ისარი → იმის ინსტრუქციად იქნება აღქმული, რომ ისრის მარცხენა მხარეს მდგომი კატეგორიის სახელწოდება ისრის მარჯვენა მხარეს მდგომი ლექსიკური კატეგორიების თანმიმდევრობით უნდა იქნეს ჩანაცვლებული. მაგალითად, წინადადება რომ შევადგინოთ, წინადადების წარმოსაქმნელი ის წესი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც თანმიმდევრობას დეტერმინერიანი ფრაზა — ზმნიანი ფრაზა მოითხოვს. ამის შემდეგ ამ კატეგორიათა სახელწოდებები — როგორც დეტერმინერიანი ფრაზისა და ზმნიანი ფრაზის წესებითაა განსაზღვრული — უშუალო ქვეკომპონენტთა დასაშვები თანმიმდევრობით უნდა ჩავანაცვლოთ. ამ პროცესს მანამდე გავაგრძელებთ, სანამ ლექსიკურ კატეგორიათა სახელწოდებების რიგს არ შევქმნით: დ(ეტერმინერი), ს(ახელი), ზმ(ნა), თ(ანდებული) და ასე შემდეგ. ამ ეტაპზე ლექსიკონიდან ისეთ აქტუალურ სიტყვას შევარჩევთ, რომელიც თითოეულ ამ კატეგორიას განეკუთვნება. მაგალითად, ტერმინს „ზმნა“ ზმნით *loved* შევცვლით. ამ პროცესს **ლექსიკური ჩართვა (ჩასმა, ჩამატება)** ეწოდება. როცა თითოეული კატეგორიის დასახელებას მისი ლექსიკური წევრით შევცვლით, მიღებული სტრუქტურა შემონმდება, რათა დავრწმუნდეთ, რომ თითოეული ლექსიკური წევრის მახასიათებლები დამაკმაყოფილებელია; მაგალითად, თუ ზმნა *murder* ზმნის პოზიციაში ჩაისმება, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამ წინადადებაში სუბიექტური და ობიექტური დეტერმინერიანი ფრაზები ადამიანებს უკავშირდება (გაიხსენეთ ამ ზმნის სასელექციო შეზღუდვები, კერძოდ ის, რომ *kill* ზმნისგან განსხვავებით, მისი სუბიექტური და ობიექტური პოზიციები აუციელებლად ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებს უნდა ეკავოთ). თუ ყველა ამ სიტყვის სასელექციო მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, შედეგად გრამატიკულად გამართულ წინადადებას მივიღებთ. გრამატიკულად გამართული წინადადების ასე ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოქმნის პროცესს სხვაგვარად მოცემული წინადადების **დერივაცია** ეწოდება.

ამგვარად, გრამატიკის ჩვენეული მოდელი წინადადების დერივაციის სამ საფე-

ხურს მოიცავს: პირველი საფეხური ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ნესების გამოყენებას გულისხმობს; მეორე — ლექსიკური ჩართვის პროცესს, მესამე კი — სასელექციო შეზღუდვების შემოწმების პროცესს. თუმცა, არსებობს მოქმედების კიდევ ერთი სფერო, კერძოდ, გადანაცვლებისა და წაშლის (ზემოთ განხილული ცნებები) *satransformacio wesebis* გამოყენება, რომლებიც დერივაციის პირველ სამ ეტაპზე წარმოქმნილ სტრუქტურებს ცვლის. ეს ცვლილება კომპონენტთა წაშლას ან წინადადების იმ სხვა პოზიციებზე გადატანაში მდგომარეობს, რომლებიდანაც ისინი თავდაპირველად ფრაზის სტრუქტურის ნესების მეშვეობითაა წარმომდგარი. მაგალითად, ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ტოპიკალიზაციისა და *wh* –ფრაზებიან გადანაცვლებად კონსტრუქციებში კომპონენტი (დეტერმინერიანი ფრაზა ან თანდებულიანი ფრაზა) შეიძლება წინადადების საწყის პოზიციასში, სუბიექტური პოზიციის წინ იქნეს გადანაცვლებული. ვნახეთ ისიც, რომ დამხმარე ზმნებიც შეიძლება ისეთ პოზიციებზე გადაადგილდნენ, რომლებიც ძირითადად კითხვით კლაუზულებში სუბიექტის წინ მდებარეობს (ამაზე ჩანართ 3.4 –ში იყო საუბარი), ან (14გ-დ)-ს მსგავს კონსტრუქციებში გადავიდნენ, რომლებიც *so* ზე პროფორმის პრეპოზირების საშუალებას იძლევა. ისიც დავასკვნით, რომ ზმნის გადანაცვლება წინადადების დერივაციის დროს ისეთ ენებში, როგორც ირლანდიური და არაბულია, კომპონენტთა *VSO* წყობას იწვევს, სადაც ზმნა ზმნიანი ფრაზის გარეთ, სუბიექტის წინა პოზიციასში დგება. ამას გარდა, დავრწმუნდით, რომ ზმნიანი ფრაზა შეიძლება ნაიშალოს კიდევ, თუკი მას წინ მისივე მსგავსი ზე ანტიცედენტი უძღვის. ეს წაშლისკენ მიდრეკილ ისეთ კონსტრუქციებში ხდება, რომელთა მსგავსიც (111) და (113)-შია წარმოდგენილი. აქ იმის ახსნას აღარ შევუდგებით, როგორ ხდება ამ ეტაპზე ასეთი სატრანსფორმაციო ნესების ჩამოყალიბება, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს: მსგავსი ნესები გადმწყვეტ როლს ასრულებენ მრავალი წინადადების წარმოქმნაში.

მიუხედავად იმისა, რომ წინადადების წარმოსაქმნელად ჩვენი მინიგრამატიკის გამოყენება ამგვარადაც შეგვიძლია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გრამატიკის თეორიის მიზანი სულაც არ არის იმ სრული მოდელის შემუშავება რომელსაც მოსაუბრე ბუნებრივი მეტყველების პირობებში წინადადების შედგენისას თავისთვის იქმნის და შემდეგ მას ეყრდნობა. აქტუალური სამეტყველო მოღვაწეობის დროს ადამიანის გონებაში მიმდინარე პროცესები, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო რთული და კომპლექსურია და ბევრ სხვა ისეთ ასპექტსაც მოიცავს, რომელთა აქ მოყვანასაც ჩვენი მსჯელობის გასამარტივებლად მოვერიდეთ. მეტიც: გრამატიკა მხოლოდ სამეტყველო მოღვაწეობასა და ფრაზათწარმოქმნაზე როდია ორიენტირებული. ლინგვისტური ცოდნა სხვა ამოცანებსაც ესადაგება, თუნდაც სხვა მოსაუბრის მიერ წარმოებული წინადადების პროცესირებას და გაგებას. გრამატიკის თეორია ლინგვისტური ცოდნის წარმოდგენის მოდელია და არა მეტყველების წარმოების მოდელი. ამის მიუხედავად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის კომპიუტერული პროცესები, რომელთაც მოსაუბრის გონება ამ ამოცანის შესასრულებლად ასრულებს, გრამატიკასთან თავისებურად ურთიერთქმედებს, და ეს ურთიერთქმედება ნაწილობრივ ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ პროცედურებს ჰგავს.

ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ნესების სრული ჩამონათვალი

- (120) თანდებულიანი ფრაზა → თანდებული დეტერმინერიანი ფრაზა
 (122) ზედსართავიანი ფრაზა → ზედსართავი (თანდებულიანი ფრაზა)

(123) სახელიანი ფრაზა → სახელი (თანდებულიანი ფრაზა)
 დეტერმინერი სახელიანი ფრაზა

(124) დეტერმინერიანი ფრაზა → { სახელი
 ნაცვალსახელი }

(126) სახელიანი ფრაზა → სახელი სახელიანი ფრაზა

(130) ზმნიანი ფრაზა → ზმნა (დეტერმინერიანი ფრაზა)
 თანდებულიანი ფრაზა
 დამატების მქმნელი ფრაზა
 ზმნიანი ფრაზა

(137) წინადადება → დეტერმინერიანი ფრაზა ზმნიანი ფრაზა

(138) დამატების მქმნელი ფრაზა → დამატების მქმნელი სიტყვა
 წინადადება

ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული (123), (124) და (126) მაგალითებში წარმოდგენილი წესები ისეთ დეტერმინერიან ფრაზებს არ მოიცავს, რომლებიც რიცხვებს, ან ნომინალურ მსაზღვრელებს (*nominal specifiers*) ითავსებს.

ქვემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით, ერთ ან ორივე ამ წესში შესწორებები შეიტანეთ მოცემული ფაქტების გათვალისწინებით. ამ ამოცანის შესასრულებლად იმის გარკვევა დაგჭირდებათ, დომინირებს თუ არა უშუალოდ ამ ელემენტებზე სახელიანი ფრაზა, დეტერმინერიანი ფრაზა ან რომელიმე სხვა ფრაზა. ამ კითხვას ერთზე მეტი შესაძლო პასუხი გააჩნია, ამიტომ ნუ შემოფოთდებით, თუკი სტრუქტურებს შორის სწორი ვერსიის არჩევა გაგიჭირდებათ, თუმცა, იმის განმარტება კი მოგეთხოვებათ, თუ როგორ შეესაბამება თქვენს მიერ შემუშავებული წესები ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მასალას.

1. Macbeth's unpardonable murder of Duncan shocked the lords.
 2. Lear adored his three beautiful daughters.
 3. The three old witches lived in the dark, mysterious forest.
1. მაკბეტის მიერ დუნკანის უპატიებელმა მკვლელობამ ლორდებს თავზარი დასცა.
 2. ლირი თავის სამ ლამაზ ქალიშვილს ეთაყვანებოდა.
 3. სამი ბებერი კუდიანი ბნელ, იდუმალ ტყეში ცხოვრობდა.

3.3.4 ფრაზის სტრუქტურის შედგენა შეზღუდვების მეშვეობით

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ წინადადებებს რთული კომპონენტური სტრუქტურა აქვთ, ამ სტრუქტურის გამოსახვა ხისებრი დიაგრამების ან კვადრატული ფრჩხილებით აღნიშვნის მეშვეობით შეიძლება და რომ კომპონენტური შემადგენლობის და-

სადგენი ცდებით, ემპირიული მასალის საფუძველზე იმის განსაზღვრაც შესაძლებელია, თუ რომელი სტრუქტურაა სწორი წინადადების მოცემული ტიპისთვის. ზემოთ ჩვენ დავასკვნით, რომ (სხვა ჰიპოთეტურად შესაძლო სტრუქტურებთან შეპირისპირებით) ამ წინადადებებს ასეთი სტრუქტურები გააჩნია, ვინაიდან თითოეული ენის გრამატიკა ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ წესებს შეიცავს, რომლებიც ამ წინადადებებისთვისაც და ფრაზების ამა თუ იმ ტიპისთვის (ზედსართავიანი ფრაზა, დეტერმინირიანი ფრაზა და სხვა) უშუალო საკომპონენტო სტრუქტურას განსაზღვრავს; გრამატიკულად გამართულ ყოველ წინადადებას უნდა გააჩნდეს საკომპონენტო სტრუქტურა, რომელიც ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ ამ წესებზე დაყრდნობით წარმოდგება — მაშინაც კი, თუ ეს წესები ხანდახან გადანაცვლებისა და წაშლის სატრანსფორმაციო წესების სხვადასხვაგვარი თანმიმდევრული ზემოქმედებით იცვლება. თუმცა, ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესები საკომპონენტო სტრუქტურის ერთადერთი განსამარტავი საშუალება როდია. ეს წესები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიაში. ექსპლიციტური ფორმალური აღნიშვნების მეშვეობით, ხსენებული წესები ნებისმიერი ტიპის ფრაზის საკომპონენტო სტრუქტურის წარმოსაქმნელ ხერხებს განსაზღვრავს, მაგრამ დღეს ბევრ ლინგვისტს მიაჩნია, რომ ადამიანის სამეტყველო ენის გრამატიკას სინამდვილეში ასეთი წესები არც გააჩნია და იმის ასახსნელად, რომ ენაში კომპონენტთა გარკვეული სტრუქტურების არსებობა შესაძლებელია, დანარჩენებისა კი — არა, ალტერნატიულ განმარტებებს ეძებენ.

ლინგვისტიკაში ახალი მიდგომა, ნაწილობრივ, მეცნიერთა იმ დაკვირვებამ მოიტანა, რომ ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესების ბევრი ასპექტი ნაჭარბევი და უსარგებლოა გრამატიკის ამა თუ იმ სხვა ნიშან-თვისების, ნაწილობრივ კი იმ ზოგადი პირობებების აღმოჩენის გამო, რომლებიც თურმე ფრაზის სტრუქტურებზე ზემოქმედებს და მათთან დაკავშირებულ ბევრ ასპექტს უფრო მარტივად და მოხდენილადაც კი განმარტავს. ამ ახალი მიდგომის თანახმად, გრამატიკის თეორია ზოგადი პირობების, ანუ **შეზღუდვების (constraints)** ერთობლიობას შეიცავს, რომელიც საკომპონენტო სტრუქტურაზე ზემოქმედებს. ამ პირობებს, ან შეზღუდვებს საკუთარი სტრუქტურა ნებისმიერი ტიპის ფრაზამ უნდა დაუქვემდებაროს, ხოლო თითოეული ტიპის ფრაზისთვის ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი წესის ჩამოყალიბების საჭიროება კი არ არსებობს. იმ პროცესის თვალსაჩინოებისთვის, თუ როგორ ზემოქმედებს ეს ზოგადი შეზღუდვები საკომპონენტო სტრუქტურაზე და როგორ გვათავისუფლებს ფრაზის სტრუქტურის ცალკეული წესის არსებობის აუცილებლობისაგან, ახლა შეგვიძლია ხელახლა განვიხილოთ ზემოთ, მაგალით (130)-ში მოყვანილი მასალა: ზმნიანი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესი:

(130) ზმნიანი ფრაზა → ზმნა (დეტერმინირიანი ფრაზა)

{
 თანდებულიანი ფრაზა
 დამატების მქმნელი ფრაზა
 ზმნიანი ფრაზა }
 }

ზმნიანი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ფაქტები, რომლებსაც ეს წესი მოიცავს, ქვემოთ, მაგალით (146)-შია ჩამოთვლილი:

- (146) ა. ყოველი ზმნიანი ფრაზა შეიცავს ზმნისთვის განკუთვნილ პოზიციას.
 ბ. ზმნა ზმნიანი ფრაზის ყველაზე მარცხნივ მდგარი ქვეკომპონენტია.
 გ. ზმნიანი ფრაზა შეიძლება (თუმცა, აუცილებელი არაა) დეტერმინერიან ფრაზასაც (დფ) შეიცავდეს.
 დ. ზმნიანი ფრაზა შეიძლება (თუმცა, აუცილებელი არაა) შეცავდეს თანდებულის ფრაზას (თფ), დამატების მქმნელ ფრაზას (დმფ) ან ზმნიან ფრაზას (ზფ).
 ე. თუ ზმნიანი ფრაზა ერთდროულად შეიცავს დეტერმინერიან ფრაზას (დფ) და სხვა კატეგორიას, დფ ამ სხვა კატეგორიის წევრზე წინ იდგება, უშუალოდ ზმნის შემდეგ.

მოდით, ახლა (146ა) და (146ბ) მაგალითები განვიხილოთ. მიუხედავად იმისა, რომ ითვლება, თითქოს ეს ფაქტები მხოლოდ ზმნიან ფრაზებს ახასიათებს, ამის მსგავსი ფაქტები ნიშნულია სხვა ტიპის ფრაზებისთვისაც. მაგალითად, ზედსართავიანი ფრაზის წესთან დაკავშირებული მაგალითი (122) მოწმობს, რომ ყოველი ზედსართავიანი ფრაზა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ზედსართავისთვის (ზ) განკუთვნილ პოზიციას, და რომ ზედსართავი უნდა იყოს ზედსართავიანი ფრაზის მარცხენა კიდეში მდგომი ქვეკომპონენტი. ამისავე მსგავსად, სახელიანი ფრაზის შესაბამისი წესი (123) მაგალითში გვეუბნება, რომ ყოველი სახელიანი ფრაზა უნდა შეიცავდეს სახელისთვის განკუთვნილ პოზიციას და რომ სახელიანი ფრაზის მარცხენა კიდეში მდგომი ქვეკომპონენტი სწორედ სახელი უნდა იყოს. ასეთი პარალელიზმი გვაფიქრებინებს, რომ არსებობს ორი ზოგადი პირობა, რომელსაც ყველა ტიპის ფრაზა უნდა დაექვემდებაროს. ეს ორი პირობა (147)-შია მოყვანილი:

- (147) ა. ყოველი X ფრაზა უნდა შეიცავდეს პოზიციას, რომელიც X ლექსიკური კატეგორიის წევრისთვის იქნება განკუთვნილი. ამ პოზიციას ფრაზის **თავი**, ან **სათაო ელემენტი** (სათაო პოზიცია) ეწოდება.
 ბ. X ფრაზის ფარგლებში X პოზიცია (ანუ პოზიცია, რომელიც ფრაზის თავისთვის არის განკუთვნილი) X ფრაზის მარცხენა კიდეში მდგომი ქვეკომპონენტი, რომელიც სათაო პოზიციაში მდგარი ლექსიკური წევრის მიერ შერჩეული დამატების წინ დგას.

(147) მაგალითში ტერმინი X ნებისმიერი ტიპის ლექსიკურ კატეგორიას გულისხმობს, ს(ახელი) იქნება ეს, ზმ(ნა) თუ ზ(ედსართავი); მაგალითად, თუ X –ში სახელის კატეგორია ჩაჯდება, (147ა)-ს შესაბამისი წესი მოითხოვს, რომ ეს სახელიანი ფრაზა სახელის პოზიციას შეიცავდეს, ხოლო (147ბ) მოითხოვს, რომ სახელის პოზიცია სახელიან ფრაზაში სახელის ყველა დამატებაზე წინ იდგეს. თუ ინგლისური ენის გრამატიკა (147) მაგალითში მოყვანილ შეზღუდვებს შეიცავს, მაშინ ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესები ზმნიანი ფრაზისთვის, ზედსართავიანი ფრაზისთვის და სახელიანი ფრაზისთვის ამ ინფორმაციის გამეორებას თითოეული ამ ტიპის ფრაზის შემთხვევაში აღარ მოითხოვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, (147)-ში მოყვანილი შეზღუდვები მხოლოდ იმას კი არ განმარტავს, რომ ზმნიან ფრაზას, ზედსართავიან ფრაზასა და სახელიან ფრაზას პარალელური სტრუქტურები გააჩნია — ეს შეზღუდვები ზმნიანი ფრაზის, ზედსართავიანი ფრაზისა და სახელიანი ფრაზის სტრუქტურული წესების ნაჭარბევი ასპექტების ჩამოშორებით გრამატიკასაც გვიმარტივებს.

ახლა თანდებულის ფრაზისათვის (120)-ში შედგენილი ჩვენი წესიც განვიხილოთ, რომელიც გვამცნობს, რომ ყოველ თანდებულის ფრაზას თანდებულის (თ) პოზიცია უნდა გააჩნდეს, ამ პოზიციას თანდებულის დფ დამატება მოსდევს. (147) –ის თანახმად, ერთადერთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით წესი (120) ნაჭარბევი არაა, იმას ამტკიცებს, რომ თანდებულის დამატება არის დეტერმინირიანი ფრაზა და რომ ეს დეტერმინირიანი ფრაზა თანდებულის ფრაზის **სავალდებულო** ქვეკომპონენტია. ამის მიუხედავად, თუ თანდებულების *to*, *on* და *at* სალექსიკონო განსაზღვრება გვამცნობს, რომ ესენი სავალდებულო დფ დამატებას ირჩევენ (გარდამავალი *murder* ზმნის მსგავსად), მაშინ ეს ფაქტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული და თანდებულის ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესი მთლიანად უნდა გაუქმდეს. ამ მიდგომას დამოუკიდებლად უმაგრებს საფუძველს ის ფაქტიც, რომ გარკვეული თანდებულები, როგორებიცაა *in*, *out*, *over*, *up* ფრაზაში შეიძლება დფ დამატების გარეშეც იდგეს, როგორც ეს (148) მაგალითშია:

- (148) ა. Falstaff ran in (the room).
 ბ. Portia walked out (the door).
 გ. Henry sailed over (the channel).
 დ. Othello looked up (the chimney).
 ა. ფალსტაფმა შეირბინა (ოთახში).
 ბ. პორცია გამოვიდა (კარს გარეთ).
 გ. ჰენრიმ გადაცურა (არხი).
 დ. ოტელომ აიხედა (საკვამურში).

ფაქტი, რომ თანდებულები ერთმანეთისგან ამ თვალსაზრისით განსხვავდება, ძირს უმაგრებს თეორიას, რომლის თანახმად, ისეთ თანდებულის ფრაზებში, რომლებიც *at* და *to* თანდებულებს რომშიცავს, სავალდებულო დფ დამატებები ამ თანდებულების სასელექციო (კატეგორიათა შერჩევასთან დაკავშირებული) მახასიათებლებით განისაზღვრება და არა თანდებულის ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესით, როგორც (120-ე) მაგალითში.

(147)-ში წარმოდგენილი პირობები (138)-ში დამატების მქმნელი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული იმ წესის გაუქმების საშუალებას იძლევა, რომლის თანახმად, დამატების მქმნელი ფრაზა (დმფ) შეიცავს დამატების მქმნელ სიტყვას (დმს) და მის მომდევნოდ მდგომ ჩართულ წინადადებას. (147ა) ითვალისწინებს ფაქტს, რომ დამატების მქმნელი ფრაზა დამატების მქმნელი სიტყვის პოზიციას უნდა შეიცავდეს, ხოლო (147ბ) კი ფაქტს, რომ დამატების მქმნელი სიტყვა დამატების მქმნელი ფრაზის მარცხენა კიდეში მდგომი ქვეკომპონენტი უნდა იყოს. იმ ფაქტის გასათვალისწინებლად, რომ ჩართულ წინადადებას დამატების მქმნელი ფრაზაც შეიცავს, მხოლოდ იმის აღიარებლა გვჭირდება, რომ წინადადების პოზიცია —დმს-ს შემდეგ მდგომი პოზიცია — დამატების პოზიციაა, ანუ ისეთი დმს, როგორიცაა *that*, წინადადებას სავალდებულო დამატებად ირჩევს. ეს ვითარება საშუალებას გვაძლევს, დამატების მქმნელი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ფრაზა გავუქმოთ, რითაც ინგლისური ენის გრამატიკის ჩვენი თეორია კიდევ უფრო მარტივდება.

ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ზოგადი პირობების თეორიას, რომელსაც მოკლედ (147)-ში გაცანით, **X-დაბრკოლების თეორიას** უწოდებენ. (147ა)-ში წარმოდგენილი პირობა, რომელიც ფრაზის სტრუქტურაზე ზემოქმედებას ახდენს, მსოფლიოს ყველა სამეტყველო ენას ესადაგება. მეორე მხრივ, (147ბ) პირობა

მხოლოდ ისეთ ენებს მოიცავს, რომლებიც **სათაო პოზიციით დაწყებული** მდგრადი სტრუქტურებისკენ არის მიდრეკილი: ასეთი ენაა თუნდაც ინგლისური, სადაც ზმნები, სახელები, თანდებულები და დამატებები საკუთარ დამატებებს წინ უსწრებენ. ბევრი სხვა ენა, მაგალითად, თურქული და იაპონური, **სათაო პოზიციით დასრულებული** მდგრადი სტრუქტურით ხასიათდება. ეს ენები ისეთ პირობებს ექვემდებარება, რომლებიც შეგვიძლია (147ბ) პირობის სარკისებრ ანარეკლად წარმოვიდგინოთ — აქ სათაო პოზიცია (X) XP-ის, ქვეკომპონენტი მარჯვენა კიდეზე მოუდის, და ფრაზის თავის მომდევნო პოზიციაში დგას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხაზისებრი თანმიმდევრობის ურთიერთობა ფრაზის თავსა და ფრაზის თავის დამატებებს შორის ენათა სხვაობის კიდეე ერთი პარამეტრია; ამ თეორიის თანახმად, თითოეული ენის გრამატიკა ამ ორ პარამეტრს შორის ერთ-ერთს ირჩევს, ანუ ან სათაო პოზიციით დაწყებული მდგრადი სტრუქტურა გააჩნია, ან სათაო პოზიციით დაწყებული მდგრადი სტრუქტურა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ლექსიკური კატეგორიის სიტყვა მოექცევა ფრაზას სათავეში; ეს თეორია თითქმის ყველა ენას მოიცავს, თუმცა, კარგად ცნობილი გამონაკლისებიც არსებობს. მეორე მხრივ, ზოგიერთი ლინგვისტი ამტკიცებს, რომ (147ბ)-ში წარმოდგენილი პირობა უნივერსალურია, ხოლო სათაო პოზიციით დასრულებული სტრუქტურა გადანაცვლების სატრანსფორმაციო წესის მეშვეობითაა წარმოდგარი, მარცხნივ მიმართული გადანაცვლების ანალოგიურად, რასაც ინგლისურ ენაში ტოპიკალიზაცია, *wh*-გადანაცვლება და სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია გულისხმობს. ეს ალტერნატიული მიდგომა ენათაშორისი სხვაობისადმი, რომლის საფუძვლად სათაო პოზიციისა და დამატების წყობის თავისებურებაა აღებული, **ანტისიმეტრიის** თეორიის სახელით არის ცნობილი.

ახლა ინგლისური ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ წესებს მივუბრუნდეთ. როგორც ვნახეთ, **X-დაბრკოლების** (147-ში მოყვანილ) პირობათა გაზიარება თანდებულიანი ფრაზის და დამატების მქმნელი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ წესებს აუქმებს და ამავე დროს ზმნიანი ფრაზის, ზედსართავიანი ფრაზის და სახელიანი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესებით გათვალისწინებულ ფაქტებსაც მოიცავს (და მათ ითვალისწინებს). ახლა (146) -ში მოყვანილი ფაქტები განვიხილოთ: კერძოდ, ზმნიანი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესი, რომელიც (130-ე) მაგალითშია გათვალისწინებული; (146) მოწმობს, რომ ზმნიანი ფრაზა შეიძლება (მაგრამ არა აუცილებლად) შეიცავდეს დფ დამატებას, ხოლო (146დ) -ს მიხედვით, ზმნიანი ფრაზა ასევე შეიძლება არასავალდებულო პოზიციას შეიცავდეს თფ, დმფ ან ზმფ დამატებისთვის. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დამატებების არასავალდებულოდ მიჩნევა შესაძლოა დამაბნეველიც აღმოჩნდეს, ვინაიდან აქ მცირე დაზუსტებაა საჭირო: ზოგიერთ ზმნასთან მათი გამოჩენა სავალდებულოა, ხოლო ზოგიერთ სხვასთან — შეუძლებელი. მაგალითად, ზმნიანი ფრაზა, რომელსაც სათაო პოზიციაში *say* ზმნა უდგას, დამატების მქმნელ ფრაზას უნდა შეიცავდეს, ამით ზმნის ლექსიკური ერთეული გვამცნობს, რომ ეს ზმნა აუცილებლად ირჩევს ამგვარ დამატებას, მაშინ, როცა ზმნიანი ფრაზა, რომელსაც სათაო პოზიციაში ზმნა *run* აქვს, დმფ დამატებას შესაძლოა არც შეიცავდეს, ვინაიდან ამ ზმნის ლექსიკური ერთეული შესაბამის სასელექციო მახასიათებელს არ შეიცავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნიანი ფრაზაში ამა თუ იმ დამატების გამოჩენას სინამდვილეში ზმნიანი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესი კი არ განსაზღვრავს, არამედ იმ ლექსიკური წევრის სასელექციო (კატეგორიათა შერჩევის) მახასიათებელი, რომელიც ზმნიანი ფრაზის სათაო პოზიციაში ჩადგება. იგი-

ვე შეგვიძლია ვთქვათ ზედსართავიანი ფრაზისა და სახელიანი ფრაზის კატეგორიაზე. ისინი თანდებულისადაა ფრაზას დამატებად იმ შემთხვევაში ირჩევენ, თუ სათაო პოზიციაში მდგომი სახელი ან ზედსართავი ასეთს აირჩევს. რაკი ამგვარი ფაქტები სასელექციო შეზღუდვებში გათვალისწინებულია, გრამატიკას ამ ინფორმაციის გამოცალკევებით მონოდების საჭიროება აღარ აქვს, როცა ზმნიანი ფრაზის, ზედსართავიანი ფრაზის და სახელიანი ფრაზის სტრუქტურის განმსაზღვრელ წესს აყალიბებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კატეგორიათა ფრაზის სტრუქტურაც შეიძლება გამარტივდეს, რაც, თავის მხრივ, ინგლისური ენის გრამატიკის ჩვენს მიერ შემუშავებულ მოდელს ამარტივებს.

ვივარაუდოთ, რომ რაც ითქვა, სწორია; მხოლოდ ერთადერთი ფაქტი გვაქვს ზმნიანი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი, კერძოდ ის, რომ ზმნიანი ფრაზა ერთდროულად შეიცავს როგორც დფ დამატებას, ისე თფ, დმფ ან ზფ დამატებებს და დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილი დამატება იმ მეორეს აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს. ნავარაუდევია, რომ ეს იმ პირობის გვერდითი ეფექტია, რომელსაც დეტერმინერიანი ფრაზა უნდა დაექვემდებაროს. კერძოდ, საუბარია ზემოთ ნახსენებ ბრუნვის ფილტრზე (ბრუნვის ფილტრი ტექსტში (55) მაგალითთან დაკავშირებით ვახსენეთ, არაკუზატივური (ბრალდებითის არმქონე) ზმნების კონტექსტში), რომელიც მოითხოვს, რომ ყოველ დეტერმინერიან ფრაზას ბრუნვა უნდა მიენიჭოს. ზემოთ ითქვა, რომ ბრალდებითი (აკუზატივური) ბრუნვა მხოლოდ ისეთ დეტერმინერიან ფრაზას უნდა მიენიჭოს, რომელიც ბრალდებით ბრუნვის მიმნიჭებელ ზმნას ემიჯნება. მომიჯნავეობის ეს პირობა თანდებულის მიერ ბრუნვის მინიჭების სიტუაციასაც ესადაგება, თუმცა ეს პროცესი იმ ფაქტით ინიღბება, რომ თანდებული ერთ დამატებაზე მეტს არასდროს ირჩევს. ბრუნვის ფილტრის არსებობასა და ბრუნვის მინიჭების პროცესზე მომიჯნავეობის პირობაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ობიექტური დფ უშუალოდ უნდა მოსდევდეს ზმნიანი ფრაზის შემადგენლობაში მდგომ ზმნას, ხოლო ზმნიანი ფრაზისგან ექსპლიციტურ სტრუქტურულ წესს არ უნდა მოითხოვდეს. უკანასკნელ წლებში ენათმეცნიერებმა ბრალდებითი ბრუნვის მინიჭების მიმართ ალტერნატიული თეორიები წამოაყენეს. ეს თეორიები მომიჯნავედ დგომის პირობას არ ეყრდნობა. ამ ახალ მიდგომებს საფუძვლად ის თვალსაზრისი უდევს, რომ ზმნიანი ფრაზის კომპონენტთა თანმიმდევრობა ისე უნდა იქნას განხილული, რომ თანმიმდევრობასთან დაკავშირებით ექსპლიციტური განაცხადები ფრაზის სტრუქტურული წესების ფორმით არ გაკეთდეს.

ზემოთუკვევანახეთ, რომ ზმნიანი ფრაზის, ზედსართავიანი ფრაზის, თანდებულისადაა ფრაზისა და დამატების მქმნელი ფრაზის სტრუქტურებთან დაკავშირებული წესები შეიძლება გაუქმდეს და უფრო ზოგადი პირობებით იქნეს ჩანაცვლებული, ისეთებით, როგორებიც (147) -შია მოცემული. ამას, ბუნებრივია, ისეთ კონიექტურამდე (ანუ შესწორებებამდე) მივყვართ, რომ ფრაზის ყველა კატეგორიისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული წესები შეიძლება გაუქმდეს, რასაც თეორია ფრაზის სტრუქტურის შესახებ X-დაბრკოლების თეორიის და შერჩევის ზოგად პირობებამდე დაჰყავს. თუმცა, ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ორი წესი, ერთი შეხედვით, ამ მოდელს არ შეესაბამება. კერძოდ, საუბარია დეტერმინერიანი ფრაზისა და წინადადების სტრუქტურულ წესებზე, რომლებიც, შესაბამისად, (124) და (130) მაგალითებშია წარმოდგენილი. დეტერმინერიანი ფრაზის სტრუქტურული წესი (147ა) გვამცნობს, რომ დეტერმინერის პოზიციას ყოველი დფ ფრაზა უნდა შეიცავდეს, მაგრამ ისეთი დეტერმინერიანი ფრაზების არსებობა, რომლებიც მხოლოდ სახელს ან ნაცვალსახელს

შეიცავს, ამგვარ მიდგომას ეჭვქვეშ აყენებს. სანამ ამ პრობლემას ჩაეზღვრება დედად, იმ დეტერმინერიანი ფრაზების სტრუქტურა განვიხილოთ, რომლებიც სწორედ დეტერმინერებს შეიცავს. (147ბ) -ს მიხედვით, დეტერმინერი დეტერმინერიანი ფრაზის მარცხენა კიდეში მდგომი კომპონენტი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, სათაო პოზიციით დაწყებული სტრუქტურების მქონე ისეთ ენებში, როგორც ინგლისურია. არსებითად, (147ბ) -ში წარმოდგენილი პირობა მხოლოდ იმ კატეგორიებს ესადაგება, რომლებიც დამატებებს ირჩევს, ჩვენ კი ჯერჯერობით დეტერმინერი ამ კუთხით არ განვიხილავს. მიუხედავად ამისა, მივიჩნით, რომ სახელიანი ფრაზა, რომელიც დეტერმინერიანი ფრაზის ფარგლებშია მოქცეული, დეტერმინერის დამატება უნდა იყოს. ამ შემთხვევაში (147ბ) სწორ შედეგს ვიღებთ. სახელიანი ფრაზა დეტერმინერიანი ფრაზის ფარგლებში იმის გამო ჩნდება, რომ იგი *the* და *a(n)* დეტერმინერების სავალდებულო დამატებაა. ასეთ მიდგომას დამოუკიდებლად საფუძველს ისეთი ჩვენებითი, ანუ მითითებითი ნაცვალსახელების ქცევა განაპირობებს, როგორებიცაა *this*, *that*, *these* და *those*, სადაც დეტერმინერის შემდეგ სახელიანი ფრაზის დგომა სავალდებულო არ არის, ამას ეს მაგალითიც მოწმობს:

(149) ა. This (castle of Harfleur) is in France.

ბ. Those (books) belong to Prospero.

ა. ის (არფლორის ციხე-სიმაგრე) საფრანგეთშია.

ბ. ესენი (წიგნები) პროსპეროს ეკუთვნის.

ამ მაგალითებში სუბიექტურ პოზიციებში მდგომი დეტერმინერიანი ფრაზების ფარგლებში მოქცეული სფ ქვეკომპონენტების არასავალდებულო ხასიათი ძნელი გასათვალისწინებელია. ამის მიზეზი დეტერმინერიანი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ისეთი წესის არსებობაა, როგორც (124) -შია წარმოდგენილი; მეორე მხრივ, თუ დავასკვნით, რომ სახელიანი ფრაზის გამოჩენა დეტერმინერიან ფრაზაში დეტერმინერის სასელექციო მახასიათებლებითაა განპირობებული, მაშინ (149) მაგალითის გათვალისწინება მხოლოდ იმის აღიარებითაც შესაძლებელია, რომ ჩვენებითი დეტერმინერები არასავალდებულო სახელიან ფრაზებს ირჩევენ, *the* და *a(n)* დეტერმინერებისგან განსხვავებით, რომლებიც სავალდებულო სფ-ებს ირჩევენ.

ახლა იმ დეტერმინერიანი ფრაზების პრობლემას მივუბრუნდეთ, რომლებიც მხოლოდ ნაცვალსახელისა ან საკუთარი სახელისგან არიან შედგენილნი, ისინი X-დაბრკოლების ზოგადი პირობის (გაიხსენეთ (147ა)) საწინააღმდეგო მაგალითებს წარმოადგენენ. სხვა ენებიდან მოყვანილი მონაცემები მოწმობს, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთისგან მცირედ განსხვავდება. ნაცვალსახელებზე საუბრისას ივარაუდება, რომ ისინი ისეთი დეტერმინერებია, რომლებმაც დამატებად სახელიანი ფრაზის არჩევა ვერ შეძლეს. ეს ფაქტი მაშინვე გადაჭრილად აცხადებს არარსებულ დეტერმინერის პრობლემას — თუ ნაცვალსახელები დეტერმინერებია, მაშინ ხსენებული პრობლემა ილუზორული ყოფილა — ეს ნათელს ჰფენს, თუ რატომ არ გვაქვს ამ შემთხვევაში სახელიანი ფრაზა; ნაცვალსახელი მის დამატებად არჩევას ვერ ახერხებს. ამგვარი შეხედულება თავდაპირველად შეიძლება ხელოვნურიც ჩანდეს, მაგრამ ზოგიერთ ენაში, მაგალითად, ფრანგულსა და ესპანურში მისი სისწორის მამტიკიცებელ მასალას ვპოულობთ. ამ ენებში განსაზღვრული დეტერმინერები ბრალდებით ბრუნვაში მდგომი ნაცვალსახელების ჰომოფონურია. ამის ილუსტრირებად ფრანგული ენიდან მოყვანილი ნიმუში (150) გამოდგება:

- (150) ა. Jean connaît le garçon.
Jean knows the (მამრ.მხოლ.) boy.
„უანი იცნობს განს. არტიკლი ბიჭს (მამრ.მხოლ.)
„უანი ბიჭს იცნობს“.
- ბ. Jean le connaît.
Jean him knows .
„უანი მას იცნობს“.
- გ. Jean connaît les garçons.
Jean knows the (მამრ. მრავლ.) boys.
„უანი იცნობს ბიჭებს (მამრ.მრავლ.)
„უანი ბიჭებს იცნობს“.
- დ. Jean les connaît.
Jean them (მამრ.) knows.
„უანი მათ იცნობს“.

რაც შეეხება დეტერმინერიანი ფრაზების შემცველ საკუთარ სახელებს, სხვა ენების მასალის გაანალიზება პრობლემის სხვადასხვაგვარ გადაჭრას გვთავაზობს. ბევრ ენას ბრუნვის ნიშნების რთული სისტემა გააჩნია. ამ ენებში საკუთარი სახელები საზოგადო სახელებთან მორფოლოგიურად დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ საკუთარი სახელები აქ სახელის განსაკუთრებული სახეობაა. ინგლისურშიც კი ზოგიერთ სახელს ხშირად წინ ღია დეტერმინერი არ უძღვის, როგორც, მაგალითად, მრავლობით ბრუნვაში მდგომი განუსაზღვრელი დფ-ების (*books* -ნიგნები ან *soldiers*-ჯარისკაცები), აბსტრაქტული სახელების (*beauty*-სილამაზე) და კრებითი სახელების (*wine*-ღვინო) შემთხვევაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დეტერმინერიანი ფრაზები ნულოვან (გამოუთქმელ) დეტერმინერს შეიცავს, რომლებიც ზემოთ განხილული ნულოვანი ნაცვალსახელების ანალოგიურია. ამ შემთხვევაში დეტერმინერის პოზიცია დეტერმინერიან ფრაზაში არ დაიკარგება; მას გამოუთქმელი დეტერმინერი დაიკავებს. ეს დასკვნა დასაბუთებას გერმანული და პორტუგალიური ენების მასალიდან იღებს, სადაც საკუთარ სახელებს წინ შეიძლება განსაზღვრული დეტერმინერი უძღოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დეტერმინერი უფრო არასავალდებულოა, ვიდრე აუცილებელი. ზოგიერთ ენათმეცნიერს მიაჩნია, რომ ეს სახელები, საკუთარი სახელების ჩათვლით, ტრანსფორმაციულ გადანაცვლებას განიცდის და დეტერმინერის ცარიელ პოზიციაში დგება, რაც არარსებული დეტერმინერის პრობლემას ოდნავ განსხვავებულად წარმოგვიდგენს. ამგვარად, შესაძლოა, რომ ყველა დეტერმინერიანი ფრაზა, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც თითქოს მხოლოდ ერთი ნაცვალსახელისგან ან საკუთარი სახელისგან შედგება, მართლაც ესადაგებოდეს ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ იმ ზოგად მოდელს, რომელიც (147) -ში X-დაბროკლების წესებითაა განსაზღვრული. დეტერმინერიანი ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული ჩვენი წესი ამ შემთხვევაშიც შეიძლება გაუქმდეს.

თუ ეს მიდგომა სწორია, მაშინ ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი წესია ისეთი, რომელიც (147) -ის X-დაბროკლების წესებით განსაზღვრულ მოდელს გამოეყოფა, კერძოდ, წინადადების განმსაზღვრელი წესი (137):

- (137) წინადადება → დეტერმინერიანი ფრაზა — ზმნიანი ფრაზა

ეს წესი ჩვენს მიერ აქამდე განხილულ არც ერთ წესს არ ჰგავს. (147ა) -ს მიერ განსაზღვრული წესებით, სათაო პოზიციას მისი არც სუბიექტური დფ-ს პოზიცია შეესაბამება და არც ზმნიანი ფრაზის პოზიცია. თუმცა, გაიხსენეთ, რომ ზმნიანი ფრაზის ნაშლზე მსჯელობისას ჩვენ ვივარაუდეთ, რომ წინადადება ისე უნდა იქნეს გაანალიზებული, როგორც დროითი ფრაზა, ანუ დფ — ფრაზა, რომელსაც სათაო პოზიციაში დროითი ლექსიკური კატეგორიის წევრი უდგას. ისეთი წინადადების შემთხვევაში, რომელიც მომავალი დროის შესაბამის მოდალურ *will* ზმნას შეიცავს, (მაგალითი (151)), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს მოდალური ზმნა დამატებად ზმნიან ფრაზას ირჩევს და დროითი ფრაზის ფარგლებში სათაო (დროითი კატეგორიის კუთვნილ) პოზიციას იკავებს:

(151) Henry will invade France.

ჰენრი საფრანგეთში შეიჭრება.

როცა წინადადება *will* მოდალური ზმნის შესაბამის მოდალურ ზმნას არ შეიცავს, ზმნას დროის აფიქსი დროითი კატეგორიის პოზიციაში დაერთვება. მე-5 თავში განვიხილავთ, როგორ დაერთვის დროის სუფიქსი ძირითად ზმნას.

თუმცა, ზემოთ თქმული სუბიექტური დეტერმინერიანი ფრაზის პოზიციას არ ითვალისწინებს. ამ პოზიციის არსებობის X-დაბრკოლების თეორიის ტერმინებში განსამარტავად უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ სუბიექტის პოზიციის განსასაზღვრად X-დაბრკოლების დამატებითი პირობა გვაქვს:

(152) ყოველი XP, ანუ X ფრაზა შეიცავს მსაზღვრელს ან სუბიექტურ პოზიციას, რომელიც სათაო პოზიციას წინ უძღვის და სხვა YP, ანუ Y ფრაზისთვის არის განკუთვნილი.


(152) -ში Y, ისევე როგორც X, ლექსიკური კატეგორიის მიხედვით იცვლება; ამგვარად, XP და YP სხვადასხვა კატეგორიებს განეკუთვნება. ხშირ შემთხვევაში დეტერმინერია. ანუ, ფრაზის ან წინადადების სუბიექტი, ჩვეულებრივ, დეტერმინერიანი ფრაზაა. თუმცა, ეს ფაქტი X-დაბრკოლების თეორიით არ არის განსაზღვრული. შესაძლოა, მისი ახსნა სუბიექტის მიერ უზრუნველყოფილ თემატურ როლზე დაყრდნობით იყოს შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სარწმუნო ჩანდეს, თითქოს ეს პირობა სხვა სახის ფრაზებს არ მიესადაგება, ზემოთ უკვე განვიხილეთ რიგი კონსტრუქციები, რომლებშიც, სავარაუდოდ, მსაზღვრელის პოზიციას ფრაზის თავის წინა ფრაზა იკავებს. ერთი ასეთი შემთხვევა ნომინალური მსაზღვრელების შემცველ დეტერმინერიან ფრაზებს მოიცავს, რომელთა შემთხვევაში ნათესაობით ბრუნვაში მდგარი დეტერმინერიანი ფრაზა დეტერმინერიანი ფრაზის შემადგენელი სახელის წინ დგას, როგორც, მაგალითად, დეტერმინერიან ფრაზაში *the king's daughters*. ამკარაა, რომ ნათესაობითი მდგარი დეტერმინერიანი ფრაზა მის შემცველ დეტერმინერიან ფრაზაში დეტერმინერის პოზიციას ვერ დაიკავებს, ვინაიდან სათაო პოზიციების დაკავება მხოლოდ სიტყვებს შეუძლიათ, ფრაზებს კი — არა. ამგვარად, თუკი მსაზღვრელს ან სუბიექტურ პოზიციას დეტერმინერიანი ფრაზაც შეიცავს, როგორც ამას (152) მაგალითი გვკარნახობს, ამ დეტერმინერიანი ფრაზების სტრუქტურის გათვალისწინებაც მოხერხდება. რაც შეეხება ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა ზედსართავიანი ფრაზა, ზმნიანი ფრაზა, სახელიანი და თანდებულიანი ფრაზები, ადრეც შევნიშნეთ, რომ ამ ფრაზებს ეგრეთ წოდებულ მცირე კლაუზულის კონსტრუქციებში შეიძლება წინ დეტერმინერიანი ფრაზები ედგეს. თუ მცირე კლაუზულები მხოლოდ და მხოლოდ X ფრაზებია, რომ-

ლებიც ღია დფ სუბიექტებს შეიცავს, მაშინ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ (152) -ში წარმოდგენილი პირობა ყველა ამ კატეგორიასაც მიესადაგება. მაგალითად, წინადადებაში Juliet heard Romeo call out her name დეტერმინერიანი ფრაზა Romeo ზმნიანი ფრაზის Romeo call out her name მსაზღვრელის პოზიციაში ჩადგება. მცირე კლასიკური კონსტრუქციების გარდა, ზმნიანი ფრაზა ღია დფ სუბიექტს არ შეიცავს. ასეთი შემთხვევებისთვის X-დაბრკოლების თეორია განსაზღვრავს, რომ მსაზღვრელის პოზიცია დეტერმინერიან ფრაზაში ცარიელი იქნება. თუმცა, გამოთქმული ვარაუდების თანახმად, წინადადების სუბიექტი (ქვემდებარე) ზმნიანი ფრაზის მსაზღვრელის პოზიციიდან წარმოდგება და ტრანსფორმაციულ გადანაცვლებას განიცდის — მსაზღვრელის პოზიციიდან დროითი ფრაზის პოზიციაზე, ყოველ შემთხვევაში, ისეთ ენებში, რომლებსაც კომპონენტთა SVO თანმიმდევრობა ახასიათებს, თუნდაც ინგლისურში. ამ მოსაზრებას სხვაგვარად **ზმნიანი ფრაზისშიდა სუბიექტის ჰიპოთეზა** (Vp-Internal Subject Hypothesis) ეწოდება.

კომპონენტებთან დაკავშირებული ცდების შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ X-ში მსაზღვრელის პოზიცია სათაო X-ის ტოლი კომპონენტი ვერ იქნება; იგი უფრო \bar{X} კომპონენტის ტოლია, ამ შემთხვევაში \bar{X} უშუალოდ დომინირებს სათაო X-ზე და X-ის დამატებებზე, როგორც (153) მაგალითში:

(153)



X-დაბრკოლებით განსაზღვრული სტრუქტურის ეს ზოგადი შაბლონი ყველა ფრაზის ჩონჩხისებრ სტრუქტურას შეადგენს.

3.4 შეჯამება

ამ თავში სინტაქსის თეორიის ძირითადი ცნებები განვიხილეთ. მათზე მსჯელობა იმ უმთავრესი მონაცემების ზოგადი მიმოხილვით დავიწყეთ, რომელთაც სინტაქსის თეორია ეფუძნება. ამ მასალაში მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა მიერ ფრაზის, გამოთქმის თუ წინადადების მისაღება-მიუღებლობის შესახებ მსჯელობა იგულისხმება. ენათმეცნიერები ამ მონაცემებს წინადადების გრამატიკული სისწორის დასადგენად იყენებენ, რაც მათ საშუალებას აძლევს, გონებრივი გრამატიკის სინტაქსურ შედგენილობასთან დაკავშირებული წესები და შეზღუდვები ჩამოაყალიბონ.

შემდეგ ყურადღება დაეთმო ლექსიკურ კატეგორიებს (სიტყვათა კლასისა, რომლის წევრებს მნიშვნელოვანი მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლები აერთიანებთ) და დავრწმუნდით, რომ იმის განზოგადებაც შეიძლება, თუ როგორ და

რა კანონზომიერებით ერწყმის ერთმანეთს სიტყვები წინადადების შესადგენად. ვნახეთ, რომ ზოგიერთი ლექსიკური კატეგორია სხვებს მიეკუთვნება — მათ გარკვეული დამოკიდებულებით უკავშირდება, მაშინ, როცა დანარჩენები ისე ფუნქციონირებენ, როგორც პრედიკატები. თითოეული იმ სიტყვის ლექსიკური ერთეული, რომელიც ისე ფუნქციონირებს, როგორც პრედიკატი, მის არგუმენტთა სტრუქტურის (მის მიერ არჩეულ არგუმენტთა ჩამონათვალი) სპეციფიკაციასაც (განმარტებას) შეიცავს და იმ თემატურ როლებსაც მიუთითებს, რომლებსაც იგი თითოეულ ამ არგუმენტს ანიჭებს, — აგენტის როლი იქნება ეს, მიმღების თუ სამიზნე როლი, რითაც მიგვანიშნებს, თუ რა როლია განკუთვნილი არგუმენტისთვის იმ სიტუაციასა თუ მოვლენაში, პრედიკატი რომ ასახავს. პრედიკატს საკუთარი არგუმენტის შეზღუდვებში მოქცევაც შეუძლია, — ეს არგუმენტის სინტაქსურ კატეგორიასაც (კატეგორიათა არჩევა, ანუ *c*-შერჩევა) შეეხება და ფარულ სემანტიკურ მახასიათებლებსაც (სასელექციო შეზღუდვები, ანუ *s*-შერჩევა). თემა-როლების მინიჭება ერთ უფრო ზოგად შეზღუდვას ექვემდებარება, რომელსაც *θ*-შერჩევა, ან *θ*-სელექცია ეწოდება. *θ*-სელექცია მოითხოვს, რომ ყოველ სავალდებულო *θ*-როლს სარეფერენტო კატეგორია, ხოლო ყოველ სარეფერენტო კატეგორიას *θ*-როლი მიენიჭოს.

თემატური როლები, როგორც წესი, წინადადებაში გარკვეულ სინტაქსურ პოზიციებს უკავშირდება, ისეთებს, როგორებიცაა სუბიექტის პოზიცია, პირდაპირი ობიექტის პოზიცია, ნომინალური მსაზღვრელის პოზიცია და ასე შემდეგ. ცალკეული ენები ერთმანეთისგან წინადადების სტრუქტურაში ამ პოზიციათა (მნკრივული) თანმიმდევრობით განსხვავდება, ლინგვისტები კი ენებს მთავარ კომპონენტთა თანმიმდევრობის მიხედვით ახარისხებენ, რის მიმართაც ამჟღავნებენ ისინი მიდრეკილებას. კომპონენტთა თანმიმდევრობა მრავალგვარი შეიძლება იყოს: სუბიექტი — ზმნა — ობიექტი, სუბიექტი — ობიექტი — ზმნა, ზმნა — სუბიექტი — ობიექტი და ასე შემდეგ. კონფიგურაციულ ენებში, მაგალითად, ინგლისურში, ძირითად კომპონენტთა თანმიმდევრობა ასე თუ ისე ფიქსირებულია, ხოლო ეგრეთ წოდებულ არაკონფიგურაციულ ენებში, როგორც, თუნდაც, რუსულია, კომპონენტთა თანმიმდევრობა ოდნავ უფრო თავისუფალია. მათ სიტყვათა თანმიმდევრობის რამდენიმე განსხვავებული მოდელი გააჩნიათ. კომპონენტთა თავისუფალი თანმიმდევრობა ხშირად ბრუნვის ნიშნებად გამოყენებული ღია მორფემების (ნომინატივი-სახელობითი, აკუზატივი-ბრალდებითი, დატივი-მიცემითი) არსებობას უკავშირდება. თუმცა, ეს ურიერთკავშირი აბსოლუტური არაა; მაგალითად, ინგლისურ ნაცვალსახელებს (საკუთარი და საზოგადო სახელებისგან განსხვავებით) ღია ბრუნვის ნიშნები აქვს, მაგრამ მათი სინტაქსური დისტრიბუცია ისევეა შეზღუდული, როგორც საკუთარი და საზოგადო სახელებისა. იმის მიუხედავად, რომ ეს არგუმენტები, ჩვეულებრივ, ღიაა, ნაცვალსახელები ხშირად ნულოვანია (გამოუთქმელი), ისე, როგორც ნულოვანი სუბიექტური ნაცვალსახელების, რომლებიც გარკვეული სახეობის ინფინიტივურ (უპირო) კლაუზულებში და ესპანური და იტალიური ენების პირიან კლაუზულებში გვხვდება.

სიტყვები ერთად ჯგუფდება, რომ კომპონენტები ან ფრაზები წარმოქმნას. ყოველი ფრაზა მისი თავისთვის (თავი ის ლექსიკური კატეგორიაა, რომლის სახელწოდებაც მთელ ფრაზას ეძლევა, მაგ. დეტერმინერი — დეტერმინერიანი ფრაზა (დფ); სახელი — სახელიანი ფრაზა (სფ)) პოზიციას შეიცავს; ასევე შეიცავს სათაო პოზიციაში მდგომი სიტყვის მიერ არჩეულ ნებისმიერ დამატებას. ნებისმიერი ტიპის ფრაზას (სახელიანი, დეტერმინერიანი, ზედსართავიანი, ზმნიანი, დამატების მქმნელი და სხვა) შეუძლია

ისეთი თავის დამატების ფუნქცია გასწიოს, როგორც ზმნის ლექსიკური კატეგორიაა. ამ დამატებებს შორის კლაუზულური დამატებების სხვადასხვა სახეობაც განვიხილეთ, მათ შორის, დროითი ფრაზები, ინფინიტივური ფრაზები და ეგრეთ ნოდებული მცირე კლაუზულები. თითოეული წინადადების კომპონენტთა წევრები გარკვეული წესით ჯგუფდება და ამით წინადადების იმ გარკვეულ სტრუქტურას აძლევს დასაბამს, რომელიც გრაფიკულად ხისებრი დიაგრამების ან კვადრატული ფრჩხილების მეშვეობით გამოისახება. ამ სტრუქტურებს ფორმალური მახასიათებლები გააჩნია (ასეთებია წინდგომა, დომინანტური ურთიერთობა, რომელიც ხისებრი დიაგრამის კვანძებს აკავშირებს), რომლებიც დაკავშირებულია სინტაქსურ წყობასთან. ხშირ შემთხვევაში წინადადების საკომპონენტო სტრუქტურა თვალნათლივი როდია: ენათმეცნიერები საკომპონენტო სტრუქტურის დასადგენ სხვადასხვა ცდას მიმართავენ, რათა თითოეული ტიპის სინტაქსური კონსტრუქციისთვის კომპონენტთა სწორი სტრუქტურა განსაზღვრონ; ეს საკომპონენტო ცდები კონკრეტული ფრაზების სადისტრიბუციო მახასიათებლებს ემყარება. მათ შედეგებს ისიც განსაზღვრავს, თუ როგორ ურთიერთქმედებს სიტყვათა კონკრეტული ჯგუფები სინტაქსურ პროცესებთან, კერძოდ, როგორ ზემოქმედებს მათზე ტრანსფორმაციული გადანაცვლების წესები, ნაშლის წესები, მსგავს კატეგორიათა კოორდინაცია და პროფორმების ინტერპრეტაცია.

დაბოლოს, შევისწავლეთ ორგვარი თეორია საკომპონენტო სტრუქტურის შესახებ. ისინი იმ წესებისა და გრამატიკული შეზღუდვების ფონზე განვიხილეთ, რომლებიც განსაზღვრავს, კომპონენტთა რომელი სტრუქტურაა გრამატიკულად სწორი. პირველი თეორია კონტექსტისგან თავისუფალ სარედაქციო წესებს ეყრდნობა, რომლებიც ნებისმიერი ტიპის ფრაზის (დეტერმინერიანი, ზმნიანი, ზედსართავიანი ფრაზა და ა.შ.) უშუალო კომპონენტებს და იმ თანმიმდევრობას განსაზღვრავს, რომლითაც ეს უშუალო კომპონენტებია განლაგებული. ეს წესები ერთმანეთის მიყოლებით გამოიყენება დასრულებული წინადადების ჩონჩხისებრი სტრუქტურის განსასაზღვრად; დამაბოლოებელი კვანძები სიტყვათა პოზიციებს განსაზღვრავს, რომლებიც ამა თუ იმ ლექსიკური კატეგორიის — სახელი, ზმნა, დეტერმინერი და ა.შ. — სახელწოდებითაა აღნიშნული (მარკირებული). ლექსიკური ჩართვის პროცესი სიტყვებს ლექსიკონიდან ირჩევს და მათ ისეთ პოზიციებში აყენებს, რომლებიც შესაბამისი ლექსიკური კატეგორიის სახელწოდებებითაა აღნიშნული. ამგვარად წარმომდგარი სტრუქტურები შემდგომ უნდა შემოწმდეს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ლექსიკური სასელექციო მახასიათებლები და ისეთი ზოგადი შეზღუდვების მოთხოვნები, როგორცაა მ-კრიტიერიუმი — დაკმაყოფილებულია. ახლა სატრანსფორმაციო გადანაცვლებისა და ნაშლის წესებიც შეიძლება ამუშავდეს ინგლისური ენის კითხვით და ტოპიკალიზაციის კონსტრუქციებში. სინტაქსური წესის გამოყენების ეს მოდელი შეიძლება მეტყველების წარმოების, ან (საპირისპირო მიმართულებით მოქმედებისას) გრამატიკული სისწორის შემოწმების მოდელადაც გამოდგეს.

ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული მეორე თეორია ამტკიცებს, რომ არსებობს ზოგადი შეზღუდვა ფრაზის სტრუქტურისთვის, რომელსაც ყველა ტიპის ფრაზა ექვემდებარება; ეს X-დაბრკოლების თეორიის მიერ გამოკვეთილი პრინციპებია და არა იდიოსინკრატული წესები, რომლებიც თითოეული ტიპის ფრაზისთვის წესებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს. ეს ალტერნატიული მიდგომა იმას გულისხმობს, რომ ყველა ტიპის ფრაზას უმთავრესად ერთი და იგივე იერარქიული სტრუქტურა უნდა ჰქონდეს. თუ ფრაზას (დეტერმინერიან ფრაზას ან წინადადებას) ისეთი სტრუქტურა აქვს, რომელიც სხვა კატეგორიის ფრაზებისგან განსხვავდება, მაშინ იგი ისე უნდა

გაანალიზდეს, რომ ეს განსხვავება მოიშალოს. ამ მიდგომის უპირატესობა, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რომ იგი განმარტავს, თუ რატომ გააჩნია თითქმის ყველა ტიპის ფრაზას მსგავსი სტრუქტურა (რის განმარტებაც სხვა წესის საფუძველზე შეუძლებელია); და მეორე: ასეთი მიდგომა გრამატიკის უფრო მარტივ და ყოვლისმომცველ მოდელს გთავაზობს და ამას ფრაზის სტრუქტურის იმ რთული წესების გაუქმებით აღწევს, რომელთა მსგავსი ზემოთ, 3.3.3 განყოფილებაში განვიხილეთ. ეს წესები უმეტესად ისედაც გადაჭარბებული იყო.

მომდევნო თავებში არაერთ სინტაქსურ პროცესს განვიხილავთ, რომლებიც ამ თავში აღწერილ სტრუქტურებზეა აგებული.

საკითხავი ლიტერატურა

Cowper, L. 1992. *A Concise Introduction to Syntactic Theory*. Chicago: University of Chicago Press.

Culicover, Peter. 1997. *Principles and Parameters: An Introduction to Syntactic Theory*. Oxford: Oxford University Press.

Haegeman, L. 1994. *Introduction to Government and Binding Theory*. Oxford: Blackwell.

McCawley, J. 1988. *The Syntactic Phenomena of English*. Chicago: University of Chicago Press.

Radford, A. 1988. *Transformational Grammar*.

Cambridge: Cambridge University Press.
 ——— 1997. *Syntax, A Minimalist Introduction*. Cambridge: Cambridge University Press.

Riemsdijk, H. van and E. Williams. 1986. *Introduction to the Theory of Grammar*. Cambridge, MA: MIT Press.

Roberts, I. 1996. *Comparative Syntax*. London/New York: Arnold.

შენიშვნები აღნიშნულ ენებთან დაკავშირებით.

Chinese:

Huang, C.-T. 1984. On the Distribution and Reference of Empty Pronouns, *Linguistic Inquiry*, 15:531-74.

Haitian Creole:

Déchaine, R. 1993. *Predicates Across Categories*, doctoral dissertation, University of Massachusetts (Amherst); reproduced and distributed by GLSA, Amherst, MA.

Japanese:

Hoji, H., S. Miyagawa, and H. Tada. 1989. NP-Movement in Japanese, in WCCFL VIII, CSLI, Palo Alto, VA.

Kuno, S. 1973. *The Structure of the Japanese Language*. Cambridge, MA: MIT Press.

Russian:

Kondrashova, Natalia. 1996. The Russian Copula: A Unified Approach. in *Annual Workshop on Formal Approaches to Slavic Linguistics: the College Park Meeting 1994* (Jindrich Toman, ed.), 255-85. Ann Arbor: Michigan Slavic Publications.

საპარაფრაზი მალაგასი

საპარაფრაზი 3.11

ახლა მალაგასიდან მოყვანილი მასალა გაარჩიეთ. მალაგასი აუსტრონეზიული ენაა, ამ ენაზე კუნძულ მადაგასკარზე მეტყველებენ. ქვემოთ, მაგალითებში, ზოგიერთი სიტყვის შესატყვისი შემოკლება გამარტივებულია ზოგიერთი მორფემის თარგმანი — გამოტოვებული.

- (1) namangy anay ny ankizy
სტუმრობა(წარს.) ჩვენ არტიკლი ბავშვები
„ჩვენ ბავშვები გვესტუმრენ“.
 - (2) mihinana ahitra ny omby
ჭამა ბალახი არტიკლი ძროხა.
„ძროხა ბალახს ჭამს“.
 - (3) matory ny mpamboly
ძილი არტიკლი გლეხი
„გლეხ(ებ)ს სძინავს(თ)“.
 - (4) tonga taorian' ny rahalahi -ko ny mpampianatra antitra
ჩამოსვლა(წარს.) შემდეგ არტ. ძმა -ჩემი არტ. მასწავლებელი მოხუცი
„მოხუცი მასწავლებელი ჩემი ძმის შემდეგ ჩამოვიდა“.
 - (5) namono ny akoho tamin' ny antsy ny vehivavy
მოკვლა(წარს.) არტ. ქათამი მეშვეობით არტ. დანა არტ. ქალი
„ქალმა ქათამი (ქათმები) დანიტ დაკლა“.
 - (6) nandroso vary ny ankizy tamin' ny lovia vaovao i -Noro.
მირთმევა(ნამ.) ბრინჯი არტ. ბავშვები მეშვეობით არტ.თეფში
ახალი ნორო.
„ნორომ ბავშვებს ბრინჯი ახალი თეფშებით მიართვა“.
 - (7) nanaseho sari-n' i-Noro ny lehilahy ny reni-n'
ჩვენება (წარს.) ნახატი-სა ნორო არტ კაცი არტ. დედა- ის
(ნათ.ბრუნვა)
ny zaza.
არტ. ბავშვი.
„ბავშვის დედამ იმ კაცს ნეროს ნახატი აჩვენა“.
- (ა) როგორია მთავარ კომპონენტთა ძირითადი თანმიმდევრობა (სუბიექტი, ობიექტი, ირიბი ობიექტი, ზმნა, თანდებულიანი ფრაზა) მალაგასიში?
 - (ბ) წინადადებებში ნახმარ სიტყვებზე დაყრდნობით შეადგინეთ ლექსიკონი. მალაგასის თითოეული ზმნის შემთხვევაში დაადგინეთ, რამდენ არგუმენტს ირჩევს იგი და რომელ თემა-როლებს ანიჭებს მათ. ლექსიკონი ისე ააგეთ, რომ სიტყვები, რომლებიც ერთსა და იმავე ლექსიკურ კატეგორიას მიეკუთვნება, ერთად იყოს დაჯგუფებული.
 - (გ) შეადგინეთ მალაგასისთვის დამახასიათებელი ფრაზის

სტრუქტურის წესები თანდებულიანი, დეტერმინერიანი, ზმნიანი და დროითი ფრაზებისთვის.

- (დ) ააგეთ (1), (4) და (7) წინადადებებისთვის ხისებრი დიაგრამები, რომლებიც ფრაზის სტრუქტურის თქვენს მიერ შედგენილ წესებს შეესაბამება.

სან ლუკასის ოლქის ზაპოტეკი (მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელების ენა)

სავარჯიშო 3.12

განიხილეთ ზაპოტეკიდან მოყვანილი ზოგიერთი ნიმუში

- (1) Ytää'az Gyeeihlly Li'eb
არანეს. –ცემა მაიკი ფელიპე.
„მაიკი ფელიპეს სცემს“.
- (2) B-gu'ty-a' bzihny
სრულ.ასპ. –მოკვლა -1 პ. მხოლ. თავგი.
„(მე) თავგი მოვკალი“.
- (3) Y-tò' oh Gyeeihlly ca'rr
არან. გაყიდვა მაიკლი მანქანა.
„მაიკლი მანქანას გაყიდის“.
- (4) Nàa -'ng banguual
ნეიტრ.-ყოფნა-3პ. მხოლ. მოხუცი
„ის (ორივე გრამ.სქესი) მოხუცია“.
- (5) B-da'uh-zhya' Gyeeihlly bx: àady
სრულ.ასპ-კითხვა -3პ. მრ. მაიკი კალია
მაიკს შესაძლოა კალია აქვს ნაჭამი.
- (6) Gw-ù-a-il-rëng li'eb
არან.-კითხვა-3პ.მრ. წიგნები
„(ისინი) წიგნებს წაიკითხვენ“.
- (7) B-dèè'dy Gyeeihlly bx: àady Li'eb
სრ.ასპ. მიცემა მაიკი კალია ფელიპე
„მაიკმა ფელიპეს კალიები მისცა“.
- (8) W-nnàa'az Gyeeihlly bx: àady cuahnn gyii'x
სრ.ასპ. დაჭერა მაიკი კალიები -ით ბადე
„მაიკმა კალიები ბადით დაჭირა“.
- (9) N-àa Li'eb banguual
ნეიტრ.-ყოფნა ფელიპე მოხუცი
„ფელიპე მოხუცია“.
- (10) R-càa'z-a' y-gu'ty-a' bzihny
ანმყო უწყვ.-ნდომა-1პ.მხოლ. არანეს.-მოკვლა მე თავგი.
„(მე) თავგის მოკვლა მინდა“.
- (11) B-inydyahg Li'eb y-tò'oh Gyeeihlly ca'rr

სრულ.ასპ.-გაგონება ფელიპე არან.-გაყიდვა მაიკი მანქანა
„ფელიპემ გაიგო, რომ მაიკი მანქანას გაყიდის“.

- (12) R-e'ihpy Lia Pa'amm làa'-rèng gw-ùà'Il-rèng li'ebr
წარს.-თქმა მის პემი მათ არან.-კითხვა ისინი წიგნი
„მის პემმა მათ უთხრა (რომ) წიგნები წაიკითხონ“.

- ა. შეადგინეთ ლექსიკონი ზაპოტეკის იმ სიტყვათაგან, რომლებიც ზემოთ მოყვანილ წინადადებებში შეგხვდათ. თუ სიტყვა ერთ მორფემაზე მეტს შეიცავს, შეეცადეთ, თითოეული მორფემის მნიშვნელობა დაადგინოთ და ლექსიკური ერთეული (სალექსიკონო განმარტება) შეუქმნათ. სიტყვები ერთი და იმავე ლექსიკური კატეგორიისადმი კუთვნილების მიხედვით დააჯგუფეთ.
- ბ. როგორია მთავარ კომპონენტთა (სუბიექტი, ზმნა, ობიექტი და ა.შ.) ძირითადი თანმიმდევრობა სან ლუკასის ოლქის ზაპოტეკში?
- გ. განიხილეთ ის ორი სხვაობა, რომელიც ინგლისურ ენასა და ზაპოტეკს შორის არსებობს: (1) განსაზღვრული არტიკლები; (2) მხოლოდით და მრავლობით რიცხვში მდგარი სახელები.
- დ. ზაპოტეკიდან მოტანილ მაგალითებში (2), (4), (6), (10) წინადადებების თავში და ბოლოში მდგარი მორფემები პირისა და რიცხვის შემოკლებებითაა აღნიშნული. ამ მორფემების ანალიზის ორი შესაძლო ვერსია არსებობს: ისინი შეიძლება ნაცვალსახელით გამოხატული სუბიექტის კლიტიკები იყოს, ანალოგიური ფრანგულ და ესპანურ ენებში, კერძოდ, მაგალით (21) -ში განხილული ნაცვალსახელური ობიექტის კლიტიკებისა. ან ესენი, შესაძლოა, სუბიექტის შეთანხმების ნიშნები იყოს, რაც (51) მაგალითში მოტანილი იტალიური და ესპანური წინადადებების სუბიექტის შეთანხმების ნიშან-აფიქსებთან ქმნის ანალოგიას. ანალიზის ამ ორი ვერსიიდან რომელი გვიბიძგებს დასკვნასაკენ, რომ ზაპოტეკში ნულოვანი ნაცვალსახელები შეიძლება სუბიექტის პოზიციაში იდგეს? განმარტეთ და დაასაბუთეთ საკუთარი მოსაზრება. ახლა ერთმანეთს შეადარეთ (4) და (9) წინადადების ზმნები და განმარტეთ, რატომ უმაგრებს საფუძველს (9) წინადადების ფორმა ნაცვალსახელური კლიტიკის ვერსიას.
- ე. სან ლუკასის ოლქის ზაპოტეკში სუბიექტის და ზმნის პოზიციათა ურთიერთმიმართება განსხვავდება იმ სურათისგან, რომელიც ინგლისურ ენაში გვაქვს. ჩამოაყალიბეთ ორი ალტერნატიული თეორია, რომლებიც ამ სურათს ასახავს.
- (1) პირველმა თეორიამ სიტყვათა ის თანმიმდევრობა უნდა მოიცვას, რომელიც ზემოთ მოყვანილ წინადადებებშია და საამისოდ მხოლოდ ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესები უნდა გამოიყენოს. თქვენ ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესების ის ერთობლიობა უნდა ჩამოაყალიბოთ, რომელიც ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითს მოიცავს, შემდეგ ამ

წესებზე დაფუძნებით უნდა შეადგინოთ ხისებრი დიაგრამები (7) და (11) წინადადებებისთვის. ყურადღება მიაქციეთ: ზაპოტეკს არ გააჩნია ისეთი ღია დამატების მქმნელი სიტყვა, როგორცაა *that* ინგლისურ ენაში; ჩართული წინადადებები ამ ენაში მხოლოდ და მხოლოდ დროითი ფრაზებია, მათ დამატების მქმნელი ფრაზების კვანძები არ გააჩნიათ.

- (2) მეორე თეორიამ ის ფაქტი უნდა მოიცვას, რომ ზაპოტეკში ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესები დროითი ფრაზებისა და ზმნიანი ფრაზებისთვის ინგლისური ენის ასეთსავე წესებს ჰგავს: ზმნის პოზიცია აქაც ზმნიანი ფრაზის ფარგლებშია მოქცეული, ხოლო სუბიექტის დფ პოზიცია ზმნიანი ფრაზის გარეთ (მის მარცხნივ) მდებარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოთ მოყვანილი ნიმუშების სიტყვათა მოცემული თანმიმდევრობა სატრანსფორმაციო გადანაცვლების წესების ზემოქმედებითაა მიღებული. იგი იმ წესის მსგავსია, რომლის მეშვეობითაც ინგლისურ ენაში სუბიექტისა და დამხმარე ზმნის საინვერსიო კონსტრუქციები წარმოდგება. ჩამოაყალიბეთ ზაპოტეკის ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესები ზმნიანი და დროითი ფრაზებისთვის, რომლებიც ამ შეხედულებას შეესაბამება, და ახსენით, როგორ შეცვლის სატრანსფორმაციო გადანაცვლების წესი ზემოთხსენებული წესების მიერ განპირობებულ სიტყვათა თანმიმდევრობას. შეადგინეთ (11) წინადადებისთვის ხისებრი დიაგრამა ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ ამ წესებზე დაყრდნობით, გამოსახეთ სიტყვათა ის თანმიმდევრობა, რომელიც სატრანსფორმაციო გადანაცვლების წესის ამოქმედებამდე იქნებოდა.

ინგლისური ენის რიცხვითი ნაცვალსახელები

სავარჯიშო 3.13

გაიხსენეთ, რომ ინგლისურ ენაში პირიანი (დროიანი) ზმნა პირსა და რიცხვში ეთანხმება დეტერმინერიან ფრაზას. ეს ფრაზა წინადადების სუბიექტურ პოზიციაში დგას, ხოლო ეს შეთანხმება ღიად (როცა ზმნას *-s* სუფიქსი ერთვის) მხოლოდ ისეთ შემთხვევებშია წარმოდგენილი, თუკი სუბიექტის პოზიციაში მდგარი დეტერმინერიანი ფრაზა მხოლოდითი რიცხვის მესამე პირშია. ვივარაუდოთ, რომ შეთანხმების ეს ურთიერთობა იმ შეზღუდვითაა განპირობებული, რომელიც მოითხოვს, რომ სუბიექტურ დეტერმინერიან ფრაზასა და პირიან ზმნას ერთი და იგივე პირისა და რიცხვის ნიშნები ერთვოდეს.

ახლა (1-9) წინადადებები განვიხილოთ, რომლებშიც რიცხვითი ნაცვალსახელები *all, many, some, each, every* გვხვდება. ეს ნიმუშები მოწმობს, რომ ინგლისურ ენას რიცხვითი ნაცვალსახელების და სახელების (ან სახელიანი ფრაზების) შეთანხმებასთან დაკავშირებით სხვაგვარი შეზღუდვები გააჩნია. ამ თვალსაზრისით რიცხვითი ნაცვალსახელები ჩვენებით დეტერმინერებს *this, that, these, those* ჰგავს.

1. All lords respect Duncan.
2. Many young lords respect Duncan.

3. Some kings of Scotland admire Macbeth.
4. Each Scottish lord owns a castle.
5. Every murder of a king offends his lords,
6. * All/Many (young) lord respect(s) Duncan.
7. *Each/Every Scottish lords own(s) a castle.
8. Some lord admires Macbeth.
9. *Some lords admires Macbeth.
10. * Each/Every Scottish lord own a castle.

1. ყველა ლორდი პატივს სცემს დუნკანს.
2. ბევრი ახალგაზრდა ლორდი პატივს სცემს დუნკანს.
3. შოტლანდიის ზოგიერთი მეფე მაკბეტს ეთაყვანება.
4. ყოველი შოტლანდიელი ლორდი ციხე-სიმაგრეს ფლობს.
5. მეფის ყოველი მკვლელობა მის ლორდებს შეურაცხყოფს.
6. ყველა/ბევრი ახალგაზრდა ლორდი დუნკანს პატივს სცემს.
7. ყოველი/ყველა შოტლანდიელი ლორდი ციხე-სიმაგრის პატრონია.
8. ერთი (ვინმე) ლორდი მაკბეტს ეთაყვანება.
9. ზოგი ლორდი მაკბეტს ეთაყვანება.
10. ყოველ/ყველა შოტლანდიელ ლორდს ციხე-სიმაგრე აქვს.

- ვარსკვლავებით აღნიშნულ წინადადებებში პირის და რიცხვის ნიშნებში შეთანხმება დარღვეულია.

ახლა შემდეგ კითხვებს უპასუხეთ:

- ა. ივარაუდეთ, რომ ლექსიკონში ყოველი რიცხვითი ნაცვალსახელი განსაზღვრულია, როგორც [+მრავლობითი], [მრავლობითი] (მხოლოდითი რიცხვი), ან ბუნდოვანი (რიცხვის ორივე ნიშანი შესაძლებელია). შეადგინეთ ლექსიკური ერთეული რიცხვითი ნაცვალსახელებისთვის all, many, some, each, every, და ჩამოაყალიბეთ შეთანხმების ისეთი შეზღუდვა, რომელიც ყველა ამ მონაცემს (1-5) (6-8 მაგალითებთან შეპირისპირებით) ითვალისწინებს. ამ ამოცანის შესრულებისას იმ ფაქტს დაეყრდენით, რომ სახელიან ფრაზას [+ მრავლობითი აღნიშვნა შეესაბამება, თუკი სახელი, რომელიც სახელიანი ფრაზის სათაო პოზიციაში დგას, [+მრავლობითი] აღნიშვნით აღინიშნება.
- ბ. განმარტეთ, რატომ არის წინადადებები (6) და (7) გრამატიკულად გაუმართავი, ზმნაზე შეთანხმებისთვის დართული მესამე პირის –s სუფიქსით, თუ მის გარეშე. ისიც ახსენით, თუ რატომ არის გრამატიკულად გამართული (3) და (8) წინადადებები.
- გ. განმარტეთ, რატომ არის გრამატიკულად გაუმართავი (9) და (10) წინადადებები.
- დ. ვივარაუდოთ, რომ რიცხვითი ნაცვალსახელები დეტერმინერებია.

(1-5) ნიმუშებზე დაყრდნობით თქვით, რომელ კატეგორიას ირჩევს კატეგორიათა შერჩევის დროს საკუთარ დამატებად თითოეული ეს რიცხვითი ნაცვალსახელი?

ე. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა (2) წინადადებისთვის X-დაბრკოლების თეორიის გათვალისწინებით, რომელიც ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ წესებზე მსჯელობისას 3.3.4 განყოფილებაში განვიხილეთ.

ვ. თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა შეთანხმებაზე დაწესებული იმ შეზღუდვის გაბათილება, რომელიც პირველ კითხვაზე პასუხის გაცემისას მოიშველიეთ, როცა ივარაუდეთ, რომ თითოეული რიცხვითი ნაცვალსახელის ლექსიკურ ერთეულს ამ რიცხვითი ნაცვალსახელის დამატებისთვის რიცხვის ნიშნის არჩევა შეუძლია? განმარტეთ საკუთარი პასუხი. მიაჩნიათ, როგორ ხსნის (ან იქნებ ვერ ხსნის) ეს თეორია (6) და (7) წინადადებების გრამატიკულ გაუმართაობას.

ზ. ახლა დამატებითი მასალა განვიხილოთ:

- (11) All/ Many / Some of the lords respect Duncan.
- (12) *All /Many /Some of the lords respects Duncan.
- (13) * All /Many /Some of the lord respect(s) Duncan.
- (14) Each of the lords owns a castle.
- (15) * Each of the lord own(s) a castle.
- (16) * Every of the lord(s) own(s) a castle.

- (11) -(12) -(13) ყველა/ბევრი/ზოგი ლორდი (ან ლორდაგან) პატივს სცემს დუნკანს.
- (14) -(15) თითოეული ლორდი (ან ლორდაგანი) ფლობს ციხე-სიმაგრეს.
- (16) ყველა ლორდი ციხე-სიმაგრეს ფლობს („ —“).

ახლა (დ) -სა და (ვ) -კითხვებზე გაცემულ თქვენს პასუხებს გადახედეთ და ისე შეასწორეთ, რომ ამ ახალ დამატებით მონაცემებსაც გადასწვდეთ. ივარაუდეთ, რომ ამ მაგალითებში წინდებული *of* ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც მის (უშუალოდ) მომდევნო პოზიციაში მდგომი დეტერმინერიანი ფრაზის ნათესაობით ბრუნვაზე მიუთითებს, და არა ნამდვილი წინდებულის ამ ბრუნვაში დგომაზე. მაშასადამე, თანმიმდევრობა *of the lords* შემდეგნაირად უნდა გაანალიზდეს: [+ნათესაობითი] დფ და არა — [+ნათესაობითი] თფ. ახლა ახსენით, რისთვის არის საჭირო თითოეული პასუხის შესწორება მოყვანილი ნიმუშების გათვალისწინებით; ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ თითოეული ნიმუში მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, ამიტომ სრული პასუხის გასაცემად ყოველი მათგანის გათვალისწინება დაგჭირდებათ. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა (14) წინადადებისთვის.

თ. ახლა ეს დამატებითი ნიმუშები მცოცავი რიცხვითი ნაცვალსახელისთვის (quantifier float, ან Q-float) დამახასიათებელ კონსტრუქციაში მოვაქციოთ და ასე განვიხილოთ. ამ კონსტრუქციებში რიცხვითი ნაცვალსახელი სახელიანი ფრაზის მომდევნო პოზიციაში დგას და არა მის წინ.

- (17) The (Scottish) lords all/each own a castle.
- (18) * The (Scottish) lords many/some own a castle.

(19) * The (Scottish) lord(s) every own a castle.

(20) * The lords all/each owns a castle.

17. შოტლანდიელი ლორდები ყველა/თითოეული ფლობს ციხე-სიმაგრეს.

18. შოტლანდიელი ლორდები ბევრი/ზოგიერთი ფლობს ციხე-სიმაგრეს.

19. შოტლანდიელი ლორდ(ებ)ი ყველა ფლობს ციხე-სიმაგრეს.

(დარღვევა შეთანხმების ნიშნებში)

20. ლორდები ყველა/თითოეული ფლობს ციხე-სიმაგრეს. (დარღვევა შეთანხმების ნიშნებში)

სანამ ამ წინადადებათა სტრუქტურაში გარკვევას შეეცდებით, მოყვანილ ნიმუშებზე დაყრდნობით მცოცავი რიცხვითი სახელის კონსტრუქციაზე განზოგადებული წარმოდგენა უნდა შეიქმნათ. ამ კონსტრუქციის შესახებ თითოეული ზემოთ მოყვანილი წინადადება, სულ მცირე, ერთ მნიშვნელოვან მინიშნებას მაინც იძლევა. ამის გამო, თითოეულ შემთხვევაში, თქვით, რაზე მიუთითებს წინადადება. მაგალითად, წინადადება (17) იმას მონიშნავს, რომ რიცხვითი ნაცვალსახელები all და every შეიძლება აღმოჩნდნენ მცოცავი რიცხვითი ნაცვალსახელის კონსტრუქციაში; მონიშნავს იმასაც, რომ დეტერმინირიანი ფრაზა წინადადების სუბიექტურ პოზიციაში შეიძლება იყოს [+მრავლობითი], — რაზეც პირიანი ზმნაზე დართული შეთანხმების აფიქსი მიუთითებს.

ი. ახლა ეს მასალა განვიხილოთ:

(21) They all support Duncan.

(22) All of them support Duncan.

(21) ისინი ყველანი დუნკანს ემხრობიან.

(22) ყველა მათგანი დუნკანს ემხრობა.

ვივარაუდოთ, რომ მცოცავი რიცხვითი ნაცვალსახელის კონსტრუქციას სატრანსფორმაციო გადანაცვლების წესი ქმნის, რომელიც ანაცვლებს დეტერმინირიან ფრაზას იმ პოზიციიდან, რომელშიც მას ჩვეულებრივ ნათესაობითი ბრუნვა ენიჭება და წინადადების სუბიექტურ პოზიციაში აყენებს, სადაც უკვე სახელობითი ბრუნვა ენიჭება. ახლა კი განმარტეთ, როგორ მოხერხდება ამ ანალიზის მეშვეობით (21) და (22) წინადადებების წარმოქმნა? ან როგორ აიხსნება (19) წინადადების გრამატიკული გაუმართაობა (16) გრამატიკული გაუმართაობის ფონზე?

კ. ახლა მცოცავი რიცხვითი სახელის კონსტრუქციისთვის დამახასიათებელი საკომპონენტო სტრუქტურა განვიხილოთ: რიცხვითი ნაცვალსახელი შეიძლება იმავე დეტერმინირიან ფრაზაში შედიოდეს, რომელიც დეტერმინირისა და მის წინ მდგომი სახელიანი ფრაზისგან შედგება, ან შეიძლება იმ ზმნიანი ფრაზის ნაწილი იყოს, რომელიც ამ დეტერმინირიან ფრაზას მოსდევს; ასევე შესაძლოა, რომ რომელიმე სხვა პოზიციაში იდგეს. ამ საკითხში გასარკვევად, შემდეგი მასალა გამოიყენეთ:

(23) The lords should all respect Duncan.

(24) The lords may each own a castle.

(25) The lords should all respect Duncan, and all respect Duncan they will!

(26) *The lords should all respect Duncan, and respect Duncan they will all!

(27) The lords all should respect Duncan, and respect Duncan they all will!

(23) ლორდები ყველანი პატივს უნდა სცემდნენ დუნკანს.

(24) ლორდებს შეიძლება თითოეულს ციხე-სიმაგრე ჰქონდეს.

(25) -(26) -(27) ლორდებმა ყველამ პატივი უნდა სცეს დუნკანს და ყველანი სცემენ კიდევ დუნკანს პატივს!

ლ. (ი) და (კ) კითხვებზე გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით, ახლა მცოცავი რიცხვითი ნაცვალსახელების კონსტრუქციის გაანალიზებაც შესაძლებელია, რაც 3.3.4 განყოფილებაში განხილულ ზმნიანი ფრაზის შიდა სუბიექტის ჰიპოთეზასაც უნდა დამყაროს. ამ ჰიპოთეზის თანახმად, სუბიექტის პოზიციაში მდგომი დეტერმინერიანი ფრაზა ზმნიან ფრაზაში მსაზღვრელის პოზიციიდან დროით ფრაზაში გადაინაცვლებს. ეს სატრანსფორმაციო გადაინაცვლების წესის მეშვეობით ხდება. ახლა განმარტეთ, როგორ ხდება ეს და თქვენი შეხედულების თვალსაჩინოებისთვის წინადადება (22) -ს ხისებრი დიაგრამა შეუდგინეთ. თუ შესაძლებელია, ისიც ახსენით, თუ რატომ თამაშობს ზმნიანი ფრაზის შიდა სუბიექტის ჰიპოთეზა ასეთ მნიშვნელოვან როლს, როცა მცოცავი რიცხვითი სახელის კონსტრუქციაში რიცხვითი ნაცვალსახელის მდებარეობის განსაზღვრას ვცდილობთ, ან როცა იმის განმარტება გვსურს, თუ რატომ არის შესაძლებელი წინადადება (21) -ში ნაცვალსახელის ისეთ პოზიციაში გადაინაცვლება, სადაც მას სახელობითი ბრუნვა ენიჭება. (მინიშნება: ივარაუდეთ, რომ სახელობითი ბრუნვა მხოლოდ სუბიექტურ პოზიციას ენიჭება და რომ დეტერმინერიანი ფრაზის გადაინაცვლება მხოლოდ ისეთ პოზიციაშია შესაძლებელი, რომელიც უკვე სხვა დეტერმინერიანი ფრაზის მიერ არ არის დაკავებული.)

X ენის ფრაზის სტრუქტურა

საპარაზიზმ 3.14

ამ სავარჯიშოს მიზანია, რომ არამშობლიურ ენაზე (ტექსტში: ინგლისურის გარდა სხვა ენებზე) მუშაობის ალღო გაგიღვივოთ. თუ ეს სახელმძღვანელო ისეთ ჯგუფშიც გამოიყენება, სადაც სტუდენტების მშობლიური ენა ერთმანეთისგან განსხვავდება, მაშინ კარგი იქნება, თუ სტუდენტები ჯგუფებად გაერთიანდებიან და კონკრეტული ენის მასალაზე ერთად იმუშავენ. განსახილველი ენა ჯგუფის ერთ-ერთი წევრისთვის მაინც უნდა იყოს მშობლიური; მისი შეხედულება ამა თუ იმ ფორმის გამართულობა-გაუმართაობის შესახებ ჯგუფს დასაყრდენ წყაროდ გამოადგება. (პედაგოგის სურვილისამებრ, დავალებას მთელი ჯგუფი ერთად ასრულებს, ან მისი ცალკეული წევრები დამოუკიდებლად მუშაობენ, შედეგებს კი ერთად განიხილავენ.)

თუ სახელმძღვანელოს ისეთ ჯგუფში იყენებენ, სადაც ჯგუფის ძირითად ნაწილს ერთი მშობლიური ენა (ამ შემთხვევაში ინგლისური) აქვს, სხვა ენაზე მოსაუბრენი კი ცოტანი არიან, მაშინ, ალბათ, უპრიანი იქნება, თუ პედაგოგი განსახილველ მასალას მთელ ჯგუფს დაუნაწილებს, რათა თითოეულმა სტუდენტმა დამოუკიდებლად იმუშაოს. კიდევ ერთი ვარიანტის თანახმად, სტუდენტები ინდივიდუალურად, ან ისეთ ჯგუფებში მუშაობენ, რომლებშიც სხვადასხვა უცხო ენაზე მოსაუბრე სტუდენტები არიან გაერთიანებულნი.

თუკი ჩვენი სახელმძღვანელოთი ისეთი ჯგუფი მუშაობს, რომლის ყველა ან თითქმის ყველა სტუდენტს ერთი მშობლიური ენა აქვს (მაგალითად, თუ სახელმძღვანელო არაინგლისურენოვან ქვეყანაში გამოიყენება, სადაც ყველა სტუდენტი არაინგლისურენოვანია), ასეთ შემთხვევაში აჯობებს, თუ თითოეული სტუდენტი დამოუკიდებლად იმუშაებს და საკუთარ ალღოს მიენდობა.

შეგიძლიათ, თქვენს უცხოენოვან თანაკურსელს თხოვოთ, რომ თავის მშობლიურ ენაზე მარტივი წინადადებები შეგიდგინოთ, რაც ქვემოთ მოყვანილი ინგლისური წინადადებების მიახლოებითი და ზუსტი თარგმანი იქნება შეუძლია სახელები სხვა სახელებით ჩაანაცვლოს, მაგრამ გრამატიკული სქესი უნდა შეინარჩუნოს. რაკი თქვენი უცხოენოვანი თანაკურსელი ჩვენს განვლილ მასალას თქვენსავით იცნობს, შეგიძლიათ წინადადების სიტყვებად დაყოფის და ამ სიტყვებისთვის (სიტყვების ფარგლებში კი — მორფემებისთვის) შემოკლებული განმარტებების მიწერის მისეულ უნარს ენდოთ. სჯობს სიტყვა მორფემებად დაიყოს, მორფემების შემოკლებულ განმარტებებს კი მთლიანი იდიომატური განმარტება მოსდევდეს. არ დაიზაროთ დამატებითი ნიმუშების შედგენაც, მით უფრო, თუკი ძირითადი წინადადებების გარჩევის რომელიმე თქვენთვის გადაულახავ პრობლემას გადააწყდებით.

(ა) გადათარგმნეთ ქვემოთ მოცემული ინგლისური წინადადებები X ენაზე. X ენაზე მომზადებული თითოეული ეს ნიმუში ინგლისური შემოკლებული განმარტებებით უნდა იყოს წარმოდგენილი. ასეთი განმარტება თითოეულ მორფემას დასჭირდება.

1. The king found some books.
2. He read the books to his son.
3. The three soldiers stirred the soup.
4. They stirred it for three hours.
5. The soldier was old and ugly.
6. The castle is on a hill near a lake.
7. Antonio lives in Venice.
8. Duncan arrived at the castle yesterday.
9. Prospero's book will arrive next week.
10. The kind man gave a book to his daughter.
11. She will put the book on a chair.
12. Macbeth may find them in the forest. (გაითვალისწინეთ, რომ ამ წინადადებაში ნაცვალსახელი them ადამიანებს შეესატყვისება).
13. Falstaff drank a glass of beer.
14. Falstaff drank because he was thirsty.
15. Miranda knew that Prospero had many books.
16. Hamlet said that his mother was disloyal.
17. Portia told Shylock that he should be kind to Antonio.
18. Macbeth tried to kill the king.
19. Macbeth wanted to meet a witch.
20. Prospero has promised to give her the book.
 1. მეფემ ზოგიერთი წიგნი იპოვა.
 2. ის (მამრ.) თავის ვაჟს წიგნებს უკითხავდა.
 3. სამი ჯარისკაცი წვნიანს ურევდა.
 4. ისინი მას სამი საათის განმავლობაში ურევდნენ.
 5. ჯარისკაცი მოხუცი და მახინჯი იყო.
 6. ციხე-სიმაგრე მთაზეა, ტბის მახლობლად.
 7. ანტონიო ვენეციაში ცხოვრობს.

8. დუნკანი ციხე-სიმაგრეში გუშინ (ჩა)მოვიდა.
9. პროსპეროს წიგნი შემდეგ კვირას ჩამოვა.
10. კეთილმა კაცმა თავის ქალიშვილს წიგნი მისცა.
11. ის (მდედრ.) წიგნს სკამზე დადებს.
12. მაკბეტი მათ ტყეში იპოვის.
13. ფალსტაფმა კათხა (ჭიქა) ლუდი დალია.
14. ფალსტაფმა დალია, ვინაიდან სწყუროდა.
15. მირანდამ იცოდა, რომ პროსპეროს ბევრი წიგნი ჰქონდა.
16. ჰამლეტმა თქვა, რომ დედამისი მოლაღატე იყო (ერთგული არ იყო).
17. პორციამ შაილოკს უთხრა (სთხოვა), რომ ანტონიოს კარგად მოქცეოდა.
18. მაკბეტი მეფის მოკვლას ცდილობდა.
19. მაკბეტს კუდიანთან შეხვედრა უნდოდა.
20. პროსპერო შეპირდა, რომ მას (მდედრ.) წიგნს მისცემდა.

- ბ. შეადგინეთ X ენის ლექსიკონი, თითოეულ სიტყვას შესატყვისი თარგმანი მიუწერეთ. ლექსიკონი ლექსიკური კატეგორიების მიხედვით შეადგინეთ, ისე, როგორც წინა სავარჯიშოებში ვაკეთებდით.
- გ. თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენს ლექსიკონში შემავალი რომელიმე სიტყვა ერთზე მეტი მორფემისგან შედგება, თითოეული ასეთი მორფემის მნიშვნელობის დადგენა უნდა სცადოთ, შემდეგ კი იმ მორფოლოგიური წესების ჩამოყალიბება სინჯეთ, რომელიც მორფემების შერწყმით სიტყვებს წარმოქმნიან.
- დ. შეადგინეთ სხვადასხვა ლექსიკური კატეგორიის ჩამონათვალი (სახელი, ზმნა, ნაცვალსახელი, წინდებული და სხვა) X ენის სიტყვებისგან. თქვენს ლექსიკონში თითოეულ სიტყვას შესაბამისი ლექსიკური კატეგორია უნდა ჰქონდეს მინერილი. თუ ამა თუ იმ სიტყვასთან დაკავშირებით საკუთარ სისწორეში დარწმუნებული არ ხართ, მაშინ, თუკი, ამის საწინააღმდეგო მოწმობა არ ჩანს, ივარაუდეთ, რომ X ენის ეს სიტყვა იმავე ლექსიკურ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელშიც მისი ინგლისური თარგმანი შედის.
- ე. დააკვირდით, გააჩნია თუ არა X ენას ისეთი ნაცვალსახელები, როგორებიც ინგლისურშია he/she/they/them/his/her? შეიძლება თუ არა, ეს ნაცვალსახელები ნულოვანი (გამოუთქმელი) გამოდგეს? თუ ასე გეჩვენებათ, მაშინ ის პოზიციები (სუბიექტის, ობიექტის, ირიბი ობიექტის და ა.შ) დაასახელეთ, რომლებშიც ისინი ნულოვანი იქნება. იმის გასარკვევად, სვალდებულოა თუ არა ზოგიერთი ნაცვალსახელი, შეიძლება X ენოვანი სტუდენტის კონსულტაცია დაგჭირდეთ.
- ვ. თქვენი აზრით, აქვს თუ არა X ენას ისეთი განსაზღვრული და/ან განუსაზღვრელი არტიკლები, როგორებიც ინგლისური the და a(n) არტიკლებია?
- ზ. შესაძლებელია თუ არა X ენაში დროიანი წინადადებების ჩართულ კლაუზულებად გამოყენება? თუ ასეა, რა სახის ცვლილებას ამჩნევთ

- (თუკი ამჩნევთ) ძირითად წინადადებასა და ჩართულ კლაუზულას შორის, დამატების მქმნელი სიტყვის, სიტყვათა თანმიმდევრობის საგანგებო სუფიქსების და ა.შ. თვალსაზრისით? მოიტანეთ თვალსაჩინო მაგალითები.
- თ. არის თუ არა X ენაში დამხმარე ზმნები, თუ მასში ძირითად ზმნას მხოლოდ სუფიქსები ერთვის? დაასაბუთეთ თქვენი შეხედულება.
- ი. გააჩნია თუ არა X ენას ნებისმიერი სახის ბრუნვის ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ, სუბიექტურია დეტერმინირიანი ფრაზა, ობიექტური თუ ირიბი ობიექტის პოზიციაში დგას? განმარტეთ თქვენი მოსაზრება, მოიყვანეთ მაგალითები.
- კ. ამჟღავნებს თუ არა X ენა სუბიექტისა და ზმნის შეთანხმების ნიშნებს, ისეთი შეთანხმებისა, როგორც მათ შორის ინგლისურ ენაშია (მაგალითად, the boys are here – the boy is here)? მოიყვანეთ თქვენი შეხედულების მამტიკიცებელი მაგალითები. შეთანხმებულია თუ არა ზმნა მის ობიექტთან? არსებობს თუ არა რამე სხვა სახის შეთანხმება, მაგალითად, დეტერმინერსა, ან არტიკლსა და სახელს შორის?
- ლ. სცადეთ X ენაში კომპონენტთა ძირითადი თანმიმდევრობის განსაზღვრა, დაადგინეთ სუბიექტის, ობიექტის, ირიბი ობიექტის, ზმნისა და სხვათა პოზიციების მდებარეობა. თუ გეჩვენებათ, რომ ამ ენაში კომპონენტთა ერთზე მეტი თანმიმდევრობა შესაძლებელია, შეგიძლიათ, კონსულტაცია X ენაზე მოსაუბრე სტუდენტისგან მიიღოთ.
- მ. სცადეთ, მოყვანილ მასალაში შეხვედრილი ფრაზის თითოეული ტიპისთვის ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესი ჩამოაყალიბოთ. ყოველ ასეთ წესს მისი შესატყვისი მაგალითი დაურთეთ, რომელიც განსახილველი მასალიდანვე იქნება მოყვანილი. გაიხსენეთ, რომ კომპონენტთა თანმიმდევრობა ფრაზის თითოეული ტიპისთვის შეიძლება თქვენი მშობლიური (ამ შემთხვევაში ინგლისური) ენისათვის ჩვეული თანმიმდევრობისგან განსხვავდებოდეს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას შეიძლება იმ დასკვნამდე მიხვიდეთ, რომ ზოგიერთი კომპონენტი (მაგალითად, ზმნები, ნაცვალსახელები, ან სხვა კატეგორიები) სატრანსფორმაციო გადანაცვლების წესებს ექვემდებარება; თუ ეს ასეა, მაშინ ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ თქვენს წესს შეგიძლიათ გადანაცვლების ერთი ან მეტი წესი დაამატოთ, მაგრამ თქვენი მოსაზრება დაასაბუთებელი გექნებათ, ხოლო საამისო მასალა განსახილველი წინადადებებიდან უნდა მოიტანოთ.
- ნ. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამები 1, 2, 6, 9, 15 და 20 წინადადებებისთვის. დარწმუნდით, რომ თქვენი დიაგრამები ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ თქვენსავე მიერ ჩამოყალიბებულ წესებს შეესაბამება.

- ო. განსაზღვრეთ X ენის თქვენს მიერ შედგენილ ლექსიკონში შემავალი ზმნების ის მახასიათებლები, რომლებიც კატეგორიათა არჩევას უკავშირდება.
- პ. აღნიშნეთ ყველაფერი, რაც X ენის სიტყვათა თანმიმდევრობასთან და ძირეულ გრამატიკასთან დაკავშირებით განსხვავებული და საინტერესო გეჩვენებათ.

სინტაქსი II:

სინტაქსური დამოკიდებულებები

თავის შინაარსი

4.0 შესავალი

- 4.0.1 საკომპონენტო სტრუქტურა
- 4.0.2 კატეგორიის შერჩევა და
სემანტიკური შერჩევა:
სინტაქსური დამოკიდებულებების
მაგალითები

4.1 თვალსაჩინოება: ნეგატიური პოლარობის საკითხები

- 4.1.1 ასანწყობი თავსატეხი
- 4.1.2 ზოგიერთი პრობლემის შესახებ;
როგორ გავუმკლავდეთ მათ
- 4.1.3 ლინგვისტური წესების მგრძობიარობა
სტრუქტურის მიმართ
- 4.1.4 პრობლემის გადაჭრა
- 4.1.5 მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი
საკითხები

4.2 სინტაქსურ დამოკიდებულებათა ძირითადი სახეები

- 4.2.1 შერჩევა
- 4.2.2 მორფოლოგიურად გამოხატული
ძირითადი დამოკიდებულებები
- 4.2.3 დაშორებული დამოკიდებულებები:
გადანაცვლება
- 4.2.4 დამოკიდებულებები, რომლებიც
გადანაცვლებას არ მოიცავს

4.3 შეჯამება

შენიშვნები

შემდგომ საკითხავი ლიტერატურა

სავარჯიშოები

შესავალი 4.0

არსებობს ორი ძირეული მახასიათებელი, რომლებიც სამეტყველო ენების სინტაქსურ აგებულებას განაპირობებს. პირველი მათგანი **საკომპონენტო სტრუქტურაა**, რომელიც წინა თავში განვიხილეთ, მეორე კი **სინტაქსური დამოკიდებულებების** არსებობაა, ანუ ის ფაქტი, რომ სიტყვათა გარკვეულ თანწყობაში ცალკეული სიტყვისა თუ მორფემის არსებობა ამავე თანწყობაში სხვა სიტყვისა თუ სხვა მორფემის არსებობაზე დამოკიდებულია. ამ თავში სინტაქსურ დამოკიდებულებებზე ვისაუბრებთ.

4.0.1 საკომპონენტო სტრუქტურა

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ სიტყვათა თანწყობა ისეთი ერთეულებისგან შედგება, რომელთაც ჩვენ კომპონენტებს ვუწოდებთ. წინადადება, ვთქვათ, ისეთი, როგორც (1) მაგალითშია წარმოდგენილი:


- (1) The jealous brother betrayed the lord of Florence.

ექვიანმა ძმამ ფლორენციის მმართველს უღალატა.

თავისთავად ერთეულია და სხვა ერთეულებისა და ქვეერთეულებისგან შედგება, როგორც ქვემოთ, მაგალით (2) -შია კვადრატული ფრჩხილების მეშვეობით აღნიშნული, ან მისი ექვივალენტური ხისებრი დიაგრამის მეშვეობით მაგალით (3) -შია გამოსახული (წინა თავში აღნიშვნის ამ ხერხებზეც ვისაუბრეთ).

(2) [თფ [დფ [დ The] [სფ jealous] [ს brother]]] [დრ.' [დრ წარსული] [ზმფ betrayed [დფ [დ the] [სფ[ს lord] [თფ [თ of] [დფ Florence]]]]]]

(3)



როგორც წინა თავში ვთქვით, რეპრეზენტაციის ასეთი ფორმა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, როგორ ჯგუფდება სიტყვები უფრო დიდი ერთეულების წარმოსაქმნელად (მაგალითად, სახელი *brother* და ზედსართავი *jealous* ერთმანეთთან შერწყმით სახელიან ფრაზას ქმნის), რომლებიც, თავის მხრივ, უფრო დიდი ერთეულების წარმოსაქმნელად ჯგუფდება (ასეთებია, მაგალითად, დეტერმინერიანი ფრაზა *jealous brother* და ზმნიანი ფრაზა *betrayed the lord of Florence*. ეს ფრაზები ერთად დროით ფრაზას ქმნიან). მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ სიტყვათა ერთ ჯგუფს უფრო დიდი ერთეულების წარმოქმნის უნარი აქვს, სხვებს კი — არა. საამისო მაგალითები წინა თავშიც შეგვხვდა, როცა შეთანხმებაზე ვისაუბრეთ. სიტყვათა იმ თანწყობას, რომელთაც უფრო მსხვილ ჯგუფებად გაერთიანების უნარი აქვთ, ერთეულები, უფრო ხშირად კი, კომპონენტები ეწოდება. მეტიც, თუ ორი ჯგუფი ერთნაირად ფუნქციონირებს (ანუ ერთსა და იმავე პოზიციაში დგებიან), შესაბამისად ერთნაირ მარკირებას იღებენ კიდევ (მაგალითად, სახელიან ფრაზას *jealous brother* და მეორე სახელიან ფრაზას *lord of Florence* ისეთ დეტერმინერებთან შეუძლიათ შერწყმა, როგორიცაა *the* და *this* და დეტერმინერიან ფრაზას ქმნიან).

4.0.2 კატეგორიის შერჩევა და სემანტიკური შერჩევა: სინტაქსური დამოკიდებულებების მაგალითები

საკომპონენტო ანალიზი და კომპონენტთა მარკირება ამომწურავად არ გამოხატავს სამეტყველო ენების სინტაქსური მახასიათებლების შესახებ ჩვენს სრულ ცოდნას არ შეიცავს. წინადადებაში (ან სიტყვათა წყობაში) სხვადასხვა პოზიციებს შორის გარკვეული დამოკიდებულებები არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ წინადადებაში გარკვეული სიტყვის ან გამოთქმის გამოჩენა ამავე წინადადებაში სხვა სიტყვის ან სიტყვათა თანწყობაზე დამოკიდებული.

მაგალით (4) -ში მოყვანილი წინადადებებიც ამას ადასტურებს. (წინა თავების მსგავსად, გრამატიკულად გაუმართავი ან რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი წინადადების ან ფრაზის აღსანიშნავად აქაც * ვარსკვლავს გამოვიყენებთ).

(4) ა. This moat surrounds his castle.

ბ. * This moat surrounds

გ. * This moat surrounds from the food

დ.* This moat surrounds two minutes.

ა. ეს თხრილი მის ციხე-სიმაგრეს გარს აკრავს.

ბ. ეს თხრილი აკრავს

გ. ეს თხრილი გარს აკრავს საჭმლიდან

დ. ეს თხრილი გარს აკრავს ორ წუთს

(4ბ)-ს მსგავსი წინადადებების არასრულფასოვნებამ მე-3 თავში გვაფიქრებინა, რომ უნდა არსებობდეს **შერჩევის (სასელექციო) შეზღუდვები**. ახლა მოკლედ გავიმეორებთ, თუ რას გულისხმობს ეს სასელექციო შეზღუდვები. ზმნა *surround* პირდაპირ ობიექტს, ანუ, სხვაგვარად, დეტერმინერიანი ფრაზის კატეგორიის წევრ დამატებას მოითხოვს. ამ ფაქტს ჩვენ მაშინ **კატეგორიათა შერჩევა**, ანუ **c-შერჩევა** ვუწოდებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ **კატეგორიას**, რომელსაც დამატება უნდა მიეკუთვნებოდეს, ზმნა *surround* ირჩევს. წინადადება (4გ) თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მასში თანდებულნიანი ფრაზის გამოჩენა დამატებად შეუძლებელია. თუ ამ დეტერმინერიანი ფრაზის სხვა კატეგორიით, ვთქვათ, ზედსართავიანი ფრაზით ჩანაცვლებას შეეცდებით, დარწმუნდებით, რომ ამ პოზიციაში მხოლოდ და მხოლოდ დეტერმინერიანი ფრაზის დგომაა შესაძლებელი. რაკი (4დ) -ში კატეგორიათა შერჩევის შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული, ეს წინადადებაც არასრულფასოვანია.

წინადადება (4დ) -ს არასრულფასოვნებამ მე-3 თავში კიდევ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანა. მაშინ იმ აზრამდე მივედით, რომ კიდევ ერთი სასელექციო შეზღუდვა — **სემანტიკური შეზღუდვა**, ანუ **s-შეზღუდვა** უნდა არსებობდეს, ვინაიდან იგი ზმნის და მის მიერ არჩეული დამატების აზრობრივ მხარეს, მის შინაარსს, ანუ **სემანტიკურ მახასიათებლებს** უკავშირდება: ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ზმნა *surround* პირდაპირი ობიექტის, ანუ დფ დამატების არსებობას მოითხოვს, თანაც ეს დეტერმინერიანი ფრაზა კონკრეტული ობიექტით — *castle* — ციხე-სიმაგრე უნდა იყოს წარმოდგენილი და არა დროის ერთეულით, როგორცაა სიტყვა *minutes*. (4დ) არასრულფასოვანი წინადადება სწორედ იმის გამოა, რომ მასში ეს სემანტიკური სასელექციო შეზღუდვა დარღვეული.

კატეგორიათა შერჩევაც და სემანტიკური შერჩევაც სინტაქსური დამოკიდებულებების ნიმუშებია. ზემოთ განხილულ მაგალითებში სწორედ ეს დამოკიდებულებები

ამყარებს კავშირს ზმნასა და მის დამატებას შორის (თუკი ასეთი საჭიროა).

სინტაქსური დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითია წინადადება (5):

(5) The fairies will not like witchcraft at all.

ფერიებს ჯადოქრობა სულაც არ მოეწონებათ.

მაგალით (4) -ში გამოყენებული პროცედურების მეშვეობით წინადადება (5) -ში არსებული ზოგიერთი დამოკიდებულება უკეთ შეიძლება გამოიკვეთოს. შეგვიძლია სიტყვა გადავაადგილოთ, ან ნავშალოთ და ამ ცვლილებათა შედეგები განვიხილოთ. გამოთქმა *at all* (სულაც) შეიძლება მეორე გამოთქმით — *a lot* (ძალიან, დიდად) შევცვალოთ. წინადადების გამართულობას ამით არაფერი დააკლდება — მსგავსი ჩანაცვლების შედეგად კვლავ გამართულ წინადადებას ვიღებთ:

(6) The fairies will not like witchcraft a lot.

ფერიებს ჯადოქრობა დიდად არ მოეწონებათ.

ეს ჩანაცვლება წინადადების მნიშვნელობის ცვლას იწვევს (ვინაიდან ფრაზები „სულაც არ მოეწონებათ“ და „დიდად არ მოეწონებათ“ შინაარსობრივად ერთმანეთის იდენტური არაა), მაგრამ გრამატიკულად ორივე წინადადება გამართულია. ისეთ ჩანაცვლებებს, რომელთაც ამ მხრივ ცვლილებები არ მოჰყვება, ვარგისი ჩანაცვლებები (*good substitutions*) ეწოდებათ, როგორც წინადადება (6). თუმცა, ასეთივე გამართულობა ყველა სახის ჩანაცვლებას როდი მოჰყვება. უვარგისი ჩანაცვლებების (*bad substitutions*) შედეგად გრამატიკულად გაუმართავ წინადადებებსა და ფრაზებს ვიღებთ. ასეთ დროს წინადადების ერთი წევრის აუცილებელ, შესანარჩუნებელ მახასიათებელს ჩანაცვლებული სიტყვა თუ ფრაზა ვერ ავსებს. განსახილველი წინადადება (7) ერთი ასეთი მაგალითია:

(7) * The fairies **does** not like witchcraft at all.

ფერიებს ჯადოქრობა დიდად არ მოეწონება(თ) -აკლია).

(ორიგინალში სუბიექტის და ზმნის რიცხვია შეუთანხმებელი).

დამხმარე ზმნის *will* ჩანაცვლება *does* ზმნური ფორმით გრამატიკულ გაუმართაობას იწვევს. იმგვარი ჩანაცვლებისგან განსხვავებით, რომლის მეშვეობითაც წინადადება (5) -ისგან (6) -ს ვიღებთ, ეს უკანასკნელი ჩანაცვლება გრამატიკული ორგანიზების აუცილებელ მოთხოვნას არღვევს. წინადადება (7) -ის გაუმართაობა იმ წესის არსებობითაა განპირობებული, რომელიც ინგლისურ ენაში **სუბიექტის და ზმნის შეთანხმებას** მოითხოვს, ესაა სინტაქსური დამოკიდებულება წინადადების სუბიექტისა და ზმნური ფორმის რიცხვს შორის. ზმნა *does* მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სუბიექტი მხოლოდ ერთ რიცხვში დგას.

როგორც ხედავთ, იმის სრული აღწერა, თუ როგორ ჯგუფდება ერთად სიტყვები უფრო დიდი ერთეულების შესაქმნელად ისე, რომ გრამატიკულად გამართული ფორმა მივიღოთ, მხოლოდ საკომპონენტო სტრუქტურის ტერმინებშია შესაძლებელი. მნიშვნელოვან როლს ის სხვადასხვა დამოკიდებულებებიც ასრულებს, რომლებიც სიტყვებსა და უფრო დიდ კომპონენტებს შორის არსებობს.

სადაც კი არსებობს ეს დამოკიდებულებები, იქ უვარგისი ჩანაცვლებებიც ხდება, რომლებიც ამ დამოკიდებულებათა მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. ენის სინტაქსური დამოკიდებულებების კვლევისას ჩანაცვლებები (განსაკუთრებით კი უვარგისი ჩანაცვლებები) კვლევის შესანიშნავი ხერხია. ამ დამოკიდებულებების არსებობას, მათს ბუნებას და ზღვრებს სწორედ ჩანაცვლებები ააშკარავებს.

4.1 თვალსაჩინოება: ნებატიური პოლარობის საკითხები

ახლა ერთ კერძო შემთხვევას განვიხილავთ, რომელიც სინტაქსური დამოკიდებულებების აღმოსაჩენ და საკვლევ მეთოდებზე შევიქმნით წარმოდგენას, გზადაგზა კი იმ საკითხებსა და პრობლემებს განვიხილავთ, რომლებიც ამ მეთოდების გამოყენებისას წამოიჭრება.

4.1.1 ასანყოფი თავსატყვისი

ხელახლა განვიხილოთ (5) წინადადება:

(5) The fairies will not like witchcraft at all.

ფერიებს ჯადოქრობა სულაც არ მოეწონებათ.

ახლა ჩვენი ამოცანა იმის გარკვევაა, არსებობს თუ არა უკვე განხილულ კატეგორიათა შერჩევისა და სემანტიკური შერჩევის გარდა კიდევ სხვა სინტაქსური დამოკიდებულებები. არ არსებობს ისეთი მეთოდი, რომელიც გაგვარკვევინებს, როგორი ჩანაცვლებები უნდა მოვსინჯოთ ჩვენს კითხვაზე საპასუხოდ. როცა ჩანაცვლებებზე ზემოთ ვმსჯელობდით, ვნახეთ, რა შედეგი მოჰყვა *does* დამხმარე ზმნით *will* დამხმარე ზმნის ჩანაცვლებას, ხოლო (4) წინადადებაში დეტერმინერიანი ფრაზის *his castle* პირდაპირი ობიექტით *two minutes* ჩანაცვლებას.

ახლა მოდით *not* სიტყვის სხვადასხვაგვარი ჩანაცვლების მაგალითები განვიხილოთ. *not* სიტყვის ჩანაცვლება სხვა გამოთქმით შეზღუდვების გარეშე შეიძლება გრამატიკულად გაუმართავი წინადადებების მთელი წყებით დასრულდეს. ამ უვარგისი ჩანაცვლებების შედეგები თვალნათლივ რომ ვიხილოთ, ის სწორ ფორჩხილებში მოქცეული გამოთქმებით რიგ-რიგობით ჩავანაცვლოთ:

(8) The fairies will NOT like witchcraft at all.

{ John / rainfall / proud / ate / with /
never in a million years / go to school }

{ ჯონი / თავსხმა / ამაყი / ჭამა-ით / მილიონი წლის განმავლობაში
არასდროს/ სკოლაში წასვლა }

მაღე დარწმუნდებით, რომ თქვენს მიერ მიღებული ყველა წინადადება, იმ ვერსიის გამოკლებით, რომელშიც *not* სიტყვის ჩანაცვლება ფრაზით *never in a million years* მოხდა, არასრულფასოვანია. ეს ჩანაცვლებები მოცემულ წინადადებაში *not* სიტყვის განსაკუთრებულ როლს (თუკი ასეთი გააჩნია) არსებითად ვერ ააშკარავებს. გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწევთ, თუკი ამ სიტყვას **მის მსგავსთა** მეშვეობით ჩავანაცვლებთ, ანუ ისეთი სიტყვებით, რომლებიც წინადადებაში მასსავით ფუნქციონირებს. სირთულეს ის ქმნის, რომ ჯერ არ ვიცით, რას ნიშნავს ეს **მსგავსნი**. ალბათ, არც ეს გაგვიჭირდებოდა, რომ ვიცოდეთ, რას წარმოადგენს სიტყვა *not* — რას ნიშნავს და როგორ ფუნქციონირებს წინადადებაში, მაგრამ ეს ნაწილობრივ, არის ის, რის გარკვევასაც ვცდილობთ.

როცა კომპლექსური სიტუაციის ურთიერთქმედებაში მყოფი ნაწილების რაობის გარკვევას ვცდილობთ, როგორც წესი, სწორედ ასეთ მდგომარეობას ვაწყდებით ხოლმე. როცა ერთი ნაწილის, თუ ნევრის რაობის გარკვევას ვესწრაფვით, ჯერ ის როლი გვაქვს გასაცნობიერებელი, რომელსაც იგი სისტემაში თამაშობს. ამ როლის გასარკვევად სისტემაში უნდა გავერკვეთ, სისტემაში გარკვევა კი მხოლოდ მისი ნაწილების რაობის დადგენით არის შესაძლებელი. ამ ჩაკეტილ წრეს რომ თავი და-

ვალწიოთ, პროცესის გაგრძელების რომელიმე გზა უნდა მოვსინჯოთ. სწორი იქნება ეს გზა თუ არა, ამას მას შემდეგ გავიგებთ, როცა უკეთ გავაცნობიერებთ იმ შესაბამის ფაქტორებს, რომლებიც არჩეული გზის სისწორეში ან მცდარობაში დაგვარწმუნებს.

ამგვარ მოსინჯვამდე ჯერ ერთი გამარტივებული შემთხვევა განვიხილოთ და გავარკვიოთ, რა სახის ელემენტებია სიტყვის *not* მსგავსი, ანუ სხვა რომელ ელემენტებს შეუძლია კანონზომიერად ჩადგეს დამხმარე, ვთქვათ, *will* ზმნასა და ძირითად, ვთქვათ, *leave* ან *like* ზმნას შორის, როგორც (9) წინადადებაში:

(9) Titania will not leave.

ტიტანია არ წავა.

(10) ა. { indeed / perhaps / often / probably / never in a million years }

ბ. *{ John / rainfall / proud / ate / with / go to school }

(10ა) -ში მომხდარი ჩანაცვლებები გრამატიკულად გამართულ ფორმებს ქმნის, მაგრამ (10ბ) -ში ჩამოთვლილი სიტყვებით ჩანაცვლება გრამატიკულ გაუმართაობას იწვევს. ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვის ნოტ ფუნქციისა თუ გავლენის გასაცნობიერებლად ჩანაცვლებები იმ ელემენტებამდეა შესაზღუდი, რომლებიც სიტყვის *not* მსგავსნი არიან — იმ თვალსაზრისით, რომ დამხმარე ზმნასა და ძირითად ზმნას შორის ჩადგომა მათაც შეუძლიათ. ბევრ ასეთ წევრს ტრადიციულად ზმნისწინა (**ზმნიზედებს**) მიაკუთვნებენ. ეს სიტყვები შეიძლება უშუალოდ ზმნის წინ ჩადგეს და მისი მნიშვნელობის ცვლა გამოიწვიოს. ეს ბუნდოვანი გზაა იმის დასამტკიცებლად, რომ ხსენებული სიტყვები ზმნის მნიშვნელობას რაიმენაირად ცვლის. ასეთ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე სიტყვა *not*-ის ჩანაცვლებისას არჩევანს სხვა ზმნისწინა ზმნიზედებამდე შევზღუდავთ, ანუ ჩასანაცვლებელ სიტყვას ამათგან ამოვირჩევთ.

სანამ ამ პროცესს გავაგრძელებდეთ, ყურადღება მიაქციეთ შემდეგ წინააღმდეგობას: ინგლისური ენის მინიგრამატიკა, რომელზეც ჩვენი წიგნის წინა თავში ვისაუბრეთ, (8) ან (9) ნიმუშებისმაგვარ წინადადებებს არ წარმოქმნის, ვინაიდან მას ისეთი წესი არ გააჩნია, რომელიც *not* ან *at all* ელემენტებს მოიცავს. იმისთვის, რომ ნიმუშ (9) -ის მაგვარი გამართული წინადადება მივიღოთ, რომელშიც *not* ან *indeed* და *perhaps* ელემენტები ზმნიანი ფრაზის წინ დგას, ან (8) -ის მაგვარი გამართული წინადადება, რომელსაც ზმნიანი ფრაზის ბოლოში გამოთქმა *at all* აქვს, ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებული წესების ჩამონათვალს კიდევ ერთი უნდა დაეუმატოთ. თუ ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებს **ზმნიზედებს (ან ზმნიზედის ტიპის გამოთქმებს)** ვუნოდებთ, შესაბამისი წესი ამგვარი იქნება:

წესი 1: ზმფ → ზმნიზედა ზმფ ზმნიზედა

ამ წესის წყალობით ყველაფერი, რაც ლექსიკონში ზმნიზედად განისაზღვრება, შეიძლება ზმნიანი ფრაზის წინ ან შემდეგ იდგეს. თუმცა, რაკი ისეთი გამართული, გრამატიკულად სწორი წინადადებებიც შეგვგზავდრია, რომელიც ზმნიზედებს არ შეიცავს, ეს წესი შეგვიძლია ხელახლა, ფრჩხილებით აღნიშვნის გამოყენებით ჩამოვაცალიბოთ და მისი მეშვეობით ის ფაქტიც განვსაზღვროთ, რომ ჩართული წევრები არასავალდებულოა.

წესი 2 ზმფ → (ზმნიზედა) ზმფ (ზმნიზედა)

ყველაფერს, რაც აქამდე გვაკეთეთ, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ჩანაცვლების ხერხით კვლევისას ისეთი ჩანაცვლებები არ უნდა მოვახდინოთ, რომლებიც

მოცემული ენის ფრაზის სტრუქტურასთან დაკავშირებულ წესებს არღვევს: სახელი *rainfall* (10) წინადადებაში ჩანაცვლების კანდიდატურად იმ მარტივი მიზეზის გამო არ გამოდგება, რომ ეს სიტყვა ზმნიზედა არ არის (ეს ფაქტი დამოუკიდებლად შეიძლება – და უნდა — დამტკიცდეს).

თავდაპირველ, (7) წინადადებაში სიტყვის *not* ჩანაცვლება სხვა ზმნიზედებით ასეთ შედეგებს იძლევა:

- | | | |
|--------------------------|--|------------------------|
| (11) ა. The fairies will | not / never | like witchcraft at all |
| ბ. * The fairies will | perhaps / often/
indeed probably/ Ø | like witchcraft at all |

აქედან მხოლოდ ერთი ჩანაცვლება შეიძლება იყოს ვარგისი: სიტყვის *not* ჩანაცვლება სიტყვით *never* (არასდროს) დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა, სხვა დანარჩენი — არა. მიუღებელია ამ სიტყვის ნულოვანი წყობით ჩანაცვლებაც. ამ ეტაპზე ჩვენ ორი თანმიმდევრული დაკვირვება (და დასკვნაც) მოვახდინეთ:

ვარაუდი: ჩანაცვლებათა შეზღუდვა ზმნისწინა ზმნიზედებამდე (ანუ ერთი ზმნისწინა ზმნიზედის შეცვლა მეორე მისი მსგავსით) იმ ფენომენის აღწერის პროცესში, რომლის შესწავლასაც ვცდილობთ, სწორი გზიდან არ გადაგვახვევინებს.

პირველი დაკვირვება: *not* სიტყვის ჩანაცვლება რომელიმე სხვა ზმნისწინა ზმნიზედით (როგორც (11ა) -ში), ვარგისი ჩანაცვლებაა.

მეორე დაკვირვება: *not* სიტყვის ჩანაცვლება სხვა ზმნისწინა ზმნიზედებით ხანდახან, როგორც (10ა) -ში, ვარგისი ჩანაცვლებაა, თუმცა არა ყოველთვის (მაგალითად, (11ბ) -ში).

ამ დაკვირვებების საფუძველზე ორი კითხვა ჩნდება:

პირველი კითხვა: რა განასხვავებს ერთმანეთისგან (9) -ის და (11) -ის მსგავს შემთხვევებს?

რაკი (9) -ში ზმნისწინა ზმნიზედებით ჩანაცვლება ნაკლებად პრობლემატური ჩანს, ვიდრე (11) -ში, ალბათ, შესაბამისი სხვაობა წინადადება (9) -სა — *Titania will not leave* და (11) -ს — *The fairies will not like witchcraft at all* შორისაც უნდა არსებობდეს.

გაიხსენეთ: თუ ჩანაცვლება ცუდია, მაშასადამე, სინტაქსურ დამოკიდებულებათა რომელიმე მოთხოვნა დარღვეული. ისეთი რა ელემენტი წარმოადგენს ამ დამოკიდებულებებს წინადადება (11) -ში, რომელიც წინადადება (9) -ში არაა წარმოდგენილი? სავარაუდოდ, (11) -ში რომელიმე მგრძნობიარე ელემენტი გვაქვს, რომელსაც კონკრეტული ტიპის ზმნისწინა ზმნიზედა გააჩნია. რაკი გამოთქმა *at all* გვაქვს (11) წინადადებაში, მაგრამ არა (9) -ში, როგორც ჩანს, ამ ელემენტობის კანდიდატი სწორედ ეს გამოთქმაა. დამოუკიდებლად მდგომი *at all* გამოთქმა არაფერს ნიშნავს. სხვა ისეთი სიტყვებისგან განსხვავებით, რომლებიც ზომას, მოცულობას, მოქმედების განვრცობას გამოხატავენ, როგორიცაა, მაგალითად, *a lot*, *at all* დამოუკიდებლად არ იხმარება. კითხვაზე: *How did you like this movie?* („როგორ მოგეწონათ ეს ფილმი?“) შეიძლება უპასუხოთ: *a lot* („ძალიან“), მაგრამ არა *at all*, ვინაიდან ასეთი პასუხი უცნაური და გაუგებარი იქნებოდა, თუმცა, პასუხი *Not at all!* („სულაც არა!“) სრულიად მისაღებად ჟღერს. ამ გამოთქმას მნიშვნელობა გააჩნია. გამოთქმას *at all* კი მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუკი სადმე, იმავე წინადადებაში მასთან დაკავშირებული სიტყვა *not* გაგვანჩნია.

იმ მოსაზრების განსაზღვრებად, რომ მგრძნობიარე ელემენტი სწორედ *at all* არის,

იგი მაგალითი (11) -ის ყველა წინადადებიდან ამოვიღოთ. ესეც ჩანაცვლების ერთგვარი ფორმაა, ოღონდ ჩანაცვლება ამჯერად \emptyset — სიტყვათა ნულოვანი თანწყობით ხდება. თუ ასე მოვიქცევით, მაგალითი (11) -ის ყველა წინადადება მისაღები გახდება. ეს ფაქტი ძირს კი იმ მოსაზრებას უმაგრებს, რომ სწორედ *at all* გამოთქმაა მიზეზი მაგალითი (11) -ის გრამატიკული გაუმართაობისა.

ამ ჰიპოთეზის გამოცდის კიდევ ერთი გზა კვლავ წინა პროცედურის მსგავსი იქნება, ანუ მისი სისწორის შემოწმება ისევ ჩანაცვლებით შეგვიძლია. თუ მგრძნობიარე ელემენტი *at all* გამოთქმაა, ამჯერად მისი შეცვლა **მსგავსი, მაგრამ განსხვავებული** ელემენტით უნდა ვცადოთ. იმის განსამარტავად, თუ რას ვგულისხმობთ მსგავს, მაგრამ განსხვავებულ ელემენტში, *not* სიტყვის მაგალითს უნდა მივუბრუნდეთ. იქ ჩვენ მსგავსი ელემენტით ჩანაცვლებაზე ვსაუბრობდით, რომელიც უფრო ხშირად იმავე ლექსიკური კატეგორიის წევრი უნდა ყოფილიყო, რომელიც თავდაპირველი სიტყვის პოზიციაში ჯდებოდა და იგივე მნიშვნელობა გააჩნდა. განსხვავებულში კი ისეთ ჩანაცვლებებს ვგულისხმობთ, რომლებიც სენსიტიური (ანუ მგრძნობიარე) არ არის (ან განსხვავებული სენსიტიურობა გააჩნია). *not at all*, *at all* ზმნიზედის ტიპის ისეთი გამოთქმებია, რომელიც მოქმედების განვრცობის ზომას ასახავს. მათ ჩვენ **სიდიდის ზმნიზედას** დავარქმევთ. ვცადოთ ახლა მათი შეცვლა სიდიდის სხვა ზმნიზედებით, ან ზმნიზედის ტიპის იმ გამოთქმებით, რომელთა მნიშვნელობა მათი მსგავსია, მაგალითად, *a lot* (ბევრად, ძალიან, დიდად), *much* (ბევრი), *a little bit* (ოდნავ, ცოტა) *more than* (მეტი ვიდრე (რაიმე)). შედეგი ამგვარი იქნება:

(12) ა. Fairies will *not / never like witchcraft at all / a lot / much / a little bit / more than algae.*

ფერიებს (სულაც/სრულიად/ დიდად / ძალიან /ოდნავ)

არ /არასდროს მოეწონებათ ჯადოქრობა ზღვის მცენარეებზე მეტად.

ბ. Fairies will *indeed / perhaps / often / probably / \emptyset like witchcraft*

* *at all / a lot / * much / a little bit / more than algae.*

ფერიებს ჯადოქრობა (ნამდვილად /ალბათ / ხშირად / ალბათ / \emptyset)

(*სულაც / დიდად / *ძალიან / ოდნავ / უფრო) ზღვის მცენარეებზე

მეტად მოეწონებათ.

ეს მაგალითები შემდეგნაირად უნდა იქნეს ნაკითხული: თითოეული წინადადებისთვის ერთი ზმნისწინა ზმნიზედაა ასარჩევი და ერთიც — სიდიდის ზმნიზედა. თუ შედეგი მისაღები არ იქნა, მაშინ ზმნიზედა ვარსკვლავით აღინიშნება, ხოლო თუ მისაღები აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევაში ვარსკვლავის დასმა საჭირო არაა. როგორც ხედავთ, ისეთ ზმნისწინა ზმნიზედებთან ერთად, როგორიცაა *not* და *never*, წინადადებაში სიდიდის ყველა ზმნიზედის არსებობა დასაშვებია. თუ ზმნისწინა ზმნიზედები მოცემული არ არის, ან მოცემულია, მაგალითად, *indeed*, *perhaps*, *often*, *probably* მისაღებია სიდიდის ისეთი ზმნიზედები, როგორიცაა *a lot*, *a little bit*, მაგრამ არის ისეთი სიდიდის ზმნიზედებიც — *at all*, *much*, რომლებიც მათთან ერთად წინადადებაში ვერ იდგება.

ამ მაგალითების საფუძველზე ორი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია. პირველი:

შებლუდვების მიზეზი სწორედ გამოთქმა *at all* არის. თუკი ისეთ წინადადებაში, სადაც მისი დგომა მიუღებელია, მას სხვა ზმნიზედებით ან ზმნიზედის ტიპის ფრაზებით ჩავენაცვლებთ, რომლებიც იმავე აზრს გამოხატავენ — *a lot*, *more than (something)*, *a little bit*, წინადადება მისაღები გახდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითი (11) -ში წინა-

დადებების არასრულფასოვნებასა თუ გაუმართაობას სიდიდის ზმნიზედების ზოგადი მახასიათებლები არ იწვევს. ამის მიზეზი, როგორც ზემოთ დავასკვნით, სიდიდის ზმნიზედის კონკრეტული არჩევანია. და მეორე დასკვნა: ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ამ თვალსაზრისით *at all* სიდიდის ზმნიზედათაგან ერთადერთი არ არის — *much* ზმნიზედაც მის მსგავსად ფუნქციონირებს, ანუ ისიც სენსიტიურობას ამჟღავნებს იმის მიმართ, თუ რა ჩადგება წინადადებაში და ამით სხვა გამოთქმებისგან განსხვავდება.

დასკვნის სახით კითხვასაც ვუპასუხოთ: რა განასხვავებს ერთმანეთისგან (9) -ის და (11) -ის მსგავს შემთხვევებს, ანუ რა სხვაობაა წინადადება (9) -სა — *Titania will not leave* და (11) -ს — *The fairies will not like witchcraft at all* შორის? სხვაობას *at all* გამოთქმის მსგავსი სიდიდის ზმნიზედების არქონა ქმნის.

მეორე კითხვა: რა განასხვავებს ერთმანეთისგან (11ა) -ს და (11ბ) -ს მსგავს შემთხვევებს? კონკრეტულად რის მიმართ ამჟღავნებენ მგრძნობიარობას ეს სენსიტიური ზმნიზედები? განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისეთი ზმნიზედების დგომა, როგორცაა *at all*, წინადადებაში მისაღებია *not* და *never* (ან *never in a million years*) ზმნიზედებთან, მაგრამ მიუღებელ წინადადებებს ქმნის ზმნიზედებთან *indeed*, *perhaps*, *often*, *probably* ერთად. *not* და *never* ზმნიზედებს შეგვიძლია ცენზორები (*licensors*) ვუნოდოთ. ეს ორი ელემენტი წინადადებას ცენზურას უწევს და *at all* ელემენტს მასში დგომის უფლებას რთავს. ეს ტერმინოლოგია იმ ფაქტს ასახავს, რომ *at all* ზმნიზედას სადმე წინადადებაში *not* ან *never* (ან კიდევ სხვა რამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ) სჭირდება, მაგრამ პირიქით კი არაა: *not* და *never* ელემენტებს *at all*, ან მისი მსგავსი მგრძნობიარე ელემენტი არ ესაჭიროება. ამის თვალსაჩინო მაგალითია წინადადება (9). დამოკიდებულება *at all* ელემენტსა და მის ცენზორს შორის დირექციული, ასიმეტრიულია.

მაგალითი (13) იმ საკითხის შეჯამებას წარმოგვიდგენს, რომელსაც აქამდე განვიხილავდით. იგი ორ სვეტად ჩამოწერილ ზმნიზედებს და ქვეშ მიწერილ წესს შეიცავს, რომელიც განმარტავს, როგორ გამოიყენება ორ სვეტად მოყვანილი ელემენტები.

(13) სიდიდის მგრძნობიარე (სენსიტიური) ზმნიზედები	ცენზორები
<i>at all</i>	<i>not</i>
<i>much</i>	<i>never (in a million years)</i>

ნესი 3 (პირველი ვერსია): თუ წინადადებაში სიდიდის მგრძნობიარე ზმნიზედები (რომლებიც პირველ სვეტშია მოცემული) ჩნდება, ეს წინადადება ცენზორთა სვეტში ჩამოწერილ რომელიმე ზმნიზედასაც უნდა შეიცავდეს.

ეს ცხრილი და სვეტი განსახილველ მასალას სწორად აღწერს. არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ამგვარი წესი ჩვენს მიერ განხილული ფორმულირების (მაგალითი (12)) შესატყვისი წინადადებაში მოქმედებს, ხოლო თუ რამდენად ვრცელდება სხვა შემთხვევებზე, ჯერ არ ვიცით. თუმცა, ქვემოთ დარწმუნდებით, რომ მას, ბევრი თვალსაზრისით, ნაკლოვანებებიც გააჩნია. შევთანხმდეთ: ჩვენს მიახლოებით მოხაზულ პირველ წესს „პირველი ვერსია“ ვუნოდოთ და შემდგომაც ასე მოვიხსენიოთ. ქვემოთ მისი ხსენება რამდენჯერმე დაგვჭირდება.

4.1.2 ზოგიერთი პრობლემის შესახებ; როგორ გავუმკლავდეთ მათ

ახლა ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე წინასწარი სურათი უკვე შექმნილი გვაქვს. (13)–ში მოცემული ცხრილი იმ სენსიტიური ელემენტების შესახებ გვაძლევს განზოგადებულ წარმოდგენას, რომელთა რაობა თავიდანვე თვალნათლივ არც იკვეთებოდა.

ერთი პრობლემა, რომელსაც (13)–ში მოყვანილი ცხრილის შემთხვევაში ვაწყდებით, ის არის, რომ იგი სპეციფიკურ ელემენტებს მოიცავს და ამ ელემენტებს არ ცდება. იგი არ გვთავაზობს მონაცემებს, არსებობს თუ არა სხვა ასეთი ცენზორი და თუკი არსებობს, ორ სვეტად მოყვანილი ელემენტების მსგავსად ფუნქციონირებს, თუ სხვაგვარად? თუ ასეთი ცენზორი სხვაც არსებობს, მაშინ მას (თუ მათ) მარტივად შევიტანდით მეორე სვეტში. ენის ამ ასპექტის მოსაუბრისეული ცოდნა ამაზე უკეთ ვერც გადმოიცემა. ჩვენ ხომ წინადადებათა გარკვეული ჯგუფის მონაცემებს ვერ დავჯერდებით; ჩვენ ის გვანტერესებს, როგორ აკეთებენ ინგლისურენოვანი მოსაუბრეები საკუთარი ენის შესახებ იმ დასკვნებს, რომლებსაც აკეთებენ და მათი განმარტება გვსურს. თუკი ჩავთვლით, რომ (13) მაგალითში მოყვანილი სვეტები ამის საუკეთესო ვერსიაა, მაშინ ეს იმის აღიარება იქნება, თითქოს ინგლისურენოვანი ადამიანი ამგვარ წინადადებებზე მსჯელობისას გონებაში გარკვეულ გათვლას ახდენს, რის შედეგადაც იმ ინფორმაციას იღებს, რომელსაც (13)–ის ორი სვეტი შეიცავს.

გონებრივი კომპუტაციების (გათვლების) და ტვინის იმ მექანიზმების შესახებ, ამგვარ ლინგვისტურ პროცესებს რომ ასრულებს, ჩვენ ჯერაც ძალიან ცოტა რამ ვიცით. თუმცა, დასკვნების გაკეთებაში შეიძლება შემდგომ მოყვანილი ლინგვისტური მასალა დაგვეხმაროს.

განზოგადებები

მცენიერების მთავარი ამოცანა ისეთი ზოგადი დებულებების ჩამოყალიბებაა, რომლებიც ყოველგვარ ხელმისაწვდომ მასალას ემყარება. (13) ცხრილის აგება ისაკ ნიუტონის სახეცვილი ამბავს ჰგავს. წარმოიდგინეთ ნიუტონი, რომელიც ოქსფორდში, ინგლისში, მინაზე ვაშლის დაცემას აკვირდება და ამბობს: „თურმე ოქსფორდის მინა ვაშლებს იზიდავს“. მერე ამჩნევს, რომ ვაშლების მსგავსად, ძირს მსხლებიც ცვივა და აღნიშნავს: „გასაგება! ოქსფორდის მინა ვაშლებს და მსხლებს იზიდავს“. ლონდონში დაბრუნებისას ხედავს, რომ აქაც იგივე ხდება და ასკვნის, რომ ლონდონის და ოქსფორდის მინები ვაშლებს და მსხლებს იზიდავს. აზრის ასეთი მიმართულება, რა თქმა უნდა, დიდი სურათის მხოლოდ მცირე ნაწილს გვანვდის, რაც ისაკ ნიუტონს ნამდვილად არ დამართნია, პირიქით, დედამიწის მიზიდულობის ზოგადი კანონი ჩამოაყალიბა (სხეულები ერთმანეთს იზიდავენ), რაც უკლებლივ ყველა საგანზე, მსხლებსა და ვაშლებზეც ვრცელდება და თან ყველგან მოქმედებს ... ჩვენი დიდი სურათი ნიუტონისას ბევრად ჩამოუვარდება, მაგრამ დასაბუთებისა და მსჯელობის მიმართულება იგივე უნდა იყოს: მოახდინეთ რაც შეიძლება ფართო განზოგადება, იქამდე, სანამ მოგეჩვენებათ, რომ განზოგადებულ სურათში იმაზე მეტი რამ მოაქციეთ, ვიდრე საჭირო იყო.

ეს (მცირე) დიდი სურათი აღუქმელი რომ არ დაგვრჩეს, მოდით, (13)–ის მოდიფიცირება ვცადოთ, თან ისე განვაზოგადოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემი მოიცვას (მონაცემებში წინადადებების შესახებ მოსაუბრეთა მიერ გამოთქმული შეფასებები იგულისხმება). ისეთი ზოგადი მეთოდი არ არსებობს, რომელიც გან-

ზოგადების ხარისხსა და მიმართულებაზე მიგვანიშნებდა. არც იმგვარი სისტემური პროცედურა გაგვაჩნია, რომელიც ენის კანონებისა და წესების, ან თუნდაც ბუნების კანონების ძიებას და შესწავლას გაგვიადვილებს. ასეთ დროს კვლევის ობიექტის გაცნობა უკეთეს სამსახურს გაგვინევს. მაგალითად, გამოცდილებით ვიცით, რომ მეტისმეტად ფართო განზოგადება ყოველთვის მცდარია. შეგვიძლია, კითხვა ასე დავსვათ: ხომ არ არსებობს ისეთი წესი, რომელიც განგვიმარტავს, რა ერთიანდება თითოეულ ზემოთ მოყვანილ სვეტში, არსებობს თუ არა ისეთი განზოგადება, რომელიც თითოეული სვეტის ყველა წევრს მიესადაგება. ეს უნდა გავაკეთოთ როგორც ცენზორთა, ისე სენსიტიურ წევრთა სვეტისთვის, მაგრამ პროცესის მსვლელობის თვალსაჩინოებისთვის ცენზორთა შესწავლით უნდა შემოვიფარგლოთ.

ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, რა აქვს საერთო პირველი სვეტის *not* და *never* წევრებს, შემდეგ კი დავადგინოთ, არის თუ არა ეს საერთო მახასიათებელი ის ნიშან-თვისება, რომელიც ამ ორ ელემენტს ცენზორად აქცევს. უპირველეს ყოვლისა, ორივე ელემენტი უარყოფის სიტყვაა და თითქოს ზემოთ ნახსენები მახასიათებლის კანდიდატი უკვე იკვეთება. ახლა კი შეგვიძლია ის ჰიპოთეზა ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ამ ორი სიტყვისთვის განზოგადებას ქმნის.

ჰიპოთეზა: ცენზორები, რომელთაც მგრძნობიარე (სენსიტიური) სიდიდის ზმნიზებები მოითხოვს, უარყოფითი გამოთქმები უნდა იყოს.

ჩანართი 4.2

უარყოფითი გამოთქმები

ყოველ ჩვენგანს ესმის, რას ნიშნავს არაფორმალურად სიტყვა „უარყოფითი.“ უარყოფითი გამოთქმა ისეთი გამოთქმაა, რომლის ფარგლებშიც უარყოფის გამომხატველი სიტყვები, მაგალითად, „არ“, „არა“ შედის. რაკი ნეგატიურ და პოზიტიურ გამოთქმებს ინტუიტიურად ერთმანეთის საწინააღმდეგო გამოთქმებად აღვიქვამთ, როგორ უნდა ვთქვათ, რომელი რომელია სინამდვილეში? ამის თქმა ისევე შეიძლება, როგორც იმისა, რომ ორი რიცხვიდან +1 და -1 უარყოფითი რიცხვი -1-ია. სწორედ უარყოფითი რიცხვია ამ ორიდან ის რიცხვი, რომელიც საკუთარ თავზე გამრავლებისას იცვლება: $+1 \times +1 = 1$; მაგრამ $-1 \times -1 = +1$. ამრიგად, უარყოფითი რიცხვი ნამდვილად -1 -ია. ამ ანალოგიითვე, ორი უარყოფითი გამოთქმა წინადადებაში ერთმანეთს აბათილებს, ორი პოზიტიური კი — არა. ამ აზრის თვალსაჩინოებისთვის ასეთი მაგალითი განვიხილოთ: *Oberon will not not trick mortals* ნიშნავს *Oberon will trick mortals* ანუ, ორი უარყოფითი ზმნიზედა *not* წინადადებაში ერთმანეთს აბათილებს.

ჩვენი ჰიპოთეზის ვარგისიანობა რომ დავამტკიცოთ, შეგვიძლია ჩვენს აღწერას და ტერმინოლოგიას ხელახლა მივუბრუნდეთ, გადავხედოთ და შესწორება შევიტანოთ: ამისთვის ცენზორებს **უარყოფითი ცენზორები** უნდა ვუწოდოთ. ამასთან, სახელს ვაძლევთ პირველი სვეტის სენსიტიურ ელემენტებს და მათ **ნეგატიური პოლარობის წევრებს** (*negative polarity items*-ნპნი) ვუწოდებთ. ეს ტერმინოლოგია ელექტრობის ან რიცხვების ასოცოაციებს ინვევს. წარმოიდგინეთ, რომ ლინგვისტურ გამოთქმებს ერთმანეთისგან განსხვავებული პოლარობა (ან სხვადასხვა ნიშნები) გააჩნია, ანუ პოზიტიური (მტკიცებითი) ან ნეგატიურია. უარყოფითი ელემენტი გამოთქმას, რომელშიც ჩნდება, პოლარობას (ან ნიშანს) უცვლის და ნეგატიურ პოლარობას ანიჭებს. ნეგატიური პოლარობის წევრი ნეგატიური პოლარობის გამოთქმას ითხოვს.

განახლებული ცხრილი და წესი (14) -შია წარმოდგენილი:

(14) ნეგატიური პოლარობის სიდიდის ზმნიზედები	ნეგატიური ცენზორები
at all	not
much	never (in a million years)

წესი 4 (მეორე ვერსია): თუ წინადადებაში ნეგატიური პოლარობის

წევრი (ისეთი, როგორებიც პირველ სვეტშია)

ჩნდება, მაშინ წინადადებაც ნეგატიურ

(უარყოფის) გამოთქმას უნდა შეიცავდეს.

თუ წეს 3-სა და წეს 4-ს შევადარებთ, დავინახავთ, რომ უკანასკნელი მეორე სვეტს, ანუ ცენზორებს აუცილებლად ზმნისწინებად ან ზმნიზედებად არ მიიჩნევა. ჩვენს ჰიპოთეზაზე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ ეს ორი მახასიათებელი არსებითი არ არის, პირიქით, ცენზორისთვის ახლა არსებითი მახასიათებელია, რომ უარყოფითი, ანუ ნეგატიური იყოს. (13) -ისგან განსხვავებით, (14) განზოგადებისას იმ მონაცემებზე შორს მიდის, რომლებსაც ჩვენ ვეძიებდით და იმის პროგნოზირებასაც ეწევა, რის აღმომჩენასაც უნდა მოველოდეთ. თუ ეს პროგნოზები სწორია, მაშინ (14) -ის უპირატესობა (13) -თან შედარებით სრულიად აშკარა ხდება.

ჩამონათვლები და განზოგადებები

ჩანართი
4.3

წევრთა სათითაოდ ჩამონერით განზოგადება ვერ მიიღწევა. ჩამონათვალში ნებისმიერი წევრის შეტანა შეიძლება. ანუ, ჩამონათვალი შეიძლება არაერთგვაროვანი (ჰეტეროგენული) იყოს და მის წევრებს საერთო მახასიათებელი არ აერთიანებდეს. ჩამონათვლებს, რომლებშიც ფენომენები მხოლოდ ჩამოთვლილია, პროგნოზირების უნარი არ გააჩნია და ვერც იმის გაგებაში დაგვეხმარება, რატომ არის ესა თუ ის წევრი შეყვანილი ჩამონათვალში. იგი კარგ ათვლის წერტილად, დასაყრდენად გამოგვადგება და მხოლოდ ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული. აქ იმგვარი საერთო მახასიათებლის პოვნა საჭირო, რომელიც ჩამონათვლის ყველა წევრისთვის საზიარო იქნება. როცა ასეთი მახასიათებლის პოვნა მოხერხდება, ჩამონათვალი განზოგადების და პროგნოზირების უნარს შეიძენს.

დანყება ჯერ ყველაზე ზოგადი (ფართო) განზოგადების მოსინჯვით შეიძლება, შემდეგ კი ნაკლები ზოგადობის ფორმულირებებით, რომლებიც გზადაგზა, კერძო პრობლემების გადაწყდომისას ხდება საჭირო. ან სხვაგვარი მიდგომაც შესაძლებელია: სულ უფრო და უფრო ვრცელი განზოგადების ძიება თანმიმდევრული მიახლოებების გზით. როგორც წესი, პირველი სტრატეგია უფრო უნარიანია: ამ დროს აღწერას მაქსიმალური ზოგადობით ვცდილობთ, შემდეგ კი, ზოგადი წესის სისწორის გამოსაცდელად, ექსპერიმენტულ წინადადებებს ვაგებთ. ამ მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ თუ ახალი მონაცემები წესის სისწორეს გვიქარწყლებს, იგი ამ წესის ზღვრებს გამოკვეთს და საშუალებას გვაძლევს, ნაკლები ზოგადობის, მაგრამ მეტი სიზუსტის წესის ფორმულირება მოვახდინოთ. რაც უფრო თამამად არის მოხდენილი განზოგადება, მისი მცდარობაც მეტად არის მოსალოდნელი.

ფორმულირება (14) ასეთ პროგნოზს გვთავაზობს: ნებისმიერი ნეგატიური გამოთქმა გზას უხსნის წინადადებაში ნეგატიური პოლარობის წევრის გაჩენას. შეგვიძლია გამოთქმის მხოლოდ მნიშვნელობა შევისწავლოთ და ვთქვათ, უარყოფითი გამოთქმასა ეს თუ არა, მაშასადამე, იმასაც გავარკვევთ, ნეგატიური პოლარობის წევრია იგი თუ

არა. კერძოდ, ასეთ ნეგატიურ გამოთქმას არ მოეთხოვება, რომ აუცილებლად ზმნიზედა იყოს. „ზმნიზედად ყოფნის“ მახასიათებელი (13) ფორმულირების ნაწილი და მოთხოვნა იყო — ისიც იმ შემთხვევით არჩევანზე დაყრდნობით, რომელიც (12) ფორმულირების გაცნობისას მოვახდინეთ. ეს მახასიათებელი მხოლოდ იმ მიზნით გამოვყავით, რომ განხილული მასალის მიმართ სიზუსტე დაგვეცვა, ანუ, ეს კონკრეტული წინადადებები სიზუსტით აღგვეწერა. თუკი „ზმნიზედად ყოფნა“ სავალდებულო არაა, მაშინ მის ადგილას ნებისმიერი უარყოფითი ელემენტი გამოგვადგება, მაშინაც კი, თუ ის ზმნიზედა არაა.

ელემენტები, რომლებიც *no* უარყოფით სიტყვას შეიცავს, როგორცაა, მაგალითად, *no one*, ან *nobody*, ნეგატიური პოლარობის ცენზორობის კანდიდატებია. როგორც ფორმულირება (15) მოწმობს, ეს სიტყვები არის კიდევ ნეგატიური პოლარობის წევრი ცენზორები, სიტყვებისგან *someone* ან *somebody* განსხვავებით, რომლებიც ნეგატიური მნიშვნელობის სიტყვებს არ შეიცავს:

- (15) ა. No one will like witchcraft at all / much.
 ბ. Nobody will like witchcraft at all / much.
 გ.*Someone will like witchcraft at all / much.
 დ.*Somebody will like witchcraft at all / much.

(15 ა-ბ) წინადადებებში ნეგატიური პოლარობის წევრი ცენზორები მაინც ზმნისწინა ზმნიზედებია იმ თვალსაზრისით, რომ ზმნის წინ დგას (თუმცა არა უშუალო მეზობლობაში). წესი 4 მათგან არ მოითხოვს, რომ ისინი აუცილებლად ზმნისწინა ზმნიზედები უნდა იყოს. წესი 4 პროგნოზირებას ახდენს, რომ თუკი წინადადება სადმე ნეგაციის ელემენტი შეიცავს, მასში (წინადადებაში) ნეგატიური პოლარობის დამშვები წევრები ლეგიტიმურად გაჩნდება. ამგვარი პროგნოზის შესამოწმებლად ახალი ექსპერიმენტი უნდა ნამოვიწყოთ — ისეთი საცდელი წინადადებები უნდა ავაგოთ, რომლებშიც უარყოფის გამოთქმები ზმნას მოსდევს, როგორც მაგალით (16) -ში:

- (16) ა. The fairies will like no one at all /much.
 ბ. The fairies will like nobody at all / much.

ის ფაქტი, რომ (15ა-ბ) და (16 ა-ბ) მისაღები წინადადებებია, წეს 4-თან სრულ შესაბამისობაშია, ამასთან, იმასაც მოწმობს, რომ წესი 3 საკმარისად განზოგადებული არ ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ წესი 4 საუკეთესო ვერსიად ჩანს და ცენზორების მდებარეობის აღწერასაც გვიმარტივებს, იგი მხოლოდ (12) -ის მსგავს წინადადებებს მიესადაგება, ანუ შემდეგ მოდელს ესადაგება:

მოდელი ბ: [დფ დამხმარე ზმნა (ზმნიზედა) ზმნა დფ სიდიდის ზმნიზედა].

რა თქმა უნდა, ჩვენი წესის ნაწილად იმის მიჩნევა არ გვსურს, რომ იგი მხოლოდ ამგვარ წინადადებებს ესადაგება. წესში რომ ამგვარი დანამატი შეგვეტანა (ანუ ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ ზემოთ მოყვანილ მოდელზე აწყობილ წინადადებებს ესადაგება), წესის ფორმულირებას ბევრად გაართულებდა: ნებისმიერი მისაღები ახალი წინადადებისა და მისი ტიპის წინადადებებისთვის, უარყოფით ელემენტსა და ნეგატიური პოლარობის წევრს რომ შეიცავს, ყველა იმ მოდელთა ჩამონათვალის განვრცობა დაგჭირდებოდა, რომელთაც ჩვენი წესი მიესადაგება. ჩამონათვალის ქონა ისედაც არასასურველია, მაგრამ ყოველ ჯერზე მისი განვრცობა უდავოდ უარესი იქნებოდა.

4.1.3 ლინგვისტური წესების მგრძნობიარობა სტრუქტურის მიმართ

ჩვენს მიერ ფორმულირებული წესი 4 მოდელ მ-სთან ექსპლიციტურ კავშირს არ ამჟღავნებს, მაგრამ ჩვენ იმპლიციტურად ვივარაუდეთ, რომ წესი 4 მხოლოდ იმ წინადადებებს ესადაგება, რომლებიც მაგალით (12) -ში მოყვანილ ნიმუშებთან ამჟღავნებს მსგავსებას. მოდით, კიდევ ერთხელ მოვისიჯოთ განზოგადების სტრატეგია და ზუსტად ვივარაუდოთ, რომ წესი 4 ყველა წინადადებას მიესადაგება.

წესი 5 (მესამე ვერსია): თუ ნეგატიური პოლარობის წევრი (ისეთი, როგორებიც (14) -ის პირველ სვეტშია ჩამოწერილი) წინადადებაში ჩნდება, ეს წინადადება ნეგატიურ ელემენტსაც უნდა შეიცავდეს.

ეს წესს მნიშვნელოვნად ამარტივებს და განაზოგადებს. თუმცა, როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, ახლა იგი მეტისმეტად გამარტივებულია. ენები ამგვარად უბრალოდ არ ფუნქციონირებს. დასკვნა, რომლის გამოტანასაც ამ წესის დამკვიდრების მცდელობისას უუახლოვდებით, იმდენად მნიშვნელოვანი და ზოგადია, რომ მისი ჩამოყალიბება წინდანი გონივრული იქნება:

(17) პრინციპი: **ლინგვისტური წესები მგრძნობიარეა
სტრუქტურის მიმართ**

როგორც უკვე ითქვა, წესი 5 წინადადებაში მხოლოდ ნეგატიური ცენზორის არსებობას მოითხოვს, როცა მასში ნეგატიური პოლარობის წევრი დგას. ლინგვისტური კვლევა გვიჩვენებს, რომ ლინგვისტური წესები ლინგვისტური სტრუქტურების მიმართ ყოველთვის სენსიტიურია. რაც შეეხება სინტაქსურ წესებს, ეს წესები მგრძნობიარობას საკომპონენტო სტრუქტურის მიმართ ამჟღავნებს. წესი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა გარკვეული სტრუქტურული კონფიგურაცია გავაჩნია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორი წესის ფორმულირება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ჩვენს მიერ წინა თავში განხილული და ხისებრ დიაგრამებთან დაკავშირებული ცნებები მოიცვას: **ტოლობა, დომინაცია** და ასე შემდეგ. ამ პრინციპს ხანდახან **ლინგვისტურ წესთა სტრუქტურული დამოკიდებულების პრინციპს** უწოდებენ.

წესი 5-ის მცდარობაში რომ დავრწმუნდეთ, ჯერ ის უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ძალიან ზოგადი ხასიათისაა და ყველა წინადადებას ესადაგება. ამის შემდეგ ეს წესი და მისი სხვადასხვა ასპექტი ჩვენს ახალ ექსპერიმენტულ წინადადებებზე უნდა გამოცადოთ. ჯერ-ჯერობით ისეთი წინადადებებით ვიფარგლებოდით, რომლებიც მხოლოდ ერთი კლაუზულისგან შედგებოდა. მოდით, ახლა ორი კლაუზულისგან შემდგარი წინადადებები ავაგოთ, ისეთები, სადაც ერთი კლაუზულა მეორეშია ჩართული, როგორც ქვემოთ:

(18) The elves believe that the fairies liked witchcraft.
[The elves [believe [that [the fairies liked witchcraft]]]]

ელფებს ჰგონიათ (სჯერათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.

ახლა ამ წინადადებას სიტყვას *not* და სიდიდის გამომსახველ გამოთქმას *at all* ვუმატებთ. რაკი ამ ორ ელემენტს ან მთავარი ზმნის შეცვლა შეუძლია, ან ჩართული ზმნისა, წინადადება (18) -ისთვის *not* და *at all* ელემენტების დამატების ოთხი განსხვავებული ვარიანტი არსებობს. ორი მათგანი მაგალით (19) -შია მოცემული. წეს 5 -ს თუ

მივინდობით, რაკი ორივე ელემენტი ერთ წინადადებაში ჩნდება, ის თუ როგორ ჩნდება ისინი წინადადებაში, მნიშვნელოვანი აღარაა. მაგრამ ეს არასწორი ჩანს:

(19) ა. The elves will NOT believe AT ALL that the fairies liked witchcraft.

ბ. *The elves will believe AT ALL that the fairies DO NOT like witchcraft.

ა. ელფები სულაც არ დაიჯერებენ, რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.

ბ. *ელფები დაიჯერებენ სულაც, რომ ფერიებს ჯადოქრობა არ მოსწონთ.

ნესი 5 ყველა ამ წინადადებაშია წარმოდგენილი: უარყოფითი პოლარობის წევრი (*at all*) და ნეგატიური ელემენტი (*not*) თითოეულ მათგანში დგას. თუ ნესი სწორადაა აგებული, ანუ თუ ნეგატიური პოლარობის წევრსა და ნეგატიურ ელემენტს შორის დამოკიდებულებას ზუსტად აღწერს, მაშინ უნდა მოველოდეთ, რომ ყველა ეს წინადადება (მათ მნიშვნელობათა სხვაობის მიუხედავად) თანაბრად მისაღები იქნება. მაგრამ საქმე ასე სულაც არ გვაქვს. წინადადება (19ა) მისაღებია, მაგრამ (19ბ) კი — არა. ნესის ჩვენეული ფორმულირება არაადეკვატურია. ყურადღება მიაქციეთ, ჩვენ რომ ახლა გავაკეთოთ ის, რაც ადრე გავაკეთეთ, ანუ ნეგატიური ელემენტის მიერ უარყოფილი სუბიექტი (ზმნის) გადავაადგილოთ და *not* ელემენტი წინადადებიდან ამოვიღოთ, კვლავ ასეთივე შედეგს მივიღებთ:

(20) ა. **Nobody** believed **at all** that the fairies liked witchcraft.

ბ. *The elves believed **at all** that **nobody** liked witchcraft.

ა. (სრულიად, სულაც) არავის სჯეროდა, რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.

ბ. *ელფებს სჯეროდათ სრულიად, რომ არავის მოსწონდა ჯადოქრობა.

ეს მაგალითები ერთ რამეს მოწმობს: მნიშვნელოვანია, თუ სად დგას სტრუქტურაში ცენზორი ან ნეგატიური პოლარობის წევრი. ნეგატიური ელემენტი ყველა გამართულ წინადადებაში ძირითად კლაუზულაში დგას (ანუ ისეთ კლაუზულაში, რომელიც სხვა კლაუზულაში არაა ჩართული), მაშინ, როცა გაუმართავ წინადადებებში ნეგატიური ელემენტი ჩართულ კლაუზულაში შედის. მოდით, ახლა ეს დამატებით — ინფორმაცია ნესის ფორმულირებაში ჩავრთოთ:

დამატება1: ნეგატიური ელემენტი ძირითად კლაუზულაში უნდა იდგეს.

ახლა ექსპერიმენტს მივმართოთ და ვნახოთ, სწორია თუ არა ამგვარი განზოგადება. დამატება 1: წინადადებას, რომელიც ნეგატიური პოლარობის ელემენტს შეიცავს, ნეგატიური ელემენტი მთავარ კლაუზულაში უნდა ედგეს.

ამ პროგნოზს თუ დავეყრდნობით, მაშინ გამართულ წინადადებას ჩართულ წინადადებაში ნეგატიური პოლარობის ისეთი წევრი არ უნდა ჰქონდეს, რომელსაც წინადადებაში არსებობის უფლებას ნეგატიური ელემენტი განუსაზღვრავს. ჩვენი ექსპერიმენტის მიზანი ამ შეხედულების სიმცდარის დადგენაა. ექსპერიმენტული წინადადება ჩართულ კლაუზულას უნდა შეიცავდეს. თუ ზოგი ასეთი წინადადება მისაღებია, განმაზოგადებელი დამატება 1 ასეთ შემთხვევაში უნდა გაუქმდეს. თუკი არცერთი ასეთი მისაღები წინადადება არ მოგვეპოვება, მაშინ დამატება 1 სწორ წესად (ან ასეთის ნაწილად) შეიძლება იქნეს მიჩნეული.

დამატება 1-ის სიმცდარის ჩვენება ძალიან ადვილი იქნება, თუ შემდეგ გამართულ წინადადებებს (დროით ფრაზებს) დავაკვირდებით: ამ დროითი ფრაზების ქცევა დიდი

მისაღები წინადადების ჩართულ წინადადებად თითქმის ყოველთვის შესაძლებელია. სამეტყველო ენების გრამატიკათა ეს უნივერსალური თვისება წინა თავშიც ვახსენეთ. მას **რეკურსულობა** ეწოდება და იმ ფაქტს ემყარება, რომ, როგორც წესი, ყოველი ბუნებრივი ენა გამართული წინადადებების უსასრულო ოდენობას შეიცავს. ეს თვისება ერთ წინადადებაში მეორე წინადადების ჩართვის საშუალებას გვაძლევს.

(21) ა. The fairies did NOT like witchcraft AT ALL.

ბ. The elves believed that the fairies did NOT like witchcraft AT ALL.

გ. The elves believed that NOBODY liked witchcraft AT ALL.

ა. ფერიებს ჯადოქრობა სულაც (სრულებით) არ მოსწონდათ.

ბ. ელფებს სჯეროდათ (ეგონათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა სულაც არ მოსწონდათ.

გ. ელფებს სჯეროდათ (ეგონათ), რომ ჯადოქრობა სულაც არავის (ან: არავისაც არ) მოსწონდა.

ორი წინადადიდან (21ბ-გ) ერთ-ერთი *not* უარყოფითი სიტყვის და *at all* ნეგატიური პოლარობის წევრის კომბინაციაზეა აგებული, რაც არ გვქონდა წინადადებებში (19) და (20). ეს ორი წინადადება (21ბ-გ) დამატება 1-ის არასწორობაზე მიგვანიშნებს. (21ბ-გ) -სა და (19)-ის და (20)-ის გარკვეული შერწყმა უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის, როგორც ეს (22) -შია ნაჩვენები:

(22) ა. The elves did NOT believe AT ALL that the fairies liked witchcraft.

ბ. *The elves believed AT ALL that the fairies did NOT like witchcraft.

გ. The elves believed that the fairies did NOT like witchcraft AT ALL.

დ. NOBODY believed AT ALL that the fairies liked witchcraft.

ე. *The elves believed AT ALL that NOBODY liked witchcraft.

ვ. The elves believed that NOBODY liked witchcraft AT ALL.

ა. ელფებს (სრულებით, სულაც) არ სჯეროდათ (ეგონათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.

ბ. *ელფებს სრულებით სჯეროდათ (ეგონათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა არ მოსწონდათ.

გ. ელფებს ეგონათ (სჯეროდათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა სულაც (სრულიად) არ მოსწონდათ.

დ. (სულაც, სრულებით) არავის სჯეროდა (ეგონათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.

ე. * ელფებს სრულებით სჯეროდათ (ეგონათ), რომ ჯადოქრობა არავის მოსწონდა.

ვ. ელფებს სჯეროდათ (ეგონათ), რომ ჯადოქრობა სრულიად არავის მოსწონდა.

ორ — (22ბ) და (22გ) შემთხვევაში ნეგაცია ჩართულ წინადადებაში გვხვდება. ერთი მიუღებელია, მეორე — მისაღები. მაგრამ მეორე მხრივ, (22ა) და (22ბ) წინადადებებში ნეგატიური პოლარობის წევრი ძირითად წინადადებებში დგას, მაგრამ ერთი მათგანი გამართულია, მეორე — გაუმართავი. იგივე დასაბუთება მიესადაგება (22დ-ვ) წინადადებებსაც. ესენი გვიჩვენებენ, რომ ნეგატიური ელემენტის ან ნეგატიური პოლარობის წევრის პოზიცია კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ მათი პოზიცია, მდებარეობა ერთმანეთთან მიმართებაში.

როგორც ჩანს, ეს სინტაქსურ დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ფუნდამენტური ფაქტია. ნეგატიური პოლარობის წევრის შესაძლო არსებობა ნეგატიური ელ-

ემენტის არსებობაზეა დამოკიდებული. მათ შორის დამოკიდებულება არსებობს. მაგრამ მხოლოდ წინადადებაში ერთად დგომა საკმარისი არ არის იმის სამტყიცებლად, რომ ეს დამოკიდებულება აუცილებლად განხორციელდება, არც იმისთვის, რომ რომელიმე მათგანი ამა თუ იმ კონკრეტულ პოზიციას დაიკავებს. არსებობს გარკვეული მოთხოვნები, რომლებიც წინადადებაში ამ ორი ელემენტის ურთიერთქმედებას და ადგილს განსაზღვრავს.

მაშინ როგორია ის წესი, რომელიც ნეგატიური პოლარობის წევრისა და ნეგატიური ცენზორების პოზიციათა ფარდობას განსაზღვრავს? ზემოთ განხილულ მაგალითებს ხელახლა უნდა მივუბრუნდეთ და ცენზორისა და ცენზურის ობიექტის ფარდობითი პოზიციების მსაზღვრელი წესი ამოვიცნოთ. შემდეგ ექსპერიმენტული წინადადებების აგება ვცადოთ და დავადგინოთ, სწორი იყო თუ არა ჩვენი მიგნება და როგორ შეიძლება მიგნებული წესის დახვეწა.

მოდით, იმ წინადადებებით დავიწყოთ, რომლებიც განვიხილეთ:


- (23) ა. The fairies did NOT like witchcraft AT ALL / MUCH.
 ბ. NO ONE will like witchcraft AT ALL / MUCH.
 გ. NOBODY will like witchcraft AT ALL / MUCH.
 დ. The fairies will like NO ONE AT ALL / MUCH.
 ე. The Fairies will like NOBODY AT ALL / MUCH.
- ა. ფერიებს ჯადოქრობა სულაც / დიდად = მაინც და მაინც არ მოსწონდათ.
 ბ. ჯადოქრობა სულაც / დიდად = მაინც და მაინც არავის მოეწონება.
 გ. ჯადოქრობა სულაც / დიდად = მაინც და მაინც არავის მოეწონება.
 დ. ფერიებს სულაც / დიდად = მაინც და მაინც არცერთი მოეწონებათ.
 ე. ფერიებს სულაც / დიდად = მაინც და მაინც არავინ მოეწონებათ.
- (24) ა. The elves did NOT believe AT ALL that the fairies liked witchcraft.
 ბ. *The elves believed AT ALL that the fairies did NOT like witchcraft.
 გ. The elves believed that the fairies did NOT like witchcraft AT ALL.
- ა. ელფებს (სრულებით, სულაც) არ სჯეროდათ (ეგონათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.
 ბ. *ელფებს სრულებით სჯეროდათ (ეგონათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა არ მოსწონდათ.
 გ. ელფებს ეგონათ (სჯეროდათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა სულაც (სრულიად) არ მოსწონდათ.
- (25) ა. NOBODY believed AT ALL that the fairies liked witchcraft.
 ბ. *The elves believed AT ALL that NOBODY liked witchcraft.
 გ. The elves believed that NOBODY liked witchcraft AT ALL.
- ა. (სულაც, სრულებით) არავის სჯეროდა (ეგონათ), რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.
 ბ. *ელფებს სრულებით სჯეროდათ (ეგონათ), რომ ჯადოქრობა არავის მოსწონდა.
 გ. ელფებს სჯეროდათ (ეგონათ), რომ ჯადოქრობა სრულიად არავის მოსწონდა.

ახლა წეს 5-ის ხელახალი ფორმულირება ისეთნაირად უნდა მოვახდინოთ, რომ უმართებულო მაგალითები მართებულისგან გამოვაცალკევოთ. ამისთვის კი ეს მართებული და უმართებულო ნიმუშები, რომლებიც ერთმანეთისგან მინიმალურად განსხვავდება, დაკვირვებით უნდა შევისწავლოთ. სხვაობები არ უნდა გამოგვა-


როთ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორის ან ფაქტორების გამოყოფა გაჭირდება. სიზუსტისათვის, ყოველ ჯერზე მხოლოდ ერთი ფაქტორი უნდა შეცვალოთ. სხვაგვარად შეუძლებელი გახდება იმის დადგენა, თუ რომელი სხვაობაა ცვლილების მიზეზი. ლინგვისტიკაში წინადადებათა წყვილებს (ან როგორც შემდეგი, ფონოლოგიისადმი მიძღვნილი თავიდან შეიტყობთ, სიტყვათა წყვილებს), რომლებსაც ერთმანეთისგან მხოლოდ რომელიმე ერთი ასპექტი განასხვავებს, **მინიმალურ წყვილებს** უწოდებენ.

მაგალითად, (24ბ) -სა და (24გ) -ს შორის განსხვავება მაშინ გამოვლინდება, როცა მათ შესატყვის (ოდნავ ზოგად) ხისებრ დიაგრამებს შევადგენთ, როგორებიც, შესაბამისად, (26) და (27) დიაგრამებია:

(26)



(27)



დიაგრამა(26) –ში, მაგრამ არა (27) –ში, ნეგატიური ელემენტი და ნეგატიური პოლარობის წევრი ერთსა და იმავე კლაუზულაში დგანან. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ დამოკიდებულება წეს 5-ს ექვემდებარება, რომელიც ქვემოთ ასეთნაირად შესწორებული წარმოგვიდგება:

დამატება 2: ნეგატიური ცენზორი და ნეგატიური პოლარობის წევრი ერთსა და იმავე კლაუზულას უნდა მიეკუთვნებოდნენ.

ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ დამატება 1 და დამატება 2 გრამატიკული მახასიათებლის ტერმინებშია ფორმულირებული; ეს მახასიათებელი კი, თავის მხრივ, საკომპონენტო სტრუქტურისა და კატეგორიათა მარკირების, ანუ სახელდების (labeling) ტერმინებში განისაზღვრება. ამგვარი პირობა სინტაქსური წესების სტრუქტურაზე დამოკიდებულების პრინციპზე დაყრდნობით იყო მოსალოდნელი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ამგვარ დასკვნამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მივალთ, როცა გვეცოდინება, როგორია ამ წინადადებების საკომპონენტო სტრუქტურა. ეს იმგვარ პროცედურას გულისხმობს, რომელსაც ყოველთვის მივმართავთ, სიტყვათა სპეციფიკურ თანწყობაში სინტაქსური ფენომენის კვლევისას: ამ თანწყობისათვის ყოველთვის ხისებრ სტრუქტურას ვაგებთ.

ახლა კი უნდა დავრწმუნდეთ, რომ დამატება 2 სწორ მაგალითებს უვარგისი მაგალითებისაგან მართებულად განასხვავებს. შემონმებისას ჩანს, რომ, სამწუხაროდ, დამატება 2-ს ამგვარი ეფექტი არ გააჩნია. რომ გავერკვეთ, თუ რატომ ხდება ასე, სიზუსტე გვჭირდება: რას ნიშნავს ერთსა და იმავე კლაუზულაში დგომა. ხისებრი რეპრეზენტაციის ტერმინებში ორი წევრი ერთსა და იმავე კლაუზულაში დგას, თუკი წინადადებაში არსებობს დროითი ფრაზის კვანძი — კლაუზულათა სახელდებული კატეგორია — რომელიც ორივე მათგანს შეიცავს. მართლაც, დიაგრამა (27) –ში კვანძი დრ.ფ2 ორივე ელემენტს შეიცავს, მაგრამ დიაგრამა (26) –ში კვანძი დრ.ფ2 მხოლოდ ნეგატიურ ელემენტს შეიცავს. თუმცა, ყურადღება მიაქციეთ გარემოებას, რომ (26) –ში არის კლაუზულა, რომელიც კვლავ ორივე მათგანს შეიცავს — კერძოდ, დრ.ფ1. შესაბამისად, დამატება 2-ის ფორმულირება პრობლემის გადაჭრაში ვერ გვეხმარება, მაგრამ მისი ახალ დამატებაზე მორგება ადვილი. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვჭირდება, რომ ვერ იარსებებს ისეთი კლაუზულა, რომელიც ერთ ელემენტს შეიცავს, მეორეს კი — არა. ახლა დამატება 2 შეგვიძლია დამატება 3-ად გადავაკეთოთ:

დამატება 3: ნეგატიური ცენზორიცა და ნეგატიური პოლარობის წევრიც უსუსტად ერთსა და იმავე კლაუზულას უნდა მიეკუთვნებოდნენ (ანუ ერთსა და იმავე დრ.ფ კვანძში უნდა შედიოდნენ).

მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ისიც, თუ როგორ გამორიცხავს დამატება 3 უვარგის მაგალითებს.

საპარაფრაზი
4.1

დამატება 3-ის წესისებრი გამოყენება

- (1) განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:
The man John met yesterday stuttered.
კაცს, რომელიც გუშინ ჯონმა გაიცნო (შეხვდა). ენა ებმოდა.
1. ამოიცანით ზმნები.
- 2. დაასახელეთ თითოეული ზმნის კუთვნილი სუბიექტი.

3. რამდენი კლაუზულაა ამ წინადადებაში?

4. წინა კითხვებზე თქვენს მიერ გაცემული პასუხების საფუძველზე განმარტეთ, რაში მდგომარეობს შემდეგი მაგალითის გაუმართაობა:

* The man John did not meet yesterday stuttered at all.

კაცს, რომელიც ჯონმა გუშინ არ გაიცნო, ენა სრულებით (სულაც) ებმოდა.

(2) უპასუხეთ იმავე კითხვებს შემდეგ მაგალითებთან დაკავშირებით:

(a) * I resent at all that you did not come.

სრულებით (სულაც) ვნანობ, რომ არ მოხვედი.

(b) * That Mary did not answer my letters bothers me at all.

მერიმ რომ ჩემს წერილებზე არ მიპასუხა, სულაც (სრულებით) მაღელვებს.

(3) შეგიძლიათ შეადგინოთ ისეთი გამართული წინადადება, რომელიც *not* და *at all* ელემენტებს შეიცავს და თან დამატება 3-ს არღვევს?

მოიცავს თუ არა დამატება 3 დამატებით მასალას? დამატება 3-ში ფორმულირებული ჰიპოთეზის სისწორის შესამოწმებლად ექსპერიმენტული წინადადებები უნდა ავაგოთ.

(28) დამატება 3 შემდეგ პროგნოზირებას ახდენს:

თუ წინადადება ნეგატიური პოლარობის წევრსაც შეიცავს და ნეგატიურ ელემენტსაც, მაშინ წინადადება უნდა ჩაითვალოს:

(1) მიუღებლად, თუკი მისი რომელიმე კლაუზულა ერთ-ერთ ამ ელემენტს შეიცავს, მეორეს კი — არა.

(2) მისაღებად, თუკი მასში არ არის ისეთი კლაუზულა, რომელიც ერთ-ერთ ამ ელემენტს შეიცავს, მეორეს კი — არა.

ამ ორი პროგნოზიდან პირველი ისეთ წინადადებებს ეყრდნობა, რომლებმაც უპირატესობის მიცემა დამატება 3-ისთვის გვაფიქრებინეს, კერძოდ კი, ეს გვაფიქრებინა ქვემოთ მოყვანილმა ორ წინადადებას შორის არსებულმა განსხვავებებმა:

(29) ა. The elves did NOT believe **at all** that the fairies liked witchcraft.

ბ. * The elves did believe **at all** that the fairies did NOT like witchcraft.

ა. ელფებს სულაც (სრულებით) არ ეგონათ, რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.

ბ. ელფებს სულაც (სრულებით) ეგონათ, რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.


გადამწყვეტი მნიშვნელობის წინადადება აქედან მეორეა, რომელსაც ნეგატიური პოლარობის წევრი ძირითად კლაუზულაში აქვს, ხოლო ნეგაციის ელემენტი ჩართულ წინადადებაში. იმ ფაქტს, რომ ორი ელემენტიდან ძირითად წინადადებაში მხოლოდ ერთი დგას, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ნეგაციის ელემენტი რომ ძირითად წინადადებაში გვქონდეს, ნეგატიური პოლარობის წევრი კი ჩართულ წინადადებაში, ჩვენი წესის თანახმად ასეთი კონფიგურაცია გაუმართავი, ანუ მიუღებელი იქნებოდა. ამ ვერსიის გამოსაცდელად *not* და *at all* ელემენტების მეოთხე შესაძლო კომბინაცია განვიხილოთ, რომელიც (19) -ის ჩამონათვალში არ შედიოდა:

(30) he elves did NOT believe that the fairies liked witchcraft **at all**.


ელფებს არ ეგონათ, რომ ფერიებს ჯადოქრობა სულაც (სრულებით) არ მოსწონდათ.

აქ, სირთულის პირისპირ დაგდექით: რომელ კლაუზულაში შედის ნეგატიური პოლარობის წევრი: ძირითადში თუ ჩართულში? ამ ექსპერიმენტული წინადადების მეშვეობით ჩვენი ჰიპოთეზის გამოცდა რომ შევძლოთ, ნეგატიური პოლარობის წევრი ჩართულ კლაუზულაში უნდა გვექონდეს. თუ *at all* ელემენტი ძირითად კლაუზულაშია, ამ წინადადებას განსახილველ საკითხთან არავითარი კავშირი არ აქვს. ახლა ჩვენ გვინტერესებს, რომელი დიაგრამა ასახავს სწორად წინადადება (30) -ის სტრუქტურას: (31) თუ (32)?

(31)



(32)



იმის მიხედვით, თუ რომელ ზმნას ან ზმნიან ფრაზას ცვლის ზმნიზედა, ეს განსხვავებული სტრუქტურებიც სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. (31) დიაგრამაში ზმნიზედა at all იმას აღნიშნავს, თუ რამდენად მოსწონთ (ან არ მოსწონთ) ფერიებს ჯადოქრობა, ხოლო (32) -ში at all აღნიშნავს, რამდენად სჯერათ (ან ჰგონიათ) ეს ელფებს.

საკომპონენტო შემადგენლობასთან დაკავშირებული ტექსტის გამოყენებით განიხილეთ შემდეგი წინადადება:

საკვარჯიშო 4.2

1. Juliet says that Romeo lies to his parents a lot.

ჯულიეტა ამბობს, რომ რომეო მის მშობლებს ხშირად ატყუებს.

(1) ყურადღება მიაქციეთ ერთ გარემოებას: ეს წინადადება ორაზროვანია იმ თვალსაზრისით, რომ ერთი შეხედვით არ ჩანს, რომელ ზმნას ცვლის a lot ზმნიზედა. მოიყვანეთ მისი ორი შესაძლო მნიშვნელობა.

(2) შეადგინეთ ამ წინადადებისთვის ორი ხისებრი დიაგრამა, რომელთაგან თითოეული ამ ორიდან ერთ-ერთ შესაძლო მნიშვნელობას მიესადაგება.

(3) გაიხსენეთ, რომ ზმფ საკომპონენტო შემადგენლობის შექმნა ზმფ –ს წინდგომით შეიძლება: თანწყობას, რომელსაც შეიძლება პრეპოზირებას ზმნიანი ფრაზა უწევდეს, ზმნიან ფრაზად კვალიფიცირდება. (იხილეთ წინა თავი)

(ა) განმარტეთ, რატომ არ არის 1 წინადადების ქვემოთ მოცემული, ზმფ –თი პრეპოზირებული ვერსია ორაზროვანი:

2. lie to his parents a lot, Juliet says that Romeo does.

(ბ) ახლა კი განმარტეთ, რატომ არის ორაზროვანი (1 წინადადების მსგავსად) 1 წინადადების ქვემოთ მოცემული, ზმფ –თი პრეპოზირებული ვერსია :

3. lie to his parents, Juliet says that Romeo does a lot.

ეს მეორე სტრუქტურაა, შესაბამისად კი — ის მეორე მნიშვნელობა, რომელიც გვინტერესებს. ამგვარად, კითხვა (30) დიაგრამის შესახებ შემდეგნაირად უნდა ჩამოვაყალიბოთ: არის თუ არა წინადადება (30) მისაღები ზმნიზედით at all, რომელიც განსაზღვრავს, რამდენად მოსწონთ ფერიებს ჯადოქრობა, (31) სტრუქტურისთვის? უპირველეს ყოვლისა, პასუხი ამ კითხვაზე დადებითია.

ეს წინადადება მისაღები სწორედ ამ მნიშვნელობითაა და ასეთი შედეგი დამატება 3-ის არაადექვატურობაზე მიგვითითებს, ვინაიდან დრ.ფ2 (31) დიაგრამაში at all ზმნიზედას კი შეიცავს, მაგრამ მასში არ გვაქვს not უარყოფის ელემენტი. ეს დასკვნა კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ-ჯერობით სწორი წესისათვის არ მიგვიგნია. თუმცა, ამის მიუხედავად, მიღებული შედეგი მაინც პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან წესის მცდარობა დადგინდა.

სანამ სწორი წესის ძიებას განვაგრძობდეთ, მხედველობიდან არ გამოვრჩეთ ის გარემოება, რომ ახალი ცოდნა (რომ დამატება 3 არაადექვატურია) ჩვენი მუშაობისთვის ღირებულ ბიძგს გვაძლევს. ახლა იძულებულნი ვართ, ექსპერიმენტული ცდები უფრო გავართულოთ. ახლა მხოლოდ იმას კი არ ვიკვლევთ, არის თუ არა მისაღები

წინადადების ესა თუ ის ფორმა — ახლა უკვე ვსვამთ კითხვას: მისაღებია თუ არა მისი კონკრეტული ინტერპრეტაცია. ახლად შემომატებული სირთულე თავისთავად პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენი მიზანი ამავე დროს ექსპერიმენტის სიმარტივის შენარჩუნებაცაა, ვინაიდან მისი მსვლელობა მაქსიმალურად გამჭვირვალე და გასაგები უნდა დარჩეს. საუკეთესო შემთხვევა უფრო მარტივი საექსპერიმენტო გზის პოვნა იქნებოდა, რომელიც იმავე შედეგებამდე მიგვიყვანდა, ამიტომაც მოდიოთ, ახლა ჩვენი სირთულეების ძირი გამოვიკვლიოთ, რომელსაც იმის გამო გადავანყდით, რომ სიდიდის ზმნიზედებს ძირითადი ან ჩართული ზმნის მოდიფიცირების უნარი გააჩნია. ამ გართულებას თავიდან ავიცილებდით, მათ ნაცვლად ნეგატიური პოლარობის წევრები რომ გვეხმარა, რომელთა კუთვნილება ძირითადი თუ ჩართული კლაუზულებისადმი ეჭვქვეშ არ დადგებოდა.

რაკი აქამდე ყველა ნეგატიური პოლარობის წევრი სიდიდის ზმნიზედები იყო, ახლა მათი ძებნა სხვა კატეგორიის წევრებს შორის მოგვიწევს. აქ საიმისო მაგალითები მოგვაქვს, რომ სიტყვები *anyone* (ვინმე, არავინ (უარყ.წინად.), ნებისმიერი ვინმე), *anybody* (ვინმე, არავინ (უარყ.წინ), ნებისმიერი ვინმე), *anything* (რამე, არაფერი (უარყოფ.წინად.) ნებისმიერი რამ), *anywhere* (სადმე, ნებისმიერ ადგილას), *any time* (ნებისმიერ დროს), *any longer* (მეგ ხანს, ნებისმიერი ხნით) შეიძლება ნეგატიური პოლარობის წევრებად ჩაითვალოს. ¹ ჩვენ მაგალითებს ორი მათგანის მონაწილეობით (*anyone*, *anything*) მოვიყვანთ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, საკუთარი წინადადებები დანარჩენების გამოყენებით ააგოთ.

სავარჯიშო

4.3

სიტყვების *any longer* და *anytime* შემონმება ნეგატიური პოლარობის წევრის სტატუსისთვის

ააგეთ ისეთი მაგალითები, რომლებიც აჩვენებს, რომ *any longer* და *anytime* ნეგატიური პოლარობის წევრებია. ამისთვის თითოეული მათგანისთვის ნიმუშთა მინიმალური რაოდენობის წყვილი უნდა მოვიყვანოთ: ერთ გაუმართავ მაგალითს ნეგატიური პოლარობის წევრი ცენზორი უნდა აკლდეს, ხოლო ერთი — გამართული მაგალითი, რომელსაც გაუმართავისგან მხოლოდ ამ ნეგატიური პოლარობის წევრი ცენზორის ქონა უნდა განასხვავებდეს.

- (33) ა. *Portia saw anything / anyone.
 ბ. Portia did not see anything / anyone.
 გ. Nobody saw anything / anyone.
 დ. Portia never saw anything / anyone.

პირველი წინადადება გვიჩვენებს, რომ *anything* და *anytime* სიტყვების მდებარეობასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები არსებობს. დანარჩენი წინადადებები იმას მოწმობს, რომ ამ ორი ელემენტის არსებობა ზოგიერთი უარყოფითი ელემენტის არსებობის გამო ხდება დასაშვები. *anything* და *anytime* სიტყვების შესაბამისი მახასიათებელი კი ისაა, რომ ძალზე ადვილი გასარკვევია, რომელ კლაუზულას მიეკუთვნება ისინი. მოდიოთ, ახალ ნეგატიური პოლარობის წევრებზე ექსპერიმენტების სერია ჩავატაროთ:

- (34) ა. The elves told Hermia that the fairies did **not** like **anything**.
 ბ. The elves did **not** tell **anyone** that the fairies liked witchcraft.

- გ. * The elves told **anyone** that the fairies did **not** like witchcraft.
- დ. The elves did **not** told Hermia that the fairies like **anything**.
- ე. **Nobody** told **anyone** that the fairies liked witchcraft.
- ვ. *The elves told **anyone** that **nobody** liked witchcraft.
- ზ. **Nobody** told Hermia that the fairies liked **anything**.
- ა. ელფებმა ჰერმიას უთხრეს, რომ ფერიებს არაფერი არ მოსწონდათ.
- ბ. ელფებს არავეისთვის უთქვამთ, რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.
- გ. ელფებმა უთხრეს (ა.ე: გაუმართაობას ის იწვევს, რომ თხრობით წინადადებაში ფორმა **anyone** არის ნახმარი), რომ ფერიებს ჯადოქრობა არ მოსწონდათ.
- დ. ელფებს არ უთქვამთ ჰერმიასთვის, რომ ფერიებს რამე მოსწონდათ.
- ე. არავის უთქვამს ვინმესთვის, რომ ფერიებს ჯადოქრობა მოსწონდათ.
- ვ. ელფებმა უთხრეს --- (გაუმართაობას ამ პოზოციაში **anyone**-ის დგომა იწვევს), რომ ჯადოქრობა არავის მოსწონდა.
- ზ. არავის უთქვამს ჰერმიასთვის, რომ ფერიებს ნებისმიერი რამ მოსწონდათ.

შეამონმეთ, რამდენად შეესაბამება (34) მაგალითის თითოეული წინადადება დამატება 3-ის მიერ შეცვლილი წეს 5-ს. ამის გაკეთება თითოეული ამ წინადადებისთვის ხისებრი დიაგრამის შედგენით შეიძლება. ამის შემდეგ კი უნდა დააკვირდეთ, ემორჩილება თუ არა ისინი შეცვლილ წესს.

სავარჯიშო
4. 4

დასკვნები უწინდელი იქნება. კერძოდ კი, უკანასკნელი წინადადება გამართულია, მიუხედავად იმისა, რომ მასში გვხვდება კლაუზულა, რომელიც ნეგაციის ელემენტსა და ნეგატიური პოლარობის წევრს ერთდროულად არ შეიცავს. ეს კი საფუძველს უმაგრებს აზრს, რომ დამატება 3 სწორი არ არის, ვინაიდან არსებულ წესზე მოხდენილი ეს დამატება გვეუბნება: უარყოფითი ცენზორი და ნეგატიური პოლარობის წევრი ერთსა და იმავე კლაუზულას არ მიეკუთვნება.

მაგრამ რამდენად არასწორი იყო დამატება 3? ამის გარკვევა სწორი წესის მიგნებაში დაგვეხმარება. გაიხსენეთ, რომ დამატება 3 მაგალით (28)-ში ორგვარ პროგნოზს გვთავაზობს. უკვე დავამტკიცეთ, რომ ამათგან პირველი მცდარი იყო. მეორე პროგნოზი როგორია?

თუ წინადადება ნეგატიურ ელემენტსა და ნეგატიური პოლარობის წევრს ერთდროულად შეიცავს, წინადადება მისაღებად უნდა ჩაითვალოს — ერთი პირობით: თუ მასში ისეთი კლაუზულა არაა, რომელიც ერთ-ერთ მათგანს შეიცავს, მეორეს კი — არა.

ამ პროგნოზის სისწორის შემოწმება *anyX* ტიპის სიტყვებით შეიძლება, ანუ სიტყვებით *anything*, *anyone* და ასე შემდეგ. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ სიტყვის *anyone* მსგავსი ელემენტები დეტერმინერიანი ფრაზებია (როგორც,

მაგალითად, უკვე განხილულ მასალაში იყო ნაჩვენები, როცა ისინი დეტერმინერიან ფრაზებში სუბიექტის პოზიციაში იდგა). ეს აუცილებლად იმგვარ წინადადებებზეც ვრცელდება, რომლებიც ნეგატიური პოლარობის წევრს შეიცავს, ხოლო მის შემცველ კლაუზულაში პოზიციების შეცვლა შეიძლება. აქამდე იმ შეთანხმებით ვიყავით შეზღუდული, რომ ნეგატიური პოლარობის წევრები ზმნიზედები იყო და იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი პოზიციების დაკავება შეეძლო ამ ელემენტებს კონკრეტულ კლაუზულაში, დიდი არჩევანი არ გვქონდა. თუმცა, მაგალითად, სიტყვას *anyone* ეს შეზღუდვა არ ეხება. რაკი *anyone* დეტერმინერიანი ფრაზაა, იგი სუბიექტიც შეიძლება იყოს, ობიექტიც და თანდებულის ობიექტიც. ამგვარად, (34) მაგალითის წინადადებების პარალელურად, ასეთ ნიმუშებსაც ვიღებთ:

- (35) ა. Portia thought that the fairies did NOT SEE ANYBODY.
 ბ. The elves do NOT think that the fairies liked ANYTHING.
 გ. The elves do NOT think that ANYBODY liked the fairies.
 ა. პორცია ფიქრობდა, რომ ფერიებს არავინ უნახავთ.
 ბ. ელფებს არ ჰგონიათ, რომ ფერიებს რამე მოსწონდათ.
 გ. ელფებს არ ჰგონიათ, რომ ვინმეს ფერიები მოსწონდა.

აქამდე განხილული ყველა ის წინადადება, სადაც ნეგაცია ნეგატიური პოლარობის წევრს მოსდევს, ისეთი წინადადებები იყო, ნეგაციის ელემენტი ჩართულ წინადადებაში რომ იდგა, ხოლო ნეგატიური პოლარობის წევრი — მთავარ წინადადებაში. შეიძლება თუ არა, რომ უარყოფის ელემენტი და ნეგატიური პოლარობის წევრი ერთად, ერთსა და იმავე კლაუზულაში მოვათავსოთ? ნეგატიური პოლარობის წევრთა ამჟამად უკვე განვრცობილი ჩამონათვალის წყალობით, რომელშიც ახლა *anyX* ტიპის ნეგატიური პოლარობის წევრებიც შედის, ამის გაკეთება მართლაც შეგვიძლია. ნეგატიური პოლარობის წევრი ნამდვილად შეიძლება სუბიექტად მოგვევლინოს ისეთ კლაუზულაში, ნეგაციას *not* ელემენტის მეშვეობით რომ ახდენს, როგორც ეს მაგალით (36) -შია:

- (36) * Anyone did not see Portia.

აშკარაა, რომ ეს წინადადება დამატება 3-ს აკმაყოფილებს, ვინაიდან მხოლოდ ერთ კლაუზულას შეიცავს. როგორც საჭიროა, ნეგატიური პოლარობის წევრი და ნეგატიური ელემენტი ერთსა და იმავე კლაუზულაშია მოხვედრილი (რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთია). და მაინც, (36) მიუღებელ წინადადებად არის შეფასებული. ეს კი მხოლოდ იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რომ დამატება 3 ჯერ კიდევ არ არის სწორი.

თუკი აქამდე განხილულ მართებულ მაგალითებს დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ცენზორი ყოველთვის წინ უსწრებს ნეგატიური პოლარობის წევრს, ხოლო ყველა მიუღებელ წინადადებაში ცენზორი ნეგატიური პოლარობის წევრს მოსდევს. ეს იმას მოასწავებს, რომ დამატება 3 უნდა დავივიწყოთ და მის ნაცვლად წესი 5 დამატება 4-ის მეშვეობით დავხვეწოთ:

დამატება 4: ნეგატიური ცენზორი ნეგატიური პოლარობის წევრს წინ უნდა უძლოდეს.

ისეთი წინადადებებისთვის, რომლებიც ნეგატიურ წევრსა და პოლარობის წევრს (ნეგატიური პოლარობის წევრი, ანუ ნპწ) ერთდროულად შეიცავს, დამატება 4 ორი განსხვავებული შედეგის პროგნოზირებას ახდენს:

- (37) (1) თუ ნეგატიური წევრი უფრო წინ დგას, ვიდრე ნეგატიური პოლარობის წევრი, წინადადება მისაღებია.
 (2) თუ ნეგატიური წევრი ნეგატიური პოლარობის წევრს მოსდევს,

წინადადება მიუღებელია.

ყველა იმ წინადადების განხილვის შედეგად, რომლებიც აქამდე შეგვხვდა, დამატება 4 უკეთესი ვერსიაა იმის პროგნოზირებისთვის, თუ რომელი წინადადება გამართული და რომელი — გაუმართავი. თუმცა, ჩვენი ახალი შემოთავაზების შესამოწმებლად დამატებითი ექსპერიმენტული წინადადებების შედგენა შეგვიძლია. როგორც ყოველთვის, ექსპერიმენტის დედააზრი ახლაც ისეთი წინადადებების შედგენაა, რომლებიც (37) -ში მოყვანილ აღწერას მინიმალურად აკმაყოფილებს, მაგრამ მის მიერ პროგნოზირებულ ნიშან-თვისებებს არ ამჟღავნებს, ანუ შესაბამისად არ ფუნქციონირებს. თუ ასეთი წინადადებების შედგენას ვერ შევძლებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დამატება 4-ის სისწორე ეჭვქვეშ აღარ დადგება.

დამატება 4 მცდარი გამოდგა, ეს მოხდა იმ მიზეზის გამო, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ანუ იმის გამო, რომ საკომპონენტო სტრუქტურას ანგარიშს არ უწევს. ამის საილუსტრაციოდ (38) წინადადება განვიხილოთ, რომელშიც ნეგაცია ნეგატიური პოლარობის წევრს *at all* წინ არ უსწრებს:

(38) * The news that Shylock did NOT leave surprised Portia AT ALL.

ამბავმა, რომ შაილოკი არ გამგზავრებულა, პორცია სრულებით (სულაც) გააკვირვა.

ეს წინადადება არასრულფასოვანია, იმის მიუხედავად, რომ *not* უფრო წინ დგას, ვიდრე *at all* და ამტკიცებს, რომ დამატება 4 არაადექვატურია.

4.1.4 პრობლემის გადაჭრა

აქამდე ვცდილობდით, მარტივი დაკვირვებებისა და მარტივი ექსპერიმენტების საფუძველზე სწორი წესი შეგვემუშავებინა. თუ ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ, რომ ამგვარი მარტივი პროცედურების მეშვეობით ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებამდე მივალთ, ცდებით. მეცნიერებაში არასდროს გვეძლევა იმის გარანტია, რომ სწორ თეორიას ნებისმიერი პროცედურული მეთოდების მეშვეობით მივალწვეთ. სირთულეები განსახილველი მასალის კომპლექსური ბუნების გამო გვხვდება. განსახილველი და დასაკვირვებელი იმდენი რამ არის, რომ წინდანი ვერასდროს გვეცოდინება, რომელი დაკვირვება მიგვიყვანს სწორი წესის შემუშავებამდე. აქვე ვნახავთ, ენის საკომპონენტო სტრუქტურა იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რომ საკომპონენტო სტრუქტურით მანიპულირების, მასზე დაყრდნობის გარეშე სასურველი შედეგის მიღწევა უკიდურესად რთული იქნება.

ამგვარად, სწორი წესისაკენ გზის თანდათანობით, აუჩქარებლად გაკვალვას სჯობს მის შემოკლებაზე ვიფიქროთ. პროცედურული წესი, რომელიც დამატება 4-ის სახით გაგვანჩნია, ბევრ საექსპერიმენტო ნიმუშს შესანიშნავად ესადაგება. მაშინ გავარკვიოთ, რატომ არ მოქმედებს იგი (38-ე) მაგალითში.

რას უარყოფს ნეგაცია?

მოდით, დავფიქრდეთ, როგორ ზემოქმედებს წინადადებაზე მასში ნეგაციის ელემენტის შეტანა და რამდენიმე ასეთი მაგალითი განვიხილოთ:

(39) ა. Macbeth liked witchcraft → Macbeth did not like witchcraft

ბ. Macbeth said that he liked witchcraft → Macbeth said that he did not like witchcraft

გ. Macbeth said that he liked witchcraft → Macbeth did not say that

he liked witchcraft

- ა. მაკბეტს მოსწონდა ჯადოქრობა — მაკბეტს არ მოსწონდა ჯადოქრობა
- ბ. მაკბეტმა თქვა, რომ მას ჯადოქრობა მოსწონდა — მაკბეტმა თქვა, რომ მას ჯადოქრობა არ მოსწონდა
- გ. მაკბეტმა თქვა, რომ მას ჯადოქრობა მოსწონდა — მაკბეტს არ უთქვამს, რომ მას ჯადოქრობა მოსწონდა.

პირველი წინადადება იმ ინფორმაციას გადმოგვცემს, რომ მაკბეტს ჯადოქრობა მოსწონდა. მისი მოპირისპირე ნეგატიური მხარე შეიცავს ინფორმაციას, რომ მაკბეტს ჯადოქრობა არ მოსწონდა. მსგავსად, მეორე წინადადების პირველი ნაწილი იმ ინფორმაციას გვანვძის, რომ მაკბეტს უთქვამს, თითქოს მას ჯადოქრობა მოსწონდა, ხოლო მეორე, მასთან შეპირისპირებული უარყოფითი წინადადება გვამცნობს, თითქოს მაკბეტს უთქვამს, რომ მას ჯადოქრობა სულაც არ მოსწონს. მესამე წინადადების პირველი ნაწილი მეორე მაგალითის პირველი ნაწილის იდენტურია, მაგრამ შეპირისპირებული ნეგატიური ფორმის მეშვეობით ვიტყობთ, რომ მაკბეტს სულაც არ უთქვამს, რომ მას ჯადოქრობა მოსწონდა. ამ სამ წინადადებაზე დაყრდნობით მაგალით (40) -ში მოყვანილ ცხრილს ვიღებთ, რომელშიც ტოლობის ნიშანი ისე უნდა იქნეს გაგებული, როგორც „გადმოსაცემი შინაარსი“, ანუ როგორი ინფორმაციის გადმოცემა ჰქონდა განზრახული მთქმელს თუ დამწერს.

- (40) ა. Macbeth did not like witchcraft = მართალი არაა, თითქოს მაკბეტს ჯადოქრობა მოსწონდა.
 ბ. Macbeth said that he did not like witchcraft = მაკბეტმა თქვა, რომ მართალი არ არის, თითქოს მას ჯადოქრობა მოსწონდა.
 გ. Macbeth did not say that he liked witchcraft = მართალი არ არის, თითქოს მაკბეტს ეთქვას, რომ მას ჯადოქრობა მოსწონდა.

ეს პერიფრაზები თვალნათლივ გვაჩვენებს, რის უარყოფა ხდება, როცა წინადადებაში ნეგაციის წევრი შემოდის. ამგვარად, პირველ წინადადებაში უარყოფილია აზრი, რომ მაკბეტს მოსწონდა ჯადოქრობა. განსხვავება (39ბ) -სა და (39გ) -ს შორის ისეთია, როგორი სხვაობის ილუსტრირებასაც (40ბ) და (40გ) მაგალითები ახდენს. (39ბ) წინადადებაში უარყოფილი არ არის ის, რასაც მაკბეტი ამბობს. ამ წინადადების მიხედვით, მაკბეტი რაღაცას ამბობს. რაც უარყოფილია, იმასთან არის დაკავშირებული, რასაც მაკბეტის ნათქვამი ეხება. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთავარი კლაუზულა უარყოფილი არ არის, ნეგაცია მხოლოდ ჩართულ წინადადებაში ხდება. ასე მაგალითად, წინააღმდეგობრივი აზრი იქნება: „მაკბეტმა თქვა, რომ მას ჯადოქრობა არ მოსწონდა, არსებითად კი მაკბეტს არაფერი უთქვამს“. მაგრამ სრულიად გასაგები და ლოგიკური — „მაკბეტმა თქვა, რომ მას ჯადოქრობა არ უყვარდა, არსებითად, მაკბეტმა ის თქვა, რომ ჯადოქრობა სძაგს“. თუმცა, აზრის ასე ჩამოყალიბება ცოტა უცნაურია, რადგან ეს წინადადება ერთსა და იმავე აზრს იმეორებს.

მაგალით (39გ) -ში მთავარი კლაუზულა უარყოფილია და რაკი ჩართული კლაუზულა მთავარი კლაუზულის ნაწილია, მისი უარყოფაც ხდება. ეს აშკარა ხდება (40გ) -ში: „მართალი არ არის, თითქოს მაკბეტს ეთქვას, რომ მას ჯადოქრობა მოსწონდა“. ეს წინადადება ამბობს, რომ მართალი არ არის, რომ მაკბეტმა რაღაც თქვა, კერძოდ,

რომ მას ჯადოქრობა მოსწონდა“.

მაშასადამე, არც ეს აზრი იქნება წინააღმდეგობრივი: „მაკბეტს არ უთქვამს, რომ მას ჯადოქრობა მოსწონდა, სინამდვილეში მაკბეტს სრულიად არაფერი უთქვამს“. არსებითად, რაკი ჩართული წინადადებაც ნეგატიურად აღიქმება, არც ამის თქმა იქნება უმართებულო: „მაკბეტს არ უთქვამს, რომ მას ჯადოქრობა მოსწონს, არსებითად მან ის თქვა, რომ ჯადოქრობა სძაგს“. ნეგაციის მნიშვნელობის ამგვარად ინტერპრეტირება ნეგაციის სხვა შემთხვევებზეც ვრცელდება, კერძოდ, ნეგაციის ელემენტებზე *never* და *nobody*. შესაბამისად, შემდეგ ინტერპრეტაციებს ვიღებთ:

- (41) ა. Macbeth said that nobody liked witchcraft = Macbeth said it was not the case that anyone liked witchcraft
 ბ. Bill never comes to school = it is not the case that Bill ever comes to school
 ა. მაკბეტმა თქვა, რომ ჯადოქრობა არავის უყვარდა. = მაკბეტმა თქვა, რომ მართალი არ არის, თითქოს ჯადოქრობა ნებისმიერ ადამიანს უყვარდა.
 ბ. ბილი სკოლაში არასდროს მოდის = მართალი არ არის, რომ ბილი სკოლაში მოდის.

ახლა შეგვიძლია ჩვენს ძველ ამოცანას დავუბრუნდეთ: ვცადოთ და გავარკვიოთ, რატომ დასრულდა უშედეგოდ წინა მცდელობები ზემოთ, დამატება 4-ის შემუშავებისას, მაგალით (38) -ის შემთხვევაში. ამისათვის მისაღები (ანუ ის მაგალითები, რომლებიც დამატება 4-ის პროგნოზს ემთხვევა) და მიუღებელი მაგალითებია (კერძოდ, 42დ):

- (42) ა. I said that the fairies did **not** see **anyone**.
 ბ. The elves did **not** say that the fairies saw **anything**.
 გ. The elves did **not** say that **anybody** liked the fairies.
 დ. * The news that Shylock did **not** leave surprised Portia **at all**.
 ა. მე ვთქვი, რომ ფერიებს არავინ უნახავთ.
 ბ. ელფებს არ უთქვამთ, რომ ფერიებმა რამე დაინახეს.
 გ. ელფებს არ უთქვამთ, რომ ფერიები ყველას (ნებისმიერს) მოსწონს.
 დ. * ამბავმა, რომ შაილოკი არ გამგზავრებულა, პორცია სულაც გააკვირვა.

თუ პირველი სამი გამართული წინადადების ინტერპრეტირებას მოვახდენთ (ინტერპრეტირების ზემოთ გამოყენებული ხერხების მეშვეობით) შემდეგ იმ წინადადებებს მივიღებთ, სადაც ხაზგასმა იმაზე მოდის, რაც უარყოფილია:

- (43) ა. I said that it was not the case **that the fairies saw anyone**.
 ბ. It is not the case **that the elves said that the fairies liked anything**.
 გ. It is not the case **that the elves said that anybody liked the fairies**.
 ა. მე ვთქვი, რომ მართალი არ არის, თითქოს ფერიებმა ვიღაც დაინახეს.
 ბ. მართალი არ არის, თითქოს ელფებს ეთქვათ, რომ ფერიებს რაღაც მოსწონთ.
 გ. მართალი არ არის, თითქოს ელფებს ეთქვათ, რომ ვინმეს ფერიები მოსწონს.

როგორც ხედავთ, ყველა ამ შემთხვევაში ნეგატიური პოლარობის წევრი გამუქებული თანწყობის ნაწილს წარმოადგენს. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ კანონზომიერებას მეოთხე წინადადებაზე ვავრცელებთ. შედეგად გაუმართავ (მიუღებელ) წინადადებას მივიღებთ:

(44) The news that it is not the case **that Shylock left** surprised Portia at all.

ამბავმა, რომ მართალი არ არის, თითქოს შაილოკი გაემგზავრა,
პორცია სულაც გააკვირვა.

ამ წინადადებაში ის, რაც უარყოფილ ნაწილად აღიქმება, ნეგატიური პოლარობის წევრს არ შეიცავს. უარყოფილად კი სუბიექტის ნაწილი გვევლინება, და არა მთავარი წინადადების დანარჩენი ნაწილი. ეს წინადადება გვამცნობს, რომ პორცია გაკვირვებულია. წინააღმდეგობრივი აზრი იდებოდა შემდეგ გამონათქვამში: „ამბავმა, რომ შაილოკი არ გაემგზავრებულა, პორცია გააკვირვა, სინამდვილეში პორცია გაკვირვებული არ ყოფილა“.

ამ დაკვირვებებს შემდეგ განზოგადებამდე მივყავართ (ეს განზოგადება პოლარობის წევრთა ცენზორობასთან დაკავშირებულ წესს შეეხება):

დამატება 5: წინადადება, რომელიც ნეგატიური პოლარობის წევრს შეიცავს, გამართულია, თუ ეს წინადადება ნეგატიურ წევრს შეიცავს, ხოლო ნეგატიური პოლარობის წევრი იმის ნაწილია, რაც წინადადებაში უარყოფილია.

და მაინც, წესი, რომელზე დაყრდნობითაც ვსაზღვრავთ, რა მიიჩნევა წინადადებაში უარყოფილად, უფრო მკაფიოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. საამისოდ საუკეთესო ხერხი იმ წინადადებებზე დაკვირვება (მათ შორის იმათზეც, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ) და მათი ისეთნაირად ინტერპრეტირებაა, როგორც მაგალითი (40) -ში, ან (44) -ში გავაკეთეთ, შემდეგ კი ამ წინადადებებისთვის ყველაზე სწორი განზოგადების მისადაგება იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელახლა უნდა წამოვიწყოთ პროცედურა, რომელმაც დამატება 5-ის შემუშავებამდე მიგვიყვანა, მაგრამ ახლა უფრო სპეციფიკური ამოცანა გვაქვს დასახული.

პრობლემის კვლევის ამგვარი მეთოდი უკიდურესად მნიშვნელოვანია, ხოლო რაც ამ კვლევას წინ უსწრებდა, იმის საილუსტრაციოდ იყო ჩაფიქრებული, თუ როგორ მოქმედებს იგი რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში. ლინგვისტები ამ პრობლემაზე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ და მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ისეთი წესი შეიმუშავეს, რომელიც შესანიშნავად ფუნქციონირებს, მაგრამ იმის ხელახლა აღმოჩენა, რაც უკვე დიდი ხნის აღმოჩენილია, უაზრობაა (თუმცა კი ლინგვისტური კვლევის ხერხებთან გაცნობის კარგი საშუალებაა არის). მიახლოებითი წესი, რომელიც განსაზღვრავს, რა ითვლება წინადადებაში უარყოფილად, ასე ჟღერს:

(45) მიახლოებითი წესი, რომელიც განსაზღვრავს, რა ითვლება
წინადადებაში უარყოფილად:

თუ წინადადება ისეთ ნეგატიურ გამოთქმას შეიცავს, რომელიც X ფრაზაა (ანუ დეტერმინირიანი ფრაზა, ზმნიზედიანი ფრაზა და ა.შ.) წინადადებაში იმ უმცირესი კომპონენტის უარყოფა ხდება, რომელსაც ეს X ფრაზა შეიცავს.

როცა წეს 5-ს ისე ვცვლით, რომ დამატება 5 მოიცავს (რომელიც (45) -ის მეშვეო-

ბით უკეთ განიმარტება), შეგვიძლია განვაცხადოთ:

წესი 6: ნეგატიური პოლარობის წევრი იმ კომპონენტში უნდა გამოჩნდეს, რომელიც წინადადებაში უარყოფილია.

ახლა მოდით, რამდენიმე მაგალითი განვიხილოთ და ვნახოთ, როგორ მუშაობს ეს წესი. რაკი იგი საკომპონენტო სტრუქტურას უკავშირდება, თითოეულ შემთხვევაში ჯერ იმის დადგენა დაგვჭირდება, თუ როგორი იყო საკომპონენტო სტრუქტურა წეს 6-ის ამოქმედებამდე.

(46) ა. Macbeth said that nobody liked witchcraft.


ბ. Macbeth did not say that he liked witchcraft.

ა. მაკბეტმა თქვა, რომ ჯადოქრობა არავის მოსწონდა.


ბ. მაკბეტს არ უთქვამს, რომ ჯადოქრობა მოსწონდა.

ა-ს და ბ-ს შესაბამისი საკომპონენტო სტრუქტურები მაგალით (47) -ია მოცემული:

(47) ა.



ბ.




(46ა) -ში უარყოფითი გამოთქმაა დეტერმინერიანი ფრაზა *nobody*, მისი შემცველი უმცირესი კომპონენტი კი დროითი ფრაზა 2 [*nobody liked witchcraft*]. ეს სწორედ ის დროითი ფრაზაა, რომელიც უარყოფილად ითვლება. სწორედ ასევე (46ბ) მაგალითშიც პირველი კომპონენტი, რომელიც *not* ნეგაციის ელემენტს შეიცავს, ზმფ კომპონენტია: [*not say that he liked witchcraft*]. ახლა ვნახავთ, როგორ მოქმედებს წესი 6:

- (48) ა. The elves did **not** tell **anyone** that the fairies could like witchcraft.
 ბ. *The elves told **anyone** the fairies could **not** like witchcraft.
 გ. **Nobody** told **anyone** that the fairies could like witchcraft.
 დ. *The news that Shylock did **not** leave surprised Portia **at all**.
 ა. ელფებს არავისთვის უთქვამთ, რომ ფერიებს შეიძლებოდა ჯადოქრობა მოსწონებოდათ.
 ბ. ელფებმა ვინმეს უთხრეს, რომ ფერიებს შეიძლებოდა ჯადოქრობა მოსწონებოდათ.
 გ. არავის უთქვამს ვინმესთვის, რომ ფერიებს შეიძლებოდა ჯადოქრობა მოსწონებოდათ.
 დ. ამბავმა, რომ შაილოკი არ გამგზავრებულა, პორციას სულაც (სრულებით) გააკვირვა.

რაკი ეს წესი საკომპონენტო სტრუქტურას ეყრდნობა, თითოეულ შემთხვევაში იმის განსაზღვრა დაგვჭირდება, თუ როგორია კონკრეტული საკომპონენტო სტრუქტურა, შემდეგ კი დარწმუნება, რომ ნეგატიური პოლარობის წევრის ცენზორობა სწორად გამორიცხავს გაუმართავ წინადადებებს, ხოლო მისაღებ წინადადებებს კი „სანქციას“ აძლევს.

ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ, (48) წინადადებას გავარჩევთ. მისი პერიფრაზირება სხვა წინადადებით შეიძლება: *Something surprised Portia at all* _ „რალაცამ პორცია სულაც გააკვირვა“. ეს ამტკიცებს, რომ ამ წინადადების მთავარი ზმნაა *surprised*, ხოლო ის, რის პოზიციაშიც სიტყვა *something* დგას, კერძოდ, *the news that Shylock did not leave*, ამ ზმნის სუბიექტია. შედეგად კი ამგვარ საკომპონენტო სტრუქტურას ვიღებთ:



ამ სტრუქტურის მაგალითზე ვხედავთ, რომ ის, რაც წინადადებაში უარყოფილია, ზმნიანი ფრაზაა — დიაგრამაში იგი ზმფ2 შემოკლებით არის აღნიშნული. რაკი ეს ზმნიანი ფრაზა *at all* ნეგატიური პოლარობის წევრს არ შეიცავს, მაშასადამე, წესი 6 სწორად განსაზღვრავს, რომ განხილული წინადადება გაუმართავია.

მაგალით (48) -ის პირველი სამი წინადადებისთვის

- (1) შეადგინეთ საკომპონენტო სტრუქტურის ამსახველი ხისებრი დიაგრამები.
- (2) დაამტკიცეთ და სწორად ჩამოაყალიბეთ, რატომ ექვემდებარება (ან არ ექვემდებარება) იგი წეს 6-ს.

სავარჯიშო
4.5

კომპონენტზე ზემდგომობის (*c-command*) ცნება

როგორც ზემოთ ითქვა, იმის განსაზღვრად, თუ რის უარყოფა ხდება წინადადებაში, უმცირეს კომპონენტებს უნდა დავაკვირდეთ, რომლებიც ნეგატიურ გამოთქმებს შეიცავს. ეს მნიშვნელოვანი ცნებაა და კარგ სამსახურს გვინვეს ნებისმიერ კონტექსტში, მათ შორის, ისეთებშიც, რომელთაც ნეგაციასთან საერთო არაფერი აქვს.

ზოგიერთ ფრაზაში — თანდებულებიანი ფრაზა იქნება ეს, დეტერმინერიანი ფრაზა, ზმნიანი ფრაზა თუ სახელიანი ფრაზა, ერთი სიტყვით, *X* ფრაზა, რომელშიც ასო *X* ნებისმიერ კატეგორიას აღნიშნავს, უმცირესი კომპონენტი, რომელიც ამ *X* ფრაზას შეიცავს, ანუ ამ *X* ფრაზის დედაკვანძია, ასე განისაზღვრება: ამ *X* ფრაზის კომპონენტზე **ზემდგომის ზემოქმედების სფერო**, ან შემოკლებით *c*-ზემდგომი. *X* ფრაზა, ან სხვაგვარად *Xp* ამ ზემდგომის ზემოქმედების სფეროში ყველაფერს განსაზღვრავს. ასო *c* *c*-ზემდგომში კომპონენტის იდეას უკავშირდება, ზემდგომობის იდეა კი — გავლენას, ზემოქმედებას.

(50) *c*-ზემდგომი [მიახლოებითი დეფინიცია]

***X* ფრაზის *c*-ზემდგომის ზემოქმედების სფერო პირველი კომპონენტი, რომელიც ამ *X* ფრაზას შეიცავს. *X* ფრაზის *c*-ზემდგომი თავისი ზემოქმედების სფეროში ყველაფერს მართავს.**

(47ა) ნიმუშში, მაგალითად, უარყოფითი გამოთქმა *nobody* დეტერმინერიანი ფრაზაა. პირველი კომპონენტი, რომელიც ამ დეტერმინერიან ფრაზას შეიცავს, დროითი ფრაზა 2-ია. ამის გამო ეს დეტერმინერიანი ფრაზა შეიცავს ამ ჩართულ დროით ფრაზა 2-ს, როგორც თავისი ზემოქმედების სფეროს, ხოლო ნეგატიური ელემენტი *nobody* ამ დროით ფრაზაში ყველაფერს *c*-ზემდგომის უფლებით მართავს. ამის შედეგად და მოქმედი წესის წყალობით უნდა მოველოდეთ, რომ ამ დროით ფრაზა 2-ში ნეგატიური წევრი შეიძლება ნებისმიერ ადგილას იდგეს. (47ბ) ნიმუშში უარყოფითი გამოთქმა *not* ზმფ1 კომპონენტ *c*-ზემდგომის ზემოქმედების სფეროდ იყენებს და ამ ზმნიან ფრაზა 1-ში ყველაფერს ზემდგომის უფლებით მართავს — უფრო კონკრეტულად, მართავს ნებისმიერ ნეგატიური პოლარობის წევრს, რომელიც ამ დროით ფრაზა 2-ში მოიპოვება.

თუკი ამ ყველაფერს ერთ სურათად შევაერთებთ, წესის ჩამოყალიბებასაც შევძლებთ — ისე, როგორც ქვემოთ არის მოცემული. ეს ნეგატიური პოლარობის წევრის ცენზორობასთან დაკავშირებული წესის საბოლოო (ამ თავის დისკუსიაში) ვერსია იქნება.

(51) უარყოფითი პოლარობის წევრების ცენზორობასთან დაკავშირებული წესი

ნეგატიური პოლარობის წევრის შემცველი წინადადება გამართულად ჩაითვლება, თუკი ეს ნეგატიური პოლარობის წევრი უარყოფითი ელემენტის c-ზემდგომობის სფეროშია მოქცეული.

საპარაფრაზი

4.6

ახლა ხელახლა განიხილეთ მაგალითი (36), რომელიც ქვემოთ მეორდება:

(1) * Anyone did not see Portia.

1. (ა) იმის განსასაზღვრად, თუ რის უარყოფა ხდება წინადადებაში გამოიყენეთ მაგალითი (40) -ში ნიმუშად მოყვანილი პროცედურა, რომელიც ნეგაციის ელემენტს ფრაზით *'it is not the case that*' ანაცვლებს.
 - (ბ) არის თუ არა ამ პროცედურის თანახმად *anyone* ელემენტი უარყოფითი თანწყობის ნაწილი?
 - (გ) არის თუ არა წინადადება (1) გამართული დამატება 5-ის მიხედვით?
2. (ა) შეადგინეთ წინადადება (1) -ის ხისებრი დიაგრამა.
 - (ბ) ამ ხისებრ დიაგრამაზე დაყრდნობით განსაზღვრეთ: რომელი კომპონენტია ამ შემთხვევაში უარყოფილი (51) -ში ჩამოყალიბებული წესის თანახმად?
 - (გ) არის თუ არა წინადადება (1) გამართული (51) -ში ჩამოყალიბებული წესის თანახმად?
3. რომელი მიდგომაა უკეთესი: წესი 5 + დამატება 5 თუ (51) -ში ჩამოყალიბებული წესი?

4.1.5 მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი საკითხები

ამ განყოფილებაში სამი მნიშვნელოვანი ასპექტია დასამახსოვრებელი. აქედან პირველი კვლევის მეთოდიკაა, ხოლო მეორე და მესამე ენის სტრუქტურასთან დაკავშირებულ დასკვნებს მოიცავს.

1. კვლევის მეთოდი — როგორ მივუდგეთ სინტაქსის საკითხებს — მოიცავს ძალზე სასარგებლო განზოგადებებსა და წესების დახვეწის ხერხებს.
2. სინტაქსური დამოკიდებულებები არსებობს და სინტაქსური აღწერების განუყოფელ ნაწილს ქმნის.
3. ლინგვისტური წესები სტრუქტურაზე დამოკიდებული, იხილეთ (17) (სინტაქსური წესების სტრუქტურაზე დამოკიდებულების პრინციპი) და ისეთი ცნებები, როგორცაა c-ზემდგომობა (იხილეთ (50)), რომლებიც სინტაქსური დამოკიდებულებების ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

4.2 სინტაქსურ დამოკიდებულებათა ზომიერი ძირითადი ტიპი

ამ განყოფილებაში სინტაქსური დამოკიდებულებების იმ ტიპებს (და სათანადო ნიმუშებს) განვიხილავთ, რომლებიც ბუნებრივ ენებში გვხვდება. თითოეული ნიმუშის დანვრის დროს განვიხილავთ იმგვარ კვლევას მოითხოვს, რომელსაც ნეგატიური პოლარობის წევრის შემთხვევაში მივმართავდით. ახლა ჩვენი განზრახვა იმ კვლევის შედეგების წარმოდგენა იქნება, რომელთაც ენათმეცნიერები უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იყენებენ. ჩვენს ამოცანებში იმგვარ დამოკიდებულებათა წარმოდგენას შედის, რომლებიც რელაურად არსებობს და ამ დამოკიდებულებათა მახასიათებლების აღწერაც.

4.2.1 შერჩევა

მე-3 თავში დამოკიდებულებათა ორ მნიშვნელოვან ტიპს გავეცანით, რომლებსაც განსახილველად და სამსჯელოდ ახლა ხელახლა მივუბრუნდებით: ესენია სემანტიკური შერჩევა და კატეგორიათა შერჩევა, შემოკლებით — s-შერჩევა და c-შერჩევა. ამჯერად მათ, უფრო ზუსტად კი, მათ როლს საკომპონენტო სტრუქტურის განსაზღვრაში უფრო დეტალურად გავეცნობთ, ვინაიდან წინადადებას კონკრეტული საკომპონენტო სტრუქტურა უმთავრესად იმის გამო გააჩნია, რომ ხსენებულ დამოკიდებულებებს სემანტიკური და კატეგორიათა შერჩევა უქმნით.

პრედიკატის / არგუმენტის დამოკიდებულებები (სემანტიკური შერჩევა)

ძირითადი და ყველაზე მარტივი ლინგვისტური მახასიათებლების ილუსტრირება ქვემოთ მოყვანილი ნიმუშების წყვილებით შეიძლება, რომლებზეც ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული წარმოდგენა:

- (52) ა. Macbeth arrived.
ბ. Macbeth described Dunsinane Forest.
ა. მაკბეტი მოვიდა.
ბ. მაკბეტმა დანსინანის ტყე აღწერა.
- (53) ა. *Macbeth described
ბ. *Macbeth arrived Banquo
ა. მაკბეტმა აღწერა
ბ. მაკბეტი მოვიდა ბანქო

(53ა) წინადადება (52ა) – სგან არის წარმომდგარი, ოღონდ მასში ზმნა *arrived* მეორე, *described* ზმნით არის ჩანაცვლებული, ხოლო (ბ) მაგალითში კი პირიქით. რაკი (53)–ე მაგალითის წინადადებები არასრულფასოვანია, ესენი აუცილებლად უნდა არღვევდნენ რაიმე სახის დამოკიდებულებას, რომელიც ზმნასა და მის კონტექსტს შორის არსებობს. პრობლემის არსი ინტუიტიურადაც კი ნათლად გვესახება: ზმნა *arrive* გარკვეულ მახასიათებელს, ნიშან-თვისებას ანიჭებს რომელიმე ერთეულს (ან ერთეულთა ერთობას — თუ სუბიექტი მრავლობით რიცხვში დგას, როგორც წინადადებაში *the children arrived*). თუ ვამბობ, რომ მაკბეტი მოვიდა — *Macbeth arrived*, მაშასადამე იმას ვგულისხმობ, რომ სახელს „მაკბეტი“ რომელიმე მახასიათებელი გააჩნია, რომელიც წარსულში რომელიმე კონკრეტულ ადგილას მისვლაში გამოიხატება. ზმნის *described* შემთხვევაში სხვა ვითარება გვაქვს. წინადადება *Macbeth described Dunsinane Forest* დამოკიდებულებას ქმნის ორ ერთეულს — აღმწერს, ანუ ამ შემთხვევაში მაკბეტსა და

აღწერილ ობიექტს, დანსინანის ტყეს შორის. (53-ე) მაგალითის წინადადებებში რაღაც არ არის სწორი — ზმნა *arrived* ისეა ნახმარი, თითქოს კავშირს ორ ერთეულს შორის ამყარებს, მაგრამ *arrived* ზმნას, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამის გაკეთება არ შეუძლია. ხოლო (53ა) წინადადების არასრულფასოვნებას ის ფაქტი ინვესს, რომ ზმნა *described* ისეა გამოყენებული, თითქოს მახასიათებლის მიმნიჭებელი და არა კავშირის დამამყარებელი ზმნა ყოფილიყოს.

როცა ზმნების *arrived* ან *described* მნიშვნელობა ვიცით, გარკვეულწილად იმასაც ვაცნობიერებთ, რომ *arrive* რომელიმე ერთეულის (ან ერთეულთა ერთობის) მახასიათებელია, ხოლო *describe* კი — ორ ერთეულს (ან ერთეულთა ერთობას) შორის არსებული კავშირი. ჩვენ ეს ცოდნა გვაქვს, რაკი წინადადებების ამ წყვილთა შესახებ მსჯელობისას მას ვეყრდნობით. ზმნების ამ მახასიათებლებს ანალოგი ქიმიამში მოეძებნება, **ვალენტობის** ცნების სახით, რომელიც განმარტავს, როგორ ერწყმის ერთმანეთს ატომები. მაგალითად, ჟანგბადის ატომი ორვალენტიანია (ანუ მისი ვალენტობა 2-ია), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ატომს ან ორ ისეთ ელემენტთან შეუძლია შერწყმა, რომლიდანაც თითოეულის ვალენტობა 1-ია, ან ერთ ორვალენტიან ელემენტთან. პირველი ვარიანტის ნიმუში H₂O, ანუ წყლის მოლეკულაა, რომელშიც წყალბადის ერთვალენტიანი ატომები ჟანგბადის ერთ ატომს ერწყმის და მოლეკულას ქმნიან. მეორე ვარიანტის თვალსაჩინოებას კი მოლეკულა O₂ წარმოადგენს, ჟანგბადის ორი ატომის შერწყმით რომ მიიღება.

ახლა კი, ამ პარალელიდან ზმნას *arrive* დავუბრუნდეთ, რომელსაც ჩვენთვის ანალოგიის თანახმად, ერთი ვალენტობა გააჩნია. ამ მახასიათებლის აღწერა ასეც შეიძლება: ზმნა *arrive* ერთი არგუმენტის ფუნქციაა, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **პრედიკატი, რომელიც ერთ არგუმენტს იღებს — ერთადგილიანი პრედიკატი**, ან, კიდევ სხვაგვარად, **მონადური (ერთელემენტიანი) პრედიკატი**.

ზმნის *arrive* ამ მახასიათებლის გათვალსაჩინოება შემდეგნაირად შეიძლება:
(54) *arrive* (X)

იმ აზრის გამოსახატად, რომ ზმნა *arrive* სრული მნიშვნელობის წარმოთქმისას ზემოთ განხილული ქიმიური ელემენტების მოლეკულებს წააგავს, იგი რომელიმე ელემენტს უნდა შეერწყას, რომელსაც აქ **X** —ად მოვიხსენიებთ. შედეგად ისეთ მნიშვნელობას მივიღებთ, რომელშიც ზმნა *arrive* (მისვლა, ჩასვლა) ამ **X**-ს „მისვლის“ მახასიათებელს მიანიჭებს. ტერმინ „**პრედიკატის**“ გამოყენება კიდევ ერთი გზაა იმგვარ სიტყვებზე (აქ: ზმნებზე) სასაუბროდ, რომლებიც მახასიათებელს ან კავშირს, ურთიერთობას გამოხატავენ.

ვალენტობის იდეას თუ მივუბრუნდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზმნას *describe* ორი ვალენტობა აქვს, ანუ ეს ზმნა **ორი არგუმენტის ფუნქციაა**, ან **პრედიკატი, რომელიც ორ არგუმენტს იღებს**, ან კიდევ **ორადგილიანი პრედიკატი და დიადური (ორელემენტიანი) პრედიკატი**, ამიტომაც ვწერთ:

(55) *describe* (x, y)

რაც იმას ნიშნავს, რომ ზემოთ ნახსენები ქიმიური ანალოგიის მსგავსად, ზმნა *describe* სრული მნიშვნელობის შესაძენად ორ ელემენტს უნდა შეერწყას, რომელთაც აქ **X**-ს და **Y**-ს ვუწოდებთ. შედეგად მიღებული მნიშვნელობა ისეთი იქნება, რომელშიც ზმნა *describe* მათ შორის აღწერით ურთიერთობას დაამყარებს. ამ ორ ელემენტს შორის ერთი აღმწერი იქნება, ხოლო მეორე — მის მიერ აღწერილი (ან აღსაწერი) ობიექტი.

პრედიკატის არგუმენტთა რაოდენობა

რაკი უკვე ვიცით, რომ არსებობს ერთადგილიანი და ორადგილიანი პრედიკატები, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა: სამადგილიანი პრედიკატებიც ხომ არ არსებობს? (ხომ გვაქვს ისეთი ზმნები, მაგალითად, *give* (მიცემა- აძლევს ის მას მას) (x, y, z), ვინაიდან XY -ს Z -ს აძლევს, ან კიდევ ოთხადგილიანი (მაგრამ არა უმეტეს ოთხისა), როგორც ზმნა *trade* (ვაჭრობა, გაცვლა) (x, y, z, w), ისეთ წინადადებაში, როგორიცაა x *traded* y *for* z *with* w - x ვაჭრობდა y -ით z -სთან). ალბათ, ისიც უნდა ვიკითხოთ, არსებობს თუ არა ნულადგილიანი პრედიკატები. ამის შესაძლო მაგალითებად შეგვიძლია ატმოსფერული მოვლენების გამომხატველი ზმნები მოვიყვანოთ, როგორიცაა, მაგალითად, წვიმს (*rain*), თოვს (*snow*), რომლებიც, იმის მიუხედავად, რომ სუბიექტთან ერთად იხმარება, ამ სუბიექტებს მახასიათებლებს ვერ ანიჭებენ. მათი სუბიექტები რომელიმე სახის ერთეულს არ უკავშირდება. ამგვარი ზმნები მხოლოდ საქმის ვითარებას აღწერენ, კერძოდ, იმას, რომ წვიმს, თოვს და ასე შემდეგ.

ზმნის *describe* შემთხვევაში გარკვეულ სირთულეს შევხვდებით, რომელიც ზმნასთან *arrive* არ გვხვდება. ამ ზმნის ორი არგუმენტი თვით ზმნასთან ერთი და იმავე ტიპის ურთიერთობას ვერ ამყარებს. ერთ-ერთი ამ არგუმენტთაგანი აღმწერს, მოქმედების **აგენტს** უკავშირდება, მეორე კი იმას, რაც აღწერილია, რაც ქმედების, ანუ **თემის** ზემოქმედებას განიცდის. ამ ახალშემომატებული მახასიათებლის აღსანიშნად აღნიშვნის წესს ვცვლით:

(56) *describe* (Xაგენტი, Xთემა)


ზმნის *arrive* შემთხვევაში მხოლოდ ერთი არგუმენტი არსებობს და იგი აღქმულია, როგორც ობიექტი, რომელიც ქმედების ზემოქმედებას განიცდის. ამ არგუმენტს თემას ვარქმევთ და ვწერთ:

(57) *arrive* (Xთემა)

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშვნის ამ წესის მეშვეობით იმის აღწერა დავინწყეთ, რაც ვიცით, ჩვენი ცოდნა ამით არ ამოიწურება. (52ბ) წინადადების შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ მაკბეტი რალაცას აღწერს, ხოლო ის, რასაც აღწერს, თემაა, ანუ დანსინანის ტყე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს არანაირად არ უკავშირდება შინაარსობრივ მხარეს, ანუ იმას, რომ უცნაური იქნებოდა, აღმწერი დანსინანის ტყე ყოფილიყო. მოდით ფრაზებს *Macbeth* და *Dunsinane Forest* პოზიციები ვუბრუნოთ და ერთმანეთის ადგილებზე გადავანაცვლოთ:

(58) *Dunsinane Forest described Macbeth.*

რაც არ უნდა უცნაური წინადადება მივიღოთ, მას მნიშვნელობა მაინც გააჩნია: აღმწერი ახლა დანსინანის ტყეა, აღწერის ობიექტი კი — მაკბეტი. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ *describe* ისეთი პრედიკატია, რომელიც ორ არგუმენტს იღებს. ერთი ისეა ინტერპრეტირებული, როგორც აგენტი, მეორე კი — როგორც თემა. მაგრამ ამ წინადადებაზე ჩვენი ცოდნის გადმოსაცემად მხოლოდ ამის თქმა არ არის საკმარისი. თუ (52ბ) -ს ხისებრ რეპრეზენტაციას მოვახდენთ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორების გათვალისწინებას შევძლებთ:



დეტერმინირიანი ფრაზა, რომელიც ისეა ინტერპრეტირებული, როგორც აგენტი, ამ ზმნის სუბიექტია, დეტერმინირიანი ფრაზა კი, რომლის ინტერპრეტირება თემად იქცევა, ამ ზმნის დამატება იქნება. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ზმნას, უფრო ზუსტად კი ზმნის მნიშვნელობას (როგორც (56) -ში მივუთითეთ) და იმ წინადადების საკომპონენტო სტრუქტურას შორის, რომელშიც ეს ზმნა დგას, კავშირი არსებობს. ამავე იდეის სხვაგვარად გამოხატვაც შეიძლება, თუკი ვიტყვით, რომ ზმნასა და ამ ზმნის შემცველი ხისებრი დიაგრამის გარკვეულ პოზიციებს შორის დამოკიდებულება არსებობს.

ჩვენ შეგვიძლია, ზმნის *describe* შემთხვევაში ამ დამოკიდებულებას ნათელი მოვფინოთ და ის კონკრეტული პრობლემები განვიხილოთ, რომელსაც ამ ზმნის გარჩევისას გადავანყდებით.

- (60) როცა ზმნა [*describe* (X აგენტი, X თემა)] წინადადებაში ჩნდება, მისი სუბიექტი ისე ინტერპრეტირდება, როგორც მისი აგენტის არგუმენტი, ხოლო მისი დამატება — როგორც მისი თემატური (თემის) არგუმენტი.

დამოკიდებულება იმ სხვადასხვა არგუმენტს შორის, რომელიც ზმნას გააჩნია და იმ სინტაქსურ პოზიციებს შორის, რომლებსაც ისინი იკავებენ, თურმე უკიდურესად ზოგადი ხასიათისაა. მას ჩვეულებრივ ზმნის **მაკავშირებელ მახასიათებელს** უწოდებენ. შემდეგი წინადადება ნათლად გვიჩვენებს, რომ ზმნის *describe* აგენტი - არგუმენტი ამავე ზმნის სუბიექტი უნდა იყოს და არა წინადადების ნებისმიერი სუბიექტი. ეს ის მოთხოვნაა, რომელიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს:

- (61) Banquo said that Macbeth described Dunsinane.
 ბანქომ (ბენქოუმ) თქვა, რომ მაკბეტმა დანსინანი აღწერა.

შეიძლება თუ არა, რომ ბანქო ზმნის *describe* აგენტის არგუმენტად იქნეს ინტერპრეტირებული? სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვამცნობს თუ არა ეს წინადადება, რომ რაღაც სწორედ ბანქომ აღწერა? რა თქმა უნდა, არა. ბანქო მართლაც სუბიექტია, მაგრამ იმ კლაუზულაში არ დგას, რომელიც მისი *describe* ზმნის აგენტობის შემთხვევაში უნდა იდგეს. ამით ვრწმუნდებით, რომ *describe* ზმნის აგენტი-არგუმენტი იმავე კლაუზულაში უნდა იყოს სუბიექტი, რომელშიც ზმნა *describe* დგას, ანუ იმ კლაუზულაში, რომლის მთავარი ზმნაც არის იგი. შესაბამისად, ნეს (60) -ის ფორმულირება შესაცვლელი გვაქვს:

- (62) ზმნის *describe* მაკავშირებელი-მახასიათებელი:


როცა ზმნა [*describe* (X აგენტი, X თემა)] წინადადებაში ჩნდება, მისი სუბიექტი ისე ინტერპრეტირდება, როგორც მისი აგენტი-არგუმენტი, ხოლო მისი დამატება — როგორც მისი თემატური (თემის) არგუმენტი.

ზმნას, მის სუბიექტსა და მის დამატებას შორის აქ აღწერილ დამოკიდებულებას, სემანტიკურ შერჩევას (შემოკლებით — შ-შერჩევა) ვუნოდებთ. მასზე წინა თავებშიც ვისაუბრეთ. სემანტიკური შერჩევა ისეთი შერჩევაა, რომელიც მნიშვნელობას უკავშირდება. ჩვენს შემთხვევაში ზმნა *describe* სემანტიკური შერჩევით ირჩევს თავის სუბიექტსა და დამატებას, ვინაიდან ეს ზმნა მოითხოვს, რომ მისი სუბიექტი ისე იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც მისი X აგენტი-არგუმენტი, ხოლო მისი დამატება — როგორც Xთემის არგუმენტი (როგორც არის კიდევ აღწერილი). ეს ის მოთხოვნაა, რომელიც (58) წინადადებას უცნაურს ხდის, ვინაიდან, მისი იძულებით, აღმწერად დანსინანი (ტყე) განიხილება, რაც ამ სიტყვის მნიშვნელობის გამო, ცოტა არ იყოს, ძნელად წარმოსადგენია.

ძალზე მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ სემანტიკურ შერჩევასთან დაკავშირებულ ზმნის მახასიათებლებს ორი ასპექტი გამოარჩევს:

1. იმ არგუმენტთა რაოდენობა და ტიპი, რომელსაც ზმნა იღებს
2. ის, თუ როგორ უკავშირდება ეს არგუმენტები ხისებრი დიაგრამის პოზიციებს

ზმნის *describe* შემთხვევაში ამ ორ ასპექტს შემდეგნაირად განვსაზღვრავთ:



აღნიშვნის ამგვარი წესის განმარტება ნიშნავს, რომ:

- (1) ზმნა *describe* ორ არგუმენტს იღებს (X აგენტსა და X თემას)
- (2) დამაკავშირებელი ხაზები, რომლებიც X აგენტისა და X თემისაგან სუბიექტსა და დამატებაზე ზემოდან ქვემოთ ჩამოდის, ნიშნავს, რომ X აგენტი სუბიექტი უნდა იყოს, Xთემა კი — დამატება.

არგუმენტთა სემანტიკური და სინტაქსური მახასიათებლები

ჩანართი
4. 5

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არგუმენტების, კერძოდ კი აგენტისა და თემის საინტერპრეტაციო მახასიათებლების გამოყოფა მათივე სინტაქსური რეალიზაციისგან დაკვირვებით და ფრთხილად მოხდეს. ჩვენთვის კარგად ცნობილი ზმნა *describe* შეიძლება ისეთ სტრუქტურებშიც შეგვხვდეს, (63)–ში გაცხადებულ პრინციპს ზედაპირულად რომ არღვევს. ერთ ასეთ მაგალითს პასიური კონსტრუქციის ქვემოთ მოყვანილი ნიმუშიც წარმოადგენს:

(I) Dunsinane Forest was described by Macbeth.

დანსინანის ტყე მაკბეტის მიერ იქნა აღწერილი.

ამ წინადადებაში *describe* ზმნის თემატური არგუმენტი სუბიექტად არის რეალიზებული, მაშინ, როცა აგენტი-არგუმენტი ისეა რეალიზებული, როგორც თანდებულისანი ფრაზის ნაწილი, რომელსაც სათაო სიტყვად თანდებული *by* აქვს. ამ არგუმენტების საინტერპრეტაციო მახასიათებლები არ შეცვლილა, მაგრამ მათი სინტაქსური რეალიზაცია სრულიად განსხვავებულია. სწორედ ამ მიზეზით გვმართებს ამ ორი ცნების ერთმანეთისგან გამორჩევა.

პასიური კონსტრუქციის მახასიათებელთა კვლევა დამწყები ლინგვისტებისთვის განკუთვნილი ამ ტექსტის ამოცანებს და შესაძლებლობებს სცდება, მაგრამ მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ ამგვარი კვლევის შედეგად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ (63)-ე ფორმულირება, ზედაპირული შთაბეჭდილების მიუხედავად, მაინც სწორია!

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, სემანტიკური შერჩევის პრინციპი მხოლოდ ჩვენს მიერ განხილულ *describe* და *arrive* ზმნებზე შემოქმედებით კი არ შემოიფარგლება, არამედ ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ყველა ზმნას შეეხება:

სემანტიკური შერჩევა:

ზმნამ შეიძლება სემანტიკური შერჩევის ძალით შეარჩიოს თავისი სუბიექტი, დამატებები (თუკი ასეთი გააჩნია): ზმნამ შეიძლება მოითხოვოს, რომ მისი სუბიექტი ან დამატება (დამატებები) მას გარკვეული ყაიდის შინაარსობრივი კომბინაციით შეერწყას.

სემანტიკური შერჩევის არსებობას განსაკუთრებით ცხადყოფს ზოგიერთი **იდიომატური გამოთქმა**, ანუ **იდიომები**, როგორც ქვემოთ მოყვანილი ნუმუშები:

- (64) *lend assistance* = *help* (სიტყვასიტყვით: დახმარების სესხება = დახმარების გაწევა = დახმარება)
kick the bucket = *die* (სიტყვა-სიტყვით; სათლისთვის ფეხის გაკვრა = ფეხების გაჭიმვა = სიკვდილი)
to play for love (სიტყვასიტყვით: სიყვარულისთვის თამაში — თამაში ფულის დაუდებლად, გასართობად)

ინგლისურ ენაში უამრავი ასეთი გამოთქმა არსებობს (ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ენაში). გამორჩეული აღნიშვნის ღირსი ესენი იმის გამო შეიქნა, რომ ამ ფრაზების ცალკეული ნაწილები სულ სხვა მნიშვნელობისაა, ვიდრე ის მნიშვნელობა, რომელიც მათი ერთად დგომის შედეგად მიიღება, ვინაიდან ისინი ერთმანეთს შინაარსობრივი კომბინაციის „ნორმალური“ წესის მიხედვით არ ერწყმის. ასე მაგალითად, *lend assistance* რაღაცის, მაგალითად, დახმარების სესხებას სულაც არ გულისხმობს, იმ მნიშვნელობით, როგორითაც არის ნახმარი ფრაზაში *lend a book/ten dollars* (წიგნის/ათი დოლარის სესხება). ამ შემთხვევაში ზმნის *lend* მნიშვნელობა ნაწილობრივ მისი პირდაპირი ობიექტის — *assistance* მნიშვნელობით არის განპირობებული.

საზოგადოდ, იდიომატური სიტყვა-თქმანი სემანტიკური შერჩევის, ზმნასა და მის პირდაპირ ობიექტს შორის არსებული ურთიერთობის მკაფიოდ გამოხატულ შემთხვევას წარმოადგენს. იდიომებს ხშირად იყენებენ იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა დამოკიდებულება (მაგალითად, სემანტიკური შერჩევის ტიპისა) ზმნასა და დეტერმინერიან ფრაზას შორის.

კატეგორიათა შერჩევა (c-შერჩევა)

ზმნასა და მის კომპონენტს შორის დამოკიდებულების კიდევ ერთი ასპექტი შეიძლება შემდეგი პარადიგმის მეშვეობით გამოვსახოთ:


- (65) ა. *Macbeth awaited Banquo* → ბ. * *Macbeth awaited for Banquo*
 გ. *Macbeth waited for Banquo* → დ. * *Macbeth waited Banquo*
 ა.-ბ.-გ.-დ. — მაკბეტი ბანკოს ელოდებოდა.
await - *wait* სინონიმებია და ცდას, ლოდინს ნიშნავს.

ზმნების *wait* და *await* ურთიერთჩანაცვლება არასრულფასოვან ფორმებს წარმოშობს. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ამგვარი ჩანაცვლებების შედეგად გაუმართავი ფორმების მიღება გარკვეული ტიპის დამოკიდებულების არსებობას მონიშნავს. რაკი სუბიექტები ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე რჩება, დამოკიდებულების

არსებობა ზმნასა და მის დამატებას შორის უნდა ვივარაუდოთ. სემანტიკური შერჩევა მოითხოვს, რომ *wait* და *await* ზმნების სუბიექტები აგენტებად (ის ვინც იცდიდა) იქნეს ინტერპრეტირებული, ობიექტები კი (ის, ვისაც ელოდებოდნენ) — დამატებად. სემანტიკური შერჩევის თვალსაზრისით, არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს საიმისოდ, რომ (65დ) წინადადებაში, *Banquo wait* ზმნის თემის (თემატური) არგუმენტი იყოს.

პრობლემას თვალნათლივ მხოლოდ მას შემდეგ დავინახავთ, როცა (65ა) და (65გ) წინადადებებისთვის ხისებრ დიაგრამებს შევადგენთ:

(66)



ზმნა *wait* მოითხოვს, რომ მისი დამატება კონკრეტული თვ კატეგორიის წევრი იყოს (მეტიც, ამ თანდებულის ფრაზაში თანდებული *for* უნდა იყოს), მაშინ, როდესაც ზმნა *await* დამატებად დეტერმინერიან ფრაზას მოითხოვს. კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ ეს ზოგადი მახასიათებელია, რომელზეც წინა თავშიც გვქონდა საუბარი და ზემოთაც, როცა სემანტიკურ შერჩევას ვიხილავდით (ხანდახან მას **სუბკატეგორიზაციას** უწოდებენ). ყოველ იმ ზმნასთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ შეგვხვდება, შეგვიძლია დავეთანხმოთ ქვემოთ მოცემულ განმარტებებს:

კატეგორიათა შერჩევა:

ზმნა საკუთარ დამატებებს კატეგორიათა შერჩევის მეშვეობით ირჩევს და მოითხოვს, რომ იგი კონკრეტულ კატეგორიებს განეკუთვნებოდეს.

wait და *await* ზმნებზე ამ ინფორმაციის განსაზღვრებად შეგვიძლია დავწეროთ:

(67) ა. *wait* (X აგენტი, X თემა)

სუბიექტი; დამატება: [თვ for დფ]

ბ. *await* (X აგენტი, X თემა)

სუბიექტი, დამატება: დფ

ეს მიუთითებს, რომ *await* ზმნის თემატური (თემის) არგუმენტი დეტერმინერიან ფრაზად უნდა იქნეს რეალიზებული, მაშინ, როცა *wait* ზმნის თემატური არგუმენტი *for* თანდებულის ფრაზაში შემავალი დეტერმინერიანი ფრაზა უნდა იყოს.


მაგალითი: კატეგორიათა შერჩევა და სემანტიკური შერჩევა და როგორ მართავს იგი საკომპონენტო სტრუქტურას

კატეგორიათა შერჩევას, სემანტიკურ შერჩევასა და საკომპონენტო სტრუქტურას შორის ურთიერთობა შეგვიძლია თვალსაჩინოდ ერთი მარტივი წინადადების მაგალითზე ვაჩვენოთ: *The army could encircle this city.* - „ჯარს ამ ქალაქის ალყაში მოქცევა შეეძლო“. რაკი ზმნის *encircle* მნიშვნელობა ვიცით (ალყაში მოქცევა, ალყის შემორტყმა), არც მისი შემდეგი მახასიათებლების ჩამოთვლაა ძნელი:


- (68) ზმნა *encircle* ორ არგუმენტს იღებს, X აგენტს (ის, ვინც ქალაქს ალყაში მოაქცევდა) და X თემას (ის, რაც ალყაში მოქცეოდა). თუ ზმნას *encircle* სუბიექტი გააჩნია, ეს სუბიექტი მისი აგენტი არგუმენტი იქნება. თუ ზმნას *encircle* დამატება გააჩნია, ეს დამატება თემატური (თემის) არგუმენტი იქნება.

თემატური (თემის) არგუმენტი დეტერმინერიანი ფრაზის სახით წარმოდგენილ დამატებად უნდა რეალიზდეს.

ამ მახასიათებლების გამოსახვა შემდეგი დიაგრამის მეშვეობით შეგვიძლია:



როცა ამ მოთხოვნებს იმ ხისებრი კონსტრუქციის ლექსიკონთან გავაერთიანებთ, რომელიც წინა თავში განვიხილეთ, მოგვინევს ამ წინადადებას ისეთი სტრუქტურა მივანიჭოთ, რომელიც (69) -ში ჩამოთვლილ ყველა მახასიათებელს აკმაყოფილებს:



აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ბუნებრივი ენები სემანტიკური შერჩევისა და კატეგორიათა შერჩევის მოთხოვნებს, რამდენადაც შესაძლებელია, ზედმიწევნით აკმაყოფილებს. მაგალითად, *describe* ზმნის შემთხვევაში — რაკი მას მხოლოდ ერთი, თემის არგუმენტი გააჩნია, რომელიც კატეგორიათა შერჩევით, დეტერმინერიანი ფრაზა უნდა იყოს — მხოლოდ ერთი დეტერმინერიანი ფრაზის არსებობაა შესაძლებელი, რომელიც ამ ზმნის შემცველ ხისებრ დიაგრამაში თემად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული. ინტერპრეტაციული თვალსაზრისით, არაფერი დაშვდება, თუკი ორ დეტერმინერიან ფრაზას თემას მივანიჭებთ, როგორც ეს ქვემოთ არის წარმოდგენილი:

- (71) *Macbeth described Arden Forest Dunsinane Forest.*

მაკბეტმა აღწერა არდენის ტყე დანსინანის ტყე.

ეს წინადადება შეიძლება ისე იქნეს ინტერპრეტირებული, თითქოს მაკბეტმა ორი

ტყე აღწერა: არდენის ტყე და დანსინანის ტყე. მაგრამ წინადადებაში რომ ეს შინაარსი შეიძინოს და თან გრამატიკულად გაიმართოს, ეს ორი დეტერმინერიანი ფრაზა: *Arden Forest* და *Dunsinane Forest* და კავშირით ერთ, უფრო დიდ დეტერმინერიან ფრაზად უნდა შევეართოთ:

(72) *Macbeth described [დღ Arden Forest and Dunsinane Forest]*

მაკბეტმა აღწერა არდენის ტყე და დანსინანის ტყე.

კატეგორიათა შერჩევა და სემანტიკური შერჩევა მხოლოდ ზმნებზე არ შემოქმედებს — ამგვარი მახასიათებლები სახელებს, ზედსართავებს, წინდებულებს და ა. შ. შეიძლება ჰქონდეთ. მაგალითად, ზედსართავი *fond* („მოყვარული“) როგორც წინადადებაში *George is fond of nectar* ორ არგუმენტს იღებს; ერთ-ერთი წინადადების სუბიექტად არის რეალიზებული, ხოლო მეორე — როგორც *of* თანდებულის გამო წარმოქმნილი თანდებულიანი ფრაზა.

სავარჯიშო

4.7

ქვემოთ მოყვანილ თითოეულ წინადადებაში შემავალი ზმნისთვის წარმოადგინეთ სემანტიკური შერჩევის, კატეგორიათა შერჩევისა და დამაკავშირებელი ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითები და შეადგინეთ შესაბამისი ხისებრი დიაგრამები:

(1) *Macbeth left.*

(2) *The soldiers put their weapons in the tower.*

(3) *Petruccio thinks that Bianca left.*

(1) მაკბეტი წავიდა.

(2) ჯარისკაცებმა თავიანთი იარაღი კოშკში დააწყვეს.

(3) პეტრუჩიო ფიქრობს, რომ ბიანკა წავიდა.

own და *belong* ზმნები

სავარჯიშო

4.8

ორი ზმნა, *own* (ფლობა- ფლობს, აქვს) და *belong* (მიკუთვნება — ეკუთვნის) მფლობელსა და ფლობის ობიექტს შორის ურთიერთობას ამყარებს. განიხილეთ შემდეგი წინადადებები:

(1) *Bertram owns this castle.*

(2) *This castle belongs to Bertram.*

(1) ბერტრამი ამ ციხე-სიმაგრეს ფლობს.

(2) ეს ციხე-სიმაგრე ბერტრამს ეკუთვნის.

1. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამები თითოეული წინადადებისთვის.

2. უპასუხეთ თითოეულ ამ წინადადებასთან დაკავშირებულ კითხვებს:

(ა) რომელი დეტერმინერიანი ფრაზა უკავშირდება მფლობელის ცნებას? არის თუ არა ეს დეტერმინერიანი ფრაზა სუბიექტი, თუ დამატებაა? თუ დამატებაა, მაშინ რისი?

(ბ) რომელი დეტერმინერიანი ფრაზა გამოხატავს ფლობის საგანს? დეტერმინერიანი ფრაზაა იგი, თუ დამატებაა? თუ დამატებაა, რისი?

3. ამ ორი — *own* და *belong* ზმნის დამაკავშირებელი მახასიათებლები ისე გამოსახეთ, როგორც (63)-ე მაგალითში ზმნისთვის *describe* გავაკეთეთ, ან (67)–ში — ზმნებისთვის *wait* და *await* (გამოიყენეთ სახელწოდებები X მფლობელი და X ფლობის საგანი ამ ორი არგუმენტის იდენტიფიცირებისთვის)

4. რას გვეუბნება წინა კითხვის პასუხი პრედიკატის არგუმენტებთან და მათ სინტაქსურ რეალიზაციასთან დაკავშირებით?

4.2.2 მორფოლოგიურად გამოხატული ძირითადი დამოკიდებულებები

ახლა ორ ახალ დამოკიდებულებას დავეთმოთ ყურადღება, რომლებიც საკომპონენტო სტრუქტურის ხეში პოზიციებს შორის ურთიერთობას გამოხატავენ: ესენია **შეთანხმება** და **ბრუნვა**. ინგლისურ ენაში გადამწყვეტ როლს არც შეთანხმება ასრულებს და არც ბრუნვა, თუმცა, ეს ორი მოვლენა ენაში მაინც არსებობს. სემანტიკური შერჩევისგან განსხვავებით, მათ მორფოლოგიური გამოხატულებებიც გააჩნია — როცა ურთიერთობა, ან დამოკიდებულება მორფოლოგიურად არის გამოხატული, მათ მონაწილე სიტყვებს კონკრეტული ფორმები გააჩნია, რომლებიც ერთმანეთზეა დამოკიდებული.

ბრუნვა

როცა, მე, პირველი პირი, წინადადებას *I saw Macbeth* წარმოვთქვამ, ამ დროს რაღაცას ჩემზე, საკუთარ თავზე, ამ წინადადების წარმომთქმელზე ვამბობ. ინგლისური ენის იმ სიტყვას, რომელიც „საკუთარი თავის“, ანუ „ახლა წარმომთქმელი წინადადების წარმომთქმელის“ იდეას გადმოსცემს, ერთი საინტერესო თვისება აქვს: იმის მიხედვით, თუ სად დგას წინადადებაში, ფორმას იცვლის ხოლმე. პირველი პირის ამ ნაცვალსახელს შეუძლია *I*, *me* ან *my* ფორმები მიიღოს:

(73) a. <i>I saw Macbeth</i>	* <i>Me saw Macbeth</i>	* <i>My saw Macbeth</i>
b. <i>Macbeth saw me</i>	* <i>Macbeth saw I</i>	* <i>Macbeth saw my</i>
c. <i>Macbeth saw my</i>	* <i>Macbeth saw</i>	* <i>Macbeth saw me sister</i>
sister	I sister	

მეტიც, ამ ნაცვალსახელების ფორმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაშია განსაზღვრული. ამგვარი „ქცევა“ მხოლოდ *I* ნაცვალსახელს როდი ახასიათებს. ინგლისური ენის ნაცვალსახელთა სისტემაში ასეთი შემთხვევები ძალზე გავრცელებულია (*you, you, your; he, him, his; she, her, her; we, us, our; they, them, their*).

(73)–ში ნიმუშად მოყვანილი პარადიგმა ნაცვალსახელების „ქცევას“ და არასწორი ჩანაცვლებების სურათს სრულად ასახავს. *me* ან *my* ფორმების *I* ფორმით ჩანაცვლება გამართულ წინადადებას გაუმართავად (მიუღებლად) აქცევს. ეს, როგორც წესი, გარკვეული დამოკიდებულების არსებობას მოასწავებს, რომელიც ამგვარი ჩანაცვლებების შედეგად ირღვევა.

ლათინური გრამატიკიდან წარმომდგარი ამ ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვა არის *I*. *me* ფორმას ბრალდებითი ბრუნვა ეწოდება, *my* ფორმას — ნათესაობითი ბრუნვა. ზოგადად, ნაცვალსახელი რამდენიმე ბრუნვაში შეიძლება იდგეს: სახელობითში, ბრალდებითსა და ნათესაობითში.

ცხრილი 4.1 ინგლისური ნაცვალსახელები

სახელობითი	ბრალდებითი (აკუზატივი)	ნათესაობითი (გენეტივი)
<i>I</i> (მე)	<i>me</i>	<i>my</i>
<i>You</i> (შენ)	<i>you</i>	<i>your</i>
<i>he</i> (ის.მამრ)	<i>him</i>	<i>his</i>
<i>she</i> (ის.მდედრ)	<i>her</i>	<i>her</i>
<i>we</i> (ჩვენ)	<i>us</i>	<i>our</i>
<i>they</i> (ისინი)	<i>them</i>	<i>their</i>

ამგვარად, ვიღებთ ინგლისური ნაცვალსახელების ისეთ ცხრილს, როგორც 4.1-ში გვაქვს მოყვანილი. როგორც (73)-ე მაგალითი გვიჩვენებს, დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ნაცვალსახელის ბრუნვასა და იმ პოზიციას შორის, რომელსაც წინადადებაში ეს ნაცვალსახელი იკავებს. ასეთ მარტივ წინადადებაში ბრუნვის დამოკიდებულება, ანუ **ბრუნვის მინიჭების წესები** შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

(74) **ნაცვალსახელებისთვის ბრუნვის მინიჭების წესები**

სუბიექტის პოზიციაში მდგომი ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაში

უნდა იდგეს

დამატების პოზიციაში მდგომი ნაცვალსახელი ბრალდებით ბრუნვაში

უნდა იდგეს

კუთვნილების აღმნიშვნელი ნაცვალსახელი ნათესაობით ბრუნვაში

უნდა იდგეს

თუ ბრუნვის დამოკიდებულებას უფრო დაკვირვებით განვიხილავთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მისი განმსაზღვრელი წესი უფრო კომპლექსური ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს. ახლა ქვემოთ, ნიმუშად მოყვანილი გამუქებული წინადადებები ერთმანეთს შედარეთ:

(75) ა. **I will describe Dunsinane Forest.**

ბ. **Ophelia hoped for me to describe Dunsinane Forest.**

ა. მე დანსინანის ტყეს აღვწერ.

ბ. ოფელიას იმედი ჰქონდა, რომ მე დანსინანის ტყეს აღვწერ.

გაიხსენეთ ჩვენი ადრინდელი დასკვნა, რომ ზმნის *describe* აგენტი ამ ზმნის სუბიექტად რეალიზდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე ნაცვალსახელი: *I* პირველ წინადადებაში, და *me* მეორეში თავ-თავიანთ წინადადებებში სუბიექტებია. ორივე შემთხვევაში სუბიექტი პირველი პირის ნაცვალსახელია, თუმცა პირველი წინადადების სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო მეორისა — ბრალდებითი. ეს კი იმას მოწმობს, რომ (74) -ში ჩამოყალიბებული წესები მცდარია. აქ გადამწყვეტი ფაქტორი, დროიანი წინადადების სუბიექტთან გვაქვს საქმე, თუ ინფინიტივური წინადადების სუბიექტთან. დროიანი წინადადების სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო უდროოსი — ბრალდებითი. ახლა წინა თავის მასალიდან გავიხსენოთ (ამ საკითხებზე მომდევნო თავშიც ვიმსჯელებთ), რომ წინადადების დროიანობა – უდროობასთან დაკავშირებული მახასიათებელი - დრ. — კვანძით აღინიშნება, რაც იმას მოწმობს, რომ სახელობითი ბრუნვის მინიჭებისას რეალურად სუბიექტებსა და დრ. (დროითი) კვანძის შემადგენლობას შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს.

რაც შეეხება ბრუნვის გამოხატვას მორფოლოგიური აფიქსებით, ამ თვალსაზრისით ბევრი ენა, მათ შორის, არაბული, ჩინური, ინგლისური ან სუაჰილი შედარებით მწირია. ზოგიერთ ენაში კი, ისეთებში, როგორცაა გერმანული, უნგრული, რუსული ბრუნვის ნიშნები მეტი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი, ზოგიც, მაგალითად, ლათინური ან ფინური ბრუნვათა მორფოლოგიური საშუალებებით გამოსახვის, ან ბრუნვის ნიშანთა მეტობის მხრივ გამოირჩევა (სხვა ენებთან დაკავშირებული მასალა მე-2 თავში იხილეთ).

გერმანულ ენას ნომინატივური (სახელობითი), აკუზატივური (ბრალდებითი), გენეტივური (ნათესაობითი) და დატივური (მიცემითი) ბრუნვები აქვს. ბრუნვის მინიჭებასთან დაკავშირებული მისი წესები უფრო რთულია: დამატების პოზიციაში მდგომი ნაცვალსახელი გერმანულში შეიძლება ბრალდებითშიც იდგეს და მიცემითშიც, იმის მიხედვით, თუ რის დამატებებია ისინი. ინგლისურ ენაში თანდებულის ის დამატება,

რომელიც ნაცვალსახელით არის წარმოდგენილი, ყოველთვის ბრალდებით ბრუნვაში დგას (*for him, with them, against me* და ასე შემდეგ). გერმანულში *mit* და *aus* თანდებულების (- *mit* თანდებულს ქართულ - თან -ის მნიშვნელობა აქვს, *aus* — დან თანდებულს შეესატყვისება) ნომინალური დამატება დატივში, ანუ მიცემითში უნდა იდგეს (*mit mir* — „ჩვენთან ერთად“), მაშინ, როცა *gegen* თანდებულის (რაც ნიშნავს „წინააღმდეგ“, „საპირისპიროდ“. შესაბამება ინგლისურ თანდებულს *against*) ნომინალური დამატება ბრალდებით ბრუნვაში დგება (*gegen mich* — ჩემს წინააღმდეგ; *mich* ბრალდებით ბრუნვაშია).

ლათინური გერმანული ენისგან მხოლოდ იმით კი არ განსხვავდება, რომ მასზე მეტი ბრუნვა აქვს — ლათინურ ენაში ბრუნვის ნიშნები ყველა სახელს ერთვის. აქ სახელები უღლების თავისებურებათა მიხედვით ხუთ ძირითად ჯგუფად იყოფა, რომელთაც **დეკლინაციები** ეწოდებათ. პირველ ასეთ ჯგუფში გაერთიანებული სახელები 4.2 ცხრილში მოყვანილ ბრუნების წესს მისდევს. (75)-ში აღწერილი ვითარებაც ორივე, ლათინური და გერმანული ენებისთვის არის დამახასიათებელი. თანდებულის დამატებას ორივე ენაში აკუზატივი ან დატივი ენიჭება, იმის მიხედვით, თუ რომელი თანდებულის დამატებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრუნვის მინიჭების წესი თანდებულსა და დეტერმინერიანი ფრაზით გამოხატულ მის დამატებას შორის დამოკიდებულებას გამოხატავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს მიერ განხილული ენების შემთხვევაში ბრუნვის მინიჭების წესები დაახლოებით ასე უნდა ჩამოყალიბდეს:

(76) დეტერმინერიანი ფრაზისთვის ბრუნვის მინიჭების წესები

დროიანი წინადადების სუბიექტი სახელობით ბრუნვაში უნდა იდგეს
 ზმნის დამატება ბრალდებით ბრუნვაში უნდა იდგეს
 თანდებულის დამატება ბრალდებით (აკუზატივი), მიცემით
 (დატივი) ან მოქმედებით (აბლატივი) ბრუნვაში უნდა იდგეს
 (ენას და თანდებულს გააჩნია)

ასეა თუ ისე, ეს წესები გერმანულის, ან ლათინურის შემთხვევაში ყოვლისმომცველი ვერ იქნება, მაგრამ ბრუნვითი დამოკიდებულების ზოგად ბუნებაზე წარმოდგენას მაინც შეგიქმნით. ბრუნვის მინიჭების წესები სხვა ენებში ამის მსგავსი იქნება და ზოგადი მოხაზულობით (76) -ში მოყვანილ წესებს გაიმეორებს. ეს წესები განსაზღვრავენ ურთიერთობას დეტერმინერიან ფრაზებსა და ზოგიერთ ისეთ კატეგორიას შორის, როგორიცაა გრამატიკული დრო, ზმნები, სახელები, თანდებულები, რომლებიც ამ დეტერმინერიან ფრაზებს სუბიექტებად ან დამატებებად ირჩევენ. ბრუნვის მორფოლოგია დეტერმინერიანი ფრაზის ზოგიერთ ელემენტს (მაგალითად, სახელს) ისეთ გრამატიკულ ურთიერთობაში აქცევს, როგორიც დეტერმინერიან ფრაზას წინადადების რომელიმე სხვა კატეგორიასთან აქვს.

შეთანხმება

შეთანხმება დამოკიდებულების ერთ-ერთი სახეა, რომლის შემცველ ნიმუშებს ზემოთ უკვე გავეცანით, მაგრამ მათ აქ კიდევ ერთხელ მოვიტანთ:

(77) ა. The fairies do not like witchcraft → * The fairies **does not** like witchcraft at all

ბ. The fairies do not like witchcraft → * The fairy do not like witchcraft

ა. ფერიებს ჯადოსნობა არ მოსწონთ — ფერიებს ჯადოსნობა სულ არ მოსწონს. (რიცხვში შეუთანხმებლობა)

ბ. ფერიებს ჯადოსნობა არ მოსწონთ — ფერიას ჯადოსნობა არ მოსწონთ. (რიცხვში შეუთანხმებლობა)

ცხრილი 4.2 ლათინური ენის ბრუნების სისტემა

სახელის უმცველი დფ-ს	სუბიექტი	ადრესატი	ზმნის დამატება	სახელის დამატება	თან. დამატება	თან. დამატება
ბრუნვის დასახელება	სახელობითი	ნოდებითი	ბრალდებითი	ნათესაობითი	მიცემითი	მოქმედებითი
მხოლოდითი რიცხვი	rosa	rosa	rosam	rosae	rosae	rosa
მრავლობითი რიცხვი	rosae	rosae	rosas	rosarum	rosis	rosis

ცხრილი 4.3 ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენის ბრუნვები

	ინგლისური		გერმანული		ფრანგული	
	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.	მხოლ.	მრავლ.
I პირი	I	we	ich	wir	je	nous
II პირი	you	you	du	ihr	tu	vous
III პირი ადამიანთა	მამრ. he	they	er	sie	il	ils
	მდედრ. she		they	sie	sie	elle
elles					il	ils
	არა-ადამიანთა მამრ.					ils
	მდედრ.					elle elles
	ნეიტრალური it	they	es	sie		
	(ანუ საშუალო)					

does დამხმარე ზმნით *do*-ს შეცვლა (77ა) მაგალითში გრამატიკულ გაუმართაობას იწვევს. ამის მსგავსად, (77ბ)-ში სახელის *fairies* ჩანაცვლება მისი მხოლოდითი რიცხვის ფორმით — *fairy* შედეგად აგრეთვე გაუმართაობას გვაძლევს. როგორც ადრე ვნახეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამგვარი ჩანაცვლება გრამატიკული ორგანიზების გარკვეულ მახასიათებლებს არღვევს: ეს მახასიათებელი — შეთანხმება შეიძლება შემდეგნაირად აღინეროს.

ენები ხშირად ერთმანეთისგან დეტერმინერიანი ფრაზების თვალსაზრისითაც — მათი პირის, რიცხვის, სქესის ან სხვა მახასიათებლების (ადამიანია თუ არა სახელი, სულიერია თუ უსულო და ასე შემდეგ) მიხედვითაც განსხვავდება. ეს სხვაობები ძალიან ხშირად ენის ნაცვალსახელთა სისტემაში ვლინდება. ცხრილი 4.3 ამ სხვაობებს ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების სახელობით ბრუნვაში მდგომი ნაცვალსახელების მაგალითზე გვიჩვენებს. ზმნის ფორმა მგრძნობიარეა იმ დეტერმინერიანი ფრაზის რაგვარობის მიმართ, რომელსაც სუბიექტად ირჩევს. ინგლისურ ენაში თუ ზმნის სუბიექტი მესამე პირის მხოლოდით რიცხვში დგას, ანმყო დროის ზმნა გარკვეულ დაბოლოებას იღებს — ბოლოში *-s* სუფიქსს ირთავს (რა თქმა უნდა, თუ შეუძლია; თუ ამ სუფიქსის დართვა არ შეუძლია, როგორც მაგალითად, დამხმარე ზმნას *will*, ასეთ შემთხვევაში უცვლელი რჩება). (77)-ე მაგალითში *do* ზმნის *does* ფორმა მხოლოდ მაშინ იხმარება, თუ ზმნის სუბიექტი მხოლოდით რიცხვში დგას (კერძოდ, მესამე პირის მხოლოდითში), ხოლო *do* ფორმა კი იმ დანარჩენ შემთხვევებში, როცა სუბიექტი მესამე პირის მხოლოდითში არ არის. ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი ეს საშეთანხმებო დამოკიდებულება ნესადაც შეგვიძლია ვაქციოთ:

(78) სუბიექტისა და ზმნის შეთანხმების წესი

ანმყო დროის ზმნამ ინგლისურ ენაში საკუთარი სუბიექტი უნდა შეითანხმოს.

შეთანხმება მხოლოდ სუბიექტი/ზმნის წყვილით როდი ამოიწურება. ინგლისურში ერთმანეთს დეტერმინერი და სახელიც ეთანხმება. ამის ილუსტრირება *this*, *that*, *these*, *those* ჩვენებითი ნაცვალსახელების მაგალითზეც შეიძლება — მაგალითად, გვაქვს პარადიგმა **these book*, **this books*, *these books*: ორივე — სახელიცა და მისი

ჩვენებითი დეტერმინერიც ერთდროულად უნდა იდგეს მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში.

როცა საქმე შეთანხმებას შეეხება, ინგლისური ზოგიერთ სხვა ენასთან შედარებით უფრო მწირად გამოიყურება (ისევე, როგორც ბრუნვის ნიშნების შემთხვევაში). სუბიექტის და ზმნის შეთანხმება ხილული მხოლოდ ანმყო დროში, მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში ხდება. სხვა ენებს შეთანხმების უფრო ექსტენსიური სისტემები გააჩნიათ.

ფრანგულ და ესპანურ ენებში ზმნა და სუბიექტი ერთმანეთს ყველა პირში, რიცხვსა და დროში შეეთანხმება. სახელები საკუთარ დეტერმინერებს რიცხვსა და სქესში ეთანხმება. ისინი სახელსა და სქესში ეთანხმებიან იმ ზედსართავებსაც, რომლებიც მათ მოდიფიცირებას ახდენს. გერმანულ ენაში სახელები და დეტერმინერები ერთმანეთს მხოლოდ რიცხვსა და სქესში კი არა, ბრუნვაშიც ეთანხმება. ზოგიერთ ენას შეთანხმების მეტად ექსტენსიური სისტემა აქვს, როგორც, მაგალითად, ბანტუს ბევრ ენას, რომელთაც მხოლოდ ორი კი არა, ხშირად ათიდან ოცამდე გრამატიკული სქესი გააჩნია. ბანტუს ამ ენებში ზმნა თავის სუბიექტს სქესში ყველა გრამატიკულ დროში ეთანხმება, ხოლო ზედსართავები და დეტერმინერები მათ მიერ მოდიფიცირებულ სახელებს ეთანხმებიან.

ზემოთ განხილული ბრუნვითი დამოკიდებულების გარდა შეთანხმების მორფოლოგია ელემენტთა წყვილებს მოიცავს (როგორიცაა სუბიექტი/ზმნა ან სახელი/ზედსართავი), რაც იმას მოწმობს, რომ ეს ორი ელემენტი ერთმანეთთან გარკვეულ გრამატიკულ დამოკიდებულებაში იმყოფება.

4.2.3 დაშორებული დამოკიდებულებები: გადანაცვლება

თქვენ დამოკიდებულების ოთხ ძირითად სახეობას გაცნობთ: სემანტიკურ შერჩევას, კატეგორიათა შერჩევას, ბრუნვას და შეთანხმებას. მოდით, ახლა ისინი იმისთვის გამოვიყენოთ, რომ გრამატიკულ სტრუქტურაში უფრო ღრმად შევალწიოთ. ჯერ გავიხსენოთ, როგორ მოქმედებს ეს დამოკიდებულებები:

(79) ძირითადი დამოკიდებულებები

ა. სემანტიკური შერჩევის ძირითადი სახეობა

ზმნა სემანტიკური შერჩევის მეშვეობით ირჩევს თავის სუბიექტსა და დამატებებს (თუკი ასეთი გააჩნია): ზმნა მოითხოვს, რომ მისმა სუბიექტმა ან დამატებამ (დამატებებმა) მასთან გარკვეული შინაარსობრივი კომბინაციები შექმნას.

ბ. კატეგორიათა შერჩევის ძირითადი სახეობა

ზმნა კატეგორიათა შერჩევის მეშვეობით ირჩევს საკუთარ დამატებას (დამატებებს): ზმნა მოითხოვს, რომ მისი დამატება კონკრეტული კატეგორიების წევრი იყოს.

გ. ბრუნვასთან დაკავშირებული ძირითადი წესები ინგლისური

ენისთვის (კერძოდ, ნომინატივისა და აკუსატივისათვის): დროიანი წინადადების (კლაუზულის) სუბიექტი სახელობით ბრუნვაში უნდა იდგეს.

ზმნის დამატება, რომელიც დეტერმინერიანი ფრაზით არის წარმოდგენილი და მისი სუბიექტი ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდეს.

დ. შეთანხმების ძირითადი სახეობის (სუბიექტი ზმნა) წესი ინგლისური ენისათვის:

ზმნა და მისი სუბიექტი აწმყო დროში ერთმანეთს
უნდა ეთანხმებოდეს.

დამოკიდებულებათა ამ ძირითად სახეობებს ახლა იმისთვის გამოვიყენებთ, რომ *wh* კომპლექსზე დაწყებული კითხვითი წინადადებები გამოვიკვლიოთ.

ასეთი რამ წარმოვიდგინოთ: მაკბეტმა რომელიღაც ტყე აღწერა. ახლა მსურს ვიცოდე, რომელი ტყე აღწერა მაკბეტმა. შემოძლია დავსვა კითხვა:

(80) What forest did Macbeth describe?

რომელი ტყე აღწერა მაკბეტმა?

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ არის ერთი ბავშვი, სახელად კალვინი, რომელიც დაუსრულებლად ნამცხვრებს მიირთმევს. მე მაინტერესებს, მიხვდება თუ არა რომელიმე ჩემი ნაცნობი, რომელია ეს ბავშვი? კითხვას ასე ვსვამ:

(81) Which child do you think eats all the cookies?

რომელი ბავშვია, შენი აზრით, ყველა

ნამცხვარს რომ მიირთმევს?

ამგვარი წინადადებების არსებობა ძირითადი დამოკიდებულებების ჩვენს მიერ აქამდე მოყვანილ დახასიათებას ეჭვქვეშ აყენებს.

მაგალით (80) -ში პრობლემა ის არის, რომ *describe* ზმნა, როგორც წესი ისეთ პირდაპირ ობიექტს ირჩევს, რომელსაც სემანტიკური შერჩევის (იგი ინტერპრეტირებულია როგორც მისი თემის (თემატური) არგუმენტი) თუ კატეგორიათა შერჩევის ძალით (იგი დეტერმინირიანი ფრაზა უნდა იყოს, რომელიც, როგორც ზმნის დფ დამატება, ბრალდებით ბრუნვაში დგება) ირჩევს. თუმცა, მაგალით (80) -ში *describe* ზმნას პირდაპირი ობიექტი არა აქვს.

(81) მაგალითში ასეთივე პრობლემა გვაქვს, ოღონდ ამჯერად ზმნა *eat*-თან დაკავშირებით: როგორც წესი, ეს ზმნა იმ სუბიექტს ირჩევს, რომელიც სემანტიკური შერჩევის გზით ერგება (მისი სუბიექტი ინტერპრეტირებულია, როგორც აგენტი-არგუმენტი, ანუ ის, ვინც ჭამს). ეს სუბიექტი სახელობით ბრუნვაში უნდა იდგეს და ზმნასთან შეთანხმებაში უნდა იმყოფებოდეს. თუმცა, მაგალით (81) -ში *eat* ზმნის სუბიექტი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, (ანუ, ამ შემთხვევაში, ზმნის წინ მდგომი დეტერმინირიანი ფრაზა) წინადადებას არ გააჩნია.

მაშინ, როდესაც (80) მაგალითში ზმნას, ჩვეული გაგებით, პირდაპირი ობიექტი აკლია, ამავე წინადადებაში არის დეტერმინირიანი ფრაზა, რომელიც ამ ობიექტის როლს კისრულობს, კერძოდ კი, დეტერმინირიანი ფრაზა *what forest*. სწორედ ასევე, (81) წინადადებას სუბიექტი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით თითქოს არც გააჩნია, მაგრამ არარსებული სუბიექტის როლს დეტერმინირიანი ფრაზა *which child* ასრულებს. ის ფაქტი, რომ დეტერმინირიანი ფრაზა *what forest* ზმნის *describe* დამატების როლს კისრულობს (ხოლო დეტერმინირიანი ფრაზა *which child* ზმნის *eat* სუბიექტის როლს ასრულებს) იმ დაკვირვებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ *describe* ზმნას ერთდროულად ჩვეულებრივი დამატება და ამ ტიპის დამატების ქონა არ შეუძლია:

(82) ა. Macbeth described Dunsinane Forest.

ბ. What forest did Macbeth describe?

გ. * What forest did Macbeth describe Dunsinane Forest?

ა. მაკბეტმა დანსინანის ტყე აღწერა.

ბ. რომელი ტყე აღწერა მაკბეტმა?

გ. რომელი ტყე აღწერა მაკბეტმა დანსინანის ტყე?

ასე იმიტომ ხდება, რომ *describe* ორადგილიანი პრედიკატია და მხოლოდ ერთი თემატური არგუმენტის არსებობის საშუალებას იძლევა. ამის გამო თემად მხოლოდ ერთი დეტერმინირიანი ფრაზის კვალიფიცირებაა შესაძლებელი. ამ, (82გ) წინადადებაში ამ თემის არგუმენტის ფუნქციისთვის ერთმანეთს ორი დეტერმინირიანი ფრაზა — *what forest* და *Dunsinane forest* ეპაექრება, რასაც შედეგად წინადადების გაუმართაობა მოყვება.

როგორც ვნახავთ, დეტერმინირიანი ფრაზა *what forest* მაგალით (80) -ში ისე ფუნქციონირებს, როგორც მოსალოდნელი იქნებოდა, იგი რომ *describe* ზმნის დამატებად ჩაგვეთვალა; სემანტიკური შერჩევას, კატეგორიათა შერჩევასა და ბრუნვას სწორედ ისეთი ზემოქმედება ექნებოდათ, როგორც ჩვეულებრივ. ამ ნიმუშის მსგავსად, დეტერმინირიანი ფრაზა *which child* (81) წინადადებაშიც ისე „იქცევა“, როგორც უნდა მოველოდეთ, თუ მას *eat* ზმნის სუბიექტად მივიჩნევთ. ამ შემთხვევაშიც, სემანტიკური შერჩევა, შეთანხმება და ბრუნვა დადგენილი წესებისამებრ მოახდენს ზემოქმედებას.

ძირითადი დამოკიდებულებები უფრო დაწვრილებით რომ გავარჩიოთ, უნდა ვაჩვენოთ, რომ ოთხივე მათგანი ისე მოქმედებს, როგორც ზემოთ აღწერილ ორ შემთხვევაში.

დავინყოთ (80) მაგალითში მოყვანილი სემანტიკური შერჩევის ნიმუშით. სემანტიკური შერჩევის წესის თანახმად, თუ ამ წინადადებაში დეტერმინირიანი ფრაზა *that forest* მოქმედებს, როგორც *describe* ზმნის დამატება, მაშინ იგი მისი თემის არგუმენტად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, ანუ იმად, რაც აღინერება — აღწერის საგნად. *wh* კომპლექსზე დაწყებული კითხვითი წინადადება გარკვეულ სირთულეს ბადებს — ამ ობიექტის იდენტობა, რაობა დაუდგენელია, კითხვა სწორედ ამის გასარკვევად არის დასმული და ამის გამო ვერც ჩვენ ვიტყვით, რომ ის, რაც აღწერეს (მაკბეტმა) არის *“what forest”* („რომელი ტყე“). თუმცა, (80) -ის წინადადების პერიფრაზირება შემდეგი წინადადებითაც შეგვიძლია: *“Macbeth described some forest, which one?”* („მაკბეტმა ერთი (რომელიღაც) ტყე აღწერა, რომელი?“) ამ წინადადებაში ვხედავთ, რომ თემის არგუმენტი, როგორც მოსალოდნელია, ტყეს უიგივდება და არა აღმწერს, ან რომელიმე მესამე ერთეულს. შეგვიძლია, მხარი დაუჭიროთ იმ დასკვნას, რომ წინადადების თავში განთავსებული კითხვითი ფრაზა დამატებად შეიძლება შეფასდეს. ამაში შეიძლება ისეთი იდიომის გამოყენება დაგვეხმაროს, როგორიც *lend assistance* იყო. გაიხსენეთ: სემანტიკური შერჩევა ამ შემთხვევაში იმდენად მჭიდროა, რომ *help* (დახმარება) ზმნის მნიშვნელობის მისაღებად ერთდროულად გვიხდება *lend* ზმნის გამოყენებაც და სახელის *assistance* ხმარებაც მის დამატებად. შემდეგი მაგალითები იმ თვალსაზრისს გვიმტკიცებენ, რომლის დასაბუთებასაც ვცდილობთ:

(83). a. Macbeth lent much assistance to the victims.

b. How much assistance did Macbeth lend to the victims?

ა. მაკბეტმა დაზარალებულებს დიდი დახმარება გაუწია.

ბ. რამდენად დიდი დახმარება გაუწია მაკბეტმა დაზარალებულებს?

ის ფაქტი, რომ განსახილველ დეტერმინირიან ფრაზას სახელად სიტყვა *assistance* აქვს, ხოლო მისი ხმარების შედეგად იმავე მნიშვნელობას ვიღებთ, რაც წინადადებას *How much did Macbeth help the victims* გააჩნია, იმაზე მეტყველებს, რომ ეს დეტერმინირიანი ფრაზა სემანტიკური შერჩევის გზით ნამდვილად *lend* ზმნის მიერ არის შერჩეული.

ამგვარი დასაბუთება ამგვარსავე დასკვნამდე მიგვიყვანს *eat* ზმნის მიერ სემანტიკური შერჩევით არჩეული ფრაზის *which child* შემთხვევაშიც (მაგალითი (81)).

ახლა კი შეგვიძლია იმის ილუსტრირება, თუ როგორ ზემოქმედებს შეთანხმება (81) მაგალითის შემთხვევაში. თუ სახელიანი ფრაზა *which child* (81) წინადადებაში *eat* ზმნის სუბიექტია, უნდა მოველოდეთ, რომ იგი *eat* ზმნასთან იქნება შეთანხმებული. ინგლისურ ენაში ზმნასა და სუბიექტს შორის არსებული შეთანხმების ნესის მიხედვით, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, განსახილველი დეტერმინერიანი ფრაზის რიცხვსა და ზმნის ფორმას შორის გარკვეული დამოკიდებულების ხილვას უნდა მოველოდეთ. ახლა ვნახოთ, რა მოხდება, როცა დეტერმინერიან ფრაზას *what child* შევცვლით. ეს მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში მდგომი დეტერმინერიანი ფრაზაა. მას სხვა, მრავლობითი რიცხვის მესამე პირში მდგომი დეტერმინერიანი ფრაზით *which children* ჩავანაცვლებთ:

- (84) ა. Which child do you think eats all the cookies?
- ბ. *Which children do you think eats all the cookies?
- გ. Which children do you think eat all the cookies?
- დ. * Which child do you think eat all the cookies?
- ა. რომელი ბავშვი ჭამს, შენი აზრით, ყველა ნამცხვარს?
- ბ. *რომელი ბავშვები ჭამს, შენი აზრით, ყველა ნამცხვარს?
- გ. რომელი ბავშვები ჭამენ, შენი აზრით, ყველა ნამცხვარს?
- დ. *რომელი ბავშვი ჭამენ, შენი აზრით, ყველა ნამცხვარს?

გამართულია მხოლოდ ისეთი ფორმები, რომლებშიც *eat* ზმნა და განსახილველი დეტერმინერიანი ფრაზა ერთამენთან არის შეთანხმებული. ახლა იმის ილუსტრირება მოვახდინოთ, როგორ ზემოქმედებს ბრუნვის ნიშანი გერმანულ ენაში შეთანხმებაზე. როგორც ადრე ვთქვით, გერმანულ ენაში ოთხი ბრუნვაა და გაცილებით მეტი ბრუნვის ნიშანი, ვიდრე ინგლისურში. გერმანულში ისეთი კითხვითი სიტყვები, რომლებიც ინგლისურში *wh* კომპლექსით იწყება, როგორიცაა *who*, *what* და ასე შემდეგ, სხვადასხვა ბრუნვაში დგას. ცხრილი 4.5 ამ პარადიგმის ნიმუშებს გვთავაზობს. ზმნა *sehen* („ხედვა, დანახვა“) მოითხოვს, რომ დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილი მისი დამატება ბრალდებით ბრუნვაში იდგეს. როგორც ცხრილშია მითითებული, მასთან მხოლოდ მამრობითი სქესის *Ihn* ნაცვალსახელის ხმარებაა შესაძლებელი. *wh* კომპლექსით დაწყებული კითხვების შემთხვევაშიც იგივე მახასიათებელი აღინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ *sehen* ზმნის დამატების პოზიციაში *wh* კომპლექსით დაწყებული კითხვითი სიტყვა არ გვხვდება, ამგვარი სიტყვის მხოლოდ *wen* აკუზატივური ფორმის ხმარება დასაშვებია:

- (85) ა. Du Hast ihn / *er / * ihm gesehen
შენ გაქვს (გყავს) იგი-აკუზატივი /იგი/ იგი –დატივი ნანახი.
- ბ. Wen / * Wer / * Wem glaubst du

ცხრილი 4.5 გერმანული ენის ბრუნვის ნიშნები

	ნომინატივი	აკუზატივი	დატივი	გენტივი
მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის მამრობითი სქესის ნაცვალსახელები	er(ის)	ihn(ის, მას)	ihm(მას)	sein(მისი)
მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის მდედრობითი სქესის ნაცვალსახელები	sie(ის)	sie(ის, მას)	sie(მას)	ihr(მისი)
მხოლოდითი რიცხვი მდგარი კითხვითი სიტყვები (ადამიანის შესატყვისი)	wer(ვინ)	wen(ვინ, ვის)	wem(ვის)	wessen(ვისი)

ვინ-აკუზატივი ვინ-ნომინატივი ვინ-დატივი გგონია შენ

dass du gesehen hast?

რომ შენ ნანახი (გაქვს) გყავს?

შენი აზრით, ვინ ნახე? = ვინაა, შენი აზრით ის, ვინც ნახე?

დასკენის სახით უნდა ითქვას, რომ კითხვით სიტყვებზე დანყებული ეს ფრაზები (რომელთაც ინგლისურ ენაში *wh* კომპლექსზე დანყებული სიტყვები შეესატყვისება) მართალია, არც სუბიექტებად მიიჩნევიან და არც დამატებებად, მაგრამ ამ ძირითადი დამოკიდებულებების თვალსაზრისით ისე ფუნქციონირებენ, როგორც სუბიექტები და დამატებები. ამ ელემენტებს **გადანაცვლებულ ან დაშორებულ** სუბიექტებად და **გადანაცვლებულ ან დაშორებულ** დამატებებად მოვისხენიებთ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ოთხი ძირითადი დამოკიდებულების თვალსაზრისით, რომელიმე კონკრეტული ზმნის სუბიექტებივით ან დამატებებივით „იქცევიან“, ამ ზმნების სუბიექტების ან დამატებების პოზიციაში არ დგანან.

ზმნებსა და დაშორებულ სუბიექტებსა თუ დამატებებს შორის დამოკიდებულებათა ოთხი ახალი ტიპის არსებობა იკვეთება:

- ა. დაშორებული სუბიექტებისა და დამატებების სემანტიკური შერჩევა.
- ბ. დაშორებული დამატებების საკატეგორიო (კატეგორიათა) შერჩევა.
- გ. დაშორებულ სუბიექტებთან შეთანხმება.
- დ. დაშორებული სუბიექტებისა და დამატებებისთვის ბრუნვის მინიჭება.

ამ ახალი დამოკიდებულებების ფუნქციონირება თვალსაჩინოდ რომ ვაჩვენოთ, ოთხი ახალი წესის ჩამოყალიბება მოგვიხდება, რომლებიც თავდაპირველ წესებზე იქნება დაფუძნებული, მაგრამ ახალ წესებში სუბიექტი ყველგან დაშორებული სუბიექტით იქნება ჩანაცვლებული, დამატება კი — ყველგან დაშორებული დამატებით.

(86) დაშორებული დამოკიდებულებები

ა. დაშორებული სემანტიკური შერჩევა

ზმნა სემანტიკური შერჩევის გზით ირჩევს თავის დაშორებულ სუბიექტსა და დაშორებულ დამატებებს (თუკი ასეთი გააჩნია): ზმნა საკუთარი დაშორებული სუბიექტისა და დამატებისგან (დამატებებისგან) მოითხოვს, რომ ისინი მასთან გარკვეულ შინაარსობრივ კომბინაციაში იყოს შერწყმული.

ბ. დაშორებული საკატეგორიო (კატეგორიათა) შერჩევა

ზმნა კატეგორიათა შერჩევის გზით ირჩევს თავის დაშორებულ დამატებებს (დამატებებს); იგი მოითხოვს, რომ ეს დამატებები კონკრეტულ კატეგორიებს მიეკუთვნებოდეს.

გ. დაშორებული ბრუნვის წესები

დროიანი წინადადების (კლაუზულის) დაშორებული სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას.

ზმნის დაშორებული დამატება ბრალდებით ბრუნვაში დგას.

დ. დაშორებული შეთანხმების (სუბიექტსა და ზმნას შორის) წესები

ანმყო დროში მდგომი ზმნა და მისი დაშორებული სუბიექტი ინგლისურ ენაში ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდეს.

ამ წესებში ადრინდელი სიტყვა „ძირითადის“ მაგივრად სიტყვა „დაშორებული“ ჩნდება, ვინაიდან ეს ახალი წესები დაშორებულ, ანუ გადანაცვლებულ სუბიექტებსა და დამატებებს უკავშირდება. იმის მიუხედავად, რომ მათი მეშვეობით ის სინტაქსური დამოკიდებულებები განისაზღვრება, რომლებიც წინადადებაში ზოგიერთ ფრაზასა

და ზმნას შორის არსებობს, ახალი წესები არ მოითხოვს, რომ ეს ფრაზები და ზმნები ერთსა და იმავე კლაუზულაში იყოს მოქცეული.

როგორც ძირითად, ისე დაშორებულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებული წესები დაკვირვებების შედეგად გამოვლენილ ფაქტებს თითქოს ადექვატურად ასახავს. და მაინც, ისინი ერთ პრობლემას წარმოაჩენენ: ეს წესები თითქმის საყოველთაო ხასიათისაა, მაგრამ, ყოვლისმომცველი მაინც არ არის. მდგომარეობა იმით უარესდება, რომ ძირითადი და დაშორებული დამოკიდებულებების წესები დამატებითი შემთხვევებისთვისაა განკუთვნილი: მაგალითად, ზმნისა და გარკვეული დეტერმინერიანი ფრაზის წყვილისთვის, ძირითადი დამოკიდებულის წესისათვის, ან დაშორებული დამოკიდებულის წესისათვის, მაგრამ ორივეს ერთად ვერ მოიცავს. ეს იმის გამო ხდება, რომ ზმნას სუბიექტი და დაშორებული სუბიექტი, ან პირდაპირი ობიექტი და დაშორებული პირდაპირი ობიექტი ერთდროულად ვერ ექნება. მაგალითად, თუ სუბიექტისა და ზმნის შეთანხმების ძირითადი სახეობის მომცველი წესი მიესადაგება სუბიექტისა და ზმნის წყვილს, სუბიექტისა და ზმნის შეთანხმების დაშორებული სახეობის წესი იმავე ზმნას ველარ მოიცავს, ვინაიდან შეუძლებელია, ზმნას ერთდროულად გააჩნდეს სუბიექტი და დაშორებული სუბიექტი. ასეთი დაკვირვება მოწმობს, რომ ყოვლისმომცველი წესის შესაქმნელად რაღაც უფრო ღრმა კანონზომიერება გვაკლია, კერძოდ კი ისეთი, რომლის თანახმად მხოლოდ ერთი სახის დამოკიდებულება — სემანტიკური შერჩევა არსებობს, მაგრამ იგი ან სუბიექტებს მიესადაგება, ან დაშორებულ სუბიექტებს.

ამ პრობლემის გადასაჭრელად და უფრო ღრმა კანონზომიერების მისაგნებად ჯერ ის უნდა გავიხსენოთ, რომ *wh* კომპლექსით დაწყებულ კითხვებში დაშორებული ყველა კომპონენტი *wh* კომპლექსით დაწყებული ფრაზებია, ანუ ყოველი მათგანი *wh* კომპლექსით დაწყებულ სიტყვას (*who, what, which, where, when, why* და ასე შემდეგ) შეიცავს. წარმოვიდგინოთ, რომ დაშორებულ *wh*-სუბიექტს ან *wh*-დამატებას ჩვეულებრივ სუბიექტად ან დამატებად მივიჩნევთ, რომლებიც დაშორებულ კომპონენტებად გარკვეული წესის მიხედვით იქცევიან. შევისწავლოთ ის პროცესი, რომელიც სუბიექტებს, დამატებებს და ა.შ. დაშორებით რეალიზების, ანუ *wh*-გადანაცვლების საშუალებას აძლევს.

(87) Wh-გადანაცვლება

Wh-გადანაცვლება ის პროცესია, რომლის მეშვეობითაც *wh*-კითხვიანი კომპონენტები (როგორცაა, მაგალითად, ისეთი *wh*-დეტერმინერიანი ფრაზები, რომლებიც ზმნის სუბიექტის და დამატებების როლში გვევლინება) დაშორებულ სუბიექტებად და დამატებებად რეალიზდება.

ჩანართი
4. 6

Wh-გადანაცვლება

ყველაფერი, რასაც სუბიექტებისა და დამატებების შესახებ ვამბობთ, სხვა ელემენტებს: თანდებულებიანი ფრაზებით წარმოდგენილ დამატებებს, ზმნიზედის ტიპის ელემენტებს და სხვებსაც მიესადაგება. როგორც ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები მოწმობს, *wh*-გადანაცვლებას ყოველი მათგანი ექვემდებარება:

- | | |
|--|--|
| თანდებულებიანი ფრაზა:
Othello | (I) Othello put it under the bed → Where did
put it? |
| ზმნიზედის ტიპის განსაზღვრება:
I) Macbeth behaved badly
have?
leave? | → How did Mac-
beth
(II) Banquo left yesterday → When did Banquo
leave? |

wh-გადანაცვლების პროცესის გამო დაშორებით რეალიზებულ სუბიექტს ან დამატებას, **wh-გადანაცვლებულ** სუბიექტს ან დამატებას უწოდებენ. მაგალითად, წინადადება (82ბ) –ის აღწერისას ქვემოთ მოყვანილი ორი საფეხურის მითითება იქნება საჭირო:

(88) ა. Macbeth described what forest

ბ. Macbeth described what forest

გ. What forest did Macbeth describe?

პირველ საფეხურზე *what forest, describe* ზმნის დამატება, დამატების ჩვეულ პოზიციაში დგას, როგორც (88ა) წინადადებაში. მეორე საფეხურზე, *wh*-გადანაცვლების ზემოქმედებით, ეს დამატება წინადადების თავდაპირველ პოზიციაში გადაადგილდება, როგორც ეს (88ბ) მაგალითშია ნაჩვენები და იმ ფორმას იღებს, რომელსაც (88გ)-ში ვხედავთ.

wh-გადანაცვლების ამ წესზე დაყრდნობით შეგვიძლია ძირითადი და დაშორებული დამოკიდებულების წესთა მომცველობის არეალი გამოვკვეთოთ და ამ დამოკიდებულებათა სისტემა შემდეგი ფორმულირებების მეშვეობით გავამარტივოთ:

ა. (79) –ში ჩამოყალიბებული ფორმულირებები სწორია.

ბ. ეს ძირითადი დამოკიდებულებები მხოლოდ ჩვეულებრივ სუბიექტებს ესადაგება და დამატებებს, **სანამ *wh*-გადანაცვლებას ექნება ადგილი.**

ამგვარი მიდგომის უპირატესობა აშკარად ჩანს — ჩვენ სრულად გამოვააშკარავთ შეუსაბამობა ძირითად და დაშორებულ დამოკიდებულებათა წესებს შორის. დაშორებული დამატება იმ ჩვეულებრივ დამატებად ითვლება, რომელიც დაშორებულ დამატებად არის ნაცქევი, ანუ რომელიც ძირითადი დამოკიდებულებების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ *wh*-გადანაცვლებას დაექვემდებარა. ამ პროცედურის თვალსაჩინო სქემას ქვემოთ იხილავთ:

(89) ა. Macbeth describe what forest ← ამ წინადადებაში არსებულ ძირითად

დამოკიდებულებათა:
სემანტიკური შერჩევის,
კატეგორიათა შერჩევის,
შეთანხმების, ბრუნვის
მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

wh-გადანაცვლების ზემოქმედება (*wh*-კომპლექსით დანაცვლებულ ფრაზაზე *what forest*)

ბ. What forest did Macbeth describe?

(89ა) –ში ძირითადი დამოკიდებულებების მოთხოვნები იქამდეა დაკმაყოფილებული, სანამ წინადადება *wh*-გადანაცვლების ზემოქმედებას განიცდიდა. ყურადღება მიაკციეთ: როდესაც წინადადებაზე *wh*-გადანაცვლება ზემოქმედებს, *did* დამხმარე ზმნა სუბიექტის წინ დგება. მომდევნო თავში სწორედ იმას შევიტყობთ, თუ როგორ ხდება ეს. ორი წინადადება: (89ა) და (89ბ) ერთმანეთს *wh*-გადანაცვლების ოპერაციით უკავშირდება. (89ა) წინადადების სტრუქტურა (იგივე ხისებრი აგებულება) **განმსაზღვრელ სტრუქტურად**, ან (89ბ) წინადადების **სიღრმისეულ სტრუქტურად** იწოდება, ხოლო

(89ბ) კი — (89ა) -ს **ზედაპირულ სტრუქტურად**. (89ბ) წინადადება (89ა) -დან არის წარმოდგარი *wh*-გადანაცვლების ოპერაციის მეშვეობით. (89) ღიაგრამაში მოყვანილი ფორმულირება სწორედ ამ **დერივაციის** ილუსტრირებას ახდენს.


Wh კომპლექსზე დაწყებული კითხვები სამეტყველო ენების ერთ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას ამჟღავნებს: სემანტიკური შერჩევა, კატეგორიათა შერჩევა, ბრუნვის ნიშნების დართვა თუ შეთანხმება (და ბევრი სხვა სახის დამოკიდებულება, რომლებიც აქ არ განგვიხილავს) შეიძლება დაკმაყოფილდეს ადგილობრივად ან დაშორებით, ანუ ლოკალური სუბიექტებით და დამატებებით ან იმ დაშორებული სუბიექტებისა და დამატებების მეშვეობით, რომლებიც დაშორებულები *wh*-გადანაცვლების ზემოქმედების შედეგად შეიქმნენ.

ჩვენს მიერ ამ თავში შემოტანილი *wh*-გადანაცვლების წესი ახალი სახის დამოკიდებულებას წარმოადგენს. მაგალითად, (89)-ე თვალსაჩინოებაში ამ დამოკიდებულებას ვხვდებით ზმნის *describe* ადგილობრივ დამატებასა და ამავე ზმნის დაშორებულ დამატებას შორის. სწორედ ასევე, (84ა) მაგალითში *eat* ზმნის ადგილობრივ სუბიექტსა და ამავე ზმნის დაშორებულ სუბიექტს შორის ზემოთხსენებული დამოკიდებულება გვაქვს და ასე შემდეგ.

ამ ახალ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით არაერთი კითხვა შეიძლება გაგვიჩნდეს. ჩვენ უკვე ვიცნობთ *wh*-გადანაცვლების ერთ მახასიათებელს. მისი ილუსტრირება იმ ფაქტის მეშვეობითაც შეიძლება, რომ ნებისმიერი სუბიექტი (ან დამატება) დაშორებულია, ან ადგილობრივი (ლოკალური). *wh*-გადანაცვლების ტერმინებში ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი თუ დამატება ან *wh*-გადანაცვლებულის მიერ არის ადგილნაცვალი, ან პირიქით — ადგილნაცვალი არ არის, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შეუძლებელია, რომ იგი ერთდროულად ექვემდებარებოდეს ან არ ექვემდებარებოდეს გადანაცვლებას. იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ ვახდენთ *wh*-გადანაცვლების არსის ფორმულირებას, შეგვიძლია ეს მოვლენა იდენტურ კატეგორიებს (ანუ ორ დეტერმინერიან ფრაზას, ორ ზმნიზედას, ორ თანდებულებიან ფრაზას და ასე შემდეგ) შორის არსებულ დამოკიდებულებად განვიხილოთ.

ახლა ორი კითხვა განვიხილოთ და მათ პასუხებს მსჯელობის პროცესში მოვიძიებთ.

1. სად გადანაცვლება *wh*-ადგილნაცვალი კომპონენტი? პასუხი: იგი დამატების მქმნელ ფრაზას ებმის — ფრაზას, რომელიც დამატებას შეადგენს (დამხმარე ზმნაც ამ დამატების მქმნელი ფრაზის ფარგლებში ხვდება — ამაზე და სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსიაზე უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში იქნება საუბარი). ამგვარად, (89ბ) კითხვითი წინადადების სტრუქტურად დაახლოებით ასე იქნება წარმოდგენილი:



კითხვა 2: რამდენად დაშორებული შეიძლება იყოს კომპონენტი? რამდენად შორს შეიძლება იქნეს გადანაცვლებული კომპონენტი *wh*-გადანაცვლების ზეგაყვანილობით? ეს პრობლემა წინადადებათა შემდეგი წყვილების მეშვეობით არის ილუსტრირებული:

(91) ა. What forest did you say that Macbeth believed that Banquo had described?

ბ. * What forest did you read a report that Banquo had described?

ა. შეძლებისდაგვარად მიახლოებული თარგმანი: რომელი ტყე თქვი, მაკბეთის შეხედულებით (აზრით, რწმენით), ბანქომ აღწერა?

ბ. რომელი ტყე ნაიკითხე ანგარიში, რომ ბანქომ აღწერა?

როგორც პირველი წინადადება მოწმობს, დამატება შეიძლება ძალზე დაშორებულ იყოს. მოყვანილ შემთხვევაში დამატება ორი კლაუზულიდან მესამე კლაუზულის დასაწყის პოზიციაშია გადატანილი. დეტერმინირიანი ფრაზა *what forest describe* ზმნის დამატებაა. იგი გამოტანილია კლაუზულიდან *Banquo had described*, ასევე — მეორე კლაუზულიდან *Macbeth believes that Banquo had described* და მთავარი კლაუზულის წინ ჩნდება, რომლის მთავარი ზმნაა *say*. თუმცა, როგორც მეორე წინადადება გვიჩვენებს, *wh*-გადანაცვლება გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ვერ განხორციელდეს. *wh*-გადანაცვლების ხელისშემშლელ მიზეზთა ბუნებისა და მიზეზების, მათი ზემოქმედების კვლევა ენათმეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნაწილს შეადგენს.

4.2.4 დამოკიდებულებები, რომლებიც გადანაცვლებას არ მოიცავს

Wh-გადანაცვლება საშუალებას აძლევს დამატებას, რომ საკუთარი ზმნის მომდევნო პოზიციაში დგომის ნაცვლად, სადაც იგი *wh*-გადანაცვლების უქონლობის შემთხვევაში უნდა მდგარიყო, წინადადებას თავში მოექცეს. სინტაქსურ დამოკიდებულებათა ისეთი სახეებიც არსებობს, გადანაცვლებას რომ გულისხმობს, მაგრამ მათი აქ განხილვა ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს. თუმცა, კომპონენტთა გადანაცვლებას ყველა სახის დამოკიდებულება როდი მოითხოვს. ისეთი სინტაქსური დამოკიდებულებებიც არსებობს, რომლებიც გადანაცვლებას არ გულისხმობს. ზოგიერთ მათგანს მოკლედ ქვემოთ გაგაცნობთ.

ნეგატიური პოლარობის წევრები

ზოგიერთ გამოთქმას (მათი ნაწილი ზემოთ განვიხილეთ) **ნეგატიური პოლარობის წევრები** ეწოდება და როგორც ჩვენს ტექსტში ზემოთ თუ ქვემოთ, (92) მაგალითში მოყვანილი წინადადებები მოწმობს, წინადადებაში მათი დისტრიბუცია შეზღუდულია:

(92) ა. The fairies did not like witchcraft **at all**.

ბ. No one will like witchcraft **at all / much**.

გ. *The fairies will like witchcraft **at all / much**

დ. *Someone will like witchcraft **at all / much**

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ იმის დასადგენად, თუ რა მოვლენა მართავეს ამგვარ დისტრიბუციას, ერთმანეთისგან გამოთქმათა ორი კატეგორიის გარჩევა დაგვჭირდება (ამ საკითხის გარშემო დეტალური მსჯელობის გასაცნობად იხილეთ მაგალითი (14) და 4.2

განყოფილება).

- (93) **ნეგატიური პოლარობის წევრი (ნპწ) უარყოფითი ელემენტები**
 at all, anyone, not, no one, nobody
 much, in the least ... never...

მეტიც, ნეგატიური პოლარობის წევრის დისტრიბუცია შემდეგ პირობას ექვემდებარება:

- (94) **ნეგატიური პოლარობის წევრების ცენზორობის წესი**
 წინადადება, რომელიც ნეგატიური პოლარობის წევრს შეიცავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართული, თუ ეს ნეგატიური პოლარობის წევრი ნეგატიური პოლარობის წევრის ცენზორის ზემდგომობის სფეროშია მოქცეული.

გაიხსენეთ: ამა თუ იმ კატეგორიის ფრაზის (X) ზემდგომობის სფერო ის უმცირესი კომპონენტია, რომელიც ამ X-ს შეიცავს. ლინგვისტის ენაზე, ეს ზემდგომი საკუთარი ზემდგომობის სფეროში ყველაფერს მართავს.

რეფლექსივები (რეფლექსიური, ან მობრუნებული ნაცვალსახელები)

დამოკიდებულების კიდევ ერთი ისეთი სახეობის თვალსაჩინოებას, რომელიც გადანაცვლებას არ გულისხმობს, ინგლისური რეფლექსიური ნაცვალსახელების შეზღუდული დისტრიბუცია წარმოადგენს. ეს ნაცვალსახელები კუთვნილებით პირის ნაცვალსახელებზე (რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს ემყარება) *self* სახელის („თავი“ იმ მნიშვნელობით, როგორც გვაქვს, მაგ. ფრაზაში „საკუთარი თავის პატიება“; მრავლობითი — *selves*) დართვით წარმოიქმნება. გამონაკლისს მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელები წარმოადგენენ, რომლებიც რეფლექსიური ნაცვალსახელების ფუძის წარმოსაქმნელად ბრალდებითი ბრუნვის ფორმას იყენებენ.

my	your	his (him)	her	it	our	your	their (them)
myself	yourself	himself	herself	itself	ourselves	yourselves	themselves

რეფლექსიური ნაცვალსახელების დისტრიბუციის შეზღუდულობა ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები. ამ წინადადებებში თითოეულ ამ ნაცვალსახელს სახელი *Banquo* ჩაანაცვლებს:

- (95) ა. *Macbeth cut Banquo.* — „მაკბეტმა ბანქო დაჭრა“.
 ბ. *Macbeth cut himself.* — „მაკბეტმა თავი დაიჭრა“
 (ან რალაც გაიჭრა).
 გ. **Macbeth cut ourselves.* — „მაკბეტმა ჩვენი თავი (ჩვენ თვითონ) დაგვჭრა“.
- (96) ა. *We cut Banquo.* — „ჩვენ დავეჭერთ ბანქო“.
 ბ. *We cut ourselves.* — „ჩვენ თავი დავიჭერთ“
 (ან რალაც გავიჭერთ).
 გ. **We cut himself.* — „ჩვენ მისი თავი დავჭერთ“.

Cut ზმნა ორადგილიანი პრედიკატია, რომელიც აგენტ-არგუმენტს სუბიექტად, ხოლო თემის არგუმენტს დამატებად ირჩევს. მეტიც, *cut* ზმნა დეტერმინირიან ფრაზას დამატებად საკატეგორიო (კატეგორიათა) შერჩევის გზით ირჩევს. (ბ) წინადადებების გამართულობა მოწმობს, რომ რეფლექსიური ნაცვალსახელები *yourself* და

himself თემის არგუმენტებად განიხილება, რითაც *cut* ზმნის ის მოთხოვნები კმაყოფილდება, რომლებიც სემანტიკურ და კატეგორიათა შერჩევას უკავშირდება, ხოლო (გ) წინადადებები გრამატიკულად გაუმართავია.

რას არღვევს ის ჩანაცვლებები, რომელთა განხორციელების შედეგად (ბ) წინადადებებისგან (გ) წინადადებები მივიღეთ?

პრობლემა, რა თქმა უნდა, რეფლექსიური ნაცვალსახელებით წარმოდგენილ დამატებათა არსებობის ფონზე სუბიექტის არჩევანით არის გამოწვეული. ყურადღება მიაქციეთ, რომ გამართული წინადადებები, სუბიექტი და რეფლექსიური ნაცვალსახელები ერთმანეთს პირში, რიცხვსა და სქესში ეთანხმება: მაგალითად, სახელი *Macbeth* და ნაცვალსახელი *himself* — ორივე მხოლოდობით რიცხვშია, მესამე პირში დგას და მამრობითი სქესისაა. ნაცვალსახელები *we* და *ourselves* — ორივე პირველ პირში, მხოლოდობით რიცხვშია (სქესი ამ ნაცვალსახელების შემთხვევაში არ ჩანს), მაგრამ არასრულფასოვან წინადადებებში სუბიექტსა და რეფლექსიურ ნაცვალსახელს შორის ან პირში ან რიცხვსა და სქესში შეთანხმება არ გვაქვს.

რეფლექსიური ნაცვალსახელი წინადადებაში კიდევ ერთ დეტერმინერიან ფრაზას ყოფნას მოითხოვს, რომელსაც ეს რეფლექსიური ნაცვალსახელი პირში, რიცხვსა და სქესში შეეთანხმება. ეს დეტერმინერიანი ფრაზა რეფლექსიური ნაცვალსახელის ანტიცედენტი იქნება. მათი ამგვარი „ქცევა“ ნეგატიური პოლარობის წევრის ქცევას მოგვაგონებს — რეფლექსიური ნაცვალსახელები წინადადებაში დამოუკიდებლად ვერ იდგება, ნეგატიური პოლარობის წევრების მსგავსად, მათაც ცენზორი, ანტიცედენტი ესაჭიროება. რეფლექსიური ნაცვალსახელები გარკვეული ტიპის მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება. განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები:

(97) ა. *Macbeth cut Banquo.* — „მაკბეტმა დაჭრა ბანქო“.

ბ. *Macbeth cut him.* — „მაკბეტმა დაჭრა იგი“.

გ. *Macbeth cut himself.* — „მაკბეტმა თავი დაიჭრა“.

დ. **Macbeth cut ourselves.* — „მაკბეტმა ჩვენი თავი დაჭრა“.

Cut ზმნა ორადგილიანი პრედიკატია, რომელსაც სუბიექტად აგენტი აქვს, ხოლო თემად — დამატება. წინადადებაში *Macbeth cut Banquo* ვინმე, სახელად მაკბეტი ჭრის ადამიანს, სახელად ბანქო. წინადადებაში *Macbeth cut him* ველარ ვამბობთ, რომ რომელიღაც პიროვნება, სახელად მაკბეტი ჭრის სხვა პიროვნებას, რომელსაც *him* (იგი, მას) ჰქვია. ჩვენ გვესმის, რომ, როგორც ჩანს, არის ვინმე, სახელად, ვთქვათ, ბანქო, რომელზეც ამ წინადადების წარმოთქმამდე იყო საუბარი და რომელსაც ეს *him* ნაცვალსახელი უკავშირდება, ამასთან რომელიღაც სხვა პიროვნებამ, ვთქვათ, მაკბეტმა, იგი, ანუ ვინმე, სახელად ბანქო, დაჭრა. *Him* ნაცვალსახელს ამავე წინადადებაში ამ პიროვნების სახელის ჩასანაცვლებლად ვხმარობთ. ყურადღება მიაქციეთ, რომ წინადადებაში *Macbeth cut him* ნაცვალსახელი *him* მაკბეტის აღსანიშნავად ვერ იქნება გამოყენებული, იგი სხვა ადამიანს აღნიშნავს. (ამგვარ მაგალითს ქვემოთ, სავარჯიშო 4.11-ში განვიხილავთ). თუ იმ აზრის გადმოცემა მოგვესურება, რომ მაკბეტმა მაკბეტი დაჭრა, მაშინ ამ საკუთარი სახელის დამატებად ხმარების მაგიერ, მას (დამატებას) რეფლექსიური ნაცვალსახელით *himself* ჩავანაცვლებთ, როგორც ეს შემდეგ წინადადებაში *Macbeth cut himself*. ხოლო ეს უკანასკნელი წინადადება შინაარსობრივად

შემდეგნაირად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული: *Macbeth cut Macbeth* — „მაკბეტმა მაკბეტი დაჭრა“.

რა შეიძლება მივიჩნიოთ რეფლექსიური ნაცვალსახელის ანტიცედეენტად? რა სახის ურთიერთობა შეიძლება გვექონდეს რეფლექსიურ ნაცვალსახელსა და მის ანტიცედეენტს შორის? ზემოთ მოყვანილ გამართულ წინადადებებში რეფლექსიური ნაცვალსახელები ზმნების პირდაპირი ობიექტებია, ხოლო მათი ანტიცედეენტები — სუბიექტები. ამის მიუხედავად, როგორც შემდეგი მაგალითები მოწმობს, არცერთი ეს მახასიათებელი სავალდებულო არაა:

(98) ა. He likes these stories about himself.

ბ. She showed him some pictures of himself.

ა. მას მოსწონს ეს ამბები (საკუთარი) თავის შესახებ.

ბ. მან (მდედრ.) მას (მამრ.) მისივე (მამრ. ნაცვალსახელს

უკავშირდება) ზოგიერთი სურათი აჩვენა.

წინადადებაში *himself* ნაცვალსახელი *about* (შესახებ) თანდებულის დამატებაა, ხოლო თანდებულის ფრაზა *about himself* თავის მხრივ სახელის *stories* დამატებად გვევლინება. რეფლექსიურ ნაცვალსახელს აქ ზმნისთვის პირდაპირი ობიექტის ფუნქციის განევა არ ევალება. (ბ) წინადადებაში ანტიცედეენტი ზმნის სუბიექტი არ არის, ანტიცედეენტობას მას (ზმნას) დამატება უნევს.

იმ პირობების მიახლოებითი დახასიათება, რომელიც რეფლექსიურ ნაცვალსახელსა და მის ანტიცედეენტს შორის არსებულ დამოკიდებულებას ეხება, (99)-ე და (100)-ე მაგალითებშია წარმოჩენილი.

(99) **კლაუზულაში ერთად დგომის მოთხოვნა:**

რეფლექსიური ნაცვალსახელი და მისი ანტიცედეენტი ერთსა და იმავე კლაუზულაში უნდა იდგეს.

(100) **კომპონენტზე ზემდგომობის მოთხოვნა**

დეტერმინირიანი ფრაზის სახით წარმოდგენილი ანტიცედეენტი რეფლექსიურ ნაცვალსახელზე უნდა ზემდგომობდეს.

ამგვარი დასკვნის დაახლოებითი სისწორე მაინც რომ ვაჩვენოთ, უნდა დავამტკიცოთ, რომ:

1. წინადადებები, რომლებშიც ორივე ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, გრამატიკულად გამართული იქნება.
2. წინადადებები, რომლებშიც ამ ორი მოთხოვნიდან რომელიმე დარღვეულია, გრამატიკულად გაუმართავი იქნება.


ჯერ იმაში დავრწმუნდეთ, რომ წინადადებები, რომლებიც აქამდე შეგვხვდა, ამ ორ მოთხოვნას ნამდვილად აკმაყოფილებს. გაიხსენეთ 4.2 განყოფილებაში პოლარობის ნევრებთან დაკავშირებული ჩვენი მსჯელობა: ერთსა და იმავე კლაუზულაში ერთად დგომა, ერთი და იმავე დრ.ფ კვანძების ნევრობას ნიშნავს. ყველა ასეთი წინადადება (101) მაგალითში მოყვანილ მოდელზეა განყოფილი:

(101) ა. Macbeth cut himself.

ბ. He likes these stoires about himself.

გ. She showed him some pictures of himself.

მათი სტრუქტურა კი შემდეგი დიაგრამების მეშვეობით გამოისახება:
(102) ა.



უპირველეს ყოვლისა, აშკარად ჩანს, რომ კლაუზულაში ერთად დგომის მოთხოვნა სამივე შემთხვევაში დაკმაყოფილებულია, ვინაიდან სამივე წინადადება მხოლოდ ერთი კლაუზულისგან შედგება. ახლა ვნახოთ, როგორ გვაქვს საქმე კომპონენტზე ზემდგომობის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

(ა) წინადადებაში დეტერმინირიანი ფრაზის *Macbeth* ზემდგომობის სფერო ის უმცირესი კომპონენტი იქნება, რომელიც ამ დეტერმინირიან ფრაზას შეიცავს: ეს ის

კომპონენტი, რომელიც მარკირებულია (სახელდებულია). დრ.ფ/ განსაზღვრების თანახმად, დეტერმინირიანი ფრაზა *Macbeth* ზემდგომობს, ანუ მართავს ყველაფერს, რასაც მისი ზემდგომობის სფერო მოიცავს. რაკი ეს დრ.ფ რეფლექსიურ ნაცვალსახელს *himself* შეიცავს, ზემდგომობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. აქ სუბიექტების ერთ ძალზე მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას ვხვდებით: რაკი მისი (სუბიექტის) შემცველი პირველი კომპონენტი არის დროითი (დროიანი) ფრაზა, კლაუზულის სუბიექტი მის კლაუზულაში ყველაფერს მართავს.

წინადადება (ბ) -ში დეტერმინირიანი ფრაზის ზემდგომობის სფერო კვლავ დროითი ფრაზაა, რომელიც რეფლექსიურ ნაცვალსახელს *himself* ითავსებს; ამგვარად, ისევ იმ დასკვნამდე მივდივართ.

მესამე, (გ) წინადადებაში რეფლექსიური ნაცვალსახელის ანტეცედენტი არის დეტერმინირიანი ფრაზა *him*, ხოლო პირველი კომპონენტი, რომელიც ამ დეტერმინირიან ფრაზას უშუალოდ შეიცავს — ზმნიანი ფრაზა, რომელიც დამატებად მეორე დეტერმინირიან ფრაზას — *some pictures of himself* შეიცავს და შესაბამისად, მასში რეფლექსიური ნაცვალსახელიც შედის.

ახლა კი შეგვიძლია ისეთი ექსპერიმენტული წინადადებები შევადგინოთ, რომლებიც ამ ორი მოთხოვნიდან რომელიმე ერთს არღვევს. ერთი პირობა აუცილებლად უნდა იქნეს დაცული: ყოველ ჯერზე, თითო წინადადებაში მხოლოდ ერთი მოთხოვნა უნდა დავარღვიოთ, რათა სწორედ მისი დაცვის აუცილებლობაში დავრწმუნდეთ (სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, **მინიმალური წყვილების** შექმნა გვჭირდება) — თუ განსახილველი ორი მოთხოვნიდან ორივე ერთდროულად იქნა დარღვეული, ასეთ შემთხვევაში გაგვიჭირდება იმის დადგენა, თუ რომელი მათგანის დაცვაა აუცილებელი.

თუ პირველი შეხედულება სწორია, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა კლაუზულებში შემავალი რეფლექსიური ნაცვალსახელისა და ანტეცედენტის შემცველი წინადადება გრამატიკულად გაუმართავი იქნება. ჩვენს ექსპერიმენტულ წინადადებაში ანტეცედენტი რეფლექსიურ ნაცვალსახელზე უნდა ზემდგომობდეს. (102ა) წინადადების განხილვისას დავრწმუნდით, რომ კლაუზულის სუბიექტი ამ კლაუზულაში ყველაფერს მართავს, ანუ ყველაფერზე ზემდგომობს. თუკი ანტეცედენტს მთავარი წინადადების სუბიექტად ვაქცევთ, მაშინ იგი ამ წინადადებაში გახდება ზემდგომი. ხოლო რაკი იმ პირობის დაცვაც გვსურს, რომ ანტეცედენტი და რეფლექსიური ნაცვალსახელი სხვადასხვა კლაუზულაში შედის, სრულიად საკმარისი იქნება, თუკი მთავარი კლაუზულის სუბიექტის როლში ანტეცედენტი გვექნება, ხოლო რეფლექსიური ნაცვალსახელი დამატების მქმნელ კლაუზულაში იდგება.

(103) ა. **Ophelia said that you cut herself.*

ბ. **Ophelia said that herself cut you.*

ა. *ოფელიამ თქვა, რომ მისი თავი შენ (თქვენ) დაჭერი(თ).

ბ. *ოფელიამ თქვა, რომ მისმა თავმა დაგჭრა(თ).

ეს ექსპერიმენტული წინადადებები, როგორც ხედავთ, გაუმართავი გამოდგა. ანტეცედენტი და რეფლექსიური ნაცვალსახელები ერთსა და იმავე კლაუზულაში უნდა შედიოდეს, მაგრამ ჩვენი ჩართული კლაუზულა რეფლექსიურ ნაცვალსახელს მისი ანტეცედენტის გარეშე შეიცავს. ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ ჩვენი წინადადებებით გადმოცემული აზრი სრულიად გამართული და გასაგებია, მაგრამ ამგვარი მნიშვნელობის გადმოსაცემად საკუთარ სახელ *Ophelia*-ს რეფლექსიური ნაცვალსახელით ჩანაცვლება კი გაუმართლებელია. ამ ნაცვალსახელის მაგივრად ჩვეულებრივი

პირის ნაცვალსახელი *she /her* უნდა გამოგვეყენებინა.

(104) ა. Ophelia said that you cut her.

ბ. Ophelia said that she cut you.

ა. ოფელიამ თქვა, რომ იგი შენ (თქვენ) დაჭერი(თ).

ბ. ოფელიამ თქვა, რომ (შენ) თქვენ მან დაგჭრა(თ).


კომპონენტზე ზემდგომობის მოთხოვნა რომ თვალნათლივ ვაჩვენოთ, ისეთი წინადადების აგება გვჭირდება, რომელიც კლაუზულაში ერთად დგომის მოთხოვნას აკმაყოფილებს, მაგრამ კომპონენტზე ზემდგომობის მოთხოვნას არღვევს. კლაუზულაში ერთად დგომის პრინციპი ნამდვილად დაცული იქნება, თუკი საქმეს გავიმარტივებთ და საექსპერიმენტოდ ცალკლაუზულიანი წინადადებებით შემოვიფარგლებით. ქვემოთ, (105) -ში მოყვანილი წინადადებები სწორედ ასეთებია. მათი ხისებრი დიაგრამების შედგენით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ კომპონენტზე ზემდგომობის მოთხოვნა სამივე მათგანში დარღვეულია, შედეგად კი გრამატიკულად გაუმართავი წინადადებები გვაქვს მიღებული.

(105) ა. *Herself cut Ophelia.

ბ. *Ophelia's friends love herself.

გ. *You showed herself some pictures of Ophelia.

ხისებრი დიაგრამა მხოლოდ მესამე წინადადებისთვის შევადგინოთ:



რეფლექსიურ ნაცვალსახელს ანტეცედენტი სჭირდება. ასეთი ანტეცედენტი დეტერმინერიანი ფრაზა უნდა იყოს. ამ წინადადებაში სულ ოთხი დეტერმინერიანი ფრაზაა: *You*, *herself*, *pictures of Ophelia*, და *Ophelia*. პირველი სამი ჩვენს შემთხვევას არ ესადაგება:

- *You* ნაცვალსახელი იმის გამო არ ესადაგება, რომ *herself* რეფლექსიურ ნაცვალსახელს არ ეთანხმება (პირში შეუთანხმებლობა).
- *some pictures of Ophelia* არ ესადაგება, ვინაიდან *herself* რეფლექსიურ ნაცვალსახელს არ ეთანხმება (რიცხვში შეუთანხმებლობა, უსულოა იმის ნაცვლად, რომ სულიერი იყოს).
- *herself* იმის გამო არ ესადაგება, რომ ანტეცედენტი რეფლექსიური ნაცვალსახელისგან უნდა განსხვავდებოდეს. ეს ადრე არ გვითქვამს, მაგრამ ახლა ანტეცედენ-

ტის ნიშან-თვისებების ჩამონათვალის შესავსებად უნდა აღინიშნოს.

- საკუთარი სახელი *Ophelia* კი პირში, რიცხვში და სულიერება-უსულობის თვალსაზრისით ეთანხმება და თან *herself* ნაცვალსახელისგან განსხვავდება. თუმცა, მისი კომპონენტზე ზემდგომობის სფერო ის თანდებუიანი ფრაზაა, რომელიც მას შეიცავს. ეს თანდებუიანი ფრაზა კი რეფლექსიურ ნაცვალსახელს არ შეიცავს. ამის გამო არც ეს სახელი გამოგვადგება.

საპარაფრაზი

4.9

კომპონენტზე ზემდგომობასთან დაკავშირებული სავარაუდოებები:

1. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამები თითოეული წინადადებისთვის (105ა და 105ბ).
2. ჩამოთვალეთ თითოეული წინადადებისთვის ისეთი სიტყვები, რომლებზეც დეტერმინერიანი ფრაზა *Ophelia* ზემდგომობს.
3. განმარტეთ, რატომაა ეს წინადადებები გრამატიკულად გაუმართავი.
4. განმარტეთ, რატომაა ქვემოთ მოყვანილი წინადადებიდან მეორე გაუმართავი:
(I) No one cut anyone. — „არავის დაუჭრია ვინმე“.
(II) *Anyone cut no one. — „ნებისმიერმა დაჭრა არავინ“.

საპარაფრაზი

4.10

1. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა შემდეგი წინადადებისთვის:

ა. Othello believes that the picture of Desdemona belongs to him.
ოტელო თვლის, რომ დეზდემონას სურათი მას ეკუთვნის.

2. ჩამოთვალეთ ის დეტერმინერიანი ფრაზები, რომლებზეც დეტერმინერიანი ფრაზა Desdemona ზემდგომობს.
3. ჩამოთვალეთ ყველა ის დეტერმინერიანი ფრაზა, რომლებზეც დეტერმინერიანი ფრაზა Othello ზემდგომობს.
4. მომდევნო წინადადება გრამატიკულად გაუმართავია.
განმარტეთ, რატომ.

ბ. *Othello believes that the picture of Desdemona belongs to himself.
ოტელო თვლის, რომ დეზდემონას სურათი მის თავს ეკუთვნის.

5. ახლა შემდეგი წინადადების გამართულობაზე იმსჯელეთ:

გ. Nobody believes that the picture of Desdemona belongs to anyone.
არავინ თვლის, რომ დეზდემონას სურათი ვინმეს ეკუთვნის.

დაამტკიცეთ, რომ ეს წინადადება ნეგატიური პოლარობის წევრის ცენზორობის პირობას აკმაყოფილებს.

ექვემდებარება თუ არა, თქვენი აზრით, ნეგატიური პოლარობის წევრის ცენზორობის პირობა იმ მოთხოვნას, რომელიც კლაუზულაში ერთად დგომას გულისხმობს?

4.3 შეჯამება

სამეტყველო ენების სინტაქსურ ორგანიზებას ორი ფუნდამენტური ნიშან-თვისე-

ბა განსაზღვრავს. პირველი მათგანი საკომპონენტო სტრუქტურის არსებობაა. ეს მახასიათებელი წინა თავში განვიხილეთ. მეორე მახასიათებელი კი სინტაქსურ დამოკიდებულებათა არსებობაა. ასეთი დამოკიდებულებებია: შერჩევა, ბრუნვა, შეთანხმება, გადანაცვლება, ნეგატიური პოლარობის წევრის ცენზორობა და ანტეცედენტისა და რეფლექსიური ნაცვალსახელის ურთიერთობა (ზოგიერთი მეცნიერი მას შემკვრელ ურთიერთობებს (binding relations) უწოდებს. მოცემული თავი სწორედ ამგვარი დამოკიდებულებების განხილვას მიუძღვნით. მასში იმის ჩვენებასაც შევეცადეთ, თუ როგორ ხდება ენათმეცნიერთა მიერ ამ ფენომენების შესწავლა.

შენიშვნები

1. აქ გარკვეულ სირთულეებსაც შეიძლება წავანყდეთ, ამის გამო თავს რამდენიმე შენიშვნას დავურთავთ: დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ ზოგიერთი X გამოთქმა, მაგალითად, *anybody can do* ((ნებისმიერ) ვინმეს შეუძლია გააკეთოს) გრამატიკულად მაშინაც კი გამართულია, თუ მის შემცველ წინადადებაში ნეგატიური ელემენტი არ გვაქვს. ასეთი შესაძლებლობების განხილვა რომ დაგვეწყოს, ჩვენი მსჯელობა გაცილებით უფრო რთულად წარსამართი შეიქნებოდა, ვინაიდან ნებისმიერი ამგვარი X-ის გამოყენება სენსიტიურობას ამჟღავნებს ნებისმიერი სხვა ელემენტის, მაგალითად, მოდალური ზმნების არსებობისა (*could, can, should*) თუ გრამატიკული დროის არჩევანის მიმართ (ანწყო თუ წარსული...). სათქმელი რომ გავამარტივოთ, ყველა წინადადება, რომლებიც *anybody* ან *anyone* ნაცვალსახელებს შეიცავს, წარსულში ან აწყო დროში *could / would / should* ტიპის დამხმარე ზმნების გარეშე იხმარება. ეს ამტკიცებს, რომ *anyone* და *anybody* გამართულად ფუნქციონირებადი ნეგატიური პოლარობის წევრია.

2. წინადადება (85ა) გამართულად გერმანული ენის მხოლოდ ზოგიერთ დიალექტში ჩაითვლება.

საკითხავი ლიტერატურა

Cowper, L. 1992. *A Concise Introduction to Syntactic Theory*. Chicago: University of Chicago Press.

Culicover, Peter. 1997. *Principles and Parameters: An Introduction to Syntactic Theory*. Oxford: Oxford University Press.

Haegeman, L. 1994. *Introduction to Government and Binding Theory*. Oxford: Blackwell.

McCawley, J. 1988. *The Syntactic Phenomena of English*. Chicago: University of Chicago Press.

Radford, A. 1988. *Transformational Grammar*. Cambridge: Cambridge University Press.

_____. 1997. *Syntax, a Minimalist Introduction*. Cambridge: Cambridge University Press.

Roberts, I. 1996. *Comparative Syntax*. London, New York: Arnold.

(An introduction to contemporary Syntactic theory with an emphasis on comparative syntax, e.i. on comparison of syntactic properties across languages.)

van Reimsdijk, H. and E. Williams. 1986. *Introduction to the Theory of Grammar*. Cambridge, MA: MIT Press.

სავარჯიშოები

B პრინციპი

სავარჯიშო 4.11

ჩვენს ტექსტში, ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ რეფლექსიური ნაცვალსახელების დისტრიბუცია შემდეგი ორი პრინციპის არსებობის გამო იზღუდება, რომლებიც დაახლოებითი წესების სახით ზემოთ გვექონდა ჩამოყალიბებული:

ნესი 1: **კლაუზულაში ერთად დგომის მოთხოვნა:** რეფლექსიური ნაცვალსახელი და მისი ანტეცედენტი ერთსა და იმავე კლაუზულაში უნდა იდგეს.

ნესი 2: **კომპონენტზე ზემდგომობის მოთხოვნა:** ანტეცედენტის როლში მყოფი დეტერმინერიანი ფრაზა რეფლექსიურ ნაცვალსახელს კომპონენტზე ზემდგომობის მეშვეობით უნდა მართავდეს.

1. მოიყვანეთ ორი ისეთი (არასრულფასოვანი) წინადადება, რომლებიც რეფლექსიურ ნაცვალსახელებს შეიცავს, ხოლო თითოეული ამ წინადადებათაგანი ახლახან ნახსენები ორი პრინციპიდან მხოლოდ ერთ-ერთს არღვევს.
2. აღსანიშნავია, რომ არარეფლექსიური ნაცვალსახელების დისტრიბუციაც ასევე იზღუდება. ამის ილუსტრირება შემდეგი წინადადების მეშვეობითაც შეიძლება:

**Othello likes him.* — „ოტელოს მოსწონს იგი (მამრ.)“.

იმის მიუხედავად, რომ ეს წინადადება გრამატიკული თვალსაზრისით სავსებით გამართულია, მისი ხმარება მნიშვნელობით — „ოტელოს მოსწონს საკუთარი თავი (*Othello likes himself*)“ შეუძლებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, *him* ნაცვალსახელი დეტერმინერიანი ფრაზის *Othello* კორეფერენტული, ანუ შესატყვისი ვერ იქნება. ამ პრობლემის ჭრილში ამგვარი დისტრიბუციის განხილვა შეიძლება.

2.1 განვიხილოთ შემდეგი წინადადებები (ამ წინადადებებში დეტერმინერიანი ფრაზები, რომლებიც საერთო (*i*) ინდექსის მიხედვით ერთიანდება, ისე ინტერპრეტირდება, თითქოს საუბარი ერთსა და იმავე პირს შეეხება):

(ა)* *Othello_j saw him_j.*

(ბ) *Othello_j said he_j saw Portia_k.*

(გ) *Othello_j said Portia_k saw him_j.*

ა. ოტელომ დაინახა იგი.

ბ. ოტელომ თქვა, რომ პორცია დაინახა.

გ. ოტელომ თქვა, რომ პორციამ დაინახა იგი.

(I) შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა თითოეული ამ წინადადებისთვის.

(II) პოსტულატის სახით ჩამოყალიბეთ ის პრინციპი (მოდით, ამ პოსტულატს პ1 ვუწოდოთ), რომელიც გაუმართავ (ა) წინადადებას, გამართულ (ბ) და (გ) წინადადებებს ერთმანეთისგან განასხვავებს. (მინიშნება: ეს პრინციპი კლაუზულაში ერთად დგომის წეს 1-ს უნდა ჰგავდეს: მისი მეშვეობით უნდა აღინეროს პირობა, რომლითაც ნაცვალსახელი და მისი ანტეცედენტი ერთმანეთს ხვდება.

(III) თუკი მისი სწორად ჩამოყალიბება მოახერხეთ, მაშინ პ1 პოსტულატმა შემდეგი ფორმის გაუმართაობის პროგნოზირება უნდა შეძლოს:

დ. *Portia_j's description of her_j displeased Othello.

პორციას მიერ მისი (მდედრ.) აღწერა ოტელოს არ მოეწონა.

შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა (დ) წინადადებისთვის და დაამტკიცეთ, რომ თქვენ მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი მას სწორად ესადაგება. თუ ასე არაა, მაშინ ისე შეცვალეთ, რომ მიესადაგოს.

2.2 ახლა შემდეგი წინადადებები განვიხილოთ:

ე. Othello_j's wife met him_j. — „ოტელოს ცოლი მას შეხვდა“.

ვ. Portia's description of Othello(j) displeased him (j). — „ოტელოს პორციასეული აღწერა მას არ მოეწონა“.

(I) შეადგინეთ ხისებრი დიაგრამები თითოეული ამ წინადადებისთვის.

(II) კომპონენტზე ზემდგომობის მოთხოვნის წეს 2-ს დაეყრდენით და პოსტულატად ჩამოაყალიბეთ პრინციპი (მოდით, მას პ2 ვუწოდოთ), რომელიც ერთმანეთისგან გასახსვავებს გამართულ (ე) და (ვ) წინადადებებსა და გაუმართავ (ა) წინადადებსა

2.3 პ1 და პ2 პოსტულატების წეს 1-სა და წეს2-თან შედარებისას შეგიძლიათ თუ არა ჩამოაყალიბოთ ზოგადი პროგნოზი, რომლითაც განისაზღვრება ნაცვალსახელთა დისტრიბუცია რეფლექსიური ნაცვალსახელების დისტრიბუციასთან შეპირისპირებით?

2.4 ახლა შემდეგი წინადადება განვიხილოთ:

ზ. Othello_j trusts his_j wife.

ოტელო თავის ცოლს ენდობა.

შეადგინეთ მისთვის ხისებრი დიაგრამა. შეუძლია თუ არა თქვენს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს წეს 1-სა და წეს -2-ში (გ) წინადადების გამართულობის სწორად პროგნოზირება? თუ ეს არ ხერხდება, მაშინ წესი 1 ისე შეცვალეთ, რომ (გ) წინადადების მასალაც მოიცვას.

(შენიშვნა: სინტაქსური პრობლემებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში წეს 1-ისა და წეს-2-ის სახით წარმოდგენილი პრინციპები ერთიან პრინციპადაა ჩამოყალიბებული, რომელსაც მაკავშირებელი თეორიის (*Binding Theory*) პრინციპს უწოდებენ. პოსტულატ პ1-ისა და პ2-ის სახით წარმოდგენილი პრინციპები, მათსავე მსგავსად, ერთ პრინციპად ერთიანდება. მას მაკავშირებელი თეორიის პრინციპი ეწოდება).

C პრინციპი

საპნარჯიმო 4.12

როგორც შემდეგი მაგალითები მოწმობს, ნაცვალსახელს შეიძლება მის წინ, სხვა კლაუზულაში მდგომი ანტეცედენტი გააჩნდეს (სადაც საზიარო ინდექსის მქონე დეტერმინირიანი ფრაზა შეიძლება ისე იქნეს ინტერპრეტირებული, თითქოს იმავე პირს უკავშირდება):

ა. Othello(j) said Portia (k) saw him(j).

ბ. Othello(j) said he(j) saw Portia(k).

ა. ოტელომ თქვა, რომ პორციამ დაინახა იგი (მამრ.).

ბ. ოტელომ თქვა, რომ მან პორცია დაინახა.

1. განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

გ. * He(j) said that Othello(j) saw Portia.

დ. * He(j) said that Portia saw Othello(j).

ე. * He(j) said that Portia thinks that Othello(j) left.

გ. მან თქვა, რომ ოტელომ პორცია დაინახა.

დ. მან თქვა, რომ პორციამ ოტელო დაინახა.

ე. მან თქვა, რომ პორცია ფიქრობს, რომ ოტელო გაემგზავრა.

(I) შეადგინეთ ხისებრი დიაგრამები (ა) და (გ) წინადადებებისთვის.

(II) გამართული წინადადებების ნიმუშების გაუმართავთაგან გამოსაყოფად პრინციპი C1 ახლა **წინმდგომობის** ცნების ტერმინებში ჩამოაყალიბეთ, რის მეშვეობითაც რეგულირებული იქნება ურთიერთობა ნაცვალსახელსა და მის ანტეცედენტს შორის. უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი პრინციპი სწორად ანსხვავებს (ა) და (ბ) მაგალითებს (გ), (დ) და (ე) მაგალითებისგან.

(III) გამართული წინადადებების გაუმართავი წინადადებებისგან გამოსაყოფად ჩამოაყალიბეთ განსხვავებული — C2 პრინციპი, რომელიც ამჯერად კომპონენტზე ზემდგომობის ცნების ტერმინებში იქნება განსაზღვრული და ნაცვალსახელსა და მის ანტეცედენტს შორის ურთიერთობის რეგულირებას მოახდენს. ახლა შეამოწმეთ, სწორად გამოჰყოფს თუ არა თქვენი პრინციპი ერთმანეთისგან ერთი მხრივ, (ა) და (ბ) და მეორე მხრივ, (გ), (დ) და (ე) წინადადებებს.

1. განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

(ვ) His(j) wife says that Othello left.

(ზ) The rumor that he left pleased Othello(j)'s wife.

(ვ) მისი ცოლი ამბობს, რომ ოტელო წავიდა.

(ზ) მოარულმა ხმებმა, რომ იგი გაემგზავრა, ოტელოს ცოლი გაახარა.

1. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა ამ ორი წინადადებისთვის ((ზ) წინადადების შემთხვევაში ივარაუდეთ, რომ დეტერმინერიანი ფრაზა [*that he left*] სახელის *rumor* დამატება).

2. შეადარეთ C1-ითა და C2-ის მეშვეობით (ვ) და (ზ) წინადადებებთან დაკავშირებით გაკეთებული პროგნოზები. როგორი იქნება თქვენი დასკვნა?

3. შეეთავსება თუ არა ეს დასკვნა შემდეგი წინადადების გამართულობას?

(თ) After he left, Othello fell.

ის რომ წავიდა (მისი წასვლის შემდეგ) ოტელო დაეცა.

(შეგიძლიათ ივარაუდოთ, რომ სიტყვათა თანწყობა — *he left* თანდებულებიანი ფრაზით წარმოდგენილ კომპონენტს — *after* თანდებულის დამატებას ქმნის და რომ თანდებულებიანი ფრაზა, რომლის სათაო ელემენტს *after* თანდებულები წარმოადგენს, დროითი ფრაზის მატრიცას ებმის).

(შენიშვნა: სინტაქსთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ის პრინციპი, რომელიც ერთი მხრივ, ა და ბ, მეორე მხრივ კი, გ, დ, და ე წინადადებებს შორის განსხვავებას განაპირობებს, მაკავშირებელი თეორიის C პრინციპად იწოდება).

ზმნიანი ფრაზის პრეპოზირება და რეფლექსიური ნაცვალსახელები

სავარჯიშო 4.13

1. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა შემდეგი წინადადებისთვის:
 - (ა) *Ophelia thinks that Othello will survive the war.*
ოფელია თვლის, რომ ოტელო ომს ცოცხალი გადაურჩება.
2. ახლა ასეთი მაგალითი განიხილეთ:
 - (ბ) *Ophelia thinks that survive the war, Othello will.*

გაიხსენეთ *wh*-გადანაცვლების ჩვენს მიერ შედგენილი მოდელი, და შეადგინეთ ხისებრი სტრუქტურა (ბ) წინადადებისთვის. დიაგრამის შედგენისას გაითვალისწინეთ, რომ მისი დერივაცია (ა) წინადადებიდან ხდება და გადანაცვლების წესი — ზმნიანი ფრაზის პრეპოზირება ზემოქმედებს. ამ წესის თანახმად ზმნიანი ფრაზის პრეპოზირება და დროით ფრაზაზე მიბმა ხდება. თვალსაჩინოდ აჩვენეთ დერივაციის ყველა ეს საფეხური.
3. ზმნიანი ფრაზის პრეპოზირების წესი ზმნიანი ფრაზის პრეპოზირებას ახდენს და მას დროით (იგივე დროიან) ფრაზას უერთებს. წარმოადგინეთ სხვა წინადადება, რომელიც (ა) მაგალითიდან ზმნიანი ფრაზის პრეპოზირების მეშვეობით წარმოადგება, შემდეგ კი მისი ხისებრი სტრუქტურა გამოსახეთ.
4. ჩამოაყალიბეთ ორი პრინციპი, რომელიც ნაცვალსახელსა და მის ანტეცედენტს შორის ურთიერთობას აკმაყოფილებს.
5. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა შემდეგი წინადადებისთვის და დაამტკიცეთ, რომ მისი სტრუქტურა ამ ორ პრინციპს აკმაყოფილებს.
 - (გ) *Ophelia expects that Macbeth(j) will hurt himself(j).*
ოფელია მოელის, რომ მაკბეტი საკუთარ თავს ავნებს.
6. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამა შემდეგი წინადადებისთვის და დაამტკიცეთ, რომ მისი სტრუქტურა ამ ორი პრინციპიდან არცერთს არ აკმაყოფილებს.
 - (დ) *Hurt himself(j), Ophelia expects that Macbeth(j) will.*
7. როგორ ახსნას მოუძებნით იმ ფაქტს, რომ (დ)წინადადება, მიუხედავად იმისა, რომ მისი სტრუქტურა ზემოთ მოყვანილ ორ პრინციპს არ აკმაყოფილებს, მაინც გამართული წინადადებაა.

ირიბი wh – კითხვები და wh-კუნძულები

სავარჯიშო 4.14

1. შეადგინეთ ხისებრი დიაგრამები შემდეგი წინადადებისთვის:
 - (ა) *The witches believed that Macbeth’s armies would crush his enemies.*
კუდიანებს ეგონათ, რომ მაკბეტის ჯარები მის მტრებს გაანადგურებდა.
 - 2. აღწერეთ *crush* ზმნის სემანტიკურ შერჩევასთან და აგრეთვე კატეგორიათა (საკატეგორიო) შერჩევასთან დაკავშირებული და მაკავშირებელი (*linking properties*) ნიშან-თვისებები (მახასიათებლები) (მინიშნება: საამისოდ 4.2 განყოფილება ხელახლა უნდა გადაიკითხოთ).
 - 3.1 ივარაუდეთ, რომ ფრაზა *whose enemies* მომდევნო წინადადებაში ჩართული დმფ-ს (დამატების მქმნელი ფრაზის) მსაზღვრელია და შეადგინეთ შესაბამისი ხისე-

ბრი დიაგრამა:

(ბ) The witches wondered whose enemies Macbeth's armies would crush.

კუდიანებს აინტერესებდათ, ვის მტრებს გაანადგურებდა მაკბეტის ჯარები.

3.2 გამოყავით ის ფრაზები, რომლებიც *crush* ზმნის მიერაა შერჩეული. ამ ფრაზების სტრუქტურული პოზიციები არ შეესატყვისება მაკავშირებელ წესებს, რომლებიც თქვენ (ა) წინადადებაზე დაყრდნობით *crush* ზმნისთვის გაქვთ ჩამოყალიბებული. მოახდინეთ ამ შეუთავსებლობის სინტაქსური ანალიზი. (მინიშნება: ხელახლა გადაიკითხეთ განყოფილება 4.2.3, რომელიც *wh*-გადანაცვლებას ეძღვნება.

4.1 შეადგინეთ ხისებრი დიაგრამები შემდეგი ორი წინადადებისთვის:

(გ) Oberon knew that Othello would kill Desdemona.

(დ) Oberon knew when Othello would kill Desdemona.

გ. ობერონმა იცოდა, რომ ოტელო დეზდემონას მოკლავდა.

დ. ობერონმა იცოდა, როდის მოკლავდა ოტელო დეზდემონას.

4.2 როგორია ის განმსაზღვრელი სტრუქტურული ფაქტორი, რომელიც განმარტავს თუ რატომ არ ხდება *wh*-გადანაცვლება (ვ) წინადადებაში, ხოლო (ე) წინადადებაში საქმე სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს? (მინიშნება: შეადარეთ მათი ძირეული (განმსაზღვრელი) სტრუქტურები.)

ე. Who did Oberon know that Othello would kill?

ვ. *Who did Oberon know when Othello would kill?

ე. (დაახლოებ. თარგმანი):ვისზე იცოდა ობერონმა, რომ ოტელო მას მოკლავდა?

ვ. (____) *ვისზე იცოდა ობერონმა, როდის მოკლავდა მას ოტელო?

(შენიშვნა: კონსტრუქციას, რომლის თვალსაჩინო ნიმუშს (ბ) წინადადება წარმოადგენს, ირიბი კითხვა ეწოდება, ხოლო ფენომენს, რომლის ნიმუშიც (ვ) წინადადების სახით გვაქვს, *wh*-კუნძული ჰქვია.)

სინტაქსი III:

ზმნური ფორმების დისტრიბუცია: ცალკეულ შემთხვევათა ანალიზი

თავის სარჩევი

5.0 შესავალი

5.1 ინგლისური ზმნები

- 5.1.1 ზმნური ფორმები
- 5.1.2 სინტაქსური გარემო
- 5.1.3 ერთად დგომის მახასიათებლები: სრული ასპექტის კონსტრუქცია
- 5.1.4 პროექციები: თავები და ფრაზები
- 5.1.5 ზმნის სანყისი ფორმები და დროიანი ზმნები
- 5.1.6 დროიანი კლაუზულების სტრუქტურის შესახებ
- 5.1.7 ძირითადი ზმნისა და დამხმარე ზმნის პოზიცია წინადადების (კლაუზალურ) სტრუქტურაში
- 5.1.8 ინგლისური ზმნების დისტრიბუციის შესახებ მსჯელობის შეჯამება

5.2 ენათშორისი ვარიაციები: ინგლისურს გარეთ

- 5.2.1 ლინგვისტურ ვარიაციათა ბუნება
- 5.2.2 ენათა ვარიაციები და პარამეტრები

5.2.2 ენათა ვარიაციები და პარამეტრები

5.2.3 დამატება, დრო და ზმნა სხვადასხვა ენებში

5.2.4 სხვა ენები

5.2.5 ენები, რომელთაც სიტყვათა თანმიმდევრობაში ხილული ცვლილებები არ შეენიშნებათ: ზმნიანი ფრაზის ელიფსი

5.2.6 განვრცობები. სახელის სისტემა: დეტერმინიანი ფრაზა

5.3 შეჯამება

5.4 შენიშვნები

5.5 დამატებით საკითხავი ლიტერატურის ჩამონათვალი
წყაროები
სავარჯიშოები

5.0 შესავალი


ამ თავში ზმნათა დისტრიბუციას და წინადადებების სტრუქტურას შევისწავლით, ხოლო განსახილველ პრობლემებზე მუშაობა ზმნათა დისტრიბუციის ცალკეული შემთხვევების გარჩევით წარიმართება.

როგორც განვლილი თავებიდან შევითვით, ზმნა ლექსიკურ ნევრთა კლასს მიეკუთვნება, დიაგრამებსა და შემოკლებებში მას ზ შემოკლებით აღვნიშნავდით. ზმნა რამდენიმე სხვადასხვა ფორმით შეიძლება წარმოგვიდგეს, ვინაიდან ეს ნევრი ხანდახან სხვადასხვა ინფლექსიურ სუფიქსს ერწყმის. ამის ნიმუშებს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ნახავთ:

(1) *I love Mercutio.* — „მე მიყვარს მერკუციო“. *Romeo loves Juliet.* — „რომეოს ჯულიეტა უყვარს“. *Juliet loved Romeo.* — „ჯულიეტას რომეო უყვარდა“.

Romeo promised to love Juliet. — „რომეომ აღთქმა დადო ყვარებოდა ჯულიეტა“. *Juliet continues loving Romeo.* — „ჯულიეტას ისევ უყვარს რომეო (სიტყვა-სიტყვით: ჯულიეტა რომეოს სიყვარულს აგრძელებს)“. *Romeo has loved Juliet.* — „რომეოს უყვარდა (და უყვარს) ჯულიეტა“. *Juliet was loved by Romeo.* — ჯულიეტა (ადრე) რომეოს უყვარდა (გამოყენებულია მიერ კონსტრუქცია)“.

ზმნა ისე ფუნქციონირებს, როგორც ზმნიანი ფრაზის (შემოკლებით — ზმფ) თავი (ან სათაო ელემენტი). (შეგვიძლია ასეც ვთქვათ: ზმნა ზმნიანი ფრაზის პროექტირებას ახდენს). ზმნიანი ფრაზის შიდა საკომპონენტო სტრუქტურა მისი თავის, ანუ სათაო ელემენტის ლექსიკურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული. ზმნები, ვთქვათ, *laugh, kiss, give* შეიძლება სხვადასხვა ტიპის ზმნიან ფრაზებში შეგვხვდეს (ამ ზმნების ქვემოთ მოყვანილი რეპრეზენტაციები წინადადების მხოლოდ ერთ ნაწილს — ზმნიან ფრაზებს წარმოგვიდგენს):



ამ თავში საქმე იმ კანონებთან ან პრინციპებთან გვექნება, რომლებიც ვერბალური, ანუ ზმნური ფორმების დისტრიბუციას მართავს. ასეთი წესები და პრინციპები (1) ინგლისურსაც გააჩნია და სხვა ენებსაც. აქ შევეცდებით დავადგინოთ, როგორია სხვადასხვა ვერბალური ფორმის დისტრიბუცია ინგლისურ ენაში, მათი რიცხვიდან შესაბამისი განზოგადებები ამოვკრიბოთ და ისეთი საანალიზო ვითარება შევქმნათ, რომელიც ამ განზოგადებებს გასაღებს მოარგებს. თქვენ მიერ მოხდენილი ანალიზის შედეგიანობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებთ შესაბამის ვარიაციათა ენათშორისი მოდელის მოხელთებას. საამისოდ ჩვენ სხვადასხვა (არაინგლისური) — ფრანგული, პოლანდიური, ნორვეგიული, ირლანდიური, სუაჰილისა და კორეულის ენების ზმნური ფორმების დისტრიბუციას შემოგთავაზებთ.

ახლასინტაქსურილაბორატორიაუნდა„გავმართოთ“,რომელიციმხელსაწყობით და საშუალებებით იქნება აღჭურვილი, რომელთაც სინტაქსის თეორია გვთავაზობს. პირველ ნაბიჯად იმ გარემოს თავისებურებებს შევისწავლით, რომელშიც ზმნური ფორმები აღმოჩნდება ხოლმე (ამ სხვადასხვა შემთხვევებს მაგალითი (1) გახსენებთ) და სათანადო განზოგადებებსაც მივაკვლევთ. შემდეგ „სლაიდებს“, ანუ თვალსაჩინო მასალას მოვამზადებთ, მიკროსკოპის ქვეშ მოვათავსებთ და დაკვირვებას დავინწყებთ. მიკველეულ განზოგადებებს ჩაუვლრმავდებით და მათ გაგებას ცალკეული შემთხვევების

მაგალითზე შევეცდებით. ეს ისეთი თვალსაჩინოების მოტანასაც გულისხმობს, რომლებიც ამ განზოგადებების გააზრებაში დაგეხმარებათ. შემდეგ კვლავ ცალკეულ შემთხვევებს დავუბრუნდებით, ნიმუშებს ერთობლიობაში განვიხილავთ და უფრო ფართო სურათზე შევიქმნით წარმოდგენას. ეს უფრო ზოგადი საკითხების მოხელთების და ახალი განზოგადებების შექმნის საშუალებას მოგვცემს. წარმოებული კვლევის პროცესში ჩვენი „ხელსაწყოები“ და საშუალებები ოდნავ შეიცვლება. საკვლევი ობიექტის უკეთ ან განსხვავებულად დანახვისთანავე მისი ხედვის პრიზმას, ანუ ჩვენს ხელთ არსებული ნიმუშების სასინჯ საშუალებებს შევცვლით, ან დაკვირვებას მეტი ჩაღრმავებით განვაგრძობთ და ისეთი ობიექტების კვლევას დავინწყებთ, რომლებიც ნაკლები სიმძლავრის ლინზით არ ჩანდნენ. პროცესის მსვლელობისას შესაძლოა იმ ახალი ინსტრუმენტების გამოყენება დაგვჭირდეს, რომლებიც ზოგიერთი ობიექტის გამოცალკევებით შესწავლაში, მათი „საშენ მასალის“ და განმსაზღვრელი დიზაინის დადგენაში დაგვეხმარება.

კვლევას მიკროსკოპული დონიდან დავინწყებთ (ინგლისური ენიდან მოყვანილი ცალკეული შემთხვევები), საკვლევ მასალას შორი და ახლო ხედვიდან დავაკვირდებით, და მიკროსკოპის ლინზის ქვეშ სხვადასხვა ნიმუშებს მოვათავსებთ. შემდეგ მაკროსკოპულ დონეებზე გადავიწვავთ (სამეტყველო ენები). ჩვენი ლაბორატორია არაერთ ასეთ ენას გადასწვდება.

5.1 ინგლისური ზმნები

5.1.1 ზმნური ფორმები

როგორც მაგალით (1) -ში და მე-2 თავში, ზმნის მორფოლოგიისადმი მიძღვნილ მსჯელობაში იყო ნაჩვენები, ინგლისური ზმნა სხვადასხვა ფორმას იღებს: მის მორფოლოგიური თვალსაზრისით უცვლელ ფორმას **ინფინიტივი**, ანუ საწყისი ფორმა ეწოდება, ხოლო მორფოლოგიური თვალსაზრისით კომპლექსური ფორმები ფუძეზე ინფლექსიური სუფიქსების დართვით მიიღება, როგორც (3) ცხრილში იხილავთ:

(3) უპირო ზმნური ფორმები

ინფინიტივი	to use	to show
მიმღებები: წარსული დროის მიმღებობა	used	shown
ვნებითი გვარის (passive) მიმღებობა	used	shown
ანმყო დროის მიმღებობა	using	showing

პირიანი ზმნური ფორმები

წარსული დრო	used	showed
ანმყო დრო (მხოლოდითი რიცხვის მესამე პირი)	uses	shows

ზმნებს, რომლებიც ფორმას წარსულ ან ანმყო დროში, ან შეთანხმების გამო იცვლიან, პირიანი ზმნები ეწოდებათ, ხოლო სხვაგვარ ზმნურ ფორმებს — უპირო ზმნები. ანმყო დროის ზმნები ინგლისურ ენაში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში შეთანხმების გამო იცვლიან ფორმას.

5.1.2 სინტაქსური გარემო

პირველ ნაბიჯად ის ელემენტები ჩამოვთვალოთ, რომლებიც ერთად გვხვდება.

სრული ასპექტის დამხმარე ზმნა *have* წარსული დროის მიმღობასთან ერთად გვხვდება:

(4) ა. *Many students have liked Romeo and Juliet.*

ბ. * *Many students have like / likes / liking Romeo and Juliet.*

ა. ბევრ სტუდენტს მოსწონდა „რომეო და ჯულიეტა“.

ვნებითი გვარის, ანუ პასივის დამხმარე ზმნა *be* ვნებითი გვარის მიმღობასთან ერთად გვხვდება:

(5) ა. *Juliet was loved by Romeo.*

ბ. **Juliet was love / loves / loving by Romeo.*

ა. ჯულიეტა რომეოს უყვარდა.

მიუხედავად იმისა, რომ წარსული დროის მიმღობასა და ვნებითი გვარის (პასივის) მიმღობას იდენტური ფორმები აქვთ, ჩვენ წარსული დროის მიმღობებსა და პასივის მიმღობებს შორის განსხვავებას ვხედავთ, ვინაიდან ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ კონსტრუქციებში გვხვდება. წარსული დროის მიმღობები მოქმედებითი გვარის (აქტივიან) წინადადებებში გვხვდება (როგორცაა, მაგალითად, (4) წინადადება), ვნებითი გვარის მიმღობები კი — ვნებითი კონსტრუქციის წინადადებებში (როგორცაა (5ა) წინადადება). პასიური კონსტრუქციის წინადადებებში ისეთი დეტერმინირიანი ფრაზა, რომელიც აქტიური კონსტრუქციის წინადადებებში ზმნების შემდეგ დგას, კლაუზულის სუბიექტის პოზიციაში იმყოფება. ამაზე წინა თავშიც გვექონდა საუბარი.

წინმსწრები *be* ზმნა **ანმყო დროის მიმღობასთან** ერთად გვხვდება:

(6) *Many students are reading / *read / *reads Romeo and Juliet.*

„რომეო და ჯულიეტას“ ბევრი სტუდენტი კითხულობს.

ინფინიტივები, ანუ სანყისი ფორმის ზმნები (რომლებიც ინგლისურ ენაში ფუძისეულ ფორმას ემთხვევა) სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა როლში შეიძლება შეგვხვდეს:

როგორც **მოდალური** ზმნის დამატება (*will/ would / can / could* და ა. შ.):

(7) *Many students could read Romeo and Juliet.*

„რომეო და ჯულიეტას“ წაკითხვას ბევრი სტუდენტი შეძლებდა.

როგორც **კაუზატივური** ზმნების (*make, let*) დამატება, ან როგორც **აღქმის** პროცესთან დაკავშირებული ზმნა (*see, hear*).

(8) ა. *They let [Romeo and Juliet die]*

ბ. *They saw [Juliet kiss Romeo]*

ა. მათ რომეოს და ჯულიეტას სიკვდილი დაუშვეს (ხელი არ შეუშალეს).

ბ. მათ დაინახეს, როგორ კოცნიდა ჯულიეტა რომეოს.

სხვადასხვა ყაიდის **ინფინიტივურ დამატებებში:**

to ნაწილაკიან ინფინიტივებში —

(9) ა. *Many students try [to read Romeo and Juliet]*

ბ. *Many students want [to read Romeo and Juliet]*

- ა. „რომეო და ჯულიეტას“ წაკითხვას ბევრი სტუდენტი ცდილობს.
 ბ. „რომეო და ჯულიეტას“ წაკითხვა ბევრ სტუდენტს უნდა.

for თანდებულისა და to ნაწილაკის თანწყობიან ინფინიტივებში —

(10) Many professors want very much [for their students to read Romeo and Juliet]

ბევრ პროფესორს ძალიან უნდა, რომ მისი სტუდენტები „რომეო და ჯულიეტას“ კითხულობდნენ.

დროიანი კლაუზულები დროიან ზმნებს მოითხოვს, რომლებიც ფორმას ანმყო და წარსულ დროში (და შეთანხმების გამო) იცვლიან, იმისდა მიუხედავად, მთავარი კლაუზულაა **დროიანი კლაუზულა** თუ **ჩართული კლაუზულა**:

(11) მთავარი კლაუზულა:

Romeo loved Juliet. * Romeo loving / to love Juliet.

რომეოს უყვარდა ჯულიეტა.

(12) ჩართული კლაუზულა (რომელიც that / whether ან if დმს-თი (დამატების მქმნელი სიტყვით) და ა.შ. იწყება):

ა. I believe *that* Romeo loved Juliet.

ბ. I don't know *if* Romeo loved Juliet.

გ. No students wondered *whether* Romeo and Juliet loved each other.

ა. მჯერა, რომ რომეოს ჯულიეტა უყვარდა.

ბ. არ ვიცი, უყვარდა თუ არა რომეოს ჯულიეტა.

გ. არც ერთ სტუდენტს არ აინტერესებდა, უყვარდა თუ არა რომეოს ჯულიეტა.

ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ჩვენ შემდეგ განზოგადებებს ამოვკრებთ:

(13) ა. გარკვეული ზმნური ფორმები გარკვეულ დამხმარე ზმნებთან ერთად დგას;

ბ. გარკვეული ზმნური ფორმები კლაუზულების გარკვეულ ტიპებთან ერთად დგას (ინფინიტივური კლაუზულები ზმნის საწყის ფორმას, ანუ ინფინიტივს მოითხოვს, ხოლო დროიანი კლაუზულები — დროიან ზმნებს).

ეს განზოგადებები ერთად დგომის, ან თანაარსებობით გამონვეული შეზღუდვების ნამდვილ ბუნებასთან დაკავშირებით არაერთ კითხვას ბადებს.

შესაძლებელია თუ არა (13ა) განზოგადებაში შემავალი შემთხვევები სწორედ ასევე იქნეს გათვალისწინებული? (13ბ) –ში შემავალი შემთხვევების ამგვარადვე გაერთიანება თუ არის შესაძლებელი? შეიძლება თუ არა, რომ (13ა) -სა და (13ბ) -ს შემთხვევები ერთიანად და ერთგვაროვნად იქნეს გათვალისწინებული, თუ თითოეული მათგანის თავისებურების გათვალისწინება ცალ-ცალკე უნდა მოხდეს? ეს საკითხები უნდა შევისწავლოთ, (13ა) -ში მოტანილი ერთად დგომის მახასიათებლები კი თვალსაჩინოდ ვაჩვენოთ, რაც სრული ასპექტის კონსტრუქციების განხილვით უნდა მოხდეს. შემდეგ (13ბ) განზოგადებას უნდა მივუბრუნდეთ და კერძო შემთხვევებიდან გზა უფრო ფართო სურათისკენ გავიკვლიოთ.

ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში:

I. Romeo seemed to have been kissed.

II. Writers try to adapt Romeo and Juliet to the big screen.

III. They were told to go buy tomatoes.

IV. Do you believe that he has the nerves to go on stage?

I. რომეოს, როგორც ჩანს, ვიღაცამ აკოცა.

II. მწერლები ცდილობენ, „რომეო და ჯულიეტა“ ფართო ეკრანზე გადაიტანონ.

III. მათ თხოვეს, პომიდვრის საყიდლად წასულიყვნენ.

IV. გჯერა, რომ სცენაზე გასაველელად მას გაბედულება ეყოს?

1. შემოხაზეთ ყველა ზმნიანი ფორმა, ხაზი გაუსვით წარსული დროის მიმღებებს, ორმაგი ხაზი გაუსვით ვნებით მიმღებებს, ტალღოვანი ხაზი — ყველა ინფინიტის.

2. მოიყვანეთ სხვადასხვა სახის ჩართული კლაუზულის 5 მაგალითი

5.1.3 ერთად დგომის მახასიათებლები: სრული ასპექტის კონსტრუქცია

სრული ასპექტის მქონე *have* ზმნა წარსული დროის მიმღებასთან ერთად დგას, ანუ თანაარსებობს [იხილეთ ჩანართი 5.1].

როგორია ერთად დგომის მახასიათებლები? წარმოვიდგინოთ, რომ ერთად დგომის ისეთ კონსტრუქციას (ფართო ვერსია) ვაგებთ, რომელიც მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ თუ გარკვეული სტრუქტურა (ვთქვათ, წინადადება) სრული ასპექტის მქონე დამხმარე ზმნას შეიცავს, მაშინ მასში წარსული დროის მიმღებაც უნდა შედიოდეს(ისევე, როგორც მე-4 თავში, წესები ასე უნდა იქნეს დანომრილი: წესი 1, წესი 2 და ა.შ).

წესი 1 (პირველი ვერსია)

წინადადება, რომელიც სრული ასპექტის მქონე *have* ზმნას შეიცავს, მასთან ერთად წარსული დროის მიმღებასაც უნდა შეიცავდეს.

თუ ეს ჰიპოთეზა სწორია, მაშინ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები წეს 1-ს უნდა აკმაყოფილებდეს, ვინაიდან *have* ზმნა და წარსული დროის მიმღებობა თანაარსებობს.

(14) ა. * Many students *seen have* Juliet.

ბ. * *Seen* many students *have* Juliet.

გ. * Many students *have* [ზმ.see] Juliet [*died* + წარს. მიმღ.]

სრულიად აშკარაა, რომ ეს ნიმუშები გრამატიკულად გაუმართავია, ვინაიდან წესი 1-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც *have* ზმნისა და წარსული დროის მიმღებობის ერთად დგომას გულისხმობს, საკმარისი არაა. ამასთან ერთად, ისიც აუცილებელია, რომ ისინი სწორ სტრუქტურულ ურთიერთობაში მოექცნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული სტრუქტურული ურთიერთობა *have* ზმნასა და წარსული დროის მიმღებობას შორის. (14ა) და (14ბ) მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ: ეს ურთიერთობა ისეთია, რომ წარსული დროის მიმღებობა *have* ზმნას უნდა მოსდევდეს.

ურთიერთობათა სქემატი

ახლა ერთ ისეთ ჰიპოთეზას გაგაცნობთ, რომელიც სტუდენტებს ყოველთვის ახალისებთ: ერთი სინტაქსური ცნება (მაგალითად, „სრული დრო“ (ქართ. ასპექტი)) სქემების შედგენისას ერთ სინტაქსურ სამშენებლო ერთეულს, აგურს (სიტყვას) შეესატყვისება. ინგლისური ენის სრული დროის მქონე კონსტრუქციები გვიჩვენებს,

რომ ეს ჰიპოთეზა, ყოველ შემთხვევაში, მისი დაუმუშავებელი ვერსია, არასწორია. სრული კონსტრუქცია სინტაქსურადაც კომპლექსურია: იგი ისეთ *have* დამხმარე ზმნას შეიცავს, რომელსაც საკუთარი ფლექსიურობა და წარსული დროის მიმღეობა გააჩნია; ეს კონსტრუქცია ერთი კომპლექსური მორფოლოგიური სიტყვისგან არ შედგება. თუმცა, ეს ჰიპოთეზა მაინც შეიძლება სწორი იყოს — ზოგიერთი უფრო კომპლექსური ფორმის შემთხვევაში. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ სრული დრო ერთი, დაუყოფელი სემანტიკური „ატომი“ კი არ არის, არამედ უფრო მცირე სამშენებლო მასალისგან, „აგურებისგან“ შედგება და ესენი კი *have* დამხმარე ზმნისა და წარსული დროის მიმღეობის ფორმის ზმნისგან არის შედგენილი. ახლა ამ ახალი ჰიპოთეზის სისწორის შემოწმება უფრო გვირთულდება, ვინაიდან მის სისწორესთან ერთად სინტაქსური სამშენებლო მასალისა და სემანტიკური სამშენებლო მასალის შეფასებაც მოგვიხდება.


გავრცელებული ჰიპოთეზა, რომ სემანტიკური ცნებები და სიტყვები ერთმანეთს ერთი ერთზე შეესატყვისება და რომ არსებობს სიტყვაზე უფრო მცირე ერთეული, როგორიცაა მორფემა, მრავალი ფორმითა და ვარიაციით წარმოგვიდგება და მას ხშირად მკაფიო მოხაზულობა აკლია.

(14გ) გვიჩვენებს, რომ საკმარისი არაა, წარსული დროის მიმღეობა *have* ზმნას მოსდევდეს: წარსული დროის მიმღეობა, ამასთან ერთად, *have* ზმნასთან „ახლოს“ უნდა იყოს.

როგორ განვსაზღვროთ სიტყვის „ახლოს“ ზუსტი მნიშვნელობა? მაინც რას გულისხმობს იგი? უშუალოდ *have* დამხმარე ზმნის წინ დგომას ხომ არა? მაგრამ მომდევნო მაგალითები ამტკიცებს, რომ ეს ვარაუდი მცდარია. ამ წინადადებებში წარსული დროის მიმღეობას წინ შემდეგი სიტყვები: *all*, *not* და *carefully* (ყურადღებით, ფრთხილად, დანვრილებით) უძღვის, მაგრამ წინადადებათა გამართულობას ამით არაფერი აკლდება.

- (15) ა. The students *have all* studied *Romeo and Juliet*.
- ბ. The students *have not* played *Romeo and Juliet*.
- გ. The students *have carefully* read *Hamlet*.
- ა. სტუდენტებმა ყველამ ისწავლა „რომეო და ჯულიეტა“.
- ბ. სტუდენტებს „რომეო და ჯულიეტა“ არ უთამაშიათ.
- გ. სტუდენტებმა ყურადღებით წაკითხეს „ჰამლეტი“.

„სიახლოვის“ შესაბამისი ცნება სტრუქტურის ტერმინებში უნდა იქნეს განსაზღვრული. ამაში გრამატიკული სტრუქტურების ხისებრი დიაგრამების შედგენა დაგვეხმარება (გაიხსენეთ წინა თავში მოყვანილი შეთანხმებასა და გადანაცვლებასთან დაკავშირებული საკომპონენტო ცდებიც). (ნიმუშებისთვის სტრუქტურის მინიჭება და ამ სტრუქტურათა სისწორეში დარწმუნება სინტაქსურ არგუმენტაციაში ყოველთვის პირველი ნაბიჯია: ნებისმიერი სინტაქსური არგუმენტაცია სტრუქტურას ეფუძნება):




საპარჯიშო
5.2

საკომპონენტო სტრუქტურა

ტექსტში არსებულ თანწყობას *have read Hamlet (16)* დიაგრამაში საკომპონენტო სტრუქტურა აქვს მინიჭებული. ამ სავარჯიშოში თქვენ იმის დამტკიცება მოგეთხოვებათ, რომ მოცემული სტრუქტურა ნამდვილად სწორი სტრუქტურაა.

როგორ შეამოწმებთ საკომპონენტო სტრუქტურას? როგორც მე-3 თავში ითქვა, საკომპონენტო სტრუქტურის დასადგენი ერთ-ერთი ცდა შეთანხმებაა (coordination). მხოლოდ მსგავსი კომპონენტები შეიძლება იქნეს კოორდინირებული ისეთი კოორდინაციით, როგორსაც *and* და *but* მაკავშირებელი სიტყვები წარმოადგენს. კოორდინაცია ქმნის ისეთ ხისებრ სტრუქტურებს, როგორიცაა (1), სადაც X აღნიშნავს ზმ-ს (ზმნა), დმს-ს (დამატების მქმნელი სიტყვა), ზს-ს (ზედსართავი), თს-ს (თანდებული), დს-ს (დეტერმინერი), დრ.-ს (დრო) და ასე შემდეგ:



ახლა შემდეგი მაგალითები განვიხილოთ:

- (1)
 - ა. *Some of the students have read Hamlet and have seen King Lear.*
 - ბ. *Some of the students have read Hamlet and seen King Lear.*
 - გ. *Some of the students have read Hamlet and King Lear.*
- ა). სტუდენტთაგან ზოგიერთს ნაკითხული აქვს „ჰამლეტი“ და ნანახი აქვს „მეფე ლირი“.
- ბ). სტუდენტთაგან ზოგიერთს ნაკითხული აქვს „ჰამლეტი“ და ნანახი „მეფე ლირი“.
- გ). სტუდენტთაგან ზოგიერთს ნაკითხული აქვს „ჰამლეტი“ და „მეფე ლირი“.
- ა. დაადგინეთ იმ კომპონენტის სინტაქსური კატეგორია (ზმნიანი ფრაზა, ზედსართავიანი ფრაზა, დროიანი ფრაზა, დამატების მქმნელი ფრაზა, დეტერმინერიანი ფრაზა), რომელიც *and* კავშირის შემდეგ დგას:
 - (ა) *Have seen King Lear* არის _____
 - (ბ) *seen King Lear* არის _____
 - (გ) *King Lear* არის _____
- ბ. გაარკვიეთ, რა არის კოორდინაციის პირველი ნაწილი:
 - (ა) _____ კოორდინირებულია ფრაზასთან *have seen King Lear*
 - (ბ) _____ კოორდინირებულია ფრაზასთან *seen King Lear*
 - (გ) _____ კოორდინირებულია ფრაზასთან *King Lear*
- გ. თქვენს მიერ ბ. დავალებაში მიკვლეული მასალა ხისებრი დიაგრამების სახით გამოსახეთ. გამოიყენეთ იგივე ფორმატი, რომელიც ზემოთ, (1) მაგალითში იყო გამოყენებული.
 - (ა) ბ(ა) -ს სტრუქტურა ხისებრი დიაგრამის მეშვეობით ასე გამოისახება:
 - (ბ) ბ(ბ) -ს სტრუქტურა ხისებრი დიაგრამის მეშვეობით ასე გამოისახება:
 - (გ) ბ(გ) -ს სტრუქტურა ხისებრი დიაგრამის მეშვეობით ასე გამოისახება:

დ. მოკლედ, ერთი-ორი წინადადებით ჩამოაყალიბეთ, როგორ უმაგრებს ძირს გ-ს სტრუქტურები მაგალით (16) -ის საკომპონენტო სტრუქტურას. (ნიმუში: X , ანუ X ფრაზა კომპონენტი, ვინაიდან)

ე. მე-3 თავში სხვა საკომპონენტო ცდებიცაა განხილული. ჩამოთვალეთ ისინი და სცადეთ, თითოეული მათგანი (I) -ში მოყვანილ წინადადებებს მიუსადაგოთ (მისადაგებაში სათანადო თანწყობის შექმნა და შესაბამისი ნიმუშების აგება იგულისხმება).


იმსჯელეთ, აქვთ თუ არა რაიმე ეფექტი ამ საკომპონენტო ცდებს განსახილველ მაგალითებზე. თუკი აქვთ, მაშინ როგორ დასკვნებს გამოიტანთ? როგორი იქნება თქვენი დასკვნები, თუ საკომპონენტო ცდები ამ მაგალითების შემთხვევაში არ „მოქმედებს“?

კომპონენტი, რომელიც დროის მიმღობას შეიცავს, *have* ზმნის მარცხენა ტოლი კომპონენტია. ამგვარად, წარსული დროის მიმღობა *have* დამხმარე ზმნის დამატების შემადგენლობაში შედის. ახლა წესი 1-ის ახლიდან ჩამოყალიბებაც შეგვიძლია, მას წეს 2-ს დავარქმევთ:

წესი 2 (მეორე ვერსია)


have დამხმარე ზმნა ისეთ დამატებას მოითხოვს (= ირჩევს), რომელიც წარსული დროის მიმღობას შეიცავს.

როგორც მე-3 თავში ვნახეთ, დამატებები რომელიმე კონკრეტული თავის (სათაო ელემენტის) ტოლი კომპონენტებია და ინგლისურ ენაში ამ თავის შემდეგ დგანან. თუკი *have* ზმნა დამატებად წარსული დროის მიმღობას მოითხოვს და თუ ლინგვისტური სისტემაც მოითხოვს, რომ ეს ურთიერთობა ქვემოთ, მაგალით (17) -ში მოცემულ კონფიგურაციას შეესაბამებოდეს, (14ა) და (14ბ) გაუმართაობაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვინაიდან ეს ნიმუშები სტრუქტურაში უბრალოდ ვერ ეწერება.




ახლა ჩვენი ექსპერიმენტის იმ ეტაპზე ვართ გაჩერებულები, რომელზეც აღმოვაჩინეთ, რომ *have* დამხმარე ზმნა წარსული დროის მიმღობას ერწყმის; შევიტყვეთ ისიც, რომ ეს ისეთი ურთიერთობით გამოისახება, რომელშიც წარსული დროის მიმღობა *have* დამხმარე ზმნის დამატებაში შედის. ახლა სხვა კითხვები წამოიჭრება: რას ნიშნავს ზუსტად „დამატება, რომელიც წარსული დროის მიმღობას შეიცავს?“ აქვს თუ არა მნიშვნელობა, რამდენად შორს ან ახლოს დგას წარსული დროის მიმღობა *have* ზმნისგან? ამგვარ კითხვაზე პასუხის გაცემა რომ შევძლოთ, შეგვიძლია, გამართული წინადადებების სტრუქტურები გაუმართავი ნიმუშების (ისეთების, როგორიცაა მაგალითად, (14გ)) სტრუქტურებთან შედარება ვცადოთ. ეს საგრძნობ სიცხადეს შემოიტანს ჩვენს სამუშაოში.

(18) გაუმართავი წინადადების შემთხვევა გამართული წინადადების შემთხვევა



ორივე, გამართული თუ გაუმართავი წინადადების შემთხვევაში, მიმღეობა ზმნიანი ფრაზით წარმოდგენილ კომპონენტში შედის. (თუ ისრით აღნიშნულ ზმფ კვანძს დიაგრამაზე ზემოთ ავწევთ, ყველა მისი განშტოება და მასზე მიბმული კვანძი ამ ზმნიან ფრაზასთან ერთად გადაადგილდება, ვინაიდან ეს ზმფ კომპონენტი და წარსული დროის მიმღეობა მასში შედის). ის, რაც გამართულ შემთხვევას გაუმართავისგან განასხვავებს, წარსული დროის მიმღეობის მდებარეობაა. ეს მიმღეობა *have* ზმნის დამატებაში ნებისმიერ ადგილს ვერ დაიკავებს. ჩვენს გაუმართავ წინადადებაში წარსული დროის მიმღეობა სხვა ზმნის დამატებაში შედის. ამგვარად, განზოგადება, რომლის მიკვლევასაც ვცდილობთ, ისეთი უნდა იყოს, რომ წარსული დროის მიმღეობისთვის ადგილი სტრუქტურის გარკვეულ მონაკვეთში უნდა იყოს მიჩენილი:




სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *have* ზმნა საკმაოდ „ახლომხედველია“ — წარსული დროის მიმღეობის დგომას ის ისეთ ადგილას მოითხოვს, სადაც „კარგად დაინახავს“, ამგვარ მდებარეობას ჩვენ **უშუალო დამატებას** ვუწოდებთ.

წესი 3 (მესამე ვერსია)

have დამხმარე ზმნა წარსული დროის მიმღეობის დგომას მის უშუალო დამატებაში მოითხოვს (= ირჩევს).


ახლა იმის ჩამოყალიბება გვჭირდება, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინში „უშუალო დამატება“. იდეალურ შემთხვევაში შეიძლებოდა გვეთქვა, რომ *have* ზმნა მოითხოვს, ან ირჩევს წარსული დროის მიმღეობით წარმოდგენილ დამატებას, რომელიც (20) მაგალითის სტრუქტურაში ასე გამოისახება:



მომდევნო საკითხი, წესი 3-ის მიხედვით, წარსული დროის მიმღეობის შემცველ სტრუქტურასა და კომპონენტის მარკირებას და მათ ურთიერთობას უკავშირდება. ამ ურთიერთობის გასაზრებლად თავის, ანუ სათაო ელემენტის ცნება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს.

5.1.4 პროექციები: თავები და ფრაზები

კომპონენტის თავს, ანუ სათაო ელემენტსა და კომპონენტის მარკირებას, ანუ სახელდებას შორის, რომელსაც ამ ელემენტის კატეგორია განსაზღვრავს, პირდაპირი კავშირი არსებობს — ამაში ჯერ კიდევ მე-3 თავში დავრწმუნდით. მაგალითად, ზმნიან ფრაზას ზმნიან ფრაზად ის აქცევს, რომ მის შემადგენლობაში მყოფი სათაო ელემენტი ზმნაა; სწორედ ასევე, თანდებუნიანი ფრაზაც იმის გამოა თანდებუნიანი ფრაზა, რომ სათაო ელემენტად იგი თანდებულს შეიცავს, ხოლო ზედსართავიანი ფრაზა ზედსართავიანი ფრაზად იმის გამო იწოდება, რომ მისი სათაო ელემენტი ზედსართავია.



ამგვარად, სინტაქსის სათაო ელემენტები (ანუ სინტაქსური სტრუქტურების საშენი „აგურები“) განსაზღვრავს თავიანთი პროექციების (ანუ ფრაზების) კატეგორიას.


თავები, ანუ სათაო ელემენტები მორფოლოგიაში

„თავის“ ცნება მნიშვნელოვან როლს მხოლოდ სინტაქსში კი არა, მორფოლოგიაშიც თამაშობს. როგორც გახსოვთ, ნიგნის მე-2 თავში ამაზეც იყო საუბარი. როგორც მაშინ აღვნიშნეთ, მორფოლოგიის შესწავლის საგანი ისაა, თუ როგორ იყოფა რთული შემადგენლობის სიტყვები უფრო მცირე ერთეულებად (მორფემებად) და როგორ ერწყმის ეს ერთეულები ერთმანეთს სიტყვების წარმოსაქმნელად. სიტყვები ისე ფუნქციონირებს, როგორც სინტაქსური სათაო ელემენტები, რომლებიც პროექტირებას ფრაზებზე ახდენს. ზემოთ ვნახეთ, რომ მორფემები მგრძნობიარობას ამჟღავნებს იმ წევრის კატეგორიის მიმართ, რომელსაც ებმის (სწორედ ისევე, როგორც have დამხმარე ზმნაა სენსიტიური იმ თვალსაზრისით, რომ წარსული დროის მიმდებარე მოითხოვს): სუფიქსი -ize სახელთან ერთად თანაარსებობს, -ment სუფიქსი ზმნას მოითხოვს და ასე შემდეგ. არსებითად, სუფიქსები კატეგორიათა შერჩევის ძალით ირჩევენ (ანუ ირჩევენ კატეგორიას, რომელსაც ისინი მიეკუთვნება) მორფემებს, რომელთაც ერთვის და ცვლის (ან შეუძლია შეცვალოს) იმ სიტყვის კატეგორიას, რომელსაც დაერთვის. ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების ჩამოყალიბება შემდეგნაირად შეიძლება:


- (22) -ize სუფიქსი / კატეგორიათა შერჩევის ძალით ირჩევს სახელს / სახელს ზმნით ცვლის / symbol-ize
 -ment სუფიქსი / კატეგორიათა შერჩევის ძალით ირჩევს ზმნას / ზმნას სახელით ცვლის / establish-ment

სინტაქსური თვალსაზრისით, რთული შედგენილობის სიტყვის შიდა სტრუქტურა ისე გამოისახება, როგორც ეს (23) -შია ნაჩვენები (აქ მოყვანილი რეპრეზენტაციები ნაწილობრივია, მათი სრული სახით ჩვენება ტექსტში შემდეგ მოხდება):


(23) ა. (პირველი ვერსია)



ბ.






გ.



როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ვხედავთ, ახალჩამოყალიბებულ სიტყვას მარჯვენა უკიდურესი სუფიქსი განსაზღვრავს (იხ. 23გ). ამ ფაქტთან დაკავშირებით წამოიჭრება კითხვა, შეიძლება თუ არა ახალწარმოქმნილი სიტყვის კატეგორიის პროგნოზირება, ან იქნებ ის უნდა განისაზღვროს, რომელი აფიქსები იწვევს (ან არ იწვევს) კატეგორიათა ცვლილებას. ინგლისურ ენაში პრეფიქსები, სუფიქსებისგან განსხვავებით, წარმოები სიტყვის კატეგორიას ვერასდროს განსაზღვრავენ. მაგალითად, თუკი re- პრეფიქსს (მორფემა, რომლის მნიშვნელობაც „ხელახლა“ ზმნიზებისას უახლოვდება) ზმნას წინ დავურთავთ და შემდეგ ფორმულირებას — [re + [ზმ read] მივიღებთ, ახალწარმოები სიტყვა ზმნა იქნება და არა ზმნიზედა. ამ საკითხში უკეთ ინგლისური კომპოზიტების გახსენება გაგვარკვევს (გაიხსენეთ თავი 2):

(24)



ბავშვი, ჯდომა, მწვანე, სახლი, ქვეყანა, ერი, ფართო.

babysit – ბავშვის მოვლა; greenhouse –სათბურა; nationwide–საერთო-სახალხო.

კომპონენტის კატეგორია მის მარჯვენა კიდეში მდგომი ნევრის კატეგორიით განისაზღვრება: ასე მაგალითად, სიტყვა babysit ზმნაა და არა სახელი — ამის მიზეზი ის არის, რომ კომპონენტის ყველაზე მარჯვენა ნევრი ზმნაა. კომპონენტებს თავები, ანუ სათაო ელემენტები (სათაო სიტყვები) გააჩნიათ. ინგლისურ ენაში კომპონენტები სათაო პოზიციით (ანუ სათაო ელემენტით) სრულდება. როგორც ჩვენი წიგნის მე-2 თავში ვთქვით, სათაო პოზიციაში მდგომი მორფემა კომპონენტის კატეგორიას და ამასთან, მის სხვა ნიშან-თვისებებსაც განსაზღვრავს.

სათაო ელემენტის ქონა მხოლოდ კომპონენტების სტრუქტურული ნიშან-თვისებაა, თუ ყველა სიტყვის სტრუქტურისთვისაა დამახასიათებელი? თუკი სათაო ელემენტის ქონა ყველა სიტყვის ნიშან-თვისებაა, მაშინ პრეფიქს/სუფიქსათა ის ასიმეტრიაც გასაგები გახდება, რომელზეც ტექსტში ადრე გვქონდა საუბარი. სუფიქსებს წარმოები სიტყვის კატეგორიის განსაზღვრა იმ მიზეზით შეუძლია, რომ ისინი სიტყვის სათაო პოზიციაში დგას, ხოლო ფაქტი, რომ პრეფიქსებს იგივე უნარი არ გააჩნია, იმით აიხსნება, რომ პრეფიქსები სათაო პოზიციაში არ იმყოფება. სწორედ ამის გამოა, რომ ისინი წარმოები სიტყვის კატეგორიას ვერ განსაზღვრავენ. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სათაო პოზიციის დაკავება პოტენციურად ნებისმიერ მორფემას შეუძლია. ამ პოტენციალს იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში განახორციელებს, თუკი სათანადო კონფიგურაციაში აღმოჩნდება.


თუ სუფიქსები წარმოები სიტყვის კატეგორიას განსაზღვრავენ, პრეფიქსებს საამისოდ აუცილებელი მახასიათებლები უნდა გააჩნდეთ. რაკი -ize სუფიქსი

ზმნების წარმომქმნელი სუფიქსია, გონებრივ გრამატიკაში იგი ზმნასთან უნდა იყოს დაკავშირებული (აქ ტექსტში წერია „ზმნად უნდა იქნეს აღქმული“). ამგვარად, სუფიქსები შეიძლება ლექსიკურ კატეგორიებს ემსგავსოს და ზმნად, სახელად ან ზედსართავად აღინიშნოს. მაგალითად, *-ize* არის ზმნა, *-ment* არის სახელი, *-able* სუფიქსი — ზედსართავი. ისინი, რა თქმა უნდა, განსხვავდებიან ჩვეულებრივი სახელებისგან, ზმნებისა და ზედსართავებისგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შეზღუდული (დამოკიდებული) მორფემებია (რომლებიც დამოუკიდებლად კი არ წარმოითქმის, არამედ სიტყვათა ძირებს დაერთვის) და არა თავისუფალი მორფემები (რომლებიც დამოუკიდებლად გამოითქმის).

- (25) — *ize* ზმნა შეზღუდული, კატეგორიათა შერჩევით ირჩევს სახელს
 — *ment* სახელი, შეზღუდული, კატეგორიათა შერჩევით ირჩევს ზმნას
 — *ation* სახელი, შეზღუდული, კატეგორიათა შერჩევით ირჩევს ზმნას
 და ასე შემდეგ.

ყველაფერი, რაც ითქვა, იმას მოწმობს, რომ მორფემის შეზღუდულობა თუ თავისუფლება მორფემათა გარკვეული კლასის თანდაყოლილი ნიშან-თვისება კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი მახასიათებელია, რომელსაც კომბინირება ნებისმიერ მორფემასთან შეუძლია. როგორც არ უნდა იყოს მორფემა, შეზღუდული თუ თავისუფალი, უეჭველია, რომ სახელის თავისუფალ მორფემებთან და ზმნის თავისუფალ მორფემებთან ერთად შეიძლება არსებობდეს სახელის შეზღუდული მორფემებიცა და ზმნის შეზღუდული მორფემებიც.

მაგალით (23) -ში მოყვანილი სიტყვების უფრო სრული რეპრეზენტაცია ქვემოთ არის მოცემული:



სიტყვები გრამატიკის წესების გარკვეული „კარნახით“, მითითებითაა აგებული. სათაო ელემენტები საკუთარ დამატებებთან ერთად კომპონენტებს ქმნიან. ინგლისურ ენაში სათაო ელემენტები მორფოლოგიური სტრუქტურის დამაბოლოებელ პოზიციებში დგანან.

-ize სუფიქსის მახასიათებელი, რომელიც იმ სიტყვის კატეგორიას განსაზღვრავს, რომელსაც დაერთვის (ეს სქემა მაგალით (22) -შია მოცემული), *-ize* სუფიქსის ცალკეულ ნიშან-თვისებად კი არ უნდა ჩათვალოს, არამედ სტრუქტურის აგების თავისებურებით წარმოქმნილ ელემენტად. უნდა ითქვას, რომ *-ize* სუფიქსი ზმნაა (ყურადღება მიაქციეთ ამგვარ სიტყვათხმარებას: აქ ის იგულისხმება, რომ მისი მნიშვნელობა ზმნის მსგავსია, ანუ მისი პერფორაზირება ზმნა „გადაქცევით“ შეიძლება), რომ იგი შეზღუდული მორფემაა და კატეგორიათა შერჩევით სახელს ირჩევს.


წარსული დროის მიმღეობის ძიება

წარსული დროის მიმღეობა ზმნას სუფიქსის მსგავსად ებმის. რაც შეეხება ზმნიანი ფრაზების კატეგორიზაციას, ისინი ზმნიანი ფრაზების ისეთ განსაკუთრებულ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც მათზე მოხდენილ ცვლილებაზეა (თუ ფლექსიაზე) დამოკიდებული:

ცხრილი 5.1 ზმნათა ფლექსიები

მიმღებები	ინფინიტივი	დროიანი ზმნური ფორმები
ზმფ[ნარს. მიმღ]	ზმფ [ნარს. მიმღ]	ზმფ [ანმყ. მიმღ]
ზმ [ნარს. მიმღ]	ზმ [ანმყ. მიმღ]	ზმ [ინფინ.]
ზმ [ნარს. მიმღ]	ზმ	ზმფ [+ანმყო, +შეთანხ.]
ზმ [ნარს. მიმღ]	ზმ [ანმყ. მიმღ]	ზმ [+ანმყო, +შეთანხ]
ზმ [ნარს. მიმღ]	ზმ	ზმ [+ნარს.]
[ზმ] ed	[ზმ [ed]]	[ზმ [ing]
		[ზმ]
		[ზმ] s
		[ზმ] ed


ეს იმის გააზრების საშუალებას გვაძლევს, თუ რას გულისხმობს ზუსტად წესი 3. მიმღებობა *have* დამხმარე ზმნის უშუალო დამატებაში უნდა შედიოდეს, ვინაიდან *have* ზმნა დამატებად წარს დროის მიმღებობას მოითხოვს. რაკი წარს დროის მიმღებობა ზმნიანი ფრაზით წარმოდგენილი დამატების სათაო ელემენტია, ზმნიანი ფრაზის პროექცია ასე აღინიშნება: + წარს მიმღებობა — იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სათაო ელემენტები პროექციის მახასიათებლებს ერთიანობაში განსაზღვრავს:



ახლა კი შეგვიძლია, წესი 3-ს 4-ად ვაქციოთ, რომელშიც სათქმელის მინიმალური ფორმითაა ჩამოყალიბებული:

წესი 4 (საბოლოო)
have დამხმარე ზმნა დამატებად წარსული დროის მიმღებობას ითხოვს (= ირჩევს).

ახლა გასაგები ხდება, თუ რა იყო არასწორი (14გ) მაგალითის შემთხვევაში, რომელიც ქვემოთ (28) მაგალითად მეორდება:



have ზმნა წარსული დროის მიმღებობით წარმოდგენილ დამატებას ითხოვს და არა ინფინიტივურ დამატებას. სწორედ ასევე, *see* ზმნა ინფინიტივურ დამატებასთან ერთად თანაარსებობს (*see Juliet die*), რაც იმას ნიშნავს, რომ *see* ზმნა ტოლ კომპონენტად იფინიტივურ ზმფ დამატებას მოითხოვს და არა წარსული დროის მიმღებობას.

(14გ) -ს მსგავსი შემთხვევების არსებობა, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ბუნებრივ მეტყველებაში არ დასტურდება. თუკი ზმნა რომელიმე კერძო ზმნურ ფორმას მოითხოვს, მაშინ ეს ფორმა იმ ზმნაში უნდა იქნეს რეალიზებული, რომელიც

ამ ზმნის დამატების სათაო ელემენტობას სწევს. სხვა ისეთი ზმნური ფორმის ადგილას, რომელიც ამ ურთიერთობას არ აკმაყოფილებს, იგი ვერ იდგება. ეს ფაქტი კი მოწმობს, რომ ამ ტიპის ურთიერთობა ყველა სამეტყველო ენაში ერთნაირად ხორციელდება.

სიტყვათა თანმიმდევრობა ჩანართი 5.2

არსებობს ისეთი ენები, რომლებშიც მიმღებებმა (ან სხვა დამოუკიდებელი ზმნური ფორმები), სათაო ელემენტის სასელექციო თვისებების-და მიხედვით, შეიძლება სხვადასხვა პოზიცია დაიკავოს. ზოგიერთ ენაში შესაძლებელია სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობის არსებობა, როგორცაც (14ა)-სა და (14ბ)-ში ვხედავთ. ეს ასეა ინგლისურ ენაშიც. ბრეტონულში, მაგალითად, წარსული დროის მიმღეობა შეიძლება სრული ასპექტის მქონე დამხმარე ზმნას მოსდევდეს, რაც მოსალოდნელია, თუკი წარსული დროის მიმღეობა დამხმარე ზმნის დამატება იქნება:

(არაინგლისური ენებიდან მოყვანილ ნიმუშებს ქვეშ ინგლისურ ვერსიებს მივუწერ)

Al levr en deus lennet Tom.

The book 33.მხ. have read Tom.

ტომმა წიგნი წაიკითხა.

თუმცა, წარსული დროის მიმღეობა მთავარი კლაუზულის (წინადადების) „პირველ“ პოზიციაშიც შეიძლება იდგეს, მისი პირდაპირი ობიექტით წარმოდგენილი დამატების გარეშე:

Lennet en deus Tom al levr.

read 33.მხ. have Tom the book.


ამგვარი თანმიმდევრობის მიღება გადანაცვლების მეშვეობითაა შესაძლებელი, ისე, რომ ზედაპირული პოზიცია შერჩევის უნარის მქონე ელემენტის ტოლ კომპონენტს უკავშირდებოდეს.

უფრო მოზრდილი სტრუქტურების აგება

სხვა დამხმარე ზმნებს ერთად დგომისას პასიურ და პროგრესირებად მიმღებებთან ისეთივე ნიშან-თვისებები გააჩნიათ, როგორიც have ზმნასა და წარსული დროის მიმღებებს.

- (29) ა. (პასიური) be ზმნა მოითხოვს (= ირჩევს) [+პასიური მიმღეობა] დამატება
- ბ. (პროგრესული) be მოითხოვს (= ირჩევს) [+ანმყო დროის მიმღეობა] დამატება

ეს განზოგადებები სტრუქტურულად შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს;



ეს ის მცირე ზმნიანი ფრაზებია, რომელთა შერწყმა უფრო დიდ სტრუქტურებთანაა

შესაძლებელი: ისინი ისე ფუნქციონირებენ, როგორც ასაწყობი „ლეგოს“, ან „თავსატყვის“ ნაწილები, რომელთა აწყობა ხელახლა შეიძლება:

(31) ა. This play is *being* read by the students (პროგრესირებადი be, პასიური be, მთავარი ზმნა)

ჩანართი 5.3

თანმიმდევრობა


საინტერესო ფაქტია, რომ მცირე ზმნიანი ფრაზები ერთმანეთს განსაზღვრული თანმიმდევრობით ებმის (სრული ასპექტის მქონე (have) დამხმარე ზმნა, პროგრესირებადი (be) და მთავარი (ზმ)). თუკი ეს ზმნიანი ფრაზები „ლეგოს“, ან ასაწყობი სურათის ნაწილების მსგავსია, მაშინ ერთმანეთს ასეთი წინასწარ განსაზღვრული, იერარქიული თანწყობით რატომ ერწყმის? თანამედროვე ლინგვისტურ თეორიას ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ გააჩნია. პასუხის საძიებლად კვლევის გაშლა რამდენიმე მიმართულებით დაგვჭირდება. ეს შეიძლება ინგლისური ენის შემთხვევითი ეფექტის წყალობით ხდებოდეს. შეიძლება ენობრივ შესაძლებლობათა იმ ნაწილის ზემოქმედებად ჩაითვალოს, რომელიც დერივაციას არ ექვემდებარება; ეს რომ ინგლისური ენის შემთხვევითი, დამოუკიდებლად მდგომი ნიშან-თვისება იყოს, მაშინ მისი ზემოქმედების დადგენა არ გაგვიჭირდებოდა. ეს რომ გამონაკლისი შემთხვევა იყოს, გარკვეული გადახვევა დადგენილი წესიდან, მაშინ ისეთი ენების მოძებნა დაგვჭირდებოდა, რომლებშიც ასეთი გადახვევა არ არსებობს. თავის უკანასკნელ ნამუშევარში (1999) გულიელმო ჩინკვე გვიჩვენებს, რომ თანმიმდევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები მსოფლიოს ყველა ენას გააჩნია. ეს ავტორი ამტკიცებს, რომ იერარქიული თანწყობა ისეთივე თავდაპირველი მოცემულობაა, როგორც დნმ-ს სტრუქტურა. თუმცა, მაშინაც კი, როცა თანმიმდევრობა უნივერსალურია, განსაზღვრული თანწყობა შეიძლება ამა თუ იმ სემანტიკური ინტერპრეტაციის შედეგად წარმოიქმნას.

ბ. This play *has been* read by many students (სრული ასპექტის მქონე *have* ზმნა, პასიური *be*, მთავარი ზმნა)

გ. Many students *have been* reading this play (სრული ასპექტის მქონე *have* ზმნა, პროგრესირებადი *be*, მთავარი ზმნა)

დ. This play *should have been being* read by the students (სრული ასპექტის მქონე *have* ზმნა, პროგრესირებადი *be*, პასიური *be*, მთავარი ზმნა)

(31დ) მაგალითში დახრილი შრიფტით დასტამბულ თანწყობას შემდეგი სტრუქტურა აქვს:



ამსათაო ელემენტაგან თითოეულს მაგალითი (32)–ში ტოლ კომპონენტად სწორად არჩეული ზმნე დამატება აქვს. უფრო დიდი სტრუქტურები მცირე ნაწილებისგანაა აგებული. ესენი ზმნით წარმოდგენილ ისეთ სათაო ელემენტს შეიცავს, რომლებიც კონკრეტული ტიპის ზმნიან ფრაზაზე და ასევე კონკრეტული ტიპის დამატებაზე პროეცირდება. თითოეულ შემთხვევაში სტრუქტურის შემადგენლობაში მყოფ სათაო ელემენტს შეუძლია შეამონოს მის მარჯვნივ მდგომი ტოლი კომპონენტი, სწორი, ანუ სათანადო ტიპის დამატება აქვს თუ არა მას შერჩეული.

ძალზე ადვილია იმაში დარწმუნება, რომ სათაო ელემენტებსა და დამატებებს შორის ადგილობრივი ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურები სინტაქსური სტრუქტურის ხერხემალს ქმნიან.

ხისებრი დიაგრამების აგება

ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში დახრილი შრიფტით დასტამბული თანწყობები ხისებრი დიაგრამების მეშვეობით გამოსახეთ:

(არ დაგავიწყდეთ ზმნების მიერ არჩეული შიდა არგუმენტების გამოსახვაც. ყურადღებით იყავით, ვინაიდან დეტერმინერიანმა ფრაზებმა შეიძლება ადგილი იკვალოს და მათი წარმოთქმა სხვა პოზიციებში მოგვიხდეს და არა იქ, სადაც თავიდან იყო ინტერპრეტირებული.)

(I) Dogberry will be arresting Don John

(II) Don John will have been arrested

(III) She will have eaten

(IV) I will be going to the theater

(I) დოგბერი დონ ჯონს დაპატიმრებს (დაპატიმრების პროცესში იქნება)

(II) დონ ჯონი დაპატიმრებული იქნება

(III) მას ნაჭამი ექნება

(IV) თეატრში წავალ (სიტყვა-სიტყვით თეატრში წასვლის პროცესი იგულისხმება)

სავარჯიშო
5.3

სათაო ელემენტებსა და დამატებებს შორის ურთიერთობის შეჯამება

ჩვენი „სალაბორატორიო“ ექსპერიმენტები იმ ფაქტს უკავშირდებოდა, რომ გარკვეული ზმნური ფორმები გარკვეულ დამხმარე ზმნებთან თანაარსებობს (13ა). ექსპერიმენტიდან შევიტყვეთ, რომ გონებრივი გრამატიკა სათაო ელემენტებსა და დამატებებს შორის ურთიერთობას ძალზე მკაცრ პირობებს უყენებს. თუკი სათაო ელემენტი კონკრეტული ტიპის დამატებას მოითხოვს, მაშინ ეს დამატება მის ტოლ კომპონენტად უნდა იქცეს. უკვე დავრწმუნდით, რომ სათაო ელემენტი ირჩევს და პროეცირებას ახდენს (ანუ კომპონენტებს საკუთარ დამატებებთან ერთად ქმნის და პროეცირების მახასიათებლებს ერთიანობაში განსაზღვრავს). სათაო ელემენტსა და დამატებებს შორის არსებული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურები სინტაქსური სტრუქტურის ხერხემალს ქმნიან.

5.1.5 ინფინიტივები და დროიანი ზმნები

ახლა შესასწავლად ისეთ შემთხვევებს მივუბრუნდეთ, როგორც (13ბ) განზოგადებაში იგულისხმება — გარკვეული ზმნური ფორმები, რომლებიც გარკვეული ტიპის კლაუზულებთან თანაარსებობს. მაგალითად, ინფინიტივური კლაუზულები

ინფინიტივურ ზმნებს მოითხოვს, ხოლო დროიანი კლაუზულები კი — დროიან ზმნებს. სანამ ასეთ სტრუქტურებზე მსჯელობას შევაჯამებდეთ, ხელახლა შევისწავლით ცალკეული კონსტრუქციების მახასიათებლებს. ჩვენთვის საინტერესო საკითხის არსი ახლა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ხდება ზმნური ფორმების, კერძოდ კი ინფინიტივური და დროიანი ფორმების დისტრიბუციის გათვალისწინება.

ინფინიტივური დამატებები

ახლა ყურადღების კონცენტრირებას იმ გარემოზე მოვახდენთ, რომელშიც ინფინიტივური ზმნა *for* დე *to* თანწყობას მოსდევს და ამ თანწყობის შიდა საკომპონენტო სტრუქტურის განსაზღვრით დავინყებთ.

(33) [For Kate to defy Petruccio] takes courage.

ქეთის პეტრუჩიოსთან დასაპირისპირებლად გაბედულება სჭირდება.

ისეთი თანწყობა, როგორიცაა *for* დეტერმინერიანი ფრაზა *to* ზმნიანი ფრაზა ერთი მონოლითური კომპონენტით ფუნქციონირებს. ამის დადგენა ნინა თავებში შემოტანილი საკომპონენტო ცდების მეშვეობით შეგვიძლია.

პრო-ფორმის მეშვეობით მხოლოდ კომპონენტის გადანაცვლება შესაძლებელი:

(34) ა. [For Kate to defy Petruccio] takes courage.

ბ. This takes courage.

ა. [ქეთის პეტრუჩიოსთან დასაპირისპირებლად] გაბედულება სჭირდება.

ბ. ამას გაბედულება სჭირდება.

ამგვარი სადიაგნოსტიკო საშუალებით ვადგენთ, რომ თანწყობა *for* დეტერმინერიანი ფრაზა *to* ზმნიანი ფრაზა-კომპონენტია. ამგვარი კომპონენტი შეიძლება იმავე კატეგორიის სხვა კომპონენტს შეეთანხმოს.


(35) [[For Portia to confront Shylock] and [for Hamlet to confront his step-father]] took courage.

პორციას შაილოკთან დასაპირისპირებლად და (ხოლო) ჰამლეტს თავის მამინაცვალთან დასაპირისპირებლად გაბედულება სჭირდებოდა.

ამგვარ კომპონენტს დამატების მქმნელ ფრაზას (დმფ) ვუნოდებთ, ვინაიდან მისი შიდა სტრუქტურა ისეთი დროიანი დმფ-ს მსგავსია, როგორიცაა *that Portia confronted Shylock*. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პირველი დროიან ზმნურ ფორმას კი არა, ინფინიტივს შეიცავს. ამის გამო ისეთ თანწყობას, როგორიცაა *for* დეტერმინერიანი ფრაზა *to* ზმნიანი ფრაზა — *for Portia to confront Shylock* ინფინიტივური დმფ ეწოდება. როგორც კოორდინაციასთან დაკავშირებული სხვა საკომპონენტო ცდის საფუძველზე ირკვევა, ინფინიტივური დმფ კომპონენტებად სხვაგვარადაც იყოფა, ანუ იგი კიდევ ერთ კომპონენტს [დე *to* ზმფ] შეიცავს:

(36) [For [Portia to confront Shylock] and [hamlet to confront his step-father]]

(36) -ის სტრუქტურა ისეთი უნდა იყოს, როგორიც ნიმუშ (37) -შია გამოსახული. თანწყობა *Portia to confront Shylock* კომპონენტია, რადგან შესაძლებელია მისი კოორდინირება სხვა მისგვარ კომპონენტთან.




და ბოლოს, *to* ზმნიანი ფრაზაცა და ზმნიანი ფრაზაც კომპონენტებით „მოქმედებს“:

(38) ა. *for* Portia [to confront Shylock] and [to judge the case],

ბ. *for* Portia to [confront Shylock] and [judge the case]

ა-ბ. პორციას შაილოკთან დასაპირისპირებლად და ამ შემთხვევაზე სამსჯელოდ

თუკი ასაწყობი სურათის ნაწილებს შევაერთებთ, კომპონენტის *for* დეტერმინირიანი ფრაზა *to* ზმნიანი ფრაზა სტრუქტურა ისეთი მაინც უნდა იყოს, როგორც (39) -ზეა გამოსახული. წრეში ჩასმული კვანძებიდან თითოეულს შეუძლია, იმავე ტიპის სხვა კვანძთან კოორდინირება მოახდინოს.



ყურადღება მიაქციეთ შემდეგ ფაქტს: ჯერ-ჯერობით სტრუქტურის მიმართ არაა წაყენებული მოთხოვნა, რომ სიდიდით (39) ნიმუშზე გამოსახულ სტრუქტურას არ აღემატებოდეს. დამატებითი მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სწორედ ამ თანწყობას გაცილებით უფრო დიდი სინტაქსური სტრუქტურა უნდა მიენიჭოს. ეს კარგიც იქნება, ვინაიდან ეს უფრო დიდი სტრუქტურა (39)-ში კომპონენტებს შეიცავს და დამოუკიდებელი მოტივაცია გააჩნია. (39) გამოსახულებაზე ზოგიერთი კვანძი მარკირებული, ანუ სახელდებული არ არის. როგორ განვსაზღვროთ, რა კომპონენტებთან შეიძლება გვეკონდეს საქმე? *To* ნაწილაკი ყოველთვის მის მარჯვნივ მდგომ ზმნიან ფრაზას ერწყმის. ეს სათაო ელემენტისა და დამატების ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევაა: *to* ნაწილაკი ზმნიანი ფრაზით წარმოდგენილ დამატებას მოითხოვს, რომელსაც სათაო ელემენტად ინფინიტივური ზმნა აქვს. ეს თვისება — დამატების არჩევის უნარი, სწორედ სათაო ელემენტების მახასიათებელს შეადგენს. მაშასადამე, სათაო ელემენტი *to* ნაწილაკი ყოფილა. მაგრამ რა ტიპის სათაო ელემენტია იგი? ტრადიციულად *to* ნაწილაკი ზმნის საწყისი ფორმის, ანუ ინფინიტივის გრამატიკულ თანმხლებ ნიშნად განიხილება და არა თანდებულად. ჩვენ მას დროის კატეგორიის რეალიზაციად მივიჩნევთ და აქ იმ ფაქტს ვეყრდნობით, რომ *to* ნაწილაკს ისეთივე დისტრიბუცია გააჩნია, როგორც დროითი კატეგორიის ჭრილში მყოფ ყველა ელემენტს. იგი ისევე იქცევა, როგორც სხვა სათაო ელემენტები და პროეცირებას დროიან ფრაზაზე ახდენს. კომპონენტი [to ზმნიანი ფრაზა] *for* თანდებულთან თანაარსებობს:


(40) ა. *For* Juliet *see / *sees / *seeing / * seen Romeo,

ბ. *For* Juliet to see Romeo,

ბ. ჯულიეტასთვის რომეოს ნახვა,

ამის გამო *for* თანდებული ტოლ კომპონენტად იმ დამატებას ირჩევს, რომელსაც სათაო ელემენტად *to* ნაწილაკი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ *for* თანდებულის ტოლი კვანძი დროიან ფრაზად უნდა იქნეს მარკირებული. *for*, ისევე როგორც *that* ან *if/whether* დამატების მქმნელ კატეგორიის ერთ კონკრეტულ გამოვლინებად აღიქმება. ეს ისეთი სათაო ელემენტია, რომელიც იმ დმფ-ს ტიპს მიუთითებს, რომლის თავიც თვითონაა. რაკი *for* თანდებული დროიანი ფრაზით წარმოდგენილ დამატებას ირჩევს, რომელსაც სათაო ელემენტად *to* ნაწილაკი აქვს, დეტერმინირიანი ფრაზით წარმოდგენილი სუბიექტი დროიანი ფრაზის ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული:

(41)



ამგვარად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ დროიანი ფრაზა სტრუქტურის ორ შრეს შეიცავს; პირველ შრეში სათაო ელემენტი მის მარჯვნივ მდგომ დამატებას ერწყმის და იმ კომპონენტს ქმნის, რომელსაც მარკირებისას (ან სახელდებისას) დრ' შემოკლებით (T-bar -დროითი ძგიდე) ერქმევა, ხოლო მეორე შრეში დრ.' მსაზღვრელს (მსაზ.) ერწყმის და სრულ დროიან ფრაზას (დრ.ფ) წარმოქმნის. ეს სტრუქტურა სინტაქსური ფრაზების (xp-ები) კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს ასევე აჩვენებს: დროიანი ფრაზები ორი ქვედანაყოფისგან შედგება. დეტერმინერიანი ფრაზა (დრ') კვანძთან ისეთ კომპონენტს ქმნის, რომელიც (to ზმნიანი ფრაზა) თანწყობის მქონე კომპონენტს შეიცავს. დროითი ძგიდე კი შეიცავს, სათაო ელემენტსა და არჩეულ დამატებას.

დროიანი ფრაზა, რომელიც მსაზღვრელში დეტერმინერიან ფრაზად გვევლინება, ურთიერთობას ამყარებს როგორც ზმნასთან, ისე for თანდებულთან. მისი თემატური ინტერპრეტაციისთვის ეს დეტერმინერიანი ფრაზა ზუსტად ისევეა დამოკიდებული ზმნაზე, როგორც სუბიექტი — დროიან კლაუზულაში:

- (42) ა. For Juliet to be loved (სახელის love თემატური (თემის) არგუმენტია Juliet)
- ბ. For Juliet to take poison (Juliet take ზმნის აგენტი-არგუმენტია)
- გ. For Juliet to be given flowers (Juliet give ზმნის სამიზნე არგუმენტია)

ამის მიუხედავად, ფორმის თვალსაზრისით ეს დეტერმინერიანი ფრაზა for თანდებულზეა დამოკიდებული. ამაში მაშინვე დავრწმუნდებით, თუკი დეტერმინერიან ფრაზას ნაცვალსახელით შევცვლით. ნაცვალსახელი მის პოზიციაში ბრალდებითი ბრუნვის ფორმას (her/him /them) იღებს. ამ ბრუნვაში ნაცვალსახელები მაშინ დგებიან, როცა for თანდებულის მსგავსი თანდებულების დამატებებზეა მოიაზრებიან. ბრალდებით ბრუნვაში და ამავე დროს სუბიექტის პოზიციაში მდგომი ნაცვალსახელები მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, თუ for თანდებულზე გვაქვს. სახელობით ბრუნვაში მდგომი ნაცვალსახელები, რომლებიც, ჩვეულებრივ, დროიანი კლაუზულების შემადგენლობაში შედიან, ამ გარემოში ვერ მოხვდებიან.

- (43) ა. For her / *she to be loved that she /*her should be loved
(her = ბრალდებითი ბრუნვა) (she = სახელობითი ბრუნვა)
- ბ. (*Her) to be loved is important

სტრუქტურა, რომელმაც ახლა მივედით, სათაო ელემენტისა და დამატების ადგილობრივი ურთიერთობისგან შედგება (სათაო ელემენტი თავის ტოლ კომპონენტებს ირჩევს). ინფინიტივების შერჩევასთან დაკავშირებით რამე განსაკუთრებული სათქმელი არ გვაქვს: ისინი წინადადებაში ყოველთვის იმ რომელიმე სათაო ელემენტის გამო იკავებენ ადგილს, რომელიც მათ მოითხოვს.

ჯერ-ჯერობით ზმნური ფორმების დისტრიბუციის განმარტებას ადვილად და ყოვლისმომცველი ფორმულირებებით ვახერხებთ: სათაო ელემენტები გარკვეული

ტიპის დამატებებს მოითხოვენ. სათაო ელემენტი-დამატების ურთიერთობაც ყოველთვის ერთნაირად განიმარტება: დამატება სათაო ელემენტის ტოლი კომპონენტია. ზმნის მსგავსი ლექსიკური კატეგორიები მხოლოდ გარკვეული ტიპის დამატებებს კი არ ირჩევენ, არამედ ისეთ ფუნქციურ კატეგორიებსაც, როგორცაა დეტერმინერი (that, the), დამატების მქმნელი სიტყვა (for) და დრო (to).

დროიანი კლაუზულები

ახლა პირიანი, ან დროიანი ზმნების დისტრიბუცია განვიხილოთ. ეს ზმნური ფორმები გვხვდება როგორც მთავარ, ისე ჩართულ დროიან კლაუზულებში.

(44) ა. მთავარი კლაუზულა:

Katherina defied (*defy /to defy) Petruccio

კატარინა პეტრუჩიოს გაუძალიანდა.

ბ. ჩართული კლაუზულა:

[That Katherina defied (*defy / to defy) Petruccio] disturbed all the men

[იმან, რომ კატარინა პეტრუჩიოს გაუძალიანდა] ყველა მამაკაცს მოსვენება დაუკარგა.

Many students concluded that Katherina defied (*defy / to defy) Petruccio


ბევრმა სტუდენტმა ჩათვალა, რომ კატარინა პეტრუჩიოს გაუძალიანდა.

როგორც ზემოთ ითქვა, ეს კლაუზულის გარკვეული ტიპისა და ზმნური ფორმის ერთად დგომის ნიმუშია და განსხვავდება ერთად დგომის ზემოთ განხილული შეზღუდვების მაგალითებისგან, რომელთაგან ყველა სათაო ელემენტისა და დამატების კონფიგურაციასთან იყო დაკავშირებული. შესაძლებელია თუ არა, რომ პირიანი ზმნების დისტრიბუცია იმ ურთიერთობაშიც იქნეს გათვალისწინებული, რომელიც ადგილობრივ სათაო ელემენტსა და დამატებას შორის არსებობს? თუკი ეს შეუძლებელია, რა ინფორმაციას გვაძლევს ეს ფაქტი გონებრივი გრამატიკის შესახებ? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რომ შეეძლოს, ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, თუ როგორი სტრუქტურა გააჩნია დროიან კლაუზულას. მოდიოთ, მსჯელობა ჩართული დროიანი დამატებებით (44ბ) დავინყოთ. (თქვენ შეიძლება კითხვა გაგიჩნდეთ, რატომ არ ვინყებთ ჩვენს ანალიზს ამკარად უფრო მარტივი შემთხვევების განხილვით. თუმცა, ქვემოთ დარწმუნდებით, რომ მათი სიმარტივე მოჩვენებითია.)

(45) [That Katherina defied (*defy / to defy) Petruccio] disturbed all the men

That Katherina defied Petruccio კომპონენტია, რომელიც დამატების მქმნელი სიტყვით (დმს) that იწყება. ნებისმიერი კლაუზულა, რომელიც ამ დმს-ზე იწყება, პირიან ზმნას უნდა შეიცავდეს (ანუ ზმნა, რომელიც დროისა და შეთანხმების გამო ცვლილებას განიცდის): მაშასადამე, that დმს და პირიანი ზმნები ერთად დგანან, ან თანაარსებობენ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ that დამატების მქმნელი სიტყვა დამატებად ირჩევს კომპონენტს, რომელსაც სათაო ელემენტად ისეთი ზმნა აქვს, რომელიც (ზმნის დროიანობის შემთხვევაში) კონკრეტული ტიპის ფლექსია — (მას + დრ. დავარქვათ) ახასიათებს.

(46)



Katherina defied Petruccio

კოორდინაცია ამტკიცებს, რომ that Katherina defied Petruccio, როგორც (46)

მაგალითში მოცემული სტრუქტურაც მონიშნავს, კომპონენტია. კოორდინაციასთან დაკავშირებული ცდა უფრო და უფრო მცირე კომპონენტების არსებობასაც აშკარას ხდის:
 (47) ა. [that [Katherina defied Petruccio] and [Portia confronted Shylock]]


ის (იმან), რომ კატარინა პეტრუჩიოს გაუძალიანდა ხოლო პორცია შაილოკს დაუპირისპირდა

ბ. that Katherine [[defied Petruccio] and [cursed Bianca]]

ის (იმან), რომ კატარინა პეტრუჩიოს გაუძალიანდა და ბიანკა გამოლანძღა

ახლა ჩვენ სუბიექტად წარმოდგენილი დეტერმინირიანი ფრაზისა და იმ კომპონენტისთვის, რომელიც პირიანი ზმნისა და ობიექტისგან (ან, უფრო ზუსტად, დანარჩენი კლაუზულისგან) შედგება, ადგილის მიჩენა გვჭირდება. მას დრ.' -ის ანალოგიით ზმ კვანძი ვუნდოთ.

(48) (ქვემოთ მოყვანილი სტრუქტურა შემდგომ ცვლილებებს განიცდის)



ეს სტრუქტურა განსხვავდება იმ სტრუქტურისგან, რომელიც მე-3 თავშია წარმოდგენილი (ქვემოთ, ტექსტში მასში ცვლილებებს შევიტანთ), მაგრამ არაფრით ეწინააღმდეგება ვარაუდებს, რომლებსაც აქამდე მორფოლოგიასა და სინტაქსთან დაკავშირებით გამოვთქვამდით. ამის გამო ისეთი თეორიული და ემპირიული არგუმენტების მოყვანა დაგვჭირდება, რომლებიც გადაგვანყვეტინებს, არის თუ არა მსგავსი რეპრეზენტაციები უარსაყოფი და თუ არის, რატომ.

დროიანი მთავარი კლაუზულები (წინადადებები)

აქამდე ვამბობდით, რომ სხვადასხვა ფორმაცვალებადი (ინფლექციური) ზმნური ფორმის დისტრიბუცია, სათაო ელემენტებისა და დამატების ურთიერთობებამდე დაყვანა შესაძლებელია. ეს ურთიერთობები ისეთი კონფიგურაციებითაც შეიძლება გამოიხატოს, რომლებშიც დამატება სათაო ელემენტის ტოლი კომპონენტია. ამ შეხედულებაზე დაყრდნობით პირდაპირ ჩართული დროიანი დამატებების სტრუქტურებამდე მივდივართ. ახლა დროიანი მთავარი კლაუზულების პრობლემას მივუბრუნდეთ. მთავარი კლაუზულები ინგლისურ ენაში ღია დამატების მქმნელი სიტყვით არ იწყება, თუმცა, ზმნის პირიან ფორმას მაინც მოითხოვს:

(49) Katherina defied (*defy /to defy) Petruccio.


კატარინა პეტრუჩიოს გაუძალიანდა.

დროიან მთავარ კლაუზულებს მყარი ფორმა ექნებოდა, ისინი რომ დროიანი ფრაზები იყოს. მაგრამ დროიანი მთავარი კლაუზულა დროიანი ფრაზა რომ იყოს, მაშინ დროიანი ზმნის არსებობა წინადადებაში იმ სათაო ელემენტის არსებობით კი არ იქნებოდა განპირობებული, რომელიც მას მოითხოვს (როგორც აქამდე განხილულ ყველა შემთხვევაში ვნახეთ), არამედ დამოუკიდებელ მოთხოვნად იქნებოდა წარმოდგენილი:

(50) მთავარი კლაუზულები დროიან ზმნებს მოითხოვს.

ალბათ უნდა დავინტერესდეთ, აქვს თუ არა საფუძველი ამგვარ დასკვნას. თუ საკითხს უფრო ფართოდ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ამ პრობლემას თურმე ძალზე საინტერესო გადაწყვეტა ჰქონია.

სტრუქტურული ასიმეტრია დროიან მთავარ კლაუზულებს შორის (რომლებიც დროიან ფრაზებს ჰგავს) და ჩართულ თხრობით წინადადებებს შორის (რომლებიც დამატების მქმნელ ფრაზებს ჰგავს) შეიძლება გაუქმდეს. წარმოვიდგინოთ, რომ მთავარი და ჩართული წინადადებები დამატების მქმნელი ფრაზებია. მაშინ მათ შორის განსხვავების არსებობა იმ ფაქტისთვის უნდა მიგვეჩვენა, რომ ისინი დამატების მქმნელი ფრაზების სხვადასხვა ტიპებს მიეკუთვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი სათაო ელემენტები სხვადასხვა დმს (დამატების მქმნელი სიტყვა) კვანძებია. დამატების მქმნელი სიტყვის კვანძი მთავარ დროიან კლაუზულაში გამოუთქმელია, მაშინ, როცა ჩართულ დროიან დამატებებში გამოითქმის, როგორც სიტყვა *that*. ორივე დმს კვანძს ერთნაირი ფორმალური მახასიათებელი ექნებოდა, რომელიც + დროის მოთხოვნაში მდგომარეობს, ხოლო პირიანი ზმნის არსებობა დამოუკიდებლად და საგანგებოდ აღსანიშნი არ იქნებოდა. მთავარი კლაუზულის კვანძის აღნიშვნა ასე შეგვიძლია: დმს [+თხრობითი +მთავარი], ხოლო (48) დიაგრამაში შემდეგი ცვლილება შევიტანოთ:



დასკვნა, რომელიც გამოვიტანეთ, ინგლისურ ენაში უხმო (გამოუთქმელი) სათაო ელემენტის არსებობაზე მიუთითებს. ეს მთავარი წინადადების დამატების მქმნელი ფრაზაა, რომელსაც სათაო ელემენტების ყველა ნიშან-თვისება გააჩნია: იგი გარკვეული ტიპის დამატებას, ამ შემთხვევაში დროიან ზმნიან ფრაზას ირჩევს და ეს პროექციას მთლიანად განსაზღვრავს და ახასიათებს — ამ შემთხვევაში თხრობითი წინადადების მატრიცის იდენტიფიცირებას ახდენს. მისგან სიტყვას *that* მხოლოდ ჩართული დამატების სათაო ელემენტად დგომა ასხვავებს:

(52) დმს [+თხრ. + მთავ.], კატ.შერჩევით ირჩევს + დროს, დმს არ გამოითქმის.

დმს [+ თხრობ, + ჩართული], კატ. შერჩევით ირჩევს + დროს, დმს გამოითქმის, როგორც *that*.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიტყვა *that* და გამოუთქმელი დამატების მქმნელი სიტყვა იმ დმს კვანძის რეალიზებას ახდენს, რომელიც თხრობითი კლაუზულების სათაო ელემენტად გვევლინება. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დმს კვანძი მთავარი კლაუზულის სათაო ელემენტია, მაშინ, როცა სიტყვა *that* სათაო ელემენტად მხოლოდ ჩართულ კლაუზულებში გვხვდება.


არსებობს თუ არა სინამდვილეში ასეთი ნულოვანი სათაო ელემენტები გონებრივ გრამატიკაში? ჩვენი პასუხია: დიახ, არსებობს.

მორფოლოგიიდან ვიცით, რომ არსებობს უხმო (გამოუთქმელი) მორფემები (ნულოვანი, ან სხვაგვარად, „ზერო“ მორფემები (იხილეთ თავი მე-2)). ზოგიერთი ასეთი გამოუთქმელი მორფემა სათაო ელემენტით „იქცევა“. ამგვარი დასკვნის საფუძველს ინგლისური ენის სიტყვათწარმოების პროცესი გვაძლევს, რომლის

სინტაქსში შეუთავსებელია იმ შეხედულებასთან, რომ სიტყვები სინტაქსის საშენი მასალაა, მისი „აგურებია“, ვინაიდან სრულიად აშკარაა, რომ გამოუთქმელი სათაო ელემენტები სიტყვები არ არის და, ამის მიუხედავად, ისინი მინც ამგვარ საშენ მასალად გვევლინებიან. მაშასადამე, სინტაქსის საშენი „აგურები“ ისეთი სათაო ელემენტები ყოფილა, რომლებიც შეიძლება ან გამოუთქმელი იყოს, ან — ღია. თუკი ამ სათაო ელემენტების დახასიათებას განვაგრძობთ, მათი აღწერა ისეთი ნიშან-თვისებებით შეიძლება, როგორიცაა ნარსული დრო, მრავლობითი რიცხვი, პირის (პირველი, მეორე, მესამე) ნიშნები, ბრუნვის (სახელობითი, ბრალდებითი, მიცემითი, ნათესაობითი და ასე შემდეგ), კლაუზულის (წინადადების) ტიპი (თხრობითი, მთავარი და ა.შ.)

ზმნის სანწყისი ფორმებისა და დროიანი კლაუზულების შედარება

რაკი ყველა შესაძლო ცალკეული შემთხვევა განვიხილოთ, ახლა ფართო სურათის ხარვეზებზეც შეგვიძლია საუბარი. ეს ხინჯები ხილული მაშინ გახდება, როცა ერთმანეთს შევადარებთ ერთი მხრივ, თანწყობის *for* დეტერმინერიანი ფრაზა სტრუქტურასა და, მეორე მხრივ, ზმნ ინფინიტივებს და დროიან კლაუზულებს.




ეს სტრუქტურები ასიმეტრიულებია. ინფინიტივური კლაუზულები სტრუქტურული თვალსაზრისით უფრო დიდებია, ვიდრე პირიანი კლაუზულები. პირიან კლაუზულებში დროიანი ფრაზის კვანძი და ზმნიანი ფრაზის კვანძი „ჩაგარდნილია“, ინფინიტივურებში კი — არა. ეს გრამატიკული დროის გამოხატვის თავისებურებების პირდაპირი შედეგია. ინფინიტივური to ნაწილაკი დრ. კვანძში თავისუფალი მორფემაა, მაგრამ პირიანი დრო (finite tense) ზმნაზე სუფიქსის დართვით გამოიხატება. ეს ფაქტი დროის მიერ ზმნის არჩევას მორფოლოგიით ცვლის (დროის ნიშნის გამომხატველი მორფემა ზმნას დაერთვის, ანუ იგი ზმნას ირჩევს) და (57) მაგალითში შემჭიდროვებული (კომპრესირებული) სტრუქტურისკენ ისწრაფვის. ამგვარი შემჭიდროვება სხვა სახის ცვლილებებსაც იწვევს. ინფინიტივში სუბიექტის სტრუქტურული პოზიცია განსხვავდება დროიანი კლაუზულის სუბიექტის პოზიციისგან. *for* და *that* სიტყვები ორივე დამატების მქმნელი სიტყვებია, რომლებიც დროის კვანძის სხვადასხვა გამოვლინებას ერწყმიან. მაშინ, როცა *for* თანდებული დროიანი ფრაზით გამოხატულ დამატებას ერწყმის, *that* დმს დროიანი ზმნიანი ფრაზით გამოხატულ დამატებას ერწყმის, რომელსაც სათაო ელემენტად დროიანი ზმნა აქვს. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამგვარი რეპრეზენტაციები სწორია. თუმცა, ამის მიუხედავად, ასეთი ასიმეტრიები დაეჭვების მიზეზს გვაძლევს, ვინაიდან მათი გაჩენა შესაძლოა საერთო სურათიდან რომელიმე ნაწილის ამოგლეჯით

ან მისი შეუვსებლობით იყოს გამონვეული. ჩვენი ზოგადი სტრატეგია კი ისეთია, რომ ეს ასიმეტრიები უნდა გაუქმდეს და შემდეგ კი ინახოს, რა დადებითი შედეგი მოაქვს (თუკი მოაქვს) მათ გასწორებას.

აქ გარკვეული კითხვები ჩნდება. რატომ არ უნდა ჰქონდეთ კლაუზულების სხვადასხვა ტიპებს სიმეტრიული სტრუქტურები? რატომ უნდა ჩნდებოდეს დეტერმინერიანი ფრაზით გამოხატული სუბიექტი სხვადასხვა კონფიგურაციებში, ერთი მხრივ, ინფინიტივურ დამატებებსა და მეორე მხრივ, დროიან კლაუზულებში? ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემა იმის გააზრების შემდეგ შეიძლება, თუ როგორ სახეს იღებს სისტემა, როცა ინფინიტივების და დროიანი კლაუზულების შინაგანი აგებულება იდენტურია.

საეჭვოა, რომ ინფინიტივური დამატებების სტრუქტურის დაყვანა დროიანი კლაუზულების სტრუქტურებამდე შესაძლებელი იყოს. ეს რომ შევძლოთ, (57ა) -ში მოყვანილი ზოგიერთი სტრუქტურა უნდა ნაიშალოს. მაგრამ ამ სტრუქტურის თითოეულ ნაწილს ხომ დამოუკიდებელი მოტივაცია გააჩნია. თუმცა, დროიანი კლაუზულებისა და ინფინიტივების პარალელურად განლაგება ადვილია. ამის მიღწევა დროიანი დამატებების სტრუქტურის გამდიდრებითა და იმ ვარაუდის დაშვებით შეიძლება, რომ სტრუქტურა შეიცავს დროიანი ფრაზის ისეთ დონეს, რომელიც ზმნიანი ფრაზისგან დამოუკიდებლად დგას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ დროიანი ფრაზისა და ზმნიანი ფრაზის კვანძების გაუქმებას „გაუქმებთ“. შედეგად კი ამგვარ სტრუქტურას ვიღებთ:



ეს საშუალებას გვაძლევს, გავაერთგვაროვნოთ სუბიექტური დეტერმინერიანი ფრაზის მიმართ დამოკიდებულება: იგი ყოველთვის იმავე სინტაქსურ კონფიგურაციაში იმყოფება (მასზე უშუალოდ დომინირებს დროიანი ფრაზა; იგი დრ.' კვანძის ტოლი კომპონენტია, როგორც ინფინიტივურ, ისე დროიან კლაუზულებში). ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ [დრ.+დრო] ირჩევს დროიან ზმნიან ფრაზას (სწორედ ისევე, როგორც to თანდებული ირჩევს ინფინიტივურ ზმნიან ფრაზას): კლაუზულები ისეთ დრ. კვანძს შეიცავენ, რომლებიც ზმნიან ფრაზებს საკუთარ დამატებებად ირჩევენ. that დმს, ისევე როგორც for, ისეთ დროიან ფრაზას ირჩევს, სათაო ელემენტად [დრ] კვანძი რომ აქვს. სხვადასხვა ტიპის ამ სათაო ელემენტებს (to ან +დრო) შეუძლიათ, დრ. სათაო ელემენტის პოზიცია დაიკავონ. იგივე შეგვიძლია ვთქვათ სხვა სათაო პოზიციებზეც: სათაო პოზიციაში მდგომი დამატების მქმნელი ფრაზა შეიძლება იყოს for, that, whether, if; დეტერმინერიანი ფრაზის სათაო პოზიციაში მდგომი დეტერმინერი შეიძლება სხვადასხვა ტიპის დეტერმინერს (that, the, these, a) შეიცავდეს და ასე შემდეგ.

(58ბ) -ში მოცემული სტრუქტურის სასარგებლოდ უამრავი ემპირიული არგუმენტი არსებობს. მათზე ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ. როგორც შემდგომ დავრწმუნდებით, ამ სტრუქტურის ჩონჩხი საფუძველში სწორია, თუმცა, [დრ.+ დრო] და ზმ +დრო კვანძებს

შორის გარკვეული ურთიერთობა, რომელიც ზემოთ მოყვანილ სტრუქტურაში ნაჩვენებები არ იყო, ჩასამატებელი გვექნება.

5.1.6 დროიანი კლავზულების სტრუქტურების შესახებ

მომდევნო განყოფილებებში (58ბ) -ზე გამოსახული სტრუქტურის ემპირიულ დასაბუთებას წარმოვადგენთ და ამასთან, დამოკიდებულების კიდევ ერთ ისეთ ტიპს გაგაცნობთ, რომელიც სათაო პოზიციებს შორის არსებობს და **სათაო ელემენტთა გადანაცვლება** (ან: თავების გადანაცვლება) ეწოდება.

დამხმარე, მოდალური და ძირითადი ზმნები

სანამ დროიანი კლავზულების სტრუქტურაზე დავიწყებთ საუბარს, გარკვეული განსხვავებების გამოკვეთა დაგვჭირდება **დამხმარე ზმნებს** (მაგალითად, *have* ზმნა სრული ასპექტის მქონე კონსტრუქციებში იხმარება, ხოლო *be* ზმნას ნებისმიერი გამოყენება გააჩნია), **მოდალურ ზმნებს** (*will/would, can/could, may/might, shall/should, do/did*) და **ძირითად ზმნებს** (ყველა სხვა ზმნა, რომლებიც აქ არაა ჩამოთვლილი) შორის.

(59) (1) დამხმარე ზმნები:

ა. *Juliet has gone to the nunnery* (სრული ასპექტის მქონე დამხმარე ზმნა *have*)

ბ. *Juliet is sad.*

გ. *Juliet is going to the nunnery.*

დ. *Juliet was in the cellar.*

ე. *Juliet is my friend.*

(2) მოდალური ზმნები

Juliet will / would / can / could/ may / might / shall / should / do / did go to the garden.

(3) ძირითადი ზმნები

Juliet left; Juliet wrote to Romeo; Juliet saw Romeo; Juliet has to leave; Juliet seems to be in love და ასე შემდეგ.

ეს დისტრიბუცია კონკრეტული განსახილველი ზმნის სადისტრიბუციო მახასიათებლებს ემყარება, და არა მათ ამა თუ იმგვარ ინტერპრეტაციას. მაგალითად, დამხმარე და მოდალური ზმნები შეიძლება სუბიექტს წინაც უსწრებდეს — მაგალითად, თანამედროვე ინგლისური ენის ყეს-ნო სიტყვებით დაწყებულ კონსტრუქციებში, მაგრამ ძირითადი ზმნა სუბიექტის წინა პოზიციაში არასდროს დგება.

(60) ა. *Has she gone to the garden?* — ის ბაღში წავიდა?

ბ. *Is she going to the garden?* — ის ბაღში მიდის?

ბ. *Should she go to the garden?* — ის ბაღში წავიდოდა?

გ. *Will she go to the garden?* — ის ბაღში წავა?

დ. **Went she to the garden?*

ზმნის კლასები

ზმნის კლასის უფრო წვრილად დაყოფის ბევრი შესაძლო პრინციპი არსებობს. ამათგან ზოგიერთს, შესაძლოა, ლექსიკონებიდანაც იცნობთ. აიღეთ ნებისმიერი ლექსიკონი და შესავალ გვერდებს გადახედეთ. ლექსიკონებში, როგორც წესი, გამოყოფილია, ვთქვათ, გარდაუვალი ზმნები, ანუ ისეთი ზმნები, რომლებიც

დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილ დამატებებს არ ერწყმიან. ასეთებია, მაგალითად, laugh, arrive (სიცილი, მისვლა-ჩასვლა) და კიდევ სხვა მრავალი. გამოიყოფა გარდამავალი ზმნებიც, ანუ ზმნები, რომლებიც დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილ დამატებას ერწყმიან, მაგალითად, kiss, hit (კოცნა, დარტყმა) და ა.შ.

ამგვარი (უხეში) დაყოფა იმ გარემოს ასახავს, რომელშიც ესა თუ ის ზმნა დგას — ანუ მისი მეშვეობით ჩანს, ერწყმის თუ არა ზმნა დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილ დამატებას. ასეთი გარემო, როგორც ირკვევა, ძალზე ბევრნაირი ყოფილა. მაგალითად, ლექსიკონი The Advanced learner Dictionary of Current English 25 სხვადასხვაგვარ ზმნურ მოდელს გამოჰყოფს, რომელთაგან ზოგიერთი შემდგომაც არის დაყოფილი. სადისტრიბუციო მახასიათებლების გარდა, ასეთი ქვედანაყოფები წმინდა სემანტიკური დახასიათების თვალსაზრისითაც შეიძლება შედგეს. ამ თავში არც ერთ ასეთ წვრილ დაყოფას არ განვიხილავთ.

სავარჯიშო

5. 4

დაახარისხეთ ქვემოთ მოცემული ზმნები ძირითად, დამხმარე და მოდალურ ზმნებად. შეადგინეთ თქვენბური დაყოფის დამასაბუთებელი მაგალითები (წინადადებები) თითოეული მათგანისთვის.

ნიმუში:

(I) They should go to the garden. should მოდალური ზმნაა.

დასაბუთება: ეს ზმნა yes-no სიტყვებით დანყებულ კითხვით წინადადებებში სუბიექტს წინ უსწრებს: Should they go to the garden?

(II) John seems to be sick. seems ზმნა არის _____

დასაბუთება:

(III) John has a problem. has ზმნა არის _____

დასაბუთება:

(IV) Juliet has left. left ზმნა არის _____

დასაბუთება:

(V) Frank had his donkey saddled. had ზმნა არის _____

დასაბუთება:

(VI) They go see their advisers every week. go ზმნა არის _____

დასაბუთება:

(VII) They want to be left alone. want ზმნა არის _____

დასაბუთება:

(VIII) They are happy. are ზმნა არის _____

დასაბუთება:

(IX) They appear happy. appear ზმნა არის _____

დასაბუთება:

(X) They need to act. need ზმნა არის _____

ზმნიანი ფრაზის ელიფსი

განვიხილოთ კონკრეტული ზმნები ქვემოთ მოყვანილი წინადადებებიდან:

- (61) ა. Although Regan has not been a good daughter to Lear, Cordelia has.
- ბ. Othello will regret his actions, but Iago will not.
- გ. Although Othello couldn't hide the dagger, Cordelia could.

ა. მართალია, რეგანი ლირისთვის კარგი ქალიშვილი არ ყოფილა, მაგრამ კორდელია იყო (კარგი ქალიშვილი).

ბ. ოტელო ინანებს თავის საქციელს (სიტყვ. ქმედებებს), მაგრამ იაგო კი არა.

გ. მართალია, ოტელომ ხანჯლის დამალვა ვერ შეძლო, მაგრამ კორდელიამ შეძლო.

კლაუზულები — *Cordelia has, Iago will not, Cordelia could* ელიფსური კლაუზულებია.

ამ წინადადებებს რალაც ნაწილი აკლია, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი მნიშვნელობა ზედმიწევნით გასაგებია.

(62) ა. *Cordelia has* [ზმფ *been a good daughter to Lear*] მაგრამ არა: * *read many books/ * been a good wife to Lear* და ასე შემდეგ.

ბ. *Iago will not* [ზმფ *regret his actions*] (მაგრამ არა: * *go to the garden/ *be scared*)

გ. *Cordelia could* [ზმფ *hide the dagger*]

ანუ ამ წინადადებების ინტერპრეტირება ვარსკვლავებით აღნიშნული მნიშვნელობებით არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. მათი გაგება მხოლოდ ვარსკვლავით აღნიშნველი ვერსიითაა შესაძლებელი.

ამ ტიპის ელიფსური წინადადებების შედგენილობა მინიმალურია: ისინი მხოლოდ სუბიექტს და (შეუკვეცელ) პირიან დამხმარე ზმნას, ან მოდალურ ზმნას შეიცავენ. ზმნიანი ფრაზით წარმოდგენილი კომპონენტი მათში არ გვაქვს, მაგრამ მოცემულ ენაზე მოსაუბრე ადამიანი გამოტოვებული ზმნიანი ფრაზის ინტერპრეტირებას ძალიან ზუსტად ახდენს, ის გამოტოვებულ ფრაზას, იმ ზმნიანი ფრაზის იდენტურად აღიქვამს, რომელიც წინადადებაში, ან საერთო დისკურსშია მოცემული. ამგვარ პროცესს, რომელიც ზმნიანი ფრაზის გამოუთქმელობის საშუალებას იძლევა, **ზმნიანი ფრაზის ელიფსი** ეწოდება. ზმნიანი ფრაზის ელიფსი შეიძლება გვექონდეს ნებისმიერი ზმნიანი ფრაზის შემთხვევაში, რომელიც წინადადების პირველ ნაწილში იდგება. ამას შემდეგი მაგალითებიც მოწმობს:

(63) *Juliet could* [ზმფ *have* [ზმფ *been* [ზმფ *studying*]]] and


ა. *Romeo could* [ზმფ *have* [ზმფ *been* [ზმფ *studying Latin*]]] *too*

ბ. *Romeo could* [ზმფ *have* [ზმფ *been* [ზმფ *studying Latin*]]] *too*

გ. *Romeo could* [ზმფ *have* [ზმფ *been* [ზმფ *studying Latin*]]] *too*

წინადადების წარმოთქმულ ნაწილს **ზმნიანი ფრაზის ელიფსის მონარჩენს** ვუწოდებთ.

თუკი დავასაბუთებთ, რომ ელიფსური წინადადებები არსით სრული წინადადებებია, მაშინ მათ ფიქსირებულ ინტერპრეტაციასაც ავხსნით. ზმნიანი ფრაზა შეიძლება ისე იქნეს აღქმული, როგორც პროცესი, რომელიც „სიჩუმეს ადებს“ ფონოლოგიურ მასალას კონკრეტულ ზმნიან ფრაზაში (თუკი ზმნიანი ფრაზის შინაარსის „აღდგენა“ შესაძლებელია), მაგრამ რომელიც სხვა დანარჩენ ინფორმაციას ხელუხლებლად ტოვებს. ამ პროცესის გამოსახვა შემდეგნაირად შეიძლება:



ზმნიანი ფრაზის ელიფსი დროიან ძირითად ზმნებთან

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ელიფსის მონარჩენი დამხმარე ან მოდალური ზმნისგან შედგება, რომელსაც გამოუთქმელი ზმნე დამატება აქვს. მაგრამ დავაკვირდეთ, რა მოხდება, თუკი ზმნიანი ფრაზის ელიფსს ისეთ წინადადებას მივუყენებთ, რომელშიც პირიანი ძირითადი ზმნა დგას.

ჩანართი 5.5

ძირითადი *do* ზმნა და დამხმარე *do* ზმნა

ინგლისურ ენაში ორი *do* ზმნაა. ეს ზმნები ერთმანეთის ჰომოფონურები არიან (ანუ ერთნაირად გამოითქმის), მაგრამ განსხვავებული სინტაქსური დისტრიბუცია გააჩნიათ. დამხმარე *do* ზმნა წინ უსწრებს უარყოფით სიტყვას *not* ან განსახილველ ზმნის სუბიექტს; ძირითადი *do* ზმნა არც *not*-ს უსწრებს წინ და არც სუბიექტს.

(I) დამხმარე *do* ზმნა: Othello *did not believe* Desdemona — „ოტელომ დეზდემონას არ დაუჯერა“ (დამხმარე *do* ზმნა წინ უსწრებს *not* უარყოფით სიტყვას)

(II) ძირითადი *do* ზმნა ისევე „იქცევა“, როგორც სხვა ძირითადი ზმნები, მაგალითად, ზმნა *kill* (მოკვლა): იგი არც *not* უარყოფით სიტყვას უსწრებს წინ და არც სუბიექტს:

(ა) Othello killed Desdemona

(ბ) *Othello killed not Desdemona

(გ) *Killed Othello Desdemona

(დ) Othello did something terrible („ოტელომ რაღაც საშინელი ჩაიდინა“)

(ე) *Othello did not something terrible

(ვ) *Did Othello something terrible?

(ამ კონტექსტში ხანდახან სიტყვა *too*-ც ჩნდება ხოლმე, მაგრამ ახლა ეს სიტყვა ჩვენი მსჯელობის ინტერესებისთვის უგულვებლევავით.)

(65) ა. * After Othello entered Desdemona's room, Emilia _____ too.

ბ. After Othello entered desdemona's room, emilia did _____ too.


ა. მას შემდეგ, რაც ოტელო დეზდემონას ოთახში შევიდა, ემილია-ც _____.

ბ. „ _____ “.

ზმნა „ქრება“, მაგრამ რჩება ზმნის დრო და დამხმარე *do* ზმნაზე აისახება.

იმის განმარტება, თუ რატომ ჩნდება ეს დამხმარე ზმნის წინადადებაში ძალიან ადვილი იქნება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ დროის აღმნიშვნელი მორფემა და ზმნა ერთად დგას, არა მორფოლოგიის, არამედ სინტაქსის თვალსაზრისით. დროის აღმნიშვნელი მორფემისა და ზმნის განხილვა დამოუკიდებელ სინტაქსურ ერთეულებად შესაძლებელს ხდის იმას, რომ სინტაქსურმა პროცესებმა ზემოქმედება მოახდინონ დროის მორფემაზე, მაგრამ არა ზმნაზე. ქვემოთ ორივე ამ შემთხვევის ნიმუშს განვიხილავთ. ზმნიანი ფრაზის ელიფსი ზემოქმედებს ზმნიანი ფრაზის კვანძზე, მაგრამ არა დროის კვანძზე; *yes-no* სიტყვებით დაწყებულ წინადადებებში ზემოქმედებს დროის კვანძზე, მაგრამ არა ზმნიანი ფრაზის კვანძზე.


ახლა დავუშვათ, რომ დროის აღმნიშვნელი მორფემა დროის კვანძის სათაო ელემენტია (თუმცა, შეზღუდული სათაო ელემენტი). ამას შემდეგ სტრუქტურამდე მივყავართ:



აქ ზმნიანი ფრაზის ელიფსს მონარჩენია ფრაზა *Katherina -ed too. წინადადებას ამგვარი ფრაზა ვერ შეადგენს, ვინაიდან -ed ელემენტი დამოკიდებული, ანუ შეზღუდული მორფემაა და ამის გამო რომელიმე ზმნა მარცხენა მხრიდან უშუალოდ უნდა ებმოდეს. ზმნიანი ფრაზის ელიფსი მას ზმნის ძირს აცლის და -ed მორფემას შესაბამისი ბმის გარეშე ტოვებს. ახლა წინადადებაში do ზმნა შემოდის, რომ დროის აღმნიშვნელი მორფემის არსებობა გაამართლოს და კომბინაციით do+ [წარსული ed] did ფორმას ვიღებთ. ამ პროცესს ტრადიციულად do ზმნით მხარდაჭერა ეწოდება. მისი გრაფიკული გამოხატულება შემდეგ ხისებრ დიაგრამას შეესაბამება:

(67) do ზმნით მხარდაჭერა: do ზმნა დროის კვანძში ცალად შემორჩენილი სუფიქსის „მხარდასაჭერად“, ანუ „გადასარჩენად“ შემოდის.

(68)




ზმფ კვანძამდე მიდის კიდევ ერთი ისარი, კუბიდან, რომელშიც წერია: მეტად აღარ გვჭირდება იმის განმარტება, რომ ზმფ არის + დრო. ეს თავისთავად იგულისხმება, რაკი დროიანი სათაო ელემენტი ზმნას ირჩევს.

ზმნად ყოფნის მახასიათებელი და დროიანობის მახასიათებელი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი მახასიათებელია, მიუხედავად იმისა, რომ მარტივ წინადადებაში ფლექსიური (ფორმაცვალბადი) ზმნა ორივე ამ მახასიათებელს ერთი (მაგრამ რთული შედგენილობის) მორფოლოგიური სიტყვით გამოხატავს.


აფიქსების „გადახტომა“ და სათაო ელემენტების გადანაცვლება

თუკი ფორმანაცვალის ზმნები მორფოლოგიაში არ ერთიანდება, მაშინ ისინი სინტაქსში უნდა გავაერთიანოთ. ახლა გადასანყვეტი ისაა, როგორ შევძლოთ ამის გაკეთება. თხრობით, უარყოფის არმქონე წინადადებაებში დროის აღმნიშვნელი სუფიქსები ძირითად ზმნას ერთვის — ([use+ წარსული]) → [used]. ეს სინტაქსური პროცესის — აფიქსის გადახტომის წყალობით მიიღწევა, რომლის დროსაც დროის აღმნიშვნელი სუფიქსი ზმნის ძირში გადადის და შემდეგ კონფიგურაციას ქმნის:

(69) საწყისი მდგომარეობა:



აფიქსის გადახტომის შედეგად მიღებული მდგომარეობა:




როგორც ზემოთმოყვანილი ხისებრი დიაგრამები მოწმობს, აფიქსის გადახტომას ერთ კონკრეტულ კონფიგურაციამდე მივყავართ. აფიქსი დამატების სათაო ელემენტს ერთვის. სათაო ელემენტისა და დამატების ადგილობრივი კონფიგურაცია კვლავ მნიშვნელოვან სინტაქსურ კონფიგურაციად წარმოგვიდგება. პროცესის საბოლოო შედეგი არსებითად (51) მაგალითში გამოსახული თვალსაჩინოების იდენტურია. როგორც მიღებული შედეგი მოწმობს, ფორმაცვალებადი ზმნა ზმნიანი ფრაზის ფარგლებში იმყოფება და არა დროის კვანძისა. ეს ინგლისური ენის სინტაქსისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ემპირიული განზოგადებაა, რომლის დასაბუთებაც ქვემოთ შევუდგებით:

(70) ფორმანაცვალთა ძირითადი ზმნები ინგლისურ ენაში ზმნიან ფრაზაში დგანან.

შეიძლება აფიქსისა და ძირის სხვაგვარი შერწყმის ხერხებიც გავისხენოთ, რომელთაც ისეთივე კონფიგურაცია ექნებათ, როგორსაც (69-ე) სავარჯიშოს მაგალითებში ვხედავთ. იმის ნაცვლად, რომ ზმნაში შეზღუდული მორფემა „გადახტეს“, შეგვიძლია სარკისებრი პროცესები წარმოვიდგინოთ, რომლებშიც ზმნა ზემოთ იწევს, დროის კვანძში ადის და აფიქსს იქ ირთავს. ამგვარ პროცესს **სათაო ელემენტის გადანაცვლება** ეწოდება.

(71) სათაო ელემენტის გადანაცვლება:



სათაო ელემენტის გადანაცვლების შედეგად პირიანი ზმნის დისტრიბუცია დრ. კვანძის დისტრიბუციის იდენტური გახდება. როგორც მომდევნო განყოფილებაში ვნახავთ, ინგლისურ ენაში სწორედ ასე „იქცევა“ პირიანი დამხმარე ზმნები და დროიანი ზმნები, მაგრამ არა პირიანი ძირითადი ზმნები.

(72) ინგლისურ ენაში პირიანი დამხმარე ზმნები დროის კვანძში დგას.

ისეთ შემთხვევებში, სადაც აფიქსის გადახტომა შეუძლებელია, di ზმნით მხარდაჭერის პროცესი იწყებს ზემოქმედებას. di ზმნით მხარდაჭერა მხოლოდ ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი ფენომენია და ერთმანეთისგან განსხვავებულ კონტექსტებში თავს არსებითად ერთი და იმავე მიზეზით იჩენს ხოლმე — ანუ, იმ აფიქსის გადასარჩენად, რომელიც დროის კვანძშია შემორჩენილი, ხოლო ზმნიან ფრაზაში მისი შერწყმა ზმნის

ფუძესთან შეუძლებელია. ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები არსებითად იმ გარემოთა ჩამონათვალია, რომელშიც *do* დამხმარე ზმნა ჩნდება:

(73) ა. Yes-no კითხვითი წინადადებები:(კითხვები, რომლებიც კი-არა პასუხს ითხოვენ)

Did you see Romeo and Juliet? — „რომეო და ჯულიეტა“ ნახე?“

ბ. უარყოფითი წინადადებები:

Juliet didn't see Marcurio. — „ჯულიეტას მერკუციო არ უნახავს.“

გ. ე.წ. „კუდიანი“ კითხვითი წინადადებები (tag questions):

Romeo knew Tybalt, didn't he? — „რომეო ტიბალტს იცნობდა, არა? ან: რომეო ტიბალტს იცნობდა, ასე არ არის?“

დ. *wh*-კომპლექსზე დაწყებული კითხვითი წინადადებები (ანუ წინადადებები, რომლებიც კითხვით სიტყვებს შეიცავენ)

Who did Juliet see? - „ვინ დაინახა ჯულიეტამ?“

ე. ზმნიანი ფრაზის პრეპოზირება (ანუ წინადადებები, რომლებშიც ზმნიანი ფრაზა პრეპოზირებულია):

They wanted him to go to the theater, and go to the theater he did! _ „მათ უნდოდათ, რომ იგი თეატრში წასულიყო და იგი წავიდა კიდეც თეატრში.“

ზმნიანი ფრაზის ელიფსი დროიან დამხმარე ზმნებთან


რაკი ფუძენაცვალნი ძირითადი ზმნა ზმნიანი ფრაზის ფარგლებში დგას, უნდა მოველოდეთ, რომ ზემოთ ნათქვამი ყველა პირიან ზმნას შეეხება. თუ ეს ასეა, მაშინ დროიანი დამხმარე ზმნები ისე უნდა „იქცეოდნენ“, თითქოს ისინიც ზმნიან ფრაზაში დგანან. ამის შემონიშნება შემდეგნაირად შეიძლება: უნდა დავაკვირდეთ, როგორ ზემოქმედებს ზმნიანი ფრაზის ელიფსი ისეთ კლაუზულებზე, რომლებიც პირიან დამხმარე ზმნებს შეიცავენ: თუკი პირიანი დამხმარე ზმნების დისტრიბუცია ისევე ხდება, როგორც ძირითადი ზმნებისა, ასეთ შემთხვევაში *do* ზმნით მხარდაჭერა იჩენს თავს.

ზმნიანი ფრაზით წარმოდგენილი დამატება შეიძლება „დამუწვდეს“ თუ მასზე ზმნიანი ფრაზის ელიფსი ზემოქმედებს. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები სწორედ ამას მონიშნავს:

(74) Othello was listening to Iago, and Emilia was too. — „ოტელო იაგოს უსმენდა და ასევე ემილიაც“.

ძირითადი დროიანი ფრაზის სტრუქტურა ასეთია (*too*-ს (ც- ნაწილაკი) ჩაუთვლელად):

(75)



ზმნიანი ფრაზის ელიფსი შეიძლება ორი ზმნიანი ფრაზისადმი იყოს მიმართული:

იმ ზმნიანი ფრაზისადმი, რომელიც დამხმარე *be* ზმნას შეიცავს (ზმფ1), ან ზმნიანი ფრაზით წარმოდგენილი მისი დამატებისადმი (ზმფ2). ზმნიანი ფრაზა 2-ის ზმფ ელიფსი არ გვანვდის ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ სად იმყოფება პირიანი ზმნიანი ფრაზა, ვინაიდან საბოლოოდ ისეთ მონარჩენს გვაძლევს, რომელიც ზმფ1 და დროის კვანძებს წარმოაჩენს. პირიანი ზმნა შეიძლება ზმნიან ფრაზა 1-შიც იდგეს და დროის კვანძშიც.

(76) ზმნიანი ფრაზა 2-ის ზმფ ელიფსი

[დრ.ფ Emilia [დრ.-s] [ზმფ1 *be* [ზმფ2 *listening to Iago*] too]

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზმნიანი ფრაზა 1-ის ზმფ ელიფსი ინფორმატიულია, ვინაიდან მის შედეგად იმ თანწყობას ვიღებთ, რომელიც შემორჩენილ აფიქსს შეიცავს. ამან შეიძლება *do*-ს მხარდაჭერის პროცესი გამოიწვიოს, რომელიც შემორჩენილი დროის აღმნიშვნელ მორფემას გადაარჩენს. როგორც დავრწმუნდებით, სინამდვილეში *do* ზმნით მხარდაჭერა შეუძლებელია:

(77) ზმნიანი ფრაზის ზმფ ელიფსი:

[დრ.ფ Emilia [დრ.-ed] [ზმფ1 *be* [ზმფ2 *listening to Iago*] too]

do ზმნით მხარდაჭერა:

[დრ.ფ Emilia [დრ. [do+ed]] [ზმფ1 *be* [ზმფ2 *listening to Iago*] too]

საბოლოო შედეგი:

**Othello was listening to Iago, and Emilia did too.*

საბოლოო სურათი, რომელსაც მაშინ ვიღებთ, როცა დამხმარე ზმნების დისტრიბუცია ისევე ხდება, როგორც დამხმარეების გრამატიკულად გაუმართავი წინადადებაა. თუ ზმნიანი ფრაზის ელიფსი ისეთ წინადადებაზე შემოქმედებს, რომელშიც პირიანი დამხმარე ზმნა დგას, მონარჩენი იმავე დამხმარე ზმნის პირიან ფორმას უნდა შეიცავდეს.

ეს იმას მოწმობს, რომ თუკი პირიანი ძირითადი ზმნები ზმნიან ფრაზაში იდგებიან, მათგან განსხვავებით, პირიანი დამხმარე ზმნები ზმნიანი ფრაზის გარეთ, დრ. კვანძში განთავსდებიან.


მაშასადამე, ვასკენით, რომ:

(78) ა. *have* და *be* ზმნების პირიანი ფორმები დროიან დრ. კვანძში დგას.

ბ. ძირითადი ზმნების პირიანი ფორმები ზმნიან ფრაზაში დგას.

ეს ფორმულირებები მარტივად და მოხდენილად აერთიანებს იმ მასალას, რომელიც უკვე განვიხილეთ და მის ემპირიულ დასაბუთებას წარმოადგენს. ზმნიანი ფრაზა შეიძლება ნაშლილი იყოს (ზმფ (ზმფ 2), ან ზმფ 1 კვანძი დამხმარე ზმნით), მაგრამ ნარჩენში პირიანი დამხმარე ზმნა მაინც იქნება, ვინაიდან დამხმარე ზმნა ზემოთ, დრ. კვანძში ადის, რათა დროის აღმნიშვნელ მორფემას შეერწყას და ამის გამო ყველა ზმნიანი ფრაზის გარეთ დგას.

(79)



რატომ სრულდება პირიანი *have* და *be* ზმნები ზმნიანი ფრაზების გარეთ? *have* და *be* ზმნები გადანაცვლებას განიცდის და ზმნის პოზიციიდან (დროიანი დრ. კვანძის ზმნიანი ფრაზის დამატების ფარგლებში) დროის კვანძში გადადის. ანუ, *have* და *be* ზმნები ზემოთ, იმ სათაო ელემენტის დონეზე ინაცვლებს, რომელიც მათ ირჩევს. გადანაცვლების ამ პროცესს ხანდახან ***have* და *be* ზეანევისაც** უწოდებენ. *have* და *be* ზეანევა **ზმ-გადანაცვლების** (ანუ ზმნის გადანაცვლების) ერთი კერძო შემთხვევაა, ზმ-გადანაცვლება კი, თავის მხრივ, გაცილებით უფრო ზოგადი პროცესის კერძო გამოვლინებაა, რომელიც სათაო ელემენტზე ზემოქმედებს და სათაო ელემენტის გადანაცვლება ეწოდება. სათაო ელემენტის გადანაცვლება სათაო პოზიციათა შორის ერთად დგომის შეზღუდვების გამოვლინებაა. ზემოთ მოყვანილი სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ *was* ზმნა ორი მახასიათებლის მოთხოვნას აკმაყოფილებს:

ჩანართი 5.6

მორფოლოგია და სინტაქსი

ჩვენი მსჯელობა ტრადიციული გრამატიკიდან ცნობილი წარმოდგენით დავიწყეთ, რომელიც სხვადასხვა ენებიდან მოყვანილი ნიმუშების გარჩევისას გამოვიყენეთ — რომ სიტყვები სინტაქსის „აგურებია“, ხოლო მორფემები — მორფოლოგიის ასეთივე საშენი მასალა. თუმცა, ახლა საკმარისი მასალა გვაქვს დამუშავებული, რომელიც მოწმობს: ზოგიერთი მორფემა მართლაც შეიძლება სინტაქსურ საშენ მასალად მივიჩნიოთ, ამავე დროს, ზოგიერთი სიტყვის წარმოება სწორედ სინტაქსში ხდება, ხოლო ზოგიერთი სინტაქსური საშენი მასალა გამოუთქმელი სათაო ელემენტია. ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ამ საშენ მასალას, სათაო ელემენტებს, ორივე სფერო იყენებს — სინტაქსიც და მორფოლოგიაც. მათ (სათაო ელემენტებს), შესაძლოა, განსხვავებული ფონოლოგიური მახასიათებლები გააჩნდეთ (თავისუფალი, შეზღუდული, ან სულაც გამოუთქმელი). სათაო ელემენტები საკუთარი დამატებებისთვის კატეგორიას ირჩევენ. სიტყვები და ფრაზები სათაო ელემენტებისა და დამატებების ურთიერთობაში მონაწილეობენ. მორფოლოგიაში დამატება სათაო ელემენტს წინ უსწრებს; სინტაქსში კი პირიქით, მას მოსდევს. ორივე სფეროში, სინტაქსშიც და მორფოლოგიაშიც კომპონენტის სათაო ელემენტი სიტყვის, ან მთელი ფრაზის მახასიათებლებს განსაზღვრავს.

ამგვარი ფაქტები გარკვეულ კითხვებს წარმოშობს. როგორ უნდა მიხედვს ამა თუ იმ ენის შესწავლის მოსურნე, სინტაქსური სათაო ელემენტია ესა თუ ის მორფემა, თუ არა? ზოგიერთი ენათმეცნიერის აზრით, ფორმაცვალებადი მორფემები სინტაქსური კომპონენტის ნაწილია, მაშინ, როცა დერიავაციული მორფემები მორფოლოგიურ კომპონენტს შეადგენს. ზოგიერთი სხვა ლინგვისტი ამტკიცებს, რომ ეს ფაქტები მთლად სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება იმ მოსაზრების გამო, რომ გრამატიკაში ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კომპონენტი არსებობს — სინტაქსი და მორფოლოგია — და რომ თითოეულს საკუთარი წესები და პრინციპები აქვს. თუმცა, ზემოთ განხილული მასალა მოწმობს, რომ სინტაქსიც და მორფოლოგიაც წესების ერთი და იმავე სისტემის ნაწილია.

ჩანართი 5.7

ლინგვისტური ინტუიციისა და „სიტყვის“ ცნების შესახებ

ჩვენი წინის მეო-2 თავი ასეთი კითხვით იწყებოდა: „რა არის სიტყვა?“ ჩვენდა გასაოცრად, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ასეთი მარტივი ცნებისათვის განმარტების მოძებნა, წარმოსადგენზე ძნელი, თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. მაშინ ისიც ვთქვით,

რომ მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანი იცის, რა არის სიტყვა საკუთარ ენაში. თუმცა, ის კი არ ვიცით, რომელ სისტემებზე დაყრდნობით წყვეტს მოსაუბრე, რომ ესა თუ ის კონკრეტული თანწყობა სიტყვას შეადგენს. ერთი კრიტერიუმი, რომელსაც იგი ასეთ დროს იყენებს, ისაა, წარმოითქმება თუ არა მოცემული თანწყობა მის მშობლიურ ენაში დამოუკიდებლად. მაგალითად, ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ადამიანი დაუფიქრებლად დაგიმონებთ, რომ *that* დეტერმინერი, ან ზედსართავი *unfair* სიტყვებია, მაგრამ *-un* პრეფიქსზე იმავეს ვერ იტყვის. ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა ასეთივე მოსაუბრეს აზრის დარწმუნებით გამოთქმა უჭირს. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა, კრიტერიუმად დამწერლობის საყოველთაოდ მიღებული წესი — ცალკეულ სიტყვებს შორის დაშორებების დატოვება გამოდგეს, თუმცა, როგორც მე-2 თავში, კომპონენტებზე საუბრისას ვნახეთ, ერთმანეთისგან სიტყვების ასე გამოყოფაც პირობითია. დამწერლობის შეზღუდვებთან დაკავშირებულ წესებზე აგებულია ერთი თამაში, რომელშიც თანდებული *into* („ში“) შეიძლება სიტყვად ჩაითვალოს, ხოლო *in front of* („წინ“) კი — არა, ისევე, როგორც ფორმა *People's* („ადამიანების“, „სახალხო“) სიტყვად არ მიიჩნევა, ხოლო *its* (*its importance* — მისი, ამის მნიშვნელობა) სიტყვად გამოიყენება, იმის მიუხედავად, რომ ორივე კუთვნილების აღმნიშვნელი ფორმაა. საფიქრებელია, რომ როდესაც მოსაუბრე ამა თუ იმ თანწყობას სიტყვად მიიჩნევს (ან პირიქით, არ მიიჩნევს), ამ დროს იგი ერთზე მეტ სისტემას ეყრდნობა, მხოლოდ ლინგვისტურ ფაქტებს კი არ ითვალისწინებს, არამედ სხვა სისტემისგან მიღებულ ცოდნას იყენებს, რომელიც, თავისთავად, არაზუსტ კრიტერიუმებს შეიცავს — სიტყვებს შორის სავალდებულო დაშორების თაობაზე. მაშასადამე, ძნელი სათქმელია, სწორად აისახება თუ არა ლინგვისტური სისტემა მოსაუბრის აღქმასა და რეაქციებში.

იმის ილუსტრირება, თუ როგორ ზემოქმედებს დამწერლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოსაუბრის მიერ „სიტყვის“ ცნების განსაზღვრაზე, უამრავი ენის მაგალითზე შეიძლება. ახლა საამისოდ სუაჰილისა და კალანგას, ბანტუს (აფრიკის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში ვაგრცელებული ჯგუფი) ორი ენის მაგალითები განვიხილოთ.

როგორც მე-2 თავში ითქვა, ზმნა სუაჰილიში რთული შედგენილობისაა. იგივე ითქმის კალანგას ზმნაზეც. ზმნური კომპლექსის საწყისი ნაწილი დროიან თხრობით წინადადებაში შემდეგ მოდელს შეესაბამება: სმ= სუბიექტის შეთანხმება, დრ.= დრო, ოშ= ობიექტის შეთანხმება. აღნიშვნა მ* ზმნის მომდევნოდ მდგარ სუფიქსს შეესაბამება, რომელიც ამ შემთხვევაში შეუსაბამოა, დხ – დამაბოლოებელ ხმოვანს, რომელიც ნაწილობრივ კლაუზულის (წინადადების) ტიპზეც მიუთითებს (თხრობითი, კავშირებითი, უარყოფითი):

(I) (ა) (უარყ.) სმ (უარყ.) -დრ.- (ოშ) -ზმ-მ*-დხ (სუაჰილი)

(ბ) სმ (უარყ.) დრ. (ოშ) -ზმ-მ-დხ (კალანგა)

სუაჰილის ტრადიციულ ორთოგრაფიაში ეს თანწყობა ერთიან სიტყვად იწერება. კალანგაში კი სმ -სუბიექტის შეთანხმების ნიშანი და დრ. – დროის აღმნიშვნელი ნიშანი დამოუკიდებელ სიტყვებად:

(I) Romeo anampenda Juliet. (სუაჰილის ორთოგრაფია)

Romeo a- na- m- pend -a Juliet.

რომეოს სმ ანმყო ოშ უყვარს დხ ჯულიეტა.

„რომეოს ჯულიეტა უყვარს“.

(IV) Romeo u no da Juliet. (კალანგას ორთოგრაფია)

რომეოს სმ ანმყო უყვარს+დხ ჯულიეტა.

„რომეოს ჯულიეტა უყვარს“.

სუაჰილიზე მოსაუბრეებს კალანგას ორთოგრაფიული წესები აკვირვებთ და

როგორც წესი, კალანგაზე მოსაუბრეებს ეკითხებიან: „ეს ელემენტები ხომ სიტყვები არ არის, გამოცალკევებით რატომ წერთ?“ არანაკლებ გაცუბულელები არიან ხოლმე კალანგაზე მოსაუბრენი: „რატომ ამბობთ, რომ ისინი ზმნასთან ერთად ერთ სიტყვას ქმნიან?“. ლინგვისტური მოსაზრებით, მორფემებს, რომლებიც მომდევნო პოზიციაში მდგარ ზმნასთან ერთად ერთიან სიტყვად იწერება (სუაჰილიდან მოყვანილი ნიმუში), ხოლო მეორე შემთხვევაში დამოუკიდებელ სიტყვებადაა გამოსახული (კალანგა), სავარაუდოდ, ერთმანეთისგან განსხვავებული „ქცევა“ არ ახასიათებს. თუმცა, მოსაუბრენი, დამწერლობის სისტემის თავისებურებათა გამო, მათ ერთმანეთისგან მაინც ასხვავებენ. მაშასადამე, „სიტყვა“ მარტივი ცნება არ ყოფილა, მით უფრო იმის გამო, რომ მისი განსაზღვრისას მოსაუბრეების ინტუიციას უნდა დავეყრდნოთ.

ზმნად ყოფნის მახასიათებლის (*be*) და წარსულ დროში დგომის მახასიათებლის (*was*). ეს ორი მახასიათებელი სხვადასხვა სტრუქტურულ პოზიციაში დგას. გადანაცვლება ის საშუალებაა, რომელიც ერთზე მეტი სინტაქსური მახასიათებლის გამოსახატად გამოიყენება. კონკრეტულ ელემენტს ხშირად ერთი გარკვეული როლი აქვს ხოლმე განკუთვნილი. ამ როლს ზმნიან ფრაზაში მდგომი ზმნა განსაზღვრავს, მაგრამ იმავდროულად სხვა, ზმნისგან დამოუკიდებელი როლი, ხისებრი სტრუქტურის რომელიმე სხვა შრის მიერ განისაზღვრება.

5.1.7 ძირითადი და დამხმარე ზმნების პოზიცია წინადადების (კლაუზალურ) სტრუქტურაში


არსებობს დისტრიბუციასთან დაკავშირებული დამატებითი (ინგლისური ენის) მასალა, რომელიც სინტაქსურ სტრუქტურაში პირიანი დამხმარე ზმნებისა და პირიანი ძირითადი ზმნების განსხვავებულ პოზიციაში დგომას განაპირობებს. პირიანი დამხმარე ზმნები დროის კვანძში დგას, ხოლო პირიანი ძირითადი ზმნები — ზმნიან ფრაზაში.

Not სიტყვა

ისეთ უარყოფით დროიან წინადადებაში, რომლებიც *not/n't* უარყოფის ელემენტს შეიცავს, პირიანი დამხმარე ზმნები და ძირითადი ზმნები განსხვავებულ პოზიციაში იკავებენ. *have, be, do* დამხმარე ზმნების პირიანი ფორმები *not* ელემენტს წინ უნდა უსწრებდეს, ხოლო დამხმარე ზმნების უპირო ფორმები — *not* სიტყვას უნდა მოსდევდეს:

- (80) ა. *She has not / hasn't climbed the mountain yet.* პირ. ზმ(დამხ. ზმ) *n't*
 ის ჯერ მთაზე არ ასულა.
 ბ. *You were not / weren't being followed.* პირ. ზმ (დამხ. ზმ) *n't*
 თქვენ არ მოგდევდნენ (არავინ მოგდევდათ).
 გ. *He won't have climbed the mountain yet.* *n't* ზმ ინფ(დამხ)
 იგი ჯერ მთაზე არ ავიდოდა.

ასე იქნება, თუკი *not* სიტყვა დროისა და ზმნიანი ფრაზის კვანძებს შორის დგას. პირიანი დამხმარე ზმნები *not/n't* ელემენტის წინ მხოლოდ იმ მიზეზით დგას, რომ დრ. კვანძი უარყოფის ნიშნებს წინ უძღვის, ხოლო პირიანი დამხმარე ზმნები დროის კვანძში გვაქვს.



უპირო დამხმარე ზმნები not სიტყვას მოსდევს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ზმნიანი ფრაზა, რომელიც მათ შეიცავს, not სიტყვის მომდევნო პოზიციაში დგას. ამ თვალსაზრისით გასაკვირია, რომ not სიტყვას პირიანი ძირითადი ზმნების წინ დგომა არ შეუძლია (იხილეთ 82ა). ამის ნაცვლად, დამხმარე do ზმნა იმავე წინადადებაში დროის მიხედვით იცვლის ფორმას (82ბ). ძირითადი ზმნები not ელემენტის წინ ვერ იდგება (82გ), ვინაიდან ძირითადი ზმნები დროის კვანძში არასდროს შედიან (88).

(82) ა. *Othello not watched Bianca.

ბ. Othello *didn't* /did not watch Bianca. — ოტელო ბიანკას არ უთვალთვალებდა.

გ. *Othello *watched n't* /not Bianca.

ახლა იმის განმარტება დაგვჭირდება, თუ რატომაა (82ა) ნიმუში, ინგლისური ენის გრამატიკის თვალსაზრისით გაუმართავი წინადადება. თუკი ამ კონკრეტულ კონფიგურაციაში დროის გამომხატველი სუფიქსი და ძირითადი ზმნა ერთმანეთს ვერ შეერწყმება, დროის აღმნიშვნელი მორფემა დროის კვანძში დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდება დამის გადასარჩენად do ზმნით მხარდაჭერის პროცესი უნდა ამოქმედდეს. აქედან მომდინარეობს შემდეგი განზოგადებაც:

ჩანართი
5.8

ისტორიული ცვლილება

შექსპირის დროს ინგლისური თანამედროვე ინგლისურისგან განსხვავდებოდა: მაშინ ძირითადი დროიანი ზმნების დგომა დროის კვანძში (ასევე ზმნიან ფრაზაშიც, ვინაიდან do ზმნით მხარდაჭერა მაშინაც მოქმედებდა) დასაშვები იყო. ჩნდება კითხვა: რა შეიცვალა შექსპირის დროის ინგლისურის გრამატიკიდან ინგლისური ენის თანამედროვე გრამატიკამდე? როგორც ჩანს, ძირითადმა ზმნებმა ზმნის კვანძიდან დროის კვანძში გადანაცვლების უნარი დაკარგა. რატომ დაიკარგა ეს უნარი? რა შეიცვალა ამ ენის გრამატიკაში? საფიქრებელია, რომ ეს დანაკარგი უშუალოდ დაკავშირებული ინგლისური ენის განვითარების პროცესში ზმნის ფორმათცვალეადობის დაქვეითებასთან. კერძოდ, პირიანმა ზმნამ დაკარგა პირისა და რიცხვის ნიშნები, რაც შეთანხმების ნიშნების დაკარგვასაც ნიშნავდა. ისეთი სისტემიდან, რომელშიც ზმნას პირისა და რიცხვის (მრავლობითი) ნიშნიანობა (შეთანხმება) ახასიათებდა, ინგლისური ენა იმგვარ სისტემად ჩამოყალიბდა, სადაც ნიშნით მხოლოდ მესამე პირი და ისიც მხოლოდითი რიცხვი გამოიხატება და სადაც სხვა მხრივ მხოლოდით და მრავლობით რიცხვში მდგარი ზმნები ერთმანეთისგან არ განსხვავდება (გამონაკლისს მხოლოდ

be ზმნა ქმნის). ბევრი ენათმეცნიერი მიიჩნევს, რომ დროის კვანძში მდგარი ზმნის პირიანობა იმაზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა მოცემულ ენას შეთანხმების მდიდარი სისტემა: ინგლისურ ენას განვითარების ადრეულ საფეხურებზე ასეთი „მდიდარი“ სისტემა მართლაც გააჩნდა, მის თანამედროვე ვერსიას კი - არა.

(83) დროის გამომხატველი სუფიქსი და ძირითადი ზმნა ერთმანეთს *not/n't* უარყოფის ელემენტზე გადაწვევით ვერ შეერწყმება.

ლინგვისტიკის თეორიის ამოცანაა, განმარტოს, რატომ ვერ ერწყმის ერთმანეთს დროის აღმნიშვნელი სუფიქსი და ძირითადი ზმნა ამ კონფიგურაციაში, მაგრამ ჩვენ ამ თავში ამ საკითხზე მსჯელობის განვრცობას არ შევეუდგებით.

საკითხავია ისიც, თუ რატომაა წინადადება (82გ) — **Othello watched not Bianca* – თანამედროვე ინგლისური ენისთვის მიუღებელი ფორმა. ოდესღაც, შექსპირის დროს მსგავსი მოდელი ენაში მართლაც არსებობდა (შექსპირის დროს მისაღები იყო თანამედროვე ინგლისურისთვის დამახასიათებელი პროცესიც — *do* ზმნით მხარდაჭერა):

- (84) ა. **Othello reads not books* (თანამედროვე ინგლისური)
 ბ. **I know not how I lost him* (თანამედროვე ინგლისური)
 გ. *I know not how I lost him* (შექსპირი, „ოტელო“, IV, ii, 151)
 ბ.-გ. არ ვიცი, როგორ დავეკარგე.

გარემოებების დისტრიბუცია

ინგლისურ ენაში ზოგიერთი გარემოება შეიძლება დროის კვანძსა და ძირითად ზმნას შორის შთაინერგოს:


- (85) ა. *Olivia will probably leave tomorrow.* დრ. გარ. (ინფ)
 ბ. *You must recently have read Macbeth.* დრ. გარ. ზმ (წარსული დროის მიმღობა)
 გ. *Emilia was carefully slicing the salmon.* დრ. გარ. ზმ (ანწყო დროის მიმღობა)
 დ. *The invaders were completely destroying the fort.* დრ. გარ. ზმ (ანწყო დროის მიმღობა)
 ე. *Portia was intentionally confronting Shylock.* დრ. გარ. ზმ (ანწყო დროის მიმღობა)
 ა. ოლივია ალბათ ხვალ გაემგზავრება.
 ბ. შენ „მაკბეტი“ ცოტა ხნის წინ უნდა ნაგეკითხა.
 გ. ემილია ორაგულს ფრთხილად ჭრიდა.
 დ. დამპყრობლები სიმაგრეს მთლიანად ანგრევდნენ.
 ე. პორცია შაილოკს შეგნებულად უპირისპირდებოდა.
 როცა ძირითადი ზმნა ფორმანაცვალა, გარემოებები (?ზმნიზედები) ძირითად ზმნას წინ უსწრებს:

- (86) ა. *Olivia probably left yesterday.* გარ. ზმ+დრ.
 ბ. *You recently read Macbeth.* გარ. ზმ+დრ.
 გ. *Emilia carefully sliced the salmon.* გარ. ზმ+დრ.
 დ. *The invaders completely destroyed the fort.* გარ. ზმ+დრ.
 ე. *Portia intentionally confronted Shylock.* გარ. ზმ+დრ.
 ა. ოლივია ალბათ გუშინ გაემგზავრა.
 ბ. შენ „მაკბეტი“ ამას წინათ წაიკითხე.
 გ. ემილიამ ორაგული ფრთხილად დაჭრა.
 დ. დამპყრობლებმა სიმაგრე მთლიანად დაანგრეს.

ე. პორცია შაილოკს შეგნებულად დაუპირისპირდა.

სწორედ ასეთი სურათია მოსალოდნელი, თუ ეს გარემოებები ზმნიანი ფრაზის წინა პოზიციაში დგას, ხოლო ფუძენაცვალი ძირითადი ზმნები ზმნიან ფრაზაში თავსდებათ.

(87)



გარემოებათა სიტყვების თანმიმდევრობა პირიანი დამხმარე ზმნებისა და პირიანი ძირითადი ზმნების თვალსაზრისით კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ეს ელემენტები სხვადასხვა პოზიციებში დგებიან.

yes-no კითხვითი წინადადებები: სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია

yes-no კითხვითი წინადადებები (ანუ ისეთი წინადადებები, რომლებსაც „დაახ“ ან „არა“ პასუხი გაეცემა) ინგლისურ ენაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება; ეს იმაზეა დამოკიდებული, მათ yes-no კითხვის მატრიცა გააჩნიათ, თუ ჩართული yes-no კითხვითი წინადადებებია. მატრიცული yes-no კითხვითი წინადადებები მოდალური ზმნით, ან პირიანი დამხმარე ზმნით (have, be, do) იწყება:

- (88) ა. *Has Othello died?* — „ოტელო მკვდარია?“
- ბ. *Is Othello dying?* — „ოტელო კვდება?“
- გ. *Did Othello die?* — „ოტელო მოკვდა?“

ჩართული yes-no კითხვები კონკრეტული ტიპის დმს-თი (დამატების მქმნელი სიტყვით) — *if* („თუ“) ან *whether* (ამ სიტყვის ეს კონკრეტული მნიშვნელობა ძნელი სათარგმნია: ფრაზად რომ გაეშალოთ, დაახლოებით ასე შედერს: არის თუ არა ასე (მართალი), რომ) სიტყვით იწყება:

- (89) ა. *I wonder if Othello died Quickly.*
- ბ. *I wonder whether Othello died quickly.*
- ა.-ბ. მაინტერესებს, სწრაფად მოკვდა ოტელო?
- უფრო ზუსტი თარგმანები — ა. მაინტერესებს, სწრაფად თუ მოკვდა ოტელო;
- ბ. მაინტერესებს, სწრაფად მოკვდა თუ არა ოტელო.

მატრიცულ yes-no კითხვით წინადადებებში დროის კვანძი და სუბიექტი ინვერსიას განიცდის — დროის კვანძი სუბიექტად წარმოდგენილ დეტერმინერს ფრაზას წინ უსწრებს. ამ ფენომენს **სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია** ეწოდება. ჩართულ yes-no კითხვით წინადადებებში დროის კვანძს წინ სუბიექტი უსწრებს. სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია ინგლისურ ენაში არაერთ კონტექსტში გამოიყენება (მაგალითად, yes-no კითხვით წინადადებებში, wh-კომპლექსით დაწყებულ წინადადებებში, ისეთ გარემოში, რომელიც უარყოფითი წევრით იწყება — მაგ., *Never would I say such a sentence!* — „მე არასდროს წარმოვთქვამდი ასეთ წინადადებას!“;

ასევე ბრძანების ნიშნის ნინადადებებში — „Does Falstaff ever drink a lot!“ — „განა ფალსტაფი როდესმე ბევრს სვამდა (სასმელს ეტანებოდა)!“ ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ *yes-no* კითხვით ნინადადებებს განვიხილავთ.


დავაზუსტოთ: რას ნიშნავს მაინც სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია? ამ ფენომენის სტრუქტურულ ტერმინებში ჩამოყალიბება ორგვარად შეგვიძლია. ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროის კვანძი სუბიექტის ნინა პოზიციაში ინაცვლებს; ან — რომ სუბიექტი ინაცვლებს დროის კვანძის მომდევნო პოზიციაში; როგორც ჩანს, პირველი განმარტება უფრო სწორად აღწერს ვითარებას. ჩვენ უკვე რამდენჯერმე დავრწმუნდით: დამატების მქმნელ სიტყვასა და დროის კვანძს შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს: დამატების მქმნელი სიტყვა ირჩევს დროის კვანძის თვისებებს. მაგალითად, ერთი დამატების მქმნელი სიტყვა (*that*) ისეთ დროიან ფრაზას ირჩევს, რომელსაც სათაო ელემენტად +დრ. აქვს, ხოლო სხვა დამატების მქმნელი სიტყვა (*for*) — დროიან ფრაზას, რომელსაც სათაო პოზიციაში *to* თანდებული უდგას. ერთი მხრივ, სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუკი დმს კვანძში ღია დამატების მქმნელი სიტყვა გვაქვს. ამას მონიშნავს შემდეგი მაგალითებიც:

- (90) ა. *I wonder *if did* Othello die quickly.
 ბ. *I wonder *did if* Othello die quickly.
 გ. *I wonder *wether did* Othello die quickly.
 დ. *I wonder *did wether* Othello die quickly.


მეორე მხრივ, სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული მატრიცულ *yes-no* კითხვით ნინადადებებში, სადაც არ გვაქვს ისეთი ლექსიკური მასალა, რომელიც დმს კვანძშია ხოლმე წარმოდგენილი. ლექსიკური დმს (დამატების მქმნელი სიტყვა) *if /wether* და დროის ინვერსიანგანცდილი კვანძი **დამატებით დისტრიბუციას** (*complementary distribution*) ქმნიან, ანუ როგორც ნინა თავში აღვნიშნეთ, სადაც ერთ-ერთი მათგანი გვაქვს, მეორის ადგილი არ არის. მაგალითად, *yes-no* კითხვით ნინადადებებში სათაო ელემენტად ან დამატების მქმნელი სიტყვა გვევლინება, ან პირიანი დამხმარე ზმნა. ამგვარად, ყველა ფაქტი მონიშნავს, რომ ლექსიკური დმს და დროის გადაადგილებული კვანძი ერთმანეთს ერთი და იმავე სინტაქსურ პოზიციას ეცილება — ეს დამატების მქმნელი სიტყვის პოზიციაა, რომელიც სუბიექტად წარმოდგენილი დეტერმინერიანი ფრაზის წინ მდებარეობს. ეს დმს პოზიცია მხოლოდ ერთ-ერთმა მათგანმა შეიძლება დაიკავოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ორივემ ერთად. დამატებითი დისტრიბუციის შემთხვევაა, როცა დროის კვანძი *yes-no* კითხვით ნინადადებებში, სავალდებულო წესით, დამატების მქმნელი სიტყვის პოზიციაში გადადის, მაგრამ ამის გაკეთება არ ესაჭიროება ჩართულ ნინადადებებში, ვინაიდან დამატების მქმნელი სიტყვის პოზიცია უკვე დაკავებულია ლექსიკური წერის მიერ. ამ სურათს თვალსაჩინოდ გვაჩვენებს ქვემოთ, (91)-ე მაგალითში მოყვანილი ხისებრი სტრუქტურები: (91ა) ისეთი ნინადადების ნიმუშია, რომლის სტრუქტურაში *yes-no* კითხვით ნინადადებას მთავარი კლაუზულა წარმოადგენს, ხოლო (91ბ) — ჩართული *yes-no* კითხვითი ნინადადებების იმ ნიმუშად გვესახება, რომელსაც დროიანი დამხმარე ზმნები აქვს; (91ა) ნინადადებაში გვაქვს *have* ზმნის დროის კვანძი და დრ.-ს დამატების მქმნელი სიტყვის პოზიციაში გადანაცვლების მაგალითიც. (91ბ) ნინადადებაში *has* ზმნა დამატების მქმნელი სიტყვის პოზიციაში არ ინაცვლებს, ვინაიდან ეს პოზიცია *if* სიტყვას შეიცავს.

(91) დროიანი დამხმარე ზმნების შემცველი *yes-no* კითხვითი ნინადადებები:

ა. მთავარი კლაუზულები:




ბ. ჩართული კლაუზულები:



(92) მაგალითში მოყვანილი სტრუქტურა მთავარ კლაუზულაში წარმოდგენილ yes-no კითხვით წინადადებასა (92ა) და ჩართულ yes-no კითხვით წინადადებას (92ბ) ასახიერებს — ისეთ სრულ წინადადებაში, რომელთაც პირიანი ძირითადი ზმნები აქვს. (92ა) დროის აღმნიშვნელი მორფემის დმს პოზიციაში გადანაცვლების ნიმუშსაც შეიცავს. (92ა) წინადადებაში do ზმნით მხარდაჭერა გამოიყენება დაუცველ მდგომარეობაში შემორჩენილ დროის აღმნიშვნელი მორფემის გადასარჩენად, (92ბ) კი დროის აღმნიშვნელი მორფემასთან აფიქსის მიერთების — გადახტომის მაგალითია. (92ბ) სტრუქტურაში დროის კვანძიდან დამატების მქმნელი სიტყვის კვანძში გადანაცვლების მაგალითი არ გვაქვს, ვინაიდან დამატების მქმნელი სიტყვის პოზიცია უკვე შეიცავს if სიტყვას:


(92) yes-no კითხვითი წინადადებები, რომელთაც პირიანი ძირითადი ზმნები აქვთ:

ა. მთავარი კლაუზულები:



Do-
ზმნის
მხარდაჭერა

ბ. ჩართული კლაუზულები:



დრ-დმს
გადანაცვლება
არ ხდება

აფიქსის გადახტომა

დმს დონე: ცალკეული დამატების მქმნელი სიტყვების მახასიათებლები

ნიშან-თვისება, რომელიც კითხვით წინადადებას თხრობითი წინადადებისგან განასხვავებს, დმს პოზიციაში უნდა ვეძიოთ. ამას შემდეგი მაგალითებიც მოწმობს:

(93) ა. Othello thought THAT Desdemona lied.

ბ. Othello wondered IF Desdemona lied.

ა. ოთელოს ეგონა, რომ დეზდემონამ იცრუა.

ბ. ოთელოს აინტერესებდა, იცრუა თუ არა დეზდემონამ.


კლაუზულის (წინადადების) ტიპს დამატების მქმნელი ფრაზა განსაზღვრავს. შეგვიძლია დმს კვანძის შედგენილობას კ(კ-კითხვას აღნიშნვას) დაეუმატოთ: დმს [+კ], რაც

თავისთავად უკვე გულისხმობს შემდეგს: დმს [+თხრობ.] (თხრობ. შემოკლება თხრობითი კილოს მქონე წინადადებას აღნიშნავს). დამატების მქმნელი ფრაზა (დმფ), რომელსაც სათაო ელემენტად დმს +კ ემატება, უკვე კითხვით წინადადებად ინტერპრეტირდება, ხოლო დამატების მქმნელი ფრაზა, რომელსაც სათაო ელემენტად +თხრობ. აქვს, თხრობითი წინადადება იქნება. ორივე დმს სათაო ელემენტი სხვადასხვანაირად რეალიზდება. მათი რეალიზება მათ მდებარეობაზეა დამოკიდებული, ანუ სად იმყოფება სათაო ელემენტი: მატრიცულ წინადადებაში თუ ჩართულ კლაუზულაში:

(94)	მატრიცა	ჩართული
დმს [+კ]	0	if, whether
დმს [+თხრობ.]	0	that

დმს + კ სათაო ელემენტი და დმს + თხრობ. ერთმანეთისგან განსხვავდება: დმს + კითხ. სათაო ელემენტი ინგლისურ ენაში ყოველთვის ამა თუ იმ ლექსიკური მასალით ბოლოვდება; მატრიცულ წინადადებაში იგი დროის კვანძის შემადგენლობას მიიზიდავს, ან, ჩართულ დამატებებში, საგანგებო დამატების მქმნელ ფრაზას შეიცავს. შემდეგი შედგენილობის — დამატების მქმნელი სიტყვა + კითხვა — სათაო ელემენტი, თითქოს დამატებით მახასიათებელსაც იძენს: მას „სიჩუმე“ არ მოსწონს. მან საკუთარი თავი აუცილებლად უნდა გააჟღეროს. თხრობითი წინადადების დმს-ს ასეთი მოთხოვნილება არ გააჩნია: იგი შეიძლება შეიცავდეს, ან პირიქით, არ შეიცავდეს ღია მასალას. ასეთნაირად, დამატების მქმნელი სიტყვა + კითხვა თითქმის ისევე „იქცევა“, როგორც გამოუთქმელი შეზღუდული (დამოკიდებული) მორფემა. მას ესაჭიროება, რომ რაიმე სახის ლექსიკურმა მასალამ მიიზიდოს. ამ აზრის ჩამოყალიბება შემდეგნაირად შეგვიძლია:

(95) დამატების მქმნელი ფრაზა + კითხვა ღია ლექსიკურ მასალას უნდა შეიცავდეს.
 (95) ფორმულირებას (96ა) და (96ბ) სტრუქტურები აკმაყოფილებს — ამას მათ გვერდით გამოსახული მომღიმარი სახეებიც გამოხატავს, ხოლო (96გ) წინადადება კი — არა, რაზეც ამ დიაგრამის გვერდით გამოსახული სახის გამომეტყველება მიანიშნებს.



სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაკი მთავარი კითხვითი წინადადებები ღია დამატების მქმნელ სიტყვებს არ შეიცავს, დმს კვანძი ლექსიკურად რომელიმე სხვა ხერხით უნდა იქცეს. ამის მიღწევა იმ ლექსიკური წევრების მეშვეობით შეიძლება, რომლებსაც კლაუზულა უკვე შეიცავს, ანუ დამატების მქმნელი სიტყვის კვანძისკენ იმ ელემენტების მოზიდვით, რომლებიც შეიძლება კითხვის დამატებაში სათაო პოზიციაში დადგეს. ასეთი ელემენტი შეიძლება იყოს: მოდალური ზმნა (*must, may, might*), ზემოთ ანუ დროიანი დამხმარე ზმნა (*have, be*) ან დროის აღმნიშვნელი სუფიქსი.

რატომ ვერ ახერხებს ძირითადი ზმნები + კ-ში გადასვლას

მართლაც საინტერესო კითხვა წამოიჭრება: რატომ არ შეიძლება, რომ სუფიქსის გადასარჩენად კითხვით ნაწილში საკუთრივ ძირითადი ზმნა გადავიდეს? თანამედროვე ინგლისურ ენაში ამ გადასვლის შედეგად გრამატიკულად გაუმართავ წინადადებას მივიღებთ, თუმცა, შექსპირის დროს ინგლისურში ეს პროცესი შესაძლებელი იყო:

(97) ა. * *Comes he tomorrow?* — *„ხვალ მოდის?“ (თანამედროვე ინგლისური)

ბ. *Talk you of killing?* — „მკვლელობაზე ლაპარაკობ?“ (შექსპირი, „ოტელო“, V, ii, 33)

ზემოთ უკვე დავრწმუნდით, რომ ძირითადი ზმნები ინგლისურ ენაში დროის კვანძში ვერ იდგება — (**He comes not*). ახლა კი ვხედავთ, რომ ძირითად ზმნებს არც დმს [+კ]-ში შეუძლია დგომა, იმის მიუხედავად, რომ ამ პოზიციაში სხვა ზმნური ელემენტების ხილვა შეიძლება (მაგალითად, *do, have* და მოდალური ზმნები). ამგვარად, ქვემოთ ასეთ აღწერით ფორმულირებებს გთავაზობთ:

(98) ა. ძირითადი ზმნები დრ [+დრ] კვანძში ვერ იდგება.


ბ. ძირითადი ზმნები დმს [+კ] კვანძში ვერ იდგება.

შეიძლება ვინმეს ასეთი კითხვაც გაუჩნდეს: არსებობს თუ არა ამ ორ ფორმულირებას შორის რაიმე კავშირი, გამომდინარეობს თუ არა ერთი რომელიმე მეორესგან, თუ მათი ერთმანეთთან დაკავშირება არ შეიძლება. როცა ჩვენს კვლევით ლაბორატორიაში ამგვარ პარალელურად მდგომ ფორმულირებას ვიღებთ, ჩვენი ზოგადი სტრატეგია ყოველთვის მათ შორის კავშირის ძიებისკენ იხრება. მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ (98ბ) ფორმულირება (98ა) -დან გამომდინარეობს.

(99) რაკი ძირითადი ზმნა დროის კვანძში ვერ დადგება, იგი ვერც დამატების მქმნელი სიტყვის კვანძში ჰპოვებს ადგილს.

შეგვიძლია განვმარტოთ, რატომაა სწორი (99)-ე ფორმულირება, თუკი ზმნა უშუალოდ დამატების მქმნელი სიტყვისკენ და + კითხვისკენ ვერ გადაადგილდება და თუ ძირითადი ზმნა დმს+კ -სკენ გზას დროის კვანძის გავლით გადის. ვინაიდან ინგლისურ ენაში ძირითადი ზმნის დგომა დროის კვანძში შეუძლებელია, შეუძლებელი იქნება დამატების მქმნელი სიტყვის კვანძში ძირითადი ზმნის დგომაც, ვინაიდან ძირითადი ზმნა სავალდებულოა დროის კვანძისთვის — დმს კვანძისკენ მოძრაობის გასაგრძელებლად. ამგვარად, კითხვითი წინადადება *Died Othello?* გრამატიკულად გაუმართავია, ვინაიდან ძირითადი ზმნა დროის აღმნიშვნელი მორფემის გასამარგებლად დროის კვანძისკენ ვერ გადაადგილდება. ეს ვითარება დიაგრამა (100) -შია გათვალსაჩინოებული:

(100)



[ზმ die][დრ.-ედ]კვანძში ვერ გადაინაცვლებს
 [ზმ die]უშუალოდ[დმს-+კ]-ში ვერ გადაინაცვლებს

ამით სათაო გადანაცვლების ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი იკვეთება; გადანაცვლება მხოლოდ მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მიმდინარეობს — დამატების პოზიციაში მდებარე სათაო პოზიციიდან იმ სათაო ელემენტამდე, რომელიც არჩევანს ახდენს (ზმნა- დრო –დამატების მქმნელი ფრაზა). გამოკვეთილად გრძელ მანძილებზე მოქმედი ურთიერთობები მხოლოდ მოკლე, ადგილობრივი მასშტაბის ნაბიჯების მეშვეობით შეიძლება დაიშალოს. თუ სინტაქსის უფრო ღრმად შესწავლას გადაწყვეტთ, დარწმუნდებით, რომ გამოკვეთილად გრძელ მანძილზე გადაშლილი დამოკიდებულებების ასეთი მოკლე ნაბიჯებით დაშლა ის ნიშან-თვისებაა, რომელიც მხოლოდ სათაო გადანაცვლებას კი არ ახასიათებს, არამედ ზოგადად, გადანაცვლებასთან დაკავშირებულ ყველა ურთიერთობას.

5.1.8 ინგლისური ზმნების დისტრიბუციის შესახებ მსჯელობის შეჯამება

ახლა ხელთ ინგლისური სინტაქსის დეტალებით გაჯერებული ის ფრაგმენტი გვაქვს, რომელიც ზმნების დისტრიბუციას უკავშირდება. ამ ფრაგმენტიდან ინგლისური ენის სინტაქსისა და ზოგადად, სინტაქსის შესახებ შემდეგი რამ შევიტყვეთ:

- სიტყვები, გამოუთქმელი მორფემები და (სულ მცირე) ზოგიერთი ფორმაცვალებადი მორფემა (დრო / შეთანხმება) სინტაქსის შემადგენელი ნაწილია.
- სიტყვები კომპონენტებად იმ განსაკუთრებული სქემის მიხედვით ჯგუფდება, რომელიც სათაო ელემენტებს და მათ მიერ კატეგორიათა შერჩევის ძალით შერჩეულ ელემენტებს იერარქიულ სტრუქტურაში აქცევს.
- სათაო ელემენტისა და დამატების ურთიერთობას ზმნური ფორმების დისტრიბუცია (ამ ზმნურ ფორმებს კონკრეტული სათაო ელემენტები ირჩევს) არეგულირებს და სინტაქსური რეპრეზენტაციების ხერხემალს ქმნის.
- კლაუზულის სხვადასხვა ტიპებს მსგავსი შინაგანი აგებულება აქვს.
- მახასიათებელი, რომელიც კლაუზულის (წინადადების) ტიპს განსაზღვრავს (თხრობითი წინადადება, მთავარი, ანუ მატრიცული წინადადება, კითხვითი წინადადება) დამატების მქმნელი სიტყვის დონეზე მდებარეობს. კონტექსტის მიხედვით, დამატების მქმნელი სიტყვა ნულოვანი მორფემაა მთავარ თხრობით და კითხვით კლაუზულებში; თხრობით ჩართულ კლაუზულებში დამატების მქმნელი

სიტყვა არის **that**, ხოლო ჩართულ **yes-no** კითხვით წინადადებებში — **whether** ან **if**.

• სხვადასხვა ტიპის დროიანი ფრაზები (დროიანი იქნება თუ ინფინიტივური) დროის კვანძის მახასიათებლებით განისაზღვრება (-დრ. = **to**, +დრ. = **დრო** (და შეთანხმებასთან დაკავშირებული მორფემები)).

• პოზიციებს შორის გარკვეული დამოკიდებულებები არსებობს. ერთი ტიპის დამოკიდებულება და მისი ნიშან-თვისებები უკვე განვიხილეთ: სათაო გადანაცვლება (აფიქსის გადანაცვლება, **have** და **be** ზმნების ზეანევა, სუბიექტისა და დამხმარე ზმნის ინვერსია). სათაო გადანაცვლება არსებითად გადანაცვლების მე-4 თავში განხილული სამგვარი პროცესიდან ერთ-ერთია. გადანაცვლებების ეს სახეობებია: **wh**-გადანაცვლება (დამატების მქმნელი ფრაზის დონეზე მომხდარი გადანაცვლება **XP** პოზიციისკენ), ტოპოკალიზაცია და **wh**-გადანაცვლება და სახელიანი ფრაზების გადანაცვლება (პასივის ფორმები). სხვადასხვა პოზიციებს შორის არსებული დამოკიდებულებები ადგილობრივი ხასიათის უნდა იყოს.

• ფორმაცვალებადობის მორფოლოგია გარკვეულწილად სინტაქსშიც გვხვდება.

• ძირითადი ზმნები განსხვავებულ სათაო პოზიციებს იჭერს, ვიდრე დამხმარე და მოდალური ზმნები. დროიანი ძირითადი ზმნები ზმნიან ფრაზაში დგას, დროიანი დამხმარე ზმნები — დროის კვანძში. ეს განსხვავება ინგლისურ ენაში თავს ყველგან იჩენს და ამ ზმნების „ქცევასა“ და სიტყვათა თანმიმდევრობას განსაზღვრავს.

5.2 ენათშორისი ვარიაციები: ინგლისურს გარეთ

სინტაქსის თეორიის შეზღუდვები მსოფლიოს ყველა ენის გრამატიკას მოიცავს. ამა თუ იმ საენათმეცნიერო თეორიისა და ვარაუდის სიმყარე იმით განისაზღვრება, რამდენად ზოგადია ის და რამდენად სრულად ერგება ყველა სამეტყველო ენას. ეს, რა თქმა უნდა, მისი ყველაზე ზოგადი ამოცანაა და მნიშვნელოვნებით ფიზიკისა თუ ბიოლოგიურ მეცნიერებათა უმთავრესი კანონების აღმოჩენას უტოლდება. ამ განყოფილებაში დამატების მქმნელი სიტყვის, დროისა და ზმნის კვლევის ზოგიერთ შედეგს გააცნობთ. ესენი ინგლისური ენის თავისებურებების კონტექსტში ჩვენი წიგნის პირველ თავებში განვიხილეთ. სამეტყველო ენების მასალა საფუძველს ერთმნიშვნელოვნად იმ აზრს უმაგრებს, რომ მართალია მსოფლიოს სხვადასხვა ენები ზედაპირული შთაბეჭდილებით ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდება, მაგრამ სინამდვილეში ენათშორისი სინტაქსური ვარიაციები თურმე საკმაოდ შეზღუდულია. ცალკეული ენების მასალის ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ისეთი დეტალური არაა, როგორც ინგლისური ენის მასალის განხილვა. ეს მაგალითები კერძო საკითხების თვალსაჩინოებისა და ამ უნივერსალური დახასიათებების თქვენთვის გასაცნობად არის გამოიზნული.

5.2.1 ლინგვისტურ ვარიაციათა ბუნება

იმ თეორიაზე დაყრდნობით, რომელსაც აქამდე განვიხილავდით, ყველა სამეტყველო ენაში შევეცდებით აღმოვაჩინოთ:

ცხრილი 5.2 სათაო ელემენტთა ტიპები

+ღია	-ღია
+ თავისუფალი [ს woman] [დ that] [თ in] [ზ big] [ზმ come] [დრ. to], და ა.შ. დმს, +თხრობა.	+მატრიცა
- თავისუფალი [ს ness] [ზ able] [ზ ize] [დრ. ed]	დმს, + კ
	ზმ [[ს butter[ზმ e]]

სათაო ელემენტები (= მორფემები)

ესენი სინტაქსური სტრუქტურების სამშენებლო მასალაა, ასე ვთქვათ, აგურებია. ჩვენ ორნაირი სათაო ელემენტების მოძიებას მოველით: ისეთების, რომლებიც ძირითად ლექსიკურ კატეგორიებს (სახელი, ზმნა, ზედსართავი, თანდებული) წარმოადგენს და იმ სათაო ელემენტების, რომლებიც ფუნქციურ კატეგორიებს წარმოადგენენ (დრო, დამატების მქმნელი ფრაზა, კითხვა (კითხვითი წინადადება).....); სათაო ელემენტები შეიძლება გამოითქვას (ანუ სხვა ღია მასალას დაუკავშირდეს), ან გამოუთქმელი იყოს. როგორც პირველ თავში ვნახეთ, მორფემები შეიძლება იყოს თავისუფალი ან შეზღუდული და ამგვარად, როგორც ცხრილ 5.2- შია ნაჩვენები, სათაო ელემენტებიც შეიძლება იყოს თავისუფალი ან შეზღუდული.

სტრუქტურა

სტრუქტურა სათაო ელემენტების პროეცირების შედეგად მიიღება; სტრუქტურული ურთიერთობები არის ლოკალური სათაო ელემენტების და მსაზღვრელი სათაო ელემენტების ურთიერთობა.

მოძრაობა

ჩვენ იმ სურათის განხილვაც გვიხდებოდა, სადაც დეტერმინერიანი ფრაზები და სათაო ელემენტები ისეთ პოზიციებში იდგნენ, რომლებშიც ისინი სათაო ელემენტებისა და დამატებების ადგილობრივი ურთიერთობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ. განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

(102) *What_i has დრ. Juliet [დრ. e] დრ. [ზმ e]დრ. said [დფ e]_i*
რა დამზ.ზმ. ჯულიეტამ თქვა
„რა თქვა ჯულიეტამ“.

wh კომპლექსით დაწყებული ფრაზა *what* (ეგრეთ წოდებული კითხვითი სიტყვა – მისი მორფოლოგიური აგებულების გამო) ამავე დროს აკმაყოფილებს მოთხოვნას, რომ ზმნიანი ფრაზის (*what did what to whom* — ვინ ვის რა უქნა) ფარგლებში ზმნასთან და იმ პოზიციასთან (მსაზღვრელი, დამატების მქმნელი ფრაზა), რომელშიც იგი გამოითქმის, ადგილობრივი ურთიერთობა ჰქონდეს. ეს ფრაზა ისე „იქცევა“, თითქოს ერთდროულად ორ პოზიციას იკავებს. პირიანი დამხმარე ზმნა ორ მახასიათებელს ითავსებს: იგი არის ზმნა, რომელიც დამატებად წარსული დროის მიმღობას მოითხოვს, და დროიანია. ამასთან, იგი დმს, + კ პოზიციაში ჩნდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დამატების მქმნელი ფრაზა კითხვაა. ამ მახასიათებლების სტრუქტურულად წარმოდგენა სხვადასხვა დონეებზე ხდება. ამა თუ იმ ტიპის დამატებასთან ზმნად ყოფნის მახასიათებელი გამოხატულია ზმნიანი ფრაზის დონეზე, ანუ იმ დონეზე, რომელზეც მისი დროიანობაა გამოხატული. ეს დროის კვანძის დონეა. იგი აკმაყოფილებს დმს + კ –ს მახასიათებელს დამატების მქმნელი ფრაზის დონეზე, ანუ იქ, სადაც იგი გამოითქმის.

5.2.2 ენათა ვარიაციები და პარამეტრები

ახლა კი იმაზე ვისაუბროთ, როგორი მასშტაბები შეიძლება მიიღოს (და იღებს კიდევ) ენათშორისმა ვარიაციამ (სხვაობებმა). ამის გათვალსაჩინოებას სათაო ელემენტების, სტრუქტურისა და გადანაცვლების კვლევის მეშვეობით მოვახდენთ.

სათაო ელემენტები

აშკარაა, რომ ენები ერთმანეთისგან მათი მორფემების დაწერ-გამოთქმისა (მაგალითად, სიტყვას „ცხენი“ სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარი შესატყვისები აქვს: ინგლისურად „horse“, ჰოლანდიურად — „paard“, ხოლო ფრანგულად — „cheval“) და მათი შეზღუდული ან თავისუფალი ფორმის და ბუნების მიხედვით განსხვავდება will ზმნა (მომავალი დრო) ინგლისურ ენაში თავისუფალი ფორმაა, მაგრამ ფრანგულში კი — შეზღუდული: parler-ai: „(მე) ვილაპარაკებ“. ენები იმ კატეგორიების მიხედვითაც განსხვავდება, რომელსაც ისინი კატეგორიათა შერჩევით ირჩევენ. ინგლისური look ზმნა კატეგორიათა შერჩევით თანდებულიან ფრაზას ირჩევს, რომელსაც სათაო ელემენტად at თანდებული აქვს; ხოლო დაახლოებით იმავე მნიშვნელობის ფრანგული ზმნა — regarder („ყურება, თვალის დევნება“) კატეგორიათა შერჩევით დეტერმინერიან ფრაზას ირჩევს. ზემოთ თქმულის ფორმულირება შემდეგნაირად შეიძლება:

(103) **ლექსიკური ვარიაცია** ენობრივი ვარიაციის წყაროს წარმოადგენს (სადაც ლექსიკური ვარიაცია იმ განსხვავებებს მოიცავს, რომლებიც ენებს შორის გამოთქმა-დაწერის, ანუ ფორმის, ასევე სათაო ელემენტების სტატუსისა (თავისუფალი ან შეზღუდული) და კატეგორიათა შერჩევის თვალსაზრისით სხვაობას აჩენს)

სტრუქტურა

იმის განსაზღვრა, თუ როგორია ენებს შორის ვარიაციები მათი სტრუქტურის მიხედვით, არც ისე ადვილია. აქ მხოლოდ იმ ვარიაციებზე მსჯელობას დაეჯერდეთ, რომლებიც ენებს სიტყვათა თანმიმდევრობის თვალსაზრისით განასხვავებს. ჩვენი წიგნის წინა თავებში ვნახეთ, რომ ინგლისურ ენას სიტყვათა თანმიმდევრობის რამდენიმე მოდელი გააჩნია — ეს მოდელები წინადადებაში დამატების მქმნელი სიტყვის, ზმნის და დროის პოზიციით განისაზღვრება, ანუ პოზიციით, რომელშიც მათი შესაბამისი წევრები გამოითქმის.

ქვემოთ ამ თვალსაზრისის დამადასტურებელ დამატებით მასალას წარმოგიდგენთ.

მაშასადამე, ენები ერთმანეთისგან სიტყვათა ზედაპირული თანმიმდევრობის და შესაბამისი შესაძლებლობების მიხედვით განსხვავდება (როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ენების დიდი უმრავლესობა სამ ენობრივ ჯგუფად იყოფა (ანუ სუბიექტი — ზმნა-ობიექტი, სუბიექტი-ობიექტი-ზმნა, ზმნა-სუბიექტი-ობიექტი თანმიმდევრობების მქონე ენებად). როგორუნდა მოხდეს ამ ვარიაციების გათვალისწინება? როგორც ვნახეთ, სინტაქსის თეორია მოითხოვს, რომ სათაო ელემენტები და დამატებები ერთმანეთთან ადგილობრივ ურთიერთობებში იმყოფებოდეს. ადგილობრივი ურთიერთობის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების ორი გზა არსებობს. სათაო ელემენტი შეიძლება იდგეს დამატების წინ (როგორც ინგლისურ ენაშია), ან მის მომდევნო პოზიციაში. ორი ასეთი შესაძლებლობა, თავის მხრივ, ენების ორად, ანუ ზმნა-ობიექტისა და ობიექტი-ზმნა თანმიმდევრობის მქონე ენებად დაყოფას იწვევს. ამ სტრუქტურების თვალსაზრისით (104) მაგალითი გვთავაზობს:

(104) ი = ინგლისური; თ = თურქული:

Romeo wanted to kiss Juliet (ი) — „რომეოს უნდოდა ეკოცნა ჯულიეტასთვის“

Romeo Juliet-i öp-mek iste-di (თ)











რომეო ჯულიეტა-ბრალდებითი ბრუნვა ეკოცნა-ინფინიტივი ნდომა-წარსული „რომეოს ჯულიეტას ეკოცნა უნდოდა.“

ინგლისური და თურქული ენებისთვის დამახასიათებელ ამ სტრუქტურებს გრაფიკულად (105)-ე მაგალითში იხილავთ, თუმცა, აქ სტრუქტურები ერთგვარად

გამარტივებულია. ეს დიაგრამები ყველა სპეციფიკურ (Spec) პოზიციას, ანუ ყველა პროექციას კი არ გამოსახავს, არამედ მხოლოდ ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც ღია მასალას არ შეიცავენ. სათაო ელემენტები, დამატებები და სპეციფიკაციები (Specs) ხისებრ დიაგრამებში შემოკლებული სახით (ს.თ.; დამ., სპეც.) იქნება მინერილი.

(105) ზოგადი სქემა: (ინგლისური ენა)


ზოგადი სქემა: (თურქული)




აქ ხისებრი დიაგრამა სათაო ელემენტებისა და დამატებებისგან შედგება. სუბიექტი მასზე დროიანი ფრაზის სპეციალიზაციადაა დამატებული.

აქ ხისებრი დიაგრამა სათაო ელემენტებისა და დამატებებისგან შედგება. სუბიექტი მასზე დროიანი ფრაზის სპეციალიზაციადაა დამატებული.

ე.



ე.



როგორც ამ მაგალითებში ხედავთ, ინგლისური და თურქული ენა ერთმანეთისგან წევრების თანწყობაში სათაო ელემენტებისა და დამატებების თანმიმდევრობაზე, უფრო ზუსტად, პირველობაზეა დამოკიდებული, მაგრამ არა სტრუქტურული სპეციალიზაციის პოზიციის მდებარეობაზე. ორივე ტიპის ენებში სპეციალიზაციის პოზიცია წევრთა თანწყობაში იმ კომპონენტამდე გვხვდება, რომელიც სათაო ელემენტსა და დამატებას შეიცავს. სათაო ელემენტის დგომა დამატებამდე ისეთ ენებს ახასიათებს, რომლებიც ჩვენ ადრე **სათაო პოზიციით დაწყებული სტრუქტურების** მქონე ენებად მოვიხსენიეთ (სათაო პოზიციით დაწყებული სტრუქტურების მქონე ენათა უმთავრესი ტიპებია, მაგალითად, ზმნა-სუბიექტი-ობიექტი და სუბიექტი-ზმნა-ობიექტი წყობის ენები). სათაო ელემენტის დგომა დამატების შემდეგ ისეთ ენებს გვაძლევს, რომლებსაც **სათაო პოზიციით დასრულებული სტრუქტურების** მქონე ენებს უწოდებენ.

**საპარაფრაზო
5. 5**

ააგეთ პარალელური ხისებრი დიაგრამები იმ ინგლისური და თურქული (I) და ინგლისური და იაპონური (II) წინადადებების წყვილებისთვის, რომლებიც ქვემოთაა მოცემული. გამოიყენეთ ისეთივე ფორმატი, როგორიც 5.1 გამოსახულებაში შეგხვდათ. დიაგრამების აგება ყველაზე „ღრმად“ ჩართული კომპონენტების გამოსახვით დაიწყეთ.

(I) (ა) Juliet went to the theater (ინგლისური)
 (ბ) Juliet tiyatroya git-ti (თურქული)
 ა.-ბ. — ჯულიეტა თეატრში წავიდა.

იაპონური ენიდან მოყვანილ ნიმუშში (II (ბ)) ფრაზა „კოცნა გააკეთა (ქნა)“ ინგლისური ფრაზის “to give a kiss” (ქართულად – „კოცნა“) ექვივალენტურია. ამ დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ, სიმარტივისთვის ბრუნვის ნიშნები უგულვებლევავით. ასევე: დეტერმინერიანი ფრაზა, რომელიც თემის ნიშნის (topic marker) შემდეგ დგას, ჩვეულებრივ სუბიექტად ჩათვალით.

(II) (ა) I think that Juliet gave a kiss to Romeo
 (ბ) watashi wa Julietto ga Romio ni kisu shita to omo-u.
 მე თ.ნ ჯულიეტა სახელობითი ბრუნვა რომეო კოცნა ინფინიტივი ქნა რომ ფიქრი (არანარს.)
 „მე ვფიქრობ, რომ ჯულიეტამ რომეოს აკოცა“.
 შეისწავლეთ ეს ხისებრი დიაგრამები. რა განსხვავებაა ინგლისურ-თურქულ, ინგლისურ-იაპონურ და თურქულ ინგლისურ ხისებრ დიაგრამებს შორის?

რაკი სათაო ელემენტისა და დამატების ურთიერთობები ყველა ენაში ადგილობრივადაა გამოხატული, როგორც ჩანს, ეს უნივერსალური გრამატიკის ის ნაწილია, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს თან დაჰყვება. ენათშორისი ვარიაცია გრაფიკულად ხისებრი დიაგრამების იმ მონაკვეთებშია გამოხატული, რომლებიც სათაო ელემენტებსა და დამატებებს შორის არსებულ ურთიერთობას ასახავს, ანუ რომელიც მიგვანიშნებს, სათაო ელემენტით დაწყებულ სტრუქტურასთან გვაქვს საქმე, თუ სათაო ელემენტით დაბოლოებულ სტრუქტურასთან. როცა ბავშვები ამა თუ იმ ენის შესწავლას იწყებენ, თანდათანობით თავისთავად, ალლოზე დაყრდნობით ერკვევიან, ამ ორთაგან რომელს მიეკუთვნება მოცემული ენის სტრუქტურა. არჩევანს, რომელიც ენის შემსწავლელ პირს ეძლევა, **პარამეტრებს** უწოდებენ. ამ პარამეტრებს გარკვეული თვალსაზრისით, „ანყობა“ ესაჭიროება, ანუ ენის შემსწავლელმა უნდა გადაწყვიტოს, პარამეტრების რომელი ნიშან-თვისებები უნდა მიიჩნიოს იმ ენის საფუძვლად, რომელიც მის გარშემო ესმის (სათაო ელემენტი მარჯვნივ დგას, თუ მარცხნივ?) ამ კერძო პარამეტრს **სათაო პოზიციით დაწყების / სათაო პოზიციით დასრულების პარამეტრი** ეწოდება.

ჩანართი 5.9


ანტისიმეტრია

სათაო პოზიციით დაწყების / სათაო პოზიციით დასრულების პარამეტრი ენებს ერთმანეთისგან ასე ვთქვათ, სიმეტრიულად ჰყოფს. ობიექტი – ზმნა წყობის ენები, ამ თვალსაზრისით, ზმნა-ობიექტის წყობის ენების სიმეტრიულ ანარეკლადაც აღიქმება.


(I)
ობიექტი ზმნა ზმნა ობიექტი
თუკი სპეც. პოზიციების მდებარეობას გავითვალისწინებთ, ენათა შემდეგი ქვეტიპების გამოკვეთასაც უნდა მოველოდეთ:

ა. სათაო ელემენტი – დამატება:

ა1. სპეც. პოზიციით დაწყებული სტრუქტურა:




ა2. სპეც. პოზიციით დასრულებული სტრუქტურა:




ბ. დამატება-სათაო ელემენტი:

ბ1. სპეც. პოზიციით დაწყებული სტრუქტურა:




ბ2. სპეც. პოზიციით დასრულებული სტრუქტურა:



სინტაქსის ამგვარ სიმეტრიულ ხედვას ისეთ სურათამდე მივყავართ, რომელშიც ენებს სპეც. პოზიციები მარჯვენა მხარეს აქვთ (ტიპი ა2 და ბ2). როგორ

უნდა განვსაზღვროთ სპეც. პოზიციების ადგილ-მდებარეობა? პასუხი ასეთია: იმ ელემენტების მოძიებით, რომლებიც, როგორც წესი, სპეც. პოზიციებს იკავებენ. (სპეც, დროიანი ფრაზა). უკვე დავრწმუნდით, რომ სპეც. პოზიციებს სუბიექტები იკავებს და რომ ამგვარ პოზიციებში შეიძლება დადგეს wh-კომპლექსით დაწყებული გადანაცვლებული ფრაზები (სპეც, დამატების მქმნელი ფრაზა). მაშასადამე, სპეც. პოზიციების მდებარეობის განსაზღვრაში შეიძლება სუბიექტებისა და wh-კომპლექსზე დაწყებული ფრაზების დისტრიბუცია დაგვეხმაროს. თქვენ შეიტყობთ, რომ თურმე სუბიექტები და wh-ფრაზები, თითქმის გამონაკლისის გარეშე, კლაუზულის მარცხენა კიდეში დგება, რაც სპეც. პოზიციით დაწყებულ სტრუქტურაზე მიანიშნებს. ამგვარი ტიპის წინადადებები (ა2 და ბ2) ძალზე იშვიათად გვხვდება. სინტაქსის სიმეტრიულ ხედვას, თავის მხრივ, სხვადასხვა ენებისთვის დამახასიათებელი ფენომენების სიმეტრიული დისტრიბუცია (ხედვა) მოაქვს. ხოლო რაკი ეს მთლად მართებული არაა, ასეთი ხედვა შეიძლება მცდარიც აღმოჩნდეს. გრამატიკა ა1 და ბ1 მოდელს გარდა სხვა არჩევანს არ იძლევა. რიჩარდ კეინი (Richard Kayne) თავის ნაშრომში „სინტაქსის ანტისიმეტრია“ (1994) ამ სიმეტრიული ხედვის მართებულობას ეჭვქვეშ აყენებს და მის სანაცვლოდ მკითხველს ისეთ მიდგომას სთავაზობს, რომლის თანახმად ყველა ენას იდენტური განმსაზღვრელი (ძირითადი) წყობა გააჩნია (ანუ ა1 სტრუქტურა, სპეც.-სათაო ელემენტი-დამატება წყობა ერთადერთი შესაძლო წყობაა). ავტორის შეხედულებით, სათაო პოზიციით დასრულებული წყობა (სტრუქტურა) ნაწარმოებია — მისი დერივაცია სათაო ელემენტით დაწყებული სტრუქტურიდან მარცხნივ გადანაცვლებით ხდება, რაც ენებს ორ, ა1 და ბ1 წყობის ენებად ჰყოფს:



ამ თვალთახედვით, ისეთი პარამეტრი, როგორიცაა სათაო პოზიციით დაწყებული / სათაო პოზიციით დასრულებული სტრუქტურა, არ არსებობს. სტრუქტურის თავშია თუ ბოლოში სათაო ელემენტი, ეს მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, ხდება თუ არა ამ სტრუქტურაში მარცხნივ მიმართული გადანაცვლება. სინტაქსური სტრუქტურები ყოველთვის ამგვარადევა „ორიენტირებული“, ხოლო სიტყვათა თანმიმდევრობის მხრივ ვარიაციის პრობლემა, სწორედ ასევე, გადანაცვლების თეორიასთან არის დაკავშირებული (რატომ ინაცვლებს დამატება ბ1 სტრუქტურის ენებში სპეც. პოზიციისკენ, სათაო ელემენტის მარცხნივ და რატომ არ ხდება ეს ა1 წყობის ენებში?)

გადანაცვლება

ზემოთ უკვე ვიმსჯელებთ იმ გარემოებაზე, რომ სხვადასხვა ენების გრამატიკები გადანაცვლების ურთიერთობასაც მოიცავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი კომპონენტი შეიძლება სინტაქსურ ურთიერთობაში იმყოფებოდეს ერთზე მეტ სინტაქსურ პოზიციასთან. ვრცელდება თუ არა ეს მახასიათებელი ყველა ენაზე? არის ენა რომელსაც გარკვეული სახის გადანაცვლება აკლია ან რომელიც საერთოდ კრძალავს მას? ზოგ ენაში, მაგალითად, იაპონურში, wh კომპლექსით დაწყებული ფრაზა იმავე პოზიციებში დგება, რომლებიც, როგორც წესი, დეტერმინირიან ფრაზებს უკავია

(ამ მოვლენას *wh-in-situ* უწოდებენ). სხვა ენებში, მაგალითად, ინგლისურში, *wh*-კომპლექსით დაწყებული ფრაზები სტრუქტურის ერთ კონკრეტულ პოზიციაში უნდა იდგეს (სპეც. დამატების მქმნელი ფრაზა). ეს ფაქტი იაპონური და ინგლისური ენებიდან ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით თვალსაჩინოვდება. ხაზგასმა შემოკლებული აღნიშვნების ქვემოთ და მათ ქვემოთ მინერილი ციფრების თავზე იაპონური მაგალითის წაკითხვაში დაგეხმარება; თუ ამ რიცხვებს დაღმასვლით დაუყვებით, იმ ინგლისური წინადადების ექვივალენტურ სტრუქტურას მიიღებთ, რომელიც (106b)–შია მოცემული. (გრამატიკულ აღნიშვნებს შეგიძლიათ ყურადღება არ მიაქციოთ: თემ. თემის ნიშნის აღმნიშვნელი შემოკლებაა, სახ., ბრალ., დატ., გენეტ. – ბრუნვის ნიშნებია, გან.არტ. – განსაზღვრული არტიკლია, დატ. თანდ. – დატივის თანდებული (აქ: -ს) „წარსული“ არაა შემოკლებული, ხოლო კ – კითხვითი ნაწილაკია):

(106) ა. იაპონური: *wh-in-situ*.

watasi wa Jurietto ga sono gekijoo de nan no eiga o
 მე თემ. ჯულიეტა სახელობითი გან.არტ. თეატრი მიც.თანდ. რა გენეტ. ფილმი ბრალ.

1 mi-ta 4 ka kik-ta.
 ნახვა-წარსული კ კითხვა-წარსული.
5 2

ბ. ინგლისური: *wh* –დან სპეც, დამატების მქმნელი ფრაზის პოზიციისკენ.

I asked [what movie Juliet saw [e] in the theater]

* I asked if Juliet saw what movie.

ვ(ი)კითხე, რა ფილმი ნახა ჯულიეტამ [კინოთეატრში]

wh –ფრაზა იაპონურში იმ პოზიციაში დგას, სადაც იაპონურსავე ენაში ობიექტი უნდა იდგეს: დროიანი ზმნის *mitta*- „ნახვა (ნახა)“ წინ. იაპონურ ენაში არსებობს განსაკუთრებული კითხვითი დმს (დამატების მქმნელი სიტყვა) – *ka*, რომელიც იმავე პოზიციაში დგება, რომლებსაც იაპონური ენის სხვა დამატების მქმნელი სიტყვები (კლაუზულის ბოლოში) იკავებენ. ინგლისურ ენაში *wh*-ფრაზები, ჩვეულებრივ, სპეც, დამატების მქმნელი ფრაზის პოზიციაში გვხვდება და *if* -კითხვით დამატებით მქმნელ სიტყვასთან დამატებით დისტრიბუციაში იმყოფებიან. უმეტესწილად, იაპონურ და ინგლისურ ენებში *wh*-კითხვაც ასეთსავე სემანტიკურ ინტერპრეტაციას იღებს. სიტყვათა ყველაზე გავრცელებული თანმიმდევრობების გამოკლებით, მათ შორის განსხვავებას მხოლოდ ის ქმნის, ხდება თუ არა *wh*-ფრაზის გადანაცვლება. (107)–ში ამ ფაქტის აღწერით ფორმულირებაა მოცემული:

(107) *wh*-კომპლექსით დაწყებული ფრაზები ინგლისურ ენაში სპეც, დამატების მქმნელი ფრაზის პოზიციაში გადაადგილდება.

wh-კომპლექსით დაწყებული ფრაზები იაპონურ ენაში სპეც, დამატების მქმნელი ფრაზის პოზიციაში არ გადაადგილდება.

ხდება თუ არა X ენაში *wh*-ფრაზის გადანაცვლება?

ლინგვისტიკის თეორიის ამოცანა ისეთ ენებს შორის არსებული განსხვავებების განმარტებაა, როგორცაა, ვთქვათ, ინგლისური და იაპონური. რას გვამცნობს ეს სხვაობები, ზოგადად, გრამატიკის შესახებ? ისინი *wh*-ფრაზებს შორის განსხვავებით

ამონუნურება, თუ იაპონური და ინგლისური ენების გრამატიკების სხვა სფეროებსაც მოიცავს? შეგვიძლია ისინი მხოლოდ *wh*-კომპლექსით დაწყებულ ფრაზებთან დაკავშირებულ პარამეტრად მივიჩნიოთ, რომელიც თუნდაც მაშინ ამოქმედდება ხოლმე, როცა ბავშვები მშობლიური ენის ათვისებას იწყებენ:

(108) *wh*-ფრაზებთან დაკავშირებული პარამეტრი:

ხდება თუ არა *wh*-ფრაზის გადასვლა დამატების მქმნელ ფრაზაში: დიახ/არა.

„დიახ“ პასუხი ინგლისური ენის მოდელს შესაბამება, „არა“ – იაპონურისას. შეუძლია თუ არა (108) -ში მოცემულ ფორმულირებას უფრო ფართო განზოგადებით ასახოს გადანაცვლების არსებობა-არარსებობა? (108) პარამეტრი დაცული იქნებოდა, გადანაცვლების პარამეტრად ქცევა რომ იყოს შესაძლებელი, რომელიც სრულიად არ არსებობს ერთ ენაში, მაგრამ არსებობს რომელიმე სხვა ენაში. ეს რომ ასე იყოს, ინგლისური ენა გრამატიკის პარამეტრთა ისეთ ერთობლიობად წარმოგვიდგებოდა, რომელშიც გადანაცვლება შედის, ხოლო იაპონური — გადანაცვლების უქონელ გრამატიკად. მაგრამ ეს ვარაუდი არასწორია. იაპონურ ენას არაერთი ისეთი კონსტრუქცია გააჩნია, რომელიც გადანაცვლებას მოიცავს (ანუ მის ერთ ცალკეულ კომპონენტს სინტაქსური ურთიერთობა ერთზე მეტ სინტაქსურ პოზიციასთან აქვს) სინტაქსის კვლევის ძირითადი მეთოდები ხაზგასმით ემყარება მიდგომას, რომ ენები, რომლებიც გადანაცვლების ურთიერთობას სრულიად მოკლებულია, უბრალოდ არ არსებობს. ამგვარად, გავარკვიეთ, რომ გადანაცვლება, ისევე, როგორც სტრუქტურა, ადამიანთა სამეტყველო ენების ფუნდამენტური ნიშან-თვისებაა.

მაშასადამე, სტრუქტურა და გადანაცვლება ენის სინტაქსის ფუნდამენტური მახასიათებელია. ენობრივი ვარიაცია კონკრეტულ სათაო ელემენტებთან (ლექსიკურ პარამეტრებთან) არის დაკავშირებული, ხოლო პარამეტრები, თავის მხრივ, სიტყვათა თანმიმდევრობას (სათაო პოზიციით დაწყებული / სათაო პოზიციით დასრულებული) უკავშირდება.

5.2.3 დამატება, დრო და ზმნა სხვადასხვა ენებში

რაკი დეტერმინირიან ფრაზებს და სათაო ელემენტებს შეიძლება სხვა პოზიციებთან ერთად დგომის შეზღუდვები ჰქონდეთ, იმის გასარკვევად, თუ სად გამოითქმის კონკრეტული სტრუქტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები, ზოგიერთი ცდის ჩატარება დაგვჭირდება. წინა თავებში ჩვენი სინტაქსური „ლაბორატორია“ საამისო ტესტებით „აღვჭურვეთ“, რომლებიც ინგლისური ენის კვლევის შედეგად იყო შემუშავებული. ახლა ლაბორატორია სხვა ენებიდან მოყვანილი მასალის საკვლევად უნდა გავმართოთ და ამა თუ იმ ზმნური ფორმის მდებარეობის განსაზღვრა ვცადოთ. ზმნიანი ფრაზის ელიფსთან დაკავშირებული ტესტი ინგლისური ენის ძირითადი და დამხმარე ზმნების შემთხვევაში ძალზე გამოგვადგა. ინგლისური სიტყვების თანმიმდევრობის კვლევა ახალ მასალას გვანვდის პირიანი ზმნების / დამხმარე ზმნების / უპირო ზმნების დისტრიბუციის შესახებ. მათ ერთმანეთისგან განსხვავებული პოზიციები უკავიათ, იმის-და მიხედვით, როგორია წინადადებაში ელემენტების უცვლელი პოზიციები (საუბარია უარყოფით ფრაზებსა და ზმნიზედებზე). ამგვარად, ახლა კონკრეტულ ენებში სხვადასხვა ზმნური ფორმის და ზმნათა კლასების პოზიციები გვაქვს შესასწავლი. ზემოთ უკვე დავრწმუნდით, რომ წინადადებაში, მაგალითად, კითხვით წინადადებაში პირიანი თუ დამხმარე ზმნის

პოზიციები სუბიექტთან კავშირში უნდა შეგვესწავლა. ესე იგი, ამ ახალ ენებშიც იგივე საკითხი უნდა გამოვიკვლიოთ. და ბოლოს, განსასაზღვრი გვაქვს, შესაძლებელია თუ არა, ფუძენაცვალ ზმნა ლექსიკურ დამატების მქმნელ ფრაზასთან ერთად იდგეს.

ზემოთ ჩამოთვლილი საკვლევი საკითხები ისე ჩამოვაყალიბოთ, რომ ზმნური ფორმების დისტრიბუციის კვლევისას გზის გასაკვლევად გამოვიყენოთ:

- ახასიათებს თუ არა მოცემულ ენას ზმნიანი ფრაზის ელიფსი? თუ პასუხი დადებითია, ქრება თუ არა ფუძენაცვალ ზმნები ზმნიანი ფრაზის ელიფსის კონტექსტში? როგორ ხდება განსახილველ ენაში პირიანი და უპირო ზმნების დისტრიბუცია? განსხვავდება თუ არა მასში ერთმანეთისგან დამხმარე / მოდალური და ძირითადი ზმნების დისტრიბუცია?

- რა ვითარებაა უარყოფით წინადადებებთან დაკავშირებით (ინგლისურ ენაში არსებული ნეგაციის მსგავსი შემთხვევები)? რომელ პოზიციებში დგას ზმნური ფორმა, როცა ნეგაცია კლაუზულის სხვადასხვა ტიპებში გვაქვს?

- რავითარება გვაქვს ზმნიზედებთან დაკავშირებით? რომელ პოზიციებში დგას პირიანი / დამხმარე ზმნები, როცა ზმნიზედები კლაუზულაში ფიქსირებულ პოზიციებს იკავებენ?

- რომელი პოზიცია უკავია პირიან / დამხმარე ზმნებს სხვადასხვა ტიპის კლაუზულაში, როცა დეტერმინირიანი ფრაზა სუბიექტის პოზიციამია? მის წინ დგას, თუ მის შემდეგ?

- შესაძლებელია თუ არა, რომ ფუძენაცვალ ზმნა ლექსიკურ დამატების მქმნელ ფრაზასთან ერთად იდგეს?

ინგლისური (ი) და ფრანგული (ფ) ენა

კვლევა ინგლისური და ფრანგული ენის მასალით დავიწყეთ. რაკი ფრანგულში ზმნიანი ფრაზის ელიფსი არ გვაქვს, სიტყვათა თანმიმდევრობის შესწავლას შევეუდგეთ.

ქვემოთ მოყვანილი ფრანგული და ინგლისური წინადადებები იმის თვალსაჩინოებაა, თუ როგორი თანმიმდევრობით დგას ამ ენებში ზმნიანი ფრაზის წინ მდგარი ზმნიზედები და პირიანი ზმნები.

(109) ა. *Romeo carefully words his letters* (ი: ზმნიზედა – პირიანი ძირითადი ზმნა)

ბ. * *Romè soigneusement formule ses lettres*

რომეო ფრთხილად (ყურადღებით, რუდუნებით) ირჩევს სიტყვებს თავის წერილებში (ან: რუდუნებით აყალიბებს აზრს თავის წერილებში).

(110) ა. * *Romeo words carefully his letters*

ბ. *Romè formule soigneusement ses lettres* (ფ: პირიანი ძირითადი ზმნა – ზმნიზედა)

როგორც ეს მაგალითები გვიჩვენებს, ამ ნევრების თანმიმდევრობა ინგლისურ ენაში ასეთია: ზმნიზედა – პირიანი ძირითადი ზმნა, ხოლო ფრანგულში — პირიანი ძირითადი ზმნა + დრო – ზმნიზედა. ზმნიზედები დროსა და ზმნიან ფრაზას შორის დგას. პირიანი ზმნა ინგლისურ ენაში ზმნიან ფრაზაში დგას, შესაბამისად, თანმიმდევრობა ასეთია: ზმნიზედა ზმნა + დრო. პირიანი ზმნა დროის კვანძში ვერ იდგება და ამის გამო ვერც ზმნიზედის წინ იდგება (110ა). ფრანგულ პირიან ზმნებს რომ ისეთივე დისტრიბუცია ჰქონდეს, როგორც ინგლისურ დამხმარე ზმნებს, შემდეგ მოდელს მივიღებდით:

(111) ინგლისური: [დრ.ფ დფ [დრ. ე] ზმნიზედა [ზმფ [ზმ + დრ.]] (ი: პირიანი ძირითადი

ზმნა ზმნიან ფრაზაში დგას)

ფრანგული: [დრ.ფ სფ [დრ. ზმ+დრ.] ზმნიზედა [ზმფ [ზმ ე]] (ფ: პირიანი ძირითადი ზმნა დროიან დროის კვანძში)

როცა წინადადება პირიან დამხმარე ზმნას შეიცავს, ინგლისურიცა და ფრანგულიც ერთსა და იმავე თანმიმდევრობას ამჟღავნებს:

(112) ა. *Romeo has carefully worded his letters* (ი: პირიანი ზმნა- დამხმარე ზმნა - ზმნიზედა – მიმღეობა)

ბ. *Romèo a soigneusement formulè ses lettres* (ფ: პირიანი ზმნა – დამხმარე ზმნა — ზმნიზედა - მიმღეობა)

(113) ა. *Romeo is often sick.* — „რომეო ხშირად ავადმყოფობს“. (რომეო არის ხშირად ავად).

ბ. *Jean est souvent malade.* — „ჯანი ხშირად ავადმყოფობს“. (ჟანი არის ხშირად ავად).

ამგვარად:

(114) ა. ფრანგულ ენაში პირიანი დამხმარე ზმნები და დამხმარე ზმნები [+დრო]-ში დგას.

ბ. (I) ინგლისურ ენაში პირიანი დამხმარე ზმნები [+დრო]-ში დგას.

(II) ინგლისურ ენაში პირიანი ძირითადი ზმნები [+დრო]-ში დგას.

ეს ფრანგული ენის ყველა დროიანი კლაუზულის (წინადადების) საერთო ნიშან-თვისებაა, ისეთი კლაუზულებისთვისაც კი, რომლებიც ზმნიზედას არ შეიცავს. ზედაპირული შთაბეჭდილებით ერთმანეთის მსგავს წინადადებებს ინგლისურ და ფრანგულ ენებში ზმნა სხვადასხვა პოზიციებში უდგას ([ზმ ე] ზმნის თავდაპირველ პოზიციასზე მიუთითებს).

(115). ა. *Romèo [დრ. visite] [[ზმ ე] ses voisins]*

ბ. *Romeo [დრ. e] visits his neighbors]*

ა.-ბ. რომეო თავის მეზობლებს სტუმრობს.

ამ ანალიზის სისწორეს უარყოფითი წინადადებები ადასტურებს. როგორც ზემოთ ითქვა, *not* უარყოფის ელემენტის არსებობა დროის კვანძში (ძირითად ზმნებთან) *do* ზმნით მხარდაჭერას აჩენს (116ა). *Have* და *be* ზმნები დაუბრკოლებლად დგება *not* ელემენტის წინ (116ბ). ახლა ფრანგული მოდელის ზმნები ავიღოთ ინგლისური დამხმარე ზმნებით: ასეთ შემთხვევაში ზმნა დროის კვანძამდე ადის და ფრანგული ენის *pas* უარყოფით ელემენტს წინ უსწრებს (116გ).

(116). ა. *Romeo does not [visit his neighbors]*

ბ. *Romeo has not [[ზმ ე] [visited his parents]]*

გ. *Romèo ne visite pas [[ზმ ე] ses voisins]*

როგორც ხედავთ, განსხვავებას ფრანგული და ინგლისური ენის სიტყვათა თანმიმდევრობებში პირიანი ზმნების მდებარეობა ინვევს; ფრანგულში ისინი +დროის კვანძში დგას, ინგლისურ ენაში კი — ზმნის კვანძის პოზიციასში. ფრანგული და ინგლისური ენების კლაუზალური სტრუქტურა დროის კვანძის, ნეგაციის და ზმნის კვანძის თვალსაზრისით თითქმის ერთმანეთის იდენტურია.

ვარიაციებს ის პოზიციები ინვევს, რომელთაც კონკრეტული ტიპის ზმნა იკავებს წინადადების სტრუქტურაში. ამგვარად:

(117) ენათშორისი ვარიაციების ერთ-ერთი მიზეზი ის პოზიციასა, რომელსაც ესა თუ ის კერძო სათაო ელემენტი იკავებს.

ახლა ინგლისურისა და გერმანიკული ჯგუფის სხვა ენების შედარებას

შევედგეთ.

ინგლისური ენა და გერმანიკული ჯგუფის ენები

ინგლისური ენა გერმანიკული ჯგუფის სხვა ენებისგან განსხვავდება. ინგლისურში მთავარი კითხვითი წინადადებები (მაგრამ არა ჩართული კლაუზულებით წარმოდგენილი დამატებები), პირიანი დამხმარე ზმნები და მოდალური ზმნები განსაკუთრებული ტიპის — დმს (დმს [+კ]) ნყოფაში დგას. ეს დმს + კ სათაო ელემენტის მახასიათებლებითაა განპირობებული, რომელიც ღია ლექსიკურ მასალას უნდა დაერთოს. ჩართულ კლაუზულებში ლექსიკური დამატების მქმნელი ფრაზა (whether, if) ამ დმს [+კ]-ს მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ხოლო დამხმარე და მოდალური ზმნები დამატების მქმნელი სიტყვისკენ არ გადაადგილდება (ვინაიდან ამის საჭიროება არ არსებობს). ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ დროის კვანძიდან დმს კვანძისკენ გადანაცვლება ძირითადად მატრიცული კლაუზულებით ხდება (მათ სხვაგვარად **ძირეულ კლაუზულებს** (root clauses) უწოდებენ; ეს ისეთი კლაუზულებია, რომლებზეც რომელიმე სხვა ტიპის სათაო ელემენტი არ დომინირებს).

ფრანგულ და ინგლისურ ენებს შორის არსებული განსხვავებების მაგალითზე შესაძლოა, მოსალოდნელიც იყოს, რომ ზოგიერთ ენას ზოგიერთი მახასიათებელი ფრანგული ენისა აღმოაჩნდება, ზოგი სხვა ნიშან-თვისება კი — ინგლისური ენისა. მაგალითად, შეიძლება მოველოდეთ, რომ რომელიმე ენაში ყველა პირიანი ზმნა დროის კვანძამდე ადის, ისე, როგორც ფრანგულში ხდება და რომ ამ ენას გამოუთქმელი სათაო ელემენტიც აღმოაჩნდება, რომელიც ღიად გამოხატვას მოითხოვს, როგორც ეს ინგლისურ დმს, + კ-ს მოდელში გვაქვს.

ანუ, უნდა მოველოდეთ, რომ არსებობს ასეთი ზედაპირული მოდელები:

(118) მატრიცული: [[დმს ზმ ფრანგ.] [დფ.....

ჩართული: [[დმს დმს] [დფ..... ზმ ფრანგ.

მატრიცულ კლაუზულებში ყველა პირიანი ზმნა დამატების მქმნელი სიტყვის პოზიციამდე ადის. ჩართულ კლაუზულებს ყოველთვის გააჩნიათ ღია დმს, პირიან ზმნასთან ერთად, რომელიც დროის კვანძში რჩება. ამგვარი დისტრიბუცია იმ მოდელს აღწერს, რომელიც გერმანიკული ენებისთვისაა დამახასიათებელი. მატრიცულ კლაუზულებში პირიანი ზმნა ყოველთვის პირველ პოზიციაში მდგომ კომპონენტს მოსდევს (ამის გამო პირიანი ზმნა ამ ტიპის კლაუზულაში მეორე პოზიციაში დგას; ამ მოვლენას **ზმნის მეორე პოზიციაში დგომა** (verb-second) უწოდებენ). ამის ილუსტრირებას ჰოლანდიური მაგალითით მოვახდენთ: (თითოეულ სიტყვას საორიენტაციოდ ქვეშ იმავე ჯგუფის, თქვენთვის უფრო ნაცნობი, ინგლისური ენიდან შესატყვისებს მივუწეროთ)

(119) ა. Morgen gaat Juliet met Romeo naar de film.

ხვალ მიდის ჯულიეტა რომეოსთან –ზე ფილმი.

Tommorow goes Juliet (with) Romeo to the movies.

„ხვალ ჯულიეტა რომეოსთან ერთად ფილმზე მიდის“.

ბ. Ik geloof niet [დმს დატივ. Juliet morgen met Romeo naar de film gaat]

მე მჯერა არ რომ ჯულიეტა ხვალ –თან რომეო-ზე ფილმი წავა.

I believe not that Juliet tomorrow with Romeo to the movies goes.

„მე არ მჯერა, რომ ჯულიეტა ხვალ რომეოსთან ერთად ფილმზე მიდის“.

თუ ზმნა ყოველთვის მეორე პოზიციაში დგას და თუ ეს დამატების მქმნელი

სიტყვის პოზიციაა, ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ტიპის ძირეული კლაუზულების თავდაპირველი პოზიცია ჰოლანდიურ ენაში (მაგალითად, სპეც, დმფ) ყოველთვის რომელიმე კომპონენტითაა შევსებული (სხვაგვარად ზმნა პირველი იქნებოდა!)

ამ ფენომენს ეწოდება **XP-ს პირველ ადგილას დგომა მატრიცულ კლაუზულებში**.

იგი მხოლოდ იმ ენებში მოქმედებს, რომლებშიც ზმნას მეორე პოზიცია უკავია.

(120) XP-ს პირველ ადგილას დგომა მატრიცულ კლაუზულებში

სპეც. დმფ (მატრიცული) ღია კომპონენტს უნდა შეიცავდეს.

ეს მნიშვნელოვანია იმ მარტივი თხრობითი წინადადებების ანალიზისთვის, რომლებიც სუბიექტით იწყება. თუ პირიანი ზმნა (121) მაგალითში დგას დმს + მატრიცაში, მაშინ სუბიექტი სპეც, დრ.ფ-ში ვერ იდგება, ვინაიდან იგი პირიან ზმნას წინ უსწრებს.

(121) ა. *Juliet gaat morgen met Romeo naar de film.*

ჯულიეტა მიდის ხვალ რომეოსთან –ზე ფილმი.

ბ. *Ik denk [[დმს დატ.] Juliet morgen met Romeo naar de film gaat]*

მე ვფიქრობ რომ ჯულიეტა ხვალ –თან რომეო –ზე ფილმზე მიდის

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ (120) მაგალითის მოდელი სუბიექტს იძულებულს ხდის, გადანაცვლების ზედმეტი საფეხური განიცადოს (მატრიცულ კლაუზულებში): ანუ დეტერმინირიანი ფრაზით წარმოდგენილი სუბიექტი ერთ პოზიციას იკავებს (121ა) წინადადებაში, ხოლო (121ბ) –ში – მეორეს.

ამგვარად, კონკრეტული სათაო ელემენტების ნიშან-თვისებებზეა დამოკიდებული, ძირეულ კლაუზულებში (რომლებშიც ზმნა მეორე პოზიციაში დგას) ზმნები გადანაცვლება, თუ არა. მეტიც, ფრაზების მიმღებ პოზიციებს ამ ფრაზების მიმართ მსგავსი მოთხოვნის ნაყენებაც შეუძლიათ: ისინი რომელიმე კომპონენტს უნდა შეიცავდნენ (XP პირველ პოზიციაშია ძირეულ კლაუზულებში).

5.2.4 სხვა ენები

როგორც ხედავთ, ენათშორის ვარიაციებთან დაკავშირებით სრულიად ნათელი სურათი იკვეთება: მსოფლიოს სხვადასხვა ენებს მსგავსი (დმს – ი – ზმ) აგებულება გააჩნია. განსხვავებები მათ შორის იმის-და მიხედვით იქმნება, რომელ პოზიციაში აღმოჩნდება სათაო ელემენტები ან XP ფრაზები. ესენი, თავის მხრივ, ცალკეული სათაო ელემენტების მახასიათებლებთან, ან გარკვეულ სტრუქტურულ პოზიციებთანაა დაკავშირებული.

ჩვენს მიერ აქამდე განხილული ენები (გერმანიკული ჯგუფის ენები და რომანული ჯგუფის ერთი ენა) ერთმანეთთან ახლო ნათესაობას ამჟღავნებენ. ვინმე შეიძლება შეგვედავოს, რომ რაც აქამდე იქნა განხილული და ნათქვამი, მსოფლიოს ყველა ენის ფუნქციონირების სურათს სულაც არ გვიქმნის — უფრო იმ ენათა ერთი ცალკეული ჯგუფის დახასიათებას გვთავაზობს, რომელთა რეტროსპექტულ კვლევას ერთ საერთო წინაპარ ენამდე მივყავართ.

მაშასადამე, ახლა ერთმანეთთან დაუკავშირებელ ენებს უნდა გადავხედოთ, და ასე განვამტკიცოთ თვალსაზრისი, რომ ენათშორის ვარიაციებს ძირეული სტრუქტურული ვარიაციები კი არ ქმნის (ვინაიდან, როგორც ითქვა, ყველა ენას ერთი და იგივე დმს – ი – ზმ სტრუქტურა გააჩნია), არამედ გადანაცვლების თავისებურებები და მასთან დაკავშირებული ვარიაციები (როცა სტრუქტურაში არსებული სათაო ელემენტები და XP ფრაზები გამოითქმება).

ვატა

ზოგიერთ ენაში ზმნის (კვანძის) გადანაცვლების ზემოქმედება ძნელი მისაკვლევია არაა. ამის ილუსტრირება შეიძლება ვატას — დასავლეთ-აფრიკული ენის, ნიგერიულ-კონგოური ენების, კრუს ოჯახის ერთ-ერთი წევრის მაგალითზე, რომელიც სპილოს ძვლის სანაპიროს ტერიტორიაზეა გავრცელებული. ვატაში ზმნის გადანაცვლება საკმაოდ გამჭვირვალეაა წარმოდგენილი, ვინაიდან მის შედეგად სიტყვათა თანმიმდევრობაში სხვაობებს ვიღებთ. ყველა პირიან კლაუზულას, მთავარი წინადადება იქნება ეს თუ ჩართული, *სუბიექტი — ზმნა — X ფრაზა* ან სუბიექტი — დამხმარე ზმნა — X ფრაზა* ზმნა* თანმიმდევრობა ახასიათებს. (ვატა ტონური ენაა, “ აღნიშვნა მაღალ ტონს შეესატყვისება, ‘ — ზომიერად მაღალ ტონს, ʘ აღნიშვნა — საშუალო ტონს, ხოლო „ ნიშანი — დაბალ ტონს. სხვა სიმბოლოების გასაცნობად შეგიძლიათ იხილოთ თავი 11. ნუ შეწუხდებით, თუკი არ იცით, როგორ უნდა გამოიხატოს მეტყველებაში მსგავსი სიმბოლოები. ჩვენი დისკუსიის ამოცანებისთვის ეს არც არის მნიშვნელოვანი. X ფრაზას* ნებისმიერი ოდენობის კომპონენტთა აღნიშვნა შეუძლია.)

(122) ა. ṅ ɲ ɛ̃ y ʘ ʘ sléé mlí sáká

მე მივეცი(სრ.ასპ)+ ბავშვი + არტიკლ. სახლი+ არტ.-ში ბრინჯი
„მე ბავშვს სახლში ბრინჯი მივეცი“.

ბ. ṅ ká y ʘ ʘ sléé mlí sáká ɲ é

მე მომავალ.+ დამხ.ზმ. ბავშვი+ არტ. სახლი + არტ.-ში ბრინჯი მიცემა (ინფ).
„მე ბავშვს სახლში ბრინჯს მიცემ“.

ინფინიტივურ დამატებებს X* ფრაზა — ზმნა თანწყობა გააჩნია, რაც ზმნით დაბოლოებულ ზმფ სტრუქტურაზე მიუთითებს (როგორც მაგალითი (122ბ) —შია). ამგვარად, ძირითადი ზმნის პოზიცია სხვადასხვა პირიან და უპირო კლაუზულებში. პირიან კლაუზულებში პირიანი ზმნა ან დამხმარე ზმნა დეტერმინირიანი ფრაზით წარმოდგენილი სუბიექტის შემდეგ დგას, ხოლო უპირო კლაუზულებში ზმნა ზმნიანი ფრაზის ფარგლებშია მოქცეული. ამგვარი დისტრიბუცია ადვილად შეიძლება აიხსნას, თუ პირიანი და დამხმარე ზმნები პირიან დროის კვანძში დგას, როგორც ფრანგულ ენაში, ხოლო უპირო ზმნები — ზმნიან ფრაზაში. ვატაში არც ერთ დმს კვანძს არ გააჩნია დმს+კითხვა მახასიათებელი, როგორც ეს ინგლისურ ენაშია. ვატას არ ახასიათებს ინვერსია(2), ხოლო მატრიცული და ჩართული დამატებები სიტყვების ერთნაირი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი.

5.2.5 ენები, რომელთაც სიტყვათა თანმიმდევრობაში ხილული ცვლილებები არ შეენიშნებათ: ზმნიანი ფრაზის ელიფსი

ბევრ სხვა ენაში კი სიტუაცია გაცილებით ნაკლებად გამჭვირვალეა. ხშირად სიტყვათა თანმიმდევრობის განმსაზღვრელი ინგლისური ან ფრანგული ტიპის კრიტერიუმები არაფერს არ გვიჩვენებს. მაგალითად, პირიანი ან უპირო ზმნის პოზიცია წინადადებაში ნეგაციის გაჩენით სრულებით არ იცვლება, არც ისეთი ელემენტები ჩანს, რომლებიც დამატების მქმნელი სიტყვის, დროის და ზმნის შუა „იჭრება“. რაკი მკაფიოდ გამოხატული სათაო პოზიციით დაბოლოებული სტრუქტურის მქონე ენებში მკაცრადაა განსაზღვრული, რომ პროექციებიც სათაო ელემენტით უნდა იყოს დასრულებული (მათში არამხოლოდ დამატებები — ზმნიზედებიც კი წინა პოზიციებში დგას) — ასეთებია, მაგალითად, კორეული ან იაპონური — დამატების მქმნელი

სიტყვის, დროის და ზმნის პოზიციებს შორის ვერანაირი სხვა მასალა ვერ ჩადგება (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავებული პროექციები არსებობს!).

(123) [(ზმნიზედა) [ზმნა ზმფ] დრო დრ.ფ] დმს დმფ]

როგორ უნდა განისაზღვროს, *ზმნა- დრო - დამატების მქმნელი სიტყვის* იერარქიაში ზმნა ზმნიან ფრაზაში დგას, დროის კვანძში თუ დამატების მქმნელი სიტყვის კვანძში?

როგორც აქამდე ინგლისური ენის მაგალითებში ვხედავდით, ახლაც უნდა ვაჩვენოთ, რომ ზმნების „ქცევა“ ზმნიანი ფრაზის ელიფსის ზემოქმედებისას კარგი სადიაგნოსტიკო საშუალებაა, როცა ზმნების დისტრიბუციის თავისებურებათა განსაზღვრა გვჭირდება. ახლა ამის ილუსტრირება ირლანდიური ენიდან მოყვანილი ნიმუშებით ვცადოთ. ზმნა –სუბიექტი –ობიექტი თანწყობის ამავე ენაში ზმნის გადანაცვლების კვალი ადვილად იკვეთება. შემდეგ სუაჰილის (ბანტუ) (სუბიექტი – ზმნა –ობიექტი) და კორეულის (სუბიექტი –ობიექტი –ზმნა) მაგალითები და ამ ენებისთვის დამახასიათებელი ძირითადი თანმიმდევრობები განვიხილოთ.

ირლანდიური ენა

ეს კელტური ენა როგორც მატრიცულ, ისე ჩართულ დროიან კლაუზულებში მიდრეკილებას ზმნა – სუბიექტი –ობიექტი თანმიმდევრობისკენ ამჟღავნებს.

(124) *Dúirt sé go dtiocfadh sé*

თქვა მან დმს მოსვლა (კავშირებ.) იგი

„მან თქვა, რომ იგი მოვიდოდა“.

ზმნა – სუბიექტი –ობიექტი თანმიმდევრობა პირიანი კლაუზულებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა: უპირო კლაუზულები სუბიექტი – ზმნა –ობიექტი (125) ან სუბიექტი –ობიექტი – ზმნა თანმიმდევრობას ამჟღავნებს (126):³

(125) *Bhreachnagh mé uirthi agus í ag imeacht uaim*

ვუყურებდი მე მას(მდ.) და მის წასვლას (უნყვეტელ.) ჩემგან

„ვუყურებდი მას, როცა ჩემგან მიდიოდა“.

(126) *Níor mhaith liom iad a chéile a phósadh*

არ ვისურვებდი მათს ერთმანეთზე ქორწინებას(ინფ).

„არ მინდა, რომ მათ იქორწინონ“.

ეს მოწმობს, რომ სიტყვათა თანმიმდევრობა დროიან კლაუზულებში წარმოებულია, პირიან კლაუზულებში ზმნა ზმნიანი ფრაზის გარეთ გამოდის და ისეთ პოზიციაში ადის, რომელიც სუბიექტზე მაღლა დგას. ამ გადანაცვლების შედეგად სუბიექტი პირიან ზმნასა და მის ობიექტს შუა შთაინერგება.

სად მდებარეობს ზმნა: დამატების მქმნელი სიტყვის კვანძში, თუ დროის კვანძში? პირიანი ზმნა დმს კვანძში ვერ მოექცევა, ვინაიდან იგი პირიან დამატების მქმნელ სიტყვასთან ერთად დგას: ზმნა – სუბიექტი –ობიექტი თანმიმდევრობა ყველა დროიანი კლაუზულის საერთო ნიშან-თვისებაა, სულ ერთია, მთავარი იქნება იგი, თუ ჩართული. ამის გამო იგი დროის კვანძში დგება.

(127) **პირიანი ზმნა ირლანდიურ ენაში დროის კვანძში დგას.**

აქ კი ჩნდება კითხვა: სად არის სუბიექტი? იგი უშუალოდ მოსდევს პირიან ზმნას და წინ უძღვის სხვა კომპონენტებს.

იმის მხარდაჭერას, რომ ზმნა ზმნიანი ფრაზის გარეთ იდგეს, ირლანდიურ ენაში ზმნიანი ფრაზის ელიფსი ქმნის. ირლანდიურს არ აქვს ისეთი დამოუკიდებელი სიტყვები, რომლებიც „ჰო“-ს, ან „არა“-ს ნიშნავს. კითხვაზე დადებითი ან უარყოფითი

პასუხის მისაცემად დროიანი ზმნა უნდა იქნეს გამოყენებული:

(128) კითხვა:

Ar chuir tú isteach air?

ჩანერგილი დმს დადე შენ - ში მასზე

„შენ ამას შეეხე?“

პასუხები:

Chuir Níor chuir

დავდე ნეგ. დავდე („არ დამიდევა“.)

„ჰო“ „არა“

ეს სტრუქტურები არის ინგლისური I do ან I did not ფორმების მსგავსი (თუმცა, მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ირლანდიურ ვერსიაში სუბიექტი არ უნდა იყოს — * Chuir mé , - ინგ. Put I). გაუჩინარებული ნაწილი პასუხში იგულისხმება. ელიფსური წინადადებები ირლანდიურ ენაშიც კონტექსტების დაახლოებით იმგვარ დიაპაზონში გვხვდება, როგორშიც ეს მოვლენა ინგლისურ ენაში იჩენს თავს:

(129) Dúirt mé go gceannóinn é agus cheannaigh

ვთქვი მე დმს ვიყიდდი ამას და ვიყიდე

„ვთქვი, რომ ამას ვიყიდდი და ვიყიდე კიდევ“.

(130) ა: Chennaigh siad teach

შეიძინეს მათ სახლი

„მათ სახლი შეიძინეს“.

ბ: Níor cheannaigh

ნეგ. შეიძინეს

„არ შეუძენიათ“. = „არა“.

ეს მოვლენა ეგრეთ წოდებული „კუდიანი“ კითხვის წარმოსაქმნელად გამოიყენება (გაიხსენეთ: კითხვითი წინადადებები, რომლებსაც კითხვის ელემენტი ბოლოში აქვთ „მოგდებული“. მათთვის დამახასიათებელი დაბოლოებებია: „, didn't she?“ „, She came, didn't she?“ „, Did she?` ` „,She didn't come, did she?``).

(131) Chennaigh siad teach, nár cheanngiah

შეიძინეს მათ სახლი ნეგაც. ჩანერგილი დმს შეიძინეს

They bought a house, didn't they?

„მათ შეიძინეს სახლი, არა?“

ეს ნიმუში ზმნიანი ფრაზის ელიფსივით გამოიყურება, რა თქმა უნდა, თუკი იმ ფაქტს არ უგულვებელვყოფთ, რომ ელიფსის მონარჩენი პირიან ძირითად ზმნას შეიცავს! ასეთი სიტუაცია შეიძლება მაშინ შეიქმნას, თუ ზმნა იმ კომპონენტის გარეთ დგას, რომელსაც გამოუთქმელობის ნიშან-თვისება აქვს მინიჭებული. რაკი ზმნა ზმნიან ფრაზაში არ დგას, არამედ დროის კვანძში, იგი აუცლებლად უნდა გამოითქვას. ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ სუბიექტები ირლანდიურ ენაში გამოუთქმელნი უნდა იყვნენ და ამ თვალსაზრისით ისინი ისე „იქცევიან“, თითქოს გამოუთქმელი (გამოტოვებული) კომპონენტის შიგნით იდგნენ:


(132) ინგლისური: they did! - „ გააკეთეს!“

ირლანდიური: „შეიძინეს!“

(ზემოთ მოყვანილი კითხვის პასუხად:


„შეიძინეს!“ სხვაობას ირლანდიურთან

სუბიექტი -ნაცვალსახელი ქმნის)



ამგვარად, ზმნიანი ფრაზის ელიფსი შეესანიშნავი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ ირლანდიურ ენაში ზმნის კვანძიდან დროის კვანძში გადანაცვლება გვაქვს!

ინგლისური ენის სუბიექტები ირლანდიური სუბიექტებისგან განსხვავდება: ინგლისური სუბიექტები ელიფსის მონარჩენის ნაწილია, ირლანდიური სუბიექტები კი - არა. ამგვარად, განსხვავებულ პოზიციებში მხოლოდ ზმნები კი არა, დეტერმინერიანი ფრაზებიც შეიძლება იდგნენ. ეს კი იმას მონიშნავს, რომ როგორც ზმნებისთვისაა განკუთვნილი სტრუქტურაში ერთზე მეტი პოზიცია, სუბიექტისთვისაც შეიძლება იყოს განკუთვნილი ერთზე მეტი პოზიცია.



შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზმნიანი ფრაზის შიდა, სუბიექტის პოზიცია, რომელიც ირლანდიურ ენაში სუბიექტს იღებს, სტრუქტურულად ინგლისურშიცაა წარმოდგენილი. ზედაპირული დათვალეობებისას იგი თვალს მაშინვე არ ხვდება, ვინაიდან ინგლისური სუბიექტები (თუმცა, არა ირლანდიური სუბიექტები) სპეც. დროიან ფრაზის კვანძში უნდა „გამოითქვას“. არსებითად, ეს იმის მონიშნავს, რომ დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილი სუბიექტების ნაწილი ხანდახან უკან რჩება, და ასეთ შემთხვევებში ისეთ პოზიციაში აღმოჩნდება ხოლმე, რომლებშიც ირლანდიური სუბიექტები დგას (the children have all left = all the children have left).

სუაჰილი

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ ზმნის მდებარეობის საკითხი სუაჰილიში. ეს ბანტუს ერთ-ერთი ენაა და აღმოსავლეთ აფრიკაშია გავრცელებული. როგორც ზემოთ, პირველ თავებში ვთქვით, სუაჰილი სუბიექტი - ზმნა - ობიექტი თანწყობის ენაა; ზმნა ამ ენაში შემდეგ პოზიციაში გვხვდება (შემოკლებები: სშ = სუბიექტის შეთანხმება; დრ = დროის ნიშანი; ოშ = ობიექტის შეთანხმება; ბხ = ბოლო ხმოვანი):

(134) სშ - დრ. - ოშ - ზმ - ბხ - დფ
 a- na- ya- som- a (magazeti)

33 - ანმყ. – მათ – კითხვა გაზეთებს

„ის გაზეთებს კითხულობს“.

ზუსტად რომელ პოზიციას იკავებს ზმნა სუაჰილიში? ზმნიან ფრაზაში დგას, როგორც ინგლისურში, თუ ზმნიანი ფრაზის გარეთ, მაგალითად, დროის კვანძში?

(135) ა. [დრ. na [ზმფ ომ +ზმ]]

ბ. [დრ. დრ +ომ +ზმ I + ბხ] [ზმფ [ზმ e]]]

ეს კითხვა კვლავ ძნელი საპასუხო ჩანს, ვინაიდან სათაო ელემენტები ყოველთვის ერთსა და იმავე თანმიმდევრობაში დგას. ეს ის კონფიგურაციაა, რომელშიც ზმნიანი ფრაზის ელიფსი მნიშვნელოვან ანალიტიკურ საშუალებად წარმოგვიდგება. როგორც ირკვევა, ინგლისური და ირლანდიური ენის კვალდაკვალ, ზმნიანი ფრაზის ელიფსი სუაჰილისაც ახასიათებს. ისევე, როგორც ინგლისურში, დეტერმინერიანი ფრაზით წარმოდგენილი სუბიექტი აქაც ელიფსური მონარჩენის ნაწილია. ირლანდიურის მსგავსად, ასეთი მონარჩენი პირიანი ან ინფინიტივური ზმნაცაა (კ = კითხვა, ციფრები სახელთა კლასებზე მიუთითებს, სმ = სუბიექტის შეთანხმება, ბხ = ბოლო ხმოვანი, ინფ = ინფინიტივის ნიშანი):

(136) ა. Je, Romeo a- li- tum-a wa- toto soko- ni ku-nunu
-a vi-tunguu?

(კ) რომეო 1 სმ-წარსული-გაგზავნა-ბხ 2- ბავშვი ბაზარი-ადგ. ინფინიტივი-ყიდეა ბხ 8-ხახვი

„რომეო ბავშვები ბაზარში ხახვის საყიდლად გაგზავნა?“

ბ. Ndiyo, a -li -tum -a

ჰო, 1 სმ -წარსული გაგზავნა ბხ (სიტყვა-სიტყვით: ჰო, გაგზავნა)

„ჰო“.

ამგვარად, ეს მასალა ამტკიცებს, რომ ზმნა ზმნიანი ფრაზის გარეთ დგას. 4

კორეული

კორეული სუბიექტი-ობიექტი-ზმნა თანწყობის ენაა. ზმნას შემდეგი გარემო აქვს:

(137) ნეგ-ზმ-დრ-დმს

ისევე, როგორც ირლანდიურსა და სუაჰილიში, ზმნიანი ფრაზის ელიფსი კორეულ ენასაც ახასიათებს. ამის ილუსტრირება შემდეგი მაგალითებით შეიძლება (სნ=სუბიექტის ნიშანი, თხრობ. = თხრობითი კილოს ნიშანი):

(138) romio-ka culiet-kwa kicaᄡ-e ka-ss-ni?

რომეო სნ ჯულიეტას-თან თეატრ-ში წასვლა-წარსული-კ

რომეო ჯულიეტასთან ერთად თეატრში წავიდა?

(139) ა.

ᄡᄡ, ka-ss-ᄡ

ჰო, წასვლა-წარსული-თხრობ (არაფორმალური) (სიტყვა-სიტყვით: ჰო, წავიდა)

„ჰო“.

ბ. ani, an ka-ss-ᄡ

არა, ნეგ. წასვლა-წარსული-თხრობ. (არაფორმალური) (სიტყვა-სიტყვით: არა, არ წავიდა)

„არა“. (ინგ: No, he didn't ; არა, ჯულიეტასთან ერთად თეატრში არ წასულა)

თუკი ინგლისურ ენაში ძირითადი ზმნა ზმნიანი ფრაზის ელიფსის ზემოქმედებით

ქრება, ხოლო მონარჩენი დროის კვანძი do ზმნით მხარდაჭერის პროცესს იწვევს, კორეულ ენაში ელიფსური პროცესის ერთადერთი მონარჩენი ზმნაა. ისევე, როგორც ირლანდიურიდან და სუაჰილიდან მოყვანილი მაგალითები, ეს მოდელიც იმის ემპირიულ მტკიცებას წარმოადგენს, რომ ზმნა ზმნიანი ფრაზის გარეთ დგას.

საპარაფრაზი 5.6

	ახლა იაპონური ენიდან მოყვანილი კითხვა-პასუხის წყვილი განვიხილოთ:
(I)	Romio wa tamanegi o kai ni kodomotachi o maakettoni
	რომეო თემის ნიშ. ხახვი ბრალ. ყიდვა -ს ბავშვები ბრალ. ბაზარ –ში ik- ase-ta ka.
	ნასვლა- კაუზატივი-ნარსული კ
	„რომეომ ბავშვები ხახვის საყიდლად ბაზარში გაგზავნა(აიძულა ნასულიყვნენ)?“
(II)	Hai, ik-ase-ta
	ჰო, ნასვლა-კაუზატ.-ნარსული (სიტყვა-სიტყვით: ჰო, გაგზავნა)
	„ჰო“. (ინგ. Yes, he did. მნიშვნელობა: მან ბავშვები ხახვის საყიდლად ბაზარში გაგზავნა)
	იმსჯელეთ, რა ინფორმაციას გვანვდის ეს მონაცემები ზმნის პოზიციის შესახებ იაპონურ ენაში. წერილობით ეს მსჯელობა ერთ აბზაცში ჩაატვიტეთ. ზმნა იკ-ასე ქართულ „ნასვლა“-ს შეესატყვისება.


5.2.6 შემდგომი განვრცობანი. სახელთა სისტემა: დეტერმინერიანი ფრაზა

ჩვენს მსჯელობაში სახელთა სისტემის ენათშორის ვარიაციებს გაცილებით ნაკლები დრო ეთმობა. ისევე, როგორც წინადადებების შემთხვევაში, დეტერმინერიანი ფრაზებშიც გვაქვს ნაირსახეობა: განსაზღვრული (ანუ სპეციფიკური) დეტერმინერიანი ფრაზები, მაგალითად, *the men, these women*-(კონკრეტული)კაცები, ეს ქალები; რიცხვითი დეტერმინერიანი ფრაზები – *two men, every man* –ორი კაცი, ყველა კაცი; ზოგადი (კრებითი) დეტერმინერიანი ფრაზები – *people* –ხალხი და ასე შემდეგ. დეტერმინერი შეიძლება სახელიანი ფრაზის სათაო ელემენტადაც იქნეს განხილული, ანუ იმის განმსაზღვრელად, თუ რა ტიპის დეტერმინერიანი ფრაზასთან გვაქვს საქმე. ამ განყოფილებაში ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება გვსურს, რომ ისეთი მოდელები, რომლებიც ზმნათა სისტემის ენათშორისი ვარიაციების განხილვისას შეგვხვდა, სახელთა სისტემაშიც არსებობს. ჩვენი მსჯელობა ისევ ინგლისური და ფრანგული ენიდან მოყვანილი ნიმუშებით დავინიშნოთ და (140)-ე მაგალითი განვიხილოთ:

- (140) ა. *the frequent visits to his parents* (ინგლისური)
 ბ. *les visites fréquentes à ses parents* (ფრანგული)
 ა.-ბ. ხშირი სტუმრობა (მრავლ) მის მშობლებთან

სიტყვათა ეს განსხვავებული თანმიმდევრობა იმ სხვაობას მოგაგონებთ, რომელიც ზემოთ, (109) და (110) წინადადებათა სტრუქტურებს შორის იყო. ინგლისურ ენაში სახელი *visits* მისი დამატების - *to his parents* მეზობლად დგას, ხოლო

ზედსართავი წინ უსწრებს სახელს. ფრანგულში სახელი უფრო მარცხნივაა ჩანეული. საკუთარი დამატებისაგან — à ses parents მას ზედსართავი ამორებს. ამ განსხვავებას გადანაცვლების ფრანგული ენისათვის დამახასიათებელი სახეობა – სახელის მარცხნივ გადანაცვლება განაპირობებს, რომლის ზემოქმედებით ზედსართავი ჯვარედინად, დეტერმინირიანი ფრაზის სტრუქტურის უფრო მაღალ პოზიციაში გადაადგილდება. ამკარაა, რომ პოზიცია, რომლისკენაც გადანაცვლებაა მიმართული, დეტერმინერის პოზიცია არ არის. ეს მოცემულ თანმიმდევრობაში კიდევ ერთი, ღია *les* დეტერმინერის არსებობითაა განპირობებული; მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ფრანგულ ენაში რიცხვითი სახელი (ორი, სამი) სახელსა და დეტერმინერს შორის დგება, რაც დეტერმინერსა და სახელს შორის კიდევ ერთი ფუნქციური კატეგორიის არსებობაზე მიუთითებს. პოტენციურად ეს პოზიცია რიცხვისაა. ამგვარად, ვიღებთ ნომინალური ფრაზების სტრუქტურას (141), სადაც შემოკლება რფ- რიცხვს აღნიშნავს. ფრანგულში სახელი რიცხვის პოზიციისკენ მიისწრაფვის, ინგლისურ ენაში კი –არა:




დეტერმინერის პოზიციისკენ სახელის შემდგომი გადანაცვლების მაგალითები გვაქვს სხვა ენებში. ახლა ებრაული ენიდან მოყვანილი ნიმუშები განვიხილოთ:

- (142) ა. ha-bayit el ha-mora
 სახლი -ის მასწავლებელი
 the house of the teacher (ინგლისური პროექცია უფრო ზუსტია)
 მასწავლებლის სახლი
- ბ. beit ha-mora
 house the-teacher (ინგლისური პროექცია აქაც უფრო ზუსტია)
 სახლი მასწავლებელი = მასწავლებლის სახლი

(142ა) მაგალითში კონსტრუქციის სათაო სახელს წინ ha დეტერმინერი უსწრებს, მაშინ, როცა კუთვნილებითი ურთიერთობა ha-mora el, ანუ –ის თანდებულთაა აღნიშნული. (142ბ) -ში, ანუ ე.წ. კონსტრუქციის მდგომარეობაში, ღია დეტერმინერი არ გვაქვს, ხოლო სახელი ფონოლოგიურად რედუცირებულია. მეტიც, მფლობელი el თანდებულთა არაა აღნიშნული. კონსტრუქციის მდგომარეობათა სტანდარტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელი დეტერმინერის პოზიციაში გადადის – იქმნება სიტუაცია, რომელიც ჰოლანდიური (ასევე ნორვეგიული, გერმანული და შვედური) ენისთვის დამახასიათებელი ზმ –ზმ გადანაცვლების პროცესს მოგვაგონებს, რომელიც მთავარ კლაუზულაში ხდება. ასეა თუ ისე, ფრანგული და ებრაული ენიდან მოყვანილ ამ მაგალითებში ვხედავთ, რომ სახელთა სისტემაში არსებობს სახელების პოზიციათა ვარიაციები, რომლის მოხელთება მაშინაა შესაძლებელი, თუ დფ კატეგორიას დფ –ებს მივაკუთვნებთ, რიცხვიან ფრაზას და სახელიან ფრაზას, რომლებიც სახელზე დომინირებს – ისეთ სახელებს, რომლებიც განიცდის ორსაფეხურიან (დეტერმინერისკენ), ერთსაფეხურიან (რიცხვისკენ) გადანაცვლებას, ან ამ პროცესს

საერთოდ არ განიცდის:



5.3. შეჯამება

ამ თავში ზმნების დისტრიბუცია და წინადადებების სტრუქტურა შევისწავლეთ. მის პირველ ნაწილში ვცდილობდით გვეპასუხა კითხვისთვის, თუ რას გვეუბნება ზმნების დისტრიბუცია ინგლისურ ენაში სინტაქსური კომპონენტის აუცილებელი ნიშან-თვისებების შესახებ.

აქ შევიტყვეთ, რომ თავდაპირველი სინტაქსური მასალა შეიცავს სიტყვებს, გამოუთქმელ მორფემებს და გარკვეული ოდენობის ფორმამონაცვლე მორფემას. სიტყვები კომპონენტებს იმ განსაკუთრებული სქემის მიხედვით შეადგენს, რომელიც სათაო ელემენტებსა და მათზე დამოკიდებულ სხვა ელემენტებს იერარქიულ სტრუქტურაში აქცევს. სათაო ელემენტისა და დამატების ურთიერთობა ზმნური ფორმების დისტრიბუციას მართავს (ზმნურ ფორმებს ცალკეული სათაო ელემენტები ირჩევს) და წინადადების განმსაზღვრელ ღერძს, „ხერხემალს“ ქმნის. სხვადასხვა სახის კლაუზულებს მსგავსი შიდა სტრუქტურა გააჩნია. მახასიათებელი, რომლითაც თხრობითი წინადადებები განირჩევა, დამატების მქმნელი სიტყვის (კვანძის) დონეზე მდებარეობს. დროიანი ფრაზები სათაო დრ. კვანძის ნიშან-თვისებების მიხედვით (-დრ. = to, +დრ. = დრო) სხვადასხვა ტიპებად იყოფა. პოზიციებს შორის არსებობს გარკვეული დამოკიდებულებები: ერთი ელემენტი შეიძლება ერთ პოზიციაში გამოითქვას და ურთიერთობა ჰქონდეს სხვა პოზიციასთან (ან პოზიციებთან). განვიხილეთ დამოკიდებულების ერთი კერძო სახეობა, სათაო გადანაცვლება და მისი მახასიათებლები. ინგლისურ ენაში ძირითადი ზმნები ზმნიან ფრაზაში დგას, დროიანი დამხმარე ზმნები და მოდალური ზმნები — +დროის კვანძში, ან, გარკვეული კონტექსტის შექმნის შემთხვევაში — დამატების მქმნელი სიტყვის კვანძში.

ამ თავის მეორე ნაწილში გამოვიკვლიეთ, როგორ შეიძლება ამ მახასიათებლების ცოდნით ენათშორისი ვარიაციის არსისა და დეტალების წვდომა. ენებს ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდგარი სტრუქტურები აქვთ, ხოლო მათ შორის არსებულ სხვაობებს აჩენს თანმიმდევრობის პარამეტრები (ანუ ის, წინ უსწრებს, თუ მოსდევს დამატებები მათ სათაო ელემენტებს) და ლექსიკური პარამეტრები (როგორ გამოითქმის ესა თუ ის სათაო ელემენტი და რა ტიპის დამატებას ირჩევს). ზმნების დისტრიბუციასთან დაკავშირებით ვნახეთ, რომ ენებს ერთმანეთთან ძალზე მიმსგავსებული დმს-დრო-ზმნა აგებულება გააჩნია, ენებს შორის არსებული სხვაობები კი იქიდან წარმოდგება, თუ სად წარმოითქმის ზმნა ამ დმს-დრო-ზმნა სტრუქტურაში, ეს კი, თავის მხრივ, ცალკეული დმს-ებისა ან დრ. სათაო ელემენტების მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

შენიშვნები

1. კალანგადან მოყვანილი მაგალითებისთვის მადლობას როზა მელეკო ლეჩოლოს ვუხდით (Letsholo).

2. იხილეთ 5. 11 სავარჯიშო, რომელიც ნაუდემის ენის ბრძანებით ფორმებს ეძღვნება.

3. ეს მაგალითები ჩუნგს და მაკკლოსკის მოაქვთ (Chung, McClosky) (1987).

4. რომ დავაზუსტოთ, ესენი ვერ ამტკიცებს, რომ ზმნა დროის კვანძში დგას. ეს აზრი რომ გაგვეგრძელებინა, იმის დამადასტურებელ ფაქტებამდე მივიდოდით, რომ დრო და ზმნა ორ სხვადასხვა კომპონენტში იმყოფება: ზმნა ზმნიანი ფრაზის გარეთ დგას, მაგრამ არა დროის კვანძში. ეს იმის მანიშნებელია, რომ წინადადების სტრუქტურა იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ჩვენ გვგონია (ანუ ზმნიანი ფრაზის გარეთ, მაგრამ დროის კვანძზე ქვემოთ უნდა არსებობდეს ადგილი).

საკითხავი ლიტერატურა

Chomsky, Noam. 1957. *Aspects of the Theory of Syntax*. Cambridge, MA: MIT Press.

Haegeman, Liliane. 1991. *Introduction to Government and Binding Theory*. Oxford: Basil

Blackwell. 2nd edn. 1994. *Theory*

_____. ed. 1998. *Handbook for Syntactic Theory*. Oxford: Basil Blackwell.

Radford, Andrew, 1997. *Syntactic Theory and the Structure of English. A Minimalist Approach*.

Cambridge: Cambridge University Press.

Weibelhuth, Gert. ed. 1996. *Government and Binding Theory and the Minimalist Program*. Oxford and Cambridge, MA: Blackwell.

წყაროები:

„სიტყვის თავის“ ცნება უილიამსის დანერგულია (1981). ზმნური ფორმების ადგილ-მდებარეობის შესახებ ფრანგულ და ინგლისურ ენაში მსჯელობენ ემონდსი (Emonds) (1978) და პოლოკი (Pollock) (1989). ვატას მასალა განხილული აქვს კუპმანს (Koopman) (1984). ინგლისურ ენაში მომხდარ ისტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებით იხ. რობერტსი (1993). ოტანი (Otani) და უიტმანი (Whitman) (1991) ის ავტორები არიან, რომლებსაც ჩინურ, იაპონურ და კორეულ ენაში ზმნიანი ფრაზის ელიფსის არსებობის დამადასტურებელი არგუმენტები მოაქვთ. ირლანდიურში ამავე მოვლენის არსებობაზე ვრცლად მსჯელობს მაკკლოსკი (1991). კალანგის მასალა როზა მელეკო ლეჩოლომ მოგვანოდა, თურქული ნიმუშები — მურატ ქურალმა (Murat Kural) (მასთან პირადი ურთიერთობა გვქონდა).

to თანდებულის სტატუსი

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ და თქვენი თანაკურსელები ენათმეცნიერები ხართ და ინგლისურ ენას იკვლევთ. წარმოვიდგინოთ ისიც, რომ ინგლისური ერთ-ერთი იმ ენათაგანია, რომელსაც დამწერლობა არ გააჩნია. თქვენი, როგორც ლინგვისტის ამოცანა ინფინიტივური to ნაწილაკის სტატუსის განსაზღვრაში მდგომარეობს. რომელ სინტაქსურ კატეგორიას მიეკუთვნება ეს ნაწილაკი?

პირველი პრობლემა, რომელსაც აუცილებლად გადააწყდებით, ის იქნება, რომ ინგლისურში რამდენიმე to გვაქვს. წარმოთქმისას ყველა ერთნაირად ჟღერს, თუმცა, სხვადასხვანაირად იწერება (to, two, too).

- (I) ა). She wants *to* read **two** books. – მას ორი წიგნის წაკითხვა უნდა.
 ბ). These **two** books were fun *to* read. – ეს ორი წიგნი სასაცილო წასაკითხია.
 გ). He gave it **to** Cordelia. – მან იგი კორდელიას მისცა.
 დ). He wants **to** read **too**. – კითხვა მასაც უნდა.
- ა. თქვენი პასუხი თითოეული ამ *to*-ს მნიშვნელობის გააზრებას დააფუძნეთ (I-ში), შეადგინეთ ინგლისური ენის ყველა *to*-ს ჩამონათვალი.
- ბ. (1) რომელი მათგანია უფრო ადვილი ამოსაცნობი? რატომ?
 (2) რომელია ძნელი ამოსაცნობი? რატომ?
- გ. თქვენი და თქვენი მეგობრების მიერ შედგენილ ლინგვისტთა ჯგუფში უთანხმოება წარმოიშვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს განხილული (Iა) და (Iგ) მაგალითების *to*. ზოგიერთის აზრით, ესენი ორივე მსგავსი ელემენტია, ანუ თანდებული (*to*). ზოგი თქვენგანი კი მიიჩნევს, რომ ისინი ორ სხვადასხვა ელემენტად უნდა განიხილებოდეს: რომ ერთი *to* ინფინიტივური ნაწილაკია და იმავე კატეგორიას მიეკუთვნება, რასაც დრო და მოდალური ზმნები, ხოლო (Iგ) -ში გამოყენებული *to* კი თანდებულია. ახლა თქვენ საკუთარი შეხედულების დასაბუთებას და შესაბამისი მაგალითების მოყვანას გთხოვენ. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში კი თქვენს მიერ გამოთქმული აზრის არგუმენტაცია უნდა მოძებნოთ.
- პირველი ჯგუფის მაგალითები *to* თანდებულის მახასიათებელთა განსაზღვრას მოითხოვს:
- (II) ა. She went to the market. – ის ბაზარში წავიდა.
 ბ. She went to it. — მან ამას თავი გაართვა.
 გ. She went right to it. – მან (ეს გზა) ბოლომდე გაიარა.
 დ. * She went to not the market. - იგი წავიდა არა ბაზარში
- დ. (II) –ის მაგალითებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ, რა ელემენტებთან ერთად დგას *to* თანდებული. (ალბათ, დაასკვნით, რომ *right* მხოლოდ თანდებულებთან ერთად დგას).
 ეს მეორე ჯგუფი ისეთ *to* ელემენტებს შეიცავს, რომელთაც ინფინიტივები მოსდევს:
- (III) ა). She wants to read. – მას კითხვა უნდა.
 ბ). * She wants read.
 გ). *She wants to reading.
 დ). I wonder what to read. – ნეტავი რა წავიკითხო (მანტერესებს, რა წავიკითხო)
- ე). * I wonder what read.
 ვ). * I wonder what reading.
- ე. ძალიან მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რასთან დგას (III) მაგალითში *to* ელემენტი: ერთმანეთს შეადარეთ (IV) და (II) ჯგუფის მაგალითები:
- (IV) ა). She does not want to not read. – მას არ უნდა, რომ არ იკითხოს.
 ბ). * She wants to it.
 გ). * She wants right to it.
- ვ. რით განსხვავდება ინფინიტივური *to* ნაწილაკი (II) მაგალითის *to* თანდებულისგან?
 ამ მონაცემებზე დაყრდნობით დაამტკიცეთ, ან ურყავით, არის თუ არა (III) მაგალითის *to* თანდებული? ახსენით, როგორ მიხვედით ამ დასკვნებამდე.
- ზ. ზოგიერთის აზრით, *to* თანდებული კი არ არის, არამედ ისეთი ელემენტი, რომელიც მოდალური და პირიანი ზმნების მსგავსად, დროის კვანძში დგას. ააგეთ ამ

თვალსაზრისის დამადასტურებელი არგუმენტაცია. დაეყრდენით (V) -ში მოცემულ პარადიგმას:

- (V) (ა) Will you come here? Yes, I will. – მოხვალ(თ) აქ? დიახ, (მოვალ).
 (ბ) Do you want to do this? No, I don't want to. – გინდა ამის გაკეთება? არა, არ მინდა.

თ. თქვენი არგუმენტაცია წერილობით წარმოადგინეთ, თვალსაზრისი დაასაბუთეთ.

სავარჯიშო 5.8 თავისუფალი მორფემა თუ შეზღუდული მორფემა?

სავარჯიშო 5.8

ქვემოთ მოყვანილ მასალაზე დაყრდნობით დაასაბუთეთ, to ელემენტი (I) მაგალითში თავისუფალ მორფემად (ანუ დამოუკიდებელ სიტყვად) მიგაჩნიათ, თუ შეზღუდული მორფემად (ანუ ინფინიტივის ნაწილად).


- (I) (ა) Cordelia wants to read. – კორდელიას კითხვა უნდა.
 (ბ) (Does Cordelia want to read?) No, she does not want to. – კორდელიას კითხვა უნდა? — არა, არ უნდა.

(გ) He wants me to carefully turn the pages. – მას უნდა, რომ გვერდები ფრთხილად ვფურცლო.

ნულოვანი სათაო ელემენტები

სავარჯიშო 5.9

ინგლისურ ენაში ორი ტიპის კომპოზიტია. პირველი ტიპის (მათ ენდოცენტრული კომპოზიტები ეწოდება) ინტერპრეტაციას მათ მარჯვენა კიდეში მდგომი წევრი განსაზღვრავს. ხის კოვზი გარკვეული ტიპის კოვზია, სამოთხის ჩიტი — გარკვეული ტიპის ფრინველი (ჩიტი) და tree trunk-ხის ტანი – რალაცის ტანი და ასე შემდეგ. მაგრამ მეორე ტიპის კომპოზიტებს ზემოთ ნათქვამი არ ეხება: sabertooth გარკვეული ტიპის (saber-ხმალი) კბილი (tooth) კი არ არის, არამედ ვეფხვის სახეობაა. თუ სათაო ელემენტი შეიძლება გამოუთქმელი იყოს (ნულოვანი სათაო ელემენტი), მეორე ტიპის კომპოზიტი შეიძლება გამოუთქმელი სათაო ელემენტით იყოს წარმოდგენილი (ის „ვეფხვს“ ნიშნავს), რომელიც მთელი კომპოზიტის მახასიათებლებს განსაზღვრავს:



ახლა შემდეგი კომპოზიტები განვიხილოთ. (გაიხსენეთ, რომ კომპოზიტის სათაო ელემენტი მთელი კომპოზიტის მახასიათებლებს განსაზღვრავს).

- sabertooth freeze-dry
- beanie baby poorhouse
- tree trunk pickpocket
- redneck Walkman
- in-crowd

1. დაადგინეთ თითოეულის შინაარსი და რომელიმე ტიპს: პირველს (ენდოცენტრული) ან მეორეს (ეგზოცენტრული) მიაკუთვნეთ.

2. წარმოადგინეთ კომპოზიტების pickpocket, beanie baby და Walkman სტრუქტურული რეპრეზენტაცია.

სავარჯიშო 5.10 ხისებრი დიაგრამების აგება

ეს ძალზე მარტივი სავარჯიშოა, რომლის შესრულებისას მხოლოდ ხისებრი დიაგრამების აგება მოგეთხოვებათ. თუ საჭირო გახდება, უნდა მიუთითოთ გადანაცვლების თუ ჩართვის რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე.

ხისებრი დიაგრამებით გამოსახეთ შემდეგი მაგალითების სტრუქტურა:

(I) Cordelia did not insult Shylock. – კორდელიას შაილოკი არ შეურაცხყვია.

(II) For Portia to confront Shylock, took courage. – პორციას შაილოკთან დასაპირისპირებლად გამბედაობა დასჭირდა.

(III) Mary should not have been playing Cordelia. — მერის კორდელიას როლი არ უნდა ეთამაშა.

(IV) Can anyone tell me what I should do? — ვინმეს შეუძლია მითხრას, რა გავაკეთო?

(V) Did you carefully read this book about linguistics? — ეს წიგნი ლინგვისტიკის შესახებ ყურადღებით წაიკითხე?

(VI) I did! (ეს V წინადადების პასუხია)

(VII) They are constantly wondering if they are constructing a nice set. –მათ სულ (მუდმივად) ის აინტერესებთ, ლამაზ დეკორაციას აგებენ თუ არა.

სავარჯიშო 5.11 ბრძანებითი ფორმები (ნაუღემი)

როცა უცხო ენების მასალას ანალიზებთ, ყოველთვის ეცადეთ, მათთან ყველაზე ახლო მდგომი ენების სტრუქტურები მოიშველიოთ.

ნაუღემში, ნიგერიულ-კონგოური (გურის) ერთ-ერთ ენაზე, რომელიც ტოგოს ტერიტორიაზე გავრცელებული, პირიანი ზმნის შემცველ თხრობით წინადადებებს, ჩართულსა თუ მატრიცულს, შემდეგი ფორმა აქვთ:

(I) (ა) (.....)a dʒun de: te

-ის ჭამა+არასრ. საჭმელი

„ის ჭამს“.

(ბ) ne dʒun de:te

თქვენ ჭამა-არასრულ. საჭმელი

„თქვენ ჭამთ“.

ა. ააგეთ ხისებრი დიაგრამები (Iა) წინადადებისთვის. რა შეგიძლიათ თქვათ იმ პოზიციის შესახებ, რომელიც ნაცვალსახელით წარმოდგენილ სუბიექტს უჭირავს?

ქვემოთ ნაუღემიდან მოყვანილი მაგალითები მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ბრძანებით ფორმებს შეიცავს. (დროიან წინადადებებში და ბრძანებით წინადადებებში მხოლობითი რიცხვის მეორე პირში მდგომი ნაცვალსახელები ნულოვანი მორფემებია და ამის გამო თანმიმდევრობასთან დაკავშირებული თავისებურებების საჩვენებლად არ გამოდგება.)

(II) (ა) de ne de: te

ჭამა+ბრძან. თქვენ საჭმელი

„ჭამეთ!“ (მიმართვა მრავლობითი რიცხვის მეორე პირისადმი)

(ბ) lo ne wadga: kan

დადება(+ბრძან.) თქვენ წიგნი-განსაზღ. არტიკლი იქ

„დადეთ იქ ის წიგნი!“

ბ. რას ხედავთ ამ ბრძანებით წინადადებებში? მოახდინეთ ბრძანებითი წინადადებების ანალიზი და ჩამოაყალიბეთ ანალიზის თქვენეული ლოგიკა.

სიტყვისა და წინადადების სტრუქტურის ათვისება

თავის სარჩევი

6.0 შესავალი

6.1 ცოდნა სიტყვათწარმოების შესახებ

6.2 რა შეიძლება ჩაითვალოს სიტყვად?

6.2.1 ენის სპეციფიკური შეზღუდვები

6.2.2 ენები, სადაც ძირის სახით სიტყვები არ გამოიყენება

6.2.3 ენები, სადაც ძირის სახით სიტყვები გამოიყენება

6.3 მორფემების მიმაგრება

6.3.1 შედგენილი წარმოება და დონეთა მიმდევრობა

6.3.2 დონეთა მიმდევრობის მოდელი

6.3.3 ექსპერიმენტალური ტესტი

6.4 სიტყვათწარმოებისა და შევებული შეცდომები

6.5 შენიშვნა ფუნქციურ სიტყვებთან დაკავშირებით

6.6 სინტაქსი ბავშვების გრამატიკაში

6.7 პრინციპები და პარამეტრები

6.7.1 პარამეტრების განსაზღვრა და ადრეული მორფოსინტაქსური განვითარება

6.8 ძირის ფორმით გამოყენებული ინფინიტისებები

6.9 წინადადების სტრუქტურა და ფუნქციური კატეგორიები

6.9.1 პრეფუნქციური გრამატიკა?

6.9.2 მეტრული ჰიპოთეზა

6.9.3 პრამატული ჰიპოთეზა

6.9.4 დამნიფება გრამატიკული სტრუქტურებისა და პრინციპების მთლიანობის წინააღმდეგ.

6.10 სინტაქსური დამოკიდებულება

6.10.1 უკუთქმითები

6.11 შეჯამება

შენიშვნები

შემდგომ საკითხავი ლიტერატურა

6.0 შესავალი

მას შემდეგ რაც უკვე გავეცანით მოზრდილთა მორფოლოგიასა და სინტაქსს, შეგვიძლია უფრო ახლოდან შევხედოთ ბავშვების მიერ გრამატიკის ასპექტების შეცნობის საკითხს. როგორც წინა თავებში ვნახეთ, გრამატიკა საკმაოდ კომპლექსურია და მაინც, თითოეული ჩვენგანი უპრობლემოდ, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე ბუნებრივად ითვისებს. ამ თავში განვიხილავთ მორფოლოგიურ და სინტაქსურ განვითარებას. აქ ჩვენ სრულად ვერ წარმოვადგენთ ბავშვის მორფოლოგიასა და სინტაქსს, მაგრამ შევეცდებით ზოგადი წარმოდგენა შეგიქმნათ იმის შესახებ, თუ რა იციან ენის სტრუქტურაზე ბავშვებმა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და რამდენად ჰგავს ან განსხვავდება ეს ცოდნა უფროსების ლინგვისტური ცოდნისაგან.

6.1 ცოდნა სიტყვათწარმოების შესახებ

სიტყვების წარმოქმნას ბავშვები პირველი წლის ბოლოს ან მეორე წლის დასაწყისში იწყებენ და ინტენსიურად ითვისებენ ახალ სიტყვებს სკოლამდელ წლებში. მაგრამ რა იციან

მათ სიტყვებზე და მათ წარმოებაზე? მე-2 თავში განხილული იყო სიტყვათა სტრუქტურები და მათი სირთულეები. როგორ და როდის ითვისებენ ამ ცოდნას ბავშვები?

ჩანს, რომ ბავშვებმა სიტყვათწარმოების წარმართველი პრინციპები ძალიან ადრეული პერიოდიდან იციან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ასეთი სახის ცოდნა უნივერსალური გრამატიკის ნაწილია, ანუ თანდაყოლილი ცოდნაა. (უნივერსალური გრამატიკა პირველ თავში იყო განხილული). სიტყვების წარმოების გზების ცოდნა სხვადასხვაგვარად ვლინდება. ჩვენ ამას შემდეგი საკითხების განხილვით წარმოვადგენთ: (1) იმის ცოდნა, თუ რა შეიძლება იყოს სიტყვა და (2) მორფემის მიბმის ცოდნა, როცა შედგენილი სიტყვის წარმოებაზე ვსაუბრობთ.

ბავშვები, ჩვეულებრივ, ახალ სიტყვებს წარმოთქვამენ მეორე წლის დასაწყისში, ანუ სიტყვებს, რომლებიც არაა ზეპირად დასამახსოვრებელი ფორმები, როგორიცაა *patacake* ან *peekaboo*. მინიმალური ასაკი 10 სიტყვის წარმოსათქმელად 15 თვეა. აღსანიშნავია, რომ ამ პირველი სიტყვების ათვისების დროსაც ბავშვებმა უკვე იციან სიტყვაზე მორფემის მიმაგრებისთვის საჭირო შეზღუდვები და პრინციპები. მორფემების ცალკეული ტიპები შეიძლება არ გამოვლინდეს სკოლის ადრეულ წლებამდე, მაგრამ მორფოლოგიური სტრუქტურის ძირითადი შეზღუდვებიდან გადახრები მაინც მიუღებელია.

6.2 რა შეიძლება ჩაითვალოს სიტყვად?

ბავშვების ადრეული მეტყველება ერთსიტყვიანი გამოთქმებისგან შედგება. ამას ხშირად **ერთსიტყვიან საფეხურს** უწოდებენ, ან **ჰოლოფრაზული** საფეხურს (რაც ნიშნავს მთელი წინადადების ერთი სიტყვით გადმოცემას). ამის მიხედვით ბავშვებმა არა მხოლოდ ის იცის, თუ რა არის სიტყვა, არამედ რისგან შედგება სიტყვა ენის მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით.

6.2.1 ენის სპეციფიკური შეზღუდვები

როგორ უნდა განვსაზღვროთ ერთსიტყვიანი გამოთქმების მიხედვით, რომლებსაც პატარა ბავშვები წარმოთქვამენ, რომ მათ იციან და ემორჩილებიან კიდევ როგორც უნივერსალური გრამატიკის, ისე ენის სპეციფიკურ შეზღუდვებს? ერთ-ერთი დამადასტურებელი მტკიცებულებაა, რომ ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე ბავშვები მორფოლოგიურად განსხვავებული ტიპის სიტყვებს გამოთქვამენ. მაგალითად, სიტყვათა წარმოთქმის დანყებიდან ბავშვები ავლენენ ცოდნას იმის შესახებ, შეიძლება თუ არა შესასწავლ ენაში სიტყვის ძირის ფორმით გამოყენება. ერთსიტყვიანი მეტყველებისას ბავშვები, რომლებიც ინგლისურ ან ვიეტნამურ ენას სწავლობენ, სადაც სიტყვები ძირის სახით გამოიყენება, (მაგ. *bottle*, *water*, *go*) გამოთქვამენ ზმნებსა და არსებით სახელებს იმ ყოველგვარი მორფოლოგიური დანამატების გარეშე, როგორიცაა დროის ან მრავლობითობის გამომხატველი ნიშნები. ამის საპირისპიროდ თურქულის, იტალიურის ან ივრიტის შემსწავლელი ბავშვები არ წარმოთქვამენ მარტო სიტყვის ძირებს, ვინაიდან ამ ენებში სიტყვის ძირი დამოუკიდებლად არ გამოიყენება. ასეთ ენებში ბავშვები ფლექსიურ ძირებს აწარმოებენ.

6.2.2 ენები, სადაც სიტყვები ძირის სახით არ გამოიყენება

მაგალითისთვის განვიხილოთ თურქულის ათვისების პროცესი.

(1) **თურქული** არის მეტად ფლექსიური ენა, სადაც არსებით სახელებს ასეთი ფორმა აქვთ: ფუძე – (მრავლობითი რიცხვი) – (კუთვნილება) – ბრუნვა

ხოლო ზმნები ასეთი სახისაა:

ზმნის ფუძე – კილო – დრო/ასპექტი – პირი/რიცხვი

ფრჩხილებში ჩასმული მორფემები წარმოდგენილია მხოლოდ, როცა საჭიროა, ხოლო დანარჩენები აუცილებელია. როგორც ვხედავთ, საკმაოდ კომპლექსური სისტემაა, რომლის ათვისებასაც წესით დიდი დრო უნდა დასჭირდეს. მიუხედავად ამისა, არსებითი სახელისა და ზმნის ასეთი სახის წარმოებას ერთსიტყვიან საფეხურზეც ვხვდებით, ხოლო წარმოების სრულყოფილი ათვისება 24 თვის ასაკისთვის ხდება. ფაქტობრივად, მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით, აკსუ-კოჩისა და სლობინის თანახმად, “. . . თურქი ბავშვის მეტყველება თითქმის უშეცდომოა. . . მორფოლოგიის ძირითადი ნაწილი – სახელადი და ზმნური – პროდუქტიულად გამოიყენება ორსიტყვიან საფეხურზე, ანუ 2 წლის ასაკამდე.”

(ა)-(გ) მაგალითებში (გამარტივებული ფონოლოგიით) წარმოდგენილია თურქულის ადრეული წარმოთქმა.

(ბავშვის ასაკი წლებში; თვეებშია წარმოდგენილი. ამრიგად, 2;1 ნიშნავს 2 წლისა და 1 თვის ასაკის ბავშვს).

- | | | | |
|-----|---------------------------|---|--------|
| (ა) | bit-ti
finish-past | დამთავრდა | (1;6) |
| (ბ) | kalem-i
ფანქარი-ბრალდ. | ფანქარი | (1;10) |
| (გ) | sev-mi-eceg-im onu daha | „მე ის აღარ მეყვარება“
სიყვარული-უარყ.-მომავ.-1მხ.რ.-3მხ.რ. ბრალდ. მეტი. | (2;0) |

აღსანიშნავია, რომ ყველა ზმნასა და არსებით სახელს ფლექსია აქვს მიმაგრებული. არცერთ შემთხვევაში არ გვხვდება მხოლოდ ძირი. (2)-(4) -ში წარმოდგენილია ბავშვის ერთსიტყვიანი გამოთქმები ისეთ ენაში, სადაც მხოლოდ ძირის სახით მოყვანილი სიტყვებია გრამატიკულად არასწორი. თითოეული მაგალითი ერთი და იმავე მოვლენის ილუსტრაციაა: ბავშვი წარმოთქვამს მხოლოდ ისეთ სიტყვებს, რომლებიც მისაღებია მისი ენის მორფოლოგიისთვის:

(2) **ივრითი** – ფლექსიური ენა, რომელშიც არის წარმოუთქმელი, სამთანხმოვნია ზმნის ფუძეები. ისინი წყვეტილი მორფემების სახით გვევლინება, როგორც ეს მე-2 თავში იყო განხილული (ზმონები, რომლებიც მორფემებს წარმოადგენენ, ამ ძირებს შორისაა ჩამატებული). ზმნის ეს ფუძეები აუცილებლად გამოიყენება პირის, რიცხვის, დროისა და სქესის აღსანიშნად. ივრითის მაგალითებში დიდი ასოები აღნიშნავს სამთანხმოვნიან ძირებს და პლუსები (+) გამოიყენება მორფემების გამოსაყოფად.

- | | | | |
|-----|-----------------------------|----------------|-------|
| (ა) | G+a+M+a+R-ti | „მე დავასრულე“ | (1;7) |
| | დასრულება წარს. -1მხ.რ. | | |
| (ბ) | Ø+o+X+e+L-et | (მე) ვჭამ | (1;8) |
| | ჭამა-ანმყ. მდედრ. მხ. რ. | | |
| (გ) | H+o+L+e+X-et | (დედა) დადის | (1;8) |
| | სიარული-ანმყ. მდედრ. მხ. რ. | | |

(3) **იტალიური** – ენა, სადაც ზმნებს პირის, რიცხვისა და დროის/ასპექტის მორფემები ემატება:

- | | | | |
|----|-----------------|----------|--------|
| ა. | pend-o io | მე ვიღებ | (1;11) |
| | აღება-1 მხ.რ. I | | |

- ბ. fai-te fai-te (შენ) აკეთებ, (შენ) აკეთებ (1;11)
კეთება-2მხ.რ. კეთება-2მხ.რ.
- გ. son-o giu (მე) ვარ ქვედა სართულზე (1;11)
ყოფნა-1მხ.რ. ქვედა სართული

(4) **გრენლანდიური** – პოლისინთეზური ენა, რომელშიც 318 ფლექსიაა და 400-ზე მეტი დერივაციული მორფემა. ჩვეულებრივ, ზმნა შედგება ფუძისაგან, რომელსაც დერივაციული აფიქსები სავალდებულო ფლექსიურ აფიქსებს მოსდევს. ზედსართავი და არსებითი სახელების თავისებურება ვლინდება არსებითი სახელის ფუძეზე ფლექსიების დამატებით.

- ა. nangia-ssa-nngil-anga მე არ შემეშინდება
შეშინება-მომავ.-არა-1მხ.რ. თხრობითი კილო
- ბ. anar-tar-fi(k)ler-i-su-u-pput 'They are the sewage collectors'
defecate-habit-place-agentive intran. particip.-be involved
with-be-3pl.indicativ e
sewage collector are
- გ. tular-suaq დიდი ყვავილი
ყვავილი-დიდი
- ს. una-a-nngit-toq ეს ის არ არის
ის-ყოფნა-არა-2მხ.რ. მიმღობა

6.2.3 ენები, სადაც სიტყვები ძირის სახით გამოიყენება

ახლა კი ათვისების ეს მოდელი შეადარეთ ბავშვების მიერ ისეთი ენების შეცნობის მოდელს, სადაც მონომორფემული სიტყვები მისაღებია. ასეთი ენებია ინგლისური და ვიეტნამური. ბავშვების მიერ ადრეულ ასაკში წარმოთქმულ ასეთი ენის სიტყვებს თუ დაკავირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ადრეული ლექსიკონი მოიცავს ისეთ სიტყვებს, როგორცაა *look, see, want, bottle, cookie, water, rice, father, chopsticks, eat, finish, come*, რომლებიც მხოლოდ ძირის სახით ვლინდება. ადრეული ორ-სამსიტყვიანი გამოთქმებიც, ჩვეულებრივ, ძირეული სიტყვებია, რაც (5) –(6) -შია წარმოდგენილი:

(5) ინგლისური

- ა. want bottle
ბ. No sleep
გ. Want more cookie
დ. See Mommy car
ე. Look my shoe

(6) ვიეტნამური

- ა. an dua ჩხირებით ჭამა
eat chopsticks
ბ. ve nuoc წყალი დაიცალა
finish water
გ. bo den მამა მოდის
father come
დ. bo an com მამა ბრინჯს ჭამს
father eat rice

ე. me roi com დედა ბრინჯს ამზადებს
mother cook rice

ამ ენებში მნიშვნელობის მქონე სიტყვების (განსაკუთრებით სახელების, ზმნებისა და ზედსართავების) სტრუქტურის სწორად ფორმირების შეზღუდვა განსაზღვრავს შეიძლება თუ არა სიტყვის გამოყენება ძირის სახით. თუ რამდენად მოქმედებს ეს შეზღუდვა ბავშვის აღქმაზე ადრეულ პერიოდში, ნათლად ჩანს თურქული ზმნების ათვისების მაგალითით. თურქულში მეორე პირის ბრძანებითი ფორმა სხვა ფორმებთან შედარებით გვიან ვლინდება ბავშვის ლექსიკაში. გასაოცარია, რომ მეორე პირის ბრძანებითი (მაგ, '(you) Hold me') ჩვეულებრივ ყველაზე ადრეული პერიოდის ზმნის ფორმებს შორისაა ყველა ენაში, ხოლო თურქულში ესაა მხოლოდ ფუძე, რომელიც არ იღებს არცერთ აფიქსს. რატომ ითვისებენ თურქულის შემსწავლელი ბავშვები მორფოლოგიურად მარტივ ზმნას, რომელიც ყველაზე ხშირად ესმით, უფრო გვიან, ვიდრე რთული ფორმის ზმნებს? ამის ერთ-ერთი ახსნა ისაა, რომ ბავშვის გრამატიკაში აქტიურად მოქმედებს შეზღუდვა, რომელიც კრძალავს ზმნის ძირის ფორმით გამოყენებას. მეორე პირის ბრძანებითი კი ამ შეზღუდვას არღვევს და ამიტომაც მეტყველებაში ვლინდება მოგვიანებით, როცა უკვე ბავშვის გრამატიკა მზადაა ასეთი გამოწვევების აღსაქმელად.

თურქული და ინგლისური ენები კონტრასტს ქმნიან იმ საკითხში, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სწორად ფორმირებულ სიტყვად, მაგრამ ორივე შემთხვევაში ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ემორჩილებიან სიტყვათწარმოების წესებს.

ნიშანთა შეცნობა

ჩანართი
6.1

სმენადაქვეითებული ადამიანების მიერ მთელ მსოფლიოში გამოყენებული ნიშანთა ენები ავლენენ სიტყვათწარმოების ისეთივე შეზღუდვებს, როგორც სამეტყველო ენაშია. ნიშანთა ენაში თითოეული მორფემა შედგება სპეციფიური ჟესტის ან ჟესტების კომბინაციისგან. ზოგი ასეთი სიტყვა მხოლოდ ერთ მორფემას შეიცავს, ზოგი — ერთზე მეტს. ნიშნების თითოეულ ენას საკუთარი მორფემები აქვს და სიტყვის წარმოების საკუთარი წესები. ნიშნების ენის შემსწავლელი ბავშვი სიტყვის სტრუქტურის პრინციპებს ადრეული ასაკის სიტყვებში ისე ითვისებს, როგორც ბგერითი ენის შემსწავლელი ბავშვები. ეს მიუთითებს, რომ ბავშვი ადრეულ ასაკშივე ხვდება მის ენაში რომელია სწორად წარმოებული სიტყვა, იმისდა მიუხედავად, ეს ენა ნიშნებისაა თუ ბგერითი. მაგალითად, ამერიკული ნიშანთა ენა (ASL=American Sign Language) მდიდარია ვერბალური მორფოლოგიით. მე-2 თავში ვნახეთ, რომ ზაპოტეკის ენის ზმნებს აქვს განსხვავებული ფორმები ექვსი სხვადასხვა ასპექტისთვის. ამის მსგავსად, ASL-ში ზოგი ზმნის ფუძე განასხვავებს 15-ზე მეტი ასპექტის ფორმას და ასევე აქვს სუბიექტისა და ობიექტის შეთანხმების ნიშნები. შესაბამისად, (ა) და (ბ) გამოიხატება (გ) -(ზ) -სგან განსხვავებულად.

- (ა) You give to me.
- (ბ) I give to you.
- (გ) Olivia talks (on one occasion).
- (დ) Olivia talks all the time.
- (ე) Olivia talks over and over again.
- (ვ) Olivia talks for hour/endlessly.
- (ზ) Olivia talks over a long period of time.

ასპექტისა და შეთანხმების გამომხატველი მორფემები სავალდებულოა მხოლოდ ყველაზე ხშირად გამოყენებული ზმნების ჯგუფისთვის. ბავშვები, რომლებიც *ASL*-ს ითვისებენ შესასწავლ ენას აღიქვამენ ძირეული ტიპის ენად (ისეთი ენა, რომელშიც სიტყვის ძირის ფორმით გამოყენება შეიძლება), როგორცაა ვთქვათ ინგლისური. შედეგად ისინი ადრეული სიტყვების სახით წარმოთქვამენ არაფლექსიურ ძირებს, იმ ზმნების შემთხვევაშიც კი, რომლებისთვისაც სავალდებულოა აფიქსის დამატება. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ასეთი ზმნები ძირითადი მოდელის გამონაკლისია და არა წესისა, ბავშვები მათ სწორად წარმოებას იწყებენ 2,5-3 წლის ასაკში, ხოლო ფლექსიური მორფემების სრული ათვისება საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს.

6.3 მორფემის მიმაგრება




როგორც ვხედავთ ბავშვებმა იციან, როდის შეიძლება იყოს სწორი ძირის ფორმით სიტყვის გამოყენება, მაგრამ როდის იწყებენ ისინი იმ წესებისა და შეზღუდვების ათვისებას, რომლებიც პოლიმორფემული სიტყვების წარმოებას განსაზღვრავს? ადრეულ ასაკშივე ბავშვები მორფემების მიმაგრებისას შეცდომებს არ უშვებენ, მაშინაც კი, როცა რამდენიმე მორფემის ერთდროულად გამოყენებაა საჭირო, როგორც თურქული და გრენლანდიური ენების ზმნების შემთხვევაში; ანუ ისინი პრეფიქსს სუფიქსის ან ინფიქსის ადგილას არასოდეს სვამენ. (მაგალითად, ინგლისურის შემსწავლელი ბავშვი არ იტყვის **ingplay playing*-ის ნაცვლად, ხოლო ფრანგულის შემსწავლელი არ იტყვის **aisparl-ს parlais*-ის ნაცვლად); ისინი მორფემებს არასოდეს ალაგებენ არასწორი მიმდევრობით (**brushtooth* არ ითქმის *toothbrush*-ის ნაცვლად), არც სუფიქსებს ამაგრებენ არასწორი მიმდევრობით, მაშინაც კი, როცა ერთზე მეტის დამატებაა საჭირო (**catcheser* ნაცვლად *catchers*).

ის ფაქტი, რომ ბავშვები ადრეული ასაკიდან მორფემებს სწორი მიმდევრობით ალაგებენ და ფლექსიურ სუფიქსებს დერივაციულების შემდეგ სვამენ, გვიჩვენებს, რომ ბავშვები დასაწყისიდანვე ხვდებიან სიტყვათა იერარქიულ სტრუქტურასა და სხვადასხვა ტიპის მორფემათა განსხვავებულ დისტრიბუციას, რაც წინა თავებში იყო განხილული.

6.3.1 შედგენილი წარმოება და დონეთა მიმდევრობა

პატარები ასევე ავლენენ შედგენილი სიტყვების წარმოების წესების ცოდნას, რომლებიც მე-2 თავში იყო განხილული. მაგალითად, შედგენილი სიტყვის წარმოებისას ყურადღება ექცევა არსებით სახელებში მრავლობითი რიცხვის წარმოების ფორმას. არსებითი სახელი, რომელიც ჩვეულებრივად აწარმოებს მრავლობით რიცხვს, შედგენილი სიტყვის წარმოებისას არ გამოიყენება ჩვეულებრივი მრავლობითის ფორმით, ვინაიდან მოქმედებას იწყებს გამრავლებითობის წესი (მაგალითად, გვექნება *rat-infested* და არა **rats-infested*), ხოლო არსებითი სახელი, რომელიც მრავლობითის წარმოების წესს არღვევს, შედგენილ სიტყვაში მხოლობითის და მრავლობითის ფორმითაც მისაღებია (სწორია, როგორც *mouse-infested*, ასევე *mice-infested*). არანესიერი ფორმით წარმოებული მრავლობითი შეიძლება შეგვხვდეს შედგენილი სიტყვის შიგნითაც, ვინაიდან არანესიერი მრავლობითის ფორმა ენის ლექსიკურ მარაგში მხოლობითის პარალელურად გვხვდება და შესაბამისად, შეუძლია

იყოს შედგენილი სიტყვის ფუძეში. შეადარეთ (7), რომელშიც 'rat-infested' სიტყვის წარმოება წარმოდგენილი, სადაც მხოლოდ მხოლობითი რიცხვის ფორმის გამოყენება შეიძლება და (8) - (9), რომლებიც წარმოადგენს 'mouse-infested' და 'mice-infested' სიტყვების დერივაციას, როცა შედგენილი სიტყვის წარმოებისთვის ორივე ფორმა დასაშვებია.



6.3.2 დონეთა მიმდევრობის მოდელი

მოდელს, რომლის თანახმადაც არანესიერი ფლექსიური (და იდიოსინკრაზული დერივაციული) აფიქსების მიმაგრება ჩვეულებრივი დერივაციული და ფლექსიური წესების წინ დგას, 'დონეთა მიმდევრობის მოდელი' ჰქვია, ვინაიდან ეს მოდელი მოქმედების განსხვავებული, თანმიმდევრული დონეების ჰიპოთეზას აყენებს, რომლის მიხედვითაც რთული მორფოლოგიური ფორმები იწარმოება სპეციფიკური წესებით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ერთ დონეზე გვხვდება. (10) განმარტავს თუ რა სახის მორფემები გვხვდება თითოეულ დონეზე:

(10) **დონეთა მიმდევრობის მოდელი:**

I დონე – არაპროდუქტიული ან სემანტიკურად არანესიერი დერივაციული ან ფლექსიური აფიქსები.

II დონე – პროდუქტიული ან სემანტიკურად ჩვეულებრივი დერივაციული აფიქსები.

III დონე – ჩვეულებრივი ფლექსიური აფიქსები.

გაიხსენეთ, რომ მორფემათა მიმაგრების ამ მოდელში არც ერთი დონე არ გამოიყენება წინა დონეზე ადრე. ამის შედეგად, დონეთა მიმდევრობა წინასწარ განსაზღვრავს, რომ მრავლობითი რიცხვის შედგენილი სიტყვების წარმოებისას მრავლობითის წესიერი ფორმა შედგენილი სიტყვის შიგნით არ გვხვდება, ვინაიდან

ჩვეულებრივი მრავლობითის ნიშნები III დონეზე ემატება, მას შემდეგ, რაც ყველანაირი დერივაციული და არანესიერი ფლექსიური აფიქსები მიემაგრება. თუმცა არანესიერი მრავლობითის აფიქსები I დონეზე ემატება და შესაბამისად ვლინდება შედგენილი სიტყვის შიგნით. (11) გვიჩვენებს *rat-infested* და *mouse-infested* შედგენილი სიტყვების წარმოებას დონეთა მიმდევრობის მიხედვით, ხოლო (12) გვიჩვენებს, როგორ იწარმოება დონეთა მიმდევრობის მიხედვით, *rat-swallowers*, *mouse-swallowers* და *mice-swallowers*:

(11) (ა) (უფროსების მიერ რჩეული)	rat infest	mouse infest
I დონე	_____	_____
II დონე	rat infest-ed	mouse infest-ed
III დონე		
საბოლოო შედეგი	rat infested	mouse infested
(ბ) უფროსებისგან დაწუნებული	rat infest	mouse infest
I დონე	_____	mice infest
II დონე	rat infest-ed	mice infest-ed
III დონე	_____	_____
საბოლოო შედეგი	rat infested	mice infested
(12) (ა) (უფროსების მიერ შერჩეული)	rat swallow	mouse swallow
I დონე	_____	_____
III დონე	rat swallow-er	mouse swallow-
er		
III დონე	rat swallow-er-s	mouse swallow-er-s
საბოლოო შედეგი	rat swallowers	mouse swallowers
(ბ) უფროსებისგან დაწუნებული	rat swallow	mouse swallow
I დონე	_____	mice swallow
II დონე	rat swallow-er	mice swallow-er
III დონე	rat swallow-er-s	mice swallow-er-s
საბოლოო შედეგი	rat swallowers	mice swallowers

როგორც ვხედავთ, შედგენილი სიტყვების მრავლობითი რიცხვის წარმოებისას პირველი ელემენტის გამრავლება შეუძლებელია, თუკი ის მრავლობით რიცხვს ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფლექსიით აწარმოებს, ვინაიდან წესიერი მრავლობითი რიცხვის ფლექსია ვლინდება III დონეზე და შესაბამისად შეიძლება სუფიქსის სახით მიემაგროს მხოლოდ მთლიან შედგენილ სიტყვას. თუმცა, შედგენილი სიტყვის პირველი ელემენტის გამრავლება შეიძლება თუ იგი მრავლობით რიცხვს არანესიერად აწარმოებს, ვინაიდან მრავლობითი რიცხვის არანესიერი წარმოება გვხვდება პირველივე დონეზე, სხვა ყველა აფიქსაციის წინ. ასეთ შემთხვევაში პირველი წევრის მრავლობითობა შერჩევითია და საკმაოდ დაწუნებულია უფროსთა მიერ. მოზრდილები საკმაოდ იშვიათად ან არასდროს არ იყენებენ ისეთ ვარიანტს, როგორიცაა *mice-eater* ან *teeth-swallower*. ზოგ მკვლევარს აქვს ჰიპოთეზა, რომ დონეთა მიმდევრობა უნივერსალური გრამატიკის ნაწილია და შესაბამისად არ ისწავლება.

6.3.3 ექსპერიმენტალური ტესტი

როგორ უნდა შემომდეს დონეთა მიმდევრობის ჰიპოთეზა და ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც დონეთა მიმდევრობა უნივერსალური გრამატიკის ნაწილია და წარმართავს ბავშვის მიერ სიტყვის წარმოების პროცესს მისი შესწავლის აუცილებლობის გარეშე? პიტერ გორდონმა (1985) შეამოწმა ეს ჰიპოთეზები და ჩაატარა ბავშვებზე ტესტი, რამდენად ემორჩილებოდნენ ბავშვები დონეთა მიმდევრობის პრინციპებს შედგენილი სიტყვების მრავლობითი რიცხვის წარმოებისას. თუ ბავშვი მიეჯაჭვება მოდელის შეზღუდვებს, მაშინ იგი არასოდეს არ გამოიყენებს შედგენილი სიტყვის შიგნით არსებით სახელს მრავლობითის ნესიერი ფორმით, მაგრამ შერჩევითად დაუშვებს არსებით სახელს მრავლობითის არანესიერი წარმოებით სიტყვის შიგნით. თუკი ყველაზე პატარებიც ამ მოდელს მიჰყვებოდნენ, მაშინ ჩაითვლებოდა, რომ დონეთა მიმდევრობა მათი თანდაყოლილი ცოდნის ანუ უნივერსალური გრამატიკის ნაწილი იყო და არა მოგვიანებით შესწავლილი.

გორდონმა შეამოწმა 3-დან 5 წლამდე ბავშვების ცოდნა შედგენილი სიტყვების წარმოების შესახებ, როგორცაა *dog-catchers*. სიტყვის პირველ კომპონენტად მან აიღო ორივე სახის არსებითი სახელი: ისეთი სიტყვები, როგორცაა *rat*, *bead* და *hand*, რომლებიც წესების დაცვით აწარმოებენ მრავლობით რიცხვს (*rats*, *beads*, *hands*) და ისეთი სიტყვები, რომლებიც მრავლობით რიცხვს არანესიერად აწარმოებენ (*tooth*, *foot*, *mouse* და *man*). მან ბავშვებს აჩვენა საგნები და *Cookie Monster* –ის მეშვეობით ეკითხებოდა დასახელებული საგნის მრავლობითის და შემდეგ ამ სიტყვისგან შედგენილი სიტყვის მრავლობითს. იმისათვის, რომ შედგენილი არსებითი სახელი გამოეკლინა, *Cookie Monster*-ი კითხულობდა: “*What do you call someone who eats X*” (მაგ, *hands*) (რას უწოდებთ მას, ვინც X-ს ჭამს? მაგ, ხელებს?) ასე მაგალითად, *Cookie Monster*-ი იკითხავდა: „რას უწოდებთ მას, ვინც ხელებს ჭამს?“ (*What do you call someone who eats hands?*) ბავშვის მიერ ამ კითხვის პასუხად წარმოებული შედგენილი სიტყვა მიუთითებს, რამდენად დასაშვებია ბავშვის გრამატიკისთვის ამ სიტყვის მრავლობითი ფორმა შედგენილი სიტყვის შიგნით. შეგახსენებთ, რომ უფროსებს ურჩევნიათ მხოლობითის გამოყენება მაშინაც კი, როცა მრავლობითიც დასაშვებია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვები უფროსებისგან თითქმის საერთოდ არ ისმენენ მრავლობითი რიცხვის ფორმას შედგენილ სიტყვაში.

გორდონის ექსპერიმენტიდან სამი მნიშვნელოვანი შედეგი მივიღეთ. პირველი, რომ 3 წლის ბავშვმა იცოდა, როგორ ეწარმოებინა შედგენილი სიტყვის მრავლობითი რიცხვის ისეთი ფორმა, როგორცაა *rat-eaters* ან *mice-swallowers*. მეორე – ბავშვები მუდამ იცავდნენ დონეთა მიმდევრობის მოდელს. ისინი შედგენილ სიტყვაში იყენებდნენ მრავლობითი არსებითი სახელების მხოლობით ფორმას. ამ შედეგებმა აჩვენა, რომ რთული სიტყვების ფორმირებისას ბავშვები იყენებდნენ დონეთა მიმდევრობის შეზღუდვებს. ამას ბავშვები შეცდომების დაშვებისასაც კი ავლენდნენ, კერძოდ, როცა ბავშვი არასწორად აწარმოებდა მარტივი არსებითი სახელის მრავლობით რიცხვს, როგორცაა, მაგალითად, *mouses* ან *tooths*, იგი არასოდეს იტყოდა **mouses-eater*. მესამე შედეგი, რომელიც ამ ექსპერიმენტმა აჩვენა – ბავშვები, რომელთაც სიტყვის არანესიერი მრავლობითის ფორმა იცოდნენ, შედგენილ სიტყვაში ხან მხოლობით ფორმას იყენებდნენ (*tooth-swallowers*), ხან მრავლობითს (*teeth-swallowers*). ბავშვები თითქმის არასოდეს არ ისმენენ ისეთ ფორმებს, როგორცაა *teeth-swallowers* ან *mice-catchers*, მაგრამ მათ მაინც იციან, რომ ასეთი ფორმა შეცდომა არ არის. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს ცოდნა არა შეძენილი, არამედ უნივერსალური

გრამატიკის ნაწილია.

გორდონის კვლევის შედეგები უჩვეულო არ გახლავთ. იმ დროისათვის, როცა ბავშვებმა იცინა შედგენილი სიტყვების წარმოება, (ანუ საშუალოდ 3 წლის ასაკში) ისინი ავლენენ შედგენილი სიტყვების წარმოებისთვის საჭირო ყველა სახის ცოდნას, რაც მე-2 თავში იყო განხილული. ეს გულისხმობს მთავარი წევრის ადგილს, მორფემების მიმაგრებას და განსხვავებას შედგენილი სიტყვისა და ფრაზის მახვილებს შორის. ბავშვებში მახვილის გამოყენებისას შეცდომის დაშვება საკმაოდ იშვიათია, მაშინაც კი, როცა შედგენილი სიტყვა და ფრაზა იდენტური წევრებისგან შედგება, როგორც (13) -ისა და (14) -ის შემთხვევაშია, სადაც მახვილიანი სიტყვა დიდი ასოებითაა დაბეჭდილი:

13. a blueBIRD (ჩიტი, რომელიც ლურჯია)

14. a BLUEbird (ჩიტის კონკრეტული სახეობა)

6.4 სიტყვათწარმოებისას დაშვებული შეცდომები

მორფოლოგიურად რთული ფორმების წარმოებისას ბავშვები, რა თქმა უნდა, უშვებენ შეცდომებს, მაგრამ მათი ცოდნა ენაში სიტყვის წარმოების წესების შესახებ აისახება მათ მიერ დაშვებულ შეცდომებში. ასეთი შეცდომები მოიცავს სიტყვების წარმოებას გრამატიკაში სიტყვათწარმოების პროდუქტიული წესების გამოყენებით, მაგალითად, *sweeper* ან *typer*, რომლებსაც მოგვიანებით ენაში არსებული იგივე მნიშვნელობის მქონე სიტყვები ჩაენაცვლება, ამ შემთხვევაში *broom* და *typist*.

სიტყვათწარმოებაში დაშვებული შეცდომები იშვიათია, მაგრამ სიტყვების ფორმირების შესახებ ყველაფერი ადრეულ ასაკში არ ვითარდება. ბავშვებს ხანგრძლივი დრო სჭირდებათ სიტყვათწარმოების განსაკუთრებული შემთხვევების ასათვისებლად, რომლებიც იდიოსინკრაზულია და რომლებისთვისაც არ არსებობს ზოგადი წესები ან პრინციპები. ინგლისურში, მაგალითად, საჭიროა, ვისწავლოთ ზეპირად, რომელი (არაპროდუქტიული) დერივაციული აფიქსი რომელ ძირს მიესადაგება და რა მნიშვნელობას გამოხატავს. ბავშვები ხშირად უშვებენ იმ ტიპის შეცდომებს, რომლებიც (15)-ში და (16)-ში არის წარმოდგენილი. ამ შეცდომებს *RG* უშვებს 2;6 და 4;2 წლის ასაკში:

(15) (გარეთ თამაშის შემდეგ შინ დაბრუნებული) (2;6)

R: I want a yellow bicycle - no, some 'sickle'.

მე მინდა ყვითელი ველოსიპედი და არა ნამგალი

(როცა ცდილობს, რომ გაიხსენოს საჭირო სიტყვა, *R* მიუთითებს მაცივარზე და ამბობს)

popsicle! - სანუნნი კამფეტი

(16) (*R*-ს ზენარი საშრობშია, რომელიც ძალიან უნდა რომ თან ჰქონდეს) (4;2)


R: I think it's had enough *dryment. - ვფიქრობ მას საკმარისი *dryment ჰქონდა.

(15) -ში *R* ურევს *-sicle* და *-cycle* მორფემებს. პირველი ისეთ სიტყვებში გვხვდება, როგორიცაა *fudgesicle* და *icicle*, ხოლო მეორე – *bicycle* და *tricycle*. ორივე მორფემა არსებით სახელს აწარმოებს და ორივე ერთნაირად გამოითქმის, მაგრამ მათ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ და სხვადასხვა მორფემებთან გვხვდება. ისინი ომონიმებია – ანუ ერთნაირი ჟღერადობის, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვები, როგორც *to*, *too* და *two*. თუმცა, *R*-ის ლექსიკონში ისინი ჯერ კიდევ ერთსა და იმავე მორფემას წარმოადგენენ.


(16) -ში *R* არასწორ დერივაციულ მორფემას ამაგრებს *dry* ზედსართავ სახელს სასურველი არსებითი სახელის საწარმოებლად. (მას სწორი ფორმის მისაღებად *-ing*

უნდა გამოეყენებინა.) მაგრამ საყურადღებოა, რომ მან ისეთი დერივაციული მორფემა შეარჩია, რომელიც, ნამდვილად აწარმოებს არსებით სახელს, მაგრამ ზმნებისგან და არა ზედსართავი სახელებისგან, რაც (17ა) და (17ბ) -ში ჩანს:

(17) ა.



ბ.



გარდა ფლექსიურ მორფოლოგიაში დაშვებული შეცდომებისა (რასაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ), ბავშვების შეცდომები მოიცავს ისეთ ფორმებს, რომლებიც დასამახსოვრებელია და/ან სიტყვის იდიოსინკრაზული მახასიათებლებია, რომლებიც ლექსიკონში უნდა იყოს აღნუსხული და არა რომელიმე ზოგადი წესის თანახმად ფორმირებული.

6.5. შინაშენა ფუნქციურ სიტყვებთან დაკავშირებით

მართალია, ბავშვების ადრეული პერიოდის მეტყველება ძირითადად მოიცავს ლექსიკურ ანუ ღია კლასის სიტყვებს, მაგრამ დახურული კლასის ანუ ზოგიერთი ფუნქციური სიტყვა ადრევე იჩენს თავს, ხშირად ორსიტყვიან ეტაპამდე. კვლევა გვიჩვენებს, რომ ბავშვები განვითარების დასაწყისშივე მგრძნობიარენი არიან ფუნქციური და ლექსიკური სიტყვების განსხვავების მიმართ. ვიდრე ფონოლოგიურ ფორმას დახვდნენ, ბავშვები იყენებენ მარტივ (ხშირად ერთმარცვლიან), ფონეტიკურად ნეიტრალურ ფორმებს ფუნქციური სიტყვების სახით. მათ მკვლევრები 'ერთმარცვლიან ადგილის შემესვებებს' (ანუ MPH-ებს) უწოდებენ. ისინი ვლინდებიან იქ, სადაც წესით ფუნქციური სიტყვა უნდა იყოს და ფუნქციური სიტყვების სპეციფიკური კატეგორიების ცოდნა კი მჟღავნდება შესაბამისი დისტრიბუციით – მაგალითად, ინგლისურსა და იტალიურში არსებითი სახელის წინ არტიკლის გამოყენებით. მას შემდეგ, რაც MPH მორფემები შინაარსის მქონე სიტყვებთან კომბინაციაში შემონმდა, აღმოჩნდა, რომ ვიდრე ბავშვები ათვისებენ სინტაქსს ან ცალკეული მორფემების სწორ გამოთქმას, მათ იციან, რა ტიპის მორფემები არიან ისინი (ლექსიკური თუ ფუნქციური) და ასევე ზუსტი წარმოდგენა აქვთ მათი დისტრიბუციის განმსაზღვრელ წესებზე.

6.6. ბავშვის ბრავატიკის სინტაქსი

ამ ქვეთავში ყურადღებას გავამახვილებთ სინტაქსის განვითარებაზე. შეუძლებელია ბავშვის სინტაქსის ყველა ასპექტს შევეხოთ, მაგრამ შევეცდებით, ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგიქმნათ, თუ რა იციან პატარებმა მათი ენის სინტაქსურ სტრუქტურაზე განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და რამდენად ჰგავს ან განსხვავდება ეს ცოდნა მოზრდილთა ცოდნისგან.

ზოგჯერ 2 წლის ბავშვები თანმიმდევრობით წარმოთქვამენ რამდენიმე სიტყვას. დასაწყისისთვის მათი გამოთქმა ორი-სამი სიტყვისაგან შედგება და ასეთი ადრეული პერიოდის წინადადებები საგრძნობლად განსხვავდება უფროსის გამოთქმებისაგან. მაგალითად, შემდეგი 'წინადადებები' ტიპიურია 2 წლის ინგლისურად მეტყველი ბავშვისთვის:

- (18) ა. Make a cho-choo train.
 ბ. Mommy throw it away.
 გ. No want this.

- დ. Not making muffins.
- ე. Man sit down.
- ვ. See my doggie?
- ზ. What cowboy doing?

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ბავშვის ენა ადრეულ პერიოდში საგრძნობლად დალაგებულია და გარკვეულწილად განსხვავდება მოზრდილთა ენისაგან. ეს განსხვავება საკმაოდ სისტემურია. მაგალითად, (18) -ში წარმოდგენილ წინადადებებში ვხედავთ, რომ ბავშვები ხშირად ტოვებენ სუბიექტებს. თუმცა, ინგლისურად მოსაუბრენი, ჩვეულებრივ, ამას არ აკეთებენ. ასევე ვხედავთ, რომ ამ ასაკში ბავშვები ტოვებენ დროის/შეთანხმების ფლექსიას, როგორც ეს (18) -შია. უფროსის მიერ წარმოთქმული წინადადება ასე უღერს *Mommy threw it away* ან *Mommy throws it away*. მეორე მხრივ, განრგობითი *-ing* საკმაოდ ხშირად გვხვდება განვითარების ამ ეტაპზე, როგორც (18 დ,ზ) -ში ვხედავთ.

ბევრ ჩვენგანს ძალიან მოსწონს ბავშვების ენა და ხშირად კარგად ვერთობით მათ 'შეცდომებზე'. მაგრამ ბავშვის ენა არ არის მხოლოდ შემთხვევითი მიახლოება შესასწავლ ენასთან. ამ ეტაპზე ბავშვს აქვს შინაგანად თანმიმდევრული, წესებით მართული კოგნიტური სისტემა – გრამატიკა სპეციფიკური მახასიათებლებით, რომელთა სწავლაც შესაძლებელია (ისევე, როგორც უფროსების გრამატიკა). როგორც პირველ თავში იყო განხილული, ბავშვი თავდაპირველად უნივერსალური გრამატიკის ათვისებას იწყებს, რომელიც განსაზღვრავს გრამატიკის ზოგად ფორმას და მოგვიანებით ხდება მისი შევსება ენისთვის სპეციფიკური დეტალებით კონკრეტული ენის გარემოში ცხოვრების შედეგად. ზოგი ხარვეზი სწრაფად სწორდება, ზოგის ათვისებას მეტი დრო სჭირდება, რის მეშვეობითაც იქმნება ათვისების ეტაპები. სქემატურად ეს (19) -შია ნაჩვენები, სადაც განვითარების თითოეული საფეხური არის *G_n*, სათავეში დგას საწყისი ეტაპის აღმნიშვნელი, *G₀*, იგივე *UG* და ბოლოს მოზრდილი ადამიანის კონკრეტული ენის სრულყოფილი გრამატიკა – *G_a*.

(19) $G_0, G_1, \dots, G_n, \dots, G_a$

ენის განვითარების ერთ-ერთი საინტერესო თვისებაა ერთსახოვნება, რაც ბავშვებში ვლინდება. სხვადასხვა პირობებში გაზრდილი ბავშვები, რომლებიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ენის განვითარების ერთსა და იმავე საფეხურებს გადიან. მაგალითად, **ტელეგრაფიული ეტაპი**, რომელიც ვლინდება (18) -ში ნაჩვენები სიტყვების სახით, საერთოა ყველა ბავშვისთვის. ნიშნისა და სასაუბრო ენის შემსწავლელი ბავშვებიც ენის ათვისებისას თვალშისაცემ მსგავსებას ამჟღავნებენ. ჩნდება კითხვა: რატომ ავლენენ ბავშვები ამ ერთფეროვნებას? აშკარაა, რომ (18) -ში მოცემული მაგალითები უფროსი მოსაუბრის წარმოთქმული არაა. ბავშვის განვითარებაში შუალედური გრამატიკის შესწავლისას ნათლად ვნახავთ ლინგვისტური ცოდნის ბუნებასა და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები ამ ცოდნას იძენენ.

6.7 პრინციპები და პარამეტრები

ყველაზე გასაოცარი შედეგი, რაც გრამატიკის განვითარების კვლევის შემდეგ მივიღეთ, არის ის, რომ ბავშვები ადრეულ ასაკშივე იწყებენ სინტაქსის ძირეული ასპექტების ათვისებას. მაგალითად, როგორც (18) -ში ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ელემენტები გამოტოვებულია, წინადადების მთავარი წევრები სწორი მიმდევრობითაა დალაგებული (სუბიექტი – ზმნა – ობიექტი ანუ SVO). ობიექტი

ზმნის შემდეგ დგას, როგორც ამას ინგლისურის გრამატიკა მოითხოვს. იმავე ასაკში იაპონურის შემსწავლელი ბავშვი *OV* სიტყვათა რიგს იყენებს, რაც სწორია იაპონური გრამატიკის მიხედვით:

- (20) ა. hyaku-en choodai
a hundred-yen give
'მიეცი ასი იენი'
ბ. Hako tabe-chau wa
box eat-will have exclamative particle
'ის შეჭამდა ყუთს!'

როგორც ვხედავთ, გრამატიკის იმ ნაწილებს, რასაც პარამეტრები ჰქვია, ძალიან სწრაფად ითვისებენ ბავშვები, როგორც ეს მე-3 და მე-5 თავებში იყო აღწერილი. გრამატიკის ათვისების პროცესი გულისხმობს პარამეტრების განსაზღვრას. მაგრამ ვიდრე შეცნობის შედეგებამდე მივიდოდეთ, მოკლედ გადავავლოთ თვალი პარამეტრებისა და მათი განსაზღვრის თეორიას.

თავდაპირველად უნივერსალური გრამატიკა ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც ნიმუში, რომლის ხარვეზები დროთა განმავლობაში შეძენილი გამოცდილებით უნდა გასწორდეს. ახლა კი უფრო კონკრეტული სახე მივცეთ ამ განმარტებას. *UG* შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრინციპებისა და პარამეტრების სისტემა. ისეთი პრინციპები, როგორიცაა გრამატიკული წესების სტრუქტურული დამოკიდებულება და კატეგორიათა შერჩევის პირობა მე-4 თავში იყო წარმოდგენილი. ყოველივე ეს ენებს შორის საერთო გრამატიკული ასპექტების გამომხატველია. მაგრამ როგორც მე-5 თავში ვნახეთ, ენები განსხვავდება ცალკეულ საკითხში და ამ განსხვავებებს შეგვიძლია პარამეტრები ვუწოდოთ. *UG*-ის პარამეტრები გამოხატავს იმ მცირე განსხვავებებს, რასაც ენები ავლენენ ზოგიერთ გრამატიკულ კატეგორიაში. პარამეტრების ვარიანტების ნათელი მაგალითი იყო მე-5 თავში და ამ თავში მოცემული ზემოთ განხილული ზმნისა და მისი დამატების ურთიერთობა. აქ გვაქვს ორი შესაძლო ვარიანტი, ობიექტი ან მოსდევს ზმნას, როგორც ინგლისურში, ან წინ უსწრებს ზმნას, როგორც იაპონურში.

გრამატიკის პასიური ცოდნა

ბავშვების მიერ სინტაქსის ცოდნა ყველაზე ნათლად ჩანს (20) -ში წარმოდგენილის მსგავსი მრავალსიტყვიანი გამოთქმების ფორმირებისას. თუმცა გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ბავშვებმა ძირითადი სინტაქსური წესები უფრო ადრე იციან. ბოლოხანს ჩატარდა ექსპერიმენტები, რათა შეემოწმებინათ ბავშვების პასიური ცოდნა სინტაქსის შესახებ. ამ ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ 17 თვის ასაკის ბავშვები, როცა მათი ლექსიკონი რამდენიმე სიტყვას ითვლის და როცა მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ მრავალსიტყვიანი გამოთქმის ფორმირება, გრძნობენ სიტყვათა მიმდევრობით გამოწვეულ მნიშვნელობის ცვლას. '**preferential looking paradigm**' ტექნიკაში (ჰირშ-პასეკი და გოლინკოფი 1996) ბავშვებს ასმენინებენ წინადადებებს და შემდეგ უჩვენებენ ვიდეოს, სადაც სხვადასხვა სცენაა ნაჩვენები. ამ სცენებიდან ერთ-ერთი შეესაბამება მათ მიერ მოსმენილ წინადადებას. შედეგებმა აჩვენა, რომ *Bert is tickling Ernie* წინადადების მოსმენის შემდეგ აირჩევენ ვიდეოს, სადაც ბერტი ამხიარულებს ერნის და არა პირიქით. ამგვარ შედეგებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ბავშვებმა გრამატიკა იმაზე ადრე იციან, ვიდრე თავად დაიწყებენ მის გამოყენებას.

- (21) a. Brutus killed Caesar. — ბრუტუსმა მოკლა კეისარი.
 b. Taro-ga gohan-o tabeta.
 Taro rice eats
 ‘ტარო ჭამს ბრინჯს’

ამრიგად, გვაქვს ‘საწყისი/ფინალური პარამეტრი’ (როგორც მე-5 თავში ვნახეთ).

მეორე მაგალითი ეხება სუბიექტის ადგილს წინადადებაში. ცნობილია, რომ ყველა წინადადებას უნდა ჰქონდეს სუბიექტი, მაგრამ, როგორც მე-3 თავში განვიხილეთ (3.2.6 ქვეთავი), ენები განსხვავდებიან იმის მიხედვით, სუბიექტი რეალიზდება თუ არა ლექსიკურად. უამრავ ენაში, მაგალითად ინგლისურში, წინადადების ქვემდებარე უნდა წარმოთქვას ისე, როგორც ეს (22ა) წინადადებაში. სხვა ენებში, როგორცაა იტალიური, სუბიექტი შეიძლება ‘ჩუმი’ იყოს (თუმცა აუცილებლად უნდა იყოს), მაგრამ მსმენელი ხვდება, რომელია ნაგულისხმევი სუბიექტი ზმნაში გამოხატული შეთანხმების ფლექსიებით და ასევე კონტექსტით. ამრიგად, (22ბ) წინადადებაში ზმნაში გამოხატულია პირველი პირის ნიშანი და შესაბამისად უთქმელი სუბიექტის გაგება იოლია.

- (22) ა. Julius Caesar was betrayed. — იულიუს კეისარს უღალატეს.
 (cf. *Was betrayed).
 ბ. Fui tradito.
 Was-1st per. betrayed
 ‘მე მიღალატეს’

ენებში არსებულ ამ განსხვავებას **ნულოვანი სუბიექტის პარამეტრი** ჰქვია (NSP=Null Subject Parameter).

პარამეტრების ვარიანტების მორიგი მაგალითი გულისხმობს პირიანი ზმნის პოზიციას, რომელიც მე-5 თავში იყო განხილული. როგორც ვნახეთ, ენები განსხვავდება იმის მიხედვით, ზმნა ვლინდება V, T თუ C ფორმით. ეს უკანასკნელი ზმნის მეორე ფენომენად ითვლება. ეს განსხვავება მარტივად პარამეტრების ვარიანტების პირობებში შეგვიძლია გადმოვცეთ. ზმნის პოზიციის პარამეტრს ქვემოთ დავუბრუნდებით.

როგორც აღვნიშნეთ შესავალში, ლინგვისტურ თეორიასა და ენის ათვისებას შორის მჭიდრო კავშირია. უნივერსალური გრამატიკის კონკრეტული მოდელი არ არის მხოლოდ უფროსების გრამატიკული ცოდნის ამსახველი მოდელი, არამედ იგი ასევე წარმოგვიდგენს შეცნობის პროცესის ცალკეულ სურათს. UG-ის პრინციპებისა და პარამეტრების მოდელში ბავშვები ითვისებენ პარამეტრებს და მათ მხოლოდ ევალებათ ‘შეასწორონ’ ეს პარამეტრები ისე, რომ შესასწავლი ენის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. ამას ისინი კონკრეტული ენის გარემოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებენ, ამგვარად, ინგლისურად მოსაუბრე ბავშვი NSP-ს ასწორებს ისე, რომ წარმოთქვამს სუბიექტს, ხოლო ესპანურად მოსაუბრე ბავშვი არჩევს ‘ჩუმ’ სუბიექტს.

პრინციპებისა და პარამეტრების მოდელი საკმაოდ მიმზიდველია, ვინაიდან იგი გვთავაზობს ენის ათვისებისას გაჩენილი ლოგიკური პრობლემის პირდაპირ გადაწყვეტას. თუკი სინტაქსის შეცნობაც მხოლოდ პარამეტრების შესწორებამდე მცირდება, მაშინ გრამატიკის ამ ასპექტებს ბავშვი სწრაფად და ეფექტურად აითვისებს, ვინაიდან იგი ვინრო UG გზით მიდის. განვითარების საფეხურების ერთსახოვნება ასახავს პარამეტრების განსაზღვრის გზას. ახლა უფრო დეტალურად განვიხილოთ ბავშვების მიერ პარამეტრების განსაზღვრის პროცესი.

6.7.1 პარამეტრების განსაზღვრა და ადრეული მორფოსინტაქსური განვითარება

პარამეტრების განსაზღვრის სასარგებლო მეტაფორაა, თუ წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვი მოსმენილ ლინგვისტურ მასალაზე უამრავ გადამრთველს ჩართავს ან გამორთავს.



ნახატი 6.1. პარამეტრების განსაზღვრა

ვინაიდან პარამეტრების განსაზღვრას განმასხვავებელი ბუნება მივანიჭეთ, მოსალოდნელია, რომ ბავშვი სწრაფად აითვისებს გრამატიკის ამ ძირულ ასპექტებს. მართლაც, კვლევების უმრავლესობა ამ შედეგს ავლენს. ბავშვები ძალიან მგრძობიარენი არიან შესასწავლი ენის მორფოსინტაქსის დეტალებისადმი და შესაბამისად, ძალიან ბევრი პარამეტრიც (შეიძლება ყველა) განისაზღვრება განვითარების ადრეულ ეტაპზე.

ორი პარამეტრი, რომელსაც ახლა განვიხილავთ - T-ში V პარამეტრიც და ზმნის მეორე პარამეტრიც – გულისხმობს განსხვავებას პირიან და უპირო ზმნებს შორის. ამიტომაც დავინყებთ იმაზე საუბრით, თუ როგორ იყენებს ამ ორი ტიპის ზმნებს ბავშვი.

როგორც მე-5 თავში იყო განხილული, ზრდასრულთა ენებში მთავარ წინადადებაში უნდა იყოს პირიანი ზმნა, რომელსაც მიემარება დროის ან პირის ან სხვა თვისების გამომხატველი ფლექსია. შეადარეთ (23) -ში წარმოდგენილი გრამატიკულად არასწორი მაგალითები ფრჩხილებში ჩასმულ ვარიანტებს.

- (23) ა. *Romeo (to) love Juliet. (ინგლისური)
(cf. Romeo loves Juliet).
- ბ. *Roméo boire du vin. (ფრანგული)
'რომეო დალევს-ინფ. ღვინო.'
(cf. Romeo bóit du vin.)
(რომეო დალევს-III პ. მხ. ღვინო)
- გ. *Romeo Juliet kussen. (ჰოლანდიური)
რომეო ჯულიეტა კოცნა ინფ.

(cf. Romeo kust Juliet.)

(რომეო კოცნის ჯულიეტას.)

ინფინიტივი მხოლოდ მთავარი პირიანი ზმნების დამატებაა, როგორც (24) -შია ნაჩვენები:

(24) ა. Romeo hopes [to marry Juliet].

რომეოს იმედი აქვს, [რომ ჯულიეტას მოიყვანს ცოლად].

ბ. Henri veut [aller au palais].

‘ჰენრის სასახლეში წასვლა უნდა’ (ფრანგული)

გ. Petruccio will Kate trouwen.

პეტრუჩიო უნდა ქეითი დაქორწინდება ინფ. (ჰოლანდიური)

‘პეტრუჩიოს ქეითის ცოლად მოყვანა უნდა.’

უამრავ ენაში ინფინიტივი ვლინდება გარკვეული ინფინიტივური ფლექსიით, მაგალითად *-er* ფრანგულში, *-en* ჰოლანდიურში. ინგლისურში ფუძისეული ფორმაა ინფინიტივი. (მის ნაწილაკად *to* გამოიყენება, თუმცა იგი თავად ზმნის ნაწილი არაა, არამედ *T*-ში გვხვდება). (ეს საკითხი მე-3 თავში იყო განხილული).

ბავშვების ადრეული პერიოდის წინადადებები, ჩვეულებრივ, ისეთ დამოკიდებულ წინადადებებს არ შეიცავს, როგორც (24) -შია. არამედ ეს წინადადებები მოკლეა და მხოლოდ ერთი ზმნისგან შედგება და ამიტომაც ამ ეტაპზე საერთოდ არ გვხვდება ზმნები საწყისი ფორმით. თუმცა პატარები (უხეშად რომ ვთქვათ, 2-3 წლის ასაკში) უკვე იყენებენ ინფინიტივებს და, საინტერესოა, რომ უფროსებისგან განსხვავებით მათ სვამენ მთავარ წინადადებაში. ყველაზე ნათლად ეს ჰოლანდიურსა და ფრანგულში ჩანს, სადაც ინფინიტივი გამოიხატება სუფიქსით. (25) -სა და (26) -ში ნაჩვენები გამოთქმები, ჩვეულებრივ, მესამე წელს გვხვდება. მათ **ძირეული ინფინიტივები** ჰქვიათ.

(25) ა. Pas manger la poupée. (ფრანგული)

არა ჭამა-ინფ. თოჯინა

‘თოჯინა არ ჭამს.’

ბ. Michel dormir.

მაიკლი ძილი-ინფ.

‘მაიკლს ძინავს.’

(26) ა. Pappa schoen wassen. (ჰოლანდიური)

მამა ფეხსაცმელები განმენდა-ინფ.

‘მამა წმენდს ფეხსაცმელებს.’

ბ. Ik ook lezen

მე ასევე კითხვა-ინფ.

‘მე ასევე ვკითხულობ.’

ძირეული ინფინიტივის ეს ‘შეცდომა’ ბავშვებში შემთხვევითია, ვინაიდან იგი საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ პირიანი და უპირო ზმნების დისტრიბუცია ადრეულ გრამატიკაში და გავიგოთ, როდის იწყებენ ზმნის პოზიციის პარამეტრების განსაზღვრას. უფრო დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხი.

ცხრილი 6.1. ზმნის პირიანობა და უარყოფითი ნაწილაკის პოზიცია ფრანგულში.

	პირიანი ზმნები	უპირო ზმნები
neg V	9	122
V neg	216	2

წყარო: პირსი(1992)

T-ში V პარამეტრი

მე-5 თავიდან გავიხსენოთ, რომ ფრანგულში პირიანი ზმნა უარყოფითი *pas*-ის მარცხნივ უნდა იდგეს, როგორც (27ა) -შია ნაჩვენები, ანუ იგი T-ში გვხვდება. უპირო ზმნის შემთხვევაში კი, როგორცაა (27ბ), ზმნა *pas*-ის მარჯვნივ დგას.

(27) ა. *Roméο ne visite pas ses voisins.*

Romeo NEG-visits not his neighbors.

'რომეო არ დადის სტუმრად თავის მეზობლებთან'.

ბ. *Romeo a l'habitude de ne pas visiter ses voisins.*

'რომეოს თავის მეზობლებთან სტუმრად არ

წასვლის ჩვევა აქვს.'

განსხვავებული მიმდევრობის გამოყენება გამოწვეულია იმით, რომ ფრანგულში სრული ზმნა გადაადგილდება უარყოფით ნაწილაკ *pas*-იდან T-სკენ. ბავშვის ენის რამდენიმე მკვლევარმა შენიშნა, რომ ფრანგი ბავშვები პირველ მრავალსიტყვიან გამოთქმებში სწორ ადგილს უჩენენ პირიან და უპირო ზმნებს. ისინი პირიან ზმნას *pas*-ის მარცხნივ სვამენ, ხოლო ძირეულ ინფინიტივებს – მარჯვნივ. ცხრილი 6.1 გვიჩვენებს პირიანი და უპირო ზმნების დისტრიბუციას სამი ფრანგი ბავშვის შემთხვევაში (ასაკი – 1;8-დან 2;6-მდე). ცხრილის თანახმად, ბავშვებმა პირიანი ზმნები 225 შემთხვევიდან 216-ში (96%) სწორად ჩასვეს უარყოფითი ნაწილაკის მარცხნივ, ხოლო 124-დან 122 შემთხვევაში (98%) უპირო ზმნები – მარჯვნივ.

ვინაიდან ბავშვები მხოლოდ შემთხვევით შეცდომებს უშვებენ ზმნის ჩასმისას (5%-ზე ნაკლები), ნათელია, რომ პატარა ფრანგი ბავშვები სწრაფად განსაზღვრავენ ზმნის პოზიციის პარამეტრს, ვთქვათ როგორცაა V-ს T-ში ჩასმა.

იგივე ვითრებაა ინგლისურად მოსაუბრე ბავშვებშიც. ინგლისურის შემთხვევაში საპირისპირო ვარიანტი გვაქვს. მთავარი ზმნა არ გადადის T-ში, არამედ რჩება ზმნაში და უარყოფითი ნაწილაკის მარჯვნივ გვხვდება, როგორც (28ა) -ს შემთხვევაში. თუმცა აქვე გაიხსენეთ, რომ *be* ზმნა გადადის T-ში, რაც (28ბ) -შია ილუსტრირებული:

(28) ა. *Othello does not [_{be} love Desdemona any more].*

ბ. *Iago is not [_{be} a very nice fellow].*

ინგლისურად მოსაუბრე ბავშვები ყოველთვის სწორად ათავსებენ მთავარ ზმნას უარყოფითი ნაწილაკის მარჯვნივ, ხოლო *be* ზმნას მარცხნივ, რითაც გრამატიკის ასპექტების უფროსებისნაირ ცოდნას ავლენენ. ამრიგად, ბავშვები არ უშვებენ ისეთ შეცდომებს, როგორც (29) -შია ნაჩვენები:

(29) ა. *@Mommy not is going.*

ბ. *@Mommy likes not cookies.*

ირლანდიური ძალიან საინტერესო ენაა ზმნის პოზიციის მიხედვით. როგორც მე-5 თავში იყო აღნიშნული, სრული დაქვემდებარებული წინადადებები ირლანდიურში გულისხმობს VSO მიმდევრობას, რაც შემდეგ წინადადებებშია წარმოდგენილი:

- (30) ა. Chonaic mé spideog ar maidin.
saw I a-robin on morning.
'მე ვნახე მეყოლია ამ დილით.'
ბ. Thit me inne.
fell I yesterday.
'მე დავეცი გუშინ.'

სრულ წინადადებაში ზმნა ინაცვლებს T-ში, სუბიექტზე მალა, რომელიც ირლანდიურში ზმფ-ს შემადგენლობაშია, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები:

- (31) [_{ზმფ} thit [_{ზმფ} me ____ inne]]
(დეფისები გადაადგილებული ზმნის ადგილს მიუთითებს).

როცა მთავარი ზმნა უპიროა, როგორც, მაგალითად, განგრძობითის კონსტრუქციაში, ზმნა ზმფ-ში სუბიექტზე ქვემოთაა და შეგვიძლია ვნახოთ SVO სიტყვათა მიმდევრობა, რაც მომდევნო წინადადებაშია წარმოდგენილი, სადაც *build* მოსდევს სუბიექტს *Sean*:

- (32) Tá [_{ზმფ} Seán ag tógáil tithe i nDoire.]
is Sean build (prog.) houses in Derry
'შონი დორიში სახლებს აშენებს.'

ირლანდიურად მოსაუბრე პატარა ბავშვები, საშუალოდ 14 თვის ასაკში მკაცრად ეჯაჭვებიან ზმნის პოზიციურ მოთხოვნებს; მთავარი პირიანი ზმნები ყოველთვის სანყის პოზიციაშია (VSO რიგი), ხოლო განგრძობითი ზმნები ყოველთვის სუბიექტით დაწყებულ სტუქტურებშია, როგორც ეს (33) -ში ჩანს:

- (33) moncaiaig ithe
monkey eat (prog.)
'მაიმუნნი ჭამს.'

ფრანგი ბავშვების მსგავსად ირლანდიელი ბავშვები კარგად არჩევენ პირიან და უპირო (განგრძობით) ზმნებს და ისინი სწრაფად განსაზღვრავენ V-ის გადაწველების პარამეტრს. ამ მხრივ, ისინი ჰგვანან უფროსებს. თუკი (32) და (33) მაგალითებს შევადარებთ, მივხვდებით, რომ ბავშვის განგრძობითი კონსტრუქცია არაა უფროსის კონსტრუქციის იდენტური. პირველი, რასაც შევნიშნავთ, ისაა, რომ ბავშვები ტოვებენ *be* დამხმარე ზმნას და ამ მხრივ მათი წარმოთქმული წინადადებები ინგლისურად მოსაუბრე ბავშვის მიერ წამოთქმულ (34) წინადადებას ჰგავს:

- (34) Birdie flying.

(34) -ში ნაჩვენების მსგავსი წინადადებები ბუნებრივია 2 წლის ინგლისურად მოსაუბრე ბავშვისთვის. ქვემოთ უფრო მეტს ვისაუბრებთ ტელეგრაფიულ მეტყველებასა და ბავშვების მიერ სხვადასხვა ფუნქციური ელემენტების გამოტოვების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ გამოტოვება ერთგვაროვნების ერთ-ერთი მარკენებელია. ბავშვები ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების ათვისებისას მაინც მსგავს გრამატიკულ საფეხურებს გადიან.

Verb second

მორიგი პარამეტრი, რომელიც ძალიან კარგადაა შესწავლილი როგორც უფროსებში, ისე ბავშვებში, არის **verb second** ანუ **V to C** პარამეტრი. გაიხსენეთ,

რომ ცალკეულ გერმანიკულ ენებში, განსაკუთრებით გერმანულსა და ჰოლანდიურში, პირიანი ზმნები ინაცვლებს C-ში (მეორე პოზიცია), როგორც ეს (35ა) -ში ჰოლანდიურის შემთხვევაშია წარმოდგენილი, ხოლო უპირო ზმნები (საწყისები და მიმდებარე) წინადადების ბოლოშია, როგორც (35ბ) -ს შემთხვევაში:

- (35) ა. [_{დმგ} Romeo_i [_C kust_j] [_{IP} t_j Juliet t_i]]
 ‘რომეო კოცნის ჯულიეტას.’
- ბ. [_{დმგ} Hij_i [_C moet_j] [_{IP} t_j Juliet kussen t_i]]
 He must Juliet kiss-inf.
 ‘მან ჯულიეტას უნდა აკოცოს.’

როგორც მანამდე აღვნიშნეთ, ძალიან პატარა ბავშვები არ წარმოთქვამენ ისეთ რთულ წინადადებებს, როგორცაა (35ბ). თუმცა, ისინი აქტიურად იყენებენ ინფინიტივებს მთავარ წინადადებაში, რაც (25) -სა და (26) -შია ნაჩვენები. თუ პატარა გერმანელმა და ჰოლანდიელმა ბავშვებმა სწორად განსაზღვრეს **V to C** პარამეტრიც, მაშინ მათი პირიანი და უპირო ზმნების დისტრიბუცია განსხვავდება ზრდასრულების ვარიანტისაგან; პირიანი ზმნები უნდა იყოს მეორე ადგილზე, ხოლო ინფინიტივები წინადადების ბოლოს. უამრავმა კვლევამ დაადასტურა, რომ ეს მართლაც ასეა. ცხრილი 6.2. წარმოადგენს ზმნის დისტრიბუციას გერმანულად მოსაუბრე ბავშვის მეტყველებაში.

6.2. ცხრილი გვიჩვენებს, რომ პირიანი ზმნების უმრავლესობა გამოიყენება მეორე პოზიციაში, ხოლო უპიროები ძირითადად ფინალურ პოზიციაში არიან განთავსებული. მსგავსი შედეგები მივიღეთ ჰოლანდიურის, შვედურისა და სხვა V2 ენების შემსწავლელი ბავშვების კვლევისას. ამრიგად, V2 ენის შემსწავლელი ბავშვები სწორად განსაზღვრავენ ამ მნიშვნელოვან პარამეტრს ადრეულ ასაკშივე. მართლაც, ჩანს, რომ ბავშვებს თითქმის არასდროს არ ეშლებათ ზმნის მეორე პოზიციაზე დასმა.

ცხრილი 6.2. ადრეული ასაკის გერმანულში პირიანი და უპირო ზმნების პოზიცია.

	პირიანი ზმნები	უპირო ზმნები
V2-ის პოზიცია	197	6
ფინალური პოზიცია	11	37

წყარო: პეპელი და ვექსლერი(1993)

ნულოვანი სუბიექტის პარამეტრი

უკანასკნელი პარამეტრი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, არის ნულოვანი სუბიექტის პარამეტრი. შეგახსენებთ, რომ ეს პარამეტრი განსაზღვრავს შეიძლება თუ არა იტალიური (36ბ) წინადადების მსგავსად ფარული სუბიექტის გამოყენება, ან თუ აუცილებელია სუბიექტის წარმოთქმა, როგორც ეს (36ა) ინგლისურ წინადადებაშია:

- (36) ა. We saw Petruccio . . . ჩვენ ვნახეთ პეტრუჩიო
- ბ. Abbiamo visto Petruccio . . .
 have-1st per. Plu. Seen Petruccio.
 ‘(We) have seen Petruccio.’

ერთ-ერთი ყველაზე უცნაური თვისება ადრეული ენისა არის სუბიექტის შერჩევითი გამოყენება. ყველა ბავშვი გადის სუბიექტების ხშირი გამოტოვების საფეხურს. ეს

ეხება იმ შემთხვევებსაც, როცა შესასწავლ ენაში არ არის ნულოვანი სუბიექტი. (37-39) -ში წარმოდგენილია ინგლისურად, ფრანგულად და ჰოლანდიურად მოსაუბრე პატარა ბავშვების უსუბიექტო წინადადებები. ეს ენები ნულოვანი სუბიექტების გამოყენების საშუალებას უფროსების მეტყველებაში არ იძლევა:

- (37) ა. Want go get it.
ბ. Not making muffins.
გ. No play matches.
- (38) ა. Ook toren bouwen. (ჰოლანდიური)
also tower build
'მეც ვაშენებ კოშკს.'
ბ. Kann niet slapen op een schaaap
'ვერ ვიძინებ ცხვარზე.'
- (39) ა. Veux pas lolo. (ფრანგული)
want not water
'მე არ მინდა წყალი.'
ბ. Pas manger.
'არ ჭამა.'

ამგვარ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ არსებობს პარამეტრების არასწორად განსაზღვრის შემთხვევები, ანუ, როცა ინგლისურად (ჰოლანდიურად, ფრანგულად) მოსაუბრე ბავშვები NSP-ს იტალიურის მიხედვით განსაზღვრავენ. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ასეთი შემთხვევის გამომრიცხავი საშუალება. თუ უნივერსალური გრამატიკის პარამეტრები შეზღუდული რაოდენობის ვარიაციის საშუალებას გვაძლევს, ამ ვარიაციას ასევე აღმოვაჩენთ განვითარების პერიოდში გამოთქმულ მიმდევრობებში: ბავშვი იტალიურის მსგავსი გრამატიკით იწყებს, შემდეგ გადადის ინგლისურ NSP-ზე. ეს ჰიპოთეზა, რომელსაც შეგვიძლია **პარამეტრების არასწორად განსაზღვრის ჰიპოთეზა** ვუწოდოთ, შეცნობის ეტაპებს პირდაპირ უკავშირებს უფროსების ენაში არსებულ ტიპოლოგიურ ვარიაციას და შემდეგ განვითარებას განმარტავს გრამატიკის დამოუკიდებლად მოტივირებული პრინციპებისა და პარამეტრების მიხედვით. თუმცა, როგორც ვნახეთ, პარამეტრის არასწორი განსაზღვრა დიდი ხნით ვერ ინარჩუნებს თავს. მაგალითებმა აჩვენა, რომ ამ პარამეტრებს ბავშვები ძალიან ადრეულ ასაკშივე სწორად განსაზღვრავენ.

პარამეტრების არასწორად განსაზღვრის ჰიპოთეზის შესამოწმებლად შევადაროთ ადრეული პერიოდის ინგლისური და ადრეული პერიოდის იტალიური ენები. თუ ინგლისურად მოსაუბრე ბავშვი თავდაპირველად ლაპარაკობს ნულოვანი სუბიექტით, მაშინ მისი ენა უნდა ჰგავდეს პატარა იტალიელი ბავშვების ენას, რომლებიც ნულოვანი სუბიექტის მქონე ენას ითვისებენ. თუმცა, საქმე ასე არ არის. დაკვირვებამ აჩვენა, რომ იტალიელი ბავშვები უფროსებით 70%-ის სიხშირით ტოვებენ სუბიექტებს, ხოლო ინგლისელები კი 30-50%-ის სიხშირით (ვალიანი 1991). მართალია, არ გვაქვს ზუსტი ახსნა, თუ რატომ წარმოთქვამენ ასეთი ზუსტი სიხშირით ამგვარ ფორმებს, მაგრამ იტალიურად და ინგლისურად მოსაუბრე ბავშვებს შორის სიხშირის განსხვავებამ აჩვენა, რომ სუბიექტის გამოტოვების ფარული მიზეზებიც. განსხვავებულია ნულოვანი სუბიექტი ადრეულ ინგლისურში და ადრეულ იტალიურში განსხვავდება დისტრიბუციის მხრივ. იტალიელი ბავშვები ნულოვან სუბიექტს ძირითადად იქ იყენებენ, სადაც უფროსები – მარტივ სრულ წინადადებაში – როგორც ეს (40) -შია წარმოდგენილი:

- (40) ა. Sono giù.
am-1st person downstairs

‘(მე) ვარ ქვედა სართულზე.’

ბ. E mia gonna.

is-3rd person my skirt

‘(ეს) ჩემი ქვედაბოლოა.’

გ. Mama dice che non è sympatico.

Mama says that not is nice.

‘დედა ამბობს, რომ (ეს) არ არის კარგი.’

ადრეულ ინგლისურში კი ნულოვანი სუბიექტები ძირეულ დამოკიდებულ წინადადებებში გამოიყენება. უფრო მეტიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძირითადად გვხვდება უსრულ დამოკიდებულ წინადადებებში. ამრიგად, იტალიელი ბავშვები ნულოვან სუბიექტს იყენებენ იმავე სიხშირითა და დისტრიბუციით, როგორც უფროსი ასაკის იტალიელები. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბავშვები სწორად განსაზღვრავენ NSP-ს ადრეულ ასაკშივე. ინგლისურად მოსაუბრე ბავშვები კი იყენებენ ნულოვან სუბიექტებს ნაკლები სიხშირით და განსხვავებულ კონტექსტებში, შესაბამისად, ვერ ვისაუბრებთ ნამდვილ ნულოვან სუბიექტებზე, მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა და ენაში არ არსებობს ნულოვანი სუბიექტი, მაშინ რითი აიხსნება ბავშვების მიერ მისი გამოყენება? საინტერესოა, რომ ამ კითხვის პასუხს ისევ მივყავართ იმ საკითხთან, რომლითაც ჩვენი დისკუსია დავიწყეთ – ეს გახლავთ ძირის ფორმით გამოყენებული ინფინიტივები.

6.8 ძირის ფორმით გამოყენებული ინფინიტივები

ადრეულ გრამატიკაში ზმნის პირიანობის საკითხის განხილვიდან გაიხსენეთ, რომ ბავშვები იყენებენ ინფინიტივებს ძირეულ დამოკიდებულ წინადადებებში, როგორცაა (25) და (26) მაგალითები. ბავშვის ენაში ძირის ფორმით გამოყენებული ინფინიტივების შესწავლამ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. ერთ-ერთი მათგანი ეხება ნულოვანი სუბიექტების დისტრიბუციას ისეთ ენებში, სადაც სუბიექტი, ჩვეულებრივ, გამოხატულია. ასეთი ენებია: ჰოლანდიური, ფრანგული, გერმანული და ფლამანდიური. სუბიექტი ნულოვანია თუ მისი გამოხატულება დამოკიდებულია წინადადების სისრულეზე. ამრიგად, ძირის ფორმით გამოყენებული ინფინიტივები გვხვდება ნულოვან სუბიექტებთან, ხოლო სრულ წინადადებაში გამოიყენება გამოხატული სუბიექტები, როგორც ეს 6.3. ცხრილშია ნაჩვენები. (ურთიერთმიმართება არაა სრულყოფილი. მართალია, ნულოვანი სუბიექტები გვხვდება სრულ წინადადებებში და გამოხატული სუბიექტები ძირის ფორმით წარმოდგენილ ინფინიტივებთან, მაგრამ ისინი პროცენტულად უფრო ნაკლებადაა, ვიდრე მოსალოდნელია).

ცხრილი 6.3. ნულოვანი და გამოხატული სუბიექტები სრულ და უსრულ წინადადებებში.

	პირიანი ზმნები		უპირო ზმნები	
	გამოხატული	ნულოვანი	გამოხატული	ნულოვანი
ფლამანდიური	75	25	11	89
გერმანული	80	20	11	89
ფრანგული	74	26	7	93
ჰოლანდიური	68	32	15	85

წყარო: კრამერიდან აღებული ფლამანდიური და ფრანგული მონაცემები (1994); ჰაეგემანიდან აღებული ჰოლანდიური მონაცემები (1994); ბერენსიდან აღებული გერმანული მონაცემები (1993)

მსგავსი ურთიერთმიმართება ნულოვან სუბიექტებსა და ზმნის პირიანობის ნაკლებობას შორის ადრეულ ინგლისურში ძირითადად *Wh*-კითხვებში ვლინდება. ამის მიზეზები კი ჩვენი განხილვის თემას სცდება. თუ მთელ ყურადღებას გავამახვილებთ *Wh*-კონტექსტებზე, აღმოვაჩინოთ, რომ ნულოვანი სუბიექტები ძირითადად უსრულ კითხვებშია, როგორცაა (41ა), ხოლო სრულ კითხვებში კი სუბიექტები გამოხატულია, მსგავსად (41ბ) მაგალითისა. უსრულ *Wh*-კითხვების 49%-ში ნულოვანი სუბიექტები გვხვდება, ხოლო სრული *Wh*-კითხვების მხოლოდ 5%-შია ნულოვანი სუბიექტი. ამიტომ (43გ) -ს მსგავსი წინადადება ნამდვილად მიუღებელია.

(41) ა. Where ___ go?

ბ. Where dis goes?

გ. *Where ___ goes?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ (41) -ში ზმნა უპიროა, ვინაიდან წინადადების ნაგულისხმევი სუბიექტი (რომელსაც კონტექსტით ვხვდებით) მესამე პირშია, მაგრამ ზმნას არ აქვს არც *-s* და არც *-ed* ნიშანი. გაიხსენეთ მე-3 თავში განხილული საკითხი, რომ ინფინიტივი ვერ იღებს განმასხვავებელ აფიქსს და იგი ომოფონურია ზმნის ფუძესთან მიმართებაში. მაგალითად, *eat, sleep, dance*. ამრიგად, ინგლისურში ძირის ფორმით გამოყენებული ინფინიტივის ექვივალენტი იქნება ფუძის სახით წარმოდგენილი ზმნა. მართლაც, ჰიპოთეზაა შემუშავებული, რომ ინგლისურად მოსაუბრე ბავშვი ამბობს *Mommy go* ან სვამს ისეთ კითხვას, როგორც (41ა) -ში იყო წარმოდგენილი. ბავშვები, რომლებიც ითვისებენ ისეთ ენას, სადაც სუბიექტი გამოხატულია, ნულოვან სუბიექტებს იყენებენ ძირითადად უსრულ დამოკიდებულ წინადადებებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნულოვანი სუბიექტი გვხვდება მხოლოდ უსრულ დამოკიდებულ წინადადებაში. მე-5 თავში აღნიშნული იყო, რომ ინფინიტივებსა და დროიან კლაუზულებს ერთნაირი სტრუქტურა აქვთ. ორივეს აქვს სუბიექტი. ეს აშკარაა, როცა სუბიექტი გამოხატულია, როგორც (42ა) -ში, მაგრამ სუბიექტი ასევე არის (42ბ) -ში, ჩუმი PRO სუბიექტი, როგორც ეს მე-3 თავში იყო განხილული.

(42) ა. It takes courage [for Kate to defy Petruccio].

ბ. It takes courage [PRO to defy Petruccio].

(42ბ) -ს PRO სუბიექტის აღსანიშნავი არის „ვილაც“ (someone), როგორც წინადადებაში *“It takes courage for someone to defy Petruccio.”*

ნულოვანი სუბიექტის გამოყენება უპირო ზმნასთან უნივერსალური გრამატიკის ნაწილია და შესაბამისად, ამ ფენომენს ვაწყდებით ნებისმიერი ენის ანალიზისას. ზოგი ასეთი მაგალითი (43) -შია წარმოდგენილი:

(43) ა. Kate wants [PRO ___ to defy Petruccio].

ბ. Kate wil [PRO ___ Petruccio uitdagen] (ჰოლანდიური)

გ. Kate veut [_PRO ___ défier Petruccio] (ფრანგული)

აქედან გამომდინარეობს, რომ ბავშვები, რომლებიც სწავლობენ ენას, სადაც სუბიექტი გამოხატულია, შეცდომას კი არ უშვებენ, როცა ნულოვან სუბიექტებს ძირის ფორმით ნახმარ ინფინიტივებთან იყენებენ, არამედ ავლენენ უნივერსალური გრამატიკის ცოდნას. ნულოვანი სუბიექტის გამოყენების ფაქტები მიუთითებს, რომ ძალიან პატარებსაც აქვთ უნარი განასხვავონ სრული და უსრული წინადადებები. ბავშვების მიერ ნულოვანი სუბიექტების ძირეულ წინადადებაში გამოყენების შესახებ

შეკითხვა დაიყვანება შემდეგ საკითხამდე: რატომ იყენებენ ბავშვები ინფინიტის ძირულ კონტექსტებში? თუკი ამ მეორე კითხვას ვუპასუხებთ, მაშინ პირველზედაც მივიღებთ პასუხს. ორი შეკითხვა ერთიანდება.

ახლა კი უნდა მოვძებნოთ პასუხი თუ რატომაა შესაძლებელი პატარა ბავშვების ენა-ში ინფინიტის ძირის ფორმით გამოყენება ამ კითხვის სხვა სახით ფორმულირება ასე შეგვიძლია: რატომ შეუძლიათ ბავშვებს გამოტოვონ წინადადებაში გარდამავლობის მახასიათებელი, ხოლო უფროსებს ამის უნარი არ აქვთ? ეს კითხვა უფრო ფართო კონტექსტში განვიხილოთ, კერძოდ კი: რატომ არის სხვადასხვა ფუნქციური ელემენტი გამოტოვებული ადრეული ასაკის მეტყველებაში, როგორიცაა დრო, (სუბიექტი) ნაცვალსახელები, დამხმარეები და მსაზღვრელები?

6.9 წინადადების სტრუქტურა და ფუნქციური კატეგორიები

ამ თავში წარმოდგენილი სხვადასხვა მაგალითიდან შევიტყობთ რომ, პატარები გამოთქმებიდან ხშირად ფუნქციურ ელემენტებს “აგდებენ”. წინა ქვეთავში აღვნიშნეთ, რომ ბავშვები ტოვებენ სუბიექტურ ნაცვალსახელებს, რის შედეგადაც ნულოვანი სუბიექტის მქონე წინადადებას ვიღებთ. ასევე შეიძლება გამოტოვონ დროის გამოხატველი ფლექსია, რის შედეგადაც ძირის ფორმით გამოხატულ ინფინიტის ვიღებთ. ასევე აღმოვაჩინეთ, რომ მსაზღვრელები და დამხმარე საშუალებებიც ხშირად არ არის პატარების წინადადებაში. ამ ადრეული პერიოდის ენას უწოდებენ **ტელეგრაფიულ მეტყველებას**, ვინაიდან იგი ძალიან ჰგავს იმ ენას, უფროსები ტელეგრამის გაგზავნისას რომ იყენებენ, რომელშიც სხვადასხვა ფუნქციური სიტყვებია გამოტოვებული.

Stranded in Athens, need money, send immediately.

უფროსები ასეთ ტელეგრამას აგზავნიან ფულის დაზოგვის მიზნით და ტოვებენ იმ ფუნქციურ ელემენტებს, რომელთა აღდგენა და მიხვედრა იოლია კონტექსტის მიხედვით, მაგრამ რატომ აკეთებენ ამას ბავშვები? ეკონომიის გამო? თუ ასეა, მაშინ რის ეკონომიას აკეთებენ? გრამატიკული რესურსისას თუ კიდევ სხვა რამის? ტელეგრაფიულ მეტყველებასთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორია არსებობს. ჩვენ სამ ვარიანტს განვიხილავთ: პირველი განმარტავს ტელეგრაფიულ მეტყველებას, როგორც ბავშვის გრამატიკის შედეგს; მეორე ყოველივეს ფონოლოგიის გავლენას მიაწერს და მესამე ამ მოვლენას ბავშვის პრაგმატულ სისტემას უკავშირებს.

6.9.1 პრეფუნქციური გრამატიკა?

ბავშვების მიერ დროისა და სხვა ფუნქციური ელემენტების გამოტოვების შესახებ ერთ-ერთი თეორია მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვების გრამატიკაში არ არის საკმარისი ფუნქციური კატეგორიები: DET, INFL, COMP. ამ თვალსაზრისით, ადრეული გრამატიკა არის **პრეფუნქციური** და ბავშვების ფრაზების სტრუქტურა შედგება მხოლოდ ისეთი ლექსიკური ელემენტებისგან, როგორიცაა სვ, ზმფ, ზფ, თფ. ამ იდეის ერთ-ერთი გამოხატულება არის შემოკლებული დამოკიდებული წინადადების ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, ბავშვების ადრეული პერიოდის წინადადებები სტრუქტურულად უფროსების ისეთ პატარა წინადადებებს უტოლდება, როგორიც მე-3 თავში იყო განხილული, მხოლოდ ფუნქციური დანამატების გარეშე:

(44) ა. [ზმფ* [სვ Man] [ზმფ sit down]]

ბ. [თფ* [სფ Mommy] თფ in house]]

გ. [ფფ* [სფ Dolly] [ფფ hapy]]

დ. [სფ* [სფ Mommy] [სფ shoe]]

უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები და *Wh*-ფრაზები, როგორცაა 18გ, დ, ზ, თ), იქნება განსაზღვრება შემოკლებულ დამოკიდებულ წინადადებებში და არა, *T* ან *C* ელემენტები, როგორც ეს უფროსების გრამატიკაშია.

(45) [No/wh [[სფ] [ფმფ]]]

შემოკლებული დამოკიდებული წინადადებების ჰიპოთეზა და მასთან დაკავშირებული თეორიები საშუალებას გვაძლევს, გამოტოვებული ელემენტები პირდაპირ განვიხილოთ; მათი ჩასმისთვის საჭირო არ არის არავითარი მითითება. ვერ იქნება დროის აღმნიშვნელი მარკერი, თუ არ არის **დრფ**, თუ აკლია **დფ** ან **დმფ** წინადადებაში, ვერ გვექნება განსაზღვრებები და დამატებები. ამგვარმა მიდგომამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ბავშვების ენა უფრო მარტივია, ვიდრე უფროსებისა, მაგრამ ჩნდება პრობლემა: პრეფუნქციური გრამატიკის იდეა აქამდე განხილულ ფაქტებს ეწინააღმდეგება. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ფუნქციური ელემენტები გამოიყენება ადრეულ ენაში, მაგრამ უფროსების გრამატიკისგან განსხვავებით, შერჩევითია. მეორე, როგორც ვნახეთ, ზმნის პოზიციის პარამეტრი მრავალსიტყვიანი გამოთქმების სანყის ეტაპზე განისაზღვრება. მესამე, თუ ინგლისურად, ჰოლანდიურად და ფრანგულად მოსაუბრე ბავშვები ძირითადად ტოვებენ სუბიექტებს უპირო ზმნებთან, მაშინ მათ აქვთ პირიანი და უპირო ზმნების გარჩევის უნარი. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვები, რომლებიც სრულად ტოვებენ ფუნქციურ ელემენტს, მაინც წარმოთქვამენ ფონოლოგიურ ელემენტს ადგილის შესავსებად.

არსებობს ასევე ექსპერიმენტით მიღებული დამამტკიცებელი საბუთი, რომ ბავშვებმა იციან ფუნქციური ელემენტები მანამდე, სანამ ისინი თავად დაიწყებენ მათ გამოყენებას. ერთ-ერთი კვლევისას 2 წლის ბავშვები უფრო უკეთ უსადაგებდნენ გრამატიკულად გამართულ მსაზღვრელიან წინადადებებს ((46ა)) შესაბამის სურათებს, ვიდრე გრამატიკულად არასწორ წინადადებებს, რომლებშიც მსაზღვრელის ადგილას *be* იდგა, როგორც (46ბ) წინადადებაში.

(46) ა. Find the bird for me.

ბ. Find was bird for me.

ბავშვებმა რომ არ იცოდნენ განსხვავება ფუნქციურ ელემენტებს შორის, მაშინ ერთნაირი რეაქცია ექნებოდათ სწორ და არასწორ ვარიანტებზე. ემპირიული დამამტკიცებელი საბუთები მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ჰიპოთეზას ბავშვების პრეფუნქციური გრამატიკის შესახებ. ქვემოთ შევეხებით ბავშვების განვითარებას შეთანხმებისა და ბრუნების საკითხში. ყოველივე ეს მაინც ტოვებს კითხვას: თუ პატარებს უფროსების მსგავსი სინტაქსური სტრუქტურა აქვთ და არა შემოკლებული წინადადებები, მაშინ რატომ გამოთქვამენ ფრაზებს ტელეგრაფიული ფორმით?

6.9.2 მეტრული ჰიპოთეზა

ბავშვების მიერ ფუნქციური ელემენტების გამოტოვებას განსხვავებულად ხსნის მეტრული ჰიპოთეზა, რომელიც ამ მოვლენებს ბავშვთა მეტყველებაზე დაწესებულ ფონეტიკურ, კერძოდ კი, მეტრულ შეზღუდვას უკავშირებს. ინგლისურში ფუნქციური

მორფემები ძირითადად უმახვილო მარცვლებია. მახვილიანი მარცვლები კარგად აღიქმება, ვინაიდან ისინი უფრო ხმამაღალი და უფრო ხანგრძლივია, ვიდრე უმახვილოები. მაგალითად, პირველი მარცვალი სიტყვაში *Apple* – *a* – არის მახვილიანი, ხოლო მეორე – *ple* – უმახვილო. ისეთ წინადადებაში, როგორიცაა *The apple is red, the* და *is* ფუნქციური სიტყვებია და უმახვილოებია. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ბავშვები უმეტეს შენთხვევაში ფუნქციურ სიტყვებს ტოვებენ, როცა ისინი უმახვილოა და მათ მახვილიანი მარცვალი მოსდევს. (ასეთი ტიპის მახვილის ნიმუშს ვწოდებთ U-S-ს). მეორე მხრივ კი, ისინი ნაკლებად იკარგება, როცა მახვილიანი მარცვლის შემდეგ დგას (ანუ S-U მოდელი). მაგალითად, სავარაუდოდ, ბავშვი, უმეტეს შემთხვევაში, არტიკლს გამოტოვებს (47ა) მაგალითში, სადაც U-S მახვილის მოდელი მოქმედებს, ვიდრე (47ბ)-ში, სადაც S-U მახვილის ნიმუშია. (უმახვილო პატარა შრიფტით წერია, ხოლო მახვილიანები — დიდი შრიფტით).

(47) ა. the BEAR + KISSED JANE

ბ. PETE + KISSED the + LAMB

მსგავსი შედეგი მივიღეთ სუბიექტი და ობიექტი ნაცვალსახელების შეპირისპირებისას. ვინაიდან სუბიექტი ნაცვალსახელი U-S მახვილის მოდელშია (48ა) -ში, ხოლო ობიექტი ნაცვალსახელი S-U მოდელშია (48ბ) -ში, სუბიექტი უფრო ხშირად იკარგება.

(48) ა. he KISSED + JANE

ბ. PETE + KISSED her

ამრიგად, მეტრული ჰიპოთეზა გვაძლევს ახსნას ნულოვანი სუბიექტის შესახებ, რაზეც წინა ქვეთავში ვისაუბრეთ.

მეტრული ანალიზის მიხედვით, ბავშვის ნათქვამზე ფონოლოგიური ფილტრი მოქმედებს, რომელიც S-U ნიმუშს უშვებს და არა U-S-ს. S-U სტრუქტურისთვის უპირატესობის მინიჭება შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ ფაქტთან, რომ S-U მახვილის ძირითადი მოდელია ინგლისურში, ან შეიძლება ეს სიმპათია თანდაყოლილი იყოს.

მეტრული ჰიპოთეზა დეტალურად განიხილავს იმიტაციის ექსპერიმენტების შედეგებს, მაგრამ არ არის საკმარისი სხვადასხვა განზოგადებების განმარტებისთვის, რომლებიც ვლინდება ცოცხალ მეტყველებაში. მაგალითად, იგი ვერ ხსნის აშკარა კავშირს ნულოვან სუბიექტებსა და ზმნის პირიანობა-უპირობას შორის; ასევე არ ეხება საკითხს, თუ რატომ ტოვებენ ბავშვები სუბიექტებს მახვილის ისეთ მოდელში, რომლებიც U-S ნიმუშისგან განსხვავდებიან, მაგალითად, *Wh*-კითხვები, როგორებიც (41) -ში იყო წარმოდგენილი. უფრო რომ განვაზოგადოთ, მეტრული ჰიპოთეზა არავითარ საფუძველს არ გვაძლევს საიმისოდ, რომ გავიგოთ ინფინიტივების ძირეული ფორმით გამოყენება ტელეგრაფიულ მეტყველებაში. ეს ჰიპოთეზა ასევე არ განმარტავს, თუ რატომ იყენებენ პატარები ზმნის უაფიქსო ფორმას (18ბ, ე) წინადადებაში, რადგანაც დროის აღმნიშვნელი აფიქსი არამარცვლოვანია (does, eats), ან თუ მარცვლოვანია, გულისხმობს სუსტ მახვილს S-U მახვილის მოდელში (he DANCes). ასევე არ ეხება იგივე ჰიპოთეზა აშკარა კავშირს ინგლისური ზმნის ძირეულ ფორმებსა და იმ ძირეულ ინფინიტივებს შორის, რომლებსაც ბავშვები ნიშნის ინფინიტივების მქონე ენების ათვისებისას წარმოთქვამენ, მაგალითად, ჰოლანდიურისა და ფრანგულის შემთხვევაში. მეტრული ჰიპოთეზის მიხედვით ჩვენ არ ველით, რომ ბავშვები მარცვლოვან ფლექსიებს დაუმატებენ ზმნებს. მის თანახმად, ნაცვალსახელებისა

და მსაზღვრელების გამოტოვება არ უკავშირდება ზმნის თვისებებს. ეს ელემენტები სინტაქსურად მსგავსია, ვინაიდან ისინი არიან სანწყისები ფუნქციური ერთეულებისა და მათ მსგავსი პრაგმატული ფუნქცია აქვთ.

6.9.3 პრაგმატული ჰიპოთეზა

ბავშვის მიერ **პრაგმატიკის** ცოდნა სრულიად სხვაგვარად განიხილავს ფუნქციური ელემენტებისა და სისრულის შერჩევით გამოყენებას. პრაგმატიკა გულისხმობს ენის გამოყენების წესებს, მათ შორის იმ საკითხსაც, თუ რამდენად ჯდება წინადადებები უფრო ფართო დისკურსსა და არალინგვისტურ კონტექსტში. მაგალითად, წინადადებების სხვადასხვა ელემენტები (მაგალითად, ნაცვალსახელები *-he*, განსაზღვრული დფ-ები *- the boy*) მოითხოვენ დისკურსულ წინმსწრებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი აღსანიშნი გაურკვეველი იქნება. ასევე დრო განისაზღვრება დისკურსულ დროში, წარსული დრო ნიშნავს დისკურსის უპირველეს მომენტს და აწმყო – დისკურსის თანადროულ მომენტს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვები ხშირად ნათლად ვერ გამოხატავენ კონტექსტში ნაგულისხმევ დროსა თუ ფაქტს. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება საუბარი დაიწყოს ასეთი წინადადებით – *He ate my ice cream*. ამ დროს ის დარწმუნებულია, რომ *he* ნაცვალსახელის რეფერენტი ყველასთვის იოლად მისახვედრია. დროის, მსაზღვრელებისა და ნაცვალსახელების შერჩევითობას შეიძლება, საერთო საფუძველი ჰქონდეს. გრამატიკულად ბავშვი არ გამოხატავს წინადადების, სფ-ებისა და (სუბიექტი) ნაცვალსახელების გარდამავალ მიმართებას, ვინაიდან იგი ვარაუდობს (ზოგჯერ შეცდომითაც), რომ ინფორმაციის მიღება კონტექსტიდან ან მოსაუბრისა და მსმენელის საერთო ფონური ცოდნის მიხედვითაც შეიძლება. თუკი ასეთი შეხედულება სწორია, ეს ნიშნავს, რომ ბავშვების გრამატიკული ცოდნა წინ უსწრებს დისკურსის პრინციპების ცოდნას. მათ იციან აბსტრაქტული ფუნქციური სტრუქტურები, მაგრამ ჯერ არ იციან პირობები, რომლის მიხედვითაც ნაცვალსახელთა აღსანიშნები უნდა იყოს განსაზღვრული გრამატიკულად და არა კონტექსტურად. მეტრული ჰიპოთეზის საპირისპიროდ, პრაგმატული ჰიპოთეზა ერთობლივად ეხება სხვადასხვა სახის გამოტოვებებს.

6.9.4 დამნიჭება გრამატიკული სტრუქტურებისა და პრინციპების მთლიანობის წინააღმდეგ

ჩვენ უკვე განვიხილეთ რამდენიმე ჰიპოთეზა, რომლებიც ეხებოდა ტელეგრაფიულ მეტყველებას და 2 წლის ასაკის გრამატიკას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ გვაქვს ზუსტი განმარტება, თუ რატომ ტოვებენ ბავშვები ფუნქციურ ელემენტებს, ფაქტები მიუთითებს, რომ ბავშვებს ნამდვილად აქვთ ფუნქციური სტრუქტურა ასეთ ადრეულ ასაკში და მათი გრამატიკა ისეთივე მდიდარია შემადგენელი სტრუქტურებით, როგორც უფროსების გრამატიკა. პატარები უფროსებისგან განსხვავდებიან მხოლოდ პროდუქტიულობის უნარით ან პრაგმატული შესაძლებლობებით (ან ორივეთი).

ჩვენ მიერ ფუნქციური აგებულებისა და განსხვავებების განხილვა წარმოშობს უფრო ზოგად შეკითხვას გრამატიკის შესახებ, კერძოდ, ბავშვებს უნივერსალური გრამატიკის ყველა პრინციპი აქვთ თუ გრამატიკის ცალკეულ თვისებებს განვითარების პროცესში იძენენ? კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ჰიპოთეზები წარმოშობს უფრო ფართო ჰიპოთეზას, რომ სინტაქსის ცალკეული ფუნდამენტური ასპექტები

არ ვლინდება ადრეულ გრამატიკაში, არამედ დამნიფების შედეგია. ამას **დამნიფების ჰიპოთეზა** ჰქვია, რაც **მთლიანობის (უნყველობის) ჰიპოთეზის** საპირისპირო ხედვაა, რომლის თანახმადაც უნივერსალური გრამატიკის ყველა ასპექტის ათვისება განვითარების პროცესში ხდება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში უნივერსალური გრამატიკის პრინციპები ითვლება თანდაყოლილად, მაგრამ დამნიფების თვალსაზრისით, უნივერსალური გრამატიკის პრინციპები ან სტრუქტურები ვლინდება ბიოლოგიური განვითარების ეტაპების მიხედვით.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, უნივერსალური გრამატიკის ასპექტები ძალიან ადრეულ პერიოდში ვლინდება, მაგალითად, ფრაზის სტრუქტურის პრინციპები და სხვადასხვაგვარი გადაადგილებების წესები. მაგრამ კითხვა, არსებობს თუ არა უნივერსალური გრამატიკის ისეთი პრინციპები, რომლებიც გვიანდელ ბავშვობაში იწყებს გამოვლინებას, ჯერ კიდევ უპასუხოა და შემდგომ კვლევებს მოითხოვს. საექსპერიმენტო ტექნიკის დახვეწასთან ერთად მკვლევრებს საშუალება ეძლევათ, შეამოწმონ უფრო და უფრო პატარა ბავშვების მიერ გრამატიკული პრინციპების ცოდნა. ერთი, რაც ამჟამად სრულიად ნათელია, არის ის, რომ ბავშვი დაბადებიდან იმ ენაზე არ საუბრობს, რომელზეც უფროსები; შესაბამისად, რაღაც უნდა მომნიფდეს, რომ მათ ეს შეძლონ. დავა მიდის იმის თაობაზე, თუ ენის ზუსტად რომელი ასპექტი განიცდის დამნიფებას – არის ეს მთლიანად უნივერსალური გრამატიკა, მეტყველების მექანიზმები, პრაგმატული სისტემა, ლექსიკონი თუ ჩამოთვლილთაგან რამდენიმეს კომბინაცია.

შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ გრამატიკის კიდევ ერთ ძირეულ თვისებას – სინტაქსურ დამოკიდებულებას. დაინტერესებულნი ვართ, როგორ და როდის იწყებენ ბავშვები ძირითადი სინტაქსური დამოკიდებულებების ათვისებას. რა თქმა უნდა, სინტაქსური კავშირი განისაზღვრება ფრაზის სტრუქტურის დონეზე და ამგვარად, ბავშვების დამოკიდებულების გაგება ამ საკითხთან მიმართებაში საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია შემადგენელთა სტრუქტურის ადრეული ფორმის შესახებ.

6.10 სინტაქსური დამოკიდებულება

როგორც მე-4 თავში განვიხილეთ, სინტაქსური დამოკიდებულება გრამატიკის ერთ-ერთი ძირეული მახასიათებელია. სინტაქსური დამოკიდებულება გულისხმობს, რომ წინადადებაში ერთი სიტყვის ან მორფემის არსებობა დამოკიდებულია მეორეს ყოფნაზე. ჩვენ დამოკიდებულების ერთი მაგალითი უკვე ვნახეთ ადრეულ გრამატიკაში – კავშირი ნულოვან სუბიექტებსა და (ძირის სახით გამოყენებულ) ინფინიტივებს შორის. ამ ქვეთავში შევხებით ადრეულ გრამატიკაში გამოვლენილ სხვა სახის სინტაქსურ დამოკიდებულებებს. კერძოდ კი, განვიხილავთ ბრუნებისა და შეთანხმების სისტემებს და შევამოწმებთ ბავშვების მიერ ფლექსიების მიმაგრების ცოდნას. ასევე ვნახავთ გრამატიკული წესებისა და კატეგორიათა შერჩევის როლს სინტაქსურ დამოკიდებულებაში.

ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, გავარკვიოთ, როდის ავლენენ ბავშვები სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებების ცოდნას და რა ნიშნით განსხვავდება მათი გრამატიკა უფროსების გრამატიკისაგან. ეს კავშირები ნათელია ყველა საკითხში თუ მომნიფების შედეგია?

პირველ რიგში განვიხილავთ შეთანხმებასა და ბრუნებას, ვინაიდან ეს ორი საკითხი ყველაზე ახლოს დგას ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ თემებთან. როგორც წინა ქვეთავებში, ჩვენ განვიხილავთ ძირითადად ძალიან პატარა ბავშვების მეტყველებას – დაახლოებით 2 წლის ასაკში. შემდეგ კი შევეხებით სტრუქტურულ დამოკიდებულებას, კატეგორიათა შერჩევასა და აფიქსების მიმაგრებას. ამგვარი დამოკიდებულებების შესახებ ექსპერიმენტების წყალობით მხოლოდ 4-6 წლის ბავშვები შევისწავლეთ.

მე-4 თავში ვნახეთ, რომ არსებობს ძირეული დამოკიდებულებები, რომელიც მორფოლოგიურად ვლინდება, როგორიცაა შეთანხმება და ბრუნება. ვინაიდან ისინი მორფოლოგიის დონეზეა გამოხატული, მათი კვლევა პატარა ბავშვებში საგრძნობლად უფრო იოლია. მაგალითისთვის ავიღოთ სუბიექტისა და შემასმენლის შეთანხმება. როგორც მე-2 და მე-4 თავში იყო აღნიშნული, ცალკეულ ენებში, როგორიცაა იტალიური, თითოეული ზმნის ფორმა სუბიექტს პირსა და რიცხვში ეთანხმება. ანმყო დროის პარადიგმა (49) – შია მოცემული:

(49).	<i>parlare</i>	‘ლაპარაკი’	
		<i>მხოლობითი</i>	<i>მრავლობითი</i>
	I პირი	<i>parlo</i>	<i>parliamo</i>
	II პირი	<i>parli</i>	<i>parlate</i>
	III პირი	<i>parla</i>	<i>parlano</i>

ჩანართი 6.3

ბავშვის გრამატიკის კვლევის ტექნიკა

ძალიან ადრეული ენის კვლევები ეფუძნება ნატურალისტურ მონაცემებს, ხოლო უფრო მოზრდილ ბავშვების ენის შესწავლა ხორციელდება ექსპერიმენტის საშუალებით. ამის მიზეზი ისაა, რომ 2,5 წლის ასაკამდე ბავშვები ექსპერიმენტის მოთხოვნებზე არ რეაგირებენ, თუმცა როგორც ადრე აღვნიშნეთ, დაინერგა ექსპერიმენტის ახალი ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს მკვლევარს ექსპერიმენტი ჩაატაროს ძალიან პატარა ბავშვებზე – ისეთებზეც, რომლებსაც ლაპარაკი ჯერ არც კი დაუწყიათ! ასეთი მცირე ასაკის ბავშვის ენის შესწავლის ყველაზე გავრცელებული ორგვარი ტექნიკა არსებობს: მოქმედების/მიხედვის დავალებები და სახეცვლილი დასკვნის დავალებები. პირველის შემთხვევაში ბავშვი გამომცდელის მიერ წარმოთქმული წინადადების მიხედვით უნდა ამოძრავდეს. ამას ძირითადად თოჯინების დახმარებით აკეთებენ. მაგალითად, ბავშვს შეიძლება სთხოვონ: ‘შეგიძლია მაჩვენო ლობზე გადამხტარი კატა?’ მეორე სახის ტექნიკის მიხედვით (კრეინი და მაკკი, 1985), ბავშვმა უნდა გადამხტარს მოსმენილი წინადადება შეესაბამება თუ არა ვიდეოს, სურათს ან გამომცდელის მოქმედებას. მაგალითად, როცა ბავშვს აჩვენებენ სურათს ან ვიდეოს, სადაც ერნი კოცნის ბერტს, ბავშვს შესაძლოა ჰკითხოთ: ‘ამ სურათზე კოცნის თუ არა ერნი ბერტს?’

ამ ასაკის ბავშვებში გრამატიკული ცოდნის შესახებ პირდაპირი დასკვნების მიღება საკმაოდ რთულია, თუმცა ზოგიერთმა ექსპერიმენტატორმა წარმატებას მაინც მიაღწია. მაგალითად, გრამატიკულად არასწორი წინადადების მოსმენისას ბავშვი ხშირად იცინის და ზოგჯერ შეუძლიათ “გაასწორონ” არასწორი წინადადება თოჯინის ან რაიმე სათამაშო ცხოველის მიერ წარმოთქმული.

ძალიან პატარა ბავშვებთან ზოგჯერ იმიტაციის დავალებებიც გამოიყენება. მთავარი არსი ამ დავალებების ისაა, რომ მოსმენილ წინადადებას ბავშვი მხოლოდ იმ ფორმით გაიმეორებს, რის საშუალებასაც მისი გრამატიკა მისცემს, რომელიც ბავშვის

მეტყველების ფილტრის ფუნქციას ასრულებს. მეტყველების ტელეგრაფიულ დონეზე კვლევისას, ბავშვი ფუნქციურ მორფემებს ტოვებდა არა მხოლოდ თავის სათქმელში, არამედ სწორად ფორმირებული წინადადების გამეორების დროსაც. მაგალითად, წინადადებას *Mommy will eat an ice cream*, ბავშვი გაიმეორებს *Mommy eat ice cream*. თითოეულ ამ ტექნიკას თავისი უპირატესობაც აქვს და ნაკლიც. კვლევის ტექნიკის შერჩევა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის ბავშვის ასაკზე და გრამატიკის იმ ასპექტზე, რომელიც კვლევის ობიექტია.

როგორც 6.2 ჩანართსა და მე-15 თავშია ნათქვამი, ორ წლამდე ასაკის ჩვილებთან სხვა ტექნიკა გამოიყენება.

უამრავი კვლევაა ჩატარებული იმის გასარკვევად, ემორჩილება თუ არა ბავშვი შეთანხმების წესებს, კერძოდ სუბიექტისა და შემასმენლის შეთანხმებას. სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე შედეგი გამოვლინდა – ბავშვები გასაოცრად ადრეული ასაკიდან ითვისებენ შეთანხმების წესებს. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ ბავშვები ძალიან იშვიათად უშვებენ შეცდომებს შეთანხმებაში. ისინი, ჩვეულებრივ, სწორ შემასმენელს არჩევენ სუბიექტისთვის (მაგალითად, *io parlo* 'მე ვლაპარაკობ', *lui parla* 'ის ლაპარაკობს' და ა.შ.)

შეთანხმების ათვისების პროცესი შეისწავლეს ესპანურში, კატალანიურში, იტალიურსა და გერმანულში. მთლიანობაში შესწავლის შედეგად ასეთი დასკვნა მივიღეთ: 1,5-2,5 წლებში ბავშვების შეთანხმების მაგალითების 96% სწორია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ 2,5 წლის ასაკში ბავშვებმა შეთანხმების მთელი პარადიგმა ზედმიწევნით კარგად იციან. მაგალითად, ბავშვები გვიან იწყებენ მრავლობითი რიცხვისა და მხოლობითი რიცხვის მეორე პირის გამოყენებას. ფლექსიურ მორფემებს ბავშვები ინდივიდუალურად ითვისებენ, შესაძლოა ერთმანეთთან შეპირისპირების გზითაც. რადგან ისინი ერთიანად არ სწავლობენ ენაში არსებულ სიტყვებს, არ ითვისებენ მთელ პარადიგმას ერთდროულად. თუმცა, მნიშვნელოვანია, ითქვას, რომ რა ფორმებიც იციან, იმ ფორმებს სწორად იყენებენ. სრული პარადიგმის არქონა კი მიუთითებს მათ შეზღუდულობას რეფერენტებში და არა გრამატიკაში. (სემანტიკური ცოდნის ათვისების საკითხს ჩვენ კიდევ დავბრუნდებით მე-10 თავში).

შეთანხმების შედეგები რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, იგი გვამცნობს, რომ ბავშვების გრამატიკული ცოდნა მოიცავს ძირეული დამოკიდებულებების ცოდნასაც, რითიც ეს ცოდნა უფრო მეტად ჰგავს უფროსების გრამატიკას. მეორე რიგში, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ბავშვებს აქვთ ფუნქციური სტრუქტურა, რადგან შეთანხმება ფუნქციური კატეგორიაა. და ბოლოს, დამატებით ცნობა გვეძლევა ინფინიტივების ძირის სახით გამოყენების შესახებ, რაც ზემოთ განვიხილეთ. ბავშვები ზმნის უპირო ფორმებს ძირის ფორმით მხოლოდ იმიტომ არ წარმოთქვამენ, რომ შესაბამისი პირიანი ფორმა არ იციან.

მეორე სახის დამოკიდებულება რეალიზდება ბრუნვაში. უამრავ ენაში ნაცვალსახელისა და სფ-ის ფორმა დამოკიდებულია მის ფუნქციაზე წინადადებაში. ამრიგად, როგორც მეოთხე თავში იყო აღნიშნული, სუბიექტები სახელობით ბრუნვაში დგანან, პირდაპირი დამატებებით ბრუნვაში, კუთვნილება ნათესაობითი ბრუნვით გამოიხატება და ა.შ. ინგლისური ბრუნვათა სისტემა მინიმალურ დონემდეა დაყვანილი, რაც მხოლოდ ნაცვალსახელებთან ვლინდება. მაგალითად, *he* არის სახელობითი ბრუნვის ფორმა, *him* ბრალდებითი, *his* ნათესაობითი. სხვა ენებში,

მაგალითად, გერმანულში, ლათინურსა და რუსულში ისეთ დფ-ებსაც აქვთ ბრუნვის ფორმა, რომლებიც ნაცვალსახელებით არ ვლინდება. გერმანული განარჩევს სახელობით, ბრალდებით, ნათესაობით და მიცემით ბრუნვებს, ხოლო რუსულში 6 ძირითადი ბრუნვაა.

ბრუნების ათვისებაზე დაკვირვების შედეგად ვნახავთ, რომ ბავშვები, რომლებიც ითვისებენ მრავალი ბრუნვის მქონე ენას, საკმაოდ მალე იწყებენ ბრუნვის ნიშნების გამოყენებას, თუმცა პარადიგმის ყველაფორმას ერთნაირისიზუსტი თვერგამოთქვამენ. მაგალითად, რუსულად მოსაუბრე ბავშვები 1,5 წლის ასაკში სახელობითი ფორმის გამოთქმებს ზუსტად გამოთქვამენ. მათ ძალიან იშვიათად ეშლებათ სუბიექტისთვის ბრუნვის შერჩევა, რომელიც ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას. პირდაპირ და ირიბ დამატებებსაც ხშირად სწორად უსადაგებენ ბრალდებით და მიცემით ბრუნვებს, თუმცა უფრო ხშირად უშვებენ შეცდომებს, ვიდრე სუბიექტის შემთხვევაში. მსგავსი შედეგები გამოვლინდა გერმანულ ენაზე დაკვირვების დროსაც. გერმანულად მოსაუბრე ბავშვები უფრო დიდი სიზუსტით იყენებენ სახელობით ბრუნვას, ვიდრე ბრალდებითსა და მიცემითს. ორივე ენაში ყველაზე ხშირად უშვებენ შეცდომებს მაშინ, როცა სხვა ბრუნვაა საჭირო, ბავშვები კი სახელობით ბრუნვას იყენებენ, როგორც ეს (50) -შია ნაჩვენები:

- (50) ა. Du hann (უნდა იყოს dich)
შენ-სახ.ბრ. დარტყმა
'მე გირტყამ შენ.'
- ბ. meiner au sauber mach ich saube Mama (უნდა იყოს meinen)
ჩემი ასევე სუფთა გაკეთება მე სუფთა დედა
'მე ჩემ ვასუფთავებ, ვასუფთავებ დედა.'

რითია გამოწვეული ეს შეცდომები? ერთი ჰიპოთეზა, რომელიც შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ, არის ის, რომ ბავშვებმა ან არ იციან შესაბამისი ბრუნვის ნიშანი, ან ბრუნვის განსაზღვრის წესები, ვინაიდან ისინი, ჩვეულებრივ, სწორად იყენებენ ბრალდებით (და სხვა) ბრუნვას. სახელობითი ბრუნვის ობიექტებთან გამოყენება შეიძლება გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ ეს ბრუნვა ამ ენებში **default ბრუნვაა**. ამაში ვგულისხმობთ, რომ დფ-ს სტრუქტურულად არ სჭირდება ბრუნვის ნიშანი. მე-4 თავში წარმოდგენილი წესების თანახმად, დფ-ებს ბრუნვა ენიჭება მათი სტრუქტურული პოზიციის მიხედვით: როცა ზმნის დამატება ბრალდებით ბრუნვაში დგას. თუ ობიექტი ზმნის მიხედვით ბრუნვის განსაზღვრის არეალის გარეთაა, იგი ვერ იქნება ბრალდებით ბრუნვაში. მაგალითად, (51) წინადადებაში დფ Der Johan ზმფ-ის გარეთაა და შესაბამისად იგი სახელობით ბრუნვაშია, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად იგი ობიექტია. მეორე მხრივ კი, ნაცვალსახელი *ihn* ბრალდებით ბრუნვაშია, ვინაიდან იგი დამატების პოზიციაში დგას.

- (51) Der Johan, ich habe ihn gesehen
the Johan-nom. I have him-accus. seen
'რაც შეეხება იოჰანს, მე ის მინახავს'

ამიტომაც შესაძლებელია (50) -ის მსგავსი შეცდომები წარმოადგენდეს ისეთ შემთხვევებს, როცა დამატება სახელობითში უნდა იყოს ბრალდებითის ნაცვლად. მოდით ამას ვუნოდოთ **default ბრუნვის ჰიპოთეზა**. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ ადრეულ გრამატიკაში შეიძლება ბრუნვის მინიჭება

სტრუქტურის მიხედვით ვერ მოხდეს და ასეთ შემთხვევაში, დღ იქნება **default** ბრუნვაში. ამ ჰიპოთეზის დამამტკიცებელ ემპირიულ მაგალითებს მოგვიანებით წარმოვადგენთ, როცა განვიხილავთ ადრეულ ინგლისურში დაშვებულ შეცდომებს.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ინგლისურის ბრუნვათა სისტემა მინიმალურია, ამიტომაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ინგლისურად მოსაუბრე ბავშვები მინიმალური ოდენობის შეცდომებს უნდა უშვებდნენ. მართლაც, ინგლისურის ბრუნვებში შეცდომები არ არის ხშირი. თუმცა არის ერთი შეცდომა, რომელიც ყურადღების ღირსია. ესაა შემთხვევები, როცა ბავშვები ნაცვალსახელებს ბრალდებითი ბრუნვის ფორმით სუბიექტის პოზიციაში იყენებენ, როგორც ეს (52) -შია წარმოდგენილი:

(52) ა. Her have a big mouth.

ბ. Him fall down.

მართალია, ნაცვალსახელით გამოხატული სუბიექტების 10 პროცენტია მხოლოდ ბრალდებით ბრუნვაში, მაგრამ ეს შეცდომა საინტერესოა, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება სხვა ენებში გამოვლენილ შედეგებს. ცოტა ხნის წინ ვნახეთ, რომ გერმანულსა და რუსულში, რომლებსაც ბრუნების უფრო რთული სისტემები აქვთ, ბავშვები საუკეთესოდ განსაზღვრავენ სუბიექტის ბრუნვას. ინგლისურში კი, პირიქით, ყველაზე მეტ შეცდომას სუბიექტის ბრუნვის განსაზღვრისას უშვებენ. რატომ ვხვდებით ინგლისურში ბრალდებით ბრუნვაში ჩასმულ სუბიექტებს? მოდით დავუბრუნდეთ ჩვენს **default** ბრუნვის ჰიპოთეზას. გერმანულსა და რუსულში **default** ბრუნვა არის სახელობითი ბრუნვა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვების შეცდომები მოიცავს **default** ბრუნვის ანუ სახელობითის გამოყენებას ობიექტებთან. ინგლისურში კი პირიქით, ბავშვები სუბიექტებს შეცდომით სვამენ ბრალდებით ბრუნვაში. აღსანიშნავია, რომ ინგლისურში **default** ბრუნვა არის ბრალდებითი. ამის დანახვა ძალიან იოლია თუ ავიღებთ ინგლისურ წინადადებას და შევადარებთ (51) -ში წარმოდგენილ გერმანულ ვარიანტს:

(53) Him, he left the party early.

წინადადების სუბიექტია *he*, მაგრამ თუ ემფატური მიზნებისთვის გავიმეორებთ სუბიექტს, რომელიც *IP*-ის მიღმა იქნება, მივიღებთ ბრალდებითი ბრუნვის ფორმას და იქნება *him*. ამრიგად, ინგლისურში ნაცვალსახელი, რომელსაც სტრუქტურულად შეცვლილი აქვს პოზიცია იღებს ბრალდებით ბრუნვას. კვლევის შემდეგი საკითხია ინფინიტივების ძირის ფორმით გამოყენება, რაზეც ადრეც ვისაუბრეთ. ვლინდება, რომ ბრალდებითი ბრუნვის ფორმით სუბიექტები მხოლოდ და მხოლოდ ძირის ფორმით გამოყენებულ ინფინიტივებთან გვხვდება და არა პირიან ზმნებთან, როგორც ეს (52) -ში ჩანს. ბრალდებით ბრუნვაში ჩასმულ სუბიექტებს ვერ ვხვდებით იმ ზმნებთან, რომლებსაც ანმყო დროში ნიშანი აქვს, მაგალითად, **him does it*. **default** ბრუნვის ჰიპოთეზას ამის ახსნა შეუძლია: სახელობით ბრუნვაში ჩასმის წესი გულისხმობს, რომ დროიანი დამოკიდებული წინადადების სუბიექტი სახელობით ბრუნვაში უნდა იყოს (როგორც ეს მე-2 თავში იყო განხილული).

სხვადასხვა დასკვნის გამოტანა შეიძლება იმ ფაქტიდან, რომ ბავშვები, რომლებიც მრავალბრუნვიან ენებს ითვისებენ, ასე ადრეულ ასაკში ავლენენ ბრუნვის ნიშანთა ცოდნას. პირველ რიგში, ეს მოვლენა კატეგორიულად უპირისპირდება პრეფუნქციური გრამატიკის იდეას, ვინაიდან სუბიექტისა და შემასმენლის შეთანხმება და ბრუნება ფლექსიური კატეგორიებია. მეორე, იგი გვიჩვენებს, რომ ბავშვებმა იციან

დამოკიდებულება სტრუქტურულ პოზიციებსა და ბრუნვებს შორის. ასე რომ არ იყოს, მათ მიერ ბრუნვების მინიჭება შემთხვევითი იქნებოდა, ეს კი სიმართლეს არ შეესაბამება.

**ჩანართი
6.4**

მორფოლოგიურად გადაჭარბებული განზოგადება

ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი მოვლენა ენაში არის მორფოლოგიურად გადაჭარბებული განზოგადების ათვისება. იგი გვხვდება მაშინ, როცა ბავშვი გრამატიკულ წესს უფრო განზოგადებულად იყენებს, ვიდრე უფროსები. ამ მოვლენის ყველაზე ტიპური მაგალითებია შემდეგი სახის ფორმები: *eated, goed, tooths*, სადაც ბავშვი ჩვეულებრივი წესით აწარმოებს იმ სიტყვების წარსულ დროსა და მრავლობით რიცხვს, რომლებიც ჩვეულებრივ არანესიერი ფორმით გამოხატავენ ამ გრამატიკულ კატეგორიებს: *ate, went, teeth*. გადაჭარბებული განზოგადების “შეცდომები” ძალიან მნიშვნელოვანი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ბავშვები ენას იმიტაციის გზით არ ითვისებენ (ისინი *eated* ფორმას მშობლებისგან ვერ ისწავლიდნენ).

შეიძლება თუ არა (52) -სა და (54) -ში დაშვებული შეცდომებიც განვიხილოთ, როგორც გადაჭარბებული განზოგადების შემთხვევები?

6.10.1 უკუთქმითები

დამოკიდებულების კიდევ ერთი სახე გამოხატულია ანაფორებით. **ანაფორა** არის სიტყვა, რომლის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია წინადადების სხვა ელემენტზე. უკუთქმითი ნაცვალსახელები ანაფორის ერთ-ერთი სახეა. უკუთქმითი ნაცვალსახელი *himself* (54) წინადადებაში გულისხმობს *Macbeth*-ს. ელემენტს, რომელიც ანაფორის ალსანიშნს განსაზღვრავს, ჰქვია **წინმსწრები**. (54) -ში *Macbeth* არის *himself*-ის წინმსწრები.

(54) *Macbeth cut himself.*


როგორც მე-4 თავში იყო განხილული, უკუთქმითისა და წინმსწრების დამოკიდებულებას მართავს ორი პრინციპი: **clausemate** პირობა და კატეგორიათა შერჩევის პირობა. **clausemate** პირობა გულისხმობს, რომ უკუთქმითი და მისი წინმსწრები აუცილებლად წინადადების ერთ ნაწილში უნდა იყოს. (55) -ში ეს წესი დარღვეულია.

(55) * *Macbeth said that you cut himself.*

კატეგორიათა შერჩევის პირობის თანახმად კი, წინმსწრები უნდა ურჩევდეს კატეგორიას ანაფორას.

(54) -ში დღ *Macbeth*, რომელიც არის სუბიექტი, კატეგორიას ურჩევს *himself*-ს, როგორც (56) -ში ჩანს.

(56)




განვიხილოთ (57) წინადადება:

(57) Macbeth's friend cut himself.

ეს წინადადება უკვე აღარ ნიშნავს 'Macbeth cut himself' და აღარც 'Macbeth cut his friend' დღე Macbeth ვეღარ იქნება უკუთქმითის წინმსწრები, ვინაიდან უკუთქმითი აღარ არის Macbeth-ის **c** კატეგორიათა შერჩევის არე. ყოველივე უფრო ნათლად რომ დავინახოთ, დავხაზოთ შემდეგი ხე:

(58)



დფ1, *Macbeth*-ის **c** კატეგორიას *himself*-ს. მეორე მხრივ, დფ2 ურჩევს, ამიტომაც ერთადერთი წინმსწრები *himself*-ისთვის არის *Macbeth's friend*.



ნახატი 6.2ა კონკიას და საკუთარ თავს ეხება.

აქვთ თუ არა ბავშვებს უკუთქმითობის პრინციპი? ეს კითხვა სამ დამოუკიდებელ შეკითხვას ბადებს: (1) იციან თუ არა ბავშვებმა, რომ *himself/herself* ანაფორებია? (2) იციან თუ არა კატეგორიათა შერჩევის პირობა? და (3) იციან თუ არა **clausemate** პირობა? უამრავი კვლევა ჩატარდა ამ საკითხების შესასწავლად. ერთ-ერთ კვლევაში 2,5-6,5 წლის ასაკის ბავშვებს მისცეს (59) -ის მსგავსი წინადადებები და სთხოვეს სურათისა და წინადადების მისადაგება. ერთ სურათზე კონკიას და საკუთარ თავს ეხება, ხოლო მეორეში კონკიას და კონკიას ეხება, როგორც ეს 6.2ა და 6.2ბ ნახატებზე ჩანს.

(59) *Cinderella's sister is touching herself.* - კონკიას და საკუთარ თავს ეხება.

როგორც ზემოთ იყო განხილული, ამ წინადადების ერთადერთი გრამატიკულად სწორი ინტერპრეტაცია არის ის, რომ კონკიას და საკუთარ თავს ეხება. *Cinderella* ვერ



ნახატი 6.2.ბ კონკიას და კონკიას ეხება

იქნება წინმსწრები. ამრიგად, თუ ბავშვებმა იციან კატეგორიათა შერჩევის პირობა, უკუთქმითისა და წინმსწრებს შორის დამოკიდებულებების გამომხატველი, ისინი აირჩევენ

იმ სურათს, რომელშიც კონკიას და საკუთარ თავს ეხება და არა იმას, რომელშიც და კონკიას ეხება. ამ ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ დაახლოებით 5 წლის ასაკის ბავშვებმა სწორად მიუსადაგეს წინადადებას სურათი. ვინაიდან კატეგორიათა შერჩევა იერარქიულ სტრუქტურას გულისხმობს, ასეთი შედეგები მიუთითებს, რომ ბავშვები უფროსების მსგავს სტრუქტურას ითვისებენ.

ჩანართი
6.5

სტრუქტურული დამოკიდებულება ადრეულ გრამატიკაში

ზოგჯერ ვარაუდობენ, რომ ბავშვები ანაფორისთვის უახლოეს წინმსწრებს არჩევენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი 'მინიმალური დისტანციის სტრატეგია' არ არის სტრუქტურული დამოკიდებულების გამომხატველი, ვინაიდან გულისხმობს ხაზოვან და არა იერარქიულ სტრუქტურას წინადადებაში. ამრიგად, თუ ბავშვები იყენებენ მინიმალური დისტანციის სტრატეგიას, ისინი ენის ძირითად სტრუქტურას არღვევენ. უკუთქმითებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ბავშვები ასეთ ხაზოვან სისტემას არ იყენებენ, რადგან წინადადებაში უახლოესი წინმსწრები *sister* იყო, მათ უნდა აერჩიათ სურათი, რომელშიც კონკიას და საკუთარ თავს ეხებოდა (სწორი პასუხი, მაგრამ მცდარი გზით მიღებული), ეს კი ასე არ მოხდა. *classmate* ექსპერიმენტებმაც დაადასტურა, რომ მინიმალური დისტანციის სტრატეგიას ბავშვები არ იყენებენ, ვინაიდან მათ აირჩიეს ყველაზე შორს მდგომი დღ. ამრიგად, ექსპერიმენტებმა გამოიჩინა ვარაუდი, რომ ისინი სტრუქტურისგან დამოუკიდებელ წესებს იყენებენ.

ყველაზე პატარები, რომლებმაც ვარაუდით უპასუხეს, 4 წლამდე ასაკისანი იყვნენ და მათგან 50%-მა სწორი პასუხი გასცა. რატომ ირჩევენ უფრო პატარა ბავშვები არასწორ პასუხს? პირველი მიზეზი ის შეიძლება იყოს, რომ მათ არ იციან კატეგორიათა შერჩევის პირობა. მეორე მიზეზის თანახმად პატარებმა ჯერ არ იციან, რომ *himself/herself* ანაფორებია. უფრო ადრე აღვნიშნეთ, რომ სამი განსხვავებული ასპექტი არსებობს უკუთქმითებთან დაკავშირებით, რომელთაგან პირველი გულისხმობს იმის სწავლას, რომ *himself/herself*-ის მსგავსი გამოთქმები უკუთქმითია. გაიხსენეთ, რომ ენაში სიტყვები უნდა ისწავლებოდეს სინტაქსურ მახასიათებელთან ერთად. ლექსიკის ასეთი სახით სწავლება კი გულისხმობს ენასთან ურთიერთობის უფრო ხანგრძლივ გამოცდილებას. ერთი შესაძლო ვარიანტი ისაა, რომ ბავშვები დასაწყისში არასწორად ანალიზებენ *himself/herself*-ს და ანალოგიას ხედავენ 'მესამე პირის სხეულთან'. ამგვარ გაგებას ხელს უწყობს '*himself*'-ის ნაცვლად ბავშვების მიერ '*hissel*' ფორმის ხშირად გამოყენება. თუ საქმე მართლაც ესაა, მაშინ *himself/herself* თავდაპირველად უნდა მიიჩნეოდეს არაუკუთქმით, სპეციალური ტიპის ნაცვალსახელად. (60) წინადადებაში ვხედავთ, რომ *herself* გულისხმობს *her body*-ს, სადაც დღ1 და დღ2 ორივე შეიძლება იყოს წინმსწრები:

- (60) Cinderella's sister touched her body.
= Cinderella's sister touched her own body.
= Cinderella's sister touched Cinderella's body.

ბავშვები ორივე წინმსწრების აღქმას აგრძელებენ მანამ, სანამ ხელახლა არ გააანალიზებენ *himself/herself*-ს და არ მიანიჭებენ მას უკუთქმითი ნაცვალსახელის სტატუსს. ამის შემდეგ კი მოქმედებას იწყებს შესაბამისი შეზღუდვა. ვთვლით, რომ კატეგორიათა შერჩევის და **classmate** პირობები უნივერსალური გრამატიკის

ნაწილებია, მაგრამ ისინი გავლენას არ ახდენენ ამ შემთხვევაზე, ვინაიდან ბავშვებმა აქ ლექსიკური შეცდომა დაუშვეს.

ასევე შემონიშნა ბავშვების მიერ **clausemate** პირობების ცოდნაც. ამ კვლევისას ბავშვებს ისეთი რთული წინადადებები მისცეს, როგორც (61) -შია წარმოდგენილი:

(61) *Mulan says that (Sarah) should point to herself.*

ბავშვს უთხრეს გაეთამაშებინა მოსმენილი წინადადება. ქვემოთ (ფრჩხილებში) სუბიექტი მოიცავს ბავშვის სახელს, ამ შემთხვევაში *Sarah*, ხოლო *Mulan* - მისი თოჯინაა. სწორი, უფროსების მსგავსი პასუხი იქნებოდა, ბავშვს რომ საკუთარ თავზე მიეთითებინა, ხოლო არასწორი პასუხის შემთხვევაში – მულანზე.

შედეგებმა აჩვენა, რომ 5-დან 5,5 წლამდე ასაკის ბავშვები ასრულებდნენ დავალებას, რითიც ავლენდნენ ცოდნას **clausemate** პირობის შესახებ. უფრო პატარა ბავშვები მულანზე უთითებდნენ. 2,5-3 წლამდე ასაკის ბავშვების მხოლოდ 20%-მა უპასუხა კითხვას სწორად. ეს კატეგორიათა შერჩევის დავალებაზე ჩატარებულ ექსპერიმენტზე მიღებულ შედეგზე უარესია, სადაც 50% იყო სწორი პასუხი. თუ გავყვებით ჩვენს ჰიპოთეზას, რომ ბავშვები თავიდან უკუთქმით *herself/himself* ნაცვალსახელებს კუთვნილების გამომხატველად მიიჩნევენ, დავინახავთ, რომ მართლაც შესაძლებელია, კუთვნილებითმა ნაცვალსახელმა წინმსწრებად წინადადებაში მისი უშუალო მეზობელი არ მიიღოს. ეს ნაჩვენებია (62) -ში, სადაც *her* გულისხმობს სარას ან მულანს.

(62) *Mulan says that (Sarah) should point to her body.*

= *Sarah should point to Sarah's body.*

= *Sarah should point to Mulan's body.*

ჩვენი ჰიპოთეზა მიუთითებს, რომ ორივე სუბიექტი შეიძლება იყოს წინმსწრები იმ ბავშვებისთვის, ვინც არ იცის, რომ *himself/herself* უკუთქმითებია. რატომ ვლინდება ყველაზე პატარებშიც ტენდენცია იერარქიულად ყველაზე მაღლა მდგომი სუბიექტის შერჩევისა? ამ კითხვისთვის პასუხის გასაცემად საჭიროა დაეუბრუნდეთ ჩვენს განხილვას ლინგვისტური ვარიაციის შესახებ. ირკვევა, რომ არსებობს ენები, სადაც კუთვნილებითი ნაცვალსახელები ინგლისური კუთვნილებითი ნაცვალსახელებისგან განსხვავებულად „იქცევიან“. ინგლისურში კუთვნილების კონსტრუქციაში გამოყენებული ნაცვალსახელი შეიძლება ეხებოდეს წინმსწრებს წინადადების იმავე ნაწილში. ეს ილუსტრირებულია (62) -ში, სადაც *her* შეიძლება ეხებოდეს სარას. სხვა ენებში კი, როგორცაა მაგალითად, ისლანდიური, კუთვნილებითი კონსტრუქციაში გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი ვერ იქნება წინმსწრები. (63) -ში *hann* შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ *Pétur*-ს და არა *Jón*-ს.

(63) *Pétur segir að Jón pvoi bilinn i hverri viku*

Petur says that John washes car-the his in every day.

‘პიტერი ამბობს, რომ ჯონი მის (=პიტერის)

მანქანას რეცხავს ყოველ დღე’.

როგორც ვხედავთ, ინგლისურად მოსაუბრე პატარები *himself/herself*-ს ეპყრობიან არამხოლოდ როგორც კუთვნილებითი კონსტრუქციას, არამედ როგორც კუთვნილებითი კონსტრუქციის ისლანდიურ ვარიანტს. ამრიგად, როცა (61) -ის მსგავს წინადადებას ისმენენ, ისინი არჩევენ წინმსწრებს, რომელიც წინადადების იმავე ნაწილში არ არის. ეს ‘შეცდომა’ სწორდება მას შემდეგ, რაც ისინი ინგლისურ წინადადებებს ისმენენ, სადაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი წინადადების შიდა წინმსწრებს

ეხება, როგორც წინადადებაში *Mulan washed her clothes*. ამ თვალსაზრისით, მათ თანაბრად დასაშვებად უნდა მიიჩნიონ წინადადების შიდა და წინადადების გარე დფები წინმსწრებებად. ეს კი ხდება დაახლოებით 4,5 წლის ასაკში. ნელ-ნელა ისინი ასევე სწავლობენ, რომ *himself/herself* უკუთქმითებია, რაც დაახლოებით 5,5 წლის ასაკში ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ცვლილება გაუცნობიერებლად ხდება.

ბავშვის მიერ უკუთქმითების აღქმა მიუთითებს უფრო ზოგად საკითხზე, რომელიც ათვისებას ეხება – სიტყვების იდიოსინკრაზული ლექსიკური თვისებები უნდა ისწავლოს ბავშვმა. მან უნდა დაიმასხვროს სიტყვების გამოთქმა და მნიშვნელობა, ასევე ათვისოს ცალკეული სიტყვის სინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლები. ეს მახასიათებლები მოიცავენ იმის გარკვევას, ელემენტი ანაფორაა თუ ნაცვალსახელი. ვინაიდან არსებობს სხვადასხვა სახის ნაცვალსახელები და ანაფორები, ბავშვმა უნდა დაადგინოს, თუ რომელი სახე გამოიყენება მის კონკრეტულ ენაში.

6.11 შეჯამება

სიტყვებისა და წინადადებების აგების ცოდნა ნათლად ჩანს ენის განვითარებაში. მორფოლოგიაში ვნახეთ, რომ ძალიან ადრეულ ასაკშიც ბავშვებმა იციან მორფემათა ტიპები და წესები, რითიც მათი გაერთიანება ხდება. უფრო მეტიც, ბავშვები მგრძობიარენი არიან მათი შესასწავლი ენის ფუნდამენტური სიტყვათსტრუქტურებისადმი. მაგალითად, შეუძლიათ თუ არა ძირები იყვნენ ცალკე სიტყვები. ისინი ეჯაჭვებიან ამ მოდელს მაშინაც კი, როცა გამონაკლისებს აწყდებიან. ეს ხდება მანამ, სანამ მათი გრამატიკა არ მომნიფდება იქამდე, რომ გამონაკლისების აღქმა შეძლოს. იმ მორფოლოგიური პროცესებისა და წესების ბოლომდე ათვისება, რომლებიც არ ემორჩილება ზოგად პრინციპებს, საკმაოდ გვიან ხდება.

როცა მივუბრუნდებით სინტაქსის განვითარებას, მსგავს შედეგს მივიღებთ. ბავშვებმა იციან ასათვისებელი ენის ზოგიერთი სისტემის ცალკეული თვისებები. ეს ძირითადად ვლინდება ადრეული პერიოდის პარამეტრებში. ასევე გვაქვს დამამტკიცებელი საბუთიც, რომ ბავშვებს გრამატიკის ზოგადი პრინციპები უნდა ვასწავლოთ, მათ შორის ფუნქციური სტრუქტურა, სინტაქსური დამოკიდებულება.

ეს თავი შეგვიძლია დავასრულოთ პირველ თავში წარმოდგენილი საკითხით, რომელიც ეხებოდა კავშირს ლინგვისტურ თეორიასა და ენის ათვისებას შორის. ხსენებული თეორია მიგვითითებს, რომ განვითარების გარკვეულ ეტაპზე ბავშვები ავლენენ 'შეცდომებს'. ბავშვებს არ აქვთ სირთულე იმ მახასიათებლებთან, რომლებიც უნივერსალური გრამატიკის ნაწილებად მოიაზრებიან. თუმცა ასაკის მატებასთან ერთად, ისინი ასწორებენ ბავშვთა ენის ხარვეზებს.

შენიშვნები

1. ბავშვების ენის ბევრი მაგალითი მოყვანილია წიგნიდან *Child Language Data Exchange System* (MacWhinney and Snow 1985.)

2. Aksu-Koç, and Slobin, D. 1985. The acquisition of Turkish. In D. Slobin, ed., *The Crosslinguistic Study of Language Acquisition, Vol. I: The Data*, p. 854. Hillsdale, NJ: Erlbaum.

საკითხავი ლიტერატურა

- Cairns, H. 1996. *The Acquisition of Language*. Austin, TX: Pro-Ed.
- Goodluck, H. 1991. *Language Acquisition: A Linguistic Introduction*. Cambridge: Basil Blackwell.
- Hyams, N. 1986. *Language Acquisition and the Theory of Parameters*. Dordrecht: Reidel.
- Lightfoot, D. 1992. *Biology of Grammar*. Cambridge, MA: MIT Press.
- Radford, A. 1990. *Syntactic Theory and the Acquisition of English Syntax*. Cambridge: Basil Blackwell.
- In addition to those cited in the text, the following referenves were consulted: Radford 1986, Hickey 1990, Wexler 1994, Hoekstra and Hyams 1998, McDaniel, Cairns and Shu 1990

ნაწილი III

სემანტიკა

სემანტიკა I: კომპოზიციურობა

შინაარსის სარჩევი

7.0 შესავალი

7.1 კომპოზიციურობა

7.2 ლოგიკური გამომდინარეობა

7.3 გავრცობითი სემანტიკა

7.3.1 შემასმენლები და არგუმენტები

7.3.2 გავრცობა და გაძლიერება

7.3.3 მსაზღვრელები და არსებითი სახელები

7.3.4 გარემოებები: რეკურსია და კომპოზიციურობა

7.4 მტკიცება და ვარაუდი


7.5 სიტყვის მნიშვნელობის მომცველი კროს-ლინგვისტური შედარებები

7.6 დასკვნა

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა
სავარჯიშოები

7.0. შესავალი

წინა თავში განხილულთა მსგავსი შემადგენელთა სტრუქტურა გამოთქმაში შემავალ ნაწილებს გვიჩვენებს, რასაც ამ ენის ნებისმიერი სპეციალისტი შემდეგნაირად აანალიზებს:



ამ წინადადების ანალიზისას საჭიროა განვსაზღვროთ რას გულისხმობს ქვემდებარის ფრაზა და ზმნური ფრაზა და ასევე ყველა სხვა შემადგენელი ნაწილი, ასევე ამ ხეში გადმოცემული ურთიერთდამოკიდებულება. თუმცა ენის სპეციალისტობა გაცილებით მეტს მოითხოვს. კონკრეტული ენის სპეციალისტი ვალდებულია იცოდეს რა სახის სტრუქტურა აქვს ამ ენას.

სემანტიკური თეორია შეისწავლის გამოთქმათა მნიშვნელობების ლინგვისტურ ასპექტებს. თუმცა საკმაოდ რთულია მნიშვნელობის ლინგვისტური ასპექტებისა და ზოგადი ცოდნის ერთმანეთისაგან გარჩევა. მაგალითად, რაც ზემოთ მოყვანილი წინადადების გასაგებადაა საჭირო, არის იმ ცოდნის მცირე ნაწილი, რაც ინგლისურად

მოსაუბრეს აქვს გრძნეულებზე, უფლისწულებსა და მოჯადოებაზე. ამ წინადადებას კარგად გაიგებს ისიც, ვისაც სჯერა ჯადოქრების არსებობა და ისიც, ვისაც ამისი არ სწამს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ წინადადების გააზრება არ მოითხოვს, მაგალითად, იმის ცოდნას, არსებითი სახელი „ჯადოქარი“ რას აღნიშნავს, ან რეალურია ის თუ არა. თუმცაღა, წინადადების გაგება გულისხმობს, რომ ჩვენ გვესმის ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა კონკრეტული დამოკიდებულება ამ და სხვა წინადადებებს შორის. მაგალითად, მოსაუბრე ვერ გაიგებს წინადადებას:

(2) Quince is a blond carpenter.

თუკი არ იცის, რომ ამ წინადადების სისწორე გულისხმობს მომდევნო წინადადების სისწორესაც:

(3) Quince is a carpenter.

როდესაც ერთი წინადადების სისწორე მეორე წინადადების მართებულობას გულისხმობს, ჩვენ ასეთ დროს ვამბობთ, რომ პირველი გულისხმობს მეორეს. ამგვარად, წინადადება (2) გულისხმობს წინადადება (3) -ს. წინადადებას შორის ამგვარი კავშირი დამოკიდებულია არა მხოლოდ სიტყვათა კატეგორიებსა და ფრაზაში მათ ადგილზე, არამედ მათ მნიშვნელობაზე. ამგვარად, ესაა **სემანტიკური კავშირი**. ყურადღება მიაქციეთ, რომ წინადადებები (4) და (5) შედგება იმავე კატეგორიის სიტყვებისგან, რომლებიც ისეა დალაგებული რომ წინადადების მსგავსი სტრუქტურა შექმნას, მაგრამ (4) არ გულისხმობს (5) -ს.

(4) Quince is a fake lion.

(5) Quince is a lion.

ისეთი კავშირის გამოცნობა, როგორცაა **entailment**, რომელიც აკავშირებს (2) და (3) წინადადებებს და არა (4) -ს და (5) -ს, დამოკიდებულია სიტყვების მნიშვნელობაზე და არა წინადადებების მართებულობაზე. უფრო სწორად, დამოკიდებულება ლინგვისტურია, რაც ყველა ენის სპეციალისტმა იცის. სემანტიკური თეორია გულისხმობს ენის ასეთი ტიპის ცოდნას.

სემანტიკა ლინგვისტურ თეორიაში

ადამიანური ენის თეორიაში სემანტიკის საჭიროება საკამათოა. მაგალითად, ნოამ ჩომსკი (1995) ამბობს: „ბუნებრივ ენას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სინტაქსი და პრაგმატიკა; მას აქვს 'სემანტიკა' მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის სწავლობს, თუ როგორ გამოიყენება ეს იარაღი მეტყველ საზოგადოებაში, რომლის ფორმალური სტრუქტურა და გამოთქმათა შესაძლებლობები სინტაქსის შესწავლის საგანია.“ ჩომსკის ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ბუნებრივი ენა მოსაუბრის შინაგან სამყაროშია და ის არაა მოწოდებული გარე სამყაროს მოვლენების აღნიშვნისთვის. ჩომსკი ამბობს: „სრულიად გაურკვეველია ის ფაქტი, რომ ბუნებრივი ენის თეორია 'მნიშვნელობას', 'სიმართლეს' და ა.შ. უკავშირებს ზოგიერთ ისეთ ცნებას, როგორცაა მნიშვნელობის ტექნიკური თეორია“.

რა თქმა უნდა, მართალია, რომ ლინგვისტური თეორია არ უნდა იყოს მიმართული ჰამლეტის ტიპის სახელების მნიშვნელობის განსასაზღვრად, ისევე, როგორც მიზნად არ უნდა ისახავდეს იმის გარკვევას, თუ ზმნური ფრაზა „live in the forest“, რამდენად

შეესაბამება სიმართლეს. ეს მოსაუბრისგან დამოუკიდებელ გარემო ფაქტორებს უკავშირდება და ძალიან შორს დგას ლინგვისტიკისგან. მაგრამ ამგვარი დაკვირვება არ გვაძლევს დასკვნის გაკეთების უფლებას, თითქოს მოსაუბრეებს გამოკვეთილი სემანტიკური ცოდნა არ გააჩნდეთ. ლოგიკური გამომდინარეობა, რაც აკავშირებს (1) და (2) წინადადებებს, აშკარად ეფუძნება მნიშვნელობას: თუკი (1) მართალია, მაშინ ჭეშმარიტია (2) -ც. ეს კავშირი შეიცნობა მიუხედავად იმის ცოდნისა, რეალურ სამყაროში ეს წინადადებები სიმართლეს აღნიშნავენ თუ არა და ასევე როგორ გამოიყენება ეს წინადადებები დისკურსში. თუმცა, კვლევის ამგვარი გზა შეიძლება სხვადასხვა მხრივ იყოს განპირობებული.

ზოგიერთი ფილოსოფოსი დავობდა, რომ შეუძლებელია ზუსტი განსხვავების პოვნა ლინგვისტურ ცოდნასა და სამყაროზე ზოგად ცოდნას შორის. ზოგი ლინგვისტი ირწმუნებოდა, რომ ლოგიკური გამომდინარეობა და სხვა მისი მსგავსი წინადადებებს შორის კავშირის ტიპები შეიძლება განხილულ იქნეს სინტაქსურად, მიუხედავად იმისა, რეალურ ფაქტს გამოხატავს ის თუ არა. ძირითადად საკითხებმა დიდი გავლენა იქონიეს ლინგვისტების მიერ საგნის კვლევაზე. საბედნიეროდ, ბევრი საინტერესო რამის თქმა შეიძლება სემანტიკურ მახასიათებლებზე საკითხთა სრული განზოგადების გარეშე, რასაც ვნახავთ ამ და მომდევნო თავში.

7.1 კომპოზიციურობა

ადამიანის უნარი, შეიცნოს წინადადებების ურთიერთდამოკიდებულება, არ შემოიფარგლება რამდენიმე წინადადებით, არამედ მოიცავს უსაზღვრო ოდენობის წინადადებებს, რის საშუალებასაც ენა გვაძლევს. გერმანელმა მოაზროვნემ და ფილოსოფოსმა გოტლობ ფრიდმან (1923) აღნიშნა და შემოგვთავაზა ზოგადი აზრი, თუ როგორ უნდა შევხედოთ ამ საკითხს:

„გასაოცარია ენის შესაძლებლობები. რამდენიმე მარცვლის საშუალებით მას შეუძლია უთვალავი ფიქრის გადმოცემა იმგვარად, რომ დედამიწის ნებისმიერი მკვიდრის მიერ გაგონილი ეს ნააზრევი პირველივე ჯერზე შეიძლება გასაგები გახდეს იმისთვისაც კი, ვისთვისაც ეს ფიქრი სრულიად ახალია. ეს შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენ რომ არ შეგვეძლოს ფიქრის ნაწილთა შესატყვისება წინადადების წევრებთან. ამგვარად, წინადადების სტრუქტურა ემსახურება ფიქრის სტრუქტურის ასახვას.“

მთავარი აზრი ამ ნათქვამში ისაა, რომ ჩვენ წინადადებებს მათი შემადგენელი ნაწილების გააზრებითა და წინადადების სტრუქტურის მიხედვით წევრების ერთმანეთთან დაკავშირების გზით ვიგებთ. ეს საშუალებას გვაძლევს ნაცნობი სიტყვებისა და მათი დაკავშირების წესების მნიშვნელობები გავიაზროთ მაშინაც კი, როცა წინადადება პირველად გვესმის. ინტუიტიურ აღქმაში წინადადებას აქვს თავისი წევრების მნიშვნელობა, ისევე როგორც სურათს აქვს ფრაგმენტები, რომლებიც შეესაბამება სრული სცენის ნაწილებს. ეს შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ენაში გამოთქმების შინაარსების ემპირიული დასაბუთება, რაც ნაწილობრივ მოტივირებულია იმ ფსიქოლოგიური ჰიპოთეზით, რომ ადამიანები რთული გამოთქმის მნიშვნელობას შემდეგნაირად საზღვრავენ:

სემანტიკური კომპოზიციურობა - წინადადების შინაარსი განისაზღვრება მისი ნაწილების მნიშვნელობებით და მათი დაკავშირების გზებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სემანტიკის განსაზღვრის წესები ისევე **რეკურსიულია**, როგორც სინტაქსური და მორფოლოგიური წესები. ადამიანები წინადადებას იგებენ წინადადების წევრების გაგებით და იმის გააზრებით, თუ როგორაა ეს ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებული.

სემანტიკისადმი კომპოზიციური მიდგომის ანალიზისას უნდა ითქვას, რომ სემანტიკური თეორია ორი ასპექტისგან შედგება: ენის ძირითადი ელემენტების მნიშვნელობათა სიმრავლე და იმის გამოთვლა-გამოანგარიშება, თუ როგორაა რთული გამოთქმის მნიშვნელობა აგებული მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობებისგან.

შესაბამისი ნაწილები აქ არის სინტაქსური შემადგენლები, ხოლო შემადგენელთა დაკავშირების გზები მოცემულია სინტაქსურ თეორიაში. როგორც წინა თავში ვნახეთ, სინტაქსი აკავშირებს სიტყვებს უფრო დიდ ერთეულებად და (1) -ის მსგავსი ხეები გვიჩვენებენ როგორ ხდება ეს შეკავშირება. ვინაიდან ენის ძირითადი ელემენტების, მორფემების მნიშვნელობები არ გამომდინარეობს სხვა დანარჩენი ნაწილების მნიშვნელობებიდან, საჭიროა ამ ძირითადი მნიშვნელობების შესწავლა. კონკრეტულ ენაზე ნებისმიერ მოსაუბრეს ეცოდინება ამ ენის ძირითადი მნიშვნელობების განსაზღვრული ოდენობა, მაგრამ ეს ნაწილები შეიძლება დაუკავშირდნენ ერთმანეთს უამრავი განსხვავებული და მნიშვნელობის მიმნიჭებელი გზით.

7.2 ლოგიკური გამომდინარეობა

დავინყოთ წინადადებას შორის სემანტიკური ურთიერთობის იმ სახის განხილვით, რომელიც მოცემული იყო შესავალში. ჩვენ ვნახეთ, რომ ლინგვისტიკის კომპეტენციის ფარგლებს სცდება, მაგალითად, იმის გარკვევა რა სახის საგნებია „ჯადოქრები“ და „ტყეები“, მაგრამ ინგლისურად მოსაუბრე ნებისმიერი ადამიანი მიხვდება, რომ თუ (2) წინადადება მართალია, მაშინ ჭეშმარიტია (3) -ც. ამის მსგავსად, ნებისმიერი მოსაუბრე მიხვდება, რომ თუ (6) სწორია, მაშინ სწორია (7) -ც:

(6) Julius Caesar was a famous man.

(7) Julius Caesar was a man.

მოდით, განვმარტოთ ჩვენთვის საინტერესო კავშირის სახე შემდეგნაირად:

წინადადება S1 გულისხმობს S2 წინადადებას, ვინაიდან, როცა S1 მართალია სიტუაციაშიდან გამომდინარე, მაშინ S2-ც ჭეშმარიტია იმავე სიტუაციაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლოგიკურად გამომდინარეობს მხოლოდ გარკვეული შესაძლო შემთხვევები, როდესაც წინადადებები სწორია ასეთი კავშირი ინტერესდება უფრო რთული შეხედულებით, თუ რამდენად რელევანტურია ერთმანეთთან სხვა სიტუაციაში ეს ორი წინადადება. ლოგიკური გამომდინარეობის ამგვარ დეფინიციას გასაოცარი შედეგები მოჰყვება ხოლმე და მათი გათვალისწინება დაგვეხმარება ზუსტად დავინახოთ ის კავშირი, რაზეც ვსაუბრობთ.

ზოგი წინადადება ჭეშმარიტია ყველა შესაძლო სიტუაციაში. მე-6 წინადადება მართალი ჩანდა, თუმცა თავისუფლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, სადაც ის უკვე სიმართლეს აღარ შეესაბამება. კეისარი შეიძლება არ ყოფილიყო ცნობილი. მეორე მხრივ კი, ისეთი წინადადებები, როგორიცაა მე-8, მე-10-ე ჭეშმარიტია ნებისმიერ სიტუაციაში.

(8) Either there are withches in the forest ot there aren't.

(9) People are people.

(10) The number four is even.

ამ წინადადებების მნიშვნელობის ჩვენებით ვხედავთ, რომ ისინი ჭეშმარიტია იმის მიუხედავად, რა და როგორ იცვლება რეალურ სამყაროში. ეს წინადადებები ჭეშმარიტია მხოლოდ მათი შინაარსის წყალობით. წარმოუდგენელია სიტუაცია, რომელშიც ეს წინადადებები მცდარი აღმოჩნდება. ვინაიდან ეს წინადადებები ყველა სიტუაციაში მართალია, ჩანს, რომ თუკი (4) მართალია, მაშინ ასევე სწორია (8): (4) გულისხმობს (8) -ს. ფაქტობრივად კი ყველა წინადადება გულისხმობს (8) -ს, (9) -ს და (10) -ს. მაშინაც კი, როცა (4) წინადადება მცდარია, ის მაინც გულისხმობს (8), ვინაიდან (8) ჭეშმარიტია ნებისმიერ გარემოებაში. მსგავსად ამისა, წინადადება (11) გულისხმობს (12) -ს, მაგრამ (12) არ გულისხმობს (11):

(11) Viola has stockings.

(12) Brown hedgehogs are hedgehogs.

ლოგიკური გამომდინარეობა და ალბათობები

ჩანართი
7.2

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ლოგიკური გამომდინარეობების განმარტების გააზრებისათვის საჭიროა სწორი წარმოდგენა გვექონდეს ალბათობებზე, ვინაიდან ძალიან ბევრი განსხვავებული ტიპის ალბათობა არსებობს და საჭიროა მათ გარჩევაზე ვივარჯიშოთ. საინტერესო ფაქტია, რომ ადამიანურ ენაში, გარდა იმ წინადადებებისა, რომელთა სიმართლე-სიცრუე დამოკიდებულია გარე სამყაროზე, არსებობს ისეთი წინადადებები, რომელთა მართებულობა გამომდინარეობს მათი მნიშვნელობიდან, ანუ ისინი არ მოიცავენ ინფორმაციას სამყაროს შესახებ. ამ ტიპის ალბათობა განსხვავდება ფიზიკური ალბათობისგან. მაგალითად, ფიზიკურად შეუძლებელია სინათლის სიჩქარეზე სწრაფად გადაადგილება, მაგრამ ეს არ არის ლინგვისტური ფაქტი. „*Nothing travels faster than the speed of light*“ – ამ წინადადების შინაარსი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ყოველთვის სწორია და ამგვარად, ეს წინადადება არაა ნაგულისხმევი (11) წინადადებაში, მაგალითად ისე, როგორც ეს წინადადება (12) არის. რამდენადაც ლინგვისტიკა ამის საშუალებას გვაძლევს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სიტუაციები, სადაც ეს წინადადება მცდარია, რასაც ხშირად აკეთებენ მწერლები. აშკარაა, რომ ლოგიკური ალბათობა, რითიც ჩვენ ვართ დაინტერესებულნი, ასევე განსხვავდება დაკანონებული თუ მორალური ალბათობისგან, ვინაიდან, როცა ვამბობთ, რომ წინადადება „*The king's subjects pay taxes*“ მართალია, მივანიშნებთ, რომ ეს ფაქტი გარდაუვალია როგორც კანონის მიხედვით, ისე მორალურად. ამ წინადადების საჭიროება არ მომდინარეობს მხოლოდ მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობებიდან.

ეს ფაქტი გამომდინარეობს ლოგიკური გამომდინარეობის განმარტებიდან და იქიდანაც, რომ (8), (9), (10) და (12) ტიპის წინადადებები სიმართლეა ყველა შესაძლო სიტუაციაში, განსხვავებით (1) -(7) და (11) -სა.

კიდევ ერთი განსაკუთრებული წესია მნიშვნელოვანი ლოგიკურ გამომდი-
ნარეობასთან დაკავშირებით: საწინააღმდეგოს მტკიცება გულისხმობს ყველაფერს.

მაგალითად, (13) გულისხმობს (11) -ს:

(13) Some hedgehog is not a hedgehog.

(13) გულისხმობს (11) –ს, ვინაიდან ლოგიკურად არ არსებობს სიტუაცია, სადაც (13) მართალია, ხოლო (11) – არა. ამ შემთხვევას უცნაურს ხდის ის ფაქტი, რომ (13) არასოდეს არ არის მართალი და ამიტომაც ლოგიკური გამომდინარეობა უაზროა. (13) გულისხმობს ყველა წინადადებას.

ლოგიკური გამომდინარეობის ის სახე, რომელიც აკავშირებს (11) და (12) წინადადებებს მთლად ისეთი არ არის, როგორც ზოგადი განმარტებიდან ჩანს, მაგრამ ლინგვისტიკისა და მოაზროვნეთა აზრით, ესაა კავშირის ძირითადი და მარტივი ფორმა. დამტკიცებულია, რომ სხვა ტიპის კავშირები გაცილებით უფრო რთულია სასწავლად და ენაში ნაკლებად არის გამოყენებული. მოსაუბრე ყოველთვის ხვდება ლოგიკური გამომდინარეობის ტიპის კავშირს წინადადებებს შორის გაბმულ მეტყველებაშიც. როდესაც სიმართლე გვესმის, ჩვენ შეგვიძლია მარტივად გავარკვიოთ ამ წინადადების მიერ ნაგულისხმევი წინადადებებიდან რომელია სწორი.

სავარჯიშო

7.1

იმსჯელე, რატომაა ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა მტკიცება სწორი:

1. წინადადება *“Viola has yellow stockings”* გულისხმობს წინადადებას *“Viola has stockings”*.
2. წინადადება *“Viola has stockings”* არ გულისხმობს წინადადებას *“Viola has yellow stockings.”*
3. წინადადება *“Viola has stockings”* გულისხმობს წინადადებას *“Either Viola has stockings or 2 is an even number”*
4. წინადადება *“Viola has stockings”* გულისხმობს წინადადებას *“Either two is an odd number or two is not an odd number.”*
5. წინადადება *“Two is an odd number”* გულისხმობს წინადადებას *“Viola has stockings.”*

როდესაც ვინმე ფრაზის მნიშვნელობას გვეკითხება, ან სიტყვას ლექსიკონში ვეძებთ, ჩვეულებრივ, ვიგებთ ლოგიკური გამომდინარეობის შესახებ. მაგალითად, როცა ვიგებთ, რომ ზმნა *‘cog’* ნიშნავს *‘cheat’*-ს ჩვენ უკვე ვიცით, რომ

(14) წინადადება *“I will cog”* იგივეა, რაც *“I will cheat”*.


როდესაც მეგობრების წრესა თუ ლექსიკონებში ვეძებთ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობას, მიღებულ განმარტებათა შორის აუცილებლად შეგვხვდება ლოგიკური გამომდინარეობის ფორმაც. შეიძლება არ იცოდეს როდის ვთაღლითობ, მაგრამ ახლა უკვე იცი, რას ნიშნავს თაღლითობა. ამგვარადვე, შეიძლება არ იცოდეს, რომ რომეო მხატვრული გმირია, მაგრამ თუკი ინგლისურად მოსაუბრის მიერ ნათქვამი წინადადება *„Romeo loves Juliet”* სწორია გარკვეულ სიტუაციაში, მაშინ *„Something or someone loves Juliet”* ასევე სწორია იმავე სიტუაციაში.

7.3. განვრცობითი სემანტიკა

7.3.1 შემასმენლები და არგუმენტები

ხშირად წინადადების სიმართლე-სიცრუე დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ

რას აღნიშნავს სუბიექტი და რა მოქმედებაა გამოხატული ზმნური ფრაზით. ზმნურ ფრაზას ზოგჯერ შემასმენელსაც უნოდებენ და სუბიექტი კი აღნიშნავს შემასმენლის **არგუმენტს**. ამ სურათს მივიღებთ შემდეგი მარტივი წინადადებისგან:



ნახ. 7.1 მოცინარი ადამიანების ჯგუფი, რომელშიც კასანდრაც შედის.

(15) Cassandra laughed.

ბუნებრივი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ასეთი ტიპის წინადადებები ამტკიცებს, რომ სუბიექტით აღნიშნულ საგანს – *Cassandra* – აქვს ზმნური ფრაზით გამოხატული თვისება – *laughed*. თუ სიტყვაში “*Cassandra*” ვიგულისხმებთ ადამიანს სახელად კასანდრა, ხოლო სიტყვაში “*laughed*” მივიჩნევთ საგანთა ჯგუფს, რომელიც იცინის, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ:

(16) წინადადება *Cassandra laughed* სწორია თუ ჯგუფი [[*Cassandra*]] შედის ჯგუფში [[*laughed*]].

ყურადღება მიაქციეთ, რომ (16) წინადადება არ საჭიროებს იმის ცოდნას, რას მიემართება სახელი კასანდრა ან ვინ შედის მოცინარ ხალხთა რიცხვში, ან რითი განსხვავდება სიცილი ტირილისგან.


(16) ერთი შეხედვით მარტივი ფაქტის უხერხული გამოთქმაა, მაგრამ ფაქტების ასეთი სახით ფორმულირება, მართლაც, სასარგებლოა, რათა ყურადღება გავამახვილოთ იმ ზოგად წესებზე, რომელიც მიგვითითებს წინადადების სისწორეზე. კიდევ ერთი ზოგადი მტკიცება შეიძლება ასე გამოვთქვათ:

(17) როდესაც დღ არის საკუთარი სახელი, [დღ ზმფ] ტიპის წინადადება სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ [[დღ]] შედის [[ზმფ]] -ს შემადგენლობაში.

ამ თვალსაზრისით, ზმფ გამოხატავს **ჯგუფს** - [[ზმფ]] , ხოლო დღ აღნიშნავს ისეთ რაიმეს, რასაც [[დღ]] ჰქვია და ის შეიძლება ეკუთვნოდეს ან არა ზემოაღნიშნულ ჯგუფს.

(17) წინადადება ჯგუფების შესახებ არსებულ სხვა ფაქტებთან ერთად მიგვითითებს ლოგიკურ გამომდინარეობაზე. მაგალითად, ვინაიდან ყველა შესაძლო სიტუაციაში ჯგუფი [[*sits and sings*]] არის **ქვეჯგუფი** ჯგუფისა [[*sings*]] (რადგანაც ჯგუფი [[*sings*]] გამოხატავს იმ საგნებისა თუ ადამიანების ჯგუფს, რომელიც მღერის და მხოლოდ ზოგიერთი ზის სიმღერის დროს), (17) გვიჩვენებს, რომ წინადადება *Philomena*

sits and sings გულისხმობს *Philomena sings*. ეს მარტივი სახის კავშირი ზოგადია და ის გამომდინარეობს (17) წინადადებიდან და იმ ფაქტიდან, რომ ყველაფერი, რაც შედის S ჯგუფის ქვეჯგუფში, ასევე შედის S ჯგუფში:



ნახ. 7.2 კალიბანი ერთიანდება ნასვამი მომღერლების ქვეჯგუფში, რომელიც თავის მხრივ, მომღერლების ჯგუფში შედის.

(18) როდესაც დღ არის საკუთარი სახელი და გვაქვს ორი ზმნური ფრაზა ზმფ1 და ზმფ2, რომელთაგან [[ზმფ1]] ყოველთვის [[ზმფ2]]-ის ქვეჯგუფია, მაშინ წინადადება [[დღ ზმფ1]] გულისხმობს წინადადებას [[დღ ზმფ2]].

ვინაიდან [[sings drunkenly]] სრულად ეკუთვნის ჯგუფს [[sings]], წინადადება *Caliban sings drunkenly* გულისხმობს *Caliban sings*.

7.3.2 გავრცობა და გაძლიერება

სიტყვათა ჯგუფებს, როგორცაა არსებითი სახელი *witch* ან ზმნური ფრაზა *sings* ან *loves Juliet*, ზოგჯერ ფრაზის სავრცობებს უწოდებენ. სემანტიკისადმი ამგვარ მიდგომას, რომელიც ეფუძნება გავრცობას და სისწორეს, ზოგჯერ **გავრცობით სემანტიკასაც** უწოდებენ. გასაკვირია, რომ გავრცობითი სემანტიკა ასეთი ნათელის მომფენია, რადგანაც სემანტიკის ამ გზით კვლევა არ მოიცავს მნიშვნელობასთან დაკავშირებულ ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხს. მაგალითად, არსებობს სახელადი ფრაზები, რომლებსაც ერთი და იგივე აღსანიშნი აქვთ, მაგრამ მნიშვნელობა - სხვადასხვა. ფრაზები: *“the author of Cymbeline”* და *“the author of Romeo and Juliet”* – აღნიშნავენ ერთსა და იმავე ადამიანს, მაგრამ მათ მაინც განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. როგორ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ისინი სხვადასხვა რამეს აღნიშნავენ? ერთი გზა ამის საჩვენებლად ინტუიციზზე დაყრდნობაა: თუ ორი გამოთქმა ერთსა და იმავეს აღნიშნავს, მაშინ მათი ურთიერთჩანაცვლება წინადადებაში არ უნდა იწვევდეს მნიშვნელობის ცვლას. ამგვარი ცდის ჩატარებით დავინახავთ, რომ ჩვენ მიერ მაგალითად მოყვანილი ორი სახელადი ფრაზა მნიშვნელობით ერთმანეთისგან განსხვავდება. წინადადება (19) შეიძლება შეიცვალოს წინადადება (20) -ად ერთი სახელადი ფრაზის მეორეთი ჩანაცვლების გზით, სადაც ორივე ფრაზა ერთსა და იმავე საგანს მიემართება. ეს ორი წინადადება არ აღნიშნავს ერთსა და იმავეს, რასაც დავინახავთ იმ ფაქტით, რომ (19) შეიძლება იყოს მართალი, მაშინაც კი, როცა (20) მცდარია:

(19) Most people know that Sakespeare is the author of Romeo and Juliet.

(20) Most people know that Shakespeare is the author of Cymbeline.

ნათლად ჩანს, რომ ამ ორ სახელადი ფრაზის მნიშვნელობებს შორის სერიოზული განსხვავებაა, მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე ადამიანს აღნიშნავს - [[the author of Romeo and Juliet]]=[[the author of Cymbeline]]. ამის მსგავსად, საგანთა ჯგუფი, რომელთა თვისებასაც გამოხატავს ზმნური ფრაზა - *“is the author of Romeo and Juliet”*, იგივეა, რაც ზმნური ფრაზით გამოხატული ჯგუფი - *“is the author of Cymbeline”*. მათი ორივე თვისება შეესაბამება ერთსა და იმავე ჯგუფს, რომელიც მხოლოდ შექსპირს მოიცავს, მაგრამ ზმნურ ფრაზებს აშკარად განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. ხშირად გამოითქმის, რომ თუმცა ამ ორ გამოთქმას ერთი და იგივე აღსანიშნი აქვს, ან ერთი და იგივე სავრცობი, მათ აქვთ განსხვავებული გამაძლიერებლები. მათთან დაკავშირებით თეორიები არსებობს, მაგრამ ამჟამად ჩვენ ყურადღებას მხოლოდ აღნიშვნებზე და სავრცობებზე/გავრცობაზე შევაჩერებთ.

7.3.3 მსაზღვრელები და არსებითი სახელები

წინა ქვეთავი ძალიან მარტივ იდეას გვთავაზობს მნიშვნელობისა და სინტაქსური სტრუქტურის კავშირის შესახებ, თუ როგორ კავშირშია აღნიშვნები და სავრცობები მარტივ გაუზრცობელ წინადადებაში (სადაც მხოლოდ ქვემდებარე და შემასმენელია). ეს იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ქვემდებარე აღნიშნავს საგანს, ხოლო ზმნე აღნიშნავს მის თვისებას და წინადადება გვიჩვენებს, რომ ქვემდებარე დფ-ს აღნიშნებს აქვს თვისება, რომელიც გამოხატულია ზმნე-ით. ამგვარი აზრი მცდარია. ჩვენ ვხედავთ, რომ ის უკვე აღარ მოქმედებს შედარებით უფრო რთულ წინადადებებში. განვიხილოთ წინადადებები:

(21) Every man is odd.

(22) No man is odd.

(23) Most men are odd.

(24) Less than 5 men are odd.

ამ წინადადებებში ქვემდებარეები არ აღნიშნავენ მხოლოდ ერთ საგანს. ამ წინადადებებში სხვადასხვა მსაზღვრელები კაცთა ჯგუფს უკავშირებენ უცნაურ საგანთა ჯგუფს, რაც შეიძლება ასე დავახასიათოთ:

(25) [No ს ზმნე] მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაც არ არის [[ს]]-ში, ასევე არაა [[ზმნე]]-ში

(26) [Every ს ზმნე] მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ [[ს]] [[ზმნე]]-ს ქვეჯგუფია.

(27) [The ს ზმნე] მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული რამ (კონტექსტის მიხედვით განსაზღვრული), რაც არის [[ს]]-ში ასევე არის [[ზმნე]]-ში.

(28) [Most ს ზმნე] მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვისებათა ჯგუფი, რაც აქვს ორივეს - [[ს]-საც და [[ზმნე]]-საც - აჭარბებს იმ თვისებათა რიცხვს, რომელიც მხოლოდ [[ს]]-ს აქვს, მაგრამ არ გააჩნია [[ზმნე]]-ს.


(29) [Less than five ს ზმნე] მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივესთვის დამახასიათებელ თვისებათა ჯგუფი მოიცავს 5-ზე ნაკლებ თვისებას.

ეს მტკიცებები გვეუბნება, თუ რას აღნიშნავენ მოცემული მსაზღვრელები: თითოეული მათგანი გვიჩვენებს კავშირს სფ-სა და ზმფ-ს მიერ აღნიშნულ ჯგუფებს შორის. ყველა ინგლისურად მოსაუბრემ იცის, როგორაა შემასმენელი და ქვემდებარე ერთმანეთთან დაკავშირებული.

შეგვიძლია (25) -(29) წინადადებები უფრო მოკლედ ჩამოვაცალიბოთ ჯგუფების თეორიიდან მცირე აღნიშვნების შემოტანით: ნებისმიერი ჯგუფი აღნიშნოთ S-ით, ხოლო |S| იყოს S –ში შემავალი თვისებები. \emptyset აღნიშნავს ცარიელ ჯგუფს. S1-სა და S2-ში შემავალი საერთო ჯგუფებისთვის შემოვიღოთ აღნიშვნა (S1 \cap S2). A, B წარმოადგენს N და VP-ს მიერ აღნიშნულ ჯგუფებს. ამგვარი პირობითი აღნიშვნებით შეგვიძლია განვიხილოთ მსაზღვრელების უფრო დიდი ჯგუფი:

ყოველი $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $A \cap B$ -ს ქვეჯგუფია
არც ერთი $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $(A \cap B) = \emptyset$
ზოგი $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $(A \cap B) \neq \emptyset$
უმეტესობა $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $(2x A \cap B) > A $
სულ მცირე ხუთი $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $ A \cap B > 5$
ექვსზე ნაკლები $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $ A \cap B < 6$
მაქსიმუმ შვიდი $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $ A \cap B \leq 7$
ზუსტად 2000000 $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $ A \cap B = 2000000$
(ზუსტად) ხუთი ან ექვსი $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $ A \cap B = 5$ $ A \cap B = 6$
უსაზღვროდ ბევრი $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $ A \cap B $ უსაზღვროა
სამის გარდა ყველა $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $ A - 3 = A \cap B $
6-სა და 12-ს შორის $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $6 \leq A \cap B \leq 12$
სამიდან ორი $A \cap B = \text{ქეშმარიტია}$	მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ $ A \cap B = A \cap B \times 2/3$

ამ ცხრილის ნახვის შემდეგ შეიძლება მოგვეჩვენოს თითქოს ყველა სახის კავშირი ორ ჯგუფს შორის შეიძლება გამოვსახოთ მსაზღვრელების საშუალებით, როგორც ნებისმიერი საგანი შეიძლება აღნიშნოს სახელით და ნებისმიერი თვისება გამოიხატოს შემასმენლით. ჩავთვალოთ, რომ ნახაზი 7.3 მოიცავს მთელ სამყაროს. A სივრცე მოიცავს ყველაფერს, რასაც აქვს A თვისება, ხოლო B სივრცე მოიცავს B თვისებების მქონეებს. მათი გადაკვეთის ადგილზე მობინადრენი ატარებენ ორივეს თვისებებს, ხოლო ამ სივრცის გარეთ მყოფნი – არც ერთის თვისებებს.



ნახ. 7.3 A და B-ს გადაკვეთა $B = A \cap B$

განვიხილოთ [დ სვ ზმფ]-ს ტიპის წინადადებები, სადაც **დ** გამომხატავს კავშირს Q-სთან, სვ შეიძლება განიმარტოს, როგორც A-ს თვისებები და ზმფ როგორც B-ს თვისებები. შეიძლება გვეგონოს, თითქოს ადამიანური ენა ჩვენგან მოითხოვს წინადადების მართებულობის განსაზღვრისას ზემოთ მოყვანილი დიაგრამის ოთხივე მხარის გათვალისწინებას. გაგიკვირდებათ და, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ადამიანურ ენაში მსაზღვრელებს არ ახასიათებთ ასეთი მოქნილობა. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენ თითქმის ყოველთვის შეგვიძლია მთელი ჩვენი ყურადღება გადავიტანოთ მხოლოდ სივრცეზე და უგულებელვყოთ ყველა დანარჩენი, რაც სივრცის გარეთაა. ამგვარად, [Q A B] სისწორის განსაზღვრისას საჭირო შედეგს მივიღებთ, თუ მთელს სივრცეს A-ში მოვაქცევთ. ვამბობთ, რომ ბუნებრივი ენის მსაზღვრელები **შეზღუდული** არიან შემდეგნაირად: A ჯგუფი ასრულებს მათი შემზღუდველის ფუნქციას.

მსაზღვრელის მნიშვნელობებზე შეზღუდვების სახეებმა დიდი ყურადღება მიიქცია და მოხდა სხვადასხვა კომპონენტის განსაზღვრა. ყველაზე მარტივად აღწერილ კომპონენტს „კონსერვატიულობას“ უწოდებენ. ეს მსაზღვრელთა ის თვისებაა, რომელიც აღნიშნულია ბარუაიზისა და კუპერის (1981), ასევე კინანისა და სტავის (1986) მიერ:

A relation Q named by a determiner is conservative if, and only if, for any properties A and B, relation Q holds between A and B if and only if relation Q holds between A and the things in (A ∩ B)

მაგალითად, მხოლობითობის გამომხატველი *every* კონსერვატიულია, ვინაიდან წინადადება *every man is odd* გულისხმობს და თავის მხრივ ნაგულისხმევია წინადადებაში *every man is a man that is odd* (მსგავსი ვითარებაა ამ ტიპის ყველა წინადადებასთან, სადაც *every* გვხვდება). მონათესავე სიტყვების ქვეჯგუფი სახელით *every* მოთავსებულია [[man]]-ისა და [[is odd]] ჯგუფებს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეჯგუფი მოთავსებულია [[man]]-ის ჯგუფსა და იმ თვისებათა ჯგუფს შორის, რომელიც საერთოა [[man]]-ისა და [[is odd]]-ის ჯგუფებისთვის. ამის მსგავსად მრავლობითობის გამომხატველი *most* კონსერვატიულია იმიტომ, რომ წინადადება *most men are odd* გულისხმობს და ასევე ნაგულისხმევია წინადადებაში *most men are men that are odd*. ამ მოვლენას **კონსერვატიულობა** ჰქვია, ვინაიდან ინტუიციურად, როდესაც არსებითი სახელის აღმნიშვნელი A მოცემულია, მსაზღვრელი Q და შემასმენელი B არაფერს ახალს არ გვაძლევენ : ისინი მხოლოდ გვანვდიან დამატებით ინფორმაციას A ჯგუფზე.

აღსანიშნავია, რომ კონსერვატიულობა ან არაკონსერვატიულობა სემანტიკური მახასიათებელია. მსაზღვრელი არის თუ არა კონსერვატიული, ვერ განსაზღვრავ მისი ფონოლოგიური ან სინტაქსური მახასიათებლებით – მისი კონსერვატიულობა დამოკიდებულია მის მნიშვნელობაზე, უფრო კონკრეტულად კი მნიშვნელობის იმ ასპექტებზე, რომლებიც განხილულია გავრცობით სემანტიკაში.

ამ თვალსაზრისით მარტივია ისეთი მსაზღვრელის შექმნა, რომელიც არ არის კონსერვატიული. წარმოვიდგინოთ ინგლისური ლექსიკონისთვის მსაზღვრელი *somenon*-ის დამატება, რის შედეგადაც თავისუფლად ვიტყვით: *somenon nobles are commoners*. *somenon*-ს ასე განვმარტავდით:

(30) *somenon* A B მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ის, რაც არ არის A-ში არის B-ში.

ამგვარი მსაზღვრელის საშუალებით ალბათ მართებული იქნება თუ ვიტყვით *somenon nobles are commoners*. ხოლო *somenon kings are not kings* კი ნამდვილად მართებული წინადადებაა (სადაც A არის [[is a king]] და B არის [[is not a king]]).

მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ მსაზღვრელი *somenon* არაა კონსერვატიული. წინადადება *somenon kings are not kings* ნიშნავს, რომ ზოგიერთი თვითმარქვია მეფე არ არის მეფე, რაც აშკარად სიმართლეა. წინადადება *somenon kings are not kings* არ გულისხმობს წინადადებას *somenon kings are kings that are not kings*. ეს უკანასკნელი წინადადება კი აშკარად მცდარია. აშკარად არასწორია, რომ ზოგიერთი თვითმარქვია მეფე არის მეფე, რომელიც მეფე არაა. ამგვარად განსაკუთრებული ლოგიკური გამომდინარეობა, რაც მსაზღვრელთა კონსერვატიულობას განსაზღვრავს, არ ჩანს ამ გამოგონილი მსაზღვრელის *somenon*-ის შემთხვევაში. მსაზღვრელი *somenon* არ არის კონსერვატიული.

სხვა მაგალითებიც ადვილი ასაგებია. ვთქვათ, რომ *owt* არის ახალი მსაზღვრელი, რომელიც აღნიშნავს *two*-ს საპირისპირო ცნებას შემდეგი თვალსაზრისით:

(31) *Owt A B* მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ *B*-ში არის სულ ცოტა ორი რამ, რაც არ არის *A*-ში.

ამგვარად, წინადადება *owt students speak Quechua* სწორია რადგან ქუეჩუა-ს ენაზე სულ ცოტა ორი მოსაუბრე მაინცაა, რომლებიც არ არიან სტუდენტები. თუმცა, წინადადება *owt students are students that speak Quechua* აშკარად მცდარია. არ არსებობს მინიმუმ ორი სტუდენტი, რომლებიც საუბრობენ ამ ენაზე და რომლებიც არ არიან სტუდენტები. ამგვარად, *owt* არ არის კონსერვატიული. ასევეა *eerth*, *rouf*, *xis* და ყველა სხვა მსაზღვრელი, რომელსაც ჩვენ გამოვიგონებთ.

გასაოცარი ისაა, რომ არც ერთ ადამიანურ ენას არ გააჩნია მსაზღვრელი, რომელიც არაკონსერვატიულია, როგორც იყო *somenon* ან *owt*. ყველა ადამიანურ ენაში ყველა მსაზღვრელი კონსერვატიულია. მარტივი შესამოწმებელია ყველა მაგალითი, რომელიც ნაჩვენებია 381 გვერდზე. რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო მაგალითიცაა მოყვანილი, მაგრამ გამონაკლისები ძალიან ცოტაა და არის ასევე კონსტრუქციები, რომლებიც დამოუკიდებელ სპეციალურ კვლევას საჭიროებენ.

რატომაა ყველა მსაზღვრელი კონსერვატიული? ბუნებრივი იქნება თუ ვცდით ამ ფაქტის დაკავშირებას უფრო ძირეულ საკითხთან, რა გზითაც ჩვენ ენას ვიგებთ. აღსანიშნავია, რომ კონსერვატიული მსაზღვრელები, [დ ს ზმფ]-ს ტიპის წინადადებები მიჩნეულია, რომ [[ს]] საგანთა კლასს ასახელებენ და შემდეგ გვანვდიან ინფორმაციას, თუ როგორაა ეს კლასი დაკავშირებული [[ზმფ]]-სთან. ამგვარად, როცა ვამბობთ: *all men are odd*, ვინც კაცი არ არის — შეუსაბამოა ამ წინადადების ჭეშმარიტებისთვის და ამ წინადადებას აქვს მარტივი სახის **კომენტარის** სტრუქტურა. არსებითი სახელი ასახელებს თემის მთავარ საკითხს, ხოლო მსაზღვრელები უკავშირებენ ამ საკითხს მის მოქმედებას, რომელიც გამოხატულია შემასმენლით.

ნებისმიერი ადამიანური ენის შესწავლისას შემსწავლელს სჭირდება იმის ცოდნა, თუ რომელი მსაზღვრელი აღნიშნავს ჯგუფებს შორის სხვადასხვა ტიპის შედარებას. ინგლისური ენის შემსწავლელს ესაჭიროება სემანტიკური განსხვავების ცოდნა ისეთ სიტყვებს შორის, როგორიცაა: *every*, *no*, *three*, *less than two* და ა.შ. სავარაუდოდ, შემსწავლელი არ მიაქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ მსაზღვრელებს ენაში აქვთ

ისეთი მნიშვნელობა, როგორც ჩვენ მივანიჭეთ *somenon*-ს.

7.3.4 გარემოებები: რეკურსია და კომპოზიციურობა

ფრაზის სტრუქტურის სინტაქსური პრინციპები უსასრულო რაოდენობის წინადადების აგების საშუალებას გვაძლევს, ვინაიდან ისინი რეკურსიულია. ადამიანურ ენებში მოცემული კატეგორიის ფრაზაში შეიძლება იყოს ამავე კატეგორიის სხვა ფრაზები; კატეგორია შეიძლება არაერთხელ განმეორდეს. ეს იდეა წარმოდგენილი იყო მე-3 თავში, სადაც ვნახეთ, რომ დფ-ში შემავალი თანდებულებანი ფრაზა შეიძლება მოიცავდეს სხვა დფ-ს. ამ თავის დასაწყისში ნაჩვენები ხე წარმოადგენდა მაგალითს. დფ *the witches by the cauldron* მოიცავს დფ-ს *the cauldron*. დფ-ში შეიძლება შედიოდეს ნებისმიერი ოდენობის დფ. იგივე ვითარებაა სხვა ტიპის ფრაზებთან მიმართებაშიც: თუ შეიძლება მოიცავდეს უამრავ თფ-ს, ზმფ შეიძლება შედგებოდეს სხვა ზმფ-ებისგან, წინადადებაში შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ოდენობის წინადადებები. როგორ უნდა გაიგოს მოსაუბრემ ეს ყველაფერი? ლოგიკური გამომდინარეობის გათვალისწინებით შეგვიძლია ასეთი კითხვა დავსვათ: როგორ უნდა გამოარჩიოს მოსაუბრემ ლოგიკური გამომდინარეობა უამრავ განსხვავებულ წინადადებას შორის? ფრიგის პასუხის თანახმად, წინადადებებს შორის ასეთი კავშირი გამოიანგარიშება წინადადებების წვერთა მნიშვნელობებისგან. ძნელი გასარკვევი არ არის ეს როგორ ხდება.

დავინწყით ისევ მარტივი წინადადებებით. განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

(32) Every witch laughed.

(33) Every English witch laughed.

წინადადება (32) მართებულია, როდესაც *[[witch]]*-ის ჯგუფის ყველა წევრი არის *[[laughed]]*-ის ჯგუფშიც. წინადადებისთვის *cunning*-ის დამატებით (34) წინადადება უფრო შემზღუდველი ხდება ჯგუფებთან მიმართებაში, ხოლო წინადადება (33) კი ამტკიცებს, რომ ყველაფერი რაც შედის *[[witch]]*-ისა და *[[English]]*-ის ჯგუფებში, ასევე *[[laughed]]*-ის შემადგენლობაშიცაა. საკითხის ასე დასმით შეიძლება აიხსნას, რატომ გულისხმობს (32) წინადადება (33) -ს, ვინაიდან *[[witch]]* ყოველთვის არის ქვეჯგუფი იმ საგნებისა, რომლებიც ერთდროულად *[[witch]]*-შიცაა და *[[English]]*-შიც. სხვა ზედსართავი სახელის დამატება კი წინადადებას კიდევ უფრო შემზღუდველს გახდის:

(34) Every cunning English witch laughed.

ნათელია, რომ ასეთი გზით ნებისმიერი რაოდენობის ზედსართავი სახელის დამატება შეიძლება და თითოეული მათგანი უფრო და უფრო შეზღუდავს არსებითი სახელის მიერ აღნიშნულ საგანთა ჯგუფს.

[[cunning]]-ის დამატება (34) წინადადებაში შემზღუდველია: ის ამატებს კრიტერიუმებს მის მიერ განსაზღვრული ჯგუფისათვის. ზედსართავ სახელებსა და ზმნიზედებს მსგავსი ტიპის შეზღუდვები შემოაქვთ. (33) და (34) წინადადებებში შეზღუდვას ერთი კონკრეტული მარტივი სახე აქვს. ზედსართავი სახელები **მკვეთნი** არიან, ვინაიდან ისინი ზღუდავენ პრედიკაციას ორი სხვადასხვა ჯგუფის სიტყვების საერთო ელემენტების შერწყმით.

ზედსართავი სახელი **მკვეთია**, თუ *[[every ზფ სფ]]* ზმფ მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მახასიათებლები რაც არის *[[ს]]*-შიც და *[[ზფ]]*-შიც, ასევე არის

[[ზმფ]]-ს ქვეჯგუფშიც.

როდესაც მკვეთი ზედსართავი სახელი ან სხვა მსაზღვრელი ჩნდება სახელიან ფრაზაში, შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი მარტივი პრინციპი იმის გასარკვევად, თუ რამდენად მართებულია წინადადება. *An English witch is on the moor* სწორია, თუ ის, რაც არის [[witch]]-შიც და [[english]]-შიც ასევე არის [[is on the moor]]-შიც. *Brown cow* სფ-ით განსაზღვრული ჯგუფი, გადაკვეთაა [[brown]]-ისა და [[cow]]-სი.

ზმნიზედები ზოგჯერ იგივეს საშუალებას იძლევიან. მაგალითად, აქ წარმოდგენილი გავრცობითი სემანტიკის მაგალითი, შეიძლება გავავრცოთ მსაზღვრელების (35) წინადადებაში ჩართვით:

(35) The witches by the cauldron laughed in the forest.

შეგვიძლია თვ *in the forest* ჩავთვალოთ [[laughed]] ჯგუფის შემზღვევლად, ისევე როგორც *by the cauldron*-ს მივიჩნევთ შეზღვევად [[witch]] ჯგუფისთვის. ყველა ენას გააჩნია თვისებათა აღმნიშვნელი გამოთქმები, სიტყვათა ჯგუფები და მსაზღვრელები, რომლებსაც შეუძლიათ შეზღვედონ ჯგუფები, როგორც სახელად, ისე ზმნურ სისტემებში. ადამიანურ ენაში მსაზღვრელების კონსერვატიულობის გააზრების შემდეგ, ვხედავთ, რომ სახელად და ზმნურ სისტემებში დასახელებული ჯგუფების შედარების სახეები თავისებური ხასიათისაა.

ბევრ მსაზღვრელს უფრო რთული სემანტიკური მახასიათებლები აქვს. მაგალითად, შემდეგ წინადადებაში მსაზღვრელი არ არის მკვეთი იმ გაგებით, როგორც ეს განმარტებული იყო:

(36) The oldest witch laughed.

Oldest რომ იყოს მკვეთი, *oldest witch* სახელადი ფრაზის მიერ აღნიშნული ჯგუფი იქნებოდა „ყველაზე ხნიერებისა“ და „ჯადოქრების“ ჯგუფების გადაკვეთა, მაგრამ უაზრობაა ყველაზე ხნიერთა ჯგუფზე საუბარი. თუკი ჰენრი მეფე იყო ერთადერთი ხელმწიფე, 9 თვის ასაკში, მაშინ ის ყველაზე ხნიერი მეფე იყო, მაგრამ ის არ იყო ყველაზე ხნიერი ბიჭი ან ბებერი ადამიანი. ხვდება თუ არა ის ყველაზე ხნიერთა ჯგუფში? ამ კითხვას აზრი აქვს, რადგან *oldest* შედარებით ცნებას გამოხატავს. ვილაც შეიძლება იყოს ყველაზე ხნიერი ნევრი ერთი ჯგუფისა, მაგრამ არ იყოს ყველაზე ხნიერი მეორე ჯგუფში. ამის მსგავსად, უაზრობაა დიდ საგნებზე საუბარი, ვინაიდან რალაც შეიძლება ერთი ჯგუფის დიდი ნევრი იყოს, მაგრამ მეორე ჯგუფში – არა. დიდი რწყილი მაინც პატარა ცხოველია. უდიდესი რამ ჩვენს მზის სისტემაში მაინც პატარა ვარსკვლავია. ასეთი ტიპის მსაზღვრელებისადმი სწორი დამოკიდებულება გულისხმობს მათი მიმართებითი სტატუსის განსაზღვრას.

7.4 მტკიცება და ვარაუდი

წინა ქვეთავში ვნახეთ, რომ წინადადებებს შორის ლოგიკური გამომდინარეობის ცოდნა წარმოადგენს ლინგვისტიკაში სემანტიკის კომპეტენციის ძირითად ნაწილს. ამ ქვეთავში შევეცდებით, განვასხვავოთ ლოგიკური გამომდინარეობის ორი სახეობა: **მტკიცება და ვარაუდი.**

განვიხილოთ წინადადებები (37):

(37) ა. Desdemona went to the dance with Cassio.

ბ. Desdemona denied going to the dance with Cassio.

გ. Desdemona regretted going to the dance with Cassio.

(37ა) გარკვევით ამბობს, რომ დეზდემონა წავიდა კასიოსთან საცეკვაოდ.

ასეთი ტიპის გამონათქვამს **მტკიცებითი** ჰქვია. იგი უქმდება უარყოფითი ფორმის საშუალებით. (38ა) ამტკიცებს (37ა)-ს საპირისპიროს:

(38) ა. Desdemona didn't go to the dance with Cassio.

(37ა) -სგან განსხვავებით (37 ბ, გ) არაფერს არ ამტკიცებენ დეზდემონასა და კასიოს ცეკვასთან დაკავშირებით. ფაქტიურად, (37ბ) -ში დეზდემონა ან წავიდა ან არა საცეკვაოდ. მაგრამ (37გ) -ში კი ჩვენ ვიცით, რომ დეზდემონამ იცეკვა. უფრო მეტიც, (37 ბ, გ) -ს უარყოფა არ აბათილებს შემდეგ დასკვნებს:

(38) ბ. Desdemona didn't deny going to the dance with Cassio.

გ. Desdemona didn't regret going to the dance with Cassio.

(38ბ) შეიძლება აღწერდეს სიტუაციას, როცა დეზდემონა წავიდა საცეკვაოდ კასიოსთან ერთად და აღიარა კიდევ ეს, ან სიტუაციას, სადაც დეზდემონამ ან იცეკვა ან არა, მაგრამ არც დაადასტურა ეს ფაქტი და არც უარყო. მეორე მხრივ, (38გ) მხოლოდ ისეთ სიტუაციას აღწერს, სადაც დეზდემონა წავიდა კასიოსთან საცეკვაოდ და ეს არ უნანია.

რა ახსნა აქვს ამ ქმედებას უარყოფასთან მიმართებაში? გარდა იმის მტკიცებისა, რომ დეზდემონამ ან ინანა ან არა კასიოსთან საცეკვაოდ წასვლა, (37გ) და (38გ) ვარაუდობენ, რომ დამატება (*going to the dance with Cassio*) აღწერს ფაქტს. ამგვარად, დამატების შინაარსი არის მთელი რთული წინადადების **ვარაუდი**. შეგვიძლია ვთქვათ:

(39) წინადადება S1 უშვებს S2-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ S1 გულისხმობს S2-ს და S1-ის უარყოფა გულისხმობს S2-ს.

ამგვარად (37გ) დასაშვებს ხდის (37ა) -ს, ვინაიდან მისი მტკიცებითი და უარყოფითი ფორმა (38გ) გულისხმობს (37ა) -ს. მეორე მხრივ, (37გ) გულისხმობს, რომ დეზდემონამ ინანა რაღაც, მაგრამ მისი უარყოფითი ფორმა (38გ) ამას არ უარყოფს, შესაბამისად, ეს არის (37გ) წინადადების მნიშვნელობის მტკიცება და არა ვარაუდი. ამის მსგავსად (40) ვარაუდობს (41) -ს და (42) ვარაუდობს (43) -ს:

(40) The prince of Denmark is haunted.

(41) There is a Prince of Denmark.

(42) We watched the witches gather.

(43) The witches gathered.

ყველა (ან თითქმის ყველა) მტკიცებითი წინადადება ამტკიცებს რაღაცას და მათგან ზოგს, მაგრამ არა ყველას, აქვს დამატებით ვარაუდები.

რას ამტკიცებს და რას გულისხმობს შემდეგი წინადადება?

The maid who was singing was singing.

რა თავისებურება ახასიათებს ამ წინადადებას?

საპარაფრაზი

7.2

დისკურსიული ანალიზის მხრივ, ვარაუდები ემსახურება მსმენელსა და მოსაუბრეს შორის საერთო საფუძვლის არსებობის როგორც შემოწმებას, ისევე აგებას. მსმენელმა ან უკვე იცის ან ხვდება ყველაფერს, რასაც ეს წინადადება ვარაუდობს. ის ამკარა საერთო საფუძველს უმატებს მათ. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როცა მსმენელი ამ წინადადებას ისმენს – *Desdemona never regretted going to the dance with Cassio* – საკუთარ თავს ეუბნება: აჰა, მე უნდა მცოდნოდა, რომ დეზდემონა წავიდა კასიოსთან საცეკვაოდ. არ ვიცოდი, მაგრამ არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს

იმისა, თუკი თავს მოვაჩვენებ, თითქოს ეს ვიცოდი. თუკი მსმენელი წინააღმდეგია, მას შეუძლია ღიად გააპროტესტოს. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რომ ის არ იტყვის: თქვენ იტყუებით. ასეთი სახის გაპროტესტება გამოიყენება ცრუ მტკიცებისას. თანამოსაუბრე აღშფოთებული გიპასუხებთ: რას ამბობ? როგორ შეეძლო მას ენანა ის, რაც მას არ გაუკეთებია? ვარაუდის არსებობა ხშირად გულისხმობს, როგორც ლექსიკური ელემენტის, ასევე სინტაქსური კონსტრუქციის ფაქტსაც. მაგალითად, (44ა) ვარაუდობს, რომ ემილიამ მისცა ხელსახოცი იაგოს, მაგრამ (44 ბ, გ) ამას არ გულისხმობს:

(44) ა. Emilia remembered (did not remember) that she gave the handkerchief to Iago.

ბ. Emilia remembered (did not remember) giving the handkerchief to Iago.

გ. Emilia remembered (did not remember) to give the handkerchief to Iago.

უნგრული გვიჩვენებს კიდევ ერთ გზას, რითიც ვარაუდი შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებზე. ამ ენას აქვს ორი ზმნა, რომლებიც აღნიშნავენ ‘უარყოფას’: *tagad* და *letagad*. ფორმალურად, მეორე განსხვავდება პირველისგან პრეფიქსით *le*. *Tagad* არის ინგლისური *deny*-ის მსგავსი, ვინაიდან ისიც არ იწვევს ვარაუდს, ხოლო *Letagad* განსხვავდება ინგლისური *deny*-ისგან, რადგან ის ვარაუდობს, რომ რაც უარყვეს სიმართლეა. თუკი გადავთარგმნით (37ბ) წინადადებას *Desdemona denied going to the dance with Cassio* უნგრულად *letagad* ზმნის გამოყენებით, გამოვა, რომ დეზდემონა წავიდა საცეკვაოდ, მაგრამ ეს ფაქტი აღარ აღიარა.

ვნახეთ, რომ წინადადება “*deny*” ზმნით არ ვარაუდობს მთავარი ზმნის დამატების ქეშმარიტებას, მაგრამ იგი იწვევს სხვა ტიპის ვარაუდებს. *Desdemona denied going to the dance with Cassio* ვარაუდობს, რომ მისი საცეკვაოდ გასვლის საკითხი გარკვეული ფორმით დადგა. მაგალითად, ვივარაუდოთ, რომ ოტელომ სხვადასხვა ბრალდება წაუყენა დეზდემონას, მაგრამ მას არასოდეს წამოუყენებია საკითხი დეზდემონასა და კასიოს ცეკვასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, დეზდემონა მოულოდნელად წარმოთქვამს წინადადებას: *I didn't go to the dance with Cassio*. ამჯერად კი შეგვიძლია ეს სცენა ასე გადმოვცეთ: *Desdemona said she did not go....* და არა როგორც *Desdemona denied going....*, სწორედ იმიტომ, რომ ეს საკითხი საერთოდ არ წამოჭრილა.

საპარაფრაზო

7.3

გაანალიზეთ შემდეგი ზმნები და სხვა შემასმენლები:

think (that...), confirm (that...), know (that...), be surprised (that...), agree (that...), suspect (that...), accept (that...), assume (that...).

ჩამოთვლილთაგან რომელია *regret* ზმნის მსგავსი იმ მხრივ, რომ მისი შემცველი წინადადება ვარაუდობს, რომ *that*-წინადადების შინაარსი ფაქტია? რომელი მათგანი შეიძლება შევადაროთ *deny*-ის, *that*-წინადადების შინაარსს სტატუსთან დაკავშირებით სხვადასხვა ვარაუდის წარმოშობის თვალსაზრისით? იპოვეთ თუ არა ისეთი ნიმუში, რომელსაც ამ ორიდან ვერც ერთ ჯგუფს ვერ მიაკუთვნებთ?

მაგალითი: *Restate (that...)* ვარაუდობს, რომ *that*-წინადადების შინაარსი წინასწარ იყო გადმოცემული, ვინაიდან ორივე (ა)-ც და მისი უარყოფითი ფორმა (ბ)-ც გულისხმობს ამას.

(ა) Emilia restated that she was not guilty.

(ბ) Emilia didn't restate that she was not guilty.

მეორე მხრივ, (ა)-ც და (ბ)-ც შეიძლება იყოს სწორი მიუხედავად იმისა ემილია რეალურად დამნაშავე იყო თუ არა. ამგვარად, *restate* იმავე კატეგორიას ეკუთვნის, რასაც *deny*.

7.5. სიტყვის მნიშვნელობის მომცველი პრეს-ლინგვისტური შედარებები

წინა ქვეთავში ვიდავეთ, რომ ლინგვისტური სემანტიკა არ არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ რომელი წინადადებაა ჭეშმარიტი და რომელი არა: იგი შეისწავლის ლოგიკურ გამომდინარეობას წინადადებებს შორის, ჭეშმარიტება კი მხოლოდ დამხმარე ცნებაა მოცემული კავშირის დახასიათებისას.

შეიძლება მსგავსი შეკითხვის დასმა სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებითაც. არის თუ არა სიტყვის მნიშვნელობა (ლექსიკური მნიშვნელობა) კონცეპტუალური განსხვავებების მარტივი ანარეკლი; განსხვავებებისა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ როგორ არის მსოფლიო მოწყობილი და როგორ მუშაობს ჩვენი აღქმისა და შემეცნების აპარატი? მაგალითად, სრულიად ბუნებრივია თუკი დავინტერესდებით იმ საკითხით, რომ ზოგიერთი მიმართების ამოცნობა და მისთვის სახელის დარქმევა ჩვენთვის ძალიან მარტივია, ხოლო ზოგიერთისა კი ძალიან რთული. წინდებულებრივი ფრაზების განხილვას თუ დავუბრუნდებით, თავს იჩენს საინტერესო შემთხვევა. წინდებულები აღნიშნავენ სრულიად აბსტრაქტულ კავშირს:

(45) ინგლისური წინდებულების არასრული ჩამონათვალი:
on, in, by, of, under, over, near, from, into, onto, through, along, towards, above, below, across, around, inside, outside, at, about, after, before, with, without, within, behind, past, for, until, among, between, as, despite, except, against, amid, less, down, up.

ამ სიტყვებით აღნიშნული ზოგიერთი კავშირი მარტივია და ჩვენც ხშირად გვგონია, რომ მსგავსი კავშირი სხვა ენებშიც წინდებულებით უნდა იყოს აღნიშნული. ამგვარ სივრცით კავშირზე ყურადღების გამახვილებით გავაანალიზოთ ინგლისური წინდებულები *on* და *in*:

(46) The apple is in the bowl.

(47) The bowl is on the table.

შემეცნებითი თვალსაზრისით, განსხვავება რამეში ყოფნასა და რამეზე ყოფნას შორის ძალიან ნათელი და არსებითია. ერთი შეხედვით (46) გულისხმობს, რომ ვაშლი მოთავსებულია ჯამში, ხოლო (47) გულისხმობს, რომ ჯამი მაგიდის ზედაპირზე დევს. თუმცა სხვა მაგალითების გაანალიზებისას ვნახავთ, რომ წინდებულების მნიშვნელობა უფრო აბსტრაქტულია. *Is in* არ ნიშნავს ზუსტად იმას, რასაც *is contained in*, ისევე როგორც *is on* ზუსტად იმავს არ გულისხმობს, რასაც *is on the surface of*:

- (48) ა. the runner is in the race ≠ the runner is contained in the race
ბ. the light is in my eyes ≠ the light is contained in my eyes.
გ. the player is in the field ≠ the player is contained in the field.
დ. the work is in a mess ≠ the work is contained in a mess.

- (49) ა. the skis are on the wall (in a ski rack) ≠ the skis are on the surface of the wall
ბ. the bruise is on his nose ≠ the bruise is on the surface of his nose
გ. the break is on the edge (of the glass) ≠ the break is on the surface of the edge
დ. her work is on the frontier ≠ her work is on the surface of the frontier.
ამგვარი ემპიკობის მიუხედავად, შეიძლება მაინც ბუნებრივად ჩაითვალოს იმის

მტკიცება, რომ წინდებულები *in* და *on* განსაზღვრულნი არიან და აქვთ მარტივი მნიშვნელობა, ვინაიდან ენას სჭირდება ძირეული შემეცნებითი თავისებურების ასახვა. უფრო შორსაც შეგვიძლია წავიდეთ და ჩამოვაცალიბოთ ჰიპოთეზა, რომ სიტყვის მნიშვნელობები ზოგადად ასახავს ენისაგან დამოუკიდებელ შემეცნებით მოვლენებს.

სხვა ენებთან შედარების შემდეგ ეს აზრი არ დასტურდება. პირველ რიგში ჩვენ ვპოულობთ ენებს უფრო უხეში და უფრო მსუბუქი თავისებურებებით, ვიდრე ინგლისურია. ესპანურ ენაში ორივე ზემოაღნიშნულ წინადადებაში შეიძლება გამოვიყენოთ ერთი და იგივე წინდებული *en*. ჩვენ *EN*-ს ვიყენებთ როგორც *'in'*-ისა და *'on'*-ის აღმნიშვნელს ერთად:

(50) La manzana está en el frutero.

the apple is EN the bowl.

‘ვაშლი დევს თასში.’

(51) El frutero está en la mesa.

the bowl is EN the table.

‘თასი დევს მაგიდაზე.’

მეორე მხრივ, გერმანულში ძირითადი გამოყენება ინგლისური წინდებულისა *on* გაყოფილია სამ წინდებულად: *auf*, *an* და *um*.

(52) Die Tasse is auf dem Tisch.

the cup is AUF the table.

‘ჭიქა დევს მაგიდაზე.’

(53) Das Bild ist an der Wand.

the picture is AN the wall.

‘ნახატი კიდია კედელზე.’

(54) Der Serviettenring ist um die Serviette.

the napkin ring is UM the napkin.

‘ხელსახოცი შეკრულია ხელსახოცის საკრავით.’

გერმანული ითვალისწინებს, როგორია ზედაპირი: ჰორიზონტალური (*auf*), ვერტიკალური (*an*) თუ გარშემორტყმულია საგნით (*um*).

ვინაიდან ესპანური, ინგლისური და გერმანული ამგვარ განსხვავებებს ავლენენ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სხვა ენებში სხვადასხვა სახის განსხვავებები არაერთგვაროვანი სიზუსტით იქნება გადმოცემული.

ახლა თვალი გადავავლოთ ჰოლანდიურსაც, რომელიც დაკავშირებულია ინგლისურთანაც და გერმანულთანაც. ჰოლანდიურს აქვს სამი წინდებული, რომლებიც ისტორიულად დაკავშირებულია გერმანულ *auf*, *an* და *um*-თან: *op*, *aan* და *om*. გერმანული მაგალითების ზემოთ მოყვანილი ჰოლანდიური შესატყვისები გვიჩვენებს, რომ მათი მნიშვნელობებიც ერთი და იგივეა:

(55) De kop staat op de tafel.

the cup stands OP the table.

‘ჭიქა დევს მაგიდაზე.’

(56) Het schiderij hangt tegen de muur aan.

the picture hangs against the wall AAN.

‘სურათი კიდია კედელზე.’

(57) De servetring zit om het servet.

the napkin ring sits OM the napkin.

‘ხელსახოცი შეკრულია ხელსახოცის საკრავით.’

მაგრამ მომდევნო მაგალითები ნათელს ხდის, რომ ეს ასე არ არის:

(58) ა. გერმანული: Das Pflaster ist an meinem Bein

the Band-aid is AN my leg.

‘ფეხზე მაქვს პლასტირი.’

ბ. ჰოლანდიური: De leiter zit op mijn been.

the Band-aid sits OP my leg

‘ფეხზე მაქვს პლასტირი.’

(59) ა. გერმანული: Die Fliege ist an der Wand.

the fly is AN the wall.

‘კედელზე ბუზია.’

ბ. ჰოლანდიური: Het vlieg zit op de muur.

the fly sits OP the wall.

‘კედელზე ზის ბუზი.’

ბაუერმანმა (1989) დაკვირვების შედეგად დაასკვნა, რომ „ჰოლანდიურში განსხვავება *op*-სა და *aan*-ს შორის უფრო ნაკლებად იყო დაკავშირებული ორიენტაციასთან, ვიდრე მიმაგრების მეთოდთან: როცა ზედაპირი არ არის ჰორიზონტალური, საგნის აღწერა ხდება *aan*-ით, თუ ის მიმაგრებულია ერთი ან ერთზე მეტი წერტილით (როგორც სურათი კედელზე, ფოთლები ტოტზე და ა.შ.). ამის საპირისპიროდ, თუ ობიექტი არის ცოცხალი არსება, როგორცაა ბუზი ან მთელი ზედაპირით მიმაგრებული ბრტყელი საგანი, მაშინ ასეთი კავშირი გამოიხატება *op*-ით.“

ჰოლანდიურის მაგალითები სხვადასხვა მიზეზით არის საინტერესო. ისინი გერმანულ მაგალითებთან ჯვარედინი კლასიფიკაციით ეჭვქვეშ აყენებენ ვარაუდს, რომ ენა პირდაპირ ასახავს დამოუკიდებელ შემეცნებით განსხვავებებს. სავარაუდოა, რომ ესპანური, ინგლისური, გერმანული და ჰოლანდიური რეალობას ლინგვისტური გზით წარმოაჩენენ. ხშირად ხდება ასეთი ლინგვისტური და სხვადასხვა შემეცნებითი განსხვავებების ერთმანეთთან მისადაგება. სხვა მხრივ ნებისმიერი ენა გამოუსადეგარი იქნებოდა, როგორც შემეცნების იარაღი. მაგრამ არავითარი გზა არ არსებობს იმის წინასწარ განსაზღვრისა, თუ რომელი ლინგვისტური განსხვავება უნდა გამოვიყენოთ ამა თუ იმ შემთხვევაში.

მას შემდეგ, რაც გამოიკვლია, რატომ აქვთ *give*-ისა და *throw*-ს მსგავს ზმნებს ორი ალტერნატიული **არგუმენტის** სტრუქტურა, ხოლო *donate*-სა და *carry*-სანიარ ზმნებს კი – არა, პინკერი (1989) მივიდა დასკვნამდე, რომელიც წარმოდგენილია (60) და (61) წინადადებებში:

(60) ა. Portia gave a ring to Bassanio [___ დვ to დვ]

Portia gave Bassanio a ring. [___ დვ დვ]

ბ. Nerissa threw a box to Antonio. [___ დ to დვ]

Nerissa threw Antonio a box. [___ დვ დვ]

გ. *give* და *throw*-ს მსგავსი სხვა ზმნები:

lease, lend, pass, pay, rent, sell, serve,

trade, advance, assign, award, grant, guarantee,
 issue, leave, offer, owe, will, bring, take, ship,
 mail, hand, send, bounce, float, roll, slide,
 address, bring, kick, flip, hip, hurl, wire, ask,
 read, show, reach, tell, e-mail, fax, phone, radio, telegraph.

(61) ა. Portia donated a ring to Bassanio. [___ დფ to დფ]

*Portia donated Bassanio a ring. [___ დფ დფ]

ბ. Nerissa carried a box to Antonio. [___ დფ to დფ]

*Nerissa carried Antonio a box. [___ დფ დფ]

გ. *donate* და *carry*-ის მსგავსი სხვა ზმნები:

address, administer, broadcast, catapult, convey,
 contribute, drag, haul, heave, push, tug, delegate, deliver,
 dictate, describe, demonstrate, donate, exhibit,
 express, explain, illustrate, introduce, narrate,
 portray, recite, recommend, refer, reimburse, restore,
 submit, surrender.

საინტერესოა, რომ მეორე ცნობილი მეცნიერი ლევინი (1993) ზმნების ასეთ ალტერნატიულ კონსტრუქციებს დასაშვებად მიიჩნევს, მაგრამ *carry*-სა და *give*-ს ერთ კლასში აქცევს. როგორც ვხედავთ ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გვხვდება როგორც მოსაუბრეებს შორის, ასევე მეცნიერებს შორისაც. აღსანიშნავია, რომ [___ დფ დფ] არგუმენტული სტრუქტურის მქონე ზმნები აღნიშნავენ მოქმედებას, რომელიც რაიმე სახის კუთვნილებას მიუთითებს. (60ა) წინადადებაში, ბასანიოს ექნება ბეჭედი, (60ბ) წინადადებაში ანტონიოს ექნება ყუთი. მაგრამ [___ დფ დფ] სტრუქტურის მქონე ყველა ზმნა, რომლის მნიშვნელობაც შეიძლება გარკვეულწილად კუთვნილებას დაუკავშიროთ, არ შეიძლება ამგვარადვე იქნეს გაგებული. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ბალისტიკური მოქმედების გამომხატველი ზმნები ისევე, როგორც იძულებითი მოქმედების გამომხატველი ზმნები, განაპირობებენ მიმღების მიერ გადაადგილებული ობიექტის ფლობას. თუმცა, ზოგიერთ ბალისტიკური მოქმედების ზმნებს (როგორიცაა *throw*) [___ დფ დფ] კონსტრუქცია აქვთ, ხოლო სხვებს (როგორიცაა *catapult* წინადადებაში **I catapulted you a rock*) არ აქვთ და ეს განირჩევა მოსაუბრეებშიც. ამის მსგავსად, იძულებითი მოქმედების გამომხატველ ზოგ ზმნას (როგორიცაა *carry*) არ აქვთ [___ დფ დფ] კონსტრუქცია, ხოლო სხვებს (როგორიცაა ზმნა *bring* წინადადებაში *I bring you a rock*) აქვთ. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ განსხვავებები სადაო საკითხია, რის ნაწილსაც ბავშვი ენის შესწავლისას უნდა გაეცნოს.

7.6 დასკვნა

მოსაუბრეები ცნობენ კონკრეტულ კავშირს წინადადებას შორის, კავშირს, რომელიც ემყარება წინადადებათა მნიშვნელობებს. სწორი წინადადება ამტკიცებს იმას, რასაც ის გულისხმობს, მაგრამ წინადადება ასევე შეიძლება ვარაუდობდეს რაიმეს, კერძოდ კი იმას, რაც ნაგულისხმევია როგორც წინადადებაში, ისე მის უარყოფით ფორმაში. ლოგიკური გამომდინარეობა არის ურთიერთობის განსაკუთრებულად მარტივი და მნიშვნელოვანი სახე. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ

წინადადებების მნიშვნელობები განისაზღვრება კომპოზიციურად და ამიტომ ლოგიკური გამომდინარეობა იცნობა წინადადების წევრთა მნიშვნელობების განხილვის საფუძველზე.

ისეთ მარტივ წინადადებაში, როგორცაა *Cassandra laughed*, სუბიექტი დე აღნიშნავს საგანს, ხოლო ზმფ ასახელებს იმ თვისებას, რაც ამ საგანთა ჯგუფს ახასიათებს. წინადადება ასევე ამტკიცებს, რომ კასანდრა ამ ჯგუფის შემადგენლობაშია. მაგრამ ყოველთვის მართალი არ არის, თითქოს წინადადების სუბიექტი იმ საგანს აღნიშნავდეს, რომელზეც საუბრობს ზმფ. საკუთარი სახელები ჩვეულებრივ ასახელებენ რაიმეს, მაგრამ [დ ს]-ის ფორმის დფ-ები გაცილებით უფრო რთულია. მსაზღვრელები გვიჩვენებენ ურთიერთდამოკიდებულებას ს-ით გადმოცემული თვისებების მქონე საგანთა ჯგუფ [[ს]]-ს და ზმფ-ით აღნიშნული თვისებების მქონე საგანთა ჯგუფს [[ზმფ]]-ს შორის. მსაზღვრელებით გადმოცემულ კავშირთა სახეები მაინც შეზღუდულია: მსაზღვრელები, თითქმის გამონაკლისის გარეშე, კონსერვატიულია. მკვეთი ზედსართავი სახელი აგრეთვე შეიძლება განვიხილოთ, როგორც [[ზ]] საგანთა ჯგუფის თვისებათა აღმნიშვნელი. როდესაც მკვეთი ზედსართავი სახელი ზ განსაზღვრავს არსებით სახელ ს-ს, შეგვიძლია ვისაუბროთ თვისებებზე, რომლებიც გვხვდება როგორც [[ზ]] ჯგუფში, ისე [[ს]] ჯგუფში. ჯგუფების ასეთი კომბინაციები შეიძლება განმეორდეს მრავალჯერ: როდესაც ორი მკვეთი ზედსართავი სახელი ზ1 და ზ2 განსაზღვრავს არსებით სახელს ს-ს (რაც დასაშვებია სინტაქსის წესებით), ჩვენ ვსაუბრობთ იმ თვისებებზე, რომელიც არის ყველა ჯგუფში [[ზ1]]-შიც, [[ზ2]]-შიც და [[ს]]-შიც. ეს გავრცობილი ვარიანტები არ ეხება ყველაფერს, რაც ვიცით მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ასეთი სახის ანგარიში არის სანყისი იმისა, რაც სისტემატურად შეიძლება განვითარდეს და დაუკავშირდეს ენის სტრუქტურებს.

საკითხავი ლიტერატურა

- Bach, Emmon. 1989. *Informal Lectures on Formal Semantics*. New York: State University of NY Press.
- Barwise, Jon and Cooper, Robin. 1981. Generalized quantifiers and natural language. *Linguistics and Philosophy*, 4: 159-219.
- Keenan, Edward. 1996. The semantics of determiners. In Shalom Lappin, ed., *The Handbook of Contemporary Semantic Theory*. Oxford: Blackwell.
- Keenan, Edward. 1971. Two kinds of presupposition in natural language. In Fillmore, C. and Langendoen, D. T. eds., *Studies in Linguistic Semantics*, PP45-54. New York: Holt.
- Pinker, Steven. 1989. *Learnability and Cognition: The Acquisition of Argument Structure*. Cambridge, MA: MIT Press.
- Talmy, Leonard. 1985. Lexicalization patterns: Semantic structure in lexical forms. In T. Shopen, ed., *Language Typology and Syntactic Description, Volume 3: Grammatical Categories and the Lexicon*. Cambridge: Cambridge University Press.
- Stalnaker, Robert. 1978. Assertion. In Peter Cole, ed., *Pragmatics. Syntax and Semantics*, 9, pp. 315-32. New York: Academic Press.

სავარჯიშოები

მართებულია თუ არა შემდეგი დებულებები?

(ა) წინადადება *Everything is a brown cow* გულისხმობს *Most things are cows*.

(ბ) წინადადება *All cows are purple* გულისხმობს *All purple things are cows*.

(გ) წინადადება *The student ate the cake* გულისხმობს *The student ate*.

(დ) წინადადება *The hammer broke the cup* გულისხმობს *The hammer broke*.

სავარჯიშო 7.5

გაანალიზეთ ზოგიერთი ახლად შექმნილი მსაზღვრელები: *wurg* და *berf*, ისე რომ შეძლოთ თქვათ: *Wurg daughters of Lear loved him* და *Berf fairies attend Hippolyta*. განსაზღვრეთ შემდეგი მსაზღვრელები შემდეგნაირად:

[*Wurg* ს ზმფ] არის სწორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფრო მეტი რამ იგულისხმება [[*ზმფ*]]-ში, ვიდრე [[*ს*]]-ში

[*Berf* ს ზმფ] სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ [[*ზმფ*]] არის [[*ს*]]-ის ქვეჯგუფი. ასეთი სახის განმარტებებით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

ა. *wurg* კონსერვატიულია თუ არა? დაასაბუთეთ.

ბ. არის თუ არა *wurg*-ის მსგავსი მნიშვნელობის მქონე მსაზღვრელი ინგლისურ ენაში? ანუ როგორ იტყოდით წინადადებას *Wurg fairies wait upon the Queen* ინგლისურად *wurg* სიტყვის გამოყენების გარეშე.

გ. *berf* სიტყვა კონსერვატიულია? დაასაბუთეთ.

დ. არის თუ არა ინგლისურში *berf*-ის შესატყვისი მსაზღვრელი?

სავარჯიშო 7.6

თანდებულიანი ფრაზები ზოგჯერ შემზღვევლია და მკვეთი ისე, როგორც ზედსართავი სახელით გამოხატული მსაზღვრელები. მაგალითად, *Every witch in the castle smiled* ამბობს, რომ ყველა ელემენტი [[*witch*]] ო [[*in the castle*]]-ის ჯგუფის არის [[*smiled*]] ჯგუფში. შეგვიძლია ვთქვათ:

თანდებულიანი ფრაზები თუ არის მკვეთი თუ [*every* ს თფ] ნიშნავს, რომ საგანთა ჯგუფი, რომელიც არის [[*ს*]]-შიც და [[*თფ*]]-შიც, ასევე არის [[*ზმფ*]] ჯგუფში.

მოიფიქრეთ რამდენიმე თანდებულიანი ფრაზა, რომლებიც არაა მკვეთი და დაასაბუთეთ, თქვენი აზრით, რატომ არ არიან ისინი მკვეთები.

სავარჯიშო 7.7

მტკიცება, რომ ყველა მსაზღვრელი კონსერვატიულია, კარგადაა გავრცელებული ყველა ენაში. თუმცა, მაინც არის რამდენიმე აშკარა გამონაკლისი. ერთ-ერთი მათგანია ინგლისური სიტყვა *only* ფრაზაში *only witches cast spells*.

ა. თუკი *only* განიხილება, როგორც მსაზღვრელი, ის არაა კონსერვატიული. ახსენით, რატომ?

ბ. შემდეგი მონაცემები ასაბუთებენ თუ არა, რომ *only* არის მსაზღვრელი? ახსენით თქვენი პასუხი.

- the witches cast spells
- three witches cast spells
- the three witches cast spells
- *the the witches cast spells
- *the three four witches cast spells
- only witches cast spells
- only the witches cast spells
- only the three witches cast spells
- the three witches only cast spells
- the three witches cast only spells

.....
 ამერიკული ინგლისურით მოსაუბრეთა უმრავლესობა დასაშვებად მიიჩნევს **საპარაჯიზო 7.8**
 შემდეგ წინადადებებს:

They baked a cake for me
 They baked me a cake
 They dug a ditch for me
 They dug me a ditch
 They mixed a drink for me
 They mixed me a drink

ზოგიერთი სხვა ზმნა იღებს [___ დფ for-დფ] სტრუქტურას და არა [___ დფ დფ]
 ფორმებს:

A1. ა. They opened the door for me
 ბ. *They opened me the door
 A2. ა. They arranged the day for me
 ბ. *They arranged me the day
 A3. ა. They caught the plane for me
 ბ. *They caught me the plane.

თუმცა, ეს ბოლო მაგალითები დამაბნეველია. ის, რაც რეალურად ხდება, არის
 ძალიან შეუძნეველი და დამოკიდებულია **არგუმენტებზე**:

A1. გ. They opened me a beer
 A2. გ. They arranged us a wedding
 A3. გ. They caught me a butterfly

თქვენი აზრით, რა ხსნის განსხვავებას (ბ) და (გ) მაგალითებს შორის? (თუ არ
 ხართ ამერიკული ინგლისურით მოსაუბრე, მაშინ შეიძლება დაგჭირდეთ კონსულტაცია
 ადამიანთან, ვისთვისაც ამერიკული ინგლისური მშობლიური ენაა).

.....
 შეადარე ერთმანეთს ინგლისურის, ჰაუზასა და უნგრულის სიტყვები. იქ, სადაც **საპარაჯიზო 7.9**
 ინგლისურს სიტყვათა წყვილი აქვს, ჰაუზასა და უნგრულს მხოლოდ ერთი შესატყვისი
 გააჩნიათ. განიხილე, რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ენების შემეცნებით და
 ლინგვისტურ განსხვავებებს შორის:

ინგლისური	ჰაუზა	უნგრული
leather/skin	fata	bőr
meat/flesh	nama	hús
wood/tree	itače	fa

.....
 მოქმედება გულისხმობს შემდეგ კომპონენტებს: მოქმედების ფაქტს, მოქმედ **საპარაჯიზო 7.10**
 ფიგურას, მოქმედების მიმართულებას, მოქმედების მანერას. (ფიგურის ცნება
 გესალტის ფსიქოლოგიიდან მომდინარეობს: ის არის მოვლენის ცენტრალური
 ელემენტი). ჩავთვალოთ, რომ ეს შემეცნებითი ტერმინებია, რომლითაც მოქმედება
 აღინერება. შეადარეთ, ამ კომპონენტების გამოხატვის საშუალებები ინგლისურსა
 და ესპანურ ენებში. იმსჯელეთ, რაზე მეტყველებს შემდეგი მტკიცების შედეგები:
 მნიშვნელობები პირდაპირ ასახავს შემეცნებით სხვაობებს.

The bottle floated into the cave.
 La botella entro a la cueva flotando.
 the bottle went+in prep the cave floating

‘ბოთლი შეტივტივდა გამოქვაბულში.’

I rolled the keg into the storeroom.

Meti el barril a la bodega rodandolo.

put+in+I the keg prep the storeroom rolling

‘მე კასრი სანყობში შევაგორე.’

სავარჯიშო 7.11

ჩამოთვლილთაგან რომელი ვარაუდობს წინადადებას *I regret that I lied to the queen?* ანალიზისას, განიხილეთ პირობები, რა შემთხვევაშიც მართებული იქნება როგორც ზემოაღნიშნული წინადადება, ასევე მისი უარყოფითი ფორმა.

(ა) I regret that I lied to the queen.

(ბ) I lied to the queen.

(გ) I am generally an honest person.

(დ) There is a queen.

(ე) A unique queen is identifiable in the context.

სავარჯიშო 7.12

ქვემოთ მოცემულია განმარტება, რომელიც მკაცრად იცავს წესს, რომ ‘რეკომენდაციის წერილში ცუდი არაფერი არ უნდა თქვა ადამიანზე’. მაგრამ ავტორი მაინც ახერხებს ჩანეროს ზოგი მნიშვნელოვანი ცნობა. ზუსტად რა ცნობებზეა საუბარი და როგორ ახერხებს ავტორი ამას?

Mr. X is a great person. He has recently stopped beating his neighbours and kicked his habit of coming to work stone drunk.

მისტერ X მშვენიერი ადამიანია. მან ახლახან შეწყვიტა მეზობლების ცემა და სამსახურში გაღვივებული მთვრალი აღარ მიდის.

სავარჯიშო 7.13

მე-4 თავში ჩვენ ვისაუბრეთ დამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობს *wh*-ფრაზებსა და წინადადებაში გამოტოვებულ ადგილებს შორის. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება მოიცავდეს ერთზე მეტ წინადადებას, მაგალითად:

How do you believe (that) I should behave - ?

ამგვარ შორეულ დამოკიდებულებას მთავარი წინადადების ზმნასთან ჰქვია **ხიდური ზმნა**. ზემოთ აღნიშნული მაგალითები გვიჩვენებს, რომ *believe* არის საკმაოდ კარგი ხიდი. შეამოწმეთ, რამდენად კარგი ხიდებია 7.3 სავარჯიშოში წარმოდგენილი ზმნები. ამ შემთხვევებისას შეინარჩუნე *wh*-სიტყვა *how*, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, გაასწორეთ ზმნების დრო და კილო. შეეცადე მოახდინო ‘ხიდობისა’ და ვარაუდების განზოგადება.

სავარჯიშო 7.14

რას ვარაუდობს შემდეგი წინადადებები? აწარმოეთ მათი უარყოფითი ფორმა *it is not the case that* ფრაზის წინ დართვით:

(ა) Othello, too, wept.

(ბ) Even Othello wept.

(გ) Only Othello wept.

(დ) It was Othello who wept.

სემანტიკა II: კონტექსტი

შინაარსის სარჩევი

8.0 შესავალი

8.1 ნაცვალსახელები და კავშირები

8.2 უარყოფითი პოლარულობის გამომხატველი სიტყვები

8.3 მიმართებითი კონტექსტი

8.3.1 უარყოფისა და დფ-ების მიმართებითი კონტექსტი

8.3.2 ორი დფ-ის მიმართებითი კონტექსტი

8.3.3 კონტექსტის ინტერპრეტაცია: შეიძლება თუ არა, რომ არალინგვისტური

ცოდნა გახდეს წყარო?

8.3.4 მიმართებითი კონტექსტის სინტაქსუ

რი და სემანტიკური ასპექტები

8.4 კონტექსტური კავშირების მარკირება:

მორფოლოგია და სინტაქსი

8.4.1 გრენლანდიელი ესკიმოსი

8.1.2 უნგრელი

8.5 დასკვნა

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა

სავარჯიშოები

8.0 შესავალი

კომპოზიციურობის პრინციპის თანახმად, გამოთქმის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი წევრების მნიშვნელობებით. წინა თავი დაეთმო პირველ მონახაზს ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს თავი კი ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გამოთქმის მნიშვნელობა ასევე შეიძლება დამოკიდებული იყოს მის კონტექსტზე, როდესაც რელევანტური კონტექსტი არის ლინგვისტური სტრუქტურა, სადაც მოცემული გამოთქმა გვხვდება. მაგალითად, როდესაც ვამბობთ: *Henry was King of England*, — *Henry* სახელით აღნიშნული ადამიანი განსხვავდება შემდეგ წინადადებაში აღნიშნული *Henry*-სგან: *Henry founded the Ford Motor Company*. მნიშვნელობის მხრივ განსხვავება წინადადების სინტაქსური წევრებით კი არ განისაზღვრება, არამედ მისი პრაგმატული კონტექსტის მიხედვით. მაგრამ როცა ვამბობთ, *Every king admires himself*“, *himself*-ის მნიშვნელობა გამომდინარეობს მისი სტრუქტურული კონტექსტიდან: ის გულისხმობს თითოეულ მეფეს.

ეს თავი ყურადღებას გაამახვილებს სემანტიკური ღირებულების კონტექსტურად განსაზღვრისამუკანასკნელ გზაზე; კონკრეტულად კი, წინადადებაში *everyking admires himself*“ სიტყვა *himself*-ის მიმართებას განსაზღვრავს სტრუქტურული კონტექსტის სხვა ელემენტები. ამგვარ ტიპის შემთხვევებში ვამბობთ, რომ სუბიექტს აქვს ობიექტი თავის კონტექსტში. ეს არ უარყოფს ძირითად იდეას კომპოზიციურობის შესახებ, იმას რომ კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეებს თავიანთ ენაზე უსასრულო რაოდენობის

გამოთქმათა გასაგებად სჭირდებათ წინადადებების წევრთა მნიშვნელობების ცოდნა და იმის მიხედვრა, თუ როგორ არის ეს წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული. გამოთქმის კომპოზიციურად განსაზღვრული მნიშვნელობა დასაშვებს ხდის ფაქტს, რომ გამოთქმის ზოგიერთ წევრს შეიძლება კონტექსტიდან გამომდინარე ღირებულება ჰქონდეს. იმის გასაგებად, თუ რას გამოხატავს წინადადება ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსაუბრემ უნდა გაითვალისწინოს ისეთი გავლენაც, როგორიცაა *himself*-ისნაირი წევრების მიმართება მათი სტრუქტურული კონტექსტისადმი. ეს თავი განიხილავს სტრუქტურული კონტექსტის მიხედვით წევრების მნიშვნელობის სემანტიკურად ცვლილების გზებს.

8.1 ნაცვალსახელები და კავშირები

არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ნაცვალსახელები განსხვავდებიან კონტექსტებში ინტერპრეტირების მიხედვით. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს გავლენა სისტემატურია და სტრუქტურის მიმართ მგრძობიარე. ჩვენ თვალი გადავავლეთ ამ საკითხს მე-4 თავში, სადაც ვნახეთ, რომ წინადადების ერთსა და იმავე ნაწილში უკუთქმითი ნაცვალსახელები და მათ წინ მდგომი სიტყვა უნდა იყოს შეთანხმებული, კატეგორიით შერჩეული. სწრაფად რომ გადავავლოთ თვალი ამ საკითხს, განვიხილოთ შემდეგი წინადადებები:

- (1) Cleopatra amuses herself.
- (2) *Antony amuses herself.
- (3) *Cleopatra knows that Antony amuses herself.
- (4) *Antony and Cleopatra amuse herself.

(1) წინადადებაში უკუთქმით ნაცვალსახელს *herself* წინ უსწრებს სიტყვა *Cleopatra*. უკუთქმითი გვევლინება წინადადების იმავე ნაწილში, სადაც მისი წინმსწრები სიტყვაა, იგი ენყობა მას რიცხვსა და სქესში (მდედრობითი სქესი, მხოლობითი რიცხვი) და ის კატეგორიით შერჩეულია წინმსწრების მიერ. (2) წინადადებაში უკუთქმით ნაცვალსახელს არ აქვს წინმსწრები. ერთადერთი ვარიანტია *Antony*, მაგრამ ეს სახელი ტრადიციულად მამრობითი სქესისაა და იგი არ ეთანხმება ნაცვალსახელს. (3) წინადადებასთან ის პრობლემაა, რომ ნაცვალსახელი და მისი წინმსწრები დგას წინადადების ერთსა და იმავე ნაწილში. და ბოლოს, (4) წინადადება მიუღებელია, ვინაიდან *Cleopatra* კატეგორიით არ ირჩევს *herself*-ს. ერთადერთი კატეგორიით შერჩეული ფრაზა არის მთელი სუბიექტი, *Antony and Cleopatra*, მაგრამ ის არ ენყობა უკუთქმით ნაცვალსახელს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ (4) -ში ნაცვალსახელი არ დგას შესაძლო წინმსწრების კონტექსტში, რაც ნიშნავს, რომ *herself* არაა იმ ადგილას, სადაც მის მნიშვნელობას *Cleopatra* განსაზღვრავდა.

ესაა სინტაქსური ფაქტები, რამდენადაც ისინი განაპირობებენ უკუთქმით ნაცვალსახელთა ადგილს სინტაქსურ სტრუქტურაში, მაგრამ ასევეა სემანტიკურიც, ვინაიდან წინმსწრები აღნიშნავს იმას, რასაც ნაცვალსახელი მიემართება. ამ შემთხვევებში, ამკარაა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ნაცვალსახელის მიმართება მხოლოდ წინადადების წევრებზე თვალის გადავლებით. ჩვენ უფრო ფართო კონტექსტს უნდა შევხედოთ და უფრო მეტიც, ჩვენთვის ამ ფართო კონტექსტის მხოლოდ

კონკრეტული წევრებია მნიშვნელოვანი, კერძოდ კატეგორიით შერჩეული წევრები, რომლებიც წინადადებაში ფრაზებს ერთმანეთს უწყობენ. აქ იმას ვგულისხმობთ, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ ნაცვალსახელის მიმართების განსაზღვრისას წინმსწრების ფუნქციის შესრულება.

მე-4 თავში ვნახეთ, რომ (1) -სნაირ წინადადებაში უკუთქმითი ნაცვალსახელი დროებითი სახელივით იყო, როცა მას ეკავა ის პოზიცია, სადაც ჩვენ *Cleopatra* მეორედ უნდა გვეხსენებინა. ამგვარი აღწერა ინტუიტიურად სწორია, მაგრამ არ მოიცავს მნიშვნელოვან საკითხს – ნაცვალსახელთა განსაკუთრებულ მახასიათებლებს. ნაცვალსახელებს აქვთ თვისება, რომელიც სიმცირეს აღნიშნავს. ისინი ენაცვლებიან თითოეულ ადამიანს წინმსწრების მიერ აღნიშნულ ხალხში. ამას ნათლად ვხედავთ შემდეგ წინადადებაშიც:

(5) Every princess amuses herself.

აქ ნაცვალსახელი ენაცვლება თითოეულ პრინცესას. სახელი ამ როლს ვერ შეასრულებდა. პრინცესებისა და დედოფლების ოთახშიც კი (6) წინადადებაში დასახელებული კლეოპატრა ვერ აღნიშნავს იმას, რასაც ნაცვალსახელი (5) წინადადებაში:

(6) Every princess amuses Cleopatra.

(5) წინადადება ასევე არ აღნიშნავს იმავეს, რასაც (7) წინადადება:

(7) Every princess amuses every princess.

უკუთქმითი ნაცვალსახელი ზრდის ენის გამოხატვის უნარს.

უკუთქმითი ნაცვალსახელების გარემოცვაზე არსებული განსაკუთრებული შეზღუდვები განსხვავდება იმ შეზღუდვებისგან, რომელიც ხორციელდება არაუკუთქმით ნაცვალსახელთა (*he, she, it, him, her*) გარემოცვაზე. განვიხილოთ წინადადებები:

(8) Every princess knows that Cleopatra will find a prince.

(9) Every princess knows that she will find a prince.

(8) წინადადებაში წარმოდგენილი სახელი შეიძლება მიემართებოდეს სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა შემთხვევაში. თუ წინადადება წარმოთქმულია ხალხით სავსე ოთახში სახელად კლეოპატრა, მაშინ რეფერენტი შეიძლება ნაჩვენები იყოს მითითებით. განსხვავებული მდგომარეობაა (9) წინადადებაში, სადაც სახელის ნაცვლად ნაცვალსახელია. აქ შეგვიძლია განვასხვავოთ *she* ნაცვალსახელის ინტერპრეტაციის ორი გზა. ერთი ვარიანტია, რომ ნაცვალსახელი მიემართება ადამიანს, რომელიც მანამდე ნახსენები, ან ვინმეს, ვინც მითითებულია. ამას ხშირად უწოდებენ ნაცვალსახელთა **მიმართებით გამოყენებას**. მაგრამ ნაცვალსახელს აქვს ისეთი არჩევანი, რომელიც საკუთარ სახელს არ აქვს: მას შეუძლია მიემართებოდეს *every princess*-ში ნაგულისხმევ თითოეულ ადამიანს. ამ შემთხვევაში წინადადება ნიშნავს იმას, რომ ყველა პრინცესამ იცის, რომ იპოვის თავის პრინცს. ეს წინადადება ორაზროვანია. შეგვიძლია იგი შემდეგი მნიშვნელობის გამოსახატავად გამოვიყენოთ:

(10) Every princess_i knows that she_i will find a prince.

ეს **მინაწერები** გვიჩვენებს, რომ *she* მიემართება თითოეულ ინდივიდს, რომელიც ნაგულისხმევა *every princess*-ში. ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ ნაცვალსახელი

მიმაგრებულია წინმსწრებ *every princess*-ზე. ნაცვალსახელთა ამგვარი ბმული გამოყენება, განსხვავებით მიმართებითი ხმარებისა, გვაძლევს (9) წინადადების ინტერპრეტაციას, რომელიც გულისხმობს, რომ თუ კლეოპატრა პრინცესაა, მაშინ კლეოპატრამ იცის, რომ ის, ანუ კლეოპატრა, იპოვის პრინცს. (ალსანიშნავია, რომ კლეოპატრას დედოფლობა შექსპირის „ანტონიო და კლეოპატრა“-ში მნიშვნელოვანი არ არის). მიმართებითი გაგება გვაძლევს წინადადებას, სადაც *she* მიემართება სხვა ადამიანს და არა თითოეულ პრინცესას, და ამგვარად, შეგვიძლია სახელადი ფრაზებისთვის სხვადასხვაგვარი მინაწერის გაკეთებით წინადადების შემდეგნაირი წაკითხვა წარმოვადგინოთ:

(11) Every princess_i knows that she_i will find a prince.

ამ პირობებში უკუთქმითი ნაცვალსახელები ყოველთვის მიმაგრებულია, ხოლო არაუკუთქმითები შეიძლება იყოს ან ბმული ან მიმართებითი. სახელები კი არასდროს არაა ბმული.

კონტექსტები, სადაც არაუკუთქმითი ნაცვალსახელები ბმულად გვხვდება განსხვავდება იმ კონტექსტებისგან, სადაც უკუთქმითები ბმულებია, რასაც შემდეგი წინადადებების შედარებაც გვიჩვენებს:

(12) Every princess_i appreciates herself_i.

(13) *Every princess_i appreciates her_i.

(14) *Every princess_i knows that we appreciate herself_i.

(15) Every princess_i knows that we appreciate her_i.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ თუკი უკუთქმითი ნაცვალსახელის წინმსწრები აუცილებლად წინადადების იმავე ნაწილში უნდა იყოს, სადაც თავად ნაცვალსახელია, არაუკუთქმითების შემთხვევაში პირიქითაა. შეუძლია თუ არა ნაცვალსახელს წინმსწრები სხვა წინადადებაში ჰქონდეს? ვხედავთ, რომ არ შეუძლია:

(16) *Every queen_i knows the joke. She_i laughed.

ვინაიდან არაუკუთქმითი ნაცვალსახელები საკმაოდ განსხვავდებიან უკუთქმითებისგან, შეგვიძლია შევამოწმოთ, კატეგორიით უნდა შეარჩიოს თუ არა არაუკუთქმითი ნაცვალსახელი წინმსწრებმა სწორედ ეს იყო (4) წინადადების მიუღებლობის მიზეზი. შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ნაცვალსახელებს ამგვარი მოთხოვნები აქვთ:

(17) ა. [Every queen and every princess]_i knows that we appreciate her_i.

ბ. *Every queen and [every princess]_i knows that we appreciate her_i.

(17ა)-ში წარმოდგენილი ნაცვალსახელი მიემართება თითოეულ დედოფალს და პრინცესას, მაგრამ (17ბ) მიუღებელია. ეს ნაცვალსახელი ვერ მიემართება მხოლოდ თითოეულ პრინცესას.

ამრიგად, ნათელია, რომ უკუთქმით ნაცვალსახელებსა და სხვა ნაცვალსახელებს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ უკუთქმითი ნაცვალსახელის მნიშვნელობის დადგენა კონტექსტის მიხედვით ხდება. ამ რამდენიმე მაგალითის განხილვის შემდეგ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი განსხვავებები:

კავშირის პრინციპი A: უკუთქმითი ნაცვალსახელი უნდა იყოს მიმაგრებული წინმსწრებზე უმცირეს ნ-ში (ან სფ-ში).

კავშირის პრინციპი B: ნაცვალსახელი ვერ იქნება მიმაგრებული წინმსწრებზე უმცირეს ნ-ში (ან სფ-ში).

კავშირის პრინციპი C: სახელები არ შეიძლება იყოს მიმაგრებული.

ეს პრინციპები დასაწყისია იმ ჩამონათვალისა, თუ როგორ მოიცავს სინტაქსური სტრუქტურა წინადადების მნიშვნელობას ნაცვალსახელებთან და უკუთქმითებთან ერთად და როგორ ახერხებს ამას იმ გზებით, რომელიც გავლენას ახდენს წინადადების მართებულობისთვის აუცილებელ სიტუაციასა და ლოგიკურ გამომდინარეობაზე.

8.2 უარყოფითი პოლარულობის გამომხატველი სიტყვები

მე-4 თავში წარმოდგენილი იდეა, რომ შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს იმ გამოთქმათა კონტექსტში, რომლებიც კატეგორიით ირჩევენ მას, ეხებოდა არა მხოლოდ უკუთქმით ნაცვალსახელებს, არამედ **უარყოფითი პოლარულობის გამომხატველ სიტყვებსაც** უარყოფის საშუალებებსაც, NPI-ს რომ უწოდებენ, ასეთებია *at all*, *much* და *ever*.

(18) He does not like beer at all.

(19) *He likes beer at all.

(20) He doesn't ever drink beer.

(21) *He ever drinks beer.

(22) The princess eats pies and the prince doesn't ever drink beer.

(23) *The princess doesn't eat pies and the prince ever drinks beer.

წინა სინტაქსურ თავში წარმოდგენილი ვარაუდი ასეთი იყო:

NPI-ს ლიცენზირების წესი:

NPI-ის შემცველი წინადადება სწორადაა ფორმულირებული, თუ NPI არის უარყოფითი პოლარულობის სიტყვების ლიცენზორის კატეგორიით შერჩეულ ნაწილში.

ამგვარად, (19) და (20) წინადადებები შეუსაბამოა, ვინაიდან მათ არ აქვთ უარყოფითი ელემენტები, ხოლო (23) არ ვარგა, ვინაიდან უარყოფითი ელემენტი არ ირჩევს კატეგორიით NPI-ს.

ზემოთ აღნიშნული წესი მოიცავს უარყოფითი პოლარულობის სიტყვების პოზიციას წინადადების სტრუქტურაში და ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენ სინტაქსური პრინციპებისგან მოველით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს წესი არ ამბობს, რა უნდა იყოს უარყოფითი ელემენტი; უკეთ გასარკვევად რამდენიმე მაგალითია ნაჩვენები. ეს აჩენს შეკითხვას: ელემენტის უარყოფითობა არის თუ არა სინტაქსური მახასიათებელი? მოდით, განვიხილოთ ეს საკითხი. საჭიროა, გავაანალიზოთ შემდეგი წინადადებები, სადაც ვხედავთ, რომ NPI-ები გვხვდება ზოგიერთ ისეთ კონტექსტში, რომლებიც ცალსახად უარყოფითი არაა:

(24) Less than three knights ever drink beer.

- (25) *More than three knights ever drink beer.
 (26) At most ten knights ever drink.
 (27) *At least ten knights ever drink.


არსებობს რაიმე შეხედულება, რომლის თანახმადაც *less than three* და *at most ten* უარყოფითია, ხოლო *more than three* და *at least ten* – არა? ახლა ვნახავთ, რომ არსებობს. საკითხის ასეთი განხილვა საინტერესოა, ვინაიდან აქ მოყვანილი უარყოფითი ელემენტების დახასიათება სემანტიკურია და ასევე იმიტომაც, რომ ამ უარყოფითი ელემენტების კონტექსტი კვლავ მოცემულია კატეგორიათა შერჩევის პირობებში.

შეგვიძლია, შემდეგნაირად განვსაზღვროთ მსაზღვრელთა ჯგუფი მათი ლოგიკური გამომდინარეობის საფუძველზე:

მსაზღვრელი დ ანარმოებს შემცირებით დფ-ს თუ, როცა გვაქვს 2 ზმნური ფრაზა ზმფ1 და ზმფ2, საიდანაც [[ზმფ1]] ყოველთვის [[ზმფ2]]-ის ქვეჯგუფია, ასეთ დროს წინადადება [დ ს ზმფ2] გულისხმობს წინადადებას [დ ს ზმფ1].

განვიხილოთ, მაგალითად, ზმნური ფრაზა *sings and dances*, რომელიც აღნიშნავს [[sings and dances]] ჯგუფს. ეს ჯგუფი ყოველთვის იქნება [[sings]]-ის ქვეჯგუფი, ვინაიდან ყველაფერი, რაც მღერის და ცეკვავს არის ის, რაც მღერის. ანალოგიურად, ჯგუფი [[sings beautifully]] ყოველთვის არის [[sings]] ჯგუფის ქვეჯგუფი, ვინაიდან ყველაფერი, რაც მშვენივრად მღერის არის ის, რაც მღერის.

მოდით, *sings beautifully* აღვნიშნოთ ზმფ1-ით, ხოლო ჯგუფი *sings* ზმფ2-ით. ეს ზმნური ფრაზები შეგვიძლია გამოვიყენოთ, რომ შევამოწმოთ, ანარმოებს თუ არა მსაზღვრელი *no* შემცირებით დფ-ს. **ს** არსებითი სახელი იყოს *king*. (ნებისმიერი არსებითი სახელის შემთხვევაშიც იგივე იქნებოდა). ნათლად ჩანს, რომ (28) წინადადება გულისხმობს (29) წინადადებას.



ნახ. 8.1 მშვენივრად მომღერალ ადამიანთა ჯგუფი არის მომღერალთა ქვეჯგუფი.

- (28) No king sings.
 (29) No king sings beautifully.

ვსაკენით, რომ *no* ანარმოებს შემცირებით დფ-ს. სხვა მსაზღვრელით, როგორცაა *every*, იგივე მაგალითების გაანალიზებისას შედეგები საკმაოდ განსხვავებულია.

- (30) არ გულისხმობს (31) -ს:
 (30) Every king sings.

(31) Every king sings beautifully.

სხვა მსაზღვრელების განხილვით მარტივად ვხვდებით, შემცირებითა ისინი თუ არა:

(32) მსაზღვრელები, რომლებიც აწარმოებენ შემცირებით დღ-ებს:

no, less than 3, at most 30, fewer than 6, no more than 2. . .

(33) მსაზღვრელები, რომლებიც არ აწარმოებენ შემცირებით დღ-ებს:

the, a, every, some, most, exactly 6, at least 5, all but 3. . .

დებულება უარყოფითი პოლარულობის სიტყვების შესახებ შემდეგში მდგომარეობს: ყველა შემცირებითი დღ არის ნეგატიური ელემენტი, NPI ლიცენზირების წესის მიერ მოთხოვნილი თვალსაზრისით. (32) და (33) -ში წარმოდგენილი სიის გადამონშებით, დავინახავთ, რომ ეს დებულება გამოდგება თუნდაც ასეთი ტიპის კონსტრუქციებისთვის:

(34) ა. No child ever betrayed her father.

ბ. Less than 3 children ever betrayed their fathers.

გ. No more than 2 children ever betrayed their fathers.

დ. *The child ever betrayed her father.

ე.*Every child ever betrayed her father.

ვ.*Most children ever betrayed their fathers.

ეს ნიმუშები გვიჩვენებს, რომ შემცირების სემანტიკური მახასიათებელი ისაა, რის მიმართაც მოსაუბრეები მგრძნობიარენი არიან და ეს ამტკიცებს გავრცობითი სემანტიკის ძირითად ცნებებს, რაც განვიხილეთ წინა თავში. ამ უკანასკნელის თანახმად, ამა თუ იმ ენაზე ყველა მოსაუბრემ უნდა იცოდეს წინადადებებს შორის ლოგიკური გამომდინარეობის სულ ცოტა რამდენიმე საფუძველი. ამის შედეგად, ნაცვალსახელის ინტერპრეტაცია განიცდის კატეგორიით შერჩეული წინმსწრების ზეგავლენას და უარყოფითი პოლარულობის სიტყვა მოითხოვს კატეგორიით შერჩეული შემცირებითი დღ-ის ყოფნას. ორივე მათგანი კონტექსტის ცნებებია: როცა გვაქვს შემცირებითი დღ, რომელიც სავარაუდო წინმსწრებია, ამან შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს კატეგორიით შერჩეული ნაწილის სტრუქტურასა და ინტერპრეტაციაზე. ეს ნაწილები დღ-ის კონტექსტში შედის.

8.3 მიმართებითი კონტექსტი

ამ ქვეთავში განვავრცობთ კონტექსტის ცნებას ა) უარყოფისა და სახელადი ფრაზის ურთიერთმიმართებასთან კავშირში და ბ) ორ სახელად ფრაზასთან მიმართებაში.

8.3.1. უარყოფისა და დღ-ების მიმართებითი კონტექსტი

ზოგი წინადადება ორაზროვანია, განსაკუთრებით დაწერილი ფორმით (საუბრისას ეს ორაზროვნება ქრება ინტონაციის დახმარებით). განვიხილოთ (35) და (36) წინადადებების ორ-ორი მნიშვნელობა.

(35) Puck didn't solve one problem.

ა. 'There is no problem that Puck solved. Puck didn't solve a single problem.'

ბ. 'There is one particular problem that Puck didn't solve (but he might have

solved some other problems).’

(36) Puck didn't trick many of the lovers.

ა. 'There aren't many lovers that Puck tricked; Puck tricked few lovers.'

ბ. 'There are many lovers whom Puck didn't trick.'

(35ა) წინადადებაში უარყოფის კონტექსტში მოქცეულია *one problem*, ხოლო (36ა) -ში *many of the lovers*. ამგვარად, წინადადებები საუბრობენ „არცერთ პრობლემაზე“ და „არც ისე ბევრ შეყვარებულზე“. (35ბ)-ს შემთხვევაში *one problem uaryofis* კონტექსტის მიღმა რჩება, ისევე როგორც (36ბ)-ში *many of the lovers*. (35 ა-ბ) პერიფრაზებში გამოხატული ორივე სახის კონტექსტური კავშირი დასაშვები ვარიანტია (35) წინადადებისთვის, ხოლო (36 ა-ბ) კი – (36) წინადადებისთვის.

მსგავსი ტიპის ზოგი წინადადება მხოლოდ ერთი სახის ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს. როდესაც მსაზღვრელი გადმოცემულია დფ-ით *fewer than five*, იგი უფრო ვიწრო კონტექსტს იღებს, ვიდრე პირდაპირი ობიექტით გამოხატული დფ, მაგრამ უფრო ფართოს, ვიდრე სუბიექტით გადმოცემული უარყოფა. ასეთ დროს ინტონაციას მნიშვნელობა არა აქვს:

(37) Richard III didn't murder fewer than three squires.

ა. 'It is not the case that R. III murdered fewer than three squires; he murdered at least three squires.'

ბ. *'There are fewer than three squires whom R. III didn't murder.'

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ არის შვიდი სკვაირი. (ა) ვარიანტის თანახმად, (37) წინადადება ნიშნავს, რომ რიჩარდმა მოკლა სულ ცოტა 3 სკვაირი და ეს სწორია. (ბ) ვარიანტის მიხედვით კი, (37) წინადადება მოითხოვს, რომ მას სულ ცოტა 5 ადამიანი ჰყავდეს მოკლული და ეს მეტისმეტად ძლიერია.

(38) Fewer than three squires didn't obey Richard III.

ა. *'It is not the case that fewer than three squires obeyed R. III; at least three squires obeyed him.'

ბ. 'There are fewer than three squires who didn't obey R.III'

ამჯერადაც, შვიდი სკვაირის შემთხვევაში, (ბ) ნიშნავს, რომ სულ ცოტა ხუთი მათგანი დაემორჩილა რიჩარდს და ეს სწორია, ხოლო (ა) გულისხმობს, რომ სულ ცოტა 3 დაემორჩილა მას, რაც არ არის საკმაოდ ძლიერი.

ვარსკვლავებით აღნიშნული პერიფრაზები თავისთავად ლოგიკური მნიშვნელობის მქონენი არიან, იმ გაგებით, რომ მათ მიერ გადმოცემული აზრები გამოხატავს დალაგებულ და არასაპირისპირო აზრებს. მიუხედავად ამისა, ამ კონკრეტულ წინადადებებს, ფაქტიურად, არ აქვთ ასეთი შინაარსი.

8.3.2 ორი დფ-ის მიმართებითი კონტექსტი

ორაზროვნება


ორი დფ შეიძლება ურთიერთქმედებდნენ კონტექსტში. ზოგჯერ ეს ურთიერთქმედება ორაზროვნების საფუძელი ხდება:

(39) Two fairies have talked with every Athenian.

ა. 'There are two fairies such that each has talked with every Athenian.'

ბ. 'For every Athenian, there are two possibly different fairies who have talked with him/her.'

(39ა)-ში აღწერილი სიტუაცია გულისხმობს მხოლოდ ორ ფერიას. მაგრამ (39ბ) გვიჩვენებს, რომ მაქსიმუმ ათენელებზე ორჯერ მეტი ფერია იყო ჩართული ამ საქმეში („მაქსიმუმ“ – იმიტომ, რომ ზოგი ფერია შეიძლება ერთსა და იმავე ათენელს ელაპარაკა). (39ა)-ში *two fairies*-ს უფრო ფართო გაგება აქვს, ვიდრე *every Athenian*-ს; (39ბ) -ში კი პირიქით. ნახ. 8.2-ზე წარმოდგენილი დიაგრამები გვიჩვენებს ამ პერიფრაზების მართებულობას. დავუშვათ, რომ სულ არის სამი ათენელი:



ნახ. 8.2 ფერიები და ათენელები

(39ა') F1 talked with A1, A2, A3
F2 talked with A1, A2, A3

(39ბ') F1 talked with A1
F2 talked with A1, A2
F3 talked with A2, A3
F4 talked with A3

სხვა მაგალითები არაა ასე ორაზროვანი, მაგალითად (40) წინადადებაში პირდაპირი ობიექტი *few of the Athenians* არ შეიძლება გავიგოთ, როგორც სუბიექტზე *Every fairy* უფრო ფართო კონტექსტის მქონე:

(40) Every fairy has met few of the Athenians.
ა. 'For every fairy, there are few Athenians he/she has met.'
ბ. *'There are few Athenians whom every fairy met.'

სავარჯიშო 8.1

ჩამოწერეთ ამ წინადადების ფართო სუბიექტური და ობიექტური კონტექსტური ვარიანტები. დაასახელეთ ორი სიტუაცია: ერთი, სადაც წინა სწორია, მომდევნო კი – მცდარი, მეორე კი პირიქით. ააგეთ ამ სიტუაციების დიაგრამა.

Exactly two squires greeted three of the earls.

როგორ დავამტკიცოთ, რომ წინადადების ზოგი ვარიანტი მისაღები არის ან არ არის?

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ვარაუდებზე, რომელიც გამომდინარეობდა კონკრეტული წინადადებიდან ან პირიქით, შეუძლებელი იყო. მაგრამ ნაგულისხმევის პირდაპირ ამოცნობა ხშირად ძალიან რთულია. ეს იმდენად მნიშვნელოვანია სემანტიკაზე მუშაობისას, როგორც უშუალო შემადგენელთა სტრუქტურა სინტაქსში. ჩვენი ამგვარი შეხედულების დამამტკიცებელი საბუთის პოვნა შეიძლება მეცნიერების ყველა დარგისთვის საერთო მეთოდოლოგიაში.

ჩვეულებრივ, წინადადებებს აქვთ ქვეტექსტი, თავისებური გაგება, სადაც სუბიექტი პირდაპირ ობიექტზე უფრო ფართო კონტექსტს გულისხმობს. მაგრამ უფრო ბუნდოვანი ხდება წინადადების წაკითხვა, როცა პირდაპირ ობიექტს ენიჭება უფრო ფართო გაგება, ვიდრე სუბიექტს. ამას **ინვერსიული კონტექსტი** ჰქვია, ვინაიდან იგი **ხაზოვან** ან კატეგორიათა შერჩევის ურთიერთობის საპირისპიროა. განვიხილოთ ოთხი მაგალითი, სადაც ორ მათგანში ვამტკიცებთ, რომ წინადადების მოცემული სახით წაკითხვა შეიძლება, ხოლო დანარჩენ ორში ჩვენსავე დამტკიცებულ აზრს უარვყოფთ. ეს მაგალითები გვიჩვენებს ქვეტექსტის არსებობა-არარსებობაში საკუთარი თავის დარწმუნების გზებს.

დავინყოთ (41) მაგალითით, რომელსაც, ჩვენი მტკიცებით, ფართო სუბიექტურ (ა) კონტექსტთან ერთად აქვს ფართო ობიექტური (ბ) გაგებაც:

(41) Two fairies have talked with every Athenian.
ა. 'There are two fairies such that each has talked with every Athenian.'
ბ. 'For every Athenian, there are two possibly different fairies who have talked with him/her.'

ჩვენი დავალებაა, დავრწმუნდეთ, რომ (ბ) არსებობს, როგორც ცალკე მდგომი ნაკითხვა. ჩვენ ვიყენებთ ე.წ. „ინვერსიული ნაკითხვის გაბრწყინების“ მეთოდს. ამ მაგალითს შევცვლით ისე, რომ აშკარა ქვეტექსტი (ა) გახდება პრაქტიკულად, დაუჯერებელი. წინადადების ისეთი გაგება, რომლის არსებობაც გამორიცხულია, აღვნიშნოთ #-ით.

ვცდილობთ, დავრწმუნდეთ, რომ წინადადების ამ სახესხვაობაში მნიშვნელოვანი სინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლები დაცულია. დასაწყისისთვის, მსაზღვრელთა და მთავარი სახელადი ფრაზების გრამატიკული ფუნქციები უნდა იყოს შენარჩუნებული. (42) მაგალითი ემყარება მტკიცებას, რომ ჭიქა სარკესთან შეჯახებისას იმსხვრევა და მეორეჯერ მისი გატეხვა შეუძლებელია:

(42) Two wine glasses crashed against every mirror.

ა. # 'There is a pair of wine glasses such that each glass has crashed against every mirror.'

ბ. 'For every mirror, there is a possibly different pair of wine glasses that has crashed against it.'

(42) წინადადებას აზრი არა აქვს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ობიექტის ფართო კონტექსტურ გაგებას არსებობა შეუძლია რაოდენობის გამომხატველი მსაზღვრელების გარეშეც.

მსგავსი მეთოდი შეგვიძლია გამოვიყენოთ ინვერსიული გაგების არსებობის საჩვენებლად. "შანსი მიეცი გაბრწყინებას – თუ ვერ გაბრწყინდა, ე.ი. ის იქ არაა." განვიხილოთ (43) წინადადება, რომელსაც (ბ) გაგება არა აქვს:

(43) Every fairy has met few of the Athenians.

ა. 'For every fairy, there are few Athenians he/she has met.'

ბ. *'There are few Athenians whom every fairy met.'

ამ შემთხვევაში ძნელია შევამოწმოთ (ა) სახის ნაკითხვა, რომლის არსებობაც აზრობრივად დაუშვებელია; თუმცა, სასარგებლო ვარიანტის შექმნა შეიძლება:

(44) Everyone who read many of the books read few of the books.

ეს წინადადება აშკარად მცდარია მარტივი, სუბიექტის ფართო კონტექსტური გაგებით:

(44) ა. 'For everyone who read many of the books, there are few of the books that he/she read'

მეორე მხრივ, ვარაუდი, რომ ზოგი წიგნი ყველა განათლებულ ადამიანს არ აქვს ნაკითხული, სწორია. (სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა წიგნს კითხულობს.) ისმის კითხვა, რამდენად შესაძლებელია (44) წინადადების ისეთი ინტონაციით წარმოთქმა, რომ იგი მისაღები ვარაუდი გახდეს? ჩვენი აზრით, ეს შეუძლებელია. (44)-ს მხოლოდ სანიშნაოდ მცირე სინტაქსი აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინგლისურ ენაში (44ბ) არ არის (44) -ის ქვეტექსტი:

(44) ბ. *' There are few of the books that have been read by everyone who read many of the books.'

„ინვერსიული ნაკითხვის გაბრწყინების“ მეთოდს შეიძლება მივმართოთ, როცა რთული, ინვერსიული ნაკითხვა (ბ) შეიძლება მართებული იყოს მარტივი (ა) ნაკითხვის სისწორის გარეშეც. ეს ის შემთხვევაა, როცა (ბ) არ გულისხმობს (ა) -ს.

სავარჯიშო 8.2

დაამტკიცეთ, რომ (42ბ) არ გულისხმობს (41ა) -ს. მიყევით იმ თანმიმდევრობას, რაც (43) წინადადებისთვისაა ქვემოთ მოცემული.

პრინციპი - ნ1 გულისხმობს ნ2-ს - ნიშნავს, რომ თუ ნ1 მართალია, მაშინ ნ2-ც აუცილებლად სწორია.

ხოლო, ნ1 არ გულისხმობს ნ2-ს ნიშნავს, რომ შეგვიძლია შევქმნათ ისეთი სიტუაცია (**მოდელი**), სადაც ნ1 სწორი იქნება, ხოლო ნ2 – არა.

ახლა გაჩვენებთ, რომ (43ბ) არ გულისხმობს (43ა)-ს. დავუშვათ, რომ არის მხოლოდ სამი ფერია და ათი ათენელი და განვიხილოთ შემდეგი სიტუაციები:

F1 met A1, A2, A3, A4, A5, A6, A7, A8, A9

F2 met A1, A3, A5, A7, A9, A10

F3 met A1, A2, A4, A6, A8, A10

ამ სიტუაციაში მხოლოდ ერთი ათენელი, A1, შეხვდა სამივე ფერიას. ამგვარად, სიმართლეა, რომ რამდენიმე ათენელს ყველა ფერია შეხვდა (=43ბ)). მეორე მხრივ, ყველა ფერია შეხვდა ბევრ ათენელს, სულ ცოტა ათიდან ექვსს. ამგვარად, მცდარია ის აზრი, რომ თითოეული ფერიისთვის არის რამდენიმე ათენელი, რომელსაც ის შეხვდა (=43ა)). ეს ნიშნავს, რომ (43ბ) არ გულისხმობს (43ა)-ს.

ახლა კი შევადაროთ შემდეგი ორი წინადადება:

(45) Every fairy had a taste of two of the pies.

(46) Every fairy had a taste of two or more pies.

ნათელია, რომ ორივე წინადადებას აქვს ფართო სუბიექტური გაგება:

(45) ა. 'For every fairy, there are two pies that she had a taste of.'

(46) ბ. 'For every fairy, there are two or more pies that she had a taste of.'

გარდა ამისა, ვამტკიცებთ, რომ (45) წინადადებას აქვს ფართო ობიექტური კონტექსტიც, მაგრამ (46)-ს არ აქვს:

(45) b. 'There are two pies that every fairy had a taste of.'

(46) b. *'There are two or more pies that every fairy had a taste of.'

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ აღმოჩნდება, რომ ყველა ფერიამ გასინჯა ერთი და იგივე ნამცხვარი, მაშინ ეს ემთხვევა (46) წინადადებას, მაგრამ არ არსებობს ერთნაირი წაკითხვის გარანტია.

(ბ) გაგების დასამტკიცებლად არ შეგვიძლია „ინვერსიული წაკითხვის გაბრწყინების“ მეთოდის გამოყენება. დაიმახსოვრეთ: ეს მეთოდი ემყარება მარტივი (ა) გაგების გამორიცხვას ისე, რომ რთული (ბ) წაკითხვა გამოჩნდეს. მაგრამ (45)-(46) წინადადებებში (ბ) ვერ იქნება სწორი, თუ (ა)-ც მართალი არაა; (ბ) გულისხმობს (ა) -ს. ჩვენ უნდა მივმართოთ სხვა მეთოდსაც.

სავარჯიშო 8.3

დაამტკიცეთ, რომ (46ბ) გულისხმობს (46ა)-ს.

იმის დასამტკიცებლად, რომ (46)-ს არ აქვს ობიექტის ფართო კონტექსტი, შეგვიძლია გამოვიყენოთ **წინადადებათშორისი ნაცვალსახელები** ტესტის, შემოწმების ფუნქციით. განვიხილოთ შემდეგი ორი მაგალითი, სადაც *they* მიემართება ნამცხვრებს და არა ფერიებს:

(45') Every fairy had a taste of two of the pies. They were soon gone.

(46') Every fairy had a taste of two or more pies. There were soon gone.

რომელ ნამცხვრებს მიემართება *they* ამ ორ შემთხვევაში? (45')-ში, *they*-მ შეიძლება მარტივად აღნიშნოს ის ორი ნამცხვარი, რომელიც ყველა ფერიამ გასინჯა. ვინაიდან (45ბ) ნათლად ამბობს, რომ ორი ნამცხვარი ყველა ფერიამ მიირთვა, *they*-ის ზემოაღნიშნული ინტერპრეტაცია იოლი გასაგებია, თუკი, რა თქმა უნდა, (45ბ) მართებული ვარიანტია.

ხოლო (46')-ში *they* მიემართება ან ყველა წარმოდგენილ ნამცხვარს, ან იმ ნამცხვრებს, რომელიც არცერთ ფერიას არ გაუსინჯავს. იგი არ აღნიშნავს იმ ნამცხვრებს, რომელიც ყველამ მიირთვა. ეს ადასტურებს ვარაუდს, რომ (46) -ს არ აქვს ისეთი წაკითხვა, რომლის მიხედვითაც ორი ან მეტი ნამცხვარი ყველა ფერიამ გასინჯა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინგლისურ ენაში (46ბ) არ არის (46) -ის ვარიანტი.

არც "ინვერსიულიწაკითხვისგაბრწყინების" მეთოდს დაარცნიადადებათშორისი ნაცვალსახელების ტესტს შეუძლია აგვარიდოს დასკვნის ინტუიციით გაკეთების პრობლემა. ეს მეთოდები სასარგებლოა, ვინაიდან ისინი რთულ ვარიანტს შესაცნობად უფრო მარტივით ანაცვლებენ.

8.3.3 კონტექსტური ინტერპრეტაცია: შეიძლება თუ არა, რომ არალინგვისტური ცოდნა გახდეს წყარო?

მოდით, მივუბრუნდეთ ჩვენი ანალიზის მთავარ ხაზს და დავსვათ კითხვა, თუ რა დგას სხვადასხვა კონტექსტური ვარიანტების უკან. შეიძლება გრამატიკა ტოვებს კონტექსტურ კავშირს და მოსაუბრისა და მსმენელის მოცემული სიტუაციის ცოდნა განსაზღვრავს კონტექსტურ ინტერპრეტაციას. გავიხსენოთ (35)-ე წინადადება:

(35) Puck didn't solve one problem.

ა. 'There is no problem that Puck solved; Puck didn't solve a single problem.'

ბ. 'There is one particular problem that Puck didn't solve.'

თუკი ვიცით, რომ პაკმა სრულიად აურია ობერონის ბრძანებები და ვილაც ამბობს (35)-ე წინადადებას, ჩვენ მის (ა) ინტერპრეტაციას ვაკეთებთ, ანუ '*Puck did not solve a single problem*,' აქ *not*-ს უფრო ფართო გაგება აქვს, ვიდრე *one problem*-ს. მეორე მხრივ, თუ ვიცით, რომ პაკმა კარგი, მაგრამ არა ბრწყინვალე საქმე შეასრულა, ჩვენ (ბ) ვარიანტს წარმოვთქვამთ, სადაც *one problem*-ს უფრო ფართო გაგება აქვს, ვიდრე *not*-ს.

ჩვენ ასევე დავინახეთ, რომ აზრობრივად დაუშვებლობამ შეიძლება გამოორიცხოს წაკითხვის ერთ-ერთი ვარიანტი. როგორც წინა ქვეთავში, აქაც მიუღებელი ვარიანტი # ნიშნით აღვნიშნოთ:

(42) Two wine glasses crashed against every mirror.

ა. # 'There is a pair of wine glasses such that each glass has crashed against every mirror.'

ბ. 'For every mirror, there is a possibly different pair of wine glasses

that has crashed against it.’


მაგრამ სიტუაციურ ან ზოგად ცოდნას არ შეუძლია ყველა სახის კონტექსტური ინტერპრეტაცია გაამყაროს. ვნახეთ, რომ არსებობს ლოგიკურად შესაძლებელი ვარიანტები, რომლებიც უბრალოდ არასოდეს არ არის ხელმისაწვდომი ისეთი კონკრეტული წინადადებებისთვის, როგორც იყო: (37ბ), (38ა), (40ბ), (44ბ) და (46ბ). სამყაროს ცოდნა არ აღადგენს ამ წინადადებებს. როგორც ვნახეთ, ჩვენ მიერ წამოყენებული მტკიცება, რომ არსებობს რამდენიმე წიგნი, რომელიც განათლებულ ადამიანებს წაკითხული აქვთ, დაუშვებელს ხდის ამგვარ ინტერპრეტაციას – *Everyone who read many of the books read few of the books*. ეს გვიჩვენებს, რომ ასეთი ტიპის ცოდნა შეუძლებელია გახდეს კონტექსტური ინტერპრეტაციის პირველწყარო.

8.3.4. მიმართებითი კონტექსტის სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები

კონტექსტური ვარიანტების განსაზღვრისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები. სინტაქსური ასპექტების წინა პლანზე წამოწვევისთვის ყურადღება გავამახვილოთ (37), (38) და (40) წინადადებებზე, სადაც მათი გამოტოვებული კონტექსტი ეწინააღმდეგება კატეგორიათა შერჩევის კავშირს:

- (37) Richard III didn’t murder fewer than three squires.
 - ა. ‘It is not the case that R.III murdered fewer than three squires; he murdered at least three squires.’
 - ბ. *‘There are fewer than three squires whom R.III didn’t murder.’
- (38) Fewer than three squires didn’t obey Richard III.
 - ა. *‘It is not the case that fewer than three squires obeyed R. III; at least three squires obeyed him.’
 - ბ. ‘There are fewer than three squires who did not obey R.III.’
- (40) Every fairy has met few of the Athenians.
 - ა. ‘For every fairy, there are few Athenians he/she has met.’
 - ბ. *‘There are few Athenians whom every fairy met.’

ქვემოთ მოყვანილი ხეგვიჩვენებს, რომ სუბიექტი კატეგორიით ირჩევს უარყოფას და პირდაპირ ობიექტს (მაგრამ არა პირიქით), ხოლო უარყოფა კატეგორიით ირჩევს პირდაპირ ობიექტს (და არა პირიქით).



მოდით, **ოპერატორის** ტერმინში გავაერთიანოთ უარყოფა და რაოდენობის გამომხატველი მსაზღვრელებიანი დფ-ები. შეგვიძლია ამ დაკვირვების შეჯამება:

- (48) როცა ოპერატორი 1 კატეგორიით ირჩევს ოპერატორ 2-ს, ისეთი ინერპრეტირებაა შესაძლებელი, სადაც ოპერატორი 1-ის კონტექსტში ოპერატორი 2-იც იგულისხმება. ხოლო ისეთი ინტერპრეტაციის არსებობა, სადაც ოპერატორი 2 თავის კონტექსტში იქცევა ოპერატორ 1-ს (ინვერსიული წაკითხვა), სათუთა.

ეს საინტერესოა, ვინაიდან აღმოვაჩინეთ, რომ კატეგორიათა შერჩევა ასევე არის კრიტიკული სინტაქსური კავშირი მაკავშირებლებთან და NPI ლიცენზირებასთან მიმართებაში. განზოგადების შედეგად მივიღებთ:

(49) თუ გამოთქმა გ1 კატეგორიით ირჩევს გ2 გამოთქმას, მაშინ შესაძლებელია გ1-მა განსაზღვროს ზოგიერთი ასპექტი გ2-ის ინტერპრეტაციაში.

თუმცა, მოქმედების სფეროებს შორისაც არის განსხვავება. როგორც ზემოთ იყო განხილული, დღ-თან შეიძლება იყოს დაკავშირებული უკუთქმითი ნაცვალსახელი თუ ის კატეგორიით ირჩევს ამ ნაცვალსახელს, ხოლო შემცირებით ოპერატორს შეუძლია NPI-ს ლიცენზირება თუ იგი კატეგორიით ირჩევს ამ საშუალებას. ოპერატორების მიმართებითი კონტექსტი უფრო თავისუფალია. საკმარისია, I-მა ოპერატორმა კატეგორიით შეარჩიოს II ოპერატორი, რომ I ოპერატორის კონტექსტმა გადაფაროს II ოპერატორის კონტექსტი, მაგრამ ეს ყოველთვის სავალდებულო არ არის.

კვლავ მიმართებით კონტექსტზე თუ შევაჩერებთ ყურადღებას, ისმის კითხვა: რა განაპირობებს ინვერსიული ნაკითხვის ყოფნა-არყოფნას? ეს საკმაოდ რთული კითხვაა, რასაც საფუძვლიანად უნდა გაცეცხს პასუხი ამ სახელმძღვანელოში. მაგრამ ის მცირე მაგალითები, რაც ჩვენ განვიხილეთ, დამაფიქრებელია. არსებობენ კონკრეტული ოპერატორები, რომელთა კონტექსტური ქცევა სრულადაა დამოკიდებული მათ სინტაქსურ პოზიციაზე: ისინი მხოლოდ იმას მოიცავენ კონტექსტში, რასაც თავად ირჩევენ კატეგორიით. ჩვენ მიერ განხილულ მაგალითში წარმოდგენილი უარყოფა და დღ-ები, რომელთა მსაზღვრელებაა *few* ან *fewer than n* ამ კლასს ეკუთვნის. საინტერესოა, რომ ისინი ერთმანეთზე მიმაგრებულნი არიან სემანტიკით: **კლების გამოხატვით.**

(50) ოპერატორი ოპ შემცირებითია თუ გვაქვს ორი ზმნური ფრაზა ზმფ1 და ზმფ2, სადაც [[ზმფ1]] ყოველთვის [[ზმფ2]]—ის ქვეჯგუფია, მაშინ [ოპ ზმფ2] გულისხმობს [ოპ ზმფ1]-ს.

At most two witches ასევე შემცირებითი დღ-ა. გადაამოწმე, შეუძლია თუ არა ამ დღ-მ მიიღოს ინვერსიული კონტექსტი პირდაპირი ობიექტის პოზიციაში და განავრცოს უარყოფასა და სუბიექტზე. შენი მაგალითები დაწერე (37) და (40) წინადადებების მიხედვით.

საპარაფრაზო
8.4

არაშემცირებით დღ-ებს, ჩვეულებრივ, შეუძლიათ მიიღონ ინვერსიული კონტექსტი, სულ მცირე კონკრეტულ ოპერატორებთან მიმართებაში.

Every witch, two or more witches და *two witches* არაშემცირებითი დღ-ებია. შეამოწმე, შეუძლიათ თუ არა ამ დღ-ებს ინვერსიული კონტექსტის მიღება პირდაპირი ობიექტის პოზიციაში და ამ კონტექსტის გავრცელება (ა) უარყოფასა და (ბ) სუბიექტზე. გამოიყენე (39), (45) და (46) წინადადებებში წარმოდგენილი ფაქტები და დაამატე შენი მაგალითები.

საპარაფრაზო
8.5

შეგვიძლია, ნაწილობრივი განზოგადება მოვახდინოთ (51) წინადადების სახით:

(51) სხვადასხვა ოპერატორს სხვადასხვა კონტექსტური ქცევა ახასიათებს. ზოგი ოპერატორი კონტექსტს განაგრძობს მხოლოდ იმათზე, რომელთაც ირჩევს კატეგორიით. ზოგმა კი შეიძლება სხვადასხვა ხარისხით მოიცვას ისიც, რასაც თავად არ ირჩევს კატეგორიით (ინვერსიული კონტექსტი). სემანტიკური მახასიათებლის მიხედვით, შეიძლება მივხედეთ, რომელ კლასს მიეკუთვნება ესა თუ ის ოპერატორი. ეს სემანტიკური მახასიათებელი კლებადობის გამოხატვაა.


ჩვენ ჯერ კიდევ არ განგვიმარტავს, თუ რატომ ავლენს თითოეული ოპერატორი ამა თუ იმ ქცევას, ასევე არ გვიჩვენებია, თუ როგორ აქვთ მიღებული კომპოზიციურად სწორი კონტექსტური ინტერპრეტაციები. მაგრამ რალაც საფუძველი უკვე შევქმენით. კვანტიფიკატორის კონტექსტის კომპოზიციური გრამატიკა საფუძვლად დაედო (51) წინადადებას.

8.4 კონტექსტური კავშირების მარკირება: მორფოლოგია და სინტაქსი

კროს-ლინგვისტური ფაქტები შეიძლება მოვიყვანოთ კონტექსტთან დაკავშირებული მტკიცებების დასასაბუთებლად, რომლებიც ინგლისურ ენაზეა დაფუძნებული. სხვადასხვა ენა ოპერატორთა კონტექსტებს ამყარებს მორფოლოგიაზე ან სინტაქსზე. ამას ნათლად დავინახავთ გრენლანდიელი ესკიმოსების ენასა და უნგრულის მაგალითზე.

8.4.1. გრენლანდიელი ესკიმოსების ენა

გრენლანდიელი ესკიმოსების ენა **პოლისინთეზური** ენაა. როგორც მე-2 თავში იყო განმარტებული, ეს ტერმინი იმას ნიშნავს, რომ წინადადების მნიშვნელობის შემადგენელი ნაწილები გამოხატულია ბმული მორფემული აფიქსებით, რომლებიც მიმაგრებულია ზმნაზე; ისინი შეიძლება იყოს ან არა წინადადების დამოუკიდებელი წევრები. ბითმერმა (1995წ.) ივარაუდა, რომ ამ ენაში (უმეტეს შემთხვევაში) ოპერატორის სუფიქსი მოიცავს ყველაფერს, რასაც ის კატეგორიით ირჩევს სუფიქსიანი სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურაში. მნიშვნელოვანი ვარაუდია, რომ ესკიმოსთა ენის სიტყვებს აქვთ შემდეგნაირი სტრუქტურა:



ამგვარად, სუფიქსი იმ სუფიქსებს, რომლებიც ხაზოვან რიგში მის წინ დგანან.

შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს კონტექსტისა და კატეგორიათა შერჩევის ურთერთკავშირს. (52) წინადადებაში *tariaqa* ანუ 'must' და *lir* ანუ 'begin' ოპერატორების მიმართებითი კონტექსტია წარმოდგენილი. როცა *lir* მოსდევს *tariaqa*-ს, ეს ნიშნავს 'begin to have to', ხოლო როცა პირიქითაა, მნიშვნელობა შემდეგნაირია 'have to begin to'. რელევანტური მორფემები და მათი თარგმანი გამოტანილია პირველ პლანზე. მკითხველს შეუძლია ამ მაგალითების სხვა დეტალებს ყურადღება არც კი მიაქციოს:

- (52) ა. *atuar-TARIAQA-LIR-p-u-q*
study-MUST-BEGIN-indicative-[-transitive]-3sing
 ‘მან დაიწყო უნდა ესწავლა’.
 ბ. *atua-LIR-TARIAQAR-p-u-q*
study-BEGIN-MUST-indicative-[-transitive]-3sing
 ‘მას უნდა დაეწყო სწავლა’.

(53) წინადადებაში წარმოდგენილია *nngi* (‘not’) და განუსაზღვრელობის (‘a book’) მიმართებითი კონტექსტი. კავშირი გადმოცემულია უარყოფითი სუფიქსის და ‘a book’ ფრაზის არსებობის აღმნიშვნელი (*si*) სუფიქსის კავშირით. როცა *nngi*-მოსდევს *si*-ს მაშინ ინტერპრეტაციაა ‘not a single book’. როცა (*si*) მოსდევს *nngi*-ს, მაშინ მნიშვნელობა ასეთია – ‘one book not’. საერთო ჯამში, უარყოფის აბრევიატურაა NEG, ხოლო მორფემისა (*si*) – *SI*. ყურადღება გაამახვილეთ წინა პლანზე წამოწეულ მორფემებზე:

(53) კონტექსტი: Last year, Jaaku ordered five books.

Yesterday, when I talked to her mother,

ა. *suli atuakka-mik ataatsi-mik*
yet book-instrumental one-instrumental
tigu-SI-sima-NNGI-nirar-p-a-a
get-SI-perf-NEG-say-indicative-[+transitive]-3sing
 ‘... she said that he didn’t get a single one yet.’

ბ. *suli atuakka-mik ataatsi-mik*
yet book-instrumental one-instrumental
tassumununnga tigu-sima-NNGI-nira-I-v-u-q
him-dative get-perf-NEG-say-SI-indicative-[-transitive]-3sing
 ‘... she said that there is one that he didn’t get yet.’

ერთი მიზეზი, რატომაც ესკიმოსთა ენიდან მოყვანილი მაგალითები მნიშვნელოვანია ისაა, რომ ამ ენის მორფოლოგია კონტექსტს ერთმნიშვნელოვანს ხდის. ამ ენაზე მოსაუბრეები ისევე ყურადღებით უნდა იყვნენ ნაგულისხმევი კონტექსტის ნათლად ინტერპრეტაციისას, როგორც ინგლისურად მოსაუბრენი დროების სწორად გამოყენებისას. ეს აშკარად გვიჩვენებს, რომ უნივერსალურ გრამატიკას შეუძლია კონტექსტური განსხვავებების დაშიფრვა. კონტექსტის ინტერპრეტაცია არაა მხოლოდ სიტუაციურ და კონცეპტუალურ ცოდნაზე დაფუძნებული.

8.4.2. უნგრული

უნგრულს არ აქვს ზმნური აფიქსები კონტექსტის ერთმნიშვნელოვნობის გამოსახატავად. ამის ნაცვლად იგი წევრთა რიგს იყენებს. ამგვარად, დფ-ების ზედაპირული კატეგორიათა შერჩევის კავშირი და სხვა თავისუფალი ოპერატორები ცალსახად გამოსახატავენ კონტექსტურ კავშირს:

- (54) ა. *Sok ember mindenkit felhivott.*
many man-nom everyone-acc up-called.
 ‘ბევრმა ადამიანმა დაურეკა ყველას =

არის ბერვი ადამიანი, რომელთაგან თითოეულმა დაურეკა ყველას’.

ბ. Mindenkit sok ember felhivott.

everyone-acc many man-nom up-called

‘ბევრმა ადამიანმა დაურეკა ყველას =

ყველასთვის არსებობს ბევრი ადამიანი, ვინც მას დაურეკა

(თითოეული შემთხვევისთვის პოტენციურად განსხვავებული

აბონენტთა ჯგუფი).’

(55) ა. Hatnál több ember hívott fel mindenkit.

six-than more man-nom called up everyone-acc

‘ექვსზე მეტმა ადამიანმა დაურეკა ყველას =

არის ექვსზე მეტი ადამიანი, რომელთაგან თითოეულმა დაურეკა ყველას.’

ბ. Mindenkit hatnál több ember hívott fel.

everyone-acc six-than more man-nom called up

‘ექვსზე მეტმა ადამიანმა დაურეკა ყველას =

ყველასთვის არსებობს ექვსზე მეტი ადამიანი, ვინც მას დაურეკა

(თითოეული შემთხვევისთვის პოტენციურად განსხვავებული

აბონენტთა ჯგუფი).’

უნგრული ენობრივი მასალის ანალიზით იმავე დასკვნამდე მივიღვართ, როგორც ესკიმოსთა ენის ანალიზის შემდეგ: კონტექსტის განსაზღვრა გრამატიკის შესწავლის საგანია.

როგორც ვხედავთ, უნგრულში დფ-ების მარცხნიდან მარჯვნივ დალაგება განსაზღვრავს მიმართებით კონტექსტს. მაგრამ უნგრულში დფ-ები არაა სწორ ხაზოვანად სურვილისამებრ დალაგებული. უნგრულის სინტაქსური სისტემის დეტალური ანალიზის გარეშე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ წინადადებებს შორის განსხვავება გაცილებით უფრო შორს მიდის, ვიდრე დფ-ების განლაგებაა. (54) წინადადებაში ‘everyone’ და ‘many men’ მნიშვნელობის მქონე დფ-ების ურთიერთჩანაცვლება შეიძლება, ხოლო ზმნური ნაწილაკი *fel*, რაც ნიშნავს ‘up’, წინ უსწრებს ზმნის ფუძეს. (55) წინადადებაში კი ‘more than six men’ მნიშვნელობის მქონე დფ უშუალოდ უნდა უსწრებდეს ზმნის ფუძეს. არც დფ-ს და არც ზმნურ ნაწილაკს არ შეუძლიათ ზმნასა და მათ შორის წინადადების სხვა წევრი ჩაისვან. (მაშასადამე, (54)-ისგან განსხვავებით, დფ, რომელიც ნიშნავს ‘everyone’, უნდა იყოს ზმნის შემდეგ, რათა უფრო ვიწრო კონტექსტი ჰქონდეს). ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ თითოეული სახის დფ გვხვდება განსაკუთრებულ პოზიციაზე სინტაქსურ სტრუქტურაში მათი ხაზოვანი რიგი და შესაბამისად, მიმართებითი კონტექსტი კი არის უბრალო თანმდევი შედეგი.

(51) წინადადებაში ვნახეთ, რომ სხვადასხვა ოპერატორი სხვადასხვა კონტექსტური ქცევით გამოირჩევა. უნგრულში სინტაქსი საშუალებას იძლევა, კონტექსტური განსხვავებები აიხსნას დამოუკიდებელი სინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლებით, რომლებიც მართავენ კიდევ ამ ოპერატორების ზოგად ქცევებს.

8.5 დასკვნა

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ კონკრეტული გამოთქმები ყოველთვის

დამოკიდებულია სხვა ფრაზების ინტერპრეტაციის ზოგიერთ ასპექტზე. უკუთქმითი ნაცვალსახელები და უარყოფითი პოლარულობის სიტყვები ამის ნათელი მაგალითია: უკუქცევით ნაცვალსახელს წინმსწრები სჭირდება, ხოლო უარყოფითი პოლარულობის სიტყვებს-ლიცენზორი. სხვა კონკრეტული გამოთქმები შეიძლება დამოკიდებულნი იყვნენ ინტერპრეტაციის სხვა ასპექტებზე, როგორც ეს პირის ნაცვალსახელებისა და განუსაზღვრელი სახელადი ფრაზების შემთხვევაში ხდება: კვანტიფიკატორი იმაგრებს ნაცვალსახელს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს განუსაზღვრელი რეფერენციალური ვარიანტი. ყველა ამ შემთხვევაში, ვამბობთ, რომ ურთიერთკავშირის მთავარ წევრს აქვს დამოკიდებული წევრი კონტექსტში და ვნახეთ, რომ კონტექსტი გამოწვეულია სინტაქსური კატეგორიათა შერჩევის აგებულებით. ზემოაღნიშნული ოთხი ურთიერთობიდან, ორ სახელად ფრაზას შორის კონტექსტური ურთიერთქმედება ყველაზე ხშირად ლინგვისტური და არალინგვისტური კონტექსტის ზეგავლენას განიცდის. იმის საჩვენებლად, რომ ეს საკითხები გრამატიკას ეკუთვნის, წარმოვადგინეთ რამდენიმე მეთოდი წაკითხვის ინტუიციური ვარიანტების დასამტკიცებლად, ასევე ვნახეთ, რომ ზოგიერთი ენა არაორაზროვანს ხდის კვანტიფიკატორის კონტექსტს თავიანთ მორფოლოგიასა და სინტაქსში.

საკითხავი ლიტერატურა:

- Ladusaw, William. 1979. Polarity Sensitivity as Inherent Scope Relations. Ph.D. dissertation. University of Texas, Austin, Texas.
- May, Robert. 1985. *Logical Form: Its Structure and Derivation*. Cambridge, MA: MIT Press.
- Szabolcsi, Anna. ed. 1997b. *Ways of Scope Taking*. Dordrecht: Kluwer.
- Szabolcsi, Anna. 1999. The syntax of scope. To appear in Mark Baltin and Chris Collins, eds., *The Handbook of Contemporary Syntactic Theory*. Oxford: Blackwell.

მართებულია თუ არა შემდეგი წინადადებები? დაასაბუთეთ.

- (ა) წინადადებაში, *every student likes him*, სუბიექტური სფ *every student* კატეგორიით ირჩევს ობიექტურ სფ-ს *him*.
- (ბ) წინადადებაში, *every student likes him*, სუბიექტურ სფ-ს *every student* შეუძლია მიიმაგროს ობიექტური სფ *him*.
- (გ) წინადადებაში, *every student likes himself*, სუბიექტური სფ *every student* კატეგორიით ირჩევს ობიექტურ სფ-ს *himself*.
- (დ) წინადადებაში, *every student likes himself*, სუბიექტურ სფ-ს *every student* შეუძლია მიიმაგროს ობიექტური სფ *himself*.
- (ე) წინადადებაში, *every student knows the teacher likes him*, სუბიექტური სფ *every student* კატეგორიით ირჩევს სფ-ს *him*.
- (ვ) წინადადებაში, *every student knows the teacher likes him*, სუბიექტურ სფ-ს *every student* შეუძლია მიიმაგროს სფ *him*.
- (ზ) წინადადებაში, *I doubt that Brutus ever goes to dramas with no violence*, სფ *no violence* კატეგორიით ირჩევს NPI *ever*.

სავარჯიშოები

სავარჯიშო 8.6

სავარჯიშო 8.7 წინადადების ფართო სუბიექტური გაგება გულისხმობს თუ არა ფართო ობიექტურ გაგებას, ან პირიქით? თქვენი აზრი განამტკიცეთ იმ სიტუაციური დიაგრამებით, სადაც წინადადების ორგვარი წაკითხვა სწორია.

Two witches overturned every cauldron.

სავარჯიშო 8.8 შემდეგი წინადადებების პერიფრაზი მოახდინეთ ისე, რომ ნათელი გახდეს მათ მნიშვნელობებს შორის განსხვავება. შეიძლება თუ არა ეს განსხვავება ჩაითვალოს, როგორც მიმართებითი კონტექსტით წარმოდგენილი სხვაობა? თუ ასეა, რომელი წევრები ურთიერთქმედებენ კონტექსტში?

(ა) Hermia may marry a fat nobleman.

(ბ) Hermia may marry any fat nobleman.

სავარჯიშო 8.9 შეადარე წინადადებები, სადაც განუსაზღვრელი დე მოიცავს მსაზღვრელებს 'a(n)' ან 'some' ისევე, როგორც უნიშნო მრავლობითის ფორმის მსაზღვრელებს. რა სისტემური სხვაობა ჩნდება კონტექსტის ინტერპრეტაციისას?

(ა) Every earl visited some ladies.

Every earl visited ladies.

(ბ) Hamlet did not like a king.

Hamlet did not like kings

(გ) Hamlet may meet an actor.

Hamlet may meet actors.

სავარჯიშო 8.10 *Knight*-ისა და *every sword*-ის ერთნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა თუ არა შემდეგი წინადადებები?

(ა) A knight bought every sword.

(ბ) A knight wanted to buy every sword.

(გ) A knight thought that I bought every sword.

(დ) A knight who bought every sword challenged Laertes.

სავარჯიშო 8.11 კონტექსტი ახდენს თუ არა ზეგავლენას დე-ების უნარზე მოახდინონ NPI ლიცენზირება ან მიიმაგრონ ნაცვალსახელები.

შემდეგი მაგალითები ორაზროვანია *few sons*-ისა და *every knight*-ის კონტექსტური ინტერპრეტაციის გამო. გამოყავით ამ ორი შემთხვევისთვის ორ-ორი გაგება.

(ა) *Fathers of few sons have time to sing madrigals.*

(ბ) *Prayers for every knight were said by this lady.*

ახლა კი განიხილეთ ამ მაგალითების შემდეგნაირი სახესხვაობები:

(ა') *Fathers of few sons have any time to sing madrigals.*

(ბ') *Prayers for every knight were said by his lady.*

სახეცვლილი მაგალითები ინარჩუნებენ თუ არა ორაზროვნებას? თუ არა, რომელი გაგება რჩება? დაასაბუთეთ NPI ლიცენზირების პირობებთან და ტექსტში მოცემულ კავშირებთან მიმართებაში.

სემანტიკა III:

კატეგორიათშორისი პარალელიზმი

შინაარსის სარჩევი

9.0 შესავალი

9.1 თვლადი/უთვლადი და სრული/უსრული

9.1.1 განსხვავება თვლადსა და უთვლადს შორის: [+/- კვანტირებული]

9.1.2 გამაერთიანებელი და მაცალკეებელი მიმართება

9.1.3 განსხვავებების გავრცელება ზმნებზე

9.1.4 ორი სფეროს ურთიერთქმედება

9.1.5 იგივე განსხვავებები იაპონურშიც?

9.2 მსაზღვრელები და ზმნიზედები

9.2.1 მსაზღვრელები და ზმნიზედები ინგლისურში: მსგავსებები და განსხვავებები

9.2.2 ზმნიზედის შეზღუდვის აღდგენა: ვარაუდი

9.2.3 ზმნიზედის შეზღუდვის აღდგენა: ცენტრი

9.2.4 ზმნიზედის შეზღუდვის აღდგენა: ინდივიდები

9.2.5 დ-კვანტიფიკაცია (მსაზღვრელთა კვანტიფიკაცია) და ზ-კვანტიფიკაცია (ზედსართავსახელთა კვანტიფიკაცია): კროს-ლინგვისტური თვალსაზრისი

9.3 დასკვნა

შენიშვნები

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა
სავარჯიშოები

9.0. შესავალი

სემანტიკის თეორიაში ღრმად ჩახედვით დავინახავთ, რომ სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიის გამოთქმათა ინტერპრეტაციებს შორის მნიშვნელოვანი პარალელიზმი არსებობს. ეს თავი განიხილავს ორ ასეთ შემთხვევას. პირველი გულისხმობს განსხვავებებს **თვლადსა და უთვლადს** შორის, ასევე ზმნებში **სრული და უსრული** ასპექტების გარჩევას. ნახავთ, რომ მათ შორის სემანტიკური მსგავსება არსებობს. უფრო მეტიც, ისინი ურთიერთქმედებენ წინადადების კომპოზიციურ სემანტიკაში. მეორე შემთხვევა კი ეხება იმ დაკვირვებას, რომ ინგლისურში კონკრეტული ზმნიზედები ასრულებენ იმავე როლს, რასაც მსაზღვრელები. გარდა ამისა, უამრავ ენაში ამ ფუნქციას უფრო ხშირად ზმნიზედები და ფრაზის გარეშე-ელემენტები ასრულებენ, ვიდრე მსაზღვრელები.

9.1. თვლადი/უთვლადი და სრული/უსრული¹

9.1.1 განსხვავება თვლადსა და უთვლადს შორის : [+/- კვანტირებული

ინგლისურში საკმაოდ ფართოდაა ცნობილი განსხვავება **თვლად** და **უთვლად** სახელებს შორის. თვლად არსებით სახელებს მრავლობითი რიცხვი აქვთ, ისინი გვხვდება *many*-სთან და რიცხვით სახელებთან. უთვლად სახელებს კი არ აქვთ მრავლობითი რიცხვი, მათთან გამოიყენება *much* და რიცხვითი სახელებიდან მხოლოდ **ზომა-ოდენობის გამომხატველ გამოთქმებში** გვხვდება.

- (1) count nouns: a chair, ten chairs, many chairs,
*much chair(s), *ten pounds/pieces of chair
- (2) mass nouns: much wine, ten gallons of wine
*a wine, *ten wines, *many wines,
much oil, ten drops of oil
* an oil, *ten oils, *many oils

A wine, ან *oil* და ა.შ. მიუღებელია, როგორც 'ერთი მინიმალური ოდენობის ღვინის' ან 'ერთი მინიმალური ოდენობის ზეთის' მნიშვნელობით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველა უთვლად არსებით სახელს აქვს თვლადი ორეული, რომელიც აღნიშნავს ან სტანდარტულ ულუფას ან სახეობას. მაგალითად:

- (3) ა. Bring me a wine, a nectar, etc. (მიღებული ბევრ, მაგრამ არა ყველა დიალექტში)
ბ. Cleopatra invented a magical oil.
გ. This cellar produces several famous wines.

და პირიქით, თითქმის ყველა თვლადი სახელი შეგვიძლია ვაქციოთ უთვლადად, ბუნებრივი, ან ძირითადად, განსაკუთრებული გზით, რომელიც არღვევს მის მთლიანობას:

- (4) ა. Here's an apple; but don't put too much apple in the salad.
ბ. After the earthquake, there was roof all over the floor.

ამგვარად, არსებითი სახელების თვლად და უთვლად სახელებად დაყოფის ნაცვლად, უნდა ვისაუბროთ არსებით სახელებზე, რომლებიც თვლადი ან უთვლადი ფორმითაა გამოყენებული. არჩევანი გვიჩვენებს, სახელი რეალურად **კვანტირებულია** თუ არა. კვანტირებული ნიშნავს, რომ აღსანიშნავი იგულისხმება მინიმალური ელემენტები. თუ ასე არაა, მაშინ ზომაოდენობის გამოთქმები ასრულებენ **კვანტიფიკატორის** ფუნქციას. ის ფაქტი, რომ ზოგი არსებითი სახელი თვლადადაა მიჩნეული, ზოგი კი უთვლადად, ასახავს, თუ როგორაა საზოგადოების რწმენის მიხედვით დაკანონებული აღნიშნული საგნების ბუნებრივი ქცევა ლინგვისტურად.

თვლადობა/უთვლადობა ენებს შორის

უმეტეს შემთხვევაში რეალური სამყარო მიუთითებს სახელი თვლადი იქნება თუ უთვლადი. მაგრამ ზოგ შემთხვევაში განსხვავება ლინგვისტურია. მაგალითად: *chair*, *table* და ა.შ. თვლადია, მაგრამ *furniture* უთვლადი: **furnitures*, მაგრამ **a piece of furniture**. **Pebbles** და **gravel** დიდად არ განსხვავდება ცალკეული ნაჭრების ზომით, მაგრამ **a pebble** მიღებული ფორმაა, ხოლო ***a gravel** – მიუღებელი. შენ შეგიძლია

make a promise, მაგრამ არა **give an advice**, თუმცა ვილაცამ შეიძლება იფიქროს, რომ ეს ორი ნიმუში არ განსვავდება კვანტიფიკაციის თვალსაზრისით და, ფაქტიურად, ფრანგულში ორივე – **une promesse (a promise)** და **un avis (“a piece of advice”)** – თვლადი სახელება. კროს-ლინგვისტური მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ თვლადობა-უთვლადობის განსხვავება ლინგვისტურია, რომელიც განსაზღვრულია ამა თუ იმ ენის გრამატიკით.

9.1.2 გამაერთიანებელი და მაცალკევებელი მიმართება

ჩნდება კითხვა, არის თუ არა თვლადობა-უთვლადობის განსხვავება ერთი სახის, ან აქვს თუ არა მას კავშირი ლინგვისტურ ერთეულებთან. ამ კითხვაზე პასუხის პოვნაში დაგვეხმარება [+/- კვანტირებული] ცნების განმარტება ისე, რომ სხვადასხვა ელემენტებსაც ეხებოდეს.

გამაერთიანებელი მიმართება
განიხილეთ:

გამაერთიანებელი მიმართება

ეტყვათ, E არის გამოთქმა, მაგალითად, არსებითი სახელი. ჩვენ ვამბობთ, რომ იგი მიემართება გამაერთიანებლად თუ კონკრეტული საგნების E-თი აღნიშვნის შემდეგ შეგვიძლია იმავე E გამოთქმით გამოვხატოთ მასში შემავალი საგნების ჯამი.

ტერმინი **გამაერთიანებელი მიმართება** გულისხმობს, რომ ერთს შეუძლია გააერთიანოს საგნები, მაგალითად, *oil* და შედეგად მიიღოს ის, რაც კვლავ აღნიშნულია *oil*-ით. ორი ბოთლი ზეთის ერთ კონტეინერში გადასხმით ისევე ზეთი მიიღება. ეს ნიშნავს იმას, რომ გამოთქმა *oil* გამაერთიანებლად მიემართება. მეორე მხრივ, ორი საგნის ჯამი, რომელთაგან თითოეული აღნიშნულია (*a*) *chair*-ით კი არ გამოიხატება, როგორც (*a*) *chair*, არამედ აღინიშნება სიტყვით *chairs*. აქ და იქ მდგომი სკამების გაერთიანება სხვა სკამს არ მოგვცემს. ამგვარად გამოთქმა (*a*) *chair* არ მიემართება გამაერთიანებლად. ეს საკითხი მნიშვნელოვანი გახდება 9.1.4 ქვეთავში.

ვხედავთ, რომ უთვლადი სიტყვები მიემართება გამაერთიანებლად, მაგრამ თვლადები – არა. ეს გამომდინარეობს კვანტიფიკაციის ცნებიდან. გაიხსენეთ, რომ თვლად სიტყვას, როგორცაა *a chair*, აქვს კვანტირებული მიმართება, ვინაიდან მისი აღსანიშნები წარმოდგენილია მინიმალური ერთეულებით.

მაგრამ (*a*) *chair*-ის აღნიშვნელი თითოეული ერთეული უნდა მოიცავდეს მთელი სიმრავლიდან ზუსტად ერთ ერთეულ სკამს. იმაზე ოდნავ მეტიც კი, რაც საჭიროა ერთი ერთეულის შესადგენად, უკვე ძალიან ბევრია. მეორე მხრივ, უთვლადი სიტყვები, როგორცაა *oil* განიცდიან კვანტიფიკაციის საშუალებათა ნაკლებობას, ვინაიდან არ არსებობს ერთეულის ზომა, რომლის ზედა ზღვარის დადგენა მოხდებოდა, ამიტომაც მთელი სიმრავლე ერთიანდება და მანაც იგივე იარლიყი რჩება.

მაცალკევებელი მიმართება

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა მაცალკევებელი მიმართება, გამაერთიანებელი მიმართების სარკისებრი ანარეკლი. ეს ტერმინი აღნიშნავს, რომ მთლიანის დასახელება ნაწილდება თითოეულ წევრზე.

მაცალკეველი მიმართება:

გამოთქმა E მაცალკეველად მიემართება, თუ E-თი აღნიშნული საგნის ნებისმიერი ნაწილი ასევე E-თია აღნიშნული.

არსებობს თუ არა ისეთი შემთხვევა, როცა *a chair*-ით აღნიშნული საგნის ნაწილი ასევე აღნიშნულია *a chair*-ით? ანუ, იარლიყი (*a chair*) ვრცელდება თუ არა *a chair*-ით აღნიშნული საგნის ნაწილებზე? რასაკვირველია, არა. თუ მე სკამს დავამტვრევ, მე შემრჩება გაფუჭებულ სკამს დამატებული მისი ფეხი და არა გაფუჭებულ სკამს დამატებული მეორე სკამი. თვლადი სახელები არ მიემართება მაცალკეველად. ეს ისევე გამომდინარეობს კვანტიფიკაციიდან: ერთეულის შექმნისთვის საჭიროზე ნაკლებს არასოდეს შეუძლია იგივე იარლიყი მიიღოს.

მიემართება თუ არა უთვლადი სახელები მაცალკეველად? ვთქვათ, გალონი ჟანგბადი გაყავი ორ ნაწილად, შემდეგ ეს ნაწილები კიდევ ორად და ა.შ. ამ პროცესის შედეგად დიდხანს გექნება ჟანგბადს დამატებული ჟანგბადი, ვიდრე არ მიხვალ ერთ მოლეკულამდე. მაშინ ეს ჯაჭვი განყდება: ჯანგბადის მოლეკულის არც ერთი ნაწილი აღარაა ჟანგბადი. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მოლეკულების მსგავსი მინიმალური ნაწილების არსებობა ძლიერი არგუმენტია უთვლადი სახელების მიმართებისა. თუმცა, ამ მტკიცებას შეგვიძლია შევეწინააღმდეგოთ და ვთქვათ, რომ მოლეკულებზე და მათ შემადგენელ ნაწილებზე არსებული მეცნიერული ცოდნა არ აისახება ენაში და ამდენად არაა მნიშვნელოვანი. უფრო მეტიც, აბსტრაქტული უთვლადი სახელების აღსანიშნებს, როგორცაა *სიყვარული* და *თავისუფლება*, არ აქვთ უმცირესი ელემენტები, მაშინაც კი, თუკი ჩვენ ვიპოვით ამ ცნებების დაყოფის მეტაფორულ გზას. ეს ნიშნავს, რომ ზოგი უთვლადი არსებითი სახელი მაცალკეველად მიემართება. მაგრამ მაცალკეველი მიმართება არის თუ არა ყველა უთვლადი სახელის თვისება? ამის დასასაბუთებელი საპირისპირო მაგალითები არსებობს, რომელიც წმინდა ლინგვისტურ ცოდნას მოითხოვს. მაგალითად, ეს ის შემთხვევა არაა, რომ ავეჯის ყველა ნაწილი ავეჯია (მაგიდის ფეხი ავეჯი არაა) და არც ის შემთხვევაა, რომ სკამების ნაწილები სკამებია (სკამების გროვა შეიძლება მარტივად დავშალოთ ნაწილებად და სულ ცოტა ერთი მათგანი იქნება სკამი).

ამგვარად, დასკვნა ასეთია, რომ უთვლადი სახელები შეიძლება მიემართებოდნენ მაცალკეველად, შეიძლება – არა; ეს დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევაზე. გამაერთიანებელი მიმართებისგან განსხვავებით, მაცალკეველი მიმართება სახელთა ამ კლასს არ ახასიათებს.

9.1.3 განსხვავებების გავრცელება ზმნებზე

სრული უსრულის წინააღმდეგ

გამაერთიანებელი და მაცალკეველი მიმართებების ცნებათა გამოყენებით, შეგვიძლია კითხვა ასე ჩამოვაყალიბოთ: არის თუ არა სხვა ლინგვისტურ ელემენტებში გამოთქმები, სადაც კვანტირებისა და გამაერთიანებელი განსხვავებების დაპირისპირება მნიშვნელოვანია?

ვვარაუდობთ, რომ ზმნური ფრაზებით გამოხატული მოქმედებები სწორედ ასეთია. ეს საკითხი შედის **ასპექტის** კატეგორიაში, რომელიც დაკავშირებულია მოვლენათა შინაგან სტრუქტურასთან.

ზმნური გამოთქმები ორ დიდ კატეგორიად იყოფა იმის მიხედვით, მათ მიერ

გადმოცემული ძირითადი მნიშვნელობები შეიძლება შეიცვალოს *for an hour* ფრაზით, თუ *within an hour* ფრაზით. დახარისხება 'მათი ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობით' საჭიროა, ვინაიდან წინადადება შეიძლება მისაღები იყოს წაკითხვის გარკვეულ ეტაპზე, რაც ამჟამად ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. მაგალითებთან ერთად წარმოდგენილი ინტერპრეტაციები დაგვეხმარება ყურადღება გავამახვილოთ სავარაუდო წაკითხვებზე. ნახეთ მაგალითების შემდეგ გაკეთებული კომენტარები. სამეულის წინ დასმული * ნიშანი განკუთვნილია თითოეული წევრისთვის.

- (5) ა. Romeo wandered for an hour
hesitated
watched Juliet
'A single event of Romeo wandering lasted for an hour, etc.'
- ბ. *Romeo woke for an hour.
recovered
glanced at Juliet
'A single event of Romeo waking (not the resulting state) lasted for an hour, etc.'
- (6) ა. Romeo woke within an hour.
recovered
glanced at Juliet
'A single event of Romeo waking occurred and terminated within an hour, etc.'
- გ. *Romeo wandered within an hour.
hesitated
watched Juliet
'A single event of Romeo wandering occurred and terminated (not just began) within an hour, etc.'

(5) წინადადებაში *Romeo wandered for an hour* მისაღებია, ვინაიდან ხეტიალი ერთ საათს გაგრძელდა. *Romeo woke for an hour* მიუღებელია იმავე სახის მნიშვნელობით, თუმცა იგი შეიძლება აღნიშნავდეს შედეგის ხანგრძლივობას, ანუ რომეოს ეღვიძა 1 საათის მანძილზე. ეს უკანასკნელი ინტერპრეტაცია ჩვენ არ გვაინტერესებს და ამის გამო იგი აქ აღნიშნულია, როგორც მიუღებელი.

ასევე არარელევანტურია (5) წინადადების ნავარაუდები წაკითხვა, რომლის თანახმადაც *Romeo woke for an hour* ნიშნავს, რომ ის განმეორებით იღვიძებდა და იძინებდა. ამას გამოორიცხავს 'ერთჯერადი მოვლენა'. ეს განმეორებითობის გამომხატველი წაკითხვის განცალკევება შეიძლება მისთვის *only once*-ის დამატებით, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები:

- (7) ა. Romeo watched Juliet only once, and on that occasion he watched her for an hour.
- ბ. *Romeo glanced at Juliet only once, and on that occasion he glanced at her for an hour.

(7ა) -ში *only once* შეიძლება გულისხმობდეს 'მის დაბადების დღეზე' და ბრწყინვალედ შეთავსებადია დროში გავრცობილი ცქერის მოქმედებასთან. *Only*

once-ის დამატება (7ბ) წინადადებას დაუშვებელს ხდის, ვინაიდან ერთი შეხედვა ვერ გაგრძელდება ერთი საათი და განმეორებაც გამორიცხულია. განმეორებითობის გამომხატველი ნაკითხვა მეტნაკლებად მზა ფორმითაა ხელმისაწვდომი, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დასაშვებია მდგომარეობის განმეორება.

(6) წინადადებაში *Romeo woke within an hour* ერთი საათის განმავლობაში რომეოს გაღვიძების ფაქტის მარტივი გამოხატვაა. *Romeo wandered within an hour* ფრაზას იმავე ტიპის მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ რაღაცამ აიძულა რომეო ერთი საათის განმავლობაში სახეცხლოდ წასულიყო (ეს არის დასაწყისი და არა დასასრული ხეტილისა, რომელიც გრძელდებოდა ერთი საათი). კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მეორე სახის სპეციალიზებული ინტერპრეტაცია ჩვენ არ გვაცინტერესებს.

ამ ზმნების ყოველმხრივი ანალიზისას საჭიროა ყველა არარელევანტური ნაკითხვის გათვალისწინება. ამჟამად ჩვენ გვაცინტერესებს მათი მნიშვნელობის მხოლოდ ერთი კონკრეტული ასპექტი, რასაც ახლა უნდა მივუბრუნდეთ.

იმ კლასის წევრებს, რომლის შეცვლა შეიძლება *within an hour*-ით და არა *for an hour*-ით, ჰქვიათ **სრული**. ეს ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან **telos**, რაც 'დასასრულს' ნიშნავს. ამის საპირისპიროდ, იმ კლასის წევრებს, რომლის შესაცვლელად გამოდგება *for an hour* და არა – *within an hour*, ჰქვიათ **უსრული**, რომელთა მიხედვითაც გადმოცემულ მოვლენებს არ აქვთ დასასრული. იხ. დანართი 9.2.

სრულის და უსრულის დაპირისპირება მოგვაგონებს კვანტირებულისა და გამაერთიანებელი მახასიათებლის დაპირისპირებას. განვიხილოთ, მაგალითად, სრული ასპექტის ზმნა *recover*. *Romeo recovered* ნიშნავს, რომ იყო ხანმოკლე ან ხანგრძლივი პროცესი რომეოს გამოჯანმრთელებისა, მაგრამ კონკრეტულ წერტილში მოხდა ცვლილება: ის ისევ კარგად გახდა. გამოჯანმრთელების ფაქტი შემოსაზღვრულია ამ ცვლილებით. ერთხელ გამოჯანმრთელების შემდეგ, რომეო ისევ ცუდად უნდა გახდეს, რომ ისევ გამოჯანმრთელება მოახერხოს. ეს მოვლენა არ გაგრძელდება ამ წერტილს მიღმა. ამის საპირისპიროდ, განვიხილოთ უსრული ასპექტის ზმნა *hesitate*. *Romeo hesitated* წინადადებით გადმოცემულ მოვლენას არ აქვს სასრული წერტილი. უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს; ან თუ ის მთავრდება, ეს იმიტომ, რომ ან რომეოს დაეძინა ან გადაწყვეტილება მიიღო. ეს არაა მისი ყოყმანის კულმინაცია. ეს მოქმედება უბრალოდ შეწყდა (რატომ? ჩვენ გვესმის, რომ მოვლენის კულმინაცია მისი ნაწილი უნდა იყოს, მაგალითად თუ გამოჯანმრთელდები, ხარისხის ცვლილება გამოჯანმრთელების მოვლენის ნაწილია. მაგრამ ჩაძინება ან გადაწყვეტილების მიღება ისე წყვეტს ორჭოფობას, რომ მისი ნაწილი არაა).

ეს დაკვირვება საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ტესტი, რომ განვსაზღვროთ, ზმნური ფრაზა გამაერთიანებლად მიემართება თუ მაცალკეებლად.

სრული და უსრული — შემასმენელთა კლასები

უსრული ასპექტის შემასმენლებში, ჩვეულებრივ, გამოყოფენ ორ ქვეჯგუფს: **მგდომარეობის** (*know the poem, be tall*) და **მოქმედების** (*smile, be polite*) და ორ ქვეჯგუფს სრული ასპექტის შემასმენლებში: **შესრულების** (*recover, eat a sandwich*) და **მიღწევების** (*win, die*). ამჟამინდელ დისკუსიაში ეს განსხვავებები მონაწილეობას არ იღებს.

ქვემოთ მოცემული შემასმენლები სრული ასპექტისაა თუ უსრული?

- (ა) Falstaff sneezed.
- (ბ) Hamlet sweated.
- (გ) Juliet died.
- (დ) Romeo grieved.
- (ე) The water froze.

სისრულე და კვანტირებულობა

თუ რომეო ხეტიალობდა (ან ყოყმანობდა, ან უცქერდა ჯულიეტას) 9 საათიდან 9:30-მდე და ის ხეტიალობდა (ან ყოყმანობდა, ან უცქერდა ჯულიეტას) 9:30-დან 10 საათამდე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან იხეტიალა (ან იყოყმანა, ან უცქირა ჯულიეტას) 9-დან 10 საათამდე. მოკლედ რომ ვთქვათ, ხანმოკლე მოვლენები მარტივად ერთიანდება ერთ ფაქტად და იღებს საერთო იარლიყს. უსრული ასპექტის ზმნური ფრაზები, როგორც მოსალოდნელია, გამაერთიანებელი მიმართებით ხასიათდება.

ამის საპირისპიროდ, თუ რომეომ გაიღვიძა (ან გამოჯანმრთელდა, ან შეხედა ჯულიეტას) ნახევარი საათის განმავლობაში და მან ეს ისევე გაიმეორა, ვერ ვიტყვით, რომ მან გაიღვიძა (ან გამოჯანმრთელდა, ან შეხედა ჯულიეტას) ერთი საათის განმავლობაში. ეს გვიჩვენებს, რომ იყო მხოლოდ ერთი გაღვიძება (ან გამოჯანმრთელება, ან მზერა): მაგრამ, ფაქტიურად, იყო ორი. ამგვარად, როგორც მოსალოდნელი იყო, სრული ასპექტის ზმნური ფრაზები არ მიემართებიან გამაერთიანებლად.

მაცალკეველები მიმართების ტესტი, უხეშად, იმავე შედეგს გვაძლევს, რაც თვლადი და უთვლადი სახელების შეპირისპირებისას მივიღეთ. სრული ასპექტის ზმნური ფრაზები არ მიემართებიან მაცალკეველად. გაღვიძების ფაქტი (ან გამოჯანმრთელება, ან მზერა) არ შეიძლება დავყოთ კვლავ გაღვიძების (ან გამოჯანმრთელების, ან მზერის) ნაწილებად. მეორე მხრივ, ხეტიალს (ან ყოყმანს, ან ჯულიეტას ცქერას) აქვს უამრავი ამავე სახელის მქონე შემადგენელი მოვლენები, თუმცა აქვე შეიძლება ისეთებიც შედიოდეს, რომლებიც სახეს არ უცვლიან ფაქტს. მაგალითად, *Romeo watched Juliet from 9 to 9:30am* სწორია მაშინაც კი, თუ რომეომ ამ დროის განმავლობაში დააცემინა და დროებით მისი ყურადღება გაიფანტა, ანუ ჯულიეტას ცქერის ფაქტი მოიცავს სხვა ისეთ მოვლენებს, რაც არაა ჯულიეტას ცქერა. ამგვარად, დაყოფა არ არის უსრული ასპექტის ფაქტების განმსაზღვრელი თვისება.

დასკვნა:

- უთვლადი სახელები და უსრული ასპექტის შემასმენლები გამაერთიანებლად მიემართებიან. მათი აღსანიშნები არ არის კვანტირებული.
- თვლადი სახელები და სრული ასპექტის შემასმენლები არ მიემართებიან გამაერთიანებლად. მათი აღსანიშნები კვანტირებულია.

9.1.4 ორი სფეროს ურთიერთქმედება

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკითხები, რასაც სახელადი გამოთქმები მიემართებიან და მოვლენები, რასაც ზმნური ფრაზები აღწერენ, სტრუქტურულად მსგავსია. მაგრამ აქვს თუ არა ამას შედეგი კომპოზიციურ სემანტიკაში, რაც

გულისხმობს საკითხს, თუ როგორაა რთული გამოთქმების მნიშვნელობა შედგენილი მისი ნაწილების მნიშვნელობებისგან?

ჩვენ დავამტკიცებთ, რომ კომპოზიციურ სემანტიკაში შედეგი აისახება. ზემოაღნიშნულ მაგალითში, ლექსიკურმა ზმნამ განსაზღვრა ზმნური ფრაზის სისრულე-უსრულობა. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არაა. (ინტერპრეტაციებს უშუალოდ მოჰყვება კომენტარები):

- (8) ა. Hamlet's mother consumed a poisoned drink within five minutes.
The vendor sold a pie within five minutes.
ბ. *Hamlet's mother consumed a poisoned drink for five minutes.
*The vendor sold a pie for five minutes.
- (9) ა. *Hamlet's mother consumed ale within five minutes.
*The vendor sold wine within five minutes.
ბ. Hamlet's mother consumed ale for five minutes.
The vendor sold wine for five minutes.
- (10) ა. *Hamlet's mother consumed poisoned drinks within five minutes.
*The vendor sold pies within five minutes.
ბ. Hamlet's mother consumed poisoned drinks for five minutes.
The vendor sold pies for five minutes.

ყურადღება მივაქციოთ იმ ვარსკვლავიან მაგალითებს, სადაც *within* გვაქვს გამოყენებული. როგორც (5) და (6) წინადადებებთან მიმართებაში აღვნიშნეთ, ვარსკვლავიან მაგალითებს აკლიათ ერთი ძირითადი ვარიანტი, რაც მზა სახითაა ხელმისაწვდომი მისი უვარსკვლავო ვარიანტისთვის. გარდა ამისა, ახალი არარელევანტური ნაკითხვები შეიძლება გაჩნდეს (8), (9), (10) ან მათ მცირე სახესვანობებში პირდაპირი ობიექტის ყოფნის გამო, მაგალითად, *Hamlet's mother used to consume drinks in five minutes* სწორია, თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ქალს შეეძლო სასმელის ხუთ წუთში დაღვება.

როდესაც *consume* ზმნას აქვს პირდაპირი ობიექტი, რომლის აღსანიშნაც კვანტირებულია, ზმნური ფრაზით გადმოცემული მოქმედება სრულია. ეს ნიშნავს, რომ სახელადი ფრაზა *a drink* მიემართება კვანტირებულად და *consumed a drink* არის სრული ასპექტის, სადაც სასმელის დაცლაა ნაგულისხმევი. თუმცა, როცა იმავე ზმნას პირდაპირი ობიექტი აქვს, რომელიც გამაერთიანებელი მიმართებით ხასიათდება, ზმნური ფრაზით გადმოცემული მოვლენა უსრული ასპექტისაა. ანუ, რადგანაც სახელადი ფრაზა *ale* მიემართება გამაერთიანებულად, *consumed ale* არის უსრული ასპექტის და წინადადება ნეიტრალურია იმასთან მიმართებაში, კიდევ დარჩა თუ არა ლუდი. მარტივად რომ ვთქვათ, ამ ზმნური ფრაზებით გადმოცემული ფაქტები პირდაპირი ობიექტის აღსანიშნისგან იღებენ თავიანთ მაცალკევებელ თუ გამაერთიანებელ მახასიათებელს.

ეს ის ფაქტია, რაც კომპოზიციურ სემანტიკას შეუძლია აწარმოოს. არაფორმალურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირდაპირი ობიექტით აღნიშნული საგნები განსაზღვრავენ მთლიან ფაქტს: რაც უფრო მეტი ლუდი დაილია, მით უფრო ხანგრძლივი იყო ლუდის დაღვების პროცესი და ბუნებრივი დასასრული დადგა მაშინ, როცა ლუდის მარაგი ამოიწურა. ამგვარად, ჩვენ მიერ განხილული ზმნები გვემავენ

პირდაპირი ობიექტის აღსანიშნის სტრუქტურას, რომ ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბოს ზმნური ფრაზით გადმოცემული მოვლენა.

(ა) განსაზღვრე, შემდეგი მაგალითები სრული თუ უსრული ასპექტისაა: *to work, to work oneself to death, to work on a plan, to work out a plan*

გამოიყენე შემდეგი ფრაზები: *for five minutes/an hour/a year* (რომელიც შესაფერისი იქნება). გახსოვდეთ ტექსტში გაკეთებული კომენტარები, არარელევანტური მეორადი ნაკითხვების შესახებ.

მაგალითი: *Lorenzo watched the race for an hour*: უსრული ასპექტის
**Lorenzo won the race for an hour* (თუ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ერთი საათის შემდეგ მან დისკვალიფიკაცია მიიღო): სრული ასპექტის

(ბ) შენი შედეგების მიხედვით, განსაზღვრე რა კატეგორიები უნდა გამოიყოს, როგორც სისრულე – ზმ, ზმფ თუ რამე სხვა?

**საპარჯიშო
9.2.**

მსგავსი მოვლენა გვხვდება შემდეგ მაგალითებში:

- (11) Romeo walked west(ward) for a minute (*within a minute).
- (12) Romeo walked to Juliet’s side within a minute (*for a minute).

West(ward) გულისხმობს ბილიკს გამაერთიანებლად, ხოლო *Juliet’s side* არის კვანტირებული ბილიკი, რომელიც შემოსაზღვრულია ჯულიეტას ადგილსამყოფელით. *Walk* აგეგმარებს ბილიკების სტრუქტურას მოვლენათა სტრუქტურაზე.

ყველა ზმნას არ ახასიათებს **სტრუქტურის დაცვით განანიღების** თვისება: ზმნური ფრაზები, როგორცაა *press on, stroke* ან *admire* უსრული ასპექტისაა მიუხედავად პირდაპირი ობიექტის რაგვარობისა. ნათელია, რომ შესაბამისი მოვლენა ვერ იქნება გაგებული, როგორც დასასრულის ნერტილი.

- (13) ა. Richard stroked a horse/horses for an hour (*within an hour).
- ბ. Richard admired a horse/horses for an hour (*within an hour).

არსებობს თუ არა ზმნები, რომლებიც მუდმივად სრული ასპექტისაა? ხშირ შემთხვევაში, **განმეორება** დასაშვებია და ანარმოებს უსრული ასპექტის ინტერპრეტაციას, როგორც (7) წინადადების განხილვისას ვნახეთ. თუმცა, თუ ზმნით ან ზმნური ფრაზით გამოხატული მოვლენა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთხელ, განმეორება გამოირიცხება, მაგალითად, **she died of a fever for a year*.

მე-7 თავში ჩვენ ჩავეხედეთ თეორიული სემანტიკის საფუძვლებს. ამ ქვეთავში განხილული მოვლენა დამატებით საბუთს გვაძლევს, რომ ბუნებრივი ენების შესახებ სემანტიკის თეორიას უნდა ჰქონდეს უნარი აღწერისა და საკმაოდ დახვეწილი სახის იმ სტრუქტურებით მოქმედებისა, რომელთაც ლინგვისტური გამოთქმები მიემართება.

9.1.5 იგივე განსხვავებებია იაპონურშიც?²

ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციისას ჩვენ ვეყრდნობოდით ინგლისური ენის თვისებას – განასხვავოს თვლადი და უთვლადი სახელები. ეს შედეგები ვრცელდება თუ არა ისეთ ენაზე, როგორცაა იაპონური, სადაც ასეთი განსხვავებების დადგენა არაა

საჭირო? მაგალითად, *ringo* შეიძლება ნიშნავდეს: *'an apple,' 'apples,' 'some apple,' 'the apple,'* ან *'the apples'*. ინგლისურისგან განსხვავებით, ზმნის ერთი და იგივე ფორმა შეიძლება შეიცვალოს როგორც *'within one minute'* გამოთქმით, ასევე *'for one minute'*.

(14) ა. *Watasi-wa ringo-o ip-pun de tabe-ru*

I-top apple-acc one-minute in eat-pr

'მე ვჭამ ვაშლს ერთ ნუთში'.

ბ. *Watasi-wa ringo-o ip-pun-kan tabe-ru*

I-top apple-acc one-minute-for eat-pr

'მე ვჭამ ვაშლს ერთი ნუთის განმავლობაში'.

(ა) წინადადება ნიშნავს, რომ ვაშლი(ები) შეჭამეს, ხოლო (ბ) წინადადება მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ვაშლის ჭამის პროცესი 1 ნუთს გაგრძელდა. ეს პარალელურია ინგლისურში განხილულისა. *'Ippon de'*-თი განსაზღვრული შემასმენელი სრული ასპექტისაა. როდესაც შემასმენლის მთავარი ზმნა სრული ასპექტის *'eat'* ტიპისაა, მისი პირდაპირი დამატება კვანტირებულია და პირიქით, *'ippunkan'*-ით განსაზღვრული შემასმენელი უსრული ასპექტისაა. როცა უსრულის ასპექტის შემასმენლის მთავარი ზმნა *'eat'* ტიპისაა, მისი პირდაპირი ობიექტი გამაერთიანებელი მიმართებისაა. ეს ნიშნავს, რომ ამ იაპონური გამოთქმების სემანტიკური სტრუქტურა იგივეა, რაც მსგავსი ინგლისური მაგალითებისა, თუმცა ეს მსგავსება ზედაპირული მარკერებით არ შეინიშნება.

ამ შეუმჩნეველი ეფექტის გამოკვეთა შეიძლება ზემოთ მოყვანილი მაგალითების მცირედი ცვლილებით. (15ა) წინადადებაში გერუნდის დამატებული აქვს დამამთავრებელი მორფოლოგია იმისათვის, რომ მივიღოთ *'finish eating'* ან *'eat up'* მნიშვნელობა ზმნისგან *tabete-shimau*. (*-te-shimau-s* დამამთავრებელი გამოყენება უნდა განვასხვავოთ სხვა ტიპის გამოყენებისგან, სადაც დაახლოებით ასეთი მნიშვნელობა აქვს: *'I wound up going and doing. . .'* ამ განსხვავებულ ნაკითხვას მცირედით აპოლოგეტიკური არსი აქვს).

(15) ა. *Watashi-wa ringo-o ip-pun de tabete-shimau*.

-te-shimau-ს დამამთავრებელი გამოყენება იწვევს წინადადებაში სრული ასპექტის გაგებას, მაგრამ შეგვიძლია შედარება უფრო ნათელი გავხადოთ, თუკი დავამატებთ პროგრესულ მორფოლოგიას *-te-iru* ზმნის სახით (15ბ) წინადადებაში:

(15) ბ. *Watashi-wa ringo-o ip-pun-kan tabete-iru*.

(*-te-iru*-ს ეს პროგრესული გამოყენება უნდა განვასხვავოთ სხვა ტიპის გამოყენებისგან, რასაც მნიშვნელობა ასეთი აქვს – *'Recently I've been doing. . .'*). როცა ზმნური მორფოლოგიის ამ ორი სახის მოდალური არსია წარმოდგენილი, მაშინ ჩვენ ზმნის ნათელი დამამთავრებელი და პროგრესული ასპექტური მორფოლოგია გვაქვს სახეზე, რომელიც სრულ და უსრულ ინტერპრეტაციას ითხოვს. ამის დასაწახად, ვცადოთ *ippun de*-სა და *ippun-ka*-ს ურთიერთჩანაცვლება. წინადადებები შემცირების გზაზე წავა:

(16) ა. **Watashi-wa ringo-o ip-pun de tabete-iru*.

ბ. **Watashi-wa ringo-o ip-pun-kan tabete-shimau*.

წინადადებას დავუმატოთ ვაშლების 'მთვლელი' *ik-ko*, რაც აწარმოებს ასეთ

მნიშვნელობას – ‘I eat one apple. . .’.

- (17) ა. Watashi-wa ringo-o ik-ko ip-pun de tabete-shimau.
- ბ. Watashi-wa ringo-o ik-ko ip-pun-kan tabete-iru.

Ik-ko-მ გამომონვია *ringo*-ს კვანტირებული ან განსაზღვრული ნაკითხვა. წინადადება (17ა) ბუნებრივია და ნიშნავს ‘I eat up one apple in one minute’. (17ბ) წინადადება კი უცნაურია. მისი ინტერპრეტირება ისეთი სახით შეიძლება, სადაც კონკრეტული ვაშლი იქნება გამოყოფილი (და ვაშლების განუსაზღვრელ რაოდენობას შეჭამენ). ვინაიდან *ringo* (17ა) და (17ბ) წინადადებებში ერთნაირად აღნიშნავს ვაშლის ნაჭერსაც და რამდენიმე ვაშლსაც, ეს ფაქტები ნამდვილად მონესრიგებულია. განსხვავება ისაა, ვაშლების კონკრეტული ოდენობა შეიჭამა თუ განუსაზღვრელი.

9.2. მსაზღვრელები და ზმნიზებები³

განვიხილოთ შემდეგი წინადადება:

- (18) Usually, a Shakespearean sonnet contains the word **love**.

რას ნიშნავს აქ *usually*? შეიძლება თუ არა ეს ნიშნავდეს, ვთქვათ, კვირის სამუშაო დღეებში შექსპირის სონეტები სიტყვა *love*-ს შეიცავენ, ხოლო შაბათ-კვირას - არა? რა თქმა უნდა, ეს ასე არაა. ამ წინადადების უხეში პერიფრაზი ასეთია:

- (19) Most Shakespearean sonnets contain the word *love*.

(19) გვიჩვენებს, რომ მსაზღვრელებსა და ზმნიზებებს მსგავსი ფუნქციების შესრულება შეუძლიათ. ამ ქვეთავში ჩვენ განვიხილავთ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ საკითხებს. პირველ რიგში განვიხილავთ იმ ნიშნით, რომლითაც ინგლისური მსაზღვრელები და ზმნიზებები ერთნაირად მოქმედებენ, შემდეგ კი, გავანალიზებთ ზოგ კროს-ლინგვისტურ მაგალითებს, სადაც მათი ფუნქციები იყოფა.

9.2.1 მსაზღვრელები და ზმნიზებები ინგლისურ ენაში: მსგავსებები და განსხვავებები

ელემენტებისა და მოვლენების ჯგუფები

მე-7 თავში ვნახეთ, რომ მსაზღვრელები, როგორცაა *every*, *many*, *most* და *few*, გვიჩვენებს ინდივიდთა ორი ჯგუფის კავშირს:

- (20) Every king is whimsical: მეფეები ახირებული ადამიანების ქვეჯგუფია
- (21) Few kings are whimsical: ახირებულ მეფეთა რიცხვი მცირეა

ან

ახირებული მეფეების რიცხვი
მეფეების რიცხვზე მცირეა

გაისხენეთ მე-7 თავში წარმოდგენილი *most*-ის განმარტება:

[Most ს ზმე] სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ [[ს]] და [[ზმე]] ჯგუფები უფრო დიდია [[ს]] ჯგუფზე, მაგრამ არა [[ზმე]]-ზე.

most A B = True მხოლოდ მაშინ, თუ $(2x |A \cap B|) > |A|$

შეავსეთ (ა) წინადადება (20) -(21) -ის მსგავსად:

(ა) Most kings are whimsical. . .

ახლა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკითხზე: არის თუ არა მსაზღვრელები ერთადერთი კატეგორია, რომელიც ორ ჯგუფს ისე აკავშირებს, როგორც ეს მე-7 თავში იყო აღწერილი?

თუკი მოვძებნით ისეთ გამოთქმებს, რომლებიც შეიძლება მსაზღვრელების მსგავსად სახეს უცვლიდეს ინდივიდებისგან განსხვავებულ ელემენტებს, ზმნიზედათა კლასი გაგვახსენდება: *always, sometimes, often, usually, seldom* და ა.შ. მათ **კვანტიფიკაციის ზმნიზედები** ჰქვიათ. იმის გათვალისწინებით, რომ მათი და ზემოაღნიშნული მსაზღვრელების მნიშვნელობები მსგავსია, ჩნდება კითხვა: რომელია ის ჯგუფები, რასაც ისინი მიემართებიან?

ამ კითხვას მარტივად შეგვიძლია ვუპასუხოთ: ისინი მიემართებიან ორი სახის ჯგუფს – ან მოვლენებს, ან სიტუაციებს (რომლებიც იოლი აღსაქმელი და ფართოდ გავრცელებულია ყოველდღიურობაში).

(22) If/when you deal with Puck, you ALWAYS have a good time: შემთხვევები, როდესაც პაკთან გაქვს საქმე არის იმ შემთხვევათა ქვეჯგუფი, როცა შენ კარგ დროს ატარებ.

(23) If/when you deal with Puck, you USUALLY have a good time: იმ შემთხვევათა რიცხვი უფრო დიდია, როცა შენ პაკთან ხარ და კარგ დროს ატარებ, ვიდრე შემთხვევები, როცა პაკთან ხარ და ვერ ატარებ კარგ დროს.

საპარაფრაზი 9.4

დაასრულე შემდეგი წინადადება, სადაც გააკეთებ *seldom*-ის განმარტებას (21) წინადადებაში წარმოდგენილი *few*-ს განმარტების მიხედვით.

(ა) If/when you deal with Puck, you seldom have a good time. . .

ზმნიზედის შეზღუდვები

გარდა კონკრეტული მსაზღვრელის ფუნქციის განმარტებისა, ჩვენ წარმოვადგინეთ მათი წმინდა სემანტიკური მახასიათებლები. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ მათ მიერ აღნიშნული ორი ჯგუფი იდენტურ როლს არ ასრულებს: პირველი მათგანი, რომელიც სფ-ის დენოტაციას შეესაბამება, **ზღუდავს** მსაზღვრელებს. მაგალითად, რომ შევამოწმოთ სწორია თუ არა წინადადება *Every king is whimsical*, არ დაგვჭირდება მეფეების ჯგუფის მიღმა გახედვა. ეს ორ რამეს ნიშნავს. ჯერ ერთი, იმას, რომ ჩვენ გვჭირდება იმ ელემენტების გათვალისწინება, რომლებიც არც მეფეებს და არც ახირებულების ჯგუფს არ მიეკუთვნება (მაგ. სკამები); და მეორე, საჭიროა, განვიხილოთ ელემენტები, რომლებიც ახირებულთა ჯგუფშია, მაგრამ არ ეკუთვნის მეფეების რიცხვს (მაგ., დედოფლები). ეს უკანასკნელი ფაქტი იყო გადმოცემული მსაზღვრელთა კონსერვატიულობაზე საუბრისას.

თუ შევადარებთ (20) -(21) და (22) -(23) წინადადებებს, დავინახავთ, რომ (22) -(23) წინადადებებში *if*-წინააღმდეგობით გადმოცემული შემთხვევა იმავე როლს ასრულებს, რასაც (20) -(21) წინადადებებში სფ-ის დენოტაციაში გადმოცემული ინდივიდთა ჯგუფი.

ვრცელდება თუ არა ეს მსგავსება იმ *if*-წინადადებებზე, რომლებიც კვანტიფიკატორი ზმნიზედების შეზღუდვის ფუნქციას ასრულებს?

შემომნეთ, არის თუ არა კვანტიფიკაციის ზმნიშედეგი კონსერვატიული. გაიხსენეთ მე-7 თავში წარმოდგენილი განმარტება:

მსაზღვრელით გადმოცემული Q კავშირი კონსერვატიულია, თუ ნებისმიერი A და B თვისებებისთვის Q კავშირი დგას A-სა და B-ს შორის და თუ Q კავშირი დგას A-სა და (A∩B) მახასიათებლებს შორის.

განმარტების მიხედვით გააკეთე (ა) წინადადების პერიფრაზი და გადანყვიტე, ეკვივალენტია თუ არა ის ორიგინალისა.

(ა) If/when you deal with Puck, you always have a good time: . . .

ახლა კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *if*-წინადადება იმავე როლს ასრულებს კვანტიფიკატორი ზმნიშედეგისთვის, რასაც სფ მსაზღვრელებისთვის: ის ზღუდავს ჩვენს ყურადღებას უფრო ფართო მასშტაბის მოვლენებზე, რომლებიც პოტენციურად მნიშვნელოვანია წინადადების სისწორისთვის.

შემცირებადობა

სხვა სემანტიკური თვისებები, რომლებიც, როგორც შევნიშნეთ, მსაზღვრელებს გადააქვთ კვანტიფიკაციის ზმნიშედეგებზე. მაგალითად, როგორც ითქვა, მსაზღვრელი *few* შემცირებითაა ზმფ-ით გადმოცემულ მოვლენასთან მიმართებაში და აქვე იყო აღნიშნული, რომ უარყოფითი პოლარულობის სიტყვებიც ასევე მგრძნობიარენი არიან ამ თვისებისადმი. ახლა კი საშუალება გვაქვს, დავამატოთ, რომ *seldom*-იც შემცირებითაა მთავარი წინადადებით გადმოცემულ მოვლენებთან მიმართებაში და უარყოფითი პოლარულობის სიტყვების ლიცენზირებას ახდენს.

ყურადღება მიაქციეთ (ა) -ში გადმოცემულ ფაქტს:

- (ა) რელევანტური ჯგუფის ინკლუზია:
შემთხვევათა ჯგუფი, სადაც შენ კარგი დრო გაატარე, არის იმ ჯგუფის ქვეჯგუფი, სადაც შენ კარგი დრო გაატარე.

ახლა კი დაასრულე (ბ) და (გ). (ბ) -ის შემთხვევაში, რა არის ის თანაფარდობა, რაც *If you deal with Puck, you seldom have a good time* წინადადებას უნდა იგულისხმოს, რათა *seldom*-მა შემცირებითი მნიშვნელობა მიიღოს? დანერე და განსაზღვრე, არის თუ არა აქ ლოგიკური გამომდინარეობა. (გ) -ის შემთხვევაში კი გვიჩვენე, *seldom* შესაძლებელს ხდის *any*-ის არსებობას წინადადების მონიშნულ ნაწილში:

- (ბ) შემცირებითი ლოგიკური გამომდინარეობა
If you deal with Puck, you seldom have a good time
= ? = > . . .

- (გ) NPI ლიცენზირება:
If you deal with Puck, you seldom. . .

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივ ენაში სულ ცოტა ორი ისეთი სახის გამოთქმა არსებობს, რომელიც ორ ჯგუფს კონკრეტული გზებით გადმოსცემს:

მსაზღვრელები და ზმნიზედები. პირველი ინდივიდთა ჯგუფს გადმოსცემს, ხოლო მეორე – შემთხვევათა ჯგუფს. სინტაქსურად ამ ორი სახის გამოთქმები განსხვავდება ერთმანეთისგან. ანუ, მათ შორის მსგავსება აუცილებლად სემანტიკური უნდა იყოს. აშკარად ჩანს, რომ არსებობს სემანტიკური მექანიზმები და თვისებები, რაც სინტაქსისგან დამოუკიდებელია. ამგვარად, განხილვის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ ზმნიზედი დასახელადი ფრაზებიც შეიძლება იყოს ან გამაერთიანებელი ან არაგამაერთიანებელი, ანუ მაცალკეებელი.

9.2.2 ზმნიზედის შეზღუდვის აღდგენა: ვარაუდი

რა ხდება მაშინ, როცა წინადადებას არ აქვს *if*-იანი ნაწილი? ზმნიზედები ისევე შემთხვევათა ორ ჯგუფს მიემატება? თუ ასეა, მაშინ როგორაა ეს ორი ჯგუფი განსაზღვრული? არსებობს სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი.

თავდაპირველად განვიხილოთ ეს მაგალითები:

(24) The Fool usually/always/seldom regrets offending Lear.

(25) The Fool usually/always/seldom denies offending Lear.

(24) – ის ბუნებრივი ინტერპრეტაციები შემდეგნაირია:

(26) ა. If/when the Fool offends Lear, he usually/always/seldom

regrets offending Lear.

ბ. In most/all/few cases when the Fool offends Lear, the Fool

regrets offending Lear.

საიდან მომდინარეობს ასეთი სახის ინტერპრეტაცია? მეშვიდე თავში ჩვენ ვნახეთ, რომ *regret* ვარაუდობს, რომ მისი კომპლემენტი აღწერს ფაქტს. (26)-ე წინადადება, კერძოდ კი ის შემთხვევები, სადაც ვარაუდი ნათლად ჩანს, ქმნიან კვანტიფიკატორი ზმნიზედების შეზღუდვას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც კვანტიფიკაციის ზმნიზედის შეზღუდვა არ არის გადმოცემული *if*-ფრაზით, მაშინ წინადადების ვარაუდმა შეიძლება ამ შეზღუდვის განმსაზღვრელის როლი შეასრულოს.

სავარჯიშო

9.7

გაიხსენეთ დისკუსია *deny*-ს ვარაუდებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი წინადადებითა და გერუნდით ნარმოდგენილ კომპლემენტთან მიმართებაში და გამოყავით შემთხვევათა ის ჯგუფები, რომლებიც ქმნიან ზმნიზედების შეზღუდვას (25) წინადადებაში.

9.2.3 ზმნიზედის შეზღუდვის აღდგენა: ცენტრი

ახლა კი განვიხილოთ ზმნიზედის შეზღუდვის აღდგენის სხვა გზა. ჩვენს მაგალითებში გარკვეულ სიტყვებს მძიმე მახვილი ექნებათ. (როგორც ქვემოთ, ფონოლოგიის თავში იქნება განხილული, სიტყვის მახვილიანი მარცვლი, რომელზეც ძირითადი მახვილი მოდის, ხმამაღალია და უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მაშინ, როცა ძირითადი მახვილი იმ სიტყვაზე არ ეცემა). ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში მძიმე მახვილი ნაჩვენებია ასომთავრულით:

(27) Oberon usually/always/seldom talks to PUCK about his problems.

ამ წინადადების პერიფრაზირება შემდეგნაირად შეიძლება ((28 ა, ბ)-ში იგივე სათქმელი სხვა გზითაა წარმოდგენილი):

(28) ა. If/when oberon talks to someone about his problems, it is

usually/always/seldom Puck.

ბ. In most/all/few cases when Oberon talks to someone about his problems, Oberon talks to Puck about his problems.

საიდან გამომდინარეობს ეს ინტერპრეტაცია? ამის საჩვენებლად საჭიროა მცირე მიმოხილვის გაკეთება.

(27) წინადადებაში მიძიმე მახვილიან სახელად ფრაზას (*Puck*) ჰქვია წინადადების ცენტრი, რომელიც ახალ ინფორმაციას ან შეპირისპირებას გამოხატავს. წინადადების დანარჩენ ნაწილს ცენტრის ჩარჩო ჰქვია. შემდეგი მაგალითები (რომლებიც არ შეიცავს კვანტიფიკატორ ზმნიზედას) ამ გამიჯვნის ილუსტრაციაა.

(29) ა. PUCK squeezed the magic flower onto Lysander's eyelids.

ცენტრი: Puck

ცენტრის ჩარჩო: [someone] squeezed the magic flower onto Lysander's eyelids

ბ. Puck squeezed the magic flower onto LYSANDER's eyelids.

ცენტრი: Lysander

ცენტრის ჩარჩო: Puck squeezed the magic flower onto [someone]'s eyelids.

გ. Puck squeezed the MAGIC FLOWER onto Lysander's eyelids.

ცენტრი: the magic flower

ცენტრის ჩარჩო: Puck squeezed [something] onto Lysander's eyelids.

მიუვბრუნდეთ (27) წინადადებას. ახლა ვხედავთ, რომ (28) ინტერპრეტაცია ემყარება ცენტრისა და მისი ჩარჩოს გამიჯვნას. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ცენტრის ჩარჩო ქმნის კვანტიფიკატორი ზმნიზედის შეზღუდვას.

(30) Oberon talks to PUCK about his problems.

ცენტრი: Puck

ცენტრის ჩარჩო: Oberon talks to [someone] about his problems

საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა ზმნიზედის შეზღუდვის აღდგენის ამ ორი გზის გაერთიანება? ეს კითხვა ჩნდება იმიტომ, რომ ხშირად ცენტრისა და მისი ჩარჩოს გამიჯვნა უტოლდება ცენტრისა და ვარაუდის გამიჯვნას. მაგალითად, ისეთი წინადადება, როგორიცაა (30), ხშირად აღწერილია, როგორც ვარაუდი, რომ ობერონი ვილაცას თავის პრობლემებზე ესაუბრება და მტკიცება იმისა, რომ იგი ამაზე პაკთან საუბრობს.

(31) Does Oberon talk to anyone about his problems?

Well, it is unlikely that HE TALKS TO PUCK, and I know that he does not talk to anyone else.

ეს ნიშნავს, რომ ზოგადად არასწორია, რომ ცენტრის ჩარჩო ნავარაუდევია. ამგვარად, ცენტრის ჩარჩოს საშუალებით ზმნიზედის შეზღუდვის აღდგენისას არ არის ნათელი, რომ ეს შეზღუდვის ვარაუდის მეშვეობით აღდგენის განსაკუთრებული გზაა.

9.2.4 ზმნიშედის შეზღუდვის აღდგენა: ინდივიდები

თითოეული შემთხვევა ერთ ინდივიდს მოიცავს.

იმისათვის, რომ დაგინახოთ შემზღუდველის განმარტებაში სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, გავიხსენოთ (18) წინადადება, რაც განმეორებულია (32) -ის სახით:

(32) Usually, a Shakespearean sonnet contains the word *love*.

აქ არავითარი მოვლენა არ არის ყოველდღიური; უფრო მეტიც, კონკრეტული სიტყვის შემცველი სონეტი მოვლენა არ არის. მაშინ რაშია საქმე? ამიერიდან, ჩვენ ვინყებთ *case* სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობის გავრცობას და ვაქცევთ მას ტექნიკურ ტერმინად.

ჩანს, რომ თითოეული სონეტი ქმნის ცალკეულ შემთხვევას. ალტერნატიული ვარიანტი ამ მაგალითს უფრო დაამსგავსებს რეალური მოვლენების შემცველ წინადადებას:

(33) If/when something is a Shakespearean sonnet, it usually contains the word *love*.

ამ სახის პერიფრაზი მარტივად ხსნის იმ საიდუმლოს, თუ რატომ ნიშნავს ერთსა და იმავეს ეს ორი წინადადება: *Usually, a Shakespearean sonnet contains the word love* და *Most sonnets of Shakespeare contain the word love*. ახლახან ვნახეთ, რომ *usually* ნიშნავს *'In most cases, if . . . , then. . . '* ვინაიდან თითოეული სონეტი შეესაბამება ერთ განუმეორებელ შემთხვევას, რომელიც კონკრეტულ სონეტს გულისხმობს, სონეტების მომცველი შემთხვევები შეიძლება ჩაენაცვლოს სონეტებს. ანუ არავითარი განსხვავება არ არის, ჩვენ სონეტებს დავთვლით თუ სონეტების მომცველ შემთხვევებს.

თითოეული შემთხვევა ერთზე მეტ ინდივიდს მოიცავს

მაგრამ ყველა მსგავსი მაგალითი, სადაც მსაზღვრელი და ზმნიშედაა, ნიშნავს თუ არა ერთსა და იმავეს? შევადაროთ შემდეგი წინადადებები, სადაც არც სუბიექტი და არც ობიექტი არ არის წინადადების ცენტრი:

(34) Most fairies who met a mortal tricked him.

(35) Usually, if/when a fairy met a mortal, he tricked him.

წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია: ხუთი ფერია ხეტილობს ტყეში. ოთხიდან თითოეული ხვდება ერთ ან ორ მოკვდავს და ისინი ატყუებენ ყველა მათგანს. მეხუთე ფერია ნაბახუსევია და, მართალია, იგი 15 მოკვდავს შეხვდა, მაგრამ არც ერთი არ მოუტყუებია.

(36)	F.1 meets	M.1	Does F trick the M(s)?	yes
	F.2	M.2		yes
	F.3	M.3		yes
	F.4	M4, M5		yes
	F.5	M.6, . . . , M.20		no

Most-იანი წინადადება სწორი ჩანს, მაგრამ *usually*-იანი – არა. შემდეგი სახის პერიფრაზი დაგვეხმარება გავერკვეთ მიზეზებში.

(37) უფრო მეტია ფერიათა რიცხვი, ვინც მოკვდავს შეხვდა და მოატყუა, ვიდრე ფერიები, ვინც მოკვდავს შეხვდა და არ მოატყუა.

- (38) შემთხვევები, როცა ფერია მოკვდავს შეხვდა და მოატყუა უფრო მეტია, ვიდრე ის შემთხვევები, როცა შეხვდა, მაგრამ არ მოატყუა.

Most-იანი წინადადება ფერიების ორი ჯგუფის სიდიდეს გვადარებინებს. *Usually*-იანი წინადადება კი იმ ორი ჯგუფის სიდიდეს ადარებს, რომლებიც ფერიისა და მოკვდავის შეხვედრების შემთხვევებს მოიცავენ. ეს უკანასკნელი იგივეა, თუ ჩვენ შევადარებთ ფერია-მოკვდავის წყვილების ორი ჯგუფის სიმრავლეს (იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ფერია ერთ მოკვდავს მხოლოდ ერთხელ შეხვდა). ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნიმუში გვიჩვენებს, რომ როცა ფერიათა უმცირესობა შეხვდება მოკვდავთა უმრავლესობას და ქცევით განსხვავებული იქნება ფერიათა უმრავლესობისგან, ეს დაარღვევს ბალანსს.

ფაქტიურად, წყვილების დათვლა ყველაზე დიდი საშინელება არ არის, რაც შეიძლება მივიღოთ:

- (39) Most fairies who give a present to a mortal want to take it back.
 (40) Usually, if/when a fairy gives a present to a mortal, she wants to take it back from him.

აქაც *most*-იანი წინადადება ადარებს ფერიათა ჯგუფს (იმ ფერიებს, ვინც გადაწყვეტილება შეცვალა და ვინც – არა). *Usually*-იანი წინადადება კი ადარებს შემთხვევათა იმ ჯგუფებს, რომლებიც ფერიის, საჩუქრისა და მოკვდავის სამეულებს მოიცავენ. (აქ ნებისმიერი ფერია, რომელიც განსაკუთრებით ბევრ მოკვდავს ხვდება ან განსაკუთრებით ბევრ საჩუქარს გასცემს, არღვევს ბალანსს). ასე შეგვიძლია გავაგრძელოთ ოთხეულებზე, ხუთეულებზე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ შემთხვევა დაემთხვევა მხოლოდ ერთ ინდივიდს ან წყვილს, სამეულს და ა.შ. თუ არ არის რელევანტური მოვლენების მრავალფეროვნება, რაშიც მოცემული ინდივიდები შეიძლება ჩართულნი იყვნენ. შევადაროთ შემდეგი წინადადებები:

- (41) Usually, if a knight admires a lady, he sings her praise.
 (42) Usually, if a knight sees a lady, he bows to her.

თითოეული რაინდისა და ქალბატონისთვის არსებობს კაცის მიერ ქალის ტრფიალის მხოლოდ ერთი შემთხვევა; მოხიბვლა არ არის მოვლენის გამომხატველი ზმნა, იგი მეტ-ნაკლებად მუდმივ მდგომარეობას გამოხატავს. ამგვარად, (41) წინადადების სისწორე-სიცრუის გასარკვევად საკმარისია რაინდისა და ქალბატონის წყვილების დათვლა. მეორე მხრივ, თითოეული რაინდი და ქალბატონი შეიძლება გვხვდებოდნენ ერთმანეთის ნახვის უამრავ ფაქტში. თითოეული ასეთი ფაქტი (42) -ში ქმნის ცალკეულ შემთხვევას *usually*-ისთვის.

ვთქვათ, გვყავს ხუთი რაინდი. პირველი რაინდი ხვდება ერთ ქალბატონს ოცჯერ დღეში და იგივე ვითარებაა მეორე რაინდის შემთხვევაშიც. ისინი ერთმანეთს თავის დაკვრით ესალმებიან. მეორე მხრივ, მესამე, მეოთხე და მეხუთე რაინდი სათითაოდ სამ ქალბატონს ხვდება, მაგრამ დღეში მხოლოდ ერთხელ. მესამე, მეოთხე და მეხუთე რაინდი თავის დაკვრის წესს უგულვებელყოფს.

თავდაპირველად შეაფასეთ ამ სიტუაციაში მართებულია თუ არა (42). შემდეგ, ახსენით, რა მიიღეთ მხედველობაში დასკვნის გაკეთებისას.

რა განსაზღვრავს, ერთი ინდივიდი შეესაბამება შემთხვევას თუ წყვილი, ან სამეული და ა.შ.? ზემოთ ნაჩვენებ მაგალითებში ამას გვიჩვენებდა მხოლოდითი რიცხვის განუსაზღვრელი დფ-ები (*a shakespearean sonnet, a fairy* და *a mortal* და ა.შ.). ამავე ფუნქციას ასრულებს ამ მაგალითების სახესხვაობებში გამოყენებული მრავლობითი რიცხვი მსაზღვრელების გარეშე (*sonnets*):

(43) Usually, Shakespearean sonnets contain the word *love*.

(44) Usually, when fairies meet mortals, they trick them.

(45) Usually, when fairies give presents to mortals, they want to take them back from them.

ჩვენ არ ვსაუბრობთ, კიდევ რა სახის გამოთქმებს შეუძლიათ ამავე ფუნქციის შესრულება. ასევე ღიად ვტოვებთ საკითხს იმის თაობაზე, თუ რა სინტაქსური მექანიზმები იმალება კვანტიფიკატორი ზმნიზედების ინტერპრეტაციისას. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპოზიციურმა სემანტიკამ უნდა უპასუხოს ასეთ კითხვებს და ძალიან ბევრი კვლევა მიმდინარეობს ამ მხრივ.

კვანტიფიკაციის ზმნიზედები განზოგადებულ წინადადებებში

როგორც მე-8 თავში იყო ნახსენები, ისეთი ტიპის წინადადებებში, როგორიცაა *Donkeys eat dewberries*, განსაზღვრების გარეშე წარმოდგენილ მრავლობით რიცხვს **უნიშნო მრავლობითი** ჰქვია. მას ინგლისურში აქვს **განზოგადებული** გაგება, მაგალითად, ზემოთ წარმოდგენილი წინადადება ნიშნავს: ზოგადად, ვირები ჭამენ მაყვალს – *'Donkeys in general eat dewberries.'* თანამედროვე ლიტერატურაში ხშირად ამტკიცებენ, რომ ასეთი გაგება კვანტიფიკაციის ჩუმი ზმნიზედის დამსახურებაა, რომელიც მოქმედებს ზემოაღნიშნული აშკარა ორეულის მსგავსად. ეს ჩუმი მზნიზედა არის **ფარული კვანტიფიკატორი**.

მისი მნიშვნელობა ასეთია – *'In every case in which you have no evidence to contrary, assume that if. . . , then. . . '*, მაგალითად, 'თუ არ გაქვს საწინააღმდეგო არგუმენტი, დაამტკიცე რომ თუ რაიმე არის ვირი, ის ჭამს მაყვალს'. ფაქტიურად, წინადადებას – *If/when something is a donkey, it eats dewberries* – იგივე ზოგადი ინტერპრეტაცია აქვს.

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ფარული ზმნიზედა ენაცვლება აშკარას საინტერესო გზებით. მაგალითად, (46) წინადადება ორაზროვანია:

(46) Donkeys seldom eat dewberries.

ა. 'Few donkeys eat dewberries.'

ბ. 'If/when something is a donkey, there are few occasions on which it eats dewberries.'

(ა) სახის გაგება ჩნდება მაშინ, როცა წინადადებაში არ არის ფარული კვანტიფიკატორი. (ბ) ნაკითხვა კი მაშინაა, როცა წინადადებაში ფარული კვანტიფიკატორია და მას უფრო ფართო კონტექსტი აქვს, ვიდრე *seldom*-ს.

ამ ქვეთავის შეჯამებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ დავინყეთ კვანტიფიკაციის ზმნიზედებსა და მსაზღვრელებს შორის არსებულ მსგავსებაზე საუბრით. მნიშვნელოვნად მოქმედებენ თუ არა ეს ზმნიზედები ინგლისური ენის გამომსახველობის უნარზე? დიახ, ისინი ამას შემდეგი მიზეზების გამო აკეთებენ. უპირველეს ყოველისა, ისინი მოვლენების სახესხვაობის საშუალებას იძლევიან

(მაგალითად, პაკის შემთხვევაში), რაც არ შეუძლიათ ინგლისურ მსაზღვრელებს. მეორე, ისინი სახეს უცვლიან შემთხვევებს, რომლებიც მოიცავს ერთ ინდივიდს ან წყვილს, ან სამეულს და ა.შ. ეს თავისუფლება არის ის, რაც ინგლისურ მსაზღვრელებს არ აქვთ. წინადადებები *Usually, a Shakespearean sonnet noctains the word love* და *Most Shakespearean sonnets contain the word love* ეკვივალენტად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან მათში ზუსტად ემთხვევა სონეტები და შემთხვევები. წინადადებას *Usually, if a fairy meets a mortal, he tricks him* არავითარი კავშირი არ აქვს *most*-თან. როგორც ვნახეთ, ამის მიზეზი ისაა, რომ *most* (როგორც ყველა მსაზღვრელი) ითვლის სფ-ში გადმოცემულ ცალკეულ ინდივიდს და არა შემთხვევებს.

9.2.5 დ-კვანტიფიკაცია და ზ-კვანტიფიკაცია: კროს სფ-ლინგვისტური თვალსაზრისი⁴

როგორც ვნახეთ ინგლისურს კვანტიფიკაციის გამოხატვის სულ ცოტა ორი საშუალება აქვს: სახელადი ფრაზის შიგნით გამოყენებული მსაზღვრელები და წინადადების დონეზე წარმოდგენილი ზმნიზედები. ყველა ენას აქვს ეს ორივე საშუალება?

მნიშვნელოვანი ემპირიული კვლევა მიმდინარეობს ამ საკითხთან დაკავშირებით. ბევრ ენას არ აქვს კვანტიფიკატორული მსაზღვრელები, მაგრამ ყველა ენას აქვს ზმნიზედები, ზედსართავები, დამხმარე ზმნები და არგუმენტული სტრუქტურა, რომელიც კვანტიფიკაციის გამოხატვისთვის გამოიყენება. ადრე განხილული **დ-კვანტიფიკაციის** საპირისპიროდ, ამ უკნასკნელს **ზ-კვანტიფიკაცია** ჰქვია. ზოგიერთ ენას არ აქვს D-კვანტიფიკაცია მაგრამ ასეთი ენების **ზ-კვანტიფიკაციის** სისტემა უფრო კარგადაა განვითარებული, ვიდრე ინგლისურის.

პირველ რიგში შევამოწმოთ გრენლანდიელი ესკიმოსების ენა, რომელიც, ამ მხრივ, ინგლისურის მსგავსია, შემდეგ სალიში და მაიალი, რომლებიც მეტად განსხვავებულნი არიან.

გრენლანდიელი ესკიმოსების ენა

გრენლანდიელი ესკიმოსების ენა ასაბუთებს შემდეგი მტკიცების კროს-ლინგვისტურ საფუძვლიანობას, რომ დ-კვანტიფიკატორები ითვლიან ინდივიდებს, ხოლო ზ-კვანტიფიკატორები – შემთხვევებს.

ესკიმოსთა ენას დ-კვანტიფიკატორებიც აქვს და ზ-კვანტიფიკატორებიც. (47) წინადადებაში, *tama-nngaja*, რაც ნიშნავს 'თითქმის ყველა', დაკავშირებულია არსებით სახელთან *nukappiaqqat* ანუ 'ბიჭები' (ბითნერ, 1995):

- (47) Nukappiaqqat TAMA-NNGAJA-rmik
 boys.ABS ALL-ALMOST-ABS
 balloni-si-sima-s-u-t
 balloon-get-perf-PRT-[-transitive]-p.ABS
 minuttit qulit naatinnagit
 minutes ten within
 quaartuur-p-a-at.
 break-IND-[-transitive]-3p₁ 3s₂

(48) წინადადებაში, *tuaanna-ngajap*, რაც ნიშნავს 'თითქმის ყოველთვის', არის

qaartuur- ანუ 'გატეხვა' ზმნის სუფიქსი:

- (48) Nukappiaraq balloni-di-gaannga-mi
 boy.ABSballoon-get-when.iter-3sPROX
 minuttit qulit naatinnagit
 minutes ten within
 qaartuur-TUAANNA-NGAJAP-p-a-a.
 break-ALWAYS-ALMOST-IND-[+transitive]-3s.3s.

როდესაც გაეცნენ ისეთ პირობებს, როგორცაა (49) და (50) წინადადებებში წარმოდგენილი, ესკიმოსთა ენის სპეციალისტებმა (47) ანუ დ-კვანტიფიკატორიანი წინადადება, (49)-ში სწორად და (50)-ში მცდარად დაადგინეს. შეფასებები საპირისპირო გახდა ზ-კვანტიფიკატორიანი (48) წინადადებისთვის. იგი მცდარი იყო (49) -ის მიხედვით და სწორი (50) -ის მიხედვით. ეს გვაძლევს შემდეგი სახის პერიფრაზს:

(47') 'Almost all the boys who got a balloon burst it within ten minutes.'

(48') 'Almost always, if/when a boy got a balloon, he burst it within ten minutes.'

(49)	Boys	Balloons received	Balloons burst within 10 minutes
	Jaaku	100	0
	Piita	100	1
	Jensi	1	1
	Tuuma	1	1
	David	1	1
	Karl	1	1
<hr/>			
	6	204	5
(50)	Boys	Balloons received	Balloons burst within 10 minutes
	Jaaku	100	100
	Piita	100	100
	Jensi	1	0
	Tuuma	1	0
	David	1	0
	Karl	1	0
<hr/>			
	6	204	200

იმის დასაწახად, თუ დეტალურად როგორ მოქმედებს ეს სისტემა, ყურადღება მიაქციეთ, (49) -ში ექვსიდან ოთხმა ბიჭმა (ანუ თითქმის ყველამ) გახეთქა ბუშტი. (47) ითვლის ბიჭებს და, შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს *Jaaku* და *Piita*-ს რომ ჰქონდათ ბევრი ბუშტი, რომლებსაც არ ხეთქავენ. (47) წინადადება (49) -ის მიხედვით სწორია.

ახსენით, რატომაა (47) წინადადება მცდარი (50) -ის მიხედვით.

სავარჯიშო
9.9

დაამტკიცეთ ბიტნერის მიხედვით, რომ (48) ითვლის შემთხვევებს და დაასაბუთეთ, რომ (48) მცდარია (49) -ის მიხედვით და სწორია (50) -ის მიხედვით.

სავარჯიშო
9.10

ესკიმოსთა ენა და ინგლისური მორიგ მსგავსებას იზიარებენ ზ-კვანტიფიკაციასთან დაკავშირებით. (48)-ში სუფიქსი, რომელიც ნიშნავს 'თითქმის ყოველთვის', ჩანს უშუალოდ ზმნასთან. არსებობს კიდევ ერთი გზა (48) წინადადების მნიშვნელობის გადმოსაცემად. (51) -ში ჩვენ ვნახავთ ზმნური სუფიქსის *-tar*-ისა და დამოუკიდებელი ზმნიზედური კვანტიფიკატორის კომბინაციას, რომელიც აღინიშნება, როგორც ზმნიზედური კვანტიფიკატორის სუფიქსი. განვიხილოთ უშუალოდ სუფიქსი *-tar*:

(51) Nukappiaraq balloni-si-gaannga-mi
 boy.ABS balloon-get-when.iter-3PROX
 minuttit qulit naatinnagit TAMA-NGAJA-TIGUT
 minutes ten within ALL-ALMOST-AQ
 qaartuur-tar-p-a-a.
 breal-TAR-IND-[+tr] -3s.3s
 'Almost always, if/when a boy got a balloon, he burst it within ten
 minutes (=48)'

რა როლი შეიძლება შეასრულოს *tar*-მა? თუ ჩვენ ამოვიღებთ მას (51) -დან, წინადადება გრამატიკულად არასწორი იქნება, მსგავსად ინგლისური წინადადებისა (52):

(52) *'Almost always, a boy got a ballon, he burst it within ten minutes.'

მეორე მხრივ, თუ ზმნიზედური კვანტიფიკატორი *tama-ngaja-tigut* იქნება ამოღებული (51)-იდან, წინადადება გრამატიკულად სწორი იქნება, მაგრამ უფრო ზოგადი მნიშვნელობა ექნება. მისი შედარება შეიძლება ინგლისურ (53) წინადადებასთან:

(53) 'If/when a boy got a balloon, he burst it within ten minutes.' =
 'Generally, if/when a boy got a balloon, he burt it within ten minutes.'

ეს დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სემანტიკური როლი *tar*-ისა და *if/when*-ისა მსგავსია. ორივე დაკავშირებულია დამოუკიდებელ ზმნიზედურ კვანტიფიკატორებთან, რომელიც შეიძლება იყოს ან აშკარა ან ფარული. ეს უკანასკნელი ზმნიზედური კვანტიფიკატორი ორივე შემთხვევაში ზოგადია. *-Tar* და *if/when* მოქმედებენ განსხვავებულად. *Tar* აშკარად გამოხატავს კვანტიფიკატორის კონტექსტს, ხოლო *if/when* აღნიშნავს მის შეზღუდვას.

სალიში და მაიალი

სტრეითს სალიშის ენებს (რომლებზეც საუბრობენ ბრიტანული კოლუმბია და ვაშინგტონის შტატი) საერთოდ არ აქვს დ-კვანტიფიკატორები. ერთი სტრეითის ზ-კვანტიფიკატორია ზმნიზედური *məxʷ*. ის შეიძლება უკავშირდებოდეს შემასმენელს ან სუბიექტს ან ობიექტს. შემდეგი წინადადება ორაზროვანია (ჟელინეკ, 1995):

(54) məxʷ = t 'əw' ŋa-t-Ø cə sʃcəənəxʷ

ALL= 1pNOM LINK eat-TR-3ABS DET fish

'We ate the fish up completely.' OR

'We all ate the fish.' OR

'We ate all the fish.'

ეს ორაზროვნება გვიჩვენებს ზ-კვანტიფიკაციის ტიპიურ მახასიათებელს, რაც ჩვენ უკვე ვნახეთ ინგლისურის მაგალითზე. რის კვანტიფიკაციასაც ახდენენ, ის დ-კვანტიფიკატორების გამოსახატავია და არა ზ-კვანტიფიკატორებისა. ამ მიზეზით ზ-კვანტიფიკატორებს **არაგადამრჩევები** ჰქვიათ.

ზ-კვანტიფიკატორები შეიძლება ასევე იყოს გადამრჩევიც დამოუკიდებელ ნიადაგზე. ასეთია *djarrk*- მაიალ-ის ენაში, რომელიც გუნვინჯგუანის ოჯახის ავსტრალიური ენაა:

(55) Garri-djarrk-dulubom duruk.

we.plu-together-shootPP dog

'We all shot the dog(s).'

*'We shot all the dogs.'

Djarrk-გადამრჩევი, ვინაიდან ის არა მხოლოდ უნივერსალურია, არამედ ატარებს დამატებით მნიშვნელობას 'ერთად მოქმედება, როცა ყველა ერთსა და იმავეს აკეთებს ერთსა და იმავე დროსა და ადგილზე.' ამგვარად, იგი მოითხოვს, რომ სახეცვლილმა ნევრმა გააკონტროლოს მოვლენა. სროლაში გამოვლილი ძაღლები ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებენ. ამის მსგავსად, *djarrk*- ვერ გამოიყენება 'die' ზმნასთან, სადაც ერთადერთ მონაწილეს არავითარი კონტროლი არ აქვს. ის ფაქტი, რომ რამდენიმე ზ-კვანტიფიკატორი ზმნური სუფიქსია, აუცილებელს ხდის მათ მიერ დამატებითი მნიშვნელობის შექმნას, მაგრამ ის ნამდვილად აადვილებს ამას.

9.3. დასკვნა

ამ თავში განხილული იყო სემანტიკური პარალელიზმის ორი მაგალითი სინტაქსურად განსხვავებულ ერთეულებს შორის.

პირველ რიგში, ჩვენ ვნახეთ, რომ თვლადობა/უთვლადობის განსხვავება სახელებში და სრული/უსრული ასპექტის განსხვავება მოვლენებში შეიძლება მოექცეს დანაწევრებული და სრული მიმართების შეპირისპირების მოვლენებში. ეს ორი საკითხი ასევე ერთმანეთს ენაცვლება ზმფ-ების კომპოზიციური სემანტიკის განსაზღვრისას.

მეორე რიგში, დავაკვირდით, რომ კვანტიფიკაციის ზმნიზედები მიემართება შემთხვევათა ორ ჯგუფს ერთი და იმავე გზით, როგორც მსაზღვრელები მიემართებიან ინდივიდთა ჯგუფს.

ორივე მაგალითი გვიჩვენებს, რომ არსებობს სემანტიკური მსგავსება ამ ორ სინტაქსურად განსხვავებულ სფეროს შორის.

შენიშვნები

1. 9.1 ნაწილის შინაარსი ძირითადად დაფუძნებულია კრიფკას (1992) და თენის (1994) ნაშრომებზე.

2. მაღლობას ვუხდით აკირა ნაკამურას, ქეროლ თენის და რიკა ჰაიამი-ალენს ამ ნაწილის უზრუნველყოფისთვის.

3. 9.2 ნაწილის შინაარსი ძირითადად დაფუძნებულია ლუისის (1975), რუთის (1996), პორტნერის (1992) და ჰაიმის (1990) ნაშრომებზე.

4. ამ ნაწილის შინაარსი აღებულია ბახის (1995) ნაშრომებიდან.

საკითხავი ლიტერატურა

- Tenny, Carol. 1994. *Aspectual Roles and the Syntax/Semantics Interface*. Dordrecht: Kluwer.
- Bach, Emmon, et al. eds. 1995. *Quantification in Natural Languages*. Dordrecht: Kluwer.
- Chierchia, Gennaro. 1998. Plurality of mass nouns and the notion of 'semantic parameter.' In S. Rothstein, ed., *Events and Grammar*, pp. 53-103. Dordrecht: Kluwer.
- de Swart, Henriette. 1993. *Adverbs of Quantification: A Generalized Quantifier Approach*. New York: Garland.
- Kiss, Katalin É. 1998. Identificational focus versus information focus. *Language*, 74: 245-73.
- Lewis, David. 1973. Adverbs of quantification. In Keenan, ed., *Formal Semantics and Pragmatics for Natural Languages*. Cambridge: Cambridge University Press, pp. 3-15.
- Rooth, Mats. 1996. Focus. In Shalom Lappin, ed., *Handbook of Contemporary Semantic Theories*, pp. 271-99. Oxford: Blackwell.

დანერეთ ათი ყოველდღიური ზომა-ოდენობის გამოთქმა უთვლად სახელებთან ერთად, რომლებთანაც ისინი ასოცირდებიან.

მაგალითი: *one bar of soap, chocolate* (მაგრამ არა *bread*).

საპარაჯიზო

საპარაჯიზო 9.11

შეადარეთ თვლადი და უთვლადი სახელები ინგლისურ და სხვა რომელიმე ენას შორის (ან მშობლიური ან ის ენა, რომელიც კარგად იცით). იპოვეთ სულ ცოტა სამი შემთხვევა, როცა ინგლისური უთვლადი სახელი მეორე ენაში თვლადია და პირიქით. (იხ. ჩანართი 9.1)

საპარაჯიზო 9.12

ზოგიერთი ენა (მაგ. ჩინური) იყენებს ზომა-ოდენობის გამოთქმებს ისეთ სახელებთანაც კი, რომლებიც ინგლისურში თვლადია.

საპარაჯიზო 9.13

მაგ:	yí lì mǐ	liǎng lì mǐ
	one CL rice	two CL rice
	'ერთი (მარცვალი ბრინჯი)'	'ორი მარცვალი (ბრინჯი)'

	yí zhāng zhuōzi	liǎng zhāng zhuōzi
	one CL table	two CL table
	'ერთი (ერთეული) მაგიდა'	'ორი (ერთეული)

მაგიდა'

თუ იცით სხვა ენა ასეთი გამოთქმებით, მოიტანეთ მაგალითები და ახსენით, როგორ მოქმედებენ ისინი.

შემდეგი არსებითი სახელები ძირითადად თვლადია, უთვლადი თუ შერეული? მიუთითეთ, თუ არსებითი სახელი ძირითადად უთვლადია, აქვს თუ არა მას თვლადი მენწყვილე და პირიქით. წინადადებების გამოყენება გაგიადვილებთ ძირითადი და

საპარაჯიზო 9.14

მეორადი გამოყენებების განცალკევებას.

მაგალითი: *pork*

(i) I bought pork for dinner.

(ii) I bought too much pork for dinner.

(iii) I bought four pounds of pork for dinner.

(iv) *I bought a pork for dinner.

(v) *I bought four porks for dinner.

(vi) You need a tender ground pork to stuff the dumplings with.

(vii) ?This butcher offers several tasty porks.

დასკვნა: *Pork* ძირითადად უთვლადი სახელია, რაც (I-V) წინადადებებში ჩანს. იგი თვლადი სახითაც გამოიყენება ისეთი სახით, როგორც (VI) წინადადებაშია, მაგრამ არ გამოიყენება მრავლობითში, რაც ნათელია (VII) წინადადებაში.

bear, egg, sand, change, rug, lipstick, hair, milk, cement, advertisement, advertising, fabric, metal, crack.

სავარჯიშო 9.15

არსებითი სახელები *hose* და *chain* გრამატიკული ტესტების მიხედვით თვლადია თუ უთვლადი? გამაერთიანებლად მიემართებიან თუ მაცალკევებლად? რა თავისებურებები ახასიათებთ მათ?

სავარჯიშო 9.16

შემდეგი წყვილები გვიჩვენებს ინგლისურში არგუმენტული სტრუქტურის ალტერნატივებს:

to teach Latin to Cleopatra, to teach Cleopatra Latin,

to stuff feathers into the pillow, to stuff the pillow with feathers

ამ თავში წარმოდგენილი სემანტიკური ცნებები საშუალებას გაძლევთ, გამოიცნოთ ამ წყვილების წევრებს შორის არსებული სისტემური განსხვავებები. რა განსხვავებებია ეს?

სავარჯიშო 9.17

განიხილეთ შემდეგი შეპირისპირებები ინგლისური ნომინალიზაციის გამოთქმაში. ზოგ შემთხვევაში [the ს of დვ] ფრაზის ალტერნატივაა [დვ ს] იმავე მნიშვნელობით:

The destruction of the city

the city's destruction

the exposure of the corruption

the corruption's exposure

the reenactment of the battle

the battle's reenactment

the performance of the play

the play's performance

but:

the admiration of the art work

*the art work's admiration

the discussion of the future

*the future's discussion

(ა) მოძებნეთ ორივე ტიპის მაგალითები.

(ბ) ორივე ფორმის მქონე ტიპები ისეთ ზმნებს შეიწყობს, რომლებიც გამოხატავენ ცვლილებას, რომელსაც ობიექტი განიცდის. შეესატყვისება თუ არა ეს მონაცემი განზოგადებას? თუ არა, შეგიძლიათ დაასახელოთ ამ ორი ტიპის განმასხვავებელი სხვა მახასიათებელი?

თითოეულ მაგალითში გახაზეთ წინადადების ცენტრი და მისი ჩარჩო. ფრჩხილებში მოქცეული ფრაზა დაგეხმარებათ წინადადებების სწორად წარმოთქმაში. სავარჯიშო 9.18

(ა) Ophelia threw white flowers into the water (not red flowers).

(ბ) Ophelia threw white flowers into the water (not mice).

(გ) Ophelia threw white flowers into the water (not into the fire).

(დ) Ophelia threw white flowers into the water (instead of dropping them).

(ე) Ophelia threw white flowers into the water (instead of dancing a waltz).

(ვ) Ophelia threw white flowers into the water (not Gertrude).

(ა) წინადადება მოიცავს ინტონაციურ ცენტრს, ხოლო (ბ) წინადადება ე.წ. გახლჩილ კონსტრუქციას: სავარჯიშო 9.19

(ა) I think that *Oberon talks to PUCK*.

(ბ) I think that *it is Puck that Oberon talks to*.

წარმოადგინეთ სხვადასხვა კონტექსტი, სადაც ეს ორი წინადადება შეიძლება გამოვიყენოთ და შეამოწმეთ, რამდენად შესაძლებელია მათი შემდეგნაირი სახით გაგრძელება:

(გ) . . . although perhaps he does not talk to anyone.

(დ) . . . although perhaps he also talks to Titania.

შეაჯამეთ თქვენი შედეგები და იმსჯელეთ, ვარაუდისა და ამომწურავი ჩამონათვალის წარმოდგენისას იდენტურია თუ არა ინგლისურში ინტონაციური ცენტრი და გახლჩილი კონსტრუქცია.

ინტონაციური ცენტრი ინგლისურში წარმოსახვითია, მაგრამ ბევრ ენაში ცენტრის კატეგორია ინტონაციურად გამოკვეთილია და ასევე, სინტაქსური პოზიციით ან მასთან ნაწილაკის დასმითაა გამოხატული. ასეთი მაგალითების ინტერპრეტაცია ძალიან ჰგავს ინგლისურში *it*-ით გახლჩილ წინადადებებს. შემდეგი მაგალითები მოყვანილია ვატადან და უნგრულიდან (კოფმანი 1984). სავარჯიშო 9.20

ვატაში ცენტრი აღნიშნულია ხაზოვანი სისტემით და ცენტრის ნანილაკით (*mó*).
ზმნა '*see*' შედგება ზმნის ფუძისა და ნანილაკისგან, რაც არარელევანტურია ჩვენთვის:

kòfi yɛ́ yóó yé
Kofi see child-the part
'კოფიმ დაინახა ბავშვი'.

yóó mó kòfi yɛ́ yé
child-the focus kofi saw part
'ბავშვი დაინახა კოფიმ'.

უნგრულში ცენტრალური ნევრი უშუალოდ ზმნის წინ დგას:

Kati látta a gyereket.
Kati saw the child-acc
'კატიმ დაინახა ბავშვი'.

Kati a gyereket látta.
Kati the child-acc saw
'ბავშვი დაინახა კატიმ'.

თუ იცით რომელიმე სხვა მსგავსი ენა, აღწერეთ მისი სინტაქსი და მისი ცენტრის კონსტრუქციის ინტერპრეტაცია.

მნიშვნელობის შეცნობა

შინაარსის სარჩევი

10.0 შესავალი

10.1 ლექსიკური განვითარება

10.1.1 რას ნიშნავს სიტყვები?

მნიშვნელობის შექმნა თუ სიტყვების გავრცობა

10.2 სიტყვანარმოება

10.3 მცირე და გადაჭარბებული გავრცობა

10.4 აღქმასა და წარმოთქმას შორის არსებული დაშორება

10.5 ლექსიკონის 'აფეთქება'

10.6 სწრაფი ფ

10.7 სემანტიკური კონტრასტი

10.8 მოდულირების ხელახლა განხილვა: სივრცითი გამოთქმების განვითარება

10.9 სემანტიკური/თემატური როლები და ურთიერთობები

10.10 მდგომარეობა და მოქმედება: კიდევ ერთი სემანტიკური პრიმიტივი

10.11 ნაცვალსახელების ინტერპრეტაცია

10.12 ვარაუდი: საერთო საფუძვლის გაგება

10.13 ბავშვების ცოდნა თვლადობა/უთვლადობის განსხვავებისა და ზმნის ასპექტის შესახებ.

10.14 დასკვნა.

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა

10.0 შესავალი

წინადადების მნიშვნელობის გააზრება გულისხმობს როგორც გრამატიკულ, ისე არაგრამატიკულ ფაქტორებს. იქ, სადაც ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელობაა წარმოდგენილი, ჩვენ მიერ წინადადების აღქმა ეფუძნება გრამატიკის ლექსიკურ კომპონენტს, ხოლო როცა საქმე გვაქვს, მაგალითად, ანაფორებსა და მათ წინამწრებს შორის გრამატიკულ კავშირთან, გვჭირდება გრამატიკის სინტაქსური კომპონენტი. შინაარსის გაგებისთვის ასევე მნიშვნელოვანია კონტექსტური თუ დიკურსის ფაქტორები, მაგალითად, *she* ნაცვალსახელის აღსანიშნის გაგება წინადადებაში *She laughed*, როცა ეს ნაცვალსახელი ამავე წინადადების არცერთ ელემენტს არ მიემართება. ნაცვალსახელის გაგება გულისხმობს, რომ მოსაუბრემ და მსმენელმა იციან, ვინ იგულისხმება *she* ნაცვალსახელში. ამის მსგავსად, განსაზღვრული დფს გამოყენება, როგორცაა *the boy*, ნიშნავს, რომ არსებობს კონკრეტული ბიჭი, რომელიც ერთნაირად ნაცნობია, როგორც მთქმელისთვის, ისე მსმენლისთვის.

წინადადების შინაარსის გაგება ასევე მოიცავს კონცეპტუალურ ცოდნასაც. ბავშვების გონებრივი ცოდნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიტყვებისა და გამოთქმების მათმიერ გამოყენებასა და გაგებაში. ამგვარად, ვხედავთ, რომ წინადადების ან მისი რომელიმე შემადგენლის გასაგებად საჭიროა ენის ცოდნა და უკავშირდეს არალინგვისტურ ცოდნას. როგორც ბავშვების ენობრივი და შემეცნებითი ცოდნის სიმცირემ აჩვენა, ენის განვითარება მხოლოდ ზოგადი ცოდნიდან არ მომდინარეობს. ენა გონების გამორჩეული ელემენტია, რომლის გაზრდა-განვითარებაც ვრცელდება მისსავე შექმნილ ცხრილზე; ხოლო ამ უკანასკნელის განსაზღვრებაც და სტრუქტურაც ყალიბდება მისივე პრინციპებით. გონების სხვა უნარებთან ერთად ენის როგორც თვლადი მოდულის განხილვას ხშირად უწოდებენ **მოდულირებას**.

წანართი 10.1.

განვითარებისას გამიჯვნა და მოდულირება

ენისა და გონებრივი განვითარების გამიჯვნა ადამიანის განვითარების პროცესში გულისხმობს მოდულირებას. ბავშვებში მკვლევრებმა აღმოაჩინეს მათი ორივე მიმართულებით გამიჯვნა; კერძოდ, სადაც ენა მეტ-ნაკლებად დაუზიანებელია და სადაც ენა დამახინჯებულია. პირველის მაგალითები მოიცავს გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვებს, ვერბალური აუტიზმით შეპყრობილებს, მაგრამ ლინგვისტურად განვითარებულებს, რომელთაც აქვთ ნორმალური გრამატიკა და მათი გონებრივი ჩამორჩენილობის მიუხედავად უამრავ ენას ფლობენ. (1) -(8) მაგალითები ეხება ისეთ გონებაზე ზღუდულ ბავშვებს, რომლებსაც საგრძნობლად სრულყოფილი გრამატიკა აქვთ, (1) -(6) მაგალითები ინგლისურადაა მოყვანილი, ხოლო (7) და (8) – ფრანგულად:

(1) I don't want Bonnie coming in here.

(2) You're going to get eaten by one.

(3) She must've got me up and thrown me out of bed.

(4) She's the one that walks back and forth to school.

(5) Isn't she going to come over here and talk with us?

(6) She does paintings, this really good friend of the kids who I went to school with last year and really loved.

(7) Il y a encore une maison sur le coin et vous montez un peu plus haut et c'est la que j'habite. 'There is one more house on the corner and you go up a little further up and it's there that I live.'

(8) Alors on doit faire attention parcequ'ils sont forts pour entrer dans les maisons. 'Then one must be cautious because they are clever at breaking into houses.'

საპირისპირო ვითარებაა ბავშვებში, რომელთაც მეტ-ნაკლები ლინგვისტური დეფიციტი ახასიათებთ – ე.წ. **სპეციფიკური ენობრივი ნაკლოვანების** მქონენი ანუ **SLI**. SLI ბავშვები ნორმალურად ვითარდებიან, მაგრამ ძალიან გვიან იწყებენ მეტყველებას, მათი ალქმის უნარი გაჭიანურებულია და ისინი გრამატიკული ფორმების აგების დეფიციტს ამჟღავნებენ. სკოლის ასაკში და შემდეგაც, ასეთმა ბავშვებმა შეიძლება შემდეგნაირი ფრაზები წარმოთქვან:

(9) Her getting dress.

(10) She swing outside and she broke his elbow.

(11) Me no know why.

ორივე შემთხვევა – კარგი მეტყველება გონებრივ ჩამორჩენასთან ერთად და სუსტი მეტყველება ნორმალურ არაენობრივ შემეცნებასთან ერთად – მიუთითებს ენისა და შემეცნების ერთმანეთისგან დაშორებას. ყოველივე ეს კი მოდულირების ნათელი მაგალითია.

10.1 ლექსიკური განვითარება

10.1.1. რას ნიშნავს სიტყვები? მნიშვნელობის შექენა თუ სიტყვების გავრცობა

წინადადების შინაარსის გაგება მოიცავს ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის ცოდნას. მე-6 თავში ჩვენ ვნახეთ სიტყვათა მორფოლოგიური ფორმების შესახებ ცოდნის განვითარება. ახლა ჩვენ ვუბრუნდებით ფორმის მნიშვნელობაზე გადატანას – ანუ ვსწავლობთ სიტყვების სემანტიკას.

მიუხედავადმისა, რომ ბავშვებს უწევთ მექანიკურად დაიმახსოვრონ ან ისწავლონ თავისი ენის სიტყვები – ანუ რა ჟღერადობა რომელ მნიშვნელობას შეესაბამება – ნორმალური ბავშვები ყველგან აღიქვამენ სიტყვის შინაგან უნარს სიტყვისა და მისი მნიშვნელობის კლასიფიკაციისა, მდგომარეობის, მოქმედებისა და სხვა სახის კავშირების განსაზღვრისა. როცა ისინი სწავლობენ სიტყვას, ისინი იმავდროულად ითვისებენ სიტყვის თვისებებსა თუ მახასიათებლებს რომლებიც განსაზღვრავენ ამავე სიტყვის გავრცობას. დღეისათვის არ არსებობს კარგად შემუშავებული თეორია სიტყვის შესწავლის შესახებ, მაგრამ რამდენიმე ძირითადი პრინციპი მაინც არის წარმოდგენილი ბავშვებისთვის სიტყვის შესწავლის მიზნით. პირველი პრინციპი არის **მიმართების პრინციპი**, რომელიც გულისხმობს სიტყვათა მიმართებას გარემოში არსებულ საგნებთან, მოქმედებებთან, მდგომარეობებთან, თვისებებთან. ამ პრინციპით მოქმედებისთვის საჭიროა, რომ ბავშვებს მუდმივი კავშირი ჰქონდეს გარემოსთან და იყენებდნენ გარემოდან მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც შემდეგ სიტყვით გამოთქვამენ. მაგრამ ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ბავშვებმა უკვე იციან რა უნდა გააკეთონ და სწავლა არ სჭირდებათ.

სიტყვების სწავლის კიდევ ერთი პრინციპია **მთლიანი ობიექტის პრინციპი**. ეს პრინციპი გვიჩვენებს, რომ სიტყვის გაგონების შემდეგ ბავშვი აღიქვამს მთლიან ობიექტს და არა მის ნაწილს. მაგალითად, თუკი ბავშვს ესმის სიტყვა ‘ძალი’, იგი მას აიგივებს გარემოში არსებულ ოთხფეხა ცხოველთან, ანუ წარმოიდგენს მას, როგორც ცხოველს და არა როგორც მის კუდს, ყურებს ან ფეხებს. ამ პრინციპის მიხედვით, ბავშვების ლექსიკონში ვაწყდებით ბევრი ცხოველის, ადამიანისა და ობიექტის სახელს და არა მათი სხეულის ცალკეულ ნაწილებს.

მესამე პრინციპი არის კატეგორიებად დაყოფის პრინციპი, რომელიც გულისხმობს შემთხვევებს, როცა სიტყვის მნიშვნელობა **გადაჭარბებით გავრცობილია** – ანუ იგი უფრო მეტად ერთი და იგივე კატეგორიის სხვადასხვა ობიექტს ეხება, ვიდრე მასთან თემატურად დაკავშირებულ ნაწილებს.

და ბოლო, **ლექსიკური კონტრასტის პრინციპი** ან **ორმხრივი ექსკლუზიურობის ვარაუდი**, რომელიც ამტკიცებს, რომ ბავშვები თითოეულ ობიექტს მხოლოდ ერთ სახელს არქმევენ. ჩვენ ამ პრინციპებს თამაშებში ვნახავთ, როცა სიტყვათა მარაგის შეცნობის პროცესს დავაკვირდებით.

10.2 სიტყვანარმოება

მას შემდეგ, რაც ბავშვები იწყებენ მოსმენილი სიტყვების აღქმას, როგორ აქცევენ ამ სიტყვებს – ბგერებისა და მნიშვნელობის შესაბამისობას – თავიანთი გონებრივი ლექსიკონის ნაწილად? რა გზას მიმართავენ სიტყვის წარმოებისთვის?

როცა ბავშვი სწავლობს სიტყვას, უნდა გაიაზროს იმაზე მეტი, ვიდრე სიტყვის მნიშვნელობაა. მან ასევე უნდა მიიღოს ამ სიტყვასთან დაკავშირებული სტრუქტურული ინფორმაცია. ერთ-ერთი პასუხი კითხვაზე, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები სიტყვებს, არის ის, რომ ისინი ინტუიციის მეშვეობით ერთმანეთს უკავშირებენ სემანტიკურ შინაარსსა და სინტაქსურ კატეგორიას. (თუმცა როგორც მე-7 თავში იყო აღნიშნული, ეს ასოციაცია ყოველთვის ვერ მყარდება). ინტიუციური მიხვედრისათვის საჭიროა მაკავშირებელი წესების ჩამოყალიბება, რომელიც დააკავშირებს სემანტიკურ და სინტაქსურ კატეგორიებს. ამ წესების ჩამოყალიბებით, თუ სემანტიკური ნაწილი არის ადამიანი ან საგანი (მაგალითად, ოფელია), შეგვიძლია მივხვდეთ, რომ იგი გამოხატული იქნება არსებითი სახელით. თუ სემანტიკური ნაწილი გულისხმობს მოვლენას და არა ადამიანს ან საგანს, მაშინ მივხვდებით, რომ იგი გამოხატული იქნება ზმნით. თუ შინაარსი გულისხმობს შეთავაზებას, იგი გადმოცემული იქნება წინადადებით. გაითვალისწინეთ, რომ შინაარსის სწორად გამოცნობისთვის საჭიროა სამი სახის ცოდნა: პირველი, ესაა ენაში ასახული მენტალური ობიექტების შესახებ ცოდნა (სემანტიკური ცოდნა); მეორე, ესაა ისეთი კატეგორების ცოდნა, როგორცაა არსებითი სახელი, ზმნა და წინადადება (სინტაქსური ცოდნა); და მესამე, რომ არსებობს კავშირი ამ ორ კატეგორიას შორის. ყოველივე ეს არის ზრდასრულის ლინგვისტური ცოდნის ნაწილი. ჩვენ მიერ თეორიულად განხილული ასეთი ცოდნა წარმოდგენილია უნივერსალური გრამატიკის მიერ. (UG).

ყურადღება მიაქციეთ, რომ გამოცნობის ზემოთ აღწერილი ფორმულა მოქმედებს ორი მიმართულებით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბავშვს შეუძლია სიტყვის სემანტიკის მიხედვით სინტაქსური სტრუქტურა დაადგინოს (**სემანტიკური სიტყვანარმოება**) და პირიქით, სინტაქსის მიხედვით სიტყვის შინაარსს მიხვდეს (**სინტაქსური სიტყვანარმოება**). გამოცნობის ამ პროცედურამ შეიძლება გარემომცველი სტრუქტურა მოიცვას, ანუ გარემომცველი სემანტიკური სტრუქტურა შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვის მნიშვნელობის და სინტაქსური კატეგორიის გამოსაცნობად და ასევე სინტაქსური ჩარჩო, რომელშიც სიტყვა გვხვდება, საშუალებას გვაძლევს მივხვდეთ სიტყვის სემანტიკურ კატეგორიას და სემანტიკას. ვინაიდან ბავშვები ენას კონტექსტურად აღიქვამენ, ისინი სისტემატურად იყენებენ კიდევ არალინგვისტურ კონტექსტს და თავიანთ კონცეპტუალურ და სემანტიკურ ცოდნას სიტყვის მნიშვნელობის და სინტაქსური კატეგორიის მისახვედრად. (უცხო ენის შემსწავლელნი იყენებენამავე ტიპის ინფორმაციას და ცოდნას სიტყვის მნიშვნელობისა და სინტაქსური კატეგორიის სემანტიკურ კონტექსტში გამოსაცნობად). თუმცა დამაკავშირებელი პროცესი შესაძლოა მოქმედებდეს სხვა მიმართულებითაც. როგორც ვიცით, ბავშვები იყენებენ სინტაქსს (და კონტექსტს) სიტყვის მნიშვნელობის გამოსაცნობად. დაიმახსოვრეთ, რომ თითოეული ზმნა ასოცირდება გარკვეულ ინფორმაციასთან და სინტაქსურ სტრუქტურასთან. პატარებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ბავშვები სინტაქსურ ჩარჩოებს იყენებენ, რათა უაზრო ზმნებს მნიშვნელობა მიანიჭონ.

გლექტიმანმა და მისმა კოლეგებმა აჩვენეს, რომ უამრავი ზმნის მნიშვნელობის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ კონტექსტზე და სემანტიკურ მნიშვნელობაზე დაკვირვებით; *see* და *look at*-ის მსგავსი ზმნები ამის ნათელი მაგალითია. ბრმა ბავშვები ასეთი ზმნების ცოდნას ავლენენ ვიზუალური შემეცნების (ხელით შეგრძნება) ჩანაცვლებით. ამგვარად, ბრმა ბავშვი ამ ორ ზმნას ასე განასხვავებს – *look at* იქნება ხელით მოძიება, ხოლო *see* შეესაბამება შეხებას. ბრმა ბავშვის შემთხვევაში ვიზუალური დაკვირვებით სიტყვების მნიშვნელობათა განსხვავების დადგენა შეუძლებელია, ამიტომაც სინტაქსის გამოყენება ხდება აუცილებელი ასეთი ზმნების მნიშვნელობის შესასწავლად.

სხვა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ მხედველობის მქონე ბავშვები ზმნის მნიშვნელობას სინტაქსურ კონტექსტში აღიქვამენ, გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობას ანიჭებენ უაზრო ზმნებსაც კი, თუკი მათი გამოყენება უნდათ გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობით, როგორც ეს (1ა) -შია ნაჩვენები:

(1) ა. Big Bird and Cookie Monster are gorping.

ან ანიჭებენ გარდამავალი ზმნის მნიშვნელობას თუკი ამა თუ იმ ზმნის გარდამავალ კონტექსტში გამოყენება უნდათ:

(1) ბ. Big Bird is gorping Cookie Monster.

ჩვეულებრივ, ბავშვები სიტყვის შესწავლისას იყენებენ სემანტიკური და სინტაქსური ცოდნის კომბინაციას. შეგვიძლია ეს ვნახოთ ადრეულ ასაკში ბავშვების მიერ სიტყვის აღქმასა და მათი ლექსიკის ქვეჯგუფებზე მუშაობისას. მაგალითად, ბავშვები საგრძნობლად მცირე ასაკში, 2 წელზე ადრე, განასხვავებენ საზოგადო და საკუთარ სახელებს. ეს განსხვავება ბევრ ენაში სინტაქსურადაა გამოხატული. სხვა განსხვავებებს შორის საზოგადო სახელები, როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული, შეიძლება შეგვხვდეს ისეთ წინადადებებში, როგორიცაა (2ა) -(4ა), მაგრამ საკუთარი სახელები იმ კონტექსტში არ გამოიყენება, (2ბ) -(4ბ) –ში რომ ჩანს:

(2)	ა. the sonnet	ბ. *the Shakespeare
	ა. a fine sonnet	ბ. *a fine Shakespeare
	ა. a terrible injustice	ბ. *a terrible Shakespeare.

(აღსანიშნავია, რომ ბ წინადადებებში იგულისხმება კონკრეტული ინდივიდი და არა მისი შემოქმედება)

კატსმა, ბეიკერმა და მაკნამარამ (1974) გამოიკვლიეს თუ შეძლებდნენ 2 წელზე პატარა ბავშვები განესხვავებინათ თოჯინა და კუბიკი იმის მიხედვით, როგორ მიანოდებდნენ ექსპერიმენტატორები ობიექტებს: აქ მნიშვნელოვანია არტიკლის გამოყენება, მაგალითად *a zav*, საზოგადო სახელისთვის და *Zav* საკუთარი სახელისთვის.

აღმოაჩინეს, რომ 17 თვის ბავშვები ხვდებოდნენ ამ საგნის კლასებს შორის განსხვავებას. ამ ასაკის ბავშვები მგრძნობიარენი არიან არტიკლის ყოფნა-არყოფნის მიმართ, ვინაიდან ეს სინტაქსური ნიშანი მიუთითებს საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის განსხვავებაზე. ამის შესახებ საუბარი იყო მე-6 თავშიც.

ბავშვები ასე უნივერსალურად აღიქვამენ კავშირს კონკრეტული ტიპის სიტყვებსა და მათ მნიშვნელობებს შორის. ამის დამადასტურებელი ფაქტები ქვემოთ იქნება მოცემული. თუ დავაკვირდებით ლექსიკურ განვითარებას სინტაქსისგან განცალკევებით, დაინახავთ, რომ ბავშვები ხვდებიან რა სახის სიტყვა უნდა გამოიყენონ

ამა თუ იმ საგნის აღსანიშნად. მაგალითად, ბრმა ბავშვები, მხედველობის მქონეთა მსგავსად, ხვდებიან, რომ ფერი მხოლოდ ფიზიკური ობიექტების მახასიათებელია. მართალია, ბრმა ბავშვები ვერ ხედავენ ფერებს, მაგრამ ისინი სწორად იყენებენ ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს მხოლოდ ფიზიკური ობიექტების აღსაწერად. კატსმა აღმოაჩინა, რომ მცირე ასაკის ბავშვები ხვდებიან, რომ კონკრეტულ საგნებს, როგორცაა, მაგალითად, კუბიკი, საკუთარი სახელები არ ექნებათ.

საგრძნობი განსხვავება არსებობს ლექსიკონის შექმნის დაწყებასთან დაკავშირებით, მაგრამ, ჩვეულებრივ, ბავშვები პირველი სიტყვების წარმოთქმას პირველი წლის ბოლოს იწყებენ. საშუალო ასაკი 10 სიტყვის წარმოსათქმელად არის 15 თვე და ვიდრე სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებას დაიწყებენ, მათ, საშუალოდ, 50 სიტყვისგან შემდგარი მარაგი აქვთ. სკოლის ასაკისთვის კი დაახლოებით 10 000- 14 000 სიტყვა იციან.

ადრეული ლექსიკონის შემთხვევაში სხვაგვარადაა საქმე. ზოგი ბავშვისთვის მისალმება (*hi, bye-bye, night-night*), შორისდებული (*please, thank you*) და **დექტიკები** (*this, that, here*) ქმნიან მათ ლექსიკონს. თუმცა, კროს-ლინგვისტური თვალსაზრისით, მიუხედავად შესასწავლი ენის შემადგენლობისა, იმ დროისათვის, როცა ბავშვებს 30-50 სიტყვიანი მარაგი აქვთ, უმეტესობა წარმოადგენს არსებით სახელს – საკუთარსა თუ საზოგადოს.

ჩანართი 10. 2.

დამატებითი ცნობები საკუთარ და საზოგადო არსებით სახელებზე

კატის აღმოჩენებში კიდევ ორი რამ იყო საინტერესო. პირველი ის, რომ ბავშვებმა არა მხოლოდ იცოდნენ, რომ კუბიკების მსგავს საგნებს, ჩვეულებრივ, საკუთარი სახელები არ აქვს, არამედ ხვდებოდნენ, რომ შეუძლებელია მათი გასულიერება იმ დონეზე, რომ საკუთარი სახელი მიენიჭოთ. ამიტომაც ისინი ყოველთვის თავს არიდებდნენ მათთვის სახელის დარქმევას და მათ ეპყრობოდნენ, როგორც საზოგადო სახელებს, მიუხედავად იმისა, რა სახის საექსპერიმენტო მანიპულაციებს მიმართავდა მეცნიერი. მეორე საინტერესო ფაქტი ისაა, რომ გოგონები უფრო მეტად განვითარებულნი იყვნენ, ვიდრე ბიჭები. ბიჭები უფრო გვიანდელ ასაკში აქცევდნენ ყურადღებას იმას, რომ საკუთარი და საზოგადო სახელები სხვადასხვა სინტაქსურ კონტექსტში გამოიყენება. სქესთა შორის განსხვავება ენის განვითარებაში ხშირად აღინიშნებოდა ხოლმე, მაგრამ, როგორც ამ კვლევამ აჩვენა, განსხვავება გვაქვს გრამატიკული მომნიშვნის ხარისხში და არა ალქმის საკითხში.

10.3 მცირე და გადაჭარბებული გავრცობა

დაუბრუნდეთ მიმართების პრინციპს, რომელიც გულისხმობს სიტყვების მიმართებას. ეს პრინციპი სიტყვის გამოყენების ადრეულ პერიოდში მის **მცირე გავრცობის** საშუალებას იძლევა – სიტყვის ძალიან ვიწრო, სიტუაციურ აღსანიშნე გადატანა. მაგალითად, სიტყვა *shoe* შეიძლება გამოყენებული იყოს ფეხსაცმლის კონკრეტული წყვილის აღსანიშნად, ან სიტყვა *dog* შეიძლება მხოლოდ შინაურ ძაღლს გულისხმობდეს. ნათელია, რომ ბავშვს გარემოდან მიღებული ინფორმაცია გადააქვს სიტყვებში, ლექსიკური განვითარების ამ ეტაპზე მიმართების პრინციპი არ არის ისე

კარგად განვითარებული ბავშვში, რომ მან ჯგუფის ერთი წარმომადგენლის ნაცვლად სახელები მთელ კლასს დაარქვას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის ბავშვში უკვე მოქმედებს მთლიანი ობიექტის პრინციპი. ძალიან ბევრი მოხსენება არსებობს ლიტერატურაში სიტყვის მცირე გავრცობასთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სიტყვა საგნის მხოლოდ რომელიმე ნაწილის აღსანიშნავად გამოეყენებინოთ.

მცირე გავრცობის ადრეული პერიოდის შემდეგ, სიტყვის აღქმის ჯერ კიდევ სანყის ეტაპზე, ბავშვები ხშირად გადაჭარბებით ავრცობენ სიტყვის მნიშვნელობას; ანუ, ისინი სიტყვებს იმაზე დიდი კლასის აღსანიშნად გამოიყენებენ, ვიდრე თავად ეს სიტყვა გამოხატავს შესასწავლ ენაში. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება გამოიყენოს სიტყვა *apple* არა მხოლოდ ვაშლის არამედ სხვა მრგვალი საგნების აღსანიშნად. **გადაჭარბებით გავრცობა** შეიძლება ეფუძნებოდეს ბუნებრივ სახეობებს (მაგ., *kitten* ყველა სახის ოთხფეხა ცხოველისთვის, *Daddy* ყველა მამაკაცის აღსანიშნად), ფორმას (მაგ., *cookie* მთვარის აღსანიშნად, ასევე ლილისა და სხვა მრგვალი ნივთებისთვის), ფერს (მაგ., *fly* ჭუჭყის ლაქის აღსანიშნად), ფუნქციას (მაგ., *balloon* ქოლგის აღსანიშნად, *open* გათლის, ყუთის გახსნის, თასების შეხსნის ნაცვლად), მასალას (მაგ., *scissors* მეტალისგან დამზადებული ყველა საგნისთვის) და ბგერებს (მაგ., ერთი და იგივე სიტყვა გამოიყენება მამლის ყივილის, პიანინოს მუსიკის, ვიოლინოსა და აკორდეონის ჟღერადობის გადმოსაცემად). პარამეტრთა დიდი რაოდენობა, რომელთა მიხედვითაც ბავშვები გადაჭარბებით ავრცობენ სიტყვის მნიშვნელობას, მიუთითებს ბავშვების მიერ აღსანიშნა ცოდნაზე. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ გადაჭარბებით და მცირე გავრცობასთან მოქმედებს მთლიანი ობიექტის პრინციპი. 10.1 ცხრილში მოცემულია გადაჭარბებული გავრცობის უფრო მეტი მაგალითი. ამავე ცხრილში გამოვლენილია კატეგორიებად დაყოფის პრინციპი, რომელიც მიუთითებს, რომ გადაჭარბებული გავრცობა ეხება ერთი და იგივე კატეგორიის წევრებს და არა თემატურად დაკავშირებულ სიტყვებს.

ეს პრინციპები არ პასუხობენ კითხვას, რატომ ავრცობენ სიტყვის მნიშვნელობას ბავშვები. არა ერთი განმარტებაა გაკეთებული მნიშვნელობის სემანტიკურად გადაჭარბებით გავრცობასთან დაკავშირებით. ყველაზე ფართოდ გავრცელებული შეხედულებაა, რომ ბავშვების ლექსიკა მეტისმეტად შეზღუდულია და მათ უბრალოდ არ იციან სიტყვები, რომლებიც კონკრეტულ მომენტში სჭირდებათ. ლექსიკური გამოხატულებების ერთ-ერთი თეორია, **სემანტიკური თვისების თეორია**, ამ შეხედულებას ეთანხმება. ამ თეორიის თანახმად, სიტყვის მნიშვნელობა მახასიათებლებისგან შედგება და როცა ბავშვები მეტ სიტყვებს სწავლობენ, ინდივიდუალური განსაზღვრებები უმჯობესდება და იძენს მეტ მახასიათებელს. ამგვარად, ორ საგანს, რომელიც ერთ შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვით შეიძლება გამოიხატოს, სხვა შემთხვევაში ორი განსხვავებული სიტყვა სჭირდება. ასე მაგალითად, როცა ბავშვი ამბობს *bow wow* მრავალი ოთხფეხა ცხოველის და არა მარტო ძაღლის აღსანიშნად, სემანტიკური გამოხატულება დაახლოებით ასეთი იქნება:

- (5) *bow wow*
 +animal
 +four legs.

ცხრილი 10.1 სემანტიკურად გადაჭარბებითი გავრცობების ორგანიზება გარკვეული განზომილებების სახით.

ლექსიკური ერთეული	პირველი მნიშვნელობა	გავრცობა	საერთო სემანტიკური მახასიათებელი
bow wow	dog	dogs, cows, horses, sheep, cat	ფორმა ოთხფეხა
cookie	cookie	doorknob, moon	ფორმა
fly	fly	specks of dirt, dust, all small insects, child's own toes, crumbs of bread	ზომა
bebe	baby	other babies, all small animals, figures in small pictures	ზომა
chemin de fer ('railway')	sound of trains	steaming coffee pot, anything that hissed or made a noise	ბგერა
dany	sound of bell	clock, telephone, doorbells	ბგერა
chocolate	chocolate	sugar, tarts, grapes, figs, peaches	
გემო			
bird	sparrows	any animal moving	
მოძრაობა			
ach	sound of train	all moving machines	მოძრაობა
wauwau	dog	all animals, toy dog, soft slippers, picture of men dressed in furs	ტექსტურა
kiki	cat	cotton, any soft material	ტექსტურა
ouvrir ('open')	opening of door	piece of fruit peel	მოქმედება

ბავშვის ლექსიკონი რაც უფრო ვითარდება, ამ ერთეულსაც უფრო მეტი მახასიათებელი ემატება, რომლებიც გამოარჩევენ ამას ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსიკონის სხვა ერთეულებისგან, როგორც ეს (5') -სა და (5'') -შია ნაჩვენები:

(5')	<i>bow wow</i>	vs.	<i>kitty</i>	
	+animal		+animal	
	+four legs		+four legs	
	+barks		+meows	
	+lives in people's homes		+lives in people's homes	
(5'')	<i>bow wow</i>	vs.	<i>kitty</i>	vs.
	+animal		+animal	
	+four legs		+four legs	
	+barks		+meows	
	+lives in people's homes		+lives in people's homes	
				vs.
				<i>cow</i>
				+animal
				+four legs
				+moos
				+lives on a farm

განსხვავებული განმარტების თანახმად, ბავშვების მიერ გადაჭარბებული

გავრცობა შეიძლება ჩამოუყალიბებელ ლექსიკონში სიტყვების გასწორების მცდელობის შედეგი იყოს და არა სიტყვების არცოდნისა. ეს მოსაზრება რამდენიმე ექსპერიმენტითაა გამყარებული მომდევნო ქვეთავში.

10.4 ალქმასა და წარმოთქმას შორის არსებული დაშორება

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ბავშვი იყენებს მნიშვნელობის გადაჭარბებით გავრცობას, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა მხოლოდ წარმოთქმაშია და არა ალქმასში. ჰირშ-პასექისა და გოლინკოვის (1996) ექსპერიმენტულმა კვლევამ ცხადყო, რომ 12-14 თვის ბავშვებს, რომლებიც სიტყვებს ვერ წარმოთქვამენ, ესმით მრავალი სიტყვის მნიშვნელობა მანამ, სანამ ისინი მეტყველებას დაიწყებენ. ძალიან ძნელია იმის დადგენა, თუ როდის ხდება პირველი სიტყვის გააზრება. მკვლევრებმა, რომლებიც იყენებენ ტვინის გამოსახულებებზე დაკვირვების ტექნიკას, აღმოაჩინეს, რომ ახალშობილის ტვინი განსხვავებულად რეაგირებს ნაცნობ და უცნობ სიტყვებზე მაშინაც კი, როცა ეს ცოდნა პასიურია. ამრიგად, მრავალგვარი წყარო ადასტურებს, რომ ბავშვები ფლობენ სიტყვის შესახებ ცოდნას მანამ, სანამ ლაპარაკს დაიწყებენ. ბავშვი ადრე იწყებს მეტყველებას თუ გვიან, ეს არ მოქმედებს ალქმული სიტყვების რაოდენობაზე. შეცნობის საწყის ეტაპზე ალქმა წარმოთქმას ისე შეეფარდება, როგორც 100/1.

ალქმისა და წარმოთქმის შეპირისპირება

ბავშვები ხანგრძლივი დროის მანძილზე ამჟღავნებენ ლექსიკონის გაგებასა და წარმოთქმას შორის არსებულ დაშორებას. ისევე, როგორც პატარა ბავშვები, მოზრდილები და ზრდასრულები ავლენენ ამ ხარვეზს, როცა ისინი მეორე ან მესამე ენას სწავლობენ. ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს ორი პროცესის განსხვავებაზე. გაგება მოითხოვს გაგებული სიტყვის ფონოლოგიური და სემანტიკური შინაარსის შეთავსებას გონებაში არსებულ ლექსიკონთან. ეს პროცესი ხანდახან გულისხმობს *გამოცნობას*, ხოლო წარმოთქმა მოიცავს დამატებით პროცესს, რომელსაც ფსიქოლოგები ხშირად უწოდებენ *ძიების* პროცესს. იგი მოიცავს სიტყვის ძიების, მისი სემანტიკური და ფონოლოგიური გამოსატყულების დადგენისა და ბოლოს მისი წარმოთქმის პროცედურების კომბინაციას. ბავშვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ალქმისა და წარმოთქმისგან მოთხოვნილი გონებრივი გამოთვლები გვეხმარება ალქმა-წარმოთქმას შორის არსებული დაშორების ახსნაში. გამოჩნდა, რომ ის, რაც გადაჭარბებული გავრცობაა, შესაძლოა ნაწილობრივ იყოს გაუთვითცნობიერებული ძიების მექანიზმი – მენტალური პროცედურა, რათა ლექსიკონიდან შეირჩეს სიტყვა წარმოსათქმელად. გამოვლინდა, რომ როგორც კი ძიების მექანიზმი ვითარდება, მნიშვნელობის გადაჭარბებული გავრცობა ქრება. ამგვარი კვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ ბავშვებს ესმით სიტყვები.

10.5 ლექსიკონის ‘აწვთქება’

წარმოსათქმელი ორმოცდაათსიტყვიანი ლექსიკონის ჩამოყალიბების შემდეგ, როგორც წესი, ხდება სწრაფი და მოულოდნელი ზრდა ლექსიკონის მარაგისა. აფეთქების დაწყების განსაზღვრის კრიტერიუმია ათი ან მეტი ახალი სიტყვა 2.5

კვირაში. სიტყვათა უმეტესობა არსებითი სახელია. ამიტომაც ლექსიკონის სწრაფი ზრდა ხშირად მოიხსენიება, როგორც **სახელებით აფეთქება**.

ლექსიკონის აფეთქება არ უკავშირდება ფონეტიკურ ზრდას ან წარმოთქმის შესაძლებლობებს. ენობრივ განვითარებაში სიტყვათა წარმოთქმის კარგი და სუსტი უნარის მქონე ბავშვები თანაბარ ტენდენციებს ამჟღავნებენ. თუმცა არსებობს შობის რიგითობის ეფექტი, რომლის მიხედვითაც პირველი შვილები ოჯახში უფრო მეტად ავლენენ ლექსიკური მარაგის ზრდას, ვიდრე იმავე ოჯახის შემდგომი ბავშვები.

1994 წელს ჩატარებულმა დაპრეტოს ექსპერიმენტმაც აჩვენა, რომ ლექსიკონის აფეთქება სავარაუდოდ დაკავშირებულია ძიების შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან. ორ ექსპერიმენტში, რომელიც მიეძღვნა ლექსიკონის აფეთქებისა და ძიების უნარის კავშირს, ოცდაათი 14-24 თვის ბავშვი მონაწილეობდა. შეგვიძლია, ისინი სამ ჯგუფად დავყოთ: აფეთქებამდე, აფეთქების პერიოდში, აფეთქების შემდეგ. ერთმანეთთან შედარებული იყო ობიექტის დასახელების მიხედვით მოძებნის უნარი (აღქმა) და დასახელების წარმოთქმის უნარი (საჭიროებს სიტყვის ძიებას). საგნები, რომელთა დასახელებებიც კარგად იცოდნენ ბავშვებმა, განათავსეს ბავშვების წინ ყუთებში. ფაქტობრივად, ყველა ბავშვმა შეძლო დანახვისას მათი დასახელება.

შეკითხვაზე სადაა . . . ? ყველა ჯგუფის ბავშვმა წარმატებით უპასუხა (აღქმა), მაგრამ კითხვაზე რა არის ყუთში?, აფეთქებამდელმა ბავშვებმა ვერ უპასუხეს. ყუთებზე მიმანიშნებელი ნახატი ეხმარებოდათ დასახელების მოძებნაში, განსაკუთრებით აფეთქებამდელ ბავშვებს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ბავშვების ძიების პროცესი არც ისე მდგრადია, როგორც დანარჩენებისა. აქედან გამომდინარეობს, რომ ძიების უნარის ზრდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლექსიკონის აფეთქებაში. კიდევ ერთხელ ვხედავთ, რომ ბავშვებმა იმაზე მეტი იციან, ვიდრე ამბობენ.

10.6 სწრაფი ღასწავლა

სასკოლო ასაკში ბავშვები ფლობენ დაახლოებით 10 000 სიტყვისაგან შემდგარ წარმოსათქმელ ლექსიკონს და 15 000 სიტყვიან აღქმად ლექსიკონს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვები სწავლობენ 9-12 სიტყვას დღეში – გასაოცარი მიღწევაა. თუკი შეეცდებით ამ მაჩვენებლის გაორმაგებას, წარმატების შანსი ძალიან დაბალი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ასაკით უფრო დიდი ხართ, უფრო განვითარებული, კოგნიტიურად უფრო კომპეტენტური და სწავლის მრავალწლიანი გამოცდილება გაქვთ. რაში მდგომარეობს უმთავრესი განსხვავება ბავშვებსა და დანარჩენ ადამიანებს შორის? განსხვავება, როგორც ჩანს ისაა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს აქვთ შესანიშნავი უნარი მნიშვნელობა დაადონ ისეთ ფონეტიკურ მიმდევრობას, რომელიც მათ ლექსიკონში არ არსებობდა. გაითვალისწინეთ, რომ ორმხრივი ექსკლუზიურობის პრინციპი სწორედ აქ მოქმედებს. ბავშვები ასკვნიან, რომ თუკი მათ ესმით ახალი სიტყვა, იგი არ აღნიშნავს რომელიმე იმ საგანს, რომლის ერთი დასახელება უკვე იციან. გამოვლინდა, რომ სკოლამდელ ბავშვებს სიტყვის მხოლოდ ერთხელ მოსმენა სჭირდებათ, რომ იგი მათ ლექსიკონში მოხედეს. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის დამახსოვრებისთვის ბავშვები ძირითადად იყენებენ გარემოსა და ლინგვისტურ მინიშნებებს, შესწავლის პროცესი მაინც ხორციელდება განსაკუთრებული მითითებების გარეშე. ამრიგად, ბავშვებმა თავდაპირველად უნდა გაითვალისწინონ სიტყვის სწავლისას მისი ნათელი მტკიცებულებები, როგორც ამას სინტაქსის შესწავლისას აკეთებენ. აღსანიშნავია,

რომ სიტყვის სწავლის სისწრაფესა და სიზუსტეზე დაყრდნობა არ არის საკმარისი. ბავშვი უნდა მივიდეს სწავლის განსაკუთრებულ მექანიზმამდე.

მექანიზმს, რომლითაც ბავშვები ასე სწრაფად ითვისებენ სიტყვებს, ჰქვია **სწრაფი დასწავლა**. ბავშვის ლექსიკონში ახალი სიტყვის სწრაფი დასწავლა არ გულისხმობს, რომ თავიდანვე ისეთ მნიშვნელობას იმასხოვრებს, რაც უფროსების ლექსიკაშია. ბავშვის ლექსიკონში სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება. დაწყებითი კლასების ბოლომდე უამრავი სიტყვაა, რომელთა მნიშვნელობა განსხვავებულია უფროსებისთვის ნაცნობის მნიშვნელობისაგან. მიუხედავად ამისა, სწრაფი **mapping-ი** ეხმარება ბავშვს ყოველდღიურად ამდენი ახალი სიტყვის სწრაფად დამახსოვრებაში.

ექსპერიმენტი სიტყვის შესწავლაზე

ჩანართი
10.4

ბარტლეტის მიერ სიტყვის შესწავლაზე ჩატარებულ ექსპერიმენტში (1977), მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ ბავშვები სიტყვას *green* იყენებენ *olive* სიტყვის საპირისპიროდ, 3-4 წლის ბავშვებს წინ დაუდეს ზეთისხილისფერი ნივთები და მასწავლებელმა მათ სთხოვა, რომ მიეწოდებინათ ერთ-ერთი მათგანი. *olive*-ს უწოდეს *chromium* (მაგალითად, *Bring me the chromium tray; not the red one but the chromium one*). პირველივე ცდაზე ბავშვებმა *chromium* და *olive* გააიგივეს და არა მხოლოდ სწორად აღიქვეს სიტყვა, არამედ მისი წარმოთქმაც შეძლეს. 6 კვირის შემდეგ ჩატარებული ტესტისას აღმოჩნდა, რომ ბავშვების უმრავლესობას ახსოვდა, რომ მწვანე-ზეთისხილისგან წარმოიქმნა სხვა სახელწოდება, რომელიც არც მწვანე იყო, არც ყავისფერი. ზოგიერთმა ზეთისხილს *chromium*-ისგან განსხვავებული სახელი მოუძებნა. მაგრამ, მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ბავშვებმა ზეთისხილს უწოდეს არა *green*, არამედ რაღაც სხვა.

ლექსიკური გამოხატულებების ჩამოყალიბების გაგრძელება სკოლის წლებში.

ჩანართი
10.5

კეილმა და ბატერმანმა (1984) შეისწავლეს ბავშვებში სიტყვის მნიშვნელობის ცვლა და აღმოაჩინეს, რომ მოსალოდნელ, დამახასიათებელ თვისებებზე და გამოცდილებაზე დაფუძნებული განმარტებები ნელ-ნელა ჩანაცვლა მნიშვნელობებმა, რომლებიც უფროსის მეტყველებაში სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობას ქმნის. მათ ბავშვებს გააცნეს მოკლე, აღწერითი მოთხრობები და ჰკითხეს, აღწერა რამდენად შეესაბამებოდა საგანს. მაგალითად, *uncle* სიტყვის მნიშვნელობის ძიებისას სხვადასხვა ასაკის ბავშვს წაუკითხეს შემდეგი მოთხრობა: *Suppose your Mommy has all sorts of brothers, some very old and some very, very young. One of your Mommy's brothers is so young he's only 2 years-old.* კეილმა და ბატერმანმა შემდეგ ასეთი კითხვა დასვეს: *Could he be an uncle?* საბავშვო ბალის ასაკის პატარებმა ასეთი პასუხი გასცეს:

- E (ექსპერიმენტატორი): შეიძლება თუ არა ის ბიძა იყოს?
- C (ბავშვი): არა... ვინაიდან ის მხოლოდ 2 წლისაა.
- E: რამდენი წლის უნდა იყოს ბიძა?

C: დაახლოებით 24-25.

E: თუკი ის მხოლოდ 2 წლისაა, მაშინ ის ვერ იქნება ბიძა?

C: ვერა. . . ის შეიძლება ბიძაშვილი იყოს.

პასუხი მეოთხეკლასელებისგან:

E: არის თუ არა ის ბიძა?

C: დიახ. . . რადგან ის დედას ძმაა.

E: შეიძლება თუ არა ბიძა ნებისმიერი ასაკის იყოს?

C: დიახ.

ამგვარად, კეილმა და ბატერმანმა აღმოაჩინეს, რომ თვისობრივი განმარტება იცვლება დაწყებითი კლასების წლებში.

10.7 სემანტიკური კონტრასტი

ბავშვები ბგერითი სისტემისა და მორფოლოგიის შეცნობისას კონტრასტს ეძებენ (11, 12, 13 თავები). ამ თვისების მნიშვნელობას ფონოლოგიაში ჩვენ 15 თავში განვიხილავთ. ორმხრივი ექსკლუზიურობის პრინციპი აჩვენებს, რომ კონტრასტს დიდი მნიშვნელობა აქვს ლექსიკონის განვითარებაში. ბავშვები ამჩნევენ, რომ სიტყვები მნიშვნელობით უპირისპირდება ერთმანეთს. თუკი ბავშვმა გაითავისა სიტყვის მნიშვნელობა ამა თუ იმ ჯგუფთან, ან საგანთან მიმართებაში, ისინი ხვდებიან, რომ სხვა განსხვავებულ სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. უფრო მეტიც, ახალი სიტყვის ინტერპრეტაციისას გამოყენებული ცნებების მთელი იერარქია აქვთ, სადაც დასახელებები საგანთა კლასებში ერთიანდება. მაგალითად, იერარქიაში უფრო მაღლა დგას ნივთების დასახელებები, ვიდრე საგნების შემადგენელი მასალები.

უამრავმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები ნამდვილად აკეთებენ ასეთ დასკვნებს და ნამდვილად იყენებენ იერარქიას ახალი სიტყვების სწავლისას. მაგალითად, ელენ მარკმანმა (1994) შეისწავლა, როგორ განსაზღვრავენ ბავშვები სიტყვის მნიშვნელობას. მან სკოლამდელი ასაკის ბავშვების სხვადასხვა ჯგუფს სიტყვა *biff* გააცნო. როდესაც ერთ ჯგუფს აჩვენა *pewter tongs* წყვილი და მას *biff* უწოდა, ბავშვებმა აღიქვეს, რომ *biff* იგივეა, რაც *tongs*. მათ *biff* შეუსაბამეს ზოგადად მარწუხების კლასს. როცა ბავშვებს სთხოვეს 'მეტი *biff*' მოეტანათ, მათ შეარჩიეს პლასტიკური მარწუხის წყვილი უამრავი პლასტიკური ნივთიდან და ასევე არაპლასტიკური მარწუხებიც. ამის საპირისპიროდ, როდესაც ბავშვებს აჩვენეს პლასტიკური ჭიქა და უწოდეს *biff*, ბავშვებმა ჩათვალეს, რომ *biff* პლასტიკურს ნიშნავდა. მათ უკვე იცოდნენ *cup* სიტყვის მნიშვნელობა და ამიტომაც *biff* სიტყვა *cup*-ისგან განსხვავებულ სიტყვას შეუსაბამეს. ამჯერად *biff*-ების მოტანის თხოვნის შედეგად მათ შეარჩიეს ყველა სახის პლასტიკური ნივთი.

სიტყვები რომ მნიშვნელობის მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს, მნიშვნელოვანი დასკვნაა. იგი შეესაბამება ნებისმიერი ენის სიტყვათა უმრავლესობას და შესაბამისად, მთლიანად ენას. ცნებებისა და ენაში გამოყენებული მნიშვნელობების შესაბამისობის საშუალებით დასკვნა, რომ სხვადასხვა სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, დიდ დახმარებას უწევს ბავშვებს ათასობით ახალი სიტყვის მოკლე დროში შესწავლისას. ეტაპობრივად მდიდარი ლექსიკონის შესაძენად ორმხრივი ექსკლუზიურობის პრინციპი აზრს კარგავს, ვინაიდან იგი კრძალავს

სინონიმთა წყვილებს. თუმცა იგივე პრინციპი ეხმარება ბავშვს დაასკვნას, რომ მის ენაზე მოსაუბრე საზოგადოება იყენებს ერთ სიტყვას ერთი საგნის აღსანიშნად. ეს მიდგომა მიიყვანს ბავშვს თავიანთი იდიოკრატიული, განუვითარებელი სიტყვის ფორმების ნაცვლად აითვისოს საზოგადოებაში დამკვიდრებული ფორმები.

10.8 მოდულირების ხელახლა განხილვა: სივრცითი გამოთქმების განვითარება

მე-8 თავში გამოვიყენეთ კროს-ლინგვისტური ფაქტები სივრცით პრეპოზიციასთან დაკავშირებით, რათა დაგვედგინა კავშირი სივრცით ცნებასა და მის ლინგვისტურ გამოხატულებას შორის. მაშინ ორი კითხვა გვექონდა. პირველი მათგანი იყო, ვიპოვიდით თუ არა კროს-ლინგვისტურ მუდმივობას სივრცით ცნებებსა და მათი დასახელებების უშუალო პრეპოზიციას შორის. მაშინ იმ დასკვნამდე მივედით, რომ კროს-ლინგვისტური განლაგების საერთო წესი არ არსებობს და რომ ყველაზე ძირეული სივრცითი დამოკიდებულებაჲ კი სხვადასხვა ენის გამოთქმებში სხვადასხვანაირად ირღვევა. ეს ამტკიცებს არალინგვისტური სივრცითი ცოდნის გამოიჯენას ენაში მისი გამოხატვისაგან. თუმცა, მოზრდილთა ენაში ეს მტკიცებულება შეზღუდულია. ჩვენ მიერ დასმული მეორე შეკითხვაა: ადამიანებში სივრცითი შემეცნების ერთსახოვნების დამტკიცების შემთხვევაში, ერთგვარი იქნება თუ არა (ა) სივრცითი კონცეპტებისა და (ბ) მათი ლინგვისტური რეალიზაციის გამოხატვის დრო. თუკი ვიპოვიდით დასაბუთებას პირველის სასარგებლოდ, მაგრამ აღმოვაჩინეთ განვითარების დროის განსხვავებულ ჩარჩოებს ცნებათა ლინგვისტური ფორმის კროს-ლინგვისტურად აღქმისათვის, ვნახავთ, რომ განვითარების დასასრულს ენას არც დერივაციულობა და არც ერთი ერთზე შესატყვისობა ახასიათებს.

არსებობს ორი სახის მტკიცებულება, რომლებიც ასაბუთებს, რომ განვითარების პროცესში სივრცითი დანართის აღქმა არაა დამოკიდებული სივრცითი ცნებების გამოხატვაზე. უამრავ კვლევას შორის პირველად აღმოაჩინეს, რომ ბავშვები სივრცითი ცნებების კროს-კულტურული გამოხატვის ერთსახოვან რიგს ავლენენ. ეს აღმოჩენა დადებით პასუხს აძლევს (ა) –ში წარმოდგენილ კითხვას – არსებობს თუ არა ზოგადი დროის ჩარჩო სივრცითი ნესების გამოხატვისა. მეორე, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ისაა, რომ ლინგვისტურად განსხვავებული სივრცითი ცნებების ჯგუფი არ ახდენს გავლენას ამ განსხვავებების აღქმის დროსა და სიხშირეზე. თუმცა, ენისათვის სპეციფიკური თვისებები შეიძლება მოქმედებდნენ სიხშირეზე. მაგალითად, შესაძლებელია ადგილის მითითებისას პოსტპოზიციურ აფიქსს უფრო მიენიჭოს უპირატესობა, როგორც ეს თურქულსა და სერბო-ხორვატიულშია, ვიდრე პრეპოზიციურს, როგორც ეს ინგლისურშია.

(6) duvar-da კედელზე
wall - on

(7) pol - je მინდვრის გავლით
field - through

ლოკაციური ტერმინები ვლინდება უფრო ადრეც, როცა განლაგება ერთი ერთზეა სივრცითი დამოკიდებულების სიტყვებში, როგორც მაგალითად, თურქულსა და ფრანგულში, ერთ სიტყვას, რომელიც ნიშნავს უკან უპირისპირდება ერთზე მეტი სიტყვა ინგლისურში, რაც წარმოდგენილია (8) –ში:

(8) <i>derrière la maison</i>	სახლის უკან
<i>behind the house</i>	სახლის უკან
<i>in back of the house</i>	

ერთი ერთზე განლაგებისთვის უპირატესობის მინიჭება ორმხრივი ექსკლუზიურობის პრინციპის კიდევ ერთი მაგალითია.

ასეთი მაგალითები გვაძლევს პასუხს ზემოაღნიშნულ (ბ) კითხვაზე, რომ არსებობს კროს-ლინგვისტური განსხვავება სივრცითი მიმართებისთვის ლინგვისტური გამოთქმების წარმოშობისა. აქ ჩვენ დავინახავთ აშკარა გამიჯვნას სივრცითი ცნებისა და სივრცითი ცოდნის განვითარებასა და ენისათვის სპეციფიკური გზის აღქმას შორის, რომლითაც ეს ცოდნა აისახება ენობრივ გამოთქმებში.

10.9 სემანტიკური/თემატური როლები და ურთიერთობები

ყველაზე ადრეული, ერთსიტყვიანი გამოთქმაც კი გამოხატავს თემატური როლების ძირითად ჯგუფს, რომელიც არგუმენტებად და შემასმენლებად გამოიყენება, როგორც (9)-(14) -შია წარმოდგენილი:

(9) ობიექტი – *milk*, ითქმის, როცა რძეს სწვდება.

(10) მიმღები – *Mommy*, ითქმის, როცა ბავშვი დედას აძლევს რაიმეს.

(11) აგენტი – *Mommy*, გამოიყენება, როცა დედა აწვდის რაიმეს თავის შვილს.

(12) მდგომარეობა – *allgone*, ითქმის, როცა საკვების მთელი მარაგი გამოილევა.

(13) მოქმედება – *go*, გამოიყენება, როცა მამა გარეთ გადის.

(14) ინსტრუმენტი – *knife*, გამოიყენება, როცა დედა ხორცს ჭრის.

ბავშვები ასევე ავლენენ თემატურ ურთიერთობებს არგუმენტებსა და შემასმენლებს შორის ისევე, როგორც პრედიკაციის მახასიათებლებს თავიანთ პირველ სიტყვათშეთანხმებებში, რაც (15)-(23) -შია წარმოდგენილი:

(15) აგენტი-მოქმედება – *Mommy push*.

(16) მოქმედება-ობიექტი – *Bite finger*.

(17) ობიექტი-ადგილი – *Car garage*.

(18) მოქმედება-ადგილი – *Sit bed*.

(19) აგენტი-ობიექტი – *Mommy sock* (დედა ბავშვს წინდას აცმევს).

(20) განსაზღვრება – *Big bed*.

(21) კუთვნილება – *Daddy car*.

(22) არსებობა – *There doggie*.

(23) უარყოფა – *No go*.

ამ თემატური როლებისა და კავშირების მეტყველების დასაწყისშივე გამოიყენება მიუთითებს, რომ ისინი შესაძლოა სემანტიკური პრიმიტივები იყოს და UG-ს ნაწილი.

10.10 მდგომარეობა და მოქმედება: კიდევ ერთი სემანტიკური პრიმიტივი

კიდევ ერთი სემანტიკური მახასიათებელი, რომელიც ვლინდება ენის ადრეული გაგებისას, არის განსხვავება მოქმედებისა და მდგომარეობისა. ინგლისურში, ეს განსხვავება გამოიხატება იმის მიხედვით, ზმნები იღებენ თუ არა *-ing/* დაბოლოებას. შეადარე (ა) წინადადებები, რომლებშიც მოქმედების გამომხატველი ზმნებია, (ბ) წინადადებებს, სადაც შემასმენელი მდგომარეობას აღნიშნავს:

- (24) ა. Brutus is betraying Caesar.
ბ. *Brutus is weighing 200 pounds.
- (25) ა. Henry is divorcing Katherine of Aragon.
ბ. *Henry is knowing Katherine of Aragon.
- (26) ა. Rosalind is couring.
ბ. *Rosalind is resembling Ganymede.

ბავშვები მხოლოდ მოქმედების გამომხატველ ზმნებს უმატებენ *-ing/* სუფიქსს და არასოდეს ამას არ აკეთებენ მდგომარეობის გამომხატველ ზმნებთან მიმართებაში, რაც მიუთითებს, რომ ეს სემანტიკური განსხვავება ძალიან ადრე ვითარდება ცხოვრებაში და სწავლას არ საჭიროებს.

10.11 ნაცვალსახელების ინტარპრეტაცია

მე-6 თავში ჩვენ განვიხილეთ ბავშვებში უკუთქმითი ნაცვალსახელის განვითარება. იმავე ექსპერიმენტში, რომელშიც შეამონმეს ბავშვების მიერ უკუთქმითი ნაცვალსახელების გაგების უნარი, ასევე შემონმდა მათ მიერ სხვა ტიპის ნაცვალსახელების აღქმა, ისეთებისა, როგორცაა *him* და *her*. ამიერიდან არაუკუთქმით ნაცვალსახელებს მოვიხსენიებთ, როგორც ნაცვალსახელებს. გავიხსენოთ, რომ ნაცვალსახელისა და მისი წინმსწრების სტრუქტურული პირობები არის დამატება უკუთქმითისა და მისი წინმსწრების კავშირის პირობებისა – სადაც ნაცვალსახელთა ერთი კატეგორია გვხვდება, ხოლო მეორე არა და პირიქით. უკუთქმით ნაცვალსახელს კატეგორიით შერჩეული წინმსწრები აუცილებლად უნდა ახლდეს წინადადების იმავე ნაწილში, რომელშიც თავადაა, ხოლო სხვა ნაცვალსახელების გამოყენებისთვის ეს აუცილებელი არ არის. ეს პირობები გადმოცემული იყო მე-8 თავში, რასაც ქვემოთ განმეორებით წარმოგიდგენთ:

მაკავშირებელი პრინციპი A: უკუთქმითი ნაცვალსახელი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მის წინმსწრებთან უმცირეს წინადადებაში (ან სფ-ში).

მაკავშირებელი პრინციპი B: ნაცვალსახელი არაა მჭიდროდ დაკავშირებული თავის წინმსწრებთან უმცირეს წინადადებაში (ან სფ-ში).

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ მჭიდროდ დაკავშირებული ნაცვალსახელები კვანტიფიკატორების ჭრილში, როგორც (27ა) -შია წარმოდგენილი. მაგრამ ნაცვალსახელი შესაძლოა მიმაგრებული იყოს სახელზე, როგორც (27ბ) -ში ჩანს:

- (27) ა. Every princess_i knows she_i will find a prince.
ბ. Cleopatra_i knows she_i will find a prince.

B პრინციპი საშუალებას იძლევა *she* ნაცვალსახელი მიმაგრებული იყოს თავის

წინმსწრებზე (27) -წინადადებაში, ვინაიდან – კვანტიფიკატორები *every princess* და *Cleopatra* – წინადადების მთავარ ნაწილშია. თუმცა B პრინციპი გამორიცხავს (28) -ის მსგავს წინადადებებს, სადაც ნაცვალსახელი კვანტიფიკატორთან ან სახელთან ერთად წინადადების ერთ ნაწილშია.

- (28) ა. *Every princess_i appreciates her_i
ბ. *Cleopatra_i appreciated her_i.

ამგვარად, (28ა) წინადადება გრამატიკულად არასწორია, თუკი მასში იგულისხმება, რომ პრინცესა საკუთარ თავს აფასებს; ხოლო (28ბ) კი არ გამოხატავს იმას, რომ კლეოპატრა საკუთარ თავს აფასებს. უდავოა, რომ (28) -ში წარმოდგენილი წინადადებები ნაცვალსახელთა გამოყენების მიხედვით სწორია, ვინაიდან *her* სხვა ქალს მიემართება. მაგალითად *Juliet* ან *Mary*. ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას ნაცვალსახელის წინმსწრებთან ბმულ დამოკიდებულებაზე ვამახვილებთ.

დიდი ოდენობით ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვები ზუსტად მოზრდილებივით ვერ ახდენენ (28ბ)-ს მსგავს წინადადებაში გამოყენებული ნაცვალსახელის ინტერპრეტაციას. (29)-ს შემთხვევაში ბავშვები მიუთითებენ სურათზე, სადაც ერთი საკუთარ თავს სცემს; ან როცა ნახავენ სცენას, სადაც ერთი საკუთარ თავს სცემს და მოისმენენ (29) წინადადებას, ჩათვლიან, რომ ისინი ერთმანეთს შეესაბამება (იხ. ჩანართი 6.2 მე-6 თავში). ორივე შემთხვევაში ისინი *him* ნაცვალსახელს ადგილობრივ წინმსწრებს, ერნის უკავშირებენ, რითიც აშკარად არღვევენ B პრინციპს.

- (29) Ernie hit him.


ეს ექსპერიმენტალური შედეგი ვლინდება სხვადასხვა ენის შემსწავლელ ბავშვებში. ჰოლანდიურის, ჩინურის, კორეულის, ისლანდიურისა და სხვა ენების შემსწავლელი ბავშვები მსგავსი წინადადებების ერთნაირ ინტერპრეტაციას იძლევიან, რაც უფროსების გრამატიკაში სრულიად მიუღებელია. რით აიხსნება ეს შედეგი? ეს ის შემთხვევაა, როცა მოზრდილებისაგან განსხვავებით, ბავშვების ლინგვისტურ ცოდნაში არ შედის მაკავშირებელი პრინციპი B? შესაძლოა თუ არა, რომ უნივერსალური გრამატიკის პრინციპი განიცდიდეს დაგვიანებულ განვითარებას? ამ ჰიპოთეზას ვუწოდოთ **გვიანდელი B პრინციპის ჰიპოთეზა**. თუკი იგი სწორია, მაშინ უწყვეტობის ჰიპოთეზას ეწინააღმდეგება. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ბავშვებს UG პრინციპების ცოდნა დაბადებიდანვე აქვთ (მითითებულია განსხვავებული ინდექსით).

ბავშვების ასეთი შეცდომების კიდევ ერთი ახსნა არსებობს, რომელიც უკავშირდება ნაცვალსახელის განსხვავებულ ინტერპრეტაციას. გავიხსენოთ, რომ ნაცვალსახელები ინტერპრეტაციას შეიძლება იღებდნენ წინმსწრების მიხედვით, როგორც ეს (27) მაგალითშია წარმოდგენილი, ან შეიძლება მიმართებითად იყოს გამოყენებული, როგორც (30 ა, ბ) წინადადებებში, სადაც *her* ეხებოდა ქალს, რომელიც იმავე წინადადებაში არ იყო გამოკვეთილი.

- (30) ა. Every princess_i knows she_j will find a prince.
ბ. Cleopatra_i knows she_j will find a prince.

მიმართებითი გამოყენებისას ნაცვალსახელის აღსანიშნავი არაა წინადადების შიგნით არსებული წინმსწრები, არამედ იგი ან მანამდეა ნახსენები, ან არალინგვისტური კონტექსტიდანაა მკითხველისთვის ცნობილი. B პრინციპი არეგულირებს მხოლოდ ნაცვალსახელის მიმავრებას. ის გამორიცხავს (28) ტიპის წინადადებებს, სადაც გამოთქმებში თანაინდექსური დამოკიდებულებაა. მაგრამ არსებობს პრობლემა:

ვინაიდან ნაცვალსახელს აქვს მიმართებითი გამოყენება, მაშინ ნამდვილად არაფერი შეუშლის ხელს იმას, რომ ნაცვალსახელი *him* (29)-ში ეხებოდეს პირდაპირ ობიექტს *Ernie*. ასეთ შემთხვევაში დღ *Ernie* და ნაცვალსახელი *him* ერთსა და იმავეს აღნიშნავს მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსურად მიმაგრებული კავშირი არ გვაქვს სახეზე. ამას შემთხვევითი თანამიმართება ჰქვია. იგივე აზრი გრაფიკულად (31) -შია წარმოდგენილი.



მაინც ჩნდება ვარაუდი, რომ შემთხვევითი თანამიმართება შეუძლებელია ამ წინადადებაში და შესაბამისად, უნდა არსებობდეს რაიმე პრინციპი, რომელიც ამას გამორიცხავს. ასეთი პრინციპი პრაგმატული პრინციპია, რომელსაც კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრის სათქმელი მსმენელამდე მიაქვს. ამ პრაგმატულ პრინციპს **P პრინციპს** ვუნოდებთ და იგი (32)-შია (მიახლოებით) წარმოდგენილი:


(32) P პრინციპი: თუ მოსაუბრეს უნდა მსმენელს გააგებინოს, რომ ორ სახელად ფრაზას წინადადებაში ერთი და იგივე აღსანიშნი გააჩნია, მაშინ, თუ შესაძლებელია, იგი იყენებს სინტაქსური მიმაგრება-შეკავშირების საშუალებას (ან უკუთქმითი ნაცვალსახელი ან ბმული ნაცვალსახელი).

ამგვარად, თანამიმართება გამოირიცხება ისეთ წინადადებებში, როგორცაა (29) და (31), ვინაიდან ენა ერთი და იგივე შინაარსის გადმოსაცემად უკუთქმით ნაცვალსახელს იყენებს, როგორც ეს (33) -ში ჩანს:

(33) Ernie hit himself.

თანამიმართება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სინტაქსური მაკავშირებელი ვერ გამოიყენება, მაგალითად, როცა სახელი არ ირჩევს კატეგორიით ნაცვალსახელს, როგორც (34ა) -შია წარმოდგენილი. თანამიმართება შესაძლებელია, როცა მოსაუბრეს უნდა ისეთი აზრის გადმოცემა, რაც კავშირის საშუალებით არ გადმოიცემა, როგორც (34ბ) -შია.

(34) ა. All of *Cleopatra's* friends admire *her*.



ბ. I dreamed I was Antony and then I kissed me.

(34ბ) წინადადების მთქმელი არ ოცნებობს საკუთარი თავის კოცნაზე. ამ წინადადებაში *me* ვერ ჩანაცვლდება *myself*-ით. ამრიგად, ვხედავთ, რომ არსებობს ისეთი სიტუაციები, სადაც თანამიმართება დასაშვებია, მაგრამ არა ისეთ წინადადებებში, როგორცაა (29). ასეთი ტიპის წინადადებაში ორი შეზღუდვა მოქმედებს; მაკავშირებელი პრინციპი B გამორიცხავს *Ernie*-სა და *him*-ის კავშირს და

პრინციპი P გამორიცხავს თანამიმართებას. როგორც ვხედავთ, მოზარდთა სისტემაში, შეუძლებელია *him* მიემართებოდეს *Ernie*-ს.

თუკი დავუბრუნდებით ჩვენს ექსპერიმენტულ შედეგებს, დავინახავთ, სხვა შესაძლო ახსნას, თუ რატომ უკავშირებენ (29) ტიპის წინადადებებში ბავშვები ნაცვალსახელს ადგილობრივ წინმსწრებს. ვთქვათ, ბავშვებთან მოქმედებს მაკავშირებელი B პრინციპი, მაგრამ მათ არ იციან P პრინციპი. ამ ჰიპოთეზას ვუნოდოთ გვიანდელი P პრინციპის ჰიპოთეზა. ამ ჰიპოთეზის მიხედვით (29) წინადადებაში ბავშვი ნაცვალსახელსა და დღე *Ernie*-ს შორის თანამიმართებას წარმოიდგენს, თუმცა უფროსების მსგავსად სინტაქსურად ნაცვალსახელსა და *Ernie*-ს ერთმანეთს არ დაუკავშირებს.

აქ ჩნდება კითხვა. როგორ დავრწმუნდეთ, რომ (29)-ში ბავშვები თანამიმართებას დასაშვებს ხდიან, ხოლო სინტაქსურ კავშირს არა? საბოლოოდ ჩვენ ვერ ვიპოვეთ რაიმე მიმანიშნებელი და შესაბამისად ვერც პირდაპირ ვერ ვიტყვი ბავშვები *him* ნაცვალსახელს *i* ინდექსს უსვამენ თუ *j*-ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საიდან ვიცით, რომ ბავშვებს უფრო P პრინციპი აკლიათ, ვიდრე B პრინციპი, როცა მნიშვნელობა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. საბედნიეროდ, არსებობს გზა, რითაც შეგვიძლია დამაკავშირებელი და თანამიმართების ინტერპრეტაციები განვასხვავოთ. როგორც მე-მ თავში იყო აღნიშნული, ნაცვალსახელები შეიძლება მიმაგრებულნი იყვნენ კვანტიფიკატორებზე, როგორც (30a) მაგალითში, რომელიც გულისხმობდა, რომ თითოეული პრინციპსა საკუთარ თავს აფასებდა. თუმცა, კვანტიფიკატორი (განსხვავებით საკუთარი სახელისაგან) ვერ იქნება თანამიმართების კავშირში, ვინაიდან კვანტიფიკატორი არ აღნიშნავს ინდივიდს. P პრინციპი არ ეხება კვანტიფიკატორის შემთხვევებს. მათთან მხოლოდ პრინციპია კავშირში. ამრიგად, სწორედ კვანტიფიკატორები გვაძლევენ იმის საშუალებას რომ მაკავშირებელი პრინციპების გავლენა განვასხვავოთ პრაგმატული პრინციპისაგან. ამ ცნობის მიღების შემდეგ, ჩავატაროთ ასეთი ექსპერიმენტი. ბავშვებს მივცეთ (35) წინადადება:

(35) Every princess washes her.

თუკი ბავშვებმა არ იციან B პრინციპი, (35) წინადადება მათთვის იმას ნიშნავს, რომ ყველა პრინციპსა თავის თავს ბანს (ნაცვალსახელის ბმული გამოყენება). მეორე მხრივ კი ისინი ამ მნიშვნელობას ვერ წაიკითხავენ, თუკი მათთვის B პრინციპია ცნობილი. შეგვიძლია შევადაროთ ბავშვების მიერ აღქმული (35) და (29) წინადადებების შინაარსები. თუკი ერთი და იგივე ბავშვი (35) -ში უარყოფს კავშირს *princess*-სა და *her* -ს შორის, მაგრამ (29) -ში *Ernie*-ს აღიქვამს, როგორც *him*-ის წინმსწრებს, ეს ნიშნავს, რომ ის თანამიმართებას იყენებს (29) -ში, ვინაიდან გვხვდება მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვმა P პრინციპი არ იცის.

ნამდვილად, ასეთი ექსპერიმენტები ჩატარდა და მათი შედეგები ასაბუთებს გვიანდელი P პრინციპის ჰიპოთეზას. ბავშვების 50 პროცენტი (29) -ის მსგავს წინადადებაში *Ernie*-ს აღიქვამს *him*-ის წინმსწრებად, ხოლო 84 პროცენტი (35) -ის მსგავს წინადადებაში *every princess* და *her*-ს ვერ უკავშირებს ერთმანეთს. ასეთი შედეგი გვიჩვენებს, რომ ბავშვების შეცდომები ნაცვალსახელთა ინტერპრეტირებისას პირდაპირ კავშირშია მათ მიერ პრაგმატიკის ცოდნასთან, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ენა კონტექსტურად და არა მხოლოდ გრამატიკის გათვალისწინებით. ჩანს, რომ მაკავშირებელი პრინციპები, როგორც სინტაქსის სხვა ასპექტები, ხელმისაწვდომია ადრეულ ასაკში, ხოლო პრაგმატიკა მოგვიანებით ვითარდება ბავშვში. მომდევნო ქვეთავში ჩვენ განვიხილავთ პრაგმატიკის სირთულეების სხვა დასაბუთებებს.

10.12 პარაუდი: საერთო საფუძვლის გაგება

მე-7 თავიდან გაიხსენეთ, რომ ენაში ცალკეული გამოთქმები ვარაუდებს ატარებენ. ისეთი ზმნები, როგორცაა *regret, know, remember* არის **ფაქტობრივი** ზმნები; ისინი გულისხმობენ, რომ მათი დამატება აღწერს ფაქტს, რომელიც ცნობილია, როგორც მთქმელისთვის, ისე მსმენელისთვის. ისინი უპირისპირდებიან არაფაქტობრივ ზმნებს. ეს ზმნებია *think, guess* და *believe*, რომლებიც ასეთ ვარაუდს არ მოიცავენ. მათი კონტრასტი კარგად ჩანს (36) მაგალითში წარმოდგენილი წინადადებების წყვილებით. (36ა) წინადადებას საპირისპირო წყვილი გაუჩნდება, თუკი მას *but she wasn't* ფრაზას დავამატებთ, ვინაიდან ზმნა *know* ფაქტობრივი ვარაუდის მომცველი ზმნაა, ხოლო (36ბ) კი – არა, ვინაიდან *think* ზმნა არ ვარაუდობს, რომ *Juliet was dead* სწორი წინადადებაა.

(36) ა. Romeo knew that Juliet was dead (?? but she wasn't).

ბ. Romeo thought Juliet was dead (but she wasn't).

ვარაუდის კიდევ ერთი სახე იქმნება განსაზღვრული მსაზღვრელით. ეს უკანასკნელი მიუთითებს ობიექტის არსებობაზე, რომელიც ნაცნობია როგორც მოსაუბრისთვის, ისე მსმენელისთვის, რაც (37) მაგალითშია ნაჩვენები:

(37) The Prince of Denmark is haunted (?? but there is no prince of Denmark).

განუსაზღვრელი მსაზღვრელი გამოიყენება, როცა თვისება პირველადაა მოხსენიებული ან მაშინ, როცა მოსაუბრეს კონკრეტული მახასიათებლის დასახელება არ სურს, როგორც ეს (38) -შია წარმოდგენილი:

(38) A prince entered the palace.

ბავშვები გარკვეულ სირთულეს აწყდებიან როგორც არსებობის გამომხატველ, ისე ფაქტობრივ ვარაუდებთან. ექსპერიმენტალური კვლევისას, როცა შემონმდა ბავშვების ცოდნა *a* და *the* არტიკლების გამოყენების შესახებ, აღმოჩნდა, რომ მათთვის განსაზღვრული მსაზღვრელის გამოყენება უფრო მისაღებია იქ, სადაც წესით განუსაზღვრელი უნდა იდგეს. მაგალითად, ერთ-ერთი ექსპერიმენტისას (მარატსოს 1974) ბავშვებს უჩვენეს სამი ძაღლის სურათი, თითოეული მანქანაში იჯდა და ერთ-ერთ მათგანს ბიჭი ესაუბრებოდა. ამ სურათების ნახვის შემდეგ, ბავშვებს ორი წინადადება უთხრეს: *Then suddenly the dog drove away* და *Then suddenly a dog drove away*. ბავშვებს უნდა გამოეცნოთ, რომელ ძაღლზე იყო საუბარი. როცა ბავშვებმა განსაზღვრული არტიკლი გაიგონეს, თითქმის სწორი არჩევანი გააკეთეს; მათ შეარჩიეს ის ძაღლი, რომელსაც ბიჭი ესაუბრებოდა. მეორე მხრივ, როცა მათ განუსაზღვრელი არტიკლის შემცველი წინადადება მოისმინეს, მეტწილად მიუთითებდნენ სხვა ძაღლზე, რაც სწორი იყო და იშვიათად მიუთითებდნენ იმ ძაღლზე, რომელსაც ბიჭი ესაუბრებოდა. ეს შედეგები და სხვა ბევრიც გვიჩვენებს, რომ პატარებისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს მსმენელისა და მთქმელის საერთო საფუძვლის დადგენა.

მეტალური ზმნები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ როგორ უჭირთ ბავშვებს ვარაუდების ამოცნობა. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ დაახლოებით 4 წლის ასაკში ბავშვები ვერ განარჩევენ ფაქტობრივ და არაფაქტობრივ ზმნებს. როცა სამი წლის ბავშვს მოასმენინეს შემდეგი წინადადებები: *I know the candy is in the blue box* და *I think the candy is in the red box*, ბავშვმა კანფეტის ძებნა დაიწყო როგორც ლურჯ ყუთში, ისე წითელში. ეს მიუთითებს, რომ ბავშვები ვერ ხედავენ ვარაუდთა განსხვავებას, რაც *know* და *think* ზმნებში დევს.

10.13 ბავშვების ცოდნა თვლადობა/უთვლადობის განსხვავებისა და ზმნის ასპექტის შესახებ.

როგორც მე-9 თავში იყო განხილული, არსებობენ სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც ვრცელდებიან სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიებზე. ამის ერთი მაგალითია პარალელი არსებით სახელებში თვლადობა-უთვლადობის განსხვავებასა და ზმნის ასპექტებს შორის. უსრული ასპექტის (მაგალითად, *wander*) ზმნებს უთვლადი სახელებით ახასიათებთ გამაერთიანებელი თვისება; თუ ავიღებთ ხეტიალის პროცესს და დავამატებთ უფრო მეტ ხეტიალს, ისევე ხეტიალის პროცესს მივიღებთ, ისევე როგორც წყლისთვის წყლის დამატებით ისევე წყალს ვიღებთ. ასე არ არის თვლად სახელებსა და სრული ასპექტის ზმნებთან დაკავშირებით, რომელთაც შინაგანი სტრუქტურა გააჩნიათ. თვლადი სახელის აღსანიშნი დაშლილია ანუ მინიმალურ ერთეულებამდეა დაყვანილი. ამის მსგავსად, სრული ასპექტის მოვლენებს აქვთ შინაგანი დასასრულის წერტილი, რომელიც მას შემოფარგლავს. ვხედავთ, რომ პირდაპირი ობიექტის სემანტიკური სტრუქტურა გავლენას ახდენს ზმნის ასპექტზე; *consume ale* უსრული ასპექტის მოვლენაა, ვინაიდან *ale* მიემართება გამაერთიანებლად, ხოლო *consume a beer* აღწერს სრული ასპექტის მოვლენას, ვინაიდან აღსანიშნი *a beer* დანაწევრებულია. ამის მაგალითია (39):

- (39) ა. John consumed ale for an hour.
 ბ. *John consumed a beer for an hour.
 გ. John consumed a beer within an hour.
 დ. *John consumed ale within an hour.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ზმნის ასპექტი კომპოზიციურადაა განსაზღვრული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ლინგვისტურ სტრუქტურასა და გრამატიკულ პრინციპებზეა დამოკიდებული. ეს კროს-კატეგორიული გავლენა საკმაოდ შეუმჩნეველია და შესაბამისად, ბავშვებისთვის საკმაოდ ძნელი ამოსაცნობია. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ იაპონური და სხვა ენები ინგლისურს ჰგავს ზმნის ასპექტისა და თვლადობა-უთვლადობის განსხვავებების პარალელით, მიგვანიშნებს, რომ ეს ენის სტრუქტურის ფუნდამენტალური საკითხია, ანუ UG-ს მახასიათებელი. მაშინ ბავშვებს სემანტიკური მახასიათებლების თანდაყოლილი ცოდნა უნდა ჰქონდეთ.

ვინაიდან ჯერ არ ჩატარებულა დიდი კვლევითი სამუშაოები ადრეულ ენაში სახელადი და ზმნური ფრაზების პარალელების შესასწავლად, ბავშვებში ცალკე გამოიკვლიეს ზმნების ასპექტისა და სახელების თვლადობა-უთვლადობის განსხვავების აღქმის უნარი. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვებმა ამ სემანტიკური განსხვავებების შესახებ ძალიან ადრეულ ასაკშივე იციან. ისინი ცალკეულ განზოგადებებს ამ განსხვავებებზე დაყრდნობით აკეთებენ. მაგალითად, ორი წლის ასაკის იტალიელი ბავშვები იყენებენ წარსულის მიმღეობას სრული ასპექტის შემასმენლების საწარმოებლად, როგორცაა *cadere* და *ცემა*, *rompere* გატეხვა, *arrivare* ჩამოსვლა და ა.შ. მაგრამ არა უსრული ასპექტის შემასმენლებისთვის, როგორცაა *volare* ფრენა, *ballare* ცეკვა. ზრდასრულთა იტალიურში ორივე სრული და უსრული ასპექტის ზმნები მიმღეობის კონსტრუქციებში თავისუფლად გამოიყენება, როგორც (40)-შია წარმოდგენილი:

- (40) ა. Gianni ha balltao (per un ora).
 ჯონმა იცეკვა (ერთი საათის განმავლობაში).

ბ. Gianni é caduto (*per un ora).

ჯონი დაეცა (*ერთი საათის განმავლობაში).

ამრიგად, იტალიელი ბავშვები ზღუდავენ მიმღეობის გამოყენებას ერთი ტიპის ზმნებთან. მათთვის კონკრეტული ზმნური ფლექსიები ასოცირდება ცალკეულ ასპექტთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს მკაცრი შეზღუდვა მოზრდილთა ენაში არ არსებობს. ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება ეფუძნებოდეს მათ შინაგან ცოდნას სრული/უსრული ასპექტის განსხვავების შესახებ.

მსგავსი შედეგები მივიღეთ სხვა ენების შემთხვევებშიც. კვლევამ აჩვენა, რომ ინგლისურად მოსაუბრე ბავშვები წარსული დროის აღმნიშვნელ *-ed*-ის უფრო ხშირად სრული ასპექტის მოვლენების გამომხატველ ზმნებთან იყენებენ. ხოლო ინგლისურად მოსაუბრე უფროსები საპირისპირო ტენდენციას ავლენენ, ისინი *-ed*-ის უფრო ხშირად უსრული ასპექტის ზმნებთან იყენებენ. ამგვარად, ბავშვის წარმოთქმა არ შეიძლება ჩავთვალოთ უფროსებისგან მოსმენილის ჩანაწერად.

როგორ ავხსნათ ფლექსიისა და ასპექტის ასეთი მკაცრი შეთანხმება, რასაც ბავშვები ასე ხშირად იყენებენ? ერთი ვერსიით, ბავშვები თავდაპირველად ანალიზებენ, რომ *-ed* გამოხატავს მოქმედების სისრულეს ან შედეგს და არა წარსულ დროს. აქედან მომდინარეობს სრული ასპექტის ზმნებზე დანესებული შეზღუდვა. ფაქტობრივად, *-ed* დროსთან ერთად ასპექტსაც გამოხატავს. წინადადებაში *John danced -ed* მიუთითებს წარსულ დროს, ხოლო წინადადებაში *John has danced* იგი მიუთითებს სრულ ასპექტს. ასპექტის გრამატიკულ დროზე ადრე აღქმის ჰიპოთეზა ვარაუდობს, რომ დროის კავშირი უფრო რთულია, ვიდრე ასპექტური და შესაბამისად, აღსაქმელადაც უფრო ძნელია ბავშვისთვის. ამ თვალსაზრისით, ბავშვები უფროსებისაგან განსხვავდებიან გრამატიკული გამოხატულებით; ადრეულ გრამატიკაში დრო არ გამოიხატება. ეს ჰიპოთეზა ძალიან ძლიერი და მყარი ჩანს, მაგრამ მაინც არსებობს ენები, სადაც ბავშვები ადრეული პერიოდიდან არჩევენ დროსაც და ასპექტსაც. მაგალითად, იაპონურად მტყუყელი ბავშვები განარჩევენ წარსულისა და აწმყოს ზმნებს 2 წლამდე ასაკში.

მეორე ვერსიით, ბავშვებს აქვთ უნარი გრამატიკული დრო და ასპექტი განასხვავონ, თუმცა ფლექსიისა და ასპექტის მჭიდრო დანყვილება სწავლის ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა. ამ ჰიპოთეზის ლოგიკური მხარის გვერდით არსებობს ენები – ინგლისურისა და იტალიურისგან განსხვავებული – სადაც ვლინდება ზმნის ასპექტისა და კონკრეტული ფლექსიური ელემენტის განლაგება. მაგალითად, კორეულში სრული ასპექტის დამხმარე ზმნა გამოიყენება სრული ასპექტის გარდაუვალ ზმნებთან. ვინაიდან ბავშვებმა არ იციან რომელ ენას წარუდგენენ მომავალში, ისინი მზად უნდა იყვნენ *UG*-დან მომდინარე ყველანაირი სახესხვაობისთვის. ყველაზე უსაფრთხო და მშვიდი გზა არის შეზღუდვის დანესება, ამ შემთხვევაში ესაა ფლექსიისა და ზმნის ასპექტის დანყვილება.

როგორც ვიცით, ბავშვი რომელიც მკაცრ დანყვილებას მიმართავს, უფრო უკეთ ითვისებს მოზრდილთა ენას. წარმოვიდგინოთ მეორე მხრივ, თითქოს ბავშვმა ივარაუდა, რომ ზმნის ერთი ფორმა დროსაც გამოხატავს და ასპექტსაც (როგორც იტალიურსა და ინგლისურში). ვთქვათ, ეს ბავშვი შემდეგში ეცნობა კორეულს. რის საფუძველზე უნდა ისწავლოს მან, რომ კორეულში დამხმარე ზმნა გამოხატავს *მხოლოდ* ასპექტს და არა დროს? არ იარსებებს მაგალითი, რომელიც მიუთითებს, რომ დამხმარე ზმნას არასოდეს შეუძლია დროის გამოხატვა. ეს მტკიცებულება შესწორებას ან უარყოფით დამამტკიცებელ საბუთს მოითხოვს, ანუ ზუსტ ინფორმაციას, რომ ზოგი ფორმა ან ინტერპრეტაცია დაუშვებელია. როგორც პირველ თავში განვიხილეთ, ბავშვებს არ აქვთ

სისტემატური შეხება უარყოფით ფორმებთან. იმ შემთხვევებში, როცა უნივერსალური გრამატიკა ანალიზის ერთზე მეტ ვარიანტს გვაძლევს, ბავშვმა სწავლა უნდა დაიწყოს ყველაზე შეზღუდულიდან. ამ იდეას **ქვეჯგუფის პრინციპი** ჰქვია.

10.14 დასკვნა

ჩვენ ვნახეთ, რომ იმის ცოდნა, თუ რა სახის მნიშვნელობას გამოხატავს სიტყვა, რა თემატურ როლსა და კავშირს გულისხმობს, არის სემანტიკის ასპექტი, რომელიც ადრეული ასაკიდან ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბავშვმა უნდა ისწავლოს თავისი ენის ყველა სიტყვა, ლინგვისტური სემანტიკის ზოგიერთი ასპექტი შეიძლება შეუსწავლელი დარჩეს და სწორი კანდიდატები შესაძლოა ადამიანის გონებაში უსწავლელად იყოს.

უამრავი ლინგვისტური გამოთქმის მნიშვნელობა განისაზღვრება კონტექსტით: სინტაქსური კონტექსტი და დისკურსიული კონტექსტი. მაგალითად, ნაცვალსახელი შეიძლება იყოს ბმული ან მიმართებითი; პირველ შემთხვევაში ნაცვალსახელი კონკრეტულ სინტაქსურ კავშირში უნდა იყოს თავის წინმსწრებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში მიმართებითი ვარიანტები პრაგმატიკის წესებით იმართება. ვარაუდები ამონებს და აგებს საერთო საფუძველს მსმენელსა და მოსაუბრეს შორის, რაც დამოკიდებულია დისკურსიულ კონტექსტზე, მაგრამ ვარაუდი ასევე მჭიდრო კავშირშია სინტაქსურ კონსტრუქციაზე, როგორც მე-7 თავში იყო ნაჩვენები. თვლადობა-უთვლადობისა და ზმნის ასპექტის განსხვავებებიც არ არიან მუდმივი მახასიათებლები, ზოგჯერ მათაც კონტექსტი განსაზღვრავს. წინა ქვეთავებში მოკლედ განვიხილეთ, როგორ ვითარდება ბავშვში სხვადასხვა სემანტიკური მახასიათებელი. მართალია, ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა შესასრულებელი ამ მხრივ, მაგრამ ჩვენ ძირითადი მოდელის დანახვა დავინწყეთ: მნიშვნელობის ის ასპექტები, რომლებიც პრაგმატული წესებით იმართება ან მჭიდრო კავშირშია დისკურსთან, გამოწვევაა პატარა ბავშვისთვის.

საკითხავი ლიტერატურა

Bowerman, M. 1991. The origins of children's spatial semantic categories: Cognitive vs. linguistic determinants. In J.J. Gumperz and S.C. Levinson, eds., *Rethinking Linguistic Relativity*. Cambridge and New York: Cambridge University Press.

Fodor, J. 1983. *The Modularity of Mind*. Cambridge, MA: MIT Press.

Gleitman, L. and B. Landau eds. 1994. *The Acquisition of the Lexicon*. Cambridge, MA: MIT Press.

Hirsh-Pasek, K. and Golinkoff, R. 1996. *The Origins of Grammar: Evidence from Early Language Comprehension*. Cambridge, MA: MIT Press.

Smith, N. and Tsimpli, I.-M. 1995. *The Mind of a Savant: Language Learning and Modularity*. Oxford: Blackwell.

In addition to those cited in the text, the following references were consulted: Moore et al. 1989; Antinucci and Miller 1976; Clark 1973; Gleitman and Landau 1995, and references therein; Hirsh-Pasek and Golinkoff 1996.

ნაწილი IV

ფონეტიკა და
ფონოლოგია

ფონეტიკა:

ბპერეპი ენაში

შინაარსის სარჩევი

11.0 შესავალი

11.1 ფონეტიკური აღწერის საშუალებები

11.1.1 სეგმენტები

11.1.2 სუპრასეგმენტალები

11.2 ფონეტიკური ანბანი

11.2.1. ორთოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემები.

11.2.2 IPA და სხვა ფონეტიკურ ანბანთა სახეები

11.2.3 IPA-ს ძირითადი სიმბოლოები ამერიკული ინგლისურისთვის

11.3 IPA-ს ცხრილი

11.3.1 საწარმოთქმო ორგანოები

11.3.2 თანხმოვნები

11.3.3 წარმოთქმა

11.3.4 სხვა თანხმოვნები

11.3.5 ხმოვნები

11.3.6 დიფთონგები

11.3.7 განსხვავებული სახით წარმოთქმა გულისხმობს სხვადასხვა სიმბოლოს.

11.3.8 IPA-ს სხვა სიმბოლოები: ხმოვნები და თანხმოვნები

11.4 დიაკრიტიკული ნიშნები

11.5 დასკვნა

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა
სავარჯიშოები

11.0 შესავალი

ლინგვისტური სტრუქტურა მეტყველებითაა მსმენელამდე მიტანილი (მართალია ლინგვისტური სტრუქტურა შეიძლება მაცურებლისთვის ნიშნებით ან წერის საშუალებით იყოს გადმოცემული, მაგრამ ჩვენ ამ თავში მხოლოდ ორალურ კომუნიკაციას განვიხილავთ). **ფონეტიკა** მეტყველების პროცესის ფიზიკურ ასპექტებს შეისწავლის, ერთ-ერთი ასპექტია **ბგერების წარმოთქმა** (როგორ წარმოითქმის ესა თუ ის ბგერა მოსაუბრის მიერ), **ბგერების აკუსტიკა** (ჰაერტალელების თვისებები, რომელთაც სათქმელი მთქმელიდან მსმენელამდე გადააქვს) და **ბგერების აღქმა** (როგორ შეიცნობს მსმენელი მათ). ფონეტიკა ლინგვისტიკის ნაწილია, მაგრამ იმავდროულად ის სხვა დისციპლინების ნაწილიცაა, როგორცაა მეტყველებისა და მოსმენის მეცნიერება, ფსიქოლოგია და ტექნიკური მეცნიერებები. **ლინგვისტური ფონეტიკა** არის მეტყველების სხვადასხვა ასპექტის გამომხატველი ტერმინი, რომელიც გულისხმობს წარმოთქმას, აკუსტიკასა და აღქმას, რაც ლინგვისტიკის ნაწილებია. ლინგვისტური ფონეტიკა შეისწავლის სასაუბრო ბგერებს ენათა რიგში, ენებს შორის ბგერების განზოგადებას და ასევე ფონეტიკის ურთიერთობას ლინგვისტიკის სხვა დარგებთან.

11.1 ფონეტიკური აღწერის საშუალებები

11.1.1 სეგმენტები

წარმოთქმა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ცალკეულ **სამეტყველო ბგერათა** მიმდევრობა. სამეტყველო ბგერები, რომლებსაც **სეგმენტებს** და **ფონებს** უწოდებენ, ენაში გამოყენებული ბგერებია. მათ არ ეკუთვნის ადამიანის მიერ გამოცემული სხვადასხვა ხმა, ვთქვათ, დაცემინება, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა და ა.შ.

სამეტყველო ბგერები ორ ძირითად ჯგუფადაა დაყოფილი: თანხმოვნები (აღნიშნება C ასოთი) და ხმოვნები (აღნიშნება V ასოთი). **თანხმოვანი** არის ბგერა, რომლის წარმოთქმისას მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიან სანარმოთქმო ორგანოები. **ხმოვნები** კი ისეთი ბგერებია, რომლის წარმოთქმისას არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, ჰაერნაკადი თავისუფლად გამოედინება და წარმოთქმული ბგერა საგრძნობლად ხმამალალი და ძლიერია.

განვიხილოთ სიტყვა *Macbeth*, რომელსაც ასეთი ფორმა აქვს: CVCCVC. გრძნობთ თუ არა ოთხივე თანხმოვნის წარმოთქმისას შექმნილ დაბრკოლებას? (ესენია: ბაგეებთან, პირის ღრუს უკანა ნაწილში, ისევე ბაგეებთან და კბილებთან). ყველა ენაშია ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. დამწერლობის უქონელი ენები არ უნდა ავურიოთ დამწერლობის მქონე ენებში; ისეთ ენებშიც კი არის ხმოვნები და თანხმოვნები, რომლებიც ანბანურ დამწერლობას არ იყენებენ, თუმცა ენები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რომელი ხმოვნები და რომელი თანხმოვნები აქვთ.

ინგლისური სიტყვების სეგმენტების მიმდევრობად დაყოფის იდეა შეიძლება სრულიად გასაგები იყოს განათლებული მოსაუბრისთვის; ხალხის უმრავლესობა გრძნობს, რომ საუბარი სწორედ ამ გზით ესმით. ისინი ასევე ფიქრობენ, რომ კონკრეტული თანხმოვანი და ხმოვანი სხვადასხვა შემთხვევაში ერთნაირია – მაგალითად, თითოეული 'ბ' ყველა შემთხვევაში არის 'b'. მაგრამ საუბარში გამოყენებულ ბგერებთან მიმართებაში ეს ასე არ არის. განსხვავება ორგვარია. პირველი ის გახლავთ, რომ თუ მოვისმენთ სწრაფ საუბარს, ყოველთვის გამოკვეთილი არ არის ცალკეული ბგერების მიმდევრობა, ვინაიდან მათ შორის საზღვარი ყოველთვის მკვეთრი არაა. ნახ. 11.1 გვიჩვენებს *Tell me where is fancy bred* წინადადების სპექტოგრამას.

წარმოთქმა 11.1


სეგმენტაცია და ანბანის კითხვის სწავლა

ისეთი ანბანი, როგორც ინგლისურ ენაში გამოიყენება, ეფუძნება მეტყველების ცალკეულ ბგერებად სეგმენტაციას. ჩნდება აზრი, რომ ანბანით წერა-კითხვა უფრო იოლია იმ ადამიანისთვის, ვისაც სიტყვის სეგმენტებად დაშლის წარმოსახვა შეუძლია. კითხვის ექსპერტები საუბრობენ **ფონემურ** (ანუ ფონოლოგიურ) **ცოდნაზე**, როგორც კითხვის წინაპირობაზე – როცა ბავშვს შეუძლია ყურადღება გაამახვილოს ცალკეულ ბგერებზე სიტყვაში, იგი უკეთ აითვისებს ბგერებსა და ასოებს შორის კავშირს. სხვაგვარად კი ბავშვმა უნდა ისწავლოს მთლიანი სიტყვები წერითაც და ზეპირადაც. ფონოლოგიური ცოდნის ზოგიერთი მაგალითი მოიცავს იმის გარჩევას უნარს, ორი სიტყვა ერთმანეთს თუ არა ერთმანეთს, ან იწყება თუ არა ერთი და იგივე ბგერით, ან (უფრო რთული დავალება) იმის გარჩევა, თუ რამდენი ბგერაა ამა თუ იმ სიტყვაში, ან ბგერების როგორი თანმიმდევრობაა სიტყვაში. (ნახავთ, რომ ეს უნარები საჭიროა ქვემოთ მოცემული სავარჯიშოების შესასრულებლად). იმავდროულად, ის პირი, ვისაც არ შეუძლია სიტყვის სეგმენტებად წარმოსახვა, სავარაუდოდ, ამას შეძლებს კითხვის სწავლის შემდეგ. როგორც ვხედავთ, ფონოლოგიური ცოდნა და კითხვა ერთმანეთთან

მჭიდრო კავშირშია. ერთ-ერთ მათგანში მიღწეული პროგრესი ავტომატურად გულისხმობს წინსვლას მეორეშიც.

სპექტოგრამა არის ძლიერი კომპონენტების დროში განმეორების სიხშირე. უხეში ცვლილებები ამ კომპონენტებში ცვლის ვიზუალურ და ხმოვან საზღვრებს სამეტყველო სეგმენტებს შორის. სიტყვა *fancy* გვიჩვენებს უხეშ საზღვრებს სეგმენტებს შორის, მაგრამ სხვა სიტყვები ყველა შემთხვევაში ასე არაა. *Tell* სიტყვის ბოლო და *me* სიტყვის დასასრული ძნელი გასარჩევია, აგრეთვე *where* სიტყვის ბოლო და *is* სიტყვის დასაწყისი, ასევეა *where* სიტყვის ყველა სეგმენტი. საუბრის ინტერვალთა უმრავლესობა ორ ან ცოტა მეტ სამეტყველო სეგმენტის ინფორმაციას მოიცავს, ვინაიდან მეზობელი ბგერები ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს. ნიშნების უმეტესობა გვიჩვენებს სეგმენტებს შორის გარდამავალ ცვლილებებს, სადაც ორივე ინფორმაცია სახეზეა. ეს განსაკუთრებით ეხება *where* და *bread* სიტყვებში ბგერის ჟღერადობას. აქედან გამომდინარეობს შემდეგი ვითარება: ვინაიდან ბგერების მიმდევრობას, ჩვეულებრივ, სამეტყველო ნიშნები წარმოადგენენ, აზრი, თითქოს შეგვეძლოს სეგმენტების თითოეული ნწყვილის განცალკევება, ნიშანთა ბუნების გაიდებლას უტოლდება.

მეორე განსხვავება ისაა, რომ თუკი დავაკვირდებით წარმოთქმულ ბგერებს, ვნახავთ, რომ სიმართლეს არ შეესაბამება, თითქოს ყველა 'b' ან ნებისმიერი სხვა ბგერა ერთნაირი იყოს ყველა შემთხვევაში. ენა ბგერების მცირე რიცხვს კი იყენებს მრავალჯერ, მაგრამ ეს ბგერები თითოეულ ჯერზე ერთნაირი არაა. უამრავი მცირე განსხვავებაა ერთსა და იმავე ბგერის წარმოთქმებს შორის არა მხოლოდ სხვადასხვა ენებში, არამედ ერთ ენაზე ორი მოსაუბრის წარმოთქმაში და თვით ერთი ადამიანის მეტყველებაშიც კი. 11.1. ნახ.-ზე წარმოდგენილი ორი ბგერა *where* და *bread* სიტყვებში და ორი ხმოვანი *tell* და *bread* სიტყვებში სხვადასხვაგვარად გამოითქმის. ასეთი სახის განსხვავებები სრულიად ბუნებრივია და ეს ყველა ენაში გვხვდება. მაგრამ ადამიანებს არ ესმით ეს მცირე განსხვავებები, ან ესმით სპეციალური წვრთნის შემდეგ. ამგვარად, ჩვენი ნორმალური აღქმა განსხვავდება იმისაგან, რაც ჩვენ შეგვიძლია სამეტყველო ნიშანში ამოვიკითხოთ.



ნახ. 11.1 ფართოჯგუფიანი სპექტოგრამა, ორთოგრაფია და ფართო ტრანსკრიფცია წინადადებისა *Tell me where is fancy bread* (მარგარეტ მეისჩერნის ხმა)

სავარჯიშო 11.1.

ქვემოთ წარმოდგენილ თითოეულ სამეულში, რომელი სიტყვა იწყება განსხვავებული სამეტყველო ბგერით? გააანალიზე სიტყვების მხოლოდ *საწყისი* ბგერები.

მაგალითი: **scale - state - shall - shall** იწყება განსხვავებული ბგერით.

- (1) **countenance - king - cheer**
- (2) **sister - she - cease**
- (3) **equal - eyes - even**
- (4) **again - opponent - all**
- (5) **throne - thy - these**
- (6) **character - chaste - coldly**
- (7) **heart - where - who**
- (8) **jelly - giving - gentlemen**
- (9) **admiration - against - appears**
- (10) **every - each - else**

სავარჯიშო 11.2.

რამდენი ბგერისგან შედგება ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები. განსაზღვრე თანხმოვანია თუ ხმოვანი თითოეული მათგანი.

მაგალითი: **still = 4** ბგერა, CCVC (გვხვდება ერთი ბგერა, რომელიც ორი ასოთია წარმოდგენილი)

- (1) **yet**
- (2) **seems**
- (3) **boot**
- (4) **have**
- (5) **privy**
- (6) **walks**
- (7) **dumb**
- (8) **theme**
- (9) **health**
- (10) **grizzly**

11.1.2. სუპრასეგმენტალები

ცალკეული თანხმოვნებისა და ხმოვნების გარდა (ანუ **სეგმენტების** გარდა) არსებობს წარმოთქმის მახასიათებელი, რომელიც სეგმენტზე მოკლეა და რომელსაც, ჩვეულებრივ, **სუპრასეგმენტალს** ან **პროსოდის** უწოდებენ. **სუპრასეგმენტალი** ნიშნავს სეგმენტზე ზემდგომს. ეს მახასიათებელი აღნიშნავს, რამდენად ხმამაღლაა წარმოთქმული ბგერა, — მისი ხანგრძლივობის, ბგერის სიმაღლის, ენერჯის ხარისხის ვარიანტებს. ყველაფერი ეს გამოიყენება ზოგიერთი ელემენტის უკეთ წარმოსაჩვენად.

ხმოვნები თანხმოვნებზე უფრო თვალსაჩინოა. **მარცვალი** არის სეგმენტების ერთობლიობა, სადაც ერთ-ერთი მათგანი (ძირითადად ხმოვანი) უფრო შესამჩნევია,

ვიდრე დანარჩენები. უხეშად რომ ვთქვათ, თითოეული ხმოვანი მარცვლის ძირითადი ელემენტია, ხოლო მეზობელი თანხმოვნები მარცვალს ხმოვანთან ერთად ქმნიან. მაგალითად, სიტყვას *cat* აქვს ერთი მარცვალი, *adult* – ორი (დაიშლება შემდეგი სახით – *a.dult.*), *oasis* – სამი (*o.a.sis.* თუ არ არის ხმოვანი, მაშინ თანხმოვანი ხდება გამოკვეთილი, როგორც ეს მოხდა ამ სიტყვების შემთხვევაში: *little, children, button* და *paper*.

მარცვლები განსხვავდებიან თვალსაჩინოობით. ხმის სიმაღლის, ხანგრძლივობის ვარიანტები ერთობლივად ქმნიან განსხვავებულ **მახვილებს**, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მარცვალი უფრო ძლიერია, ვიდრე ამავე სიტყვის სხვა მარცვლები. ზოგ შემთხვევაში მახვილის ადგილი განარჩევს ერთ სიტყვას მეორისაგან. მაგალითად, ინგლისური არსებითი სახელია (*a*)CONVICT, სადაც მახვილი პირველ მარცვალზეა და ზმნა (*to*) conVICT, რომელშიც მახვილი მეორე მარცვალს მოუდის. (მახვილის გადანაცვლება ნაჩვენებია მახვილიანი მარცვლის დიდი ასოებით დაწერის გზით). ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სამმარცვლიანი სიტყვა, რომლებსაც სხვადასხვა მარცვალზე მოუდით მახვილი:

(1) მახვილი პირველ მარცვალზე

VANquisher

FUneral

IMpotent

მახვილი მეორე მარცვალზე

disCREtion

adVANtage

reMEMbrance

მახვილი მესამე მარცვალზე

incorRECT

overWHELM

enterTAIN

ხანგრძლივობისა და გარკვეულწილად ხმის სიმაღლის ვარიანტებიც ქმნიან რიტმის განსხვავებას. ენები სხვადასხვაგვარად ჟღერენ მათთვის დამახასიათებელი განსხვავებული რიტმების გამოც. ინგლისური ენის რიტმმა შექსპირს საშუალება მისცა გამოეყენებინა იამბიკური წყობა: სუსტი-ძლიერი-სუსტი-ძლიერი-სუსტი-ძლიერი და ა.შ.

ხმის ტონის ვარიანტები წარმოთქმის სრული მელოდურობისთვის საფუძველს ქმნიან. ზოგ ენაში ხმის ტონი განსაზღვრულია თითოეული სიტყვის თითოეული ხმოვნისთვის; **ტონურობა** არის ტონის სწორედ ასეთი სპეციფიკაცია. ტონურ ენებში ტონის ცვლილების შემთხვევაში თანხმოვანთა და ხმოვანთა მიმდევრობას სხვადასხვა მნიშვნელობა ექნება. ინგლისური ტონური ენა არ არის, მაგრამ აფრიკული და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ენების უმრავლესობა ტონურია, ასევე ამერიკის ზოგიერთი ადგილობრივი ენაც. მაგალითად, კანაში, რომელზეც ნიგერიაში საუბრობენ, სიტყვა *be* (სადაც წარმოითქმის *ay*-ს მსგავსად) ხმადაბალი ტონით ნიშნავს ‘ღობეს’, საშუალო ტონით – ‘სახლს’ ან ‘შედეგნილს’ და მაღალი ტონით – ‘ჩხუბს’.

და ბოლოს, ყველა ენაში, ტონურია თუ არა, ხმის ტონი გამოიყენება მთლიანი გამონათქვამის აზრის გადმოსაცემად და ამას **ინტონაცია** ჰქვია. ინგლისურში

ზოგიერთი ტიპის შეკითხვა ხასიათდება ბოლოში აღმავალი მელოდურიურობით. მაგალითად *Is Hamlet upset?* და *Still here, Laertes?* ესაა წინადადებები, რომლებსაც ბოლო სიტყვაში აღმავალი მელოდია აქვთ, ხოლო წინადადებებს *What did Polonius say?* და *I shall obey you, madam* ბოლოში დაღმავალი მელოდურიურობა ახასიათებთ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, წინადადებებში პროსოდიის ვარიანტთა სიმრავლე და ტიპი გვანვდის ინფორმაციას ნათქვამისადმი მთქმელის დამოკიდებულების შესახებ. განვიხილოთ, მაგალითად, ფრაზა: *To be, or not to be; that is the question*. მას შეიძლება ჰქონდეს მშრალი ან ცოცხალი ინტონაციური უღერადობა; ზოგიერთი ნაწილი შეიძლება გაინელოს ან აჩქარდეს წარმოთქმისას. ზოგი სემანტი შეიძლება უფრო ძლიერად იყოს წარმოთქმული. ყველა ეს სუპრასემანტალი გვეხმარება ამ ფრაზის მსახიობური ინტერპრეტაციის სახის მიცემაში.

სავარჯიშო 11.3

სიტყვების თითოეულ სამეულში ერთ-ერთ ნევრს დანარჩენი ორისგან განსხვავებულ მარცვალზე აქვს მახვილი. გამოყავით ეს სიტყვა. თუ ზუსტად არ იცით სად არის ამა თუ იმ სიტყვაში მახვილი, მოიძიეთ ლექსიკონში.

მაგალითი: **question - scholar - tonight** - აღნიშნეთ 'tonight'.

- (1) **expressed - surprised - triumph**
- (2) **luxury - malicious - ministers**
- (3) **porcupine - secrecy - illusion**
- (4) **possess - answer - gracious**
- (5) **extravagant - revolution - disposition**

სავარჯიშო 11.4

ხაზი გაუსვით მახვილიანი მარცვლის ხმოვანს თითოეულ სიტყვაში (თუ ორი ასო ქმნის ერთ ხმოვანს, გახაზეთ ორივე).

მაგალითი: **foolishly - foolishly**

- (1) **extravagant**
- (2) **intermission**
- (3) **encounter**
- (4) **hospitality**
- (5) **unworthy**
- (6) **reputation**
- (7) **unwillingly**
- (8) **childishness**
- (9) **philosophy**
- (10) **messengers**

11.2 ფონეტიკური ანბანი

ამ ქვეთავში თავდაპირველად განვიხილავთ, როგორ უნდა წარმოვადგინოთ ენაში არსებული ძირითადი ბგერები. ამ უკანასკნელთა რიცხვში ვგულისხმობთ ბგერების იმ მინიმალურ ოდენობას, რაც საჭიროა განსხვავებული სიტყვების შესაქმნელად. ეს კი

მოითხოვს ორ ბგერას შორის იმ განსხვავების უგულვებლყოფას, რაც არ განასხვავებს სხვადასხვა სიტყვას და რაც უცნობია ამ ენაზე მოსაუბრეთათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავადგენთ ამ ძირითადი ბგერების გამოხატვისთვის საჭირო სიმბოლოებს, განვაგრძობთ დეტალების განხილვას და ასევე სუპრასემანტალების ტრანსკრიფციის სახით გადმოცემას.

11.2.1 ორთოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემები

ფონეტიკური ანბანი არის სიმბოლოთა ჯგუფი, რომელიც სამეტყველო ბგერების წარმოსადგენად გამოიყენება. ფონეტიკურ ანბანთა უმრავლესობის ფუნდამენტური პრინციპია, რომ **თითოეული სიმბოლო უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ერთ ბგერას და თითოეული ბგერა წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი სიმბოლოთი**. იმის მიხედვით, თუ რას ვგულისხმობთ ერთ ბგერაში მსოფლიოს ენების სტანდარტული ორთოგრაფიები არღვევენ ამ პრინციპს ერთი ან ორივე მიმართულებით. ინგლისურშიც ასევე არღვევს ამ პრინციპს, ვინაიდან მას 26 ასო აქვს 40 ძირითადი ბგერის წარმოსადგენად. ზოგიერთ ასოს ორმაგი ფუნქცია აქვს, მაგალითად -ს. ერთი ბგერის გამოხატვისთვის ზოგჯერ ასოთა კომბინაციები გამოიყენება, ასეთია, ვთქვათ, წყვილი. ერთდროულად ორმხრივი დარღვევაა *th*წყვილის შემთხვევაში, როცა ორი ასო ორ განსხვავებულ ბგერას გამოხატავს, ამის ნიმუშია სიტყვები *thin* და *this*.

პრინციპის დარღვევის ერთი მიზეზი ისაა, რომ წარმოთქმა იცვლება, ხოლო ორთოგრაფია სტანდარტირებულია. მაგალითად, ინგლისურში საკმაოდ ბევრია სიტყვათა ისეთი ჯგუფები, სადაც სხვადასხვაგვარად დაწერილი სიტყვები ერთნაირად გამოითქმის. მაგალითად, *rite/right/write/wright* ეს სიტყვები განსხვავებულად გამოითქმოდა, მაგრამ ენის დროში ცვლილებასთან ერთად მათი გამოთქმა ერთმანეთს დაემსგავსა და ახლა ბგერათა ერთნაირი მიმდევრობის ჩასაწერად ასოთა ოთხი განსხვავებული მიმდევრობა გვაქვს. იმისათვის, რომ ორთოგრაფიაში შენარჩუნდეს ერთი ბგერისა და ერთი ასოს შესატყვისობის წესი, საჭიროა, სიტყვების წერილობითი ფორმაც დროთა განმავლობაში ისე შეიცვალოს, როგორც წარმოთქმა იცვლება. ძირითადი პრინციპის დარღვევის მეორე მიზეზია ის, რომ ერთ ენაზე სხვადასხვა მოსაუბრეს განსხვავებული გამოთქმა აქვს. არანაირ სტანდარტულ ორთოგრაფიას არ შეუძლია დაიცვას ეს წესი ერთ ენაზე ყველა მოსაუბრესათვის; მისი მიზანია, ამ ენაზე წერა-კითხვა ყველა მოსაუბრემ შეძლოს. მაგალითად, ინგლისურში სიტყვების უამრავი ჯგუფია, რომელთაც განსხვავებულად წარმოთქვამენ. როგორც ეს (2) -შია ნაჩვენები. ეს სიტყვები ერთი ბგერისა და ერთი სიმბოლოს პრინციპს ზოგისთვის არღვევს, ზოგისთვის – არა. წაიკითხეთ და გადაწყვიტეთ, ერთგვარად წარმოთქვამთ მათ თუ არა:

(2) ზოგი სიტყვა ზოგჯერ ერთნაირად გამოითქმის:

ა. witch	which	
ბ. horse	hoarse	
გ. morning	mourning	
დ. sot	sought	
ე. bawdy	body	
ვ. father	farther	
ზ. Mary	merry	marry
თ. pour	pour	pore

თუ უფრო ჩაუღრმავდებით, ყველა ორთოგრაფია არღვევს ამ ძირითად პრინციპს იმდენად, რამდენადაც ორთოგრაფია წარმოადგენს ენის შხოლოდ ძირითად ბგერებს და არა მათ ვარიანტებს კონკრეტულ კომბინაციებსა და სიტყვაში განსაზღვრულ პოზიციებში. შენ იცი როგორ იწერება სიტყვა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, იცოდევ როგორ უნდა წაიკითხო ის. გჭირდება იმ ადამიანის ცოდნის შექმნა, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია. მაგალითად, ბევრი ამერიკელი *t-r* (სიტყვაში *train*) *tw(twin)* და *ty (got you)* წყვილებს ისე წარმოთქვამს, რომ ისმის *chr*, *chw* ან *ch* ბგერები, რაც არის ისეთი სახის წარმოთქმა, რასაც სტანდარტული წაკითხვის წესებით ვერ მიხვდები. (თუმცა არაფორმალური ვერსიები, როგორიცაა *gotcha* ამის მაჩვენებელია.)

ამგვარად, სიტყვების ორთოგრაფიული ტრანსკრიფციები (ან წერილობითი ვარიანტები) ცალსახად არ ასახავს წარმოთქმის ყველა იმ ასპექტს, რომელთა გამოხატვაც შეიძლება ჩვენ გვინდოდეს. ფონეტიკური ანბანები განსხვავდება სხვა ენებში გამოყენებული ორთოგრაფიული სისტემებისგან. საუკეთესო შემთხვევებში, ფონეტიკურ ანბანებს შეუძლია წარმოგვიდგინოს ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმის სხვადასხვა ვარიანტი. ფონეტიკურ ტრანსკრიფციას შეუძლია ისე წარმოაჩინოს სიტყვა, რომ ენის არმცოდნე შეძლოს ამ სიტყვის ზუსტი წარმოთქმა. როგორც მე-2 თავში იყო აღნიშნული, ფონეტიკური სიმბოლოები მოქცეულია ოთხკუთხა ფრჩხილებში, რათა განიჩინოს ანბანის ორთოგრაფიული სიმბოლოებისგან.

ჩანართი 11.2

ლექსიკონებში წარმოდგენილი წარმოთქმის ნიმუშები

ლექსიკონები თითქმის ყოველთვის იძლევა სიტყვების წარმოთქმის ნიმუშებს. ბევრი თანამედროვე ლექსიკონი ამ მიზნისთვის იყენებს საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის სიმბოლოებს (ე.წ. IPA). ამ პრაქტიკის ძირითადი გამონაკლისია ამერიკული ინგლისურის ლექსიკონები, რომლებიც ზემოაღნიშნული სიმბოლოების ნაცვლად იყენებენ სიტყვის წერილობით ფორმასთან მიახლოებულ ასოთა კომბინაციებს ამ სიტყვის გვერდით. მაგალითად, ლექსიკონში შეიძლება გამოყენებული იყოს *ee* გრძელი ბგერის აღსანიშნავად, როგორც ეს *see* სიტყვაშია. მაშინ მკითხველებმა იგივე ხმოვანი უნდა გამოიყენონ *seat*, *receive* და ა.შ. სიტყვებისთვისაც.

აღნიშვნები ენის გარედანაა შემოღებული (IPA სიმბოლოები) ან მის შიგნითაა შექმნილი (სიტყვებში გამოყენებული სიმბოლოები). ლექსიკონებში წარმოდგენილი წარმოთქმის ნიმუშები ყოველთვის ერგება მკითხველის პრაქტიკულ ცოდნას. სიტყვების ტრანსკრიფციები, ჩვეულებრივ, შემოიფარგლება ენის ძირითადი ბგერებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოცემული ბგერა ყველა შემთხვევაში ერთნაირად გამოითქმება. მკითხველი, რომელიც ამ ტრანსკრიფციებს განსაკუთრებულ ღირებულებას მიანიჭებს (მაგალითად, ენის შემსწავლელი) ისაუბრებს მეტისმეტად ყურადღებით, არაბუნებრივადაც კი, ვინაიდან ბგერების ბუნებრივი ვარიანტები მის გაბმულ მეტყველებაში არ იქნება.

ლექსიკონმა რომ გამოთქმის ფართო ტრანსკრიფცია მოგვცეს, უნდა გადაწყდეს თუ რამდენი განსხვავებული ვარიანტი იქნება დასაშვები ენაში. დამაბნეველი და გამაღიზიანებელი იქნება, თუ ლექსიკონში წარმოდგენილი წარმოთქმა არ შეესაბამება მკითხველისას. რომელი გვიჩვენია, რომ ლექსიკონში აღნიშნული იყოს ისეთი განსხვავებები, რასაც თავად არასოდეს წარმოვთქვამთ (როგორც ზემოთ (2) და ქვემოთ (5) წინადადებებშია), თუ ლექსიკონმა გვიჩვენოს რაც შეიძლება მცირე სხვაობები წარმოთქმებს შორის (როგორც ეს 11.7 სავარჯიშოშია)?

საპარჯიშო
11.5

ქვემოთ წარმოდგენილი თითოეული ინგლისური სიტყვა მოიცავს *s* და *c* ასოებს ორი სახით. *s* ასო წარმოითქმის [s] და [z], ხოლო *c* ასო კი – [s] და [k]. თითოეულ სიტყვაში ეს ასოები ერთსა და იმავე ბგერას ასახავს თუ სხვადასხვას?

მაგალითი: **season** – ორი *s* ასო გამოითქმის განსხვავებულად, ერთ შემთხვევაში [s] ბგერაა, მეორე შემთხვევაში კი – [z]

- (1) **Francisco**
- (2) **pastors**
- (3) **resolves**
- (4) **sometimes**
- (5) **surprised**
- (6) **disposition**
- (7) **wisdoms**
- (8) **secrecy**
- (9) **spirits**
- (10) **sensible**

საპარჯიშო
11.6

ქვემოთ წარმოდგენილ თითოეულ სიტყვაში შედის მდუმარე ასო. თუკი ამ ასოს ამოვიღებთ სიტყვიდან, ეს სიტყვა მაინც გვიჩვენებს მისი წაკითხვის გზას. წარმოთქვით ეს სიტყვები, იპოვეთ და შემოხაზეთ ის ასო, რომელიც არ გამოითქმის.

მაგალითი: **answer**: *w* ბგერა არის ჩუმი (ამ სიტყვის ასეთი სახით დაწერაც იქნებოდა შესაძლებელი – **anser**)

- (1) **guard**
- (2) **designed**
- (3) **black**
- (4) **witch**
- (5) **wrung**

11.2.2 IPA და სხვა ფონეტიკურ ანბანთა სახეები

ბევრი ფონეტიკური ანბანი გამოგონებულია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში. ყველაზე გავრცელებულია **საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაცია** (ან **IPA**). ამ ანბანს **საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი** ჰქვია (აბრევიატურაა ისევ **IPA**). სხვა ფონეტიკური ანბანებისგან განსხვავებით IPA ცდილობს, ყველა ბგერას შესაბამისი სიმბოლო ჰქონდეს. მეორე განსხვავება IPA-სა და სხვა ანბანებს შორის ისაა, რომ IPA ჩამოყალიბდა და განვითარდა ისეთი ორგანიზაციის მიერ, რომლის წევრები და ხელმძღვანელები განიხილავდნენ და ხმის მიცემის საშუალებით იღებდნენ მასში ცვლილებების შეტანის გადაწყვეტილებებს. 1989 წელს კიოლნში (გერმანია) მიიღეს საერთაშორისო კონვენცია IPA-ს განახლების თაობაზე.

IPA-ს უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ფართოდაა გავრცელებული და ამ ანბანის გამოყენებით ჩანერილი ტრანსკრიფციის წაკითხვა ბევრს შეუძლია. ამიტომაც ამ ტექსტშიც IPA-ს გამოვიყენებთ. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩანერის

სხვა სისტემებიც კარგია სხვა, უფრო შეზღუდული მიზნებისთვის. ცალკეული ენის მკვლევრებმა შეიმუშავეს ამ ენებისთვის თავისებური სისტემები, რომლებიც შეიძლება მეტ-ნაკლებად ახლოს იდგეს IPA-თან. კონკრეტულად კი, ამერიკელი ლინგვისტები იყენებენ რამოდენიმე ისეთ სიმბოლოს ინგლისურის ჩასაწერად, რაც IPA-ში არაა, რასაც, სავარაუდოდ, სხვა სახელმძღვანელოებში ნახავთ. ეს თავი წარმოგიდგინთ IPA-ს, მაგრამ თქვენმა პედაგოგმა შეიძლება ზოგ შემთხვევაში სხვა სიმბოლოებიც გამოიყენოს.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ IPA-ს სიმბოლოები ვერ იძლევა ფონეტიკური ტრანსკრიფციის სრული შესატყვისობის გარანტიას. ორი ლინგვისტი შეიძლება არ დაეთანხმოს ერთმანეთს მათ მიერ განხილული ბგერის მახასიათებლებზე და ორივემ IPA-ს სხვადასხვა სიმბოლო გამოიყენოს ამ ბგერის ჩასაწერად. გარდა ამისა, IPA იძლევა იმის საშუალებას, რომ რთული სიმბოლოები მარტივით ჩანაცვლდეს ცაკლესულ ენასთან მიმართებაში, თუკი ეს დაბნეულობას და არევას არ გამოიწვევს. ინგლისური ენის ბგერებისთვის სიმბოლოების შერჩევას ჩვენ უპირატესობას მივანიჭებთ ამ სისტემას.

11.2.3 IPA-ს ძირითადი სიმბოლოები ამერიკული ინგლისურისთვის

(3) მაგალითი გვაძლევს მინიმალური ოდენობის სიმბოლოებს, რომლებიც შეესაბამება ამერიკულ ენაზე უმეტეს მოსაუბრეთა თანხმონებებსა და ხმოვნებს. მკაცრად რომ განვიხილოთ, #35 [ə] და #37 [ɔ] არ არის საჭირო ამ მიზნებისთვის, მაგრამ ჩვენ ჩავწერეთ, რომ ისინი აქტიურად გამოყენებულნი და მოსახერხებელნი არიან, გარდა ამისა, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს ბგერები ინგლისურის ძირეულ ბგერათა რიცხვს ეკუთვნიან. აგრეთვე #31[ɔ] არ არის საჭირო ამერიკულ ინგლისურზე მოსაუბრეთა მეტყველების ჩასაწერად, ვინაიდან ეს ხმოვანი ხშირად იკარგება, მაგრამ ჩვენ მაინც ჩავწერეთ იმით გამო, ვინც ჯერ კიდევ იყენებს ამ ბგერას. ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ეს ბგერა შეტანილია ყველა სახელმძღვანელოსა და მითითებულ წიგნებში (ეს ხმოვანი გვხვდება სიტყვაში *caught*). მეორე მხრივ, ქვემო ჩამონათვალში არ შეგვიყვანია ინგლისურის სხვა დიალექტების ხმოვნები, რომლებიც ამერიკაში არ გამოიყენება (როგორიცაა ბრიტანული [ɪ] სიტყვაში [pot]) და არც ის ბგერები, რომელთაც საკმაოდ ცოტა ამერიკელი იყენებს (როგორიცაა [ʌ] სიტყვაში *which*).

ძირითადი ბგერების გვერდით არის რამდენიმე ისეთი ბგერა, რომელთა გამოხატვა ხდება ორი ფონეტიკური სიმბოლოს საშუალებით: # 17, 18, 38, 39, 40. ამ სიმბოლოებით ჩანერილი ბგერები ორი განსხვავებული ბგერითი თვისებით ხასიათდება. ეს ბგერები ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილშიცაა შეტანილი, ვინაიდან ისინი ენაში ერთი ბგერის ფუნქციას ასრულებენ.

ამ სიმბოლოების უმრავლესობა ინგლისური ორთოგრაფიისთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ მათ შორის არის განსხვავებული სიმბოლოებიც. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ, რომ # 19, 25, 30 და 34 ბგერები არ ასახავს მათ საერთო ინგლისურ ღირებულებებს, თუმცა ისინი შეესაბამება ინგლისურში ზოგიერთ ნასესხებ სიტყვებსა და საკუთარ სახელებში გამოყენებულ სიმბოლოებს.

(3) **ინგლისური ენის ძირითადი ბგერები, შედგენილი სიმბოლოთა მინიმალური ოდენობის გამოყენებით.** თუ ხაზგასმით არაა აღნიშნული, ბგერა გვხვდება როგორც სიტყვის დასაწყისში, ისე ბოლოში. ჩამოთვლილი ყველა სიტყვა შექსპირის პიესებში გვხვდება:

ფონეტიკური სიმბოლო	ნიმუში
1 p	pope
2 b	<u>b</u> arber
3 m	mum
4 f	fife
5 v	vive
6 t	taunt
7 d	deed
8 n	nun
9 r	rare
10 θ	thousandth
11 ð	<u>t</u> his, brea <u>t</u> he
12 s	source
13 z	zanie
14 ʃ	shush
15 ʒ	measure
16 l	lull
17 tʃ	church
18 dʒ	judge
19 j	yoke
20 k	cook
21 g	gag
22 ŋ	singing
23 w	<u>w</u> e
24 h	<u>h</u> e
25 i	easy
26 ɪ	<u>i</u> mitate
27 e	able
28 ɛ	edge
29 æ	<u>b</u> attle, att <u>a</u> ck
30 a	<u>f</u> ather
31 ɔ	f <u>o</u> ught
32 o	r <u>o</u> ad
33 ʊ	<u>b</u> ook, sh <u>o</u> uld
34 u	<u>f</u> ood
35 ə	aroma
36 ʌ	but
37 ɔ (ɔ̃ ʃ)	bird
38 aɪ	r <u>i</u> de
39 aʊ	<u>h</u> ouse
40 oɪ (ɔɪ)	<u>b</u> oy

ამ სიმბოლოებით უამრავი სიტყვის ზუსტი წარმოთქმის ზოგიერთი ფორმა შეიძლება გადმოიცეს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისური სიტყვები მახვილითაც განირჩევა. შესაბამისად, ინგლისურ სიტყვათა წყვილების გასარჩევად და მათთვის ერთადერთი ტრანსკრიფციის ჩასაწერად გვესაჭიროება ხმოვნებთან და თანხმოვნებთან ერთად მახვილის ტრანსკრიფციაც. მართალია, სხვადასხვა ხარისხის მახვილი არსებობს, მაგრამ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სიტყვაში მხოლოდ ყველაზე ძლიერ მახვილზე, როგორც ეს სუპრასემანტალების შემთხვევაში გავაკეთეთ 11.1.2. ქვეთავში. ყველაზე ძლიერ მახვილს **მთავარი** ანუ **პირველადი მახვილი** ჰქვია. IPA-ს მიხედვით, მახვილის აღსანიშნად ვერტიკალურ აღმნიშვნელ ნიშანს დავსვამთ მახვილიანი მარცვლის წინ (ან ნებისმიერ თანხმოვანზე, რომელიც მას წინ უსწრებს): [ˈkanvɪkt] — ასე ჩაიწერება არსებითი სახელი CONvict, მაგრამ ამერიკულ ინგლისურში მიღებულია მახვილის სიმბოლოს დასმა მახვილიანი ხმოვნის თავზე: [kánvɪkt] მახვილი ნაჩვენები იქნება იმ ვითარებაში, სადაც ორ სიტყვას განსხვავებს და არა იმ სიტყვების ტრანსკრიფციებში, რომლებიც (3) მაგალითშია წარმოდგენილი.

მხოლოდ ძირითად სიმბოლოთა ჯგუფის გამოყენებით ჩანერილ ტრანსკრიფციას ჰქვია **ფართო ტრანსკრიფცია** ან **ფონემური ტრანსკრიფცია** (ჩვენი მიზნებისთვის ამ ორ ტერმინს ურთიერთჩანაცვლებით გამოვიყენებთ). ფართო ტრანსკრიფცია ძირითადად დახრილ ფრჩხილებშია ჩასმული, მაგალითად /a/. როცა ტრანსკრიფცია გამოთქმის დეტალებს გამოხატავს, მაშინ მას **ვინრო ტრანსკრიფცია** ჰქვია. ფართო და ვინრო ტრანსკრიფციებს შორის განსხვავება ხარისხშია: რაც უფრო მეტ დეტალს მოიცავს, მით უფრო ვინროა ტრანსკრიფცია. შესაბამისად, თითოეული სიტყვა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთზე მეტი ვარიანტის სახით. როგორც ზემოთ აღვნიშნა, ვინრო ტრანსკრიფციები ოთხკუთხა ფრჩხილებშია მოქცეული, მაგალითად [a], თუმცა ხშირად ფართო ტრანსკრიფციებიც იწერება ასეთი ფრჩხილებით იმის აღსანიშნად, რომ ტრანსკრიფცია არ არის ფართო ან ფონემური. (ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგი თავი). აღსანიშნავია, რომ ფართო ტრანსკრიფცია სავარაუდოდ გამოიყენება მეტწილად მოსაუბრეთა უმრავლესობისთვის. ფართო ტრანსკრიფცია ვინროსთან შედარებით იძლევა გაცილებით ნაკლებ ინფორმაციას ზუსტ წარმოთქმასთან დაკავშირებით.

ფართო ტრანსკრიფციაში სიმბოლოთა დასაშვები ჯგუფი მკაცრად შეზღუდულია, მაგალითად (3) მაგალითში. სიტყვები ტრანსკრიფციით გადმოცემულია მხოლოდ ამ სიმბოლოებით. თუმცა, ზოგჯერ ბგერათა კონკრეტული კომბინაცია დასაშვებ სიმბოლოთა კომბინაციისგან განსხვავებულად ჟღერს, ამიტომაც სტუდენტები (და პროფესიონალი ენათმეცნიერები!) არ არიან დარწმუნებულნი, რომელი სიმბოლოს გამოყენებაა საჭირო ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგალითად, [r] ბგერის წინ წარმოდგენილი ხმოვნები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან თვისობრივად და მოსაუბრეები შეიძლება ვერ შეთანხმდნენ, რომელი ძირითადი სიმბოლოთი უნდა მოხდეს მათი გამოსახვა. Air სიტყვაში გამოყენებული ხმოვანი *able*-ის ხმოვანთან უფრო ახლოს დგას თუ *edge*-ში წარმოდგენილ ხმოვანთან? ალბათ უმეტესობისთვის ეს ბგერა სადღაც ამ ორ ბგერას შორის დგას. ამ საკითხთან მიმართებაში ორი მიდგომა არსებობს. ფართო ტრანსკრიფციაში ზოგიერთი სტანდარტიზებული ტრანსკრიფციაა ათვისებული, რომელიც შეიძლება საეჭვოდ გამოიყურებოდეს. ამგვარად, ამ თავში + /r/ -სა და ხმოვნების შემდეგ კომბინაციებს გამოვიყენებთ ფართო ტრანსკრიფციაში: /ir, er, ar, or, ur, air, aur/.

სიმბოლოების ინვენტარის მინიმუმიდან გავრცობის მეორე მიდგომა მიდგომარეობს რამდენადმე ვინრო ტრანსკრიფციის წარმოდგენაში. ამის გაკეთება შეიძლება ან სიმბოლოების ან **დიაკრიტიკული** ნიშნების დამატებით. ეს უკანასკნელი სიმბოლოებს მათი ღირებულების აღსანიშნად ემატებიან. ჩვენ შემოგთავაზებთ ძირითადი სიმბოლოების გარდა რამდენიმე ვარიანტს, ვინაიდან არის ბგერის ზოგიერთი მახასიათებელი, რომელიც სასურველია, ცალკე სიმბოლოს საშუალებით აღინიშნოს. ასე თვლის იმ მოსაუბრეთა უმრავლესობა, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა.

1. /t/ და /d/ ხშირად ერთნაირად ჟღერს და სუსტად და სწრაფად წარმოითქმის. ისინი შეიძლება ასე ჩავენეროთ [r]: *city* ['sɪrɪ], *ready* ['rɛrɪ], *sanity* ['sænrɪ].

2. უმრავლესობას მიაჩნია, რომ /m, n, l/ ბგერების წარმოთქმა შეიძლება გვერდით მყოფი უმახვილო ხმოვნების გარეშე, როგორც, მაგალითად სიტყვებში: *bottom*, *button*, *bottle*. ამ შემთხვევაში ისინი ითვლებიან **მარცვლოვან** თანხმოვნებად და ტრანსკრიფციაში წარმოდგენილი არიან პატარა ვერტიკალური ხაზის თანხლებით: [m̩, n̩, l̩]. ჩვეულებრივ, ეს სამი მარცვლოვანი თანხმოვანი არ არის შეტანილი ენის ძირითად ბგერებს შორის. მათ ნაცვლად კი ფართოდ გამოიყენება [ə] ბგერის დამატება თანხმოვნის წინ: /əm, ən, əl/. მარცვლოვანი სიმბოლოები [m̩, n̩, l̩] მხოლოდ ვინრო ტრანსკრიფციებში გვხვდება. მაგალითად, *bottom* სიტყვას [bɑrəm̩]-ის სახით ჩვენერთ ფართო ვარიანტად, ხოლო ['bɑrɒm̩] ვინროს სახით.

ამის პარალელურად, /r/-ც შეიძლება ჩაითვალოს მარცვლოვან თანხმოვნად ისეთ სიტყვაში, როგორიცაა *butter*. თუმცა, ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ, რომ ამ ფუნქციას #37 ძირითადი სიმბოლო /ʒ/ ასრულებს. იმის მიზეზი, რომ ამ ბგერისთვის ცალკე სიმბოლო არსებობს, როგორც *bird*-ში, [m̩, n̩, l̩], ბგერებისგან განსხვავებით, ისაა, რომ /ʒ/ ბგერა გვხვდება მახვილიან და უმახვილო მარცვლებში. თუმცა, შესაძლებელია *bird* და *butter* სიტყვების [r] სიმბოლოთი გამოხატვა, რასაც ჩვენ შემდეგ თავში გამოვიყენებთ.

3. თანხმოვნები /p/, /t/ და /k/ ზოგჯერ წარმოითქმის დამატებითი ჰაერის ს მსგავსი მსუბუქი ჰაერნაკადით, რასაც **ასპირაციას** (ანუ **ფშვინვიერობას**) უწოდებენ. ისინი ჩაინერება [p^h], [t^h], [k^h]. ქვემოთ ასპირაცია სიღრმისეულადაა განხილული.

4. ბგერას, რომელიც ხველების დაწყებისას ან *uh-oh* ფრაზის დასაწყისში ან შუაში ჟღერს, ჰქვია **გლოტალური ხშვა**, რომელიც ტრანსკრიფციაში წარმოდგენილია [ʔ] სიმბოლოს საშუალებით: ['ʔʌɪɔ]. ამგვარივე ბგერა გამოითქმის /p/ /t/ ან /k/ თანხმოვნებთან. ამ შემთხვევაში მათ **გლოტალურებს** უწოდებენ და შემდეგნაირად წერენ: [ʔp] [ʔt] [ʔk].

5. ჩვეულებრივ თანხმოვნები /p t k b d ɡ m n ŋ / ისე წარმოითქმის, რომ თანხმოვნის ბოლოს პირის გაღებისას ბგერა წარმოიქმნება, რომელიც ხშირად არ ისმის და ამბობენ, რომ თანხმოვანი **არ ისმის** და ჩაინერება [p^h]. თანხმოვნები [p t k] შეიძლება წარმოითქვას გლოტალიზებული დამართვით ([ʔp]) ან მის გარეშე ([p^h]) ან ერთდროულად იყოს დამართვა და ასპირაცია ([ʔp^h])

6. მახვილიანი ხმოვნები შეიძლება სხვადასხვა თვისებათა თანმიმდევრობად ჟღერდეს. მაგალითად ხმოვანი /ei/ შეიძლება ვინრო ტრანსკრიფციაში წარმოდგენილი იყოს, როგორც [e].

7. ხმოვნები შეიძლება აღინიშნოს ანეული ტილით, როცა მათი წარმოთქმისას ჰაერნაკადი ცხვირის ღრუში გადის (**ნაზალიზაცია**) [m̩] [n̩] [ŋ] თანხმოვნების გვერდით.

(4) მაგალითში მოყვანილი ჩამონათვალი გვიჩვენებს (3)-ში წარმოდგენილი სიტყვების ფართო და ვინრო ტრანსკრიფციას. ფართო ტრანსკრიფციაში მახვილი

აღნიშნულია მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვების გარჩევის ფუნქცია აქვს, ხოლო ვინრო ტრანსკრიფციაში მახვილის გამოყოფა ხდება ყველა ორ და მეტმარცვლიან სიტყვებში. გარდაუვალია, მკითხველებმა აქ წარმოდგენილი სიტყვები განსხვავებული სახით წარმოთქვან. ვინრო ტრანსკრიფცია კი თვითნებურადაა შერჩეული და წინასწარგზრახულადაა შექმნილი, რომ მაგალითების მიხედვით განსხვავებოდეს (მაგალითისთვის შეადარეთ განსხვავებული /k/ დაბოლოება სიტყვებში – *yoke, cook, book* და *talk* – ყველა წარმოდგენილი გამოთქმა დასაშვებია ამ სიტყვებისთვის). ზოგიერთი სიტყვისთვის ფართო და ვინრო ტრანსკრიფცია ერთი და იგივეა; არაა რომელიმე ბგერის ისეთი მახასიათებელი, რაც ვინრო ტრანსკრიფციაში უნდა გამოიკვეთოს. აქ წარმოდგენილი ვინრო ტრანსკრიფციების ზოგიერთი ასპექტი შემდგომ იქნება განხილული.

წარმოთქმულის ვინრო ტრანსკრიფციის წარმოდგენა მოითხოვს იმაზე მეტ ცოდნას, ვიდრე ზოგადი კურსი იძლევა. აქ ნაჩვენები დეტალები მიზნად ისახავს, განიხილოს ზოგიერთი შესაძლო ვარიანტი სიტყვის წაკითხვისა. გარდა ამისა, ეს დეტალები გამოიყენება ინგლისურისა და სხვა ენების განხილვისას. მაგალითად, ზოგ ამერიკულ (კანადურ) დიალექტებში /a/ წარმოითქმის, როგორც /AI/, როგორც შემდეგ თავში განხილულ სიტყვაშია – *fife*.

(4) ინგლისური სიტყვების ფართო ტრანსკრიფციებისთვის გამოიყენება (3)-ში წარმოდგენილი სიმბოლოები. ვინრო ტრანსკრიფციებში გვხვდება IPA-ს დიაკრიტიკული ნიშნები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ჯერ არ განგვიხილავს. პირველი მაგალითის შემდეგ ფრჩხილები გამოტოვებულია.

სიტყვა (ორთოგრაფია)	ფართო ტრანსკრიფცია	ვინრო ტრანსკრიფცია
pope	/pɒp/	[p ^h ɒp ¹]
barber	barbə	'barbə
mum	mʌm	mʌm ¹
fife	fʌɪf	fʌɪf
vive	viv	viv
taunt	tant	t ^h ʌnt ¹
deed	did	did ¹
nun	nʌn	nʌn ¹
rare	rer	rer
thousandth	θaʊzɪnθ	'θaʊzɪnθ
this	ðɪs	ðɪs
breathe	brið	brið
source	sɔrs	sɔrs
zanies	zeniz	'zemiz
shush	ʃʌʃ	ʃʌʃ
measure	mɛʒə	'mɛʒə
lull	lʌl	lʌl
church	tʃəʃtʃ	tʃəʃtʃ
judge	dʒʌdʒ	dʒʌdʒ

yoke	jok	jok ^h
cook	kɔk	k ^h ɔk
gag	gæg	gæg ^ʰ
singing	sɪŋɪŋ	'sɪŋɪŋ
we	wi	wi
he	hi	hi
easy	izi	'izi
imitate	ɪmɪtət	'ɪmɪt ^h e?t ^ʰ
able	ebəl	'ebl
edge	edʒ	edʒ
attack	ətæk	ə't ^h æk
battle	bætəl	'bærl
father	faðə	'faðə
talk	tak	t ^h a?k
road	rod	rod ^ʰ
book	bɔk	bɔk ^ʰ
should	ʃʊd	ʃʊd
food	fud	fud ^ʰ
aroma	əromə	ə'romə
but	bʌt	bʌ?t ^ʰ
ride	raɪd	raɪd ^ʰ
house	haʊs	haʊs
boy	bɔɪ	bɔɪ
convict	kənvɪkt	'k ^h ənvɪ?k ^ʰ t
air	er	er
or	ɔr	ɔr
city	sɪtɪ	'sɪrɪ
ready	redi	'rɛrɪ
sanity	sæntɪ	'sænrɪ
bird	bɜ:d	bɜ:d ^ʰ
butter	bʌtə	'bʌrə
bottom	bɒtəm	'bɒrɒm

თითოეული სიტყვისთვის მოცემულია ფართო ტრანსკრიფციის ვარიანტები. აღნიშნე, ამათგან რომელია შეთავსებადი სიტყვის წარმოთქმასთან და IPA-ს სიმბოლოების ფართო ტრანსკრიფციასთან, რაც წინა თავში და (3) მაგალითში იყო გამოყენებული.

სავარჯიშო
11.7

მაგალითი: cat	(a) /cat/	(b) /kat/	(c) /kæt/	(d) /cæt/	პასუხი (C)
(1) see	(a) /see/	(b) /si/	(c) /cee/	(d) /sy/	
(2) Fuji	(a) /fuji/	(b) /fuge/	(c) /fudʒi/	(d) /fudʒe/	
(3) class	(a) /class/	(b) /kلاس/	(c) /clæs/	(d) /klæs/	
(4) you	(a) /you/	(b) /ju/	(c) /jou/	(d) /yu/	

(5) spa	(a) /spa/	(b) /spæ/	(c) /spo /	(d) /ʃpa/
(6) she	(a) /she/	(b) /ʃe/	(c) /shi/	(d) /ʃi/
(7) sir	(a) /sir/	(b) /sɜ:/	(c) /ʃir/	(d) /ser/

სავარჯიშო 11.8

ჩანერეთ ჩვეულებრივი ინგლისური ორთოგრაფიით შემდეგი სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილია ფართო ტრანსკრიფციის სახით და დამატებული აქვს რამდენიმე სიმბოლო. მაშინაც, როცა აქ წარმოდგენილი გამოთქმის მოდელი არ ემთხვევა თქვენსას, უნდა შეძლოთ მისი გამოცნობა. თუ გაეჭვებთ რომელიმე სიტყვის სწორად ჩანერა, მოძებნეთ ლექსიკონში.

მაგალითი: [mʌtʃ] არის *much*

- (1) [nait]
- (2) ['mjuzɪk]
- (3) ['bælkəni]
- (4) [gost]
- (5) ['mʌsi]
- (6) ['merɪdʒ]
- (7) ['ferɪz]
- (8) ['berli]
- (8) ['tʃrædʒəri]
- (10) ['kʌntrɪmɪn]

სავარჯიშო 11.9

წარმოადგინეთ მოცემული სიტყვების ფართო ტრანსკრიფცია საკუთარი წარმოთქმის მიხედვით. ან მოძებნეთ ეს სიტყვები ლექსიკონში და IPA-ის სიმბოლოების გამოყენებით ჩანერეთ. არ აღნიშნოთ მახვილი, თუ ხელმძღვანელი არ გეტყვით:

- (1) **xerox**
- (2) **utopia**
- (3) **direct**
- (4) **photo**
- (5) **triumph**

მაშინაც კი, როცა გამოიყენება ფართო ტრანსკრიფციისათვის შეზღუდული ოდენობის სიმბოლოები, საკმაოდ ბევრი განსხვავება შეინიშნება მთქმელებს შორის. ფაქტობრივად კი ეს იმის გამო ხდება, რომ შეზღუდული რაოდენობის სიმბოლოები მხოლოდ სიტყვებს შორის მნიშვნელობის შემცველ განსხვავებებს აღნიშნავს და მოსაუბრეთა შორის არსებული ასეთი განსხვავებები მსმენელთათვის მზა სახითაა წარმოდგენილი. განვიხილოთ, რა გზებით განსხვავდება თქვენი და ავტორისეული წარმოთქმა (5)-ში წარმოდგენილი სიტყვებისა: სცადეთ სხვადასხვა სახის გამოთქმების შედარება ხმამაღლა წარმოთქმის გზით.

(5) ზოგიერთი ინგლისური სიტყვის ორი სახის ფართოდ ტრანსკრიფციები:

სიტყვა	ავტორის გამოთქმა	ფართოდ გავრცელებული გამოთქმა
1. forest	farɪst	forɪst
2. poor	pɔr	pʊr
3. merry	meri	meri
4. marry	mæri	meri
cf. Mary	—meri	—meri
5. parade	pəred	pæred
6. particular	pəˈtɪkjəlʃ	pæˈtɪkjəlʃ

შეადარეთ ლექსკონის და (5) მაგალითში წარმოდგენილი გამოთქმები. თავდაპირველად გადმოწერეთ ლექსიკონის ვარიანტი. შემდეგ, თუ საჭიროა, გადაიტანეთ ის IPA-ს სისტემაში. შეადარეთ თქვენ მიერ IPA-ს საშუალებით ჩაწერილი გამოთქმა ცხრილში წარმოდგენილებს იმის წარმოსაჩენად, ავტორის გამოთქმა გვხვდება თუ არა ლექსიკონში.


საპარჯიშო
11.10

UCLA-ში ჩვენ ვისწავლეთ ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმა, როცა ისინი სატელეფონო საუბრების ჩანაწერებში გვხვდება. კითხვის დროს მეტყველება განსხვავდება სპონტანური საუბრისგან, როცა ხმოვნები და თანხმოვნები ან ძალიან სუსტად წარმოითქმის, ან ზოგიერთი მათგანი საერთოდ იკარგება.

დღეისათვის, ვინრო ტრანსკრიფციები კეთდება მოსმენისა და კითხვის კომბინაციით. კომპიუტერის დისპლეი საშუალებას გვაძლევს მსმენელმა გაარჩიოს სიტყვათა გარკვეული რაოდენობა და განმეორებით უსმინოს, ან შეანელოს აკუსტიკური ხატი ანალიზისათვის. ფონეტიკური ტრანსკრიფცია შეყვანილია კომპიუტერში და ამგვარად, ის თან ერთვის წარმოთქმულს. ნახ. 11.2 გვიჩვენებს 11.1 სპექტოგრამას ვინრო ტრანსკრიფციის თანხლებით. /t/ სიტყვაში *tell* ასპირირებულია *where* სიტყვაში ხმოვანი არის /ɛ/, /z/ სიტყვაში *is* ნანილობრივ ყრუა, სიტყვაში *fancy* ხმოვანია ნაზალური [ŋ] და /d/ სიტყვაში *bred* არ ისმის.

11.3. IPA-ს ცხრილი

ენის ბგერების ანალიზისას საჭიროა აღინეროს ის ბგერები, რომელთაც ტრანსკრიფციები გადმოსცემენ. ბგერებზე სასაუბროდ გვჭირდება სპეციფიკური ლექსიკონი. ამ მიზნისთვის გამოყენებული ტერმინები აღნიშნავენ **სად** და **როგორაა** ბგერები წარმოებული ადამიანის პირის ღრუში. სივრცეს, სადაც ბგერა იწარმოება, **არტიკულაციის ადგილი** ჰქვია, ხოლო როგორი სახითაც იწარმოება, იმას – **არტიკულაციის რავგარობა**. ბგერის წარმოთქმის სხვადასხვა კომპონენტი გვაძლევს ბგერების აღწერისა და ფონეტიკური სიმბოლოების განმარტებებს. ჩვენ მიერ გამოყენებული ტერმინები **IPA-ს ცხრილზეა** წარმოდგენილი, სადაც ბგერები წარმოთქმის მიხედვითაა დალაგებული.



ნახ. 11.2. გვთავაზობს იგივე სპექტოგრამას, რაც 11.1 ნახ.-ში იყო წარმოდგენილი ვინრო ტრანსკრიფციით (მარგარეტ მელისჯერნის ხმა).

ნახ.11.3 თანამედროვე (1996) IPA-ის ცხრილის რეპროდუქციას წარმოადგენს. იგი მოიცავს თანხმოვანთა ორ ცხრილს, ხმოვანთა და სხვა სიმბოლოთა თითო-თითო ცხრილს. (3) -ში წარმოდგენილი სიმბოლოები თავადვე გადაანანილეთ ამ ცხრილში. იბოვეთ შედგენილ სიმბოლოთა ნაწილები, როგორცაა [tʃ]. როგორც ხედავთ, ჩვენ სიმბოლოთა შესაძლო რაოდენობაზე გაცილებით ნაკლებს ვიყენებთ. ზოგიერთი სხვა სიმბოლო და [r] და [a] ბგერების გამოყენება ქვემოთ იქნება განხილული.

ასევე ნახავთ, რომ სიმბოლოები აღწერით ჩარჩოებშია მოქცეული: ცალკეულ ცხრილში არის სიმბოლოები და მათი აღწერითი სახელწოდება. მაგალითად, სიმბოლო [b] არის **წყვილბაგისმიერთა და ხშულ-მსკდომთა** ჯგუფში, ხოლო სიმბოლო [w] დახასიათებულია შემდეგნაირად – მჟღერი ბაგისმიერი, უკანასასისმიერი აპროქსიმანტი. სიმბოლოებით გამოხატული ბგერები განისაზღვრება მათი წარმოთქმის გზით. ზოგი საჭიროებს ინფორმაციას დამოუკიდებელი წყაროს სიმბოლოთა მნიშვნელობის შესახებ, ხოლო არტიკულაციის განსაზღვრებები სწორედ ასეთი ინფორმაციის მონოდებას ცდილობს.

საწარმოთქმო განსაზღვრებები არ არის ერთადერთი ტიპი. ასევე გამოიყენება სპექტოგრამიდან გამომდინარე აკუსტიკური ან სმენითი აღქმის განსაზღვრებები.

ნახ.11.3. საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი, 1996-ში კორექტირებული.

როცა საუკუნის წინ IPA შეიქმნა, სხვა არჩევანი არ იყო, ვინაიდან საუბრის არტიკულაციის უფრო იოლი აღსაქმელი იყო, ვიდრე საუბრის აკუსტიკა ან საუბრის აღქმა. ბგერების ასეთი სახით აღწერას დღესაც შეხვდებით. მაგალითად, ხმოვნები ხასიათდება მათი აუდიო თვისებების მიხედვით. ტრადიციული ფონეტიკური ტერმინი **სისინა** (ზოგჯერ **მკვეთრი**) გულისხმობს კონკრეტულ ხმამაღალ, მაღალი ტონის, ხმაურთან ბგერას ცალკეული ნაპრალოვნებისა, და არა კონკრეტული სახის არტიკულაციას. თუმცა, ჩვენს ამჟამინდელ დისკუსიას შემოვსაზღვრავთ არტიკულაციის განხილვით ცხრილში წარმოდგენილი IPA-ის აღწერითი ტერმინების გამოყენებით.


თანხმოვნები (პულმონური)

	წყვილბაგის- მიერი	კბილბაგის- მიერი	კბილის- მიერი	ალვეოლა- რული	პოსტალვეო- ლარული	რეტრო- ფლექსური	სასისმიერი	უკანასასის- მიერი	ნაქისმიერი	ზახისმიერი	გლოტალური
მსკდომი	p b			t d		t̪ d̪	c ɟ	k ɡ	q ɢ		ʔ
ცხვირისმიერი	m	ɱ		n		ɳ	ɲ	ŋ	ɴ		
ტრელი	β			r					ʀ		
თუბი ან ფლუპი				ɾ		ɽ					
ნაპარალოვანი	ɸ β	f v	θ ð	s z	ʃ ʒ	ʂ ʐ	ç ʝ	x ɣ	χ ʁ	ħ ʕ	h ɦ
გვერდითი ნაპარალოვანი				ɬ ɮ							
აპროქსიმანტი		ʋ		ɹ		ɻ	ɰ	ʷ			
გვერდითი აპროქსიმანტი				ɻ		ɺ	ʎ	ʟ			

სიმბოლოების წყვილში მარჯვნივ წარმოადგენს მეტერ თანხმოვანს.

თანხმოვნები (არა-პულმონური)

წაკანონები	მეფერი იმპლოზივები	აპროქსიმანტი
⊙ წყვილბაგისმიერი	ɲ წყვილბაგისმიერი	ʎ მაგალითები:
კბილისმიერი	ɸ კბილისმიერი/ალვეოლარული	ɸ წყვილბაგისმიერი
! (პოსტალვეოლარული	ɸ ალვეოლარული	ɸ კბილისმიერი/ალვეოლარული
# სასისმიერი-ალვეოლარული	ɸ სასისმიერი	ɸ უკანასასისმიერი
გვერდითი ალვეოლარული	ɸ უკანასასისმიერი	ɸ ალვეოლარული
	ɸ ნაქისმიერი	ɸ ნაპარალოვანი



სხვა სიმბოლოები

ℳ ყრუ ბაგისმიერ-უკანასასისმიერი ნაპარალოვანი

W მეფერი ბაგისმიერ-უკანასასისმიერი აპროქსიმანტი

ɥ მეფერი ბაგისმიერ-სასისმიერი აპროქსიმანტი

H ყრუ ხორხსართველისმიერი ნაპარალოვანი

ʕ მეფერი ხორხსართველიანი ნაპარალოვანი

ʁ ხორხსართველის მიერ მსკდომი

ɮ ალვეოლარულ-სასისმიერი ნაპარალოვანი

ɻ ალვეოლარული გვერდითი ფლუპი

ɽ ერთდროული **ɻ** და **x**

აფრიკატები და ორმაგი თანხმოვნები შეიძლება წარმოადგინოს იყოს რკა-ლით შეერთებული ორი სიმბოლოთი.

სუპრასეგმენტალები

· მთავარი მახვილი

· მახვილი

kp ts

foɪna'tɪʃən

- გრძელი e:
- ნახევრად გრძელი eː
- ძალიან მოკლე ɛ̃
- | პატარა ჯგუფი
- || დიდი ჯგუფი
- მარცვლებად დაშლა .i.ækt
- დაკავშირება

ტონი და აქცენტი

- ḿ | ძალიან მაღალი ḿ ან / აწვევა
- ḿ 1 მაღალი ḿ | ვარდნა
- ḿ 4 საშუალო ḿ | მაღალი აწვევა
- ḿ 4 დაბალი ḿ | დაბალი აწვევა
- ḿ | ძალიან დაბალი ḿ | აწვევა-დაწვევა
- 4 დაწვევა / გლობალური აწვევა
- ↑ აწვევა \ გლობალური ვარდნა

დაკარტიკული ნიშნები ḿ

· ყრუ	ḿ	..ჩურჩულით წარმოთქმული ḿ	· კბილისმიერი	ḿ
· მეფერი	ḿ	· გაბზარული ხმით წარმოთქმული ḿ	· აპიკალური	ḿ
· ხუფინიერი	ḿ	· ენაბაგისმიერი	· ლამინალური	ḿ
· შეტად მომრგვალებული	ḿ	· ბაგისმიერი	· ცხვირისმიერი	ḿ
· ნაკლებად მომრგვალებული	ḿ	· სასისმიერი	· წარმოთქმა	ḿ
· წინ ნაწეული	ḿ	· უკანასასისმიერი	· გვერდითი წარმოთქმა	ḿ
· შეწეული	ḿ	· ზახისმიერი	· უხმო	ḿ
· ცენტრალიზებული	ḿ	· უკანასასისმიერი ან ზახისმიერი		
· საშუალოდ ცენტრალიზებული	ḿ	· აწეული ḿ (ḿ = მეფერი ალვეოლარული ნაპარალოვანი)		
· მარცვლოვანი	ḿ	· დაწეული ḿ (ḿ = მეფერი წყვილბაგისმიერი აპროქსიმანტი)		
· არა-მარცვლოვანი	ḿ	· წინ ნაწეული ენის ძირი	ḿ	
· როტირება	ḿ	· უკან შეწეული ენის ძირი	ḿ	


სახ. 11.3 საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი, 1996.

**ჩანართი
11.3**
ფონეტიკური სიმბოლოები და კომპიუტერები


კომპიუტერის Word-ის პროგრამაში არსებულ ფონტებს შორის ფართოდ გავრცელდა უფასო ან დაბალფასიანი ფონეტიკური ფონტები. ზოგიერთ მათგანში რამდენიმე ფონეტიკური სიმბოლოა, ზოგიერთი კი კიოლნი? გერმანიაში 1989 წელს დამტკიცებულ IPA-ს ყველა სიმბოლოს მოიცავს. (ე.წ. კიოლნის IPA). IPA-ს ვებ-გვერდის გახსნა ფონეტიკური ფონტების ძიებისთვის კარგი დასაწყისია. ამ ფონტების საშუალებით ერთი კლავიშით ან კლავიშთა კომბინაციით ყველა სიმბოლოს აკრეფა შეიძლება. მაგალითად, კომერციულად ხელმისაწვდომი IPA-ს ფონტში [ა] (ანუ ღია ო) დაიბეჭდება Shift+o. თუმცა კიელის სიმბოლოთა ნუსხა მხოლოდ ფონტის სიმბოლოებს არ მოიცავს. მასში ასევე შედის ციფრული კოდი თითოეული სიმბოლოსთვის, რაც ერთი ფონტიდან მეორეზე გადასვლას მარტივს და არაორაზროვანს ხდის. მაგალითად [ა] სიმბოლოს კოდია 306. კიელის დადგენილ სიმბოლოებში არის სისტემა თითოეული სიმბოლოს ექვივალენტისთვის, მათი წაკითხვა ტექნიკური ხელსაწყობისთვის იოლია (მხოლოდ ASCII). მაგალითად, სიმბოლო [ა] ASCII-ში არის O. IPA-ს ასეთი ფორმა სასარგებლოა მათთვის, ვინც გრძელი საუბრის ტრანსკრიფციებს კომპიუტერის საშუალებით აწყობს ARPABET არის ASCII-ის განსხვავებული სისტემა, რომელიც ინგლისში განვითარდა და რომელსაც აქტიურად იყენებს საუბრის ტექნოლოგიების შემსწავლელი ამერიკული საზოგადოება.

11.3.1 საწარმოთქმო ორგანოები

IPA-ის წარმოთქმის განსაზღვრებები ნაწილობრივ ეფუძნება თანხმოვნებისა და ხმოვნების ცალკეულ ცხრილებში დალაგებას. ისინი შინაარსობრივად სამგანზომილებიანია, მაგრამ ფურცელზე მხოლოდ ორია გადმოტანილი. ერთი არის ჰორიზონტალური წყობა, მეორე – ვერტიკალური, მესამეში სიმბოლოები წყვილებად ან წარმოდგენილი. ხმოვნებისა და თანხმოვნების მთავარი ცხრილები სამგანზომილებიანია, თუმცა ამ ცხრილებში სხვადასხვა განზომილება გამოყენებული. ამ ნიშნების გასაგებად თავდაპირველად უნდა განვიხილოთ საწარმოთქმო მექანიზმი. ნახ. 11.4ა გვიჩვენებს: მარგარეტ მელისერის დამარცვლით გაკეთებულ ჩანაწერზე ავტორის სახმო სივრცე [s] თანხმოვნის წარმოთქმისას თავის ქალის შუახაზზეა, ხოლო 11.4ბ იმავე ვითარებას სქემატურად წარმოგვიდგენს. ხმოვანი სივრცე სხეულის ის ნაწილია, რომელიც ბერის წარმოთქმისას გამოიყენება: **ხორხი, ხახა, პირის და ცხვირის ღრუ**. ხახასა და პირის ღრუს ერთად **პირის სივრცეს** უწოდებენ. არსებობს რამდენიმე სახმო ორგანო, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს (**წარმოთქმის აქტიური ორგანო**) და რამდენიმე ანატომიური სტრუქტურა, რომელთა მიმართაც მოქმედებენ აქტიური საწარმოთქმო ორგანოები (**წარმოთქმის პასიური ორგანოები**, რომელთაც ასევე **არტიკულაციის ადგილსაც** უწოდებენ). სქემაზე აღნიშნულია სხვადასხვა ორგანო და სტრუქტურა. ისინი (6) -შია ჩამოთვლილი, ხოლო (7) -ში ის სტრუქტურები აღწერეს, რომელიც სქემაში არ არის ნაჩვენები.



ნახ. 11.4ა ავტორის სახმო სივრცე [5] თანხმონის წარმოთქმისას



ნახ. 11.4ბ სახმო სივრცე ნახ. 11.4ა-დან.

იმისათვის, რომ საუბარი გასაგონი იყოს, ბგერის ენერგიამ უნდა გაიაროს სახმო სივრცე ჰაერის მოლეკულების საშუალებით. ამიტომაც შეგვიძლია საუბრის უშუალო მიზნად ჰაერის მოლეკულების ამოძრავება მივიჩნიოთ. სამეტყველო ბგერები, ჩვეულებრივ, აღინერება აკუსტიკური ენერგიის წყაროთა პირობებში და იმ ფილტრებით, რომლებიც მათ სახეს უცვლის. სამეტყველო ბგერების უმრავლესობისთვის ეს წყარო არის **წარმოთქმა**, ანუ ჰაერნაკადი, რომელიც ხორხში გადის და არხვეს ღია ან დახურულ სახმო სიმებს. ჰაერის ასეთი ნაკადი ერთი და იგივეა ყველა მჟღერი ბგერისთვის, მაგრამ ისინი ცვლილებას განიცდიან ხახაში, პირის ღრუსა ან ცხვირის ღრუში გავლისას. თითოეულ ხმოვანსა და თანხმოვანს აქვს თავისი მახასიათებელი.

(6) საწარმოთქმო ორგანოების განმარტებები:**საწარმოთქმო ორგანო განმარტება**

პირის ღრუ ზედა ბაგე	სახმო სივრცის თავზე მომრგვალებული ჰორიზონტალური სივრცე-როგორც აქტიური საწარმოთქმო ორგანო, დამოუკიდებლად მოძრაობს ქვედა ტუჩთან მისაახლოებლად; ხოლო როგორც პასიური – მის მიმართ მოძრაობს ქვედა ბაგე (ან ენის წვერი).
ქვედა ბაგე	აქტიური საწარმოთქმო ორგანოს სახით მოძრაობს დამოუკიდებლად და ასევე ამოძრავებს ქვედა ყბას ზედა ტუჩთან ან ზედა კბილებთან მისაახლოებლად. პასიური საწარმოთქმო ორგანოს სახით მისკენ მოძრაობს ზედა ტუჩი.
ზედა კბილები	მხოლოდ პასიურია; მას შეიძლება მიუახლოვდეს როგორც ქვედა ტუჩი, ისე ენის წვერი.
ალვეოლარული კიდე	მხოლოდ პასიურია. მისკენ მოძრაობს ენის წვერი. ბრტყელი ზედაპირი ზედა კბილების უკან და ცოტა ზემოთ. კიდის უკანა ბოლოში უფრო მკვეთრად ადის მაღლა (კუთხეს ქმნის). (ყველას არა აქვს ეს კიდე. სქემაზე მოცემულ ავტორს არ აქვს მკვეთრად გამოხატული, ამიტომაც ის 11.4ა და 11.4ბ-ზე არ ჩანს. თუკი არ გაქვთ ალვეოლარული კიდე, მაშინ ზედა კბილების უკან 0,5სმ შეიძლება ამ ტერმინით მოვიხსენიოთ.
ენის წვერი	აქტიური საწარმოთქმო ორგანო. ენის პირით მოძრაობს და მის ბოლოს წარმოადგენს (ასევე აპექსი ჰქვია).
ენის პირი	აქტიური საწარმოთქმო ორგანოა, ენის დანარჩენი ნაწილი ამოძრავებს ან დამოუკიდებლად მოძრაობს. ენის პირველ სამ სანტიმეტრს მოიცავს იმ წერტილის უკან, სადაც ენას შეუძლია მოხრა. პირის ბოლო ენის წვერია.
ენის სხეული	ენის ძირითადი ნაწილია. შეიძლება დავყოთ წინა და უკანა ნაწილებად, რომელთაგან ორივე აქტიური საწარმოთქმო ორგანოა.
ენის ძირი	აქტიური; ენის ძირეული ნაწილი, რომელიც ხახის წინა კედელს ქმნის
ხორხსართველი ხახა	აქტიური; ფოთლისებური ფორმის დანამატი ენაზე, ხახაში. სახმო სივრცის უკანა ვერტიკალური სივრცე ნაქსა და ხორხს შორის, ჩვეულებრივ, მიჩნეულია პასიურ საწარმოთქმო ორგანოდ, რომლის მიმართაც მოქმედებს ენის ძირითადი ნაწილი და ძირი, მაგრამ მისი კედლები ასევე აქტიურად ფუნქციონირებს, ვინაიდან ხახის სივრცეს კუმშავს.
მაგარი სასა რბილი სასა	პირის ღრუს მყარი და ძვლოვანი სახურავის ზედაპირი. რბილი, უძვლო ნაწილი პირის ღრუს ზედაპირისა, მაგარი სასის უკან. როგორც აქტიური საწარმოთქმო ორგანო, ზემოთ-ქვემოთ მოძრაობს ხახის თავზე ჰაერნაკადისთვის ცხვირის ღრუს გახსნის ან დახურვისთვის, ხოლო პასიურის სახით, მის მიმართ ენის ძირითადი ნაწილი მოქმედებს.
ნაქი	რბილი სასის ჩამოკიდებული უკანა წვერი. აქტიური საწარმოთქმო ორგანოს სახით, იგი ვიბრირებს ზედა ხახაში. პასიურის სახით კი მის

მიმართ ენის ძირითადი ნაწილი მოქმედებს.
 ხორხი ხახის ძირზე (და ტრაქეას თავზე) ხრტილოვანი ყუთი, სადაც მოთავსებულია სახმო სიმები. ამ ყუთს შეუძლია ზემოთ-ქვემოთ მოძრაობა.

(7) სხეულის სხვა ნაწილები, რომლებიც მეტყველების პროცესში იღებენ მონაწილეობას.

ფილტვები საუბრისთვის ჰაერნაკადის მონოდების ყველაზე აქტიური წყარო (ტრაქეას გავლით).
 სახმო სიმები ორი წყვილი, რომელიც ხორხის შიგნით წინიდან უკანაა გაჭიმული.
 ყია სახმო სიმებს შორის სივრცე.
 ენის მხარეები 11.4ა და 11.4ბ სქემები ენის მხოლოდ ცენტრს გვიჩვენებს. ენის ორივე მხარეს შეუძლია ცენტრის დამოუკიდებლად დახვევა და მოძრაობა.
 ნერვული აკონტროლებს ყველა მოქმედებას.
 სისტემა

დაასახელეთ მოცემული განმარტების შესატყვისი ტერმინი.

1. ენის პირის ბოლო
2. ნაქსა და ხორხს შორის სივრცე
3. ენის ნაწილის ძირი, რომელიც ხახის წინა კედელს ქმნის
4. ხახის ძირზე არსებული ხრტილოვანი ყუთი, სადაც სახმო სიმებია
5. საწარმოთქმო ორგანო, რომელიც აქტიურია ან პასიური და ყბა ამოძრავებს

საპარჯიშო
11.11

11.3.2 თანხმონენები

დავუბრუნდეთ IPA-ს ცხრილს და დავიწყოთ ძირითადი თანხმონენების ცხრილით. იგი მოიცავს თანხმონენთა ქვეჯგუფებს, რომლებიც ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადით წარმოითქმის (**ფილტვებიდან გამოსული**). გაიხსენეთ, რომ თანხმონენი ისეთი ბგერაა, რომლის წარმოთქმისას სახმო სივრცეში დაბრკოლება ხვდება. ეს დაბრკოლება ნიშნავს იმას, რომ სახმო სივრცეში გამავალი ჰაერნაკადი გარკვეულ გავლენას განიცდის და ან ხდება ხმაურიანი, ან ნაკლები ოდენობის ნაკადი გამოდის იმასთან შედარებით, ვიდრე დაბრკოლების გარეშე იქნებოდა.

სვეტები: წარმოთქმის ადგილი

ეს სვეტები იძლევა ბგერის წარმომქმელი ორგანოების აქტივობა-პასივობის შესახებ ინფორმაციას. ზოგი სვეტი კი ორივეს მოიცავს, აქტიურსაც და პასიურსაც: წყვილბაგისმიერს, კბილბაგისმიერს, გლოტალურს. სვეტების უმრავლესობა მხოლოდ პასიურ ორგანოებს განმარტავს იმის გათვალისწინებით, რომ ნორმალური აქტიური საწარმოთქმო ორგანო არის ენის ის ნაწილი, რომელიც პასიურ ადგილთან ყველაზე ახლოსაა (ზოგი ნაქისმიერი ან ხახისმიერი ბგერებისთვის პასიური საწარმოთქმო ორგანო შეიძლება აქტიურიც იყოს). რეტროფლექსების სვეტი თავდაპირველად განმარტავს აქტიური საწარმოთქმო ორგანოს – ზეანეული ენის პირის – მოქმედებას,

როცა ის სადღაც ალვეოლარის იქეთ მოძრაობს. (სვეტებში მოცემული ინფორმაციის საერთო სახელი **წარმოთქმის ადგილია** მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ტერმინი ძირითადად პასიურებს გულისხმობს). ამ სვეტების სახელები (8) -შია ჩამოთვლილი. ყურადღება მიაქციეთ, რომ 11.3 ნახ.-ში მხოლოდ ერთი სვეტია *IPA*-ს ცხრილიდან, სადაც კბილისმიერი, ალვეოლარული და პოსტალვეოლარული ბგერებიც შედის. ამ სვეტის ყველა ხაზზე წარმოდგენილი ძირეული სიმბოლო, გარდა ნაპრალოვნების ხაზისა, არის ალვეოლარული. კბილისმიერი ბგერები შეიძლება აღინიშნოს ძირითადი სიმბოლოს ქვეშ [„] სიმბოლოს დასმით, ხოლო წარმოთქმის მიხედვით პოსტალვეოლარულები შეიძლება გამოვსახოთ [] დასმით ძირითადი სიმბოლოს ქვეშ. არსებობს ასევე *IPA*-ს სისტემის გარეთ სხვადასხვა სპეციალური ტერმინები მხოლოდ აქტიური საწარმოთქმო ორგანოების გამოსახატავად: **ბაგისმიერი** – ნიშნავს, რომ ერთი ან ორივე ბაგეა აქტიური და შესაბამისად მოიცავს **წყვილბაგისმიერ** და **კბილბაგისმიერ** ბგერებს. **კორონალური** ნიშნავს, რომ **პირი/წვერი** არის აქტიური და შესაბამისად მოიცავს **კბილისმიერებს**, **ალვეოლარულებს**, **პოსტალვეოლარულებს**, **რეტროფლექსურებს** და ზოგჯერ **სასისმიერებს**; **ზურგისმიერი** ნიშნავს, რომ ენის ძირითადი ნაწილია აქტიური და ის მოიცავს **უკანასასისმიერ**, **ნაქისმიერებსა** და ზოგჯერ **სასისმიერებსაც** და **ხახისმიერებსაც**. **ძირისმიერი** ნიშნავს, რომ ენის ძირია აქტიური და იგი მოიცავს **ხახისმიერებსაც** და ასევე ხორხსართველისმიერებსაც (რომლებიც ძირითადად თანხმოვნების ცხრილში აღნიშნულნი არ არიან).

(8) IPA—ს თანხმომთანა სვეტის აღნიშვნები.

საწარმოთქმო ორგანოები	
წყვილბაგისმიერი	ორი ბაგე, ორივე აქტიურიცაა და პასიურიც.
კბილბაგისმიერი	ქვედა ბაგეა აქტიური პასიური ზედა კბილების მიმართ.
კბილისმიერი	აქტიურია ენის წვერი/პირი, პასიური ზედა კბილების მიმართ.
ალვეოლარული	აქტიურია ენის წვერი/პირი, პასიური ალვეოლარული კიდის წინა მხარის მიმართ.
პოსტალვეოლარული	აქტიურია ენის პირი, პასიური უკანა ალვეოლარის მიმართ (როცა პასიური ადგილი ალვეოლარული კიდის უკანა ნაწილია ან მისი კუთხე, ასეთ ბგერებს სასისმიერ-ალვეოლარული ან ალვეოლარულ-სასისიერიჰქვიათ).
რეტროფლექსური	აქტიური ენის წვერი აწეულია ან ახვეულია პასიური პოსტალვეოლარის მიმართ (განსხვავება პოსტალვეოლარსა და რეტროფლექსურს შორის ისაა, რომ ერთ შემთხვევაში ენის პირი და მეორე შემთხვევაში ენის წვერი მოქმედებს).
სასისმიერი	ენის პირი/სხეული მიმართულია მაგარი სასის მიმართ მთელი ალვეოლარული კიდის უკან.
უკანასასისმიერი	ენის აქტიური ძირითადი ნაწილი პასიური რბილი სასის მიმართ.
ნაქისმიერი	ენის აქტიური სხეული პასიური ან აქტიური ნაქის მიმართ.
ხახისმიერი	ენის აქტიური სხეული/ძირი პასიური ხახის მიმართ.
გლოტალური	ორი სახმო სიმი ერთმანეთის მიმართ, ორივე აქტიურიცაა და პასიურიც.

არტიკულაციის სხვა ადგილები ცხრილის სვეტებში არ არის მოცემული. ამის ნაცვლად თანხმოვანთა სიმბოლოები წარმოთქმის ადგილის სიმბოლოებთან ერთად სხვა სიმბოლოების რიგშია მოქცეული. ორი ასეთი ადგილია **ბაგისმიერ-უკანასასისმიერი** (ზოგჯერ **ლაბიოველარულს** უწოდებენ) და **ბაგისმიერ-სასისმიერი**, რომელიც მთავარი ცხრილის ორ სვეტს აერთიანებს, ვინაიდან ორი სხვადასხვა ძირეული წარმოთქმა აქვს. ბაგისმიერ-უკანასასისმიერი მოიცავს წყვილბაგისმიერ და უკანასასისმიერ წარმოთქმას. ყრუ ნაპრალოვანი [M] ჯერ კიდევ გვხვდება ზოგ ამერიკულ დიალექტში ისეთ სიტყვებში, როგორცაა *which* და *what* (მაგრამ არა *who* [hu]). მჟღერი აპროქსიმანტი [w] მიღებულია მსოფლიო ენებში. ბაგისმიერ-სასისმიერი კომბინაცია არ გამოიყენება ინგლისურის არცერთი ძირეული ბგერის წარმოსათქმელად. ხორხსართველისმიერიც ასევე არაა გამოყენებული ინგლისურში. იგი ხახის ქვედა ნაწილში მოთავსებულ ხორხსართველს აქტიურ სანარმოთქმო ორგანოდ წარმოგვიდგენს. ალვეოლარულ-სასისმიერია ადგილი ალვეოლარულსა და სასისმიერს შორის; აქტიური სანარმოთქმო ორგანოა ენის პირი. საყურადღებოა, რომ ეს განსხვავდება სასისმიერ-ალვეოლარულისა ან ალვეოლარულ-სასისმიერისაგან (იხ. ზემოთ).

ენის ვიზუალური ცოდნა

სხვა სახელმძღვანელოების მსგავსად, ამ თავში განვიხილავთ ადამიანის მიერ ენობრივი სიგნალების აღქმასა და ცოდნას, თითქოს სმენა ერთადერთ რელევანტურ მგრძობიარე მოდალურობას წარმოადგენს. თუმცა ეს ასე არ არის. მსმენელებს ასევე ფართო გამოცდილება აქვთ ნათქვამის დანახვისა. ისინი ამ ცოდნას მოსმენისას იყენებენ და შეიძლება დისკომფორტი იგრძნონ, თუკი აიძულებენ ვიზუალური ინფორმაციის გარეშე მოსმენას. ამგვარად, ნორმალური მსმენელი, ჩვეულებრივ, იყენებს ორივე ტიპის ინფორმაციას, როცა ეს შესაძლებელია. დაქვეითებული სმენის მქონენი უფრო მეტად ეყრდნობიან ვიზუალურ ინფორმაციას. საუბრის კითხვა (ანუ ბაგეების წაკითხვა) ჰქვია ვიზუალური ინფორმაციის გამოყენებას, განსაკუთრებით სმენადაქვეითებულებისთვის. საუბრის კითხვა შეიძლება დეტალურად ისწავლებოდეს და ბიბლიოთეკებში ამ უნარის სწავლების მასალები მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება.

ამ თავიდან სხვადასხვა ბგერის წარმოთქმის შესახებ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მოიფიქრეთ, წარმოთქმის რომელი ასპექტებია იოლი აღსადგენი ვიზუალური სიგნალის საშუალებით. ზოგიერთი თანხმოვნის წარმოთქმის პირდაპირი დაკვირვება შესაძლებელია, მაგალითად, წყვილბაგისმიერი ბგერების [b, p, m] წარმოთქმისას. ასეთ დროს ორივე ტუჩი ერთად იყრის თავს. თუმცა წარმოთქმისას ენის მოძრაობას ვერ ვხედავთ. აქედან ირკვევა, რომ ნორმალური სმენის მქონე ადამიანი მოსმენილი თანხმოვნის გააზრებისას ითვალისწინებს ვიზუალურ მითითებასაც იმაზე, რომ წყვილბაგისმიერი თანხმოვნების წარმოთქმისას ორივე ბაგე ერთად უნდა იყოს. მოვლენას, რომლის დროსაც მსმენელების აღქმა განისაზღვრება ვიზუალური და აუდიო ინფორმაციით, ჰქვია მაკგარკის (*McGurk*) ეფექტი. ამჟამად კლასიკურ სწავლებად ქცეულმა მაკგარკმა და მაკდონალდსმა მსმენელებს უჩვენეს კონკრეტული მარცვლების მთქმელთა გამოსახულება, მაგრამ ჩართეს სხვა მარცვლების ზუსტად სინქრონიზებული ჩანანერი. მსმენელები ხშირად ისეთ მარცვლებს ასახელებდნენ, რაც

ორივესგან განსხვავდებოდა. უმრავლესობას არც კი შეუნიშნავს, რომ ვიზუალური და აკუსტიკური სიგნალები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. როცა მათ ასმენინებდნენ [ma] მარცვალს, აჩვენებდნენ [ta] მარცვალს, ისინი ამბობდნენ რომ ეს [na] მარცვალი იყო; როცა ისმოდა [ba], ხოლო ჩანდა [ga], ისინი აღიქვამდნენ, როგორც [da] მარცვალს. აქედან ჩანს, რომ მსმენელები ითხოვენ ვიზუალურ დამამტკიცებელს წყვილბაგისმიერი თანხმოვნის მოსმენისას, ხოლო როცა ამ დამადასტურებელს ვერ იღებენ, იშველიებენ მიახლოებულ არტიკულაციას. საინტერესოა, რომ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ეფექტი უფრო ფართოა ზოგიერთ ენაში დანარჩენებთან შედარებით, რისი მიზეზიც ჯერ უცნობია.

დაიხსომეთ, რომ ჩვეულებრივმა მსმენელმა შეიძლება გაიგოს საუბარი, როცა ვიზუალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი არაა: რადიო, ტელეფონი და აუდიო ჩანაწერები ამის დამადასტურებელია, მაგრამ ვიზუალური ინფორმაციის თანხლებით მოსმენილი უფრო ნათელია. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პირისპირ დიალოგი უფრო ადვილი გასაგებია.

რიგები: წარმოთქმის რაგვარობა.

ეს რიგები იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენად უახლოვდება აქტიური საწარმოთქმო ორგანო პასიურს. შეიძლება განვსახვაოთ წარმოთქმის ხუთი ასეთი სახე, რომლებიც (9) -შია ჩამოთვლილი.

(9) დაბრკოლების ხარისხი თანხმოვნებისთვის

ხშვა	აქტიური და პასიური საწარმოთქმო ორგანოები ეხებიან და ჩერდებიან (ჰაერნაკადს არ უშვებენ პირიდან).
ტრელი	აქტიური საწარმოთქმო ორგანო ვიბრირებს ჰაერნაკადის გავლისას
თეპი/ფლეპი	აქტიური და პასიური საწარმოთქმო ორგანოები ეხებიან, მაგრამ არ ჩერდებიან.
ნაპრალოვანი	აქტიური და პასიური საწარმოთქმო ორგანოები ქმნიან მცირე დაბრკოლებას და ვინრო ნაპრალს, სადაც ხმა გამოიცემა ჰაერნაკადის გავლისას.
აპროქსიმანტი	აქტიური და პასიური საწარმოთქმო ორგანოები ქმნიან დაბრკოლებას პირის ღრუში ჰაერნაკადის თითქმის თავისუფლად გავლისთვის.

[*IPA-ს ცხრილის მსგავსად აქ არ გავარჩევთ თეპსა და ფლეპს შორის განსხვავებას, მაგრამ უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ორი ტერმინი ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება, ფლეპი უფრო მიღებული ტერმინია აშშ-ში].

ამ ტერმინების უმრავლესობა ცხრილში გვხვდება. ტერმინი **ხშული** იქ არ არის, მის ნაცვლად კი პირველ ორ რიგში წარმოდგენილია **მსკდომები** და **ნაზალურები**. ამ ორივე შემთხვევაში პირის ღრუს სრული ხშვა ხდება. განსხვავების მაჩვენებელი ისაა, ხშვის შემდეგ ჰაერნაკადი პირის ღრუდან გამოდის თუ ცხვირის ღრუდან. მსკდომები **პირის ღრუს ხშულებია**, ხოლო ნაზალურები-**ცხვირისმიერი ხშულები**. ცხრილის ყველა დანარჩენი რიგი ორალურია. ამ უკანასკნელთა შორის განსხვავება ისაა, ჰაერნაკადი პირის ღრუს ცენტრალური ნაწილის (**ცენტრალური** ნაკადი; **ცენტრალური**

არაა ცხრილში, ვინაიდან ეს ტიპიური შემთხვევაა) თუ პირის ღრუს ერთ ან ორივე მხარის გავლით გამოდის გარეთ (**გვერდითი** ნაკადი). რიგის აღნიშვნები მოცემულია (10) -ში. **აფრიკატებს** რიგი არ აქვთ ამ ცხრილში. ისინი აერთიანებენ იმ ხშულებს და ნაპრალოვნებს, რომლებსაც ერთი საწარმოთქმო ადგილი გააჩნიათ.

(10) IPA-ის თანხმონათა რიგის ნიშნები

მსკდომი	ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი; ორალური ხშვა
ცხვირისმიერი	ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი, ხშვა ცხვირისმიერი ნაკადით, მსკდომი არაა, ვინაიდან არაა ორალური
ნაპრალოვანი	ნაპრალოვანი დაბრკოლების ხარისხის მქონე ბგერა. გულისხმობს, რომ ჰაერნაკადი ცენტრალურია.
გვერდითი ნაპრალოვანი	ნაპრალოვანი, რომლის ჰაერნაკადი გვერდითია.
აპროქსიმანტი	აპროქსიმანტული ნაპრალოვანი ხარისხის მქონე ბგერა. ჰაერნაკადი ცენტრალურია
გვერდითი აპროქსიმანტი	აპროქსიმანტი, რომლის ჰაერნაკადი გვერდითია.

სვეტების მიხედვით დალაგებულია საწარმოთქმო ადგილები წინიდან უკან და შემდეგ ზემოდან ქვემოთ მოძრაობის მიხედვით. ხოლო რიგები პირის ჰაერნაკადს ახასიათებენ ყველაზე ვიწრო არხიდან ყველაზე ფართომდე. უჯრებში წარმოდგენილია ხელმისაწვდომი სივრცის ადგილები. მაგალითად, *უკანასასისმიერი* ბგერა გულისხმობს მთლიანი რბილი სასისა და გარკვეულწილად მაგარი სასის უკანა ნაწილის წარმოთქმაში მონაწილეობას. ნებისმიერი ერთი უკანასასისმიერი თანხმონათის წარმოთქმისას ამ საწარმოთქმო ადგილთაგან მხოლოდ რამდენიმეა პასიური. ზუსტად რომელი ნაწილი ვარირებს წარმოებისას – ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, ბევრი მცირედით განსხვავებული ბგერა ითვლება უკანასასისმიერად.

არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით კიდევ ერთი სახის კლასიფიკაცია არსებობს, რომლის თანახმადაც მსკდომებს და ორი სახის ნაპრალოვნებს ჰქვიათ ობსტრუენტები, ხოლო ცხვირისმიერებს, ტრელებს, თეპებს/ფლეპებს და კიდევ ორი სახისაპროქსიმანტებს ჰქვიათ **სონორები**. ობსტრუენტები ისეთი ბგერებია, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი ხმაურიანია (ჰაერი დაბრკოლებას აწყდება), ხოლო სონორები ისეთი ბგერებია, რომელთა წარმოთქმისას ჰაერნაკადი შეუფერხებლად თავისუფლდება. ორალური სონორები ხშირად იყოფა შემდეგ ჯგუფებად: შუალედური ბგერები (**ნახევარხმოვნები**, ან ხმოვნის მსგავსი ცენტრალური აპროქსიმანტები) და **წარწარა ბგერები** (*r* და *l* ბგერები).

საყურადღებოა, რომ ამერიკულ-ინგლისურ რ-ბგერას [r] სიმბოლოთი ვწერთ. ეს სიმბოლო ცხრილში გამოყენებულია ალვეოლარული ტრელის აღსანიშნად, მაგრამ ამერიკული ინგლისური ბგერა პოსტალვეოლარულია ან რეტროფლექსური აპროქსიმანტი. IPA-ს სისტემა მარტივი სიმბოლოების შენაცვლების საშუალებას იძლევა ცალკეულ ენისათვის უჩვეულო ბგერის გამოსახატად. [r]-ის შემთხვევაში ეს უკვე გავაკეთეთ. ამან დაბნეულობა არ უნდა გამოიწვიოს. ამერიკული [r] ამ მარტივი ტრანსკრიფციით იქნება წარმოდგენილი შემდეგ თავშიც.

11.3.3 წარმოთქმა

ცხრილის უამრავ უჯრაში გვხვდება თანხმოვნები, რომლებსაც რიგისა და სვეტის მიხედვით ერთნაირი განმარტებები აქვთ. ეს წყვილები განსხვავდება წარმოთქმის მიხედვით, რაც დაკავშირებულია სახმო სიმებთან. ზოგადად, თუ სახმო სიმები ირხევა ბგერის წარმოთქმისას ყველა ნაწილში, ასეთი ბგერა მჟღერია და წყვილის მარჯვენა მხარეს ზის. თუ სახმო სიმები არ ირხევა, მაშინ ასეთ ბგერას ყრუ ჰქვია და წყვილის მარცხენა მხარესაა. ყურადღება მიაქციეთ, რომ უწყვილო ბგერები (ცხვირისმიერები, ტრელეები თეპები/ფლეპები და აპროქსიმანტები) უჯრის მარჯვენა მხარეს არიან მოთავსებული მათი მჟღერობის აღსანიშნად.

11.3.4 სხვა თანხმოვნები

ინგლისურის ძირითადი თანხმოვნები, რომლებიც ამ ცხრილში არ არიან წარმოდგენილი გახლავთ აფრიკატები და აპროქსიმანტი [w].[w] არაა ცხრილში, ვინაიდან ის წარმოთქმის ორი სახის კომბინაციაა – წყვილბაგისმიერი და უკანასასისმიერი. ზოგჯერ ამ თანხმოვანს წყვილბაგისმიერთა სვეტში იხილავთ, ზოგჯერ უკანასასისმიერების სვეტში, ზოგჯერ ორივეში, ზოგჯერ კი ცალკე გამოყოფილ სპეციალურ სვეტში, რომელიც ბაგისმიერ უკანასასისმიერთაა აღნიშნული. IPA-მის ნაცვლად გამოყოფს ისეთ სიმბოლოებს, რომლებიც ძირითად თანხმოვანთა ცხრილში ცალკე რიგს ან სვეტს მოითხოვენ. ცხრილში ასევე არ არის წარმოდგენილი აფრიკატები [ʃ] და [ʒ], ვინაიდან აქ ორი ბგერის კომბინაციაა. აფრიკატი არის ხშვა, რომელსაც მოსდევს ნაპრალოვანი. ისინი ერთსა და იმავე ან მსგავს ადგილებში წარმოითქმის. ეს ორი აფრიკატი ინგლისურში პოსტალვეოლარულია, [ʃ] ყრუა, ხოლო [ʒ] მჟღერი. (იმის გამო, რომ აფრიკატებში ორი ბგერა ერწყმის ერთმანეთს ერთი ფუნქციის შესასრულებლად, აშშ-ში მიღებულია მათთვის ერთი სიმბოლოს გამოყენება: [č] [tʃ]-ს ნაცვლად და [j] [dʒ]-ს ნაცვლად).

IPA-ს საწარმოთქმო განმარტების შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ თითოეული ბგერა აღწერილია ძირითადად მისი ორალური წარმოთქმის ტერმინებით: თუ რომელი აქტიური საწარმოთქმო ორგანო მიდის პასიურთან ახლოს და რამდენად უახლოვდებიან ისინი ერთმანეთს. მაგალითად: [p, b, m]-ს შემთხვევაში ორი ტურჩი მოქმედებს აქტიური და პასიური საწარმოთქმო ორგანოების სახით და ისინი ეხებიან ერთმანეთს და ჩერდებიან. ამიტომაც ეს ბგერები წყვილბაგისმიერ ხშულებად იწოდება. გარდა ამისა, ამავედროულად სხვა წარმოთქმებიც ფიქსირდება. სახმო სიმები ან ირხევა ([b, m]) ან არა ([p]); რბილი სასა ან ანუელია ([p b]), რა შემთხვევაშიც ხშვა პირის ღრუშია, ან დანუელია ([m]), როცა ხშვა ცხვირის ღრუშია. როცა ხშვა ორალურია, როგორც ეს [p b]-ს შემთხვევაშია, მაშინ საქმე გვაქვს მსკდომთან. თითოეული სიმბოლო არის ამ მახასიათებელთა კომბინაციების აბრევიატურა. თანხმოვნის აღსაწერად საჭიროა ყველა ასეთი მახასიათებლის ჩამონერა შემდეგი რიგით: მჟღერი/ყრუ, წარმოთქმის ადგილი და რაგვარობა. ამგვარად [b] არის მჟღერი წყვილბაგისმიერი მსკდომი; [p] არის ყრუ წყვილბაგისმიერი ცხვირისმიერი; [m] არის მჟღერი წყვილბაგისმიერი ცხვირისმიერი. მსკდომები და ნაზალურები ორივე ხშულებია, მაგრამ რადგანაც ხშვა, ჩვეულებრივ *პულმონური* და ორალურია, სიტყვა ხშვა ხშირად გამოიყენება მსკდომის ნაცვლად; ვინაიდან ნაზალურები, ჩვეულებრივ, ხშულები და მჟღერებია, სიტყვა ნაზალური ხშირად გამოიყენება ცხვირისმიერი ხშვის გამოსახატავად. ვინაიდან გვერდითი ბგერები, ჩვეულებრივ, აპროქსიმანტებია, სიტყვა გვერდითი/

ლატერალი ხშირად გამოიყენება გვერდითი აპროქსიმანტის აღსანიშნად. მაგალითად, [m] შეიძლება უფრო მეტად დახასიათდეს, როგორც წყვილბაგისმიერი ნაზალური ვიდრე მჟღერი წყვილბაგისმიერი ნაზალური, და [l] – უფრო როგორც ალვეოლარული გვერდითი, ვიდრე მჟღერი ალვეოლარული გვერდითი აპროქსიმანტი, თუმცა არ არის შეცდომა ამ სამი ან ოთხი ტერმინის გამოყენება, რაც არ უნდა უხერხულად ჟღერდეს ეს ტერმინები.

ბგერები შეიძლება დაჯგუფდეს საერთო თვისების მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით დაასახელეთ ტერმინი.

მაგალითი: **ორივე ტუჩი** = წყვილბაგისმიერი

- (1) **ენის პირი ზედა კბილების თავზე თალის მიმართ**
- (2) **ენის ძირითადი ნაწილი რბილი სასის მიმართ**
- (3) **ნაპრალში ხმაურის წარმოება**
- (4) **მსკდომებისა და ნაპრალოვნების ჯგუფი**
- (5) **სახმო სიმების ვიბრაცია**

საპარჯიშო

11.12

ქვემოთ მოყვანილ განმარტებებს მიუწერეთ შესაბამისი IPA-ს სიმბოლო. გამოყენებულია მხოლოდ IPA-ს ტერმინები.

მაგალითი: **მჟღერი ალვეოლარული მსკდომი** = [d]

- (1) **ყრუ ალვეოლარული მსკდომი**
- (2) **წყვილბაგისმიერი ნაზალური**
- (3) **მჟღერი ბაგის-კბილისმიერი ნაპრალოვანი**
- (4) **ალვეოლარული გვერდითი აპროქსიმანტი**
- (5) **გლოტალური მსკდომი**
- (6) **ალვეოლარული თეპი ან ფლეპი**
- (7) **მჟღერი პოსტალვეოლარული ნაპრალოვანი**
- (8) **უკანასასისმიერი ნაზალური**
- (9) **ყრუ გლოტალური ნაპრალოვანი**
- (10) **მჟღერი კბილისმიერი ნაპრალოვანი**

საპარჯიშო

11.13


11.3.5 ხმოვნები

ხმოვნების ცხრილი

განვიხილოთ 11.5 ნახ.ში წარმოდგენილი ცხრილი, რომელიც სამ განზომილებას მოიცავს, მაგრამ ხმოვნის განზომილებები განსხვავდება თანხმოვნებისაგან. ხმოვნების უპირველესი აქტიური საწარმოთქმო ორგანოა ენის რომელიმე ნაწილი (თითქმის ყოველთვის ენის ძირითადი ნაწილი). პასიური საწარმოთქმო ორგანოა სახმო ტრაქტის ზედაპირის ზოგი ნაწილი, მაგრამ აქტიური საწარმოთქმო ორგანო არასოდეს მიდის პასიურთან ძალიან ახლოს. ხმოვანთა ცხრილი წარმოგვიდგენს სახმო ტრაქტის ერთგვარ სტრუქტურას, სადაც ცხრილის წვერი არის პირი, ხოლო მარცხენა მხარე არის პირის ღრუს წინა ნაწილი. ეს ნაჩვენებია ნახ.-ზე 11.5. ენა ამ სივრცეში მოძრაობს სხვადასხვა ხმოვანი ბგერის წარმოსათქმელად და IPA-ს განმარტებებიც

ამას აღწერს. ცხრილის ორი განზომილება არის ენის სიმაღლე და აგრეთვე ის, თუ ენის ნაწილების მიხედვით რამდენად უკან წარმოითქმის ეს ბგერა. ორივე, ჩვეულებრივ, ენის ზედაპირის უმაღლეს წერტილს მიემართება. მართალია, ენის გვერდები ეხება სასის ნაწილებს რამდენიმე ხმოვნის წარმოთქმისას, მაგრამ აღწერილობა ეფუძნება ენის შუახაზს, ვინაიდან სწორედ ამ ადგილას გადის ჰაერნაკადი.

ხმოვანთა ცხრილი არაა ისე ნათლად დაყოფილი სვეტებად და რიგებად, როგორც ეს თანხმოვანთა შემთხვევაში იყო. სიმაღლის ოთხი კატეგორია არსებობს: **დახურული, საშუალოდ დახურული, საშუალოდ ღია და ღია**. მათ ასევე უწოდებენ: **მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალოზე დაბალი და დაბალი**. კიდევ სამი რიგი არსებობს სხვა რიგებს შორის, მაგრამ აქ არ არის მათი აღნიშვნა მოცემული. დახურულსა და საშუალოდ დახურულს რიგებს შორის არის რიგი, რომელსაც მაღალზე ოდნავ დაბალი ჰქვია. რიგს საშუალოდ დახურულსა და საშუალოდ ღიას შორის უბრალოდ **საშუალო** ჰქვია. რიგს საშუალოდ ღიასა და ღიას შორის ზოგჯერ **დაბალზე ოდნავ მაღალს** უწოდებენ.



ნახ. 11.5. ხმოვნების ცხრილი სახმო ტრაქტის სქემაზეა წარმოდგენილი (11.4ბ ნახ.-ის მიხედვით); [a] აღნიშნავს ყველაზე დაბალ უკანა ბგერას.

მესამე განზომილება ცხრილში არის **ტუჩების პოზიცია**. მომრგვალებული **ხმოვნების** წარმოთქმისას ბაგეები ერთადაა თავმოყრილი და წინაა წამოწეული ისე, რომ წინიდან შეხედვისას ქმნის წრეს, ხოლო გვერდითი ხედით წამოშვერილია. ამ ხმოვნების წარმოთქმა ბაგისმიერია. მოუმრგვალებელ ხმოვნებს ეს მახასიათებელი არ აქვთ. ტუჩები ან ნეიტრალურ პოზიციაშია ან ერთმანეთისგან დაშორებულია. განსაკუთრებით მაღალი ხმოვნების შემთხვევაში ბაგეთა პოზიციას შეუძლია ენის კონკრეტული მდგომარეობით წარმოთქმული ბგერა შეცვალოს. ინგლისურში მოუმრგვალებელია წინა და ცენტრალური ხმოვნები. უკანა ხმოვნის მომრგვალება ინგლისური დიალექტების მიხედვით ცვალებადია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ფართო ტრანსკრიფციაში ვიყენებთ უკანა ხმოვნების მომრგვალების სიმბოლოს. (11)-ში ჩამოთვლილია ხმოვნების ცხრილის აღწერითი ტერმინები.

(11). IPA-ს ხმოვანთა რიგებისა და სვეტების აღნიშვნები.

დახურული სხვა ხმოვნებთან შედარებით ენის სიმაღლე ყველაზე მეტია, ენა სასასთან ყველაზე ახლოსაა (ასეთ ხმოვნებს ასევე ჰქვიათ მაღალი)

ლია	სხვა ხმოვნებთან შედარებით ენის სიმაღლე ყველაზე ნაკლებია: პირი ღიაა (აგრეთვე – დაბალი)
საშუალოდ ღია, საშუალოდ დახურული	შუალედური პოზიციები (აგრეთვე – საშუალო/ზედა საშუალო/ქვედა საშუალო)
წინა	სხვა ხმოვნებთან შედარებით ენა წინაა
ცენტრალური	შუალედური პოზიცია
უკანა	სხვა ხმოვნებთან შედარებით ენა უკანაა (ხახასთან ახლოს)
მორგვალე-ბული	ბაგეები ერთადაა თავმოყრილი და წინაა წამოწეული.

მოძებნეთ ხმოვანთა სიმბოლოები IPA-ს ხმოვნების ცხრილში, რომლებიც ინგლისურისათვის გამოიყენეთ. აღსანიშნავია, რომ ინგლისურში [a] დაბალი უკანა ხმოვანი ხშირად აღნიშნულია [a] სიმბოლოთი. (ფაქტიურად, ამერიკული მეტყველება იმდენად ცვალებადია, რომ არ ვიცით რომელი სიმბოლო უფრო ზუსტია, თანაც IPA არ გვაძლევს დაბალი ხმოვნების აღსანიშნად რაიმე სიმბოლოს). დაინახავთ, რომ ინგლისურ ხმოვანთა უმრავლესობა მოუმრგვალელებელია. მხოლოდ /u ო/ ხმოვნებია მომრგვალელებული. ასევე, გარდა ცენტრალური /ə/-სა და ღია /a æ/ ბგერებისა, ყველა ინგლისური ხმოვანი წინა-უკანა წყვილს ქმნის. (თუმცა ბევრისთვის ჩვენ მიერ წარმოდგენილი [ʌ] ბგერა ცენტრალურია ანუ IPA-ის მიხედვით [ɜ]-თი ჩაინერება). ხმოვანი ბგერის აღსანიშნად საჭიროა ამ ტერმინების მოცემული წყობით ჩაწერა: რიგი, სვეტი, მომრგვალე – მაგ [i] არის მაღალი წინა მოუმრგვალელებელი ხმოვანი.

ხმოვანთა ცხრილი შეიძლება ასევე წარმოვადგინოთ სტრიქონების და სვეტების ცხრილის სახით, მაგრამ ეს ხდება სახმო ტრაქტის ორი განზომილების უწყვეტი წარმოდგენის შემთხვევაში, როგორც 11.5 ნახ.-შია. როცა ასეთი სახითაა წარმოდგენილი, ხმოვნის სიმბოლოები ცხრილში განლაგებულია სხვადასხვა ადგილას, რაც ასევე მიუთითებს ენის პოზიციაზე (ან შესაბამის სმენით შთაბეჭდილებაზე, რასაც ეს ხმოვანი ახდენს). სიმბოლოს გვერდით დასმული წერტილი IPA-ს ცხრილში გამოიყენება ხმოვნის თვისებების აღმნიშვნელად. ამგვარად, ინგლისურში [i] ხმოვანი შეიძლება სადმე ცალკე დაისვას, ცხრილზე წარმოდგენილი [i]-სგან მოშორებით, იმის საჩვენებლად, რომ ეს ინგლისური ხმოვანი არაა ისეთი უკიდურესი, როგორც აღნიშნული ხმოვანი. როცა ცხრილი ასეთი გზით გამოიყენება, მომრგვალეებულობა არ მოქმედებს სიმბოლოების განლაგებაზე.

11.3.6 დიფთონგები

ზოგი ხმოვანი წარმოდგენილია ხმოვნის სიმბოლოთა მიმდევრობით, ვინაიდან მათი წარმოქმნისას ენა ან/ ბაგეები ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაში გადადის. ასეთ ხმოვნებს დიფთონგები ჰქვიათ. გამოყოფენ დიდ დიფთონგებს, რომლებიც ხმოვნის სივრცის დიდ ნაწილს კვეთს და პატარა დიფთონგურ მოძრაობებს, რომლებიც მხოლოდ ცხრილში მოსაზღვრე არეალს მოიცავენ. ამ თავში წარმოდგენილი ინგლისური ხმოვნების ტრანსკრიფციები მხოლოდ დიდ მოძრაობებს გამოხატავენ: [aɪ , aʊ , oɪ]. სხვა წიგნებში მოცემულია პატარა დიფთონგები /e/ და /o/-სთვის და ზოგჯერ /i/ და /u/-სთვის. დიდი დიფთონგები ინგლისურად მოპალარაკეთა უმრავლესობისთვის დიფთონგებია, ხოლო მცირე დიფთონგებს მხოლოდ მოლაპარაკეთა უმცირესობა

აღიარებს, მათ შორის კალიფორნიელები. ხმოვნების ჩვენეული ტრანსკრიფცია, როგორც ჩვენ მიერ წარმოდგენილი ყველა ფართო ტრანსკრიფცია, არის კომპრომისი ინგლისური ხმოვნის დიფთონგებად ან მონოფთონგებად (ერთხმოვნაანი ბგერები) წარმოთქმებს შორის.

სავარჯიშო 11.14

სავარჯიშო 11.14

ქვემოთ წარმოდგენილ განმარტებებს მიუწერეთ შესაბამისი ტერმინები.

მაგალითი: ენის წინ წამოწვეთ გამოითქმის = წინა ხმოვანი

- (1) გამოითქმის ერთად თავმოყრილი და წინ წამოწვეთ ბაგეებით
- (2) ორი ბგერის მიმდევრობით შექმნილი ხმოვანი
- (3) დაბლა დაწეული ენით წარმოთქმული
- (4) მაღლა აწეული ენით წარმოთქმული
- (5) შუალედურ მდომარეობაში მყოფი ენით წარმოთქმული

სავარჯიშო 11.15

მოცემულ განმარტებებს მიუწერეთ IPA-ს სიმბოლოები

მაგალითი: საშუალო ცენტრალური მოუმრგვალებელი ხმოვანი = [ə]

- (1) მაღალი (=დახურული) წინა მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (2) მაღალზე ოდნავ დაბალი წინა მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (3) საშუალოზე მაღალი (=საშუალოდ დახურული) უკანა მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (4) დაბალი (=ღია) უკანა მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (5) მაღალი უკანა მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (6) დაბალზე ოდნავ მაღალი წინა მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (7) მაღალი წინა მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (8) საშუალოზე დაბალი წინა მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (9) მაღალი ცენტრალური მოუმრგვალებელი ხმოვანი
- (10) მაღალზე ოდნავ დაბალი უკანა მოუმრგვალებელი ხმოვანი

11.3.7 განსხვავებული სახით წარმოთქმა გულისხმობს სხვადასხვა სიმბოლოს

IPA-ს ცხრილში ხმოვნებსა და თანხმოვნებს შორის დიდი განსხვავებაა. მათ ცალ-ცალკე ცხრილი და განსხვავებული აღწერითი ტერმინები აქვთ. ეს შუალედურ ბგერას უცნაურ მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან ის თანხმოვნებსაც ჰგავს და ხმოვნებსაც. მას ხშირად ნახევარ-ხმოვანსაც უწოდებენ, ვინაიდან ხმოვნის მსგავსია. მისი თანხმოვანთა ცხრილში ცენტრალურ აპროქსიმანტების პოზიციაში ყოფნა კი ბუნდოვანს ხდის მის მსგავსებას ხმოვნებთან. [] შუალედური ბგერა უფრო დახურულია, ვიდრე მსგავსი [] ხმოვანი. ძნელი სათქმელია ესა თუ ის შუალედური ბგერა უფრო მეტად ხმოვანს ჰგავს, თუ თანხმოვანს. ამის მსგავსად, როტირებული თანხმოვნის სიმბოლო ჯაღწერს იმ ბგერას, რომელიც IPA-ში ასევე გადმოცემულია თანხმოვნის სიმბოლოთი ([r]), მაგრამ ზოგადად სიმბოლოების განმარტებები ფიქსირებულია ცხრილის მიხედვით და თუ დარწმუნებული ხარ რა ბგერაა წარმოთქმული, მაშინ ზუსტად იცი, რა სიმბოლო უნდა გამოიყენო მისი ვიწრო ტრანსკრიფციის ჩასაწერად. უზუსტობა

ან შეუთანხმებლობა ძირითადად ხდება ბგერების თვისებებთან დაკავშირებით. თუ წარმოთქვამ ერთ ბგერას და წერ მეორე სიმბოლოს, მაშინ არასწორ ჩანაწერს აკეთებ. მაგალითად, თუ წარმოთქვამ [s] ბგერას უფრო როგორც კბილისმიერ ნაპრალოვანს, ვიდრე ალვეოლარულს, მაშინ შეგანუხებს ის ფაქტი, რომ ეს ბგერა ალვეოლარულთა სვეტში ზის და ვერ ხვდება, როგორ უნდა ჩაიწეროს კბილისმიერი (პასუხია [ʃ]). ამის მსგავსად []-ს წარმოთქვამ უფრო რეტროფლექსად, ვიდრე პოსტალვეოლარულ აპროქსიმანტად. მაგრამ შეგვიძლია შევთანხმდეთ ფართო ტრანსკრიფციის ჩასაწერად გამოყენებულ სიმბოლოებზე, ვინაიდან ვიცით, რომ IPA დამატებით სიმბოლოებს იძლევა ვიწრო ტრანსკრიფციისათვის.

საწარმოთქმო ინფორმაცია ფონეტიკის ლაბორატორიიდან

ჩანართი
11.5

საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ წარმოთქმის ამგვარი განმარტებები ზუსტია თუნდაც რამდენიმე მოსაუბრისათვის? მართალია, წარმოთქმის შესახებ მეტად სასარგებლო ცნობებია მიღებული თვითდაკვირვების შედეგად, მაგრამ მაინც არსებობს ლაბორატორიული მონაცემების მიღების ტრადიცია მე-19 საუკუნიდან ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებამდე. წარმოთქმის ადგილის დადგენა შეიძლება ულტრაბგერის დახმარებით, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (MRI-ისა) და რენტგენის სხივების, პალატოგრაფიის, ან მაგნეტომეტრიის მეშვეობით. დინამიურ ელექტროპალატოგრაფიაში კონტაქტური ელექტროდების ჯგუფი მაგარ სასაზე იწერს ენის შეხების წერტილებს. მაგნეტომეტრიაში ელექტრომაგნიტური ველი იქმნება მოსაუბრის თავის გარშემო და ერთი ან მეტი რეცეპტორი დაკვირვების ობიექტი ხდება. წარმოთქმის რაგვარობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ არა მხოლოდ ამ ტექნიკის გამოყენებით, არამედ ჰაერნაკადისა და ჰაერის წნევის ჩანიშვნის გზით. უღერადობის შესახებ ცნობის მიღება კი შეგვიძლია ელექტროგლოტოგრაფიის საშუალებით, რომელიც სახმო სიმებს შორის კონტაქტს იწერს.

11.3.8 IPA-ს სხვა სიმბოლოები: თანხმოვნები და ხმოვნები

IPA გაცილებით მეტ სიმბოლოს მოიცავს, ვიდრე ჩვენ აქამდე გამოვიყენეთ. ამის მიზეზი ერთი მხრივ ისაა, რომ სხვა ენები ისეთ ბგერებს იყენებენ, რაც ინგლისურში არ არის. IPA გვაცდევს ყველა ენაში ყველა ძირითადი ბგერის შესატყვის სიმბოლოს. IPA-ს სიმბოლოთა სრული წარმოდგენა და განხილვა შესავლის კურსში არ შედის, მაგრამ თუ გააზრებული გაქვს აბსტრაქტული ჩარჩო, შეგიძლია გაუმკლავდე მათ უმრავლესობას, როცა შეგხვდება. თანხმომთანა ცხრილში არის ისეთი თანხმოვნები, რომელიც ინგლისურში არაა, მაგრამ ისეთ ფონეტიკურ თვისებებს მოიცავს, რასაც ინგლისურიც იყენებს. მაგალითად, ინგლისურს აქვს წყვილბაგისმიერი ხშულები (ორალური [p, b] და ნაზალური [m]) და კბილბაგისმიერი ნაპრალოვნები (f, v), მაგრამ არა შებრუნებული კომბინაცია – წყვილბაგისმიერი ნაპრალოვნები ([f, β]) და კბილბაგისმიერი ხშულები (ნაზალური [m]) – თუმცა თქვენ მაინც უნდა მიხვდეთ, რა ბგერებია მათი განმარტებების მიხედვით. ამის მსგავსად, თუკი იცით, როგორ წარმოთქმის წინა მოუმრგვალებელი ხმოვანი, როგორცაა [i], შეგიძლიათ გამოთქვათ წინა მომრგვალებული ხმოვანი [y]. თუ იცით, როგორ წარმოთქმის უკანა მომრგვალებული ხმოვანი [u], მიხვდებით უკანა მოუმრგვალებელი ხმოვნის [ʊ]-ს წარმოთქმას. სხვა ბგერები უფრო რთულია, ვინაიდან ისინი ინგლისურის ძირითადი ბგერებისგან განსხვავდება, მაგრამ ექსპერიმენტმა შეიძლება ახალი ფონეტიკური უნარ-ჩვევა შეგძინოთ. მაგალითად, ვინაიდან შეგიძლიათ

წარმოთქვით სასისმიერი აპროქსიმანტი ბგერა [j], როგორც სიტყვაში შეგიძლიათ სცადოთ ენის ცენტრის აწევა, სანამ არ წარმოთქვამთ სასისმიერ ნაპრალოვანს [j] და შემდეგ განაგრძოთ ენის აწევა, ვიდრე სრულ ხშვას არ მიიღებთ მჟღერი სასისმიერი ხშული ბგერის [j]-ის წარმოსათქმელად. თუ ამ ბგერის ნაზალიზაციას მოახდენ, მიიღებ [ɲ] ესპანურ ბგერას (რომელიც *ჩ*თი ინერება), ფრანგულის ბგერას (რომელიც *gn*თი ჩაინერება) და სხვა ენებში არსებულ ასეთსავე ბგერას.

მეორე მხრივ, ცხრილში წარმოდგენილია ზოგი განზომილება, რომელიც ინგლისურის ძირითად ბგერებში არ გამოიყენება. ინგლისურის ყველა თანხმოვანი და ცხრილში წარმოდგენილი ბგერების უმრავლესობა ფილტვებიდან გამოსულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰაერი ფილტვებიდან მოდის. ცალკე ცხრილი გვაქვს არა-პულმონური თანხმოვნებისთვის: ტკაცუნა ბგერები, მჟღერი მსკდომები და ყრუ აბრუპტივები. ყველა ეს ისეთი ბგერებია, რომელთა წარმოთქმისას ჰაერი სხვა გზით გამოედინება. მაგალითად, მსკდომებში ხდება ხორხში მოძრაობა ქვემოთ, ხშვის დროს. ეს მოძრაობა იძლევა ხშვისას ჟღერადობას და ამავდროულად ზრდის ჰაერის სივრცის ზომას სახმო ტრაქტში. როცა ხშვა პირის ღრუში თავისუფლდება, ჰაერი გამოდის სახმო ტრაქტში და არა გარეთ, რაც ამ გათავისუფლებას უფრო ძლიერს ხდის.

11.4 დიაკრიტიკული ნიშნები

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ცხრილის გრაფები გადმოსცემს არტიკულაციის მთელ რიგს. დიაკრიტიკული ნიშნები კი ცდილობს დაავინროვოს მათი რიგი. ამ უკანასკნელთა გამოყენებით ჩაწერილ ტრანსკრიფციას ხშირად უწოდებენ **ვინროს**. როგორც ზემოთ ვთქვით, ვინრო ტრანსკრიფცია აფიქსირებს მოსაუბრეთა გამოთქმას ან ენებს შორის მცირე განსხვავებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დიაკრიტიკული ნიშნები საჭიროა ენის ძირითადი ბგერებისთვისაც. მაგალითად, როცა ენას აქვს ნაზალური და ორალური ხმოვნები, მაშინ აუცილებლად გამოიყენება ნაზალიზაციის ნიშანი. IPA-ს ცხრილის ქვედა მარჯვენა ნაწილი მოიცავს დიაკრიტიკული ნიშნების ცხრილს, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წარმოვადგინეთ. (12)-ში ჩამოთვლილია რამდენიმე ასეთი ნიშანი, რომლებიც ინგლისურშიც გვხვდება.

(12) IPA-ს ზოგი დიაკრიტიკული ნიშანი

ფშვინვეერი	^h	ყიასთან წარმოქმნილი ხმა, განსაკუთრებით თანხმოვნის წარმოთქმის ბოლოს ([p ^h])
მარცვლოვანი	^ʰ	უხმოვნო თანხმოვანი ([t ^ʰ])
როტირება	[~]	r-ის შეფერილობა ([ɹ~])
კბილისმიერი	[̃]	ზედა კბილები პასიური საწარმოთქმო ორგანო (ალვეოლარული სვეტის სიმბოლოთა ცვლილებისას გამოიყენება) ([d̃])
ნაზალიზებული	[̃]	ჰაერი ცხვირისა და პირის ღრუებიდან ერთდროულად გამოდის ([ã])
უხმო	[̥]	თანხმოვანი პირის გაღებისას არ ისმის ([d̥])
ყრუ	[◌]	სახმო სიმების ნაწილობრივი ან სრული უძრაობა ისეთი

ბგერის წარმოთქმისას, რომელიც სხვა შემთხვევაში მჟღერია ([j])

ველარიზებული ~ ენის დაჭერა სხვა პირველადი არტიკულაციისას ([j])

და ბოლოს, ცხრილში დიაკრიტიკული ნიშნების გვერდით წარმოდგენილია დამატებითი ნიშნები, რომლებიც სპეციალურად სუპრასეგმენტალებისთვისაა განკუთვნილი. პირველი მათგანი ძირითადი ან პირველადი მახვილის აღმნიშვნელია და ამ თავში უკვე გამოვიყენეთ. მეორე არის მეორადი ან სუსტი მახვილისთვის, რის განხილვასაც ჩვენ არ ვაპირებთ. მომდევნო სამი გადმოსცემს ხმოვნის ან თანხმოვნის ბუნებრივი ხანგრძლივობის გაგრძელებას ან შემოკლებას. მაგალითად, მე-12 თავში განხილული იყო ინგლისური ხმოვნების ყრუ თანხმოვნების წინ შემოკლების შემთხვევები, რაც ტრანსკრიფციაში გარკვეული ნიშნით გამოისახება. მეორე მხრივ, ზოგ ენაში შესაძლებელია თანხმოვნების ან ხმოვნების ხანგრძლივობა გაორმაგდეს, რაც [:] სიმბოლოთი აღინიშნება. მომდევნო ოთხი დიაკრიტიკული ნიშანი გამოხატავს სეგმენტების დაკავშირება-გათიშვას. მარცვლების დაყოფის აღმნიშვნელი ნიშანი უკვე გამოვიყენეთ და კიდევ შეგვხვდება შემდეგ თავებში.

შემდეგ ორ სვეტში შედის ტონების აღნიშვნის ალტერნატიული გზები. მაგ: კანაში ფარიკაობის აღმნიშვნელი სიტყვა დაბალი ტონით ჩაინერება [bè] ან [be+]; სახლის ან სირთულის აღმნიშვნელი სიტყვა ნეიტრალური ტონით – [bē] ან [be+], ხოლო ჩხუბი მაღალი ტონით – [bē] ან [be+]. ჩვენ არ განვიხილავთ ტონის მოვლენას, რაც სხვა ტონური დიაკრიტიკული ნიშნებითაა გადმოცემული.

ხმის ტონის ინტონაციური აწევ-დაწევა აღინიშნება აწეული (´) და დაწეული (˘) ისრებით. მაგალითად წინადადებაში 'Is Hamlet upset?' ინტონაცია ეცემა სიტყვაზე 'Humlet', მაღლა ადის 'upset' სიტყვაზე, როგორც (13)-შია წარმოდგენილი. ხოლო წინადადებაში 'What did Polonius say?' ინტონაციის აწევას მოყვება მისი საბოლოო ვარდნა, როგორც ეს (14) -შია მოცემული:

↘ ↗
13. Is Hamlet upset?

↗ ↘
14. What did Polonius say?

მომდევნო თავებში ამ ცხრილიდან სხვადასხვა სიმბოლო და დიაკრიტიკული ნიშანი იქნება გამოყენებული. შეგიძლიათ, დაუბრუნდეთ ცხრილს, რომ გაიხსენოთ რა სახის ბგერას გამოხატავს ესა თუ ის სიმბოლო.

მოცემული აღწერის მიხედვით ჩანერეთ სიმბოლო დიაკრიტიკულ ნიშანთან ერთად.

მაგალითი: ფშინვიერი ყრუ წყვილბაგისმიერი ხშული pat სიტყვის დასაწყისში = [pʰ]

1. მარცვლოვანი ალვეოლარული ცხვირისმიერი sweeten სიტყვის ბოლოს
2. მჟღერი კბილისმიერი ხშული სიტყვაში breadth

1. ნაზალიზებული მალალი წინა მოუმრგვალებელი ხმოვანი სიტყვაში **lean**
2. უხმო მჟღერი უკანასასისმიერი ხშული სიტყვაში **hag**
3. ნაწილობრივ ყრუ ალვეოლარული ნაპრალოვანი სიტყვაში **buzz**

საპარაფრაზი

11.17

წინადადებებს დაამატეთ ისრები აღმავალი და დაღმავალი ინტონაციის აღსანიშნად.

მაგალითი: **Virtue? A fig!** პირველ სიტყვაზე ინტონაცია მაღლა ადის ხოლო ბოლოზე – ეცემა.

↗ ↘
Virtue? A fig!

1. *It cannot be.* ინტონაციის ვარდნა *be* სიტყვაზე.
2. *Put money in thy purse.* ვარდნა არის *purse* სიტყვაზე.
3. *Thou art sure of me.* ინტონაციის აწევაც და ვარდნაც სიტყვაზე *sure*.
4. *Do you hear, Roderigo?* ინტონაციის აწევა *hear* და *Roderigo* სიტყვებზე.
5. *How, is this true?* ინტონაციის ვარდნა *how* სიტყვაზე, ხოლო აწევა - *true* – ზე.

ჩანართი

11.6

ბგერების ანალოგიები ენებს შორის

როცა ადამიანები ახალი ენის ბგერითი სისტემის წინაშე დგებიან, ისინი მშობლიური ენის ბგერების მისადაგებას იწყებენ. რამდენადაც შესაძლებელია, ისინი ათანაბრებენ ახალ ბგერებს ნაცნობ ბგერებთან. წარმოვიდგინოთ, რომ მშობლიური ენაა ინგლისური, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ბგერაა [f], ხოლო ახალ ენას აქვს რეტროფლექსური [ʃ] ან ალვეოლარულ-სასისმიერი [ɸ], რომელთაგან ერთ-ერთი [ʃ]-ს მსგავსია, მაგრამ არა იდენტური. ინგლისურად მოსაუბრენი ამ ბგერას ჩათვლიან, როგორც ამ ენაში არსებულ სასაცილო [ʃ]-ს. მაგრამ მოგვიანებით, ახალი ბგერის ნაცნობ ბგერასთან გაიგივების შემდეგ, ინგლისელები იმ ენაზე საუბრისას გამოიყენებენ ინგლისურ [ʃ]-ს, რაც მათ მეტყველებას ინგლისურ აქცენტს შესძენს. უარეს შემთხვევაში, ახალ ენას ორი მსგავსი ბგერა – 'ორი განსხვავებული [ʃ]' – შეიძლება ჰქონდეს და ინგლისურად მეტყველნი მის ნაცვლადაც ინგლისურ [ʃ]-ს გამოიყენებენ. მეორე მხრივ, ახალი ენის ბგერა შეიძლება იმდენად განსხვავებული იყოს, რომ არავითარი მსგავსება არ ჰქონდეს ინგლისურთან. წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისელი წააწყდა ტკაცუნა ბგერებს. მსგავსის პოვნას რომ ვერ შეძლებს, მოსაუბრე იძულებული იქნება ისინი ისწავლოს, მაგრამ შეიძლება სწორად ვერ წარმოთქვას და მისი აქცენტი არაბუნებრივად გაიჟღერებს.

11.5 დასკვნა

ფონეტიკა ეხება ენის ფიზიკურ მახასიათებლებს. მეტყველება განიხილება, როგორც სეგმენტების მიმდევრობა, რასაც ემატება სუპრასეგმენტალებიც. ფონეტიკური ტრანსკრიფცია წარმოადგენს სეგმენტებისთვის ფონეტიკურ სიმბოლოთა ჯაჭვს, ხოლო სუპრასეგმენტალებისთვის მათ ემატება დიაკრიტიკული ნიშნები.

ენების ორთოგრაფია ყოველთვის ვერ უთანხმებს ბგერასა და ასოს ერთმანეთს. ფონეტიკური ანბანის მიზანია, ერთმა სიმბოლომ ერთი ბგერა გამოსახოს და ერთი ბგერა ერთი სიმბოლოთი იყოს წარმოდგენილი. IPA არის საერთაშორისო სტანდარტული ანბანი, რომლის მიზანია მსოფლიო ენების ბგერებისთვის სიმბოლოთა შემოღება. თანხმონისა და ხმოვნის სიმბოლოები განისაზღვრება არტიკულაციის სხვადასხვა ტერმინით: თანხმონები ხასიათდება მჟღერობით, წარმოთქმის ადგილით და წარმოთქმის რავგარობით, ხმოვნები კი – ენის პოზიციით და ბგერათა მომრგვალებით. ეს აღწერითი განზომილებები სიმბოლოებს ფონეტიკურ ცხრილებში ალაგებს.

ფონეტიკური ტრანსკრიფცია შეიძლება ფართო იყოს ან ვიწრო. ამ თავში წარმოდგენილი იყო 40 სიმბოლო ამერიკული ინგლისურის ძირითადი ბგერების ფართო ტრანსკრიფციისთვის. ვიწრო ტრანსკრიფცია იყენებს დამატებით ფონეტიკურ სიმბოლოებსა და დიაკრიტიკულ ნიშნებს. ეს უკანასკნელნი უფრო სპეციფიკურს ხდის სიმბოლოებს. ეს დამატებითი სიმბოლოები და ნიშნები გამოიყენება სხვა ენების ძირითადი ბგერებისთვის.

მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეებს, აქვთ როგორც ლინგვისტური სტრუქტურის სხვა ასპექტების შესახებ ცოდნა, ასევე — ფონეტიკური ცოდნა მათ იციან თავიანთი ენის ბგერები და ზუსტად იციან სხვადასხვა კომბინაციებში როგორ გამოთქვან ისინი. არანაირ ტრანსკრიფციას არ შეუძლია გამოთქმის ყველა დეტალის გადმოცემა.

საკითხავი ლიტერატურა

- Adams, Marilyn J. 1990. *Beginning to Read: Thinking and Learning about Print*. Cambridge, MA: MIT Press.
- Catford, John C. 1988. *A Practical Introduction to Phonetics*. Oxford: Clarendon Press.
- Dodd, B. and R. Campbell. eds. 1987. *Hearing by Eye: The Psychology of Lip Reading*. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum Assoc.
- Gough, Ehri, and Treiman. eds. 1992. *Reading Acquisition*. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum Assoc.
- Ladefoged, Peter. 1993. *A Course in Phonetics*, 3rd edn. Fort Worth: Harcourt Brace Jovanovich College Publishers.
- and Ian Maddieson. 1996. *Sounds of the World's Languages*. Oxford: Blackwell.
- Laver, John. 1994. *Principles of Phonetics*. Cambridge: Cambridge University Press.
- Pullum, Geoffrey K. and W. A. Ladusaw. 1986. *Phonetic Symbol Guide*. Chicago: University of Chicago Press.
- Rogers, Henry. 1991. *Theoretical and Practical Phonetics*. Toronto: Copp Clark Pittman Ltd.
- Smalley, William A. 1989. *Manual of Articulatory Phonetics*, rev. edn. Lanham, MD: University Press of America. First edition 1961.

ქვემოთ მოცემული სიტყვების ფართო ტრანსკრიფცია ჩვეულებრივი ინგლისური ორთოგრაფიით ჩანერეთ. ასეთი გამოთქმა შეიძლება თქვენსას არ ჰგავდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიტყვების ამოცნობა შესაძლებელი უნდა იყოს.

1. bʊk
2. onli
3. pɛpə
4. aʊt
5. rɪmaɪnd (or rəmaɪnd)
6. stɑp
7. hɛd
8. θɪŋk

სავარჯიშო 11.19

წარმოადგინეთ ფართო ტრანსკრიფცია ამ ინგლისური სიტყვების წყვილებისა. ყურადღება გაამახვილეთ, თუ რა განასხვავებს წყვილებში მოცემულ ორ სიტყვას. თუ სურვილი გექნებათ, გამოიყენეთ ლექსიკონი, მაგრამ აუცილებლად ჩანერეთ IPA-ს სიმბოლოებით. (ვინაიდან თითოეულმა სტუდენტმა შეიძლება ჩანეროს საკუთარი გამოთქმა, ერთი სწორი პასუხი შეიძლება ვერ მივიღოთ).

1. **spot - Scot**
2. **weary - worry**
3. **cue - few**
4. **lose - loose**
5. **man - men**
6. **woman - women**
7. **attend - Athens**
8. **size - seize**
9. **show - shoe**
10. **put - putt**

სავარჯიშო 11.20

ჩანერეთ ჩვეულებრივი ინგლისური ორთოგრაფიით სიტყვები, რომელთა ვინრო ტრანსკრიფციაა მოცემული. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს გამოთქმა შესაძლოა თქვენსას არ ჰგავდეს.

1. [ˈpʰɛntɪ]
2. [bʊk]
3. [tʃrækʰ]
4. [ˈmɒrə]
5. [sɛnts]

სავარჯიშო 11.21

ქვემოთ მოცემულია სიტყვათა ვინრო ტრანსკრიფცია. ჩანერეთ მათი ფართო ტრანსკრიფცია.

1. [ˈwʌndəʃ]
2. [ˈʔæp]
3. [pʰʊt]
4. [meɪ]
5. [wæt]

შეადარეთ მოცემული ბგერები ერთმანეთს. თითოეულ ჯგუფში ერთის გარდა ყველა ბგერა IPA-ს ცხრილის ერთსა და იმავე რიგსა ან სვეტშია. დაასახელეთ ეს რიგი ან სვეტი და შემოხაზეთ ის ბგერა, რომელიც მას არ მიეკუთვნება. სავარჯიშო 11.22

1. m n r ŋ
2. p t k v d g
3. p t s l n
4. f v s z h k
5. i e u ε æ

11.22-ის მსგავსი სავარჯიშოა, მაგრამ აქ ერთი ბგერა თითოეულ ჯგუფში ეკუთვნის ბგერათა იმ კლასს, რომელიც ან ცდება ცხრილის ერთ რიგს ან სვეტს – ისეთი კლასები, როგორცაა: ბაგისმიერი, კორონალური, ობსტრუენტი, სონორი, აპროქსიმანტი, ხშული, ნაპრალოვანი, მჟღერი, ყრუ, მომრგვალებული, მოუმრგვალებელი – ან მოცემულ რიგსა ან სვეტში შედის, როგორცაა მჟღერი ხშულები, ბაგისმიერი ხშულები. დაასახელეთ ბგერათა კლასი და შემოხაზეთ ბგერა, რომელიც ამ კლასს არ ეკუთვნის. სავარჯიშო 11.23

- (1) β v ð z ʒ h
- (2) i e æ u ʌ
- (3) m l r j w
- (4) m n k l r j
- (5) θ f ð s z ʃ ʒ

ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი ავსტრალიური ენის, ბურერას ბგერები. შეადარეთ ეს ჯგუფი ინგლისურის ძირითად ბგერებს და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს. სავარჯიშო 11.24

/p t c k m n ɲ ŋ r l r/ (როგორც ინგლისურშია) j w i ε a ɔ u/

ა. ბურერას რომელი ბგერები არ არის ძირითადი ინგლისურისთვის? არაა საჭირო მათი განსაზღვრა, უბრალოდ დაასახელეთ ისინი.

ბ. ინგლისურის რომელი ბაგისმიერი ბგერები არაა ბურერაში?

გ. ინგლისურის რომელი კორონალური ბგერები არაა ბურერაში?

დ. ინგლისურის რომელი ზურგისმიერი ბგერები არაა ბურერაში?

ე. ინგლისურის რომელი გლოტალური ბგერები არაა ბურერაში?

ფონოლოგია I :

ძირითადი პრინციპები და მეთოდები

შინაარსის სარჩავი

12.0 შესავალი

12.1 რა არის ფონოლოგია?

12.2 ბგერები მეტყველებაში:

გამორჩეულობა და შეპირისპირება

12.3 ფონემური პირობითი ნიშნები და ფონემიზაცია

12.3.1 ფონემიზაციის ტერმინოლოგია

12.3.2 ფორმალიზაცია

12.3.3 ფონემური ანალიზი და ჩანერის ფორმა

12.3.4 სხვა ენების ფონემები

12.4 ფონემური ანალიზი

12.4.1 მინიმალური წყვილები

12.4.2 დამატებითი დისტრიბუცია

12.4.3 მინიმალურთან მიახლოებული წყვილები.

12.4.4 დამატებითი დისტრიბუციის დადგენა მონაცემთა მიხედვით

12.5 ბუნებრივი კლასები

12.6 ფონემის ფსიქოლოგიური რეალობა

12.6.1 ზუსტი განსხვავებების სმენადობა

12.6.2 „იგივე ბგერის“ ცნება

12.6.3 უცხოური აქცენტები

12.7 ფონეტიკური მსგავსების კრიტერიუმები

12.8 კონტექსტით შეზღუდული კონტრასტი

12.9 სახესხვაობა

12.10 ფონოლოგია და მისი კავშირი მორფოლოგიასთან

12.10.1 /t/ ბგერით დაბოლოებული

ფუძეების ალტერნაცია ინგლისურში

12.10.2 რიტმული გახანგრძლივება ჩოქტაუში

12.11 ნეიტრალიზაცია

12.11.1 ხშულების ნაზალიზაცია კორეულში

12.11.2 პოსტნაზალური /t/ ბგერის ამოვარდნა ინგლისურში

12.12 ფონემური გარემო და წესთა წყობა

12.13 დასკვნა

საკითხავი ლიტერატურა

სავარჯიშოები

12.0 შესავალი

ამ ნიგნში ჩვენ დავუშვით, რომ ლინგვისტური ცოდნა სხვადასხვა შედარებით დამოუკიდებელი კომპონენტების ერთობლიობას წარმოადგენს (სინტაქსი, სემანტიკა, ფონეტიკა და ა.შ.). ენის **ფონოლოგიური კომპონენტი** არის წესების, გამოხატულებებისა და პრინციპების სისტემა. ენის ფონოლოგია „ბგერის გრამატიკაა“ იმავე ენისათვის.

ნიშნების ფონოლოგია

ნიგნის ძირითადი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს სამეტყველო ენის ფონოლოგიაზე, თუმცა, როგორც წინა თავებიდან ვნახეთ, მსოფლიო ენებს შორის უამრავი ნიშანთა ენაა. ისინი გულისხმობენ ხელების, მოძრაობების და მიმიკის გამოყენებას სათქმელის გადმოსაცემად. 1960-იან წლებში დანყებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნიშნების ენებსაც აქვთ ფონოლოგია. კვლევის ძირითადი მიზანი იყო მათი ფონოლოგიის ძირითადი პრინციპების აღმოჩენა და შედარება სამეტყველო ენათა პრინციპებთან. ამგვარად, *ფონოლოგია* ეხება ენაში არსებულ წესებს, რომლებიც საჭიროა კომუნიკაციის ფიზიკური პროცესისთვის.

12.1 რა არის ფონოლოგია?

ფონოლოგია ენათმეცნიერების სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ ერთი შეხედვით შეუმჩნეველია მისი არსებობის მიზეზი. ვიცით, რომ ენაში არის სიტყვები და ეს სიტყვები ბგერებისგან შედგება – რატომ არ შეგვიძლია ყველა სიტყვის შემადგენელი ბგერების მწკრივი წარმოვადგინოთ და ამით მოვამთავროთ საქმე? ირკვევა, რომ ფონოლოგიური სისტემის სამყარო უფრო რთულია. 1. ბგერები იცვლება კონტექსტის მიხედვით ძირითადი ფონეტიკური მიზეზებით. 2. ბგერათა **დისტრიბუცია** თვითნებური არაა და ექვემდებარება რთულ წესებს. 3. ფონოლოგია შემოსაზღვრულია გრამატიკის ისეთი სხვა კომპონენტებით, როგორიცაა მორფოლოგია და სინტაქსი; დაბოლოს, არსებობს სხვადასხვა გზა, რითაც ბგერები ასახავენ კომპონენტებს.

გარდა ამისა, ენის ფონოლოგიური წესების სისტემებს ახასიათებთ სწრაფვა სრულყოფისაკენ. ზოგი ენის ფონოლოგიური სტრუქტურა საკმაოდ რთულია, რაც ენათმეცნიერებისთვის ძნელი ამოსახსნელია. ზოგჯერ წლები მიმდინარეობს ენის ბგერითი სისტემის შესწავლა, არადა ამავე ენის ბგერებს ინტუიციურად აღიქვამენ ისინი, ვისთვისაც ეს ენა ბავშვობიდანვე ნაცნობია. ამ დარგის ყველაზე დამინტრიგებელი ასპექტია ფორმის ბუნებრივი სიუხვე.

ამ თავში წარმოდგენილია ფონოლოგიის და ფონოლოგიური ანალიზის საფუძვლები. ყურადღება განსაკუთრებულად გამახვილებულია ბგერებზე მეტყველების პროცესში: როგორ განასხვავებენ ისინი სიტყვებს და როგორ არჩევენ ენათმეცნიერი ახალი ენის ბგერათა სისტემას.

12.2 ბგერები მატყველებში: გამორჩეულობა და შეპირისპირება

ფონოლოგიური ფორმის ყველაზე გასაოცარი ასპექტი (12.2. დანართში წარმოდგენილი გამონაკლისების გარდა) ისაა, რომ იგი არსებითად უაზროა. მაგალითად, ინგლისურ */t/* ბგერას არ აქვს ლინგვისტური ინტერპრეტაცია. მისი ერთადერთი ფუნქციაა სიტყვის აგებაში მონაწილეობა. რადგანაც ინგლისურს აქვს */t/* ბგერა, სავარაუდოდ, ინგლისურში უნდა არსებობდეს სიტყვა *tie /tai/*, რომელიც განსხვავდება *die /dai/* სიტყვისაგან. ზოგადად, სამეტყველო ბგერის ერთადერთი მოვალეობაა, ენის სხვა ბგერებისგან განსხვავებულად ყდერდეს.

ენის ფონოლოგიის გაგებისთვის თავდაპირველად ვალაგებთ ენის ძირითად ბგერებს, რომლებიც სიტყვათგანმასხვავებლად გამოიყენება. ამ ძირითად ბგერებს **ფონემები** ჰქვიათ.

1. ფონემა = ენის ერთ-ერთი ძირითადი სასაუბრო ბგერა

მაგალითად, ინგლისურის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დიალექტის ფონემები ქვემოთ ფონეტიკურადაა დალაგებული. ფონეტიკურად დალაგება ნიშნავს რიგებსა და სვეტებში დანაწილებას, როგორც IPA-ს ცხრილში იყო მოცემული, თუმცა არაა აუცილებელი მისი მიმდევრობის გამეორება. ბგერათა სიმბოლოები დახრილი ხაზების ფრჩხილებშია მოქცეული (/ /) იმის საჩვენებლად, რომ ისინი ფონემებია:

2. თანხმოვნები

		წყვილბა- გისმიერი	კბილბა- გისმიერი	კბილის- მიერი	ალვოე- ლარული	სასისმიერ- ალვეოლარული	სასის- მიერი	უკანა- სასისმიერი	გლოტა- ლური
ხშულები	ყრუ მჟღერი	/p/		/t/		/tʃ/		/k/	
		/b/		/d/		/dʒ/		/g/	
ნაპრალოვნები	ყრუ მჟღერი		/f/	/θ/	/s/	/ʃ/			/h/
			/v/	/ð/	/z/	/ʒ/			
ცხვირისმიერები		/m/		/n/				/ŋ/	
აპროქსიმანტები	გვერდითი ცენტრალური			/l/					
		/w/		/r/				/j/	

3. ხმოვნები და დიფთონგები

	წინა მოუმრგვალებელი	ცენტრალური მოუმრგვალებელი	უკანა		დიფთონგები
			მოუმრგვალებელი	მომრგვალებული	/aɪ/, /aʊ/, /ɔɪ/
ზედა მაღალი ქვედა მაღალი	/i/ /ɪ/			/u/ /ʊ/	
ზედა საშუალო ქვედა საშუალო	/e/ /ɛ/	/ə/	/ʌ/	/ɒ/	მარცვლოვანი თანხმოვანი
ქვედა	/æ/		/ɑ/		/ɛ/

**ჩანართი
12.2**

ბგერის სიმბოლიზმი

მთლიანობაში სამეტყველო ბგერებს არ აქვთ თავიანთი მნიშვნელობა, მაგრამ ენათა უმრავლესობას ბგერათა სისტემაში აქვს მცირე კუთხეები, სადაც ბგერები მნიშვნელობის მქონეებად ჩანან. მაგალითად, ითვლება, რომ მაღალ წინა ხმოვანს /i/ აქვს სიმცირის ან სიახლოვის მნიშვნელობა, განსხვავებით /a/ ხმოვნისაგან, რომელიც სიდიდესა და სიშორეს აღნიშნავს. ამგვარად, ინგლისურში *teeny* /'tini/ მიუთითებს უფრო მცირე ზომაზე, ვიდრე *tiny* /'taɪni/: ასევე *eensie - weensie* /'ɪnsi'wɪnsi/ (ობობა). ამ დასკვნის საფუძველი შესაძლოა /i/-ს აკუსტიკა იყოს.

საკმაო რაოდენობის ენას აქვს მაღალი წინა ხმოვანი *this* სიტყვისთვის და დაბალი ხმოვანი *that* სიტყვისთვის:

ენა	'this'	'that'
ინგლისური	/ðɪs/	/ðæt/
სპარსული	/i:n/	/ɑ:n/
ფრანგული	/sœ'si/	/sœ'la/

ტაი /ni:/ /nân/

კიდევ ერთი შემთხვევა იყო აღნიშნული მე-2 თავში: ინგლისურში ვიზუალურ ასპექტთან დაკავშირებული სიტყვების უმრავლესობა იწყება /g/ თანხმონებით: *gleam, glow* ან *glossy*. თუმცა ბგერების მნიშვნელობა არ უნდა გადავჭარბოთ. ჩვეულებრივ, ენის ლექსიკონის მხოლოდ მცირე ქვეჯგუფი მოიცავს მნიშვნელობის მქონე ბგერებს. უფრო მეტიც, ბგერების მნიშვნელობა თვითნებურია თითოეულ ენაში: კორეული, მაგალითად, ძირითადად დაბალ და საშუალო ბგერებს იყენებს სიმცირის გამოსახატად.

სხვა დიალექტები განსხვავდება. მათ დამატებითი ფონემები აქვთ /ɔ/, /ʌ/, და ა.შ.

ქვემოთ განვიხილავთ მეთოდებს ენის ან დიალექტის ფონემური ინვენტარის დადგენისთვის. ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ნებისმიერი ორი სიტყვა განსხვავებულად წარმოითქმის, ისინი მინიმუმ ერთი ფონემით მაინც განსხვავდებიან. ფონემური ინვენტარი არ შეიცავს უაზრო, ზედმეტ წევრებს; თითოეულ მათგანს აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია.

ენები განსხვავდებიან ფონემათა რაოდენობით. რეკორდულად მცირე ოდენობის ფონემები გვხვდება როტოკასში (ამ ენაზე წყნარი ოკეანის სამხრეთში არსებულ კუნძულებზე მეტყველებენ), სადაც 11 ფონემაა, ხოლო რეკორდულად დიდი ოდენობის ფონემებია !Xoo-ში – 160 ფონემა. ინგლისურს აქვს 37-41 ფონემა, ზუსტი რაოდენობა ანალიზსა და დიალექტზეა დამოკიდებული. საშუალოდ ენაში 30 ფონემაა.

ყველაფერი ეს ძალიან პირდაპირი და მარტივია, მაგრამ რთულდება (4)-ში წარმოდგენილი პრინციპების დამატების შემდეგ:

(4) ფონემური სახესხვაობა

ა. ფონემები იცვლება კონტექსტის მიხედვით.

ბ. ცვლილებები წესებს ემორჩილება.

განვიხილოთ ხმოვანთა სიგრძესთან დაკავშირებული მარტივი მაგალითი. თუ მოუსმენთ, როგორ წარმოთქვამს სიტყვათა შემდეგ წყვილებს მშობლიურ ინგლისურ ენაზე მოსაუბრეებს, დაინახავთ, რომ ხმოვანი /e/ წყვილების მეორე წევრებში საგრძნობლად მოკლეა. ტრანსკრიფციაში IPA-ს სიმბოლოთა მეშვეობით გამოვხატეთ მათი სიმოკლე:

(5) save	[sev]	safe	[səf]
Abe	[eb]	ape	[ɛp]
made	[med]	mate	[mɛt]
maze	[mez]	mace	[mɛs]
age	[edʒ]	H	[ɛtʃ]
Haig	[heg]	ache	[ɛk]

ყველა ამ სიტყვაში ხმოვანი ისეთია, როგორც მოსაუბრეს სურს იყოს და ინტუიციურადაც მისაღებია, როგორც „იგივე ხმოვანი“ (მიუხედავად განსხვავებული წერილობითი ფორმისა). მაგრამ ფონეტიკურად ის ერთი და იგივე ხმოვანი არ არის. აქ მოცემულია ბგერის ორი ვარიანტი [e] და [ɛ], რომლებსაც ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ლინგვისტურად ერთნაირს.

თუკი მათ უფრო ახლოდან დავაკვირდებით, დავინახავთ, რატომაა [e] და [ɛ] ბგერები ინგლისურში **წინასწარ ამოცნობადი ვარიანტები**. [e] ვარიანტი გვხვდება, როცა სიტყვაში მომდევნო ბგერა მჟღერია, ხოლო [ɛ] – როცა მომდევნო ბგერა ყრუა.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურს აქვს ერთი „ძირითადი ბგერა“ ორი ფონეტიკური ვარიანტით.

[e] და [ɛ] ბგერების წინასწარ გამოცნობის ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ნიშნავს, რომ ამ ორ ბგერას შორის განსხვავება ვერ გამოიყენება სიტყვების ერთმანეთისაგან გარჩევითვის. [e] და [ɛ] ბგერებს შორის განსხვავება არაა ისეთი, როგორც, მაგალითად, [e] და [æ] ბგერებს შორის, ვინაიდან ამ უკანასკნელთა შორის სხვაობა სიტყვების განმასხვავებელია – *made* [med] და *mad* [mæd].

ბგერათა ნებისმიერი წყვილის ფონოლოგიური ანალიზისას აუცილებელია მათი ფონოლოგიური სტატუსის დადგენა: ისინი ან ცალკე ფონემებია, ან ვარიანტები, რომელთა დისტრიბუცია კონტექსტზეა დამოკიდებული.

რატომ უნდა მოაწესრიგოს ინგლისურმა [e] და [ɛ]-ს შორის განსხვავება? განსხვავება ამ ორ ბგერას შორის ეხმარება მსმენელს მომდევნო ბგერის წარმოთქმის განსაზღვრაში: [ɛp]-ში მოკლე [ɛ] გამოიყენება, რათა მსმენელმა დააფიქსიროს, რომ მოსმენილი სიტყვა არის *ape* და არა *Abe*. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან /p/-ს და /b/-ს გარჩევა სიტყვის ბოლოს საკმაოდ რთულია.

ფაქტობრივად ყველა ინგლისური ფონემა სხვადასხვა კონტექსტში ავლენს ფონეტიკურ ვარიანტს. მაგალითად, ყველა ხმოვანი მოკლდება ყრუ თანხმოვნის წინ. ასევე, ყველა ხმოვანი განიცდის ნაზალიზაციას ცხვირისმიერი თანხმოვნის წინ: *ten* [tɛn] და *Ted* [tɛd]. თუკი ინგლისურის ყველა ასეთ ფონეტიკურ დეტალს გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ ინგლისურში 39-ის ნაცვლად ათასობით ბგერაა.

შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორაა ფონოლოგიური სისტემა „მონყობილი“. თითოეულ ენაში წარმოთქმულ ბგერათა რიცხვი ძალიან დიდია. მაგრამ ფონოლოგიური სისტემა ამ ბგერებს კონკრეტული გზით ალაგებს ისე, რომ ფონეტიკური განსხვავებების მხოლოდ მცირე ჯგუფი ასრულებს სიტყვათა განმასხვავებელ როლს. დარჩენილი ფონეტიკური განსხვავებები კი წესებით რეგულირდება – მაგალითად, წესის თანახმად ინგლისური ხმოვანი ყრუ თანხმოვნის წინ უნდა დამოკლდეს. ეს განსხვავებები, მართალია, სიტყვებს არ განარჩევს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რათა მსმენელი სწორად მიხვდეს სათქმელს.

ამგვარად, ეს გადამწყვეტი დებულება ფონოლოგიაში: ბგერებს შორის ცალკეული განსხვავებები განარჩევს სიტყვებს ერთმანეთისაგან. ტერმინოლოგიის მეშვეობით ეს მოვლენა ასე გადმოიცემა:

(6) ორ ბგერას შორის ფონეტიკური სხვაობა **განმასხვავებელია**, თუ მას შეუძლია შეასრულოს სიტყვათა გარჩევითვის საჭირო საფუძვლის ფუნქცია.

[p] და [b] ბგერებს შორის განსხვავება ინგლისურში განმასხვავებელია, რადგან მხოლოდ ის ანსხვავებს *pill* [pɪl] და *bill* [bɪl] სიტყვებს ერთმანეთისგან. [e] და [ɛ] ბგერები არაგანმასხვავებელია, ვინაიდან მათი გამოყენება ავტომატურად განისაზღვრება მომდევნო თანხმოვნის წარმოთქმის მიხედვით.

განვიხილოთ კიდევ ერთი არაგანმასხვავებელი წყვილი ინგლისურში: ალვეოლარული და კბილისმიერი [n]. ქვემოთ მოცემულია ზოგი სიტყვა, სადაც ეს ბგერები გვხვდება:

(7)	სიტყვები [n]-ით	სიტყვები [ŋ]-ით
	know [ˈno]	tenth [ˈtɛŋθ]
	annoy [əˈnoɪ]	month [ˈmʌŋθ]
	onion [ˈʌjən]	panther [ˈpæŋθɜ]
	nun [ˈnʌn]	chrysanthemum [krəˈsæŋθəməm]

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ კბილისმიერი [ჟ] სპეციფიკურ კონტექსტში გამოიყენება: [θ] ბგერის წინ, ალვეოლარული [n] კი – თითქმის ყველა სხვა ადგილას. ამ ორ ბგერას შორის განსხვავება განმასხვავებელი არ არის ინგლისურში.

კიდევ ერთხელ ჩნდება კითხვა, თუ რატომაა ბგერები ასე მონყობილი? ამ შემთხვევაში საუკეთესო პასუხი გულისხმობს **წარმოთქმის სიმარტივეს**. თუ [ჟ] ზუსტად [θ]-ის წინ დგას, ენის პირს არ მოუწევს ალვეოლარულ კიდეზე სწრაფად გასრიალება, რაც [n]-ის შემთხვევაში მოუხდებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ენა იყენებს ბგერათა განსხვავებების საგრძნობლად მცირე რიცხვს განმასხვავებელი ფუნქციით.

12.3 ფონემური პირობითი ნიშნები და ფონემიზაცია

ენის შესწავლისას შეუძლებელია თავიდანვე მიხვდე, რომელი განსხვავებაა განმასხვავებელი და რომელი – არა. ენათმეცნიერებმა შეიმუშავეს **ფონემიზაციის** ტექნიკა ენის ძირითადი განმასხვავებელი ბგერების (ფონემების). მათ ასევე შეიმუშავეს მარეგულირებელი წესები და შეზღუდვები არაგანმასხვავებელი განსხვავებების განსასაზღვრად.

ხშირად გამოიყენება შემდეგი ტერმინოლოგია:

(8) ფონემის ფონეტიკური ვარიანტი არის ფონემის **ალოფონი**.

მაგალითად: [e] და [ě] ერთი ფონემის ალოფონებია (ფონეტიკური ვარიანტებია), ასევეა [n] და [ŋ].

ჩვეულებრივ, ენათმეცნიერები ფონეტიკურ ფრჩხილებს ([]) იყენებენ ალოფონებისთვის, ხოლო დახრილ ფრჩხილებს (/ /) – ფონემებისთვის. შესაბამისად, ჩვენ მიერ განხილული გრძელი [e] და მოკლე [ě] არიან /e/ ფონემის ალოფონები, ხოლო [n] და [ŋ] – /n/ ფონემისა.

ენის ფონემური ანალიზი ორ საკითხს მოიცავს:

(9) ა. **ფონემები** – ენის ძირითადი განმასხვავებელი ბგერების ინვენტარი.

ბ. **ფონოლოგიური წესები**, რომლებიც განსაზღვრავენ ენაში არაგანმასხვავებელ განსხვავებებს თითოეული ალოფონის დისტრიბუციის შესწავლით.

(10)-ში წარმოდგენილია /l/ ფონემის ალოფონები ინგლისურის სხვადასხვა დიალექტში. სიმბოლოები: [ɫ] არის უკანასასისმიერი l, ენის ძირითადი ნაწილის მაღალი უკანა პოზიციით. [ɰ] არის [ɰ] ალვეოლარულის ნაცვლად კბილისმიერი გამოთქმით. [ɭ] არის l, რომელიც ყრუდ იწყება და მჟღერად სრულდება.

(10)

[ɫ]	[ɭ]	[ɰ]	[l]				
file	['faɪɫ]	slight	[sɰaɪt]	wealth	['weɪɫθ]	listen	['lɪsən]
fool	['fuɫ]	flight	['fɰaɪt]	health	['heɫθ]	lose	['luːz]
all	['aɫ]	plow	['pɰəʊ]	filthy	['fɪɫθi]	allow	[ə'laʊ]
ball	['bɑɫ]	cling	['kɰɪŋ]	tilth	['tɪɫθ]	aglow	[ə'gləʊ]
fell	['feɫ]	discipline	['dɪsəpɰɪn]	stealth	['steɫθ]	blend	['blend]
feel	['fiɫ]						

თუკი ყურადღებით დავაკვირდებით სვეტებს, ვნახავთ, რომ /l/ ფონემის

თითოეულ ვარიანტს აქვს საკუთარი სპეციფიკური გარემო, რაც (11)-შია ნაჩვენები.

(11) [ჩ] გვხვდება სიტყვის ბოლოს;

[ჩ] გვხვდება ყრუ თანხმოვნის შემდეგ.

[ჩ] გვხვდება, როცა მომდევნო ბგერა არის [მ]

[ჩ] გვხვდება, როცა სხვა ბგერებისთვის არც ერთი პირობა არ სრულდება

ეს აღწერა მთელ ენაზე ვრცელდება და არა მხოლოდ მოცემულ მაგალითზე. ვინაიდან /ჩ/ ბგერის თითოეული ტიპი შემოიფარგლება კონკრეტული გარემოთი, შეუძლებელია /ჩ/-ს ვარიანტებს შორის განსხვავება სიტყვათგანმასხვავებელი იყოს. ამგვარად, ისინი ერთი ფონემის ალოფონებია.

/ჩ/-ს ზოგიერთი ალოფონი ფუნქციურია. ნაწილობრივ ყრუ [ჩ] ალოფონი ეხმარება მსმენელს ნათლად აღიქვას, რომ წინა თანხმოვანი ყრუა, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვხვდება [ჩ]. [ჩ]-ს კბილისმიერი წარმოთქმა გამოწვეულია [ჩ]-სა და [მ]-ს შორის წარმოთქმის გადასვლის გამარტივებით. მისი გამოყენება თანხმოვანთა წინ და სიტყვის ბოლოს უფრო დამაბნეველია. ჩვენთვის ნაცნობია [ჩ]-ის მსგავსი გამოყენება სხვა ენებში (მაგ, ლათინური, კატალანური, ჰოლანდიური), ამიტომაც, სავარაუდოდ, ამას ფონეტიკური საფუძველი უნდა ჰქონდეს. ამ კითხვას ფონეტიკური კვლევა უპასუხებს.

ზოგჯერ ენათმეცნიერი სიტყვას ფონემათა მიმდევრობის მიხედვით იწერს, ამას **ფონემური ტრანსკრიფცია** ჰქვია. იგი უნდა განვასხვავოთ **ფონეტიკური ტრანსკრიფციისაგან**, რომელიც უფრო მეტ დეტალს მოიცავს.

(12) ეს არის ორთოგრაფიული ტრანსკრიფცია.

/ ðɪs ɪz ə foʊnɪmɪk trænskrɪpʃn/

(This is a phonemic (ფონემური) transcription.)

[ˈdʰɪs ɪz ə fəˈnɛrɪˈk ɸ̥ʰɪɛnˈskɪpʃɪn]

(This is a phonetic (ფონეტიკური) transcription.)

12.3.1 ფონემიზაციის ტერმინოლოგია

ფონოლოგიაში კონტრასტებზე საუბრის არაერთი გზა არსებობს. თუ ენაში ორი ბგერა განმასხვავებელია (ანუ მათ შორის განსხვავება სიტყვის გარჩევის საშუალებას იძლევა), მაშინ:

(13) ისინი მიეკუთვნებიან სხვადასხვა ფონემებს.

ისინი **დაპირისპირებული** არიან (ასევე: **კონტრასტს ქმნიან**).

თუ ორი ბგერა **არაგანმასხვავებელია** (ფონეტიკური ვარიანტები)

(14) ისინი ერთი ფონემის ალოფონებია.

ისინი არ უპირისპირდება ერთმანეთს.

12.3.2 ფორმალიზაცია

როცა ცალკეული ალოფონის გარემო საკმაოდ მარტივია, ანალიზის ჩანერაც უფრო იოლია. მაგრამ ხშირად ვაწყდებით საკმაოდ რთულ გარემოს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ პირობითი ნიშნების გამოყენებით უფრო დეტალურ ანალიზს ვაკეთებთ. ფონოლოგიაში, ძირითადად, შემდეგი ნიშნებია გამოყენებული: **დახრილი ხაზი** „/“ ნიშნავს

„გარემოში“; **გრძელი ქვედა ხაზი** გამოხატავს ალოფონი სეგმენტის, რომელიც მის მეზობელს უკავშირდება. ამგვარად:

(15) / ___ θ

იკითხება

(16) „გარემოში „[θ]-ს წინ““

ან უფრო მოკლედ, უბრალოდ „[θ]-ს წინ“. თუ გვაქვს „/θ____“ ეს ნაიკითხება, როგორც „[θ]-ს შემდეგ“.

ბშირად ალოფონის გარემოს გამოსახატად, უნდა აღინიშნოს ბგერათა მთელი კლასი. მაგალითად, [m]-ს გარემოს აღსაწერად უნდა აღინიშნოს ყრუ თანხმოვნების მთელი კლასი. ამისათვის ჩვენ ოთხკუთხა ფრჩხილებში ვსვამთ ფონეტიკურ **მახასიათებლებს**, რომლებიც განსაზღვრავს ბგერათა შესაბამის კლასს. ამგვარად, შემდეგი მაგალითი უნდა წავიკითხოთ, როგორც „ნებისმიერი ყრუ თანხმოვნის შემდეგ“:

(17) /consonant _____

voiceless

შემდგომი ფორმალიზაციისთვის ვიყენებთ „+“ (პლუსი) და „-“ (მინუსი) ნიშნებს იმის აღსანიშნად, სეგმენტს აქვს თუ არა ესა თუ ის ფონეტიკური თვისება. ამგვარად, გარემოს უფრო სტანდარტული ფორმულირება ასე გამოიყურება:

(18) / +consonant _____

- voice

სადაც გვინდა, მივუთითოთ დაწყება ან დამთავრება გრამატიკული წევრებისა, როგორცაა სიტყვები, ვიყენებთ ფრჩხილებს, როგორც ამას სინტაქსისა და მორფოლოგიის შესწავლისას ვაკეთებდით. ამგვარად, მაგალითად, ქვემოთ მოცემული აღნიშვნა იკითხება, როგორც „სიტყვის ბოლოს“:

(19) / _____]_{word}

აღნიშვნა „სიტყვის დასაწყისში“ კი ასე ჩაინერება: / [word] ____.

ბოლოს კი, აქ წარმოდგენილი თეორიის მიხედვით, ფონემის **სხვაგან** გამოყენებული ალოფონი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საწყისი წერტილი, ძირეული ფორმა ან **ძირითადი გამოხატულება**, რომლისგანაც დანარჩენი ალოფონები მომდინარეობს.

დასახელებული წესების გამოყენებით შეგვიძლია აღვწეროთ /l/-ს ალოფონების გარემო, რომელიც (20)-შია წარმოდგენილი:

(20) ძირითადი ფორმა: /l/

ფონოლოგიური წესები:

/l/ ყრუდ ქცევა

// → [l] [/ +consonant] _____
 [- voice]

/l/ კბილისმიერად ქცევა

/l/ → [ɫ] / ___ θ

/l/ უკანასასისმიერად ქცევა

/l/ → [ɰ] / _____]_{word}

ამგვარი მიდგომით არ გვჭირდება დაკონკრეტება, რომ სხვაგან გამოყენებული ალოფონია [l]; მარტივად რომ ვთქვათ, ესაა ძირეული ფორმა, რომელზეც არც ერთი ფონოლოგიური წესი არ მოქმედებს.

ამ სისტემის მთლიანობაში დანახვა შესაძლებელია, თუ ძირითადი გამოხატულებიდან ფონეტიკური ფორმების (ალოფონების) **წარმოების** წესებს შემდეგნაირად ჩავწ-

ერთ. (21)-ში „_____“ აღნიშნავს, რომ „ნესი არ მოქმედებს“.

(21) <i>file</i>	<i>slight</i>	<i>wealth</i>	<i>listen</i>	
/faɪl/	/slaɪt/	/weɪlθ /	/ˈlɪsən/	ძირითადი ფორმები
—	sɫaɪt	—	—	ნესის მოქმედება:
—	—	wɛɫθ	—	/l/ ყრუდ ქცევა
faɪɫ	—	—	—	/l/ დენტალიზაცია
[ˈfaɪɫ]	[sɫaɪt]	[ˈwɛɫθ]	[ˈlɪsən]	ზედაპირული ფორმა

ჩანართი 12.3

ფონოლოგია და დამწერლობა

წერიტი სისტემის შესწავლა დამოუკიდებელი სფეროა, თუმცა მჭიდროდაა დაკავშირებული ფონოლოგიასთან. ყოველი წერიტი სისტემა მეტ-ნაკლებად ფონოლოგიურია. ჩინური, ძველი ეგვიპტური და მაიას ტომების დამწერლობაშიც კი, რომლებსაც ჩვენ „იდეოგრაფიულს“ ვწოდებთ (ერთი სიმბოლო ერთ სიტყვას ან მორფემას შეესაბამება), თითოეული სიმბოლო გაარკვეულ ინფორმაციას იძლევა სიტყვის ბგერით შედგენილობაზე.

წერით სისტემებს შორის მთავარი განსხვავებაა, რამდენად დიდ ფონოლოგიურ ერთეულს გამოხატავს ერთი სიმბოლო. ჩინური ფიგურები ერთი მარცვლის ზომის ერთეულებს წარმოგიდგენს, სრულყოფილ ანბანში კი თითოეული სიმბოლო ერთ ფონემას შეესატყვისება, თუმცა აქაც არის რთული შემთხვევები, როგორცაა x (ერთი სიმბოლო ორი ფონემისთვის) და th (ორი სიმბოლო ერთი ფონემისთვის). გარდა ამისა, არსებობს ფართოდ გავრცელებული წერიტი სისტემები, სადაც თითოეული სიმბოლო ბგერათა მოკლე მიმდევრობას გადმოსცემს (ხშირად თანხმოვნისა და ხმოვნის ჯგუფს), რომელიც ფონემაზე გრძელი, მაგრამ მარცვალზე მოკლეა. ამის მაგალითია, იაპონური კანა და მეცხრამეტე საუკუნეში სეკვოიას მიერ ჩიროკისთვის გამოგონილი სისტემა. რაც უფრო მცირეა წერის სისტემაში გამოყენებული ფონოლოგიური ერთეული, მით უფრო ნაკლები რაოდენობის ერთეულია საჭირო. „იდეოგრაფიული“ სისტემა, როგორცაა ჩინური, იყენებს 50 000 ფიგურაზე მეტს.

ისტორიულად, წერა დაიწყო მსხვილი ერთეულების (მარცვლები) გამოხატველი წერიტი სისტემებით, შემდეგ ნელ-ნელა გადავიდნენ ფონემაზე დაფუძნებულ სისტემებზე, რაც პირველად საბერძნეთში გამოიგონეს. თუმცა არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ასეთი ტიპის დამწერლობა უპირატესია, ვინაიდან სხვა სახის წერიტი სისტემები საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს და ჩვენამდე მოიტანეს.

მსოფლიო ენების უმრავლესობა დამწერლობის არმქონე ენებია. ახალი წერიტი სისტემები შემოდის ისეთი ენებისთვის, რომლებსაც აქამდე დამწერლობა არ ჰქონდათ. ხშირად ამას ენათმეცნიერები აკეთებენ. ასეთი სისტემები უფრო გონივრულადაა აგებული, ვიდრე ინგლისურის მსგავსი დამწერლობები, ვინაიდან მათში თითო სიმბოლო თითო ფონემას შეესატყვისება.

12.3.3 ფონემური ანალიზი და ჩანერის ფორმა

ფონემიზაციის საკითხი საკმაოდ დაშორებულია წერის საკითხისაგან. ასოებსა და ბგერებს შორის კავშირი აუცილებელი არ არის. ჩვენ ვნახეთ, მაგალითად, ინგლისური ფონემა /e/ შეიძლება სხვადასხვაგვარად ჩაინეროს: **say** /se/, **Abe** /eb/, **main** /men/ **beige** /bez/ **reggae** /rege/ **H** /etʃ/. არსებობს ენები (მაგ. ჩინური), რომლებშიც სიმ-

ბოლოები არ შეესაბამება ფონემებს.

ნათელია, ანბანურ ასოებსა და ფონემებს შორის კავშირი მაინც არის: ანბანის შემქმნელები ცდილობენ წერილი სიმბოლოები ენის ფონემებს შეუსაბამონ, უფრო მეტიც, მოსაუბრის ინტუიცია ბგერებთან დაკავშირებით წერის ცოდნის გავლენას განიცდის – ბოლოს და ბოლოს, განათლებული მოსაუბრეები აქტიურ წვრთნას გადიან ბავშვობაში სიტყვების სწორად ჩაწერაზე, მაგრამ არა ფონოლოგიაზე.

ენათმეცნიერების შემსწავლელებმა უნდა გადალახონ ცრუ წარმოდგენათა ბარიერი, რასაც ჩვენი კულტურა წერის შესახებ გვინერგავს: წერა პრესტიჟულია და ჩვენი მეტყველება ზოგჯერ მიიჩნევა დანერვილის არასრულყოფილ რეალიზებად. ამის საპირისპიროდ, ენათმეცნიერთა უმრავლესობა სასაუბრო ენას მიიჩნევს სანყისად, უპირველესად; თვლის, რომ წერილობითი ენა წარმოქმნილია სასაუბრო ენისაგან. ამ შეხედულების დასასაბუთებლად რამდენიმე ფაქტი არსებობს: სასაუბრო ენა გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე წერილობითი; ბავშვი პირველად ზეპირ მეტყველებას ითვისებს და საკმაოდ იოლადაც; და იგი საყოველთაოდ გამოყენებულია არა მხოლოდ საზოგადოების განათლებული ფენის მიერ. მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით, ეს საკმაოდ კარგი მიზეზებია, რომ სასაუბრო ენა სანყისად მივიჩნიოთ.

12.3.4 სხვა ენების ფონემები

ფონემების არსის გაგების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ენის კარგმა მცოდნემ უფრო მეტი იცის ფონემების შესახებ, ვიდრე ალოფონებზე და ამიტომ ფონემიზაცია ინტუიციურად ნათელი იქნება. უცნობი ენის შემთხვევაში ფონემიზაცია გაცილებით საინტერესოა. ამის მიზეზია, რომ ერთი ენის ალოფონი, მეორე ენაში შეიძლება ფონემა იყოს. მსოფლიო ენები ფონეტიკურ სივრცეს ერთნაირად არ ყოფენ.

განვიხილოთ ესპანურის ფონემური სისტემა. ესპანურს ინგლისურის მსგავსი მრავალი ბგერა აქვს (აქ ინგლისურის მხოლოდ ჩრდილოამერიკულ დიალექტებს განვიხილავთ). ინგლისურში არის [t] და ფლეები [f]. ესპანური [d] უფრო კბილისმიერია, ვიდრე ალვეოლარული. არსებობს სხვა მცირე განსხვავებები, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი იგნორირება შეგვიძლია.

ჩრდილოამერიკულ ინგლისურში [r] არის /t/ ფონემის ალოფონი. [r]-სთვის საჭირო გარემო ასეთია: ორ მარცვლოვან ბგერას შორის (ხმოვნები, ან მაცვლოვანი თანხმოვნები), რომელთაგან მეორე უმახვილოა. ამ გარემოს შესაბამისი და თან /t/-ს შემცველი სიტყვები ქვემოთ პირველ სვეტშია მოცემული:

(22)	ფონემური	ფონეტიკური	ფონემური	ფონეტიკური
<i>data</i>	/'detə/	['dɛrə]	<i>tan</i>	/'tæn/ ['tæn]
<i>latter</i>	/'lætr/	['læfɾ]	<i>attend</i>	/ə'tɛnd/ [ə'tɛnd]
<i>eating</i>	/'i:tiŋ/	['i:ɲ]	<i>guilty</i>	/'gilti/ ['gilti]
<i>Ottoman</i>	/'atəmən/	['afəmən]	<i>pat</i>	/'pæt/ ['pæt]
<i>rhetoric</i>	/'rɛtərɪk/	['rɛfərɪk]	<i>active</i>	/'æktiv/ ['æktiv]
<i>automatic</i>	/atə'mætɪk/	[arə'mæfɪk]	<i>Atkins</i>	/'ætkinz/ ['ætkinz]

მეორე სვეტი დეტალური აღწერის გარეშე /t/ ფონემის სხვა ალოფონებს აერ-

თიანებს. ამ სვეტში ვხედავთ, რა შემთხვევაში არ რეალიზდება /t/ [t] ალოფონის სახით: ან მომდევნო ან წინა ბგერა მარცვლოვანი არ არის, ან მომდევნო მარცვლოვანი ბგერა მახვილიანია. მაგრამ თუ ყველა ეს პირობა ერთდროულად სრულდება, მაშინ ვიღებთ ფლუპ [ɾ]-ს.

როგორც ხედავთ, [t] და [ɾ]-ს შორის განსხვავება ინგლისურში განმასხვავებელი არაა. ფლუპი /t/ ფონემის ვარიანტია, რომლის გამოყენება კონკრეტული სახის გარემოზეა დამოკიდებული. ამ ორი ბგერის აღსანიშნად ერთი t ასოს გამოყენება გონივრულია და შეესაბამება პრინციპს, რომ ერთი ასო ერთ ფონემას უნდა შეესატყვისებოდეს.

ფლუპინგის წესი ასე ჩაიწერება:

(23) ფლუპინგი

/t/ → [ɾ] / [+vowel] _____ $\left[\begin{array}{l} + \text{ vowel} \\ - \text{ stress} \end{array} \right]$

იგი გვიჩვენებს, რომ /t/ ფონემა რეალიზდება [ɾ] ალოფონის სახით, როცა მის წინ ხმოვანი ან მარცვლოვანი თანხმოვანი დგას და მას მოსდევს უმახვილო ხმოვანი.

ესპანურში /t/ და [ɾ] ცალკე ფონემებია: მთელი რიგი სიტყვათა წყვილები არსებობს, რომლებიც მხოლოდ ამ ბგერების მიხედვით განსხვავდებიან.

(24) ['pita] „საუკუნის მცენარე“

['pira] „სამგლოვიარო კოცონი“

ვინაიდან „საუკუნის მცენარე“ და „სამგლოვიარო კოცონი“ განსხვავებული სიტყვებია, ესპანურში [t] და [ɾ] ბგერებს შორის განსხვავება მნიშვნელობის ცვლას იწვევს. შესაბამისად, [t] და [ɾ] ერთმანეთს უპირისპირდება და დამოუკიდებელი ფონემებია. ესპანურის წერილი სისტემა ამ ფაქტს ითვალისწინებს და [t] ბგერას t ასოთი წერს, ხოლო [ɾ] ბგერას – r ასოთი. ზოგადად, ესპანურის წერილი სისტემა ძალიან ახლოსაა „ერთი ფონემა – ერთი სიმბოლოს“ პრინციპთან.

ინგლისურისა და ესპანურის შედარებისას, ვხედავთ, რომ [t] და [ɾ] ბგერებს შორის განსხვავება ალოფონურია ინგლისურისთვის, მაგრამ ფონემური ესპანურისთვის. ამგვარად, ეს ორი ენა ფონეტიკურად მსგავსია, მაგრამ ფონოლოგიურად განსხვავებული.

კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა. ორივე ენას აქვს [d] და [ð] ბგერები. ინგლისურში, ვიცით, რომ ეს ორი განსხვავებული ფონემაა, ვინაიდან ენაში შემდეგ კონტრასტულ წყვილებს ვპოულობთ:

(25) die	[daɪ]	vs.	thy	[ðaɪ]
bayed	[beɪd]	vs.	bathe	[beð]
den	[dɛn]	vs.	then	[ðɛn]

მაგრამ ესპანურში ასეთი წყვილები არ არსებობს. უფრო მეტიც, თუ ესპანურის გამოთქმას დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ [d] და [ð] ფონეტიკური ვარიანტებია:

(26) [daðo]	„მიცემული“
[deðo]	„თითი“
[usteð]	„თქვენ“
[donde]	„სად“
[de ðonde]	„საიდან“

მაგალითიდან ჩანს, რომ [ð] მხოლოდ ხმოვნის წინ დგას, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი – [d] გამოიყენება. ამგვარად, ესპანურში [ð] და [d] ერთი ფონემის ალოფონებია.

განხილული ბგერებთან დაკავშირებით შეგვიძლია შემდეგნაირი ანალიზი წარმოვადგინოთ:

(27) ფონემები: /t/, /d/, /r/

ფონოლოგიური წესი: /d/ სპირანტად ქცევა


/d/ → [ð] / [+vowel] _____

იგი გვიჩვენებს: /d/ ფონემა რეალიზდება [ð] სახით, როცა ის ხმოვნის შემდეგ დგას. **სპირანტად ქცევა** ნიშნავს ხშულების ნაპრალოვნებად ქცევას. ეს ცნობილი ფონოლოგიური პროცესია.

აქამდე განხილული ესპანური სიტყვებისა და ფრაზების ტრანსკრიფცია ასეთი იქნება: /'pita/, /'pira/, /'dado/, /'dedo/, /us'ted/, /'donde/, /de 'donde/. ესპანურის წერითი სისტემა [d] და [ð] ბგერებისთვის მხოლოდ d ასოს იყენებს.


ინგლისურისა და ესპანურის ფონოლოგიურ ორგანიზებაში ასახულია ფონეტიკური სივრცის სხვადასხვაგვარი დაყოფა. წარმოვიდგინოთ, რომ ფონეტიკური სივრცე მრავალრიცხოვანი განზომილებისგან შედგება. [d] ჩავსვათ ამ სივრცის ცენტრში და სხვადასხვა მიმართულებით დალაგდება მისგან განსხვავებული [ð], [r] და [t] ბგერები, რომელთაგან პირველი ნაპრალოვნებით განსხვავდება, მეორე მოკლე, სუსტი დაბოლოებით, ხოლო [t] მინიმალურად განსხვავდება წარმოთქმით:

(28) [t]



ფონეტიკურ სივრცეში ფონები ფონემებად სხვადასხვაგვარად ჯგუფდება ესპანურსა და ინგლისურში, როგორც ეს ქვემოთაა მოცემული:

(29) ესპანური ინგლისური



მკრთალი წრეებით შემოფარგლულია ბგერათა ჯგუფი, რომლებიც ვერ უპირისპირდება ერთმანეთს და ქმნის ერთ ფონემას. ინგლისურში /d/, /ð/ და /t/ ფონემებია. ამ უკანასკნელს აქვს ორი ალოფონი [t] და [r], ხოლო ესპანურს აქვს /t/, /r/ და /d/ ფონემები და ამ უკანასკნელს ორი ალოფონი – [d] და [r]. ცხრილი გვიჩვენებს, თუ როგორ განსხვავდება ენათა ბგერითი სისტემები **ფონოლოგიური წყობის** მიხედვით. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორი ენა ერთნაირი ბგერებით, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული ფონოლოგიური სისტემით. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, როცა ორი ენისთვის სხვადასხვა მახასიათებელია განმასხვავებელი და არაგანმასხვავებელი. ფონემური მეთოდის გამოყენებით შეგვიძლია გავაანალიზოთ ორი ისეთი ენა, რომელსაც ერთნაირი ბგერები ორი სხვადასხვა გზით აქვს დაჯგუფებული.

12.4 ფონემური ანალიზი

ენათმეცნიერებმა შეიმუშავეს უამრავი პროცედურა ფონემური ანალიზისათვის. მართალია, არც ერთი მათგანი არ არის უნაკლო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დიდ დახმარებას გვიწევს.

12.4.1 მინიმალური წყვილები

ფონემური ანალიზის ერთ-ერთი პროცედურაა **მინიმალური წყვილების** ძიება. ესენია ორი სიტყვის წყვილები, რომლებიც მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდება. მაგალითად, *sip* [sɪp] და *zip* [zɪp] ინგლისურში ქმნიან მინიმალურ წყვილს /s/ და /z/ ფონემებისთვის. *Sill* [sɪl] და *zeal* [zɪl] არ არის მინიმალური წყვილი, ვინაიდან მათში ხმოვნებიც განსხვავებულია. *Seal* [si:l] და *eels* [i:lz] არ არის მინიმალური წყვილი, ვინაიდან /s/ და /z/ ბგერებს ამ ორ სიტყვაში სხვადასხვა პოზიცია აქვთ.

მინიმალურ წყვილში გამოვლენილი ორი ბგერა თითქმის ყოველთვის განსხვავებული ფონემებია. ინგლისურის დასახელებულ მაგალითში [z] ვერ იქნება [s]-ის ალოფონი (ან პირიქით), ვინაიდან მათი ჩანაცვლება სხვადასხვა სიტყვას გვაძლევს.

მინიმალური წყვილის პოვნა მინიატურულ სამეცნიერო ექსპერიმენტს ჰგავს. სამეცნიერო ექსპერიმენტაციის ცნობილი მეთოდია მხოლოდ ერთი ნიშნით განსხვავებული პირობების ორ ჯგუფად დალაგება. თუ შედეგად ვიღებთ, რომ ეს ორი პირობა გამუდმებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ იგია ცვლილების განმაპირობებელი ფაქტორი. ამგვარად, თუ ['pɪtə] და ['pɪrə] ესპანურში განსხვავდება, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ [t] და [r] ბგერები ერთმანეთს უპირისპირდება.

სავარჯიშო 12.1

იპოვეთ მინიმალური წყვილები შემდეგი ბგერებისთვის: [i] vs. [e]; [b] vs [p]; [θ] vs [t], [v] vs [u].

მინიმალური წყვილის **არარსებობა** ბევრს არაფერს ამტკიცებს. ენაში შეიძლება არ იყოს მინიმალური წყვილი იშვიათი ფონემებისთვის. (ამის შემონიშნება იოლია, თუკი შეეცდებით მოძებნოთ მინიმალური წყვილი /z/ vs. /ð/ ბგერებისთვის ინგლისურში; ორივე საკმაოდ იშვიათია).

მინიმალური წყვილი შეიძლება იქცეს მინიმალურ სამეულად, ოთხეულად და ა.შ. ხშირად სწორი „ჩარჩოს“ ან ფონოლოგიური კონტექსტის შერჩევა ენის ფონემური ინვენტარის შეფასებას შესაძლებელს ხდის.

ყველაზე ხშირად გამოყენებული აღნიშვნა ამ ჩარჩოებისთვის არის გარემომცველი ბგერების ჩანერა ქვედა ხაზის ორივე ბოლოს, რომელიც განსახილველ წყვილს, ოთხეულს და ა.შ. გამოხატავს. ამგვარად, ამერიკული ინგლისურის ხმოვნებიდან /e/ და /oi/-ს გარდა ყველა ერგება /h ___ d/ ჩარჩოს:

(30)	heed	[hid]	who'd	[hud]	
	hid	[hid]	hood	[hod]	
			hoed	[hod]	
	head	[hed]	HUD	[hʌd]	
	had	[hæd]	hod	[had]	
		hide	[hard]	how'd	[haʊd]

heard [hɜrd]

დაკარგული /e/ და /oi/ ხმოვნების შემთხვევაში 'hade' და 'hoyd' ადვილი წარმოადგენი სიტყვებია. ინგლისურის ლექსიკონში მათი არარსებობა შემთხვევითობაა.

12.4.2 დამატებითი დისტრიბუცია

მინიმალური წყვილები ასაბუთებენ, რომ ენაში ბგერები ფონოლოგიურად განსხვავებულია. ახლა კი განვიხილოთ, როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ბგერები არ არის განსხვავებული. ამისათვის საკმაოდ სანდო მეთოდი არსებობს იმის საჩვენებლად, რომ ბგერათა დისტრიბუცია ერთმანეთს არ კვეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ერთი ბგერა ერთ გარემოში გამოიყენება, ხოლო მეორე – მეორეში, შეუძლებელია მათი შედარება-შეპირისპირება. ასეთ შემთხვევაში გარემო ყოველთვის განსხვავებულია:

(31) X და Y ბგერები **დამატებით დისტრიბუციაშია**, თუ Y არასოდეს გვხვდება ისეთ ფონეტიკურ გარემოში, სადაც X გამოიყენება.

ამ განმარტების თანახმად, დამატებით დისტრიბუციაში მყოფი ბგერები ერთი ფონემის ალოფონებია.

მაგალითისთვის განვიხილოთ: ალვეოლარული [l] და უკანასასიმიერი/კბილისმიერი [ɫ] ინგლისურში დამატებით დისტრიბუციაშია: [ɫ] გვხვდება [θ]-ს წინ, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი გვხვდება ალვეოლარული [l]. ამიტომ, გარემოს მიხედვით შეგვიძლია წინასწარ განვსაზღვროთ /l/-ის რომელი ვარიანტი გვჭირდება და დავასკვნათ, რომ [l] და [ɫ] ერთი ფონემის ალოფონებია.

მინიმალური წყვილებისა და დამატებითი დისტრიბუციის განსაზღვრა ორი ყველაზე პირდაპირი პროცედურაა ფონემური ანალიზისას. აღსანიშნავია, რომ ისინი საპირისპირო მიმართულებითაც მოქმედებენ: მინიმალური წყვილი გვეხმარება განვსაზღვროთ, რომ ორი ბგერა სხვადასხვა ფონემას ქმნის, ხოლო დამატებითი დისტრიბუცია კი გვიჩვენებს, რომ ორი ბგერა ერთი ფონემის ალოფონია.

12.4.3 მინიმალურთან მიახლოებული წყვილები

არის შემთხვევები, როცა შეუძლებელია ფონემისთვის მინიმალური წყვილის პოვნა. ხშირად ასეთი რამ ხდება ისეთ ენებში, სადაც გრძელი სიტყვებია და დიდი ფონემური ინვენტარია. თუმცა ინგლისურშიც კი, ზოგ დიალექტში, არის შემთხვევები როცა მინიმალურ წყვილს ვერ ვპოულობთ.

ვეცადეთ კომპიუტერულ ლექსიკონში მოგვეძებნა ინგლისური /ð/ და /z/ ბგერებისთვის მინიმალური წყვილები და ვიპოვეთ მხოლოდ სამი კანდიდატი:

(32)	bathe	['beð]	vs.	beige	['beɪʒ]
	leather	['leðə]	vs.	leisure	['leɪʒə]
	seether	['sið]	vs.	siege	['siːʒ]

სამივე [z] ბგერიანი სიტყვის გამოთქმა დალექტების მიხედვით იცვლება: უამრავი მოსაუბრისთვის *beige* გამოითქმის, როგორც ['beɪʒ], *leisure* – ['leɪʒə] ან [leɪʒə] და *seige* – ['siːʒ]. დიალექტებში, რომლებიც ამ სიტყვების ასეთ წარმოთქმას გულისხმობს, არ არსებობს მინიმალური წყვილი [ð] და [z] ბგერებისთვის.

[ð] და [z] ბგერები არავითარ შემთხვევაში არ იქნება ალოფონები არც ერთ დიალექტში. ისინი რომ ერთი ფონემის ვარიანტები იყოს, მაშინ გვექნებოდა წესი, რითაც მათ დისტრიბუციას განვსაზღვრავდით.

ასეთი წესები ვერ გვექნება მინიმალურთან მიახლოებული წყვილების არსებობის გამო. ესენია წყვილები, რომლებიც ძალიან უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ქვემოთ მოცემულია მინიმალურთან მიახლოებული წყვილები /ð/ და /z/ ბგერებისთვის:

(33)	tether	['tɛðr]	vs.	pleasure	['plɛʒr]
			ან	measure	['mɛʒr]
	neither	['niðr]	vs.	seizure	['si:zr]
	lather	['læðr]	vs.	azure	['æ:zr]
	heathen	['hiðən]	vs.	adhesion	[æd'hi:ʒən]
	smoothen	['smuðən]	vs.	illusion	[r'lu:ʒən]
			ან	intrusion	[ɪn'tru:ʒən]
			ან	fusion	['fju:ʒən]

ეს სია გვიჩვენებს, რომ ფონეტიკური გარემო არავითარ კავშირში არ არის იმასთან [ð] იქნება გამოყენებული თუ [z] – არ არსებობს შემადგენელთა გარემო, რომელიც წინასწარ განსაზღვრავდა, რომელი ფონია საჭირო. ამ ბგერების დისტრიბუციასთან დაკავშირებული წესები თუ არ არსებობს, მაშინ [ð] და [z] ბგერების ალოფონობის დამტკიცება შეუძლებელია.

იოლი მისახვედრია, რომ თუ ინგლისურში ისეთი ახალი სიტყვა შემოვა, რომელიც სრულყოფილ მინიმალურ წყვილს შექმნის, ენა ძალიან მალე შეითვისებს მას. ლოგიკურია, თუ ვიტყვით, რომ /ð/ და /z/ დამოუკიდებელი ფონემებია, რომელთათვისაც (ზოგ დიალექტში) სრული მინიმალური წყვილი არ არსებობს და ამიტომ ანალიზისათვის მინიმალურთან მიახლოებული წყვილი გამოიყენება.

12.4.4 დამატებითი დისტრიბუციის დადგენა მონაცემთა მიხედვით

წარმოვიდგინოთ, რომ მოცემული გვაქვს ერთი ენის ფონეტიკური მასალა, რომლისგანაც ფონემებისა და მათი ალოფონების სისტემა უნდა შევქმნათ. რეალურად, ეს ძალიან დიდი და მძიმე სამუშაოა, მაგრამ პედაგოგიკური მიზნებისთვის ახლა ფონოლოგიის მხოლოდ მცირე ნაწილს განვიხილავთ.

განსახილველი ენაა მასაი (ნილოტური ენა, რომელიც კენიასა და ტანზანიაში გამოიყენება) და ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბგერათა შემდეგ ჯგუფზე [p, t, k, b, d, ɠ, β, ð, ʒ]. ამათგან ბოლო სამი მყლერი ნაპრალოვანია: [ð] წყვილბაგისმიერი, [ð] კბილისმიერი და [ʒ] უკანასასისმიერი. ქვემოთ მოცემულია ამ ბგერების შემცველი 63 სიტყვა:

(34)	1.	[ailap]	„სიძულვილი“
	2.	[aret]	„დახმარება“
	3.	[arup]	„მოგროვება“
	4.	[asip]	„ხმამალა აზრის გამოთქმა“
	5.	[ɲar:iχoi]	„მონითალო ყავისფერი“
	6.	[ɲaða]	„სახიფათო“
	7.	[ɖalut]	„ცელქი“
	8.	[ɖiχai]	„სხვაგან“
	9.	[ɖor:op]	„მოკლე, დაბალი“
	10.	[embɪðir]	„მეჭექიანი ლორი“

11. [emanaða]	„მეომრების სოფელი“
12. [embifan]	„სიმამაცე“
13. [emburuo]	„ბოლი“
14. [endaraða]	„მეხი“
15. [enduβai]	„სიზალი“
16. [eŋfirut]	„ჩუმი-მდედრობითი“
17. [eŋfo:]	„პატარა სკივრი“
18. [enaiβoŋa]	„ტბა ნაივაშა“
19. [enda:raða]	„ერთმანეთთან ჩხუბი“
20. [endorop]	„მოისყიდე ის“
21. [endulelei]	„სოდომის ვაშლი“
22. [enduβeiðai]	„ტავეტელი ქალი“
23. [eŋgamaniçi]	„ასაკობრივი ჯგუფის სახელი“
24. [eŋgila]	„ტანსაცმელი-კნინობითი“
25. [eŋgiruðoðo]	„შიში“
26. [eŋgo:]	„ურჩიე მას“
27. [eŋoçi]	„ცოდვა“
28. [ilarak]	„მკვლელები“
29. [ilke:k]	„ხეები“
30. [ilpaβit]	„თმები“
31. [ilto:i]	„კასრი“
32. [imbok]	„დააკავე“
33. [imbala]	„ფურცლები“
34. [imbaçiβak]	„მოუსვენარი ხარ“
35. [imbok]	„ცერემონიულად გაასუფთავე“
36. [indai]	„თქვენ“
37. [ij:o:k]	„ჩვენ“
38. [kaçe]	„მაგრამ“
39. [kedianje]	„მარცხენა მხარე“
40. [keβer]	„ზეცა“
41. [kifiroðo]	„ზრდაშეჩერებული“
42. [koço:]	„ბებია“
43. [oldiret]	„სატვირთო უნაგირი“
44. [olduça]	„მაღაზია“
45. [olŋlaða]	„ოთახი“
46. [olfiβet]	„სარი“
47. [olkila]	„ტანსაცმელი“
48. [olkiçuei]	„ეკალი“
49. [olpor:or]	„ასაკობრივი ჯგუფი“
50. [olpul]	„დახოცვის ადგილი“
51. [olpurða]	„ქონში შენახული ხორცი“
52. [olpurkel]	„მშრალი სტეპები“
53. [olta:]	„ლამპა“
54. [oltulet]	„აყირო მის ბუნებრივ მდგომარეობაში“

55. [oltuli]	„დუნდული“
56. [padan]	„დახელოვნებული სროლაში“
57. [poxira]	„ყველა“
58. [pus]	„ღია ფერის“
59. [sarkin]	„სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლის ქორწინების ტაბუ“
60. [tarufini]	„ბინოკლი“
61. [tasat]	„შრომის უნარს მოკლებული“
62. [tisila]	„გაცერი“
63. [tifila]	„ყურადღებით შეისწავლე“

ამ საკითხთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ხმულების დამატებითი ჯგუფი არსებობს: /b d f ƣ/. ესენია მჟღერი იმპლოსივები, რომელთა წარმოთქმისას ჰაერის გამოშვებამდე პირის ღრუში მცირე ვაკუუმი იქმნება. ეს ფონემათა ცალკე მწკრივია მასაიში, რაც ნათლად ჩანს მინიმალური და მინიმალურთან მიახლოებული წყვილებიდან:

(35) 35. [imbok]	„ცერემონიულად გაასუფთავე“
vs. 32. [imbok]	„დააკავე“
7. [dalut]	„ცელქი“
vs. 61. [tasat]	„შრომის უნარს მოკლებული“
26. [enɡo:]	„ურჩიე მას“
vs. 17. [enɡo:]	„პატარა სკივრი“
41. [kibiroð]	„ზრდაშეჩერებული“
vs. 40. [keβer]	„ზეცა“

ამის დადგენის შემდეგ ანალიზში ამ იმპლოსივებს უგულებელვყოფთ.

ახლა კი წარმოგიდგინთ შესასწავლი ბგერების მასალის შემონიშნების პროცედურას. თითოეული ბგერისთვის ვადგენთ ყველა კონტექსტს, სადაც ეს ბგერა გვხვდება. ვინაიდან ალოფონების განმარტობებული გარემო, ჩვეულებრივ (მაგრამ არა ყოველთვის), მოცემულია წინა და მომდევნო სეგმენტებში, ისინი ცხრილშია წარმოდგენილი.

გთავაზობთ ერთ-ერთ სიტყვას იმ სახით, რა სახითაც ის შეტენილია ცხრილში: #5, [ɲar:iχoi] „მონითალო ყავისფერი“, რომელიც შეიცავს სამიზნო [χ] ბგერას. მის წინ დგას [i] და მას მოსდევს [o] ხმოვანი. გაიხსენეთ, რომ კონკრეტულ ჩარჩოსა თუ კონტექსტის ჩანერისას შესასწავლი ბგერის ადგილს ქვედა ხაზი იკავებს. შესაბამისად, ცხრილს ერთ ერთეულს კიდევ ვუმატებთ:

(36) [χ]
/ i _____ o (5)

იგი შეგვიძლია ასე წავიკითხოთ: „[χ] გვხვდება, როცა მის წინ [a] დგას, ხოლო [o] ბგერა მოსდევს მას, როგორც ეს (5) მაგალითშია“.

ზოგჯერ განსახილველი ბგერა სიტყვის საწყის ან ფინალურ პოზიციაშია. ასეთ შემთხვევაში ცხრილში]_{word} ფრჩხილი უნდა იყოს გამოყენებული გარემოს გამოსახატად.

(37) [k]
/ o: _____]_{word} (37)

ეს ასე წაიკითხება: „[k] გვხვდება, როცა სიტყვის ბოლოსა და მის წინ [o:] დგას“. ასეთი ჩანერა ვრცელდება მთელ მასალაზე. თუ ასე ჩაენერთ მხოლოდ უკანასას-მიერ ბგერებს, ასეთ შედეგს მივიღებთ:

(38) [k]	[g]	[x]
/ l _{word} ____ a (38)	/ η ____ a (23)	/ a ____ e (38)
/ l _{word} ____ e (39,40)	/ η ____ i (24,25)	/ a ____ i (34)
/ l _{word} ____ i (41)	/ η ____ o (26)	/ i ____ a (8)
/ l _{word} ____ o (42)		/ i ____ i (23)
/ l ____ e (29)		/ i ____ o (5)
/ l ____ i (47)		/ i ____ u (48)
/ l ____ i (48)		/ o ____ i (27, 57)
/ r ____ e (52)		/ o ____ i (57)
/ r ____ i (59)		/ o ____ o (42)
/ a ____ l _{world} (28)		/ u ____ a (44)
/ a ____ l _{world} (34)		
/ e ____ l _{world} (29)		
/ o ____ l _{world} (32)		
/ o ____ l _{world} (35)		
/ o: ____ l _{world} (37)		

ამ მხრივ მონმდება მთელი მასალა ზოგადი მოდელის დადგენის იმედით. ამ მონაცემების მიხედვით, საყურადღებოა, რომ [g] მხოლოდ [η]-ის შემდეგ გვხვდება. ხოლო [k] და [x] ბგერების წინ კი [η] არასოდეს არ გამოიყენება. ჩანს, რომ [g] ფონემის მხოლოდ ერთი ალოფონია, ვინაიდან მას მკაცრად განსაზღვრული დისტრიბუცია აქვს. წინ მდგომი [η], სავსებით შესაძლოა, არის კონტექსტი, რომელიც მოითხოვს ამ ალოფონს.

მესამე სვეტის შემონმებისას ვამჩნევთ კიდევ ერთ ფაქტს: [x] ყველა შემთხვევაში ხმოვნებს შორის დგას. როგორც ადრე, საქმე არ ეხება სხვა კანდიდატ ფონებს. ეს გვიჩვენებს, რომ [x] კიდევ ერთი ალოფონია [g]-ის შემცველი ფონემისა. ამიტომ ზუსტად ვიცით, რომ [g] და [x] დამატებით დისტრიბუციაშია.

[k] ბგერის სვეტის შემონმება არ გვიჩვენებს რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას: [k] გვხვდება სანყის პოზიციაშიც, [r] ან [l] ბგერების შემდეგაც და სიტყვის ბოლოშიც. ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ეს განსხვავებული გარემოები არ მოიცავს [x] ან [g] ბგერის გარემოებს.

დავადგინეთ, რომ [k], [x] და [g] დამატებით დისტრიბუციაშია: არც ერთი არ გვხვდება ერთსა და იმავე გარემოში. მათი გარემოები წარმოდგენილია (39)-ში:

(39) [g]: / η ____
[x]: / V ____ V სადაც V აღნიშნავს ნებისმიერ ხმოვანს
[k]: / დანარჩენ შემთხვევაში

გონივრულია, თუ ვივარაუდებთ, რომ ვინაიდან [k] კონტექსტების უმრავლესობაში გვხვდება, იგი მთავარი წევრია იმ ფონემისა, რომელიც ჩვენ ძირითად გამოხატულებაში წარმოგვიდგება. ფონები [g] და [x] კონკრეტულ გარემოში მოქმედი ფონოლოგიური წესების შედეგად მიღებული ალოფონებია.

ამგვარად, შეგვიძლია ამ ბგერების ფონოლოგიური ანალიზი ასე ჩამოვაყალიბოთ:

(40) /k/ არის ფონემა მასაიში:

/k/ სპირანტად ქცევა: k → χ / [+vowel] ____ [+vowel]

ანუ: /k/ რეალიზდება [χ]-სახით, როცა ხმოვნებს შორის დგას.

პოსტნაზალური წარმოთქმა: k → g / ɲ ____

ანუ: /k/ რეალიზდება [g]-ს სახით [ɲ] ბგერის შემდეგ.

ჩვენ ახლა ხან წარმოგიდგინეთ ფონემური ანალიზის ზუსტი ფორმა: გარემოთა ერთად თავმოყრა, რომლებიც მოცემული ბგერა გვხვდება, დამატებითი დისტრიბუციის დადგენა, სხვადასხვა ალოფონების გარემოს დადგენა და ფონოლოგიური წესების წარმოდგენა, რომლებიც კონკრეტული ალოფონის კონკრეტულ გარემოში გამოყენებას განაპირობებს. უამრავ შემთხვევაში დასაშვებია ზოგი ნაბიჯის გამოტოვება. საინტერესოა, რომ ფონემიზაციის საკითხზე მომუშავე ენათმეცნიერი შეხვედრია ზუსტად იგივე ან მსგავს წესებს სხვა ენებში. ყველა ენაში ბგერები გულისხმობს წარმოთქმის სიმარტივესა და განსხვავებულ აღქმას. ამგვარად, ფონოლოგიები ხშირად ვითარდება პარალელურად. ენები, სადაც /k/ ხმოვნებს შორის [χ]-თი რეალიზდება, არის ტაივანური, ევე (განა) და ტუმპისა შოშონი (სიკვდილის ველი, კალიფორნია). ენები, რომლებშიც [k] რეალიზდება [g]-თი ცხვირისმიერი ბგერის შემდეგ, მოიცავს თანამედროვე ბერძნულსა და ვაორანის (ამაზონის აუზი, პერუ).

12.5 ბუნებრივი კლასები

ანალიზისთვის აღებული მასაის 9 ბგერიდან 6 არ განგვიხილავს, კერძოდ, [p, b, β] და [t, ɖ, d]. დასაწყისისთვის საჭიროა, ეს ბგერები შესაბამის ფონეტიკურ ცხრილში მოვათავსოთ. წესით, ამას მასაის ყველა ბგერისთვის უნდა ვაკეთებდეთ, მაგრამ მაგალითისთვის (41) ნიმუშიც საკმარისია:

(41)	წყვილბაგისმიერი	კბილისმიერი	უკანასასისმიერი
ყრუ ხშულები	p	t	k
მარტივი მჟღერი ხშულები	b	d	g
მჟღერი იმპლოსივი ხშულები	ɸ	ɖ	ɣ
მჟღერი ნაპრალოვნები	β	θ	χ
მჟღერი ცხვირისმიერები	m	n	ɲ

თუ ამ ბგერებს ისე დავალაგებთ, როგორც წინა ქვეთავში, მივიღებთ შემდეგს:

(42) [p]	[b]	[β]
/ [word] ____ a (56)	/ m ____ a (33,34)	/ a ____ i (30)
/ [word] ____ o (57)	/ m ____ i (12)	/ e ____ e (40)
/ [word] ____ u (58)	/ m ____ o (35)	/ i ____ a (34)
/ l ____ a (30)	/ m ____ u (13)	/ i ____ e (46)
/ l ____ o (49)		/ i ____ o (18)
/ l ____ u (50, 51, 52)		/ u ____ a (15)
/ a ____] _{word} (1)		/ u ____ e (22)
/ i ____] _{word} (4)		
/ o ____] _{word} (9,20)		
/ u ____] _{word} (3)		

[t]	[d]	[ð]
/ [_{word} ____ a (60, 61)	/ n ____ a (19, 36)	/ a ____ a (6, 11, 14,
/ [_{word} ____ i (62, 63)	/ n ____ o (20)	19, 45)
/ l ____ a (53)	/ n ____ u (21, 22)	/ i ____ a (22)
/ l ____ o (31)		/ i ____ i (10)
/ i ____ u (54, 55)		/ o ____ o (25, 41)
/ a ____] _{world} (61)		/ u ____ o (25)
/ e ____] _{word} (2, 43, 46, 54)		
/ i ____] _{word} (30)		
/ u ____] _{world} (7, 16)		
/ u ____] _{world} (16)		
/ u ____] _{world} (16)		

თუ განიხილავთ როგორც ფონეტიკურ ცხრილს, ისე გარემოთა ჩამონათვალს, ნახავთ, რომ წყვილბაგისმიერი და კბილისმიერი ბგერების დისტრიბუცია უკანასასისმიერების პარალელურია: მჟღერი ხშულები ცხვირისმიერი თანხმოვნების შემდეგ გვხვდება, მჟღერი ნაპრალოვნები – ხმოვნებს შორის, ყრუ ხშულები – ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

ამგვარად, ვინაიდან საქმე გვაქვს სამ ფონემასა და 9 ალოფონთან, არ გვჭირდება დიდი ოდენობის წესები მათთან გასამკლავებლად. შეგვიძლია გამოვიყენოთ **ფონეტიკური მახასიათებლები** ზოგადი წესების ჩასაწერად, რომლებიც ამ სამივე ფონემას შეეხება. ანალიზი ასეთ სახეს მიიღებს:

(43) **ფონემები:** /p/ /t/ /k/

ფონოლოგიური წესები:

სპირანტად ქცევა:

$$\left[\begin{array}{c} +\text{stop} \\ -\text{voice} \end{array} \right] \rightarrow \left[\begin{array}{c} +\text{voice} \\ -\text{stop} \\ +\text{fricative} \end{array} \right] / [+vowel] \text{ ____ } [+vowel]$$

ანუ: ყრუ ხშული რეალიზდება შესაბამისი მჟღერი ნაპრალოვნის სახით ხმოვნების გარემოცვაში.

პოსტნაზალური წარმოთქმა:

[+stop] → [+voice] / [+nasal] ____

ანუ: ყრუ ხშული რეალიზდება შესაბამისი მჟღერი ხშულის სახით, როცა ცხვირისმიერ თანხმოვანს მოსდევს.

ზუსტად აღვწეროთ, როგორ გამოიყენება წესებში მახასიათებლები: თუ თვისება ისრის მარჯვენა მხარეს დგას, წესის მოქმედებისას იგი იცვლება. მაგრამ ყველა დანარჩენი მახასიათებელი უცვლელი რჩება. შესაბამისად, თუ განვიხილავთ /mp/ წყვილს პოსტნაზალური წარმოთქმით, /p/-ს [-voice] იცვლება [+voice]-ით და /p/ გარდაიქმნება [b]-დ. მაგრამ [+bilabial] და [+stop] მახასიათებლები უცვლელი რჩება. ანალოგიურია /nt/ წყვილის ქცევა [nd] მიმდევრობად. /t/-ს წარმოთქმის მინუსს პლუსი ენაცვლება, მაგრამ [+alveolar] და [+stop] რჩება უცვლელი და შედეგად ვიღებთ [d] ბგერას. ამ გზით შეგვიძლია ჩავწეროთ ყველა ის წესი, რომელიც სეგმენტთა კლასების ცვლილებას იწვევს. თვისებები უფრო მარტივი და ზოგადი ანალიზის წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა, თითოეული ალოფონი ცალ-ცალკე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი.

ანალიზის საილუსტრაციოდ მასაის სიტყვები შეგვიძლია (ნაწილობრივ) დავიყვანოთ ფონემურ გამოხატულებამდე და ვანარმოოთ ამჟამინდელი ფონეტიკური ფორმები ფონოლოგიური წესების გამოყენებით. მაგალითად, 34-ის [imbaɣiβak] „მოუსვენარი ხარ“, მისი ფონემური ფორმა ფონოლოგიური წარმოება მოცემულია (44)-ში:

(44) /impakipak/	ფონემური ფორმა
imbakipak	პოსტნაზალური წარმოთქმა
imbaɣiβak	სპირანტად ქცევა
[imbaɣiβak]	ფონეტიკური ფორმა

შემთხვევითი არაა, რომ მასაის ხშული ფონემები პარალელური წესით მოქმედებენ. იგივე მოვლენა ვლინდება უამრავ ენაში. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, როგორ მოქმედებს ესა თუ ის წესი ბგერათა კლასებზე:

(45) **ბგერათა დამოკლება ინგლისურში:** /e/ ბგერის [ɛ] სახით დამოკლება ყრუ თანხმოვნის წინ ინგლისურში არ ეხება მხოლოდ /e/-ს: ფაქტობრივად, ინგლისურის ყველა ხმოვანი მოკლდება ამგვარ გარემოში. მაგალითად: *coat* [kɔt] vs. *code* [kod], *lap* [læp] vs. *lab* [læb] და ა.შ.

ნაზალიზაცია ინგლისურში: ინგლისურში ყველა ხმოვანი ნაზალიზდება ცხვირისმიერი თანხმოვნების წინ. მაგალითად: *bin* [bɪn] vs. *bid* [brɪd], *cam* [kæm] vs. *cab* [kæb].

სპირანტად ქცევა ესპანურში: ესპანურში /d/-ს მსგავსად /b/ და /g/ ბგერებსაც აქვთ ალოფონები, რომლებიც ხმოვნების შემდეგ გამოიყენება ([ð], [β] და [χ] შესაბამისად). მაგალითები: /'lɔbo/ ['lɔβo] „მგელი“, /'laɣo/ ['laχo] „ტბა“.

ზოგადი ცნობა, რასაც ამ მაგალითებიდან ვიღებთ მდგომარეობს შემდეგში: ფონოლოგიური წესები ფონეტიკურ მახასიათებლებს ეფუძნება. ამ ზოგად პრინციპში სამ შემთხვევას მოიცავს.

ბგერათა ჯგუფი, რომელსაც კონკრეტული წესი ეხება, თითქმის ყოველთვის რომელიმე ფონეტიკურ მახასიათებელს იზიარებს. მაგალითად, სპირანტად ქცევის წესი ესპანურში ეხება ყველა მჟღერ ხშულს, რომლებსაც აქვთ [+stop, +voice] თვისებები.

წესები, ჩვეულებრივ, ბგერის ერთ ან ორ თვისებას ცვლის. მაგალითად, მასაისთვის ჩვენ მიერ ჩანერილი წესები ცვლის წარმოთქმას და ხშულობა/ ნაპრალოვნების თვისებებს.

წესის გარემოში გამოვლენილი ბგერები თითქმის ყოველთვის ისეთი ბგერებია, რომლებიც კონკრეტულ ფონეტიკურ თვისებას ან თვისებებს იზიარებენ. მაგალითად, ინგლისურის წესი ხმოვანთა დამოკლების შესახებ ეხება ყველა ყრუ თანხმოვანს, რომელიც ამ ხმოვნის შემდეგ დგას, ანუ რომელიც ხასიათდება [-voice] თვისებით.

ბგერათა **ბუნებრივი კლასი** არის ბგერათა სრული ჯგუფი, რომელიც მოცემულ ენაში ერთსა და იმავე თვისებებს იზიარებს. მაგალითად, /m, n, ŋ/ მასაისა და ინგლისურში ბუნებრივ კლასს ქმნის, ვინაიდან მათ საერთო თვისება [nasal] აქვთ. ასევე /p, t, k/ ბუნებრივი კლასია მასაისა და ინგლისურში, ვინაიდან მას საერთო მახასიათებლები [+stop, -voiced] აქვს. თუმცა /m/ და /n/ არაა ბუნებრივი კლასი არც მასაიში და არც ინგლისურში, ვინაიდან ორივე ენაში არის მისი მსგავსი მესამე /ŋ/ ბგერა. ამ ენებში [nasal] ბუნებრივი კლასის ფორმირებისთვის სამივე ცხვირისმიერი თანხმოვნის დაჯგუფებაა

საჭირო.

ბუნებრივი კლასის ცნებასთან ერთად ფონოლოგიურ წესებთან დაკავშირებით შეგვიძლია უფრო სპეციფიკური განცხადება გავაკეთოთ. იმის თქმის ნაცვლად, რომ „ფონოლოგიური წესები ფონოლოგიურ მახასიათებლებს ეფუძნება“, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „ფონოლოგიური წესები ემყარება ბუნებრივ კლასებს“. ეს იმას ნიშნავს, რომ სეგმენტები, რომლებიც წესს ემორჩილება მოცემულ ენაში ბუნებრივ კლასს ქმნიან.

12.6 ფონემის ფსიქოლოგიური რეალობა

ზემოთ წარმოდგენილი მასალა მოიცავდა ენაში ფონემის ანალიზის წმინდა მექანიკურ პროცედურას. თუმცა ამ ნიგნში ჩვენი მიზანი სულაც არ არის ენის მასალის დალაგებისთვის საჭირო პროცედურების მხოლოდ წარმოდგენა. გვსურს დავახასიათოთ მოსაუბრეთა მიერ ათვისებული ენის ცოდნა. ისმის კითხვა: მართებულია თუ არა იმის მტკიცება, რომ მოსაუბრეები წარმოთქვამენ და აღიქვამენ ენას (ქვეცნობიერ დონეზე) ფონემებად? ამ საკითხზე უამრავი ექსპერიმენტი ჩატარდა და ენათმეცნიერთა პრაქტიკული გამოცდილებაც ამას ადასტურებს.

ამავე პრობლემას სამ ნაწილად განვიხილავთ. გავიხსენოთ, რომ ყველაზე ძირეული მოვლენა ეხება ფონეტიკურ განსხვავებებს, რომლებიც ან **განმასხვავებელია** ან **არაგანმასხვავებელი**. გარდა ამისა, ენათმეცნიერები ცდილობენ, რომ დაალოკონ და დაშიფრონ ენის კონტრასტული მოდელები ფონემათა ერთ სისტემაში. დაბოლოს, არსებობს ფონოლოგიური წესების სისტემა, რომელიც მართავს არაგანმასხვავებელ ფონეტიკურ მახასიათებლებს.

12.6.1 ზუსტი განსხვავებების სმენადობა

ექვგარეშეა, რომ სიტყვათგანმასხვავებლობის ფუნქცია ასრულებს მთავარ როლს ენის აღქმაში. სმენის აპარატი „მომართულია“, რომ აღიქვას ზუსტად ის ფონეტიკური განსხვავებები, რაც ფონემურია მის ენაში.

ენათმეცნიერთა გამოცდილებამ ეს დაადასტურა. ვთქვათ, საქმე გვაქვს ორ ფონეტიკურად ძალზე ახლოს მდგომ ბგერასთან და ვთქვათ, რომ ეს ორი ბგერა ორმა განსხვავებულმა მსმენელმა მოისმინა. A მსმენელისთვის ეს ორი ბგერა განმასხვავებელია და, შესაბამისად, მათ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვთ მის ენაში. იგივე ბგერები B მსმენელის ენაშიცაა, მაგრამ ისინი ალოფონებია. რა ხდება ასეთ შემთხვევაში: A-ს შეუძლია ამ ორ ბგერას შორის განსხვავება ძალიან მარტივად აღიქვას, ხოლო B-სთვის ამ განსხვავების აღქმა ძალიან რთულია.

ამ წიგნის ერთ-ერთ თანაავტორს არაერთხელ ჩაუტარებია ასეთი ექსპერიმენტი. იგი ხან A-ს როლს ასრულებდა, ხან B-ს როლს. ქვემოთ რამდენიმე მაგალითია მოყვანილი.

ერთხელ, როცა ის B მსმენელი იყო, A ბენგალის ერთ-ერთ დიალექტზე მეტყველებდა, სადაც კბილისმიერი ხშულები უპირისპირდება ალვეოლარულ ხშულებს, როგორც ამ მინიმალურ და მინიმალურთან მიახლოებულ წყვილებშია:

(46) [t̪an]	'(vocal) tune'	[tan]	'pull!'
[sət̪]	'seven'	[sat]	'sixty'
[d̪an]	'donation'	[dan]	'right (hand)'

[dɪn] 'day'

[dɪm] 'egg'

B-მ აღმოაჩინა, რომ ხანგრძლივი პრაქტიკის მიუხედავად, ვერ განარჩევდა ბენგალ-იში კბილისმიერისა და ალვეოლარულის განსხვავებას. ეს ართობდა A-ს, ვისთვისაც ეს ენა მშობლიური იყო და ამ განსხვავებას ძალიან ნათლად აღიქვამდა.

მნიშვნელოვანი ფაქტია ამ შემთხვევასთან დაკავსირებული, რომ B-სთვის მშობლიური ენა ამერიკული ინგლისური იყო, სადაც კბილისმიერი თანხმონებიცაა და ალვეოლარულიც. კბილისმიერები ალვეოლარულების ალოფონებია საკმაოდ ხშირ შემთხვევაში, რისთვისაც გარკვეული წესია შემუშავებული. ეს უკანასკნელი ალვეოლარულებს კბილისმიერებით ანაცვლებს კბილისმიერი ნაპრალოვნების წინ (განზოგადებული წესი /n/ და /l/ თანხმონების დენტალიზაციის შესახებ; იხ. (7) და (20)):

(47) eight	[eɪt̪θ]	at the. . .	[eɪt̪ θə]
would think	[wɔd̪ θɪŋk]	said this	[sɛd̪ ðɪs]
tenth	[tɛn̪θ]	in the. . .	[ɪn̪ θə]

მთავარია, რომ B-ს მიერ კბილისმიერი/ალვეოლარულის გარჩევის პრობლემები არ უკავშირდება მის გამოცდილებას კბილისმიერებთან მიმართებაში, უბრალოდ B-ს მშობლიური ენა ფონემურად არ განასხვავებს ალვეოლარულებსა და კბილისმიერებს.

იმავე ავტორმა A-ს როლიც შეასრულა. მისი მშობლიური ენაა ინგლისურის დიალექტი, სადაც /a/ უპირისპირდება საშუალოზე დაბალ უკანა მომრგვალებულ ხმოვანს /ɑ/. ამ დიალექტის მინიმალური წყვილები (48)-შია მოცემული:

(48) caught	[kɔt]	cot	[kət]
Kaun	[kɔn]	con	[kən]
paw	[pɔ]	Pa	[pə]
Auto	[ˈɔro]	Otto	[ˈɔro]

ამ დიალექტზე ამერიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი საუბრობს და იგი თანაარსებობს ისტორიულად განახლებულ დიალექტთან, რომელშიც /ɑ/ ბგერას ყველგან /a/ ჩაანაცვლებს. ამგვარად, ახალ დიალექტში ზემოაღნიშნული სიტყვები შემდეგნაირად გამოიყურება:

(49) caught	[kət]	cot	[kət]
Kaun	[kən]	con	[kən]
paw	[pə]	Pa	[pə]
auto	[ˈɔro]	Otto	[ˈɔro]

ამ ახალ დიალექტზე მეტყველნი ხშირად ირწმუნებიან, რომ მათთვის ძალიან ძნელია ამ განსხვავებების აღქმა. ამის საპირისპიროდ კი, ძველ დიალექტზე მოსაუბრენი განსხვავებას კარგად შეიგრძნობენ და თვლიან, რომ საკმაოდ უცნაური მოვლენაა, თუკი ვინმეს ეს არ ესმის.

ასეთი უამრავი ფაქტი არსებობს. ნათელია, რომ მოსაუბრეებს ძალიან უჭირთ აღქმა ან საერთოდ ვერ აღიქვამენ იმ განსხვავებებს, ორ ბგერას შორის, რომელიც თავიანთ ენაში ერთმანეთს არ უპირისპირდება.

12.6.2 „იგივე ბგერის“ ცნება

ენათმეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოსაუბრეების აზრით, ალოფონები ფონეტიკური განსხვავებების მიუხედავად ერთი და იგივე ბგერაა. ქვემოთ ასეთი რამდენიმე მაგალითია მოყვანილი.

Ten და Ted სიტყვებს ფონეტიკურად განსხვავებული ხმოვნები აქვთ. Ten სიტყვაში ფონემა /e/ ცხვირისმიერი ბგერის წინ დგას და შესაბამისად განიცდის შემდეგი ფონეტიკური წესის გავლენას:

(50) **ხმოვანთა ნაზალიზაცია**

[+vowel] → [+nasal] / _____ +consonant
+nasal

ანუ: ხმოვანი ცხვირისმიერი თანხმოვნის წინ ყოფნისას ნაზალიზაციას განიცდის. (51)-ში ამ წესის შედეგია წარმოდგენილი:

(51) <i>ten</i> : /ten/	<i>Ted</i> : /tɛd/	ფონემური ფორმები
ɛ̃	_____	ხმოვნის ნაზალიზაცია
[tɛ̃n]	[tɛd]	ფონეტიკური ფორმები

ინგლისურად მოსაუბრენი კი მაინც ამტკიცებენ, რომ ten და Ted სიტყვებს „ერთი და იგივე ხმოვანი“ აქვთ. მართლაც, ამ ორ ბგერას შორის განსხვავება ძალიან ბუნდოვანია და მხოლოდ ყურადღებით შესწავლის შემდეგ ჩანს.

ამ ფონეტიკურ განსხვავებასთან დაკავშირებით საინტერესოა (მაგალითად) ფრანგულად მოსაუბრეთა ქცევა. ფრანგულში არსებულ მინიმალურ წყვილებში ცხვირისმიერი ხმოვნები ფონემურად განსხვავდება დანარჩენი ხმოვნებისაგან:

(52) [mɛ] „მაგრამ“	[mɛ̃] „ხელი“
[tʁɛ] „ძალიან“	[tʁɛ̃] „მატარებელი“

ფრანგი მოსაუბრეებისთვის აშკარაა, რომ [ɛ] და [ɛ̃] განსხვავებული ბგერებია. მთავარი განსხვავება ინგლისელსა და ფრანგს შორის, ამ მხრივ, არის ამ ორი ენის ფონემურ სტრუქტურებს შორის არსებული სხვაობა: ფრანგული ენის ფონემური სტრუქტურის მიხედვით ნაზალური და ორალური ხმოვნები განსხვავებული ბგერებია, რადგან ისინი ცალ-ცალკე ფონემებია; ხოლო ინგლისურში ისინი ერთი და იგივე ბგერებია, ვინაიდან აქ ისინი ერთი ფონემის ალოფონებია.

შეგვიძლია ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: თუ ორი ფონი ერთი ფონემის ალოფონია, ამ ენაზე მოსაუბრისთვის ის ერთი და იგივე ბგერაა.

მაგრამ ამ დასკვნას შეგვიძლია დავუმატოთ გარკვეული თავშეკავება ბგერების ზოგადი ცოდნის შესახებ. ისე ჩანს, თითქოს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა ვერ აღიქვამდეს, რომ ენას აქვს ასეთი ბგერები. ანუ, ადამიანის გონებაში ფონემების სისტემა სრულიად გაუცნობიერებელ დონეზეა. მოსაუბრეს ფონემებზე ცოდნას უღრმავებს ანბანურად წერა-კითხვის სწავლა, ვინაიდან ამ დროს შემსწავლელის ყურადღება მობილიზებულია ბგერებისა და ასოების შესატყვისობაზე.

ხშირად შევხვედრივართ სტუდენტს, რომელმაც ძალიან კარგად იცის ენა, მაგრამ მწირი წარმოდგენა აქვს ფონემებზე: ასეთი შეიძლება იყოს სტუდენტი, რომელიც სახლში ერთ ენაზე საუბრობს და სკოლაში – მეორეზე, ან ისეთი სტუდენტი, რომელიც არაანბანურ ჩინურ ენაზე საუბრობს. ასეთი სტუდენტებისთვის ლინგვისტიკის შესწავლა ერთადერთი გზაა ფონემებისა და ენის სტრუქტურის შესახებ ცოდნის მისაღებად.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მას შემდეგ, რაც მოსაუბრე სამეტყველო ბგერების შესახებ ცნობას იღებს, იგი ერთი ფონემის ალოფონებს ერთსა და იმავე ბგერად აღიქვამს.

12.6.3 უცხოური აქცენტები

დამადასტურებელი საბუთის კიდევ ერთი წყაროა ფსიქოლოგიური რეალობა არა ფონემისა, არამედ იმ **ფონოლოგიური წესების** სისტემისა, რომელსაც ფონემები ექვემდებარება. ეს ვლინდება მოსაუბრის მიერ უცხო ენაზე მეტყველების მცდელობისას. ჩვეულებრივ, ამ მცდელობის შედეგად ვიღებთ მეორე ენის მეტად სუსტ იმიტაციას. ძლიერი უცხოური აქცენტი შეიძლება ხანგრძლივი პრაქტიკის მიუხედავადც დარჩეს.

თუ უფრო ყურადღებით დავაკვირდებით უცხოურ აქცენტს, აღმოვაჩინოთ, რომ ის საკმაოდ სისტემურია: იგი გარკვეულ ბგერებზე მოქმედი დიდი რაოდენობის სპეციფიკური დამახინჯებების შედეგია. ჩვეულებრივ, ბგერათა დამახინჯება გამოწვეულია მეორე ენის მშობლიური ენის ფონოლოგიის გამოყენებით გამოთქმის მცდელობით.

შეგვიძლია ფონოლოგია მივიჩნიოთ სისტემად, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ ენაში წარმოსათქმელ ბგერებს. ამ ბგერებში ერთიანდება კონტექსტის მიხედვით შესაბამისი ალოფონით რეალიზებული ფონემები. ამ (ძალიან დიდ) ჯგუფს გარეთ ყველაფერი აუცილებლად მოიცავს სამიდან ერთ მახასიათებელს:

მიმდევრობა მიუღებელია, თუ მასში **არარსებული ფონემა** გამოყენებული. მაგალითად, ნებისმიერი სიტყვა, რომელშიც გამოყენებულია მჟღერი ნაქისმიერი ნაპრალოვანი [x], მჟღერი გაფშვინვიერებული ხშული ან წინა მომრგვალებული ხმოვანი, უმართებულოა ინგლისურში, ვინაიდან ასეთი ბგერები ამ ენაში არ გვხვდება.

მიმდევრობა შეიძლება ფონეტიკურად მიუღებელი იყოს, ფონემათა **არასწორი განლაგებისას**. ამგვარად, [bɪɪk] სიტყვა ოთხი ინგლისური ფონემისგან შედგება, რომელთა განლაგება დაუშვებელია ინგლისურ ფონოლოგიაში.

დაბოლოს, მიმდევრობა ფონოლოგიურად მიუღებელია, როცა მასში **ალოფონთა დაუშვებელი დისტრიბუცია**. მაგალითად, თუ სიტყვაში [fɪl] [l] არ არის უკანასასისმიერი, მაშინ ეს სიტყვა მიუღებელია ინგლისურისთვის, ვინაიდან ინგლისურს ალოფონური წესი აქვს, რომლის თანახმადაც, სიტყვის ბოლოს [t] უნდა იყოს, როგორც ეს [fi:t] 'feel' სიტყვის სწორ გამოთქმაშია.

თუ უცხო ენის სიტყვა ფონოლოგიურად ამ სამიდან ნებისმიერი მიზეზით ინგლისურისთვის შეუსაბამოა, მას, ჩვეულებრივ, არასწორად წარმოთქვამენ.

აქ წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი. გერმანული საკუთარი სახელი *Gödel* ფონეტიკურად არის ['gø:dəl], სადაც საშუალოზე მაღალი წინა მომრგვალებული ხმოვანი გამოიყენება. ინგლისურს /ø:/ ფონემა არ აქვს, ამიტომ ინგლისურად მოსაუბრენი იყენებენ აკუსტიკურად მსგავს /ɪ/ ბგერას და *Gödel*-ს გამოთქვამენ, როგორც *girdle*-ს. ფრანგული *thé* „ჩაი“ ფონეტიკურად არის [tʰe]. ინგლისურის უამრავ დიალექტში არაა მონოფთონგი [e], რის ნაცვლადაც დიფთონგი [ei] გამოიყენება. ამ დიალექტებზე მოსაუბრენი ფრანგულ [e] ბგერას [ei]-თი ჩაანაცვლებენ.

ეს არის უცხოური აქცენტის შემთხვევები, როცა მშობლიური ენის ფონემები გამოიყენება უცხო ენის ფონეტიკურად მსგავსი ბგერების ნაცვლად. ასევე გვაქვს შემთხვევები, როცა მშობლიური ენის ალოფონები ენაცვლება ფონეტიკურად მსგავს უცხო ბგერებს. ეს ქმნის მშობლიური ენისთვის სწორ ფონოლოგიურ გამოთქმას. მაგალითად, ინგლისურად მეტყველნი, ჩვეულებრივ, ფრანგულ *thé*-ს წარმოთქვამენ [tʰei] ფშვინვიერი [tʰ] ბგერით, ვინაიდან ეს /t/ ფონემის ის ალოფონია, რომელიც ინგლისურში სიტყვის საწყის პოზიციაში გვხვდება. ამის მსგავსად, *Gödel*-ს ინგლისელები წარ-

მოთქვამენ უკანასასისმიერი [t]-თი, რომელიც /l/-ს ალოფონია.

ფრანგული *huitre* [yitʁ] „ხამანკა“ შედგება სამი ისეთი ბგერისგან, რომელიც ინგლისურში არაა: მაღალი წინა მომრგვალებული [y], ყრუ კბილისმიერი [t] და მჟღერი ნაქისმიერი ნაპრარლოვანი [ʁ]. ეს სიტყვა ალბათ შემდეგ ცვლილებებს გამოიწვევს: ინგლისური /w/ ჩაენაცვლება ფრანგულ /y/-ს; უკანა მომრგვალებული შუალედური ბგერა გამოიყენება ფრანგული წინა მომრგვალებული შუალედური ბგერის ნაცვლად. ინგლისური ალვეოლარული /ʃ/ ფონემურად ყველაზე ახლოს დგას ფრანგულ კბილისმიერ /ʁ/-სთან; და ინგლისური ალვეოლარული /r/ ჩაენაცვლება ფრანგულ ნაქისმიერ /ʁ/-ს. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ბგერათა მიმდევრობა /witr/ ინგლისურშიც მიუღებელია, ვინაიდან არ შეიძლება /tr/ წყვილით დამთავრდეს სიტყვა. ამიტომაც ემატება უმახვილო შვა და ვილებთ ['witrə]-ს.

ამგვარად, უცხო ენის შემსწავლელები არიან მეტ-ნაკლებად მშობლიური ენის ტყვეები. ცხოვრებისეული გამოცდილება აჩვენებს, რომ ისინი მშობლიური ენის ფონოლოგიურად სწორ მიმდევრობას ანიჭებენ უპირატესობას. მშობლიური ფონოლოგიის შეზღუდვათა ფსიქოლოგიური რეალობა აშკარა ხდება, როცა ვაკვირდებით უცხო ენის გამოთქმის შედეგებს.

რა თქმა უნდა, ცალკეული ინდივიდები განსხვავდებიან ამ პრობლემის გადალახვის თვალსაზრისით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ფონოლოგიის ასიმილაციის თვალსაზრისით განსხვავდებიან. სწორი აქცენტის ასათვისებლად საჭიროა როგორც მშობლიური, ისე შესასწავლი ენის ფონოლოგიის ცოდნა.

12.7 ფონეტიკური მსგავსების კრიტიკიუმები

ფონოლოგიურ ანალიზში ფონოლოგიური რეალობის კრიტიკიუმის შემოტანით გაირკვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ შეიძლება ფონემიზაციის მექანიკური გამოყენება, როგორც ეს მასაის მაგალითებში გავაკეთეთ. აქ განვიხილავთ შემთხვევებს, როცა საკმარისი არ არის ისეთი ფონეტიკური სეგმენტების შეგროვება და დალაგება, რომლებიც ერთმანეთს არ უპირისპირდებიან.

მარტივი მაგალითია ინგლისურში [h] და [ɨ] ბგერები. [h] გამოიყენება სიტყვის დასაწყისში და მახვილიანი მარცვლოვანი ბგერების წინ, როგორც ქვემოთ მაგალითში ჩანს:

(53)	hill	[hɪl]	ahead	[ə'hɛd]
	high	[haɪ]	prohibit	[prə'hɪbɪt]
	how	[haʊ]	behold	[bi'hɒld]
	Horatio	[hə'reɪʃiə]	rehearse	[ri'hɜːs]

[ɨ] ბგერა გვხვდება სიტყვის ბოლოს, თანხმოვნების წინ და ორ მარცვლოვან ბგერას შორის, რომელთაგან მეორე უმახვილოა:

(54)	sing	[sɪŋ]	sink	[sɪŋk]	singer	['sɪŋɜː]
	pang	[pæŋ]	anger	['æŋɜː]	Singapore	['sɪŋəpɔː]
	running	['rʌnɪŋ]	hangs	[hæŋz]	dinghy	['dɪŋi]
	Langley	['læŋli]				

არ არსებობს შემთხვევა, როცა [h] გამოყენებულია სიტყვის ბოლოს, ან თანხმოვნების წინ, ან ორმარცვლოვან ბგერას შორის, რომელთაგან მეორე უმახვილოა.

ასევე, [ŋ] არ გვხვდება იქ, სადაც წესით [h] უნდა იყოს. შესაბამისად, [h] და [ŋ] ერთმანეთს არ უპირისპირდება. შეუძლებელია, მათ სიტყვების მნიშვნელობათა ცვლა გამოიწვიონ, ვინაიდან სრულიად განსხვავებულ კონტექსტებში გამოიყენებიან. რადგან ისინი კონტრასტს ვერ ქმნიან, ხომ არ უნდა ჩავთვალოთ ისინი ერთი ფონემის ალოფონებად?

ენათმეცნიერთა ტრადიციული პასუხია – არა. ამის მიზეზია, როცა ორი ბგერა ერთი და იმავე ფონემის ალოფონია, მათ, მოსაუბრე, რომლისთვისაც მოცემული ენა მშობლიურია, აღიქვამს, როგორც ერთსა და იმავე ბგერას. ეს კი არ ხდება [ŋ] და [h] ბგერების შემთხვევაში. მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ /h/ და /ŋ/ ცალკე ფონემებია ინგლისურში და ფაქტი, რომ მათ არ შეუძლიათ დაპირისპირება, უბრალო შემთხვევითობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ უარვყოფთ აზრს, რომ ფონემების გამოყოფა მხოლოდ მათი დისტრიბუციის მიხედვით უნდა მოხდეს. თუ ვამბობთ, რომ ორი ბგერა ერთი ფონემის ალოფონია, ისინი ერთმანეთს ფონეტიკურად უნდა უკავშირდებოდეს.

მსგავსი მაგალითი იმავე აზრს ამტკიცებს. თუ მასაის ბგერების დისტრიბუციას შევამოწმებთ [p, b, t, d, k, g], მაშინ ასეთ დასკვნას გამოიტანთ:

[p] და [d] დამატებით დისტრიბუციაშია.

[t] და [g] დამატებით დისტრიბუციაშია.

[k] და [b] დამატებით დისტრიბუციაშია.

ყოველივე ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მყდერი ხშულები მასაიში ყოველთვის ცხვირისმიერების შემდეგ დგანან, ხოლო ყრუები – არასოდეს. შედეგად, მასაის ფონემური ანალიზისას მარტივად დაჯგუფდება [p] და [d], [t] და [g], [k] და [b]. ასეთი ანალიზი მხოლოდ დისტრიბუციას ეფუძნება და არ ეთანხმება მშობლიურ ენაზე მოსაუბრის ინტუიციას, რომელიც ფონეტიკურად მსგავს [t] და [d]-ს ერთ ბგერად აღიქვამს, ასევე [p] და [b]-ს, [k] და [g]-ს.

12.8 კონტაქსტით შეზღუდული კონტრასტი

აქამდე ჩვენ ფონოლოგიის ძალიან მარტივი კონცეფცია ვიხილეთ: ენაში არის ფონემათა და წესების ჯგუფები, რომლებიც განსაზღვრავენ თითოეული ფონემის ალოფონს ცალკეულ კონტექსტში. განმასხვავებელი ინფორმაცია ფონემურ გამოხატულებაში გვაქვს, ხოლო არაგანმასხვავებელი ინფორმაცია წესების სფეროს ეკუთვნის.

ამის გააზრების შემდეგ შეგვიძლია საკითხი უფრო გავართულოთ. დავუშვათ, წესები არ არის შეზღუდული არაგანმასხვავებელ ინფორმაციასთან მოქმედებით და იგი ასევე მართავს განმასხვავებელ მასალასაც. თუ ეს ასეა, მაშინ, რა სახის ფონოლოგია გვექნება? ამის გასარკვევად ჩვენ ინგლისური ენის ერთ მაგალითს განვიხილავთ.

ინგლისურ ენაში, სხვა ენებისგან განსხვავებით, სიტყვების ორი ხშულით დამთავრება დასაშვებია, როგორც შემდეგი მაგალითებიდან ჩანს:

(55)	concept	['kʌnsept]	contact	['kʌntækt]
	jumped	[dʒʌmpt]	milked	[mɪlkt]
	rubbed	[rʌbd]	bagged	

მაგრამ ასეთი წყვილები მკაცრადაა შეზღუდული: მეორე ხშული ყოველთვის ალვეოლარული უნდა იყოს. ამიტომაც არ არსებობს ინგლისურში ისეთი სიტყვები, როგორიცაა *['kʌnsetp], *['kʌntætk], *[mɪlkp], *[bædg], *[rʌdb]. ინგლისურად მო-

საუბრენი მაშინვე ხვდებიან, რომ ასეთი ფორმები არასწორია და ხშირად მათ ძნელად წარმოსათქმელ მიმდევრობადაც მიიჩნევენ.

შეგვიძლია ამ ფაქტისთვის ზოგადი ფონოლოგიური პრინციპი ასე ჩამოვაყალიბოთ:

(56) **ალვეოლარულის ადგილზე გავლენა**

[+stop] → [+alveolar] / [+stop] _____]_{word}

რაც ნიშნავს, რომ სიტყვის ბოლოს მდგარი ხშული ყოველთვის ალვეოლარული უნდა იყოს.

ეს წესი ახალია იმ ნიშნით, რომ იგი კონკრეტულად არაფერს არ მიემართება, ყველა ინგლისური სიტყვა ამ წესს ემორჩილება. ეს წესი უბრალოდ ინგლისური ენის წესია და ჰიპოთეზური გამოწვევების მოფიქრება ვერაფერს შეგვძენს. ამგვარად, ეს წესი ინგლისურად მოსაუბრის ცოდნის ნაწილია.

ალვეოლარულის ადგილზე გავლენის წესის მნიშვნელოვანი შედეგია, რომ ინგლისურ ხშულებში ადგილის კონტრასტი შეზღუდულია შესაბამისი გარემოთი. ამიტომ ინგლისურს საკმაოდ ბევრი ასეთი მინიმალური სამეული აქვს, როგორც ეს (57) -შია წარმოდგენილი:

(57)	pin	[pɪn]	vs.	tin	[tɪn]	vs.	kin	[kɪn]
	sap	[sæp]	vs.	sat	[sæt]	vs.	sack	[sæk]
	bill	[bɪl]	vs.	dill	[dɪl]	vs.	gill	[gɪl]
	bib	[bɪb]	vs.	bid	[bɪd]	vs.	big	[bɪg]

არ არსებობს (58)-ში მოცემულის მსგავსი მინიმალური სამეულები:

(58)	*[ækp]	vs.	[ækt]	vs.	*[ækk]
	*[dʒæbɪb]	vs.	[dʒæbd]	vs.	*[dʒæbɟ]

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინგლისური ენა ხშულებს შორის ადგილის კონტრასტს სიტყვათა მნიშვნელობების განსხვავებისთვის იყენებს, მაგრამ იგი ამას ყველა კონტექსტში არ აკეთებს. სწორედ ეს იგულისხმება **კონტექსტით შეზღუდულ კონტრასტში**.

შეზღუდული შეპირისპირება, ალბათ, ფონოლოგიის წესია და არა გამოწვევა, ინგლისურში კონტრასტის მრავალი სახეა კონტექსტით შეზღუდული. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი.

ცხვირისმიერები

ინგლისური უპირისპირებს ცხვირისმიერების გამოყენების სამ შემთხვევას: /m/ vs /n/ vs /ŋ/. შეგვიძლია მინიმალურ სამეულად მივიჩნიოთ შემდეგი სიტყვები: *hum* [hʌm] vs *Hun* [hʌn] vs. *hung* [hʌŋ]. სიტყვის დასაწყისში მხოლოდ /m/ და /n/ შეიძლება იყოს: ინგლისური (და სხვა მრავალი ენის) ფონოლოგიური წესი კრძალავს სიტყვის დასაწყისში /ŋ/ ბგერის გამოყენებას.

ობსტრუენტების წარმოთქმა

გავიხსენოთ, რომ ობსტრუენტები შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: ხშულები + აფრიკატები + ნაპრალოვნები. ინგლისურში ობსტრუენტები წარმოთქმის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ამ მინიმალურ წყვილებში ჩანს:

(59)	pin	/pɪn/	vs.	bin	/bɪn/
	pat	/pæt/	vs.	pad	/pæd/

chill	/tʃil/	vs.	Jill	/dʒil/
bicher	/'bɪkɪ/	vs.	bigger	/'bɪgɪ/
mace	/mes/	vs.	maze	/mez/

განვიხილოთ ორი ობსტრუენტით დაბოლოებული სიტყვები. ასეთ შემთხვევებში ინგლისურის ფონოლოგიური წესის თანახმად, მეორე ობსტრუენტი აუცილებლად უნდა შეეწყოს პირველს წარმოთქმის მიხედვით:

(60)	სწორი		არასწორი	
act	[ækt]		'acd'	*[ækd]
clasp	[klæsp]		'clasb'	*[klæsb]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოთქმის კონტრასტი არ არსებობს ამ კონკრეტულ გარემოში – „სიტყვის ბოლოს, ობსტრუენტის შემდეგ“. ასეთ გარემოში ობსტრუენტის წარმოთქმა მთლიანად დამოკიდებულია მარცხენა მეზობელზე და ამიტომ დაპირისპირება შეუძლებელია.

შეზღუდული კონტრასტის თვალსაზრისით, შეგვიძლია განვიხილოთ დამოკიდებულება წესებსა და ფონემურ ფორმებს შორის. აქამდე ჩვენ ვმსჯელობდით ისეთ მიმართებაზე, როცა წესები დამხმარე საშუალება იყო: ისინი უბრალოდ გვაძლევდნენ ფონემების ვარიანტებს, რომლებიც წესებისგან დამოუკიდებლად იდგა. ასეთი შემთხვევები კი საკმაოდ განსხვავებულ ვითარებას გვისახავს; წესები განსაზღვრავს, რისი წარმოთქმა მიზანშეწონილი ენაში. ამიტომ ფონემური ფორმები უნდა ეწყობოდეს წესებს.

ეს ზოგადი სქემა ორი განსხვავებული სახით ვლინდება. პირველ შემთხვევაში წესები განსაზღვრავენ არაგანმასხვავებელი ინფორმაციის დისტრიბუციას, ფონემის ფონეტიკურ რეალიზაციას, რასაც ჩვენ ალოფონებს ვუწოდებთ. მეორე შემთხვევაში კი, წესები განსაზღვრავენ განმასხვავებელი ინფორმაციის დისტრიბუციას და ფონემათა დისტრიბუცია შეზღუდულია: გ ისინი მხოლოდ იქ გვხვდება, სადაც წესები აძლევს მათ ამის საშუალებას. ამიტომ ვიღებთ კონტექსტით შეზღუდულ კონტრასტს. ამ სქემის მესამე შედეგს ქვემოთ ვნახავთ.

12.9 სანესხვაობა

ფონოლოგიის უფრო ზუსტი სურათი იქმნება, როცა ვხედავთ, რომ მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ფონეტიკური ფორმები მრავალნაირად იცვლება, რაც ნიშნავს, რომ ერთი ფონემური გამოხატულება მცირედით განსხვავებულ ფონეტიკურ ფორმებს გვაძლევს.

ასეთი ვარიაციის აღწერის ერთი საშუალებაა იმ ფონოლოგიური წესების განხილვა, რომლებიც არჩევითად მოქმედებს. შერჩევითი ფონოლოგიური წესი, როგორც ერთ-ერთი ხელმისაწვდომი ვარიანტი საუბრისთვის, შეიძლება შეუმჩნეველი იყოს. ამის დამადასტურებელია ინგლისურში ფლეპინგის წესი, რომელიც [f]-ს წარმოგვიდგენს /t/ ბგერის ალოფონად ისეთ სიტყვებში, როგორიცაა *outer* ['aʊtɪ] *attic* ['æɪɪk] *catapult* ['kæɪpʌlt], რომლებიც წარმოითქმის, როგორც /'aʊtɪ/, /'æɪɪk/ და /'kæɪpʌlt/ იმის მიხედვით, მიმართავს თუ არა მოსაუბრე ფლეპინგის წესს.

აქ წარმოდგენილია კიდევ ერთი არჩევითი წესის მაგალითი, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქების, დეტროიტისა და ბუფალოს, ინგლისურის ზოგიერთ დიალექტში გვხვდება. ამ დიალექტში ხმოვან ფონემას /æ/ აქვს დიფთონგური ალოფონი,

რომელიც ასე ჩაიწერება — [მ̥]. ამ წყვილის გამოყენების რამდენიმე მაგალითი ქვემოთაა მოცემული:

(61)	[æ]		[მ̥]		
	<i>lap</i>	/læp/	[læp]	<i>man</i>	/mæn/ [m̥æn]
	<i>pal</i>	/pæl/	[pæ̃l]	<i>Spanish</i>	/'spæ̃niʃ/ ['sp̥m̥niʃ]
	<i>pack</i>	/pæk/	[pæk]	<i>dance</i>	/dæ̃ns/ [d̥m̥ns]
	<i>lab</i>	/læb/	[læ̃b]		

როგორც ვხედავთ, დიფთონგი ალოფონი /n/ ბგერის წინ დგას, ხოლო უფრო დაბალი მონოფთონგური ალოფონი – სხვაგან. ბუნებრივია, რომ დიფთონგი ალოფონი ცხვირისმიერია; ეს ხმოვნის ნაზალიზაციის წესის შედეგია, რომელიც (50)-ში იყო წარმოდგენილი.

ამრიგად, შეგვიძლია /æ/ მივიჩნიოთ ფონემის ძირითად ფორმად. მისი დიფთონგური ვარიანტი მომდინარეობს შემდეგი წესიდან:

(62) /æ/ დიფთონგად ქცევა
æ → ეჟ / ____ n

ანუ: ფონემა [æ] რეალიზდება [ეჟ]-ს სახით, როცა /n/-ის წინ დგას.

ალოფონის ცხვირისმიერობა გამოწვეულია ხმოვნის ნაზალიზაციის წესიდან, როგორც ეს (63)-შია წარმოდგენილი:

(63) *ban*: /bæn/ ფონემური ფორმა
bɛ̃n /æ/ ბგერის დიფთონგად ქცევა (62)
b̥m̥n ხმოვნის ნაზალიზაცია (50)
[b̥m̥n] ფონეტიკური ფორმა

Man, *Spanish* და *dance* სიტყვების ზემოთ მოცემული წარმოთქმის ფორმა ერთადერთი ვარიანტია, თუმცა შესაბამის დიალექტში ეს სიტყვები ასეც წარმოთქმის - [m̥æn], [sp̥m̥niʃ], [d̥m̥ns]. ამრიგად, [æ] ბგერის დიფთონგად ქცევის შესახებ წესი შერჩევითია. როცა არ გამოიყენებენ, /æ/ ვლინდება [æ]-ს სახით. ფონოლოგიური დერივაცია (64)-შია წარმოდგენილი:

(64) *ban*: /bæn/ ფონემური ფორმა
არ მოქმედებს /æ/ ბგერის დიფთონგად ქცევა
b̥m̥n ხმოვნის ნაზალიზაცია
[b̥m̥n] ფონეტიკური ფორმა

ყველა ფონოლოგიური წესი არაა არჩევითი. წესი, რომელიც ალვეოლარულ /n/-ს აქცევს კბილისმიერ [n̥] ბგერად /θ/-ს წინ, სავალდებულოა. მაგალითად, *tenth* [tɛ̃nθ] სიტყვის წარმოთქმა ალვეოლარული [n̥] ბგერით საკმაოდ რთულია და ხელოვნურად ჟღერს. ხმოვნის ნაზალიზაციაც ასევე სავალდებულოა: [b̥m̥n] და [b̥m̥n] ორივე *ban*-ის ვარიანტია, *[bɛ̃n] და *[b̥m̥n] ფორმები კი მიუღებელია. ინგლისურად ზოგიერთი მოსაუბრისთვის შეიძლება ფლეპინგის და [æ]-ს დიფთონგად ქცევის წესებიც სავალდებულოა მათი მეტყველებისთვის.

არჩევითი წესები და საუბრის სტილი

როდესაც ენას არჩევითი წესი აქვს, ხშირ შემთხვევაში ასეთი წესის გამოყენება საუბრის სტილზეა დამოკიდებული. მშვიდ და ყურადღებიან საუბარში მისი გამოყ-

ენება შეუმჩნეველია, ხოლო სწრაფ მეტყველებაში კი ეს წესები ხშირად გამოიყენება. ამის დანახვა მარტივად შეიძლება თუ ავიღებთ სიტყვათა ისეთ მიმდევრობას, რომელიც ერთზე მეტი არჩევითი წესის გამოყენების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ფრაზა *tan attic* ფონემურად ასე გამოიყურება /'tæn 'ætɪk/. მასზე შეიძლება იმოქმედოს ფლეპინგისა და [æ] ხმოვნის დიფთონგად ქცევის წესებმა (გარდა ხმოვნის ნაზალიზაციის აუცილებელი წესისა), რათა მიიღოს ['tɛɪn 'æɪk] ფორმა ყოველდღიური მეტყველებისას. ასევე შესაძლებელია ეს წესები არ გამოიყენოთ და მაშინ მივიღებთ ['tæɪn 'ætɪk] ფორმას მშვიდ და ყურადღებიან საუბარში. შეიძლება შუალედური ვარიანტიც მივიღოთ, თუკი ამ ორი შერჩევითი წესიდან ერთ-ერთი იქნება გამოყენებული.

ზოგადად, მოსაუბრეები მეტყველების სტილის უამრავ ვარიანტს ავლენენ. ეს ვარიაცია შეიძლება განვიხილოთ ფონოლოგიური ანალიზისას: ჩვეულებრივ, არსებობს ცალკეული შერჩევითი წესები, რომლებიც უფრო დიდი სიხშირით გამოიყენება. მოსაუბრენი თავიანთი მეტყველების ტონს გაუცნობიერებლად ცვლიან სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან საუბრისას. თუმცა ყოველდღიური მეტყველება სულაც არაა „დაბინძურებული“ ან „არასწორი“, ის ხშირად სიტუაციის მიხედვითაა აგებული. არასწორი სტილის შერჩევამ შეიძლება ენობრივი უსუფთაობის ან პრეტენზიულობის შთაბეჭდილება შექმნას.

ჩანართი 12.4

ფონოლოგიური მონაცემების შეგროვება

ფონოლოგიური მონაცემები გროვდება არაფორმალური გზებითა და საშუალებებით: კალმითა და ფურცლით შეიარაღებული ენათმეცნიერი სთხოვს მოსაუბრეს, ვისთვისაც ესა თუ ის ენა მშობლიურია, წარმოთქვას სიტყვები და მოსმენილის ფონეტიკურ ან ფონემურ ტრანსკრიფციას ინიშნავს. ეს მეთოდი ნაკლებად სასარგებლოა შერჩევითი ფონოლოგიური წესების შესწავლისთვის. პრობლემა ისაა, რომ მეცნიერის თხოვნით სიტყვის წარმოთქმას მაინც ფორმალური სახე ეძლევა და მოსაუბრე მაინც ცდილობს სიტყვის გამოთქმის საუკეთესო ფორმა მოასმენინოს მკვლევარს. უბრალოდ ჩვეულებრივი მეტყველების მოსმენაც უსარგებლოა, ვინაიდან მოსაუბრეები იშვიათად თუ აკონტროლებენ თავიანთი საუბრის სტილს.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი მიდგომა შემუშავა **სოციოლინგვისტიკამ**, რომელიც სწავლობს ფონოლოგიურ და გრამატიკულ მოვლენებს მეტყველების სოციალურ კონტექსტში. მაგალითად, სოციოლინგვისტიკა შეიძლება ორი ახლო მეგობარი მოზარდის სრულიად უბრალო, ყოველდღიური დიალოგის აუდიო ჩანაწერი გააკეთოს. ამ დიალოგის ფონეტიკური ტრანსკრიფციის ჩანაწერის შემდეგ, შეიძლება ამავე მოზარდების მეტყველების უფრო ფორმალური სტილი შემომწმდეს და მათ სათითაოდ სთხოვონ ცალკეული ჩანაწერების ან მინიმალური წყვილების წარმოთქმა.

ბუნებრივ საუბრებზე დაკვირვების დიდი უპირატესობაა, რომ მოხსნილია სოციალური კონტექსტი, რაც სხვადასხვა სასაუბრო სტილის გამოვლენის საშუალებას იძლევა.

12.10 ფონოლოგია და მისი კავშირი მორფოლოგიასთან

ფონოლოგია და მორფოლოგია ურთიერთქმედებს საკმაოდ ჩახლართული გზებით. ამ ქვეთავში ნაგულისხმებია, რომ თქვენ უკვე შეისწავლეთ მე-2 თავი და, შესაბამისად, თქვენთვის ნაცნობია მორფემის ცნება და მორფოლოგიური წესები.

პირველ რიგში უნდა განიმარტოს **ალტერნაცია (მონაცვლეობა):**

(65) მორფემა **მონაცვლეობს**, როცა სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული ფორმით ვლინდება.

ალტერნაცია ძირითადად შედეგია ფონოლოგიური და მორფოლოგიური წესების ურთიერთქმედებისა. ვიდრე ალტერნაციის გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბრებთ, საჭიროა წარმოვიდგინოთ ძირეული მასალა ამერიკული ინგლისურის ფონოლოგიისა და მორფოლოგიის შესახებ.

12.10.1 /t/ ბგერით დაბოლოებული ფუძეების ალტერნაცია ინგლისურში

ქვემოთ წარმოდგენილია ინგლისურის ზოგიერთი ფონოლოგიური წესი, რომელთაგან რამდენიმე წინა ქვეთავებში იყო მოცემული. **პრეგლოტალიზაციის** წესი ეხება პრეგლოტალიზებულ /p, t, k/ ბგერების ალოფონებს (ტრანსკრიფცია [p̥, t̥, k̥]), როცა ისინი სიტყვის ბოლო პოზიციაში გვხვდება:

(66) **პრეგლოტალიზაცია**

$$\left[\begin{array}{l} +\text{stop} \\ -\text{voice} \end{array} \right] \rightarrow \left[+\text{preglottalized} \right] / ______]_{\text{word}}$$

ანუ: ყრუ ხშული რეალიზდება პრეგლოტალიზებულად, როცა ფინალურ პოზიციაშია.

მაგალითები:	cap	/kæp/	[kæ̥p̥]
	hat	/hæt/	[hæ̥t̥]
	hack	/hæk/	[hæ̥k̥]

ფლეპინგის წესის მიხედვით /t/ ფონემა რეალიზდება [ɾ] ფლეპით, როცა ორ მარცვლოვან ბგერას შორის დგას, რომელთაგან მეორე უმახვილოა. ქვემოთ ეს წესი ხელახლა წარმოდგენილი:

(67) **ფლეპინგი**

$$/t/ \rightarrow [ɾ] / \left[+\text{vowel} \right] ______ \left[\begin{array}{l} +\text{vowel} \\ -\text{stress} \end{array} \right]$$

/t/ ფონემა ფშვინვიერი ხდება უამრავ კონტექსტში. უხეშად რომ ითქვას, ასპირაციას ადგილი აქვს, როცა ყრუ ხშული მახვილიანი მარცვლოვანი ბგერის წინ დგას და როცა მის წინ /s/ არ დგას.

(68) **ასპირაცია**

$$t \rightarrow \left[+\text{aspirated} \right] / X ______ \left[\begin{array}{l} +\text{vowel} \\ +\text{stressed} \end{array} \right] \text{ აუცილებელი პირობა: } X \neq /s/$$

მაგალითები:

Tom	/tam/	[t̥ʰam]	vs.	Atlas	/æt̩ləs/	[t̩æt̩ləs]
tell	/tɛl/	[t̥ʰɛl]		get	/gɛt/	[t̩gɛt]
obtain	/əbteɪn/	[əb̥t̩ʰeɪn]		actor	/ˈækt̩ɹ/	[t̩ækt̩ɹ]
attest	/ətɛst/	[ə̥t̩ʰɛst]		terrific	/təˈrɪfɪk/	[t̩t̩ˈrɪfɪk]
retain	/rɪteɪn/	[rɪ̥t̩ʰeɪn]		stun	/stʌn/	[t̩stʌn]

მარცხენა სვეტში წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, მახვილიანი ხმოვნის წინ მდგარი /t/-ს, რომელიც ფშვინვიერი ხდება. ასპირაცია არ ხდება სიტყვებში: *Atlas*,

get, *actor* და *terrific*, ვინაიდან /t/ მახვილის წინ არ დგას. სიტყვა *stun* გვიჩვენებს /s/ ბგერის სუსტ გავლენას ასპირაციაზე. იმისათვის, რომ ასპირაციის წესი შეეხოს სამივე ყრუ ხშულ თანხმოვანს, საჭიროა მისი უფრო ზოგადი სახით ჩამოყალიბება, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ /t/ ბგერის მაგალითი განვიხილეთ.

ახლა კი განვიხილოთ მორფოლოგიისა და ფონოლოგიის ურთიერთქმედების შემთხვევა, როცა მორფოლოგია ფონემების ფონოლოგიურ გარემოს ცვლის. ეს ნიშნავს, რომ პრეფიქსებისა და სუფიქსების სეგმენტები თავისთავად არის ფონოლოგიური პროცესის გარემოს ნაწილი. გავაანალიზოთ (69)-ში წარმოდგენილი მაგალითები:

(69)	note	notable	notation
	/not/	/notəbəl/	/notejən/
	['noʔt]	['noɾəbəl]	[no'tʰɛjən]
	quote	quotable	quotation
	/kwot/	/kwotəbəl/	/kwotejən/
	['kwoʔt]	['kworəbəl]	[kwo'tʰɛjən]

დავაკვირდეთ /t/ ფონემის ცალკეულ ალოფონებს, რომლებიც ამ ფორმებში იჩენს თავს. სიტყვებში *note* და *quote* /t/ ფონემა სიტყვის ბოლოსაა. იგი (66) პრეგლოტალიზაციის წესს ექვემდებარება და ვლინდება [ʔ] ფორმით. სიტყვებში *notable* და *quotable* /-əbəl/ სუფიქსმა უმახვილო მარცვალ დაამატა, რაც არსებითი მნიშვნელობისაა (67) ფლეპინგის წესის მოქმედებისთვის. შედეგად /t/ ვლინდება [ɾ] სახით. დაბოლოს, *notation* და *quotation* სიტყვებში დამატებული სუფიქსი მახვილიანი მარცვლით იწყება, ამიტომ /t/ ფონემას მახვილის წინა პოზიცია აქვს, რის გამოც მოქმედებას იწყებს ასპირაციის წესი და ვიღებთ [tʰ] ალოფონს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას შემდეგ რაც მორფოლოგია განსაზღვრავს საჭირო სუფიქსებს, სიტყვების ფონოლოგიური ფორმა ერგება ახალ გარემოს. ფუძეებისთვის /not/ და /kwot/ არ არის საბოლოოდ დამკვიდრებული /t/-ს რომელიმე ალოფონი. მისი არჩევა დამოკიდებულია გარემოზე, რომელშიც ფუძის ბოლო /t/ გვხვდება.

ალტერნაციის ცნების წარმოსაჩინად ავიღოთ უკვე მოცემული ფორმები და ჩავწეროთ უაფიქსო ფორმები:

(70)	note:	['noʔt]	['noɾ]	[notʰ]
	quote:	['kwoʔt]	['kwor]	[kwotʰ]

თუკი მივუბრუნდებით ალტერნაციის ზემოთმოცემულ განმარტებას და დავაკვირდებით *note* და *quote* მორფემებს, ვნახავთ, რომ ეს მორფემები იცვლება: მორფოლოგიის მიერ მინიჭებული კონტექსტის მიხედვით ისინი განსხვავებულ ფორმებს იღებენ.

როცა მორფემა სახესხვაობას განიცდის, მის განსხვავებულ ფორმებს **ალომორფები** ჰქვია. ამგვარად ['noʔt], ['noɾ] და [notʰ] /not/ მორფემის ალომორფებია.

რაც ჩვენ ახლა ვნახეთ, საერთოა ყველა ენისთვის. ალტერნაციას მაშინ ვიღებთ, როცა ფონოლოგიური წესები გავლენას ახდენენ საბოლოო ფორმის ფონოლოგიურ სახეზე. ისინი მორფოლოგიურად შექმნილი კონტექსტისთვის სწორი ალოფონის შერჩევას მოითხოვს.

ფაქტობრივად ნორმაა, რომ მორფემას მუდმივი გამოთქმა არ აქვს. ენის მორ-

ფოლოგია ხშირად აყენებს მორფემებს განსხვავებულ ფონოლოგიურ კონტექსტში და ამიტომ გამოთქმაც განსხვავებულია. ზოგჯერ ეს განსხვავება საკმაოდ ბუნდოვანი და შეუმჩნეველია.

ენის ფონოლოგიაზე მომუშავე ენათმეცნიერებისთვის ალტერნაცია მეტად სასარგებლოა, ვინაიდან იგი მასალის კონტროლის საშუალებას იძლევა. თუკი ენათმეცნიერი დასვამს ასეთ კითხვას: „რა მოსდის /p/-ს, როცა ის უმახვილო ხმოვნის წინ დგას?“ პასუხი ძალიან მალე ხელთ ექნება, ვინაიდან უამრავი სიტყვის ფუძე ბოლოვდება /p/ ბგერით და უამრავი აფიქსი იწყება უმახვილო ხმოვნით. ზოგადად მორფოლოგია საკმაოდ ზრდის იმ მიმდევრობათა რიცხვს, რისი შემონმებაც ენათმეცნიერს სურს.

12.10.2 რიტმული გახანგრძლივება ჩოკტაუში

ზემოაღნიშნულ მაგალითში ალტერნაციის ტიპები საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. ახლა კი განვიხილავთ რიტმული გახანგრძლივების მოვლენას ჩოკტაუში, რომელიც არის მუსკოგენური ენა, ამ ენაზე საუბრობენ მისისიპსა და ოკლაჰომაში.

„დანახვა“ ზმნის ფუძე ჩოკტაუში არის /pisa/ და დამოუკიდებლად იგი ამგვარადვე გამოითქმის. თუმცა თუ ერთი ხმოვნის შემცველი სუფიქსი დაემატება, ფუძე გახანგრძლივებული ხმოვნით გამოითქმის:

(71) [pisa: + li]	see-I.subject.	=	„მე ვხედავ“
[pisa: + tʃi]	see-causative	=	„დანახვა, ჩვენება“

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, pisa-ს აქვს სულ ცოტა ორი ალომორფი [pisa] და [pisa:].

ჩანერისას ჩვენ „+“ ნიშანი დაუვმატეთ, რათა უფრო იოლი აღსაქმელი ყოფილიყო მორფემებს შორის გაყოფა; ეს სიმბოლო არავითარ გავლენას არ ახდენს წარმოთქმაზე. უფრო კარგად გასაანალიზებლად წარმოვადგინეთ როგორც ცალ-ცალკე მორფემის, ისე მთლიანი სიტყვის თარგმანი.

ახლა კი შეგვიძლია მცირე ჰიპოთეზა შევიმუშავოთ მომხდართან დაკავშირებით: მაგალითად, დაუვშვათ, რომ ჩოკტაუში ყველა ხმოვნის გაგრძელება ხდება სუფიქსის წინ, ან იგი ახანგრძლივებს ბოლოდან მეორე ხმოვანს ყველა სიტყვაში, თუკი იგი პირველი ხმოვანი არაა. შეგიძლიათ უფრო მეტი ვარაუდიც გამოთქვათ.

იმისათვის, რომ ანალიზი განვაგრძოთ, მეტი მაგალითი გვჭირდება. ახლა ვნახოთ, რა ხდება, როცა პრეფიქსი ემატება სიტყვა pisa-ს:

(72) [tʃi + pisa]	you.object-see	=	'(he) sees you'.
-------------------	----------------	---	------------------

ეს მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ არსებობს ზოგადი ფონოლოგიური პრინციპი: როცა სიტყვა ორმარცვლიანია, ორივე მოკლეა, ხოლო როცა სამი მარცვლია, მაშინ შუა მარცვლის ხმოვანი ხანგრძლივდება. ასეთ დროს არ აქვს მნიშვნელობა როგორ იშლება სიტყვა პრეფიქს-სუფიქსების მიხედვით.

ეს უფრო ნათელი ხდება, თუკი შევხედავთ pisa-ს 4-5 მარცვლიან ფორმებს:

(73) [tʃi + pi:sa + li]	you.obj-see-I.subj	=	'I see you'
[tʃi + pi:sa + t i]	you.obj-see-causative	=	'(he) causes you to see'
[pisa: + tʃi + li]	see-causative-I.subj	=	'I cause (him) to see'
[tʃi + pi:sa + tʃi: + li]	you.obj-see-causative-I.subj	=	'I cause you to see'

პრინციპის მოქმედებას ნათლად დავინახავთ თუ ყველა ფორმას დავალაგებთ შემდეგნაირად:

- (74) [p i s a]
 [p i s a: l i]
 [p i s a: tʃ i]
 [tʃ i p i: s a]
 [tʃ i p i: s a l i]
 [tʃ i p i: s a tʃ i]
 [p i s a: tʃ i l i]
 [tʃ i p i: s a tʃ i: l i]

კერძოდ: ხმოვანი გრძელი უნდა იყოს თუ იგი მარცხნიდან გადათვლით ლუნ მარცვალშია და იმავდროულად ეს მარცვალი არაა სიტყვის ბოლო მარცვალი. ჩოკტაუს აქვს ცვალებადი ხანგრძლივობის რიტმი და ამიტომაც ჩოკტაუს მკვლევრები ამ მოვლენას რიტმულ ხანგრძლივობას უწოდებენ.

მოდით, შევამოწმოთ რიტმული გახანგრძლივება მეორე ფუძის შემთხვევაში, რომელიც ნიშნავს „საჩუქრად მიღებას“. ძირითადი მაგალითები pisa-ს პარალელურადაა მოცემული (75)-ში:

- (75) [habi:na] receive as.a present
 [habi:na + li] receive.as.a.present-I.subj
 = 'I receive as a present'
 [habi:na + tʃi] receive.as.a.present-causative
 = 'cause to receive as a present'.
 [tʃi + ha:bina] you.obj-receive.as.a.present-I.subj
 = '(he) causes you as a present'
 [tʃi + ha:bina: + li] you.obj-receive.as.a.present-I.subj
 = 'I receive you as a present'
 [tʃi + ha:bina: + tʃi] you.obj-receive.as.a.present-causative
 = '(he) causes you to receive as a present'
 [habi:na + tʃi: + li] receive.as.a.present-causative-I.subj
 = 'I cause to receive as a present'
 [tʃi + ha:bina: + tʃi + li] you.obj-receive.as.a.present-causative-I.subj
 = 'I cause you to receive as a present'.

თითოეული ფორმის შემოწმების შედეგად ნახავთ რიტმული გახანგრძლივების ცვალებად მოდელს, რომელიც მოქმედებს ყველა არაუკანასკნელ ლუნი მარცვლის ხმოვნებზე.

უფრო ნათელი ანალიზის წარმოსადგენად, განვიხილოთ ფონემური ფორმები ფუძეებისა „დანახვა“ და „საჩუქრად მიღება“ ანუ /pisa/ და /habina/ სიტყვები. ჩოკტაუს მორფოლოგიური ნესები ფუძეებს ამაგრებენ პრეფიქსებსა და სუფიქსებს. აქედან მიღებული ფორმები ექვემდებარება რიტმული გახანგრძლივების ნესს, რომელსაც ჩვენ ასე ჩამოვაცალიბებთ:

(76) **რიტმული გახანგრძლივება:**

ხმოვნების გახანგრძლივება გულისხმობს ხმოვნის გაგრძელებას იმ მარცვლებში, რომლებიც არ არის სიტყვის ბოლოში და სიტყვის დასაწყისიდან ლუნ მარცვლებშია.

ამგვარად [tʃipi:satʃi:li] ფორმის ფონოლოგიური წარმოება შემდეგნაირია:

(77) /pisa/	„დანახვა“ ზმნის ძირეული ფორმა
/tʃi+pisa+tʃi+li/	მორფოლოგია: პრეფიქსებისა და სუფიქსების დამატება
[tʃipi:satʃi:li]	ფონოლოგია: რიტმული გახანგრძლივების მოქმედება.

/pisa/-ს ფონემურ სახეს არ აქვს გრძელი ხმოვნები: როცა ფუძე გრძელი ხმოვნით წარმოითქმის, ეს იმას ნიშნავს, რომ რიტმული გახანგრძლივების წესი მოქმედებს მასზე.

ფუძე *habina* („ჩუქება“) ამ მხრივ უფრო ბუნდოვანია. როცა იგი დამოუკიდებლად წარმოითქმის, მასში გრძელი ხმოვანია. მაგრამ გვაქვს იმ ფიქრის საფუძველი, რომ ეს არაა ფონემური გრძელი ხმოვანი, ვინაიდან იგი ვლინდება მხოლოდ რიტმული გახანგრძლივების წესის /i/ ბგერაზე მოქმედებისას. როცა იგი ამ გავლენას არ განიცდის, მაშინ მოკლე ხმოვანია და მის ნაცვლად ის ხმოვნები ხდება გრძელი, რომელიც ამ წესის პირობებს აკმაყოფილებს, როგორც მაგალითად [tʃi+**ha**:bina].

ყველაფერი ეს უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ უფრო დეტალურად გიჩვენებთ, როგორ აგებს გრამატიკა ამ ორ ფორმას:

(78) /habina/	ფონემური ფორმა ზმნისა „საჩუქრად მიღება“
_____ /tʃi+habina/	მორფოლოგია: პრეფიქსის დამატება (მხოლოდ მეორე სვეტებში)
[habi:na] [tʃi ha :bina]	ფონოლოგია: რიტმული გახანგრძლივება

ასეთი წარმოება მოიცავს როგორც მორფოლოგიის, ისე ფონოლოგიის წესებს. ჩვენ მოკლე კომენტარს დაეუმატებთ დერივაციის ამ ფორმას: დერივაციის სწორი ჩანერისთვის საჭიროა ზუსტად აღინეროს ის პროცესი, რომელსაც სიტყვის ამა თუ იმ ფორმით წარმოთქმამდე მიყვავართ. დერივაციაში გადამწყვეტია წრეების ლოგიკურად დალაგება. კერძოდ, რიტმული გახანგრძლივების პრინციპი მთლიან სიტყვებს ეხება, ვინაიდან ისინი მორფოლოგიურადაა აგებული. დერივაციაში წესების დალაგება გამოიყენება გრამატიკის ლოგიკური კავშირების დეტალური აღწერისთვის.

12.11 ნეიტრალიზაცია

ჩვენ მიერ განხილულ მასალაში ნეიტრალიზაციის მაგალითები ვნახეთ ალოფონებთან: ცალკეული მორფემა იცვლება, ვინაიდან მისი ფონემები სხვადასხვა ალოფონით ვლინდება სხვადასხვა მორფოლოგიურ კონტექსტში. თუმცა არის მაგალითები, რომლებიც ალოფონიას სცდება.

12.11.1 კორეულში ხშულების ნაზალიზაცია

მორფემის ფინალურ პოზიციაში კორეული ერთმანეთს უპირისპირებს ყრუ ხშულებს /p, t, k/ შესაბამის ცხვირისმიერებს /m, n, ŋ/. ეს ნათლად ჩანს შემდეგ მინიმალურ წყვილებში:

(79)	[otʃiŋətʃət]	‘squid pickle’
	[otʃiŋətʃən]	‘squid pancake’
	[nurinpap]	‘scorched rice’
	[nurinpam]	‘scorched chesnut’

/nə nurɪnpap məkəpwanni/ /nə nurɪnpam məkəpwanni/ phonemic forms
 m — Obstruent
 Nasalization (80)
 [nə nurɪnpam məkəpwanni] [nə nurɪnpam məkəpwanni] phonetic forms

აქ არის პრაქტიკული ნიმუში ხშულის ნაზალიზაციისა: როცა კორეულის მცოდნეს ესმის [nə nurɪnpam məkəpwanni], მხოლოდ ფონემური სახის მოსმენით თავდაპირველად ვერ მიხვდება ბრინჯზეა საუბარი თუ თხილზე, ან გამოთქმის კონტექსტი უნდა გამოიყენოს ან ახსნა ითხოვოს ნათქვამის სწორად გასაგებად.

კორეულის მაგალითი **ნეიტრალიზაციის** ილუსტრაციაა. ფონემური განსხვავება /ptk/ და /mnŋ/ ჯგუფებს შორის ნეიტრალიზებულია მომდევნო ცხვირისმიერი ბგერის კონტექსტში. ეს იმას ნიშნავს, რომ განსხვავება „ადგილზეა“, მაგრამ ფონოლოგიური წესების გავლენით გამოთქმაში არ აისახება. ნეიტრალიზაციის ზუსტი განმარტება შემდეგნაირია:

(83) **ნეიტრალიზაცია:** განსხვავებული ფონემური ფორმების იდენტური ფონეტიკური რეალიზაცია.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში ნეიტრალიზაციას ვხედავთ, როცა განსხვავებული ფონემური ფორმები /nurɪnpap/ „მოხალული ბრინჯი“ და /nurɪnpam/ „მოხალული თხილი“ იდენტური ფონეტიკური ფორმით ვლინდება — [nurɪnpam]. ასეთ შემთხვევაში, ვსაუბრობთ ორი ფონემური ფორმის სრულ ნეიტრალიზაციაზე. ასევე შეგვიძლია, ვისაუბროთ ორი ფონემის ნეიტრალიზაციაზე: /p/ და /m/ ნეიტრალიზდება [m]-ის სახით.

ნეიტრალიზაცია საერთოა ყველა ენისთვის. შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ ასეთ შემთხვევებს ინგლისურის ზოგ დიალექტში.

12.11.2 ინგლისურში პოსტნაზალური /t/-ს ამოვარდნა

ინგლისურში არსებობს **ამოგდების** წესი, რომელიც შლის /t/ ბგერას /n/-ის შემდეგ. განვიხილოთ მინიმალური წყვილები, სადაც ვნახავთ, რომ /t/ ინგლისურში უპირისპირდება წულს: ეს ნიშნავს, რომ არსებობს სრულიად იდენტური სიტყვები, რომლებიც მხოლოდ /t/-ს ყოფნა-არყოფნის მიხედვით განსხვავდება:

(84)	plant	[plænt]	vs.	plan	[plæn]
	stunt	[stʌnt]	vs.	stun	[stʌn]
	bent	[bent]	vs.	Ben	[ben]

სიტყვის ფინალური პოზიციის გარდა შეგვიძლია მოვძებნოთ მინიმალურთან მიხედვით წყვილები:

(85)	Bentley	['bentli]	vs.	Henley	['henli]
	anneal	[ə'nɪl]	vs.	until	[ən'tɪl]

ვინაიდან ყველა ამ მაგალითში /t/-ს წინ /n/ დგას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ /nt/ უპირისპირდება /n/-ს.

ახლა განვიხილოთ სიტყვათა მთელი ჯგუფები, რომლებიც ერთსა და იმავე მორფოლოგიურ ფუძეს იზიარებენ. გამოთქმის მოცემული ფორმები ინგლისურის ყველა დიალექტისთვის საერთო არ არის, მაგრამ საკმაოდ გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში:

(86)	plant	['plænt]	planter	['plænr̩]
	plan	['plæn]	planner	['plænr̩]
	stunt	['stʌnt]	stunting	['stʌnr̩]
	stun	['stʌn]	stunning	['stʌnr̩]
	punt	['pʌnt]	punting	['pʌnr̩]
	pun	['pʌn]	punning	['pʌnr̩]

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ზოგი ადამიანის მიერ *planter* გამოითქმის, როგორც *plan-ner*, ასევეა დანარჩენი ნყვილების შემთხვევაშიც.

ჩანს, რომ კორეულის მსგავსად, აქაც ფონემური კონტრასტი იგნორირდება ფონოლოგიური წესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისი წესი კრძალავს /t/-ს გამოვლენას /n/-ის შემდეგ.

ვიციტ, რომ /t/ შენარჩუნდება, როცა იგი სიტყვის უკანასკნელი თანხმოვანია. გარდა ამისა, საკმაოდ იშვიათ შემთხვევებში, როცა /nt/-ს მოსდევს თანხმოვანი, /t/ რჩება. ქვემოთ მოცემული დამატებითი მონაცემები მიუთითებს, რომ გარკვეულ როლს მახვილიც ასრულებს:

(87)	<i>plant</i>	[plænt]	<i>planting</i>	['plænr̩]	<i>plantation</i>	[plæn'teɪʃn]
	<i>mental</i>	['menə]	<i>mentality</i>	[men'tælr̩i]		
	<i>scientist</i>	['saɪənist]	<i>scientific</i>	[saɪəntɪfɪk]		

ნათელია, რომ /t/ მაშინაც ქრება, როცა მას უმახვილო ხმოვანი მოსდევს. შეგვიძლია წესს ასეთი სახე მივცეთ:

(88)	პოსტნაზალური /t/-ს ამოვარდნა				
	t → Ø / n _____				
	<table border="0" style="margin: 0;"> <tr> <td style="padding: 0 10px;">+</td> <td>vowel</td> </tr> <tr> <td style="padding: 0 10px;">-</td> <td>stress</td> </tr> </table>	+	vowel	-	stress
+	vowel				
-	stress				

რაც ნიშნავს, რომ /t/ ქრება, როცა /n/-სა და უმახვილო ხმოვანს შორის დგას.

დავუშვათ, რომ ფონემურად *plant* არის /plænt/ და *plan* არის /plæn/. ჩვეულებრივ, მორფოლოგიურ წესებს მორფემების დალაგების საშუალებას ვაძლევთ და შემდეგ ისე ვცვლით მიღებულ ფორმას, რომ ფონოლოგიის წესებს შევუსაბამოთ:

(89) მორფოლოგია: -ing, -ation აფიქსების დამატება

<i>plan</i>	<i>planning</i>	<i>plant</i>	<i>planting</i>	<i>plantation</i>
/'plæn/	/'plæn+r̩/	/'plænt/	/'plænt+r̩/	/'plæn't+eɪʃn/

უნდა დავიმახსოვროთ, რომ -ation მახვილიანი სუფიქსია ინგლისურში. წესები, რომელთაც ახლა აქ არ განვიხილავთ, სუფიქსის მახვილს ფუძის მახვილის გადაჭარბების საშუალებას აძლევს.

პოსტნაზალური /t/-ს გაქრობა ჩვენგან მოითხოვს /t/-ს წაშლას, როცა მის წინ /n/ დგას და მის შემდეგ უმახვილო ხმოვანია. ასეთი პირობები ერთად მხოლოდ სიტყვა *planting*-ში გვაქვს:

(90) ფონოლოგია: პოსტნაზალური /t/ ქრება (88)-ის მიხედვით

_____	_____	_____	/'plæn+r̩/	_____
-------	-------	-------	------------	-------

ამის შედეგად ასეთ ფორმებს ვიღებთ:

(91) ფონეტიკური ფორმები:

['plæn]	['plænr̩]	['plænt]	['plænr̩]	[plæn'taɪʃn]
---------	-----------	----------	-----------	--------------

კორეული მაგალითის მსგავსად, ფონემურად განსხვავებული ფორმები ნეიტრალიზდება თავიანთ ფონეტიკურ ფორმაში. ამრიგად:

(92) სიტყვა	მოსალოდნელი ფორმა	ნეიტრალიზებული ფორმა
planning	['plæniŋ]	['plæniŋ]
planting	['plæntiŋ]	['plæniŋ]

ზოგი გამოთქმა ორაზროვანია ფონოლოგიური გაგებით, მაგალითად: 'They are planning/planting a garden'.

ფონემური ფორმის ამოცნობა ნეიტრალიზაციის შემთხვევაში

ჩანართი
12.5

ნეიტრალიზაციის შემთხვევაში ენის შემსწავლელისთვის საკმაოდ რთულია სწორი ფონემური გამოხატულების ამოცნობა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სწორედ ასეთი ვითარება გვაქვს პოსტნაზალური /t/-ს გაქრობის შემთხვევაში.

ხუთი წლის ბავშვმა დაასახელა უამრავი სიტყვა, რომელთაც უნდა ჰქონდეთ მხოლოდ /n/ ნაცვლად /nt/-სა: *Panasonic* [pæntə'sanɪk], *monoclonius* (დინოზავრის სახეობა) [manta'kloniəs]. მას არასოდეს მოუსმენია ასეთი გამოთქმა სხვისგან და ჩნდება კითხვა, საიდან მიიღო მან ასეთი ფორმა. ვვარაუდობთ, რომ (ა) მან ან არ იცის პოსტნაზალური /t/-ს ნაშლის წესი, ან ეს მხოლოდ შერჩევითი წესია, რომელსაც ის სწრაფი მეტყველებისას იყენებს; (ბ) მან ბუნდოვნად იცის, რომ [n] შესაბამის გარემოში შეიძლება გულისხმობდეს ან უბრალო ფონემურ /n/-ს ან ფონემურ /nt/-ს. ეს კონკრეტული სიტყვები მან არასწორად გამოიცნო. ამ სიტყვების ძირითადი გამოხატულების სწავლა საკმაოდ რთულია, ვინაიდან არ გვაქვს ალტერნატიული ფორმა (როგორცაა [pæɪn] ან [man]-ის შემთხვევაში), რომელიც ნათლად გვაჩვენებდა ძირითად გამოხატულებაში /n/-ს და არა /nt/-ს.

მიახლოებითი ნეიტრალიზაცია

ჩანართი
12.6

ლინგვისტიკის ძველ სახელმძღვანელოებში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა ერთი შეხედვით აშკარა ნეიტრალიზაციაა, მაგრამ დეტალური შესწავლის შედეგად კი აღმოჩნდება, რომ ეს ასე არ არის. ეს არის შემთხვევები, როცა ფონოლოგიური წესები ავლენენ თითქმის იდენტურ ფონეტიკურ ფორმებს ორი განსხვავებული ფონოლოგიური ფორმისთვის. ყურადღებით შესწავლის შედეგად კი ვნახავთ, რომ ისინი არ არის იდენტური.

მაგალითად ითვლებოდა, რომ ინგლისურს ჰქონდა /s/ და // ბგერების განსხვავებათა ნეიტრალიზაციის წესი, როცა მათ შემდეგ // დგას.

/s/-ის ასიმილაცია

s → ʃ / _____ ʃ (არჩევითი)

ამის სანახავად, წარმოვიდგინოთ ადამიანი სახელად 'Russ Schaefer', რომელიც მოხსენიებულია შემდეგ ორ წინადადებაში:

Let's help Russ Schaefer to the head of the line.

Let's help rush Schaefer to the head of the line.

ინგლისურად მოსაუბრეთა უმრავლესობისთვის ეს ორი წინადადება სწრაფად

ნარმოთქმისას იდენტურია. ეს იმის გამო ხდება, რომ Schaefer-ში მომდევნო /ʃ/-ის გავლენით Russ /rʌs/ სიტყვაში /s/ უახლოვდება [ʃ]-ს ნარმოთქმის მიხედვით. შედეგად ვიღებთ შემდეგი სახის დერივაციას:

<i>Russ Schaefer</i>	<i>rush Schaefer</i>	
/rʌs ʃeɪr/	/rʌʃ ʃeɪr/	ფონემური ფორმები
rʌʃ ʃeɪr	_____	/s/-ის ასიმილაცია
[rʌʃ ʃeɪr]	[rʌʃ ʃeɪr]	საბოლოო ფორმა

ფონეტიკური საშუალებები უფრო ძნელი მოსატყუებელია, ვიდრე ყური. თუ გამოვიყენებთ ბგერით სპექტოგრაფს და ახლოდან დავაკვირდებით Russ Schaefer-ის ნარმოთქმის ვერსიებს, ვნახავთ, რომ ფონემური /s/ Russ-ში არ რეალიზდება [ʃ]-ის სახით, არამედ თავს იჩენს ისეთი ბგერით, რომელიც [s]-ით იწყება და [ʃ]-ის მსგავსი ბგერით სრულდება: [sʃ]. /s/-ის ასიმილაცია უფრო ზუსტად შეგვიძლია არა-ნეიტრალიზაციის წესით ჩამოვაყალიბოთ:

/s/-ის ასიმილაცია
 s → sʃ / _____ (არჩევითი)

ეს არაა ნეიტრალიზების წესი, მაგრამ ძალიან ახლოს დგას მასთან.

ენათმეცნიერების მიერ უფრო მეტად კომპიუტერებით მოპოვებული უფრო ზუსტი მონაცემების გამოყენება და მხოლოდ მათ ყურებზე დაყრდნობის პრაქტიკის ნელ-ნელა მიტოვება გამოიწვევს უფრო დიდ პროგრესს ფონოლოგიაში.

12.12 ფონემური გარემო და წესთა წყობა

ფონოლოგიური სისტემის საინტერესო ასპექტი ისაა, რომ ზოგი წესი ფონემურად განსაზღვრულ გარემოს უფრო შეეხება, ვიდრე ფონეტიკურად განსაზღვრულ გარემოს. თუკი მხოლოდ ფონემური მონაცემების შემონიშნებას საჭირო, მაშინ ეს წესი გამოუსადეგარია.

ამ მოვლენის ჩვენეული ანალიზი ეფუძნება ჩრდილოამერიკული ინგლისურის ორ ფონოლოგიურ წესს. ერთ-ერთი მათგანი უამრავ დაილექტში გამოიყენება, განსაკუთრებით შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და კანადის ტერიტორიაზე.

(93) /aɪ/ აწვეა
 aɪ → aɪ/ _____ +consonant
- voice

ეს ნიშნავს, რომ /aɪ/ რეალიზდება [aɪ]-ის სახით, როცა ყრუ თანხმოვნის წინ დგას. ამ წესის შედეგად დისტრიბუციის შემდეგ სახეს ვიღებთ:

(94) tripe	/traɪp/	[trʌɪp]	tribe	/traɪb/	[traɪb]
right	/raɪt/	[raɪt]	ride	/raɪd/	[raɪd]
hiker	/haɪkɚ/	[hʌɪkɚ]	tiger	/taɪgɚ/	[taɪgɚ]
life	/laɪf/	[laɪf]	live	/laɪv/	[laɪv]
rifle	/raɪfəl/	[rʌɪfəl]	rival	/raɪvəl/	[raɪvəl]
rice	/raɪs/	[raɪs]	rise	/raɪz/	[raɪz]
			rye	/raɪ/	[raɪ]
			ion	/aɪən/	[aɪən]

მეორე წესი კი არის ფლეპინგის წესი, რომელიც (67)-ში იყო ჩამოყალიბებული. მაშინ ჩვენ ეს წესი მხოლოდ /t/-სთან მიმართებაში განვიხილეთ. ფლეპინგი კი ასეთივე გავლენას ახდენს /d/-ზე და მას ფლეპად აქცევს. (95)-ში წარმოდგენილი სიტყვები ამის ნათელი მაგალითია. მარცხენა სვეტი გვიჩვენებს ფონემური /d/-ს გამოყენების ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ფლეპინგისთვის შესაფერ გარემოს ქმნიან, კერძოდ, /d/ მოსდევს ხმოვანს და უმახვილო ხმოვნის წინ დგას. მარჯვენა სვეტში კი ნაჩვენებია ფონემური /d/ სხვა შემთხვევებში:

(95)

	ფონემური	ფონეტიკური		ფონემური	ფონეტიკური
Ada	/'edə/	['erə]	Dan	/'dæn/	['dæn]
ladder	/lædɹ/	['læɹ]	adept	/ə'deɪpt/	[ə'deɪpt]
reading	/'ri:diŋ/	['ri:ŋ]	Camden	/'kæmdən/	['kæmdən]
edify	/'edɪfaɪ/	['ɛɪfaɪ]	Hilda	/'hɪldə/	['hɪldə]
sediment	/'sedɪmənt/	['sɛɪmənt]	pad	/'pæd/	['pæd]
adolescent	/ædə'lesənt/	[æɹə'lesənt]	Ogden	/'ɔgdən/	['ɔgdən]
			Edgar	/'ɛdɟɹ/	['ɛdɟɹ]

ეს იგივე ნიშნებია, რაც ჩვენ /t/-ს შემთხვევაში ვნახეთ (22) მაგალითში. ფლეპინგის განზოგადებული ვერსია ასე ჩაიწერება:

(96) **ფლეპინგი** (განახლებული)

$$\left[\begin{array}{l} +\text{alveolar} \\ +\text{stop} \end{array} \right] \rightarrow [r] / [+vowel] \text{ — } \left[\begin{array}{l} +\text{vowel} \\ -\text{stress} \end{array} \right]$$

ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ალვეოლარული ხშული რეალიზდება [r]-ით, როცა მის წინ ხმოვანი ან მარცვლოვანი თანხმოვანი დგას, ხოლო მის შემდეგ კი – უმახვილო ხმოვანი.

ვინაიდან ფლეპინგის წესი /t/ და /d/ ბგერებს ორივეს [r] ბგერად აქცევს, ეს ნეიტრალიზების წესია. ამას ნათლად ვნახავთ ისეთ წყვილზე, როგორიცაა **heating** და **heeding**. ძირეული ფორმები მომდინარეობს **heat** და **heed** ფუძეებისგან. მაგრამ, როცა მათ -ing სუფიქსი ემატება, მოქმედებას იწყებს ფლეპინგის წესი და /t/ და /d/-ს [r] სახით ნეიტრალიზებას ახდენს:

(97)

<i>heat</i>	<i>heed</i>	
/'hit/	/'hid/	ფონემური ფორმები
'hit+iŋ	'hid+iŋ	მორფოლოგია: -ing/iŋ/ სუფიქსის დამატება
'hiɹŋ	'hiɹŋ	ფონოლოგია: ფლეპინგი
['hiɹŋ]	['hiɹŋ]	ფონეტიკური ფორმა

ჩრდილოეთ ამერიკული ინგლისურით მოსაუბრეთა სწრაფ მეტყველებაში **heat-ing** და **heeding** ერთნაირად წარმოითქმის. მსგავსი მაგალითები ქვემოთაა მოცემული:

(98)

<i>bet</i>	<i>betting</i>	<i>bed</i>	<i>bedding</i>
/'bet/	/'bet+iŋ/	/'bed/	/'bed+iŋ/
['bet]	['bɛɹŋ]	['bed]	['bɛɹŋ]

<i>wet</i>	<i>wetting</i>	<i>wed</i>	<i>wedding</i>
/ˈwɛt/	/ˈwɛt+ɪŋ/	/ˈwɛd/	/ˈwɛd+ɪŋ/
[ˈwɛt]	[ˈwɛɪŋ]	[ˈwɛd]	[ˈwɛɪŋ]
<i>butt</i>	<i>butted</i>	<i>bud</i>	<i>budded</i>
/ˈbʌt/	/ˈbʌt+əd/	/ˈbʌd/	/ˈbʌd+əd/
[ˈbʌt]	[ˈbʌɾəd]	[ˈbʌt]	[ˈbʌɾəd]

ახლა კი შეგვიძლია ვნახოთ, როგორ ურთიერთქმედებს ეს ორი ნესი. საკვანძო სიტყვები, რომლებიც ამ საკითხის განხილვაში დაგვეხმარება, ქვემოთაა ჩამოთვლილი. ისინი ამ მომენტისთვის მხოლოდ ფონემურადაა ჩანერილი:

(99)	<i>write</i>	<i>writing</i>	<i>ride</i>	<i>riding</i>
	/ˈraɪt/	/ˈraɪt+ɪŋ/	/ˈraɪd/	/ˈraɪdɪŋ/
	<i>cite</i>	<i>cited</i>	<i>side</i>	<i>sided</i>
	/saɪt/	/ˈsaɪt+əd/	/ˈsaɪd/	/ˈsaɪd+əd/
	<i>white</i>	<i>whiter</i>	<i>wide</i>	<i>wider</i>
	[ˈwaɪt]	[ˈwaɪt+ɾ]	[ˈwaɪd]	[ˈwaɪd+ɾ]

მთავარი საკითხი აქ არის ის, რომ /aɪ/-ს აწევა ((99)) დამოკიდებულია მის შემდეგ მდგომი თანხმოვნის წარმოთქმაზე. ხოლო ფლეპინგი ((96)) ცვლის /t/-ს წარმოთქმას. ჩნდება კითხვა, რომ /aɪ/-ს ალოფონი დამოკიდებულია მომდევნო თანხმოვნის ფონემურ თუ ფონეტიკურ ფორმაზე. თუ /aɪ/-ს აწევა დამოკიდებულია ფონემურ გარემოზე, მაშინ მივიღებთ [ɾ]-ს, როცა მის შემდეგ /t/ დგას, მაშინაც კი, როცა ეს თანხმოვანი [ɾ] სახით გამოითქმის. მეორე მხრივ, თუ /a/-ს აწევა დამოკიდებულია მომდევნო თანხმოვნის ფონეტიკურ ფორმაზე, ეს ნესი მასზე არ გავრცელდება (ვინაიდან ფლეპები მჟღერებია და არ ემორჩილება წესს) და ამიტომ მივიღებთ ისევე [aɪ]-ს.

კარგი იქნება თუ ჩამოვაცალიბებთ ფონოლოგიის ზოგად პრინციპს, რომელიც წარმოთქმის სწორ შედეგს უზრუნველყოფს. მაგრამ, ჩანს, რომ ეს შეუძლებელია, ვინაიდან გამოთქმის ორი ფორმა ინგლისურის სხვადასხვა დიალექტში აქტიურად გამოიყენება.

აშშ-ის ჩრდილოეთ ნაწილისა და კანადის მაცხოვრებელთა შორის მილიონობითაა ისეთი მოსაუბრე, რომლის მეტყველებაში /aɪ/-ს აწევა დამოკიდებულია მომდევნო თანხმოვნის ფონემურ წარმოთქმაზე. ამის გამო ძირითადი წყვილები განსხვავებულია. ამ წყვილებში, [aɪ] გამოიყენება, როცა მომდევნო ბგერა ფონემურად /t/ ბგერაა:

(100)	<i>write</i>	<i>writing</i>	<i>ride</i>	<i>riding</i>
	/ˈraɪt/	/ˈraɪt+ɪŋ/	/ˈraɪd/	/ˈraɪdɪŋ/
	[ˈraɪt]	[ˈraɪɾ+ɪŋ]	[ˈraɪd]	[ˈraɪɪŋ]
	<i>cite</i>	<i>cited</i>	<i>side</i>	<i>sided</i>
	/saɪt/	/ˈsaɪt+əd/	/ˈsaɪd/	/ˈsaɪd+əd/
	[ˈsaɪt]	[ˈsaɪɾ+əd]	[ˈsaɪd]	[ˈsaɪɾ+əd]
	<i>white</i>	<i>whiter</i>	<i>wide</i>	<i>wider</i>
	/ˈwaɪt/	/ˈwaɪt+ɾ/	/ˈwaɪd/	/ˈwaɪd+ɾ/

['waɪt] ['waɪr+ɾ] ['waɪd] ['waɪr+ɾ]

ასევე მილიონობით ადამიანია ჩრდილოეთ ამერიკაში, რომლისთვისაც ფლეპინგი დამოკიდებულია მომდევნო თანხმოვნის ფონეტიკურ წარმოთქმაზე. ვინაიდან ფლეპი მჟღერია, ეს ნიშნავს, რომ როცა ფლეპინგი მოქმედებს, სიტყვებში არის [aɪ]:

(101)	<i>write</i>	<i>writing</i>	<i>ride</i>	<i>riding</i>
	/'raɪt/	/'raɪt+ɪŋ/	/'raɪd/	/'raɪdɪŋ/
	['raɪt]	['raɪr+ɪŋ]	['raɪd]	['raɪrɪŋ]
	<i>cite</i>	<i>cited</i>	<i>side</i>	<i>sided</i>
	/'saɪt/	/'saɪt+əd /	/'saɪd/	/'saɪd+əd/
	['saɪt]	['saɪr+əd]	['saɪd]	['saɪr+əd]
	<i>white</i>	<i>whiter</i>	<i>wide</i>	<i>wider</i>
	/'waɪt/	/'waɪt+ɾ/	/'waɪd/	/'waɪd+ɾ/
	['waɪt]	['waɪr+ɾ]	['waɪd]	['waɪr+ɾ]

ინგლისურის დიალექტების უმრავლესობაში არ არის ან /aɪ/-ს აწევა ან ფლეპინგის წესები, ან არც ერთია და არც მეორე.

ასეთი მაგალითების ანალიზის ფართოდ გავრცელებული სახეა ფონოლოგიური წესების გარკვეულ რიგზე დალაგება. შეგვიძლია ფონოლოგია წარმოვიდგინოთ როგორც „საამწყო კონვეიერი“, რომელშიც ფონემური ფორმები, ფონოლოგიური წესები და საბოლოო ფონეტიკური ფორმები ერთიანდება. ამ თეორიის მიხედვით, ორ დიალექტს შორის განსხვავებას განაპირობებს წესების დალაგება. კერძოდ კი, დიალექტი, რომელშიც *writing* და *riding* განსხვავებულად წარმოითქმის, /aɪ/-ს აწევის წესს ფლეპინგის წინ აყენებს, ხოლო დიალექტი, სადაც *writing* და *riding* ერთიანად წარმოითქმის, ფლეპინგს აყენებს /aɪ/-ს აწევის წინ.

ქვემოთ მოცემულია წესების ორივე სახის დალაგების მაგალითები:

(102) **A. /aɪ/-ს აწევა უსწრებს ფლეპინგს**

<i>writing</i>	<i>riding</i>	
'raɪtɪŋ	_____	/aɪ/-ს აწევა (93) (გამოყენებადი მხოლოდ <i>writing</i> -თან)
'raɪrɪŋ	'raɪr+ɪŋ	ფლეპინგი (96)
['raɪrɪŋ]	['raɪrɪŋ]	ფონეტიკური ფორმები

B. ფლეპინგი უსწრებს /aɪ/-ს აწევას

<i>writing</i>	<i>riding</i>	
/'raɪt+ɪŋ/	/'raɪd+ɪŋ/	ფონეტიკური ფორმები
'raɪrɪŋ	'raɪr+ɪŋ	ფლეპინგი (96)
_____	_____	/aɪ/-ს აწევა (93) (გამოყენებადი)
['raɪrɪŋ]	['raɪrɪŋ]	ფონეტიკური ფორმები

ხშირად საკმაოდ იოლია ორი წესის მიმდევრობის განსაზღვრა. უბრალოდ ორივე შესაძლო ვარიანტი განიხილეთ და ნახეთ, რომელი ფონეტიკური ვარიანტია მისაღები. მთავარია, წესების მიმდევრობა მექანიკურად დავალაგოთ წინასწარი განსაზღვრის

გარეშე და ვნახოთ, რომელ შემთხვევაში ვიღებთ სწორ ფორმას. თუ წესების მექანიკური გამოყენება შეუძლებელია, მაშინ ისინი არც ისე ნათლადაა ჩამოყალიბებული.

საინტერესოა, რატომ განსხვავდება დიალექტები წესების დალაგების მიხედვით. ამ შემთხვევაში (და სხვა მსგავს შემთხვევებში) წარმოიდგინეთ ძირითად პრინციპს. იგი „A დიალექტში“ მოქმედებს და ფონემური ფორმების **განსხვავების** მაქსიმუმამდე აყვანას ახდენს. კერძოდ, A დიალექტში არ არის writing და riding სიტყვებს შორის ორაზროვნება. კონტრასტი „გადაადგილებულია“: ძირეულ ფორმაში /t/ და /d/ თანხმოვნების წარმოთქმის განსხვავება ზედაპირულ ფონეტიკურ ფორმაში ვლინდება მათი დიფთონგის პირველი ელემენტის ანევით. იქმნება ისეთი შემთხვევა, როცა მინიმალური წყვილი არ ეთანხმება ფონემურ განსხვავებას.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ მინიმალური წყვილების ძიების მეთოდი უსარგებლოა. როცა მინიმალურ წყვილს ვპოულობთ, შემდეგ იწყება იმ კონტრასტის განსაზღვრა, რომელსაც ეს წყვილი გამოხატავს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება არასწორად განლაგებული კონტრასტის ალტერნატიული ანალიზის გამოყენება.

ასევე უნდა განვიხილოთ B დიალექტის ზოგადი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც writing და riding ერთნაირად ჟღერს. ამ შემთხვევაში ფონოლოგია ფონეტიკური პრინციპებით მოქმედებს.

12.13 დასკვნა

ეს თავი შეეხო ფონოლოგიისა და ფონოლოგიური ანალიზის ძირითად ცნებებს. მოკლედ რომ ჩამოვყალიბოთ, ფონოლოგია ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც კონტრასტული სეგმენტური ერთეულების ჯგუფი, ანუ **ფონემების** ჯგუფი, რომლებიც ვლინდება **ფონოლოგიური წესების** მიხედვით. ფონოლოგიური წესები სხვადასხვა მოდელს გვთავაზობს. როცა ეს წესები **არაგანმასხვავებელ თვისებებს** არეგულირებს, შედეგად ვიღებთ ფონემების რეალიზებას **ალოფონური ვარიაციით**. როცა წესები **განმასხვავებელ თვისებებს** ანესრიგებს, ვიღებთ ფონოლოგიურ განსხვავებებს შეზღუდული დისტრიბუციით.

ხშირად მორფოლოგიური და ფონოლოგიური წესები მნიშვნელოვნად ურთიერთქმედებს და ინვევს მორფემათა **ალტერნაციას**, რაც ნიშნავს, რომ მორფემა **ალომორფის** სახით ვლინდება. ალტერნაცია ზოგჯერ მარტივად ასახავს ენაში ალოფონების დისტრიბუციას და ასევე ხშირად მიმართავს ძირითადი განსხვავებების **ნეიტრალიზაციას**.

ჩვენი აზრით, სწორი ფონოლოგიური ანალიზი უნდა ახასიათებდეს მოსაუბრის შინაგან ცოდნას და არა უბრალოდ აღწერდეს ენის მასალას. ანალიზმა უნდა განსაზღვროს (ა) ფონეტიკურ განსხვავებათაგან რომელია მოსაუბრისათვის აღქმადი. (ბ) ბგერებს შორის ფონეტიკურ განსხვავებათაგან, რომელი შეიძლება აღვიქვათ, როგორც „ერთი და იგივე ბგერა“ და (გ) რა სახის შეცდომებს უშვებს მოსაუბრე უცხო ენაზე საუბრის მცდელობისას.

ანალიტიკური თვალსაზრისით, ჩვენ განვიხილეთ ენის ფონოლოგიის შესწავლის 2 მეთოდი: **მინიმალური წყვილების** მოძებნა - როცა გროვდება **დამატებით დისტრიბუციაში** მყოფი **ფონეტიკურად მსგავსი ბგერები** და ხდება ენაში ფონეტიკურ ბგერათა უზარმაზარი რაოდენობის კონტრასტულ ფონემებამდე დაყვანა და მათი ალო-

ფონების დისტრიბუციის წესების შექმნა. ალომორფებისა და მორფემების შემონმებაც სასარგებლო სტრატეგიაა, ვინაიდან მორფემების ალტერნაცია ხშირად ნათელს ჰყენს ამ ალტერნაციის გამომწვევ ფონოლოგიურ წესებს.

მართალია ორივე მეთოდი, ჩვეულებრივ, გამოსადეგია, არც ერთი არ შეიძლება მივიჩნიოთ მტკიცე ან უტყუარ წესად. თუმცა, ფონოლოგიური მოდელირების შესახებ ნებისმიერი სახის სანდო დაკვირვება ან სალი დასკვნა უფრო მიგვაახლოვებს ბგერათა სისტემის ადეკვატურ გაგებასთან.

საკითხავი ლიტერატურა

Guessenhoven, Carlos and Haike Jacobs. 1998. *Understanding Phonology*. London: Arnold.
 Kager, René. 1999. *Optimality Theory: A Textbook*. Oxford: Oxford University Press.
 Kenyon, John S. and Thomas A. Knott. 1953. *A Pronouncing Dictionary of American English*. Springfield, MA: Merriam.
 Labov, William. 1972. *Sociolinguistic Patterns*. Philadelphia: University of Pennsylvania Press.
 Maddieson, Ian. 1984. *Patterns of Sounds*. Cambridge: Cambridge University Press.
 Wells, John C. 1982. *Accents of English* (in 3 volumes). Cambridge: Cambridge University Press.

ინგლისური ალოფონები

ინგლისურში [k] და [k̟] (უბრალო უკანასასისმიერი და წინა უკანასასისმიერი ხშულები) ერთი და იმავე ფონემის ალოფონებია. განიხილეთ შემდეგი მაგალითები:

სავარჯიშოები
 სავარჯიშო 12.2

kitten	['kɪtɪn]	cop	[kɑp]	crack	[kræk]
keen	['ki:n]	cool	[ku:l]	clock	[klɑk]
cake	['kɛk]	cope	[kɒp]	quick	[kwɪk]
cat	['kæt]	cook	[kʊk]	extract	[ɛk'strækt]
lucky	['lʌkɪ]	cup	[kʌp]	Exxon	['ɛksən]

- ა. რა გარემოში გვხვდება [k̟]? თუ ერთი შეხედვით პასუხს ვერ იპოვით, მიყევით იმ პროცედურას, რომელიც ზემოთ იყო მოცემული, სადაც შევავროვეთ და ჩაწერეთ [k]-სა და [k̟]-ს ყველა გარემო. შესაძლოა ხმოვანთა (ჰ) ცხრილის შემონმებაც გამოგადგეთ.
- ბ. რა სახის გარემოში გვხვდება [k]?
- გ. თქვენს პასუხზე დაყრდნობით იპოვეთ ფონემის ძირეული ფორმა. ჩაწერეთ ფონოლოგიური წესი, რომელიც კონტექსტურ ალოფონს განსაზღვრავს.
- დ. გადახედეთ ქვემოთ მოცემულ მაგალითებს და ჩაწერეთ თქვენი წესის გაუმჯობესებული ვერსია. [ɟ] არის წინ წამონეული მჟღერი უკანასასისმიერი ხშული. შეგიძლიათ გამოიყენოთ [+fronted] აღნიშვნა, რათა [k̟, ɟ] განასხვავოთ [k, ɣ]-სგან:

gill	[ɟɪl]	got	[gɑt]	grog	[grɑg]
geese	[ɟi:s]	goose	[gʊ:s]	glimmer	['glɪmɪr]
game	[ɟem]	go	[gɔ]	Gwendolyn	['gwɛndələn]

gag	[gʰæg]	good	[gvd]	eggs	[egz]
soggy	[ˈsɑgɪ]	Gus	[gʌs]	Muggsy	[ˈmʌgzɪ]

ე. წარმოადგინეთ ძირეული ფორმები და ფონოლოგიური წარმოება სიტყვებისთვის: keen, clock, soggy და eggs.

ლანგო

საპარაჯიშო 12.3

ლანგო არის ნილოტური ენა, რომელზეც უგანდაში საუბრობენ. ქვემოთ მოცემულია ის ფონემური აღნიშვნები, რაც უცხოა ინგლისურისთვის:

[á]	მაღალი ტონი (ხმოვან [a]-ზე)
[à]	დაბალი ტონი
[â]	დამცემი ტონი
[ǎ]	მზარდი ტონი
[tɕ, dz]	ყრუ და მყლერი სასისმიერი აფრიკატები (შენიშვნა: საუბარია ერთეულ ბგერებზე, და არა ბგერების მიმდევრობაზე)
[ɸ]	ყრუ ალვეოლარული ფლეპი
[ɸ]	ყრუ წყვილბაგისმიერი ნაპრალოვანი
[ɕ]	ყრუ სასისმიერი ნაპრალოვანი
[x]	ყრუ უკანასასისმიერი ნაპრალოვანი
[ɲ]	სასისმიერი ნაზალური

ორმაგი ფორმით ჩანერილი თანხმოვნები, უბრალოდ, **უფრო ხანგრძლივად გამოითქმის**; ისინი „ხელახლა არ წარმოითქმება“. ასეთი თანხმოვანი ერთ გრძელ თანხმოვნად მიიჩნევა. [tɕ] და [dz] არის გრძელი აფრიკატები.

- (1) [pì] „ამის გამო“
- (2) [kètɕ] „შიმშილი“
- (3) [tǎŋ] „შუბი“
- (4) [bùttɕ] „უყვირო ვინმეს“
- (5) [tɕá] „კაცები“
- (6) [ʔǎt] „სახლი“
- (7) [dǎttǎ] „ნოვა“
- (8) [pǎppì] „მამები“
- (9) [pǎjǎ] „გახსენება“
- (10) [lǎjèt] „ცხელი“
- (11) [bókǎkǎ] „განითლება“
- (12) [jǎttɕǎ] „გადაგდება“
- (13) [èŋǎɕǎ] „ლომი“
- (14) [ókǎkǎ] „მთლიანად“
- (15) [détǎ] „შეგროვება“
- (16) [dèk] „მოშუშვა“
- (17) [tɕǎɸǎ] „ბოთლი“

- (18) [gwɛ̀k] „გაზელი“
 (19) [kókkó] „ტირილი“
 (20) [tʰáɸɔ̀] „სიზამაცე“
 (21) [rétɕ] „თევზი“
 (22) [bɛ́ɸɔ̀] „ჩემკენ, ჩემ მიმართ“
 (23) [dìppɔ̀] „დამსხვერვა“
 (24) [dwérɛ̀] „თვეები“
 (25) [kóddó] „დაბერვა“
 (26) [tɕín] „ნაწლავები“
 (27) [gíɸɛ̀] „ნამდვილად“
 (28) [lɔ̀ɕɔ̀] „კაცი“
 (29) [kwáɕɛ̀] „ლეოპარდები“
 (30) [kál] „ფეტი“
 (31) [màɕɛ̀] „ცეცხლები“
 (32) [àbɛ̀ɕɛ̀] „ექვსი“
 (33) [dáxɔ̀] „ქალი“
 (34) [tɕùtɕ] „კუპრივით შავი“
 (35) [tɔ̀jɔ̀] „ცვარი“
 (36) [wókkí] „რამდენიმე წუთის წინ“
 (37) [dìxà] „სველი“
 (38) [máxáɕɛ̀] „მაკრატელი“
 (39) [pé] „თოვლი, სეტყვა“
 (40) [kápɸɔ̀] „ფინჯანი“
 (41) [pàttɕɔ̀] „გათლა“
 (42) [pámá] „ბამბა“
 (43) [máɸáxà] „მანქანა“
 (44) [bə̀ɸ] „ჩაფუშვა“
 (45) [lɔ̀wittɛ̀] „მიპარვა“
 (46) [tʰàɸ] „ზარმაცი“
 (47) [bwáttá] „შეურაცხყოფლად შეპასუხება“
 (48) [tètɕɔ̀] „დაჭედვა“
 (49) [tɕám] „ჭამა“
 (50) [táɸ] „გაფუჭება, განებვირება“
 (51) [tɕáɸ] „ახლოს“
 (52) [pàɸɔ̀] „მამა“
 (53) [tʰwɛ̀ttɕɔ̀] „გაქცევა ვინმესგან“
 (54) [bót] „-კენ, -მდე, -ს“
 (55) [dɛ̀ppɔ̀] „შეგროვება“
 (56) [gáɕ] „მთა“
 (57) [jítɕ] „მუცელი“
 (58) [bìttó] „ნაჭუჭის გაცლა“
 (59) [dák] „უკან დაბრუნება“

- (60) [kòp] „საკითხი, არსი“
- (61) [tín] „დღეს“
- (62) [kít] „კეთილი“
- (63) [àkká] „განზრახ“
- (64) [tɛàk] „რძე“
- (65) [dʒak] „წარმართი ღმერთი“

(ა) შეავსეთ ეს ფონეტიკური ცხრილი თანხმოვნებით. შეგიძლიათ [w] მიიჩნიოთ, როგორც ბაგისმიერი და [j], როგორც სასისმიერი. ცხრილში ყველა უჯრა არ ივსება.

			ბაგისმიერი	ალვეოლა-რული	სასისმიერი	უკანასასის-მიერი
ხშვები და აფრიკატები	ყრუ	მოკლე				
		გრძელი				
	მჟღერი	(ყველა მოკლე)				
ნაპრალოვნები	(ყველა ყრუ)	(ყველა მოკლე)				
ნაზალურები	(ყველა მჟღერი)	(ყველა მოკლე)				
ნარნარა	გვერდითები (მჟღერი)					
	ფლებები	ყრუ				
		მჟღერი				
შუალედური	(ყველა მჟღერი)	(ყველა მოკლე)				

(ბ) ეს პრობლემა ძირითადად ეხება ბგერებს, როგორებიცაა [p, pp, ɸ, t, tt, ʧ (არა r), tɛ, ttɛ, ɛ, k, kk, x]. მხოლოდ ამ ბგერებისთვის მიყევით მე-12 თავში წარმოდგენილ პროცედურას: შეაგროვეთ და აღნუსხეთ თითოეული გარემო, რომელშიც ეს ბგერები გვხვდება.

(გ) აღწერეთ სიტყვებში ის გარემო, რომელშიც [p, pp, ɸ, t, tt, ʧ, tɛ, ttɛ, ɛ, k, kk, x] ბგერები გვხვდება. თუ შესაძლებელია, თქვენი დასკვნები ჩანერეთ ზოგადი სახით და არა თითოეულ ბგერასთან მიმართებაში.

(დ) [pp, tt, ttɛ, kk] ბგერები [p, t, tɛ, k] ბგერებთან დამატებით დისტრიბუციაშია? [ɸ, ʧ, ɛ, x] ბგერები [p, t, tɛ, k] ბგერებთან დამატებით დისტრიბუციაშია? რა პრობლემას ქმნის ეს? ფონეტიკური მსგავსების გამოყენება გეხმარებათ თუ არა?

(ე) ქვემოთ მოცემულია დამატებითი მასალა, რაც პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ. აქ გვხვდება ალტერნაცია; ერთი და იგივე ფუძე სუფიქსით და სუფიქსის გარეშე გვხვდება. (არ სცადოთ ტონურ ალტერნაციასთან გამკლავება?, მხოლოდ განიხილეთ ფუძის ბოლო თანხმოვნები).

- (i) [dɛ̃p] „შეგროვება-ბრძანებითი“ [idɛ̃ɸ] „შეაგროვე“
- [mãt] „დაღევა-ბრძანებითი“ [imáɖ] „დაღიე“
- [dãtɕ] „დაგდება-ბრძანებითი“ [idãɕ] „დააგდე“

[gɪk]	„გაჩერება-ბრძანებითი“	[ɪgɪxə]	„გაჩერდი“	
(lxvi)	[jɪt]	„ყური“	[jɪfɪ]	„მისი ყური“
[lɔk]	„კბილი“	[lɔxə]	„მისი კბილი“	
(lxvii)	[ɔp]	„ზარმაცე“	[ɔpθ]	„სიზარმაცე“

ლანგოს ფონემიზაციაზე რა მინიშნებას აკეთებს ალტერნაცია?

(ვ) ჩამოაყალიბეთ წესები, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამისი ალოფონის გამოყენებას.

(ზ) ჩაწერეთ ფონემური ფორმები სიტყვებისთვის: [pəppɪ] „მამები“, [dɛp] „შეგროვება-ბრძანებითი“, [ɪdʒθ] „შეაგროვე“ და [lɔsθ] „კაცი“.

წესების რიგი „ვანკუვერში“

ინგლისურის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ დიალექტში /æ/ ფონემა დიფტონგად იქცევა /ɪ/ ფონემის წინ. ხშირად იგი გამოითქმის, როგორც [æɪ] დიფტონგი. დიფტონგად ქცევის წესის შედეგი ქვემოთ მოცემულ წყვილებში ჩანს:

საპარჯიშო 12.4

<i>pan</i>	/pæɪn/	[pæɪn]	<i>pan</i>	/pæɪn/	[pæɪn]
<i>fan</i>	/fæɪn/	[fæɪn]	<i>fan</i>	/fæɪn/	[fæɪn]
<i>gander</i>	/'gæɪndɪ/	['gæɪndɪ]	<i>anger</i>	/'fæɪŋdɪ/	['fæɪŋdɪ]

ყურადღება მიაქციეთ, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში [æ] და [æɪ] ნაზალიზებულია, ვინაიდან მათზე ხმოვნის ნაზალიზაციის წესი მოქმედებს. ნაზალურობის გამომხატველი ნიშანი ამ შემთხვევაში გამოტოვებულია.

/æ/-ს სპეციალური ალოფონი /ɪ/ ბგერის წინ შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი წესისგან:

/ɪ/-ს წინ მდგომის დიფტონგად ქცევა: /æ/ → [æɪ] / ____ ɪ

ინგლისურად მოსაუბრეთა უმრავლესობას ასევე აქვს /n/-ის ასიმილაციის შერჩევითი წესი, რომელიც იწვევს /n/-ის სანარმოთქმო ადგილის შეცვლას მომდევნო თანხმოვნის მიხედვით:

/n/-ის ასიმილაცია: /n/ → [იგივე ადგილი] ____ C (ყოველდღიურ მეტყველებაში).

ამ წესის რამდენიმე მაგალითი:

<i>input</i>	[ɪ'nɪpʊt] or [ɪ'ɪnpʊt]
<i>unprepared</i>	[ʌnpɹə'pɛrd] or [ʌɪnpɹə'pɛrd]
<i>unbelievable</i>	[ʌnbə'li:vəbəl] or [ʌɪnbə'li:vəbəl]
<i>I live in Minnesota</i>	[aɪ 'lɪv ɪn mɪnə'sɔrə] or [aɪ 'lɪv ɪɪn mɪnə'sɔrə]
<i>phone call</i>	['fəʊnkəl] or ['fəʊɪkəl]
<i>concourse</i>	['kɒŋkɔrs] or ['kɒɪkɔrs]
<i>con game</i>	['kɒŋ.gem] or ['kɒɪ.gem]
<i>in college</i>	[ɪn 'kɒlɪdʒ] or [ɪɪn 'kɒlɪdʒ]

აღსანიშნავია, რომ სხვა ცვლილებებთან ერთად, ეს წესი /n/-ს აქცევს [ɪ]-ად, როცა მომდევნო თანხმოვანი უკანასასისმიერია.

განსაზღვრეთ, რას გვეუბნება ეს მაგალითები /ŋ/-ის წინ დიფთონგად ქცევისა და /n/-ის ასიმილაციის წესების მიმართებით დალაგებასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ სწორად დააღაგოთ, ორივე სახის მიმდევრობისთვის ჩაწერეთ სრული დერივაციები და აღნიშნეთ, რომელი შედეგი შეესაბამება აღმოჩენილ ფაქტებს. იმ შემთხვევებში, როცა წესი შერჩევითია, დერივაციაში ორივე შესაძლო ვარიანტი ჩაწერეთ.

სიტყვა	ფონემური ფორმა	გამოთქმა
pancake ბა) ან	/'pæŋkək/	['pæŋkɛik] (ფრთხილი მეტყველება) ან ['pæŋkɛik] (ყოველდღიური მეტყველება) მაგრამ არა
Vancouver ბა) ან	/'væŋ'kʌvər/	*['pæiŋkɛik] ['væŋ'kʌvər] (ფრთხილი მეტყველება) ან ['væŋ'kʌvər] (ყოველდღიური მეტყველება) მაგრამ არა
Dan Gurney ბა) ან	/'dæŋ'gʌrni/	*['væiŋ'kʌvər] ['dæŋ'gʌrni] (ფრთხილი მეტყველება) ან ['dæŋ'gʌrni] (ყოველდღიური მეტყველება) მაგრამ არა
sank	/'sæŋk/	['dæiŋ'gʌrni] ['sæiŋk] მხოლოდ
anchor	/'æŋkər/	['sæiŋkər] მხოლოდ
Rangoon	/'ræŋ'gʌn/	['ræiŋ'gʌn] მხოლოდ
pang cake 'cake eaten to assuage pangs of hunger'	/'pæŋkɛik/	['pæiŋkɛik] მხოლოდ

დამატებითი ცნობები ჩოკტაუზე

საპარაფრაზი 12.5

12.10.2 ქვეთავში წარმოდგენილი დისკუსია მხოლოდ ზედაპირული განხილვა იყო ჩოკტაუს ფონოლოგიისა. ახლა ჩვენ ცოტა უფრო ღრმად ჩავიხედავთ. ამისათვის საჭიროა უფრო ყურადღებით გადავიკითხოთ ის ქვეთავი.

ჩოკტაუ ფონოლოგიურად უჩვეულოა, ვინაიდან აქვს ხმოვნის სიგრძის სამი ადქმადი ხარისხი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გრძელი და მოკლე ხმოვნების მაგალითი წარმოვადგინოთ. მაგრამ ასევე არსებობს გადაჭარბებით გრძელი ხმოვნებიც. ისინი გვევლინება, როგორც განსაკუთრებული ფონემები. ამ შემთხვევაში ჩვენ მოკლე, გრძელ და გადაჭარბებით გრძელ ხმოვნებს ასეთი სახით ჩაწერთ: [a] [a:] და [a::].

გადაჭარბებით გრძელ ხმოვნებს აქვთ ძლიერი გავლენა რიტმულ გახანგრძლივებაზე. გაიხსენეთ, რომ იმ სიტყვებში, რომლებშიც მოკლე ხმოვნებია, ლუნ არაფინალურ მარცვლებში ხდება ცვლილება და ზედაპირულ ფორმაში გრძელი ხმოვნის სახით გვევლინება.

ახლა კი განიხილეთ ფუძეთა ფლექსიური პარადიგმები, რომლებშიც გადაჭარბებით გრძელი ხმოვნები გვხვდება:

[hopo::ni]	'cook'
[hopo::ni + li]	'cook-I.subj' = 'I cook'
[tʃi + ho:po::ni]	'you.obj-cook' = '(he) cooks you'
[tʃi + ho:po::ni + li]	'you.obj-cook-I.subj' = 'I cook you'
[hopo::ni + tʃi]	'cook-causative' = '(he) makes (him) cook'
[tʃi + ho:po::ni + tʃi]	'you.obj-cook-causative' = '(he) makes you cook'
[ho:po::ni + tʃi: + li]	'cook-causative-I.subj' = 'I make (him) cook'
[tʃi + ho:po::ni + tʃi: + li]	'you.obj-cook-causative-I.subj' = 'I make you cook'
[talo::wa]	'sing'
[talo::wa + li]	'sing-I.subj' = 'I sing'
[talo::wa + tʃi]	'sing-causative' = '(he) makes (him) sing'
[tʃi + ta:lo::wa + tʃi]	'you.obj-sing-causative' = '(he) makes you sing'
[talo::wa + tʃi + li]	'sing-causative-I.subj' = 'I make (him) sing'
[ʃo::li]	'hug'
[ʃo::li + li]	'hug-I.subj' = 'I hug'
[tʃi + ʃo::li]	'you.obj-hug' = '(he) hugs you'
[tʃi + ʃo::li + li]	'you.obj-hug-I.subj' = 'I hug you'
[ta::ni]	'get out of bed'
[ta::ni + li]	'get.out.of.bed-I.subj' = 'I get out of bed'
[ta::ni + tʃi]	'get.out.of.bed-causative' = '(he) makes (him) get of bed'
[tʃi + ta::ni + tʃi]	'you.obj-get.out.of.bed-causative' = '(he) makes you get out of bed'
[ta::ni + tʃi: + li]	'get.out.of.bed-causative-I.subj' = 'I make (him) get out of bed'
[tʃi + ta::ni + tʃi: + li]	'you.obj-get.out.of.bed-causative-I.subj' = 'I make you get out of bed'
[fa::patʃi]	'push in a swing'
[fa::patʃi: + li]	'push.in.a.swing-I.subj' = 'I push (him) in a swing'
[tʃi + fa::patʃi]	'you.obj-push.in.a.swing' = '(he) pushes you in a swing'
[tʃi + fa::patʃi: + li]	'you.obj-push.in.a.swing-I.subj' = 'I push you in as wing'

შენიშნავდით, რომ განსაკუთრებით გრძელი ხმოვნების შემცველი სიტყვები რიტ-მული გახანგრძლივების განსხვავებულ ფორმას ავლენენ. უფრო ნათელი რომ გახდეს, ყურადღებით შევხედოთ შემდეგ ნევილებს:

გადაჭარბებულად გრძელი ხმოვნებით ხმოვნების გარეშე	გადაჭარბებულად	გრძელი
[tʃi + ho::po::i + tʃi: + li] 'you.obj-cook-causative-I.subj'	[tʃi + ha:bina: + tʃi + li] 'you.obj-receive.as.a.'	

= 'I make you cook'	present-causative-I.subj' = 'I cause you to receive as a present'
[ta::ni + tʃi: + li]	[pisa: + tʃi + li]
'get.out.of.bed-causative-I.subj'	'see-causative-I.subj'
= 'I make (him) get out of bed'	= 'I make (him) see'
[fa::patʃi: + li]	[habi:na + li]
'push.in.a.swing-I.subj'	[receive.as.a.present-I.subj']
= 'I push (him) in a swing'	= 'I receive as a present'
[ʃo::li + li]	[pisa: + li]
'hug-I.subj'	'see-I.subj'
= 'I hug (him)'	= 'I see'

ა. სწორია თუ მცდარი: „რიტმული გახანგრძლივება არ ეხება სიტყვებს, რომლებშიც გადაჭარბებით გრძელი ხმოვანია“. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ბ. ჩამოაყალიბეთ რიტმული გახანგრძლივების წესი ისე, რომ ყველა სიტყვას ეხებოდეს.

გ. ჩანერეთ ძირეული ფორმა და ფონოლოგიური დერივაცია [hopo::ni + tʃi + li] 'cook-causative-I.subj' = “მე ვაიძულებ (მას) მოამზადოს სადილი”.

დ. სწორია თუ არა: „[a:] და [a:] ბგერებს შორის კონტრასტი დისტრიბუციურად შეზღუდულია, ვინაიდან ის არასოდეს გვხვდება მარცვლის დასაწყისში.“ ახსენით თქვენი პასუხი.

ე. როგორ ვიტყვით ჩოკტაუს ენაზე „მე ვაიძულებ იმღერო“, ანუ 'you.obj-sing-causative-I.subj'? გაამყარეთ თქვენი პასუხი სრულყოფილი მორფოლოგიური და ფონოლოგიური დერივაციით.

ფონოლოგია II :

ფონოლოგიური გამოსატყულებები

შინაარსის სარჩავი

13.0 შესავალი

13.1 მადიფერენცირებელი ნიშნები

13.1.1 სეგმენტების შემადგენელი

მახასიათებლები

13.1.2 მადიფერენცირებელი

ნიშნები და მათი მნიშვნელობა

13.1.3 არგუმენტები

მადიფერენცირებელი

ნიშნებისთვის

13.2 თვისებათა შორის კავშირი:

შემადგენლობა და პრომინენტულობა

13.2.1 მარცვლები

13.2.2 მარცვლის შიდა

სტრუქტურა

13.2.3 მარცვალთა შესწავლა

დანართთან ერთად ფონოტაქ-

ტიკური სტრუქტურების შესახებ

13.2.4 მარცვალთა შემადგენ-

ლობის შედეგების შესწავლა:

ესპანური *r*

13.3 პრომინენტულობის კავშირი

13.4 ლექსიკური გამოსატყულებები

ფონოლოგიაში

13.5 დასკვნა

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა

შენიშვნები აღნიშნულ ენებთან

დაკავშირებით

სავარჯიშოები

13.0 შესავალი

ეს თავი გამოავლენს იმ ელემენტებს, რომლებიც შეადგენენ ფონოლოგიურ გამოსატყულებებს, გონებრივ სურათებს, რომლის მიხედვითაც უნდა წარმოჩნდეს ბგერითი სისტემა. ჩვენ განვასხვავებთ მახასიათებლებს, სეგმენტებს, მარცვლებსა და მეტრულ ბადეებს, რომელთა მეშვეობით ხდება მახვილის გამოსატყვა.

13.1 მადიფერენცირებადი ნიშნები

მე-12 თავში აღვნიშნეთ, რომ ფონოლოგიური წესები ზემოქმედებენ ფონეტიკურ მახასიათებლებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წესების უმრავლესობა ცვლის უფრო ცალკეული მადიფერენცირებელი ნიშნის ღირებულებას, ვიდრე მთლიან სეგმენტებს. ეს ასევე ნიშნავს იმასაც, რომ კონკრეტული წესის გავლენით სეგმენტთა ჯგუფები იზიარებენ კონკრეტულ მახასიათებელს ან მახასიათებელთა ჯგუფს. მე-12 თავში წარმოდგინდ **ბუნებრივ კლასთა** ცნება არის ასეთი სეგმენტების ერთი მაგალითი. ეს ჯგუფი ადასტურებს, რომ ფონოლოგიური პროცესები მოქმედებს მხოლოდ ამ კლასის

ყველა წევრის საერთო თვისებაზე. გავიხსენოთ ბგერათა ჯგუფი /m/, /n/, /ŋ/ მასაის ენაში. ისინი ქმნიან ბუნებრივ კლასს, ვინაიდან მათში შედის პოსტნაზალური წარმოთქმა: ამის მიზეზი ისაა, რომ [+nasal] მახასიათებელი, რაც საერთოა ამ ბგერებისთვის, განაპირობებს პოსტნაზალურ ჟღერადობას. გავიხსენოთ მასაის პოსტნაზალურ ჟღერადობაზე გამოთქმული აზრი, რასაც გამარტივებული სახით გავიმეორებთ:

(1) ყრუ ბგერა რეალიზდება მჟღერად, როცა მას ცხვირისმიერი ბგერა მოსდევს. ნესი, რომელიც გამოხატავს იმ აზრს, რომ ფონოლოგიური ნესები ფონეტიკურ მახასიათებლებზე მოქმედებენ, ასე გამოიყურება:

(2) თვისება [-voice] ჩანაცვლდება [+voice]-ით, როცა მას მოსდევს თვისება [+nasal].

ანუ:

[-nasal] → [+voice]/[+nasal] _____

(1)-სა და (2)-ს შორის განსხვავება მათ მიერ წარმოდგენილ ფონოლოგიურ გამოხატულებაშია. (2), (1)-ისგან განსხვავებით, გამოხატავს იმას, რომ სეგმენტები იშლება მადიფერენცირებელ ნიშნებად. ცალკეული ნესები განიხილავენ ამ თვისებებს და სეგმენტებს მხოლოდ იმდენად ცვლიან, რამდენადაც ისინი თავიანთ კომპონენტებზე ახდენენ გავლენას. მომავალში გამოვყოფთ რას წარმოადგენენ განმასხვავებელი ნიშნები და ჩვენს მახასიათებლის კონცეფციას წარმოვაჩინთ ფონოლოგიური გამოხატულების საშენ მასალად.

13.1.1 სეგმენტების შემადგენელი მახასიათებლები

სეგმენტი არის უფრო მეტად თვისებათა კომბინაცია, ვიდრე ატომური ერთეული. ნებისმიერი სეგმენტის დაშლა შეიძლება საწარმოთქმო მახასიათებლებისა და აკუსტიკური თვისებების მიხედვით. ეს უკანასკნელი ბგერის ის თვისებებია, რომელსაც საწარმოთქმო მოქმედებები წარმოშობს. ამგვარად, ფონეტიკური გამოხატულება სიტყვისა Tom ანუ [tʰəm] შეიძლება იყოს ერთიანობა შემდეგი მახასიათებლებისა: **არა-განგრძობითი, კორონალური, ყრუ, ფშვინვიერი, ასევე დაბალი, ცხვირისმიერი, ბაგისმიერი, მჟღერი**. ამ ტერმინებზე უფრო ფართოდ გამოყენებული ეკვივალენტებია: [-continuant], [+coronal], [-voice], [+spread glottis], [+syllabic, -consonantal], [+nasal], [+labial], [+voice].

13.1.2 მადიფერენცირებელი ნიშნები და მათი მნიშვნელობა

ჩვენ მიერ განხილული ზოგიერთი თვისება ბუნებრივ წყვილს ქმნის: [+nasal] უპირისპირდება [-nasal]-ს, [+continuant] კი – [-constituant]-ს. უნდა განვასხვავოთ მახასიათებლები მათი მნიშვნელობისგან: [+nasal] და [-nasal] ერთი თვისების ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებია, თავად ეს თვისება კი აღინიშნება როგორც [±nasal] ან [nasal]. შესაბამისად სეგმენტი უნდა იყოს ან [+nasal] ან [-nasal], მაგრამ არა ორივე ერთად. მაგრამ [±nasal] და [±continuant] განსხვავებული მახასიათებლებია და სეგმენტი შეიძლება ფლობდეს ამ ორი თვისების ნებისმიერ კომბინაციას.

ფონოლოგიური მახასიათებელი არის ფიზიკური განზომილება, რაც გულისხმობს სამეტყველო ორგანოების პოზიციებს ან მოძრაობებს ან სამეტყველო ბგერების აკუსტიკურ ხარისხს. [±nasal] თვისების შემთხვევაში შესაბამისი ფიზიკური განზომ-

მიღება მიუთითებს რბილი სასის პოზიციას: როცა დაბლაა დაწეული, რბილი სასა ჰაერს ცხვირის ღრუში ატარებს, ხოლო ზემოთ აწევის შემთხვევაში – აფერხებს ჰაერის გადასვლას ცხვირის ღრუში. ამ თვისების მნიშვნელობა მიუთითებს შესაბამის განზომილებაზე: [-nasal] აღწერს [nasal] განზომილების ერთ-ერთ ბოლოს, კერძოდ, რბილი სასა დაბლაა დაწეული. განსხვავება თვისებასა და მის მნიშვნელობას შორის ნაჩვენებია ქვემოთ.

- (3) მახასიათებელი [±nasal] წარმოდგენილია საარტიკულაციო განზომილებით და ორი მნიშვნელობით.

სრულად აწეული რბილი სასა ----- სრულად დაწეული რბილი სასა
აქ წარმოთქმული [-nasal] ბგერები: [p]; [a] აქ წარმოთქმული [+nasal] ბგერები: [m] [ã].

დიაგრამა ნაზალურობის შესახებ ორ განსხვავებულ ფაქტს გვაძლევს: პირველი ისაა, რომ ეს არის მუდმივი განზომილება და, შესაბამიად, შეიძლება ჰქონდეს ორზე მეტი მნიშვნელობა. შეგვიძლია მარტივად წარმოვიდგინოთ ბგერები, რომელთაც წარმოთქმისას რბილ სასას ორ უკიდურესობას შორის შუალედური პოზიცია აქვს. მეორე ფაქტი ისაა, რომ რამდენი შუალედური პოზიციაც არ უნდა გამოვყოთ ნაზალურობის მთლიანობაში აუცილებლად არის ორი უკიდურესობა: ბოლომდე აწეული და ბოლომდე დაწეული პოზიცია. ამ თვალსაზრისით, თვისებები ბინარულია.

ზოგ შემთხვევაში ერთზე მეტი ტერმინი გამოიყენება მოცემული განზომილების აღსაწერად. განვიხილოთ სანარმოთქმო სივრცე, რომელიც შეესაბამება ენის ძირითადი ნაწილის აწეულობის ხარისხს. უკიდურესი წერტილები ამ სივრცეზე აღნიშნულია [+low] და [+high], რომლებიც შეესაბამება დაბალი და მაღალი ხმოვნების დამახასიათებელ თვისებათა მნიშვნელობებს. [±high] და [±low]-ის გამოყენებით შეგვიძლია, განვსაზღვროთ იმავე განზომილებაში შუალედური წერტილი და აღვნიშნოთ, როგორც [-high, -low], რაც შეესატყვისება შუა ხმოვნებს /e, o, ε, ა, A/.

- (4) განზომილება [height] და მისი სამი მნიშვნელობა:

ენის ძირითადი ნაწილი აწეულია ----- ენის ძირითადი ნაწილი დაწეულია
[+high] [-high, -low] [+low]
მაღალი ხმოვნები: [i] [u] შუა ხმოვნები [e] [o] დაბალი ხმოვნები [a] [æ]

როგორც ვხედავთ, საარტიკულაციო სივრცეში საშუალო წერტილი, რომელიც პირის ღრუს ჰაერნაკადისა და პირის ღრუს სტრუქტურის განფენილობას წარმოვადგენს, შეგვიძლია დავახასიათოთ ამ განზომილების ქვერეგიონის აღმნიშვნელი ტერმინებით – [continuant] და [consonantal]. ერთიანი ფიზიკური განზომილების ხაზგასასმელად მათ შეგვიძლია დავარქვათ [oral stricture].

(5) [oral stricture]-ის გაზნომილება და მისი სამი მნიშვნელობა:

პირის ღრუს დახშული ჰაერნაკადი [-continuant, +consonantal]	მნიშვნელოვანი, მაგრამ არასრული დაბრკოლება [+continuant, +consonantal]	ჰაერნაკადის თავისუფალი გადაადგილება პირის ღრუში [+continuant, -consonantal]
ხშულები, აფრიკატები, ცხვირისმიერები [t, d, tʃ, h]	ნაპრალოვნები, ტრელები, ფლეპები, გვერდითები [f, r, ɾ, l]	შუალედური ბგერა, ხმოვნები [w, j, u, i, a]

აკუსტიკაზე დაფუძნებული მახასიათებლების მაგალითებია [±sonorant] და [±strident]. თვისება [±sonorant] უპირისპირებს და გვიჩვენებს განსხვავებას იმ ბგერებს შორის, რომელთაც აქვთ ან არა აქვთ ენერჯის უდიდესი ნაწილი დაბალ ფორმანტში. ამგვარად, ხმოვნები, აპროქსიმანტები, ნარნარა ბგერები და ნაზალურები არის [+sonorant], რაც ნიშნავს, რომ მათი აკუსტიკური ენერჯია ძირითადად მოთავსებულია დაბალ ფორმანტში. ამის საპირისპიროდ, ხშულები და ნაპრალოვნები ისეთი ბგერებია, რომლებსაც ან საერთოდ არ აქვთ აკუსტიკური ენერჯია მათი ხანგრძლივობის უმეტეს რეგიონებში (ხშულები) ან აკუსტიკური ენერჯია მხოლოდ მაღალი ფორმანტის შემთხვევაში აქვთ (ნაპრალოვნები). [±strident] თვისება განასხვავებს ხმაურიან ბგერებს (როგორებიცაა [s], [ʃ]) შედარებით მშვიდი ბგერებისგან (როგორებიცაა [θ], [x], [h]).

ჩვენი წინანდელი დისკუსიები იმის შესახებ, როგორ უნდა გაუკეთოს ენამ ორგანიზება ფონეტიკას სხვადასხვა გზით, განსხვავებულ ბგერათა ინვენტარის შესაქმნელად, შეიძლება წარმოვადგინოთ გარკვეული თვისებების აღმნიშვნელი ტერმინებით. ფიზიკური განზომილებებიც შეგვიძლია დავყოთ ისე, რომ შევქმნათ კონკრეტული ენის სპეციფიკური ფუნქციის მქონე თვისებათა ჯგუფები. უამრავი ენა, მაგალითად ესკიმოსთა ენების უმრავლესობა, სიმაღლის განზომილებაში განასხვავებს მხოლოდ ორ უკიდურესობას და შესაბამისად დაბალ ხმოვან /a/-ს უპირისპირებს ერთ ან მეტ მაღალ ხმოვანს (/i/, /u/, /ɨ/). ასეთ ენებში ერთმანეთს არ უპირისპირდება მაღალი და საშუალო ან საშუალო და დაბალი ხმოვნები, თუმცა მათ შეიძლება ჰქონდეთ მოცემული მორფემების შუალედური ფონემები. (4)-ში წარმოდგენილი სხვა ენების მაგალითი შეესაბამება სხვადასხვა ფონემებს (/a/, /e/, /i/). საბოლოოდ, ინგლისურისა და ნუბის მსგავსი ენები სიმაღლის უფრო მეტ წერტილებს განარჩევენ, ისეთებს როგორიცაა მაღალი დაჭიმული, მაღალი მოშვებული, საშუალო დაჭიმული, საშუალო მოშვებული და დაბალი ხმოვნები (/i/, /I/, /e/, /E/, /a/).

როგორც ვნახეთ, კონკრეტული სამეტყველო ბგერა შეიძლება დავახასიათოთ თვისებების აღმნიშვნელი ტერმინებით მათი წარმოთქმის ზუსტი ადგილის დასახელებით. მაგალითად, /m/ და /a/ ბგერები ნაზალურობის, ორალური სტრიქტურის, ენის ანევის მიხედვით შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ:

(6) ორი ბგერის თვისობრივი ანალიზი

თვისება	თვისების მნიშვნელობა /m/ ბგერისთვის	თვისების მნიშვნელობა /a/ ბგერისთვის
---------	-------------------------------------	-------------------------------------

[±nasal]	[+nasal]	[-nasal]
[oral stricture]	[-continuant]	[+continuant]
	[+consonantal]	[-consonantal]
[height]		[+low]

ცალკეული თვისებები, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი და ცალკე მდგომია, და არა უწყვეტი განზომილებები. მაგალითად, /p/, /t/, /k/ თანხმოვნებს შორის ერთ-ერთ განსხვავებას წარმოადგენს მათ წარმოსათქმელად აქტიური საწარმოთქმო ორგანოების მონაწილეობა: ესენია: ბაგეები /p/-ს შემთხვევაში, ენის პირი /t/-სთვის და ენის სხეული /k/-სთვის. კონკრეტული აქტიური საწარმოთქმო ორგანოს საშუალებით გამოთქმის თვისება ცალკე მდგომი მახასიათებელია. არ არსებობს ცნება მეტ-ნაკლებად ბაგისმიერი: სეგმენტი ან ბაგისმიერია ან არა.

(7) თანხმოვნების მახასიათებლები აქტიური საწარმოთქმო ორგანოების მიხედვით:

ბგერები	აქტიური საწარმოთქმო ორგანო	შესაბამისი მახასიათებლის დასახელება
p, b, m, f	ბაგეები	[labial]
t, s, tʃ, ʃ, θ, l, n, ɲ, ɲ	ენის პირი და წვერი	[coronal]
k, g, q, G, χ	ენის სხეული	[dorsal]

/m/ ბგერის თვისობრივ ანალიზს შეგვიძლია დავუმატოთ აღნიშვნა [+labial]. ამგვარად, ამ ბგერის თვისებათა მნიშვნელობებია [+nasal, -continuant, +consonantal, +labial]. ეს მნიშვნელობები ამ ინგლისური ბგერის არაორაზროვან იდენტიფიკაციას ახდენს, ვინაიდან არც ერთ სხვა ბგერას ამ თვისებათა მნიშვნელობების ასეთი კომბინაცია არ ახასიათებს.

დამატებითი მახასიათებლების დასახელება საჭიროა იმ ბგერების გასარჩევად, რომლებსაც ერთი და იგივე აქტიური საწარმოთქმო ორგანო აქვს: მაგალითად, განსხვავება ამ ორ ბგერას შორის /n/ და /ɲ/ - რომლებიც ისეთ ენებშია, როგორცაა ესპანური და იტალიური – ითხოვს პირის ღრუში იმ კონკრეტული წერტილის დასახელებას, რომელსაც ეხება აქტიური საწარმოთქმო ორგანო. /n/-ის შემთხვევაში ეს უფრო წინა წერტილია – პირის ღრუს წინა ნაწილთან ახლოს, ხოლო /ɲ/-ს წარმოთქმისას კი უკანა ადგილი, ანუ პირის ღრუს უკანა ნაწილთან ახლოს მყოფი. ამის გამოსახატავად გვაქვს შესაბამისი თვისებაც [±anterior]. [n], /t/, /d/, /s/, /z/ ბგერებია [+anterior], ხოლო /ʃ/, /tʃ/, /ʒ/, /dʒ/ – [-anterior]. ამ დამატებითი თვისების მინიჭებით [n] ბგერას ასე დავახასიათებთ: [+nasal, +coronal, +anterior, +consonantal, -continuant].

დანერეთ შემდეგი ბგერების მახასიათებლები: /e/, i, s, η, ʃ, w, y/ წინა ქვეთავში განხილული მაგალითის მიხედვით.

საპარაფიქსო
13.1

13.1.3 არგუმენტები მადიფერენცირებელი ნიშნებისთვის

ახლა უნდა დავასაბუთოთ, რომ სამეტყველო ბგერები ასეთი სახით გაანალიზებულია იმ მოსაუბრეების მიერ, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია.

ორი ჰიპოთეზის შედარება შეიძლება: პირველი, რომ სეგმენტები მახასიათებელ-

თა ჯგუფებია და მეორე, რომ ფონოლოგიურ გამოხატულებებში სეგმენტები განუყოფელი ელემენტებია. შევეცდებით, დავამტკიცოთ, რომ მეორე ჰიპოთეზა შეუძლებელს ხდის გავიაროთ თვისობრივი ანალიზის განმარტებაში არსებული რამდენიმე აღიარებული მოვლენა.

პირველი შემთხვევა მე-12 თავში ნახსენები ბუნებრივი კლასებია. ალტერნაციის ტიპების ან ალოფონური დისტრიბუციის აღწერისას ვხედავთ, რომ წესები ეხება სეგმენტთა ისეთ ჯგუფებს, რომლებიც იზიარებენ ზოგ თვისებას ან თვისების მნიშვნელობას. ითვლება, რომ სეგმენტთა ეს ჯგუფები ბუნებრივ კლასებს ქმნიან. ფიგურულ ფრჩხილებში ჩასმული ბგერები, { }, ბუნებრივ კლასებს წარმოადგენენ.

ტიპური მაგალითია ალტერნაცია {b, d, dz, g, z, ʒ} ბგერებსა და {p, t, tʃ, k, s} ბგერებს შორის. პირველი ჯგუფი ხასიათდება [+voice, -sonorant] თვისებით, ხოლო მეორე [-voice, -sonorant]-ით ისეთ ენებში, როგორცაა ლიტვური, კოლამი, კატალანი, უნგრული და პოლონური, [+voice, -sonorant] ბგერების ჯგუფი გვხვდება სხვა [-voice] ბგერების წინ: მოცემული უნგრული ალტერნაციები გვიჩვენებს ამ შეზღუდვის შედეგებს (ვაგო, 1980):

(8) ა.	<i>meleg</i>	„თბილი“	<i>melektø:l</i>	„თბილიდან“
ბ.	<i>ka:d</i>	„აბაზანა“	<i>ka:ttø:l</i>	„აბაზანიდან“
გ.	<i>vi:z</i>	„წყალი“	<i>vi:stø:l</i>	„წყლიდან“
დ.	<i>vora:ʒ</i>	„მაგია“	<i>vora:ftø:l</i>	„მაგვიდან“
ე.	<i>nɔj</i>	„დიდი“	<i>nɔc kɔlɔp</i>	„დიდი ქული“
ვ.	<i>rɔb</i>	„პატიმარი“	<i>rɔp solgɔ</i>	„მონა“

(8)-ში წარმოდგენილისთვის ალტერნაციების შექმნის შედეგად წესი შემდეგნაირად ფორმულირდება, რაც ეფუძნება შემადგენელი სეგმენტების თვისობრივ ანალიზს:

(9) [-sonorant] → [-voice] / ____ [-voice]

ყურადღება მიაქციეთ, რომ (9)-ში წარმოდგენილი აზრი ასევე გულისხმობს, რომ თუ სხვა სეგმენტები მჟღერი ობსტრუენტებია, როგორცაა [dz, dʒ, v], მსგავს ვითარებაში ასევე ყრუ გახდება. იგივე აზრი მიუთითებს, რომ ყრუ ბგერებსაც აქვთ უნარი მჟღერი ბგერა აქციონ ყრუდ.

დავუშვათ, (9)-ში წარმოდგენილი ანალიზი ბათილდება, თუ სეგმენტებს განვიხილავთ, როგორც ატომურ, დაუშლელ ერთეულებს. მაშინ უნგრული ალტერნაციები უნდა განვიხილოთ ბგერათა სპეციალური რიგით, რომელთა ქცევა ასე ჩაინერება:

(10) {b, d, ʃ, g, z, ʒ} → {p, t, c, k, s, ʃ} შესაბამისად / ____ {t, k, s}.

ვთვლით, რომ ეს წესი არასწორია. მისი საწინააღმდეგო არგუმენტის მიხედვით, ეს წესი არ გამოყოფს იმ მახასიათებელს, რომელიც ბგერათა მოცემულ ჯგუფს ბუნებრივ კლასად აქცევს. ნემისმიერი სეგმენტი შეიძლება ნებისმიერი ჯგუფის წევრი გახდეს [ʒ, b, h, ʃ, ɛ, y, ʃ] ისეთივე კარგი ჯგუფია, როგორც {b, d, ʃ, g, z, ʒ} მაგრამ ბგერათა მხოლოდ კონკრეტული ჯგუფი შეიძლება თვისებათა მნიშვნელობების კომბინაციად განვიხილოთ. (9)-ს მიხედვით, უნგრულის მცოდნეებს შეუძლიათ განაზოგადონ და გასცდნენ (10)-ში წარმოდგენილ ნუსხას და განიხილონ ამა თუ იმ ჯგუფის წევრობის განმსაზღვრელი თვისებები. ეს განმსაზღვრელი თვისებები კი სწორედ ფონოლოგიური მახასიათებლებია.

ამ აზრის დამტკიცება სხვადასხვა გზით შეიძლება. პირველი ფართოდაა

გავრცელებული და გულისხმობს მჟღერისა და ყრუს (8) მაგალითით დაწყვილებას. ასეთი წყვილების არსებობა დამოკიდებულია ენის ფონემური ანბანის შემადგენლობაზე. ქვემოთ მოყვანილი მჟღერი ფონემების შედარება უნგრულს, ლიტვურსა და კოლამის შორის, ამისი ნათელი მაგალითია:

(11) მჟღერი ობსტრუენტების სამი შემთხვევა:

ლიტვური მჟღერი ობსტრუენტები	b	d		dz	g	v	z	ʒ
კოლამის მჟღერი ობსტრუენტები	b	d	ɖ		g		z	
უნგრული მჟღერი ობსტრუენტები	b	d	dz	dʒ	j	g	v	z

(11)-ში წარმოდგენილ სამივე ენის მაგალითი პარალელურია (8)-სი: თვისებების გაუთვალისწინებლად მე-(10) მაგალითით დალაგებული ბგერების ანალიზისას მოგვიწევს სამ განსხვავებულ რიგში მოქმედება. ლიტვურის შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ {b, d, dz, g, v, z, ʒ} ექვემდებარება წესს, ხოლო კოლამის შემთხვევაში უნდა გამოვყოთ განსხვავებული ჯგუფი {b, d, ɖ, g, z}. ეს ბუნდოვანს ხდის ძირეულ ფაქტს, რომ ამ სამ ენაში ერთსა და იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ამის საპირისპიროდ, თვისებებზე დაფუძნებული ანალიზი მართებულია (9)-ში მოცემული ყველა ენის წარმოთქმის ალტერნაციისთვის, ვინაიდან იგი ცდება ფონემებში შემთხვევითი განსხვავებების იდეას.

(9)-ში წარმოდგენილი თვისებების ანალიზი კიდევ ერთი არგუმენტია, რომ მას შეუძლია მოსაუბრეების შესაძლებლობათა მიღმა მოქმედება. უნგრულის მცოდნეს, ვინც არ აკვირდება /v/ და /f/ ბგერების ალტერნაციას, მაინც მიხვდება, რომ /hi:v/ და /-ta/ მორფემების კომბინაციაში წარმოითქმის უფრო [hi:fta], ვიდრე [hi:vta] (/hi:v/ ნიშნავს „დარეკვას“, ხოლო /-ta/ მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის გამომხატველი სუფიქსია. მთავარი აზრი აქ ისაა, რომ სეგმენტების თვისებებზე დაფუძნებული ანალიზი ხელს უწყობს ენის კარგად აღქმის პროცესს: იგი მსწავლელს ენის სეგმენტთა მიმდევრობის განზოგადების საშუალებას აძლევს.

ბოლო არგუმენტი თვისობრივი ანალიზის სასარგებლოდ მეტყველებს და აჩვენებს იმას, რომ სეგმენტთა ჯგუფების უმრავლესობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ (8)-ს მსგავს მანარმოებელ ალტერნაციებში, შეიძლება დავახასიათოთ თვისებათა მნიშვნელობების იმ კომბინაციებით, რომლებიც მათ უნიკალურად წარმოაჩენს. სწორედ ამის გამო არიან ისინი ბუნებრივი კლასები. {ʒ, b, h, ŋ, ã, y, ʃ} მსგავსი აბსურდული ჯგუფები პროდუქტიული ბგერების აღწერისას მხედველობაში არასოდეს

უნგრული წარმოთქმის მონაცვლეობა მოიცავს არა მხოლოდ მჟღერი ბგერების {b, d, g...} {p, t, k...} ბგერებად ქცევას, არამედ ყრუ {p, t, k...} ბგერების ქცევას მჟღერ {b, d, g...} ბგერებად. განიხილეთ შემდეგი მაგალითები და ჩამოაყალიბეთ თვისობრივი ანალიზი (9)-ს გავრცობის მეშვეობით ისე, რომ იგი ახასიათებდეს ენის ყველა წარმოთქმის მონაცვლეობას, როგორც მე-(8) მაგალითში წარმოდგენილებს, ისე ქვემოთ მოცემულებსაც:

ljuk	„ხვრელი“	ljugbani	„ხვრელში“
nap	„მზე“	nabani	„მზეში“
serte:j	„ლორი“	serte:ʒbani	„ლორში“
golf	„გოლფი“	golv bojnokfa:g	„გოლფის ჩემპიონატი“

ახლა კი გააანალიზეთ ქვემოთ მოყვანილი დამატებითი მაგალითები:

list	„ფქვილი“	lizdben	„ფქვილში“
baɾɯtsk	„გარგარი“	baɾɯdzgɯɯɔn	„გარგარში“
tɛkst	„ტექსტი“	tɛgzɯɯɔn	„ტექსტში“

გადაამონმეთ და დარწმუნდით, რომ თქვენი მტკიცება შეესაბამება ალტერნაციის ყველა სახეს. მაგალითები შეზღუდულია და შესაბამისად, შეზღუდულია ინტერპრეტაციისა და ანალიზის რიცხვიც: შეარჩიეთ ყველაზე ზოგადი იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი ანალიზი იძლევა მიხვედრის ისეთ ვარიანტს, რომლის განსაზღვრასაც იმ მომენტისთვის თქვენ ვერ ახერხებთ (არ განიხილოთ ხიი/ხეი ალტერნაციები, ვინაიდან ისინი დაუკავშირებელ მოვლენას ასახავს).

**სავარჯიშო
13.3**

თვისებებზე დაფუძნებული ანალიზი საშუალებას იძლევა ლინგვისტური ცოდნის ცალკეული ასპექტების მოდელირებისა, რომელიც ცდება ამა თუ იმ მშობლიური ენის ბგერების განხილვას. ამის მიხედვით ჩვენ ვთხოვეთ ჩვენს უნგრელ კოლეგას და ამ წიგნის თანაავტორს, წარმოეთქვა უნგრულად ფრაზა ‘in (the city of) Bath’. –ban [bɔi] სუფიქსი უნგრულში ადგილს მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ინგლისურად სახელი Bath [bɑθ] შეიცავს ყრუ ინტერდენტალურ ნაპრალოვან [θ] ბგერას, რაც არ არის უნგრულში. ჩვენს კოლეგას არასოდეს გამოუყენებია და არც არავისგან გაუგია bath-ban გამოთქმა. მან [bɑθ] წარმოთქვა ცალკე Bath-ის სათქმელად, ხოლო [bɑθbɔi] – Bath-ban-ისთვის, თან გამოიყენა [ð], [θ]-ის მჟღერი მენყვილე. ახსენით ამ ფაქტის მნიშვნელობა თვისებებზე დაფუძნებული წარმოთქმის ასიმილაციის ანალიზის საშუალებით. 13.2 სავარჯიშოზე გაცემული პასუხის მიხედვით, რომელია სწორი ფორმა: [bɑθbɔi] თუ ჩვენი კოლეგის მიერ უარყოფილი [bɑθbɔi]?

მიიღება, ვინაიდან ისინი არ შეესაბამება თვისებათა მნიშვნელობების არც ერთ დამაჯერებელ კომბინაციას. ამგვარი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ: მონაცვლეობა გულისხმობს ბუნებრივ კლასებს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი მოიცავენ კონკრეტულ თვისებებს და არა სეგმენტთა ნუსხას.


13.2 კავშირი თვისებას შორის: შემადგენლობა და პრომინენტულობა

ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ფონოლოგიური გამოხატულებები შედგება თვისებებისა და მათი უთიერთკავშირისაგან. ამჟამად წარმოვადგენთ ორ მათგანს: შემადგენლობასა და პრომინენტულობას.


ტერმინი **შემადგენლობა** ნაცნობია მე-2 და მე-4 თავებიდან. ფონოლოგიაში იგი გამოხატავს იმ ფაქტს, რომ გაბმულ მეტყველებაში ბგერები ცალკეული ჯგუფი ან თვისებების ჯგუფი შეიძლება ამოვიცნოთ. **სეგმენტი** მახასიათებელთა ჯგუფია, **მარცვალი** – სეგმენტების ჯგუფი. **მახვილის ჯგუფი** არის მარცვალთა ჯგუფი. სინტაქსის შემადგენელთა სტრუქტურის მსგავსად, ფონოლოგიური შემადგენლობაც იერარქიულია: მცირე ჯგუფი დიდი ჯგუფის შემადგენელია. ეს ქვეთავი განიხილავს ერთ-ერთი შემადგენლის, მარცვლის სტრუქტურის წარმმართველ პრინციპებს.

13.2.1 მარცვლები

მარცვალი არის ერთეული, რომელიც შედგება ხმოვნის ან ხმოვნის მსგავსი ბგერის გარშემო მყოფი ბგერებისგან. ამგვარად, სიტყვაში *segment* [segmənt] არის ორი მარცვალი, რომელიც ორ ხმოვანს [ɛ] და [ə]-ს შეესატყვისება: [seg] და [mənt]. σ სიმბოლოს ვიყენებთ მარცვლის იმ ერთეულის აღსანიშნად, რომელიც შემადგენელ სეგმენტებს შორის დომინანტურია.



სიმბოლოთა ჯაჭვი [segmənt] (12)-ში თვისებების გამოყენებით ამოკლებს გამოხატულების სრულ ვერსიას. შემადგენლობის მარტივად გრაფიკულად წარმოდგენა შეიძლება ორ მარცვალს შორის უბრალო პაუზის ჩასმით: [seg.mənt]. (13) -ში წარმოდგენილი ჩანაწერი სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როცა გვჭირდება ზუსტად აღნიშვნა იმისა, რომ სეგმენტი ეკუთვნის ერთზე მეტ მარცვალს, როგორცაა სიტყვაში *happy* [hæpi], სადაც შუალედურ [p]-ს ზოგი მიიჩნევს საზიარო ბგერად პირველსა და მეორე მარცვალს შორის.



მარცვლის შემადგენლობაში პოზიციამ შეიძლება განსაზღვროს ბგერის რეალიზაცია. მაგალითად, ინგლისურში ნაზალური ბგერა, რომელსაც არაკორონალური ხშული მოჰყვება, სხვადასხვაგვარადაა რეალიზებული იმის მიხედვით, ეს თანხმონები ერთ მარცვალშია თუ არა. ნაზალური აუცილებლად იმავე საარტიკულაციო ორგანოთი წარმოითქმის, რითაც ხშული, როდესაც ისინი ერთ მარცვალშია: შესაბამისად, სიტყვებში *ink* და *thank* აუცილებლად არის [ŋk] ბგერები და არა [nk]. როცა ეს თანხმონები ცალ-ცალკე მარცვლებშია, /nk/-ში წარმოდგენილი ნაზალური რეალიზებულია, როგორც ალვეოლარული ბგერა; მაგალითად, *congressional* [kɒŋɡrɛʃənəl]. ამავე წესის მორიგი შედეგი ისაა, რომ [mk] შესაძლო წყვილია ინგლისურის ზოგიერთ დიალექტში, ასეთია: *pumpkin* [pʌmkɪn], *Fromkin* [frʌmkɪn]. მაგრამ ის არ გვხვდება მარცვლის შიგნით: *limk*-ის მსგავსი მარცვლები ინგლისურის ნებისმიერ ვარიანტში წარმოუდგენელია. ამგვარად, როცა ნაზალური და ხშული ბგერები ასეთივე თანმიმდევრობით ერთი მარცვლის წევრებია, ხდება საწარმოთქმო ადგილის ასიმილაცია. პარალელურად, შეგვიძლია, დავაკვირდეთ ხშულებისა და ნაპრალოვნების დისტრიბუციას ინგლისურში. როცა ასეთი ბგერები ერთ მარცვალშია (მაგ, *cubs* [kʌbz] და *cups* [kʌps]) მთლიან ჯგუფს უნდა ჰქონდეს იგივე წარმოთქმის მნიშვნელობა: [kʌpz] ან [kʌbs] ფორმები მიუღებელია. როცა ხშული და ნაპრალოვანი სხვადასხვა მარცვალშია, როგორც სიტყვებში *absurd* [æb.sɜːd], *Hudson* [hʌd.sən], *anecdote* [æ.nək.dət], წარმოთქმის მნიშვნელობა განსხვავებულია.


დამარცვლის შედეგი ვრცელდება თანხმოვანთა განსხვავებაზე ნაზალურობის მიხედვით მარცვლის საწყის და ბოლო პოზიციასში. მაგალითად, ინგლისური ყრუ ხშული შეიძლება გლოტალური გახდეს, მაგრამ არა ფშვინვიერი, როცა ის მარცვლის ბო-

ლოს გვხვდება; ხოლო როცა მარცვლის სანყისი ბგერა ხშულია, შეიძლება ფშვინვიერი გახდეს, რაც დამოკიდებულია მახვილის პოზიციასა და სიტყვის დასაწყისზე, მაგრამ ის ვერასოდეს იქნება გლოტალური. ამგვარად /t/ ბგერა სიტყვებში *tap* [tʰæp] და *between* [be.tʰwin] ფშვინვიერადაა ქცეული, ხოლო *pat* [pʰæt] და *atlas* [æʔt.ləs] შეიძლება იყოს გლოტალიზებული, რაც ტრანსკრიფციაშიც ჩანს. ბევრ ენაში თანხმოვანთა ტიპები მარცვლის სანყის და ბოლო პოზიციაში განსხვავებულია. თანხმოვანთა უმრავლესობა გვხვდება მარცვლის დასაწყისში. ამგვარად, ტაი განარჩევს მარცვლის სანყის მუღერ, ყრუ არაფშვინვიერ ან ყრუ ფშვინვიერ ხშულებს, მაგრამ მისი ბოლო პოზიციის ხშულები ყოველთვის რეალიზებულია ყრუ არაფშვინვიერი და გლოტალიზებული ბგერებით. გარდა ამისა, მარცვლის სანყის პოზიციაში ტაი ასევე იყენებს აფრიკატებს, ts, tʃ, tsʰ, tʃʰ ხშულების t-სა და tʰ-ს საპირისპიროდ. მარცვლის ბოლო პოზიციაში მხოლოდ ხშულები გამოიყენება.

13.2.2 მარცვლის შიდა სტრუქტურა

მარცვლები შეიძლება დაიყოს უშუალო შემადგენლებად. ბირთვი არის ხმოვანი ან ხმოვნის მსგავსი ელემენტი, რაც ყველა მარცვალშია. **სანყისი** არის თანხმოვანთა ჯგუფი, რაც ბირთვის წინ დგას. **კოდა** არის ბირთვის შემდეგ მდგომი თანხმოვნები. ბირთვი და კოდა ერთად ქმნიან შუალედურ შემადგენელს რასაც **რიტმა** ჰქვია. ბირთვი მარცვლის აუცილებელი ნაწილია: სიტყვაში მხოლოდ იმდენი მარცვალაია, რამდენი ბირთვია. სანყისი ხშირ შემთხვევაში მარცვლის იშვიათი, მაგრამ სასურველი წევრებია. კოდები არაა აუცილებელი: ყველა ენაშია კოდას არმქონე მარცვლები (ანუ **ლია მარცვლები**) და კოდას მქონე მარცვლები (ანუ **დახურული მარცვლები**). *Imprint* [imprint] სიტყვის დიაგრამით გაჩვენებთ ამ საკითხს. მარცვლის აუცილებელი წევრები გამუქებული ასოებითაა წარმოდგენილი.

(14)



აბრევიატურები:

O = onset (სანყისი); N = nucleus (რიტმა)
C = coda (კოდა), R = rime (ბირთვი)

ბირთვში წარმოდგენილი სეგმენტები მარცვლოვანია ანუ [+syllabic]. ამგვარად, [m] *prizm* [prizm] -ის მსგავს სიტყვაში მარცვლოვანია: ეს სიტყვა ორი მარცვლისაგან შედგება და [m] მეორე მარცვლის ბირთვია. იგივე სეგმენტი არამარცვლოვანადაც გვევლინება სიტყვაში *prismatic* [priz.mæ.tɪk], (სადაც /m/ არის სანყისი) ან *broom* (სადაც /m/ არის კოდა).

13.2.3 მარცვალთა შესწავლა დანართთან ერთად

ფონოტაქტიკური სტრუქტურების შესახებ

მარცვლების დაყოფის ჩვენეულმა ტრანსკრიფციამ (მაგალითად, ნერტილის გამოყენება [seg.mənt]-ში) შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს და გვაფიქრებინოს, რომ

გაბმულ მეტყველებაშიც არსებობს მარცვლის დამყოფი არაორაზროვანი სიგნალი და რომ მოლაპარაკის მიერ დამარცვლის ცოდნა მიღებულია ამ სიგნალების მოსმენის გზით. რეალურად საკითხი უფრო რთული და საინტერესოა. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ როცა ვსაუბრობთ მარცვლების დაყოფაზე, ვგულისხმობთ არა ნათქვამის ფონეტიკურ მახასიათებლებს, არამედ მთქმელის ინტუიციას, თუ სად უნდა დაიყოს გრძელი გამონათქვამი ერთხმოვნიან ნაწილებად. ინგლისურის ნებისმიერ მცოდნეს ორ ნაწილად რომ დავაშლევინოთ სიტყვა *segment*, უმრავლესობა დაშლის როგორც [seg]+[mənt] და არა როგორც [segm]+[ənt] ან [se]+[gmənt]. მარცვლის ჩვენ მიერ წარმოდგენილი საზღვრები ასეთ დასკვნას ეფუძნება.

ამიტომაც მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როგორ სწავლობენ ლინგვისტიკის არმცოდნე მოსაუბრეები დამარცვლას თავის მშობლიურ ენაში. ეს გარკვეულწილად ჯერ კიდევ საიდუმლოა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ზრდასრულ მოსაუბრეთა შორის არსებობს შეთანხმება მარცვალთა გამყოფის ადგილთან დაკავშირებით (Selkirk 1982; Derwing 1992). შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მათ იციან როგორ დამარცვლონ სიტყვა, ისინი ამ დასკვნამდე ფონოლოგიური სისტემის იმ ასპექტიდან უნდა მისულიყვნენ, რომელიც მზა ფორმით ხელმისაწვდომია და რომლის სწავლაც შესაძლებელია. რას ეფუძნება მოსაუბრეთა ასეთი დასკვნები?

ზოგ შემთხვევაში ნათელია, რომ დამარცვლის მათი ვარიანტი ასახავს მოსაუბრის დაკვირვებას მისსავე ენაში არსებულ შესაძლო სიტყვებზე: მაგალითად [segm] და [gmənt] არაა დასაშვები სიტყვები ინგლისურში, ვინაიდან [gm] არ გვხვდება არც სიტყვის დასაწყისში, არც ბოლოში. შესაძლოა, ამის გამოა მარცვლებად დაყოფის [segm.ənt] ან [se.gmənt] ვარიანტები უარყოფილი.

უფრო დეტალურად განვიხილოთ ამის მიზეზები. ვვარაუდობთ, რომ მოსაუბრეებს განზოგადებული ცოდნა აქვთ შესაძლო ან დაუშვებელ საწყის ან ბოლო მარცვლებთან დაკავშირებით და ეს განზოგადება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ მიერ მარცვლის სტრუქტურის შესახებ გაკეთებულ დასკვნებში. ამ დასკვნებს ორი ფორმა აქვს. პირველის თანახმად, მოსაუბრემ შეიძლება დაიწყოს მტკიცება, რომ მარცვალი მოკლე სიტყვას ჰგავს, ერთხმოვნიანი სიტყვაა, რომლის ბოლო იდენტურია ზოგადად სიტყვის დაბოლოებათა სტრუქტურისა. ეს იმას ნიშნავს, რომ [segmənt] მარცვლებად ასე დაიყოფოდა [seg.mənt], ვინაიდან /gm/ არც ერთი ინგლისური სიტყვის არც მარჯვენა ბოლოა და არც მარცხენა. მეორე ფორმის მიხედვით, მოსაუბრემ შეიძლება დაიწყოს დასაბუთება, რომ სიტყვა მარცვლების ჯაჭვია, სადაც თითოეული სეგმენტი აუცილებლად უნდა იყოს რომელიმე მარცვლის წევრი. ამ მტკიცების მიხედვით, თუ მოსაუბრე დააკვირდება, რომ თავისი ენის სიტყვები არ შეიძლება დაიწყოს სეგმენტთა რომელიმე მიმდევრობით – მაგალითად, ინგლისური სიტყვები არ იწყება /gm/ წყვილით – მათ შეიძლება დაასკვნან, რომ ამ ენის მარცვალიც ვერ დაიწყება ამგვარი მიმდევრობით. ორივე არგუმენტიდან ჩანს, რომ მარცვლის სტრუქტურას ენის სტრუქტურაზე დაკვირვებით ვიგებთ. დამარცვლის ინტუიცია ასახავს ამგვარად გააზრებულ კანონებს.

დანართი ფონოტაქტიკური სტრუქტურების შესახებ

მას შემდეგ რაც სეგმენტთა შესაძლო მიმდევრობის (ან **ფონოტაქტიკის**) განზოგადების საკითხი დავსვით, უნდა ვთქვათ, რომ მოსაუბრეები დასკვნებს მხოლოდ მოსმენილის შედეგად კი არ აკეთებენ, არამედ იმის მიხედვითაც, რაც არ მოუსმენიათ. ისინი ამჩნევენ მნიშვნელოვან ხარვეზებს გასაანალიზებელ მონაცემებში და დასკვნები ასეთი ხარვეზებიდან გამოაქვთ. /gm/ მიმდევრობის შემთხვევაში ინგლისურის

მცოდნენი ამჩნევენ ზოგად კანონს, რომელიც აერთიანებს ძირითად დაკვირვებებს: ინგლისური სიტყვა არ შეიძლება თანხმოვნისა და ნაზალურის მიმდევრობით დაიწყოს, გამონაკისა /sm/ და /sn/. აქედან გამომდინარეობს, რომ /gm/-ის გარდა სხვა ისეთი წყვილიც არ შეიძლება ინგლისური სიტყვის დასაწყისში დაჯდეს, როგორცაა /pn/, /bn/, /pm/, /bm/, /fn/, /vn/, /fm/, /vm/, /tn/, /dn/, /tm/, /dm/ და ა.შ. სავარაუდოდ, ესაა ნიმუშის განზოგადება, რაც მოსაუბრეს ამცნობს, რომ /gm/ ხარვეზი არ არის შემთხვევითი. განზოგადების თვალსაზრისით, ვხედავთ, რომ ინგლისურში სხვა ენების მსგავსად დაუშვებელია სონორისა და ობსტრუენტის მიმდევრობა სიტყვის დასაწყისში: /lp/ /rk/ /rp/ /ms/ /nf/ არ არის მიღებული სიტყვის დასაწყისში. ჩანს, რომ მოსაუბრეები არა მხოლოდ ხვდებიან ამ ხარვეზს ენაში, არამედ ასკვნიან, რომ ამგვარი მიმდევრობის არყოფნა შემთხვევითი არაა: როდესაც **UCLA**-ს ფონოლოგიის შესავლის კურსის სტუდენტთა რამდენიმე თაობა გამოჰკითხეს, აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიუღებლად ჩათვალა /lp/, /rk/, /rp/, /ms/, /nf/ წყვილებით დაწყებული სიტყვები. ამის საპირისპიროდ, მიმდევრობამ, როგორცაა /vl/, /vr/, რომელიც იშვიათადაა გამოყენებული ინგლისურში, სრულიად განსხვავებული შეფასება გამოიწვია: ამის სავარაუდო მიზეზია ფონოლოგიურად პარალელური /fl/ და /fr/ მიმდევრობის არსებობა. ამგვარად, /vr/, /vl/ ხარვეზი უფრო მეტად მიჩნეულია შემთხვევითად, ვინაიდან მიუღებელი მიმდევრობები სტრუქტურულად იზოლირებულია.

დავბრუნდეთ მარცვლებად დაყოფის საკითხს. სონორისა და ობსტრუენტის წყვილის სიტყვის დასაწყისში არარსებობის ფაქტის მსგავსად, აღმოვაჩინეთ, რომ მიმდევრობა ხმოვანი-თანხმოვანი-თანხმოვანი-ხმოვანი (VCCV) ყოველთვის იყოფა თანხმოვნებს შორის, როგორც VC.CV, როცა ეს მიმდევრობა სონორსა და ობსტრუენტს არ მოიცავს. ამგვარად, *alpine* და *harpoon* შემდეგნაირად დაიყოფა: [æ.l.pain] [æ.lpain] და [har.pun] და არა [ha.rpun]. ამის საპირისპიროდ, როცა თანხმოვანთა მიმდევრობა წარმოდგენილი *sk* ან *pl* წყვილით, VCCV მიმდევრობა შეიძლება დაიყოს როგორც V.CCV, ისე VC.CV სახით: *basket* [bæs.kit], *poplar* [pɒp.lər], ასევე *askew* [ə.skju], *reply* [ri.plaɪ].

ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ სიტყვები *vapid*, *leper*, *suburb* იყოფა [væp.id], [lɛp.ə], [sʌb.əb] ან შუა თანხმოვანი ორივე მარცვალს ეკუთვნის, სავარაუდოდ ეფუძნება ფაქტს, რომ მოკლე მოშვებული ხმოვნები, როგორცაა [æ], [ɛ], [ʌ] ინგლისურში სიტყვის ფინალურ პოზიციაში არ გვხვდება. აღსანიშნავია, რომ სიტყვები, როგორცაა *vapor*, *viper*, *sober* იყოფა, როგორც [veɪ.pə] [vaɪ.pə] [so:bə] და სწორედ ამის გამოა, რომ გრძელი ხმოვნები და დიფთონგები სიტყვის დასასრულში გვხვდება. ამგვარად, ჩნდება კითხვა – ყველა ასეთ შემთხვევაში მოსაუბრეების ინტუიციიდან მომდინარეობს მარცვლების შესახებ ცოდნა, თუ იმ დასკვნიდან, რომ მარცვლები პატარა სიტყვებს უნდა ჰგავდნენ?

თუმცა, როცა ყურადღებით ვაკვირდებით მაგალითებს, ნათელი ხდება, რომ მსგავსება შესაძლო სიტყვებსა და მარცვლებს შორის არ არის ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ შეფასებებში. აღსანიშნავია, რომ უამრავი სიტყვის დაყოფის ერთზე მეტი ვარიანტი არსებობს, რომელიც გადის: ისეთი სიტყვა, როგორცაა *Plato* [plei.tə] შეიძლება დაიყოს ან [pleit.ə] ან [plei.tə]. თითოეული სახის დაყოფის შედეგად მიღებული სიტყვები შეესატყვისება სავარაუდო სიტყვებს ინგლისურში. მაგრამ, ფაქტურად, ამკარად ამჯობინებენ ამ სიტყვის [plei.tə] სახით დაყოფას, სადაც ხმოვნებს შორის მოქცეული თანხმოვანი საწყის პოზიციაშია. უპირატესობის მინიჭება არ ეფუძნება მხოლოდ შესაძლო სიტყვებზე დაკვირვებას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ისაა, რომ პოლონურის მსგავს ენებში, სადაც სიტყვები იწყება და მთავრდება საკმაოდ უჩვეულო (ინგლისურ სტანდარტთან შედარებით) მიმდევრობებით, მარცვლებად

დაყოფისას რომელიმე ფორმისთვის უპირატესობის მინიჭება არ ჰგავს ინგლისურ ვარიანტს. ამგვარად, სიტყვები როგორცაა *filtr* – „ფილტრი“, *metr* – „მეტრი“, *wiatr* – „ქარი“ ერთმარცვლიანია პოლონურში: ეს გვიჩვენებს, რომ პოლონურში სიტყვები შეიძლება დასრულდეს ობსტრუენტს+არამარცვლოვანი სონორანტით, მაგრამ როცა წყვილი მოქცეულია ხმოვნებს შორის (როგორც სიტყვებში *wiadro* – „კასრი“, *wiatru* – „ქარი“, *igraty* – „თამაში“) *wiadro*, *wiatr-u*, *igr.aty* ცალსახად მიუღებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ< როცა თანხმოვნების ამა თუ იმ მარცვალზე მიმაგრების არჩევანის საშუალება არსებობს, ინგლისური და პოლონური ერთსა და იმავეს არჩევს. ეს არ ეფუძნება სიტყვის სტრუქტურაზე დაკვირვებებს, ვინაიდან *wiatr* მიღებული სიტყვაა, ხოლო *wiatru* – დამარცვლის მიუღებელი სახე. ვფიქრობთ, რომ იმ შემთხვევებში, როცა ენის ლექსიკონი არ წყვეტს ამ ორაზროვნების პრობლემას, დამარცვლა უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაოდ მინიჭებულ უპირატესობას მარცვალთა ცალკეული ტიპების სასარგებლოდ.

VCV ჯაჭვის დაყოფა V.CV ფორმით ფართოდაა გავრცელებული ენებში. იმავეს თქმა შეიძლება VCCV-ის VCC.V ფორმით დაშლაზე. ყოველივე ამის შემდეგ, შეგვიძლია (15) -ში შემდეგი ზოგადი დასკვნები ჩამოვაყალიბოთ:

- (15) ორი უნივერსალური წესი დამარცვლის შესახებ:
თანაბარ პირობებში დამარცვლის შედეგად უნდა მივიღოთ

უკულმა ლაპარაკი და დამარცვლის სხვა ტესტები

ჩანართი
13.1

უკულმა ლაპარაკი ენის გასავარჯიშებელი თამაშია, ნორმალური სათქმელის შენიღბვის ვარიანტი, ენის ძირითადი სიტყვების სისტემატური ცვლილების გზით. უკულმა ლაპარაკი ერთ-ერთი სასარგებლო ტექნიკაა იმის გასარკვევად, რამდენად ემთხვევა ენათმეცნიერების მიერ წარმოდგენილი დაყოფა მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა მიერ შეთვისებულ ვარიანტს. უკულმა ლაპარაკის ერთ-ერთი ცნობილი ფორმაა მთლიანი მარცვლების გადაადგილება: *cat.nip* გახდება *nit.cap*, *seg.ment* – *ment.seg* და ა.შ. ასეთი სახის თამაში ხშირია ფრანგულად მოსაუბრეებს შორის, რომლებიც ნიღბავენ მეტყველებას შებრუნებული მარცვლებით, ამ მოვლენას ვერლანი ჰქვია, ის მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან *l'envers*, რაც „შებრუნებას“ ნიშნავს. ეს მარცვალთა შებრუნება პერიოდულად ინგლისურშიც გამოიყენება. უკულმა მეტყველების დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, როგორაა სეგმენტთა მიმდევრობა დაყოფილი მარცვლებად მშობლიურ ენაზე არცთუ სრულყოფილად მოსაუბრე ადამიანების მიერ. ამგვარად, ხმოვანი-თანხმოვანი-ხმოვანი (VCV) მიმდევრობა ფრანგულში ყოველთვის იყოფა V.CV სახით: *chaton* [ʃat] „კნუტი“, რომელიც [ʃa.tõ]-დ დაიმარცვლება და ვერლანის მიხედვით [tõ.ʃa] გახდება. V-C-C-V მიმდევრობა განსხვავებულად დაიყოფა იმის მიხედვით, ეს ორი თანხმოვანი ობსტრუენტი და ნარნარა ბგერაა თუ რაიმე სხვა. ამგვარად, ფრანგული *secret* [soɛksɛ] ხდება [ksɛsɛ] და არა [ɔɛsɛks]. სხვა ბგერების შემთხვევაში უკულმა წარმოთქმის შედეგი განსხვავებულია: ფრანგული *balcon* [bal.kõ] ხდება [kõ.bal], ინგლისური *cultures* [kʌl.tʃɜz] ხდება [tʃɜz.kʌl] (აღსანიშნავია, რომ /tʃ/ ითვლება ერთ ბგერად და არა t + ʃ ბგერების მიმდევრობად).

უკულმა კითხვით დამარცვლა უახლოვდება ფრანგულ ფონოლოგიაში წარმოდგენილ დამარცვლას. მაგალითად, შუა ხმოვანი /e/ სხვადასხვაგვარად რეალიზდება იმის მიხედვით, მას იმავე მარცვალში მოსდევს თუ არა თანხმოვანი: დახურულ მარცვალში ვხვდებით [ɛ] ბგერას, როგორც სიტყვაში *Eskimo* [ɛs.ki.mo], სადაც სანყის e-ს მოჰყვება s

იმავე მარცვალში და, შესაბამისად, მოშვებულია. ამის საპირისპიროდ, სიტყვაში *decret* [de.k e] ორი /e/ არის მარცვლის ფინალურ პოზიციაში და რეალიზდება გრძელი /e/ ბგერით. *decret*-ის შემთხვევაში გვაქვს ორი დამოუკიდებელი მიზეზი იმის, რომ [de.k e] დამარცვლა [dek. e]-ს დაუპირისპიროთ: პირველი მიზეზია ვერლანის ეფექტი, სადაც ვხვდებით [k e.de] და არა [e.dek]-ს. მეორე მიზეზი კი პირველ მარცვალში მოშვების არყოფნაა: [de.k e] და არა [dek. e].

ამგვარად, VCV მიმდევრობის V.CV სახით დაყოფა VC.V-ის ნაცვლად ეფუძნება იმ ფაქტს, რომ V.CV ფორმა ქმნის ღია მარცვალს (V), რომელსაც მოსდევს სანყისიანი მარცვალი. უარყოფილი ფორმა VC.V ქმნის დახურულ მარცვალს (VC) რომელსაც მოსდევს უსან ყისო (V). შემდეგი კლასის მაგალითში, VCCV დაყოფილია V.CCV სახით თუ შესაბამისი რთული სანყისი დასაშვებია (როგორც *de.cree*-ს შემთხვევაში). VCCV დაყოფილი იქნება VC.CV ფორმით თუ იგი არ შეესაბამება დასაშვებ რთულ სანყისს (როგორც *in.tend*-ის შემთხვევაში). და ბოლოს, VCCV შეუძლებელია დაიყოს VCC.V ფორმით, ვინაიდან ამ სახის დაყოფას ორმაგი ნაკლი აქვს: მარცვალი რთული კოდათი და სანყისის არმქონე მარცვლები.

საპარაჯიშო
13.4

გააანალიზეთ ხმოვნის სიგრძის ალტერნაციები იოკუტსის ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვებში. (იოკუტსი არის კალიფორნიის ინდიელთა ენა. მაგალითები აღებულია ნიუმენისგან 1944). ჩამოაყალიბეთ ნაგულისხმევი გამოხატულება ძირებისა და სუფიქსებისთვის. გამოთქვით ვარაუდი იოკუტსის შესაძლო მარცვლების შესახებ და გამოიყენეთ ისინი მოკლე და გრძელი ხმოვნების დისტრიბუციის ასახსნელად. დაგჭირდებათ [+syllabic] [long] ფორმები მარცვლის სტრუქტურის ტერმინებით აღსაწერად. ყურადღებას ნუ გაამახვილებთ i-სა და ნულოვანი ალომორფის ალტერნაციებზე. დეფისი (-) აღნიშნავს მორფემათა საზღვრებს, რაც არ არის აუცილებელი, დაემთხვეს მარცვლის საზღვრებს:

არამომავალი	ბრძანებითი	ვარაუდი	მომავალი	თარგმანი
<i>ʒap-hin</i>	<i>ʒap-ka</i>	<i>ʒa:pal</i>	<i>ʒa:p-en</i>	ნვა
<i>lan-hin</i>	<i>lan-ka</i>	<i>la:nal</i>	<i>la:n-en</i>	მოსმენა
<i>ʔa:mil-hin</i>	<i>ʔa:mil-ka</i>	<i>ʔaml-al</i>	<i>ʔaml-en</i>	დახმარება
<i>xat-hin</i>	<i>xat-ka</i>	<i>xat-al</i>	<i>xat-en</i>	ჭამა
<i>paʔiʔ-hin</i>	<i>paʔiʔ-ka</i>	<i>paʔiʔ-al</i>	<i>paʔiʔ-en</i>	ჩხუბი
არამომავალი	ვნებითი			თარგმანი
<i>pana:-hin</i>	<i>pana-t</i>			ჩამოსვლა
<i>hoyo:-hin</i>	<i>hoyo-t</i>			სახელი

13.2.4 მარცვალთა შემადგენლობის შედეგების შესწავლა: ესპანური r

განვიხილოთ, როგორ მოქმედებს მარცვლის სტრუქტურა სემანტიკა რეალიზაციაზე. მაგალითი აღებულია ესპანურიდან და განხილული ჰარისის მიერ (1983). ჩვენ მიერ გასაანალიზებელი ბგერებია ტრელი [r] და ფლები [ɾ], რომლებიც ესპანურში ერთმანეთს უპირისპირდება ხმოვნებს შორის პოზიციაში: *perro* [pero] „ძალი“ და

pero [pero] „მაგრამ“. ესპანური ორთოგრაფია ზუსტად ასახავს ამ ორ ბგერას შორის ხანგრძლივობის განსხვავებას. ტრელი საგრძნობლად გრძელია. ყველა სხვა დანარჩენ პოზიციაში – სიტყვის დასაწყისში, ბოლოში, თანხმოვნის წინ ან შემდეგ – ტრელი და თეპი დამატებით დისტრიბუციაშია. შემდეგი ნიმუში ამის მაგალითია:

- (16) ხშულის ან *f* თანხმოვნის შემდეგ მხოლოდ [ɾ] გვხვდება.

<i>bravo</i>	<i>drama</i>	<i>otro</i>	<i>hombre</i>	<i>Afrika</i>
[braβo]	[drama]	[otro]	[ombre]	[afrika]
„მამაცი“	„დრამა“	„სხვა“	„კაცი“	

- (17) სხვა თანხმოვნების შემდეგ მხოლოდ [r] გვხვდება.

<i>Israel</i>	<i>honra</i>	<i>alrededor</i>
[izrael]	[onra]	[alredɛðor]
„ისრაელი“	„პატივი“	„გარშემო“

- (18) თანხმოვნის წინ ჩვეულებრივ მეტყველებაში [ɾ] გამოიყენება, ემფატურ მეტყველებაში კი – [r]

<i>martes</i>	<i>arbol</i>	<i>Carlos</i>
[martes]~[martes]	[arβol]~[arβol]	[karlos]~[karlos]
„სამშაბათი“	„ხე“	

- (19) სიტყვის დასაწყისში მხოლოდ [r] გვხვდება.

<i>rápido</i>	<i>raro</i>	<i>rubor</i>
[rapiðo]	[raro]	[ruβor]
„სწრაფი“	„იშვიათი“	„განითლება“

- (20) სიტყვის ბოლოში [ɾ] ჩვეულებრივ მეტყველებაშია, ხოლო [r] – ემფატურში.

<i>mar</i>	<i>amor</i>	<i>sur</i>
[mar]~[mar]	[amor]~[amor]	[sur]~[sur]
„ზღვა“	„სიყვარული“	„სამხრეთი“

(18) და (20) გვიჩვენებს *r*-ის მსგავს ბგერებს მარცვლის კოდას პოზიციაში. ეს ნათლად ჩანს სიტყვაში *mar*. სიტყვებში *martes* და *Carlos* ამას ემატება ესპანურად მოსაუბრეთა მიერ ამ სიტყვების ინტუიციური დაყოფა *mar.tes* და *Car.los*-ის სახით. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ *rt*, *rl* სიტყვის საწყის პოზიციაში დაუშვებელია. ზემოთ მოყვანილი მაგალითები შეგვიძლია გავაერთიანოთ (21)-ში:

- (21) ა. მარცვლის ბოლოს ესპანური *r*-ბგერები, ჩვეულებრივ, რეალიზდება [ɾ] ბგერით.

ბ. ემფატური მეტყველების წესი: მარცვლის ბოლო *r*-ბგერა რეალიზდება [r]-ის სახით.

დარჩენილი მაგალითებიც შეგვიძლია განვიხილოთ *r*-ბგერის მარცვლის საზღვრებთან სიახლოვის პირობებში. აღსანიშნავია, რომ (16)-ში წარმოდგენილი ფორმა – ხშული ან *f* ბგერა *r*-ის წინ – შეგვიძლია საწყისად მივიჩნიოთ: *A.fri.ca*, *o.tro*, *hom.bre*. (17)-ის სიტყვებში კი მარცვლის საზღვრები დაცლებულია: *Is.ra.el*, *hon.ra*, *al.re.de.dor*. ჩვენ ეს ვიცით, ერთი მხრივ, ესპანურად მოსაუბრეთა დამარცვლის ინტუიციით, მეორე მხრივ კი: /fr/, /pr/, /kr/, /dr/, /br/, /tr/, /dl/, /fl/, /pl/, /bl/, /kl/, /gl/, /sw/, /kw/

- თანხმოვანთა წყვილებით, რითაც შეიძლება დაიწყოს ესპანური სიტყვები. /r/, /sp/, /nt/, /lk/ და ა.შ. ტიპის წყვილები მხოლოდ ხმოვნის შემდეგ გვხვდება. ვინაიდან სიტყვის დასაწყისი იმავდროულად პირველი მარცვლის დასაწყისია, ისეთი წყვილები, რომლებიც სიტყვის დასაწყისში არ გამოიყენება, საერთოდ დაუშვებელია მარცვლის დასაწყისშიც. ამ მიზეზებს მეორე განზოგადებულ მტკიცებასთან მივყავართ:

(22) თუ r-ბგერა არ არის მარცვლის სანყის პოზიციაში, მაშინ ის [r]-ით რეალიზდება.

ახლა კი უნდა ჩამოვყალიბოთ მტკიცება, სადაც განზოგადებული იქნება ფაქტი, რომ მარცვლის სანყის პოზიციაში r-ბგერა აუცილებლად ტრელი [r] ბგერაა, როცა ის სიტყვის დასაწყისში ან თანხმოვნის შემდეგ დგას ((17) და (19) შემთხვევებში), მაგრამ [r] და [r] ერთმანეთს ხმოვნის შემდგომ პოზიციაში უპირისპირდება.

(23) მარცვლის სანყის პოზიციაში r-ბგერა რეალიზდება როგორც ტრელი, თუ მას წინ ხმოვანი არ მიუძღვის.

საყურადღებოა, რომ (23) არავითარ ცნობას არ იძლევა იმ შემთხვევაზე, როცა r-ბგერა ერთდროულად მარცვლის სანყისიცაა და ხმოვნის მომდევნოც. თუმცა ის სწორად აღნიშნავს, რომ როტირება რეალიზდება ტრელით მარცვლის სანყის ყველა დანარჩენ პოზიციაში ((17) და (19) შემთხვევა).

მიუხედავად იმისა, რომ (21), (22) და (23) გასაანალიზებელი მასალის ჩახლართულ წყობას საგრძნობლად ამარტივებს, ჩვენ ვთვლით, რომ უფრო მეტად გამარტივებაც შესაძლებელია, ვინაიდან (22) მოიცავს (21ა)-ს. ანალიზის საბოლოო სახე ასეთი იქნება:

(24) ა. მარცვლის სანყის პოზიციაში როტირება რეალიზებულია ტრელით, თუ მის წინ ხმოვანი არ დგას.

ბ. როტირება, რომელიც მარცვლის სანყის პოზიციაში არ არის, რეალიზებულია ფლეპით.

გ. ემვატურ მეტყველებაში მარცვლის ბოლოში მდგარი როტირება წარმოდგენილია ტრელით.

მორიგი სიმბოლოები სასარგებლოა (24)-ში მოცემული წესის წარმოსადგენად: მარცვლის სანყის და ბოლო პოზიცია აღნიშნულია მარცხენა და მარჯვენა ფრჩხილებით.

(25) „მარცვლის დასაწყისში“= [σ _____
 „მარცვლის დასასრულს“= _____ σ]

როტირების კლასის დასახასიათებლად შეიძლება თვისებათა მნიშვნელობების ჯგუფის გამოყენება [+sonorant, +consonantal +continuant -lateral]. ტრელების თეპებისგან მთავარი განმასხვავებელი თვისებაა [±long]: ტრელი უფრო გრძელი ბგერაა. ამგვარად, (24ა)-ს აბრივიატურებით გამოსახული ფორმა ასეთი იქნება:

(26)
$$\left[\begin{array}{l} +\text{sonorant} \\ +\text{consonantal} \\ +\text{continuant} \\ -\text{lateral} \end{array} \right] \rightarrow [+long]/[\sigma \text{ ______}]$$

დახრილი ხაზის წინ დაწერილი აღნიშვნა გვიჩვენებს, რომ როტირება ხდება გრძელი. ესაა წერის სტრუქტურული ცვლილება. ხოლო დახრილი ხაზის შემდეგ დაწერილი კი მიუთითებს, რომ ეს ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა სეგმენტი მარცვლის საწყის პოზიციაში დგას. დეფისი აღნიშნავს ჩვენთვის მნიშვნელოვანი სეგმენტის მიმართებას მარცვლის საზღვართან. ეს მეორე ნაწილი ამ წესის კონტექსტი ანუ გარემოა. წესის მიერ წარმოდგენილი ჯაჭვის აღწერას კი წესის სტრუქტურული აღწერა ჰქვია. აქვე უნდა აღვნიშნოთ წესისთვის უარყოფითი პირობა, ანუ ის შემთხვევა, როცა ეს წესი წყვეტს მოქმედებას. ეს ხდება, როცა როტირება ხმოვნის შემდეგ დგას. ამ აზრის გადმოცემა ცალკე მტკიცებით შეიძლება:

$$(27) \left[\begin{array}{l} +\text{sonorant} \\ +\text{consonantal} \\ +\text{continuant} \\ -\text{lateral} \end{array} \right] \rightarrow [+long]/[\sigma \text{ ---}]$$

წესი არ მოქმედებს [+syllabic] კონტექსტში

(24ბ)-ში წარმოდგენილი მტკიცება ეხება როტირებულ ბგერას, რომელიც მარცვლის საწყის პოზიციაში არ იკავებს. იგი მოიცავს მარცვლის ბოლოში მდგარ *r*-ს, სიტყვაში *mar.tes* და მარცვლის შუაში მყოფ *r*-ს, სიტყვაში *o.tro*. როტირების კლასის პოზიცია შეიძლება აღწეროთ ასეთივე სახით იმავე მარცვალში სხვა სეგმენტების მეშვეობით. *R*-ს წყვილი *mar.tes*-სა და *o.tro*-ში გამოსაძეგია აღწერისათვის. შესაბამისი წესი ქვემოთაა წარმოდგენილი:

$$(28) \left[\begin{array}{l} +\text{sonorant} \\ +\text{consonantal} \\ +\text{continuant} \\ -\text{lateral} \end{array} \right] \rightarrow [+long]/ \begin{array}{c} \sigma \\ \diagup \quad \diagdown \\ [+segment] \text{ ---} \end{array}$$

როგორც ვხედავთ, ეს წესი იძლევა მინიმალურ ინფორმაციას სიტყვაში ბგერათა მიმდევრობის შესახებ. მაგალითად, (28)-ში კონტექსტის აღწერა არ გვიჩვენებს მოსდევს თუ არა რაიმე ბგერა განსახილველ როტირებულ მარცვალში. ასევე არ ვიცით როტირების წინ მდგარი ბგერა მარცვლის საწყის პოზიციაშია თუ არა, რადგანაც ეს ფაქტორი ნაკლებ მნიშვნელოვანია ამ წესის გამოყენებისთვის. აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ თუ წესი ცალსახად არ გამორიცხავს კონტექსტის რომელიმე კლასს, მაშინ იგი ამ კლასზეც ვრცელდება. (28) ისეა აგებული, რომ იგი არ გამორიცხავს მიმართებას იმდგვარ მიმდევრობებთან, რომლებიც განსხვავებულია მოცემულისგან, სადაც *r* მარცვლის საწყის პოზიციაშია.

13.3 პრომინენტულობის კავშირი

უამრავ ენაში, მათ შორის ინგლისურში, განსხვავებულია პრომინენტულობა ანუ **მახვილი** სიტყვის მარცვლებს შორის. ყველაზე გამოკვეთილ მარცვალს სიტყვაში აქვს მთავარი, ანუ პირველადი მახვილი. ზოგჯერ რამდენიმე მარცვალს გამოყოფილი სხვა მარცვლებთან შედარებით: ასეთ შემთხვევებში განვასხვავებთ სიტყვის **ძირითად** და **დამხმარე მახვილებს**. მაგალითად, სიტყვაში *assimilation* [ə.sɪmə'leɪʃn] მთავარი მახ-

ვილი ['lei] მარცვალზე და აღნიშნულია ['] სიმბოლოთი, ხოლო მეორადი მახვილი [,sim] მარცვალზე და აღნიშნულია [,] სიმბოლოთი. სხვა მარცვლები კი სრულიად უმახვილოა.

როგორ უნდა განვსაზღვროთ მახვილის ხარისხი? სხვა მახასიათებლებისგან განსხვავებით, მახვილს ვერ გავაიგივებთ რომელიმე აკუსტიკურ ან სანარმოთქმო თვისებასთან: იგი გამოხატულია სხვადასხვაგვარად ენების მიხედვით, ან მახვილიანი მარცვლის ხანგრძლივობით ან კიდევ ხმამალალი წარმოთქმით. ინგლისურში მახვილიანი მარცვლები – მთავარი მახვილია ეს თუ მეორადი – ძირითადად განისაზღვრება ხმოვნის განსაკუთრებული თვისებებით: ხმოვნები [æ], [ɑ], [ɛ], [ɔ], [ʊ], ან [u], [i] ან [A] დასაშვებია მხოლოდ მახვილით. მთავარი მახვილის ადგილი ინგლისურში შემონმებისათვის ხელმისაწვდომია ნაწილობრივ დაკვირვების გზით. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ მთავარ მახვილიან მარცვლებს **ბირთვის ტონები** აქვთ: განსაკუთრებული ტონური ღირებულება ქმნის ინტონაციაში ცენტრალურ ერთეულს. მაგალითად, ინგლისურ ენაში კითხვის დასმის ინტონაცია დაბალი ტონით ხასიათდება, რომელიც გამონეუულია მთავარი მახვილის მქონე მარცვლით. ნახავთ, რომ ყველაზე დაბალი ტონი თითოეულ შემთხვევაში უკავშირდება გამუქებული ასოებით დაწერილ მარცვლებს: ესაა მთავარმახვილიანი მარცვლები. (29 გ-დ)-ში სხვა სახის მახვილის მქონე მარცვლებიცაა (იქიდან დამომდინარე, რომ [æ] და [ʊ] ხმოვნები მხოლოდ მახვილიან მარცვლებში გამოიყენება).

(29) ა. **nuclear** ['nʊkliə]?

ბ. **arboreal** [ɑˈbɔriəl]?

გ. **aboriginal** [ˌæbəˈrɪdʒənəl]?

დ. **nuclear plant location** [ˌnʊkliəˈplænt loʊkeɪʃn]?

მახვილის აღნიშვნის ამ მრავალფეროვანი გზის გარდა, მოსაუბრეებს შეუძლიათ აღიქვან ერთიანი შედეგი: სწორედ ამიტომაც ვსაუბრობთ მახვილზე და არა ხანგრძლივობაზე ან ტონზე, როგორც მარცვლის გამოკვეთილ მახასიათებელზე.

პრომინენტულობის კავშირის გამოხატვა უამრავი გზით შეიძლება. ამათგან ერთ-ერთი ეფუძნება დაკვირვებას, რომ ენაში წარმოდგენილ მახვილთა განსხვავებების რიცხვი განსაზღვრული არაა. ამგვარად, სიტყვაში *assimilation* სამი სახის განსხვავებაა პირველ, მესამე და მეხუთე უმახვილო, მეორადი მახვილის მქონე მეორე მარცვალსა და მთავარმახვილიან ბოლოს წინა მარცვალს შორის. თუ ჩვენ ამ სიტყვას უფრო გრძელ ფრაზაში გამოვიყენებთ, პრომინენტულობის განსხვავებათა რიცხვი გაიზრდება: ფრაზაში *assimilation between vowels* მთავარი მახვილი ეცემა *vowels* სიტყვის პირველ მარცვალზე, ხოლო სიტყვაში [ə,sɪməˈleɪʃn] მახვილი [lei] მარცვალზე მეორადია, [sim] მარცვალზე კი მახვილი უფრო სუსტია ანუ მესამეული. სინტაქსური გამაგრება უფრო მრავალრიცხოვანს გახდის მახვილის ხარისხებს შორის განსხვავებას. ყველა სახის განსხვავება იოლად შესამჩნევი არ არის.

იმის საჩვენებლად, რომ გამოთქმის მარცვლებს აქვთ მახვილის განუსაზღვრული რაოდენობის ხარისხები, ვიყენებთ **ბადის სტრუქტურას**.

ბადის სტრუქტურა მახვილთა დონეებს განარჩევს: უმახვილოს (ნულოვანი მახვილი), ძირითად მახვილსა და ამ ორ უკიდურესობას შორის მახვილის ნებისმიერ ხარისხს. მახვილის ხარისხები გრაფიკულად წარმოდგენილია ჰორიზონტალურად დალაგებული ფენებით, სადაც ზედა ფენა წარმოადგენს მახვილის უმაღლეს ხარისხს მოცემულ გამოთქმაში. თითოეული მარცვლი შეესაბამება ბადის პოზიციას და თითოეული ბადის

პოზიცია მოიცავს მარცვლის მახვილის ხარისხის აღმნიშვნელი ნიშნების სვეტს. ბადის სვეტების სიმალლე განისაზღვრება შემდეგი წესების მიხედვით:

(30) ბადის წესები:

ა. თუ მარცვლები σ_1 და σ_2 განსხვავდება იმით, რომ σ_1 უფრო გამოკვეთილია σ_2 -თან შედარებით, σ_1 მარცვლის შესაბამისი ბადის ნიშნების სვეტი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე σ_2 მარცვლისა.

ბ. მხოლოდ აუცილებელი ბადის ნიშნები გამოიყენება მახვილების გასარჩევად.

აღსანიშნავია, რომ ეს წესი არ მიუთითებს, რომელი მარცვალი რა ხარისხის მარცვალს ატარებს: ესაა წესები, რომლებიც ეხება იმ შემთხვევებს, როცა ცნობილია მარცვლის მახვილის ხარისხი. ამგვარად, თუ ჩვენ ვიცით, რომ *assimilation* სიტყვაში ძირითადი მახვილი ბოლოს წინა მარცვალზე მოდის, ხოლო მეორედი მეორე მარცვალზე, შეგვიძლია მისი ბადის სტრუქტურა ავაგოთ (30)-ის მიხედვით. პირველ რიგში, თითოეული მარცვალი ბადის ნიშანს მიიღებს ბადის ყველაზე დაბალ შრეზე იმის აღსანიშნად, რომ თითოეული მარცვალი პოტენციურად მახვილის მიმღებია:

(31)

layer 0	x	x	x	x	x
	σ	σ	σ	σ	σ
	ə	sim	ə	lei	ɲ

შემდეგ კი თითოეულ მახვილიან მარცვალს დამატებითი ბადის ნიშანი ენიჭება: ეს გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, მარცვლები [sim] და [lei] უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე მარცვლები [ə], [σ] და [ɲ]. შესაბამისად, (30a)-ს მიხედვით, [sim] და [lei] მარცვლების ბადის სვეტი უფრო მაღალი იქნება:

(32)

layer 1			x		x
layer 0	x	x	x	x	x
	σ	σ	σ	σ	σ
	ə	sim	ə	lei	ɲ

ამის შემდეგ უნდა განვასხვავოთ [sim] და [lei]: მეორეზე უფრო ძლიერი მახვილია, ვიდრე პირველზე და, შესაბამისად, მეორეს უფრო მაღალი ბადის სვეტი უნდა ჰქონდეს:

(33)

layer 2					x
layer 1			x		x
layer 0	x	x	x	x	x
	σ	σ	σ	σ	σ
	ə	sim	ə	lei	ɲ

ამის შემდეგ კი უფრო მეტი პრომინენტულობა აღარ ჩანს, რაც ნიშნავს, რომ (33) არის ამ გამოთქმის მახვილისთვის ბადის საბოლოო სახე. ვინაიდან მარცვლის მახვილი განისაზღვრება იმავე სიტყვის მარცვლებთან შედარებით, ბადის სვეტის სიმალლე ცალკეული მარცვლისთვის იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მარცვლებთანაა ის შედარებული, მაშინაც კი, როცა მარცვლის მახვილის დონე მუდმივი ჩანს. ამგვარად, [lei]-ს აქვს 3x-იანი ბადის სვეტი (33)-ში, მაგრამ მას 4x-იანი სვეტი ექნება ფრაზაში *maintain assimilation*, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები. ეს იმის გამოა, რომ გამოთქმის

მახვილიანი სიტყვაა *assimilation* და ამ სიტყვის ძირითადი მახვილის მქონე მარცვალი [lei] უფრო გამოკვეთილი უნდა იყოს, ვიდრე *maintain* სიტყვის მახვილიანი მარცვალი:

(34)

layer 3							x
layer 2		x					x
layer 1	x	x		x			x
layer 0	x	x	x	x	x	x	
	σ	σ	σ	σ	σ	σ	σ
	mem	tem	ə	sim	ə	lei	ŋ

მახვილთან დაკავშირებით ორი ტიპის წესები მოქმედებს: ერთნი ადგენენ პირველი ხაზის ნიშნებს (ანუ [+stressed] სტატუსს) ცალკეული მარცვლებისთვის. მეორე ტიპის წესები კი ანიჭებენ მახვილის უფრო დიდ ხარისხს ზოგიერთ მახვილიან მარცვალს. მაგალითად, (35) ჯამებს მალაიალამის მახვილის წესებს (დრავიდული ენა კერალაში, ინდოეთი):

- (35) ა. თითოეული მარცვალი, რომელშიც გრძელი ხმოვანია, აღინიშნება პირველი ხაზის ნიშნებით (ანუ მახვილიანია).
- ბ. თუ მეორე მარცვალი უმახვილოა, მაშინ პირველი მარცვალთა მახვილიანი.
- გ. ძირითადი მახვილი მოდის სიტყვების პირველ მახვილიან მარცვალზე.

(36)-ში ნაჩვენებია იქნება, ამ წესების მიხედვით როგორ იგება ბადის სტრუქტურა მალაიალამის ორი სიტყვისთვის: '*marjaŋam* და *an'ga:rja,sa:t,mi:karjaŋam*. შენიშნავდით, რომ (35ა) წესი შეესაბამება *an'ga:rja,sa:t,mi:karjaŋam* სიტყვას, ვინაიდან მასში გრძელი ხმოვნებია.

- (36) თითოეულ მარცვალს, რომელშიც გრძელი ხმოვანია, ენიჭება პირველი ხაზის ბადის ნიშანი.

layer 1		x		x	x			
layer 0	x	x	x	x	x	x	x	x
	σ	σ	σ	σ	σ	σ	σ	σ
	an	ga:r	ja	sa:t	mi:	kar	ja	ŋam.

(35ბ) ეხება '*marjaŋam* სიტყვას, და არა მეორეს, ვინაიდან ამ უკანასკნელში მეორე მარცვალს უკვე აქვს მახვილი.

- (37) თუ მეორე მარცვალზე არ არის მახვილი, მაშინ პირველი მარცვალთა მახვილიანი.

layer 1	x		
layer 0	x	x	x
	σ	σ	σ
	nar	ja	ŋam

დასასრულს, (35გ) ეხება *an'ga :rja,sa:t,mi:karjaŋam*-ს, რომგააძლიეროს მახვილი ყველაზე მარცხენა მახვილიან მარცვალზე. (35გ)-ს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია '*marjaŋam* სიტყვაში, ვინაიდან ამ ფორმას აქვს სხვებთან შედარებით გამოკვეთილი მარცვალი.

(38) ძირითადი მახვილი ეცემა სიტყვაში პირველ მახვილიან მარცვალზე.

layer 2	x							
layer 1	x	x		x				
layer 0	x	x	x	x	x	x	x	x
	σ	σ	σ	σ	σ	σ	σ	σ
	an	ga:r	ja	sa:t	mi:	kar	ja	ŋam.

როგორც ვხედავთ, ჩვენს შთაბეჭდილებას მარცვლების შედარებით პრომი-ნენტულობის შესახებ შეიძლება მიეცეს ზუსტი გამოხატულება ბადის სტრუქტურის სახით. ბადეები მახვილიან მარცვლებს ნულოვანი შრის ზემოთ სულ ცოტა ერთი ნიშ-ნით მაინც გამოყოფს. მორიგი განსხვავებები მახვილებს შორის გამოხატულია ბადის სვეტების მზარდი სიმადლით, რომელიც შეესაბამება უფრო თვალსაჩინო მარცვლებს. ძირითადი მახვილი ნებისმიერ ფონოლოგიურ ერთეულში (წინადადება, ფრაზა, გა-მოთქმა) განმარტებულია, როგორც ამ ერთეულის ფარგლებში უმაღლესი ბადის სვე-ტის მქონე მარცვალი.

წაიკითხეთ შემდეგი წინადადებები ხმამაღლა და ყურადღება მიაქციეთ მუქად დაბეჭდილ სახელად ფრაზებს:

- (ა) He is **the editor of a book.**
- (ბ) He is **the book's editor.**
- (გ) He is **the book editor.**

აღნიშნეთ ძირითადი და დამატებითი მახვილები. სამივე სახელადი ფრაზისთვის წარმოადგინეთ ბადის სტრუქტურა.

საპარჯიშო
13.5

დააკვირდით (ა) და (ბ) წინადადებებში მახვილის ადგილებს და ასევე 13.5 სა ვარჯიშოში (გ) წინადადებაში. განსაზღვრეთ სახელადი ფრაზების ზოგადი კლასი, რომლებიც დახასიათებულია (გ) მახვილის მოდელით, როგორც (ა-ბ)-სგან განსხვავე-ბული.

საპარჯიშო
13.6

13.4 ლექსიკური გამოხატულებაში ფონოლოგიაში

მკითხველი დაინტერესდება, როგორ გამოიყურება ლექსიკური ერთეული მის გონებრივ ლექიკონში. აქ ჩვენ შევეხებით ამ ერთეულის ფონოლოგიურ მხარეს. გარდა ამისა, კითხვითი ფორმით ჩამოყალიბებული იქნება სინტაქსური, მორფოლოგიური და სემანტიკური ინფორმაცია.

მინიმალურ დონეზე, ლექსიკური ერთეული მოიცავს ინფორმაციას, რომელიც საკმარისია, რომ განირჩეს მისი ზედაპირული რეალიზაცია სხვა ნებისმიერი ფორმისა-გან. ეს ფორმები მოსაუბრის შეფასებით, განსხვავებულად რეალიზდება ერთსა და იმავე ვითარებაში. ამგვარად, ფონოლოგიური ერთეულები *write* და *rite* იდენტური

იქნება იმდენად, რამდენადაც ეს ფორმები ყოველთვის იდენტურად რეალიზდება [rait]-ის სახით ერთნაირ გარემოში (ერთნაირი გარემო გულისხმობს მეტყველების ტემპს – სწრაფად ან ნელა – და მეტყველების სტილს – ზუსტი, სასაუბრო ან მოუწესრიგებელი მეტყველება). ერთეულები *write* და *ride* განსხვავებული უნდა იყოს, ვინაიდან ისინი მეტნილად რეალიზდება [rait] და [raid] ფორმებით. შესაბამისად, *write*-სა და *ride*-ის ფინალურ ხშულებში წარმოთქმის ღირებულება უნდა იყოს ლექსიკური ერთეულის ნაწილი, ვინაიდან იგი აანალიზებინებს მოსაუბრეს ამ ორ ფორმას შორის განსხვავებას.

ქვემოთ მოცემულია მოდელი *ride*-ისთვის: მახასიათებელთა თითოეული სვეტი შეესაბამება ცალკეულ სეგმენტს. სვეტები ისეა დალაგებული, რომ იოლია შესაბამის სეგმენტთან მათი იდენტიფიკაცია. მარცხნიდან მარჯვნივ თვისებათა დალაგება გვიჩვენებს, რომ ერთი სეგმენტი ამ ერთეულში მეორეს მოსდევს.

(39)	[-syllabic]	[+syllabic]	[+syllabic]	[-syllabic]
	[+sonorant]	[+sonorant]	[+sonorant]	[-sonorant]
	[+consonantal]	[-consonantal]	[-consonantal]	[+consonantal]
	[-lateral]	[-front]	[+front]	[-continuant]
	[-nasal]	[+low]	[+high]	[-nasal]
	[+voice]	[+voice]	[+voice]	[+voice]
	(r)	(a)	(i)	(d)

მას შემდეგ, რაც ჩვენ ვისაუბრეთ ძირითად საკითხებზე ფონოლოგიური ლექსიკონის შესახებ, აღვნიშნავთ, რომ უამრავი მსგავსი საკითხი ჩნდება. უნდა შეიცავდეს თუ არა ლექსიკური ერთეული ინფორმაციას დამარცვლის შესახებ? აუცილებელია თუ არა მახვილის შესახებ ინფორმაცია მაშინაც კი, როცა მახვილის ადგილის წინასწარ გამოცნობაა შესაძლებელი? უნდა შედიოდეს თუ არა კონტექსტში წინასწარ საცნობი თვისებები ლექსიკონში ან წესის მიხედვით უნდა იწარმოებოდეს ისინი თუ არა? ეს შეკითხვები ერთიანდება: ისეთი მახასიათებლები, რომელთა წინასწარ გამოცნობა შეიძლება, შედის თუ არა მოსაუბრის ლექსიკურ ერთეულებში? ვინაიდან ამ საკითხთან დაკავშირებით ენათმეცნიერთა შორის შეთანხმება არ არსებობს, განვიხილავთ კვლევის ერთ-ერთ სტრატეგიას, რომელიც შეიძლება გამოსადეგი იყოს ამ საკითხებთან მიმართებაში.

განვიხილოთ ენა, სადაც ნაზალიზებული ხმოვნები (მაგ. [ã]) ორ შემთხვევაში გვხვდება: ზოგი [ã] ისეთ კონტექსტში გამოიყენება, სადაც უპირისპირდება ორალურ [a]-ს, როგორც [pak] და [pãk] სიტყვებში. ზოგი კი იქ გვხვდება, სადაც მომდევნო სეგმენტი ცხვირისმიერი თანხმოვანია: [pãn]. მეორე კონტექსტში არაა უპირისპირება, ვინაიდან ორალური [a] არ გვხვდება ცხვირისმიერ თანხმოვანთან, შესაბამისად *[pan] ფორმა დაუშვებელია. ამ დაკვირვების აღსაწერად საჭიროა ფონოლოგიური წესი:


(40) ნაზალიზაცია
 [+syllabic] → [+nasal] / ____ [+nasal]

ჩვენ მიერ განხილული ენა დასაშვებად მიიჩნევა (40) წესს, ორალური [a]-სა და ნაზალიზებული მენწყილის ალტერნაციის გამო შემუშავებულს.

ახლა განვიხილოთ ამავე ენის ლექსიკური გამოსატყულებები. ნათელია, რომ [pãk]-ის მსგავსი მორფემა ლექსიკურად წარმოდგენილი უნდა იყოს /pãk/-ის სახით, ძირეული /pãk/ ბგერით, ვინაიდან [ã]-ს ნაზალურობა ვერ იქნება წინასწარ ცნობილი მორფემის სხვა თვისებების მიხედვით. მაგრამ რა ვითარებაა ისეთ მორფემებთან დაკავშირებით,

როგორიცაა [pän]? მართალია, ეს [ä] ცალსახად ნაზალიზებულია, (40) წესმა შეიძლება ეს /a/ ბგერადან ანარმოს. თუ ასეა, ლექსიკური ერთეული უნდა იყოს /pan/. უფრო საინტერესო ჰიპოთეზა ისაა, რომ ენაში (40) წესის არსებობა საშუალებას აძლევს მოსაუბრეებს, რომ ააგონ ლექსიკური ერთეულები, რომელთა ხმოვნებიც ნაზალურობის მხრივ გაურკვეველია: მათ უბრალოდ არ აქვთ [+nasal] ან [-nasal] მახასიათებელი. მათ ეს არ აქვთ, ვინაიდან (40) წესი იძლევა გადაჭარბებულ ინფორმაციას. იმისათვის, რომ გავარჩიოთ ნაზალურობის მხრივ გაურკვეველი ხმოვანი ორალური ხმოვნისაგან, მას ვწერთ ასომთავრული A-თი: მაგ, /pAn/. ალტერნატიული ჰიპოთეზა შემდეგია: მართალია, ხმოვნის ნაზალურობა [pän]-ის მსგავს მორფემებში წესის მიხედვით წინასწარ შეცნობადია (40), მაგრამ [ä] ასეთი მორფემები ლექსიკურ ერთეულში მაინც გვხვდება.

შესაძლებელია გონებრივი ლექსიკონის შესახებ არსებული ჰიპოთეზების განსხვავებათა შემოწმება. ვიცით, რომ მოსაუბრენი მოსმენილისა და ლექსიკური ერთეულის შეთანხმების პროცესს სიტყვის პირველივე ბგერის გაგებისას იწყებენ. რაც უფრო მეტ ბგერას ისმენს, მით უფრო ავიწროებს იმ სიტყვების კლასს, რომლებიც შეიძლება მოსმენილს დაემთხვეს. ბოლოს და ბოლოს, შესაბამისი ინფორმაციით, არაორაზროვანი პასუხი მიიღება. როცა მოსაუბრე ცდილობს მოსმენილი სიტყვის ამოცნობას, ის ადარებს დაგროვილ ლექსიკურ გამოხატულებებს. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ მოსაუბრე, რომელმაც სიტყვის არასრული ფრაგმენტი მოისმინა, ისეთი როგორიცაა [pã. . .], ამ ფრაგმენტს დაუკავშირებს ან /pãk/ ან /pãk/-ს. ამის მიზეზი ისაა, რომ მოსაუბრე ფლობს ლექსიკონს, სადაც ერთეულების ერთ-ერთი კლასი იწყება /pA. . ./-თი, სადაც არავითარი ის მითითება არ არის, რომელიც განაცალკევებს ნაზალურ [ä]-ს ორალური [a]-სგან შეთანხმების დროს. ამის მსგავსად, [pa. . .] აღქმული უნდა იყოს, ამ ჰიპოთეზის თანახმად, ან ლექსიკურ /pA/-დ ან ლექსიკურ /pa. . ./-დ. 13.1-ზე ყველაფერი ეს სქემატურად არის წარმოდგენილი.



ნახ.13.1 მიღებული ინფორმაციის შეწყობა აბსტრაქტული ლექსიკონის მითითებულ ან ნაწილობრივ მითითებულ ერთეულებთან.

ალტერნატიული ჰიპოთეზა, რომელიც ეხება კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულებს, ვარაუდობს, რომ აუდიო სიგნალს, როგორიცაა [pa. . .], მოსაუბრეები შეუწყობენ მხოლოდ ორალურ ხმოვანს, ისეთს, როგორიცაა სიტყვაში [pak]: ამის მიზეზი ის არის, რომ ლექსიკური ერთეული [pän], რომელიც შეთავსებადია მეორე თეორიასთან, მოიცავს ხმოვნის ნაზალურობის შესახებ ცნობას, რაც ამ კონტექსტში ზედმეტია.

აბსტრაქტული ლექსიკური ერთეულების სასარგებლოდ უპირველესი დასაბუთება ამგვარია: ექსპერიმენტთა ერთ ჯგუფში (ლაჰირი და მარსლენ-უილსონი 1992.) ბენგალიზე მოლაპარაკებმა მოსმენილ [pã. . .] და [pa. . .]-ზე ისეთი რეაქცია გამოამჟღავნეს, თითქოს მათ ჰქონდათ შერეული ტიპის ლექსიკური ერთეულები, რომელთათვისაც ხმოვანთა ნაზალურობის შესახებ ინფორმაცია არ იყო მნიშვნელოვანი. თუმ-

ცა, ასეთი ინტერპრეტაციისას ნათელია, რომ მოსაუბრეთა ლექსიკონების შესახებ ჰიპოთეზები ითხოვს ემპირიულ დასაბუთებას.

13.5 დასკვნა

ამ თავში წარმოდგენილი იყო ფონოლოგიური გამოხატულებების ძირითადი ელემენტები. მათი შემადგენელი ნაწილებია თვისობრივი მნიშვნელობები. მახასიათებლები ჯგუფდება სემანტის დონეზე დაყვანილ შემადგენლებად. სემანტები, თავის მხრივ, ჯგუფდება ხმოვნისა და ხმოვნის მსგავსი ბგერების გარშემო მარცვლის შესადგენად. მარცვლები ერთმანეთს მიემართებიან პრომინენტულობის კავშირის ტერმინებით.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ერთეულები და მათი კავშირები სასარგებლოა ზუსტი გრამატიკული აღწერისთვის. მაგრამ სამეცნიერო კვლევებში ყველაზე საინტერესო და აქტუალურია ჩვენ მიერ 13.2.3 ქვეთავში დაყენებული მარცვლებთან დაკავშირებული საკითხი: როგორ ხვდებიან მოსაუბრენი მშობლიურ ენაში ამა თუ იმ სიტყვის დამარცვლის წესს? ამ კითხვის დასმა შეიძლება ჩვენ მიერ განხილულ ყველა ფონოლოგიურ გამოხატულებათა ასპექტებთან მიმართებაში. საიდან იციან მოსაუბრეებმა, რომ ასპირაციის მახასიათებელი ისეთ სიტყვაში, როგორცაა *Tom* [thām] ეკუთვნის /t/ სემანტს? ესაა საკითხი იმ დასკვნათა შესახებ, რომელიც სემანტატიკაზე კონკრეტული შეხედულებიდან გამომდინარეობს. საიდან იცის მოსაუბრემ, რომ მეორე და მეოთხე მარცვლების დამახასიათებელი ანეული ტონი და ხანგრძლივობა სიტყვაში *assimilation* მიუთითებს პრომინენტულობის აბსტრაქტულ მახასიათებელზე? ვივარაუდეთ, რომ ასეთი ჩახლართული ცოდნა ფონოლოგიური გამოხატულებებისა ეფუძნება ნაწილობრივ შესასწავლ ენაში შესაძლო სიტყვების შესახებ დასკვნებს, რომლებიც არსებულ და არარსებულ ფორმებზე დაკვირვებით მიიღება, ნაწილობრივ კი კონკრეტული უნივერსალური სტრუქტურებისთვის უპირატესობის მინიჭებას.

საკითხავი ლიტერატურა

- Chomsky, Noam and Morris Halle. 1968 (1991). *Sound Pattern of English*, part iv, chs 7 and 9. Cambridge, MA: MIT Press.
- Hayes, Bruce. 1994. *Metrical Stress Theory: Principles and Case Studies*. Chicago: University of Chicago Press.
- Kahn, Daniel. 1976. *Syllable-based Generalizations in English Phonology*. MIT Ph.D. dissertation. Garland Press, 1980.
- Liberman, Mark and Alan Prince. 1977. On Stress and Linguistic Rhythm. *Linguistic Inquiry*, 8: 249-336.
- Selkirk, E. 1982. The Syllable. In Harry van der Hulst and Norval Smith, eds., *The Structure of Phonological Representations, Part 1*. Dordrecht: Foris.

შენიშვნები აღნიშნულ ენებთან დაკავშირებით.

Cuna

Sherzer, Joel. 1970. Talking Backwards in Cuna. *Southwest Journal of Anthropology*, 26: 343-53.

English

Cowan, Nelson and Lewis Leavitt. 1990. Speakers' Access to Phonological Structure of the Syllable in Word Games.

In *Proceedings of CLS 26 Parasession on the Syllable*, pp. 45-59.

Derwing, Bruce. 1992. The pause-break task in syllable division. *Language and Speech*, 35: 219-35.

French

Lefkowitz, N. 1991. *Talking Backwards*,

Looking Forwards: The French Language Game Verlan. Tübingen: Narr.
 Mehler, J., Dommergues, J.Y., Frauenfelder, U., and Séguin, J. 1981. The Syllable's role in speech segmentation. *Journal of Verbal Learning and Verbal Behavior*, 20: 298-305.

Hungarian

Nádasdy, A. 1985. Segmental Phonology and Morphology. In Istvan Kenesei, ed., *Approaches to Hungarian*, pp. 225-46, Szeged: JATE.
 Vago, Robert. 1980. *The Sound Pattern of Hungarian*. Georgetown University Press.

Polish

Bethin, Christina. 1992. *Polish Syllables: The Role of Prosody in Phonology and Morphology*. Columbus, OH: Slavica Publishers.

Yokuts

Newman, Stanley. 1944. *Yokuts Language of California*. New York: Viking Fund Publications in Anthropology 2.

განსაზღვრული არტიკლი /l/ მაროკოულ არაბულში რეალიზებულია ოთხი განსხვავებული ვარიანტით, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია არსებით სახელზე, რომელზეცაა მიმაგრებული: [l], [l̥] და ალომორფი, რომელსაც ჩვენ C-ს ვუნოდებთ და რომელიც წარმოდგენილია არსებითი სახელის ფუძის პირველი თანხმოვნის გამეორებით. მახასიათებელთა პირობებით განსაზღვრეთ (ა) არსებით სახელთა კლასი, რომელიც C ალომორფს მოითხოვს და (ბ) არსებით სახელთა კლასი, რომელიც [l̥] ალომორფს ითხოვს. ცალკე მდგომი არსებითი სახელის ფორმა იდენტურია, რაც მორფემათა საზღვრის შემდეგ მოდის:

საპარაჯიშოპაი
 საპარაჯიშო 13.7

l ალომორფი	l̥ ალომორფი	C ალომორფი
<i>l-uqid</i> „ასანთები“	<i>l̥-ktab</i> „ნიგნი“	<i>t-tuma</i> „ნიორი“
<i>l-kamyu</i> „სატვირთო“	<i>l̥-br'a</i> „წერილი“	<i>z-zbəl</i> „ნაგავი“
<i>l-biru</i> „ოფისი“	<i>l̥-ɣfəl</i> „საკეტი“	<i>f-fəmf</i> „მზე“
<i>l-firan</i> „თავგები“	<i>l̥-fzək</i> „ბოლოკი“	<i>z-zrad</i> „კალია“
	<i>l̥-ks'ida</i> „შემთხვევა“	<i>d-dfal</i> „ნერწყვი“
		<i>s-sma</i> „ცა“

ქვემოთ წარმოგიდგენთ ფაქტების ორ განსხვავებულ ჯგუფს სანსკრიტიდან და ძველი ბერძნულიდან. თქვენი დავალებაა, განსაზღვროთ თვისობრივი ანალიზის დახმარებით ის საერთო პრინციპი, რაც საფუძვლად უდევს ამ ჯგუფებს.

საპარაჯიშო 13.8

სანსკრიტში სეგმენტები {p^h, t^h, t̥^h, k^h, t̥^h, b^h, d^h, ɣ^h, dʒ^h} არ გვხვდება სიტყვის დასასრულს და ობსტრუენტების წინ. სანსკრიტის თანხმოვანი ფონემებია: {p, t, t̥, k, b, d, d̥, dʒ, ɣ, p^h, t^h, t̥^h, k^h, b^h, d^h, ɣ^h, dʒ^h, s, ʃ, ɟ, m, n, ɾ, l}.

ბერძნულში სეგმენტები {p^h, t^h, k^h} არ გვხვდება სიტყვის ბოლოს და ობსტრუენტების წინ. ბერძნული თანხმოვანი ფონემებია: {p, t, k, b, d, dʒ, ɣ, p^h, t^h, k^h, s, m, n, r, l}.

ამ პრობლემის პასუხის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცება ასპირირებულ ან არაასპირირებულ სეგმენტთა დისტრიბუციის შესახებ. გამოიყენეთ [±aspirat-

ed] მახასიათებელი. მიუხედავად სეგმენტურ ინვენტარს შორის დიდი განსხვავებისა, ამ ორ ენას შორის ასეთი ზოგადი მტკიცების ჩამოყალიბება შესაძლებელია.

საპარაჯიშო 13.9

კუნაზე მოსაუბრენი (ესაა პანამას სანაპიროზე გამოყენებული ინდური ენა) საკუთარ ნათქვამს ნილბავენ უკულმა საუბრით, რასაც თავად *Sorsik Sunmakke*-ს უწოდებენ, ანუ ეს ფრაზა ითარგმნება როგორც „უკულმა ლაპარაკი“. განიხილეთ მაგალითები და ზუსტი წესი ან წესები ჩამოაყალიბეთ, რის მიხედვითაც კუნას ჩვეულებრივი სიტყვები შეიცვლება *Sorsik Sunmakke*-დ. ზუსტად უნდა ახსნათ, როგორ შლიან სიტყვებს მარცვლებად ამ ენაზე მოსაუბრენი.

კუნა	sorsik sunmakke	თარგმანი
<i>dage</i>	<i>geda</i>	მოსვლა
<i>saban</i>	<i>bansa</i>	მუცელი
<i>argan</i>	<i>ganar</i>	ხელი
<i>ina</i>	<i>nai</i>	წამალი
<i>goe</i>	<i>ego</i>	რემი
<i>inna</i>	<i>nain</i>	ჩიჩა (ცხოველი ან მცენარე)

საპარაჯიშო 13.10

ქვემოთ მოცემული და მე-12 თავში წარმოდგენილი წესი ჩანერეთ ფრჩხილების ან უშუალო შემადგენელთა სტრუქტურული ხის ან # საზღვრების დახმარებით. დაახასიათეთ ქვემოთ წარმოდგენილი სეგმენტთა კლასები თვისებათა მნიშვნელობების კომბინაციების იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათი გამოყოფისთვის იმ სეგმენტებისგან, რომლებსაც ეს წესი არ ეხება.

(ა) ყველა ცხვირისმიერი თანხმოვანი უკანასასისმიერი ხდება, როცა მას უკანასასისმიერი თანხმოვანი მოსდევს იმავე მარცვალში. ამგვარად, nk → nk, თუ ისინი სხვადასხვა მარცვალს არ მიეკუთვნებიან.

(ბ) სიტყვის ბოლოს ნაწილობრივ მომრგვალებული ხმოვნები ხდება [+tense].

(გ) მარცვლის საწყისი ხშული ფშვინვიერია.

საპარაჯიშო 13.11

გააანალიზეთ შემდეგი შედგენილი არსებითი სახელები:

(ა) *lâw degré*

(ბ) *lâw schòol*

lânguage requirements

(გ) *lânguage requirements changes* (ნიშნავს ენის მოთხოვნებში შეტანილ ცვლილებებს)

pîpe òrgan lèsson

lâw schòol chùm (ნიშნავს მეგობარს იურიდიული სკოლიდან)

(დ) *làw degré lânguage requirements*

làbor ùnion finance còmmittee

flÿ-ròd tróut fishing

ხელახლა გადაიკითხეთ მე-2 თავის 2.7 ქვეთავი და წარმოადგინეთ ყველა მათგანის შემადგენელთა სტრუქტურები მათსავე მნიშვნელობაზე დაყრდნობით. ახლა კი ჩამოაყალიბეთ წესი მთავარი მახვილის განაწილების შესახებ შემადგენელთა სტრუქტურის მიხედვით

ფონოლოგია III: განმარტებები და შეზღუდვები ფონოლოგიაში

შინაარსის სარჩევი

- 14.0 შესავალი
- 14.1 კონკურენტული ანალიზების შეფასება
- 14.2 წესებისა და პრინციპების კავშირი
- 14.3 დამატებითი შეკითხვები
- 14.4 რამდენად ზოგადია?
- 14.5 შეზღუდვების კროს-ლინგვისტური სიზუსტე
- 14.6 შესაძლო წესები და ანალოგიის

პრინციპები

- 14.7 შეზღუდვათა კონფლიქტი
- 14.8 ტიპოლოგია, მარკირება და კლასიფიკაციის ვარიანტები
- 14.9 შეზღუდვათა კლასიფიკაციის გავლენა სიტყვათწარმოებაზე
- 14.10 დასკვნა
- საკითხავი ლიტერატურა
- სავარჯიშოები

14.0 შესავალი

ენათმეცნიერის კარიერის დასაწყისში აღმოაჩინეთ, რომ ერთი და იგივე მაგალითი შეესატყვისება განსხვავებული ტიპის ანალიზს. როგორ უნდა გადავწყვიტოთ, ამათგან ანალიზის რომელი სახე წარმოადგენს საუკეთესოდ მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა ცოდნას? ეს თავი ამ კითხვას ეძღვნება. ჩვენი მიზანია, გავაცნოთ მკითხველს როგორ ამტკიცებენ ენათმეცნიერები, რომ უამრავი ვარიანტიდან ერთი გარკვეული ტიპის ანალიზი გვაძლევს მოსაუბრეთა ფონოლოგიური ცოდნის აღწერის საუკეთესო მოდელს.

14.1 კონკურენტული ანალიზების შეფასება

ფაქტი, რომ უამრავი განსხვავებული ანალიზი შეიძლება გამოვიყენოთ ერთი და იმავე მაგალითისთვის, ნათლად ჩანს ინგლისურის შემდეგი ალტერნატივიდან: წარსულისა და წარსულის მიმდევარის სუფიქსები ენაცვლებიან *t*, *d* და *[əd]* ალომორფების სახით.

- (1) წარსული დროისა და წარსულის მიმდევარის მორფემების ალომორფები ინგლისურში.

	[t] ალომორფი		[d] ალომორფი		[əd] ალომორფი
licked	[likt]	bugged	[bʌgd]	mended	[mɛndəd]
squished	[skwɪft]	leaned	[liɪnd]	parted	[pɑrtəd]
kept	[kept]	buzzed	[bʌzd]	feasted	[fi:stəd]
laughed	[læft]	played	[pleɪd]	batted	[bætəd]

მორფემებს, რომლებიც ენაცვლებიან *t/d/* [d]-ს სახით, ვუნოდებთ T-სუფიქსებს. (1)-ში წარმოდგენილი მაგალითები ორი საკითხის ილუსტრაციაა:

(2) ა. T-სუფიქსში მჟღერი ბგერის შემდეგ ხშული მჟღერი [d] ბგერაა (მაგ. [g], [z], [n]), ხოლო ყრუ ბგერის შემდეგ ყრუ [t] ბგერაა (მაგ. [p], [k], [ʃ]).

ბ. შვა [ə] T-სუფიქსში გვხვდება იდენტურ თანხმოვნებს შორის (როგორც სიტყვაში *mended* [mɛndəd]) ან მხოლოდ წარმოთქმით განსხვავებულ თანხმოვნებს შორის (როგორც სიტყვაში *feasted* [fi:stəd]).

ასეთი სახის განზოგადებები შეიძლება გავაერთიანოთ ანალიზის სხვადასხვა სახეობაში. განვიხილოთ სამი ტიპის ანალიზი, თითოეული ერთი შეხედვით თანაბრად იმედის მომცემია. მათი შედარება ორ წერტილში ხდება, ესენია: საუკეთესო წარმოთქმის წესები და შვა/წულოვანი ალტერნაციების აღწერა.

წარმოთქმითი ალტერნაციები შეიძლება განვიხილოთ ისეთ შემთხვევაში, როცა ძირითადი /d/ ცალკეულ კონტექსტში ხდება [t], ან პირიქით. შვა/წულოვანი ალტერნაციები შეიძლება გაანალიზდეს, ერთი მხრივ, როცა შვა არაა წარმოდგენილი იქ, სადაც უნდა იყოს, მეორე მხრივ, როცა იგი გვხვდება იქ, სადაც წესით მისი ადგილი არ არის. ანალიზისას შევნიშნავთ, რომ რა სახის ვარაუდიც არ უნდა გამოითქვას, შესაფერისი წესი შეიძლება დაინეროს ამ შემთხვევის აღსაწერად. მაგრამ ზოგი ასეთი წესი სხვებზე უკეთესია. ჩვენი უპირველესი მიზანია იმ პრინციპების განხილვა, რის მიხედვითაც მათ შორის არჩევანი კეთდება. პირველი შესაძლო ვარიანტია ანალიზი 1, რომელიც ამტკიცებს, რომ T-სუფიქსის ძირითადი გამოხატულებაა მჟღერი d. ამ შემთხვევაში (1)-ში წარმოდგენილი ფორმების პირველი რიგის ძირითადი და ზედაპირული გამოხატულებები ასე გამოიყურება:

(3) ანალიზი 1: თუ ძირითადია /d/

ძირითადი	ზედაპირული	ძირითადი	ზედაპირული	ძირითადი	ზედაპირული
/lik-d/	[likt]	/bʌg-d/	[bʌgd]	/mɛnd-d/	[mɛndəd]
(licked)		(bugged)		(mended)	

იმისათვის, რომ ძირითადი /mɛnd-d/ ვაქციოთ ზედაპირულ [mɛndəd] ფორმად, საჭიროა წესი, რომელიც ჩასვამს [ə] ბგერას იდენტურ (d-d) ან მსგავს თანხმოვნებს (t-d)-ს შორის. (ტერმინს „მსგავსი“ ვიყენებთ თანხმოვანთა ისეთი წყვილების აღსანიშნად, როგორიცაა t-d, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ წარმოთქმის მიხედვით). იმისათვის, რომ ძირითადი /lik-d/ იქცეს ზედაპირულ [likt] ფორმად, საჭიროა იმ წესის ფორმულირება, რომლის თანახმადაც ყრუ სეგმენტის მერე მდგომი სიტყვის ბოლო პოზიციაში /d/ ასევე უნდა გახდეს ყრუ. ქვემოთ წარმოდგენილია ორი ასეთი წესი:

(4) ანალიზი 1-ის წესები:

ა. შვა: $\emptyset \rightarrow [ə] / C_1 - C_2$ თუ C_1 და C_2 მსგავსი თანხმოვნებია (მსგავსი თანხმოვნები = მხოლოდ წარმოთქმით განსხვავებულები)

ბ. ყრუდ ქცევა: [+voice] ობსტრუენტი → [-voice] ობსტრუენტი/ [-voice] ბგერა — #

(5) წარმოგედგენთ, (1)-ში მოყვანილი მაგალითები როგორ გამომდინარეობს შვი-სა და ყრუდ ქცევის წესებიდან. აღნიშვნა n/a მიუთითებს, რომ წესი შეუსაბამოა მოცემული ფორმისათვის. დეფისები მორფემებს ერთმანეთისგან გამოყოფს: ვინაიდან ეს არაფონოლოგიური ინფორმაციაა, ჩვენ მას ნაწარმოებ ფორმებში გამოვტოვებთ.

(5) ანალიზ 1-ზე დაფუძნებული დერივაციები.

ძირითადი გამოხატულება	/bʌg-d/	/lɪk-d/	/mɛnd-d/
შვა	n/a	n/a	mɛndɪd
ყრუდ ქცევა	n/a	lɪkt	n/a
ზედაპირული გამოხატულება	bʌgd	lɪkt	mɛndɪd

(1)-ში წარმოდგენილი მაგალითები შეესაბამება მეორე ანალიზსაც, სადაც T-სუ-ფიქსის ძირითადი გამოხატულებაა /t/.

(6) ანალიზი 2: თუ ძირითადია /t/

ძირითადი	ზედაპირული ძირითადი	ზედაპირული ძირითადი	ზედაპირული	ზედაპირული
/lɪk-t/	[lɪkt]	/bʌg-t/	[bʌgd]	/mɛnd-t/ [mɛndɪd]

ანალიზის ამ ახალი ფორმით იცვლება იმ წესის ბუნება, რომელიც ცვლის სუფიქს-სა წარმოთქმას. თუ ჩვენ ძირითად ფორმად /bʌg-t/ ფორმას მივიჩნევთ, მაშინ საჭირო გახდება მისი შეცვლა [bʌgd] ფორმით და ასევე /lɪn-t/ შეიცვლება [lɪnd]-ით, /mɛndə -t/-ს ჩაენაცვლება [mɛndɪd]: ამას გააკეთებს წარმოთქმის წესი, რომელიც მჟღერის შემდეგ მდგარ სუფიქსურ /t/ ბგერას [d] ბგერად აქცევს. შვის წესი კი იგივე რჩება.

(7) 2 ანალიზის წესები:

ა. შვა: Ø → [ə] / C₁ ___ C₂ თუ C₁ და C₂ მსგავსი თანხმოვნებია.

ბ. წარმოთქმა - [-voice] ობსტრუენტი → [+voice] ობსტრუენტი/ [+voice] ბგერა — — —

2 ანალიზის დერივაციები ისეთივე მარტივია, როგორც 1 ანალიზისა. აღსანიშნავია, რომ შვა მჟღერი ბგერაა და შესაბამისად, მას არ ეხება წარმოთქმის წესი.

(8) 2 ანალიზზე დაფუძნებული დერივაციები

ძირითადი გამოხატულება	/bʌg-t/	/lɪk/t	/mɛnd-t/
ხშვა	n/a	n/a	mɛndɪt
წარმოთქმა	bʌgd	n/a	mɛndɪd
ზედაპირული გამოხატულება	bʌgd	lɪkt	mɛndɪd

მნიშვნელოვანი განსხვავებაა 1 და 2 ანალიზს შორის და ეს განსხვავება უკავშირდება იმ წესების განზოგადებას, რასაც ეს ანალიზი იყენებს. ინგლისურში ყრუ ხშულისა + d ბგერის იშვიათი მიმდევრობაც გვაქვს (როგორც სიტყვაში anecdote [æn əkdoʊt]) მაგრამ ასეთი მიმდევრობა არ გვხვდება სიტყვის ბოლოს. შემთხვევითი არ არის, რომ ისეთი სიტყვები, როგორიცაა [læpd] [mɪkd] და ა.შ. არ არსებობს ინგლისურ ენაში. ამით უფრო მასშტაბური განცხადების გაკეთება შეიძლება:

(9) წარმოთქმის შეთანხმების პრინციპი:

ობსტრუენტი ბგერები შეიძლება არ განსხვავდებოდნენ [\pm voice] თვისების მიხედვით ინგლისური სიტყვის ბოლოს.

(9)-ში გადმოცემულია ფაქტი, რომ [kasb], [mifz] სიტყვები [-voice]-[+voice] ობსტრუენტების მიმდევრობით დაუშვებელია ინგლისურში; ასევე (9) გამორიცხავს [bɜgs], [mæbt], [kezp] სიტყვებს, სადაც [+voice] [-voice] წყვილია წარმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ არასწორ ფორმირებაზე მსჯელობა წყდება მაშინ, როცა წარმოთქმის შეუთავსებლობა სწორდება: [kasp], [mifs], [bɜgz] დაუდასტურებელი სიტყვებია, მაგრამ არა – მიუღებელი.

(9)-ს მნიშვნელობა 1 ანალიზისთვის ისაა, რომ იგი საფუძველს ქმნის წესისთვის, რომელიც აუცილებელია ზედაპირული ფორმების სანარმოებლად. მაგალითად, ახლა უკვე ვიცით, ძირითადი /lɪkd/ რატომ იცვლება [lɪkt] ფორმით. თუ ასე არ მოხდებოდა, მაშინ წარმოთქმის შეთანხმების პრინციპი დაირღვეოდა. შესაბამისად ეს პრინციპი ინგლისური ენის შესახებ უბრალოდ ფაქტის კონსტატაციას არ წარმოადგენს: ის ასევე დახმარებას გვინვეს, რომ ავხსნათ ზოგ შემთხვევაში რატომ განსხვავდება ძირითადი და ზედაპირული ფორმები. 1 ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომ იგი [t] და [d] ბგერებს შორის წარმოთქმის ალტერნაციას განიხილავს, როგორც ინგლისურ ბგერათა სტრუქტურის ზოგადი პრინციპის აუცილებელ შედეგს. ყრუ ბგერად ქცევა ხდება იმის გამო, რომ ინგლისური ენა სწორი ფორმირების გარკვეულ სტანდარტებს აწესებს ზედაპირულ ფორმებზე. (9) პრინციპიც ერთ-ერთი ასეთი სტანდარტია.

შეგვიძლია თუ არა 2 ანალიზის წარმოთქმის წესიც ანალოგიურად განვიხილოთ? გავიხსენოთ, რომ (7ბ) წესის მიხედვით, ძირითადი /bæg-t/ უნდა შეიცვალოს [bægd] ფორმით, /lɪn-t/ → [lɪnd] და /mɛndə-t/ → [mɛndəd]. წარმოთქმის შეწყობის პრინციპი ინვესტს ცვლილებას /bæg-t/ ფორმიდან [bægd] ფორმის მიღებისას, მაგრამ დანარჩენ შემთხვევაში ეს პრინციპი არ მონაწილეობს: იგი არ გამორიცხავს მჟღერი სონორისა და ყრუ ობსტრუენტის მიმდევრობას. მართლაც, ეს მიმდევრობები ბრწყინვალეაა ფორმირებული: *secret* [sɪkrət] *mint* [mɪnt] მოიცავს [ət] და [nt] წყვილებს. ასეთი მიმდევრობის სხვა მაგალითებია: *fault*, *kelp*, *purse*, *ark*. ამ მიზეზით ვერ ჩამოვყალიბებთ (10)-ის მსგავს ზოგად აზრს.

(10) [+voice] [-voice] სეგმენტთა მიმდევრობა არც ერთი ინგლისური სიტყვის დაბოლოებაში არ გვხვდება.

ვინაიდან (10) ინგლისურ ენაში არასწორია, 2 ანალიზის წარმოთქმის წესი არაა მოტივირებული ზოგადი პრინციპით. ეს ასახულია (7ბ)-ში წარმოთქმის ჩვენეულ ფორმულირებაში: უნდა ითქვას, რომ მხოლოდ T-სუფიქსები ექვემდებარება ამ წესს. ამგვარი შეზღუდვა რომ არ გავაკეთოთ, მაშინ წარმოთქმა არასწორად მოგვცემდა /mɪnt/-იდან *[mɪnd] ფორმას. წარმოთქმის წესის ასეთი სახით წარმოადგენის მთავარი მიზეზია, 2 ანალიზი /t/-ს წარმოადგენს T-სუფიქსის ძირითად გამოხატულებად: წარმოთქმის ინგლისურის წესად მიჩნევის სხვა მიზეზი არ არსებობს. როგორც ვნახეთ, ანალიზი 1 განმარტავს ენაში [t]/[d] ალტერნაციების არსებობის მიზეზს, ხოლო ანალიზი 2 ამას არ აკეთებს. ამიტომაც არჩევანს პირველზე ვაკეთებთ. ჩვენი არჩევანის ზოგადი საფუძველია, რომ გვჭირდება ისეთი ანალიზის ფორმა, რომელშიც მოვლენა ვლინდება ზოგადი პრინციპების შედეგების სახით. ეს თვისება 1 ანალიზს აქვს.

ახლა კი შემდეგი ვარიანტი იჩენს თავს: T-სუფიქსებისთვის შეგვეძლო გამოგვეყენებინა ან ძირითადი გამოხატულება, სადაც [əd] ბგერა არაა, ან შვის? ჩასმა. ესაა ანა-

ლიზის მესამე სახე (ანალიზი 3).

(11) ანალიზი სამი: თუ ძირითადია /əd/

ძირითადი ზედაპირული	ზედაპირული ძირითადი	ზედაპირული ძირითადი	ძირითადი ზედაპირული	ძირითადი ზედაპირული
/lik-əd/ [mɛndəd]	[likt]	/bʌg-əd/ [bʌgd]	[bʌgd]	/mɛnd-əd/ [mɛndəd]

თუ T-სუფიქსები შეიცავენ ძირითად შვას, მაშინ შვა გაუქმებული უნდა იყოს /likəd/, /bʌgəd/-დან და ზოგადად, ყველგან, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ის მსგავს თანხმონებს ყოფს, როგორც /dəd/ ან /təd/ სიტყვებში. (12ა)-ში წარმოგიდგენთ შვის ნაშლის წესს, რომელიც ბგერის ყრუდ ქცევის წესს უსწრებს წინ:

(12) 3 ანალიზის წესები:

ა. შვის ნაშლა: [ə] → Ø / C₁..... C₂ თუ C₁ და C₂ არაა მსგავსი თანხმონები.

ბ. ყრუდ ქცევა: [+voice] ობსტრუენტი → [-voice] ობსტრუენტი / [-voice] ბგერა დერივაციები წარმოდგენილია (13)-ში:

(13) 3 ანალიზის მიხედვით წარმოქმნილი დერივაციები:

ძირითადი გამოსატყულება	/bʌg-əd/	/lik-əd/	/mɛnd-əd/
შვის ნაშლა	bʌgd	likt	n/a
ყრუდ ქცევა	n/a	likt	n/a
ზედაპირული გამოსატყულება	bʌgd	likt	mɛndəd

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ 1 და 3 ანალიზის ტიპებს შორის არჩევანის გაკეთება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზოგადია მათი პრინციპები. წარმოგიდგინოთ, რომ ჩვენ ვარჩევთ 1 ანალიზს. ინგლისურ ბგერათა სტრუქტურის ზოგადი პრინციპის მოთხოვნის მიხედვით შეგვიძლია თუ არა (4ა) შვის წესი გავამართლოთ: დიახ. შვის მიერ განცალკევებულ ბგერათა ნწყილები ძირითადად დაუშვებელია ერთად (td, dd), უფრო მეტიც, ყველა მსგავსი ობსტრუენტების მიმდევრობა მიუღებელია: kk, kg, gk, gg და ა.შ. მოდით, განვიხილოთ ჩვენი დაკვირვება ყველაზე ზოგადი ფორმით, როგორც ეს (14)-შია წარმოდგენილი:

(14) პრინციპი „არც-ზედმეტად-მსგავსი“

მსგავსი ობსტრუენტების მიმდევრობა – ანუ მხოლოდ წარმოთქმის მიხედვით განსხვავებული ობსტრუენტები – დაუშვებელია ინგლისურ სიტყვებში.

შვას ჩასმა ისეთ სიტყვებში, როგორცაა *feasted* (14)-ში წარმოდგენილი პრინციპის ბუნებრივი შედეგია: ესაა საშუალება, რითიც ინგლისური ფონოლოგია (14)-ში აერთიანებს არა მხოლოდ გამოსატყულებების ზოგიერთ ტიპს, არამედ ზედაპირულ ფორმებსაც.

ახლა კი დავეშვათ, რომ ავირჩიეთ 3 ანალიზი. შეიძლება თუ არა რომ (12ა) წესში ნაგულისხმევი ხშვის ამოღება გავამართლოთ ზოგიერთ ფაქტთან მიმართებით? ყოველთვის იშლება თუ არა შვა ინგლისურში, გარდა მსგავსი თანხმონების შემთხვევებისა? არა. არსებობს უამრავი სიტყვა: *Pamela* [pæmələ], *barrack* [bærək], *skeleton* [skelətən], რომლებშიც განსხვავებულ თანხმონებს შორის შვა ბგერაა წარმოდგენილი. ასევეა სიტყვები *crooked* [krʊkəd], *aged* [eɪdʒəd], სადაც შვა ბგერა გვხვდება ბოლო [d] ბგერასა და მის წინ მდგომ განსხვავებულ თანხმონებს შორის. გარდა ამისა არის სი-

ტყეები, სადაც შვა გვხვდება T-სუფიქსების წინ. სიტყვა *rhuma* და *fantasia* შეგვიძლია ვაქციოთ ზმნებად, რომელთა წარსული ფორმა იქნება [rʌmbəd] და [fænteizəd] და არა *[rʌm(b)d] ან *[fænteizd].

(15) He [fænteizəd] (*[fænteizd]) me into. . .

შვა ვერ ამოიშლება მოყვანილ შემთხვევებში, თუმცა (12ა) წესის თანახმად ეს ასე უნდა მოხდეს კიდევ. შეგვიძლია ეს წესი უფრო დავხვეწოთ და ასე ჩავწეროთ:

(16) შვას ნაშლა (განახლებული)

[θ] → Ø /C₁ ___ C₂ თუ C₁ და C₂ მსგავსი თანხმოვნები არ არის და თუ [θ] ფუძის ნაწილი არაა.

ეს წესი ეხება ყველა შემთხვევას და თავიდან გვარიდებს არასწორ ინტერპრეტაციას. 3 ანალიზის ეს განახლებული ვერსიაც კი 1 ანალიზისადმია დაქვემდებარებული: იგი არ განმარტავს, რატომ უნდა ხდებოდეს შვა/წლოვანი ალტერნაცია. არ არსებობს ამკარა მიზეზი იმისა, თუ T-სუფიქსების შვა რატომ უნდა იყოს ამოღებული ისეთ კონტექსტში, როცა სხვა სახის შვა სტაბილურია. ამის საპირისპიროდ, წესი შვას ჩამატების აუცილებლობის შესახებ (რაც 1 ანალიზის ნაწილია) ბუნებრივი გახდა „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპის მიხედვით (14)-ში: /mɛnd-/ის მსგავს შემთხვევებში ეს პრინციპი ნათლად გვიხსნის, რატომ უნდა შეიცვალოს ასეთი ფორმები.

ამ დროისათვის ვხედავთ, რომ ანალიზის ტიპების შედარება უნდა მოხდეს მათი მიმართების განზოგადებით. აღწერის მიხედვით ორი ანალიზი შეიძლება ეკვივალენტური იყოს (თუ წესები აზოგადებს მსგავს ზედაპირულ ფორმებს მსგავსი ძირითადი ფორმებისგან), მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი განსხვავდებიან მაგალითების ახსნით და სხვა ერთნაირ მოვლენასთან მიმართებით. რაც უფრო სრულყოფილია ანალიზი, მით უფრო ზოგადია: იგი კონკრეტულ მოვლენებს – როგორცაა მორფემათა ალტერნაცია – აერთიანებს ზოგადი პრინციპების რეფლექსებად.

14.2 წესებისა და პრინციპების კავშირი

მოსაუბრებმა მშობლიური ენის ბგერათა სტრუქტურის სულ ცოტა ორი ასპექტი მაინც იციან: მორფემათა მონაცვლეობა და მისი მოტივაციის პრინციპები. პირველ რიგში, მათ იციან, რომ მორფემები ენაცვლებიან და შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ რომელი ვარიანტი იქნება საჭირო სიტყვაში, რომელიც მანამდე არასოდეს შეხვედრიათ. ეს კარგად ჩანს ახლად წარმოებულ ზმნებში: არსებითი სახელები, რომლებიც ზმნებადაც გამოიყენება. ერთი ასეთი ზმნა ვანარმოეთ (15)-ში (*fantasia*) არსებითი სახელისგან. ინგლისურად მეტყველთ შეუძლიათ განსაზღვრონ [t] [d] თუ [əd] იქნება მის წარსულ ფორმაში. განვიხილოთ ზმნები: *to Hamlet*, *to Falstaff* და *to Lear*, რომელთა ინტერპრეტაცია მზა ფორმითაა კონტექსტიდან და პიესის სიუჟეტიდან მოწოდებული.

(17) ა. [d]: He Leared [liərd] his possessions to his older daughters.

ბ. [t]: He Falstaffed [fɒlstæft] in that pub throughout the war.

გ. [əd]: He Hamleted [hæmlətəd] in this way for many months.

მორფემათა ვარიანტების სწორად გარჩევის უნარი ხშირად მიუთითებს, რომ მოსაუბრემ იცის ალომორფთა დისტრიბუციის განმსაზღვრელი ფონოლოგიური წესები.

ყოველივე ზემოაღნიშნულისგან დამოუკიდებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოსაუბრებმა იციან ამ წესებისა და ალტერნაციების არსებობის გამომწვევი პრინციპები.

(ძირითადად ესაა გაცნობიერებული ცოდნა, როგორც ეს პირველ თავში აღინიშნა). მათ იციან წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპი, რომელიც (9)-ში იყო წარმოდგენილი და (14)-ში გადმოცემული „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპი: ისინი განასხვავებენ მისაღებ ფორმებს. აღსანიშნავია, რომ წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპი უფრო ზოგადია, ვიდრე მისგან მოტივირებული ყრუდ ქცევის წესი. პრინციპი გამოყოფს ობსტრუენტთა წყვილს, რომელიც [voice] მახასიათებლით განსხვავდება მხოლოდ, მაგალითად, სიტყვები *[fæbt] და *[fapd] – მაშინ, როცა აქ საჭიროა ყრუდ ქცევის წესი: ის /d/-ს აქცევს /t/-დ. ამგვარად, წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპი დამოუკიდებელია და ცდება (4ბ) ყრუდ ქცევის წესს.

იგივე ვითარებაა არც-ზედმეტად-მსგავს პრინციპსა და შუა ბგერასთან დაკავშირებით. პირველის კონტექსტი უფრო ფართოა, ვიდრე შუა ბგერის ჩასმის წესისა. სუფიქსაციისას მსგავსი ობსტრუენტების ერთად მოხვედრის თავიდან აცილება ხდება არა მხოლოდ შუა ბგერის ჩასმით, არამედ სხვა საშუალებითაც: მაგალითად, [θ]-ზე დასრულებული ზედსართავი სახელი, როგორცაა *smoo[θ] -th* სუფიქსს არ დაირთავს არსებით სახელად გადაკეთებისას (როგორც ეს ხდება *wide-width, broad-breadth* სიტყვების შემთხვევაში). თუკი ეს მოხდებოდა, მაშინ ორი ერთნაირი ობსტრუენტი [θ] მოიყრიდა თავს. (14) პრინციპის მიერ წარმოდგენილი ეს პრობლემა სხვადასხვაგვარად წყდება T-სუფიქსების თვალსაზრისით, ვინაიდან *th*-აფიქსაცია შეწყვეტილია: *smooth* ზედსართავი სახელიდან არსებითი სახელი განსხვავებული გზითაა ნაწარმოები და მიღებული *smoothness*. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ (14) პრინციპს იმ შემთხვევაში თუ ის დამოუკიდებელია შუა ბგერის ჩასმის წესისგან. (18) დიაგრამა ამის ნათელი მაგალითია:

(18) (14) პრინციპის მიერ წარმოდგენილი პრობლემები და მათი გადაჭრის ორი გზა:

პრობლემა: პრინციპი (14) დარღვეულია სიტყვაში: men d – d
smoo θ – θ

გადაჭრის გზა: (ა) შვას ჩასმა (წესი (4ა))
(ბ) აფიქსაციის დაბლოკვა

განსხვავებული სუფიქსის არჩევა

შედეგი: ზედაპირული ფორმები აკმაყოფილებენ men[dəð]
smoothness

(14) პრინციპს

განიხილეთ მოცემული [t] და [s] ვარიანტების ალტერნაციები ინგლისურში:			
(ა) <i>pirate</i>	[paɪrət]	<i>piracy</i>	[paɪrəsi]
<i>vacant</i>	[veɪkənt]	<i>vacancy</i>	[veɪkənsi]
<i>secret</i>	[sɪkrət]	<i>secrecy</i>	[sɪkrəsi]
<i>president</i>	[prezɪdənt]	<i>presidency</i>	[prezɪdənsi]
<i>accurate</i>	[ækjʊrət]	<i>accuracy</i>	[ækjʊrəsi]
<i>fluent</i>	[fluənt]	<i>fluency</i>	[fluənsi]
დანერეთ ფონოლოგიური წესი ამ მაგალითებისთვის იმ სტილში, როგორც ეს მე-12-13 თავებში იყო მოცემული. ნათლად აღნიშნეთ, თითოეული წყვილისთვის რომელ			

გამოხატულებას მიიჩნევთ ძირითად ფორმას. ზემოთ მოყვანილი მაგალიტები ინგლისურში წარმოადგენენ ძირისა და სუფიქსის მხოლოდ ცალკეულ კომბინაციებს: თუმცა წესებისა და პრინციპების ფორმულირება ამის გაუთვალისწინებლად გააკეთეთ.

ახლა კი განიხილეთ (ბ)-ში მოცემული ფორმები:

(ბ) <i>modest</i>	[mədɛst]	<i>modesty</i>	[mədɛsti]
<i>honest</i>	[ənəst]	<i>honesty</i>	[ənəsti]
<i>pederast</i>	[pɛdərəst]	<i>pederasty</i>	[pɛdərəsti]

თუ (ა)-ში წარმოდგენილი წესი ეხება *modest*-ის მსგავს ფორმებს, მაშინ მივიღებთ *[mədɛssi] ფორმაში მეორე [s]-ით. ამ თავში განხილულ ფონოლოგიურ საკითხებზე დაყრდნობით, ერთი წინადადებით ახსენით, რატომ არ შეესაბამება ეს წესი ისეთ ფორმებს, როგორც (ბ)-შია წარმოდგენილი. წესის ხელახალი ჩაწერა კი არ არის საჭირო /s/-ის ამგვარი კონტექსტიდან გამორიცხვისთვის, არამედ თქვენ უნდა გაითვალისწინოთ შესაძლო არასასურველი შედეგები ამ წესის /st/ მიმდევრობასთან მიმართების შემთხვევაში.

სავარჯიშო
14.2

განიხილეთ შემდეგი ალტერნაცია, რომელიც ერთ-ერთ კუშიტურ ენაში, აფარ-ში გვხვდება:

აკუზატივი	ნომინატივი/გენეტივი	თარგმანი
<i>xamíla</i>	<i>xaml-í</i>	ხავსი
<i>?agára</i>	<i>?agr-í</i>	ქეცი
<i>darágu</i>	<i>darg-í</i>	წყლიანი რძე

წარმოადგინეთ ძირითადი გამოხატულებები სამივე ძირისთვის. ჩაწერეთ წესი, რომელიც ძირების ალტერნაციას ეხება (არსებობს რამდენიმე შესაძლო ვარიანტი ასეთი წესის ჩამოსაყალიბებლად).

ახლა კი განიხილეთ შემდეგი ფორმები, რომლებიც თქვენ მიერ წარმოდგენილი წესის ზოგად შეზღუდვას წარმოადგენს.

აფარის ფორმა	თარგმანი
<i>midʰadʰ-í</i>	ხილი – ნომინატივი/გენეტივი
<i>sababá</i>	მიზეზი
<i>xarar-é</i>	დაინვა


ჩამოაყალიბეთ პრინციპი – ტექსტში განხილული რომელიმე შემთხვევის მსგავსი – რომელიც, ახსნის რატომ არ ეხება თქვენი წესი ზემოთ მოყვანილ ფორმებს. ზუსტად წარმოადგინეთ კავშირი წესსა და პრინციპს შორის იმის განმარტებით, თუ რა ტიპის გამოხატულებები აკმაყოფილებს თქვენი პრინციპის მოთხოვნებს: ძირითადი, შუალედური, ზედაპირული გამოხატულებები თუ მათი სხვა ტიპის კომბინაცია?

მას შემდეგ, რაც შევთანხმდით, რომ *-th* სუფიქსი არაპროდუქტიულია, შეიძლება იყოს ერთზე მეტი მიზეზი იმისა, რატომაც *smoothness* მისაღები, ხოლო **smooth-th* მიუღებელი. ჩვენი შეხედულების დამამტკიცებელი არგუმენტი შეგვიძლია ამოვიკითხოთ

ორი *th* ფორმის შედარებით: *rough-th* [ɾafθ] და *smooth-th* [smuðθ] არც ერთი არაა სრულყოფილი, მაგრამ მაინც ვამტკიცებთ, რომ [smuðθ] და [smuθθ] საგრძნობლად უარესია, ვინაიდან ეს ფორმები (14) პრინციპსაც არღვევს.

ამ დავალების შესრულებისას შეგვიძლიათ უგულებელყოთ ეს ფაქტი და თქვენი ვინაიდან ზოგი პრინციპი ამ პრინციპებითვე მოტივირებულ წესებზე ზოგადია, ჩნდება კითხვა: რისთვის გვჭირდება მაშინ წესები? უბრალოდ იმის ცოდნა, რომ ძირითადი გამოხატულება, როგორცაა /mend-d/ არღვევს (14) პრინციპს, საკმარისია, რათა მივხედეთ, რომ შესაბამისი ზედაპირული ფორმა [mendəd] შეიცავს შვასს. ეს არაა ნაჩვენები (18)-ში, სადაც ვნახეთ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ორი გზითაა შესაძლებელი, ან სიტყვის ფონოლოგიური წყობის შეცვლით (ფონოლოგიის წესის გამოყენებით) ან სხვადასხვა აფიქსის შერჩევით (მორფოლოგიურად). ფაქტიურად, ფონოლოგიური გზაც კი მრავალფეროვანია. ძირითადი /lik-d/ (*licked*) და /bæt-d/ (*batted*) ფორმებისთვის, რომლებიც არღვევენ წარმოთქმითი შეთანხმებისა და პრინციპს „არც-ზედმეტად-მსგავსი“, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მრავალგვარი ზედაპირული ფორმა, რომელიც ორივე წესს შეესაბამება. წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპის მიხედვით ერთი თანხმოვანი უნდა ამოვარდეს (/bæt-d/ → *[bæd]) ან უნდა ჩაისვას ხმოვანი (/lik-d/ → *[likəd]). ამგვარად, მხოლოდ წარმოთქმითი შეთანხმების მართებულობა ანალიზს არ მოგვცემს. ამის მსგავსად, /bæt-d/ შეიძლება სხვადასხვაგვარად გადაკეთდეს, რომ პრინციპს „არც-ზედმეტად-მსგავსი“ მოერგოს: შეგვიძლია ერთ-ერთი თანხმოვანი ამოვიღოთ (/bæt-d/ → *[bæd]) ან შევცვალოთ ისე, რომ ნაკლებად მსგავსი გახდნენ (/bæt-d/ → *[bænd]) ან ჩავსვათ მათ შორის შვას გარდა სხვა ბგერა (/bæt-d/ → *[bæ-ənei-d]). ვარსკვლავიანი ფორმები სრულიად აკმაყოფილებს ჩვენთვის ნაცნობ ყველა პრინციპს ინგლისურში, მაგრამ ისინი მაინც მიუღებელია ძირითადი ფორმის გადმოსაცემად. მაშასადამე, გვჭირდება წესები, რათა თითოეული პრობლემის გადაჭრის საშუალებები დავიყვანოთ ენაში გამოიყენებადზე.

- (19) ალტერნატიული გზები ორი ფონოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად: წარმოთქმითი შეთანხმებისა და „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპების დარღვევისთვის.



დავასრულეთ წესების საჭიროებაზე დავა? შესაძლოა. მაგრამ არასწორი იქნება, თუ ამ დისკუსიიდან ისეთ დასკვნას გამოვიტანთ, რომ 1 ანალიზის ერთ-ერთ ნაწილად წარმოდგენილი (4) წესიც მართებულია. ალტერნატივების ძიების ორი მიზეზი არსებობს. ერთი ისაა, რომ (4) -ში წარმოდგენილ წესს არ აქვს ზუსტი კავშირი პრინციპებთან: მაგალითად, ყრუდ ქცევის (4ბ) წესში არაფერია ნათქვამი, იმაზე, რომ იგი წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპის მიერ წამოჭრილ პრობლემას არეგულირებს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ყრუდ ქცევის წესის, როგორც პრობლემის გადაჭრის გზის სწავლა იოლია: მოტივაციის გარეშე შეცვლილი მასალის დამახსოვრება უფრო რთულია (იხ. ქვემოთ მოცემული ჩანართი). ასეთ დროს ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ყრუდ ქცევის

წესიც ისწავლება არა როგორც ფორმების ალტერნაცია, არამედ როგორც პრობლემის გადაჭრის გზა: პრობლემისა, რომელიც წამოჭრილია წარმოთქმითი შეთანხმების დამრღვევი მაგალითებისგან.

თავდაპირველად ჩავატარებთ ექსპერიმენტს წესებისა და პრინციპების დაკავშირებით, რომელიც პირველად იპმა (1989) შემოგვთავაზა. პრინციპი არასწორ ფორმებად წარმოადგენს მწკრივთა კონკრეტულ კლასს: ანუ წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპი ამბობს, რომ განსხვავებული წარმოთქმითი ღირებულების მქონე ორი ობსტრუენტით დამთავრებული ყველა სიტყვა მიუღებელია. დაფუძვით, რომ ენის ყველა ძირითადი ფორმა შემონმებულია ასეთი ფონოლოგიური პრინციპების მიხედვით. (ძირითად ფორმებში ვგულისხმობთ ერთმორფემიან ძირებს, მაგალითად *dog*, *yellow*, *bark*; და მრავალმორფემიან კომბინაციებს, მაგ, */yellow-ish/*, */un-presidential/*). წარმოვიდგინოთ, რომ ზოგი პრინციპის დარღვევა გამოაშკარავებულია ძირითად ფორმებში; მაგალითად, */bark-d/* არღვევს წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპს და დარღვევის თითოეული ტიპისთვის ფორმის სპეციფიკური სახესხვაობა გვაქვს. ამ გაგებით, წესის აღწერა (ანუ მწკრივი, რომელიც სახეცვლილი უნდა იყოს) ემთხვევა მწკრივს, რომელიც კონკრეტულ პრინციპს არღვევს. წესის სტრუქტურული ცვლილება წარმოგვიდგენს განსახილველი ფორმის ისეთ მინიმალურ ცვლილებას, რომელიც ახალ ფორმას აწარმოებს ამ პრინციპისთვის. (20)-ში ნაჩვენებია წარმოთქმითი შეთანხმებისა და შუა ბგერის ჩასმის განახლებული წესი. წესის ამ ახალ ვარიანტებში პრინციპები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: ისინი განსაზღვრავენ შესაცვლელ მწკრივს. (მომდევნო ქვეთავებში განვიხილავთ ამ პრინციპების უნივერსალურობისა და სპეციფიკურობის ბუნებას). თავად წესი მოიცავს სპეციფიკურ ცვლილებას, რომლებიც ქვემოთ გაუქმებული ასოებითაა გამოყოფილი:

ჩანართი 14.1

წესებისა და პრინციპების ცოდნის შეპირისპირება

1950-იან წლებში ენათმეცნიერის ჯინ ბერკოს მიერ წამოწყებული კვლევა შეიძლება ჩაითვალოს ტექსტში განხილული ერთ-ერთი საკითხის ანალიზად: შესაძლებელია თუ არა წესებისა და პრინციპების ცოდნა განირჩეს ერთმანეთისგან? ბერკომ შეამოწმა მოზრდილებისა და ბავშვების (სკოლამდელი ასაკის, ბალის ბავშვები და პირველკლასელები) ცოდნა ინგლისური ფონოლოგიისა და სიტყვათწარმოების შესახებ. (მაგ. *wug* გამოიყენება ფრინველის მსგავსი პატარა ქმნილების აღსანიშნად; *mot* აღნიშნავს ფიზიკური ვარჯიშის ერთ-ერთ სახეს). მათ სთხოვეს ეწარმოებინათ მრავლობითის, წარსული დროისა და შედარებითი ხარისხის ფორმები. უფროსების პასუხი სტანდარტი იყო, რის მიხედვითაც ბავშვების სიტყვები უნდა შეფასებულიყო. ზოგ შემთხვევაში ბავშვებისა და დიდების პასუხი სრულიად განსხვავდებოდა. ბავშვების 2/3-მა ვერ ჩასვა შვა *mot* და *bod* ზმნების წარსული ფორმის წარმოებისას და *motted* და *bodded* ფორმების ნაცვლად დაასახელეს *mot* და *bod*. ამის მსგავსად, *tas* და *gutch* არსებითი სახელების მრავლობით ფორმად ბავშვების 30-40%-მა *tas* და *gutch* დაასახელა, ნაცვლად მოსალოდნელი შვაჩასმული *tasses* და *gutches* ფორმებისა. იშვიათ შემთხვევებში კი შვა არასწორი ფორმით იყო ჩასმული, მაგალითად *heafes* [hifəz] იყო *heaf* [hif] სიტყვის მრავლობითის სახით. ხოლო ზრდასრულები აწარმოებდნენ მოსალოდნელ ფორმებს: [hifs], [tæsəz], [gʌtʃəz]. ამგვარად, 7 წლის ასაკის ბავშვების ცოდნა შვას ჩასმის შესახებ განსხვავდება უფროსების ცოდნისაგან.

აღსანიშნავია, რომ ბავშვების პასუხები შეესაბამებოდა (9) და (14) პრინციპებს (წარმოთქმითი შეთანხმებისა და „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპებს). ბავშვები არ წარმოთქვამდნენ განსხვავებული წარმოთქმითი ღირებულების მქონე ობსტრუენტებს ერთად. ასევე, არ გამოთქვამდნენ მსგავს ობსტრუენტებს ერთად ([td], [dd], [sz], [zz]). *Mot* ზმნის მცდარი წარსულის ფორმა იყო [mat] და არა *[matt] ან *[matd]; *Tas* არსებითი სახელის მრავლობითი იყო [tæs] და არა *[tæsz] ან *[tæss]. ამგვარად, ნათლად ჩანს, რომ (9) და (14) პრინციპები სახეზეა მაშინაც კი, როცა მათ მიერ მოტივირებული შუა ხმოვნის ჩასმის წესი არ გამოიყენება. ესაა მორიგი საბუთი იმისა, რომ ლინგვისტური ცოდნის ეს ორი სახე უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან.

ბერკოს შედეგები განსხვავებული გზით არაოფიციალურად დამტკიცდა ამ ნიგნის ერთ-ერთი ავტორის მიერ, რომელმაც 9-10 წლის სამ ბიჭს სთხოვა ეწარმოებინათ სიტყვები -k სუფიქსის მეშვეობით, რაც „პატარას“ ნიშნავს. ენათმეცნიერმა ჰკითხა, როგორ იქნებოდა პატარა ფეხსაცმელი shoe სიტყვისგან წარმოების შედეგად, რაზეც უპასუხეს - [ʃuk], პატარა ოთახი (room) - [rumk], პატარა ყვავილი (flower) - [flawərk] და ა.შ. შემდეგ ავტორმა იგივე დავალება მისცა მათ სხვა არსებით სახელებთან მიმართებაშიც, რომელთა შორის იყო k-ზე და g-ზე დაბოლოებული სიტყვები, როგორცაა: *sock*, *rug*, *stick*, *peg*. უფროსებმა იმავე კითხვაზე უპასუხეს, როგორც [səkək] [rʌgək] და ა.შ. ანუ შუა ბგერის ჩამატებით. თუმცა ბავშვებმა სცადეს წარმოეთქვათ [sakk] [rʌgk] [rʌkk]. ერთ-ერთმა გადაწყვიტა, რომ სწორი ფორმა იქნებოდა [sək], [rʌg], [rʌk]. პირველი შეხვედრისას მხოლოდ ეს ვარიანტები გამოითქვა. ამ შემთხვევაშიც ბავშვებისა და უფროსების გამოთქმა განსხვავდებოდა, თუმცა ბერკოს გამოკვლევაში შვას ჩართვით, მაგრამ ბავშვების გამოთქმა შეესაბამებოდა წარმოთქმითი შეთანხმებისა და „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპებს. მოგვიანებით ჩატარებულ შეხვედრაზე, მას შემდეგ, რაც მოისმინეს და შეითვისეს [səkək], [rʌgək] და [səkik], [rʌgik] ფორმები, ბავშვებმა განაცხადეს, რომ [sakk] და [sək] ფორმები არასწორი იყო. საყურადღებოა, რომ მეორე შეხვედრის დროს ორმა ბავშვმა [səkək] და [rʌgək] ფორმებს გვერდით შვა ჩართო *cat*, *mitt* და *sip* სიტყვების მცირე ვარიანტის წარმოებისას [kætək] [mitək] [sipək]. ამ შემთხვევაში, ბავშვები ავლენენ ცოდნას, რომ სიტყვის ბოლოს [tk] [pk] წყვილი დაუშვებელია ინგლისურში. აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპს არც ერთი ალტერნაცია არ ასახავს. ბავშვის ასეთი ცოდნა ეფუძნება მის დაკვირვებას, ენაში ესა თუ ის ფორმა გამოიყენება თუ არა. მართალია, ეს შედეგები ვერ მიიჩნევა მტკიცე საბუთად, ვინაიდან მხოლოდ სამი ბავშვი მონაწილეობდა, მაგრამ ისინი დამატებით აღნიშნავენ, რომ ფონოლოგიური პრინციპების ცოდნა დამოუკიდებელია და სცდება წესებისა და ალტერნაციის ცოდნის ფარგლებს.

(20) ა. შვასთან დაკავშირებული განახლებული წესი

i. იპოვეთ ყველა ძირითადი მწკრივი, რომელიც არღვევს „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპს.

ii. თითოეულ ასეთ მწკრივში ჩასვით შვა ისე, რომ მიიღოთ პრინციპის შესაფერისი ფორმა

ბ. ყრუდ ქცევის განახლებული წესი

i. იპოვეთ ყველა ძირითადი მწკრივი, რომელიც წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპს არღვევს.

ii. თითოეულ ასეთ მწკრივში შეცვალეთ აფიქსური თანხმოვნის წარმოთქმის

ღირებულება ისე, რომ მიიღოთ პრინციპის შესაფერისი ფორმა.

სვეტში წარმოდგენილ სიტყვებში გამოყავით ძირები და სუფიქსები და განსაზღვრეთ განიხილვით ინგლისურში მრავლობითისა და მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის

სავარჯიშო 14.3

(1) გააანალიზე შემდეგი ალტერნაციები ინგლისურში.

ა.		ბ.	
<i>damn</i>	[dæm]	<i>damnation</i>	[dæmneɪʃən]
<i>condemn</i>	[kəndɛm]	<i>condemnation</i>	[kəndəmeɪʃən]
<i>hymn</i>	[hɪm]	<i>hymnal</i>	[hɪmənəl]
<i>solemn</i>	[sələm]	<i>solemnity</i>	[sələmniːti]
<i>column</i>	[kələm]	<i>columnar</i>	[kəlʌmnər]

ღვრეთ თითოეული ძირის ძირითადი გამოხატულება. (20)-ის სტილში ჩაწერეთ წესი, რომელიც ფუძეთა ალტერნაციას შეეხება, (20)-ის მსგავსად თქვენი წესი ორი ნაწილისგან უნდა შედგებოდეს: პრინციპი, ანუ ინგლისურ სიტყვებში თანხმოვანთა შესაძლო ზედაპირული მიმდევრობის განზოგადება და პროცედურა, რომლის საშუალებითაც ამ პრინციპის დამრღვევი ძირითადი გამოხატულებები აწარმოებენ ზედაპირულ ფორმებს.

(2)			
ა.		ბ.	
<i>sign</i>	[sain]	<i>signatory</i>	[sɪgnətəri]
<i>gesign</i>	[dɪzain]	<i>designation</i>	[dɛzɪgneɪʃən]
<i>malign</i>	[məlain]	<i>malignity</i>	[məlɪgnɪti]
<i>assign</i>	[əsaɪn]	<i>assignation</i>	[əsaɪgneɪʃən]
<i>impugn</i>	[ɪmpjuːn]	<i>pugnacious</i>	[pʌɡneɪʃəs]

სავარჯიშო 14.4

მანარმოებელი სუფიქსების ალტერნაცია, რომლებიც გამოხატულია ზედაპირული ფორმით [z] ისეთ სიტყვებში, როგორცაა *bugs* [bʌgz], *cans* [kænz] და [s] ისეთ სიტყვებში, როგორცაა *packs* [pæks], *laughs* [læfs], *licks* [liks] და [əz] ისეთ სიტყვებში, როგორცაა *squishes* [skwɪʃəz], *reaches* [riːtʃəz], *buses* [bʌsəz]. მოაგროვეთ ფორმათა უფრო სრულყოფილი ჯგუფი იმის განსაზღვრად, რა სახის განზოგადებასთან გვაქვს საქმე ალომორფთა დისტრიბუციის შემთხვევაში. შემდეგ კი ჩამოაყალიბეთ ამ ალტერნაციის ანალიზი (20)-ში წარმოდგენილი წესის მსგავსად. განსაზღვრეთ, (20)-ის წესები და პრინციპები ვარგისია თუ არა ამ ახალი მაგალითებისთვის და თუ არა, მაშინ როგორ უნდა შეეცვალოთ, იგივე წესები მათაც რომ შეეხოს.

14.3 დამატებითი შეკითხვები

ჩვენ წარმოვადგინეთ, რომ ფონოლოგიური წესები და ალტერნაციები არსებობს შემდეგი მიზეზით: იმიტომ, რომ ძირითადი გამოხატულებები, თუკი უცვლელადაა დატოვებული, ხშირად დაარღვევს ძირითად ფონოლოგიურ პრინციპებს. არსებული წესები განსაზღვრავს ასეთ პოტენციურ დარღვევებს და თავიდან ირიდებს მინიმალური სახესხვაობით. ამის შედეგია ალტერნაცია: მორფემა შეიძლება სხვადასხვაგვარად ჩანაცვლდეს კონტექსტის მიხედვით, ან შეიძლება უცვლელი ზედაპირული ფორმა ჰქონდეს ერთ შემთხვევაში, ხოლო მეორეში – სხვა.

წესებისა და პრინციპების კავშირის შესაძლებლობა, როგორც ეს (20)-შია წარმოდგენილი, უამრავ ახალ შეკითხვა ბადებს: (ა) შესაძლოა თუ არა მაგალითის წინასწარი შემონმების გარეშე ჩვენმა ანალიზმა წარმოადგინოს წინასწარი ვარაუდები? (ბ) მაგალითთა სახესხვაობათა შემზღუდველი პრინციპები მომდინარეობს თუ არა ფონოლოგიური წესებიდან? და (გ) რა სტატუსს იღებს ფონოლოგიური პრინციპები კროს-ლინგვისტურად შემონმების შემდეგ? ამ შეკითხვებს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

14.4 რამდენად ზოგადია?

პირველი კითხვა (შესაძლოა თუ არა მაგალითის წინასწარი შემონმების გარეშე ჩვენმა ანალიზმა წარმოადგინოს წინასწარი ვარაუდები?) უბრუნდება ამ თავის დასაწყისში წამოჭრილ განზოგადების საკითხს. ჩვენ ვთქვით, რომ საუკეთესო ანალიზია ის, რომელშიც სხვადასხვა მოვლენა ერთიანდება ზოგადი კანონების რეფლექსებად. ახლა გვაქვს ანალიზის ისეთი სახე, სადაც ორი ძალიან ზოგადი პრინციპი (წარმოთქმითი შეთანხმებისა და „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპები) კარნახობს ინგლისურში T-ალომორფების ფორმას. განზოგადებასთან ერთად მოდის კიდევ ორი მახასიათებელი. ზოგადი ანალიზი მაპროგნოზირებელია; იგი მიუთითებს, რას უნდა მოველოდოთ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც თავდაპირველად არ იყო გაანალიზებული. ეს საკმაოდ კარგი მახასიათებელია. ანალიზი სარისკოცაა: მისი ვარაუდები შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, ვინაიდან იგი სცდება თავდაპირველად შემონმებულ მასალას. შესაბამისად, უნდა შევეხოთ ანალიზური სტრატეგიის საკითხს: რომელია უმჯობესი, უსაფრთხო გზის შერჩევა და ისეთი ანალიზის ფორმულირება, რომელიც მოიცავს მხოლოდ უკვე შემონმებულ მაგალითებს, თუ აჯობებს ზოგადი და მაპროგნოზირებელი ანალიზის ჩამოყალიბება? (ესაა საკითხი, რომელიც მეცნიერებისა და მეცნიერული ანალიზის ფილოსოფიას ეხება. იგი მხოლოდ ლინგვისტიკის მეცნიერებით არ შემოიფარგლება).

საკითხი უფრო კონკრეტული შეგვიძლია გავხადოთ ანალიზის უფრო ფართო პროგნოზის განხილვით, რაც ჩვენ T-მორფემებთან დაკავშირებით წარმოვადგინეთ. მართალია, ჩვენი საწყისი წერტილი მხოლოდ ორი სუფიქსი იყო, რომლებიც ენაცვლებიან [t], [d] და [əd] ფორმების სახით, მაგრამ ჩვენივე საბოლოო ანალიზი წინასწარ განსაზღვრავს ბგერათა ნიმუშებს, რომლებიც ამ მაგალითს საგრძნობლად სცილდება. განახლებული ბგერათა ყრუდ ქცევის წესი წინასწარ ვარაუდობს, რომ სიტყვის ბოლოს C-სუფიქსი შეიცვლება, თუკი შეიცავს ობსტრუენტს, რომ წარმოთქმის მიხედვით შეეწყოს მის წინ მდგარ ფუძისეულ ობსტრუენტს.

შუასთან დაკავშირებული განახლებული წესი გულისხმობს შვას ჩასმას ორ მსგავს თანხმოვანს შორის, არა აქვს მნიშვნელობა, ეს თანხმოვნები T-მორფემას ეკუთვნის თუ სხვა რომელიმე აფიქსს. ნათელია, რომ ანალიზის შერჩევამდე უნდა განვსაზღვროთ, რომ ასეთი წინასწარი ვარაუდები სწორია. თუ ეს ასეა, მაშინ ზოგად პრინციპებზე დაფუძნებული ანალიზი გამოირიცხება და ჩვენ გამოვიკვლევთ ინგლისური ფონოლოგიის უფრო დიდ ნაწილს, ვიდრე დასაწყისში გვქონდა. მაგრამ, ვთქვათ, ზოგი ვარაუდი არ

დადასტურდა. განვიხილოთ მაგალითი, რომ შვას ჩასმის შემთხვევათა რიცხვი უფრო მცირეა, ვიდრე ჩვენ ამ წუთისთვის ვვარაუდობთ. რა იქნება მაშინ? ამ ალბათობამ, რაც ბუნებრივი მოვლენა ენათმეცნიერების მუშაობაში, არ უნდა გადაათქმევინოს მკვლევარს ყველაზე ზოგადი ანალიზის ექსპერიმენტირება. თუკი ანალიზი არასწორია იმის გამო, რომ იგი მეტისმეტად ზოგადია, ეს აშკარა გახდება მისი ვარაუდების შემონმებისთანავე. შესწორებების შეტანა შეიძლება არასწორი ვარიანტების გამორიცხვისთვის. მაგრამ, თუ მეტისმეტად დავავიწროვებთ ანალიზს, მისი ნაკლოვანების ამოცნობა უფრო გაძნელდება. ჩვენ T-მორფემების ანალიზი (21)-ში წარმოდგენილი ვინრო წესების საშუალებით დავინყეთ და არც კი გადაგვიხედავს ამ სუფიქსების ქცევის მიღმა.

- (21) ყრუდ ქცევა: T-სუფიქსები რეალიზდება [t] ფორმით ყრუ ბგერების შემდეგ.
შვა: შვა ჩაისმის T-სუფიქსების წინ, როცა ძირი მთავრდება ალვეოლარული ხშულით.

თუ T-სუფიქსის მიღმა არ განვიხილავთ სხვა მოვლენებს, მაშინ შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტი გამოგვჩქეს, რაც პარალელურია ან დაკავშირებულია ყრუდ ქცევასა და შვას ჩართვასთან. ასეთ დროს საკმაოდ სარისკოა არა მხოლოდ არასწორი წესის ჩანერა – თუმცა ეს დეფექტი მოგვიანებით მაინც გამოჩნდება და გასწორდება – არამედ მეტისმეტად ვინრო წესის ჩანერაც, ვინაიდან იგი განზოგადებას სამუდამოდ გამორიცხავს.

(20)-ში წარმოდგენილი ანალიზის დამადასტურებელია იმ სუფიქსების ქცევა, რომლებიც მონაცვლეობენ [s], [z], [əz] ვარიანტების სახით. ისინი გამოხატავენ კუთვნილებას, არსებითი სახელის მრავლობითობასა და მესამე სუბიექტურ პირს მხოლოდ რიცხვში ანმყო დროის ზმნებში: ამ სამი ალომორფის დისტრიბუცია [t], [d], [əd] ალომორფების პარალელურია. ვამტკიცებთ, რომ ამ სუფიქსების ძირითადი ფორმაა [z], რომელიც წარმოდგენილია სონორებისა და მჟღერი ობსტრუენტების შემდეგ. სხვა ვარიანტები ნაჩვენებია (22)-ში გადმოცემული წესებით:

- (22) ინგლისური სუფიქსის სამი ალომორფი: მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის სუბიექტი; მრავლობითი რიცხვი; კუთვნილება.

[s]- ალომორფი	[z]- ალომორფი	[əz]- ალომორფი
licks [lɪks]	bugs [bʌgz]	buzzes [bʌzəz]
bats [bæts]	calls [kɔlz]	buses [bʌsəz]
Kip's [kɪps]	Rob's [rɒbz]	face's [feɪsəz]

(22)-ში წარმოდგენილ სუფიქსთა კლასები შესწორებას აკეთებენ ერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით: შვას ჩასმა ასევე გვხვდება [f], [tʃ], [ʒ] და [dʒ] ბგერებს შემდეგ, მაგრამ არა – [θ], [ð] ან სხვა ნაპრალოვნის შემდეგ.

- (23) მესამე სუბიექტური პირის მხოლოდითი რიცხვის ანმყო დროის, მრავლობითი რიცხვისა და კუთვნილებითის სუფიქსების დისტრიბუცია ნაპრალოვანთა შემდეგ.

[s]-	[z]-	[əz]-
ალომორფი	ალომორფი	ალომორფი
Keith's [kiθs]	smooths [smuθz]	garages [gəɾɑʒəz]
laughs [læfs]	bathes [beɪðz]	squishes [skwɪʃəz]
Bach's [bæxs]	nerves [nərvz]	badge's [bædʒəz]

შვასთან დაკავშირებული ამჟამად წარმოდგენილი წესი (20ა) მას სვამს მხოლოდ [s] და [z] ბგერების შემდეგ, ვინაიდან მხოლოდ ეს თანხმონგები შეესაბამება სუფიქ-

სური /z/ ბგერის „მსგავსი“ ბგერის განმარტებას. ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ „მსგავსი თანხმოვნის“ განმარტების შეცვლა:

(24) მსგავსი თანხმოვნები:

ორი თანხმოვანი მსგავსია, თუ ისინი ერთნაირია რაგვარობის მახასიათებელთა მიხედვით და იყენებს ერთსა და იმავე აქტიურ სანარმოთქმო ორგანოებს.

ესაა მსგავსი თანხმოვნების წყვილების განმარტება, რომელიც შვას ჩასმის უფრო ზუსტი ადგილის განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს: მაგალითად, ვინაიდან [ʃ] და [z] იდენტურია რაგვარობის მიხედვით და ვინაიდან აქტიური სანარმოთქმო ორგანოები ორივე თანხმოვნისთვის ენის პირია, (24)-ში წარმოდგენილი განახლებული წესის მიხედვით ისინი მსგავსია. ეს განსაზღვრავს შვას ჩასმის სწორ ადგილს [skwɪʃəz], განსხვავებით „მსგავსის“ წინა განსაზღვრების მიხედვით მიღებულ * [skwɪʃz] ფორმისა. თანხმოვნები [θ] და [s] არაა მსგავსი, ვინაიდან ისინი განსხვავდება სიმკვეთრის მიხედვით; [f] და [s] ბგერებიც განსხვავებულია, ვინაიდან ისინი სხვადასხვა აქტიური სანარმოთქმო ორგანოთა გამოთქმული და ამიტომ შვას ჩასმა არაა მოსალოდნელი მათ შორის (24)-ის მიხედვით.

ჩვენი ანალიზის სხვა ასპექტი უფრო ღრმა პრობლემას აწყდება ფაქტების უფრო ფართო ჯგუფთან შეპირისპირებისას. მართალია, მსგავსი ან იდენტური თანხმოვნები (მაგ. [kg] [pp] [bp] [fv] და ა.შ.) ნამდვილად დაუშვებელია ერთ მორფემაში ან სიტყვის დასასრულში, როგორც (14)-ში იყო მოცემული, მაგრამ ამ მიმდევრობათა ცალკე ქვეჯგუფია წარმოდგენილი მორფემათა საზღვრებს მიღმა.

(25) ერთნაირი თანხმოვნების სწორად ფორმირებული წყვილები:

rr	ss	nn	ll	bb	bp
superrich	dissatisfied	unnecessary	vowellike	subbranch	subpolar
[supəritʃ]	[dɪsætɪsfaɪd]	[ʌnɪsəseri]	[vəwəllaɪk]	[sʌbbræntʃ]	[sʌbpoʊlə]

(20ა) წესი არასწორ ვარიანტს იძლევა, რომლის მიხედვითაც ძირითადი /sub-polar/ გამოითქმის * [sʌbəpoʊlə]. ამიტომაც ეს ხელახლა უნდა განვიხილოთ. ამ ანალიზის განახლებისთვის ჩვენ ვაკვირდებით იმ წყვილებს, სადაც შვას დამატება გვხვდება სიტყვის ბოლოს და ასევე მათ, სადაც ცვლილება სიტყვის შუაშია, განსაკუთრებით ხმოვანთშორის პოზიციაში ან ხმოვანსა და სონორს შორის. განსხვავება გადმოცემულია (14)-ის შემდგენილი განახლებით:

(26) „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპი (განახლებული)

მსგავსი თანხმოვნების მიმდევრობა ((24)-ში მოცემული განმარტების მიხედვით) დაუშვებელია ინგლისური სიტყვის დასაწყისსა და დასასრულს.

ამგვარი სახეცვლილებით ჩვენი პრინციპი არ მიუთითებს შვას ჩართვას ისეთ ფორმებში, როგორცაა *dissimilar* ან *subpolar*, ვინაიდან მსგავსთა წყვილი /ss/ და /bp/ არ გვხვდება სიტყვის კიდეებში. მორიგი საკითხია, რომ მსგავსი წყვილი არ გვხვდება არც ერთ ინგლისურ სიტყვაში მორფემის შიგნით: [æssə], [ʌtdə] სახის მორფემები არ არსებობს. ამის მიხედვით სიტყვები და ცალკეული მორფემები განსხვავდება მიმდევრობათა მთელი რიგით, რომლებიც მათთვის მისაღებია. ეს განახლება მნიშვნელოვანი საკითხების შერწყმის საშუალებას იძლევა: მსგავსი თანხმოვნების წყვილი აკრძალულია სიტყვის საწყის და სასრულ პოზიციაში, მაგრამ დასაშვებია სიტყვის შუაში, განსაკუთრებით ხმოვნებს შორის. იმავე შეზღუდვებს ვხვდებით **გაორმაგებული** თანხმოვნების დისტრიბუციასთან დაკავშირებით. ესენია განსაკუთრებით გრძელი თანხ-

მოვნები. გაორმაგებული თანხმოვნები ტრანსკრიფციაში ჩაინერება სიგრძის გამომხატველი ნიშნით, როგორც [t:], [p:], [s:] და არა ორჯერ ჩანებით [tt], [pp], [ss]. იტალიური და იაპონური იმ ენათა შორისაა, რომლებიც განარჩევენ [atta] და [ata] ან [ippo] და [ipo] წყვილებს. მაგრამ გაორმაგებული თანხმოვნები ამ ენებში არ გვხვდება სანყის და დასასრულ პოზიციაში და უმეტეს ენებში გაორკეცება კონტრასტის საშუალებას იძლევა. ამგვარად (26)-ის მსგავსი პრინციპი ახასიათებს გაორკეცებულ თანხმოვნთან დისტრიბუციას, ეს არცაა გასაკვირი: მსგავსი თანხმოვნების წყვილები გაორმაგების მსგავსად ჟღერს. როგორც ჩანს, ისინი ერთსა და იმავე შეზღუდვებს ექვემდებარება იმ ენებში, სადაც გაორმაგებული თანხმოვნები არ არსებობს.

ამ ქვეთავის ფუნქციაა, რომ განამტკიცოს ანალიტიკური სტრატეგია, რომელიც მკვლევარს ყველაზე უფრო ზოგადი ჰიპოთეზით ექსპერიმენტის ჩატარების საშუალებას აძლევს. გამოსადეგია წინასწარი ვარაუდების მტკიცებებთან მუშაობა. თუ ეს ვარაუდები დადასტურდება, ზოგადი განხილვაც დაგეხმარებათ უფრო ფართო მოდელის აღმოჩენაში. თუკი არ დადასტურდება, მაშინ ზოგადი ანალიზი დაგეხმარებათ მოცემული მოდელის საზღვრების გასამიჯნად. (14)-ში გადმოცემული ზოგადი მტკიცებით ექსპერიმენტირების შემდეგ მივიღეთ დასკვნამდე, რომ მხოლოდ მისი დაწვრილებითი ვერსიაა – (26) – ზუსტი: ამ წარუმატებელი ექსპერიმენტით ახლა უკვე ვიცით, რა შემთხვევაშია დასაშვები მსგავსი თანხმოვნების ერთად გამოყენება.

სავარჯიშო 14. 5

განიხილეთ ქვემოთ მოცემული ალტერნაციები, რომლებიც გამოწვეულია [jə], [jɔ] და [juə] სუფიქსების დამატებით /s/-სა და /z/-ზე დასრულებულ ძირებზე.

ა. სუფიქსი [jən] (როგორც სიტყვაში *rebellion* [rəbeɪljən])

<i>confess</i>	[kən'fes]	<i>confession</i>	[kənfeʃən]
<i>obsess</i>	[əb'ses]	<i>obsession</i>	[əbseʃən]
<i>fuse</i>	[fju:z]	<i>fusion</i>	[fju:zən]

ბ. სუფიქსი [jəl] (როგორც სიტყვაში *serial* [sɪrjəl])

<i>race</i>	[reɪs]	<i>racial</i>	[reɪʃəl]
<i>office</i>	[ɒfɪs]	<i>official</i>	[əfɪʃəl]
<i>substance</i>	[sʌbstəns]	<i>substantial</i>	[sʌbstænjəl]

1. ჩამოაყალიბეთ ერთი ან მეტი წესი ამ ალტერნაციასთან დაკავშირებით. წესები მხოლოდ ფონოლოგიურ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს (მახასიათებლებსა და სეგმენტებს) და არა მორფოლოგიურ ცნობებს (ანუ არაა საინტერესო, რომელი აფიქსები მონაწილეობს სიტყვათწარმოების ამა თუ იმ პროცესში). ჩამოაყალიბეთ განზოგადება ინგლისურ სიტყვებში ბგერათა შესაძლო მიმდევრობის შესახებ შეზღუდვების სახით, იმავე ფორმით, როგორც (9), (14) და (26)-შია წარმოდგენილი. (რჩევა: წარმოთქვით სიტყვა *obsession* როგორც ზმნა *obsess*-ისა და [jən] სუფიქსის გვერდგვერდ გაწვრილებას ძირისა და აფიქსის გამოყოფის გარეშე).

2. განსაზღვრეთ რა კავშირია ზემოთ წარმოდგენილ ალტერნაციასა და ქვემოთ (გ) -ში მოცემულ მაგალითებს შორის.

გ. <i>miss</i>	[mɪs]	<i>miss you</i>	[mɪʃju]
<i>bless</i>	[bles]	<i>bless you</i>	[blesʃju]
<i>let</i>	[let]	<i>let you</i>	[letʃju]
<i>cut</i>	[kʌt]	<i>cut you</i>	[kʌtʃju]

ზოგი შუას და ზოგი სიტყვის დასასრულს. მიმდევრობა [tʃ] სასისმიერალვეოლარული აფრიკატია. ზოგადად, სასისმიერალვეოლარული ბგერები [+coronal] სეგმენტებია, რომლებიც ალვეოლარულეზისგან განსხვავდება [anterior] მახასიათებლით: ალვეოლარულეზი [+anterior]-ებია სასისმიერალვეოლარულეზი [-anterior]-ები. გარდა ამისა, სასისმიერალვეოლარული აფრიკატები (ანუ [tʃ]) განსხვავდება ალვეოლარული ხშულებისგან იმით, რომ ისინი ორი წვერისგან შედგება, ხშულისა და სასისმიერალვეოლარული ნაპრალოვანი [ʃ] ბგერისაგან. შესაბამისად, ისინი მოიცავენ თვისებათა ასეთ მიმდევრობას [-continuant][+continuant]. თქვენს წესებში ნაწარმოები სეგმენტების თვისობრივი შემადგენლობა უნდა აისახოს:

(3) ახლა კი განიხილეთ (დ)-ში წარმოდგენილი ალტერნაციები:

(დ) სუფიქსი *-ion* (როგორც სიტყვაში *rebellion*).

<i>digest</i>	[daɪdʒest]	<i>digestion</i>	[daɪdʒestʃən]
<i>exhaust</i>	[ɛgzɔst]	<i>exhaustion</i>	[ɛgzɔstʃən]
<i>suggest</i>	[sədʒest]	<i>suggestion</i>	[sədʒestʃən]

სუფიქსი *-ial* (როგორც სიტყვაში *editorial*)

<i>beast</i>	[bɪst]	<i>bestial</i>	[bɪstʃəl]
--------------	--------	----------------	-----------

სუფიქსი *-ian* (როგორც სიტყვებში *Egyptian* [ɪdʒɪpʃən], *Lilliputian* [lɪlɪpjuʃən])

<i>Christ</i>	[kraɪst]	<i>Christian</i>	[kraɪstʃən]
---------------	----------	------------------	-------------

წესები, რომლებიც სიტყვის საწყის პოზიციას შეეხება და [ʃ] ბგერას [tʃ] მიმდევრობიდან აწარმოებს როგორც სიტყვაში /lɪlɪpjuːt-ʃən/ → [lɪlɪpjuʃən], ახსენით, რატომ ვერ ახერხებს იგივე ფორმების წარმოებას (დ)-ს შემთხვევაში. რატომ გამოვთქვამთ [sədʒestʃən] და არა *[sədʒesʃən], [kraɪstʃən] და არა *[kraɪsʃən]? როგორ უნდა შეეცვალოს ანალიზის ფორმა, რომ იგი ასეთ ფაქტებსაც შეეხოს?

14.5 შეზღუდვების კროს-ლინგვისტური საფუძვლიანობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურში მსგავს თანხმოვანთა ერთად გამოყენების შეზღუდვები უფრო ზოგადი მოვლენიდან მომდინარეობს, რომელიც ასევე მოიცავს შეზღუდვებს გაორმაგებული თანხმოვნების გამოყენებისთვისაც. ჩნდება მთავარი კითხვა, რასაც აქ მოკლედ ჩამოვყალიბებთ: ჩვენს მიერ განხილული შეზღუდვები შემოიფარგლება ერთი ენით თუ ისინი უნივერსალურია?

ინგლისურ ენაში წარმოთქმითი შეთანხმებისა და „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპებში განხილულის მსგავსი ან იდენტური მოვლენები შეინიშნება სხვა ისეთ ენებში, რომელთა ფონოლოგია დღემდე შესწავლის პროცესშია. მაგალითად, 14.2 სავარჯიშოს ამოხსნა – რომელიც ქუშისტურ ენას, აფარს ეხება – უნდა მოიცავდეს მიმართებას ინგლისურის „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპსა და მის მონათესავე პრინციპს შორის. შეზღუდვის მსგავსი ტიპი გვხვდება თანამედროვე ივრითში, სადაც /t/-თი დაწყებული სუფიქსები [e]-ს ჩართვითაა გამოყოფილი იმ ძირისაგან, რომელიც /t/-ზე ან /d/-ზე ბოლოვდება. (მრავალი ასეთი შემთხვევა განხილულია მაკკარტის მიერ, 1986). თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ /e/-ს ჩასმა დაარღვევდა (14) წესს

თუკი მათი ზედაპირული გამოხატულება აისახებოდა მათ ძირითად ფორმაში.

(27) ა. /kifʌt-ti/ → [kifʌteti] „მოვრთე“

ბ. /jarad-ti/ → [jaradeti] „დავეშვი“

ამის მსგავსად, წარმოთქმითი შეთანხმების ეფექტებიც ფართოდაა დოკუმენტირებული, მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის, გაქრობის პირას მდგარ ენებშია დაშვებული სიტყვის საწყის და ბოლო პოზიციაში ობსტრუენტი თანხმოვნების დიფერენცირება წარმოთქმის მიხედვით. თითქმის ყველა ენის ფონოლოგიის პროდუქტიული ბირთვი ამა თუ იმ ფორმით ავლენს შეზღუდვათა გავლენას ენათა უმრავლესობაში.

განვიხილოთ კრიტიკული შეფასება – „ამა თუ იმ ფორმით“. „არც-ზედმეტად-მსგავსი“ და წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპები კროს-ლინგვისტურად იდენტურ შედეგებს არ გვიჩვენებენ. „არც-ზედმეტად-მსგავსი“ ცნება სხვა ენებში შეიძლება უფრო ფართო იყოს. ბევრ სემიტურ ენაში – მათ შორის ივრითსა და არაბულში – ერთი მორფემა არ შეიცავს საწარმოთქმო ადგილის მიხედვით იდენტურ თანხმოვანთა წყვილს, მიუხედავად მათი წარმოთქმისა და რაგვარობისა. ამგვარად, ერთ მორფემაში არ გვხვდება / . . b . . m . . / ან / . . p . . b . . / წყვილები მიუხედავად იმისა, რამდენი და რომელი სეგმენტი დგას მათ შორის. „არც-ზედმეტად-მსგავსი“-ს სემანტიკური ვერსია ითხოვს მსგავს თანხმოვანთა წყვილის უფრო ფართო განმარტებას, ვიდრე (14)-სა და (26)-შია წარმოდგენილი და ასეთი წყვილების მთელ რიგ კონტექსტებში გამორიცხავს იმისდა მიუხედავად, თანხმოვნები ერთმანეთის გვერდით დგანან თუ არა. რომანულ ენებში, როგორცაა რუმინული, „არც-ზედმეტად-მსგავსი“ კრძალავს მსგავს წყვილებს კონტექსტებში მათი პოზიციის მიუხედავად: ძირითადი /des-zis/ „უთქმელი“, /dis-sotʃia/ „გაცალკეება“ ზედაპირული ფორმით გვექნება *dezis* და *disotʃia*. პოლონურში ძირეულ სიტყვებს „არც-ზედმეტად-მსგავსი“-ს საკმაოდ მძლავრი გავლენა აქვთ მორფემის შიდა პოზიციაში, მაგრამ მორფემის საზღვრებთან თანხმოვანთა მიმდევრობები ვლინდება ზედაპირულ ფორმაში: იგი აწარმოებს ისეთ ფორმებს, როგორცაა *z-zuvatʃ* „ფეხსაცმლის გახდა“ და *bez-zembnifj* „უკბილო“.

ურთიერთკავშირში მყოფი შეზღუდვების ვარიაციებს ორი წყარო გააჩნია. ერთი მათგანია მიდრეკილება მორფემებისა და სიტყვების ხელუხლებლად დატოვებისაკენ: ამიტომაც, ენები შესაძლოა განსხვავდებოდნენ იმის მიხედვით, შეზღუდვებს მორფემის ან სიტყვის საზღვრებს შორის ისე მკაცრად მოქმედების საშუალებას აძლევენ თუ არა, ერთი მორფემის ფარგლებში. მორფემებში მიუღებელი წყვილები, მაგ, პოლონური /zz/, შეიძლება მაინც გამოვლინდეს ზედაპირულ ფორმაში სიტყვის შემადგენელი მორფემების აღდგენის წყალობით, რაც მომდევნო ქვეთავებშია განხილული. მეორე წყარო კროს-ლინგვისტური ვარიანტებისა ის ფაქტია, რომ შეზღუდვის ცალკეული ფორმა – მაგ, „არც-ზედმეტად-მსგავსი“ – შესაძლოა განვიხილოთ ფართო ან დაწვრილებითი სახით და ამის მიხედვით განსხვავებულად იქნეს გამოყენებული. მაგალითად, ვნახეთ, რომ ერთი რელევანტური განზომილება „არც-ზედმეტად-მსგავსი“-ს ინტერპრეტაციაში არის, რამდენად ახლოა ეს სეგმენტები ერთმანეთთან. ნავარაუდევია, რომ რაც უფრო ახლოსაა, შეზღუდვაც უფრო ძლიერია, როგორც ეს აღნიშნულია პიერჰუმბერტთან (1993). ამგვარად, / . . s . . ʃ . . / მიმდევრობა ინგლისურში არ არის აკრძალული, როცა თანხმოვნები უშუალოდ არ თანამეზობლობენ.

ამ მხრივ მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შეზღუდვა ენაში შეიძლება არსებობდეს, მაგრამ სისტემატურად არ გამოიყენებოდეს. რას ვგულისხმობთ? ეს იმას ნიშნავს, რომ მოსაუბრეებმა უნდა იცოდნენ, რომ შეზღუდვის დამრღვევი მიმდევრობა არასრულყოფილია, თუმცა იმავდროულად ასეთი მიმდევრობის შემცველი სიტყვები

არსებობს ენაში. ამის პატარა მაგალითია ინგლისურში უმახვილო მარცვლების გრძელი მიმდევრობა: მართალია, ინგლისურში არსებობს სიტყვები, როგორცაა *clásificatòry* და *commúnicable* (სამი უმახვილო მარცვლით), მოსაუბრენი უპირატესობას ანიჭებენ და ფონოლოგიურად სწორად წარმოებულ ფორმებად თვლიან (28)-ში მარცხენა სვეტს, ანუ ისეთ სიტყვებს, სადაც ორზე მეტი უმახვილო მარცვალი არ არის:

(28)	უფრო მისაღები	ნაკლებად მისაღები	ყველაზე ნაკლებად მისაღები
	<i>refréshable</i>	<i>visitable</i>	<i>párodiable</i>
	<i>presérvable</i>	<i>bórrrowable</i>	<i>bénéfitable</i>

(28)-ში წარმოდგენილი სიტყვები გვიჩვენებს გამოუყენებელი შეზღუდვის არსებობას სამ ან მეტ უმახვილო მარცვალთან დაკავშირებით, რაც სხვა ენებში აქტიურადაა გამოყენებული. ეს საკითხი განიხილა ჰეისმა (1995). რაც უფრო მეტი მარცვალი აშორებს ბოლო მახვილიან მარცვალს და სიტყვის დასასრულს, მით უფრო მიუღებელია ფორმა.

გამოუყენებელი შეზღუდვების შესაძლო არსებობის ჩვენების შემდეგ შეზღუდვათა უნივერსალობის საკითხის ემპირიული დასაბუთება საგრძნობლად გართულდა: ენის ფონოლოგიური ალტერნაციებისა და დისტრიბუციული შეზღუდვების შემომწება აღარაა საკმარისი იმის გასარკვევად, მოცემული შეზღუდვა არსებობს თუ არა ენაში. ჩვეულებრივ, ძალიან ცოტა შეზღუდვაა უნივერსალური. საჭიროა სწორ ფორმირებასთან დაკავშირებით ინტუიციასაც მივმართოთ, ვინაიდან ინტუიცია შეიძლება ლექსიკონის მოცემულ ალტერნაციებს გასცდეს: ამ გზით შეზღუდვების გაცილებით დიდი ჯგუფი იჩენს თავს არა მხოლოდ გამოყენებული, არამედ გამოუყენებელი ფორმით. ამგვარად, შეგვიძლია იმის დასაბუთება, რომ ფონოლოგიური შეზღუდვების უნივერსალური ჯგუფი მაინც არსებობს და ენები განსხვავდება ამ შეზღუდვათა გამოყენების მხრივ.

როგორც ვხედავთ, ანალიზის ტიპებს შორის არჩევანის გაკეთების რაციონალური გზაა მათი შედარებითი განზოგადება. ყველაზე ზოგადი ანალიზი (1)-ში წარმოდგენილი მონაცემისთვის ვაჩვენებთ (4)-ში, რომლის განახლების შედეგად მივიღებთ (20). ამ ანალიზის მიხედვით ვიგებთ, რომ თავისთავად წესები არის გარანტია, რომ ზედაპირული ფორმები შეესაბამება კონკრეტულ ზოგად პრინციპებს. ანალიზისას ნამდვილი მამოძრავებელი ძალა არის სწორედ პრინციპები. ვინაიდან ჩვენ უნდა წარმოვადგინოთ პრინციპების ახალი კლასი, მათ ჯგუფს ვუნოდებთ **ფონოტაქტიკურ შეზღუდვებს (ფონოტაქტიკა** დაკავშირებულია ბგერათა დასაშვებ მიმდევრობასთან. ტერმინი **შეზღუდვა** ეკვივალენტია პრინციპისა ან პირობისა: ეს სამი ტერმინი ურთიერთრანაცვლებით იყო გამოყენებული). წარმოდგენილ აზრს მივყავართ ალან პრინცისა და პოლ სმოლენსკის **ოპტიმალობის თეორიამდე** (1993). (აღსანიშნავია, რომ ფონოტაქტიკური შეზღუდვები წარმოდგენილი იყო გაცილებით ადრე, როგორც წესებზე დაფუძნებული ფონოლოგიური ანალიზის დამხმარე მექანიზმი). კითხვა, რომლის დასმასაც ვაპირებთ ეხება წესებით გამოხატული სახესხვაობის ბუნებას. მას შემდეგ, რაც დავინტერესდით, თუ რატომ არსებობს წესები, ვსვამთ კითხვას: რისთვისაა ეს კონკრეტული წესები, როცა იმავე ფონოტაქტიკური მიზნის მისაღწევად სხვებიც არსებობს? როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ამ კითხვის პასუხისას აღმოვაჩინებთ ანალიზის ისეთ ფორმას, სადაც წესები არავითარ როლს არ ასრულებენ.

14.6 შესაძლო ნასაბი და ანალოგიის პრინციპები

მიმდინარე ანალიზი T-მორფემებისა ((20)-ში წარმოდგენილი წესები და (9) და (26) პრინციპები) ხსნის რატომ უნდა შეიცვალოს ზოგი ძირითადი გამოხატულება. ამის მიზანია, ავირიდოთ ცალკეული პრინციპების დარღვევა. ასევე შესაძლებელია ავხსნათ, რატომაა მოდიფიკაციის ცალკეული ფორმა სხვებთან შედარებით უფრო ფართოდ გავრცელებული. საქმე ისაა, რომ წესებით გადმოცემული სახესხვაობები ავლენს მინიმალურ განსხვავებას გამოხატულებებს შორის, როგორცაა ძირითადი და ზედაპირული ფორმები, ან ერთი მორფემის ზედაპირული ფორმის ვარიანტები. არსებობს პრინციპები, რომლებიც არეგულირებს ფორმებს შორის დისტანციას. ასეთი პრინციპების ფუნქციაა, უზრუნველყოს ფორმათა მიერ ფონოლოგიური მსგავსების მაქსიმალური შენარჩუნება.

კიდევ ერთხელ განვიხილოთ ძირითადი ფორმები, როგორცაა /mend-d/ ან /bæt-d/, რომლებიც არღვევენ პრინციპს „არც-ზედმეტად-მსგავსი“. გავიხსენოთ (20)-ში წარმოდგენილი დიაგრამა, სადაც ნაჩვენებია რამდენიმე გზა, რითაც ასეთი დარღვევების აღმოფხვრება შესაძლებელია: ასეთ შემთხვევაში ინგლისურს უნდა მიემართა ან თანხმოვნის ამოგდებისთვის (მაგ. /bæt-d/ → [bæt] ან [bæd]); ან თანხმოვნის შეცვლისათვის (მაგ. /bæt-d/ → [bænd], [bæld]); ან შვაზე უფრო გრძელი მიმდევრობის ჩასმისათვის (მაგ. [bæt-ænei-d]). შედარებისთვის, თუ რეალურად რა ხდება და რა შეიძლება მომხდარიყო, მნიშვნელოვანია დაკვირვება, რომ გამოსავალთაგან ზოგი დანარჩენებზე უარესია. მაგალითად, თუ ამოვშლით სუფიქსურ თანხმოვანს, დავკარგავთ სუფიქსური მორფემის ამოცნობისთვის საჭირო მასალას: ეს პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს მხოლოდ ერთი თანხმოვნისგან შემდგარი სუფიქსის შემთხვევაში. ამგვარი ჰიპოთეზის მიხედვით [bæt] ფორმის, როგორც [bæt]-ის წარსულის გამოხატულების, ნაკლი ისაა, რომ ანმყოს ფორმასავით გამოიყურება. (რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისი ფორმები /hit/-ის მსგავსად, სადაც ანმყოც და წარსულიც ერთი ფორმითაა გამოხატული, მაგრამ ენაში ასეთი შემთხვევების სიმცირე მიუთითებს, რომ ისინი გარკვეულ პრობლემას ქმნიან ინტერპრეტაციისას). ჰიპოთეზური ფორმები, სადაც ფუძე იცვლება (მაგ. [bæn-d], [bæ-d] [bæ-d]) ართულებს იმის გარკვევას, რომ ეს [bæt]-ის წარსული ფორმაა.

ჩანართი 14.2

განსხვავების შედეგები

მოსაუბრეები კარგად არჩევენ მსგავს და განსხვავებულ ფორმებს. ანა კატლერმა და მისმა კოლეგებმა შეადარეს ლექსიკური ერთეულის გარჩევის უნარი მოსაუბრეებში ორი სახის პირობებში, რომელთაგან ორივე ეხება ძირეული სიტყვის მოდიფიკაციას. ერთ შემთხვევაში, ორმარცვლიანი სიტყვა წარედგინა მოსაუბრეს უმახვილო-მახვილიანი კონსტრუქციის შებრუნებული ფორმით (მაგ. *lagóon*-ის ნაცვლად *lagoon*). მეორე შემთხვევაში, ორმარცვლიანი სიტყვები, ორივე მახვილიანი მარცვლით, (განსხვავება მახვილის ხარისხში იყო) რომელთა ასევე შებრუნებული ფორმა გახლდათ წარმოდგენილი (მაგ. *cántéen*-ის ნაცვლად *cântèen*). გამოკითხულებმა მეორე შემთხვევაში უფრო მარტივად ამოიცნეს სწორი ფორმა, ვიდრე პირველ შემთხვევაში. ამის მიზეზი ნათელია. მარცვლების მახვილიანი-უმახვილო წყვილი – მაგ. [lɐ] და [lʰɐ] სიტყვაში *lagoon* – რადიკალურად განსხვავდება ხმოვნის ხარისხით, ხოლო მთავარ და მეორად მახვილებს შორის უფრო შეუმჩნეველი განსხვავებაა. ამიტომაც მახვილიანი-უმახვილო კატეგორიით განსხვავებული წყვილები უფრო განსხვავებულებია, ვიდრე ძირითადი მახვილის ადგილის მიხედვით განსხვავებული წყვილები.

უფრო განსხვავებული
lagoon → lagoón

ნაკლებად განსხვავებული
cántèen → càntéen

უფრო საინტერესო კი ისაა, რომ ფორმათა მსგავსების ამგვარ შეფასებებს მოსაუბრეების მეტყველებაში ცვლილებები შეაქვს. იმისათვის, რომ აარიდონ თავი ძლიერმახვილიანი მარცვლების მეზობლობას, ბევრი მათგანი გამოთქვამს *fiftèen mén, únmarkéd cáse* (ნაცვლად მოსალოდნელი ფორმებისა – *fiftéen mén, únmarkéd cáse*). ამის შედეგად ვიღებთ ძნელად შესამჩნევ რევერსიულ ფორმას, რომელიც სხვა კონტექსტებში უცვლელად გამოითქმის. მაგრამ მოსაუბრენი მახვილს არ ცვლიან ისეთ ფრაზებში, როგორცაა *profóund thóught*: ისინი არ იტყვიან **prófound thóught* მიუხედავად იმისა, რომ ამ ფორმასაც იგივე ეფექტი აქვს. ასეთ შემთხვევებში მახვილის შებრუნების მიუღებლობის მიზეზი უფრო მეტად აღიქმება *profóund*-სა და მის შებრუნებულ ფორმას შორის. ძნელად ამოსაცნობი წყვილი *profóund/*prófound* განსხვავდება არა მხოლოდ პირველადი მახვილის ადგილით, არამედ საწყისი მარცვლის მახვილიანობა-უმახვილობით; ხოლო მარტივად აღქმულ წყვილებში, როგორცაა *únmarkéd/únmarkéd* განსხვავება მხოლოდ მთავარი მახვილის ადგილია. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვებში მახვილის ცვლილება განსხვავებულობის ზღვარია: იგი დაუშვებელი ხდება, როცა საბოლოოდ მიღებული ფორმა მეტისმეტად შორდება ამ ზღვარს.

ახლა კი განვიხილოთ შემთხვევები, როცა ორ მსგავს თანხმოვანს შორის ჩასმულია მწკრივი, [bætəd] სიტყვაში. ინგლისურში ასეთ დროს დაისმის უმოკლესი ხმოვანი [ə]. დაიმახსოვრეთ, რომ მისი ფუნქციაა ორი მსგავსი სეგმენტის გაცალკეება. სხვა მწკრივების ყველა კატეგორიას შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება, ამიტომაც, საინტერესოა, არის თუ არა რაიმე პრინციპი, რასაც კონკრეტული არჩევანი ეფუძნება. ჩვენს დისკუსიას შემოვსაზღვრავთ ორი ალტერნატიული ვარიანტი: /n/ და /ai/ ბგერების ჩასმით. ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა დამოუკიდებელი ანალიზით განისაზღვროს არჩევანი. თუ /d/ და მის წინ მდგომ მსგავს თანხმოვანს შორის გამყოფად ჩავსვამთ /n/ ბგერას, მივიღებთ [bætnd], სადაც სამი თანხმოვანი მოიყრის ერთად თავს. ინგლისურში ასეთ მორფემათა შეერთება დასაშვებია, მაგრამ უამრავი ენისთვის მიუღებელია, ერთი მხრივ, რადგან თანხმოვანთა ასეთი მიმდევრობა კროს-ლინგვისტურად არასასურველია და, მეორე მხრივ, თანხმოვნის მარცვლოვანობის გამო, როგორცაა /n/ ამ კონტექსტში. ამის საპირისპიროდ, არც ერთი ენა არ კრძალავს ხმოვნის შემდეგ ორ თანხმოვანს, რაც გულისხმობს შვას ბუნებრივ ჩართვას. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩასასმელი მასალის შერჩევა გულისხმობს კროს-ლინგვისტურად სეგმენტთა მიმდევრობის აგებულებასთან დაკავშირებით გარკვეული ფორმისათვის უპირატესობის მინიჭებას: უმჯობესია CVC მიმდევრობა, ვიდრე CCC და ნაკლებად მისაღებია მარცვლოვანი თანხმოვანი. ახლა განვიხილოთ ინგლისურ ხმოვანთაგან რომელია ჩასასმელად ვარგისი: ესაა ყველაზე მოკლე ხმოვანი. ჰიპოთეზურ ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე მოკლე ხმოვნის ჩასმა [bætəd] სიტყვაში ლოგიკურია (20) პრინციპის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. იგი აგვარებს ძირითად და ზედპირულ სტრუქტურებს შორის მსგავსების შენარჩუნების პრობლემას. ყოველივე ზემოაღნიშნულის დაკვირვების შემდეგ ვვარაუდობთ, რომ არსებობს ისეთი პრინციპები, რომლებიც არეგულირებს ძირითად და ზედპირულ ფორმებს შორის დაშორებას: მათ

ჩვენ უტყუარობის ან ანალოგიის პრინციპებს ვუწოდებთ. ამ პრინციპების მიხედვით შესაძლებელია აიხსნას, რატომაა ერთი ვარიანტი უფრო მიღებული და ფართოდ გავრცელებული წესი, ვიდრე დანარჩენები. მაგალითისთვის განვიხილოთ ანალოგიის შემდეგი პრინციპი:

(29) **მორფემის აღდგენა**

თუ სიტყვა თავის ძირითად ფორმაში შეიცავს რაიმე მორფემა μ -ს, მის ზედაპირულ გამოხატულებაში μ სეგმენტი სულ ცოტა ერთი მაინც უნდა იყოს.

(29) პრინციპს შეუძლია ახსნას, რატომ არაა /sz/ მიმდევრობა სიტყვაში /bas-z/ რეალიზებული [s] ფორმით, რის ნაცვლადაც შვის ჩართვა ხდება. /bas-z/ რომ [bas] ფორმით გამოვსახოთ, მაშინ მრავლობითობის გამოხატველი მორფემა ზედაპირულ ფორმაში აღარ გვექნებოდა. იგივე პრინციპი გამოგვადგება იმის ასახსნელად, თუ რატომ ხდება, რომ ენები, რომლებიც ხშირად მიმართავენ ხმოვნის (V) ამოგდებას სხვა ხმოვნის გვერდით, ბლოკავენ ან მიმართულებას უცვლიან ამ წესს, როცა ამოსაშლელი ხმოვანი მორფემის ძირითადი სეგმენტია. (კაზალი. 1997). ეს ვითარება შეჯამებულია ჩიჩევას მაგალითზე (30)-ში:

(30) ა. V2 ქრება V1-V2 მიმდევრობაში

khasu-ili → khasuli	„ეს თობი“
hoe-this	
mwana-uɔ → mwanayo	„ის ბავშვი“
child-that	

ბ. V1 ქრება V1-V2 მიმდევრობაში, როცა V2 მორფემის ერთადერთი სეგმენტი

si-u-pita → supita	„არ ნახვალ“
not-you-go	
ti-a-bwela → tabwela	„მოვედით“
we-PERFECT-come	

ჩიჩევას ანალიზის ეს მცირე მაგალითი მოიცავს პრინციპს, რომელიც დაუშვებელს ხდის მეზობელი ხმოვნების ერთად თავმოყრას. სწორედ ეს იწვევს ბგერის ამომშლის ძირითად პროცესს. (29)-ში წარმოდგენილი პრინციპი შესაძლებელია გამოვიყენოთ ასახსნელად, რატომ არსებობს /si-u-pita/ [supita] ნაცვლად *[sipita] ფორმისა, მაშინ, როცა ჩიჩევას ყველა დანარჩენ მსგავს შემთხვევაში მეორე ხმოვანი იკარგება. ახლა კი (31)-ში განვიხილოთ სავარაუდო პრინციპი.

(31) **ობსტრუენტობის აღდგენა**

თუ ძირითად ფორმაში სეგმენტი ობსტრუენტია, ის უნდა გამოვლინდეს ზედაპირულ ფორმაშიც ობსტრუენტის სახით.

(29) პრინციპი განმარტავს, რატომ არ ვლინდება ზედაპირულ ფორმაში /td/ მიმდევრობა /bæt-d/-ში [nd] ან [ld] წყვილით. (31) პრინციპი ასევე განმარტავს, რომ ვერ ხდება წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპის აღდგენა ერთ-ერთი ობსტრუენტის სონორად ქცევის გზით: /sip-d/ ხდება [sɪpt] და არა *[sɪmd].

შეგვიძლია აქ ცოტა ხნით შევჩერდეთ და დავაკვირდეთ ამ ორი ანალოგიის პრინციპის გავლენას /bæt-d/-ის ზედაპირული ფორმის შერჩევასას. ამას გავაკეთებთ (32) ცხრილში /bæt-d/-ის ზოგი ზედაპირული ფორმის ანალიზის გზით. ცხრილის პირველ რიგში მოქცეულია განსახილველი პრინციპები: ამ მაგალითში შემოვიფარგლებით (26) („არც-ზედმეტად-მსგავსი“), (29) (მორფემის აღდგენა) და (31) (ობსტრუენტობის აღდგენა) პრინციპებით. მარცხენა სვეტივო ვწერთ ძირითად გამოხატულებებსა და ზედაპირული ფორმის რეალიზების სხვადასხვა პოტენციურ გზებს. ასეთ ფორმებს კანდიდატებს ვუწოდებთ, რომლებიც **ზედაპირულ ფორმათა კანდიდატების** შემოკლებაა. ასეთი ტიპის ცხრილს **ტაბლო** ჰქვია. თითოეული კანდიდატი შეფასებულია დასახელებულ პრინციპებთან მისი შესაბამისობის მიხედვით; თუ მოცემული კანდიდატი არღვევს წესს, ეს ფაქტი შესაბამის უჯრაში * ნიშნით აღინიშნება. ქვემოთ ნახავთ, რომ თუ მხოლოდ ოთხი კანდიდატით შემოვიფარგლებით – [bæt-d] [bæɪn-d] [bæt] და [bætəd] – ჩამოთვლილი პრინციპები საკმარისია, რომ გამოორიცხოს ყველა და დატოვოს მხოლოდ სწორი ფორმა [bætəd].

(32)

UR= /bæt-d/	„არც-ზედმეტად-მსგავსი“	მორფემის აღდგენა	ობსტრუენტობის აღდგენა
[bæt-d]	*		
[bæt]		*	
[bæɪn-d]			*
[bætəd]			

აღსანიშნავია, რომ სწორ ზედაპირულ ფორმამდე [bætəd] ისე მივვით, რომ რაიმე წესისთვის არ მიგვიმართავს. უბრალოდ შევარჩიეთ ოპტიმალური ზედაპირული გამოხატულება მოცემული პრინციპებისა და წარმოდგენილი ვარიანტების განხილვის შედეგად. რატომაა ეს ფაქტი ასე მნიშვნელოვანი? იგი გვიჩვენებს, რომ შესაძლოა ის, რასაც ჩვენ „წესს“ ვუწოდებთ არის ურთიერთქმედება ფონოტაქტიკურ შეზღუდვებსა და ანალოგიის შეზღუდვებს შორის, წესის სტრუქტურული აღწერილობა ძირითად გამოხატულებაში (UR) დარღვეულმა ფონოტაქტიკურმა შეზღუდვებმა განსაზღვრა, ხოლო სტრუქტურული ცვლილება ეხება იმ ანალოგიის შეზღუდვებს, რომლებიც ძირითად და ზედაპირულ გამოხატულებებს (SR) შორის დგას.

ჩნდება კითხვა, რომელიც აქამდე არ შეგვინიშნავს: ზოგადი პრინციპების პირობებში წესის ყველა ასპექტის წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია თუ არა? ბევრი ფონეტიკოსი ცდილობს დადებითი პასუხი მიიღოს. ეს ნიშნავს იმას, რომ ახლა წარმოდგენილი ანალიზი უფრო ხშირად გვხვდება შეზღუდვებთან, ვიდრე წესებთან დაკავშირებით. ამ თავის დარჩენილ ნაწილებში განვიხილავთ ჰიპოთეზიდან გამომდინარე საკითხებს. საპირისპიროს გათვალისწინებით, სავარაუდოდ, (32)-ში ყველა შესაძლო ვარიანტი არ იყო წარმოდგენილი, მაგალითად, რა გამოორიცხავს [bætəneid] ფორმას, როგორც /bæt-d/-ის კანდიდატს? არაფერი, ვინაიდან მოცემული პრინციპები ამის საშუალებას გვაძლევს, თუმცა ჩვენ ჯერ არ განგვიხილავს ანალოგიის ყველა პრინ-

**სავარჯიშო
14.6**

ნაიკითხეთ სავარჯიშო 13.3 და (8) მაგალითი მე-13 თავში. უნგრული წარმოთქმის ალტერნაციის ანალიზი ხელახლა ჩამოაყალიბეთ ინგლისური წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპის მსგავსი ფორმულირებით, მაგრამ შეუსაბამეთ იგი უნგრულ მაგალითებს და დაწერეთ (20ბ)-ს მსგავსი წესი. გაითვალისწინეთ, რომ ამ ენაში [±voicing] მახასიათებლის მიხედვით შეუთავსებელი მიმდევრობა მიუღებელია სიტყვის საწყის პოზიციაში. ჩამოაყალიბეთ შესაბამისი წესები (20)-ის ფორმატის გამოყენებით.

**სავარჯიშო
14.7**

გადაიკითხეთ 14.3 სავარჯიშო და თქვენი პასუხი. ამოხსნაში თქვენ ჩამოაყალიბეთ პრინციპი, რომელიც ინგლისურში თანხმოვანთა ზოგიერთი მიმდევრობის ზედაპირულ სტრუქტურაში დაუშვებლობას ეხებოდა, ამ პრინციპს მივყავართ ძირითადი გამოხატულებების ისეთ სახესხვაობებთან, რომლებიც ამ პრინციპს დაარღვევს. მაგალითად, ძირითადი ფორმა ზმნისა *condemn* /kəndɛmn/ ვლინდება [kəndɛm] ფორმით, როცა მას არ მოსდევს ხმოვნით დაწყებული სუფიქსი *-ation*. სიტყვის ბოლოს ძირითად ფორმაში გამოხატული */-mn/-*ს წარმოდგენა ზედაპირული [m] ფორმით სერიოზულ სირთულეს უქმნის აქამდე ამ თავში განხილულ ანალიზს. ამ სავარჯიშოში თქვენი დავალებაა, რომ აღმოაჩინოთ ეს პრობლემა. ამ თავის მომდევნო ქვეთავი განიხილავს ამ პრობლემის გადაჭრის გზას. პრობლემის ამოსაცნობად საჭიროა განიხილოთ ამ თავში წარმოდგენილი უტყუარობის პრინციპის და სხვა სახის შეზღუდვები, რომლებიც იცით.

შექმენით ტაბლო, სადაც ყველა ეს შეზღუდვა იქნება წარმოდგენილი და სადაც ძირითადი /kəndæmn/-ის სხვადასხვა კანდიდატია შეფასებული. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მხოლოდ პირველია ზედაპირული სწორი ფორმა, რომელსაც სწორი ანალიზის შედეგად ვიღებთ. განიხილეთ თქვენ მიერ აღმოჩენილი პრობლემა.

ძირითადი	კანდიდატი 1	კანდიდატი 2	კანდიდატი 3	კანდიდატი 4	კანდიდატი 5
kəndɛmn	kəndɛm	kəndɛmd	kəndɛmən	kəndɛmn	kəndɛn

განიხილეთ თქვენ მიერ აღმოჩენილი პრობლემა ტაბლოსთან მიმართებაში.

**სავარჯიშო
14.8**

ხელახლა ნაიკითხეთ 14.5 სავარჯიშო, რომელიც განიხილავს შემთხვევებს, როცა ძირითად ფორმაში მიმდევრობა /sʃ/ იქცა ზედაპირულ [ʃ] სიტყვის საწყის პოზიციაში, მაგალითად, ძირითადი /kənfɛs-ʃɪn/- დ იქცა ზედაპირულ [kənfɛʃɪn]. იპოვეთ სულ ცოტა 5 კანდიდატი, ანუ 5 განსხვავებული შესაძლო ზედაპირული ფორმა, რომელიც /kənfɛs-ʃɪn/-ს შეესაბამება და რომელიც ყოველმხრივ ირიდებს აკრძალულ [sʃ] მიმდევრობას. თუ დასახელებული კანდიდატები არღვევენ აქამდე განხილულ რომელიმე პრინციპს, დასახელებულ რომელი პრინციპებია წარმოდგენილი ტაბლოს სახით. დასახელებულ კანდიდატები, რომლებიც განსხვავდებიან ზედაპირული ფორმისაგან და იმავდროულად არ არღვევენ აქამდე წარმოდგენილ არც ერთ პრინციპს. განიხილეთ ან ფონოტაქტიკური ან უტყუარობის შეზღუდვები, რომლებსაც ეს კანდიდატები არღვევენ.

14.7 შეზღუდვითა კონვლიქტი

ჩვენი განხილვის სწორად წარმოჩენისათვის საჭიროა, ცალსახად აღინიშნოს, რომ ჩვენი მიზანი არ არის წესების უსარგებლობაში მკითხველის დარწმუნება. წესებმა შესაძლებელია მოდფიკაციის საჭირო მოდელი მოგვცეს ძირითადი გამოხატულების ზედაპირულ ვარიანტად ქცევისთვის. საჭიროა შევისწავლოთ (32)-ში გადმოცემული წესებისგან თავისუფალი შემთხვევები, ვინაიდან დაინტერესებულნი ვართ პრინციპებით, რომლებიც ერთმანეთისგან განარჩევენ შესაძლო და დაუშვებელ წესებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისაღები წესია სიტყვაში მინიმალური ცვლილება, რაც ლექსიკური ინფორმაციის აღდგენის საშუალებას იძლევა. იმის განსასაზღვრად, თუ რა იგულისხმება „მინიმალურ ცვლილებაში“, ვამონებთ შესაძლო ანალოგიის პრინციპებს, რომლებიც შეუთავსებელ საზღვრებს აწესებენ დაკავშირებულ ფორმებში, ეს არის ერთი და იმავე სიტყვის ძირითადი და ზედაპირული გამოხატულებები. საინტერესოა, რომ ანალოგიის პრინციპები მშობლიურ ენაზე მოსაუბრის ლინგვისტური კომპეტენციის ნაწილია.

გამოგონილი ენების ფონოლოგია

მეცხრამეტე საუკუნეში ორი ენა, ვოლაპუკი და ესპერანტო გამოიგონეს ჰარმონიის დამკვიდრებისა და ეროვნებისა და ეთნიკური საზღვრების გადალახვის მიზნით. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში საზოგადოება იმეტყველებდა ერთ ნეიტრალურ ენაზე და შედეგად არც ერთ უკვე არსებულ ენას სხვებთან მიმართებაში უპირატესობა არ მიენიჭებოდა. ამ ხელოვნური ენების ფონოლოგიური სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს ვნახოთ, გამომგონებელთა აზრით, რა ქმნის ლინგვისტურ სისტემას მოქნილსა და ადვილად ასათვისებელს. ვოლაპუკის ლექსიკური მარაგი ეფუძნებოდა რომანულ და გერმანულ ენებს, ხოლო ესპერანტოს საფუძვლად დაედო გერმანული, რომანული ენები და პოლონური. გასაკვირიც არაა, რომ სემანტური აგებულება, მარცვალთა ფორმა და მახვილი ამ ორ ენაში ძალიან ჰგავს გერმანულ, რომანულ და სლავურ ენათა სტრუქტურებს, თუმცა საინტერესოა, რომ ცდილობდნენ ორივე ენაში მორფემათა ალტერნაციების რიცხვი მინიმუმამდე შეემცირებინათ: ამის გამო არც ვოლაპუკი და არც ესპერანტო არ ჰგავს საფუძვლად გამოყენებულ არც ერთ ენას. ორივე ამ ენას აქვს ხმოვნით დაწყებული სუფიქსები. ეს მახასიათებელი ენაცვლება ყველაზე გავრცელებულ ალტერნაციებს, რომლებიც თანხმოვანს უპირისპირებს თანხმოვანს, ხმოვანს კი – ხმოვანს: ვინაიდან ძირების უმრავლესობა თანხმოვნით ბოლოვდება, ხოლო თითქმის ყველა სუფიქსი ხმოვნით იწყება, თანხმოვან-თანხმოვნისა და ხმოვანი-ხმოვნის წყვილები, რაც ალტერნაციებს გამოიწვევდა, წარმატებითაა არიდებული. მორფემათა ალტერნაციის იშვიათი შემთხვევა ესპერანტოში გამოვლინდა ბოლო ხმოვნის დაკარგვის სახით; *kandélo* „სანთელი“, შესაძლოა რეალიზდეს *kandél* ფორმით, თუმცა მორფემის წარმომადგენელი ბოლო ხმოვანი, რომლის ყოფნა არაა გამოწვეული სინტაქსური კონტექსტიდან, ვერ წაიშლება: ეს კი ძალიან ჰგავს (29) პრინციპს – მორფემის აღდგენა. იგივე თვისება ახასიათებს უფრო მოგვიანებით შექმნილ ესპერანტოზე დაფუძნებულ განახლებულ და გაუმჯობესებულ ვერსიებს, როგორიცაა ფრანგულ-ესპერანტო ენა – ნეო.

წინა ქვეთავში წარმოდგენილ ანალიზში ზედაპირული ფორმა, როგორიცაა [bætað] ძირითადი /bæ:t-d/-ისთვის, შერჩეული იყო ზედაპირული გამოხატულებების

ყურადღებით შესწავლით არა მარტო იმიტომ, რომ (25)-ის მსგავს ფონოტაქტიკურ, არამედ ანალოგიის შეზღუდვებსაც აკმაყოფილებდა.

მიუღებელი ჩანს ის აზრი, რომ შეზღუდვებს წესების ჩანაცვლება შეუძლიათ, მაგრამ თუკი წესები მომდინარეობს პრინციპებიდან, მაშინ (32)-ის მსგავსი ცხრილი მარტივად და ზუსტად გამოხატავს იმ პრინციპებს, რომლებიც განმარტევენ, რატომ იცვლება ძირითადი სტრუქტურა და რატომ ხდება მათი ცვლილება ამა თუ იმ კონკრეტული გზით. რა თქმა უნდა, აქ თავს იჩენს ის ფაქტიც, რომ შეუძლებელია ყველაფრის ახსნა, მაგრამ ექსპერიმენტირების გარეშე ვერ აღმოვაჩენთ ენის სტრუქტურის რომელი ასპექტებია სადაო – ანუ რა აიხსნება ზოგადი ტერმინებით და რომელი დაიყვანება უფრო ზოგად პრინციპებზე. შესაბამისად, საჭიროა, განვიხილოთ თვალსაზრისი, რომ ფონოლოგიური წესის ყველა ასპექტი შესაძლებელია განისაზღვროს პრინციპებით. სწორედ ამას ვაკეთებთ ახლა.

წინაზე აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ შვა, ძალიან მოკლე ხმოვანი, ჩაისმის ძირითად ფორმაში /bæ̃t-d/. ახლა კი ჩამოვყალიბოთ ამ მოვლენის ამხსნელი შესაძლო პრინციპები. განვიხილოთ (39):

(33) ა. **მარცვლოვანი ეკვივალენტობა.** ძირითად გამოხატულებაში იმდენივე მარცვალია, რამდენიც ზედაპირულ ფორმაში.

ბ. **მოსაზღვრეობის აღდგენა.** ძირითად გამოხატულებაში მეზობელი სეგმენტები მოსაზღვრენი უნდა იყვნენ ზედაპირულ ფორმაშიც.

ჩანართი 14. 4

დამატებითი ცნობები მოსაზღვრეობის აღდგენის შესახებ

მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპი ტექსტში გამოიყენება, რათა აიხსნას მსგავს სეგმენტებს შორის მხოლოდ უმოკლესი ბგერის ჩასმა. ამ პრინციპის უფრო ვიწრო ვერსია განმარტავს მოვლენებსაც. აღსანიშნავია, რომ /t-d/ მიმდევრობა, რომელიც [bæ̃t-d]-ს მსგავს სიტყვებში გაცალკევებულია, ეკუთვნის სხვადასხვა მორფემებს: /bæ̃t/ და /d/. დაუშვათ, მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპი უფრო აქტიურად გამოიყენება, როცა მეზობელი სეგმენტები ერთი მორფემის შემადგენლობაშია. ეს იწვევს უფრო ძლიერ აკრძალვას მორფემის შიგნით ჩასასმელად, ვიდრე მორფემათა საზღვართან. ეს შედეგი დოკუმენტირებულია: სიერა მივოკში, გადაშენებულ ამერიკელ ინდიელთა ენაში კალიფორნიაში, ხმოვანი [i] ჩაისმის თანხმონების წყვილის გასაყოფად. მისი ადგილი დამოკიდებულია მორფემათა საზღვარზე, კერძოდ, /tekm-nt-/, რაც ნიშნავს „განაგრძო ფეხით დარტყმა“, დამატებითი ხმოვანი ჩნდება პირველი ორი თანხმონის შემდეგ, /nt/ სუფიქსის წინ: [tekmint-], ხოლო სიტყვაში /hoŋŋj-ksi/, რაც ნიშნავს „მისი შიშველი მუხლები ჩანს“, ხმოვანი ჩაისმის პირველი თანხმონის შემდეგ: [hoŋŋjiksi]. ასეთი შედეგი ამტკიცებს, რომ ერთი მორფემის სეგმენტები მოსაზღვრეობად რჩება ზედაპირულ ფორმაშიც. ჩასმის ადგილის ასეთივე მრავალფეროვანი ვარიანტებია სხვა ენებშიც.

მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპის განსხვავებული შედეგი გამოიხატება სურვილში, აფიქსი ჩაჯდეს არა ძირში ინფიქსის სახით, არამედ მის გარეთ, პრეფიქს-სუფიქსის სახით. აღსანიშნავია, რომ ინფიქსს ფუნდამენტალური ნაკლი აქვს: იგი მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპს არღვევს; მისი ჩასმა აცალკევებს ისეთ სეგმენტებს,

რომლებიც ფუძის ძირითად ფორმაში მოსაზღვრენი იყვნენ. სავარაუდოდ, ამის გამოა, რომ ენათა უმეტესობაში არ არის ინფიქსი. ისეთ ენებშიც კი, სადაც ინფიქსი არსებობს, მათი ჩასმის წესი ძალიან შეზღუდულია. ინფიქსაცია ხდება ისეთ მორფემებში, რომელთა მარცვალთა სტრუქტურა ინფიქსის მეშვეობით უმჯობესდება.

(33)-ში წარმოდგენილი ნიმუშები გონივრულ პრინციპებს ჰგავს. მაგრამ პირველი, რისი აღმოჩენაც ჩვენ შეგვიძლია, ისაა, რომ ისინი არ საუბრობენ ფორმების წყვილებზე, ანუ UR-სა და SR-ს შეპირისპირებაზე; ერთმარცვლიანი UR /bæ:t-d/ უპირისპირდება ორმარცვლიან SR-ს [bæ:təd]. /t-d/ სეგმენტები ძირითად ფორმაში მეზობელი სეგმენტებია, მაგრამ განცალკევებულია ზედაპირულ გამოხატულებაში. მათ შორის შვა არის ჩასმული. აქ ზემოაღნიშნული პრინციპები მიუღებელია.

თუმცა, ამ პრობლემის სხვა გზით განხილვაც შეიძლება. (33ა) პრინციპი საყურადღებოა, ვინაიდან იგი განასხვავებს მიღებულ და უარყოფილ UR-SR წყვილებს: /bæ:t-d/ – [bæ:təd] და /bæ:t-d/ – [bæ:təneid]. მიღებული წყვილი განსხვავდება ერთი მარცვლით, მიუღებელი – ორით, რითაც არღვევს კიდეც (33ა)-ს. ამის მსგავსად, (33ბ) პრინციპი ვარგისია ისეთი მიუღებელი ფორმების გამოსარიცხად, როგორიცაა /bæ:t-d/ – [bæ:t-ən-d] წყვილი. ამ შემთხვევაში, UR და SR ფორმები მარცვალთა რაოდენობით ერთნაირია, მაგრამ მეზობელი /t-d/ თანხმოვნების გამყოფი უფრო მოკლეა მიღებულ წყვილში, ვიდრე უარყოფილში. ამგვარად, ძირითად ფორმაში მეზობელ სეგმენტებს შორის ზედაპირულ გამოხატულებაში სიახლოვის ხარისხი საკმაოდ საყურადღებო საკითხია: ეს ფაქტი გარკვეულწილად წარმოდგენილია (32ბ) პრინციპში, რისი დასაბუთებაც ქვემოთაა მოცემული.

ახლა კი, თუ (33) პრინციპი ვარგისია და საჭიროა მისი აღიარება, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ზედაპირული გამოხატულებები, როგორიცაა [bæ:təd] არღვევს მას. ეს კი თავსატეხია: ჩვენ ვამტკიცებთ, (33) პრინციპი განმარტავდა, /t/ და /d/ სეგმენტების მაცალკევებელი წესი რატომ სვამდა მათ შორის მხოლოდ შვას და სხვას არაფერს, ახლა კი ვამბობთ, რომ სწორედ ამ პრინციპს არღვევს მიღებული ზედაპირული ფორმები, რომლებიც თავად ამ პრინციპს უნდა აეხსნა. ამ გაურკვეველობიდან გამოსვლა შესაძლებელია, თუ გავიაზრებთ, რომ აქამდე განხილული ზოგი პრინციპი ერთმანეთს ეწინააღმდეგება: შეუძლებელია „არც-ზედმეტად-მსგავსი“ და მორფემის აღდგენის პრინციპები ერთდროულად ყოველთვის შესრულდეს, ასევე მოსაზღვრეობის აღდგენისა და ობსტრუენტობის აღდგენის პრინციპები. თუ ყველა პრინციპის დაკმაყოფილება ერთდროულად არ შეიძლება, უნდა ავარჩიოთ მათ შორის ისეთი, რომლის შესრულებაც უფრო პრიორიტეტული და რომლის ნაწილობრივი დარღვევა დასაშვებია. ეს ნათლად ჩანს (34) ცხრილში, სადაც ყველა ფორმა რომელიმე პრინციპს არღვევს და არც ერთი კანდიდატი არ არის უნაკლო. თუკი ვიტყვით, რომ მოსაზღვრეობის აღდგენა ნაკლებად მნიშვნელოვანია დანარჩენ პრინციპებთან შედარებით, მაშინ ოპტიმალური კანდიდატი ისაა, რომელიც ამ პრინციპს არღვევს, მაგრამ დანარჩენებს აკმაყოფილებს. გრაფიკულად ეს გამოხატულია მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპისთვის განკუთვნილი სვეტის ორი პარალელური ხაზით გამოყოფის გზით.

(34)

UR = bæt-d/	„არც-ზედმეტად- მსგავსი“	ობსტრუენ- ტობის აღდგენა	მორფემის აღდგენა	მოსაზღვრეობის აღდგენა
(ა) [bætd]	*			
(ბ) [bænd]		*		
(გ) [bæt]			*	
(დ) [bætəd]				*

როგორც ხედავთ, (34)-ში უკანასკნელი ხარისხის შეზღუდვასაც კი აქვს ზედაპირული ფორმების შერჩევაზე გავლენა. ეს წინასწარ გათვალისწინებული იყო, როცა *[bætəneid] ფორმა უვარგისად მივიჩნიეთ, ვინაიდან იგი ძირითად გამოხატულებაში მეზობელ სეგმენტებს მეტისმეტად აცილებდა ერთმანეთს. ეს საკითხი ახლა შეიძლება აისახოს ანალიზში, თუკი ვიტყვი, რომ ორი მოსაზღვრე სეგმენტის მაცალკეებელი ერთეული დამოუკიდებლად და აღნიშნული დარღვევის გამომხატველი ნიშნით. საბოლოო შედეგი კი ისაა, რომ [bætəneid] დარღვევის უფრო მეტ ნიშანს ფლობს, ვიდრე [bætəd] და ეს საკმარისია [bætəneid] ფორმისა და ყველა სხვა მსგავსი კანდიდატის გამოსარიცხად.

(35)

UR= /bæt-d/	„არც-ზედმე- ტად-მსგავსი“	ობსტრუენ- ტობის აღდგენა	მორფემის აღდგენა	მოსაზღვრეობის აღდგენა
(ა) [bætəneid]				****
(ბ) [bætəd]				*

აქ უფრო ზუსტადაა წარმოდგენილი პრინციპები, რომლებიც შერჩევის პროცესს საფუძვლად ედება, როგორც (34)-(35) ცხრილებში ჩანს.

(36) როგორ შევარჩიოთ სწორი კანდიდატი უამრავ ვარიანტს შორის:

- ა. თუ ჯგუფში ორი კანდიდატი, ა და ბ, მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ა არღვევს უფრო მნიშვნელოვან შეზღუდვას, ვიდრე ბ, მაშინ ბ არის ოპტიმალური ა-სთან შედარებით.
- ბ. თუ ჯგუფში ორი კანდიდატი, ა და ბ, განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ა უფრო მეტად არღვევს ერთ შეზღუდვას ვიდრე ბ, მაშინ ბ არის ოპტიმალური ა-სთან შედარებით.
- გ. შერჩეული კანდიდატი ოპტიმალური უნდა იყოს ყველა დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით.

შერჩევის ეს პრინციპები არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა კანდიდატები დარღვევათა რაოდენობით და დარღვეული შეზღუდვების იერარქიით განსხვავდებიან.

ასეთი სიტუაცია აბსტრაქტულად ქვემოთაა მოცემული:

(37)

UR	შეზღუდვა 1	შეზღუდვა 2
კანდიდატი (ა)	*	
კანდიდატი (ბ)		**

(ბ) კანდიდატი დაბალხარისხიან შეზღუდვას ორჯერ არღვევს, ხოლო (ა) უფრო მნიშვნელოვან შეზღუდვას – მხოლოდ ერთხელ. რა არჩევანი უნდა გაკეთდეს ასეთ ვითარებაში? საჭიროა განვიხილოთ ასეთი სიტუაციის რეალური შემთხვევა, რომ დავინახოთ, რომელი ვარიანტი რჩება ზედაპირულ ფორმად. აქამდე შესწავლილი შემთხვევები გვიჩვენებს, რომ (ბ) უნდა დარჩეს: შეზღუდვის რანგი, კატეგორია უფრო მნიშვნელოვანია შერჩევისას, ვიდრე დარღვევათა რიცხვი. ამიტომაც ჩვენ (36a)-ს შემდეგნაირად გადავწერთ:

(38) ნებისმიერი ა და ბ კანდიდატის შემთხვევაში, თუ ა-ს მიერ დარღვეული შეზღუდვა უფრო მაღალი კატეგორიისაა, ვიდრე ბ-ს მიერ დარღვეული, მაშინ ბ არის ოპტიმალური ვარიანტი ა-სთან შედარებით.

(37)-ში ა-ს მიერ დარღვეული შეზღუდვა 1 (C1) უფრო მაღალი რანგისაა, ვიდრე ბ-ს მიერ დარღვეული შეზღუდვა 2 (C2). სწორედ ეს წყვეტს, რომელი კანდიდატია ოპტიმალური.

შერჩევის ასეთივე პროცედურა ტარდება ძირითადი /sɪp-d/-ის ზედაპირული ფორმის შესარჩევად, რომელიც არღვევს წარმოთქმითი შეთანხმების პრინციპს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ სწორ შედეგს მივიღებთ წარმოთქმითი შეთანხმების ყველაზე მაღალ დონეზე დასმით:

(39) **ჟღერადობის აღდგენა:** თუ სეგმენტი ძირითად ფორმაში მჟღერია, იგი მჟღერი უნდა იყოს ზედაპირულ ფორმაშიც.

(40)-ში წარმოდგენილია შეზღუდვათა კატეგორიებად დალაგების შედეგი: მოსაზღვრეობისა და ჟღერადობის აღდგენის პრინციპების ორ-ორი პარალელური ხაზით გამოყოფა მიუთითებს ამ უკანასკნელის დაბალ რანგზე:

(40)

UR=	წარმოთქმითი შეთანხმება	მორფემის აღდგენა	ობსტრუენტობის აღდგენა	მოსაზღვრეობის აღდგენა	ჟღერადობის აღდგენა
(ა) [sæpd]	*				
(ბ) [sæp]		*			
(გ) [sæmd]			*		
(დ) [sæpəd]				*	
(ე) [sæpt]					*

აქამდე განხილული შეზღუდვების დალაგებული ფორმა მოცემულია (41)-ში: ის-

რები (> \ <) მიუთითებს, რომ ზემოთ მდგომი შეზღუდვები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვემოთ დანერილები. >> სიმბოლოც ამავე მნიშვნელობით გამოიყენება: C1 >> C2 ნიშნავს, რომ C1 უფრო მაღალი რანგისაა ვიდრე C2.



აღსანიშნავია, რომ ჟღერადობის ალდგენის პრინციპი არ არის ზედმეტი და უმნიშვნელო. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ბოლოსაა ჩამონათვალში, იგი გამორიცხავს ისეთ კანდიდატს, როგორცაა *[bæ̃tət], რაც არც ერთ სხვა შეზღუდვას არ აუკრძალავს. (42) ცხრილი გვიჩვენებს, რომ [bæ̃tət] უარესია [bæ̃təd]-ზე, ვინაიდან იგი არღვევს არა მხოლოდ მოსაზღვრეობის ალდგენის პრინციპს, არამედ ნარმოთქმის ალდგენის პრინციპსაც. (36)-ის (ბ) შემთხვევის თანახმად [bæ̃təd] ოპტიმალური ფორმაა, ხოლო [bæ̃tət] და [bæ̃təd] ერთნაირია თითქმის ყველაფერში, გარდა იმისა, რომ პირველი არღვევს ერთ შეზღუდვას უფრო მეტად, ვიდრე მეორე:

(42)

UR = /bæ̃p-d/	ნარმოთქმითი შეთანხმება	მორფემის ალდგენა	ობსტრუენტობის ალდგენა	მოსაზღვრეო- ბის ალდგენა	ჟღერადობის ალდგენა
(ა) [bæ̃təd]	*				
(ბ) [bæ̃t]		*			
(გ) [bæ̃nd]			*		
(დ) [bæ̃təd]				*	
(ე) [bæ̃tət]				*	*

შემდგომი დაკვირვებები მოიცავს შვას ჩართვისა და ყრუდ ქცევის წესების დალაგებას. ორი წესი, ა და ბ, შეიძლება დალაგდეს ისე, რომ ა ნინ უსწრებდეს ბ-ს, ან პირიქით. მოცემული მაგალითებისთვის, მხოლოდ ერთი ვარიანტია სწორი. თუ შვას ჩართვას ყრუდ ქცევის წინ დავსვამთ, მაშინ ძირითადი გამოხატულება /bæ̃t-d/ თავს იჩენს, როგორც [bæ̃təd], რის შემდეგაც ყრუდ ქცევის წესის საჭიროება საერთოდ ქრება. ესაა ჩვენი მაგალითებისთვის საჭირო შედეგი. თუ ყრუდ ქცევის წესს შვას ჩასმის წინ დავსვამთ, მაშინ /bæ̃t-d/ ხდება [bæ̃tt], რის შემდეგაც შვას ჩასმის შედეგად არასწორ ფორმას *[bæ̃tət]-ს ვიღებთ. იგი არღვევს იმავე შეზღუდვებს, რასაც [bæ̃təd], მაგრამ ამას კიდევ ერთი დარღვევა ემატება. სწორედ ამის გამო ხდება იგი ნაკლებად ოპტიმალური კანდიდატი.

(20)-ის მსგავსი ანალიზი, რომელიც მოიცავს ორ წესს, ვერ გამოხატავს ამ ფაქტს; არავითარი ასპექტი არ განმარტავს, რატომაა ერთი წესის მიხედვით დალაგება უკეთესი, ვიდრე მეორე წესის მიხედვით. ეს დაკვირვება დიდი ხანია მიმდინარეობს. იმ ენათმეცნიერებმა, ვინც ეს ფაქტი პირველად შენიშნეს, ისეთივე სახის ახსნა წარმოადგინეს, როგორსაც ახლა ჩვენ განვიხილავთ. მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წესების ორგვარი წყობა არსებობს (ა წესი ბ-ს წინ და პირიქით), რომელთაგან ძირითადი ფორმის აღდგენის ერთი უფრო სრულყოფილ საშუალებას გვაძლევს, ვიდრე მეორე. ამგვარად, მხოლოდ წესებით ვიმოქმედებთ, თუ მხოლოდ შეზღუდვებით, მთავარია, რომ ანალიზმა გამოავლინოს სწორი US-SR მიმართება.

ამ ქვეთავში განხილულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ ის, რომ პრინციპები შეიძლება ერთმანეთს შეენიანაღმდეგოს. მათი შეპირისპირება არ გულისხმობს რომელიმეს ავტომატურად ამოვარდნას: შესაძლებელია ყველას შენარჩუნება, მაგრამ საჭიროა მათი პრიორიტეტის ნიშნით დალაგება. კატეგორიები გვანვდის ცნობას, რომელი შეზღუდვის დარღვევა შეიძლება სხვის შესრულების ხარჯზე. მაგრამ ამის მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა შეზღუდვა ლინგვისტური კომპეტენციის ნაწილია: როგორც მახასიათებლები, სინტაქსური სტრუქტურები ან მახვილი, ასევე ცალკეული შეზღუდვები ჰიპოთეზებია გრამატიკული ცოდნის სტრუქტურის შესახებ. და როგორც ჰიპოთეზები, შეზღუდვებიც შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი. მაგრამ მათი ურთიერთინააღმდეგობის უბრალო ფაქტი არ არის საკმარისი საფუძველი მათი ამოშლისთვის.

14.8 ტიპოლოგია, მარკირება და ვარიანტების კლასიფიკაცია

ობტიმალური კანდიდატის შერჩევის წინა ქვეთავში წარმოდგენილი წესები წინასწარ განსაზღვრავს, რომ შეზღუდვების სხვადასხვა სახით კლასიფიკაცია განსხვავებულ ბგერით ფორმას იწვევს. მაგალითად, თუ ჩვენ მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპს „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპის წინ დავაყენებთ, გამოვა, რომ საბოლოო კანდიდატი და ძირითადი გამოხატულება იდენტურია. (43) ცხრილი ამის ნათელი ილუსტრაციაა:

(43)

UR= /bæt-d/	მოსაზღვრეობის აღდგენა	მორფემის აღდგენა	ობსტრუენტობის აღდგენა	„არც-ზედმეტად- მსგავსი“
(ა) [bætəd]	*			
(ბ) [bæt]		*		
(გ) [bænd]			*	
(დ) [bætd]				*

ამ საკითხზე ყურადღება შემდეგი მიზეზით გავამახვილეთ. გრამატიკის ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოდელი სამი სახის საკვლევ ობიექტს მოიცავს, ესენია: ძირითადი გამოხატულების ენისათვის სპეციფიკური ლექსიკონი, შეზღუდვათა ჯგუფი და ამ

შეზღუდვების ენისათვის სპეციფიკური სახით კლასიფიკაცია. შესაძლოა შეზღუდვები ჩვენი ანალიზისგან დამოუკიდებლადაც არსებობდნენ, როგორც ერთ ენაში, ისე ერთი მოვლენის კროს-ლინგვისტურ ანალიზში. ზემოთ მოცემულ დანართებში ამის მაგალითები იყო მოყვანილი, მაგრამ შეზღუდვების კლასიფიკაცია წარმოდგენილი გახლდათ მხოლოდ სადისკუსიო მასალის შესაქმნელად: მას სხვა დატვირთვა არ ჰქონდა, გარდა მაგალითების მოცემისა. შეზღუდვების კლასიფიკაცია ისეთივე თვითნებური და ცალკეული ენისთვის სპეციფიკურია, როგორც ის ფაქტი, რომ კატის აღსანიშნად ინგლისური იყენებს [kæʔ]-ს და ფრანგული [ʃa]-ს. თუკი ეს ასეა, მაშინ ჩვენ წავაწყდებით პრობლემას, როგორ ალაგებს ერთსა და იმავე შეზღუდვებს სხვადასხვა ენა.

მსგავსი თანხმობების მიმდევრობები (მაგ. [tt], [dd], [ss]) ბერბერულ დიალექტებში უცვლელი ფორმითაა წარმოდგენილი სიტყვის ბოლოს, პოლონურში – სიტყვის დასაწყისში. ინგლისურის, პოლონურისა და ბერბერულის ზედაპირულ ფორმებს შორის განსხვავება შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ერთი და იგივე არსებული პრინციპის განსხვავებული კლასიფიკაციის ერთ-ერთი მაგალითი: „არც-ზედმეტად-მსგავსი“ >> მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპი (ინგლისურში); მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპი >> „არც-ზედმეტად-მსგავსი“ (პოლონურსა და ბერბერულში).

მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი ვიცით, რომ „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპი რაიმე როლს ასრულებს პოლონურისა და ბერბერულის გრამატიკებში. თუ ეს არ ვიცით, მაშინ [ss] წყვილის დაშვება სიტყვის საწყის ან ბოლო პოზიციამი შეიძლება ამ ენებში „არც-ზედმეტად-მსგავსი“ პრინციპის არარსებობით იყოს გამოწვეული. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და, გარკვეულწილად, გადაუღალახავი პრობლემაა: როგორ უნდა განვასხვავოთ ლინგვისტური სისტემები, სადაც ესა თუ ის შეზღუდვა დაბალი კატეგორიისაა, იმ სისტემებისაგან, სადაც იგივე შეზღუდვა საერთოდ არ შეინიშნება?

ამ შეკითხვაზე ნათელი პასუხი არ გვაქვს. მაგრამ ვფიქრობთ, რომ პასუხის მიუხედავად, კვლევის საუკეთესო სტრატეგიაა მაპროგნოზირებელი ვარაუდის მიღება. ამ შემთხვევაში ასეთი ვარაუდი ისაა, რომ შეზღუდვები ერთნაირია ყველა ენისთვის და განსხვავება მათ კლასიფიკაციაშია.

ჩვენი მაგალითი ეფუძნება მარცვლის სტრუქტურაზე მე-13 თავში წარმოდგენილ დაკვირვებას. იქვე იყო აღნიშნული, რომ ცალკეულ სიტუაციებში დამარცვლა დამოკიდებულია არა კონკრეტული ენის სპეციფიკურ, იმ თავში გაანალიზებულ მასალაზე, არამედ უნივერსალურ უპირატესობებზე. ადრე ნახსენები ორი სახის უპირატესობა ქვემოთაა განმეორებული:

(44) მარცვალთა უპირატესობის ორი უნივერსალური წესი:

თანაბარ პირობებში სეგმენტები დაიმარცვლება ისე, რომ შექმნას ა) ღია მარცვლები და ბ) სანყისიანი მარცვლები.

ეს ორი უპირატესობა შეგვიძლია ფონოტაქტიკური შეზღუდვების სახით ჩამოვაყალიბოთ.

(45) ***კოდა**: მარცვლებს არ შეიძლება კოდები ჰქონდეს.

(46) **სანყისი**: მარცვლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სანყისები.

ვინაიდან (44)-ში დამარცვლის უპირატესობები უნივერსალურია, შესაბამისი შეზღუდვებიც უნივერსალური უნდა იყოს. რატომ ხდება, რომ ზოგ ენაში მხოლოდ

საწყისის არმქონე მარცვლებია, ზოგში მხოლოდ დახურული მარცვლები (ანუ კოდები) და ზოგში კი – როგორც ინგლისურში – დასაშვებია ორივე? შეგვიძლია ამ კითხვას ვუპასუხოთ, თუკი გავაანალიზებთ საშუალებებს, რითაც (45) და (46)-ის დამრღვევ ძირითად გამოხატულებებს მათთან შეთავსებად ფორმებად ვაქცევთ. ავიღოთ UR /bæŋ/ ინგლისურში. ეს ფორმა არღვევს (45)-ს, ვინაიდან მას აქვს კოდა. რატომ არ არის იგი ისე ფორმულირებული, რომ (45)-ს მოერგოს? იმიტომ, რომ გამოხატულებების ფიქსირების ნებისმიერი მეთოდი გულისხმობს UR ფორმიდან დაშორებას და თითოეული ასეთი დაშორება კი გამოირიცხება ანალოგიის შეზღუდვით. შეგვიძლია ბოლო თანხმოვანი ამოვიღოთ /bæŋ/-ში, მაგრამ ეს წარმოთქმისა და ობსტრუენტობის აღდგენის პრინციპების დარღვევას გამოიწვევს.

(47) თანხმოვნის აღდგენა

ძირითად ფორმაში არსებული თანხმოვანი აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ზედაპირული ფორმით (იდენტური ან შეცვლილი სახით).

(ალსანიშნავია, რომ ამ შეზღუდვის დარღვევა ხშირად გამოწვეულია სხვა შეზღუდვების შესრულებით, რაც ხშირია ინგლისურში, როცა სიტყვის ბოლოს mn, mb და სხვა თანხმოვანთა წყვილები იყრიან თავს.)

თუ თანხმოვნის აღდგენის პრინციპს დავაყენებთ *კოდაზე მაღლა, ეს იგივე იქნება, რომ /bæŋ/ ფორმის (46)-თან შესაბამისობაში მოყვანისთვის საჭირო ბგერათა ამოღების მეთოდი გავაუქმოთ. შესაძლებელია ასევე რაიმე ხმოვნის ჩასმა, ვთქვათ [ə], რაც [ŋ]-ს საშუალებას მისცემს მარცვლის საწყისი გახდეს: /bæŋ/ → [bæ.ŋə]. რატომ არ ვიღებთ ამ ვარიანტს? შესაძლოა იმიტომ, რომ ანალოგიის შეზღუდვების მეორე კლასი მოითხოვს, ზედაპირულ ფორმას არც ერთი ისეთი სეგმენტი არ დაემატოს, რაც მის R-ში არაა.

(48) ხმოვნის ჩასმის აკრძალვა

ზედაპირულ გამოხატულებაში წარმოდგენილი ხმოვანი ძირითად ფორმაშიც უნდა იყოს (იდენტური ან სახეცვლილი).

ხმოვნის ჩასმის აკრძალვის პრინციპს თუ *კოდას წინ დავაყენებთ, მაშინ გამოირიცხება ამ ფორმის კოდას გარეშე რეალიზება. აქამდე წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, /bæŋ/ ფორმამ აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს კოდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მარცვლის ასეთ სტრუქტურას უპირისპირდება.

(49)

UR= /bæŋ/	ხმოვნის ჩასმის აკრძალვა	თანხმოვნის აღდგენა	*კოდა
(ა) [bæŋə]	*		
(ბ) [bæ]		*	
(გ) [bæŋ]			*

(ჩვენი ახალი პრინციპი – ხმოვნის ჩასმის აკრძალვა – ირღვევა ისეთ ფორმაში, როგორიცაა [mendəd], სადაც შვაა ჩამატებული. მაგრამ ეს აღმოჩენა შეთავსებადია აქამდე გამოთქმულ ვარაუდებთან, ვინაიდან ჩვენთვის მთავარია, რომ კლასიფიკაცია „არც-ზედმეტად-მსგავსი“ >> ხმოვნის ჩასმის აკრძალვა შეესატყვისებოდეს ხმოვნის

ჩასმის აკრძალვა >> *კოდა კლასიფიკაციას, რაც საჭიროა (49) -ისათვის).

თუ ჩვენ შევცვლით ამ სამი შეზღუდვის წყობას (49)-ში, შესაძლოა, შევქმნათ ისეთი ფონოლოგიური სისტემები, სადაც პოტენციური კოდა ნაიშლება (*კოდა >> თანხმოვნის აღდგენა); და აგრეთვე შევქმნათ ისეთი ენები, სადაც კოდების არსებობას თავიდან ავიცილებთ ხმოვნის ჩასმის გზით (თანხმოვნის აღდგენა, *კოდა >> ხმოვნის ჩასმის აკრძალვა). ახალი ზელანდიის ენას – მაორის – ზედაპირულ გამოხატულებებში აქვს მხოლოდ ღია მარცვლები (C)V სახით და ავლენს ისეთ ალტერნაციებს, როგორცაა [ho.pu] „დაიჭირე“ და [ho.pu.ki.a] „დაგიჭირონ“. ვინაიდან ვნებითი ფორმის მანარმოებელი სუფიქსია *-ia* (და არა *-kia*), ასეთი სახის ალტერნაციები გვიჩვენებს, რომ ძირია /hopuk/ და, როცა შესაძლებელია მარცვლის სანყისი გახდეს, /k/ იშლება შემდეგი სახის მიმდევრობათა გამო: ხმოვნის ჩასმის აკრძალვა და *კოდა >> თანხმოვნის აღდგენა. კლასიფიკაციის კიდევ ერთი სახეა თანხმოვნის აღდგენა, *კოდა >> ხმოვნის ჩასმის აკრძალვა, რომელიც წარმოდგენილია აშენინკა კამპაში, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ენაში.

ამრიგად, (49)-ში წარმოდგენილი კლასიფიკაციის ვარიანტები გვიჩვენებს სამ გზას, რომელთა გათვალისწინებითაც სიტყვის ბოლო თანხმოვანს უნდა მოვეპყროთ: ისინი შეიძლება შენარჩუნდეს, როგორც ინგლისურში ხდება; ნაიშალოს, როგორც მაორიშია; ან იქცეს მარცვლის სანყისად ხმოვნის ჩასმის გზით, როგორც აშენინკაში. ისეთი ძირითადი ფორმები, სადაც ზოგ მარცვალში არ არის სანყისი, გვაძლევს ასეთივე ტიპის ენათშორის ვარიანტებს: თუ ანალოგიის შეზღუდვები მარცვლის სანყისის პრინციპზე მალა დგას, ძირითად ფორმაში არსებული /umi/ — ხელუხლებელი დარჩება; თუკი სანყისის პრინციპი >> ხმოვნის აღდგენა, მაშინ შეიძლება დაიკარგოს სანყისის არმქონე ხმოვანი და ზედაპირულ ფორმაში წარმოგვიდგეს, როგორც [mi]; თუ სანყისის პრინციპი >> თანხმოვნის ჩასმის აკრძალვა, შესაძლოა გამოვლინდეს დამატებით სანყისი სეგმენტი და ზედაპირზე გვექონდეს, ვთქვათ, [ʔumi]-ს სახით. ფაქტობრივად, სამივე ვარიანტი მიღებულია.

უფრო მეტად სასარგებლოა იდეა, რომ ლინგვისტური ვარიანტები აისახება შეზღუდვათა კლასიფიკაციის ვარიანტებში. ყველა ბგერითი ნიმუში არ წარმოიქმნება ჩვენთვის უკვე ნაცნობი შეზღუდვების დალაგებით. მაგალითად, ენა, სადაც ყველა მარცვალი დახურულია, ვერ დახასიათდება ფონოტაქტიკური და ანალოგიის შეზღუდვების კლასიფიკაციით. ამ ჰიპოთეზურ სისტემაში, ყველა ღია მარცვალი ზედაპირულ ფორმაში დახურულად იქცევა. თუ ეს ხმოვანთა სისტემატური ამოშლით მიიღწევა, მაშინ ზოგიერთი შეზღუდვა ხმოვნის აღდგენის წინ უნდა იდგეს; თუ მიზანი თანხმოვანთა სისტემატური ჩასმით ხორციელდება, მაშინ იგივე შეზღუდვა თანხმოვნის ჩასმის აკრძალვის პრინციპის წინ უნდა დადგეს. მაგრამ მაღალი რანგის შეზღუდვა, რომელსაც ასეთი გავლენა ექნება, არ არსებობს: ჩვენ მიერ შესწავლილ არც ერთ ენაში ამ დონის უპირატესობა არ ენიჭება კოდს. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ არც ერთი ენა სისტემატურად არ კრძალავს ღია მარცვალს. შესაძლო კოდების საკითხში ლინგვისტური ვარიაცია მხოლოდ განხილულ სამ ვარიანტზე ვრცელდება. დაიშვება თუ არა კოდა? თუ არა, მაშინ როგორ უნდა ავიცილოთ ისინი თავიდან?

14.9 შეზღუდვითა კლასიფიკაციის გავლენა სიტყვათნარმოებაზე

შეზღუდვითა კლასიფიკაციის სარგებლიანობას წარმოვადგენთ სიტყვათნარმოებაზე მათი გავლენის გაანალიზებით. ჩვენი დაკვირვების პირველი ობიექტია აფიქსების ორი კლასი. აფიქსაციის წესები შეიძლება მათი პროდუქტიულობის მიხედვით დალაგდეს: პროდუქტიული აფიქსები შეიძლება ნებისმიერ ფუძეს მიემარგოს მისი სინტაქსური ან სემანტიკური საჭიროების მიხედვით. არაპროდუქტიულ აფიქსებს ასეთი უნარი არ აქვთ. მაგალითად, სუფიქსი *-ness* შეიძლება დაემატოს ხარისხის გამოხატველ ნებისმიერ ზედსართავ სახელს და აწარმოოს არსებითი სახელი, რომელიც გამოხატავს ამ თვისების ფლობას: *sheepishness, greenness, idleness*. სუფიქსი *-er* შეიძლება დაემატოს მოქმედების გამომხატველ ნებისმიერ ზმნას და აწარმოოს არსებითი სახელი, რომელიც ამ მოქმედების შემსრულებელს გამოხატავს: *planter (of trees), recoverer (of lost objects), opener (of doors)*. სუფიქსი *-able* ემატება გარდამავალ ზმნებს და აწარმოებს ზედსართავ სახელს, რომელიც ამ მოქმედების შესაძლებლობას აღნიშნავს: *mesmerizable, inducible, sweepable*. ეს აფიქსები პროდუქტიული აფიქსებია. მოცემული მაგალითები შემთხვევითი სიტყვებია, უფრო სტრუქტურულად შექმნილი, ვიდრე ლექსიკონში მოძებნილი ფორმები.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ აფიქსი *-al*, რაც ზმნურ მოქმედებას გამოხატავს, ასევე პროდუქტიულად ვერ დაემატება ყველა ზმნას: არსებობს *arrival* (დაკავშირებული *arrive* ზმნასთან), მაგრამ არა – **connival* (დაკავშირებული *connive* ზმნასთან). ამიტომ *-al* ფორმების რიცხვი საგრძნობლად შეზღუდულია და იმის გასაგებად, აქვს თუ რა ზმნას *-al* სუფიქსიანი ფორმა, საჭიროა ლექსიკონში მოძებნა. პროდუქტიული აფიქსების შემთხვევაში ლექსიკონში ძიება არ არის აუცილებელი; ასეთი აფიქსიანი სიტყვები, აქტიურად გამოიყენება თუ არა, ყოველთვის შეიძლება ინარჩუნოს. ამის მსგავსად, ზედსართავული სუფიქსები *-ic* და *-al*, ასევე *-ity*, რომელიც ზედსართავიდან აწარმოებს არსებით სახელებს, უხვადაა ინგლისურ ლექსიკონში, მაგრამ არაპროდუქტიულია ზემოაღნიშნული განმარტების მიხედვით; შეგვიძლია ვთქვათ *methodicalness*, მაგრამ არა *methodicality*; შეგვიძლია თავდაჯერებით ვთქვათ *the quality of an obstructant*, მაგრამ არა *obstruent quality*.

პროდუქტიულობაში განსხვავება ინგლისურში ასოცირდება ფონოლოგიურ მახასიათებლებთან: პროდუქტიული აფიქსები ინარჩუნებენ ძირეული მარცვლის მახვილს. არაპროდუქტიულ სუფიქსებს კი ასეთი მახასიათებელი არ აქვთ: მათი უმრავლესობა ფონოლოგიურ ცვლილებებს იწვევს ფუძეში. ფაქტი, რომ ასეთი სიტყვები ინარჩუნებენ მათი ფუძის ფონოლოგიურ მახასიათებლებს, უნდა აისახოს ლინგვისტურ ცოდნაშიც. (50)-ში წარმოდგენილია შესაბამისი პრინციპი:

(50) მახვილის აღდგენა

თუ მარცვალი მახვილიანია მოცემულ სიტყვაში, მაშინ ეს მარცვალი მახვილიანი ამ სიტყვისა და ერთი ან მეტი აფიქსის ნებისმიერ კომბინაციაში. თუ მარცვალი უმახვილოა მოცემულ სიტყვაში, მაშინ იგი უმახვილოა ამ სიტყვისა და ერთი ან მეტი აფიქსის ნებისმიერ კომბინაციაში.

პროდუქტიული აფიქსის მქონე სიტყვები აკმაყოფილებენ (50)-ში წარმოდგენილ პრინციპს. ამის გამო ისინი არღვევენ სხვა პრინციპებს. მაგალითად, ყველა უაფიქსო სიტყვა ინგლისურში – და ბევრი აფიქსიანიც – ვერ იტანს ორზე მეტ უმახვილო მარცვალს სიტყვის ბოლოს. უაფიქსო სიტყვებში შეიძლება იყოს მთავარი მახვილი სიტყვის ბოლოსგან საკმაოდ დაშორებით (როგორც მაგალითად სიტყვაში *mélanchòly*),

მაგრამ ყოველთვის იქნება მეორე მახვილი ბოლო სამ მარცვალში. იოლი შესამჩნევია, რომ უმახვილო მარცვლებში ხმოვნები შემოკლებულია ([ə], [ɪ] ან [I] [ɨ]-ს წინ); სრული ხმოვანი, როგორიცაა [æ], [ɛ], [e], [ɔ], [a], [u] მახვილის მანიშნებელია. უაფიქსო სიტყვებში სიტყვის ბოლოს შემოკლებული ხმოვნის შემცველ ორ მარცვალზე მეტი არაა. ამ მიზეზით [ˈpæmələŋə]-ს მსგავსი სიტყვები, რომლებიც სამი შვით მთავრდება, შესამჩნევი იქნება და არაინგლისურ სიტყვად ჩათვლიან ისინიც კი, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა.

(51) უაფიქსო ინგლისურ სიტყვებში სიტყვის ბოლოს უმახვილო მარცვლების ჯაჭვი:

1. უმახვილო მარცვალი: *vanilla, devélop, magénta*
2. უმახვილო მარცვალი: *mélody, ásterisk, díscipline*
3. უმახვილომარცვალი: _____
4. უმახვილო მარცვალი: _____

სიტყვის ბოლო სამი მარცვლიდან მახვილის ადგილი შეესაბამება (52)-ში წარმოდგენილ პრინციპს:

(52) ცდომილების აკრძალვა

არ შეიძლება რიგში ორზე მეტი უმახვილო მარცვალი იყოს.

ცდომილების აკრძალვა გამორიცხავს, როგორც მიუღებელ ფორმებს, ისეთს როგორიცაა [ˈpæmələŋə], ასევე ჰიპოთეზურ [ˌtætəməŋəˈɡʊtʃə]-ს, სადაც სამი უმახვილო მარცვალი ყოფს ორ მახვილიანს. რეალურად არც ერთი ვარიანტი არ გვხვდება.

მაგრამ ცდომილების აკრძალვის პრინციპს არღვევს პროდუქტიული სუფიქსებით წარმოებული სიტყვები: ისეთ ფორმებში, როგორიცაა *disciplinable, canónicalness, clássificatòry*, ინგლისურ ლექსიკონში აკრძალული მახვილის ფორმებია. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ასეთი სიტყვები ინგლისური მახვილის წესებისგან გამოყოფილია განიკლების სახით: ისინი წარმოადგენენ პროდუქტიულ და ჩვეულებრივ მოდელებს, რაც გამოწვეულია ფუძეზე სუფიქსის დართვით. ვერც იმას ვიტყვით, რომ არავითარი ფონოლოგიური წესი არ ეხება პროდუქტიული სუფიქსებით წარმოებულ სიტყვებს, ვინაიდან ძირითადი მახვილის გადანაცვლება ბევრ სუფიქსთან დაკავშირებით გვხვდება: როგორც სიტყვებში *ánalyze* და *ánalyzable*, სადაც ძირითადი მახვილი ინაცვლებს მარჯვნივ. ამ მოვლენის განზოგადება წარმოდგენილია (50)-ში: მახვილიან მარცვალს უწარჩუნდება მახვილი აფიქსაციის დროს, უმახვილო კი რჩება უმახვილოდ. ამ ნიმუშის ჩასაწერად საჭიროა ცდომილების აკრძალვა მოვთავსოთ მახვილის აღდგენის ქვემოთ. ასეთი კლასიფიკაციის ილუსტრაცია წარმოდგენილია (53)-ში:

(53)

ფუძე: <i>canónical</i> [kəˈnanəkəl]	მახვილის აღდგენა	ცდომილების აკრძალვა
(ა) <i>canónicalness</i> [ˌkæənəˈnikəlɪnəs]	* *	
(ბ) <i>canònicálness</i> [kəˈnɑnəˈkælɪnəs]	*	
(გ) <i>canónicalness</i> [kəˈnɑnəkəlɪnəs]		*

განხილული მაგალითები გვიჩვენებს გავლენას, რომელსაც ახდენს სიტყვათ

წარმოებაზე ანალოგიის შეზღუდვების ფონეტიკურ შეზღუდვებზე მაღლა დაყენება. ასეთი კლასიფიკაციის შედეგად მორფოლოგიურად რთული ფორმები არღვევს ფონოტაქტიკურ შეზღუდვებს.

საპირისპირო ფორმით დალაგებაც შეგვიძლია წარმოვადგინოთ: სიტყვათწარმოებაზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს შეზღუდვების კლასიფიკაციამ, როცა ანალოგიის ზოგ შეზღუდვაზე მაღლა დგება ფონოტაქტიკური შეზღუდვები. ჩვენ გამოვიყენებთ სქემატურ მაგალითს, რაც განაზოგადებს ავსტრონეზიურ ენებში არსებულ რამდენიმე მოვლენას. წარმოდგენილი იდეა ეკუთვნის მაკკარტისა და პრინცს (1995). ავსტრონეზიურ ჯგუფში (რომელიც მოიცავს ტაგალოგს, იავანურს, აქენურს) მისაღებია დახურული და საწყისის არმქონე მარცვლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ანალოგიის შეზღუდვები კოდას აკრძალვასა და საწყისის წინ დგას. მიუხედავად ამისა, ამ ორ შეზღუდვას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ავსტრონეზიური ენების მორფოლოგიაზე. ამ ენების პრეფიქსების უმეტესობას აქვს CV(C) ფორმა. სუფიქსები შედარებით უფრო იშვიათია, ზოგ ენაში კი საერთოდ არ გვხვდება (აქენური). რამდენიმე აფიქსია VC ფორმის და ისინი ინფიქსის სახით გვხვდება პირველი ძირეული თანხმონის შემდეგ. ამგვარად, როცა აქენური აფიქსი *-um-* ინფიქსის სახითაა ჩართული *tulak*-ის მსგავს ფორმაში, ვიღებთ *tumulak*-ს. დამარცვლით იგი ჩვეულებრივი ფორმით იშლება: *tu.mu.lak*. ამ ენათა ინფიქსების ანალიზმა ორ კითხვას უნდა უპასუხოს: პირველი, რატომაა ეს მორფემები ინფიქსები და არა პრეფიქსები ან სუფიქსები? მეორე, რატომ აქვთ ინფიქსებს VC ფორმა და არა CV, რაც სხვა აფიქსების შემთხვევაში გვხვდება? ორივე კითხვის პასუხი გულისხმობს შეზღუდვათა კლასიფიკაციას. დავუშვათ, რომ ავსტრონეზიურ ენებში VC მორფემები ძირითადად პრეფიქსებია: ასეთ შემთხვევაში ისინი წინ უნდა უსწრებდნენ სიტყვის ძირის გარკვეულ ნაწილს, სასურველია, მთლიანი ძირეული მორფემის წინ იდგეს. ამ მიზნისთვის (54)-ში ასეთ შეზღუდვას ჩამოვაცალიბებთ:

(54) პრეფიქსი

აფიქსის ყველა სეგმენტი უსწრებს ძირის ყველა სეგმენტს.

ახლა განვიხილოთ ის შემთხვევა, როცა ისინი მთლიან ძირს უსწრებენ წინ, როგორც პრეფიქსები. მაშინ *um-*ის აფიქსაციით მივიღებთ *um.tu.lak*, ორი კოდისანი და ერთი საწყისის არმქონე მარცვლით. უნდა ითქვას, რომ ინფიქსური ფორმა *tumulak* ფონოტაქტიკურად უმჯობესია. მასში არაა საწყისის არმქონე მარცვალი და იგი ამცირებს კოდათა რიცხვს რომელიმე სეგმენტის ჩასმა-ამოშლის გარეშე. ამგვარად, საწყისისა და კოდას აკრძალვის შესახებ დაბალი რანგის შეზღუდვები მნიშვნელოვან როლს ასრულებს VC მორფემების ინფიქსებად გამოყენებაში. ისინი დაბალი რანგისანი კი არიან ანალოგიის სხვა შეზღუდვებთან შედარებით, მაგრამ პრეფიქსზე მაღლა დგანან და სწორედ ეს მტყვევლებს იმაზე, რატომ მოხდა *um-*ის ინფიქსაცია. კლასიფიკაცია ხსნის რატომ არ გამოიყენება CV ფორმის პრეფიქსი ინფიქსის სახით: იგი აწარმოებს საწყისისა და კოდის არმქონე მარცვლებს მაშინაც კი, თუ ის პრეფიქსის პრინციპს აკმაყოფილებს.

(55)

პრეფიქსი -um ძირი <i>tulak</i>	საწყისი	კოდას აკრძალვა	პრეფიქსი
(ა) <i>um.tu.lak</i>	*	**	
(ბ) <i>tu.mu.lak</i>		*	*

მაგრამ რატომ არ დაისმის აფიქსი -um სუფიქსად? ყურადღება მივაქციოთ, რომ ფორმა, სადაც -um სუფიქსის როლს ასრულებს, ფონოტაქტიკურად სწორადაა აგებული. მაგრამ ასეთ შემთხვევაში -um მორფემა არც ერთ ძირეულ სეგმენტს წინ არ უსწრებს. შესაძლოა სწორედ ამიტომ *tulak-um* ფორმა არ გამოიყენება. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მორფემის პრეფიქსობა არ არის რადიკალური საკითხი: ოპტიმალური პრეფიქსი ძირის ყველა სეგმენტს წინ უსწრებს, მაგრამ მორფემა მაინც პრეფიქსია, თუ ის ძირის რამდენიმე სეგმენტს წინ დგას. ინფიქსები კი სწორედ ამას აკეთებენ: ისინი ძირის სეგმენტების უმეტესობას წინ უსწრებენ, მაგრამ თავს არიდებენ საწყისისა და კოდას აკრძალვის პრინციპების დარღვევას. შეგვიძლია ეს გამოვხატოთ შეზღუდვების დამრღვევთა ფიფქით – * – აღნიშვნით. თითოეულ ძირეულ სეგმენტს, რომელიც აფიქსამდე დგას დაჯანეროთ *. ასეთი პირობის თანახმად, მიღებული *tumulak* და **tulakum* შეიძლება ზუსტად განვასხვავოთ: როგორც (56)–შია ნაჩვენები, ეს ორი ფორმა ერთსა და იმავე შეზღუდვას (პრეფიქსი) არღვევს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უფრო მეტი სიხშირით აკეთებს ამას.

(56)

	საწყისი	კოდას აკრძალვა	პრეფიქსი
(ა) <i>tu.la.kum</i>			*(t)*(u)*(l)*(a)*(k)
(ბ) <i>tu.mu.lak</i>			*(t)

აღსანიშნავია, რომ მოსაზღვრეობის აღდგენის შეზღუდვა დარღვეულია ამჟამად მოქმედი ფორმით *tumulak* (ვინაიდან -um აცალკევებს ძირითად ფორმაში მეზობელ ბგერებს – t და u), თუმცა ეს პრინციპი სრულდება მიუღებელი **tulakum* ფორმით. აქედან გამომდინარეობს ის, რომ პრეფიქსი, მართალია თავად ძალიან დაბალი რანგისაა, მაგრამ ამავე ენაში მოსაზღვრეობის აღდგენის პრინციპზე მაღლა დგას.

ამ ქვეთავში ილუსტრირებული იყო ანალიზის ტიპები, რომლებიც შეზღუდვათა გარეშე არ მოქმედებს. შეიძლება ინფიქსაციის წესი ავსტრონეზიისთვის დაინეროს, მაგრამ შეზღუდვათა გარეშე ვერ ავხსნით, რატომაა მხოლოდ VC მორფემა ჩართული, რატომ გამოიყენება უფრო ინფიქსად, ვიდრე პრეფიქს-სუფიქსად და რატომ არიან ისინი მოთავსებულნი მაცხენა კიდესთან ისე ახლოს, როგორც ეს ფონოტაქტიკური წესების მიხედვითაა ნებადართული. ასევე აღსანიშნავია, რომ აქ განხილულ ანალიზს ახლავს შეზღუდვები და მათი კლასიფიკაცია წესების გარეშე.

14.10 დასკვნა

ამ თავში ჩვენი მიზანი იყო ფონოლოგიის ფუნდამენტურ კითხვაზე პასუხის გაცემა: ძირითადი ფორმების შეცვლისათვის რატომ არსებობს წესები? პირველად შემოგთავაზეთ პასუხი, რომელიც საკითხის ნახევარს ხსნიდა: რატომ არ შეუძლიათ ძირითადი ფორმები ყოველთვის ზედაპირზე უცვლელი იყოს? პასუხი ისაა, რომ ფონოტაქტიკური შეზღუდვები ხშირად ირღვევა. შემდეგ ამავე კითხვის მეორე ნაწილს მივხედეთ: რატომ ხდება ცვლილება მხოლოდ დაშიფრული წესების მიხედვით? ამის პასუხი უფრო რთული იყო. პირველ რიგში აღვნიშნეთ, რომ ზოგჯერ ცვლილებები გვაძლევს ძირეული ფორმიდან მნიშვნელოვნად დაცილებულ გამოხატულებას. პასუხში ნაჩვენებია იყო, რომ მხოლოდ მინიმალური სხვაობა უნდა იყოს ზედაპირულ და ძირითად ფორმებში გამოხატული. ამ საკითხის უფრო დეტალური განხილვისას, მივედით დასკვნამდე, რომ ანალოგიათა შეზღუდვების მთელი რიგი უნდა იყოს წარმოდგენილი. შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ეს შეზღუდვები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ერთადერთი გზა მათი თანაარსებობისა არის მათი კლასიფიკაცია, ანუ პრიორიტეტის მიხედვით დალაგება. ბოლო ორ ქვეთავში გამოვიკვლიეთ შეზღუდვების კლასიფიკაციის სარგებელი მარცვლოვანი ტიპოლოგიისა და სიტყვათწარმოების პროცესის ანალიზში ვცადეთ, დაგვეჩვენებინა, რომ ფუნდამენტური კითხვისთვის პასუხის გაცემისას – რისთვის არსებობს წესები? – იქმნება პასუხები, სადაც წესების, როგორც აღწერის საშუალებების გამოყენება მინიმუმამდეა დაყვანილი ან სრულიად გამორიცხულია.

საკითხავი ლიტერატურა

- Archangeli, Diana and Terence, Langendoen. eds. 1997. *Optimality Theory: An Introduction*. Oxford: Blackwell.
- Hayes, Bruce. 1995. *Metrical Stress Theory: Principles and Case Studies*. Chicago: University of Chicago Press.
- McCarthy, John and Alan Prince. 1995. Prosodic Morphology. In John Goldsmith, ed., *Handbook of Phonological Theory*, pp. 318-67, Oxford: Blackwell.

იოკუტსში – გადაშენების პირას მდგარი კალიფორნიელი ამერიკელი ინდიელების ენა (ნიუმენი, 1944) – არის სონორების ორი ტიპი: ჩვეულებრივი მჟღერი სონორები – როგორც (ა)-ში იყო ნაჩვენები და გლოტალიზებული სონორები – როგორც (ბ)-ში იყო წარმოდგენილი. გლოტალიზებული სონორების წარმოთქმისას წარმოიქმნება დაბრკოლება, რაც მათ ხანგრძლივობას ამცირებს. ამ ორი ტიპის განმასხვავებელი მახასიათებელია [±constricted glottis]: გლოტალიზებული მწკრივის თანხმოვნები [+constricted glottis]–ად ხასიათდება.

(ა) ჩვეულებრივი სონორები, [-constricted glottis]: m, n, l, w, j

(ბ) გლოტალიზებული სონორები, [+constricted glottis]: ო, ო, ო, ო, ო

l ნაწილი

ჩვეულებრივი სონორები იოკუტსის სიტყვებში ნებისმიერ პოზიციაში გვხვდება. ზოგი მაგალითი ნაჩვენებია (გ)-ში: მნიშვნელოვანი ბგერები გამუქებული ასოებითაა

დაბეჭდილი.

(გ) სიტყვის დასაწყისში: ადგეს“	<i>me:kit</i> „გადაყლაპეს“, <i>wowlal</i> „შეიძლება“
ხმოვნებს შორის: სიტყვის ბოლოს: ენა“	<i>gijit</i> „შეეხეს“, <i>ʔamilka</i> „მიშველეთ!“ <i>xathin</i> „შეჭამა“, <i>logwol</i> „შეიძლება დაფშენა“
ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: მარება“.	<i>ʔamilka</i> „მიშველეთ!“ <i>logiwka</i> „დაფშენი!“ <i>ʔamlal</i> „შეიძლება დახმარება“, <i>gijmi</i> „ეხმარება“.

გლოტალიზებული სონორები არ გვხვდება სიტყვის დასაწყისში ან თანხმოვნის შემდეგ. მაგალითები მოცემულია (დ)-ში:

(დ) სიტყვის დასაწყისში: ხმოვნებს შორის: სიტყვის ბოლოს: ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: თანხმოვანსა და ხმოვანს შორის:	_____	<i>cawa:hin</i> „ყვირილი“, <i>nena:hin</i> „გაჩუმება“ <i>xaja:hajij</i> „მოთავსებული“ <i>jawla:hin</i> „მიყოლა“, <i>ʔelka:hin</i> „სიმღერა“ _____
--	-------	--

ჩამოაყალიბეთ პრინციპი ფორმისა *თვისებათა კომბინაცია x დაუშვებელა Y-ის პოზიციაში*, რაც შეაჯამებს იოკუტსში გლოტალიზებული სონორების დისტრიბუციას. გახსოვდეთ, რომ ეს წესი არაა: განსახილველ მასალას ალტერნაციები არ აქვს, არამედ ისინი სისტემატურად არ გვხვდებიან ერთ კონკრეტულ პოზიციაში.

II ნაწილი

ახლა კი განიხილეთ (ე)-(ვ) ალტერნაციები: იოკუტსში ზოგი სუფიქსი – როგორციაა /ʔinaj/ და /ʔaʔ/, რომელთაგან ყველა იწყება გლოტალური ხშული [ʔ] ბგერით – მის წინ მდგარ სონორს გლოტალიზებულად აქცევს. როცა ეს ხდება, სუფიქსის საწყისი გლოტალური ხშული ქრება. თუმცა, ყველა სონორი ამ წესს არ ემორჩილება. ასეთი სონორების ამოცნობა მათივე პოზიციით შეიძლება: განიხილეთ მაგალითები და დაასახელებთ, როგორ უნდა ამოვიცნოთ ასეთი სონორები. განმარტეთ, პირველ ნაწილში განხილული მაგალითები ამ ფაქტს როგორ ჰფენს ნათელს. განიხილეთ *lihm-ʔinaj* ფორმა და ახსენი რატომ ვლინდება იგი ზედაპირულად ან როგორც **lihṃ-inaʔ* ან როგორც **ʔihm-inaʔ*.

(ე) /ʔinaj/ სუფიქსის ძირითადი ფორმა ასეთი სახით ვლინდება:

dub-ʔinaj „როცა ხელით მიგყავს“

(ვ) გლოტალიზებული ხშული /ʔinaj/-ში ასე რეალიზდება:

c'ow-inaʔ „ხელის ჩავლებიას“

hiwt-inaʔ „სეირნობიას“

taŋ-inaʔ „სიარულისას“

საწყისი გლოტალური ხშული /ʔaʔ/ შემდეგნაირად რეალიზდება:

t'oʔx-aʔ „ნამალი მომეცი“

ʔaŋl-aʔ „მიშველეთ, დახმარება მჭირდება“

(ზ) გლოტალური ხშული /ʔinaj/-ში ასე არ რეალიზდება:

lihṃ-ʔinaj „სირბილისას“

გლოტალური ხშული სუფიქსში /ʔaʔ/ ასე არ რეალიზდება:

- wiʒ-ʔaʔ „გასწორდი“
- ʔuɡn-ʔaʔ „დალი“
- picw-ʔaʔ „დაიჭირე“

დამატებითი ქულა: ჩამოაყალიბეთ პროცესი, რომლითაც ძირითადი ფორმა /t'ojx-ʔaʔ/ ზედაპირზე ხდება t'ojx-aʔ, რაც ნიშნავს „ნამალი მომეცი“.

კიდევ ერთხელ განიხილეთ მე-13 თავში წარმოდგენილი წარმოთქმითი ალტერ-ნაციების მაგალითები უნგრულში. ამ თავის 14.6 სავარჯიშოში თქვენ ჩამოაყალიბეთ წარმოთქმითი შეთანხმების ალტერნაციების გამომწვევი პრინციპები. ამ პრინციპის თანახმად, ძირის ბოლო ობსტრუენტის იცვლება, რათა წარმოთქმაში შეეწყოს სუფიქსის საწყის ობსტრუენტს. ახლა კი განიხილეთ სხვა გზები, რომელთაც შეეძლოთ ზედაპირული ფორმა წარმოთქმის შეთანხმების პრინციპისთვის დაექვემდებარებინათ. მაგალითად, შესაძლებელი იყო ხმოვნის ჩასმა ობსტრუენტ ბგერებს შორის: ძირითადი ფორმა /rɒb sɒlɔ/ „მონა“ შეიძლება რეალიზებული ყოფილიყო /rɒbɒsɒlɔ/-ად, სადაც [ɒ] ბგერაა ორ ობსტრუენტს შორის ჩასმული. ეს გამოხატულება აკმაყოფილებს **voice** შეთანხმების პრინციპს და გვაძლევს უნგრულში მიღებული ფორმისგან განსხვავებულ ვარიანტს. სავარჯიშო 14.10

დაასახელეთ სამი პროცედურა, რომლითაც ენას შეუძლია უზრუნველყოს, ობსტრუენტთა მიმდევრობის **voice** პრინციპთან შეთანხმება, მაგრამ ამას არ აკეთებს. გვიჩვენეთ, როგორ შეიცვლებოდა ძირითადი ფორმა, დასახელებული საშუალებები მიღებული და გამოყენებული რომ იყოს უნგრულში.

ნაიკითხეთ 13.4 სავარჯიშო მე-13 თავში. ხელახლა ჩამოაყალიბეთ იოკუტის ხმოვანთა სიგრძის ანალიზი გრძელი ხმოვნების დისტრიბუციის შესახებ პრინციპის ჩაწერით. გრძელი ხმოვნები არ გვხვდება CC მიმდევრობის და სიტყვის ბოლო თანხმოვნის წინ. დაწერეთ პრინციპი – მარცვლის აღნიშვნის გამოყენებით – და წესი (20)-ის ფორმატში. სავარჯიშო 14.11

გაანალიზეთ ძირითადი და ზედაპირული ფორმების ქვემოთ მოცემული წყვილები, რომლებიც ადრე იყო განხილული: სავარჯიშო 14.12

წერითი სახე	ძირითადი ფორმა	ზედაპირული ფორმა
(ა) <i>squishes</i>	[skwɪʃ-z]	[skwɪʃəz]
(ბ) <i>buses</i>	[bʌs-z]	[bʌsəz]
(გ) <i>licks</i>	[lɪk-z]	[lɪks]
(დ) <i>laps</i>	[læp-z]	[læps]

თითოეული ძირითადი ფორმისთვის არსებობს შემდეგი სახის ალტერნატიული კანდიდატები:

კანდიდატი 1	კანდიდატი 2	კანდიდატი 3
(ა) [skwɪʃz]	[skwɪʃ]	[skwɪnz]
(ბ) [bʌsz]	[bʌs]	[bʌnz]
(გ) [lɪkz]	[lɪk]	[lɪŋz]

(დ) [læpɜ]

[læp]

[læmɜ]

დაასახელეთ ის შეზღუდვა, რომელსაც თითოეული კანდიდატი არღვევს. შეადგინეთ ოთხი ცხრილი (ერთი ცხრილი ერთი სიტყვისთვის) (32)-ის ფორმატში, სადაც აღნიშნავთ შეზღუდვათა დარღვევებს და ამ ალტერნატიულ ფორმებს შეადარებთ სიტყვის ზედაპირულ ფორმას

სავარჯიშო 14.13

განიხილეთ წარუმატებელ კანდიდატთა ახალი კლასი:

ძირითადი ფორმა

კანდიდატი 4

(ა) /skwɪf-z/

[skwɪz]

(ბ) /bʌs-z/

[bʌz]

(გ) /lɪk-z/

[lɪz]

(დ) /læp-z/

[læz]

ჩამოაყალიბეთ უტყუარობის ახალი პრინციპი, რომე ს მიხედვით კი ამას მნიშვნელობა არ აქვს.

მოსაზღვრეობის აღდგენა (მორფემის შიგნით). ძირითად გამოხატულებაში მოსაზღვრე სეგმენტები, რომლებიც ერთ მორფემას ეკუთვნის ის, მოსაზღვრენი უნდა იყვნენ ზედაპირულ ფორმაშიც.

სიერა მივოკში ეს შეზღუდვა არ ირღვევა არც ერთი ზედაპირული ფორმით, ხოლო (33ბ)-ში წარმოდგენილი ზოგადი შეზღუდვა კი ხშირად ხმოვნის ჩამატებით ირღვევა. ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ გადანწყვიტეთ 14.7 სავარჯიშოში დასმული პრობლემა.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის შეცნობა

შინაარსის სარჩევი

- | | |
|---|--|
| 15.0 შესავალი | 15.3.2 ფონოლოგიური პროცესები |
| 15.1 ბავშვის მიერ მეტყველების აღქმა | 15.3.3 მახვილიანი მარცვლების მნიშვნელობა წარმოთქმაში |
| 15.1.1 ჩვილების შემონმების საცდელი პარადიგმები | 15.3.4 არარსებული მარცვლები |
| 15.1.2 ბავშვების მიერ კატეგორიებად აღქმა | 15.3.5 აღქმისა და წარმოთქმის შეპირისპირება: რაც გვესმის არ არის ის, რაც ბავშვმა იცის ან ამბობს |
| 15.1.3 საუბრის აღქმის სხვა უნარები ბავშვებში | |
| 15.1.4 დაბადებიდან ერთი წლის მანძილზე აღქმის უნარში მომხდარი ცვლილებები | |
| 15.2. წარმოთქმა | 15.4 დასკვნა |
| 15.2.1 ბავშვის ტიტინი | საკითხავი ლიტერატურა |
| 15.3 ადრეული მეტყველება | შენიშვნები აღნიშნულ ენებთან დაკავშირებით |
| 15.3.1 კონტრასტების სისტემის აგება | |

15.0 შესავალი

11-14 თავებში ჩვენ წარმოვადგინეთ მნიშვნელოვანი თეორიული ცნებები ფონეტიკური მახასიათებლის, ფონემის, მარცვლის, მახვილისა და პროსოდის შესახებ. ახლა ვნახავთ, რომ ყოველივე ეს ნათლადაა ასახული ენის განვითარებაში და რომ თითოეული ადამიანის გრამატიკა, მათ შორის ბავშვებისაც, აერთიანებს ამ ერთეულებს.

15.1 ბავშვის მიერ მეტყველების აღქმა

ძირეული პრობლემა, რომლის წინაშეც ბავშვი დგება ენის ფონოლოგიის გაცნობისას, არის იმის განსაზღვრა, თუ რისგან შედგება შესასწავლი ენის ბგერა. ვინაიდან ბგერები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ არაა იდენტური, ბავშვმა უნდა გაიაზროს,

რომელი მსგავსი ფონები აერთიანებს მსგავს ფონეტიკურ კატეგორიებს შესასწავლ ენაში. პირველი ნაბიჯია ბგერებს შორის განსხვავებების აღქმა, რათა ინფორმაცია შემცირდეს წესებში გამოყენებული ერთეულების აღმოჩენისათვის.

15.1.1 ბავშვის შემონმების საცდელი პარადიგმები

როგორ უნდა გაარჩიონ მკვლევარებმა, რას აღიქვამს ბავშვი, განსაკუთრებით კი ახალშობილი? ოთხი საცდელი პარადიგმა გამოიყენება ბავშვის აღქმის უნარის შესამოწმებლად, რომელთაგან თითოეული წარმოჩინდება ახალშობილებთან მიმართებაში: (1) გულისცემისა და (2) წოვის სისწრაფის გაზომვა (აღნიშნება **წოვის მაღალი ამპლიტუდა** ანუ **HAS-High Amplitude Sucking**). თითოეული ეს პარადიგმა ცდილობს აღმოაჩინოს, რომ ბავშვის გულისცემა და წოვის სიხშირე იზრდება ახალი ინფორმაციის მოსმენისას, ხოლო ძველი, ნაცნობი ბგერების გაგონება არავითარ ცვლილებას არ იწვევს მის ორგანიზმში. მაგალითად, HAS პარადიგმაში ბავშვს ეძლევა სანოვარა და დგინდება წუთში წოვის სიხშირის საწყისი ხაზი. ერთი ვერსიით ბავშვები სანოვარის წოვით აკონტროლებენ სტიმულის პრეზენტაციას. რაც უფრო მაღალია წოვის სიხშირე, მით უფრო ხშირად მოძრაობს სტიმული. მეორე ვერსიით, ბავშვის წოვის ან გულისცემის სიხშირის საწყისი ხაზი დგინდება, შემდეგ კი სტიმული წარედგინება. დასაწყისში გულისცემის ან წოვის სიხშირე იზრდება ახალი სმენითი სტიმულის წაკითხვისას, მაგრამ სიხშირე ეცემა თუ იმავე სტიმულს წარვუდგენთ. როცა ახალი თხრობითი სტიმულის მიწოდება იწყება, გულისცემისა და წოვის სისწრაფე მაღლა იწევს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვმა სტიმულის ცვლილება შეიგრძნო. ასეთი გზით, ბავშვს უამრავი სახის ფონეტიკური თუ სხვა სახის სტიმული შეიძლება წარედგინოს და შეუძლია განსაზღვროს მათ შორის რომელია დანარჩენებისგან განსხვავებული. ამრიგად, შემეცნების ზოგიერთი მაჩვენებელი შეიძლება გაიზომოს.

კიდევ ორი პარადიგმა არსებობს ცოტა უფრო მოზრდილი ბავშვებისთვის. ეს პროცედურები გულისხმობს დროის გაზომვას ბავშვის სტიმულზე მზერათა შორის (ვიზუალური ფიქსაციის პროცედურა), რაც ორი თვის ჩვილებთან გამოიყენება. მეოთხე პარადიგმა გამოიყენება 4 თვის და ზემოთ ასაკის ჩვილებზე. თავის მობრუნების პროცედურაში ბავშვმა თავი შუალედური პოზიციიდან უნდა მიაბრუნოს ხმამაღლა მოსაუბრისაკენ, ან სმენით ან აქტიური მეტყველების სტიმულის საპასუხოდ. თავის მიბრუნების პროცედურაში, თავის „სწორად“ მიტრიალებები იწვევს ელექტრულად აქტიური ყუთის განათებას, რომელშიც რაიმე სახის სათამაშოა მოთავსებული და ბავშვებს შეუძლიათ სათამაშო ჩართონ მხოლოდ თავის სწორი მიმართულებით მობრუნებით.

15.1.2 ბავშვების მიერ კატეგორიებად აღქმა

საცდელი ტექნიკის გამოყენებით სწავლობენ ჩვილების უნარს, განარჩიონ ბგერები, სხვადასხვა ენის ბგერითი მოდელები, ასევე სინტაქსური ჯაჭვი, როგორც ეს მე-6 თავში იყო აღნიშნული. მეტყველების აღქმის კიდევ ერთი უნარი, რომელიც ძალიან პატარა ჩვილებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვლიეს, არის მათ მიერ თანხმოვანთა კატეგორიებად აღქმა; ანუ თანხმოვნებს შორის ფონეტიკური განსხვავებების შენიშვნა და ამ განსხვავებათა უგულბელყოფა მათ ერთ კატეგორიაში მოქცევისათვის. თანხმოვანთა აღქმის ეს სპეციფიკური გზა ახასიათებს ყველა ადამიანს. მაგალითად, ხშული თანხმოვნები განირჩევა **Voice Onset Time**-ით (**VOT**). როგორც მე-11 თავში იყო განხილული, ხშულები შემდეგნაირად შეგვიძლია აღვწეროთ:

- (1) (ა) **წარმოთქმამდელი** – როცა ბგერათა ჯგუფი ვიბრირებს გამოშვებამდე 100 მილი/წამი სიჩქარით.
- (ბ) **მჟღერი** ან **ყრუ არაფშვინვერი** – როცა ვიბრირება და გამოშვება ერთდროულია.
- (გ) **ყრუ (ფშვინვერი)** ხშულები – როცა გამოშვების შემდეგ ვიბრაცია ყოვნდება.

როგორც იმ თავში იყო განხილული, ენები განსხვავდება იმის მიხედვით, ჩამოთვლილიდან რამდენ კატეგორიას უპირისპირებენ ერთმანეთს (1, 2 თუ სამივეს). ინგლისური უპირისპირებს ბ და გ კატეგორიებს; ფრანგული და უნგრული – ა და გ-ს, ტაი ა, ბ და გ-ს. საყურადღებოა, რომ ზრდასრულები მხოლოდ იმ განსხვავებას აღიქვამენ, რაც ფონემურია მათ ენაში.

როდის იწყებენ ბავშვები თანხმოვანთა კატეგორიებად აღქმას? ეს უნარი ბავშვებმა დროთა განმავლობაში უნდა შეიძინონ, თუ თანდაყოლილია? ამ კითხვისთვის პასუხის გასაცემად მკვლევრები, რომლებიც წოვის მაღალ ამპლიტუდას იყენებენ, გვიჩვენებენ, რომ 1-4 თვის ჩვილებს შეუძლით სამივე კატეგორიის გარჩევა იმისდა მიუხედავად, მათ შესასწავლ ენაში შეპირისპირებულად გამოიყენება თუ არა. ამგვარად აღქმის უნარი, ჩანს, რომ თანდაყოლილია და არა ნასწავლი ან გარემოთი შეპირობებული. თუმცა, ზრდასთან ერთად ბავშვები თავიანთ აღქმის უნარს ნელ-ნელა უსაბამებენ შესასწავლ ენას, „კარგავენ“ ამ სანყის უნარს და VOT საზღვრების შეპირისპირების „გაგებას“. ისინი ხდებიან მგრძობიარენი მხოლოდ იმ განსხვავებათა მიმართ, რომლებიც ფონოლოგიური ღირებულებისაა შესასწავლი ენისათვის.

ცხრილი 15.1 თანხმოვნებს შორის ფონეტიკური განსხვავებები, რომლებსაც ბავშვები აღიქვამენ.

გარჩეული ბგერები	ბავშვის ასაკი	ფონეტიკური მახასიათებელი	ფონეტიკური კონტრასტის სახე
(ჩეხური კონტრასტი)			
[ra] და [za]	1-4 თვე	განგრძობილი	რაგვარობა
[bæ] და [dæ]	ჩვილი	კორონალური	ადგილი
[ba] და [ga]	6-9 კვირა	ზურგისმიერი	ადგილი
[da] და [ga]	6-12 კვირა	ზურგისმიერი	ადგილი
[wa] და [ja]	2 თვე	ნინა	ადგილი
[va] და [ða]	2 თვე	კორონალური	ადგილი
[fa] და [θa]	2 თვე	კორონალური	ადგილი
[ra] და [la]	2-3 თვე	გვერდითი	რაგვარობა
[ma] და [na]	2-3 თვე	ბაგისმიერი/კორონალური	ადგილი
[va] და [sa]	2-4 თვე	კორონალური/მჟღერი	ადგილი და ტონი
[sa] და [fa]	2-4 თვე	ნინა	ადგილი
[as] და [az]	3 თვე	მჟღერი	გლოტალური სტრიქტურა
[ba] და [ga]	4-5 თვე	ზურგისმიერი	ადგილი
[ba] და [wa]	6-8 თვე	თანხმოვნური	რაგვარობა
[ada] და [aga]	6 თვე	ზურგისმიერი	ადგილი
[da] vs [ba] vs [ga]	6 თვე	კორონალური/ზურგისმიერი	ადგილი
[fa] და [θa]	6 თვე	კორონალური	ადგილი
ჰინდი რეტროფლექსი კბილისმიერი ხშულები	6 თვე	ალვეოლარული	vs რაგვარობა

15.1.3 საუბრის ალქმის სხვა უნარები ბავშვებში

ბავშვების მიერ საუბრის ალქმის სხვა კვლევაში, სადაც ეს ექსპერიმენტული მეთოდებია გამოყენებული, ბავშვებმა შენიშნეს უამრავი ფონეტიკური განსხვავება.

15.1 ცხრილი გვიჩვენებს ფონეტიკურად მსგავს თანხმოვნებს, რომლებიც ჩვილებმა განასხვავეს. აღსანიშნავია, რომ ეს ბგერები თითოეულ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ფონეტიკური მახასიათებლით განსხვავდება, რაც მიუთითებს, რომ ბავშვი დაბადებიდან მგრძობიარეა ფონეტიკური თვისებების განსხვავებების მიმართ. ასევე, საყურადღებოა, რომ იგი ამ მგრძობიარობას ავლენს ნებისმიერ ენასთან მიმართებაში.

15.2 ცხრილი გვიჩვენებს ზოგიერთ ხმოვანს, რომელსაც ბავშვები განარჩევენ. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ხმოვანთა წყვილები ერთმანეთისგან მხოლოდ ერთი ფონეტიკური თვისებით განსხვავდება.

15.2-ში ბოლო ორი კონტრასტი – გრძელ მაღალ წინა მომრგვალებულ ხმოვანსა და გრძელ მაღალ უკანა მომრგვალებულ ხმოვანს შორის და მოშვებულ მაღალ წინა მომრგვალებულ ხმოვანსა და მოშვებულ მაღალ უკანა მომრგვალებულ ხმოვანს შორის – რომლებიც ფონემურია გერმანულში და რომელსაც ცნობს 4-6 თვის ასაკის ინგლისურის შემსწავლელი ჩვილი, ველარ ალიქვამს 6-8 თვის ინგლისურენოვანი ბავშვი. ეს მაგალითი, სადაც 6 თვის ბავშვები ველარ არჩევენ ხმოვნებს, რომლებსაც უფრო ადრეულ ასაკში განასხვავებდნენ, შეიმჩნევა ხმოვანთა უამრავ წყვილთან დაკავშირებით და გვიჩვენებს, რომ ჩვილები კარგავენ მგრძობიარობას არაფონემური ხმოვნებისადმი დაახლოებით 6 თვის ასაკში, გაცილებით ადრე, ვიდრე თანხმოვნებთან მიმართებაში. ჩვილები მგრძობიარენი არიან პროსოდიული განსხვავებებისადმიც. ბავშვების მიერ ფონოლოგიის შეცნობაში პროსოდიული ინფორმაციის როლი უფრო დეტალურად 15.3 ქვეთავში იქნება განხილული.

15.2 ცხრილი. ხმოვანთა ზოგი განსხვავებები, რასაც ინგლისურენოვანი ჩვილი განარჩევს.

გარჩეული ხმოვნები	ბავშვის ასაკი
[a] vs [i]	1-4 თვე
[i] vs [u]	1-4 თვე
[i] vs [ɪ]	2 თვე
[pa] vs [pã]	1-4 თვე
[y] vs [u]	4-6 თვე
[Y] vs [ʊ]	4-6 თვე

ჩანართი 15.1

დამატებითი ცნობები ბავშვების ალქმის უნარის შესახებ

ჩვილების მიერ საუბრის ალქმა აქტიური შესწავლის საგანი გახდა, რაზეც უამრავი საინტერესო ექსპერიმენტი ტარდება. ერთ-ერთი აღმოჩენა, რომელიც არაერთგზის დადასტურდა, არის ჩვილების უნარი არა მხოლოდ ალიქვან მოსაუბრეთა განსხვავებები, არამედ უგულუბელყონ (ქვეცნობიერად, რა თქმა უნდა) მოსაუბრის განსხვავებები, როცა საქმე ეხება იმას, მოცემული ბგერა იგივეა თუ განსხვავებული. მაგალითად, ბავშვები კარგად არჩევენ დედის ხმას დანარჩენებისგან და ამკარად ამჟღავნებენ, რომ

დედის ხმის მოსმენა ურჩევნიათ! ზრდასრული ადამიანების მსგავსად, ბავშვები ყურადღებას არ აქცევენ მოსაუბრის ხმას და სხვა ფონეტიკურად უმნიშვნელო განსხვავებებს. გარდა ამისა, 6 თვის ჩვილს შეეძლო განერჩია [a] და [i] მაშინაც კი, როცა ხმის ტონი განსხვავდებოდა არა მხოლოდ ერთი მოსაუბრის მეტყველებაში, არამედ სამ მოსაუბრეს შორისაც; ორი თვის ასაკის ჩვილი ყურადღებას არ აქცევს ერთი ადამიანის მეტყველებას და სხვა მოსაუბრეთა მეტყველებას შორის არსებულ განსხვავებას *bug* და *dug* სიტყვების გარჩევას; ბავშვი 2-3 თვის ასაკში განარჩევს [ba] და [wa] მარცვლებს. ბავშვებმა ზუსტად იციან, რომ ვინც არ უნდა საუბრობდეს და რაც არ უნდა სწრაფად მეტყველებდეს, არ აქვს მნიშვნელობა წარმოთქმული ბგერების ამოცნობისათვის.


მეორე უნარი, რომელიც გამოიკვლიეს, არის ბავშვის მიერ მშობლიური და უცხო ენის ერთმანეთისაგან გარჩევა. ერთ-ერთი კვლევისას, მაგალითად, ფრანგმა ახალშობილმა ფრანგულად და რუსულად მოსაუბრის მოსმენისას, მაშინ გამოავლინა წოვის მაღალი სიხშირე, როცა ფრანგულს ისმენდა. ამ ექსპერიმენტის ერთ-ერთ ვარიანტში, საუბარი ისე იყო შეცვლილი, რომ გარდა პროსოდიული ასპექტებისა სეგმენტები და ცვლილი იყო ყველა მახასიათებლისაგან. მერე ისევ ფრანგმა ახალშობილმა ფრანგულის მოსმენისას წოვის უფრო მაღალი სიხშირე აჩვენა, ვიდრე რუსულის მოსმენისას. ეს გვიჩვენებს, რომ ჩვილები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროსოდიულ ასპექტებს. უფრო მეტიც, ახალშობილები დიდ უპირატესობას ანიჭებენ და, შესაბამისად, ცნობენ კიდევ საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებს, მათ მუცლადყოფნის დროს რომ მოუთხრობენ. ეს ნიშნავს შემდეგს: ბავშვები დაბადებამდეც აქტიურად უსმენენ და ყურადღებას აქცევენ საუბარს!

15.1.4 დაბადებიდან ერთი წლის მანძილზე ალქმის უნარში მომხდარი ცვლილებები

პირველი წლის ბოლოს ნათლად ჩანს შესასწავლი ენის გავლენა. ერთი წლის მანძილზე ბავშვები არაფონემური კონტრასტის ალქმიდან გადადიან მხოლოდ ფონემური განსხვავებების გავებაზე. ბავშვები კარგავენ არამშობლიური ბგერების ალქმის უნარს. მთავარი ცვლილება 8-10 თვის ასაკში ხდება. მაგალითად, 9 თვის ასაკში ამერიკელი ბავშვები საგრძნობლად ხანგრძლივად უსმენენ ტიპურ, ძლიერი და სუსტი მახვილის ნიმუშებს ინგლისურ სიტყვებში (მაგ. მახვილიანი მარცვლები გამუქებულადაა დაბეჭდილი: **American infants listen significantly longer to lists following the typical, strong-weak stress pattern of English words. let's get ready to fix dinner. Daddy's coming home from the office.**).

თავის მოზრუნების პარადიგმის გამოყენებით ჩატარებულ ექსპერიმენტში ამერიკელ ჩვილებს და მოზრდილებს წარედგინათ ბგერები, რომლებიც კონტრასტულია, ერთი მხრივ, ჰინდისა (H) და, მეორე მხრივ, თომპსონ სალოში (TS) (ნთლაკამპა, კანადელი ამერიკელი ინდიელების ენა). კითხვისას ბგერები იყო ჰინდის კბილისმიერი ბგერების და რეტროფლექსური ხშულების [ta] და [da]-ს შეპირისპირება, ხოლო ტომპსონ სალოში, უკანასასისმიერი უპირისპირდება ნაქისმიერ აბრუპტივებს [k'i] და [q'i]. ამერიკელი მოზრდილები არ განარჩევენ ამ ბგერებს, ხოლო ამერიკელი ბავშვები განასხვავებენ. მაგრამ ამ უნარის ცვლილება შესამჩნევია დაახლოებით 8-10 თვის ასაკში, როგორც ეს (2)-შია ნაჩვენები.

(2) ასაკის მიხედვით H და TS ბგერების გარჩევის პროცენტულობა.



ბგერების გარჩევის უნარი საგრძნობ შესუსტებას იწყებს 8 თვის ასაკიდან და 10 თვისათვის ამერიკელ ჩვილებს აღარ შეუძლიათ არამშობლიური ფონეტიკური კონტრასტების გარჩევა.

საინტერესოა, რომ, როგორც ვნახავთ, ბავშვები კარგავენ არამშობლიური ბგერების დეტალურად აღქმის უნარს მაშინ, როცა მათი ტიტინი იძენს შესასწავლი ენის მახასიათებლებს. მეტყველების აღქმაში ეს ცვლილება შეიძლება გადმოვცეთ, როგორც „ფსიქოლოგიურიდან“ „ფონოლოგიურ“ საფუძველზე გადასვლა.

15.2 წარმოთქმა

15.2.1 ბავშვის ტიტინი

ისევე, როგორც მოზრდილთა შემთხვევაში, ბავშვებიც ბგერებს წარმოთქვამენ სახმო ტრაქტის მეშვეობით, მაგრამ ჩვილის სახმო ტრაქტი განსხვავდება უფროსების სახმო ტრაქტისგან. იგი მონყობლია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისათვის, ძირითადად წოვისა და სუნთქვისათვის, და არც ისე შესაფერისია მეტყველებისთვის. ბავშვის ხორხი უფრო მაღალია, ვიდრე ზრდასრულისა უფრო მოკლეა მისი ფარინგალური ღრუ და ენა საგრძნობლად დიდია პირის ღრუსთან შედარებით. შესაბამისად, ძალიან ცოტა სამეტყველო ბგერა შეიძლება წარმოითქვას სიცოცხლის პირველ თვეებში. ორ თვემდე წარმოთქმული ბგერები ძირითადად არის წოვის, ტირილისა და სხვა სახის დისკომფორტის გამოხატველი. 2-4 თვის ასაკიდან ბავშვები იწყებენ სიცილს. სამეტყველო ბგერებს ჯერ კიდევ ვერ გამოთქვამენ.

როცა ბავშვი 4-5 თვისაა, სახმო ტრაქტი ცვლილებას განიცდის და ბავშვს საარტიკულაციო მექანიზმის მართვის მეტი საშუალება ეძლევა. ამიტომაც ბავშვები იწყებენ ტიტინს, გამოსცემენ სამეტყველო ბგერების მსგავს ხმებს. ამგვარად, ტიტინი გამოწვეულია სხვათა მეტყველების და ჩანაწერის მოსმენითაც კი, ასევე საზოგადოებასთან კონტაქტით და მოძრაობით. ტიტინს „ნამდვილი“ მეტყველების მიზაძვის სახე აქვს.

6-7 თვის ასაკში ტიტინის თვისებები იცვლება და იწყება პერიოდი, რომელსაც „კანონიკურ ტიტინს“ უწოდებენ. ასეთი სახის ტიტინს ახლავს თანხმონები და ხმონები, რომლებსაც „ნამდვილი“ ხმონებისა და თანხმონების ფონეტიკური მახასიათებლები აქვთ და, რომლებიც, ჩვეულებრივ, ერთიანდებიან მარცვლებად, ძირითადად CV მარცვლებად, ხშირად გაორმაგებულ მარცვლებად წარმოჩნდებიან, როგორიცაა bababa ან gaga.

შესასწავლი ენის გავლენა ფორმირებაზე.

ტიტინის საწყის ეტაპზე ბავშვები წარმოთქვამენ უამრავ მსოფლიო სამეტყველო ბგერას თუმცა ჯერ არ იციან, რა ენაზე ილაპარაკებენ შემდეგ. ადრეული ტიტინი კი შეიცავს შეზღუდვებს, რომლებიც ხასიათდება კონკრეტული ბგერების გამოყენების სიხშირით. მსოფლიო ენების ყველაზე ხშირად გამოყენებული თანხმოვნები შეადგენს ადრეულ ტიტინში გამოთქმული თანხმოვნების 95%-ს. მაგრამ მის განვითარებასთან ერთად ზოგი ბგერა ქრება და გვიანი ტიტინი შედგება ბგერებისა და ენის ზოგი ფონოტაქტიკისგან, რასაც ბავშვი ნელ-ნელა ეცნობა. მაგალითად, ლუოს (ნილოსური აფრიკული ენის) შემსწავლელ ბავშვს, ტიტინში აქვს უამრავი საწყისი [n], ხოლო ინგლისურის შემსწავლელს – არა, რაც ასახავს რა სიხშირით გამოიყენება ეს თანხმოვანი საწყისი პოზიციაში. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მოზრდილები 8-10 თვის ბავშვის ტიტინში მათ მშობლიურ ენას შეიცნობენ, უფრო მეტიც, 6 თვის ასაკშიც კი, ჩინელი ჩვილები ამჟღავნებენ ერთმარცვლიან ტონურ ტიტინს: ეს არის ტიტინი ტონური ვარიაციით, რომელიც არ ახასიათებთ რუს და ამერიკელ ბავშვებს.

სიცოცხლის პირველი წელი ნაწილობრივ გადის იმის ძიებაში – „რა ბგერები უპირისპირდება ერთმანეთს ჩემს ენაში?“ ტიტინში გამოყენებულ ბგერათა წყვილების ჩანერით აღმოჩნდა, რომ ეს წყვილები ემთხვევა მეტყველების აღქმის ცვლილებებს. ერთი წლის ბოლოს ბავშვებმა ზუსტად იციან, როგორ უნდა აუარონ გვერდი იმ განსხვავებებს, რომლებიც მათ ენაში კონტრასტს არ ქმნის. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ენის ისეთივე მსმენელები არიან, როგორც უფროსები. (იხ. ჩანართი 15.3)

ტიტინი ნიშნების ენაში¹

კანონიკურ ტიტინამდე დაბადებიდან ყრუ ბავშვები იმავე ბგერებს გამოსცემენ, რომელსაც ჩვეულებრივი სმენის მქონე პატარები. მართალია, ისინი ხმებს გამოსცემენ, მაგრამ სასაუბრო ენის აღქმის თვალსაზრისით არ ვითარდებიან. საინტერესო პარალელი შეგვიძლია გავავლოთ მოლაპარაკე და ნიშნების ენით ტიტინის განვითარებას შორის. ფსიქოენათმეცნიერებმა გამოიკვლიეს სმენადაქვეითებული მშობლების სამი ასეთი ბავშვი, (ანუ ბავშვები ნიშნების ენას დაბადებიდანვე რომ გაეცნენ,) და ასევე სმენის მქონე მშობლების სამი ყრუ ბავშვი, (ანუ ბავშვები, რომლებისთვისაც ნიშნების ენა მეტად უცხოა). მათ აღმოაჩინეს, რომ 7 თვემდე ყველა მათგანი აკეთებდა მითითების შესტს მათ ხელთ არსებულ საგნებზე, ან აკეთებდნენ საკომუნიკაციო, მაგრამ არა ლინგვისტურ მინიშნებებს. 7 თვის შემდეგ ნიშნების ენის მცოდნე ბავშვებმა დაიწყეს განსხვავებული სახის შესტების გაკეთება, რომლებიც მარცვალთა ნიშნებს ჰგავდა. ამ შესტებში აისახებოდა ყველა სახის შეზღუდვები და ყველა სახის მახასიათებლები, რაც ნამდვილ ნიშნების ენას ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჯგუფი ერთნაირი რაოდენობის შესტს აკეთებდა, მხოლოდ ყრუ მშობლების სმენადაქვეითებული ბავშვების შესტები ჰგავდა ენის შესტებს, ანუ მათ ახასიათებდათ „ნიშნებით ტიტინი“. მას შემდეგ, რაც ბავშვები ტიტინს იწყებენ მარცვალთა მსგავსი ნიშნებით, ნელ-ნელა განასხვავებენ ლინგვისტურ შესტებს არალინგვისტურისგან.

15.3 ადრეული მეტყველება

15.3.1 კონტრასტების სისტემის აგება

ბავშვმა უნდა აღმოაჩინოს და განავითაროს შესასწავლი ენა. ეს პროცესი იწყება მის მიერ იმის აღმოჩენით, თუ რომელი ფონეტიკური კატეგორიები ქმნის ფონემურ კონტრასტს შესასწავლ ენაში. ფონემური კონტრასტი (და ფონოტაქტიკა) ვითარდება ენის ლექსიკის შესწავლასთან ერთად. ბავშვი უნდა ენდოს ლექსიკურ კონტრასტებს ფონემური შეპირისპირებების განსაზღვრისას, ასევე ლექსიკური კონტრასტები ეხმარება მას „შესაძლო სიტყვის“ აღმოჩენაში.

ჩანართი 15.3

მშობლიური ენის აქცენტი

თუ ბავშვი ძალიან მცირე ასაკშია მას შეუძლია „დაშალოს“ მოზრდილთა მეტყველება და შეიტანოს ცვლილებები სხვა ენაში, ამავე ენის შესაცნობად. მაგრამ თუ ახალი ენის შესწავლის შესაძლებლობა ასე ადრე არ მიეცემა, მხოლოდ კონკრეტული განსხვავებების მოსმენისა და სხვების იგნორირების შედეგად მეტყველება ფიქსირებული რჩება. სხვა ენების გამოთქმის უუნარობასთან ერთად მოსმენისა და მეტყველების ასეთი გზა ალბათ ყველაზე მტკიცე ასპექტია ენის ცოდნისა, რაც ვლინდება უცხო ენის უაქცენტოდ სწავლისას. იშვიათად ნახავთ ისეთ ადამიანს, ვინც ამ „კრიტიკული ასაკის“ შემდეგ ისწავლა ენა და სრულად გაუქრა აქცენტის კვალი.

(3)

ბაგისმიერი	არაბაგისმიერი
p	t
	k

რაც შემდგომში (4)-ის სახით ვითარდება, სადაც დამატებითი განმასხვავებელიც ჩნდება:

(4)

ბაგისმიერი	კორონალური	ზურგისმიერი
p	t	k

წარმოთქმის შემდეგ, ჩნდება ახალი მახასიათებელი, როგორც (5ა) და (5ბ)-შია წარმოდგენილი.

(5) ა.

ბაგისმიერი	კორონალური	ზურგისმიერი
p	t	k
(b)		

ბ.

ბაგისმიერი	კორონალური	ზურგისმიერი
p	t	k
b	d	g

ასეთ სისტემას შემდეგ ნაზალურობა ემატება, როგორც (6)-შია ნაჩვენები:

(6)

ბაგისმიერი	კორონალური	ზურგისმიერი
p	t	k
b	d	g
m	n	

ამის საპირისპიროდ, ბავშვმა დასაწყისში შეიძლება მხოლოდ სონორული თანხმოვნები იცოდეს:

(7)

სონორი	არასონორი
m, n, l	p, s, d

ასეთი საწყისის შემდეგ ვპოულობთ ბავშვისა და დიდის გამოთქმებს შორის კავშირს, რაც (8)-შია მოცემული:

(8)

წარმოსათქმელი ბგერა	ბავშვის ბგერა
p	p, s, d
n	m, n, l

შემდეგ საფეხურზე სონორობას ემატება [coronal] და [voice] მახასიათებლები, რომლებიც (9)-ის მსგავს სისტემას ქმნის:

(9)

+coronal/-coronal	+voice/-voice	+sonorant/-sonorant
d, t, s, n, l vs p, m, k	d, m, n, l vs p, s, t, k	m, n, l vs p, t, d, s, k

რაც საშუალებას იძლევა, ეს მახასიათებლები ნაცნობი ფონეტიკური ცხრილით წარმოვადგინოთ:

(10)

ბგერა	sonorant	coronal	voice
p	-	-	-
t	-	+	-
d	-	+	+
k	-	-	-
m	+	-	+
n,l	+	+	+
s	-	+	-

(აღსანიშნავია, რომ [nasal] თვისების სისტემაში შეტანამდე [n, l] სისტემატურად განირჩევა წარმოთქმაში).

ეს ორი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს ფონოლოგიურ განვითარებას. ეს პროცესი ბავშვებში განსხვავდება ახალი თვისებების გაცნობის მიმდევრობით. ბავშვის მიერ სეგმენტური ინვენტარის გამდიდრების პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს.

ბავშვისა და მოზრდილის ფონოლოგიებს შორის განსხვავებას ორი მიზეზი იწვევს. პირველი ისაა, რომ თვისებები თავიდანვე კონტრასტულად არაა გამოყენებული და ვხვდებით იმ ბგერათა თავისუფალ ვარირებას, რომლებიც უფროსების გრამატიკაში განსხვავებული ფონემებია. მეორე, იმის გამო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ყველა კონტრასტის ზედაპირული გამომხატველი, რამდენიმე ძირითად ფორმას ერთი და იგივე სეგმენტი წარმოადგენს. (11) გვიჩვენებს ბავშვის მიერ იაპონურის სწავლის მაგალითს. ამ ბავშვის ფონოლოგიურ სისტემაში ერთი სეგმენტი [t] გამოსახავს ფონოლოგიურად განსხვავებულ ორ სეგმენტს – [t] და [k].

(11) ა. [t] /k/-ს ნაცვლად (ასაკი 3; 2)

A-ს ფორმა	წარმოსათქმელი ფორმა	თარგმანი
[mitaŋ]	[mikaŋ]	„ფორთოხალი“
[potetto]	[poketto]	„ჯიბე“
[neto]	[neko]	„კატა“

ბ. [t] /t/-ს ნაცვლად

A-ს ფორმა	წარმოსათქმელი ფორმა	თარგმანი
[tama]	[tama]	„ბურთი“
[tereβi]	[tereβi]	„ტელევიზორი“
[tobu]	[tobu]	„ფრენა“

ორი სახის დასაბუთება არსებობს იმის შესახებ, რომ ფონეტიკური ფორმის იდენტიფიკაციის მიუხედავად (11ა) და (11ბ)-ში წარმოდგენილი [t] ბგერები ძირითად ფორმაში სხვადასხვა სეგმენტებია. პირველი მტკიცებულება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ იმავე ასაკში, როცა A [t] ბგერას /t/ და /k/ სეგმენტისთვის იყენებენ, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს მათ შორის განსხვავების აღქმა. მეორე არგუმენტი გულისხმობს A-ს მჭიდრო კავშირს შეზღუდვებთან, რაც მართავს [t] და [k] ბგერებს უფროსების გრამატიკაში. მოზრდილთა იაპონურ გრამატიკაში /t/ აფრიკატი ხდება, როცა მას უშუალოდ მოსდევს მაღალი ხმოვნები [i] და [u] (ანუ *[ti] და [tu]); /t/-ს აღსანიშნად [t] ემორჩილება ამ შეზღუდვას A-ს გრამატიკაშიც. ამგვარ შემთხვევაში ვიღებთ მხოლოდ [tʃi] და [tsu]-ს, რაც (12)-შია ნაჩვენები:

(12)

A-ს ფორმა	წარმოსათქმელი ფორმა	თარგმანი
[matʃi]	[matʃi]	„ქალაქი“
[tsuta]	[tsuta]	„სური“

ამის საპირისპიროდ /k/ არ ხდება აფრიკატი იმავე ფონეტიკურ გარემოში მოზ-

რდილთა გრამატიკაში და /k/-ს აღნიშვნისას [t]-ც არ განიცდის ამ ცვლილებას, როგორც (13)-ში ჩანს:

- (13) /k/-ს აღნიშვნელი [t]-ს მარცხი გარდაიქმნას აფრიკატად გრძელი ხმოვნის წინ.

A-ს ფორმა	ნარმოსათქმელი ფორმა	თარგმანი
[ati]	[aki]	„დაცემა“
[tuma]	[kuma]	„დათვი“

ზემოთ ნაჩვენები მაგალითები ილუსტრაციაა იმისა, რომ სიტყვების გამოთქმაში (ფონეტიკური ფორმა), მიუხედავად შესამჩნევი განსხვავებისა, ბავშვების „შეცდომები“ შემთხვევითი არაა. ისინი ასახავენ გამოხატვის აბსტრაქტულ სისტემას (ფონოლოგიური ფორმა), რაც ეფუძნება იმავე ტიპის სტრუქტურულ ერთეულებსა და შეზღუდვებს, რასაც მოზრდილთა ფონოლოგიაში ვხვდებით.

15.3.2 ფონოლოგიური პროცესები

ენაში ერთმანეთს უპირისპირდება ნარმოთქმის სიმარტივე და ალქმის განსხვავებულობა. ფონოლოგიურ განვითარებაში უამრავ მაგალითს ვპოულობთ, სადაც არტიკულაციის სიმარტივე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის ფონოლოგიის საწყის ეტაპზე.

მარცვლოვანი სტრუქტურების პროცესები: ფონოტაქტიკა.

მარცვლის უმცირესი ტიპის, CV-ს, მნიშვნელობა აისახება ბავშვის ფონოლოგიაში. ხშირად ვხვდებით მარცვლის ბოლო თანხმოვანთა ამოღებას, როგორც (14)-შია ნაჩვენები:

(14) ნარმოსათქმელი სიტყვა	ბავშვის გამოთქმა
bed	[bɛ]
bottle	[ba]
cake	[ke]
dog	[dɔ]
foot	[pu]

მეორე, რასაც ხშირად ვხვდებით ადრეულ ნარმოთქმაში, არის **რედუპლიკაცია**, ანუ ორმარცვლიან სიტყვებში მახვილიანი მარცვლის განმეორებას. ეს მოვლენა ძირითადად მოიცავს CV მარცვლებს და შესაბამისად, გულისხმობს საწარმოთქმო ჟესტების განმეორებითი ნარმოთქმის გამარტივებას, უმახვილო მარცვლებისა და თანხმოვნური კოდების ამოგდებას. ამავდროულად, ვინაიდან რედუპლიკაცია გვაჩვენებს, რომ სიტყვაში ერთზე მეტი მარცვალია, იგი საშუალებას აძლევს ბავშვს, რომ სწორი იყოს მარცვალთა რაოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოთქმა შეიძლება არ იყოს სწორი. ბავშვების მიერ გაორმაგების მაგალითი ნარმოდგენილია (15)-ში:

(15) ნარმოსათქმელი სიტყვა	ბავშვის გამოთქმა
bottle	[baba]
goodnight ('nightnight')	[nana]
banana	[nænæ]

water

[wawa]

მესამე გზა, რომლითაც ბავშვები მარცვალთა სტრუქტურის ზედაპირულ ფორმებს ამარტივებენ, არის თანხმოვანთა მიმდევრობის შემოკლება. ყველაზე გავრცელებული სახეა სიტყვის საზღვრებთან ობსტრუენტთა წყვილში ერთ-ერთის ამოგდება, როგორც ეს (16)-შია ნაჩვენები:

(16)

წარმოსათქმელი სიტყვა	ბავშვის გამოთქმა
spoon	[pū]
stop	[tap]
desk	[des]

აღსანიშნავია, რომ პირველ ორ მაგალითში საწყისი ხშულები არაა გაფშვინ-ვიერებული, სავარაუდოდ, იმის აღსანიშნად, რომ ისინი არაა სიტყვის ძირითადი ფორმის საწყისი თანხმონები.

მარცვლის სტრუქტურის გამარტივების კიდევ ერთი რეფლექსი ბავშვის მეტყველებაში მუდგანდება კროს-ლინგვისტურ მიმდევრობაში მარცვალთა მსგავსი მიმდევრობის გამოყენებაში. მაგალითად, ინგლისურისა და ჰოლანდიურის შემსწავლელი ბავშვების კვლევისას ამ ორი ენის მარცვალთა ტიპების შემდეგნაირი შერწყმა გამოვლინდა:

(17)

>> A: CVCC>CCV>VCC>CCVC

CV>CVC>V>VC

>> CCVCC

>>B: CCV>CCVC>CVCC>VCC

მარცვალთა ტიპების განვითარების წარმმართველი პრინციპი გულისხმობს კროს-ლინგვისტურ პრინციპებს, რომლებიც მარცვლის სტრუქტურას განსაზღვრავს; კერძოდ კი, მე-14 თავში განხილულია პრინციპები, რაც განმეორებით (18)-შია წარმოდგენილი:

(18) მარცვლის სტრუქტურის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპები:

- ა. მარცვლებს საწყისი უნდა ჰქონდეს
- ბ. მარცვლებს კოდა არ უნდა ჰქონდეს
- გ. მარცვლებს რთული საწყისები/კოდები არ უნდა ჰქონდეს.

სეგმენტთა სტრუქტურის პროცესები: ცვლილებები

რედუქციკაცია ბავშვებისა და მოზრდილების ფონოლოგიაში ასახავს წარმოთქმის სიმარტივის მნიშვნელობას. ბავშვის ენაში ვპოულობთ დამატებით რეფლექსებს სიმარტივის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რაც არ გვაქვს უფროსთა მეტყველებაში; კერძოდ, **თანხმოვანთა ჰარმონია** – მოვლენა, სადაც საწყისი და კოდა თანხმონები ასიმილაციას განიცდიან. ამ ფაქტის რამდენიმე მაგალითი (19)-შია წარმოდგენილი:

(19) ინგლისური: **ბავშვის წარმოსათქმელი ფრანგული:**

სიტყვა	სიტყვა
[pap]	pot
[gag]	dog
[gAk]	duck
[bAb]	tub

ბავშვის სიტყვა	[bɛps] წარმოსათქმელი სიტყვა	steps თარგმანი
[pɒt̪]	[mut̪]	„ცხვარი“
[baʃɔ]	[mo:ɔsɔ]	„ნანილი“
[bala:d]	[mala:d]	„ავადმყოფი“
[ba:to:]	[mãt̪]	„ნიკაპი“
[base]	[ma:ʃe]	„სიარული“

კროს-ლინგვისტური ცვლილებებისას უპირატესობა ენიჭება ოპტიმალურ მარცვლებს, სადაც სანყისი ხშულია. ამგვარად მივიღებთ:

(20) ა. [t] [s]-ის ნაცვლად (Amahl, 2;9)

[ti] - 'sea'
[tiŋ] - 'sing'
[tʰei] - 'say'

ბ. [p] [f]-ის ნაცვლად (ფრანგული მაგალითები)

[po] [flœʁ] 'flower'
[tə] [ʃo] 'hot'
[te] [sel] 'salt'

გ. [b] [v]-ის ნაცვლად; [p] [f]-ის ნაცვლად და [t] [s]-ის ნაცვლად. უნგრული:

[bija:g] [vira:g] 'flower'
[pa:aik] [fa:zik] 'he is cold'
[ta:ja] [saija] 'his mouth'

ეს და სხვა ასიმილაციის პროცესები გვხვდება მაშინაც კი, როცა ბავშვი შეცვლილ ბგერას სხვა სიტუაციაში იყენებს. ამგვარად, თუ ბავშვი ცალკეულ ბგერას სწორად წარმოთქვამს უფროსთა გამოთქმის შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში ეს ბგერა შეიძლება შეიცვალოს.

15.3.3 მახვილიანი მარცვლების მნიშვნელობა წარმოთქმაში.

გაიხსენეთ, რომ სანყისების გაგებისას ბავშვები ხვდებიან, რომ სიტყვა უნდა მოისმინონ, თუმცა წინასწარ არ იციან სიტყვის სტრუქტურა (მე-2 თავში ვნახეთ, რომ სიტყვებს განსხვავებული სტრუქტურა აქვს). ბავშვისთვის პრობლემას წარმოადგენს ლინგვისტური სიგნალების განგრძობითობა. პრობლემა ისიც, რომ ბავშვს დასაწყისში სიტყვათა მარაგი არ აქვს. მან ვარაუდით უნდა დაეყოს სეგმენტთა უწყვეტი ჯაჭვი სიტყვებად. ერთი თეორია, რომელიც ამ სტრატეგიას ეხება, არის მეტრული სეგმენტაცია, რისთვისაც მსმენელები, ამ შემთხვევაში ახალშობილები და ბავშვები, იყენებენ მათი ენისთვის დამახასიათებელ რიტმულ სტრუქტურას. ასეთი სახის სეგმენტაცია ზუსტია. მე-10 თავში განვიხილეთ სიტყვების სწრაფი დასწავლა, როგორც სიტყვათა მარაგში მოქმედების საშუალება. პროსოდიული სწრაფი დასწავლა ქმნის ჰიპოთეზას, რომ ლექსიკონისაკენ მთავარი გზა მეტრულ სეგმენტაციაზე გადის. ინგლისურის მეტრულ და პროსოდიულ ნიმუშებში პირველი მარცვალი მახვილიანია. ამგვარად, შემსწავლელთათვის მახვილი ასრულებს მთავარ როლს სიტყვებს შორის საზღვრის ამოც-

ნობაში.

მახვილიანი მარცვლის მნიშვნელობა ჩანს მრავალმახვილიანი სიტყვების ცვლილებაში, რომელსაც ბავშვები ახდენენ. ორმარცვლიანი სიტყვები ბავშვებს ხშირად ერთმარცვლიანზე დაჰყავთ; კერძოდ, მახვილიან მარცვალზე. ეს პროცესი არ არის ბოლო ბგერის ან მარცვლის ამოღების მარტივი პროცესი. (21) გვიჩვენებს ბავშვების მიერ ორმარცვლიანი სიტყვების გამოთქმის ნიმუშს, სადაც სიტყვას მახვილი მეორე მარცვალზე მოუდის. როცა ამ მაგალითებს თვალს გადაავლებთ, შეამონმეთ მათი შინაარსი და ჩაინიშნეთ, რა სახით ცვლიან სიტყვებს ბავშვები. ყურადღება მიაქციეთ, რომ უფრო ხშირია სიტყვის პირველი სეგმენტის შენარჩუნება, ვიდრე მახვილიანი მარცვლის პირველი ნევრისა.

ჩანართი 15.4

სეგმენტაციის საზღვრების დადგენა

ენებში რიტმული სტრუქტურა განსხვავებულია და ბავშვი, რომელიც მიჩვეულია მარცვალზე დაფუძნებულ რიტმს, როგორც ფრანგულშია, ან მახვილზე დაფუძნებულ რიტმს, ინგლისურის მსგავსად, ყურადღებას ამახვილებს რიტმის ამ მახასიათებლებზე. უფრო მეტიც, ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ენის რიტმული ნიმუშის შეცნობის პროცესი და ლინგვისტური სიგნალის სეგმენტებად დაშლა მხოლოდ ერთხელ ხდება; ანუ მოსაუბრეს შეუძლია სეგმენტაციის მხოლოდ ერთ პროცედურას მიმართოს.

(21) წარმოსათქმელი სიტყვა	ბავშვის გამოთქმა
again [gen]	away [we]
behind [hai:nd] [hai:n]	belong [bɔŋ] [aŋ]
balloon [bu] [bun] [bu:n]	garage [gwa:dʒ] [ga:dʒ] [gardʒ]
guitar [tar] [ga] [ga:r]	[gradʒ]

ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ბავშვებს აქვთ მიდრეკილება მახვილიანი მარცვლების აღქმისადმი, განვიხილეთ 15.1.3 ქვეთავში, მაგრამ იქვე აღვნიშნეთ, რომ ისინი ასევე მიდრეკილნი არიან სიტყვის მარჯვენა მარცვლის აღსაქმელად. ორივე ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელია ბავშვების მიერ მრავალმარცვლიანი სიტყვების გამოთქმა მანამ, ვიდრე ისინი მოზრდილთა მსგავსად ამეტყველებიან. განსაკუთრებით ნათელი მაგალითია სამმარცვლიანი სიტყვების გამოთქმა, ვინაიდან სამმარცვლიან სიტყვებში ყველაზე ბოლო ელემენტი ძირითადად ბავშვის გამოთქმაში ვლინდება, რაც ასახულია

(22) და (23)-ში:

(22) ბავშვების მიერ ო'სო-ის შემოკლება

წარმოსათქმელი სიტყვა		ბავშვის გამოთქმა	
remember	[mɛmə]	tomorrow	[mowə]
	[mɛmbə]		[moro]
another	[nɔðə]	banana	[nænæ]
	[hɔðə]		[mænə]
	[nɔθə]		[bænə]
	[nɔ:ə]		[nænə]
delicious	[dɪʃəs]	spaghetti	[sketi]
pajamas	[dæməs]	umbrella	[bweə]
	[dʒæmə]		[bɛlə]
	[dɑ:məs]		[bre:wə]
potato	[pedə]	tomato	[mɛnə]
	[tɛtə]		[metə]
	[te:tə]		[me:də]

კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავინახოთ ბავშვების მიდრეკილება შესასწავლი გამოხატულების მახვილიანი ვარიანტისადმი, თუკი დავაკვირდებით მათ მიერ გამოთქმულ სამმარცვლიან სიტყვებს, რომლებიც განსხვავებულ მარცვლოვან მოდელს ამჟღავნებს, კერძოდ 'ო'სო', როგორც (23)-შია ნაჩვენები:

(23) ბავშვების მიერ ო'სო-ის შემოკლება

წარმოსათქმელი სიტყვა		ბავშვის გამოთქმა	
animal	['æmɪ]	elephant	['ɛfɛnt]
	['æmɔ]		['ɛfɔnt]
	['amɔ:]		['ɛ:fnt]
	['nəɪnɔ:]		['ɛ:fɔnt]
dominos	['dɑ:nouz]	medicine	['mɛsm]
	['dɑ:mno:θ]		['mɛ:sm]
tricycle	[twɪkəl]	buffalo	['bʌfə]

საყურადღებოა, რომ სიტყვის მახვილიანი მარცვლი ბავშვის გამოთქმაშიც მახვილიანია. ბავშვის გრამატიკაში ძირითადი გამოხატულება უფრო მეტად უფროსების ვარიანტს რომ ჰგავს, ვიდრე საკუთარ გამოთქმას, ჩანს მეორე მარცვლის პირველი

თანხმოვნის მსგავსებით. (24) ამის ნათელი მაგალითია:

(24) 'broccoli' 'camera' 'dungarees' 'favorite' 'spatula' 'maracas'
[baki] [kæmɒ] [gʊŋgi::z] [fevət] [bæ:tʃɒ] [maka:s]

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ბავშვი სიტყვის შუა და ბოლო მარცვლების სანყისებს შორის ყველაზე ნაკლებსონორულ ბგერაზე აჩერებს თავის არჩევანს. რატომ? მინიშნება: იფიქრეთ იდეალურ მარცვალთა მოდელზე.

ენათმეცნიერები ვერ თანხმდებიან, რატომ შლის ბავშვი მრავალმარცვლიან სიტყვებში ცალკეულ ფონოლოგიურ მასალას. ერთ-ერთი თვალსაზრისით, რომელიც ჩვენც გადავამოწმეთ, ბავშვში არსებობს მიდრეკილება მახვილიან და უკიდურესად მარჯვენე მდგარი მარცვლისადმი. ამ აზრის დამამტკიცებელი არგუმენტი ბავშვების გამოთქმაა, სადაც უკიდურესი მარჯვენა და მახვილიანი მარცვალი შენარჩუნებულია. გადავხედოთ (25)-ში განმეორებულ მაგალითებს:

(25)

tricycle	['twaik]	animal	['amo]
buffalo	['bʌfo]	broccoli	['baki]
elephant	['ɛfɒnt]		

ენათმეცნიერთა ასეთი თვალსაზრისი ასევე გვაცნობს ვარაუდს, რომ ბავშვის ამგვარმა მიდრეკილებამ შეიძლება გამოიწვიოს მის მეტყველებაში მეორე მარცვლის პირველი თანხმოვნის ნაცვლად პირველი მარცვლის პირველი თანხმოვნის წარმოთქმა.

მახვილიანი მარცვლის წარმოთქმა. ქიჩეს ბავშვური გამოთქმის მაგალითები.

ბავშვის მეტყველებაში მახვილიანი მარცვლის მნიშვნელობის ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი მაგალითია ბავშვების მიერ ქიჩეს ენაში ზმნების წარმოთქმა, რომელიც არის პერუში გამოყენებული მაიას ტომების ენა. ქიჩეს ზმნის სტრუქტურა საკმაოდ რთულია. ითხოვს ათასგვარ აფიქსებს და ამის შედეგად გრძელ, მრავალმარცვლიან და მრავალმორფემიან ფორმებს ვიღებთ.

ზმნები ძალიან ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, წინადადების ბოლოში დგას. როცა ზმნა დაქვემდებარებულია წინადადების ბოლოში, ბოლო სუფიქსი მახვილიანია. ტელეგრაფიულ საფეხურზე ბავშვები ხშირად ამოკლებენ ზმნის ფორმებს ერთ ან ორ მარცვლამდე. ამ ეტაპზე მათთვის მახვილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ქიჩეში ზმნის ძირის ნაცვლად მახვილიან აფიქსებს წარმოთქვამენ (ზმნები ხშირად განიცდიან ხელახალ დამარცვლას, როცა აფიქსები ემატებათ და შედეგად მარცვალთა საზღვრები ზედაპირულ ფორმაში მორფემათა საზღვრებს არ ემთხვევა. ასეთ ვითარებაში ბავშვები შემოკლებისას მარცვლებს აკვირდებიან და არა მორფემებს!).

როცა ზმნა დაქვემდებარებულია წინადადების შუაშია, მახვილი ზმნის ფუძეს მოუდის. ამის შედეგად ბავშვები ფუძის გარკვეულ ნაწილს მაინც გამოთქვამენ. ამგვარად, ბავშვები ახლებურად მარცვლავენ სიტყვებს, რათა „კარგი“ (CV(C)) მახვილიანი მარცვალი მიიღონ. (26) და (27) ამ მოვლენის ილუსტრაციაა.

(26) წარმოსათქმელი ფორმა	ბავშვის გამოთქმა
kach'a:w+ik	w+ik
„საუბრობს+გრამ. დრო“	სიტყვის ბოლო

სეგმენტი + გრამ. დრო

ალსანიშნავია, რომ შემოკლებული ფორმები არ ასახავს ბავშვის ცოდნას ზმნის ფუძის ფონოლოგიურ შემადგენლობაზე.

(27) (ერთი კვირის შემდეგ იგივე ბავშვის მიერ იმავე სიტყვის გამოთქმა წინადადების შუაში)

წარმოსათქმელი სიტყვა	ბავშვის გამოთქმა
kach'a:w taj	chaw taj
„ის არ საუბრობს“	სიტყვის ბოლო მარცვალი

ვინაიდან ზმნის ფონოლოგიური შემადგენლობა და მახვილის ადგილი იცვლება ფრაზაში მისი პოზიციის მიხედვით, ასეთი მაგალითების საშუალებით შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ბავშვების მიერ ფონოლოგიური სტრუქტურის ცოდნა უფრო მეტია, ვიდრე ის, რასაც ისინი ამ ეტაპზე გამოთქვამენ. უფრო მეტიც, ბავშვის მიერ ზმნის ძირითადი სტრუქტურის შემოკლება პრინციპულად განსხვავებული გზებით ხდება. კონტექსტში ფინალურ პოზიციაში მდგომი ზმნის წარმოთქმისას ბავშვი ზმნის იმ ბოლო მარცვალს წარმოთქვამს, რომელიც ზმნისავე ფუძის ბოლო თანხმოვნისა და **ბოლო სუფიქსისგან** შედგება, მაგრამ იგივე ბავშვი წინადადების შუაში მყოფი ზმნის წარმოთქმისას ფუძეზე აკეთებს აქცენტს. ამ შემოკლებებში უცვლელი რჩება ფაქტი, რომ ბავშვი ყოველთვის ზმნის მახვილიან მარცვალს გამოთქვამს

ეს მაგალითი ასევე ნათლად გვიჩვენებს, რომ კომუნიკაციისკენ სწრაფვა ვერ წარიმართება ასეთი შემოკლებებით, ვინაიდან ზმნის მხოლოდ ფინალური სეგმენტის წარმოთქმით უფროსები ვერ ხვდებიან, რა ზმნას წარმოთქვამს ბავშვი.

მარცვლის მახვილის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ ლექსიკური მახვილის შეცდომები ბავშვის ენაში არ აისახება. მაშინაც კი, როცა სიტყვის სხვადასხვა ნაწილი ამოშლილი ან სახეცვლილია, მახვილიანი მარცვალი მაინც გამოითქმის.

15.3.4 არარსებული მარცვლები

ფონოლოგიური ცოდნის სანყისი პერიოდის შემდეგ ბავშვები იწყებენ სიტყვის როგორც მახვილიანი, ისე უმახვილო მარცვლების წარმოთქმას. თუმცა სრული მოდელის წარმოთქმას სანყის ეტაპზე ვერ ახერხებენ და გამოთქვამენ „არარსებულ“ მარცვლებს, რომლებსაც სიტყვის სრულ პროსოდიულ ფორმაში ჩართულ მარცვალს ვუწოდებთ, ეს მარცვალი (28) და (29)-შია ნაჩვენები:

(28) (ამალიდან მაგალითები. 3;1. სმიტი 1973)

წარმოსათქმელი ფორმა	ამალის გამოთქმა	
attack	[ri'tæk]	(ადრე ['tæk])
disturb	[ei'st.:v]	(ადრე ['dø:v])
design	[ri'dzain]	(ადრე [di'dain])
giraffe	[ri'dzæf]	(ადრე [diræf])
thermometer	[ri'məmət]	(ადრე ['məmətə])

- (29) (გიტანჯალის მაგალითები ორი წლის ბავშვის გამოთქმაზე. გნანადესიკანი, 1995)

წარმოსათქმელი ფორმა გიტანჯალის გამოთქმა

umbrella	[fɪ'beɹ̩]
container	[fɪ'ten̩]
mosquito	[fɪ'giro]
spaghetti	[fɪ'gɛri]
Rebecca	[fɪ'bek̩]

15.3.5 ალემისა და წარმოთქმის შეპირისპირება: რაც გვესმის არ არის ის, რაც ბავშვმა იცის ან ამბობს

როგორც უკვე ვნახეთ, ბავშვის სიტყვების ძირითადი გამოხატულება მოიცავს უფრო მეტ ფონოლოგიურ ინფორმაციას, ვიდრე ეს ზედაპირულ ფორმაში ჩანს. ზოგმა მკვლევარმა ამ ფაქტის დამადასტურებელი დამატებითი ფაქტები მოგვცა, როცა აჩვენა, რომ ბავშვები იმაზე მეტ სიტყვას გამოთქვამენ, ვიდრე ჩვენ გვესმის (ან ვფიქრობთ, რომ გვესმის). ერთ-ერთ ექსპერიმენტში, მაგალითად, 'elephant'-ის ნაცვლად ['ɛfɪt]-ისა და 'helicopter'-ის ნაცვლად ['hekətɔ]-ის წარმოთქმის სპექტოგრაფიკულმა ანალიზმა აჩვენა გვერდითი ფორმა მეორე, ამოშლილი მარცვლის ადგილას. უფრო მეტიც, როცა ბავშვს მოასმენინეს შეთხზული ['ɛfɪt]-ი და [ɛlɛfɪt]-ი, მან გაარჩია ეს ფორმები და ['ɛfɪt]-ი ფორმა, როგორც *elephant*-ის გამოთქმა, უარყო. არავითარი წყარო არ არსებობს მინიმალური, მაგრამ მაინც არსებული ლატერალების რეფლექსებისა ამ სიტყვების ბავშვისეულ წარმოთქმაში და ვერ აიხსნება, რატომ უარყოფენ უფროსების მიერ იმიტირებულ მათსავე არასწორ გამოთქმას *elephant* და *helicopter* სიტყვებისას. ამ სიტყვების ბავშვისეულ წარმოთქმაში მინიმალური, მაგრამ მაინც არსებული ლატერალების რეფლექსების არავითარი წყარო არ იქნებოდა და ვერ აიხსნებოდა, რატომ უარყოფენ უფროსების მიერ იმიტირებულ მათსავე არასწორ გამოთქმას, ბავშვის გონებაში ამ სიტყვების ძირითადი გამოხატულება ნამდვილ ვარიანტს რომ არ ჰგავდეს.

(30)-(32) მაგალითებში წარმოდგენილია ის ფორმები, რასაც ბავშვი ამბობს, რასაც აღიქვამს და რაც სიტყვის ძირითადი გამოხატულება:

- (30) NVS: What's a [sə:t]?

A: [immediatelt points to his shirt]

- NVS: What's a [su:]?

A: [immediatelt points to a shoe]

- NVS: What's a [sɪp]?

A: When you drink [imitates]

- NVS: What else does [sɪp] mean?

A: [puzzled, then doubtfully suggests *zip*, though pronouncing it quite correctly]

- NVS: No; it goes in the water.

A: A boat.

NVS: Say it.

A: No. I can only say [sɪp]

(31) NVS: Say *jump*.

A: [dʌp]

NVS: No, *jump*.

A: [dʌp]

NVS: No, *jummp*.

A: [ʊdi: dædi: ɡæŋ de: dʌp] (Only Daddy can say jump)!

(32) (A is known to perceive the difference between the words *mouth* and *mouse*.)

NVS: What does [maʊs] mean?

A: Like a cat.

NVS: Yes; what else?

A: Nothing else.

NVS: It's part of your head.

A: [fascinated]

NVS: [touching A's mouth] What's this?

A: [maʊs]

მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ მიხვდა, რომ ესენი „ერთი და იგივე“ იყო.

ბავშვის ტონური თამაში

ჩანართი
15.5

ენ. გოჭის ლათინურისა და მე-13 თავში განხილული თამაშის მსგავს ფონოლოგიურ „თამაშებს“ შორის არის ისეთებიც, რომლებშიც ტონის ცვლილებაა საჭირო. ბავშვის მიერ გამოგონილი ტონური თამაში აღწერილი იყო მანდარინის დიალექტზე მოსაუბრე ბავშვის მაგალითზე. ბავშვმა ასეთი თამაში 2 წლის ასაკში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ტონებს კარგად გაეცნო. თავდაპირველად მშობლებს ეგონათ, რომ მას ტონები აერია, მაგრამ როცა უფროსებმა ჰკითხეს, რა სიტყვებს გამოთქვამდა იგი, გოგონამ გაუღიმა და წარმოთქმული სიტყვების სწორი ფორმა დაუსახელა. ყველაზე გავრცელებული მოდელი ამ თამაშისა გულისხმობს ორმარცვლიანი სიტყვებისა და ფრაზების მაღალი და დაბალი ტონების მიმდევრობაში ჩასმას, მიუხედავად იმისა, ეს მარცვლები რა სახის ტონს ფლობდნენ მანამდე.

15.4 დასკვნა

ამ თავში ვნახეთ, რომ ბავშვის გრამატიკა, ამ შემთხვევაში ფონოლოგია, ასახავს გამოხატვის იმავე სტრუქტურებს, რასაც უფროსების გრამატიკა. დეტალურად განვიხილეთ, ფონოლოგიურ განვითარებაში რა როლს ასრულებს მახასიათებლები, ფონემები, მარცვალი, მახვილი და პროსოდიული სტრუქტურა. მართალია, ჩვენ მოკლედ განვიხილეთ ბავშვის ფონოლოგია, მაგრამ მაინც დავინახეთ, რომ ყველა ადამიანის გრამატიკა აერთიანებს ორგანიზებისა და სტრუქტურის ერთსა და იმავე ძირეულ პრინციპებს. ასევე ვნახეთ, როგორ რეაგირებენ ბავშვები, ახალშობილებიც კი, ლინგვისტურ სიგნალზე.

შენიშვნები

- 1 Petitto, L. and Marentette, P. 1991. Babbling in the manual mode. Evidences for the ontogeny of language. *Science*, 251: 1493-6.

საკითხავი ლიტერატურა

- Clark, E. 1973. What's in a word? On the child's acquisition of semantics in his first language. In T. E. Moore ed., *Cognitive Development and the Acquisition of Language*. New York: Academic Press.
- Eimas, P. 1996. 'The perception and representation of speech by infants.' In J. Morgan and K. Demuth, eds., *Signal to Syntax: Bootstrapping from Speech in Early Acquisition*, pp. 25-39. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Assocs.
- Gleitman, L. and Landau, B. eds. 1995. *The Acquisition of the Lexicon*. Cambridge, MA: MIT Press, and references, therein.
- Hirsh-Pasek, K. and Golinkoff, R. 1996. *The Origins of Grammar: Evidence from Early Language 'Comprehension.'* Cambridge, MA: MIT Press.
- Jusczyk, P. 1997. *The Discovery of Spoken Language*. Cambridge, MA: MIT Press.
- Morgan, J. and Demuth, K. eds. 1996. *Signal to Syntax: Bootstrapping from Speech to Grammar in Early Acquisition*. Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Assocs.
- Oller, D. 1980. The emergence of speech sounds in infancy. In G. Yeni-Komshian, J. Kavanagh, and C. Ferguson, eds., *Child Phonology*. New York: Academic Press.
- Werker, J. 1995. Exploring developmental changes in cross-linguistic speech perception. In L. Gleitman and M. Liberman, eds., *An Invitation to Cognitive Science: Language*, vol. 1, pp. 87-106. Cambridge, MA: Bradford Books.

შენიშვნები აღნიშნულ ენებთან დაკავშირებით.

English

- Gnanadesikan, A. 1995. *Markedness and Faithfulness Constraints in Child Phonology*. Cambridge, MA: University of Massachusetts.
- Ingram, D. 1979. Phonological rules in young children. *Journal of Child Language*, 1: 49-64.
- Menn, L. 1983. Development of articulatory, phonetic, and phonological capabilities. In B. Butterworth, ed., *Language Production*, vol. 2, pp. 3-50. London: Academic Press.
- Pater, J. 1997. Minimal violation and phonological development. *Language Acquisition*, 6, no. 3: 201-63.
- Smith, N. V. 1973. *The Acquisition of Phonology: A case study*. Cambridge: Cambridge University Press.

Japanese

- Ueda, I. 1996. Segmental acquisition and feature specification in Japanese. In J. Gilbert and D. Ingram, eds., *Proceedings of the UBC International Conference on Phonological Acquisition*.

French and Hungarian

Ingram, D. 1979. Phonological rules in young children. *Journal of Child Language*, 1: 49-64.

Quiché

Pye, C. 1980. The acquisition of grammatical morphemes in Quiché Mayan. Unpublished doctoral dissertation. University of Pittsburgh.